დიადი ბრძოლა

ე. უაითი

დიადი ბრძოლა

ქრისტესა და სატანას შორის

შინაარსი

თავი 1 იერუსალიმის დანგრევა.....3

თავი 2 პირველი ქრისტიანები.....28

თავი 3 განდგომილების პერიოდი.....41

თავი 4 ერთგული მოწამენი.....56

თავი 5 ჭეშმარიტების ნათელი ინგლისში ჯონ უიკლიფი (1324-1384).....77

თავი 6 ორი გმირი სიკვდილის პირისპირ იან ჰუსი და იერონიმე 98

თავი 7 ლუთერი - თავისი დროის გმირი.....124

თავი 8 ჭეშმარიტების მღაღადებელი.....154

თავი 9 ჭეშმარიტების სინათლის სხივი შვეიცარიაში /ცვინგლი
და რეფორმაცია შვეიცარიაში/.....184

თავი 10 რეფორმაციის გამარჯვება გერმანიაში.....201

თავი 11 დიდგვაროვანთა პროტესტი.....216

თავი 12 რეფორმაცია საფრანგეთში.....232

თავი 13 რეფორმაცია ნიდერლანდებსა და სკანდინავიაში.....264

თავი 14 ბრიტანეთის კუნძულებზე ჭეშმარიტებამ შეაღწია.....276

თავი 15 ბიბლია და საფრანგეთის რევოლუცია.....300

თავი 16 პირველი პროტესტანტები ამერიკაში.....328

თავი 17 ქრისტეს აღთქმა მისი მეორედ მოსვლის შესახებ.....341

თავი 18 ახალი ნათელი ახალ ქვეყანაში.....362

თავი 19 ნათელი წყვდიადში.....391

თავი 20 დიდი რელიგიური გამოღვიძება.....404

თავი 21 უარყოფილი გაფთხილება.....429

თავი 22 აღსრულებული წინასწარმეტყველება.....448

თავი 23 რას წარმოადგენს საწმიდარი?.....468

თავი 24 იესო ქრისტე - ჩვენი შუამდგომელი და დამცველი.....485

თავი 25 ამერიკა წინასწარმეტყველებაში.....496

თავი 26 რეფორმის ჟამი.....517

თავი 27 გამოღვიძება ჩვენს დღეებში.....530

თავი 28 სამსჯავროს წინაშე.....552

თავი 29 ბოროტების წარმოშობა.....567

თავი 31 ვინ არიან ანგელოზები?.....584

თავი 30 მტრობა ადამიანსა და სატანას შორის.....592

თავი 32 სატანის ქსელი.....599

თავი 33 უკვდავების საიდუმლო /პირველი უდიდესი ცდუნება/ 614

თავი 34 შეუძლიათ თუ არა მკვდრებს ლაპარაკი? /სპირიტიზმი/ 637

თავი 35 სინდისის თავისუფლება საფრთხეშია.....652

თავი 36 მოახლოებული ბრძოლა.....676

თავი 37 ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გარანტია.....690

თავი 38 უკანასკნელი გაფრთხილება.....703

თავი 39 მწუხრის ჟამი.....716

თავი 40 ღვთის ხალხის გათავისუფლება.....740

თავი 41 დედამიწის გაპარტახება.....761

თავი 42 ბრძოლის დასასრული.....772

თავი 1 იერუსალიმის დანგრევა

"ნეტავ ამ დღეს შენც გცოდნოდა, რაც სამშვიდობოა შენთვის, მაგრამ ახლა ეს დაფარულია შენ თვალთაგან. რადგან დაგიდგება დღეები, როცა მტრები შენს წინაალმდეგ ალმართავენ ხვინულს, შემოგერტყმიან და შეგავიწროებენ ყოველი მხრიდან. მიწასთან გაგასწორებენ შენ და შენს შვილებს შენში. ქვას ქვაზე ალარ დატოვებენ შენში, რადგან არ შეიცანი შენი მონახულების ჟამი" (ლუკ. 19:42-44).

ზეთისხილის მთის მაღლობიდან დასცქეროდა იესო იერუსალიმს, მის წინაშე მშვენიერი, მშვიდი ხედი გადაშლილიყო. მოახლოვდა პასექი და გროვდებოდნენ იაკობის შვილები ქვეყნის ყოველი კუთხიდან ამ

უდიდეს ეროვნულ დღესასწაულზე. ბალებს, ვენახებსა და ამწვანებულ ფერდობებს შორის, სადაც მოგზაურთა კარვები იყო გაშლილი, მოჩანდა ტერასების მსგავსი ამაღლებული გორაკები, უმშვენიერესი სასახლეები და ისრაელის დედაქალაქის სქელი კედლები. თითქოს სიონის ასული ამაყად ამბობდა: "დედოფლად ვზივარ და არ ვიხილავ სიმწარეს". მას მოსწონდა საკუთარი თავი და დარწმუნებული იყო ზეცის მფარველობაში, როგორც მაშინ, მრავალი წლის წინათ, როდესაც მეფის მეფსალმუნეს ალმოხდა: "ლამაზი მაღლობი სიხარული მთელი ქვეყნიერებისა - მთა სიონი... ქალაქი დიდი მეფისა" (ფს. 47:3). რა წარმტაც

სანახაობას წარმოადგენდა ტაძრის დიდებული ნაგებობა! ჩამავალი მზის სხივები ანათებდა მის თოვლივით თეთრ მარმარილოს კედლებს და ირეკლებოდა მოოქროვილ კარიბჭეზე, თაღებსა და კოშკებზე. ეს იყო "სილამაზის სრულყოფილება", იუდეველთა სიამაყე. ისრაელის რომელ შვილს შეეძლო სიხარულისა და ალტაცების გარეშე ემზირა ამ სილამაზისათვის? მაგრამ იესოს სულ სხვა ფიქრები აღელვებდა. "როცა მიუახლოვდა და დაინახა ქალაქი, ატირდა მის გამო" (ლუკ. 19:41). ათასობით ადამიანთა საყოველთაო ალტკინებაში, რომლებიც მას პალმების ტოტებით ხელში ხვდებოდნენ და ესალმებოდნენ, როგორც მეფეს, იმ

წუთებში, როდესაც საზეიმო შეძახილები - "ოსანა!" - ექოდ მეორდებოდა მთებში, წუთისოფლის მხსნელი უეცარ და ფარულ მწუხარებას მოეცვა. ის, უფლის ძე, ალთქმული მესია, რომლის ძალაუფლებაც სიკვდილს ამარცხებდა და სამარხებიდან ათავისუფლებდა ტყვეებს - ტიროდა, და ეს არ იყო ჩვეულებრივი მწუხარების ცრემლები, არამედ, ეს იყო აუტანელი, ენით გამოუთქმელი ტანჯვის ცრემლები.

იგი საკუთარ თავზე არ ტიროდა, თუმცა მშვენივრად იცოდა, რაც აქ ელოდა. მის წინაშე გადაშლილიყო გეთსიმანია, - სადაც წარმოუდგენელი სულიერი ტანჯვა უნდა განეცადა. იგი ხედავდა ცხვრის კარიბჭეს,

რომლითაც საუკუნეთა
განმავლობაში შეჰყავდათ
სამსხვერპლო ცხოველები და
რომელიც თვითონაც უნდა გაევლო,
როგორც დასაკლავ კრავს (იხ. ეს. 53:7).
არც თუ ისე შორს აღმართულიყო
გოლგოთა - მისი ჯვარცმის ადგილი.
და ქრისტემ სულ მალე უნდა
განვლოს ეს გზა, სადაც საშინელი
სიბნელე ჩამოწვება, როდესაც მისი
სული მსხვერპლად შეიწირება
ცოდვის გამო. მაგრამ არც ამ მძიმე
სცენების წარმოდგენას გამოუწვევია
ამდენი ტკივილი მის გულში.
არაადამიანური ტანჯვის
მოახლოების წინათგრძნობას არ
დაურღვევია მისი სიყვარულით
ალსავსე სულის სიმშვიდე; იგი
ტიროდა იერუსალიმის დასაღუპად

განწირულ ადამიანებზე, რომელთაც უარყვეს მისი ხსნის მადლი და არ ისურვეს მონანიება.

იესოს თვალწინ გადაეშალა ისტორია იუდეველი ხალხისა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში უფლის რჩეული ერის უპირატესობითა და კურთხევით სარგებლობდა. აი, მორიას მთა, სადაც ალთქმის ძე, მორჩილი მსხვერპლი, შეკრული იწვა სამსხვერპლოზე, როგორც უფლის ძის მსხვერპლის სიმბოლო. სწორედ აქ იქნა განმტკიცებული შეწყალების ალთქმა მესიის შესახებ ყოველი მორწმუნის მამის წინაშე (დაბ. 22:9,16-18). იქ ორნანის კალოს სამსხვერპლოდან ცად ალწეულმა ცეცხლმა შემმუსვრელ ანგელოზს მახვილი ხელიდან

გააშვებინა (1ნეშტ. 21), რაც მაცხოვრის მსხვერპლისა და მისი ცოდვილთათვის შუამდგომლობის სიმბოლო იყო. დედამიწის სხვა ადგილებთან შედარებით იერუსალიმი ყველაზე მეტად იყო განდიდებული უფლის მიერ. "ამოირჩია უფალმა სიონი, ისურვა სამკვიდრებლად თავისთვის" (ფს. 131:13). აქ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წმიდა წინასწარმეტყველთ ადამიანებთან უფლისაგან გაფრთხილების სახარება მოჰქონდათ. აქ მღვდლები საკმეველს აკმევდნენ და საკმეველთან ერთად ლოცვებს აღავლენდნენ. აქ ყოველდღიურად იღვრებოდა დაკლულ ცხოველთა სისხლი, რომელიც ღვთის ძეზე

მიუთითებდა. აქ უფალი დიდების ღრუბლით გადმოდიოდა აღთქმის კიდობნის სახურავზე. აქ იყო საიდუმლო კიბის ფუძე, რომელიც დედამიწას ზეცასთან აკავშირებდა (დაბ. 28:12; იოან. 1:51) - იმ კიბისა, რომლითაც ჩამოდიან და ადიან ღვთის ანგელოზები და რომელიც წუთისოფელს კარს უხსნის სიწმიდისაკენ. ისრაელის ხალხს უფლის ერთგულება რომ შეენარჩუნებინა, იერუსალიმი საუკუნოდ დარჩებოდა ღვთის რჩეულ ქალაქად (იერ. 17:21-25). მაგრამ ამ ოდესღაც რჩეული ხალხის ისტორია მხოლოდ განდგომილებისა და ამბოხების ნაღვლიან ნოველად დარჩა. მან უარი თქვა ზეციურ მადლზე, ბოროტად გამოიყენა

მიღებული უპირატესობანი და გულგრილად მოეკიდა თავის შესაძლებლობებს.

თუმცა ისრაელიანები "აბუჩად იგდებდნენ მოციქულებს, არად აგდებდნენ მათ სიტყვებს და დასცინოდნენ მის წინასწარმეტყველებს" (2ნეშტ. 36:15,16), უფალი მაინც ისევ "მწყალობელ და შემბრალებელ, სულგრძელ, დიდმადლიან და ჭეშმარიტ ღმერთად" რჩებოდა (გამოს. 34:6). იუდეველები ხშირად უარყოფდნენ ღმერთს, მაგრამ მისი მადლი მაინც არ ტოვებდა მათ. მშობლიური თანაგრძნობით "უფალი, მათი მამა-პაპის ღმერთი ადრიდანვე უგზავნიდა მათ სიტყვას თავის მოციქულთა ხელით, რადგან

ებრალებოდა მას თავისი ერი და თავისი სამყოფელი" (2ნეშტ. 36:16,15). და მას შემდეგ, რაც გაფრთხილება, მუდარა და შეგონება ამაო გამოდგა, მან ყველაზე ძვირფასი ზეციური ძღვენი გამოგზავნა და ამ ძღვენში ჩააქსოვა მთელი ზეცა.

განდგომილი ქალაქის მოქცევისათვის თავად ღვთის ძე იქნა გამოგზავნილი. ეს ქრისტემ გამოიყვანა ეგვიპტიდან ისრაელი, როგორც კეთილი ვაზი (ფს. 79:9). მისმა ხელმა განდევნა წარმართნი მათგან. ეს მან დარგო ისინი "ნაყოფიერ გორაკზე" (ეს. 5:1-4). თავისი ზრუნვით შემოლობა და საკუთარი მსახურნი გამოგზავნა მის მოსავლელად. "კიდევ რა უნდა გამეკეთებინა ჩემი ვენახისათვის? -

ამბობს იგი - და რა დავაკელი?" და თუმცა უფალი "სავსე მტევნებს" ელოდა, მან კი "ხენეში ნაყოფი გამოილო", მაინც არ კარგავდა ნაყოფის მილების იმედს და თავად ეწვია თავის ვენახს, რათა შესაძლებლობის ფარგლებში გადაერჩინა საბოლოო დალუპვისაგან. დაბარა, ქვები მოაცილა და უვლიდა მას. იგი დაულალავად ცდილობდა მისივე დარგული ვაზის გადარჩენას.

ნათლისა და დიდების უფალი სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდა თავის ხალხში. "დადიოდა, ქველმოქმედებდა და კურნავდა ყველას, ეშმაკისაგან შეპყრობილებს". იგი მოვიდა "გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, გლახაკთა სახარებლად, ჩაგრულთა

გასათავისუფლებლად", ბრმებისა და ხეიბრების განსაკურნავად, მკვდრების აღსადგენად და ღატაკთა სახარებლად (საქ. 10:38; ლუკ. 4:18; მათ. 11:5). მისი მოწყალების ხმა ყველა ადამიანისადმი იყო მიმართული: "მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო ტვირთმძიმენო და მე მოგასვენებთ თქვენ" (მათ. 11:28).

მიუხედავად იმისა, რომ მის სიკეთეს ბოროტებით პასუხობდნენ, ხოლო სიყვარულს - სიძულვილით (ფს. 108:5), ის წარბშეუხრელად განაგრძობდა თავისი მოწყალების საქმის კეთებას. იგი თავის მადლს აძლევდა ყველას, ვისაც ის ესაჭიროებოდა. უსახლკარო ხიზანი, რომლის ყოველდღიური ხვედრი იყო

დაცინვა და ლანძღვა, მოვიდა, რათა ადამიანებს მიელოთ სიცოცხლის ძღვენი. უფლის მადლის ტალღები, რომლებსაც ასე ჯიუტად უკუაგდებდნენ, კვლავ უბრუნდებოდათ თანაგრძნობისა და ენით გამოუთქმელი სიყვარულის ძლიერ ნაკადად. მაგრამ ისრაელმა უარყო თავისი საუკეთესო მეგობარი და ერთადერთი შემწე. იუდეველებმა ზიზღით უპასუხეს მის სიყვარულს, უარყვეს მისი რჩევები და დასცინეს მის გაფრთხილებებს.

მაგრამ მადლისა და იმედის დრო მალე იწურებოდა; უფლის მოთმინების ფიალა თითქმის აივსო. უბედურებისა და ტანჯვის ღრუბლები, რომლებიც მათი განდგომილებისა და ამბოხების

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში
გროვდებოდა, ჭექა-ქუხილივით თავს
უნდა დასტყდომოდა დანაშაულის
ჩამდენ ხალხს. და ის, ქრისტე, იყო
ერთადერთი, რომელსაც შეეძლო
მათი გადარჩენა მოსალოდნელი
უბედურებისაგან და მასაც,
უარყოფილს და აბუჩად აგდებულს,
ახლა სამარცხვინო ჯვარცმა ელოდა.
გოლგოთაზე ქრისტეს ჯვარცმით
მთავრდებოდა წყალობისა და
მადლის დრო ისრაელისათვის,
როგორც რჩეული ხალხისათვის.
თუკი ერთი სულის დალუპვა -
უდიდესი დანაკარგი და ყველა
საგანძურზე და სიმდიდრეზე უფრო
მეტია, აქ, იესოს წინაშე,
გადაშლილიყო დასალუპად
განწირული მთელი იერუსალიმი.

მან იცოდა, რა მოელოდა ამ ქალაქს და მთელ ერს, რომელიც ოდესღაც თავისთვის აირჩია, როგორც განსაკუთრებული განძი.

წინასწარმეტყველნი დასტიროდნენ ისრაელის განდგომილებას და იმ საშინელ გასაჭირს, რომელიც თავს დაატყდა მას ცოდვებისათვის. იერემია ნატრობდა, რომ მისი თვალები ცრემლის წყაროდ ქცეულიყვნენ, რათა დღე და ღამ დაეტირა თავისი ერის დალუპული ასულნი და ტყვედ წაყვანილი უფლის სამწყსო (იერ. 9:1; 13:17). რაზე ტიროდა ის, რომლის წინასწარმეტყველური მზერა მოიცავდა არა წლებს, არამედ საუკუნეებს? იგი ხედავდა შემმუსვრელ ანგელოზს ქალაქზე ალმართული მახვილით ხელში, იმ

ქალაქზე, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ღმერთის სამყოფელი ადგილი იყო. ზეთისხილის მთის ფერდობიდან, რომელიც შემდგომში ტიტეს და მისი არმიის მიერ იქნა დაკავებული, ქრისტე გასცქეროდა ტაძრის წმინდა ეზოებსა და კარიბჭეებს, ცრემლით დაბინდული თვალებით ხედავდა უცხო ჯარით გარშემორტყმულ ქალაქის კედლებს და მის საშინელ ხვედრს, ესმოდა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ცხენების თქარა-თქური, დედათა და შვილთა ცრემლიანი ვედრება, ალყაშემორტყმულ ქალაქში პურს რომ ითხოვდნენ; ხედავდა იერუსალიმის დიდებულ ტაძარს, სასახლეებსა და კოშკებს, ცეცხლის

ალში გაჩვეულს და კვამლიანი ნანგრევების გროვად ქცეულს.

უფრო შორს, საუკუნეთა მილმა, ქრისტე ალთქმის ხალხს ხედავდა მთელი დედამიწის ზურგზე მიმოფანტულს "ზღვის უკაცრიელ ნაპირზე გამორიყული დამსხვრეული გემის ნაფოტების მსგავსად". და იმ ნაწილობრივ შურისგებაში, რომელიც მალე თავს უნდა დასტყდომოდა ისრაელს, იგი მძვინვარების თასიდან გადმოღვრილ მხოლოდ პირველ წვეთებს ამჩნევდა, რომელიც ისრაელს სრულად უნდა შეესვა უკანასკნელი სამსჯავროს დადგომისას. თავისი ღვთიური თანაგრძნობა და სიყვარული ამ მწუხარებით ალსავსე სიტყვებში გამოხატა: "იერუსალიმო,

იერუსალიმო, დამხოცავო წინასწარმეტყველთა და ჩამქოლავო შენთან წარმოგზავნილთა! რამდენჯერ მინდოდა შენი შვილების შეკრება, როგორც ფრინველი იკრებს ფრთებქვეშ თავის ბარტყებს, მაგრამ არ ინდომეთ" (მათ. 23:37). ჩემო რჩეულო ხალხო! შენ რომ გცოდნოდა ჟამი წყევლისა, ან ის, თუ ვისი დამსახურებაა შენი სიმშვიდე! მე ჯერ კიდევ ვაკავებ სამართლიანობის ანგელოზს. მონანიებისაკენ მოგიწოდებ... მაგრამ ამაოდ. შენ უარჰყავი არა მარტო მსახურნი, მაცნენი და წინასწარმეტყველნი, არამედ უარჰყავი და აბუჩად აიგდე ისრაელის სიწმიდე, შენი გამომსყიდველი. და შენ თვითონ ხარ მიზეზი შენი დაღუპვისა. "თქვენ კი

არ გსურთ ჩემთან მოსვლა, რათა სიცოცხლე გქონდეთ" (იოან. 5:40).

ქრისტე იერუსალიმში ჭვრეტდა თავის ურწმუნოებასა და ალშფოთებაში გაქვავებული მთელი მსოფლიოს პირველსახეს, უფლის შურისგებისა და სამსჯავროსაკენ სწრაფად მიმავალს. მთელი თავისი არსებით გრძნობდა დაცემული ადამიანის ტანჯვას... და მის ბაგეს მწარე გმინვა ალმოხდა. იგი ადამიანის მწუხარებაში, ცრემლსა და სისხლში ცოდვის ნაკვალევს ხედავდა. მისი გული ყველა დამწუხრებულისა და უბედურის მიმართ უსაზღვრო თანაგრძნობით იყო გამსჭვალული; მას ყველას დახმარება და ტვირთის შემსუბუქება სურდა. მაგრამ მის ყოვლისშემძლე

ხელსაც კი არ შეეძლო ადამიანური ვარამის ნაკადის შეჩერება, რადგან ძალზე ცოტანი მიმართავენ დახმარების ამ ერთადერთ წყაროს. იგი მოკვდება მათი გადარჩენისათვის, მაგრამ ცოტანი მივლენ მასთან სიცოცხლის მისაღებად.

ზეცის დიდება ტირის!!! უსასრულო ღმერთის ძე სულიერ ტანჯვას განიცდის! ამ სცენამ მთელი ზეცა გააოგნა. ყოველივე ეს ცოდვის განსაკუთრებულ სიმძიმეზე მიუთითებს. ყოვლისშემძლე უფლისთვისაც კი რა ძნელი იყო ურჯულოს ხსნა უფლის კანონის დარღვევის შედეგებისაგან. თავისი წინასწარმეტყველური თვალით იგი საუკუნეების მიღმა ხედავდა

წუთისოფელს, შეპყრობილს იმავე სენით, რომელიც თავის დროზე იერუსალიმის დალუპვის მიზეზი გახდა. იუდეველთა ყველაზე დიდი ცოდვა იყო ქრისტეს უარყოფა. ხოლო მთელი ქრისტიანული სამყაროს უდიდესი ცოდვა მდგომარეობს უფლის კანონის, როგორც ზეციური და მიწიერი მმართველობის საფუძვლის, დაგმობაში! ღმერთის წესებს უარყოფენ და შეიძულებენ. მილიონობით ადამიანს ადევს ცოდვის ბორკილები. ისინი, სატანის ტყვეები, მეორე სიკვდილისათვის განწირულნი, არ მიიღებენ ჭეშმარიტების სიტყვებს მათი "წვევის" დროს. რა საშინელი შეცდომაა! რა გულის გამგმირავი სიბრმავე!

პასექის დღესასწაულამდე ორი დღით ადრე ქრისტე უკანასკნელად მივიდა ტაძარში და იუდეველთა მთავრები ფარისევლობაში ამხილა. ტაძრიდან იგი თავის მოწაფეებთან ერთად ზეთისხილის მთაზე ავიდა და ბალახით დაფარული ფერდობიდან ათვალიერებდა ქალაქს. გაჰყურებდა მის კედლებს, კოშკებსა და სასახლეებს და კვლავ ხედავდა ტაძრის დამაბრმავებელ დიდებულებას, რომლის ნათელი ამ წმიდა მთას გვირგვინივით ადგა თავზე.

ღმერთს, რომელმაც ეს ტაძარი თავის საცხოვრებლად გაიხადა, ათასი წლის წინ მეფსალმუნე ქება-დიდებას ასხამდა ისრაელის მიმართ თავისი წყალობის გამო. "და იყო

იერუსალიმში მისი კარავი და მისი სადგომი - სიონში". "ამოირჩია ტომი იუდასი, მთა სიონისა, რომელიც უყვარდა. მოაწყო ცასავით ტაძარი თვისი" (ფს. 75:3; 77:68,69). პირველი ტაძარი აშენებული იქნა ისრაელის ისტორიის ყველაზე დიდი წარმატების პერიოდში. ამ მიზნისათვის მეფე დავითმა უამრავი განძეული მოაგროვა და ღვთის სულის ხელმძღვანელობით ყველაფერი მოამზადა მშენებლობისათვის (1ნეშტ. 28:12;19). სოლომონმა, ისრაელის ყველაზე ბრძენმა მეფემ, დაასრულა ეს სამუშაო. ეს ტაძარი ერთ-ერთი საოცარი ნაგებობა იყო მთელი დედამიწის ზურგზე. მაგრამ უფალმა მეორე ტაძრის შესახებ ანგია

წინასწარმეტყველის პირით თქვა: "პირვანდელზე უფრო დიდი იქნება ამ უკანასკნელი სახლის დიდება". "შევარყევ ყველა ხალხს და ასრულდება ყოველი ხალხის საწადელი: დიდებით ავავსებ ამ სახლს, ამბობს ცაბაოთ უფალი" (ანგ. 2:9,7).

ნაბუქოდონოსორის მიერ პირველი ტაძრის დანგრევის შემდეგ იგი ქრისტეს დაბადებამდე 500 წლით ადრე კვლავ აღდგენილი იქნა იმ ხალხის მიერ, რომელიც ხანგრძლივი ტყვეობიდან დაბრუნდა თავის გაძარცვულ და გაუდაბურებულ მიწაზე. მათ შორის იყვნენ მოხუცები, რომელთაც ახსოვდათ სოლომონის ტაძრის დიდება და რომელნიც მწარედ ტიროდნენ ახალი ტაძრის

საძირკვლის ჩაყრისას, რომელიც ალბათ, ვერ იქნებოდა პირველივით დიდებული. წინასწარმეტყველი განსაკუთრებით ნათლად აღწერს მათ სულიერ მდგომარეობას: "ვინ არის დარჩენილი თქვენს შორის, ვინც მოსწრებია ამ სახლის პირვანდელ დიდებას? რას ხედავთ ახლა? ხომ არარაობად ჩანს თქვენს თვალში!" (ანგ. 2:3; ეზრ. 3:12). სწორედ მაშინ მიეცათ მათ აღთქმა, რომ ეს ტაძარი პირვანდელზე დიდებული იქნება.

მაგრამ მეორე ტაძარი თავისი დიდებულებით ვერ შეედრებოდა პირველს და არ ღირსი გამხდარა თვალით ხილული ღვთიურობის ნიშნებისა ისე, როგორც პირველი. მეორე ტაძრის კურთხევა არ აღინიშნა ზებუნებრივი ძალის გამოვლენით,

როგორც ეს პირველ ტაძარში ხდებოდა. დიდების ღრუბელმა არ აავსო ახალი საწმიდარი და ციდან ჩამოსულმა ცეცხლმა არ შთანთქა სამსხვერპლოზე დადებული მსხვერპლი. უფლის დიდების ღრუბელი აღარ ივანებდა ქერუბიმებს შორის წმიდათა-წმიდაში; აღარ იყო აღთქმის კიდობანი, არც მადლის ტახტი, არც აღთქმის ფიქალები. აღარც მღვდელმთავრის ლოცვაზე ისმოდა ზეციდან პასუხები უფლის ნების გასაგებად.

საუკუნეთა განმავლობაში იუდეველები ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ ანგია წინასწარმეტყველის პირით ნათქვამი უფლის აღთქმა უკვე აღსრულდა,

მაგრამ ყველაფერი ამაო იყო: ურწმუნოებამ და სიამაყემ მათ გონება დაუბნელა და წინასწარმეტყველური სიტყვების ჭეშმარიტი მნიშვნელობა მათთვის ამოუცნობი დარჩა. მეორე ტაძარი იყო განწმედილი არა ღვთის დიდების ღრუბლით, არამედ იმის უშუალო ყოფნით, ვისშიც ღვთიურობის სისავსე იყო, ვინც იყო ღმერთი, მოსული ხორცში. "ყველა ხალხის ნანატრი", იგი ტაძარში მოვიდა, როგორც უბრალო ადამიანი ნაზარეთიდან, ასწავლიდა და კურნავდა მის წმიდა ეზოში. მასში ქრისტეს უშუალო ყოფნით, და მხოლოდ ამით იყო მეორე ტაძარი პირვანდელზე დიდებული. მაგრამ ისრაელმა უარყო ზეცით ბოძებული

ძლვენი. იმ დღეს თავმდაბალ მოძღვართან ერთად ტაძარი უფლის დიდებამაც დატოვა. ამგვარად აღსრულდა მაცხოვრის სიტყვები: "აჰა, გრჩებათ თქვენი სახლი ოხრად" (მათ. 23:38).

მოწიწების თრთოლვითა და გაოცებით უსმენდნენ უფლის მოწაფეები ქრისტეს წინასწარმეტყველებას ტაძრის დანგრევის შესახებ. მათ სურდათ უფრო ღრმად ჩაწვდომოდნენ მისი სიტყვების მნიშვნელობას. 40 წლის განმავლობაში სიმდიდრე, შრომა და ხელოვნება იყო ამ ტაძრის მშვენება. დიდი ჰეროდე უხვად უძღვნიდა ტაძარს შესაწირავს რომისა და იუდეას საგანძურებიდან და თვით რომის იმპერატორიც ამდიდრებდა

მას საჩუქრებით. რომიდან ტაძრის მშენებლობისათვის წამოღებულ იქნა უზარმაზარი თეთრი მარმარილოს ფილები, ზოგიერთი მათგანი ზღაპრულად დიდი იყო და მიუთითეს რა მათზე, მოწაფეებმა მაცხოვარს უთხრეს: "შეხედე, მოძღვარო, რა ქვებია და რა შენობები!" (მარკ. 13:1).

მათ ნათქვამს იესომ პასუხი გასცა სიტყვებით, რომლებმაც ყველას თავზარი დასცა: "ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ; ქვა ქვაზე არ დარჩება აქ, რომ არ გადაიქცეს" (მათ. 24:2,3).

იერუსალიმის დანგრევას მოწაფეები უკავშირებდნენ ქრისტეს მოსვლას, როდესაც იგი, მიწიური დიდებით შემოსილი, ბოლოს

მოულებდა რომაელთა ბატონობას, დასჯიდა ურჩ იუდეველთ და თავად გახდებოდა სრულუფლებიანი მეუფე. უფალი ადრეც აფრთხილებდა მათ თავისი მეორედ მოსვლის შესახებ. ამიტომ იერუსალიმის დანგრევა მათ დედამიწაზე მის მეორედ მოსვლას დაუკავშირეს და როდესაც ზეთისხილის მთაზე თავიანთი მაცხოვრის გარშემო დასხდნენ, ჰკითხეს: "როდის მოხდება ეს და რა იქნება შენი მოსვლისა და წუთისოფლის აღსასრულის ნიშანი?" (მათ. 24:2,3).

უფლის მოწყალე ხელმა დაუმალა მათ მომავალი. მოწაფეებს თავზარი დაეცემოდათ შიშისაგან, იმ დროს სრულად რომ შეეცნოთ ეს საშინელი

მოვლენები - მაცხოვრის ტანჯვა და სიკვდილი და მათი ქალაქისა და ტაძრის დანგრევა. ქრისტემ მიუთითა მრავალ ნიშანზე და მოვლენაზე, რომლებიც მოხდებოდა ბოლო ჟამის წინა პერიოდში. მისი სიტყვები მათთვის მთლად გასაგები არ იყო მაშინ, მაგრამ მისი მნიშვნელობა თანდათან უნდა გახსნოდა მის ხალხს, რომელთაც სჭირდებოდათ ეს რჩევა-დარიგებანი. ქრისტეს წინასწარმეტყველება ერთდროულად ორ აზრს ატარებდა: მიუთითებდა რა იერუსალიმის დანგრევაზე, ამავე დროს, ბოლო ჟამის საშინელებათა სიმბოლოც იყო.

იესომ მოწაფეებს მოუთხრო იმ სამსჯავროს შესახებ, რომელიც თავს დაატყდებოდა განდგომილ ისრაელს

და განსაკუთრებით მიუთითა შურისგებაზე მესიის უარყოფისა და ჯვარცმის გამო. ამ თავზარდამცემი საათის წინ მოხდებოდა უტყუარი ნიშნები, ხოლო ეს საშინელი მომენტი დადგებოდა მოულოდნელად და შეუმჩნევლად. და მაცხოვარმა გააფრთხილა მოწაფეები: "ამგვარად, როცა იხილავთ გატიალების სიბილწეს, წმიდა ადგილზე მდგომს, წინასწარმეტყველ დანიელის მიერ ნათქვამს, - წამკითხველმა გაიგოს - მაშინ ვინც იუდეაშია, მთებს მიაშურონ" (მათ. 24:15-16; ლუკ. 21:20). როდესაც წარმართული რომის დროშები წმიდა მიწაზე ქალაქის კედლებიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით აღიმართება,

ქრისტეს მიმდევრებმა თავს გაქცევით უნდა უშველონ. ამ ნიშანს უნდა დაემორჩილოს ყველა იუდეველი და იერუსალიმის მცხოვრები. იმ დროს ვინც ერდოზე იქნება, ნუ ჩამოვა შინიდან ძვირფასეულობის გამოსატანად. ვინც ვენახში იქნება სამუშაოდ, არ დაბრუნდეს იმ ადგილას, სადაც მათი ტანსაცმელი დევს, რომელიც გაიხადეს მცხუნვარე მზის ქვეშ მუშაობისას. თუკი არ სურთ გაიზიარონ საერთო უბედურება, არც ერთი წამი არ უნდა დაკარგონ.

ჰეროდეს მეფობის დროს იერუსალიმი განთქმული იყო არა მარტო თავისი სილამაზით, არამედ ძლიერი კედლებით, გამძლე კოშკებით, ციხე-სიმაგრეებით,

მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით და ყოველივე ეს აულებელს ხდიდა მას. ყოველს, ვინც გაბედავდა და იწინასწარმეტყველებდა მის დანგრევას, ნოეს მსგავს შეშლილს უწოდებდნენ. მაგრამ ქრისტემ თქვა: "ცა და დედამიწა გადავლენ, ჩემი სიტყვები კი არ გადავლენ" (მათ. 24:35). იუდეველთა ცოდვებმა გამოიწვიეს ღვთის რისხვა იერუსალიმზე, მათმა ჯიუტმა ურწმუნოებამ კი მათი ბედი გადაწყვიტა.

უფალმა მიქა წინასწარმეტყველის პირით თქვა: "ისმინეთ ეს, იაკობის სახლის თავკაცნო და ისრაელის სახლის განმგებელნო, რომელთაც შეგიძულებიათ სამართალი და

ყოველივე წრფელი გაგიმრუდებიათ. სისხლით რომ აშენებთ სიონს და უსამართლობით - იერუსალიმს. მისი მთავრები ქრთამით სჯიან სამართალს და მისი მღვდლები გასამრჯელოს ართმევენ დამოძღვრაში, მისი წინასწარმეტყველნი ვერცხლზე მისნობენ; უფალს ემყარებიან, ამბობენ: განა ჩვენს შორის არ არის უფალი? უბედურება არ გვეწევაო" (მიქა 3:9-11).

ეს სიტყვები სამართლიანად ალწერენ იერუსალიმის მცხოვრებთა გარყვნილებასა და მოჩვენებით სიმართლეს, რომლებიც ტრაბახობდნენ უფლის კანონის გულმოდგინე დაცვით და ამავე დროს არღვევდნენ ყველა მცნებას. მათ

სძულდათ ქრისტე, რადგან მისი უმანკოება და სიწმიდე ამხილებდა მათ უწმიდურებას და ყველა უბედურებაში, რომელიც თავს დაატყდათ საკუთარი ცოდვების გამო, ქრისტეს ადანაშაულებდნენ. თუმცა კარგად იცოდნენ, რომ მას არავითარი ბრალი არ მიუძღოდა, მაინც ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ მისი სიკვდილი გადაარჩენდა მთელ ერს. "თუ მივუშვებთ თავის ნებაზე, - ამბობდნენ იუდეველი მთავრები, - ყველა ირწმუნებს მას. მოვლენ რომაელები და დაიპყრობენ ჩვენს ადგილ-მამულსაც და ერსაც" (იოან. 11:48). თუკი ქრისტეს მოკლავენ, მაშინ იუდეველნი უფრო გაძლიერდებიან და განმტკიცდებიან. ასე მსჯელობდნენ ისინი და ერთხმად

დაეთანხმნენ მღვდელმთავრის გადაწყვეტილებას, რომ უმჯობესია ერთი კაცის სიკვდილი, ვიდრე მთელი ერის დალუპვა.

აი, რა გზით ააშენეს "სისხლით სიონი იუდეველმა მთავრებმა და უსამართლობით - იერუსალიმი". მათი თვითცდუნება იმდენად დიდი იყო, რომ მაცხოვრის მოკვლით, რომელიც მათ ცოდვებს ამხელდა, თავს კვლავ უფლის რჩეულ ერად თვლიდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ უფალი მტრებისაგან იხსნიდა. "ამიტომ, - განაგრძობს წინასწარმეტყველი, - შენს გამო ყანად გადაიხვნება სიონი და იერუსალიმი ნანგრევებად იქცევა, ტაძრის მთა კი ტყიან ბორცვად" (მიქ. 3:12).

დაახლოებით ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქრისტემ იწინასწარმეტყველა იერუსალიმის ხვედრი, უფალი კი აყოვნებდა თავის მიერ გამოტანილი განაჩენის ალსრულებას ამ ქალაქზე და ამ ხალხზე. საოცარი იყო ღმერთის მოთმინება მათ მიმართ, ვინც უარყო მისი სახარება და მოკლა მისი ძე. იგავი უნაყოფო ლელვზე სიმბოლოა უფლის დამოკიდებულებისა იუდეველი ერის მიმართ. გაცემულ იქნა ბრძანება: "მოსჭერი იგი, რად უნდა ფიტავდეს მიწას" (ლუკ. 13:7), მაგრამ უფალმა თავისი მოწყალებით კიდევ ერთხანს დაინდო ქალაქი. ჯერ კიდევ ბევრი იუდეველი იყო დარჩენილი, რომელთაც არაფერი იცოდნენ ქრისტესა და მისი მისიის

შესახებ. მოზარდებამდე ჯერ ვერ მიელწია მათ მშობლებზე გადმოსულ ნათელს. ღმერთს სურდა მათთვის ნათელი გაეგზავნა მოციქულთა და მათ მოწაფეთა მეშვეობით, რათა ხალხს წინასწარმეტყველების ასრულება არა მხოლოდ ქრისტეს დაბადებასა და ცხოვრებაში დაენახა, არამედ მის სიკვდილსა და ადგომაშიც. ბავშვებს არ განიკითხავდნენ წინაპართა ცოდვებისათვის, მაგრამ იმ სინათლის უარყოფით, რომელიც მათ მშობლებს და შემდეგ, თავადაც უნდა მიელოთ, მშობლების დანაშაულის თანამონაწილენი ხდებოდნენ და უფრო ალრმავებდნენ მათ ურჯულოებას.

იერუსალიმის მიმართ უფლის დიდი მოთმინება კიდევ უფრო განამტკიცებდა იუდეველთა სურვილს, დარჩენილიყვნენ მონანიების გარეშე. იესოს მოწაფეებისადმი თავიანთი მტრული და სასტიკი დამოკიდებულებით მათ უარყვეს მადლის უკანასკნელი მოწოდება. და მაშინ ღმერთმა მათ თავისი მფარველობა წაართვა; მან ალარ შეაკავა სატანა და მისი ანგელოზები და მთელი ერი დაექვემდებარა იმ წინამძღოლს, რომელიც თავადვე აირჩია. იერუსალიმის შვილებმა უარყვეს ქრისტეს მადლი, რასაც ერთადერთს შეეძლო მოეთოკა მათი ბოროტი მიდრეკილებანი და მანკიერი სურვილები და ახლა ბოროტებამ

სრულად მოიცვა ისინი. სატანა ადამიანთა სულებში ყველაზე სასტიკ და მდაბალ ვნებებს აღძრავდა. ადამიანები ველარ ხელმძღვანელობდნენ ჯანსაღი გონებით, მათ მხოლოდ გრძნობები და ბრმა მძვინვარება მართავდა. თავიანთი სისასტიკით ისინი ეშმაკს დაემსგავსნენ. ოჯახებში და საზოგადოების ყველა ფენაში ეჭვმა, შურმა, სიძულვილმა და რისხვამ დაისადგურა. ხდებოდა მკვლელობანი. არსად იყო მშვიდი და უსაფრთხო ადგილი. მეგობრები და ნათესავები ერთმანეთს ღალატობდნენ. მშობლები კლავდნენ შვილებს და შვილები - მშობლებს. მთავრები ველარ თოკავდნენ საკუთარ თავს. აღვირახსნილმა ვნებებმა ისინი

დესპოტებად აქცია. იუდეველებმა წარსულში მიიღეს ცრუ მოწმობა და სასიკვდილოდ გასწირეს ღვთის ძე. ახლა ამ ცრუ ბრალდებებმა მათ მოსვენება დაუკარგა. წარსულში ყოველი მათი ქცევა და საქმე მხოლოდ ერთს მოწმობდა: "გზიდან გადადექით, ბილიკიდან გადაუხვიეთ, ისრაელის წმიდა მოგვაშორეთო" (ეს. 30:11). ახლა მათი სურვილი აღსრულდა. მათ უკვე აღარ ჰქონდათ ღვთის შიში. მთელი ერი დაემორჩილა სატანას, რომელიც მთელ იუდეაში სახელმწიფო და რელიგიურ ძალაუფლებას აკონტროლებდა.

პერიოდულად მოწინააღმდეგენი ერთიანდებოდნენ, რათა ერთად ეძარცვათ და ეტანჯათ თავიანთი

უბედური მსხვერპლი, ხოლო შემდეგ კვლავ იწყებდნენ სისხლიმღვრელ ბრძოლებს ერთურთს შორის. თვით ტაძრის სიწმიდემაც ვერ შეაჩერა მათი მძვინვარება. მლოცველებს სამსხვერპლოს წინ ხოცავდნენ და სიწმიდე მოკლულთა გვამებით ილახებოდა. დაბრმავებულნი, სახალხოდ აცხადებდნენ, რომ არ ეშინიათ იერუსალიმის დანგრევისა, რადგან ეს ქალაქი ღმერთს ეკუთვნის. და ამ სიტყვების დასამტკიცებლად იწვევდნენ მოწყიდულ ცრუ წინასწარმეტყველთ, რომლებიც ადამიანებს გადარჩენის იმედს აძლევდნენ მაშინაც კი, როდესაც იერუსალიმი რომაელთა არმიის ალყაში იყო მოქცეული. უკანასკნელ მომენტამდე ბევრს კიდევ სჯეროდა,

რომ ყოვლისმპყრობელი დაიცავდა თავის ქალაქს. მაგრამ ისრაელმა ქედმაღლურად უარყო ღმერთის მფარველობა და დაცვის გარეშე დარჩა. უბედურო იერუსალიმო, შინა ომებისაგან გახლეჩილო! შენს ქუჩებში შენი შვილები ერთმანეთის სისხლს ღვრიან, წარმართნი ანგრევენ შენს ციხე-სიმაგრეებს და ხოცავენ შენს მეომრებს!

იერუსალიმის დანგრევის შესახებ ქრისტეს ყოველი წინასწარმეტყველება სიტყვასიტყვით შესრულდა. იუდეველებმა თავიანთი მწარე გამოცდილებით იგემეს მისი გამაფრთხილებელი სიტყვების ჭეშმარიტება: "რომელი განკითხვითაც განიკითხავთ და რომელი საწყაოთიც მიუწყავთ,

იმავეთი მოგეწყვებათ თქვენ" (მათ. 7:2).

იყო ნიშნები და სასწაულები, რომლებიც მოწმობდა სამსჯავროზე და უბედურებაზე. ღამით სამსხვერპლოსა და ტაძრის თავზე ზებუნებრივი ნათელი იდგა. მზის ჩასვლისას ღრუბლებზე მოჩანდა საბრძოლველად გამზადებული ეტლები და შეიარაღებული მეომრები. მღვდლები ღამის მსახურების დროს ტაძარში უცნაურმა ხმებმა შეაშინა; დედამიწა ირყეოდა და მრავალი ხმა ღაღადებდა: "წავიდეთ აქედან, გავეცალოთ ამ ადგილს"... ალმოსავლეთის უზარმაზარი კარიბჭე, იმდენად მძიმე, რომ ოცი კაცი ძლივს აღებდა, რკინის

ურდულებით ღრმად რომ იყო დამაგრებული ქვის კედელში, შუალამისას თავისთავად გაიხსნა.

შვიდი წლის განმავლობაში იერუსალიმის ქუჩებში დადიოდა ერთი ღვთისმოსავი კაცი და მოსახლეობას ხმამაღლა აუწყებდა იმ უბედურების შესახებ, რომელიც ამ ქალაქს ელოდა. დღე და ღამე გაიძახოდა იგი მწუხარე სიტყვებს: "ხმა მოდის აღმოსავლეთიდან! ხმა დასავლეთიდან! ხმა ოთხივ ქარისაგან! ხმა იერუსალიმისა და ტაძრის წინააღმდეგ! ხმა სასიძოსა და პატარძლის წინააღმდეგ! ხმა მთელი ერის წინააღმდეგ!" ამ უცნაურ ადამიანს საპყრობილეში აგდებდნენ, სასტიკად სცემდნენ, მაგრამ მის ბაგეს ჩივილი არასოდეს ალმოხდენია.

ყოველ შეურაცხყოფაზე და დაცინვაზე იგი პასუხობდა: "ვაი, ვაი, შენ, იერუსალიმო! ვაი, ვაი, თქვენ, მის მცხოვრებთ!" და ეს გაფრთხილების ხმა მხოლოდ მაშინ დადუმდა, როდესაც მან ალყაშემორტყმული ქალაქის ბედი გაიზიარა.

იერუსალიმის დანგრევისას არც ერთი ქრისტიანი არ დალუპულა. ქრისტემ გააფრთხილა თავისი მოწაფეები და ყველა, ვინც ირწმუნა მისი სიტყვები, თვალყურს ადევნებდა აღთქმული ნიშნის გამოჩენას. "როცა იხილავთ იერუსალიმს, ლაშქრით გარშემორტყმულს, - თქვა ქრისტემ, - მაშინ იცოდეთ, რომ მოახლოვდა მისი აოხრება: მაშინ იუდეაში მყოფნი

მთებში გაიხიზნონ: და ვინც ქალაქშია, გარეთ გავიდეს. ვინც სოფლად არის, ნულარ შევა მასში" (ლუკ. 21:20,21). როდესაც ცესტიას ბრძანებით რომაელებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს, ალყა მოულოდნელად მოიხსნა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იმარჯვებდნენ ამ ბრძოლაში. ალყაშემორტყმული ქალაქის მცხოვრებნი უკვე მზად იყვნენ, დანებებულიყვნენ, რადგან გადარჩენის ყველა იმედი დაკარგეს; მაგრამ რომაელმა მხედართმთავარმა ყოველგვარი ხილული მიზეზის გარეშე მეომრებს უბრძანა, დაეტოვებინათ იუდეას დედაქალაქი. ღვთის მოწყალე შორსმჭვრეტელობა ყველა მოვლენას ხელმძღვანელობდა

თავისი ხალხის სასიკეთოდ. ქრისტიანებს მიეცათ ალთქმული ნიშანი და ახლა ქრისტეს სიტყვის ყველა მორწმუნეს ჰქონდა გადარჩენის საშუალება. მოვლენები ისე განვითარდა, რომ არც იუდეველნი და არც რომაელნი არ ეწინააღმდეგებოდნენ ქალაქიდან ქრისტიანთა გასვლას. იმ დროს, როდესაც იუდეველთა რაზმები უკანდახეულ მოწინააღმდეგეს დაედევნენ და ბრძოლაში ჩართულ მტერს მათთვის არ ეცალა, ქრისტიანებს გზა გაეხსნათ გასაქცევად. ალყაშემორტყმულ ქალაქში იუდეველნი შეიკრიბნენ კარვობის დღესასწაულზე და ამიტომ მთელ ქვეყანაში არავინ იყო მათი გაქცევის ხელის შემშლელი.

ქრისტიანები ერთი წამითაც არ შეყოვნებულან და მაშინვე გავიდნენ ქალაქ პელუში, პირეაში, იორდანეს გალმა.

ცესტიას ჯარს დადევნებული იუდეველთა რაზმები ისეთი გაშმაგებით ეძგერნენ მტრის ზურგს, რომ რომაელები სრული განადგურების საფრთხის წინაშე დადგნენ. მათ თავიანთ მეომრებს უდიდესი ძალისხმევით მოუყარეს თავი. ხოლო იუდეველნი თითქმის არსებითი დანაკარგის გარეშე, ზეიმით, ტრიუმფითა და დიდი ნადავლით დაბრუნდნენ იერუსალიმში. მაგრამ ამ მოჩვენებითმა გამარჯვებამ მხოლოდ ვნება მოუტანა მათ, ვინაიდან ამან მათში უფრო განამტკიცა

უძლეველობის რწმენა რომაელთა წინაშე და ალყაშემორტყმულ ქალაქს უფრო მეტი უბედურება და მწუხარება დაატეხა თავს.

რა საშინელი უბედურება ეწია იერუსალიმს, როდესაც ტიტემ განაახლა ქალაქის ალყა! პასექის დღესასწაული იყო და იერუსალიმში მილიონზე მეტმა იუდეველმა მოიყარა თავი. პროდუქტების მარაგი მისი გონივრული გადანაწილების შემთხვევაში ქალაქს დაახლოებით ერთ წელიწადს უნდა ყოფნოდა, მაგრამ ის ერთმანეთს შორის მოქიშპე დაჯგუფებებმა გაანადგურეს; და ჩამოვარდა საშინელი შიმშილი. ერთი საწყავი ხორბალი ერთი ტალანტი ღირდა. ისეთი საშინელი ტანჯვა იყო შიმშილის გამო, რომ ადამიანები

ღრღნიდნენ ქამრებს, ფეხსაცმელებს და სხვა ტყავის საგნებს. ღამის წყვდიადში ვიღაცა მალულად გაიპარებოდა ხოლმე კედლებს მიღმა ველური მცენარეების შესაგროვებლად და ამ დროს ბევრ მათგანს იპყრობდნენ, მხეცურად კლავდნენ, ხოლო მათ, ვინც უკან დაბრუნებას მოახერხებდა, თავს ესხმოდნენ თავისივე თანამემამულენი. ძლიერნი უკანასკნელ ლუკმას ართმევდნენ უძლურთ და არაადამიანური სისასტიკით არბევდნენ. და ძალიან ხშირად ამას აკეთებდა არა ის, ვისაც საერთოდ არ ჰქონდა საჭმელი, არამედ ის, ვისაც თავისი მარაგის შევსება უნდოდა.

ათასობით ადამიანი იღუპებოდა შიმშილისა და შავი ჭირისაგან. თითქოსდა შიმშილთან ერთად ქრებოდა სიყვარულისა და თანაგრძნობის ბუნებრივი გრძნობები. ქმრები ძარცვავდნენ თავიანთ ცოლებს და ცოლები ქმრებს. შვილები პირიდან ლუკმას სტაცებდნენ მოხუც მშობლებს. წინასწარმეტყველის შეკითხვამ: "განა დაივიწყებს ქალი თავის ჩვილს?" (ეს. 49:15) პასუხი ჰპოვა ალყაშემორტყმული ქალაქის კედლებს შიგნით. "გულმოწყალე ქალები საკუთარი ხელებით ხარშავდნენ თავიანთ შვილებს, საზრდოდ რომ ჰქონოდათ ჩემი ერის ასულის დაღუპვის ჟამს" (გოდ. იერ. 4:10). კვლავაც აღსრულდა

გამაფრთხილებელი წინასწარმეტყველება, თოთხმეტი საუკუნის წინათ ნათქვამი: "განებივრებული და გაფუფუნებული ქალი, რომელსაც ფუფუნებისა და ნებივრობის გამო ფეხიც არ დაუკარებია მიწაზე, ავი თვალით შეხედავს თავის თანამეცხედრეს, თავის ვაჟსა და ასულს... და თავის შვილებს, რომელთაც დაბადებს, რადგან ჩუმად შეჭამს მათ გაჭირვებისას, ალყაში და იწროებაში, როცა შეგავიწროებს მტერი შენს მიწა-წყალზე!" (მეორე რჯ. 28:56-57).

რომაელი მთავრები ცდილობდნენ იუდეველთა დაშინებას, რათა დანებებულიყვნენ. ტყვეებს, რომელნიც წინააღნდეგობას

უწევდნენ, როზგავდნენ, აწამებდნენ და შემდეგ ჯვარს აცვამდნენ ქალაქის კედლის წინ. ასეთი სიკვდილით ასობით ადამიანი კვდებოდა ყოველდღე და ეს საშინელება გაგრძელდა მანამ, სანამ იოშაფათისა და გოლგოთას დაბლობი ჯვრებმა ისე არ დაფარა, რომ მათ შორის გასავლელი ადგილი აღარ იყო. ასე საშინლად აღსრულდა წყევლა, რომელიც იუდეველებმა თავად დაიტეხეს თავს პილატეს სამსჯავროს წინაშე: "ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი" (მათ. 27:25).

ტიტე უკვე მზად იყო დაემთავრებინა ეს საშინელი ხოცვა-ჟლეტა, რითაც იერუსალიმი თავიდან აიცილებდა სრულ აოხრებას. მას თავზარი დაეცა, როდესაც ამდენი

დაჩოცილი იჩილა გორაკებზე და დაბლობებზე, ზეთისხილის მთის მაღლობიდან დასცქეროდა იგი იუდეველთა დიდებულ ტაძარს და ბრძანება გასცა, არც ერთ ქვას არ შეხებოდნენ. შემდეგი შეტევის დაწყების წინ მან გულწრფელად მიმართა იუდეველთა მთავრებს, ნუ აიძულებდნენ მას ტაძრის გაუწმიდურებას მოკლულთა სისხლით. მან ებრაელებს შესთავაზა გამოსულიყვნენ და სხვა ადგილას გაემართათ ბრძოლა, თან აღუთქვა, რომ არც ერთი რომაელი არ შებღალავდა ტაძრის სიწმიდეს. იოსებ ფლავიუსი მთელი თავისი მჭევრმეტყველებით ევედრებოდა დანებებულიყვნენ, რათა გადაერჩინათ საკუთარი სიცოცხლე,

ტაძარი - ღვთის თაყვანისცემის ადგილი და თვით ქალაქიც, მაგრამ მისი სიტყვების საპასუხოდ გაისმა ხმამაღალი წყევლა-კრულვა. ალყაში მოქცეულებმა ისრების წვიმა გაუგზავნეს მას, ვინც მათ გადარჩენას ცდილობდა. იუდეველებმა უარყვეს უფლის ძის ყოველგვარი ხვეწნა— მუდარა და ახლა მათ ყველა მოწყალება და შეგონება ალიზიანებდა და უფრო უსასტიკებდა გულს. ამაო გამოდგა ტიტეს მცდელობა – . , ვინც რომაელთა მხედართმთავარზე დიდი იყო, თქვა, რომ აქ ქვა ქვაზე ალარ დარჩებოდა.

იუდეველ მთავართა ასეთი ბრმა სიჯიუტე და ის ამაზრზენი დანაშაული, რაც ალყაშემორტყმული

ქალაქის შიგნით ხდებოდა, თავზარს სცემდა რომაელებს და ტიტემ ბოლოს გადაწყვიტა, იერიშით აელო ტაძარი ისე, რომ არ დაეზიანებინა. მაგრამ მის ბრძანებებს უკვე ალარავინ აქცევდა ყურადღებას. ღამით, როდესაც იგი თავის კარავში განცალკევდა, იუდეველები გამოცვივდნენ ტაძრიდან და თავს დაესხნენ გარეთ მყოფ მეომრებს. ხელჩართულ ბრძოლაში ერთ-ერთმა მეომარმა ცეცხლმოდებული მუგუზალი ესროლა ტაძრის შუშაბანდს და იმავე წამში კედრის ფიცრებით მოპირკეთებული წმიდა ადგილის გარშემო განლაგებული ნაგებობა ცეცხლის ალში გაეხვია. ტიტე გენერალთა და ლეგიონერთა თანხლებით ამ ადგილისაკენ

გაემართა და ჯარისკაცებს ხანძრის ჩაქრობა უბრძანა. მაგრამ მის ბრძანებას ყურადღებას ალარავინ აქცევდა. გამძვინვარებული ჯარისკაცები ცეცხლმოკიდებულ მუგუზლებს ტაძრის მოსაზღვრე ნაგებობებს ესროდნენ და შემდეგ შიგნით მყოფ ადამიანებს ხოცავდნენ. სისხლი წყალივით მოედინებიდა ტაძრის კიბის საფეხურებზე. ათასობით იუდეველი დაიღუპა. ბრძოლის ყიჟინა დაფარა გოდებამ და შეძახილებმა: "იჰავოდ" - "უფალმა მიგვატოვა".

"ტიტემ ვერ შეძლო გამძვინვარებულ მეომართა შეჩერება. თავის ოფიცრებთან ერთად წმიდა ადგილის სანახავად ტაძარში შესული მხედართმთავარი

განცვიფრდა მისი დიდებისაგან და, რადგან ხანძარს ამ ადგილამდე ჯერ კიდევ არ მიელწია, გარეთ გავარდა და ჯარისკაცებს მოუწოდა ჩაექროთ ხანძარი. ცენტურიონი ლიბერალისი ცდილობდა თავისი ძალაუფლების ზეგავლენით და კვერთხით დაემორჩილებინა ისინი, მაგრამ იმპერატორისადმი მოწიწება იუდეველთა მიმართ სიძულვილმა, ბრძოლის ჟინმა და მომხვეჭელობის სურვილმა ჩაახშო. ხელის მოთბობის სურვილი მეტად დიდი იყო. ჯარისკაცები ხედავდნენ, რომ გარშემო ყველაფერი ოქროსფრად ბრწყინავდა, ხოლო ცეცხლის ენები უფრო მეტ ელვარებას მატებდა მას. მეომრებს საწმიდარში უთვალავი განძი ეგულებოდათ. ერთ-ერთმა

ჯარისკაცმა ანთებული მუგუზალი შელებულ კარში შეუმჩნევლად შეაგდო და მაშინვე მთელი შენობა ცეცხლის ალში გაეხვია. ცეცხლმა და კვამლმა ჯარისკაცებს უკან დაახევინა და ეს მშვენიერი ნაგებობა ბედის ანაბარა იქნა მიტოვებული.

თუკი ამ სანახაობამ რომაელებს დასცა თავზარი, რა მდგომარეობაში იქნებოდნენ იუდეველნი? ქალაქის შუაგულში ალმართული გორაკი ამოფრქვეულ ვულკანს წააგავდა. შენობები შემზარავი გრუხუნით უჩინარდებოდნენ ცეცხლის უფსკრულში. კედრის სახურავები ცეცხლოვან ზეწრებს წააგავდა; მოოქროვილი, წვერმახვილი შპილები ანთებული ჩირალდნებივით ელვარებდნენ; კარიბჭეთა

კოშკებიდან ცეცხლი და კვამლი ბოლქვებად ადიოდა. მაღალი ხანძრის ალით განათებულ მოსაზღვრე გორაკებზე მოჩანდა ადამიანთა სილუეტები, რომლებიც შიშით შესცქეროდნენ ნაგებობათა მჭამელ ცეცხლს. ქალაქის კედლები და გოდლები სავსე იყო ხალხით, რომელიც ამ საშინელებას შეჰყურებდა, ერთნი - სასოწარკვეთილებით, სხვები - ულონო მრისხანებით. თავგზააბნეულ რომაელ მეომართა ყიჟინა და ცეცხლმოდებულ ამბოხებულთა გოდება ცეცხლის აბობოქრებული სტიქიის გრიალსა და ჩამოვარდნილი ხის მორების გრუხუნს უერთდებოდა. ამ ხმათა გამოძახილს მთები იმეორებდა, რომელთა

ფერდობებიდან ადამიანთა გულისწამლები ყვირილი ისმოდა. ქალაქის კედლებთან გოდებდნენ და კვნესოდნენ შიმშილისაგან ქანცგამოლეული ადამიანები, რომელნიც უკანასკნელ ღონეს იკრებდნენ, რათა სიკვდილის წინ მოთქმით გამოეხატათ სასოწარკვეთილება და მწუხარება.

ქალაქის კედლებს შიგნით კიდევ უფრო საშინელი ხოცვა-ჟლეტა იყო გამართული, ვიდრე კედლებს მიღმა. კაცები და ქალები, მოხუცები და ახალგაზრდები, მღვდლები, ქალაქის დამცველნი და ყოველი, ვინც შველას ითხოვდა, ამ სისხლიმღვრელ ბრძოლაში იღუპებოდა. დახოცილთა რიცხვი დიდად აღემატებოდა დამხოცველთ. მეომრები ფეხით

თელავდნენ მოკლულთა გვამებს და იქაც აგრძელებდნენ თავის სისხლიან საქმეს" (მილმანი, იუდეველთა ისტორია, წიგნი 16).

სულ მალე, ტაძრის დანგრევის შემდეგ, მთელი ქალაქი რომაელთა მფლობელობაში გადავიდა. იუდეველმა მთავრებმა დატოვეს თავიანთი მიუვალი ციხე-სიმაგრეები და ტიტეს მისვლისას იქ უკვე ალარავინ იყო. მხედართმთავარმა გულდასმით დაათვალიერა ნაგებობა და მიხვდა, ეს ყველაფერი რომ მხოლოდ ღმერთმა ჩააგდებინა მას ხელში, რადგან ყველაზე უძლიერესი იარალიც კი ვერაფერს დააკლებდა ასეთ ციხე-სიმაგრეს. ქალაქიცა და ტაძარიც პირწმინდად იყო დანგრეული და წმიდა ადგილი,

სადაც იუდეველები ლოცულობდნენ, "ყანასავით გადახნული იყო" (იერ. 26:18). ქალაქის ალყის დროს და შემდგომ უსასტიკეს ბრძოლებში მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ცოცხლად დარჩენილნი ტყვედ წაიყვანეს და მონებად გაყიდეს; ზოგიც რომში მიმავალ დამპყრობთა ტრიუმფალურ პროცესიას გააყოლეს მათი დამარცხებისა და სირცხვილის ნიშნად და ამფითეატრებში ველურ ცხოველებს მიუგდეს შესაჭმელად. სხვები კი, როგორც უსახლკარო მაწანწალები, მთელი დედამიწის ზურგზე გაიფანტნენ.

იუდეველებმა თავად გამოჭედეს თავიანთი ბორკილები, თავად აავსეს ღვთის მრისხანების თასი. ტრაგედია, რომელიც თავს დაატყდა ამ ხალხს და

უბედურება, რაც მათ, დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში გაფანტულებს, მრავლად ჰქონდათ, - მათივე ხელით მოწეული ნაყოფია. წინასწარმეტყველი ამბობს: "თავი წაიწყმიდე, ისრაელ! რადგან წაფორხილდი შენს უკეთურებაზე" (ოს. 13:9; 14:2). ებრაელთა ტანჯვას ხშირად მათზე ღვთის სასჯელად მიიჩნევენ, რითაც უდიდესი მზაკვარი ცდილობს, მიჩქმალოს საკუთარი საქმენი. უწევდნენ რა ჯიუტ წინააღმდეგობას უფლის სიყვარულსა და მადლს, იუდეველებმა თავად აღიკვეთეს უფლის მფარველობა და ამით სატანას შესაძლებლობა მისცეს, თავისი ნებისამებრ წარემართა საქმე. იერუსალიმის დანგრევისას

გამოვლენილი უსასტიკესი გაშმაგება მოწმობს სატანის შურისგებას მათ მიმართ, ვინც მის ნებას ემორჩილება.

ჩვენ ბოლომდე ვერასოდეს მივხვდებით, თუ რამდენად დავალებული ვართ ქრისტესაგან იმ სიმშვიდისა და მშვიდობისათვის, რომელსაც ის გვაძლევს. მხოლოდ ღმერთის ძალას შეუძლია სატანის შეჩერება და კაცობრიობის დაცვა მისგან. ურჩ და უმადურ ადამიანებს საკმაოდ ბევრი მიზეზი აქვთ იმისათვის, რომ უფლის მადლიერი იყვნენ მისი წყალობისა და მოთმინებისათვის, რომელიც მის მიერ ეშმაკის სასტიკი და ბოროტი ძალის მოთოკვაში გამოიხატება. მაგრამ როდესაც ადამიანები ღვთიური მოთმინების ზღვარს

გადააბიჯებენ, იგი უკვე აღარ მფარველობს მათ. ღმერთი არ არის ჯალათი, რომელსაც ცოდვილისადმი გამოტანილი განაჩენი სისრულეში მოჰყავს. იგი უბრალოდ ტოვებს მას, ვინც უარს ამბობს მის მადლზე, ე.ი. ადამიანებს ნებას აძლევს მოიმკონ ის, რაც დათესეს. სინათლის ყოველი უარყოფილი სხივი, ყოველი არმიღებული გაფრთხილება, ღვთის კანონის ყოველი დარღვევა, ყოველი დაკმაყოფილებული ვნება და სურვილი, - ესაა თესლი, რომელიც შემდგომში ნაყოფს გამოიღებს. ღვთის სულის მიმართ ჯიუტი წინააღმდეგობა იწვევს იმას, რომ ბოლოს და ბოლოს ეს მადლი წაერთმევა ცოდვილს და მაშინ სულს ბოროტებისა და სატანის

სიძულვილისაგან უკვე ვერაფერი დაიცავს. იერუსალიმის დანგრევა - ეს მკაცრი და თვალსაჩინო გაფრთხილებაა ყველასთვის, ვინც ღვთის წყალობას უარყოფს და უარს ამბობს ღვთიური მადლის მიღებაზე. ესაა ცოდვისადმი ღმერთის სიძულვილისა და სასჯელის გარდაუვალობის ყველაზე დიდი მოწმობა, რომელიც აუცილებლად მიეგება ცოდვილს.

მაცხოვრის წინასწარმეტყველება იერუსალიმზე მოწეული სამსჯავროს შესახებ კიდევ ერთხელ უნდა ალსრულდეს. იუდეას დედაქალაქის სასტიკი განადგურება მხოლოდ სუსტი ანარეკლია იმისა, რაც უნდა მოხდეს. უფლის რჩეული ქალაქის ხვედრში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ

მთელი მსოფლიოს ბედი, რომელმაც უარყო უფლის წყალობა, აბუჩად აიგდო და გათელა მისი კანონი. აი, უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში ხდება დანაშაულობანი, დედამიწა მოწმეა ადამიანთა ტანჯვისა და ვაებისა. რა მტკივნეულია ამაზე ფიქრი! რა საშინელი ალმოჩნდა ზეციური ხელისუფლების უარყოფის შედეგი! მაგრამ მომავლის სურათები კიდევ უფრო პირქუშია. წარსულის ისტორია, - ეს აჯანყებების, ბრძოლებისა და ბოროტების გრძელი ჯაჭვია, "ბრძოლის დრო და სამოსელი, სისხლში ნათრევი" (ეს. 9:5). მაგრამ რა არის ეს იმ საშინელ დღეებთან შედარებით, როდესაც ღვთის სული ალარ შეაჩერებს უწმიდურთ,

როდესაც იგი უკვე აღარ მოთოკავს ადამიანურ ვნებებს და სატანის მძვინვარებას! მაშინ მთელი მსოფლიო ადრინდელზე უფრო ნათლად დაინახავს სატანის ბატონობის შედეგებს.

მაგრამ იმ დღეს, როგორც იერუსალიმის დანგრევის დროს, ღვთის ხალხი გადარჩება; გადარჩება ყოველი, "ვინც სიცოცხლის წიგნში ჩაწერილი აღმოჩნდება". ქრისტემ ალგვითქვა, რომ მეორედ მოვა, რათა თავისი რჩეულნი წაიყვანოს იქ, სადაც თვითონ არის. "მაშინ გამოჩნდება კაცის ძის ნიშანი ზეცაში და მაშინ მოჰყვება მოთქმას დედამიწის ყველა ტომი, და იხილავენ კაცის ძეს, ცის ღრუბლებზე მომავალს, დიადი ძალითა და

დიდებით. მოავლინებს თავის ანგელოზებს დიდხმიანი საყვირით და შეკრებენ მის რჩეულებს ოთხივე ქართაგან, ცათა კიდეთაგან მათ კიდეებამდე" (მათ. 24:30,31). მაშინ მათ, ვინც სახარებას არ დაემორჩილა, "უფალი იესო გაანადგურებს თავის ბაგეთა სულით და განაქარვებს თავისი მოსვლის გამოცხადებით" (2თეს. 2:8). ძველი ისრაელის მსგავსად, უწმიდურნი თავადვე მოისპობენ თავს: ისინი თავიანთივე ურჯულოებით განადგურდებიან. ცოდვიანმა ცხოვრებამ იმდენად დააშორა ღმერთს და ისე დაამდაბლა მათი ბუნება, რომ უფლის დიდების გამოჩენა მათთვის ყოვლისმშთანთქმელი ცეცხლი იქნება.

ამიტომ ადამიანები დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდონ ქრისტეს სწავლებას, რომელიც მის სიტყვაშია. ისევე, როგორც მაშინ აფრთხილებდა უფალი თავის მოწაფეებს მოსალოდნელ უბედურებაზე იერუსალიმის დანგრევასთან დაკავშირებით და უჩვენებდა მოახლოებული დალუპვის ნიშნებს, რათა მათ თავიდან აეცილებინათ საერთო ხვედრი, ასევე აფრთხილებს კაცობრიობას მისი საბოლოო დალუპვის დღის შესახებ და მისცემს ადამიანებს ამის დადგომის ნიშანს, რათა ყოველმა შესძლოს მომავალი რისხვის თავიდან აცილება. იესო ამბობს: "და იქნება ნიშნები მზეზე და მთვარეზე და ვარსკვლავებზე, ხოლო

დედამიწაზე - ხალხთა შეჭირვება შფოთში" (ლუკ. 21:25; მათ. 24:29; მარკ. 13:24-26; გამოცხ. 6:12-17). და ყველამ, ვინც შეამჩნევს ამ ნიშნების გამოჩენას, უნდა იცოდეს: "რომ ახლოა, კარზეა მომდგარი" (მათ. 24:33). "ამიტომ იფხიზლეთ" (მარკ. 13:35), - გვაფრთხილებს უფალი. ვინც ყურად იღებს ამ გაფრთხილებას, ის არ დარჩება ბნელში და ეს დღე მოულოდნელად არ დაატყდება თავს. მაგრამ მათთვის, ვინც არ იფხიზლებს, "უფლის დღე ღამის ქურდივით მოვა" (მათ. 5:2-5).

დღევანდელ კაცობრიობას უკანასკნელი გაფრთხილება იმაზე მეტად როდი სჯერა, ვიდრე თავის დროზე იუდეველთ - მაცხოვრის გაფრთხილება იერუსალიმის

დანგრევის შესახებ. და როდესაც უფლის დღე მოვა, უკეთურნი ამ უდიდესი მოვლენისათვის მზად არ ალმოჩნდებიან. ცხოვრება თავისი გზით წავა, ადამიანები თავიანთი საქმეებით, ვაჭრობითა და სიმდიდრის მოხვეჭის სურვილის დაკმაყოფილებით იქნებიან დაკავებულნი. რელიგიური წინამძღვრები საერთო კეთილდღეობისა და ცივილიზაციის დიდების ძებნას მოუნდებიან და ამ ცრუ უსაფრთხოებით მოადუნებენ ხალხის ყურადღებას. - და, სწორედ მაშინ, ქურდის მსგავსად, რომელიც შუალამისას მიიპარება ცუდად დაცულ სახლში, უცაბედი განადგურება თავს დაატყდება ყველა უზრუნველსა და უწმიდურს და

ისინი "ველარ დაალწევენ თავს" (1თეს. 5:2-5).

თავი 2 პირველი ქრისტიანები

როდესაც იესომ თავის მოწაფეებს გამოუცხადა იერუსალიმის მომავალი და ის ცალკეული მოვლენები, რომელიც მის მეორედ მოსვლას შეეხებოდა, წინასწარ განჭვრიტა ის განსაცდელიც, რაც უფლის ხალხს მისი ცად ამაღლების შემდეგ მის მეორედ დიდებით მოსვლამდე დედამიწაზე უნდა გადაეტანა.

ზეთისხილის მთის ფერდობიდან ჭვრეტდა იგი საშიშროებას, მალე თავს რომ დაატყდებოდა სამოციქულო ეკლესიას. იგი საუკუნეთა სილრმეების მილმა ხედავდა საშინელ, გამანადგურებელ ქარიშხალს, რომელიც მის მიმდევრებს შეუტევდა სიბნელისა და დევნის საუკუნეებში. მოკლე, მაგრამ მრისხანე სიტყვებში ქრისტემ იწინასწარმეტყველა, თუ რას მოუმზადებენ ძლიერნი ამა სოფლისანი ღვთის ეკლესიას (მათ. 24:21,22). ქრისტეს მიმდევრებმა უნდა განვლონ ტანჯვის, დამცირებისა და სიძულვილის იგივე გზა, რაც თავად უფალმა გაიარა. იგივე მტრობას, რომელიც გარს ერტყა ქვეყნიერების

მხსნელს, გამოსცდის ყოველი მისი მორწმუნე.

პირვანდელი ეკლესიის ისტორია მოწმობს, რომ მაცხოვრის სიტყვები ზუსტად ალსრულდა. დედამიწისა და ჯოჯოხეთის ძალები ქრისტეს წინაალმდეგ გაერთიანდნენ, რაც მის მიმდევართა დევნაში გამოიხატა. წარმართები მიხვდნენ, რომ სახარების გამარჯვება გარდაუვალია და მათი სამსხვერპლოები და ტაძრები დაემხობა, ამიტომ ყველა ღონეს ხმარობდნენ ქრისტიანობის გასანადგურებლად. გაჩალდა მათი დევნის ცეცხლი. ქრისტიანებს ართმევდნენ საკუთრების უფლებას და სახლებიდან აძევებდნენ. უდიდესი ტანჯვა ხვდათ წილად მათ: "დაითმინეს გინება და გვემა,

ბორკილები და საპყრობილეები" (ებრ. 11:36-38). ბევრმა მათგანმა თავისი რწმენა საკუთარი სისხლით დაამოწმა. უმოწყალოდ ხოცავდნენ ყველას - დიდებულებსა და მონებს, მდიდრებსა და ღარიბებს, სწავლულსა და უსწავლელს.

ეს დევნა ჯერ კიდევ ნერონის მმართველობის დროს, დაახლოებით პავლეს მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ დაიწყო და მეტ-ნაკლებად, მრავალი ასწლეულის განმავლობაში გაგრძელდა. ქრისტიანებს მეტად მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ, დამნაშავედ თვლიდნენ ისეთ უბედურებებში, როგორიცაა: შიმშილი, შავი ჭირი, მიწისძვრები და სიძულვილითა და ეჭვის თვალით უყურებდნენ. მრავლად იყვნენ

გამყიდველნი, რომ ფულის გულისათვის დაესმინათ უდანაშაულონი. ბრალს სდებდნენ სახელმწიფოს წინააღმდეგ ამბოხებაში, უწოდებდნენ რელიგიის მტრებს და საზოგადოების ხორცმეტს. ბევრი მათგანი ველურ ცხოველთა ლუკმა გახდა. ზოგს ცოცხლად წვავდნენ ამფითეატრებში, ბევრი კი ჯვარს აცვეს; მრავალი მორწმუნე, ცხოველთა ტყავებში ჩაკერილი, არენაზე მტაცებელ ცხოველებს გადაუგდეს შესაჭმელად. ქრისტიანთა დასჯა, ხშირ შემთხვევაში, დღესასწაულებზე ადამიანთა ძირითადი გართობა იყო. მრავლად იყვნენ ცნობისმოყვარენი, რომელთაც სურდათ დამტკბარიყვნენ ამ სანახაობით და სიცილითა და ტაშით

ხვდებოდნენ მათ სასიკვდილო ტანჯვასა და აგონიას.

სადაც არ უნდა შეეფარებინათ თავი, ქრისტიანებს ყველგან დევნიდნენ, როგორც ველურ მხეცებს ნადირობის დროს. ისინი იძულებული იყვნენ, თავშესაფარი უდაბურ ადგილებში ეძებნათ. "განიცდიდნენ ნაკლოვანებას, გაჭირვებას, ტანჯვას. ისინი, რომელთა ღირსიც არ იყო მთელი წუთისოფელი, დაეხეტებოდნენ უდაბნოებსა და მთებში, დედამიწის მღვიმეებსა და ხევხუვებში" (ებრ. 11:37,38). მრავალი ათასობით მორწმუნეთა თავშესაფარი კატაკომბები იყო. რომის გარეუბნებში, გორაკებს ქვეშ გათხრილი იყო გრძელი მიწისქვეშა

გვირაბები, რომელთა რთული ქსელი ქალაქის კედლებს გარეთ მრავალ კილომეტრზე იყო განფენილი. ამ ბნელ მიწისქვეშეთში ქრისტეს მორწმუნენი თავიანთ მიცვალებულებს მარხავდნენ და დევნის განახლების დროს თავადაც აქ პოულობდნენ თავშესაფარს. როდესაც სიცოცხლის მომცემი მკვდრეთით ალადგენს ამ ერთგულ ქრისტიანებს, ამ ბნელი ქვაბურებიდან გამოვა მრავალი მოწამე, რომელიც ქრისტეს გულისათვის მოკვდა.

ყველაზე სასტიკი დევნის დროს ქრისტეს ამ მოწმეებმა თავიანთი რწმენა წმიდად შეინახეს. მათ არ ჰქონდათ სასიცოცხლო პირობები, მოკლებული იყვნენ მზის

სინათლესაც. თავშესაფრად მიწის ბნელი, საიმედო წიალი ჰქონდათ, მაგრამ მათ ბაგეებს არ დასცდენიათ არც ერთი საყვედურის სიტყვა; რწმენის, მოთმინებისა და იმედის სიტყვებით თანაუგრძნობდნენ ისინი ერთმანეთს მწუხარებასა და ტანჯვაში. ყოველგვარ მიწიურ წყალობათა დაკარგვამაც ვერ შეარყია მათი რწმენა ქრისტეს მიმართ. ეს განსაცდელი და დევნა მათთვის იყო მხოლოდ საფეხურები, რომლებითაც თავიანთი სიმშვიდისა და ბედნიერების დღეს უახლოვდებოდნენ.

ძველ ღვთის მორჩილთა მსგავსად, ბევრნი "ეწამებოდნენ და გამოხსნაზე უარს ამბობდნენ, რათა უკეთესი აღდგომისათვის მიელწიათ" (ებრ.

11:35). მათ ყოველთვის აᲮსოვდათ უფლის სიტყვები, რომ უნდა ეᲮარათ, თუკი ქრისტეს საᲮელისათვის დევნას დაუწყებდნენ, რადგან უდიდესი ჯილდო ელოდათ ზეცაში, ვინაიდან მათზე წინ წინასწარმეტყველებსაც სდევნიდნენ. მათაც უᲮაროდათ, რომ უფალმა ჭეშმარიტებისათვის ტანჯვის ღირსი გაᲮადა და როდესაც მათ კოცონზე წვავდნენ, ცეცხლის ალიდან გამარჯვების ჰიმნები ისმოდა. ისინი რწმენით შესცქეროდნენ ზეცას და Ხედავდნენ ქრისტესა და მის ანგელოზებს, რომელნიც უდიდესი თანაგრძნობითა და კეთილგანწყობით ადევნებდნენ თვალყურს მათი შეურყეველი რწმენის სიმტკიცეს. მათ ესმოდათ საბრძანებლიდან გამოსული Ხმა:

"სიკვდილამდე ერთგული იყავ და მოგცემ სიცოცხლის გვირგვინს" (გამოცხ. 2:10).

ამაო იყო სატანის ყველა მცდელობა, თავისი ძალებით გაენადგურებინა უფლის ეკლესია. ის დიადი ბრძოლა, რომელშიც უფლის მოწაფეები თავიანთ სიცოცხლეს სწირავდნენ, მაშინაც კი არ შეწყვეტილა, როდესაც უფლის ეს მედროშენი თავიანთ საგუშაგოებზე კვდებოდნენ. მათი სიკვდილი მათივე გამარჯვებად იქცა. უფლის მაცნეები დახოცეს, მაგრამ უფლის საქმე განუხრელად მიიწევდა წინ. სახარება ვრცელდებოდა და მას სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ღებულობდა. იგი ისეთ მიუვალ ადგილებში შეიჭრა, სადაც რომაული არწივიც კი ვერ შეალწევდა.

ქრისტიანები ასე პასუხობდნენ თავიანთ წარმართ მმართველთა ყოველ წინადადებას: "დაგვხოცეთ, გვტანჯეთ, გამოგვიტანეთ განაჩენი... თქვენი უსამართლობა ჩვენი უდანაშაულობის დამამტკიცებელია! ვერც ერთი თქვენი დახვეწილი სისასტიკე ვერ გიშველით თქვენ". ყოველივე ეს უფრო განამტკიცებდა ადამიანთა გადაწყვეტილებას - მიელოთ ქრისტე. "რაც უფრო მეტად გაგვანადგურებთ, მით უფრო მრავალრიცხოვანი გავხდებით, ქრისტიანთა სისხლი - თესლია" (ტერტულიანი. აპოლ. თავი 50).

ათასობით ქრისტიანი ჩაყარეს დილეგში და სიცოცხლეს გამოასალმეს, მაგრამ მათ ადგილებს სხვები იკავებდნენ. და ის, ვინც

რწმენისათვის მოწამებრივი სიკვდილით მოკვდა და ბოლომდე ქრისტეს ერთგული დარჩა, ქრისტემ გამარჯვებულად სცნო. მათ კეთილი სულისკვეთება ამოძრავებდათ და უფლის მოსვლის დღეს დიდების გვირგვინი ელით. განსაცდელი სულ უფრო აკავშირებდა ქრისტიანებს ერთმანეთთან და აახლოებდა ღმერთთან. მათი ცხოვრება და სიკვდილის წინ წარმოთქმული სიტყვები ჭეშმარიტების სამაგალითო მოწმობა იყო, და თვით სატანის მსახურნიც - ეს ბნელეთის მეფის მიმდევარნი, ხშირად ტოვებდნენ თავიანთ ბატონს და ქრისტეს სამსახურში დგებოდნენ.

და მაშინ, უფლის ძალაუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად სატანამ

სხვა ხერხს მიმართა. უფრო დიდი წარმატების მისაღწევად გადაწყვიტა თავისი ალამი ქრისტიანულ ეკლესიაში აღემართა: თუკი იგი შეძლებს ქრისტეს მიმდევართა მოტყუებას და ამ გზით მათზე უფლის რისხვის გამოწვევას, მაშინ ისინი დაკარგავენ ძალას, სიმტკიცეს, უფლისადმი ერთგულებას და მათი ხელში ჩაგდებაც უფრო ადვილი გახდება.

ეს უდიდესი მზაკვარი ეშმაკური გზით ცდილობდა წარმატებების მოპოვებას იქ, სადაც ძალის გამოყენებით დამარცხება იგემა. მართლაც, წმიდანთა დევნა დასრულდა და მის ნაცვლად გამოჩნდა საშიში და მეტად მიმზიდველი ცდუნება: ადამიანური

კეთილდღეობა და ამქვეყნიური პატივმოყვარეობა. წარმართებმა ნაწილობრივ მიიღეს ქრისტიანული რწმენა და ამავე დროს უარყვეს მისი ფუნდამენტალური ჭეშმარიტება. მათ განაცხადეს, რომ იესოს ღვთის ძედ თვლიან, რომ სწამთ მისი სიკვდილი და აღდგომა, მაგრამ არ აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს და არ გრძნობდნენ მონანიებისა და სულიერი გარდაქმნის საჭიროებას. მათ მცირედი დაუთმეს ქრისტიანებს და თვითონაც იგივე მოითხოვეს მათგან, რათა საერთო ქრისტიანული რწმენის საფუძველზე გაერთიანებულიყვნენ.

ქრისტიანული ეკლესია ახლა საშინელი საფრთხის წინაშე დადგა. საპყრობილე, წამება, ცეცხლი და მახვილი, - ეს ყველაფერი კურთხევა

იყო ამ განსაცდელთან შედარებით. ქრისტიანთა ერთი ნაწილი შეუდრეკელი აღმოჩნდა. მათ განაცხადეს, რომ არავითარ შეთანხმებაზე არ წავლენ. ზოგი მათგანი კი მზად იყო დაეთმო ან შეეცვალა ჭეშმარიტი მოძღვრების დოგმები და მათ რიგებში გაერთიანებულიყვნენ, ვინც მხოლოდ ნაწილობრივ მიიღო ქრისტიანული მოძღვრება. იმედოვნებდნენ, რომ ასეთი დათმობა ხელს შეუწყობდა წარმართთა სრულ გაქრისტიანებას. ქრისტეს ერთგული მიმდევრებისთვის ეს იყო ღრმა მწუხარების დრო. ამ ცრუქრისტიანული მოძღვრებით სატანამ ეკლესიაში შეაღწია, რათა შეერყვნა რწმენა და ადამიანები

ჭეშმარიტებიდან სიცრუისკენ მოექცია.

და ბოლოს, ქრისტიანთა დიდი ნაწილი დაეთანხმა წამოყენებულ პირობებს და ქრისტიანებსა და წარმართებს შორის შეთანხმება იქნა დადებული. თუმცა წარმართებმა თავი ახალმოქცეულ ქრისტიანებად გამოაცხადეს, მაინც კვლავინდებურად მისდევდნენ თავიანთ წარმართულ ადათ-ჩვეულებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ადრინდელი თაყვანისცემის საგნები შეცვალეს იესოს, მისი დედის და სხვა წმინდანთა ხატებით. ეკლესიაში ამგვარად შეტანილი წარმართთა საფუარი განაგრძობდა თავის დამღუპველ მოქმედებას. ქრისტიანული რწმენის ნაწილად

იქცა დაუსაბუთებელი, ცრუ სწავლება, ცრურწმენის ადათები და რიტუალები. ქრისტიანული ეკლესიის წიაღში წარმართთა შემოსვლით ქრისტიანული რელიგია შეიბღალა და ეკლესიამაც დაკარგა სიწმიდე და ძალა; მაგრამ იყვნენ ისეთი ქრისტიანებიც, რომლებიც არ აყვნენ ცდუნებას. ისინი კვლავ ჭეშმარიტების მეფის ერთგული რჩებოდნენ და მხოლოდ მას სცემდნენ თაყვანს.

ქრისტეს მიმდევრები ყოველთვის ორ ჯგუფად იყოფოდნენ. ერთნი, ვისთვისაც მაცხოვრის ცხოვრება სამაგალითო იყო, ხელმძღვანელობდნენ ამ დიდებული ნიმუშით და გულწრფელად ცდილობდნენ თავიანთი ნაკლის

გამოსწორებას; და მეორენი, რომლებიც ცდილობდნენ არ შეემჩნიათ სასიცოცხლო მნიშვნელობის ჭეშმარიტებანი, რომლებიც მათ ცოდვებს ამხელდა. თავის საუკეთესო წლებშიც კი ეკლესია არასოდეს შედგებოდა მხოლოდ გულწრფელი, წმიდა და ღვთისმოშიში ადამიანებისაგან. მაცხოვარი გვასწავლიდა, რომ ეკლესიაში არ უნდა მივიღოთ ადამიანები, რომელნიც შეგნებულად სცოდავენ. მაცხოვარი თავად იახლოვებდა არასრულყოფილ ადამიანებს, თავისი მოძღვრებითა და საკუთარი მაგალითით შესაძლებლობას აძლევდა, დაენახათ და გამოესწორებინათ თავიანთი შეცდომები. თორმეტ მოციქულში

ერთ-ერთი - მოღალატე იყო. იუდა, თავისი ნაკლოვანებების მიუხედავად, მიიღეს მოწაფეთა რიგებში. მოციქულთა საზოგადოებაში, ქრისტესთან და მის მოძღვრებასთან ახლო ურთიერთობაში მას შესაძლებლობა მიეცა, შეეცნო ქრისტიანული ხასიათი, დაენახა თავისი შეცდომები, მოენანიებინა და უფლის მადლის მეშვეობით თავისი სული "ჭეშმარიტების მორჩილებით განეწმიდა". მაგრამ იუდა "არ დადიოდა ნათელში", რომელიც მის გარშემო უხვად იყო. იგი თავად, საკუთარი სურვილით დანებდა სატანის ცდუნებას. მან ნება მისცა ბნელეთის ძალებს, ებატონათ მასზე. მას სწყინდა, როდესაც შეცდომებზე

მიუთითებდნენ. მასში უარყოფითმა თვისებებმა იმძლავრა და თანდათანობით დაეცა საშინელ დანაშაულამდე - გაეყიდა თავისი უფალი. ასე მოსდის ყველას, ვინც ცოდვას ღვთისმოსაობის ნიღბის ქვეშ მალავს, ვისაც სძულს მამხილებელი, მისი სიმშვიდის დამრღვევი. ასეთი ადამიანები, იუდას მსგავსად, პირველი შესაძლებლობისთანავე გაყიდიან მათ, ვინც მათ გადარჩენას ცდილობდა.

მოციქულები ეკლესიაში ხედავდნენ მათ, ვინც თავს ღვთისმოსავს უწოდებდა, გულში კი ურჯულოებას ინახავდა. ანანიამ და საფირამ იცრუეს: ფულის ნაწილი გადამალეს და განაცხადეს, რომ მთელი ფული გაიღეს ღვთის

საქმისათვის. ჭეშმარიტების სულმა მათ ნიღაბი მოხსნა მოციქულთა წინაშე და უფლის სამსჯავრომ მოაშორა ეკლესიას მისი სიწმიდის შემბღალავი ლაქა. ქრისტეს სულის ასეთი მოქმედება ეკლესიაში შიშის ზარს სცემდა ფარისევლებს და ურჯულოთ. ისინი უკვე ველარ რჩებოდნენ იმათ რიგებში, ვინც ღირსეულად აცხადებდა თავის თავში ქრისტეს და როდესაც ქრისტეს მიმდევრებს განსაცდელი და დევნა ეწეოდათ, უფლის ერთგულნი მხოლოდ ისინი რჩებოდნენ, ვინც არაფერს იშურებდა ჭეშმარიტებისათვის. ამ გზით ეკლესიამ შედარებითი სიწმიდე შეინარჩუნა მთელი მისი დევნის პერიოდში. მაგრამ როდესაც დევნა

შეწყდა, მასში შევიდნენ ახალმოქცეული ადამიანები, რომელნიც არ გამოირჩეოდნენ გულწრფელობითა და რწმენის სიმტკიცით და სატანასაც მათი მეშვეობით შესაძლებლობა მიეცა, დაეწყო თავისი დამლუპველი საქმე.

მაგრამ როგორც სინათლის მეუფესა და ბნელეთის ბატონს შორის არაფერია საერთო, ასევე მათ მიმდევრებს შორისაც შეუძლებელია ერთობა. როდესაც ქრისტიანებმა თანხმობა განაცხადეს, გაერთიანებულიყვნენ მათთან, ვინც მხოლოდ ნაწილობრივ მიატოვა კერპთაყვანისმცებლობა, ისინი დაადგნენ დამლუპველ გზას, რომელიც სულ უფრო და უფრო აშორებდა ნამდვილ ჭეშმარიტებას.

სატანა ზეიმობდა, რომ შეძლო ამდენი ქრისტიანის ცდუნება, თანდათანობით უფრო მეტი ძალაუფლება მოიპოვა მათზე და აამხედრა მათ წინააღმდეგ, ვინც ძველებურად უფლის ერთგული რჩებოდა. ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენის წინააღმდეგ ბრძოლოს მეთოდი ყველაზე კარგად იცის იმან, ვინც ერთ დროს თავად იყო მისი დამცველი. და ეს დაცემული ქრისტიანები, ნახევრად მოქცეულ წარმართებთან ერთად იბრძოდნენ იესო ქრისტეს მოძღვრების უმთავრეს ჭეშმარიტებათა წინააღმდეგ.

ამან შეუპოვარი წინააღმდეგობა გამოიწვია მათი მხრიდან, ვინც ცდილობდა უფლისადმი ერთგულების შენახვას და არ

ემორჩილებოდა ეკლესიაში შემოპარულ წმიდა სამოსელში გახვეულ სიცრუესა და შეცდომებს. ბიბლიამ, როგორც რწმენის საძირკველმა, დაკარგა მნიშვნელობა. მოძღვრებას რელიგიური თავისუფლების შესახებ ერესი უწოდეს, ამ მოძღვრებათა მიმდევრები კი სძულდათ და სდევნიდნენ.

ხანგრძლივი და უდრეკი ბრძოლის შემდეგ ჭეშმარიტმა ქრისტიანებმა გადაწყვიტეს ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ განდგომილ ეკლესიასთან, თუკი იგი არ განიწმიდებოდა კერპთაყვანისმცემლობისა და შეცდომებისაგან. ისინი კარგად ხედავდნენ: გამოყოფა აუცილებელია,

თუკი ღვთის სიტყვის ერთგულებისა და მორჩილების შენარჩუნება სურთ. ისინი ველარ ურიგდებოდნენ იმას, რომ ეს დამღუპველი ზეგავლენა საფრთხეს უქმნიდა მათ სულს და ცუდი მაგალითი იყო მათი შვილებისა და მომავალი თაობისათვის. მშვიდობისა და ერთიანობის შესანარჩუნებლად ისინი მზად იყვნენ ნებისმიერ დათმობაზე წასულიყვნენ, რასაკვირველია, იმის გარდა, რაც ეწინააღმდეგებოდა მათ ჭეშმარიტ ურთიერთობას ღმერთთან, რადგან შეგნებული ჰქონდათ, რომ მშვიდობის მოპოვებისათვის ჭეშმარიტი პრინციპების მსხვერპლად გალება მეტად დიდი საზღაური იქნებოდა. თუკი ერთიანობის

შენარჩუნება მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის უარყოფის გზითაა შესაძლებელი, მაშინ იყოს გაყოფა და თუნდაც - ბრძოლა.

რამდენად უკეთესი იქნებოდა ეკლესიისთვისაც და ქვეყნიერებისთვისაც, ღვთის ხალხის გულში რომ აღორძინებულიყო ის პრინციპები, რომლებითაც ეს მამაცი ადამიანები ხელმძღვანელობდნენ. ჭეშმარიტად შიშს იწვევს გულგრილი მიდგომა იმ სწავლებისადმი, რომელიც ქრისტიანული რწმენის საფუძველია. სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება აზრი, რომ ამ პრინციპებს აღარა აქვთ სასიცოცხლო მნიშვნელობა. ასეთი დამახინჯებული გაგება სატანის

მსახურთ უფრო მეტ ძალასა და სიმტკიცეს მატებთ. ასე, რომ ცრუ სწავლებასა და დამლუპველ შეცდომებს, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლას უფლის შვილები თავიანთ სიცოცხლეს სწირავდნენ, დღესაც სიამოვნებით ღებულობენ ისინი, ვინც თავს ქრისტეს მიმდევარს უწოდებს.

პირველი ქრისტიანები ჭეშმარიტად განსაკუთრებული ხალხი იყო. მათი უმწიკვლო ცხოვრება და ურყევი რწმენა ურჯულოთა მუდმივ მხილებას წარმოადგენდა და სიმშვიდეს ურღვევდა მათ. მცირერიცხოვანნი, ღარიბნი, საპატიო ტიტულთა არმქონენი, თავიანთი კეთილშობილური ცხოვრებით და სწავლების დიდებულებით შიშს

უნერგავდნენ უწმიდურთ. ამის გამო ულმერთოებს სძულდათ ისინი ისევე, როგორც უკეთურ კაენს სძულდა აბელი. უფლის სულის ზეგავლენისაგან განთავისუფლების მძებნელნი და მისი უარმყოფელნი ღვთის ხალხს სასიკვდილოდ დევნიდნენ იმავე მიზეზით, რისთვისაც კაენმა მოკლა აბელი; რისთვისაც იუდეველებმა უარყვეს და ჯვარს აცვეს მაცხოვარი; მისი უმწიკვლოება და სიწმიდე მუდმივი საყვედური და მხილება იყო მათი ეგოიზმისა და გარყვნილებისა. ქრისტეს პერიოდიდან დღემდე იესოს ერთგული მოწაფეები იმ ადამიანთა სიძულვილსა და წინააღმდეგობას იწვევენ, ვისაც უყვარს ცოდვა და მის გზაზე დადის.

მაშ, რატომ უწოდებენ ბიბლიას მსოფლიო უწყებას? ესაიამ მესიის დაბადების შესახებ თავის წინასწარმეტყველებაში ქრისტეს სამყაროს მეფე უწოდა. როდესაც ანგელოზებმა მწყემსებს მესიის დაბადება ამცნეს, ბეთლემის გორაკების თავზე გალობდნენ: "დიდება მაღალთა შინა ღმერთს, მშვიდობა ქვეყანაზე და კაცთა შორის სათნოება" (ლუკ. 2:14). ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებსა და ქრისტეს ნათქვამს შორის: "მშვიდობის კი არა, მახვილის მოსატანად მოვედი" (მათ. 10:34), არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი. მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით, მათ შორის

აბსოლუტურ ჰარმონიას დავინახავთ. სახარება - მშვიდობის უწყებაა. ქრისტიანობა - ჭეშმარიტებათა მთელი სისტემაა, რომლის მიღებასა და ცხოვრებაში გატარებას მშვიდობა, ერთიანობა და ბედნიერება მოაქვს მთელ დედამიწაზე. ქრისტეს რელიგია მისი მოძღვრების მიმღებთ ერთ ძმურ ოჯახში აერთიანებს. ქრისტეს მისია იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანები შეერიგებინა ღმერთთან და ერთმანეთთან. მაგრამ დღეს ქვეყნიერებას ქრისტეს უბოროტესი მტერი სატანა მართავს. სახარებაში ადამიანები პოულობენ ცხოვრების ისეთ პრინციპებს, რომელნიც მათ ჩვევებსა და სურვილებს ეწინააღმდეგება. ამიტომ ისინი აღშფოთებას ვერ ფარავენ ამ

მოძღვრების გამო. მათ სძულთ უფლის წმიდა სიტყვა, რომელიც ამხელს და კიცხავს მათ ცოდვებს. ისინი დევნიან და კლავენ მათ, ვინც უზენაესის წმიდა და სამართლიან მოთხოვნაზე მიუთითებს. სწორედ იმის გამო, რომ ღვთის სიტყვის ამაღლებული ჭეშმარიტება სიძულვილსა და ბრძოლას იწვევს; სახარებას მახვილს ადარებენ.

ძალიან ბევრ ადამიანს თავისი სუსტი რწმენის გამო ვერ გაუგია უფლის საიდუმლოებით მოცული, შორსმჭვრეტელური მოქმედებანი; თუ რატომ უშვებს ღმერთი მართალთა დევნას და მათ ტანჯვას უწმიდურთა მიერ. ეს საკითხი მათში დაბნეულობას იწვევს. ზოგი კი ყოველგვარ იმედს კარგავს და აღარ

ენდობა ღმერთს, როცა ხედავს, რომ ცოდვის ჩამდენნი განცხრომით ცხოვრობენ, ხოლო მართალი და კეთილშობილი ადამიანები იტანჯებიან და შევიწროებას განიცდიან მათი ბოროტებისაგან. როგორ შეიძლება, - ამბობენ ისინი, - რომ სამართლიანი, მოწყალე და ამავე დროს უსასრულოდ ყოვლისშემძლე ღმერთი უშვებს ასეთ უსამართლობასა და გაჭირვებას? მაგრამ ეს საკითხი ჩვენ არ უნდა გვაწუხებდეს. უფალმა თავისი სიყვარულის საკმარისი მტკიცება მოგვცა და არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ მის მოწყალებაში მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვესმის მისი შორსმჭვრეტელური ქმედებანი. განა მაცხოვარმა წინასწარ არ

გააფრთხილა თავისი მოწაფეები იმ ეჭვების შესახებ, რომელიც მათ გაუჩნდებოდათ სიბნელისა და მწუხრის ჟამს? "გაიხსენეთ სიტყვა, რომელიც გითხარით: მონა არ არის მეთქი-თავის ბატონზე დიდი. მე თუ მდევნიდნენ, თქვენც დაგიწყებენ დევნას" (იოან. 15:20). იესომ ჩვენი გულისათვის უფრო მეტი დაითმინა, ვიდრე რომელიმე მისმა მიმდევარმა განიცადა ადამიანთა ბოროტებისაგან. ის, ვინც მოწოდებულია, აიტანოს წამება და თვით მოწამებრივი სიკვდილიც კი, მხოლოდ ღვთის საყვარელი ძის ნაკვალევს მიჰყვება.

"არ აყოვნებს უფალი აღთქმულს" (2პეტ. 3:9). იგი არასოდეს ივიწყებს და არ ტოვებს თავის შვილებს. მაგრამ ზოგჯერ ურჯულოებს ნებას რთავს,

გამოავლინონ თავიანთი ჭეშმარიტი ბუნება, რათა ყოველი, ვისაც უფლის ნების აღსრულება სურს, არ მოტყუვდეს მათგან. ხშირად მართლები სატანჯველში ვარდებიან, რომ განიწმინდონ, რათა სხვები დარწმუნდნენ მათი რწმენის ჭეშმარიტებაში და მათ ღვთისმოსაობაში და აგრეთვე იმისათვის, რომ თავიანთი მართალი ცხოვრებით ურწმუნონი და ურჯულონი განიკითხონ.

უფალი ზოგჯერ ურწმუნოთ აძლევს კეთილდღეობას, ნებას რთავს, რომ გამოავლინონ სიძულვილი უფლისადმი, ხოლო როდესაც თავიანთი ურჯულოების თასს აავსებენ, მათ საბოლოო განადგურებაში ყველა დაინახავს

ყოვლისმპყრობელის სამართლიანობასა და გულმოწყალებას. ახლოვდება უფლის შურისგების დღე, როცა მისი კანონის ყოველი დამრღვევი და მისი ხალხის დამთრგუნველი სამართლიან საზღაურს მიიღებს საკუთარი საქმეების მიხედვით; როდესაც უფლის შვილების მიმართ ჩადენილი ყოველი მათი სისასტიკე და უსამართლობა ისე დაისჯება, როგორც თვით ქრისტეს მიმართ ჩადენილი დანაშაული.

არსებობს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხი, რომელზედაც ყურადღება უნდა გაამახვილონ ჩვენი დროის ქრისტიანულმა ეკლესიებმა. პავლე მოციქული ამბობს: "ყველა, ვისაც

სურს ქრისტე იესოში იცხოვროს ღვთისმოსაობით, დევნილი იქნება" (2ტიმ. 3:12). მაშ, რატომ შეჩერდა ქრისტიანთა დევნა? მიზეზი ერთადერთია: ეკლესიამ იმდენად შეისისხლხორცა წუთისოფლის ნორმები, რომ უკვე არავითარ წინააღმდეგობას აღარ იწვევს. ჩვენი დროის რელიგიამ დაკარგა პირვანდელი სიწმიდე, რომელიც ქრისტიანულ რწმენას ქრისტესა და მის მოციქულთა დღეებში გააჩნდა. დღეს ქრისტიანული რელიგია მთელ მსოფლიოში მხოლოდ იმიტომაა ასე გავრცელებული, რომ ღვთის სიტყვის უდიდესი ჭეშმარიტებანი უგულვებელყოფილია და ეკლესიაშიც იმდენად ცოტაა ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა, რომ

გაბატონებულია ცოდვასთან კომპრომისებისა და ერთიანობის სული. ქრისტიანულ ეკლესიაში კვლავ რომ აღმდგარიყო რწმენა და პირვანდელი ქრისტიანული ძალა, მაშინ კვლავ დაინთებოდა დევნისა და წამების ცეცხლი.

თავი 3 განდგომილების პერიოდი

პავლე მოციქულმა თესალონიკელთა მიმართ მიწერილ მეორე წერილში იწინასწარმეტყველა უდიდესი განდგომილება პაპის მმართველობის დამყარების შედეგად. იგი წერდა, რომ უფლის დღე ისე არ დადგება, "სანამ უწინ არ მოვა განდგომილება და არ გამოჩნდება ურჯულოების კაცი, ძე დალუპვისა, წინაალმდგომი და ალზევებული ყველაფერზე მაღლა, რაც კი რამ სახელდებულია ღმერთად და სამსახურებლად, ისე რომ, ღვთის ტაძარშიც კი დაჯდება იგი, როგორც ღმერთი და თავს ღმერთად გამოაცხადებს" (2თეს. 2:3,4,7). და შემდგომ მოციქული ძმებს

აფრთხილებს იმის შესახებ, რომ "ურჯულოების საიდუმლო უკვე მოქმედებს". ჯერ კიდევ ქრისტიანული ერის ადრეულ პერიოდში ხედავდა იგი ეკლესიაში შელწეულ შეცდომებს, რაც გზას უმზადებდა პაპის მმართველობის განვითარებას.

"ურჯულოების საიდუმლო" თავიდან მალულად, სრულიად შეუმჩნევლად აკეთებდა თავის ღვთისმკრეხელურ საქმეს, შემდეგ კი, ძალის მოკრებასთან ერთად, უკვე გახსნილად და აშკარად დაეუფლა ადამიანთა გონებას. წარმართული ადათ-წესები შეუმჩნევლად შევიდა ქრისტიანულ ეკლესიაში. ამ შეთანხმებისა და დათმობის სულს ერთხანს აჩერებდა ის დევნის

ქარიშხალი, რომელიც თავს დაატყდა ეკლესიას წარმართთა წყალობით. მაგრამ როდესაც დევნა შეწყდა და ქრისტიანობამ მეფეთა სასახლეში და პალატებში შეაბიჯა, მაშინ ქრისტეს უბრალოება და მის მოციქულთა მოკრძალება წარმართ ქურუმთა და ხელისუფალთა დიდებულებითა და ამპარტავნობით შეიცვალა, ხოლო უფლის კანონები - ადამიანური თქმულებებითა და გამოგონილით. მე-4 საუკუნის დასაწყისში რომის იმპერატორის, კონსტანტინეს ფორმალურმა მოქცევამ ქრისტიანთა უდიდესი სიხარული გამოიწვია. სიმართლის ნიღბით დაფარული ამქვეყნიური სიცრუე კი ეკლესიაში შეიპარა და ეკლესიამაც სწრაფად იწყო გახრწნა. გარეგნულად

დამარცხებული წარმართობა გამარჯვებული ალმოჩნდა. მისი სული დაეპატრონა ეკლესიას. წარმართული მოძღვრება, ადათ-წესები და ცრუ რწმენები შეერწყა ეგრეთ წოდებულ ქრისტეს მიმდევართა რწმენას.

წარმართობასა და ქრისტიანობას შორის ასეთი შეთანხმება დამთავრდა "ურჯულოების კაცის" გამოჩენით, რომლის შესახებაც წინასწარმეტყველება ამბობდა, რომ ალზევდება ღმერთზე მაღლა და შეებრძოლება მას. და ეს ცრუ რელიგიის გიგანტური სისტემა სატანის ძალაუფლების შედეგია. ეს არის მისი ტახტზე ასვლისა და დედამიწის თვითნებურად მართვის მცდელობის მონუმენტი.

სატანა ერთხელ უკვე შეეცადა ქრისტესთან მოლაპარაკებას. მივიდა უფლის ძესთან ცდუნების უდაბნოში და აჩვენა რა მთელი მსოფლიოს სამეფოები და მათი დიდებულება, დაპირდა, რომ ყველაფერს მას მისცემდა ერთი პირობით, - იესომ უნდა სცნოს ბოროტების მეფის უმაღლესი ძალაუფლება. ქრისტემ ამხილა თავხედი მაცდური და აიძულა გაშორებოდა მას. მაგრამ, როცა სატანამ ადამიანს იგივე შესთავაზა, უდიდეს წარმატებებს მიალწია. განდიდებისა და გამდიდრების მოშურნე ეკლესია იძულებული იყო, მოეძებნა ამა სოფლის ძლიერთა მხარდაჭერა და მფარველობა, რითაც უარყო ქრისტე და კავშირი შეკრა სატანის

წარმომადგენელთან - რომის ეპისკოპოსთან.

    რომის ეკლესიის ძირითადი და უპირველესი დოგმა მდგომარეობს პაპის მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის "ხილულ თავად" აღიარებაში, რომელსაც მიეცა უმაღლესი ძალაუფლება მთელი დედამიწის ყველა სამღვდელოებასა და ეკლესიაზე. უფრო მეტიც: პაპმა ღვთიურობის ტიტულიც მიითვისა. იგი გამოცხადებულია წმიდანად და ასე იწოდება: "უფალი ღმერთი-პაპი" და ადამიანებისაგან ამის აღიარებას მოითხოვს. რომის ეკლესიის მეშვეობით სატანა იგივე პრეტენზიებს გამოთქვამს, რაც იესოს წაუყენა ცდუნების უდაბნოში და

ბევრი მზად არის, მიაგოს ეს პატივი მას.

მაგრამ ღვთის მოშიში ადამიანები ისევე შეხვდნენ ამ თავხედურ მოთხოვნებს, როგორც ქრისტე - ბოროტი მტრის წინადადებას: "უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე" (ლუკ. 4:8). ღვთის სიტყვაში გადაკვრითაც კი არ არის ნათქვამი "ეკლესიის თავად" ვინმეს დანიშვნის შესახებ. ეს სწავლება პაპის უმაღლესი ხელისუფლების შესახებ გადაჭრით ეწინააღმდეგება წმიდა წერილს. პაპს არავითარი ძალაუფლება არა აქვს ქრისტეს ეკლესიაზე, გარდა იმისა, რომელიც უკანონოდ მიითვისა.

რომის ეკლესიის მესვეურები პროტესტანტებს ერესში და

ჭეშმარიტი ეკლესიიდან თვითნებურად გამოყოფაში ადანაშაულებენ. მაგრამ ასეთი ბრალდება მათ უფრო შეეფერებათ. სწორედ მათ უარყვეს ქრისტეს დროშა და განუდგნენ რწმენას, "რომელიც ერთხელ წმიდანებს გადაეცათ" (იუდა 3).

სატანამ მშვენივრად იცოდა, რომ წმიდა წერილის წყალობით ადამიანები შესძლებენ ჭეშმარიტების გარჩევას სიცრუისგან და მას წმიდა სიტყვის მეშვეობით შეებრძოლებიან. სამყაროს მხსნელიც კი სიტყვის დახმარებით იგერიებდა მის შემოტევებს. ყოველ თავდასხმას ქრისტე ჭეშმარიტების მარადიული ფარით ხვდებოდა და ამბობდა: "დაწერილია". მტრის ყოველ

თავხედურ წინადადებას იგი ღვთის სიტყვის ძალითა და სიბრძნით პასუხობდა. და სატანა მიხვდა: ადამიანებზე ბატონობისა და პაპის უზურპატორული ძალაუფლების დამყარებისათვის ხალხი წმიდა წერილის არცოდნის ბორკილებში უნდა ჰყავდეს. ბიბლია ადიდებს ღმერთს და ამხელს ადამიანთა სულის ჭეშმარიტ მდგომარეობას, ამიტომ სატანა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ უფლის წმიდა ჭეშმარიტება მათგან დაფარული იყოს. ასეთი დადგენილება რომის ეკლესიამაც მიიღო. მრავალი საუკუნის განმავლობაში იგი ეწინააღმდეგებოდა ბიბლიის გავრცელებას. ადამიანებს აკრძალული ჰქონდათ არა მარტო

ბიბლიის კითხვა, არამედ მისი უბრალოდ სახლში შენახვაც კი. ამ დროს კი ზნედაცემული მღვდლები და პრელატები ბიბლიური ჭეშმარიტების თავისებური (თვითნებური) ახსნით თავიანთ ავტორიტეტს განამტკიცებდნენ. ამგვარად პაპი აღიარებული იქნა თითქმის აბსოლუტურ "უფლის ნაცვლად" დედამიწაზე, რომელსაც მიეცა უმაღლესი ძალაუფლება როგორც ეკლესიაში, ასევე სახელმწიფოშიც.

მოიშორა თუ არა ბიბლია, რომელიც ამხელდა მათ შეცდომებსა და სიცრუეს, სატანამ თავისი მოღვაწეობის ფართოდ გაშლის მშვენიერი შესაძლებლობა მიიღო. წინასწარმეტყველება მოწმობდა, რომ

პაპი "განიზრახავს მათთვის სადღესასწულო დროისა და რჯულის შეცვლას" (დან 7:25). და პაპის ძალაუფლებასაც არ დაუყოვნებია თავისი საქმის კეთება; წარმართთა გაქრისტიანების გასაადვილებლად და მათი ადრინდელი კერპთაყვანისმცემლური რიტუალების შესანარჩუნებლად ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში თანდათან შემოვიდა ხატებისა და "წმიდანთა ნაწილების" თაყვანისცემა. და საბოლოო ჯამში, მსოფლიო საეკლესიო კრებამ დააკანონა კერპთაყვანისმცემლობის ეს ფორმა. ამ ღვთისმკრეხელური საქმის აღსასრულებლად რომს ეყო თავხედობა, ღმერთის კანონიდან ამოელო მეორე მცნება, რომელიც

კრძალავს სხვა ღმერთთა თაყვანისცემას და მათი რიცხვის შესანარჩუნებლად ორად გაყო მეათე მცნება.

წარმართობასთან შეთანხმების სულმა გზა გაუხსნა ზეციური ძალაუფლების შემდგომ უგულვებელყოფას. ეკლესიების არაქრისტიან ხელმძღვანელთა მეშვეობით სატანა მეოთხე მცნებასაც შეეხო და შეეცადა უფლის მიერ განწმედილი და კურთხეული დღის, "უფლის შაბათის" (დაბ. 2:2,3) გაუქმებას და მის შეცვლას წარმართთა თაყვანისცემისა და მათ მიერ პატივცემული "მზის საპატიო დღით". თავიდან ეს მცდელობა გულმოდგინედ იყო შენიღბული. პირველი ასწლეულების

განმავლობაში ჭეშმარიტ შაბათს ყველა ქრისტიანი იცავდა. ისინი გულმოდგინედ ემსახურებოდნენ ღმერთს, სწამდათ მისი კანონის უცვლელობა და ერთგულად იცავდნენ მისი პრინციპების სიწმიდეს. სატანა უდიდესი სიფრთხილითა და ჩვეული მზაკვრობით თავის მსახურთა საშუალებით განაგრძობდა თავისი მიზნის განხორციელებას. კვირა დღეზე ხალხის ყურადღების მისაქცევად მან ეს დღე საზეიმო დღედ გამოაცხადა ქრისტეს აღდგომის პატივისცემის ნიშნად. და თუმცა ამ დღეს ტარდებოდა ღვთისმსახურება და იგი დასვენების დღედ იყო გამოცხადებული, შაბათს

მაინც იცავდნენ, როგორც წმიდა დღეს.

მიიკვლევდა რა გზას თავისი მიზნისაკენ, ქრისტეს მოსვლის წინ სატანამ იუდეველთ შთააგონა წმიდა შაბათი მეტად მძიმე და მკაცრი მოთხოვნებით დაემძიმებინათ, რათა ადამიანთათვის იგი მძიმე ტვირთი ყოფილიყო. მერე ისარგებლა იმით, რომ შაბათის სიწმიდეს უკვე ალარ ინახავდნენ, როგორც უფლის ჭეშმარიტ წმიდა დღეს, სატანამ ხიზლით უწოდა მას იუდეველთა მიერ დადგენილი დღე. იმ დროს, როდესაც ქრისტიანები დიდი სიხარულით ზეიმობდნენ კვირა დღეს, სატანამ ბევრი იღვაწა იმისათვის, რომ მათში იუდეველთა მიმართ სიძულვილის ნიშნად შაბათი

მარხვის, მწუხარებისა და სევდის დღედ ექცია.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში იმპერატორმა კონსტანტინემ მთელ რომის იმპერიაში დააკანონა კვირა, როგორც უფლის დღე. წარმართთა თაყვანისცემის დღეს - მზის დღეს - ახლა უკვე ქრისტიანებიც ზეიმობდნენ. იმპერატორის პოლიტიკა მიმართული იყო ქრისტიანობისა და წარმართობის ურთიერთსაპირისპირო ინტერესების გაერთიანებისაკენ. ამისკენ მას უბიძგა სამღვდელოებამ, რომელიც დიდებისა და ძალაუფლებისაკენ ისწრაფოდა. მას კარგად ესმოდა, რომ წარმართთა და ქრისტიანთა ერთიანობა ხელს შეუწყობდა წარმართთა გაქრისტიანებას, ეს კი,

თავის მხრივ, ეკლესიას გააძლიერებდა. ბევრი ღვთისმოშიში ქრისტიანი კვირა დღეს წმიდა დღედ თვლიდა და ამავე დროს ძველებურად იცავდა ჭეშმარიტ შაბათს, როგორც უფლის წმიდა დღეს და უფლის მეოთხე მცნების თანახმად პატივს მიაგებდა მას.

მაგრამ უდიდესი თვალთმაქცი ამით არ დაკმაყოფილდა. მან გადაწყვიტა თავისი დროშის ქვეშ შემოეკრიბა მთელი ქრისტიანული სამყარო. ამისათვის თავისი ერთგული ქვეშევრდომი - ამაყი პაპი გამოიყენა, რომელმაც თავს "ქრისტეს ნაცვალი" უწოდა. და ნახევრად მოქცეულ წარმართთა, ამპარტავან პრელატთა და ამ წუთისოფელზე შეყვარებულ სამღვდელოებათა

დახმარებით თავის მიზანს მიაღწია. მსოფლიო საეკლესიო კრებებზე დროდადრო იკრიბებოდნენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის უმაღლესი სასულიერი პირები. ყოველ ასეთ კრებაზე სულ უფრო და უფრო იჩრდილებოდა უფლის დაწესებული შაბათი და მაღლდებოდა კვირა დღის მნიშვნელობა. საბოლოო ჯამში, ამ წარმართთა დღესასწულს ისე იცავდნენ, როგორც უფლის დღეს, ხოლო ბიბლიის შაბათს იუდაიზმის გადმონაშთი უწოდეს, მის დამცველებს კი დევნა გამოუცხადეს.

ამ განდგომილმა ურჯულომ შეძლო გამხდარიყო "წინააღმდგომი და აღზევებული ყველაფერზე მაღლა, რაც კი რამ სახელდებულია ღმერთად და სამსახურებლად" (2თეს. 2:4). მან

გაბედა უფლის კანონის იმ ერთადერთი მცნების შეცვლა, რომელიც ადამიანებს ერთადერთ, ცოცხალ, ჭეშმარიტ ღმერთზე მიუთითებს. მეოთხე მცნებაში უფალი გვეცხადება, როგორც ცისა და დედამიწის შემოქმედი, - სწორედ ამით გამოირჩევა იგი ყველა სხვა ცრუ ღმერთებისაგან. შაბათი - ესაა უფლის შემოქმედებითი შრომის ძეგლი, რომელიც მოწმობს იმის შესახებ, რომ მეშვიდე დღე უფალმა აკურთხა, წმიდა-ჰყო და ადამიანს სიმშვიდისა და დასვენების დღედ დაუდგინა. იგი დაწესდა იმისათვის, რომ ადამიანებს მუდამ ახსოვდეთ ცოცხალი ღმერთი - ყოფიერების წყარო, პატივისცემისა და მარადიული თაყვანისცემის საგანი.

სატანას სურს, რომ ღმერთს არ ჰყავდეს თავისი ერთგული ხალხი, რომელიც იცავს მის მცნებებს. სწორედ ამიტომ მიიტანა იერიში ამ მცნებაზე, რომელიც ლაპარაკობს ღმერთზე, როგორც შემოქმედზე.

დღევანდელი პროტესტანტები ამტკიცებენ, რომ კვირა დღე ქრისტეს ალდგომის გამო გახდა ქრისტიანული შაბათი. მაგრამ წმიდა წერილი ამის არავითარ საფუძველს არ გვაძლევს. არც ქრისტეს და მის მოციქულებს უთქვამთ რაიმე კვირა დღის შესახებ. ქრისტიანთა მიერ კვირა დღის დაცვა "ურჯულოების საიდუმლო"-ებიდან მოდის (2თეს. 2:7), რომელიც ჯერ კიდევ პავლე მოციქულის დღეებში გამოჩნდა. სად და როდის დაადგინა უფალმა პაპის ეს ნამოქმედარი?

რომელ დამამტკიცებელ საბუთს შეუძლია გაამართლოს ის გარეგნული ცვლილებანი, რომელთა შესახებ წმიდა წერილში არაფერი წერია?

მე-6 საუკუნეში პაპის მმართველობა მსოფლიოში დიდად განმტკიცდა. მისი ძალაუფლების ცენტრად არჩეული იქნა სატახტო ქალაქი, რომის ეპისკოპოსი კი მთელი ეკლესიის წინამძღოლად იქნა დანიშნული. პაპის მმართველობამ შეცვალა კერპთაყვანისმცემლობა. გველეშაპმა მისცა მხეცს "თავისი ძალა, თავისი ტახტი და დიდი ხელმწიფება" (გამოცხ. 13:2). დაიწყო პაპის მიერ დევნის 1260 წლიანი პერიოდი, რომლის შესახებ ნაწინასწარმეტყველებია დანიელისა

და გამოცხადების წიგნებში (დან. 7:25; გამოცხ. 13:5-7). ქრისტიანები არჩევანის წინაშე დადგნენ: ან უნდა მიიღონ პაპის დადგენილებანი და ემსახურონ მას, ან - თავიანთი სიცოცხლე დაასრულონ საპყრობილეებში, ტანჯვა-წამებაში, კოცონზე ან სახრჩობელაზე. ახლა ალსრულდა იესოს სიტყვები: "გაცემულ იქნებით მშობლებისა და ძმების, ნათესავებისა და მეგობრების მიერ, ხოლო ზოგიერთ თქვენგანს მოკლავენ. და ყველა მოგიძულებთ ჩემი სახელის გამო" (ლუკ. 21:16,17). მორწმუნეთ თავს დაატყდა ჯერ არნახული დევნა და მთელი წუთისოფელი ბრძოლის ველად იქცა. საუკუნეების მანძილზე ეკლესია თავშესაფარს ეძებდა მიუვალ

კლდეებსა და უდაბნოებში. წინასწარმეტყველი ამბობს: "დედაკაცი გაიქცა უდაბნოში, სადაც მისთვის მომზადებული იყო ადგილი ღვთისაგან, რათა იქ გამოეკვებათ იგი ათას ორას სამოც დღეს" (გამოცხ. 12:6).

რომის ეკლესიის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების დღიდან დაიწყო შუა საუკუნეების ბნელი პერიოდი. რაც უფრო მტკიცდებოდა მისი ძალაუფლება, მით უფრო მცირდებოდა ჭეშმარიტება. ქრისტეს რწმენა, - ჭეშმარიტი საძირკველი, პაპზე იქნა გადატანილი. უფლის ძის ნაცვლად, რომელიც გვაძლევს ცოდვათა მიტევებასა და საუკუნო ხსნას, ხალხი შესცქეროდა პაპსა და სხვა სასულიერი პირებს, რომელთაც

ძალაუფლება ეპყრათ ხელთ. ადამიანებს ასწავლიდნენ, რომ პაპი არის შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის და არავის შეუძლია მიუახლოვდეს უფალს მის გარეშე, რადგან იგი ღმერთის ნაცვალია დედამიწაზე, ამიტომ ყველა უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა საკმარისი მიზეზი იყო დამნაშავის სასტიკად დასჯისათვის. ამგვარად, ხალხის ყურადღება უზენაესიდან გადატანილი იქნა ცოდვილ, სასტიკ ადამიანებზე, - უფრო მეტიც, - თვით ბნელეთის მთავარზე, რომელიც მათი მეშვეობით ავლენდა თავის ძალას. ცოდვა სიწმიდის სამოსით შეინილბა. როდესაც ხალხი წმიდა წერილს გვერდს უვლის და არაფრად აგდებს,

მაშინ მათგან კარგს არაფერს უნდა ელოდო. ადამიანური კანონებისა და ტრადიციების განდიდებასთან ერთად თავი იჩინა უწმიდურებამ და გარყვნილებამ, რაც ყოველთვის უფლის კანონის უგულვებელყოფის შედეგია.

ხიფათით სავსე დღეები დაუდგა ქრისტეს ეკლესიას! რა ცოტანი იყვნენ ჭეშმარიტების მედროშენი! თუმცა ჯერ კიდევ შემორჩენილიყვნენ ჭეშმარიტების ერთგული მოწმენი, მაგრამ დგებოდა მომენტები, როცა ეგონათ, რომ ცრუ სწავლებამ და ცრურწმენამ გაიმარჯვა, ჭეშმარიტი რელიგია კი განიდევნა. როდესაც ადამიანებს სახარება წაართვეს, გამრავლდა სხვადასხვა რელიგიები,

რომლის მოთხოვნათა სიმძიმისა და სისასტიკის ქვეშ ხალხი გმინავდა.

ადამიანებს ასწავლიდნენ, რომ პაპი არა მხოლოდ შუამავალია, არამედ - ადამიანთა ცოდვების მიმტევებელი, მათ კი მიტევება საკუთარი საქმეებით უნდა დაიმსახურონ, რაც გამოიხატებოდა წმიდა ადგილების მოსანახულებლად მეტად ძნელ და ხანგრძლივ მოგზაურობაში, მონანიების გზაზე მდგარ ადამიანებზე დაკისრებულ სასჯელში, წმიდა სხეულების ნაწილთა თაყვანისცემაში, ეკლესიების, საკურთხეველთა და სამსხვერპლოთა აგებაში, სოლიდურ შესაწირავებში. ყოველივე ეს და კიდევ მრავალი სხვა მოეთხოვებოდა ხალხს თითქოსდა უფლის რისხვის

დაცხრომისა და მისი კეთილგანწყობის მოპოვებისათვის, თითქოს ღმერთი, ადამიანების მსგავსად, უბრალო შეცდომაზე რისხდება და მისი გულის მონადირება მხოლოდ ძღვენითა და იმ სასჯელით შეიძლება, რომელიც მონანიების გზაზე დამდგარმა ადამიანმა უნდა იტვირთოს.

თვით რომის ეკლესიის უმაღლეს მმართველობაში ურჯულოების გაბატონების მიუხედავად, მისი ზეგავლენა მაინც იზრდებოდა და ვრცელდებოდა. მეშვიდე საუკუნის დასასრულს პაპისტებმა დაიწყეს იმის მტკიცება, რომ პირველ საუკუნეში რომაელ ეპისკოპოსებს ისეთივე სულიერი ძალაუფლება ჰქონდათ, როგორიც ახლა. ამ

განცხადების განსამტკიცებლად საჭირო იყო გარკვეული ზომების მიღება და "ყოველგვარი სიცრუის მამამ" მათ ესეც უკარნახა. ბერებმა გააყალბეს ძველი ხელნაწერები. ალმოაჩინეს ეკლესიის კრების ვითომდა აქამდე უცნობი გადაწყვეტილებანი, რომელთა თანახმადაც თითქოსდა პაპს პირველი დღეებიდანვე ეძლეოდა განუსაზღვრელი უფლებები. და ეკლესიამაც უარყო ჭეშმარიტება და დიდი მზადყოფნით მიიღო ეს სიცრუე.

მცირერიცხოვანი ჭეშმარიტი ალმშენებლები, რომელნიც ჭეშმარიტ საძირკველზე იდგნენ (1კორ. 3:10,11), დაიბნენ: მათ წინაშე ახალი წინააღმდეგობანი და სიძნელეები

ალიმართა: ცრუ მოძღვრებათა სიუხვე ხელს უშლიდა მათ მსახურებაში. ნეემიას დღეებში იერუსალიმის კედლების მშენებელთა მსგავსად ზოგიერთი უკვე მზად იყო ეთქვა: "ძალა გამოელია მზიდავს, ნაგავი კი უამრავია, ალარ შეგვიძლია კედლის შენება" (ნეემია 4:10). უფლის ერთგული ზოგიერთი ალმშენებელი, დაღლილი მუდმივი ბრძოლით, დევნით, ცილისწამებით, ურჯულოებითა და ყოველგვარი სიძნელეებით, რითაც სატანა ცდილობდა ხელი შეეშალა მათი წარმატებებისათვის, სულიერად დაეცა და მშვიდობის, სიცოცხლისა და ქონების შესანარჩუნებლად მიატოვა ჭეშმარიტება. ზოგნი კი პირიქით, უშიშრად აცხადებდნენ:

"ნუ გეშინიათ მათი! გახსოვდეთ დიდი და საშინელი უფალი," (ნეემია 4:14) და კვლავ განაგრძობდნენ თავიანთი საქმეების კეთებას, "ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულნი და სიმართლის ჯავშნით შემოსილები" (ეფ. 6:14,17).

უფლის მტრები ყოველ საუკუნეში ერთნაირი, უცვლელი სიძულვილით ესხმოდნენ თავს ჭეშმარიტებას, ამიტომ ქრისტეს მსახურთ ყოველთვის სიფხიზლე და ერთგულება მართებდათ. მოწაფეებისადმი ოდესღაც თქმული ქრისტეს ყოველი სიტყვა მიმართულია ყველა მისი მიმდევრისადმი, რომლებიც ბოლო ჟამს ცხოვრობენ. "რასაც თქვენ

გეუბნებით, ყველას ვეუბნები: იფხიზლეთ" (მარკ. 13:37).

წყვდიადი სულ უფრო ღრმავდებოდა. ყველგან დამკვიდრდა გამოსახულებათა თაყვანისცემა. ხატების წინაშე იკმეოდა საკმეველი და მათზე ლოცულობდნენ. წინა პლანზე წამოწეულ იქნა სრულიად უაზრო და ცრუ ადათ-წესები. ცრურწმენის ზეგავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ადამიანებმა ჯანსაღი აზროვნების უნარი სრულიად დაკარგეს. ან კი სხვა რა იყო მოსალოდნელი უმცრებასა და მანკიერების მორევში ჩაფლული ადამიანებისაგან, როცა თვით სასულიერო პირნი და სამღვდელოება გახრწნილებასა და გარყვნილებას ეწეოდა.

პაპის მესვეურებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს თავიანთი პატივმოყვარეობის ასამაღლებლად, როცა მეთერთმეტე საუკუნეში პაპმა გრიგორი მეშვიდემ რომის ეკლესია "უცოდველად" და ჭეშმარიტად შერაცხა. მის მიერ წამოყენებულ ერთ-ერთ წინადადებაში ნათქვამი იყო, რომ წმიდა წერილის თანახმად, ეკლესიას არასოდეს ჰქონია შეცდომები და არც არასოდეს ექნება. მაგრამ ბიბლია არასოდეს ეთანხმებოდა ასეთ მტკიცებებს. ამაყი პაპი მეფის ავტორიტეტზე მაღლა დგომას მოითხოვდა და აცხადებდა, რომ არავის აქვს უფლება, წინააღმდეგობა გაუწიოს პაპის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და მხოლოდ მას, ერთადერთს, უნდა

ჰქონდეს სხვათა გადაწყვეტილებების გაუქმების უფლება.

"სიწმიდის დამცველი" ტირანის ხასიათი სრულად გამოვლინდა მას და გერმანიის იმპერატორ ჰენრიხ მეოთხეს შორის კონფლიქტის დროს. ამ მონარქს ეყო გამბედაობა, არ დამორჩილებოდა პაპის ავტორიტეტს, რისთვისაც ეკლესიიდან გააძევეს და სამეფო ტახტი ჩამოართვეს. პაპის მიერ შეგულიანებული მთავრები აუჯანყდნენ იმპერატორს და მთავართა მუქარით შეშინებული და მარტოდ დარჩენილი ჰენრიხ მეოთხე მიხვდა, რომ მას ყველა სხვა გზა მოჭრილი აქვს, გარდა ერთისა - შეურიგდეს რომს. დედოფლისა და ერთგული მსახურის თანხლებით ზამთარში მან ფეხით გადაჭრა

ალპები, რათა ამით პაპის წინაშე მორჩილება დაემტკიცებინა. პაპის ციხე-დარბაზთან მისვლისას ჰენრიხი თანამგზავრთა გარეშე მიიყვანეს სასახლეში, სადაც ზამთრის საშინელ ყინვაში, ფეხშიშველი, თავდაუხურავი, მათხოვრის ტანსაცმლით შემოსილი, პაპთან შეხვედრას ელოდა. სამი დღის მარხვისა და მონანიების შემდეგ პაპმა, ბოლოს და ბოლოს მიუტევა მას და გააფრთხილა, რომ ამის შემდეგ იმპერატორმა მხოლოდ პაპთან შეთანხმებით უნდა იმოქმედოს. გრიგორი მეშვიდე კი თავის გამარჯვებას ზეიმობდა, რადგან ურჩ მეფეთა მორჯულებას თავის პირდაპირ მოვალეობად თვლიდა.

რა საოცარი სხვაობაა პატივმოყვარე და ამპარტავან პაპსა და მორჩილ, მოკრძალებულ ქრისტეს შორის, რომელიც ყოველი ცოდვილის გულის კართან დგას და შემოსვლის უფლებას ითხოვს, რათა მიტევება და სიმშვიდე მისცეს და რომელიც თავის დროზე მოწაფეებს ასწავლიდა "ვისაც თქვენს შორის სურს, რომ პირველი იყოს, ის თქვენი მონა იყოს" (მათ. 20:27).

შემდგომი საუკუნეები რომის მიერ ჭეშმარიტი მოძღვრების უფრო დიდი დამახინჯების მოწმენი გახდნენ. ჯერ კიდევ პაპის ხელისუფლების დაწესებამდე ეკლესიის ყურადღებას წარმართული ფილოსოფიის იდეები იქცევდა, რაც უდიდეს გავლენას ახდენდა მასზე. ბევრი ე.წ. ქრისტიანი

ძველებურად წარმართულ ფილოსოფიას მისდევდა და არა მხოლოდ თავად განაგრძობდა მის შესწავლას, არამედ წარმართებზე უფრო მეტი გავლენის მოსაპოვებლად, სხვებსაც თავს ახვევდა. ამ გზით ქრისტიანულ რელიგიაში სერიოზული შეცდომები შემოიპარა. მათ შორის უმთავრესი იყო რწმენა - სიკვდილის შემდეგ ადამიანის სულისა და ცნობიერების უკვდავების შესახებ. სწორედ ამის საფუძველზე დააკანონა რომმა წმიდანთა შუამავლური ლოცვები და ქალწულ მარიამის გალმერთება. აქედან მოდის სწავლება მარადიული ტანჯვის შესახებ, რომელიც პაპის მიმდევართა მოძღვრების სიმბოლო გახდა.

ასე მომზადდა საფუძველი სხვა წარმართული იდეების მისაღებად, მათ შორის - საწმიდარის შესახებ, რომლითაც რომი ცრუმორწმუნე და გულუბრყვილო ადამიანებს ასე აშინებდა. საწმიდარში ისინი გულისხმობდნენ ტანჯვა-წამების ადგილს, სადაც თითქოსდა, ხვდებოდნენ სულები, რომლებიც სამუდამო დალუპვისათვის არ იყვნენ განწირულნი და სადაც შესაბამისი მკაცრი სასჯელის მიღების შემდეგ იწმიდებოდნენ, ვიდრე ზეცაში ავიდოდნენ.

კიდევ ერთი სიცრუე სჭირდებოდა რომს, რათა ესარგებლა თავის მიმდევართა შიშითა და მანკიერებით. ეს იყო მოძღვრება ინდულგენციების შესახებ. ისინი

წარსულის, აწმყოსა და მომავალი ცოდვების სრულ მიტევებასა და ყოველგვარი ტანჯვისა და სასჯელისაგან გათავისუფლებას პირდებოდნენ მათ, ვინც მონაწილეობას მიიღებდა ომებში, რომელსაც პაპი თავისი სამფლობელოების გასაფართოებლად აწარმოებდა, თუ არა და გაანადგურებდნენ მათ, ვინც გაბედავდა და უარყოფდა მის სასულიერო ძალაუფლებას. ადამიანებს ასწავლიდნენ, რომ ეკლესიისათვის ფულის გადახდის შემთხვევაში თავისუფლდებოდნენ ცოდვებისაგან. ამავე დროს, ამით მათ შეეძლოთ თავიანთი დაღუპული მეგობრების ხსნაც, რომლებიც ჯოჯოხეთის ცეცხლში

იტანჯებოდნენ. ამ გზით რომი მდიდრდებოდა და ფუფუნებაში, გარყვნილებასა და მანკიერებაში ეფლობოდა. და ესენი იყვნენ ეგრეთწოდებული წარმომადგენლები უფლისა (ქრისტესი), ვისაც თავის დასადები ადგილიც კი არსად ჰქონდა დედამიწაზე.

უფლის სერობის ბიბლიური დადგენილება წარმართული მსხვერპლშეწირვით შეიცვალა. პაპის სამღვდელოება უაზრო რიტუალებით ცდილობდა უბრალო პური და ღვინო "ქრისტეს სხეულად და სისხლად" ექცია. ღვთისმკრეხელური ქედმაღლობით ითვისებდნენ შემოქმედის ღვთიურ ძალასა და ძლიერებას. ისინი ქრისტიანთაგან სიკვდილის მუქარით მოითხოვდნენ,

სახალხოდ გამოეთქვათ რწმენა ამ საშინელი ღვთისმგმობელი სიცრუის მიმართ. მრავალი ჭეშმარიტი მორწმუნე, რომელმაც უარი თქვა ამაზე, კოცონზე დაწვეს.

მე-12 საუკუნეში დამკვიდრდა პაპის ყველაზე საშინელი იარალი - ინკვიზიცია. ბნელეთის მეფე ამ საკითხის გადაწყვეტაში პაპის უმალლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობდა. მათ საიდუმლო შეკრებებს ფარულად ესწრებოდნენ სატანა და მისი დემონები, რომლებიც წარმართავდნენ ამ ურჯულოთა აზრებს, ხოლო ამ დროს უფლის ანგელოზი მალულად იწერდა მათ საშინელ ბრძანებებს და ყოველი მოკვდავისათვის თავზარდამცემ

მათი საქმეების ისტორიას. "დიდი ბაბილონი მორწყული იყო წმიდანთა სისხლით". მილიონობით მოწამეთა გატანჯული სხეული შეჰლალადებდა უფალს შურისგებისათვის.

პაპის ხელისუფლება მსოფლიოს დესპოტი გახდა. იმპერატორები და მეფეები პაპის ბრძანებებს ემორჩილებოდნენ. თითქოს ყოველი ადამიანის მიწიერი და საუკუნო მომავალი მის ხელში იყო. საუკუნეთა მანძილზე ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა რომის მოძღვრებებს. რა მოწიწებით სრულდებოდა მისი ადათ-წესები! რომის სამღვდელოება საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა, უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა უხვი შემოწირულობანი. არასოდეს არ

ყოფილა რომის ეკლესია დიდების ასეთ მწვერვალზე, არასოდეს ჰქონია ასეთი დიდება და ძლიერება, როგორიც ამ პერიოდში.

მაგრამ "პაპის ძლიერების შუადღის ნათელი მსოფლიოსათვის შუალამის წყვდიადი იყო". წმიდა წერილში არა თუ უბრალო ხალხი, არამედ მღვდლებიც კი ვერ ერკვეოდნენ. ძველ ფარისეველთა მსგავსად, პაპის მესვურთ სძულდათ ნათელი, რადგან იგი ამხილებდა მათ ცოდვებს. უარყვეს რა ღმერთის კანონი, როგორც სიმართლის საზომი, უსაზღვრო ძალაუფლება მოიპოვეს და თავაწყვეტილ გარყვნილებას მიეცნენ. ყველგან ყვაოდა სიცრუე, ანგარება და მანკიერება. ადამიანები არ ერიდებოდნენ არავითარ

დანაშაულს, თუკი იგი სიმდიდრესა და დიდებას მოუტანდა. პაპებისა და პრელატების სასახლეები გარყვნილების ბუდეებად იქცა. ზოგიერთი გაბატონებული პაპი ისეთ დანაშაულს ჩადიოდა, რომ სამოქალაქო ხელისუფლებაც კი ცდილობდა მისი, როგორც აუტანელი, ბილწი ურჩხულის, ეკლესიიდან გაძევებას. ევროპაში მრავალი საუკუნის მანძილზე არ ყოფილა არავითარი პროგრესი მეცნიერებაში, ხელოვნებასა და კულტურაში. ქრისტიანობა დაავადებული იყო მორალური და სულიერი დამბლით.

რომის ხელისუფლების ბატონობის უღელქვეშ მყოფი მსოფლიო წარმოადგენდა ოსია წინასწარმეტყველის სიტყვების

საშინელ და საოცარ აღსრულებას: "მოისპობა ჩემი ერი უმეცრების გამო, რადგან შენ უარყავი ღვთის შემეცნება, და მეც გადაგაყენებ... დავიწყებული გაქვს ჩემი რჯული და მეც დავივიწყებ შენს შვილებს". "რადგან არ არის ჭეშმარიტება, სიქველე, არც ღვთის შემეცნება ქვეყანაზე. წყევლა და ტყუილი, კაცისკვლა, ქურდობა და მრუშობა გავრცელდა; სისხლის ღვრას სისხლის ღვრა მოსდევს" (ოს. 4:6,1,2). ესაა უფლის კანონის უარყოფის შედეგი.

თავი 4 ერთგული მოწამენი

წყვდიადმა, რომელმაც პაპის გამგებლობის ხანგრძლივ პერიოდში მთელი წუთისოფელი მოიცვა, მაინც ვერ ჩააქრო ჭეშმარიტების ნათელი. ყოველ საუკუნეში იყვნენ უფლის

ერთგული მოწმენი - ადამიანები, რომელთაც სწამდათ ქრისტე, როგორც ერთადერთი შუამდგომელი ღმერთსა და მათ შორის, ისინი, რომელნიც ბიბლიას ერთადერთ საზომად თვლიდნენ და ჭეშმარიტ შაბათს იცავდნენ. კაცობრიობა ბოლომდე ვერასოდეს მიხვდება, თუ რა დიდად არის დავალებული მსოფლიო ამ ადამიანებისგან. მათ სჯიდნენ, როგორც ერეტიკოსებს, ამახინჯებდნენ და კრძალავდნენ მათ ხელნაწერებს. მათ იდეებს უარყოფდნენ, ცილს სწამებდნენ, მათ ყოველ ნაბიჯს აყალბებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი კვლავ შეუდრეკელნი და ერთგულნი რჩებოდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ შეუბღალავ რწმენას,

როგორც წმიდა მემკვიდრეობას მომავალი თაობებისათვის.

რომის მმართველობის ამ ბნელი საუკუნეების მანძილზე ღვთის ხალხის ისტორია ზეციურ წიგნებში იწერებოდა - ადამიანთა მიერ შედგენილ მატიანეში იგი მეტად სუსტადაა აღწერილი. რა ცოტა რამ შეგვიძლია წავიკითხოთ მათ შესახებ - ისიც მხოლოდ მათ მდევნელთა ბრალდებებიდან! რომი ღრმად იყო დაინტერესებული ყველა მსჯელობის მოსპობაში, რომელიც მის ოფიციალურ დოქტრინებს ეწინააღმდეგებოდა. იგი ცდილობდა ყველას და ყველაფრის განადგურებას, რაც მის მოძღვრებას არ ეთანხმებოდა, იქნებოდა ეს ადამიანი თუ მისი ნაწარმოები,

საკმარისი იყო ეჭვის გამოთქმა პაპის დოგმატების ავტორიტეტის მიმართ და ეს სიცოცხლის ფასად შეიძლებოდა დასჯდომოდა მდიდარსაც და ღარიბსაც, დიდებულსაც და დაბალი ფენის წარმომადგენელსაც. რომი შეეცადა "გამთიშველთა" მიმართ თავისი სისასტიკის ყველა კვალის მოსპობას. პაპის კრებების დადგენილებით ცეცხლს მისცეს ყველა ის წიგნი და მასალა, სადაც იყო ჩანაწერები დევნის შესახებ. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა სტამბა და წიგნებიც ცოტა იყო, თანაც დიდი ზომისა და შესანახად მოუხერხებელი, ამიტომ მათი განადგურება რომის ეკლესიის მესვეურთა მიერ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

რომის სამფლობელოში შემავალ არც ერთ ეკლესიას დიდხანს არ უსარგებლია სინდისის თავისუფლებით. როგორც კი პაპის ხელისუფლებამ ძალა მოიკრიბა, მისი ხელი მისწვდა ყველას, ვინც ეწინააღმდეგებოდა მის მიზნებს, და თანდათანობით, ერთმანეთის მიყოლებით, ყველა ეკლესია რომის ბატონობას დაემორჩილა.

დიდ ბრიტანეთში ქრისტიანობამ ძალიან ადრე შეაღწია. რომის განდგომილებას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია ბრიტანელებზე, რომლებმაც სახარება ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში მიიღეს. წარმართ იმპერატორთა მიერ ქრისტიანთა დევნა, ვინც ამ შორეულ ნაპირებამდეც მიაღწიეს, წყალობა

ალმოჩნდა ბრიტანეთის ეკლესიებისთვის. ბევრი დევნილი ქრისტიანი ინგლისიდან გაიქცა და შოტლანდიას შეაფარა თავი; აქედან ჭეშმარიტებამ შეაღწია ირლანდიაში, სადაც იგი სიხარულით მიიღეს.

საქსონთა მიერ ბრიტანეთის დაპყრობასთან ერთად, იქ წარმართობამ მოიკიდა ფეხი და ძალაუფლება და ავტორიტეტი მოიპოვა. გამარჯვებულებს დამცირებად მიაჩნდათ რაიმეს სწავლა თავისი მონებისგან და ქრისტიანები იძულებული ხდებოდნენ მთებსა და უდაბური ადგილებისათვის შეეფარებინათ თავი. მაგრამ დროებით დაფარული ნათელი მაინც აშუქებდა. ასი წლის შემდეგ სიმართლის სხივმა კვლავ

შეანათა შოტლანდიაში და ყველაზე შორეულ ქვეყნებს მისწვდა. ირლანდიიდან გამოვიდა ღვთისმოსავი კოლუმბა, რომელმაც თავის თანამოღვაწეებთან ერთად მთელი ქვეყნის მორწმუნენი დაუსახლებელ კუნძულ იონაზე შეკრიბა და ეს ადგილი მისიონერული მოღვაწეობის ცენტრად აქცია. ამ ევანგელისტთა შორის იყო კაცი, რომელიც იცავდა ბიბლიურ შაბათს და მისგან ეს ჭეშმარიტება ხალხისთვის ხელმისაწვდომი გახდა. კუნძულ იონაზე ჩამოყალიბდა სკოლა, რომელიც თავის მისიონერებს აგზავნიდა არა მარტო შოტლანდიასა და ინგლისში, არამედ გერმანიაში, შვეიცარიაში და იტალიაშიც კი.

მაგრამ სულ მალე რომის ყურადღება ბრიტანეთმაც მიიპყრო, რომელმაც გადაწყვიტა ისიც თავისი ძლევამოსილებისათვის დაემორჩილებინა. მეექვსე საუკუნეში კათოლიკე მისიონერებმა იწყეს მუშაობა წარმართ საქსონთა გაქრისტიანებისათვის. მათ კეთილგანწყობით შეხვდნენ ამაყი ბარბაროსები და ათასობით საქსონელმა მიიღო რომის რელიგია. თავიანთი მოღვაწეობის გაფართოებასთან ერთად პაპის მისიონერები და მოქცეული საქსონელები ხშირად ხვდებოდნენ ქრისტიანებს, რომლებიც ალიარებდნენ პირველ საუკუნეთა ჭეშმარიტ ქრისტიანულ რელიგიას. მათ შორის განსხვავება მეტად აშკარა

და თვალშისაცემი იყო! ეს უკანასკნელნი - მორჩილნი და სათნონი იყვნენ. წმიდა წერილის ნათელი შუქი მოჩანდა მათ სწავლებაში, ხასიათში, ქცევაში, იმ დროს, როცა მათი მოწინაალმდეგენი იყვნენ ცრუმორწმუნენი, ამაყნი და ამპარტავანნი. რომის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ ამ ქრისტიანულ ეკლესიებს ელიარებინათ პაპის უმაღლესი ძალაუფლება. ბრიტანელებმა მოკრძალებული პასუხი გასცეს, რომ მათ ყველასთან სურთ მშიდობიანი ურთიერთობა, რომ პაპს არა აქვს უფლება ეკლესიებზე გაბატონებისა და ამიტომ ისინი მას მხოლოდ ისეთ პატივს მიაგებენ, როგორსაც ქრისტეს ყოველ მიმდევარს. რომმა კვლავ

მრავალჯერ სცადა მათი თავის მხარეზე გადმობირება, მაგრამ ეს თავმდაბალი ქრისტიანები მტკიცედ იდგნენ დიდებულ დესპანთა წინაშე და პასუხობდნენ, რომ ისინი არ სცნობენ სხვა ბატონს, ქრისტეს გარდა. მაშინ გამოვლინდა პაპის ჭეშმარიტი სული. რომის ემისარმა განაცხადა: "თუკი თქვენ არ გსურთ ძმების მიღება, რომელთაც მშვიდობა მოგიტანეს, მაშინ თქვენ მიიღებთ მტრებს, რომლებიც მოვლენ ომით. თუ თქვენ არ შემოგვიერთდებით, რათა საქსონელებს ვაჩვენოთ სიცოცხლის გზა, მაშინ მათგან თქვენ მიიღებთ სასიკვდილო დარტყმას". და ეს უბრალო მუქარა არ იყო. ბიბლიური რწმენის მოწმეთა წინააღმდეგ დაიწყო ძალადობა,

სისხლისღვრა, შეთქმულებები, ცილისწამება, სანამ ბოლოს ბრიტანეთის ეკლესიები ან სრულიად არ გაანადგურეს ან არ აიძულეს, პაპის ძალაუფლებას დამორჩილებოდნენ.

იმ ქვეყნებში, რომლებიც რომის იმპერიას არ ეკუთვნოდა, მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ქრისტიანები, რომელთაც სრულიად არ შეხებიათ პაპის ხელისუფლების პოლიტიკა. წარმართთა გარემოცვაში, რასაკვირველია, დროთა განმავლობაში ისინი მათი ცთომილების გავლენის ქვეშ მოექცნენ, მაგრამ ბიბლიას მაინც მიიჩნევდნენ რწმენის ერთადერთ საზომად და კვლავ მის მრავალ

ჭეშმარიტებას მისდევდნენ. მათ სჯეროდათ, რომ ღმერთის კანონი ხელშეუხებელი და უცვლელია, და მეოთხე მცნების თანახმად, იცავდნენ შაბათს. ასეთი ეკლესიები არსებობდა ცენტრალურ აფრიკაში და აზიის სომხურ დასახლებებში.

მაგრამ პაპის ხელისუფლებას ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ვალდენსებმა გაუწიეს სწორედ იმ ქვეყანაში, სადაც პაპმა თავისი ტახტი დაიდგა. საუკუნეთა განმავლობაში პიემონტის ეკლესიები იცავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას, სანამ რომმა ისინიც არ დაიმორჩილა. რომის დიქტატთან უშედეგო ბრძოლის შემდეგ ამ ეკლესიების ხელმძღვანელებმა თუმცა იძულებით, მაგრამ მაინც სცნეს პაპის

უმაღლესი ხელისუფლება, რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიო დაიმორჩილა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც უარი თქვა პაპისა და პრელატთა ავტორიტეტის აღიარებაზე. მათ გადაწყვიტეს ღმერთის ერთგული დარჩენილიყვნენ და თავიანთი რწმენის სიწმიდე და უბრალოება შეენარჩუნებინათ. მოხდა დაყოფა: ძველი რწმენის დამცველნი გაიფანტნენ: ზოგმა დატოვა მშობლიური ალპები, წავიდა სხვა ქვეყნებში და იქ აღმართა ჭეშმარიტების ალამი. სხვებმა შორეულ დაბლობებსა და კლდეთა ხეობებს შეაფარეს თავი და იქ თავისუფლად ემსახურებოდნენ ღმერთს.

მოძღვრება, რომელსაც მრავალი საუკუნის განმავლობაში იცავდნენ და ავრცელებდნენ ქრისტიანი ვალდენსები, მკვეთრად განსხვავდებოდა რომის ცრუ დოქტრინებისაგან. მათი რელიგია დამყარებული იყო ღვთის სიტყვაზე, ქრისტიანობის ჭეშმარიტ საფუძველზე. ეს მოკრძალებული მშრომელები, რომლებიც განცალკევებულ სადგომებში ცხოვრობდნენ და ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილნი, ყოველდღიურ საზრდოს მეცხოველეობითა და ვაზის მოშენებით პოულობდნენ, არ ქმნიდნენ განდგომილ ეკლესიათა დოგმებისა და სწავლების ახალ ჭეშმარიტებას. ისინი არ იგონებდნენ ახალ რელიგიას - მათ ეს რწმენა

წინაპართაგან მემკვიდრეობით მიიღეს. ისინი ილწვოდნენ "რწმენისათვის, რომელიც ერთხელ წმიდანებს გადაეცათ" (იუდ. 3), - მოციქულთა ეკლესიის რწმენისათვის. არა მსოფლიო ქალაქში გამეფებული პატივმოყვარე იერარქია, არამედ "ეკლესია უდაბნოში" იყო ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია, ჭეშმარიტების საგანძურის დამცველი, რომელიც ღმერთმა თავის ხალხს იმისათვის ჩააბარა, რომ მას, თავის მხრივ, ქვეყნიერებისათვის გადაეცა.

რომისაგან ჭეშმარიტი ეკლესიის გამოყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო მისი სიძულვილი ბიბლიური შაბათის მიმართ. წინასწარმეტყველების თანახმად,

პაპის მმართველობამ ჭეშმარიტება მიწასთან გაასწორა. უფლის კანონი უარყვეს და აბუჩად აიგდეს, ხოლო ადამიანური კანონები და ადათ-წესები ამაღლდა და განდიდდა. პაპის ხელქვეით ეკლესიებს თავიდანვე აიძულებდნენ კვირა დღის, როგორც წმიდა დღის შენახვას და მრავალი ადამიანი თვით უფლის ჭეშმარიტი ეკლესიიდანაც კი იმდენად იყო თავბრუდახვეული საზოგადოებაში გამეფებული ცრურწმენითა და ცდუნებებით, რომ შაბათს კი იცავდა, მაგრამ იმავდროულად კვირა დღესაც თავს იკავებდა შრომისაგან. პაპის ხელისუფლება არც ამან დააკმაყოფილა. იგი ითხოვდა მხოლოდ კვირა დღის დაცვას, ადამიანებს აიძულებდა ემუშავათ

შაბათ დღეს და სასტიკად აუკრძალა ამ დღისადმი პატივისცემა. მხოლოდ რომიდან შორს გადასახლებულ ღვთის შვილებს შეეძლოთ თავისუფლად და მშვიდად დაეცვათ უფლის მცნებები.

ევროპაში პირველად სწორედ ვალდენსებმა გადათარგმნეს წმიდა წერილი. რეფორმაციამდე საუკუნით ადრე ისინი უკვე თავის საკუთარ ენაზე კითხულობდნენ ბიბლიის თარგმანს ხელნაწერებში. მათ ხელთ ეპყრათ ჭეშმარიტების ნამდვილი სიტყვა და ამის გამო საძულველნი და დევნილნი გახდნენ. მათ რომის ეკლესიას გამოცხადების წიგნის მიხედვით განდგომილი ბაბილონი უწოდეს და თავიანთი სიცოცხლის ფასად მტკიცედ

ეწინაალმდეგებოდნენ მის დამლუპველ ზემოქმედებას. ხანგრძლივმა დევნამ ზოგი აიძულა დათმობაზე წასულიყო, სხვები კი მტკიცედ იდგნენ და იცავდნენ ჭეშმარიტების პრინციპებს. ესენი იყვნენ ვალდენსები, რომლებმაც განდგომილების საშინელ საუკუნეებში უარყვეს რომის ხელისუფლება, ხატების გალმერთება, კერპთაყვანისმცემლობა და წმიდად იცავდნენ უფლის შაბათს. ყველაზე დიდი გაჭირვების დროსაც კი ინარჩუნებდნენ თავიანთ რწმენას. სავოიის შუბებით განგმირული და ინკვიზიციის კოცონზე წამებული ვალდენსები ურყევად იდგნენ ღვთის სიტყვის სიწმიდის დასაცავად.

მთის მიუვალ მწვერვალებზე, რომელიც ყველა საუკუნის დევნილთა თავშესაფარი იყო, ვალდენსებმაც ჰპოვეს საყუდარი. და იქ, შუა საუკუნეების წყვდიადში, აკაშკაშდა ჭეშმარიტების ნათელი. იქ თითქმის მთელი ათასწლეულის მანძილზე ჭეშმარიტების მოწმენი პირვანდელ რწმენას იცავდნენ.

უფალმა თავის ხალხს მოუმზადა იმ ბრწყინვალე ჭეშმარიტებათა შესაფერისი დიდებული საწმიდარი, რომელიც მას მიანდო. ამ ერთგულ დევნილთათვის მთები ღმერთის ხელშეუხებელი სიმართლის სიმბოლო იყო. ისინი თავიანთ შვილებს იმ მწვერვალებისაკენ მიუთითებდნენ, რომელნიც უცვლელი დიდებით

ალმართულიყვნენ და მეტყველებდნენ უზენაესის შესახებ, რომელიც არასოდეს იცვლება და რომლის სიტყვა ისეთივე მარადიულია, როგორც ეს უძველესი მთები. უფალმა შექმნა მთები, შემოსა ძლიერებით და უფლის უსაზღვრო ძალის გარდა ვერავინ დასძრავს მათ ადგილიდან. ამგვარადვე დააწესა მან თავისი კანონი - თავისი მმართველობის საფუძველი ზეცაში და დედამიწაზე. ადამიანს თავისი ხელით შეუძლია სიცოცხლე წაართვას სხვას, მაგრამ როგორც მას არ შეუძლია მთების ადგილიდან დაძვრა და მათი ზღვაში ჩაძირვა, ასევე არ ძალუძს ღვთის წესების შეცვლა ან მისი რომელიმე აღთქმის მოსპობა, რაც მიცემული აქვთ მისი

ნების აღმსრულებელთ. ღვთის მსახურნი მისი კანონისადმი მტკიცე ერთგულებაში ისეთივე ძლიერები უნდა იყვნენ, როგორც მარადიული, ურყევი მთები.

მთები და გარემომცველი დაბლობები ამ ხიზნებს მუდამ ახსენებდნენ უფლის შემოქმედებით ძალას და მისი აღთქმის მარადიულობას. მათ ისწავლეს უფლის მოწმობის ამ უტყვ სიმბოლოთა სიყვარული. ისინი არ ჩიოდნენ ცხოვრების სიძნელეებზე, არასოდეს გრნობდნენ მარტოობას მთათა მდუმარებაში და მადლობას სწირავდნენ ღმერთს ამ თავშესაფრისთვის, სადაც ადამიანთა სისასტიკისა და მრისხანებისაგან სიმშვიდე და უსაფრთხოება ჰპოვეს.

მათ უხაროდათ, რომ აქ შეეძლოთ თამამად ემსახურათ უფლის წინაშე. ხშირად, მტრებისაგან დევნილნი ნავსაყუდელსა და საიმედო თავშესაფარს ამ დიდებული მთების კალთებზე პოულობდნენ. უზარმაზარ, ფრიალო კლდეთა მწვერვალებიდან უფლისადმი მიძღვნილი დიდების ჰიმნები ისმოდა და რომაელ ჯარისკაცებს არ ჰყოფნიდათ ძალა, ჩაეხშოთ ეს დიდებული საგალობლები.

რა წმიდა, უმწიკვლო და მგზნებარე იყო ამ ქრისტიანების ღვთისმოსაობა! ჭეშმარიტების პრინციპები მათთვის სახლებზე, მიწებზე, მეგობრებზე, ნათესავებზე და თავიანთ სიცოცხლეზე ძვირფასიც კი იყო. ისინი გულწრფელად ცდილობდნენ

ამ პრინციპების ჩაბეჭდვას მომავალი თაობების გულებში. ბავშვებს ადრეული წლებიდანვე ასწავლიდნენ წმიდა წერილის ჭეშმარიტებებს და უფლის კანონისადმი მოწიწებას. ბიბლიური ხელნაწერები ცოტა იყო და ამიტომ ამ ძვირფას სიტყვებს ზეპირად იმახსოვრებდნენ. ასე, რომ ბევრმა ზეპირად იცოდა მთელი თავები ძველი და ახალი აღთქმიდან. ღმერთზე ფიქრის განმტკიცებაში მათ ხელს უწყობდა ბუნება და მოკრძალებული წყალობა, რომელსაც უფალი ყოველდღიურ ცხოვრებაში უბოძებდა მათ. პატარა ბავშვებს ასწავლიდნენ მადლიერების გრძნობის გამოხატვას უფლისადმი,

როგორც ყოველგვარი წყალობისა და ნუგეშის მომცემისადმი.

მშობლებს თავიანთი შვილები ნაზი და მზრუნველი სიყვარულით უყვარდათ, რომელშიც უხვად იყო ჩაქსოვილი ღვთიური სიბრძნე, ამიტომ ისინი თავგანწირვისათვის ამზადებდნენ მათ. ამ ბავშვებს ელოდათ განსაცდელი, გაჭირვება და შეიძლება მოწამებრივი სიკვდილიც კი. ისინი პატარაობიდანვე ეჩვეოდნენ სიძნელეთა ატანას, რჩევა-დარიგების მორჩილად მიღებას და ამასთან ერთად დამოუკიდებელი აზროვნება და მოქმედება შეეძლოთ. ადრეული წლებიდანვე მათ ჰქონდათ პასუხისმგებლობის გრძნობა, სწავლობდნენ სიფრთხილეს საუბრებში და ესმოდათ დუმილის

სიბრძნე. ერთი გაუფრთხილებელი სიტყვა, მტრის ყურამდე მისული, შეიძლება სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა არა მარტო მთქმელს, არამედ ასობით ადამიანს, რადგან ჭეშმარიტების მტრები რელიგიის თავისუფლების მომხრეთ ისე სდევნიდნენ, როგორც მონადირე მგლები - თავიანთ ნადავლს.

ვალდენსებმა თავიანთი მიწიერი კეთილდღეობა ჭეშმარიტებას შესწირეს, ლუკმაპურის მოსაპოვებლად დიდი მოთმინება და შრომა სჭირდებოდათ. ისინი მთებში გულმოდგინედ ამუშავებდნენ მიწის ყოველ ნაკვეთს და ეს უნაყოფო დაბლობებიც ამართლებდა მათ მოლოდინს. ეკონომია და მკაცრი თავგანწირვა, - ეს იყო ვალდენსთა

ბავშვების ერთადერთი მემკვიდრეობა. მათ ასწავლიდნენ, რომ ცხოვრება - სკოლაა, რომელშიც მათი ყველა საჭიროება შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ საკუთარი შრომით, წინდახედულებით, მზრუნველობით და რწმენით. ეს მეტად ძნელი და მომქანცველი, მაგრამ სასარგებლო იყო. ეს სწორედ ის სკოლა იყო, რომელიც დაცემულ ადამიანებს სჭირდებოდათ; სკოლა, რომელიც უფალმა განსაზღვრა ჩვენი ალზრდისა და განვითარებისათვის. ჭაბუკებს აჩვევდნენ მძიმე შრომასა და გაჭირვებას და ამავე დროს ზრუნავდნენ მათ გონებრივ განვითარებაზე. მათ უნერგავდნენ, რომ ადამიანს ყოველგვარი ნიჭი უფლისგან აქვს მიცემული და რომ

ისინი ვალდებული არიან იგი უფლის სამსახურისთვის განავითარონ.

ვალდენსთა ეკლესია თავისი სიწმიდითა და უბრალოებით მოციქულთა დროის ეკლესიას ჰგავდა. მათ უარყვეს პაპისა და სამღვდელოების ავტორიტეტი და ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ ბიბლიით, ერთადერთი უმაღლესი და უეჭველი ავტორიტეტით. მათი პასტორები, რომის ამპარტავანი სამღვდელოებისაგან განსხვავებით, თავიანთი მასწავლებლის მაგალითს ბაძავდნენ, რომელიც "იმიტომ კი არ მოვიდა, რომ მას ემსახურონ, არამედ, რომ თვითონ ემსახუროს" სხვებს. ისინი აძოვებდნენ უფლის ფარას, მიჰყავდათ ნოყიერი საძოვრებისა და უფლის წმიდა სიტყვის ცოცხალი

წყაროებისაკენ. ამ წუთისოფლის დიდებასა და სიამაყეს მოშორებულნი, არ იკრიბებოდნენ მდიდარ ტაძრებში, არამედ თავს აფარებდნენ მთებს, ალპების ველებს, ან, მოსალოდნელი საფრთხის დროს, კლდეთა ხეობებს, რათა იქ ესმინათ ჭეშმარიტების სიტყვა ქრისტეს მსახურთაგან. პასტორები არა მარტო ქადაგებდნენ სახარებას, არამედ ეხმარებოდნენ ავადმყოფებს, ასწავლიდნენ ბავშვებს, რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ ცოდვილთ, აგვარებდნენ გაუგებრობას და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ადამიანთა შორის ძმური სიყვარული და ერთიანობა ყოფილიყო. მშვიდობიან დროს ისინი ცხოვრობდნენ თანამორწმუნეთა

ნებაყოფლობით შესაწირავებზე, მაგრამ მეკარვე პავლეს მსგავსად, ყოველი მათგანი, ვინც კი რაიმე ხელობა იცოდა, მზად იყო საჭიროების შემთხვევაში თავისი თავი თვითონ გამოეკვება.

ჭაბუკებს პასტორები ასწავლიდნენ. თუმცა ზოგად განათლებასაც ექცეოდა ყურადღება, მაგრამ მაინც ძირითადი შესწავლის საგანი - ბიბლია იყო. მათეს და იოანეს სახარებებს სხვა წერილებთან ერთად ზეპირად სწავლობდნენ. ისინი წმიდა წერილის გადაწერასაც ახერხებდნენ. მათ გააჩნდათ მთლიანი ბიბლიის ხელნაწერებიც და შემოკლებული კრებულებიც, რომელთაც მოჰყვებოდა უბრალო, მაგრამ ყველასათვის ხელმისაწვდომი

კომენტარები, შესრულებული იმათ მიერ, ვისაც შეეძლო ღვთის სიტყვის ახსნა. ამ გზით ვრცელდებოდა ჭეშმარიტება, რომელსაც ამდენი ხნის მანძილზე მალავდნენ ისინი, ვინც ღმერთზე მაღლა აღზევება მოინდომა.

იქ, ღრმა გამოქვაბულებში, მთვარის მოციმციმე შუქზე ხდებოდა წმიდა წერილის თითოეული ბწკარის, თითოეული თავის გულმოდგინედ გადაწერა. და რაც უფრო წინ მიიწევდა სამუშაო, მით უფრო ხალასი ოქროს ბრწყინვალებას ემსგავსებოდა უფლის ნება. რაც უფრო დიდი იყო განსაცდელი, მით უფრო მეტი იყო სახარების ნათელი და უფრო გასაგები ხდებოდა მათთვის, ვინც ამ შრომაში მონაწილეობას ღებულობდა. ამ

ერთგულ მსახურებს ზეციური ანგელოზები მფარველობდნენ.

თუმცა სატანა ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ პაპის პრელატთა მეშვეობით ღვთის სიტყვა ცდომილებების, ცრურწმენისა და ერესის ნაგვის გროვაში დაემარხა, მაგრამ წმიდა წერილი სასწაულებრივად ინახავდა თავის სიწმიდეს შავბნელ შუასაუკუნეთა წყვდიადში. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ წმიდა წერილი დაწერილია არა ადამიანის, არამედ ღმერთის ნებით. ადამიანები ჯიუტად ცდილობდნენ წმიდა წერილის უბრალო, ყველასათვის გასაგები აზრის დამახინჯებასა და მის მოწმობებში წინააღმდეგობათა დანერგვას, მაგრამ უზარმაზარ ტალღებზე მოქანავე

კიდობნის მსგავსად, ღვთის სიტყვა უძლეველი აღმოჩნდა მრავალი ქარიშხლის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ მას ყოველჟამს სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა. როგორც მიწის წიაღში ჩამალული განძის აღმოჩენა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც შეუპოვრად ეძებს, ასევე ძვირფასი ჭეშმარიტებანი ეხსნება მხოლოდ მას, ვინც წმიდა წერილს გულწრფელი ლოცვითა და მოკრძალებით სწავლობს. უფალს სურდა, რომ ბიბლია ყველა ადამიანის მეგობარი ყოფილიყო ბავშვობაშიც, სიჭაბუკის წლებშიც,მოწიფულ ასაკშიც და მთელი ცხოვრების მანძილზე. თავის სიტყვაში უფალი თავად გამოეცხადა ხალხს. ჩვენს მიერ ყოველი

ალმოჩენილი ჭეშმარიტება მისი ავტორის არსის ახალ ალმოჩენას წარმოადგენს. წერილის გამოკვლევა - ეს ის ღვთიური საშუალებაა, რომელიც ადამიანებს უფრო აახლოვებს შემოქმედთან და ხელს უწყობს უფლის ნების შემეცნებას. ბიბლია - ეს ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობის საშუალებაა.

თუმცა ვალდენსები თვლიდნენ, რომ ღვთის შიში სიბრძნის დასაწყისია, მაინც ამავე დროს კარგად ესმოდათ წუთისოფელთან ურთიერთობის მნიშვნელობაც, რადგან ეს აუცილებელი იყო მათი მსოფლმხედველობის გაფართოებისთვის. ზოგიერთ ახალგაზრდას მთებში სკოლის დამთავრების შემდეგ საფრანგეთისა

და იტალიის სასწავლებლებში გზავნიდნენ, სადაც მათ წინაშე ფართო შესაძლებლობები იშლებოდა გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის, ხედავდნენ წუთისოფლის მანკიერებას, პირისპირ ხვდებოდნენ სატანის მზაკვრულ მოქმედებას, რომელიც ცდილობდა ისინი თავისი ცდუნებისა და სიცრუის ბადეში გაეხვია. მაგრამ ყრმობის წლებში მიღებულმა ალზრდამ ისინი ამ გამოცდისთვისაც კარგად მოამზადა.

ამ სასწავლებლებში მათ არ უნდა გაეჩინათ მეგობრები (და არ უნდა მინდობოდნენ მათ). თავიანთი ტანსაცმლის ნაკეცებში ისინი მოხერხებულად მალავდნენ უძვირფასეს განძს - წმიდა წერილის

ხელნაწერებს. მათ ყოველთვის თან დაჰქონდათ ეს, თვეებისა და წლების განმავლობაში თავდადებული შრომის ნაყოფი და პირველი შესაძლებლობისთანავე ფურცლებს წმიდა წერილის ტექსტებით ფრთხილად უდებდნენ მათ, ვისაც მათი აზრით, შეეძლო ჭეშმარიტების მიღება. ეს ჭაბუკები ამ სულით ბავშვობიდანვე იყვნენ აღზრდილები, კარგად ესმოდათ პირადი პასუხისმგებლობაც და მოვალეობაც და ერთგულად ასრულებდნენ მას. ამ გზით ამ სასწავლებელში ბევრმა მიიღო ჭეშმარიტება. ხშირად, ეს ახალი მოძღვრება მთელ სკოლაში ვრცელდებოდა და დიდი მცდელობის მიუხედავად, პაპის ერთგული ზედამხედველები ვერ პოულობდნენ

ამ "ერეტიკული მოძღვრებების" პირველწყაროს, როგორც ისინი უწოდებდნენ მას.

ქრისტეს სული - მისიონერული სულია. ახალმოქცეული გულის უპირველესი სურვილია - სხვებიც მიიყვანოს მხსნელთან. ასეთი სული ჰქონდათ ქრისტიან ვალდენსებსაც. მათ ესმოდათ, რომ უფალი მათგან არა მხოლოდ ჭეშმარიტების წმიდად შენახვას, არამედ უფრო მეტს - ამ სინათლის ბნელში გავრცელებას ითხოვდა. უფლის უძლიერესი სიტყვის ძალით ისინი ცდილობდნენ რომის ეკლესიის მონობისაგან ადამიანთა განთავისუფლებას. ვალდენსელი მსახურები მისიონერებად იყვნენ აღზრდილები. უფლის ყანაში მსახურების ყოველ

მსურველს, პირველ რიგში, ევანგელისტის გამოცდილება უნდა შეეძინა. სამშობლოში დაბრუნებისას, ეკლესიის სათავეში ჩადგომამდე, ყოველ მათგანს, არა ნაკლებ სამი წლის განმავლობაში, მისიონერულ სარბიელზე უნდა ემსახურა. ეს მეთოდი, რომელიც თავიდანვე დიდ თავგანწირვასა და მსხვერპლს მოითხოვდა, განსაკუთრებით შესაფერისი იყო იმ მძიმე პერიოდში. წმიდა მსახურებისათვის ხელდასხმულ ახალგაზრდებს ელოდა არა კეთილდღეობა და პატივი, არამედ ხიფათითა და გაჭირვებით აღსავსე ცხოვრება და შესაძლოა, მოწამებრივი სიკვდილიც. უფლის მაცნეებს წყვილ-წყვილად აგზავნიდნენ; ზუსტად ისე, როგორც

იესო თავის მოწაფეებს. ახალგაზრდას თან მიჰყვებოდა ასაკოვანი, გამოცდილი მეგობარი, რომელსაც იგი უნდა დამორჩილებოდა, როგორც თავის ხელმძღვანელს და ყველა მისი დავალება შეესრულებინა, უფროსი კი ზრუნავდა უმცროსის განათლებაზე. ეს თანამსახურნი ყოველთვის ერთად არ იყვნენ, მაგრამ ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ ლოცვებისა და რჩევა-დარიგებისათვის და ამით ერთიმეორეს განამტკიცებდნენ რწმენაში.

უფლის ეს მაცნეები გულმოდგინედ მალავდნენ თავიანთ ჭეშმარიტ ჩანაფიქრს, რადგან თავიანთი ამოცანების პირდაპირ განცხადების

შემთხვევაში მარცხი ელოდათ. ყოველმა მსახურმა იცოდა რაიმე ხელობა და ჩვეულებრივ საქმიანობას ამოფარებულნი, განაგრძობდნენ ღვთისმსახურების საქმის კეთებას. ხშირ შემთხვევაში ისინი ვაჭრობდნენ სხვადასხვა წვრილმანით: ყიდდნენ აბრეშუმის ქსოვილებს, საიუველირო ნაკეთობებს ან სხვა საგნებს, რომელთა შეძენაც მხოლოდ დიდ ბაზრობებზე შეიძლებოდა და ამგვარად, შეეძლოთ ისეთ ადგილებში სიარული, საიდანაც მისიონერებს ხშირად აძევებდნენ ხოლმე. ისინი ჩუმად, გულში აღავლენდნენ ლოცვებს და უფალს სიბრძნესა და ძალას სთხოვდნენ ადამიანებისათვის უფრო ძვირფასი

განძის მისაცემად, ვიდრე ოქრო და მარგალიტია. მათ ფარულად თან დაჰქონდათ ბიბლიის ხელნაწერები, ნაწილ-ნაწილ ან მთლიანად და როგორც კი ხელში მარჯვე შემთხვევას ჩაიგდებდნენ, მაშინვე უკითხავდნენ მყიდველებს, რომელთა მთელი ყურადღება წმიდა წერილზე გადაჰქონდათ და თუკი ვინმეს ღვთის სიტყვის მოსმენის სურვილი გაუჩნდებოდა, მისიონერები მათ წმიდა წერილის ხელნაწერებს სიხარულით ჩუქნიდნენ.

ამ მაცნეთა მისიონერული მოღვაწეობა დაიწყო მშობლიური მთების მისადგომებთან, დაბლობებსა და ხეობებში, შემდეგ კი მათ საზღვრებს გასცდა. ფეხშიშველნი,

შარაგზის მტვრისაგან გაშავებულ ტანისამოსში გახვეულნი დადიოდნენ, უფლის მსგავსად, ერთი ადგილიდან მეორეში, ყველაზე შორეულ ქვეყნებშიც კი. და ყველგან თესავდნენ ძვირფას თესლს. იქმნებოდა ახალი ეკლესიები და ხშირად მოწამენი სისხლით მოწმობდნენ ჭეშმარიტებას. უფლის მომავალი დღე გვაჩვენებს სულთა იმ დიდ მოსავალს, რომელიც ამ ერთგულ მოწამეთა მსახურების შედეგია. ღვთის სიტყვა შეუმჩნევლად, თანდათანობით იკვალავდა გზას ქრისტიანულ სამყაროში და მას ყველგან სიხარულით უხსნიდნენ გულისა და სახლის კარს.

წმიდა წერილი ვალდენსებს ასწავლიდა არა მხოლოდ ღმერთისა და ადამიანების ადრინდელ ურთიერთობას, არა მარტო ახლანდელ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას, არამედ კიდეც აფრთხილებდა მოსალოდნელი ხიფათის შესახებ და აჩვენებდა მომავლის დიდებას. მათ სწამდათ წუთისოფლის ახლო აღსასრული და ცრემლიანი ლოცვებით კითხულობდნენ და სწავლობდნენ ბიბლიას, რითაც უფრო ღრმად სწვდებოდნენ ამ ძვირფას მოძღვრებას და სხვებსაც უზიარებდნენ ხსნის მომტან ჭეშმარიტებას. მათთვის სრულიად გასაგები იყო გადარჩენის გეგმა, რომელიც ნათლადაა ასახული წმიდა

წერილის ფურცლებზე და სწამდათ იესოსი, რომლის მეშვეობიდაც ჰპოვებდნენ ნუგეშს, იმედსა და მშვიდობას. და როცა ეს სხივი ანათებდა მათ გონებას, სიხარულით ივსებოდა მათი გულები, უჩნდებოდათ მგზნებარე სურვილი - ეს ნათელი გაეზიარებინათ მათთვის, ვინც პაპის ცდუნებათა წყვდიადში იმყოფებოდა.

ისინი ხედავდნენ, რომ პაპის მსახურნი და მათი ქვეშევრდომნი ცოდვათა მიტევების მიღებას ამაოდ ცდილობდნენ თვითგვემით. მათ ასწავლიდნენ, რომ გადარჩენა შესაძლებელია საკუთარ საქმეებზე და ძალებზე დაყრდნობით და ადამიანებიც, ღვთის რისხვის შიშით, აღიარებდნენ თავიანთ დანაშაულს,

იწამებდნენ სულსა და სხეულს, თუმცა ვერ პოულობდნენ სიმშვიდეს და ამ გულწრფელ ადამიანებს ამაში რომის დოქტრინები უწყობდა ხელს. ათასობით ადამიანი ტოვებდა თავის ახლობლებს და მონასტერში იხიზნებოდა. მრავალი თავისი სინდისის დამშვიდებას ხშირი მარხვებითა და სასტიკი თვითგვემით, ცივ და ნესტიან იატაკზე უძილო ღამეებით, წმიდა ადგილებში ხანგრძლივი მოგზაურობით, ნებაყოფლობითი გაჭირვებითა და საშინელი ტანჯვა-წამებით ცდილობდა, მაინც ყველაფერი ამაო იყო. ბევრნი იმ შეგნებით, რომ საშინელი ცოდვები აწევთ და ამის გამო უფალი სასჯელს მოუვლენს, იქამდე იწამებდნენ თავს,

რომ ბოლოს და ბოლოს, მათი ნატანჯი სხეული ამდენს ველარ უძლებდა და იმედის ყოველგვარი ნათელი სხივის გარეშე ჩადიოდნენ საფლავში.

ვალდენსებს მხურვალედ სურდათ ამ დაუძლურებული სულებისათვის მიეცათ სიცოცხლის პური, გაეხსნათ მათთვის სახარებისეული ალთქმა და დაერწმუნებინათ, რომ ქრისტეა ხსნის ერთადერთი გზა. ისინი მცდარ მოძღვრებად თვლიდნენ იმ სწავლებას, რომ კეთილი საქმეებით შეიძლება გამოსყიდვა ცოდვისა, რომელიც უფლის მცნებებს არღვევს. ადამიანურ დამსახურებაზე დამყარებული რწმენა ჩრდილავს ქრისტეს უსაზღვრო სიყვარულს. იესომ თავისი სიკვდილით

მსხვერპლი გაიღო დაცემული კაცობრიობისათვის, რადგან ცოდვილს არაფრით შეუძლია თავისი თავის გამოსყიდვა. ჯვარცმული და შემდგომ მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი ქრისტიანული რწმენის ქვაკუთხედია. ადამიანს ქრისტესთან ისეთი ახლო და ცოცხალი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, როგორიც სხეულის რომელიმე ერთ ნაწილს მთელ ორგანიზმთან, ანდა ლერწებს - ვაზთან.

პაპის სამღვდელობამ ხალხს ღმერთი და თავად ქრისტეც ისე წარუდგინა, როგორც მრისხანე მბრძანებელი, რომელიც იმდენად სასტიკია ცოდვილის მიმართ, რომ საჭირო გახდა სამღვდელოებისა და წმიდანების შუამავლობა. მაგრამ

წმიდა წერილის ჭეშმარიტებით განათლებულ ადამიანებს გულწრფელად სურდათ აეხსნათ ხალხისათვის, რომ იესო - მოწყალე და მოსიყვარულე მაცხოვარია, რომელიც ხელგაწვდილი უხმობს ყოველს, ცოდვებით, გაჭირვებითა და მწუხარებით დამძიმებულს. ისინი ცდილობდნენ ხალხისათვის დაენახებინათ, რომ ეს დაბრკოლებები სატანის მიერაა შექმნილი იმ მიზნით, რომ ადამიანი ნაკლები ყურადღებით მოეკიდოს უფლის აღთქმას და უშუალოდ ღმერთს არ მიმართოს მონანიებით მიტევებისა და მშვიდობის მისაღებად.

რა დიდი სიხარულით უზიარებდა ვალდენსელი მისიონერი ამ

ადამიანებს სახარების ჭეშმარიტებას! რა დიდი წინდახედულებით ამზადებდა იგი მსმენელთათვის გულდასმით გადაწერილ წმიდა წერილის წიგნებს! მისთვის უდიდესი სიხარული იყო ეს მსახურება - მიეცა მონანიების იმედი ცოდვებით დამძიმებული სულისთვის, რომელიც აქამდე ღმერთში მხოლოდ შურისმგებელ მსჯავრმდებელს ხედავდა. მთრთოლვარე ბაგეებით, თვალცრემლიანი, ხშირად მუხლებზე მდგარი, უხსნიდა იგი თავის ძმებს ძვირფას ალთქმებს - ცოდვილთა ერთადერთ იმედს. და ჭეშმარიტების ნათელი მათ დამწუხრებულ, დაბეჩავებულ სულებში ფანტავდა შავ ღრუბელს, სიმართლის მზე კი თავისი განმკურნავი სხივებით

უნათებდა მათ. ხშირად, მსმენელთა თხოვნით, წმიდა წერილის რომელიმე ადგილს რამდენჯერმე კითხულობდნენ, რათა ადამიანები დარწმუნებულიყვნენ, რომ მათ ეს კი არ მოესმათ, არამედ ნამდვილად ასეა. განსაკუთრებით ხშირად კითხულობდნენ სიტყვებს: "...ქრისტეს სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისაგან". "როგორც მოსემ აღამაღლა გველი უდაბნოში, ისევე უნდა ამაღლდეს კაცის ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე" (1იოან. 1:7; იოან. 3:14,15).

ამ საქმიანობამ ბევრს აუცრუა გული რომის მოძღვრების მიმართ. ბევრი დარწმუნდა ცოდვილთათვის ადამიანთა ან ანგელოზთა

შუამავლობის უაზრობაში. ჭეშმარიტების შეცნობისას ისინი სიხარულით ამბობდნენ: "ქრისტეა ჩემი მლვდელი; მისი სისხლი - ჩემთვის გაღებული მსხვერპლია; მისი საკურთხეველი - ჩემი მონანიების ადგილია". მათთვის იესოს დამსახურება დახმარების წყაროდ იქცა და ხშირად იმეორებდნენ "რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისათვის მოსაწონად ყოფნა". "სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა, არც არის ცის ქვეშ ხალხისათვის მოცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით" (ებრ. 11:6; საქ. 4:12).

ზოგი უბედური, ცდუნებისაგან გატანჯული სულისთვის მაცხოვრის სიყვარული ძნელად მისაწვდომი

ალმოჩნდა. ახლა კი სახარების ასეთმა განმარტებამ ადამიანებს შვება მისცა და იმდენად დიდი იყო ჭეშმარიტების ნათელი, რომ თავი უკვე ზეცაში ეგონათ. მათ ჰქონდათ ბავშვური რწმენა, რომელიც "საუკუნეთა კლდეზე" იყო დამყარებული. სიკვდილის შიში აღარ ჰზარავდა მათ. ახლა მათ კოცონზე წამებისა და საპყრობილეებში ყოფნის სურვილიც კი ჰქონდათ, თუკი ეს მაცხოვრის სახელს განადიდებდა.

ღვთის სიტყვას კითხულობდნენ და ქადაგებდნენ მალულად, საიდუმლო ადგილებში. ზოგჯერ ჭეშმარიტების შემეცნების მსურველთ მას სათითაოდ უკითხავდნენ, ზოგჯერ კი პატარა ჯგუფებს. ხშირად მთელ ღამეებს წერილის კითხვაში

ატარებდნენ. ზოგჯერ ისეთი დიდი იყო მსმენელთა აღტაცება, რომ ღვთის მადლის მაცნე წყვეტდა კითხვას, რათა მათთვის გადარჩენის სახარებაში ღრმად ჩაწვდომის შესაძლებლობა მიეცა. ხანდახან ისმოდა შეკითხვები: "მიიღებს თუ არა უფალი ჩემს მსხვერპლს? შემიწყალებს მე იგი? მომიტევებს მე თუ არა? პასუხი კი ასეთი იყო: "მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო ტვირთმძიმენო და მე მოგასვენებთ თქვენ!" (მათ. 11:28).

ისინი რწმენით მიმართავდნენ უფლის აღთქმას და სიხარულით აღიარებდნენ: "აღარ გვჭირდება წმიდა ადგილებში სალოცავად დამქანცველი სიარული და ამის გამო ტანჯვა. შემიძლია წარვდგე იესოს

წინაშე ისეთი, როგორიც ვარ: ცოდვილი და მანკიერი, რადგან შეისმენს იგი ჩვენი მონანიების ლოცვებს და გვეტყვის: "მოგეტევებათ ცოდვები თქვენი". და ჩემი ცოდვებიც კი იქნება მიტევებული!"

წმიდა სიხარულის ნაკადი ავსებდა მათ გულებს და ხდებოდა იესოს სახელის ამაღლება და განდიდება. ეს ბედნიერი სულები ბრუნდებოდნენ შინ, რათა მიღებული ნათელი სხვებისთვისაც გაეზიარებინათ და ხალხს შეძლებისდაგვარად ამცნობდნენ თავისი განცდების შესახებ, თუ როგორ იპოვეს ჭეშმარიტი და ცოცხალი გზა. წმიდა წერილის სიტყვებში ჩადებული იყო გამარჯვების საოცარი ძალა, უშუალოდ მოქმედი ჭეშმარიტების

მიღების მსურველის გულზე. ეს იყო უფლის დამაჯერებელი ხმა.

ჭეშმარიტების მაცნე თავის გზას განაგრძობდა, დარჩენილნი კი დიდხანს საუბრობდნენ მის მოკრძალებულ გარეგნობაზე, სერიოზულობაზე და მსახურების მხურვალე სურვილზე. ხშირ შემთხვევაში მსმენელები არ ეკითხებოდნენ მას, საიდან მოვიდა ან საით მიდის. საუბრის დასაწყისში ისინი იმდენად განცვიფრებული, ხოლო მის დასასრულს - მადლიერებისა და სიხარულის გრძნობით აღვსილი იყვნენ, რომ სხვა ალარაფერი ახსოვდათ და არც არაფერს ეკითხებოდნენ. ხოლო როდესაც დაჟინებით ეპატიჟებოდნენ რომელიმე სახლში, იგი პასუხობდა,

რომ მიეჩქარება გზააბნეულ ცხვრებთან. "იქნებ ეს ზეცით ჩამოსული ანგელოზია?" - გაკვირვებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს ადამიანები.

და უმრავლეს შემთხვევაში ველარც ხვდებოდნენ იმას, ვინც მათ გულებში ჭეშმარიტების თესლი დათესა. იგი სხვა ქვეყნებისაკენ მიემართებოდა ან თავის სიცოცხლეს ამთავრებდა რომელიმე საპყრობილის კედლებში, ან იმ ადგილებში, სადაც ოდესღაც ჭეშმარიტების შესახებ მოწმობდა. მაგრამ მისგან დატოვებული სიტყვა არ კვდებოდა. იგი თავის საქმეს აკეთებდა ადამიანთა გულებში და მისი შედეგები მხოლოდ სამსჯავროს დღეს გაცხადდება.

ვალდენსელი მისიონერები სატანის სამფლობელოებში იჭრებოდნენ, ამიტომ ბოროტი ძალები ფხიზლობდნენ. ბოროტების მეფე ყურადღებით ადევნებდა თვალს ჭეშმარიტების გზაზე გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და თავის ქვეშევრდომთ შიშის გრძნობას უნერგავდა. პაპის ხელისუფლება ხედავდა, რომ ამ სახარების მოკრძალებულ მაცნეთა შრომა დიდ საფრთხეს უქმნის პაპის ავტორიტეტს: თუკი იგი დაუშვებს ბნელში სინათლის სხივის შემოჭრას, მაშინ გაიფანტება ხალხისათვის თავსმოხვეული სიცრუის შავი ღრუბელი, და ადამიანთა ფიქრები წარიმართება მხოლოდ ღმერთისაკენ,

ეს კი, საბოლოოდ, რომის უმაღლესი ხელისუფლების დამხობას ნიშნავდა.

თავად ამ პირვანდელი, ჭეშმარიტი რწმენის მატარებელი ადამიანების არსებობაც კი საშიში და სახიფათო იყო რომის მმართველობისათვის, რადგან მათი მოწმობით ნათლად იკვეთებოდა პაპის ეკლესიის განდგომილება და სწორედ ეს იყო მათი სიძულვილისა და ქრისტიანთა საშინელი დევნის მიზეზი. როცა მათ ბიბლიის უარყოფა მოითხოვეს, ვალდენსთა სასტიკმა უარმა მთლად გააცოფა პაპი. მან ასეთი პასუხი თავის პირად შეურაცხყოფად ჩათვალა და გადაწყვიტა ვალდენსთა ალგვა "პირისაგან მიწისა!" დაიწყო საშინელი ჯვაროსნული ლაშქრობები მთის ხეობას შეფარებულ ღვთის

შვილთა წინააღმდეგ. მათ ყველგან სდევნიდა ინკვიზიცია. განმეორდა ძველი ტრაგედია: უდანაშაულო აბელის მკვლელობა ბოროტი კაენის ხელით.

და კვლავ უპატრონოდ რჩებოდნენ ვალდენსთა დამუშავებული ნოყიერი ყანები. მიწასთან ასწორებდნენ მათ ქოხებსა და სამლოცველოებს. და ამ მშვიდობიან, შრომისმოყვარე ადამიანთა ერთ დროს აყვავებული მინდვრები და საცხოვრებლები უკაცრიელი ხდებოდა. როგორც მტაცებელი ცხოველი სისხლის დანახვაზე უფრო მეტად შმაგდება, ასევე პაპის დამქაშებსაც უფრო მეტი მძვინვარება ეუფლებოდათ მსხვერპლის წამებისას. ბევრ ჭეშმარიტ მოწმეს ამ მთების

გადალმაც კი, დაბურულ ტყეებში და კლდოვან ფერდობებზე დევნიდნენ.

ეს იყო მცირერიცხოვანი, მაგრამ ზნეობრივად ამაღლებული ხალხი. თვით ვალდენსთა მტრებიც კი ამბობდნენ, რომ ისინი მეტად მშვიდი და ღვთისმოსავი ხალხია. მათი უდიდესი დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ არ სურდათ ისეთი ღვთისმსახურება, როგორსაც პაპი მათგან მოითხოვდა. და ამ დანაშაულისათვის მათ ამცირებდნენ, შეურაცხყოფდნენ და ხოცავდნენ იმ საშინელი წამებით, რომლის გამოგონებაც კი სატანასა და ადამიანებს შეეძლოთ.

ბოლოს რომმა ამ საძულველი სექტის სრული განადგურება გადაწყვიტა. პაპმა გამოსცა ბულა,

რომლის თამაᲮმადაც ისინი, როგორც ერეტიკოსები, სიკვდილს იმსაᲮურებდნენ. მათ არ ადანაშაულებდნენ მაწანწალობაში, უსაქმურობასა და უზნეობაში, პირიქით, გამოცᲮადებული იყო, რომ "ისინი გარეგნულად ღვთისმოსავნი და წმიდები არიან", რითაც აცდუნებენ "ჭეშმარიტ ცᲮვრებს". პაპმა ბრძანა დაუმორჩილებლობის შემთᲮვევაში "ამ საძულველი სექტის ბოროტმოქმედთა" განადგურებას "შᲮამიან გველთა" მსგავსად. უფიქრია თუ არა როდისმე ამ ქედმაღალ მმართველს, რომ მისი სიტყვები ჩაწერილია ზეციურ წიგნებში და შემონაᲮულია სამსჯავროს დღისათვის? "რაც კი

გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ" (მათ. 25:40).

ეს ბულა ეკლესიის წევრებს მოუწოდებდა გაერთიანებულიყვნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში ერეტიკოსთა წინააღმდეგ. ამ საშინელ საქმეში უფრო მეტი ხალხის ჩათრევის მიზნით პაპმა ჯვაროსნული ლაშქრობის ყველა მონაწილე გაანთავისუფლა "ეკლესიის მიერ დადებული ყოველგვარი საერო თუ პირადი სასჯელისაგან. ბულა ლაშქრობის მონაწილეებს ათავისუფლებდა ადრე დადებული ფიცისაგან, დაუკანონა უფლება ყოველგვარი ურჯულოების გზით შეძენილ საკუთრებაზე და ყველა ცოდვის მიტევებას დაპირდა მათ, ვინც თუნდაც ერთ ერეტიკოსს

მოკლავდა. ბულამ გააუქმა ყოველგვარი შეთანხმება, დადებული ვალდენსთა სასარგებლოდ; მათ ჩამოერთვათ შინაურებთან რაიმე ურთიერთობის საშუალება; არავის ჰქონდა მათი დახმარების უფლება და ნებისმიერ მსურველს შეეძლო მისი ქონების მიტაცება". ეს საბუთი ნათელი დასტურია მისი ჭეშმარიტი ავტორის ბოროტი საქმეებისა, რომელშიც ქრისტეს ხმის ნაცვლად დრაკონის ღრიალი ისმის.

პაპის ხელისუფლება მოქმედებდა არა ღმერთის კანონების, არამედ საკუთარი საზომის მიხედვით და ყველას აიძულებდა, დამორჩილებოდა. ასეთი იყო რომის ნება. ადგილი ჰქონდა საშინელ ტრაგედიებს. გარყვნილი,

ღვთისმგმობი სამღვდელოება და პრელატები სატანის საქმეს აკეთებდნენ. მათ არ იცოდნენ, თუ რა არის შეწყალება. იგივე სული, რომელმაც ჯვარს აცვა ქრისტე და ხოცავდა მოციქულებს, რომელმაც თავის დროზე ქრისტიანთა წინააღმდეგ განაწყო სისხლისმსმელი ნერონი, ახლაც ღვთის მოყვარულთა გასანადგურებლად მოქმედებდა.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ღვთის ხალხი ერთგული მოთმინებით იტანდა საშინელ დევნას თავისი გამომსყიდველის განდიდებისათვის. მიუხედავად ჯვაროსნული ლაშქრობებისა და უმოწყალო სისხლისღვრისა, თავის მაცნეთა მეშვეობით იგი კვლავ განაგრძობდა ძვირფასი

ჭეშმარიტების გავრცელებას. ღვთის შვილებს დევნიდნენ და კლავდნენ, მაგრამ მათი სისხლი რწყავდა დათესილ თესლს, რომელმაც ნაყოფი გამოიღო. ასე მოწმობდნენ ვალდენსები ღმერთის შესახებ საუკუნეთა განმავლობაში ლუთერის დაბადებამდე. სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულები, ისინი რეფორმაციის თესლს თესავდნენ, რომელიც უიკლიფის პერიოდში დაიწყო, ფართო გაქანება ჰპოვა ლუთერის მოღვაწეობის დროს და ბოლო ჟამამდე გაგრძელდება მათი მეშვეობით, ვინც თანახმაა ყველაფერი აიტანოს "ღვთის სიტყვისათვის და იესო ქრისტეს მოწმობისათვის" (გამოცხ. 1:9).

თავი 5 ჭეშმარიტების ნათელი ინგლისში ჯონ უიკლიფი (1324-1384)

რეფორმაციამდე ბიბლიის ეგზემპლიარები ძალიან მცირე რაოდენობით არსებობდა, მაგრამ ღმერთმა არ დაუშვა თავისი სიტყვის დაკარგვა. მისი ჭეშმარიტება არ უნდა დარჩენილიყო სამუდამოდ დაფარული. უფალს შეეძლო ისევე დაემსხვრია სიცოცხლის სიტყვის შემბოჭავი ბორკილები, როგორც ერთ დროს საპყრობილის კარი და ჩარაზული რკინის კარიბჭე გახსნა თავის მსახურთა გასათავისუფლებლად. სხვადასხვა ქვეყნებში სულიწმიდის ძალის ზემოქმედებით ადამიანები ეძებდნენ ჭეშმარიტებას, როგორც დამალულ საგანძურს. სულიწმიდის ზეგავლენით მათ მიმართეს წმიდა წერილს და დიდი ინტერესით

დაიწყეს მისი შესწავლა. ისინი მზად იყვნენ ყოველგვარი მსხვერპლი გაელოთ, ოლონდ შეეცნოთ ნათელი. და თუმცა ეს ადამიანები ყველაფერს ერთბაშად ვერ ჩასწვდნენ, მაგრამ აქამდე დაფარული ბევრი ჭეშმარიტება მათთვის ნათელი და გასაგები გახდა. ზეციური მაცნეების მსგავსად მათ იწყეს სიცრუისა და ცრურწმენის ბორკილების მსხვრევა და თავისუფლების დაცვისაკენ მოუწოდებდნენ მათ, ვინც ასე დიდხანს იმყოფებოდა სიცრუის ტყვეობაში.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ღვთის სიტყვის წაკითხვა მხოლოდ განათლებული ხალხისათვის ხელმისაწვდომ ენაზე შეიძლებოდა. გამონაკლისი მხოლოდ ვალდენსები

იყვნენ. მაგრამ დადგა დრო, როდესაც წმიდა წერილი მრავალ ენაზე ითარგმნა და ადამიანებს მისი მშობლიურ ენაზე წაკითხვის შესაძლებლობა მიეცათ. კაცობრიობისთვის შუალამის წყვდიადმა განვლო და მრავალ ქვეყანაში ამომავალმა მზის სხივებმა თანდათანობით გაფანტა იგი.

მე-14 საუკუნეში ინგლისში "რეფორმაციის ვარსკვლავი ამობრწყინდა". ჯონ უიკლიფი იყო არა მხოლოდ თავისი ქვეყნის, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის რეფორმათა მაცნე. რომის საწინაალმდეგო მისი პროტესტის სიტყვა არ უნდა დადუმებულიყო. მისმა გამოსვლამ საფუძველი ჩაუყარა ბრძოლას,

რომელმაც თავისუფლება მოუტანა არა მხოლოდ ცალკეულ პიროვნებებს, არამედ ეკლესიებსა და მთელ ერებს.

უიკლიფმა საერო განათლება მიიღო. ღვთის შიში მისთვის სიბრძნის დასაწყისი იყო. კოლეჯში იგი გულმოდგინე ღვთისმოსაობით, გამორჩეული ნიჭითა და საფუძვლიანი ცოდნით გამოირჩეოდა. მას ცოდნისაკენ საოცარი ლტოლვა ჰქონდა და ცდილობდა შეესწავლა მეცნიერების ყველა დარგი. იგი სწავლობდა სქოლასტიკურ ფილოსოფიას, სამოქალაქო სამართალს და საეკლესიო კანონებს, განსაკუთრებით იმას, რაც მის სამშობლოს შეეხებოდა. მიღებული განათლება მას შემდგომში დიდად

გამოადგა. იმ პერიოდში გავრცელებული ფილოსოფიის სრულყოფილი ცოდნა მას დაეხმარა ამ საგნის შეცდომათა მხილებაში, ხოლო საეკლესიო და სამოქალაქო სამართლის შესწავლამ სიტყვისა და რელიგიის თავისუფლებისათვის საბრძოლველად მოამზადა. იგი ოსტატურად ფლობდა ღვთის სიტყვის აუცილებელ იარაღს, კარგად შეისწავლა ჰუმანიტარული საგნები, იცნობდა სქოლასტების ტაქტიკას. მისი ტალანტი და მრავალმხრივი განათლება პატივისცემას უნერგავდა არა მხოლოდ მეგობრებს, არამედ მის მტრებსაც. მისი მიმდევრები ამაყობდნენ თავიანთი წინამძღოლით, რომელსაც დიდი ადგილი ეჭირა საზოგადოებაში.

მტრები კი რეფორმაციის საქმის შეურაცხყოფას ვერ ბედავდნენ მისი დამცველის ძლიერების გამო.

უიკლიფმა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაიწყო ბიბლიის შესწავლა. იმ დროს ბიბლიის წაკითხვა მხოლოდ რომელიმე ძველ ენაზე იყო შესაძლებელი და ამის გამო მხოლოდ სწავლულებს შეეძლოთ ჭეშმარიტების წყაროსკენ გზის გაგნება, რაც გაუნათლებელი ხალხისთვის ღრმა საიდუმლოდ რჩებოდა. ამგვარად, უიკლიფს, როგორც რეფორმატორს, მომავალი საქმიანობისთვის გზა უკვე გაკვლეული ჰქონდა.

მანამდე კი მას ცოდნის შეძენის ამოუხსნელი სურვილი ეუფლებოდა,

რაც ვერ დაიკმაყოფილა ვერც სქოლასტიკურ და ვერც ღვთისმეტყველურ მეცნიერებათა შესწავლით. და მხოლოდ წმიდა წერილში იპოვა მან ის, რასაც ამდენ ხანს ეძებდა. მან სწორედ მასში დაინახა გადარჩენის სრული გეგმა და მის წინაშე ქრისტე წარსდგა, როგორც ადამიანის ერთადერთი მეოხი და დამცველი. უიკლიფმა მთელი თავისი მოღვაწეობა ქრისტეს მიუძღვნა და მტკიცედ გადაწყვიტა თავისთვის გახსნილ ჭეშმარიტებათა ქადაგება.

მომდევნო რეფორმატორების მსგავსად, უიკლიფმა თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ვერ განჭვრიტა თავისი საქმიანობის ყველა შედეგი. იგი არ აპირებდა

რომთან დაპირისპირებას, მაგრამ ჭეშმარიტებისადმი ერთგულებამ სიცრუესთან ბრძოლამდე მიიყვანა. რაც უფრო ნათელი ხდებოდა მისთვის პაპის სიცრუე, მით უფრო მხურვალედ ქადაგებდა ბიბლიურ ჭეშმარიტებას. მისთვის აშკარა გახდა, რომ რომმა ღვთის სიტყვას ადამიანური კეთილდღეობა არჩია. იგი უშიშრად ადანაშაულებდა სამღვდელოებას წმიდა წერილის უარყოფაში და მოითხოვდა ბიბლიის დაბრუნებას ხალხისთვის და ეკლესიებში მისი გავლენის აღდგენას. იგი მეტად ნიჭიერი, სერიოზული მოძღვარი და მჭევრმეტყველი მქადაგებელი იყო, ხოლო ყოველდღიური ცხოვრებით თავისი ქადაგების ჭეშმარიტებას

ადასტურებდა. ბიბლიის ღრმა შეცნობამ, შორსმჭვრეტელმა გონებამ, ცხოვრების სიწმინდემ, შეურყეველმა სიმამაცემ და სამართლიანობამ საყოველთაო პატივისცემა და ნდობა მოუტანა მას. ბევრ მის თანამედროვეს არ აკმაყოფილებდა მათი ტრადიციული რელიგია, ისინი ილაშქრებდნენ რომის ეკლესიაში გამეფებული ურჯულოების წინააღმდეგ და დაუფარავი სიხარულით ისმენდნენ უიკლიფის მიერ ნაქადაგებ ჭეშმარიტებას. ხალხზე ამ რეფორმატორის უდიდეს გავლენას პაპის წინამძღოლები მძვინვარებით ადევნებდნენ თვალყურს.

უიკლიფს ოსტატურად შეეძლო სიცრუის მხილება და უშიშრად

გამოდიოდა რომის მხარდაჭერით ჩადენილი მრავალრიცხოვანი ბოროტების წინააღმდეგ. მან, ინგლისის მეფის კაპელანმა (მღვდელმა), გაბედულად ამხილა და გაკიცხა პაპი იმ გადასახადისათვის, რომელიც ინგლისის მონარქს დაუწესა, მიუთითა რა იმაზე, რომ პაპის მიერ სამოქალაქო ხელისუფლების ხელყოფა ეწინააღმდეგება როგორც ლოგიკას, ასევე ჭეშმარიტებას. პაპის მოთხოვნები უწინაც დიდ ალშფოთებას იწვევდა, მაგრამ ახლა უიკლიფის გამოსვლამ დიდად იმოქმედა სახელმწიფო მოღვაწეებზე. მეფემ და დიდებულებმა ერთობლივად თქვეს უარი პაპისათვის ხარკის გადახდაზე და

ამგვარად, ინგლისში პაპის ავტორიტეტი დიდად დაეცა.

მეორე ბოროტება, რომლის წინააღმდეგაც რეფორმატორი ხანგრძლივ, შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა, იყო მოხეტიალე ბერების ორდენების დაარსება. ბერებმა მთელი ინგლისი წალეკეს და ეს მეტად სერიოზულ დაბრკოლებად იქცა ერის განვითარებისა და კეთილდღეობის საქმეში. მათი უარყოფითი გავლენა იგრძნობოდა ეკონომიკაში, განათლებასა თუ ზნეობრივ სფეროში. მოხეტიალე ბერთა უსაქმური ყოფა ინგლისის მშრომელ ხალხს მძიმე ტვირთად დააწვა მხრებზე. ისინი იძულებული იყვნენ შეენახათ ეს საძმოები, მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ

გაუფასურდა შრომა. მათ განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონიეს ახალგაზრდობაზე. ოჯახურ ურთიერთობათა სიმტკიცეს საფრთხე დაემუქრა. ბერთა ზეგავლენით ბევრი ტოვებდა ოჯახს და ბერად ალიკვეცებოდა ხოლმე მონასტრებში მშობლების თანხმობის გარეშე, მათი ნების საწინააღმდეგოდ. კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთმა მამამთავარმა, რომელიც ამ ორდენის მოთხოვნას ყველა ოჯახურ მოვალეობაზე მაღლა აყენებდა, განაცხადა: "მამა რომ ქვითინითა და მოთქმით დაგიდგეს წინ, შენი კარის ზღურბლზე გაწვეს და თვალცრემლიანმა დედამ რომ თანაგრძნობა გთხოვოს და გაგახსენოს, რომ მუცლით გატარა და

ძუძუ გაწოვა, გადააბიჯე მათ და იესოსკენ იჩქარე". ასეთი "საზარელი არაადამიანობა", როგორც მოგვიანებით უწოდა მას მარტინ ლუთერმა, "უფრო მგლური, მხეცური სულის გამოხატულება იყო, ვიდრე ქრისტიანულისა და ადამიანურისა", დიდად ამწვავებდა მშობელთა და შვილთა ურთიერთობას. სამღვდელოებამ, ძველ ფარისეველთა მსგავსად, ასე უარყო უფლის მცნებები საკუთარი ინტერესებისათვის და დააკნინა ღვთის მცნება. შედეგად ინგრეოდა ოჯახები და ხანდაზმული მშობლები შვილების გარეშე რჩებოდნენ.

მათმა ცრუ მჭევრმეტყველებამ უნივერსიტეტის სტუდენტებიც მოხიბლა და ბევრი მათგანი ამ

ორდენის წევრიც კი გახდა. შემდგომში ძალიან ბევრი ინანიებდა გადადგმულ ნაბიჯს, ხედავდა რა, თუ როგორ გაიფუჭა ცხოვრება და რა დიდი მწუხარება მიაყენა მშობლებს, მაგრამ ამ ბადეში ერთხელ მოხვედრის შემდეგ უკვე შეუძლებელი იყო მისგან გათავისუფლება. ამის გამო მშობლები უარს ამბობდნენ შვილების უნივერსიტეტში სასწავლებლად გაგზავნაზე, რადგან მათზე ბერთა ზეგავლენა დიდი იყო. ამიტომ ინგლისის უმაღლეს სასწავლებლებში დიდად შემცირდა სტუდენტთა რაოდენობა. შესაბამისად მცირდებოდა უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი და შედეგად იზრდებოდა უმეცრება.

პაპმა ბერებს ალსარების მიღებისა და ცოდვათა მიტევების უფლება მისცა. ეს კი უდიდესი ბოროტების წყარო გახდა. ისწრაფოდნენ რა გამდიდრებისაკენ, ბერები ისე სწრაფად და ადვილად მიუტევებდნენ ცოდვებს, რომ მათთან უწყვეტ ნაკადად დაიძრა დამნაშავეთა სამყაროს უამრავი წარმომადგენელი, რაც ხელს უწყობდა ბოროტებისა და მანკიერების გაფურჩქვნას. ავადმყოფთა და ღარიბთათვის განკუთვნილი შესაწირავები ბერების კუთვნილება ხდებოდა. ისინი ყველანაირი მუქარით ითხოვდნენ მოწყალებას და უარის მთქმელს ულმერთოს უწოდებდნენ. მოჩვენებითი სიღარიბის

მიუხედავად, ბერების შემოსავალი თანდათან იზრდებოდა; ორდენის მიერ აგებული დიდებული ნაგებობანი, საუცხოო საკვები, რომლითაც ტკბებოდნენ საძმოს წევრები, თვალსაჩინოს ხდიდა ერის ეკონომიურ უკუსვლას. სარგებლობდნენ რა ცხოვრების ყველა სიკეთით, ბერები აქეზებდნენ უმეცართ და ისინიც ხალხის გასაბრუებლად განუწყვეტლივ ყვებოდნენ სხვადასხვა სასწაულებისა და უჩვეულო ამბების შესახებ, იმეორებდნენ ლეგენდებს. ისინი თავიანთ ავტორიტეტს ცრურწმენის გავრცელების ხარჯზე ქმნიდნენ; ადამიანებს არწმუნებდნენ, რომ მათი რელიგიური მოვალეობაა პაპის უზენაესობის აღიარება,

წმიდანთა თაყვანისცემა და ბერებისათვის მოწყალების გაცემა. ხალხს დაჟინებით შთააგონებდნენ, რომ ამ წესების აღსრულება - პირდაპირი გზაა სამოთხისაკენ.

ამაო იყო სწავლულთა და ღვთისმოსავთა ყველა მცდელობა, შეეცვალათ მოხეტიალე ორდენთა სტატუსი. ამ ბოროტებას გამანადგურებელი დარტყმა მხოლოდ უიკლიფმა მიაყენა, რომელსაც უფრო შორსმჭვრეტელი გონება ჰქონდა. მან ამხილა ბერების სიცრუე და მოითხოვა ორდენის გაუქმება. ამ საკითხის გარშემო დებატები გაჩაღდა. მოხეტიალე ბერების პაპის ინდულგენციებით ვაჭრობამ ბევრი დააეჭვა: - სწორია თუ არა ფულით ცოდვების მიტევება? ადამიანები

მსჯელობდნენ: განა უკეთესი არ არის მიტევებისათვის მივმართოთ ღმერთს და არა პაპს? ბევრი ადამიანი შეაწუხა ბერების სიხარბემ, რომელსაც საზღვარი ალარ ჰქონდა. "ბერები და კათოლიკე მღვდლები კიბოსავით გვლრლნიან, - ამბობდნენ ისინი, - ღმერთმა უნდა გაგვათავისუფლოს, წინაალმდეგ შემთხვევაში დავილუპებით". თავიანთი სიხარბის გასამართლებლად ბერებს თავი მაცხოვრის მიმდევრებად მოჰქონდათ და აცხადებდნენ, რომ იესო და მისი მოწაფეებიც ხალხის შესაწირავებით სარგებლობდნენ. მათი ასეთი მტკიცება მათივე საწინაალმდეგოდ შემობრუნდა. ჭეშმარიტების დასადგენად ხალხმა ბიბლიის შესწავლა დაიწყო, ეს კი

სულაც არ შედიოდა რომის ზრახვებში. ადამიანებმა მიმართეს ჭეშმარიტების წყაროს, რომელსაც რომის ეკლესია გულდასმით მალავდა.

უიკლიფმა ბერების წინაალმდეგ სტატიების წერა და გამოქვეყნება დაიწყო არა მათთან კამათის გამართვის მიზნით, არამედ ბიბლიისა და მისი ავტორისაკენ ხალხის ყურადღების მისაპყრობად. მან განაცხადა, რომ პაპს ცოდვების მიტევების ან ვინმეს ეკლესიიდან მოკვეთის ისეთივე უფლება აქვს, როგორც ნებისმიერ ჩვეულებრივ მღვდელს და რომ არც ერთი ადამიანის მოკვეთა არ შეიძლება ეკლესიიდან ღმერთის სამსჯავროს გარეშე. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე

საგრძნობი დარტყმა, რომელიც უიკლიფმა პაპის მიერ მილიონობით ადამიანთა სულებზე აღმართულ სასულიერო და საერო ბატონობის უზარმაზარ მანქანას მიაყენა.

უიკლიფის სამსახურეობრივი მოვალეობა იყო ინგლისის სამეფო გვირგვინის დაცვა რომის ხელყოფისაგან. იგი დაინიშნა მეფის ელჩად და ორი წელი გაატარა ნიდერლანდებში, სადაც პაპის წარგზავნილთა თათბირებში ღებულობდა მონაწილეობას. იქ მას თავისუფლად შეეძლო ურთიერთობა საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის სამღვდელოებასთან, რამაც საშუალება მისცა გასცნობოდა რელიგიური ცხოვრების იმ მხარეებს, რომელიც აქამდე მისთვის

დაფარული იყო. საზღვარგარეთ ყოფნისას მან ბევრი რამ გაიგო და შეიმეცნა, მიღებული გამოცდილება დიდად გამოადგა შემდგომ მოღვაწეობაში. პაპის კარის წარმომადგენლებმა საბოლოოდ აუხილეს მას თვალი იერარქიის ჭეშმარიტ არსზე და მისწრაფებაზე. ინგლისში დაბრუნების შემდეგ მან უფრო მეტი თავგამოდებითა და პირდაპირობით განაახლა თავისი იდეების ქადაგება. რეფორმატორი ამტკიცებდა, რომ რომის ჭეშმარიტი ღმერთებია სიხარბე, ამპარტავნება და სიცრუე.

თავის ერთ-ერთ ტრაქტატში იგი ასე ახასიათებდა პაპს და მის მიმდევრებს: "ისინი იტაცებენ ყველაფერს, რაც ღარიბთა არსებობის

უზრუნველსაყოფად არის
განკუთვნილი. ამასთან ერთად მეფის
ხაზინიდან უამრავი ფული გადის
მათ საეკლესიო საიდუმლოებათა
ალსასრულებლად და სხვა
საჭიროებებისათვის, - მათი
დაწყევლილი ერესისათვის,
რომელსაც სამუსი ჰქვია, რასაც
ქრისტიანებს ძალით ახვევენ თავს.
ჩვენს ქვეყანაში ხელუხლებელი
უზარმაზარი ოქროს მთა რომ
არსებობდეს და მას არავინ მიეკაროს
ამ პატივმოყვარე საყოველთაო
ეკლესიის გადასახადის ამკრეფის
გარდა, მისგან დროთა განმავლობაში
არაფერი დარჩებოდა; რადგან მას
მიაქვს მთელი ჩვენი ფული და
სანაცვლოდ არაფერს გვაძლევს,

ღვთის რისხვის გარდა მათი ერესის გამო".

ინგლისში დაბრუნების შემდეგ უიკლიფი მეფის მიერ დანიშნულ იქნა ლუთერვორტის რექტორატში მსახურებისათვის. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ინგლისის მეფე სულაც არ იყო მისი გაბედული გამოსვლებით უკმაყოფილო. უიკლიფის ზეგავლენა იგრძნობოდა როგორც სამეფო კარის ცხოვრებაში, ასევე მთელი ერის აღორძინების საქმეში.

მაგრამ უიკლიფს რომის რისხვა სულ მალე დაატყდა თავს. ინგლისში გაგზავნილ იქნა სამი ბულა - უნივერსიტეტში, მეფის სახელზე და პრელატებისთვის, რომელშიც პაპი ამ ერეტიკოსი მქადაგებლის

დასადუმებლად გადამწყვეტი ზომების მიღებას ითხოვდა. ჯერ კიდევ პაპის ბულების მიღებამდე განრისხებულმა ეპისკოპოსებმა უიკლიფი სასამართლოზე გამოიძახეს, სადაც იგი გამოცხადდა კიდეც ქვეყნის ორი უძლიერესი პრინცის თანხლებით; მათ თან ადამიანთა ხალხმრავალი პროცესია მიაცილებდა. ისინი სასამართლოს შენობაში შეიჭრნენ და ისე შეაშინეს მსჯავრმდებელნი, რომ უიკლიფის საქმის განხილვა გადაიდო და გარკვეული დროის განმავლობაში მან კვლავ შესძლო მოღვაწეობის გაგრძელება. მალე ედუარდ რომლის ხანდაზმულობითაც სარგებლობდნენ პრელატები და ცდილობდნენ იგი რეფორმატორის

წინაალმდეგ განეწყოთ, გარდაიცვალა და ქვეყნის რეგენტად კვლავ უიკლიფის ადრინდელი მფარველი დაჯდა.

მაგრამ პაპი თავის ბულებში მეფეს ავალდებულებდა დაეპატიმრებინა და ციხეში ჩაეგდო ერეტიკოსი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას კოცონზე დაწვა ელოდა. ყველას ეგონა, რომ მას ვერავინ ააცილებდა რომის რისხვას. მაგრამ მან, ვინც ერთ დროს უთხრა თავის მორჩილს: "ნუ გეშინია, რადგან ფარი ვარ შენი" (დაბ. 15:1), კვლავ გაუწოდა დახმარების ხელი თავის მსახურს და გადაარჩინა იგი. სიკვდილი ეწვია არა რეფორმატორს, არამედ მისი განადგურების ბრძანების ავტორს - პაპს. გრიგორი გარდაიცვალა და საეკლესიო

სასამართლო, რომელსაც უიკლიფის ბედი უნდა გადაეწყვიტა, არ შედგა.

ღვთის შორსმჭვრეტელობა კვლავ განაგრძობდა შემდგომი მოვლენების მართვას და ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა რეფორმაციის განვითარებისათვის. გრიგორის სიკვდილის შემდეგ პაპის ტახტზე არჩეულ იქნა ორი პიროვნება, რომელნიც ერთმანეთს მეტოქეობას უწევდნენ. ორივე მხარე სახალხოდ აცხადებდა თავის უცოდველობას და მოითხოვდა უსიტყვო მორჩილებას. ყოველი მათგანი მორწმუნეებს მეტოქის წინაალმდეგ ომისაკენ მოუწოდებდა. მოწოდებებს თან ახლდა საშინელი წყევლა-კრულვა მოწინაალმდეგის მისამართით და ზეციურ ჯილდოთა დაპირება

ერთგულთათვის. ასეთმა მდგომარეობამ დაასუსტა პაპის ძალაუფლება. ამ დაპირისპირების დროს უიკლიფი მათი ყურადღების მილმა დარჩა. პაპები კი ერთმანეთს ლანძღავდნენ და ანათემას გადასცემდნენ. ძალაუფლებისა და ავტორიტეტის განმტკიცების მცდელობას თან ახლდა სისხლისღვრა. დანაშაული და აშკარა სკანდალი ეკლესიაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ დროს კი ლუთერვორტის სამრევლოში განმარტოებული რეფორმატორი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ხალხის ყურადღება ორი ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი პაპისაგან სამყაროს მეფეზე, იესო ქრისტეზე გადაეტანა.

პაპთა შორის განხეთქილებამ თავისი დამლუპველი შედეგებით გზა მოუმზადა რეფორმაციას, რადგან ხალხმა შესძლო პაპის ხელისუფლების ჭეშმარიტი სახის დანახვა. თავის ტრაქტატში "პაპებს შორის განხეთქილების შესახებ" უიკლიფი ხალხს სთხოვდა ემსჯელა იმაზე, რომ არც ისე ტყუის ეს ორი მლვდელი, როდესაც ერთმანეთს ანტიქრისტეს უწოდებს. "ღმერთი ალარ დაუშვებს იმას, რომ მხოლოდ ერთ მათგანში იყოს ეშმაკი... არამედ განხეთქილების სული მისცა მათ, რათა ასეთი გზით ადამიანებმა ქრისტეს სახელით ადვილად მოიპოვონ მათზე გამარჯვება" - წერდა უიკლიფი.

უიკლიფი თავისი უზენაესი მასწავლებლის მსგავსად სახარებას უქადაგებდა ღარიბებს. ის ვერ დაუშვებდა, რომ ჭეშმარიტების ნათელი მხოლოდ ლუთერვორტის სამრევლოში გავრცელებულიყო და გადაწყვიტა, ის მთელი ინგლისისათვის მიეძღვნა. ამ განზრახვით მან ჩამოაყალიბა მქადაგებელთა ჯგუფი უბრალო, განათლებული და ჭეშმარიტების ერთგული ადამიანებისაგან, რომელთაც სახარების გავრცელების უდიდესი სურვილი ჰქონდათ. ეს ადამიანები ქადაგებდნენ ყველგან; ბაზრის მოდნებზე; დიდი ქალაქების ქუჩებში და ფართო შარაგზებზე. ისინი ეძებდნენ უძლურებს, ავადმყოფებს, ღარიბებს და მათთან

ღვთიური მადლის სასიხარულო უწყება მიჰქონდათ.

იყო რა ოქსფორდის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორი, უიკლიფი ღვთის სიტყვას ქადაგებდა მის აუდიტორიებში. იგი იმდენად იყო გატაცებული თავისი საქმიანობით - სტუდენტებამდე მიეტანა ჭეშმარიტების სიტყვა, რომ მას "სახარების დოქტორი" შეარქვეს. მისი ცხოვრების ყველაზე დიდ მიზანს წარმოადგენდა ბიბლიის თარგმნა ინგლისურ ენაზე, რათა ყოველ მის თანამემამულეს საშუალება ჰქონოდა საკუთარ ენაზე წაეკითხა უფლის საოცარ საქმეთა შესახებ.

მაგრამ მისი საქმიანობა მოულოდნელად შეჩერდა.

მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ 60 წლისაც არ იყო, განუწყვეტელი შრომის, მეცნიერული მოღვაწეობისა და მოწინაალმდეგეთა თავდასხმების გამო იგი დასუსტდა, ნაადრევად დაბერდა და მძიმედ დაავადდა. ბერები დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ ამბავს. ისინი იმედოვნებდნენ, რომ უიკლიფი მწარედ მოინანიებდა იმ ბოროტებას, რომელიც ეკლესიას მიაყენა და სასწრაფოდ გაემართნენ მისკენ მისი ალსარების მოსასმენად. ავადმყოფის სარეცელთან, რომელიც, როგორც მისი მტრები იმედოვნებდნენ, მალე სასიკვდილო გახდებოდა, შეიკრიბნენ ოთხი ორდენის წარმომადგენლები ოთხ სახელმწიფო მოხელესთან ერთად: "სიკვდილის წინ, - მიმართეს მათ, -

მოინანიეთ თქვენი დანაშაული და უარყავით ყოველი თქვენი სიტყვა, ჩვენს წინაალმდეგ თქმული". რეფორმატორი ყურადღებით უსმენდა მათ. შემდეგ მოსამსახურეს სთხოვა მოხმარებოდა წამოჯდომაში, თავისი მშვიდი მზერა მიაპყრო მის წინაშე მდგომ პასუხის მომლოდინე ადამიანებს და წარმოსთქვა მტკიცე და ძლიერი ხმით, რომლის გაგონებაც ხშირად ჰზარავდა მათ: "მე არ მოვკვდები, არამედ ვიცოცხლებ, რათა კვლავ ვამხილო ბერთა ბოროტმოქმედება". დაბნეულმა და გაოცებულმა ბერებმა ნაჩქარევად დატოვეს იგი.

უიკლიფის სიტყვები აღსრულდა. იგი ცოცხალი დარჩა, რათა თავისი ხალხისათვის მიეცა რომის

წინაალმდეგ საბრძოლველად უძლიერესი იარაღი - ბიბლია, ზეცით მოვლენილი ღვთის სიტყვა ხალხთა გათავისუფლების, განათლებისა და სახარების გავრცელებისათვის. ბიბლიის თარგმნისას მას წინ მრავალი წინაალმდეგობა და სიძნელე ელობებოდა. ავადმყოფობით დაუძლურებულმა უიკლიფმა იცოდა, რომ ცოტა დრო რჩებოდა სამუშაოდ; იგი ხედავდა მის გარშემო გაჩალებულ ბრძოლას, მაგრამ წმიდა წერილის ალთქმით გამხნევებული, უშიშრად მიიწევდა წინ. მისი ღვთით მომადლებული ნიჭი სრული გაფურჩქვნის პერიოდში იყო; თავისი მდიდარი გამოცდილების წყალობით და უფლის განსაკუთრებული ძალის გამოვლინებით იგი მზად იყო ამ

მნიშვნელოვანი სამუშაოს შესასრულებლად. ქრისტიანებისათვის ამ მშფოთვარე და მღელვარე პერიოდში რეფორმატორი თავის ლუთერვორტის სამრევლოში, წუთისოფლის ბობოქარ ვნებათაგან მოშორებით, მშვიდად ასრულებდა თავის დანიშნულებას.

და ბოლოს, სამუშაო დასრულდა, - პირველად ისტორიაში ბიბლია ითარგმნა ინგლისურ ენაზე. ახლა ღვთის სიტყვა მთელი ინგლისისათვის გახდა მისაწვდომი. რეფორმატორს უკვე აღარ ეშინოდა არც საპყრობილეში ჩაგდებისა და აღარც კოცონზე დაწვისა. მან ინგლისელ ხალხს მისცა ნათელი, რომელიც აღარასოდეს ჩაქრებოდა. და

ამ უდიდესი სამუშაოს შესრულებით მან უფრო მეტი გააკეთა თავისი ქვეყნის აყვავებისა და უმეცრებისაგან გათავისუფლებისათვის, ვიდრე ბრძოლის ველზე გამარჯვებულმა რომელიმე ბრწყინვალე მხედართმთავარმა.

იმ დროს არ არსებობდა სტამბა და ბიბლიის გავრცელება მეტად გულმოდგინე, მძიმე შრომის შედეგად შეიძლებოდა. ბიბლიის შეძენის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ბევრი თვითონვე იწერდა, მაგრამ მასზე ადამიანთა მოთხოვნილებას ეს ვერ აკმაყოფილებდა. შეძლებული მყიდველები იძენდნენ მთელ ბიბლიას. სხვები კი - მის ცალკეულ წიგნებს. ხშირად მთელი ბიბლიის

შესაძენად რამდენიმე ოჯახი ერთიანდებოდა. ამგვარად, უიკლიფის ბიბლიამ სულ მოკლე ხანში უბრალო ადამიანთა ოჯახებისაკენ გაიკვლია გზა.

გონებრივმა გამოღვიძებამ ადამიანებს თვალი აუხილა პაპის მოძღვრებაზე და ხალხი ამ მონური მდგომარეობიდან გამოიყვანა. უიკლიფმა დაიწყო პროტესტანტიზმის ქადაგება - ქრისტეს რწმენით გადარჩენისა და წმიდა წერილის სიწმიდის შესახებ. მის მიერ მომზადებული მქადაგებლები ბიბლიასთან ერთად რეფორმატორის შრომებსაც ავრცელებდნენ და ამ მოღვაწეთა წარმატება ისეთი დიდი იყო, რომ

ინგლისის მოსახლეობის თითქმის ნახევარმა მიიღო ახალი რწმენა.

ბიბლიის გავრცელებამ მრავალი თავსატეხი გაუჩინა ეკლესიის მესვეურებს. ახლა მათ ელოდათ ბრძოლა უიკლიფზე უფრო ძლიერ ძალასთან, რომლის წინააღმდეგ მათი მახვილი უძლური აღმოჩნდა. იმ დროს ინგლისში არ არსებობდა ბიბლიის ამკრძალავი არც ერთი კანონი, რადგან აქამდე არ იყო ბიბლია მათ მშობლიურ ენაზე. შემდგომში ეს კანონები მიიღეს. ჯერჯერობით კი სამღვდელოების წინააღმდეგობის მიუხედავად, ღვთის სიტყვა თანდათან ვრცელდებოდა.

და პაპის ხელისუფლების წარმომადგენლებმა კვლავ

გადაწყვიტეს რეფორმატორის დადუმება. სამმა ტრიბუნალმა ვერ გატეხა უიკლიფი. ეპისკოპოსთა პირველ კრებაზე მისი შრომები ერეტიკულ ნაშრომებად გამოაცხადეს და ახალგაზრდა პრინცის რიჩარდ მხარდაჭერით სამღვდელოებამ მიიღო მეფის ბრძანებულება, რომელიც უფლებას იძლეოდა, შეეპყროთ ყოველი, ვინც ამ ერეტიკულ, შეჩვენებულ მოძღვრებას მხარს დაუჭერდა.

უიკლიფმა პარლამენტს მიმართა; მან ეროვნული კრების წინაშე უშიშრად ამხილა იერარქია და მოითხოვა ეკლესიის ნებართვით ჩადენილი ყველა დანაშაულის განხილვა. მან მეტად დამაჯერებლად ალწერა პაპის სამღვდელოების

სიხარბე და გარყვნილება. მისმა სიტყვებმა მტრებში დაბნეულობა და შიში გამოიწვია. უიკლიფის ადრინდელი მომხრეები და მიმდევრები იძულებული გახდნენ დანებებულიყვნენ და მის მტრებს ეგონათ, რომ მოხუცი, მარტოხელა, ყველასაგან მიტოვებული რეფორმატორი ქედს მოუხრიდა პაპის გვირგვინსა და კვერთხს. მაგრამ მოხდა პირიქით: პაპის მომხრეები თავად დამარცხდნენ. უიკლიფის მგზნებარე გამოსვლით შეშფოთებულმა პარლამენტმა გააუქმა მისი დევნის ბრძანებულება და რეფორმარტორი კვლავ თავისუფალი აღმოჩნდა.

მალე იგი მესამედ წარდგა სამეფოს უმაღლესი საეკლესიო სასამართლოს

წინაშე. პაპისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ ამჯერად ერეტიკოსს არ დაინდობდნენ და რომი გაიმარჯვებდა, ხოლო უიკლიფის მოღვაწეობას წერტილი დაესმებოდა. მათი ჩანაფიქრის განხორციელების შემთხვევაში უიკლიფი იძულებული გახდებოდა განდგომოდა თავის მოძღვრებას - წინაალმდეგ შემთხვევაში მას კოცონზე დაწვა ელოდა.

მაგრამ უიკლიფმა არ უარყო თავისი ნაშრომები - არც აპირებდა მლიქვნელობას. იგი გაბედულად იცავდა თავის მოძღვრებას და ბრალდებას უარყოფდა. მას არ აწუხებდა თავისი მომავალი და არ ზრუნავდა საკუთარ ბედზე, არამედ მსმენელებს აფრთხილებდა უფლის

სამსჯავროს შესახებ და მათ სიყალბესა და შეცდომებს მარადიული ჭეშმარიტების სასწორზე წონიდა. სასამართლო დარბაზში სულიწმიდის სუფევა იგრძნობოდა. ყველამ შეიგრძნო ღვთიური ზემოქმედება. ყველას ეძნელებოდა ამ ადგილის დატოვება. რეფორმატორის სიტყვები ღვთიური ისრებით გმირავდა მათ გულებს. მისდამი ერესში წაყენებული ბრალდება მთელი თავისი დამანგრეველი ძალით უიკლიფმა თვით ბრალმდებელთა წინაალმდეგ მიმართა. რატომ იცავენ ჯიუტად ისინი თავიანთ შეცდომებსა და სიცრუეს და ავრცელებენ მას? - დაჟინებით იმეორებდა ამ შეკითხვას რეფორმატორი. - ისინი უფლის

მადლით ვაჭრობენ თავიანთთვის სიმდიდრის მოსაპოვებლად.

"როგორ ფიქრობთ, ვის ებრძვით თქვენ? - იკითხა ბოლოს მან. - მოხუცს, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში უდგას? - არა! თქვენ ებრძვით ჭეშმარიტებას, მაგრამ ჭეშმარიტება თქვენზე ძლიერია და იგი აუცილებლად გაიმარჯვებს". ამ სიტყვებით მან დატოვა კრება და მის მოწინააღმდეგეთაგან ვერავინ გაბედა მისი შეჩერება.

უიკლიფმა თითქმის დაასრულა თავისი მოღვაწეობა. მისი ხელი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ჭეშმარიტების დროშას ატარებდა, მალე დაეშვებოდა, მაგრამ მას ერთხელ კიდევ უნდა დაემოწმებინა სახარებისადმი ერთგულება; მას

ჭეშმარიტება უნდა ექადაგა სიცრუის სამეფოს ცენტრში. უიკლიფი რომში პაპის ტრიბუნალის წინაშე გამოიძახეს, სადაც არაერთხელ დალვრილა მართალთა სისხლი. მან იგრძნო კარს მომდგარი საფრთხე, მაგრამ მოგზაურობაში დამბლას რომ არ შეეშალა ხელი, მაინც დაემორჩილებოდა რომის ბრძანებას. თუმცა უიკლიფის ხმა რომში ვერ გაიგონეს, მაგრამ მას ჯერ კიდევ შეეძლო კალმის ხელში დაჭერა და კიდეც ისარგებლა ამით. თავისი სამრევლოდან რეფორმატორმა პაპს გაუგზავნა წერილი და თუმცა ამ წერილში მოკრძალებული ტონი და ქრისტიანული სული იგრძნობოდა, მკაცრი კრიტიკაც იყო პაპის

ფუფუნებისა და ამპარტავნობის მიმართ.

"მე მეტად მოხარული ვარ, - წერდა იგი, - რომ ჩემი რწმენის შესახებ პირდაპირ და გახსნილად შემიძლია განვუცხადო ყოველ ადამიანს, განსაკუთრებით კი რომის ეპისკოპოსს, რომელიც ვიმედოვნებ, იმდენად სამართლიანი და მართალი იქნება, რომ დაამტკიცებს ჩემი რწმენის აღიარებას, ხოლო თუ ვცდები, მასწავლის ჭეშმარიტების გზას.

უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობ, რომ ქრისტეს სახარება, - ეს ღვთის კანონის არსია... და რადგანაც რომის ეპისკოპოსი ქრისტეს ნაცვალი ბრძანდება დედამიწაზე, იგი ყველა დანარჩენ ადამიანებზე უფრო მეტად

უნდა დაემორჩილოს სახარების კანონებს. რამეთუ ქრისტეს მოციქულთა სიდიადე არ გამოიხატება ამქვეყნიურ დიდებასა და პატივში, არამედ ქრისტესთან სიახლოვეში და უფლის კვალდაკვალ სიარულში ყველა მის საქმეში... ქრისტე დედამიწაზე ყოფნის დროს ერთ-ერთი ულარიბესი იყო ღარიბთა შორის, რომელსაც არავითარი ამქვეყნიური ძალაუფლება და დიდება არ გააჩნდა...

არც ერთმა გულწრფელმა ადამიანმა არ უნდა მიბაძოს არც პაპს ან რომელიმე წმიდანს იმაში, რაც არ პასუხობს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ცხოვრების პრინციპებს. რადგან პეტრემ და ზებედეს ძეებმა ამყვეყნიური დიდებისაკენ

სწრაფვით შესცოდეს, ამიტომ ჩვენ ასეთ შეცდომებს უნდა მოვერიდოთ...

პაპმა სამოქალაქო ხელისუფლებას უნდა გადასცეს ყველა თავისი მიწიერი სამფლობელო და სამლვდელოებასაც მოუწოდოს ამისაკენ, ვინაიდან ასე იქცეოდნენ ქრისტე და მოციქულები. თუკი მე ვცდები, მზადა ვარ მთელი მორჩილებით მივილო ნებისმიერი სასჯელი, თვით სიკვდილიც კი, თუ საჭირო იქნება; მე თვითონ ვეახლებოდი რომის ეპისკოპოსს, რომ შემეძლოს, მაგრამ უფალმა გადაწყვიტა ჩემი აქ დარჩენა ჩემივე სურვილის წინააღმდეგ და მე უნდა დავემორჩილო ღმერთს უფრო მეტად, ვიდრე ადამიანებს..."

დასასრულს იგი წერდა: "ვილოცებ იმისათვის, რომ უფალი დაეხმაროს ჩვენს პაპს ურბან მის კეთილ VI წამოწყებაში, რათა ის და მისი სამღვდელოება თავიანთი ცხოვრებითა და საქმეებით გაჰყვნენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ნაკვალევს, რათა ჭეშმარიტება შეასწავლონ ხალხს, რომელმაც თავის მხრივ, უნდა უსმინოს მათ..."

ამგვარად მან პაპსა და კარდინალებს ქრისტეს თავმდაბლობა და მორჩილება წარუდგინა და ამით არა მარტი მათ, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროს უჩვენა განსხვავება რომის სამღვდელოებასა და უდიდეს მოძღვარს შორის, ვის

წარმომადგენლადაც თვლიდნენ ისინი თავს.

უიკლიფი სრულიად დარწმუნებული იყო იმაში, რომ ერთგულებისათვის სიცოცხლის განწირვა მოუწევს. მეფე, პაპი და ეპისკოპოსები გაერთიანდნენ მის დასალუპად და ფიქრობდა, რომ კოცონი არ ასცდებოდა, მაგრამ მისი სიმამაცე არ შერყეულა. "რატომ ფიქრობთ, რომ ტანჯვის გვირგვინი თქვენგან შორსაა? უქადაგეთ ქრისტეს სახარება ამაყ პრელატებს და მოწამეობრივ სიკვდილს ვერსად გაექცევით. რა? ვიცოცხლო და გავჩუმდე?... არასოდეს! დაე, დამატყდეს თავს უბედურება, მე ველი მას..."

მაგრამ უფალი კვლავ იცავდა თავის მსახურს. ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გაბედულად იცავდა ჭეშმარიტებას და რომელსაც ყოველდღე სასიკვდილო საფრთხე ელოდა, არ უნდა ჩავარდნოდა ხელში თავის დაუძინებელ მტრებს. უიკლიფი არასოდეს არ იმალებოდა; მისი პატრონი და მფარველი უფალი იყო. და ახლაც, როდესაც მისი მტრები დარწმუნებული იყვნენ გამარჯვებაში, უფლის ხელმა თავისი მსახური მათთვის მიუვალ ადგილას გადამალა: სწორედ მაშინ, როდესაც იგი ზიარების საიდუმლოს ალსასრულებლად მოემზადა, მას დამბლა დაეცა და მალე გარდაიცვალა.

უფალმა უიკლიფს გარკვეული საქმე დაავალა. მან ჩადო მის ბაგეებში ჭეშმარიტების სიტყვა და იცავდა მას, რათა ეს სიტყვა ხალხის საკუთრება გამხდარიყო. იგი იფარავდა მის სიცოცხლეს და ნაშრომებს, სანამ საძირკველი არ მომზადდა მომავალი რეფორმაციის დიდებული საქმეებისთვის.

უიკლიფმა გადალახა შუა საუკუნეების წყვდიადი. ის პირველი გავიდა ამ გზაზე და ვინმეს ნაშრომებზე არ აუგია რეფორმაციის უდიდესი საქმე. იოანე ნათლისმცემლის მსგავსად, რომელიც მოწოდებული იყო განსაკუთრებული ჭეშმარიტების სახარებლად, ის ახალი ერის დასაწყისის მაცნე იყო. მიუხედავად ამისა, მისეული

ჭეშმარიტების შემეცნება სავსე, სრულყოფილი იყო და მას 100 წლის შემდეგაც ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა. მის მიერ გაჭრილი საძირკველი იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველი, ხოლო მასზე დაშენებული ნაგებობა ისეთი მტკიცე და უნაკლო იყო, რომ მას რეკონსტრუქცია ალარ დასჭირვებია.

უიკლიფის მიერ დაწყებული დიადი მოძრაობა, რომელსაც უნდა გამოეფხიზლებინა ადამიანთა გონება და სინდისი, გაეთავისუფლებინა რომის მიერ დამონებული ერები, სათავეს ბიბლიიდან იღებს. სწორედ აქედან მოედინება ის კურთხევის წყარო, რომელიც სიცოცხლის წყლის მსგავსად, მე-14 საუკუნიდან მოყოლებული, ყველა საუკუნეში

მიედინება. უიკლიფმა წმიდა წერილი მიიღო სრული რწმენით, როგორც უფლის ნების შთამაგონებელი გამოცხადება, როგორც რწმენისა და ცხოვრების ზუსტი საზომი. მას ბავშვობიდან უნერგავდნენ რომის ეკლესიის, როგორც ღვთიური, უმწიკვლო ავტორიტეტის პატივისცემას და ეჭვსგარეშეა, ისიც მოწიწებით ხრიდა თავს მისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების წინაშე. მაგრამ ეს ყველაფერი მიატოვა, რათა უფლის წმიდა სიტყვისთვის მიემართა. ეს ის უდიდესი ავტორიტეტი იყო, რომელსაც იგი ხალხს უქადაგებდა. იგი არწმუნებდა მათ: ჭეშმარიტი ავტორიტეტია არა ეკლესია, რომელიც პაპის მეშვეობით მიმართავს ხალხს,

არამედ უფალი, თავისი ჭეშმარიტი სიტყვით. იგი ქადაგებდა, რომ ბიბლია არის უფლის ნების სრული გამოცხადება, ხოლო სულიწმიდა - მისი ერთადერთი გამომცხადებელი, და ყოველმა ადამიანმა წმიდა წერილის შესწავლისას მისი დახმარებით უნდა შეიგრძნოს თავისი მოვალეობა უზენაესის წინაშე. ამით უიკლიფი პაპისა და რომის ეკლესიის მიმდევრებს მიუთითებდა ჭეშმარიტების, ღვთის სიტყვის შემეცნების გზისაკენ.

უიკლიფი ერთ-ერთი გამოჩენილი რეფორმატორი იყო. მხოლოდ მის რამდენიმე მიმდევარს შეიძლებოდა ჰქონოდა ისეთი ღრმა ინტელექტი, ნათელი აზროვნება, ჭეშმარიტებისადმი ერთგულება და

სიმამაცე მის დასაცავად, როგორიც უიკლიფს ჰქონდა. ცხოვრების სიწმინდე, დაუღალავი სწრაფვა ცოდნის გაღრმავებისა და შრომისაკენ, მოუსყიდველი პატიოსნება, ქრისტესმიერი ერთგულება და სიყვარულით მსახურება - ასეთი იყო ამ ერთ-ერთი პირველი რეფორმატორის დამახასიათებელი თვისებები. და ეს ყველაფერი იმდროინდელი სულიერი სიბნელისა და ზნეობრივი გახრწნილების ფონზე!

ეს უნაკლო პიროვნება წარმოადგენს წმიდა წერილის გარდამქმნელი და ალმზრდელი ძალის მოწმობას. იგი ასეთ უნაკლო პიროვნებად ბიბლიამ აქცია. ღვთიური გამოცხადების უდიდესი

ჭეშმარიტების შემეცნების მცდელობა ალრმავებს და აძლიერებს ჩვენს ნიჭს, ანვითარებს გონებას, ამაცვილებს აღქმის უნარს და სრულყოფილს ხდის ჩვენს მსჯელობას. ბიბლიის შესწავლა ამაღლებს ჩვენს აზრებს, გრძნობებს და მისწრაფებებს. იგი გვაძლევს მიზანდასახულობას, მოთმინებას, გაბედულებასა და სულიერ ძალას; იგი გვაკეთილშობილებს და გვწმენდს. ბიბლიის სერიოზული, მოწიწებით შესწავლა, რომელიც მის მკვლევართა გონებას უშუალოდ უზენაესი სიბრძნისაკენ მიმართავს, მსოფლიოს შესძენდა ბევრ გამოჩენილ, ნიჭით დაჯილდოებულ და კეთილშობილური პრინციპების მქონე ადამიანს. ვერავითარი

ფილოსოფიური მოძღვრება და სკოლა ვერ იძლევა ასეთ შთამბეჭდავ შედეგებს. "საწყისი შენი სიტყვებისა ანათებს, შთააგონებს გულუბრყვილოებს" - გვეუბნება მეფსალმუნე (ფს.118:130).

უიკლიფის ნაქადაგები მოძღვრება თანდათან ვრცელდებოდა. მისი თანამოაზრენი, რომელნიც უიკლიფის მიმდევრებისა და ლოლარდების სახელით არიან ცნობილი, სახარების ნათელს ფენდნენ არა მარტო ინგლისს, არამედ სხვა ქვეყნებსაც. წინამძღოლის გარეშე გარჩენილი მისი ერთგულნი უფრო მეტი გულმოდგინებით შრომობდნენ; მრავალნი მოდიოდნენ მათი მოძღვრების მოსასმენად. მოქცეულთა შორის დიდებულებიც

იყვნენ. ეს რწმენა თვით დედოფალმაც მიილო. ბევრი ცვლილება მოხდა ადამიანთა ტრადიციულ ცხოვრებაში; პაპიზმის წარმართული სიმბოლოები ეკლესიებიდან გააძევეს. მაგრამ სულ მალე დევნის ქარტეხილი დაატყდა თავს მათ, ვინც გაბედა და თავისი ცხოვრების სახელმძღვანელოდ ბიბლია აირჩია. ინგლისელმა მონარქებმა თავიანთი ძალაუფლების განსამტკიცებლად რომის დახმარებით უყოყმანოდ გასწირეს რეფორმაციის ერთგულნი. და პირველად ინგლისის ისტორიაში, მრავალ ადგილას დაინთო კოცონი, რომელზედაც მოწამებრივი სიკვდილით იღუპებოდნენ სახარების მოწაფეები. ჭეშმარიტების

დამცველნი, მრავალი ტანჯვისა და წამების დამთმენნი, დახმარებისათვის მხოლოდ უფალ ცაბაოთს შეჰლაღადებდნენ ლოცვა-ვედრებით. ეკლესიისა და სამშობლოს მოღალატეებად გამოცხადებულნი, დევნილნი, მალულად განაგრძობდნენ სახარების ქადაგებას ღარიბთა უბრალო სადგომებში, ხეობებსა და გამოქვაბულებში.

მიუხედავად საშინელი დევნისა, საუკუნეთა მანძილზე კვლავ გაისმოდა მოკრძალებული, მაგრამ მტკიცე, გულწრფელი და მრავლის მომთმენი პროტესტის ხმა გაბატონებული ცრურწმენის წინააღმდეგ. ამ პერიოდის ქრისტიანებმა მხოლოდ ნაწილობრივ

შეიმეცნეს სახარების სიმართლე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ შეიყვარეს ღვთის სიტყვა, ისწავლეს მისი მორჩილება და მისთვის ტანჯვის მოთმენა. მოციქულთა პერიოდის ბევრი ქრისტიანის მსგავსად, უფლის საქმისათვის მრავალმა მსხვერპლად გაიღო თავისი მიწიერი კეთილდღეობა. ისინი, ვინც ჯერ კიდევ თავიანთ სახლებში ცხოვრობდნენ, სიხარულით ღებულობდნენ დევნილ ძმებს და თავშესაფარს აძლევდნენ. ხოლო როდესაც მათაც იგივე ბედი ეწეოდათ, მზადყოფნით ხვდებოდნენ განსაცდელს. სასტიკი დევნით შეშინებული ათასობით ადამიანი სასჯელის თავიდან ასაცილებლად სახალხოდ ინანიებდა და

თავისუფლების სანაცვლოდ უარყოფდა თავის რწმენას. მაგრამ ერთგულთა რიცხვი მაინც არ იყო მცირე; მათ შორის იყვნენ დიდებულებიც და დაბალი ფენის წარმომადგენლებიც. და საპყრობილეში, ე.წ. "ლოლარდთა კოშკებში" ჩაყრილნი, ტანჯვისა და მწუხარების ცეცხლში გახვეულნი, სიხარულით მადლობას სწირავდნენ უზენაესს, რომ "ღირსნი გახდნენ უფლის ტანჯვაში მონაწილეობისა".

პაპისტებმა ვერ შეძლეს ანგარიშის გასწორება ცოცხალ უიკლიფთან. მაგრამ მათ მკვდარიც არ აძლევდა მოსვენებას. მისი სიკვდილიდან 40 წლის შემდეგ კონსტანცას სინოდის გადაწყვეტილებით უიკლიფის ნეშტი საფლავიდან ამოიღეს და სახალხოდ

დაწვეს: ფერფლი კი იქვე ახლოს, ნაკადულში ჩაყარეს. "ამ პატარა ნაკადულმა, - ალნიშნა ერთმა მწერალმა, - მისი ფერფლი ავონში წაილო, ავონიდან სევერნში, სევერნიდან მცირე ზღვებში, ზღვებმა კი თავის მხრივ, უკიდეგანო ოკეანეში ჩაიტანეს იგი. ასე გახდა უიკლიფის ფერფლი მისი მოძღვრების სიმბოლო, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოშია გავრცელებული". საკუთარი ბოროტმოქმედების ასეთ მნიშვნელოვან შედეგს უიკლიფის მტრები ვერც კი წარმოიდგენდნენ!

უიკლიფის შრომების წყალობით ბოჰემიელი იან ჰუსი კათოლიციზმის ცრუ მოძღვრებას განუდგა და რეფორმაციის გზას

დაადგა. ასე დაითესა ამ ორ, ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულ ქვეყანაში ჭეშმარიტების თესლი. ბოჰემიიდან ჭეშმარიტება გავრცელდა სხვა ქვეყნებში, ადამიანებმა კვლად მიმართეს დიდი ხნის მივიწყებულ წმიდა წერილს: ღვთიური ხელი დიდ რეფორმაციას უმზადებდა გზას.

თავი 6 ორი გმირი სიკვდილის პირისპირ იან ჰუსი და იერონიმე

სახარებამ ბოჰემიაში ჯერ კიდევ მე-9 საუკუნის დამდეგს შეალწია. ბიბლია ამ ენაზე უკვე ნათარგმნი იყო და საზოგადო ღვთის მსახურება ხალხის მშობლიურ ენაზე ტარდებოდა. მაგრამ პაპის

ძალაუფლების გაძლიერებასთან ერთად ღვთის სიტყვა თანდათან უფრო იხშობოდა და მეორეხარისხოვანი ხდებოდა. პაპი გრიგორი VII, დაისახა "მეფეთა სიამაყის დამორჩილება", თავის წინამორბედებზე ნაკლებად არ იყო დაინტერესებული ამ ხალხის დამონებაში და ამ მიზნით გამოსცა ბულა, რომელიც კრძალავდა ღვთის მსახურების ჩატარებას ჩეხურ ენაზე. პაპმა განაცხადა: "უზენაესს სურს, რომ ღვთისმსახურება ტარდებოდეს უცხო ენაზე, რადგან ამ დადგენილების შეუსრულებლობით მრავალი ერეტიკული და ცრუ მოძღვრებები გაჩნდა". ამრიგად, რომმა გადაწყვიტა ჩაექრო ღვთის

სიტყვის ნათელი და ხალხი ბნელში დაეტოვებინა. მაგრამ ზეცამ ეკლესიის შენარჩუნებისათვის სხვა გზა გამონახა; მრავალი ვალდენსი და ალბიგოელი, რომელთაც საფრანგეთსა და იტალიაში დევნიდნენ, ბოჰემიაში გადასახლდა. თუმცა ისინი ვერ ქადაგებდნენ სახალხოდ, ღიად, მაგრამ ნელ-ნელა, მალულად და გულმოდგინედ მაინც შრომობდნენ. ამ გზით ჭეშმარიტება საუკუნიდან საუკუნეში გადადიოდა და ინახებოდა.

ჯერ კიდევ ჰუსის მოღვაწეობამდე ბოჰემიაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც საჯაროდ აკრიტიკებდნენ ეკლესიის გახრწნილებას და ადამიანურ მანკიერებებს. მათმა თვალსაზრისმა დიდი გამოხმაურება

ჰპოვა ხალხში. შეშინებულმა სამღვდელოებამ გაილაშქრა სახარების მოწაფეთა წინააღმდეგ და მათი დევნა დაიწყო. ისინი იძულებული გახდნენ ღვთისმსახურება ტყეებსა და მთებში ჩაეტარებინათ, მაგრამ ჯარისკაცები იქაც პოულობდნენ მათ და ამგვარად ბევრი მათგანი დაიღუპა. მოგვიანებით გამოიცა ბრძანებულება კოცონზე დაეწვათ ყველა, ვინც რომის რელიგიას არ აღიარებდა. სწირავდნენ რა სიცოცხლეს, ქრისტიანებს იმედი ჰქონდათ თავიანთი საქმის საბოლოო გამარჯვებისა. ერთ-ერთმა მოწამემ, "რომელიც ასწავლიდა, რომ ადამიანის ხსნა მხოლოდ ჯვარცმული ქრისტეს რწმენით შეიძლება",

სიკვდილის წინ განაცხადა: "ახლა ჭეშმარიტების მტერთა მძვინვარებამ გაიმარჯვა, მაგრამ ყოველთვის ასე როდი იქნება. გამოჩნდება უბრალო ადამიანი - მახვილისა და ძალაუფლების გარეშე და მტერი ვერ დაამარცხებს მას". ლუთერის დრო ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ უკვე დაიბადა ადამიანი, რომლის მოწმობას რომის წინააღმდეგ მთელი ერები უნდა გაელვიძებინა.

იან ჰუსი ღარიბ ოჯახში დაიბადა. იგი მამით ადრე დაობლდა. მისი ღვთისმოსავი დედა, რომელიც განათლებას და "უფლის შიშს" ყველაზე დიდ განძად თვლიდა, ცდილობდა ერთიც და მეორეც მიეცა თავისი შვილისათვის. თავიდან ჰუსი ერთ-ერთ პროვინციულ სკოლაში

დადიოდა, შემდეგ კი პრაღის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, სადაც უფასოდ სწავლობდა. ჰუსს პრაღაში დედამისი გაჰყვა; საწყალ ქვრივს ბევრი არაფრის მიცემა შეეძლო შვილისათვის, მაგრამ როგორც კი მიუახლოვდნენ დიდ ქალაქს, მან უფლის წინაშე მუხლი მოიყარა თავის ობოლ შვილთან ერთად და ზეციერ მამას შვილისათვის მადლი და კურთხევა შესთხოვა. ვერც კი წარმოიდგენდა საწყალი ქვრივი, რომ უზენაესი მის ვედრებას ასე საოცრად უპასუხებდა!

უნივერსიტეტში ჰუსმა მუყაითობითა და ბრწყინვალე წარმატებებით გამოიჩინა თავი, ხოლო უმანკო ცხოვრებითა და ყველასთან თბილი, მეგობრული

დამოკიდებულებით საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. იგი რომის ეკლესიის გულწრფელი მიმდევარი იყო და მთელი მონდომებით ცდილობდა მისი კურთხევის დამსახურებას. ხშირად, რომელიმე დღესასწაულთან დაკავშირებით იგი უკანასკნელ ფულს ხარჯავდა, რათა ალსარების პროცესიას შეერთებოდა და ალთქმული მიტევება მიელო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის მღვდლად აკურთხეს და ამ სარბიელზეც რომ გამოიჩინა თავი, იმპერატორის კარზე მიიწვიეს. მალე მას პროფესორის წოდება მიენიჭა და იმავე უნივერსიტეტის რექტორი გახდა, სადაც თვითონ მიიღო განათლება. და ამგვარად, სულ რამდენიმე წლის განმავლობაში

უბრალო მოსწავლე, რომელსაც გროშიც კი არ გააჩნდა განათლების მისაღებად, ქვეყნის სიამაყედ იქცა და მისი სახელი მთელ ევროპაში გახდა ცნობილი.

მაგრამ ჰუსმა რეფორმაციის საქმე სხვა ასპარეზზე დაიწყო. სასულიერო ჩინის მიღებიდან რამდენიმე წლის შემდეგ იგი ბეთლემის კაპელის მოძღვრად დაინიშნა. კაპელის დამაარსებელი ითხოვდა ჩეხურ ენაზე სწავლების უფლებას, რადგან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას. რომის წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოჰემიის ზოგ ადგილებში ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე ტარდებოდა. მაგრამ ბიბლია ხევრმა ჯერ კიდევ არ იცოდა და საზოგადოების ყველა ფენაში

საძაგელი მანკიერება სუფევდა. ღვთის სიტყვაზე დაყრდნობით ჰუსი უმოწყალოდ ამხელდა ბოროტებას, უნერგავდა რა ადამიანებს ჭეშმარიტებისა და სიწმიდის ცნებას.

პრაღის ერთ-ერთმა მოქალაქემ - იერონიმემ, რომელიც შემდგომში ჰუსის თანამოაზრე გახდა, ინგლისიდან უიკლიფის ნაშრომები ჩამოიტანა. ინგლისის დედოფალი, რომელმაც უიკლიფის წყალობით ჭეშმარიტი რწმენა მიიღო, გათხოვებამდე ბოჰემიის პრინცესა იყო და მისი დახმარებით რეფორმატორის შრომები ფართოდ გავრცელდა მის მშობლიურ ქვეყანაში. ჰუსი გატაცებით სწავლობდა ამ თხზულებებს, მათ ავტორს ჭეშმარიტ ქრისტიანად

თვლიდა და ამგვარად, თავისდა შეუმჩნევლად, ფეხი შედგა რეფორმაციის გზაზე, რომელმაც სრულიად დააშორა რომის ეკლესიას.

ერთხელაც პრაღაში ინგლისიდან ორი უცხოელი ჩამოვიდა. ამ განათლებულ ადამიანებს, რომელთაც იხილეს ჭეშმარიტების ნათელი, სურდათ მისი გავრცელება ამ შორეულ ქვეყანაში. მათ თავიანთი მოღვაწეობა რომის პაპის მესვეურთა საჯარო მხილებით დაიწყეს, მაგრამ მალე ხელისუფალთა მხრიდან დევნის გამო იძულებული გახდნენ შეეცვალათ თავიანთი მეთოდები. ეს მქადაგებლები ნიჭიერი მხატვრებიც ალმოჩდნენ და გადაწყვიტეს თავიანთი ოსტატობით ესარგებლათ. მალე მოქალაქეთა წინაშე ორი

სურათი წარსდგა: ერთზე გამოსახული იყო ქრისტეს იერუსალიმში შესვლა, სადაც ის, "მშვიდი მეუფე, ჩოჩორზე მჯდარი" (მათ. 21:5) მოციქულთა თანხლებით მოგზაურობისაგან გაცვეთილ ტანსაცმელში ფეხშიშველი შედიოდა ქალაქში. მეორე სურათზე კი გამოსახული იყო პაპის სამლვდელოების პროცესია: მდიდრულ სამოსელში გამოწყობილი პაპი, თავზე დიდებული გვირგვინით, იჯდა ძვირფასად შეკაზმულ მშვენიერ ცხენზე, უკან კი მდიდრულად ჩაცმული პრელატები მიჰყვებოდნენ.

ეს იყო ქადაგება, რომელმაც საზოგადოების ყველა ფენის ყურადღება მიიპყრო. უამრავი ხალხი

მოდიოდა ამ სურათების სანახავად
და ყველას შეეძლო შესაბამისი
დასკვნის გამოტანა. კონტრასტმა
ქრისტე-მოძღვრის თავმდაბლურ
მორჩილებასა და ამაყი პაპის
(რომელიც თავს ქრისტეს მსახურს
უწოდებდა) პატივმოყვარეობას
შორის, ადამიანები შესძრა. პრაღაში
დიდი მღელვარება დაიწყო და ორმა
უცხოელმა მხატვარმა დატოვა
ქალაქი. მაგრამ ხალხი დიდხანს ვერ
ივიწყებდა მათგან მიღებულ
გაკვეთილს. ამ სურათებმა ღრმა
შთაბეჭდილება მოახდინეს იან ჰუსზე
და მან გადაწყვიტა ბიბლიისა და
უიკლიფის ნაშრომების
ძირფესვიანად შესწავლა. თუმცა იგი
ჯერ კიდევ მზად არ იყო უიკლიფის
მოძღვრების სრულად მიღებისათვის,

მაინც მისთვის უკვე ნათელი იყო პაპის ჭეშმარიტი არსი და უფრო მეტი გულმოდგინებით განაგრძო პაპის იერარქიის სიამაყის, პატივმოყვარეობისა და მანკიერების კრიტიკა.

ბოჰემიიდან ნათელმა გერმანიაშიც შეალწია, რადგან პრაღის უნივერსიტეტში წამოჭრილმა მღელვარებამ და უწესრიგობამ მრავალი გერმანელი სტუდენტი აიძულა სახლში დაბრუნებულიყო. ზოგიერთმა მათგანმა ჰუსისაგან მოასწრო ბიბლიური გაკვეთილების მიღება და ახლა ამ ნათელს თავიანთ სამშობლოშიც ავრცელებდნენ.

პრაღაში მომხდარი ამბების შესახებ რომმა შეიტყო და მალე ჰუსი იძულებული გახდა, პაპის წინაშე

წარმდგარიყო. ამ ბრძანების შესრულება სიკვდილს უდრიდა. ბოჰემიის მეფემ და დედოფალმა, უნივერსიტეტმა, პრაღის მაღალმა საზოგადოებამ და სახელმწიფო მოხელეებმა თხოვნით მიმართეს პაპს, მიეცათ ჰუსისათვის პრაღაში დარჩენის უფლება, ხოლო საჭირო ახსნა-განმარტებებისათვის ისინი თავიანთ წარმომადგენლებს გააგზავნიდნენ. ნაცვლად იმისა, რომ ეს თხოვნა დაეკმაყოფილებინა, პაპმა სასამართლო გარჩევა მოაწყო, ჰუსს განაჩენი გამოუტანა და პრაღის ყველა მცხოვრები ეკლესიას მოჰკვეთა.

    იმ პერიოდში ასეთი განაჩენი საყოველთაო მღელვარებას იწვევდა. ამასთან დაკავშირებული ყველა

ცერემონია გათვლილი იყო იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტად დაეშინებინათ ხალხი, რომელიც პაპს თვლიდა "უფლის მოადგილედ", რომელსაც ხელთ უპყრია ზეცისა და ჯოჯოხეთის გასაღები და მიცემული აქვს როგორც სამოქალაქო, ასევე საეკლესიო მართლმსაჯულების უფლება. ხალხს სჯეროდა, რომ ეკლესიიდან მოკვეთილთათვის ზეცის კარი სამუდამოდ არის დახშული და სანამ პაპი არ გააუქმებს ამ სასჯელს, მანამდე მკვდრები ვერ შევლენ სამოთხეში. ამ საშინელი უბედურების გამო, რომელიც პრალას დაატყდა თავს, შეწყდა ყოველგვარი ღვთისმსახურება, ეკლესიები დაიკეტა და საქორწინო ცერემონიები სასაფლაოს სამლოცველოებში

ტარდებოდა. აიკრძალა მიცვალებულთა დამარხვა განწმენდილ (ნაკურთხ) მიწაზე და ყოველგვარი წეს-ჩვეულების დაცვის გარეშე მათ მარხავდნენ, სადაც მოახერხებდნენ. აი, ასეთი მეთოდებით ცდილობდა რომი ადამიანთა ფსიქიკაზე და მათ სინდისზე ზემოქმედებას.

მთელი პრაღა შეშფოთებული იყო. უმრავლესობა თავიანთ უბედურებაში ჰუსს სდებდა ბრალს და მოითხოვდა მის გადაცემას რომის სასამართლოსათვის. ამოვარდნილი ქარიშხლის ჩასაწყნარებლად რეფორმატორმა დროებით დატოვა ქალაქი და თავის მშობლიურ სოფელს მიაშურა. პრაღაში დარჩენილ მეგობრებს იგი წერდა:

"თუ მე მიგატოვეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იესო ქრისტეს მაგალითს მივბაძე: არ შეიძლება საფრთხე შეუქმნა სულით დაავადებულ ადამიანებს, არ შეიძლება ღვთისმოსავ ადამიანებს თავს დაატეხო უსიამოვნება და დევნა. მე დროებით იმიტომ დაგტოვეთ, რომ ვგრძნობ: ურჯულო მღვდლები ხანგრძლივ ბრძოლას გააჩაღებენ ღვთის სიტყვის სწავლების აკრძალვისათვის. მაგრამ მე იმიტომ კი არ წავედი თქვენგან, რომ ღვთიური ჭეშმარიტება უარვყავი, რომლისთვისაც მე, ღვთის შეწევნით, მზადა ვარ მოვკვდე". ჰუსს არ შეუწყვეტია თავისი შრომა და პროვინციებში მოგზაურობისას ჭეშმარიტებას ყველგან უქადაგებდა

ადამიანებს, რომელთაც სიმართლე სწყუროდათ. ამგვარად, პაპის მიერ სახარების გავრცელების ჩასახშობად მიღებულმა ზომებმა მის გავრცელებას უფრო მეტად შეუწყო ხელი: "ვინაიდან არაფრის გაკეთება ძალგვიძს ჭეშმარიტების წინააღმდეგ, არამედ ჭეშმარიტებისათვის" (2კორ. 13:8).

ჰუსს მძიმე დღეები დაუდგა. თუმცა ეკლესიამ მისი მიწასთან გასწორება მოინდომა, მაგრამ იგი მაინც ალიარებდა მის ავტორიტეტს; რომის ეკლესია მისთვის კვლავ რჩებოდა ქრისტეს სასძლოდ, პაპი კი - უფლის მოადგილედ და მის წარმომადგენლად. ჰუსი იბრძოდა არა პრინციპის, არამეს პაპის ხელისუფლების მიერ დაშვებული

ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. მის გონებასა და სინდისს შორის სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობდა. თუკი ეს ხელისუფლება უცოდველი და სამართლიანია, როგორც ის თვლიდა, მაშინ რატომ აქვს სულის სიღრმეში შინაგანი წინააღმდეგობის გრძნობა? ჰუსმა ვერ შეძლო ამ პრობლემებში გარკვევა, ეჭვი კი ერთი წუთითაც არ აძლევდა მოსვენებას. და ბოლოს მივიდა დასკვნამდე: მეორდება მაცხოვრის დედამიწაზე ცხოვრების დროინდელი მოვლენები, როდესაც უწმიდური ეკლესიის მსახურნი თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას იყენებდნენ უკანონო საქმეებისათვის. ეს თვალსაზრისი ჰუსმა საფუძვლად დაუდო თავის მოძღვრებას იმის შესახებ, რომ წმიდა

წერილის ჭეშმარიტებების გონებით მიღებას სინდისი უნდა ხელმძღვანელობდეს, სხვა სიტყვებით, ბიბლიური ჭეშმარიტებისაკენ გზას მიუთითებს მხოლოდ ღმერთი ბიბლიის მეშვეობით და არა ეკლესია - სამღვდელოების საშუალებით.

    რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც პრალის მღელვარება დაცხრა, ჰუსი დაუბრუნდა ბეთლემის კაპელას, რათა უფრო მეტი გულმოდგინებითა და გაბედულებით ექადაგა ღვთის სიტყვა. მას ბევრი ძლიერი და ბრძოლისუნარიანი მტერი ჰყავდა, მაგრამ დედოფალი და წარჩინებულთა უმრავლესობა რეფორმატორის მხარეზე იყვნენ. ადარებდნენ რა მის წმიდა,

ამალლებულ მოძღვრებას და მართალ ცხოვრებას რომის დამახინჯებულ სწავლებასთან, სამღვდელოების სიხარბესა და გარყვნილ ცხოვრებასთან, მრავალს დიდ პატივად მიაჩნდა ჰუსის მხარეზე ყოფნა.

აქამდე ჰუსი დამოუკიდებლად შრომობდა, მაგრამ რეფორმაციის საქმეს შეუერთდა იერონიმე, რომელმაც ჯერ კიდევ ინგლისში ყოფნისას მიიღო უიკლიფის მოძღვრება. და აქედან მოყოლებული, ამ ორი ადამიანის ცხოვრება ისე გადაეჯაჭვა ერთმანეთს, რომ სიკვდილშიც კი განუყრელი დარჩნენ. იერონიმე ბრწყინვალე ნიჭით იყო დაჯილდოებული, რამაც საზოგადოების სიყვარული და

პატივისცემა მოუპოვა, მაგრამ ჰუსი უფრო პრინციპული და მტკიცე იყო. ჰუსის მშვიდი და დინჯი მსჯელობა იერონიმეს უნელებდა ფიცხ და ცეცხლოვან ბუნებას და ისიც ქრისტიანული მოთმინებით ალიარებდა მის გამოცდილებას და ყურადღებით ეკიდებოდა მის რჩევებს. მათი ერთობლივი შრომით რეფორმაციის საქმე სწრაფად მიიწევდა წინ.

ღმერთმა თავისი ნათლით შემოსა ამ ორი რჩეულის გონება და რომის მრავალი სიცრუე დაანახა. მაგრამ ეს არ იყო ის სრული ნათელი, რომელიც მთელ მსოფლიოს უნდა მოჰფენოდა. ამ ადამიანთა საშუალებით უფალს ხალხი კათოლიციზმის წყვდიადიდან გამოჰყავდა. მათ წინ მრავალი

სერიოზული წინააღმდეგობა ელოდათ. უზენაესს ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავდა წინ და აძლევდა იმდენ ნათელს, რამდენის მიღებაც შეეძლოთ. ისინი მზად არ იყვნენ იმისათვის, რომ სრულად მიელოთ ჭეშმარიტების მთელი ნათელი, რადგან წყვდიადში დიდხანს მყოფ ადამიანთა მსგავსად, ვერ გაუძლებდნენ შუადღის მზის ბრწყინვალებას. ამიტომ უფალი მათ ჭეშმარიტების ნათელს თანდათანობით უხსნიდა იმდენად, რამდენადაც ადამიანებს მისი მიღება შეეძლოთ. ყველა საუკუნეს ჰყავდა უფლის ერთგული თანამშრომლები, რომელთაც ხალხი რეფორმაციის გზით მიჰყავდათ.

ეკლესიაში განხეთქილება კვლავ გრძელდებოდა. ახლა უკვე სამი პაპი იბრძოდა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, რამაც ქრისტიანული სამყარო დანაშაულობათა და ბოროტების მორევში ჩაითრია. პაპები ანათემით უკვე აღარ კმაყოფილდებოდნენ და ახლა იარაღს მიმართეს. ყოველი მათგანი თავისი არმიის ჩამოყალიბებას ცდილობდა, ამისათვის კი ფული იყო საჭირო და ისინი ყიდდნენ საეკლესიო ნივთებს, თანამდებობებსა და კურთხევებს. მღვდლები თავიანთ მასწავლებელთა მსგავსად სიმონიითა და სამხედრო მოქმედებებით ცდილობდნენ ძალაუფლების განმტკიცებას და მეტოქეთა დამორჩილებას. ჰუსი

მხურვალე გაბედულებით იბრძოდა ამ სისაძაგლეების წინააღმდეგ, რომელთაც ისინი რელიგიის სახელით სჩადიოდნენ და ხალხიც რომის იერარქიას საჯაროდ სდებდა ბრალს იმ უბედურებებში, რომლებმაც წალეკა მთელი ქრისტიანული სამყარო.

და ქალაქი პრალა კვლავ სისხლიანი შეტაკებების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. როგორც ძველად, ღვთის მსახურს წაუყენეს ბრალდება, როგორც "ისრაელის მაოხრებელს" (3მეფ. 18:17). ქალაქი კვლავ დაიწყევლა პაპის მიერ და იან ჰუსი კვლავ თავის მშობლიურ სოფელში დაბრუნდა. ხმა, რომელიც ჭეშმარიტებას ასე ერთგულად და გაბედულად მოწმობდა ბეთლემის

კაპელის კათედრიდან, დადუმდა. მაგრამ მალე მას უფრო დიდ ტრიბუნაზე გამოსვლა ელოდა, საიდანაც მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის უნდა მიემართა მანამ, სანამ ჯეშმარიტებისადმი ერთგულებას საკუთარი სიცოცხლით დაამტკიცებდა.

ბოროტების აღსაგველად, რომელმაც მთელი ევროპა მოიცვა, კონსტანცაში მოიწვიეს მსოფლიო კრება; იგი მოიწვია სამი მეტოქიდან ერთ-ერთმა პაპმა - პაპმა იოანე იმპერატორ სიგიზმუნდის დაჟინებული მოთხოვნით. იოანე, რომელსაც თავისი გარყვნილობის გამო, რითაც მაშინდელი სამღვდელოება განთქმული იყო, თვით პრელატებიც კი

აკრიტიკებდნენ, სულაც არ იყო დაინტერესებული კრების მოწვევით, მაგრამ ვერ ბედავდა სიგიზმუნდის ნების წინააღმდეგ წასვლას.

მთავარი საკითხები, რომლებიც ამ კრებაზე უნდა განხილულიყო, მდგომარეობდა შემდეგში: ბოლო მოულონ განხეთქილებას ეკლესიაში და ალმოფხვრან ერესი. პაპის სხვა მოწინააღმდეგეთა შორის მოწვეული იყო იან ჰუსი, როგორც ახალი მოძღვრების მთავარი მქადაგებელი. დანარჩენი ორი პაპი მოსალოდნელი საფრთხის შიშით კრებაზე არ გამოცხადდა და თავიანთი წარმომადგენლები გამოაგზავნეს. პაპა იოანეს, რომელიც თავს ისე აჩვენებდა, თითქოს კრების მოწვევის ინიციატორი თვითონ იყო, საშინელი

წინათგრძნობა და ეჭვი ტანჯავდა. იგი ფიქრობდა, რომ იმპერატორს მისი ტახტიდან ჩამოგდება ჰქონდა განზრახული, რომ მას მოუწევს პასუხისგება ყველა იმ ბოროტებისა და დანაშაულის გამო, რომელიც მან პაპის ტიარის შენარჩუნებისთვის ჩაიდინა. მიუხედავად ასეთი შიშისა, იგი დიდი ზეიმით, უმაღლესი რანგის ჩინოსანთა და კარისკაცთა ამალით შევიდა კონსტანცაში. მთელმა სამღვდელოებამ, ქალაქის ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ადამიანთა მრავალრისხოვანთა ჯგუფებმა შეხვედრა მოუწყეს მათ. გაშლილი ოქროს ბალდახინი ოთხ მთავარ მაგისტრატს ეჭირა. წინ ჯარი მიუძღოდა, ხოლო კარდინალთა და წარჩინებულთა მდიდრული

ჩაცმულობა ამ სურათს უფრო დიდებულს ხდიდა.

იმავე დროს კონსტანცას მეორე მგზავრი უახლოვდებოდა. ჰუსმა კარგად იცოდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. იგი მეგობრებს გამოემშვიდობა და დაადგა გზას, რომელიც, მისი წინათგრძნობით, კოცონთან მიიყვანდა. მიუხედავად იმისა, რომ თან ჰქონდა ბოჰემიის მეფის მიერ გაცემული დაცვის სიგელი, ხოლო გზაში მეორეც გადასცეს იმპერატორ სიგიზმუნდისაგან, იგი მაინც სიკვდილისათვის მოემზადა.

პრალაში დარჩენილი მეგობრების მისამართით გაგზავნილ წერილში იგი წერდა: "ძმებო... მე თან მიმაქვს მეფის დაცვის სიგელი და მივდივარ

ჩემს მრავალრიცხოვან, დაუძინებელ მტერთან შესახვედრად... მაგრამ მე სრულად მივენდე ყოვლისშემძლე ღმერთს და ჩემს მაცხოვარს; მე მჯერა, რომ იგი შეისმენს თქვენს მხურვალე ლოცვებს და მომცემს თავის სიბრძნესა და გონიერებას მტერთან საბრძოლველად; მე ვევედრები უფალს, აღმავსოს სულიწმიდით, რათა განამტკიცოს ჩემში ჭეშმარიტება და მამაცურად შევხვდე განსაცდელს, საპყრობილეს და თუ საჭირო გახდება, სიკვდილსაც კი. იესო ქრისტე საყვარელი ადამიანებისათვის იტანჯა და რასაკვირველია, იგი მაგალითია ჩვენთვის. მან ბევრი დაითმინა ჩვენი გადარჩენისათვის და ჩვენც გვასწავლა მოთმინება. იგი - ჩვენი

ღმერთია, ჩვენ კი - მისი შექმნილები; იგი - ჩვენი უფალია, ჩვენ კი - მისი მსახურნი; იგი სამყაროს უდიდესი მოძღვარია, ჩვენ კი - უბადრუკი მოკვდავნი და მიუხედავად ამისა, მან ჩვენთვის იტანჯა! რატომ არ უნდა ვიტანჯოთ ჩვენც, თუკი ტანჯვა გაგვწმენდს! ამიტომ, ჩემო ძვირფასებო, თუკი ჩემი სიკვდილი საჭირო გახდება მისი სახელის განდიდებისათვის, ილოცეთ, რომ ეს დრო მალე დადგეს და მან მომცეს ძალა ყოველივე იმის ასატანად, რაც მომავალში მომელის. მაგრამ თუკი მე თქვენთან დაბრუნება მიწერია, მაშინ ილოცეთ, რომ დავბრუნდე შეურცხვენელი, რაც ნიშნავს, რომ მტკიცედ დავიცვა სახარების ჭეშმარიტების ყოველი სიტყვა და

ამით ღირსეული, მისაბაძი მაგალითი დაგიტოვოთ თქვენ, ჩემს ძმებს. ჩვენ, შესაძლოა, უკვე ველარასოდეს შევხვდეთ პრალაში, მაგრამ თუკი ყოვლისშემძლე ღმერთი ინებებს ჩემს თქვენთან დაბრუნებას, მაშინ ჩვენ ერთად უფრო მეტი სიმტკიცით გავძლიერდებით მისი კანონის სიყვარულსა და შემეცნებაში".

სხვა ერთ-ერთი მღვდლისადმი მიმართულ წერილში, რომელიც ქრისტეს მოწაფე გახდა, ჰუსი ღრმად ნანობს თავის შეცდომებს და თავის თავს ადანაშაულებს იმაში, რომ "სიამოვნებით ატარებდა მდიდრულ სამოსელს და დიდ დროს ანდომებდა ფუჭ საქმიანობას". და შემდეგ გულწრფელად აფრთხილებს მას: "დაე, მხოლოდ უფლის დიდებამ და

სულთა ხსნამ დაისადგუროს შენს გონებაში და არა სიმდიდრემ და შემოსავალმა. გაფრთხილდი, რომ შენი სახლი არ იყოს შენს სულზე მეტად შემკული და უპირველეს ყოვლისა, იზრუნე შენს სულიერ ზრდაზე. გამოიჩინე ღვთისმოსაობა, ღარიბებთან ურთიერთობაში იყავი თავმდაბალი და ნუ დახარჯავ ფულს დღესასწაულებისთვის. თუკი თავად არ გარდაქმნი შენს თავს, არ შეიცვლი ცხოვრების წესს და თავს არ შეიკავებ საკუთარ თავზე ზედმეტი ზრუნვისაგან, ვშიშობ, რომ ჩემსავით სასტიკად დაიტანჯები... შენთვის ცნობილია ჩემი მოძღვრება, რადგან ბავშვობიდანვე გასწავლიდი მას, ამიტომ ზედმეტად მიმაჩნია მისი გამეორება. გაფიცებ ღვთის მადლს -

არ გაიმეორო პატივმოყვარეობისაგან გამოწვეული არც ერთი ჩემი შეცდომა". კონვერტზე მან მიაწერა: "ჩემო მეგობარო, ძალიან გთხოვ, არ გახსნა ეს კონვერტი, სანამ ზუსტ ცნობებს არ მიიღებ ჩემი სიკვდილის შესახებ".

კონსტანცასკენ მიმავალ გზაზე ჰუსი ხედავდა თავისი შრომის ნაყოფს... ადამიანთა დიდ ინტერესს მისი საქმიანობისადმი. ხალხი ჯგუფებად ხვდებოდა და ესალმებოდა მას, ზოგ ადგილებში კი ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლები ქუჩაში მიაცილებდნენ.

კონსტანცაში ჩასულ ჰუსს სრული თავისუფლება მიეცა. მეფის გაცემულ დაცვის სიგელს პაპის პირადი

სიგელიც მიემატა, რაც მის მფარველობას მოწმობდა. მაგრამ მიუხედავად ამ საჯარო და მრავალგზის დარწმუნებისა, პაპისა და კარდინალთა ბრძანებით რეფორმატორი შეიპყრეს და ბნელ სარდაფში ჩააგდეს. მოგვიანებით იგი რეინის მეორე მხარეს ციხეში გადაიყვანეს. თუმცა პაპმა ბევრი ვერაფერი მოიგო თავისი მზაკვრული საქციელით, რადგან სულ მალე თვითონაც ამ საპატიმროს ტუსალი გახდა. მკვლელობის, ძალადობისა და გარყვნილების გარდა იგი კრების წინაშე დაადანაშაულეს სულმდაბლობაში და ისეთ ცოდვებში, "რომელთა წარმოთქმაც არ შეიძლება". კრებამ დაადასტურა იოანეს დანაშაული, მას ტიარა

ჩამოართვეს და დააპატიმრეს. სხვა ანტიპაპებიც ჩამოაგდეს და არჩეული იქნა ახალი პაპი.

თუმცა თვით პაპის მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო მძიმე იყო, ვიდრე ის, რაშიც ჰუსი ადანაშაულებდა სამღვდელოებას და რითაც ასაბუთებდა რეფორმაციის აუცილებლობას, მიუხედავად ამისა, იგივე კრებამ, რომელმაც პაპი დასაჯა, მაინც დაჟინებით მოითხოვა ჰუსის გასამართლებაც. ჰუსის დატუსაღებამ დიდი აურზაური გამოიწვია ბოჰემიაში. საზოგადოების ძლევამოსილმა თავადებმა კრებას პროტესტი წარუდგინეს ასეთი ძალადობისათვის. მეფემაც, რომლის მიერ გაცემული სიგელი უგულებელყვეს, უკმაყოფილება

გამოთქვა. მაგრამ რეფორმატორის მტრები შეუპოვარნი და შურისმგებელნი ალმოჩნდნენ. მათ მეფე მიკერძოებაში დაადანაშაულეს, შეაშინეს და ეკლესიის წინაშე მოვალეობა შეახსენეს. მას უკარნახეს არგუმენტები, რომლებითაც შესაძლებელი იყო ყველა დოკუმენტის გაუქმება და ყველა დაპირების შეუსრულებლობა ერეტიკოსთა და იმ პირთა მიმართ, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ერესში, თუნდაც ეს დოკუმენტი მეფის მიერ გაცემული დაცვის სიგელი ყოფილიყო. ამგვარად, მათ გაიმარჯვეს.

დასუსტებული და დაავადებული (დილეგის ნესტიანმა ჰაერმა მასში ციებ-ცხელება გამოიწვია და

სიკვდილის პირას მიიყვანა) ჰუსი კრებაზე მიიყვანეს. შებორკილი იდგა იგი მონარქის წინაშე, რომლის პატიოსანი სიტყვა მისთვის უშიშროების გარანტი უნდა ყოფილიყო. ხანგრძლივი დაკითხვების დროს იგი ჭეშმარიტებას დაბეჯითებით იცავდა და სასულიერო და სახელმწიფო ჩინოსანთა თანდასწრებით საჯაროდ და მტკიცედ ამხილებდა იერარქიის მანკიერებას. და როდესაც მას შესთავაზეს ან განდგომოდა თავის რწმენას, ან მომკვდარიყო, მან მოწამებრივი სიკვდილი ირჩია.

ღვთის მადლი სულიერად აძლიერებდა მას. საბოლოო განაჩენის გამოტანამდე ტანჯვის დღეებში მის სულში ზეციური სიმშვიდე სუფევდა.

"ამ წერილს გწერ სატუსალოდან - წერდა იგი ერთ-ერთ მეგობარს - ბორკილგაყრილი ხელით, ხვალინდელი სასიკვდილო განაჩენის მოლოდინში... როდესაც იესო ქრისტეს მადლით ერთმანეთს შევხვდებით ჩვენს წმიდა სამშობლოში, მაშინ გაიგებ, როგორ მეხმარებოდა მწყალობელი უფალი განსაცდელის ჟამს საპყრობილეში".

თავისი ბნელი დილეგიდან ჰუსი ჭეშმარიტი რწმენის გამარჯვებას ხედავდა. ერთხელ იგი მეტად შეწუხდა თავისი სიზმრის გამო: მან ნახა, რომ პრალაში, სადაც იგი სახარებას ქადაგებდა, პაპმა და ეპისკოპოსებმა, მის მიერ ოდესღაც კაპელის კედლებზე დახატული ქრისტეს გამოსახულება

გაანადგურეს. მაგრამ მეორე დღეს მან სხვა სიზმარი ნახა: სამლოცველოში თავი მოეყარა მრავალ მხატვარს, რომლებმაც ალადგინეს მტრის მიერ განადგურებული ნახატი და უფრო ნათელი საღებავებით სხვა, ახალ სურათებს ხატავდნენ. და როდესაც მხატვრებმა თავიანთი სამუშაო დაასრულეს, ხმამაღლა მიმართეს ხალხს: "აბა, მოვიდნენ ახლა პაპი და მისი ეპისკოპოსები; ამ სურათებს ისინი ვერასოდეს მოსპობენ!" ამ სიზმრის გაზიარების შემდეგ რეფორმატორმა დასძინა: "მე დარწმუნებული ვარ, რომ ქრისტეს ხატება არასოდეს გაქრება ადამიანთა გულებიდან და ისევ ალორძინდება

უფრო დიდი მქადაგებლების მიერ, ვიდრე მე ვარ".

ჰუსი უკანასკნელად მოიყვანეს კრებაზე. კრება დიდებული იყო: იმპერატორი, სახელმწიფო მოხელეები, მეფის წარმომადგენლები, კარდინალები, ეპისკოპოსები, მღვდლები და ცნობისმოყვარეთა მრავალრიცხოვანი ბრბო. აქ ყველა ქრისტიანული ქვეყნიდან შეიკრიბნენ სინდისის თავისუფლების დაცვისათვის ხანგრძლივი ბრძოლის პირველი უდიდესი მსხვერპლის მოწმენი.

როდესაც ჰუსს ბოლო სიტყვის თქმა შესთავაზეს, მან კვლავ უარი განაცხადა თავისი რწმენისაგან განდგომაზე, გამსჭვალავი მზერა მიაპყრო მონარქს, რომელმაც ასე

სამარცხვინოდ გატეხა თავისი პირობა და თქვა: "მე ჩემი ნებით გამოცხადდი ამ კრებაზე საზოგადოებისა და აქ მყოფი იმპერატორის მფარველობისა და დაცვის იმედით". სიგიზმუნდს სახე აელეწა, როდესაც ამ სიტყვების შემდეგ ყველამ მას მიაპყრო მზერა.

სასიკვდილო განაჩენი გამოიტანეს და სამარცხვინო ცერემონიაც დაიწყო. როდესაც ტუსალს თეთრი რიზა ჩააცვეს, მან თქვა: "ჩვენს უფალს - იესო ქრისტესაც თეთრი სამოსელი ეცვა, როდესაც ჰეროდემ მისი პილატესთან წაყვანა ბრძანა". ჰუსს კვლავ შესთავაზეს რწმენის უარყოფა, მაგრამ მან სახალხოდ განაცხადა: "როგორი თვალებით შევხედო შემდეგ ზეცას? რა პასუხი გავცე ხალხს, რომელსაც ჭეშმარიტ

სახარებას ვასწავლიდი? არა, ჩემთვის მათი ხსნა უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩემი დამძიმებული სხეული, რომელიც დღეს მოკვდება". შემდეგ მას გახადეს სამოსელი და როცა ყოველმა ეპისკოპოსმა სამოსის სხვადასხვა ნაწილზე წარმოთქვა წყევლა, თავზე პირამიდის ფორმის ქალალდის გვირგვინი ჩამოაცვეს, რომელზედაც ეშმაკის მახინჯი ფიგურები იყო გამოსახული, ხოლო თვალში საცემად გამოკვეთილი იყო სიტყვა... "უდიდესი ერეტიკოსი". "დიდი სიხარულით მივიღებ სამარცხვინო გვირგვინს შენი სახელისათვის, იესო! შენ ხომ ჩემთვის ეკლის გვირგვინი დაიდგი" - წარმოთქვა ჰუსმა.

ბოლოს პრელატებმა განაცხადეს: "ახლა ჩვენ შენს სულს ეშმაკს გადავცემთ". "მე კი - თვალები ზეცით ალაპყრო ჰუსმა - ჩემს სულს შენ გაბარებ, ჩემო უფალო იესო, რადგან შენ გამომისყიდე!"

შემდეგ სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებმა იგი დასჯის ადგილისაკენ წაიყვანეს. ურიცხვი ბრბო მისდევდა უკან; ასობით შეიარაღებული ჯარისკაცი, მდიდრულად ჩაცმული მღვდლები და ეპისკოპოსები, კონსტანცას მცხოვრებნი. იგი სვეტს მიაბეს და ცეცხლის დანთებამდე კიდევ შესთავაზეს მისი ცრურწმენის უარყოფა და თავის გადარჩენა; "რომელ ცრურწმენას უნდა განვუდგე? მე არავითარი დანაშაული

არ მიმიძღვის. ღმერთია ჩემი მოწმე, რომ ჩემს შრომებსა და ქადაგებებს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდათ: ადამიანთა გათავისუფლება ცოდვისა და საუკუნო დალუპვისაგან. და ჭეშმარიტებას, რომელსაც ვასწავლიდი, სიხარულით ვამოწმებ ჩემი სისხლით". როდესაც გარშემო ცეცხლის ალი ავარდა, ჰუსმა სიმღერა დაიწყო: "იესო, დავითის ძეო, შემიწყალე მე!" და ამ სიტყვებს იმეორებდა, სანამ მისი ხმა სამუდამოდ არ დადუმდა.

თვით ჰუსის მტრებიც კი შეძრა მისმა გმირულმა საქციელმა. ერთმა პაპის ერთგულმა სასულიერო პირმა ასე ალწერა ჰუსისა და იერონიმეს მოწამებრივი სიკვდილი (იერონიმე ჰუსის სიკვდილის შემდეგ სულ მალე

დაილუპა): "ისინი მამაცურად შეხვდნენ თავის ალსასრულს. ისინი ისე მოემზადნენ კოცონისათვის, როგორც საქორწინო ზეიმისათვის და ერთხელაც არ დაუკვნესიათ ტკივილისაგან. როდესაც ცეცლის ალი მათ სხეულს მისწვდა, ფსალმუნების სიმღერა დაიწყეს და მხოლოდ აბობოქრებულმა ცეცხლმა შეძლო მათი სიმღერის შეწყვეტა.

როდესაც ცეცხლმა დაასრულა თავისი დამღუპველი საქმე ჰუსის სხეულზე, ფერფლი მიწასთან ერთად მოაგროვეს და რეინში გადაყარეს, მდინარემ კი იგი ოკეანისკენ წაიღო. ამაოდ ინუგეშებდნენ თავს ჰუსის მტრები იმით, რომ საბოლოოდ მოსპეს მის მიერ ნაქადაგები ჭეშმარიტება.

ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ იმ დღეს მდინარეში გადაყრილი ფერფლი, თესლის მსგავსად, დედამიწის ყველა კუთხეში, ყველაზე შორეულ ქვეყნებში გაიდგამდა ფესვს და ჭეშმარიტების მოწმეთა რიცხვი საოცრად გაიზრდებოდა; რომ ხმას, რომელიც კონსტანცას საკრებულო დარბაზში მოწმობდა სახარებას, ექოს მსგავსი გამოძახილი ექნებოდა შემდგომ საუკუნეებში. ჰუსი მოკვდა, მაგრამ ჭეშმარიტება, რისთვისაც მან თავი დადო, მარადიულია. მისი რწმენის სიმტკიცე მაგალითი გახდება ბევრისათვის, ვის ჭეშმარიტებისადმი ერთგულებას ტანჯვითა და სიკვდილით გამოსცდიან. მისმა სიკვდილით დასჯამ მთელ მსოფლიოს დაანახა

რომის ვერაგობა და სისასტიკე. ასე თავისდაუნებურად შეუწყეს ხელი ჭეშმარიტების მტრებმა იმ იდეათა გავრცელებას, რომელთა მოსპობასაც ასეთი გულმოდგინებით ცდილობდნენ.

მაგრამ სულ მალე კონსტანცაში მეორე საწამებელი სვეტი აღიმართა. ჭეშმარიტება კიდევ ერთი მოწამის სისხლს უნდა დაემოწმებინა. იერონიმემ გამგზავრების წინ, განშორებისას მხნეობა და სიმტკიცე უსურვა ჰუსს და საშიშროების შემთხვევაში დახმარება აღუთქვა; გაიგო თუ არა რეფორმატორის შეპყრობის ამბავი, მის საშველად გაემართა. ყოველგვარი დაცვის სიგელის გარეშე, ერთადერთი მეგობრის თანხლებით დაადგა იგი

კონსტანცას გზას თავისი დაპირების ალსასრულებლად. ადგილზე ჩასვლისას იგი დარწმუნდა, რომ ჰუსის გათავისუფლებისათვის ვერაფერს ილონებდა, პირიქით, მასაც საფრთხე დაემუქრა. მან ქალაქიდან გაქცევა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. იგი კონსტანცაში ბორკილდადებული მიიყვანეს მრავალი ჯარისკაცის ზედამხედველობის ქვეშ. კრებაზე მისი გამოჩენისთანავე გაისმა შეძახილები: "კოცონზე! კოცონზე!" იგი დილეგში ჩააგდეს და ბორკილები ისე მოუჭირეს, რომ ენით გამოუთქმელ ტანჯვას განიცდიდა. საკვებად მხოლოდ პურსა და წყალს აძლევდნენ. დაპატიმრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ იერონიმე მძიმედ დაავადდა და იმის შიშით,

რომ სიკვდილს არ გამოეგლიჯა მათი ხელიდან, ციხის ზედამხედველებმა შეასუსტეს მისდამი მკაცრი დამოკიდებულება, თუმცა მიუხედავად ამისა, საპყრობილეში ერთი წელი მაინც გაატარა.

ჰუსის სიკვდილმა პაპისტებს მოლოდინი არ გაუმართლა და მათთვის სასურველი შედეგი არ გამოიღო. დაცვის სიგელის უგულებელყოფამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და კრება თვლიდა, რომ უმჯობესია, იერონიმე კოცონზე კი არ დაწვან, არამედ აიძულონ, უარყოს თავისი რწმენა. იგი კრებაზე მოიყვანეს და შესთავაზეს რწმენის უარყოფა ან სიკვდილი. სატუსალოში ყოფნის პირველ დღეებში იერონიმეს

სიკვდილი ერჩია იმ ტანჯვას, რასაც იგი იქ განიცდიდა, მაგრამ ახლა, არაადამიანური მოპყრობითა და ავადმყოფობით დაუძლურებული, შიშითა და ეჭვებით შეპყრობილი, უმეგობროდ დარჩენილი და ჰუსის სიკვდილით შეშინებული იერონიმე შედრკა და გადაწყვიტა, დამორჩილებოდა კრებას. მან კათოლიკური რწმენისადმი ერთგულების ფიცი დადო და სამართლიანად აღიარა უიკლიფისა და ჰუსის მოძღვრებათა მიმართ კრების მიერ გამოტანილი განაჩენი. გამონაკლისი იყო "წმიდა ჭეშმარიტებანი", რომელსაც ისინი თავად ასწავლიდნენ.

ამგვარი ხერხის გამოყენებით იერონიმე ცდილობდა საკუთარი

სინდისის ხმის ჩახშობას და მოსალოდნელი განაჩენის თავიდან აცილებას. მაგრამ საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილმა ნათლად დაინახა, თუ რა ჩაიდინა. მან გაიხსენა ჰუსის სიმამაცე და თავგანწირვა და შეუდარა თავის საქციელს: იგი ხომ ჭეშმარიტებას განუდგა! შემოეძალა ფიქრები ღვთიურ მოძღვარზე, რომელსაც მან მსახურება ალუთქვა და რომელიც მისი გულისათვის ჯვარს ეცვა. განდგომამდე ტანჯვის ჟამს, იგი შვებას უფლის წყალობასა და მის მხარდაჭერაში პოულობდა, ახლა კი მის გულს სინანული და ეჭვი ღრღნიდა. კარგად იცოდა, რომ რომთან სრული შერიგების დადგომამდე მას ჯერ კიდევ ბევრი რამის უარყოფა მოუწევდა. გზა,

რომლზეც ფეხი დაუცდა, რწმენის სრულ უარყოფამდე მიიყვანდა; და მან მტკიცედ გადაწყვიტა: ხანმოკლე ტანჯვის გამო იგი არასოდეს განუდგეს უფალს.

მალე იერონიმე კვლავ წარდგა კრების წინაშე. მისმა მორჩილებამ არ დააკმაყოფილა მსაჯულნი. ჰუსის სიკვდილით აგზნებულნი, ისინი ახალ მსხვერპლს ეძებდნენ. მხოლოდ ჭეშმარიტების სრული უარყოფით შეეძლო იერონიმეს სიცოცხლის შენარჩუნება. მაგრამ მან თავისი რწმენის სახალხოდ აღიარება და თავისი წამებული ძმის მსგავსად კოცონზე ასვლა გადაწყვიტა.

მან უარყო თავისი ადრინდელი განდგომილება და როგორც სიკვდილმისჯილმა, საჯაროდ

მოითხოვა საკუთარი თავის დაცვის უფლება. ეშინოდათ რა მისი სიტყვების ხალხზე ზეგავლენისა, პრელატები მისგან მოითხოვდნენ წაყენებული ბრალდების სამართლიანობის ან სრულ უარყოფას, ან მასზე თანხმობას. იერონიმემ პროტესტი გამოთქვა ასეთი სისასტიკისა და უსამართლობის წინააღმდეგ. "340 დღის განმავლობაში ჩაგდებული გყავდით საშინელ სარდაფში, - თქვა მან. - მოკლებული ვიყავი ყველაფერს და ვცხოვრობდი სიბინძურეში, უწმიდურებასა და სიმყრალეში. შემდეგ მომიყვანეთ აქ, უსმენთ ჩემს დაუძინებელ მტრებს და ყურად არ იღებთ ჩემს სიტყვებს... თუკი თქვენ გაქვთ სიბრძნე და გსურთ იყოთ

წუთისოფლის ნათელი, გაფრთხილებთ: გამოიჩინეთ სამართლიანობა. რაც შემეხება მე, - ერთი საწყალი მოკვდავი ვარ, ჩემი სიცოცხლე არარაობაა და თუკი გაფრთხილებთ უსამართლო განაჩენის გამოტანის გამო, ამას თქვენი გულისათვის უფრო ვაკეთებ, ვიდრე ჩემთვის..."

მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. მსაჯულთა თვალწინ იერონიმემ მუხლმოყრით თაყვანი სცა ღმერთს და ლოცვით სთხოვა სულიწმიდას, განეწმიდა მისი აზრები და სიტყვები, რათა ჭეშმარიტების საწინააღმდეგო ისეთი რამ არ წარმოეთქვა, რაც მის უზენაეს მოძღვარს ჩრდილს მიაყენებდა. იმ დღეს აღსრულდა უფლის აღთქმა მისი პირველი

მოწაფეების მიმართ: "წაგიყვანენ განმგებლებთან და მეფეებთან ჩემს გამო,.. ხოლო როცა გადაგცემენ თქვენ, ნუ იზრუნებთ, რა ვთქვათ ან როგორ ვთქვათო, ვინაიდან მაშინ მოგეცემათ, რაც უნდა თქვათ" (მათ. 10:18,.20).

იერონიმეს სიტყვებმა თვით მის მტრებშიც კი ალტაცება და გაოცება გამოიწვია. მთელი ერთი წლის განმავლობაში იგი სარდაფში იტანჯებოდა, არ ჰქონდა კითხვის საშუალება, არც რაიმე ცნობები გარე სამყაროს მოვლენების შესახებ და მთელი ეს დრო სულიერ შფოთვასა და ფიზიკურ ტანჯვაში გაატარა. და მიუხედავად ამისა, იგი იმდენად მტკიცედ და დამაჯერებლად ლაპარაკობდა, თითქოს მთელი ეს დრო მეცნიერული მომზადებისა და

მეცადინეობისთვის მოეხმაროს. მან მსმენელთა ყურადღება მსაჯულთა მიერ უსამართლოდ განსჯილ მართალთა გრძელ სიას მიაპყრო. ყველა თაობაში იყვნენ ადამიანები, რომელნიც სულიერებას შთააგონებდნენ ხალხს. მათ ჯერ სამარცხვინოდ დევნიდნენ, გარკვეული დროის შემდეგ კი კვლავ პატივს მიაგებდნენ. უსამართლო მსაჯულთა მიერ თვით ქრისტე იქნა განსჯილი, როგორც ბოროტმოქმედი.

განდგომის დროს იერონიმემ მხარი დაუჭირა ჰუსის მიმართ გამოტანილი განაჩენის სამართლიანობას, მაგრამ ახლა მან საჯაროდ მოინანია თავისი სიტყვები და განაცხადა, რომ ჰუსი უდანაშაულო და მართალი მოწმე იყო. "მე მას ბავშვობიდან ვიცნობდი. -

განაცხადა მან. - ის არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, სამართლიანი და წმიდა; მას ბრალი დასდეს, თუმცა უდანაშაულო იყო... და რაც შემეხება მე... მზადა ვარ მოვკვდე და არ დავიხევ უკან ტანჯვების გამო, რომელიც ჩემმა მტრებმა და ცრუმოწმეებმა მომიმზადეს, რომელნიც ერთ დღეს წარდგებიან და პასუხს აგებენ ღმერთის წინაშე, რომელსაც ვერავინ მოატყუებს".

ინანიებდა რა ჭეშმარიტებისაგან განდგომას, იერონიმე განაგრძობდა: "არც ერთი ცოდვა, ჩადენილი ბავშვობიდან დღემდე, ისე მძიმედ არ აწევს ჩემს სინდისს და არ მტანჯავს, როგორც აქ ჩადენილი დანაშაული, როდესაც მე გავამართლე ჩემი მასწავლებლების, უიკლიფისა და იან

ჰუსის მიმართ გამოტანილი უკანონო განაჩენი. დიახ, მთელი გულით ვინანიებ ჩემს ცოდვას და სინანულით ვალიარებ,.. რომ სიკვდილის შიშის გამო უარვყავი მათი მოძღვრება... და მე ვთხოვ უზენაესს, ყოვლისშემძლე ღმერთს, მომცეს მიტევება, განსაკუთრებით კი მაპატიოს ეს ცოდვა, ყველაზე საშინელი ჩემს ცოდვათა შორის". შემდეგ კი მტკიცედ წარმოთქვა: "თქვენ მსჯავრი დასდეთ უიკლიფსა და იან ჰუსს არა იმიტომ, რომ მათ შეურაცხყვეს ეკლესია, არამედ იმიტომ, რომ ამხილეს სამღვდელოების სამარცხვინო საქმეები, მათი სიხარბე, ამპარტავნობა და პრელატთა და მღვდელთა მრავალი მანკიერება. ყველაფერი, რასაც ისინი ამბობდნენ,

სიმართლეა და მე ვიზიარებ მათ აზრს".

მას შეაწყვეტინეს. ბრაზისაგან აკანკალებული პრელატები ყვიროდნენ: "კიდევ რისი მტკიცებაა საჭირო? საკუთარი თვალით ვხედავთ, რომ ჩვენს წინაშე ნამდვილი ერეტიკოსია!"

იერონიმემ ყოველგვარი აღელვების გარეშე წამოიძახა: "იქნებ გგონიათ, რომ სიკვდილის მეშინია? თქვენ მთელი წლის განმავლობაში დამწყვდეული გყავდით საშინელ სარდაფში. რომელი სიკვდილი არ ჯობია მას? თურქებს, იუდეველებსა და წარმართებს უკეთესად ექცევიან, ვიდრე თქვენ მექცეოდით. ჩემი სხეული დალპა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ მე არ

ვწუწუნებ, რადგან წუწუნი ამცირებს ადამიანს, რომელსაც აქვს სულიც და გულიც; მაგრამ მაინც არ შემიძლია არ გამოვთქვა გაკვირვება ქრისტიანის მიმართ ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულების გამო".

კვლავ აღელდა მრისხანების ქარიშხალი და იერონიმე სატუსალოში დააბრუნეს. მაგრამ მსმენელთა შორის აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებზედაც იერონიმეს სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და რომელთაც მისი გადარჩენა სურდათ. იერონიმესთან მიდიოდნენ ეკლესიის ცნობილი ჩინოსნები და ურჩევდნენ, დამორჩილებოდა კრებას. რომთან თანხმობის შემთხვევაში პირდებოდნენ ბრწყინვალე

მომავალს. მაგრამ, მაცხოვრის მსგავსად, რომელსაც ასევე მთელ ქვეყნიერებაზე ძალაუფლებას პირდებოდნენ, იერონიმე შეუდრეკელი აღმოჩნდა.

"წმიდა წერილის მეშვეობით დამიმტკიცეთ, რომ ვცდები და უარვყოფ", - ამბობდა იგი.

"წმიდა წერილი" - წამოიძახა ერთ-ერთმა მაცდურმა. - რა, ის უნდა იყოს ყველაფრის საზომი? მაგრამ ვის შეუძლია მისი გაგება ეკლესიის დახმარების გარეშე?"

"განა ადამიანური ტრადიციები უფრო არიან ნდობის ღირსი, ვიდრე ჩვენი მაცხოვრის სახარება? - უპასუხა იერონიმემ. - პავლე მოციქული არ მოუწოდებდა მორწმუნეთ,

გაჰყოლოდნენ ადამიანურ ტრადიციებს, არამედ ამბობდა: "გამოიკვლიეთ წმიდა წერილი".

"შენ ერეტიკოსი ხარ" - იყო პასუხი. - ტყუილად დავხარჯე ამდენი დრო შენთან ლაპარაკში. ეხლა ვხედავ, რომ ეშმაკეული ხარ".

მალე გამოტანილი იქნა სასიკვდილო განაჩენი და იერონიმე ზუსტად იმ ადგილას წაიყვანეს, სადაც ჰუსს მოუსწრაფეს სიცოცხლე. გზაზე იგი მლეროდა და მისი დამშვიდებული სახე სიხარულით იყო გაცისკროვნებული. მას თვალწინ ედგა ქრისტე და სიკვდილის შიში სრულიად გაუქრა. როდესაც ჯალათმა ცეცხლის ანთება უკანა მხრიდან დაიწყო, მოწამემ შესძახა: "მოდი აქ, უფრო თამამად იმოქმედე!

ჩემს თვალწინ დაანთე ცეცხლი. მე არ მეშინია. რომ მშინებოდა, აქ არ ვიქნებოდი".

ცეცხლის ალში გახვეულმა იერონიმემ უკანასკნელად წარმოთქვა ლოცვა: "უფალო, ყოვლისშემძლე მამაო! შემიწყალე და მომიტევე ცოდვები, რადგან შენ იცი, რომ ყოველთვის მიყვარდა შენი ჭეშმარიტება!" მისი ხმა დადუმდა, მაგრამ ბაგეები კვლავ ჩურჩულით განაგრძობდნენ ლოცვას. და როდესაც ცეცხლმა შეასრულა თავისი მისია, მიწასთან შერეული მოწამის ფერფლი, ჰუსის ნეშტის მსგავსად, შეაგროვეს და რეინის წყალს გაატანეს.

ასე დაიღუპნენ ღვთიური სინათლის მატარებელნი. მაგრამ მათ

მიერ გადმოცემული ჭეშმარიტების ნათელი, მათი სამაგალითო გმირობის სხივი არასოდეს ჩაქრება. როგორც მზის მოძრაობის მიმართულების შეცვლა არავის შეუძლია, ასევე ვერავინ შეუშლის ხელს განთიადს, რომელიც მთელ ქვეყნიერებას ჰფენს ნათელს.

ჰუსის სიკვდილით დასჯამ უდიდესი მღელვარება გამოიწვია ბოჰემიაში. ხალხმა გაიგო, რომ იგი მღვდელთა ბოროტებისა და იმპერატორის ღალატის მსხვერპლი გახდა. იგი სიმართლის ჭეშმარიტ მოძღვრად აღიარეს და მსოფლიო კრებას, რომელმაც ჰუსს განაჩენი გამოუტანა, მკვლელობის ბრალდება წაუყენეს. ახლა მისმა მოძღვრებამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

თავის დროზე პაპის ბრძანებით უიკლიფის მოძღვრებები ცეცხლში დაწვეს. მაგრამ ახლა მისი გადარჩენილი ნაშრომები სამალავებიდან ამოჰქონდათ და ბიბლიასთან, ან მის ცალკეულ თავებთან ერთად სწავლობდნენ და ამგვარად, ბევრმა მიიღო რეფორმატორთა მოძღვრება.

ჰუსის მკვლელებს არ შეეძლოთ განზე დგომა და მათი მსხვერპლის საქმეთა ზეიმის მშვიდად ცქერა. პაპმა და იმპერატორმა გადაწყვიტეს, ეს მოძრაობა ერთიანი ძალისხმევით ჩეხშოთ და მალე სიგიზმუნდის არმიის მრისხანება თავს დაატყდა ბოჰემიას.

მაგრამ მხსნელიც გამოჩნდა. ბოჰემიის არმიის მთავარსარდლად

დაინიშნა იმ დროისათვის მეტად ცნობილი გენერალი იან ჟიჟკა, რომელმაც ომის გამოცხადების შემდეგ მხედველობა სრულიად დაკარგა. ღმერთის ძალაზე დაყრდნობით და თავისი საქმის სამართლიანობის რწმენით ხალხი მუსრს ავლებდა მტრის უდიდეს ძალებს. იმპერატორი თავისი არმიის ახალ-ახალ ნაწილებს აგზავნიდა საბრძოლველად, მაგრამ ისინი შერცხვენილი და დამარცხებული ბრუნდებოდნენ უკან. ჰუსის მომხრეები, ყოველგვარი სიკვდილის შიშის გარეშე, თავგანწირვით იბრძოდნენ და ვერავინ გატეხა ისინი. ომის დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჟიჟკა გარდაიცვალა და მისი ადგილი დაიკავა პროკოფმა, მამაცმა

და ნიჭიერმა გენერალმა და ხელმძღვანელმა.

როცა ბრმა გენერლის სიკვდილის ამბავი შეიტყვეს, ბოჰემიელთა მტრებმა ჩათვალეს, რომ დადგა მომენტი დაკარგულის მოსაბრუნებლად. პაპმა ჰუსისტების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა და ბოჰემიისაკენ კვლავ დიდძალი არმია დაიძრა, მაგრამ ისიც სასტიკად დამარცხდა. გამოცხადდა მეორე ლაშქრობა. პაპის ერთგულ ყველა ქვეყანაში დაიწყო მამაკაცთა მობილიზაცია და ფულისა და საომარი აღჭურვილობის შეგროვება. ბევრი დადგა პაპის დროშის ქვეშ იმ იმედით, რომ მალე იხილავდნენ ბოჰემიელ ერეტიკოსთა განადგურებას. გამარჯვების რწმენით

ფრთებშესხმულნი შეიჭრნენ ისინი ბოჰემიაში. და ხალხი კვლავ ერთიანად ალდგა მტრის ღირსეულად დასახვედრად. ორი არმია სწრაფად უახლოვდებოდა ერთმანეთს, სანამ ბოლოს მდინარის აქეთ-იქით ნაპირს არ მიადგნენ. "სამხედრო უპირატესობა ჯვაროსნების მხარეზე იყო, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მდინარე გადაელახათ და მტერს შებმოდნენ, მდუმარედ იდგნენ და მდინარის გალმა მდგომ ჰუსისტებს შესცქეროდნენ". უეცრად შიშის მომგვრელმა მდუმარებამ მოიცვა მთელი ჯარი. და ეს ძლიერი არმია უეცრად უბრძოლველად აირია და ისე დაიშალა, თითქოს მას ვილაცის უხილავი ხელი მართავდა. ჰუსისტებმა სასტიკი დარტყმა აგემეს

მოწინაალმდეგეს; გაქცეულთა დევნისას მათ დიდი ნადავლი იგდეს ხელთ, ასე რომ, გალარიბების ნაცვლად ამ ბრძოლამ ბოჰემიელებს სიმდიდრე მოუტანა.

რამდენიმე წლის შემდეგ უკვე ახალი პაპის მიერ კვლავ გამოცხადდა ჯვაროსნული ლაშქრობა, კვლავ დაიწყო მობილიზაცია და რესურსების შეგროვება პაპის ერთგულ ქვეყანაში. ლაშქრობის მონაწილეებს ყოველგვარ პრივილეგიებს პირდებოდნენ, მათ შორის ყველაზე საშინელი, სასტიკი ცოდვებისა და დანაშაულის სრულ მიტევებას. ომში დალუპულ ყველა მეომარს ჯილდოდ ზეციურ სასუფეველს პირდებოდნენ, ხოლო ცოცხლად დარჩენილებს - პატივსა და

უხვად დასაჩუქრებას. კვლავ დაიძრა ძლიერი არმია, რომელმაც ბოჰემიის საზღვრები გადაკვეთა და ქვეყანაში შეიჭრა. ჰუსისტთა არმიამ უკან დაიხია, რითაც დამპყრობლები ქვეყნის სიღრმეში შეიტყუა და ბრძოლაში გამარჯვების იმედი მისცა. ბოლოს, პროკოფის არმიამ უკან დახევა შეწყვიტა და იერიშისათვის მოემზადა. მხოლოდ ახლა მიხვდნენ ჯვაროსნები თავიანთ შეცდომას და საბრძოლო პოზიციები დაიკავეს. ჯერ კიდევ ჰუსისტების ჰორიზონტზე გამოჩენამდე ჯვაროსნები მოახლოებულმა ხმაურმა კვლავ პანიკაში ჩაადგო. გენერლებიც და რიგითი მებრძოლებიც იარაღს ყრიდნენ და სხვადასხვა მიმართულებით გარბოდნენ. ამაო

იყო პაპის ლეგატის მცდელობა, რომელიც ამ ლაშქრობას ხელმძღვანელობდა, თავი მოეყარა დაბნეული და შეშინებული მეომრებისათვის. ბოლოს, თავისი უშედეგო მცდელობებით დასუსტებული, იგი თვითონაც გაჰყვა გაქცეულთა ტალღას. დამარცხება სრული იყო და გამარჯვებულებს კვლავ დიდი ნადავლი ხვდათ წილად.

ამგვარად, ეს უკვე მეორედ, უზარმაზარი არმია, ევროპის უძლიერეს სახელმწიფოთა დახმარებით აღჭურვილი, მამაცი და გაბედული ადამიანებისაგან შემდგარი, იძულებული იყო გაქცეოდა ასეთი პატარა და უმნიშვნელო ქვეყნის დამცველებს. ამ ყველაფერში აშკარა იყო ღვთიური

ძალის მოქმედება. დამპყრობლები ზებუნებრივის შიშით დამარცხდნენ. მან, ვინც მეწამულ ზღვაზე ფარაონის მეომრები დაამარცხა და მიდიელები გედეონისა და მისი სამასი მეომრისაგან გააქცია, ვინც ერთ ღამეში დაფანტა ამაყი ასირიელები, კვლავ გაიწოდა თავისი ხელი დამპყრობელთა შესამუსრავად: "იქ შეშინდნენ შიშით, სადაც არ იყო შიში, რადგან ღმერთი განაბნევს შენზე ამხედრებულთა ძვლებს. შენ შეარცხვენ მათ, რადგან ღმერთმა უკუაგდო ისინი" (ფსალმ. 52:6).

დაკარგა რა ძალით გამარჯვების იმედი, პაპის ხელისუფლებამ დიპლომატიას მიმართა. დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ბოჰემიელებს ფორმალურად მიეცათ

სინდისის თავისუფლება, მაგრამ სინამდვილეში მათ რომის კლანჭებში აგდებდა. ბოჰემიელებმა, თავის მხრივ, წამოაყენეს ოთხი პუნქტი, როგორც რომთან მშვიდობის დამყარების პირობა: ბიბლიის ქადაგების თავისუფლება; პურით და ღვინით ზიარებისა და ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე ჩატარების უფლება; სასულიერო პირებს აეკრძალათ ნებისმიერი საერო ორგანიზაციების მმართველობა და არ დაიშვებოდნენ ხელისუფლებაში; სახელმწიფო კანონების დამრღვევი სასულიერო პირები გადაეცათ სამოქალაქო სასამართლოსთვის. პაპის ხელისუფლება ბოლოს და ბოლოს "დათანხმდა ჰუსისტების მიერ

წამოყენებული ოთხი პუნქტის მიღებაზე, მაგრამ დაიტოვა მათი ახსნა-განმარტების უფლება, ანუ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მხოლოდ კრებაზე უნდა გადაეწყვიტა; მოკლედ რომ ვთქვათ, ბოლო სიტყვის თქმის უფლება პაპსა და იმპერატორს რჩებოდა". აი, ამ პირობით მოხდა შეთანხმება და რომმა მოტყუებით და მზაკვრობით მიალწია იმას, რისი გაკეთებაც აშკარა ბრძოლით და ომებით ვერ შესძლო. განამტკიცა რა ჰუსისტების მიერ წამოყენებული პირობების განმარტების უფლება, ისევე, როგორც ბიბლიის განმარტებისა, რომმა მიიღო მათი შინაარსის თავისი სურვილისამებრ დამახინჯების შესაძლებლობა.

ბოჰემიელთა უმრავლესობა ამ დოკუმენტში საკუთარი თავისუფლების სასიკვდილო განაჩენს ხედავდა და ამიტომ არ შეეძლო დათანხმებოდა მას. ჰუსისტებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რომელმაც სისხლისღვრა გამოიწვია. ამ ძმათა ბრძოლაში დაილუპა პროკოფი, ხოლო ბოჰემიამ დაკარგა დამოუკიდებლობა.

ჰუსისა და იერონიმეს მოღალატე სიგიზმუნდი ბოჰემიის მეფე გახდა. და მიუხედავად ფიცისა, რომ დაიცავდა ბოჰემიელთა უფლებებს, პაპის ძალაუფლების განმტკიცებას შეუწყო ხელი. მაგრამ პირადად მან ბევრი ვერაფერი მოიგო რომთან ლაქუცით. ოცი წლის განმავლობაში მისი ცხოვრება საშიშროებითა და

ხიფათით იყო ალსავსე. ხანგრძლივმა და უშედეგო ბრძოლებმა დააცარიელეს მისი ხაზინა და დააუძლურეს მთელი არმია. და ახლა, კიდევ ერთი წლის მეფობის შემდეგ ის მოკვდა და შერცხვენილის სახელით დატოვა ეს სამოქალაქო ომის პირას მისული ქვეყანა.

მღელვარება, ბრძოლა და სისხლისღვრა გრძელდებოდა. ბოჰემიაში კვლავ შეიჭრა უცხო ჯარი, შინაურმა ბრძოლებმა კი მთლად დაასუსტეს ქვეყანა და ერი, ხოლო სახარების ერთგულთ დევნის ახალი ქარიშხალი დაატყდა.

როდესაც ყოფილმა ძმებმა, რომის შეთანხმების შემდეგ, მიიღეს მათი ცრუსწავლება, ძველი რწმენის ერთგულებმა დააარსეს თავიანთი

ეკლესია, რომელსაც "გაერთიანებული საძმო" ეწოდებოდა. ამის გამო მათ საზოგადოების ყველა ფენის სიძულვილი დაიმსახურეს. მაგრამ ისინი ბოლომდე თავიანთი რწმენის ერთგულნი დარჩნენ. ისინი იძულებული გახდნენ ეძებნათ თავშესაფარი გამოქვაბულებში და ტყეებში. მიუხედავად ამისა, მაინც იკრიბებოდნენ ერთად, რათა წაეკითხათ ღვთის სიტყვა და ლოცვებით თაყვანი ეცათ შემოქმედისათვის.

სხვადასხვა ქვეყანაში გაგზავნილ მაცნეთა მეშვეობით მათთვის ცნობილი გახდა, რომ "უამრავ ქალაქში არიან ცალკეული პირები - ჭეშმარიტების მიმდევრები, რომლებიც მათ მსგავსად იდევნებიან,

და რომ ალპებში უკვე დიდი ხანია თავშესაფარი ჰპოვა ეკლესიამ, რომლის პრინციპები დამყარებულია წმიდა წერილზე, და რომელიც პროტესტს გამოთქვამს რომის წარმართული ადათების წინააღმდეგ". ეს ცნობა უდიდესი სიხარულით იქნა მიღებული და ვალდენსებთან მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა.

სახარების ჭეშმარიტებისადმი ერთგული ბოჰემიელები დევნის ყველაზე ბნელ ღამეებშიც კი მზერას ზეცისაკენ აღაპყრობდნენ განთიადის მომლოდინეთა მსგავსად. "მათ წილად ხვდათ სასტიკი მომავალი, მაგრამ... მათ კარგად ახსოვდათ ჯერ იან ჰუსის მიერ თქმული, შემდეგ კი იერონიმეს მიერ გამეორებული

სიტყვები: "გავა საუკუნე და გათენდება." ეს სიტყვები ჰუსისტებისათვის ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც იოსების სიტყვა ტყვე ისრაელთა შტოებისათვის: "მე ვკვდები, მაგრამ უფალი მოვა და გამოგიყვანთ თქვენ".

მე-15 საუკუნის დამლევს "გაერთიანებული საძმოს" ეკლესიათა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ისინი კვლავინდებურად იდევნებოდნენ, მაგრამ არა ისე სასტიკად. მე-16 საუკუნის დასაწყისში ბოჰემიაში და მორავიაში დაახლოებით 200 ეკლესია იყო. "სწორედ ამ ერთგულ, ცეცხლისა და მახვილის დამლუპველი ძალისაგან გადარჩენილთ წილად ხვდა ჰუსის

მიერ ნაწინასწარმეტყველებ
განთიადთან შეხვედრა".

თავი 7 ლუთერი - თავისი დროის გმირი

მათ შორის, ვინც მოწოდებული იყო ეკლესია პაპის წყვდიადიდან გამოეყვანა უფრო წმიდა და სრულყოფილი რწმენის ნათელში, ყველაზე დიდი ადგილი მარტინ ლუთერს უჭირავს. ენერგიული, მგზნებარე და ერთგული ლუთერი,

რომელმაც ღვთის შიშის გარდა სხვა შიში არ იცოდა და რომელიც რწმენის საფუძვლად მხოლოდ წმიდა წერილს თვლიდა, სწორედ ის ადამიანი იყო, რომლის მეშვეობით უფალმა დიდი საქმე გააკეთა ეკლესიის გარდაქმნისა და ქვეყნიერების განათლების საქმეში.

სახარების პირველ მაცნეთა მსგავსად, ლუთერიც ღარიბი ოჯახიდან იყო. თავისი ადრეული ბავშვობა გერმანელი მემალაროეს ოჯახში გაატარა. მისი მამა მადანს თხრიდა და ლუკმაპურს მძიმე შრომით შოულობდა. მას სურდა, რომ ვაჟს განათლება მიელო და ვექილი გამოსულიყო, მაგრამ ღმერთმა გადაწყვიტა იგი გამხდარიყო უდიდესი მშენებელი ტაძრისა,

რომელიც ფეხს იდგამდა და მტკიცდებოდა შემდგომ საუკუნეთა განმავლობაში. სიძნელეები, ხელმოკლეობა და მკაცრი დისციპლინა იყო ის სკოლა, რომელშიც უზენაესის უსასრულო სიბრძნე ლუთერს ამზადებდა მისი ცხოვრების მთავარი საქმიანობისათვის.

ლუთერის მამა მეტად პრინციპული, ჯიუტი ადამიანი იყო და მტკიცე ხასიათით, სიმამაცითა და პატიოსნებით გამოირჩეოდა. იგი თავისი მოვალეობის ერთგული ალმსრულებელი და პასუხისმგებელი იყო. ჯანსაღი გონება მას უნდობლობას ჩააგონებდა ბერთა მიმართ. მამა ძალზე უკმაყოფილო იყო ლუთერის საქციელით, როდესაც

იგი მისი თანხმობის გარეშე ბერად ალიკვეცა და მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეურიგდა შვილს, მაგრამ მაშინაც კი მისი თვალსაზრისი არ შეცვლილა.

ლუთერის მშობლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ თავიანთი შვილების განათლებას. ისინი ცდილობდნენ მათში ქრისტიანული შემეცნება გალვიძებინათ. მამა ხშირად ლოცულობდა შვილის თანდასწრებით იმის შესახებ, რომ მარტინს არასოდეს დავიწყებოდა ღმერთი და მისი ჭეშმარიტების გავრცელებისთვის ეშრომა. მშობლები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ ღვთისმოსავი და პატიოსანი შვილები

ალეზარდათ. ისინი ხშირად ზედმეტ სიმტკიცესა და გულმოდგინებასაც კი იჩენდნენ, მაგრამ როგორც თავად რეფორმატორი თვლიდა, მისი მშობლები ზოგჯერ ცდებოდნენ, თუმცა მათი მცდელობა ქებას უფრო იმსახურებდა, ვიდრე კრიტიკას.

სკოლაში, სადაც ძალიან ადრე შეიყვანეს, ლუთერს მკაცრად და სასტიკადაც კი ეპყრობოდნენ. მისი მშობლები იმდენად ღარიბები იყვნენ, რომ სხვა ქალაქში სასწავლებლად გამგზავრების შემდეგ იგი იძულებული გახდა ლუკმაპური კარდაკარ სიარულითა და სიმღერით ეშოვა, მაგრამ მაინც ხშირად მშიერი რჩებოდა. მას საშინლად ჰზარავდა იმ დროისათვის გაბატონებული, რელიგიის სამოსში

გახვეული ცრურწმენები. ის დასაძინებლად წვებოდა გულდამძიმებული, მღელვარებით უცქერდა სასტიკ გაურკვეველ მომავალს და მუდამ შიშის გრძნობას განიცდიდა ღმერთზე ფიქრისას, რომელიც მას უმოწყალო მოსამართლედ და სასტიკ ტირანად წარმოედგინა და არა მოსიყვარულე მამად.

მაგრამ მიუხედავად იმედების მრავალჯერ გაცრუებისა, ლუთერი მაინც ისწრაფოდა გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ, რომელიც მის სულს ასე სწყუროდა. იგი ხარბად ეწაფებოდა ცოდნას, მისი სერიოზული, სხარტი გონება ყოველი მნიშვნელოვანი საგნის ან მოვლენის ღრმად შეცნობისაკენ ილტვოდა.

როდესაც 18 წლის ლუთერი ერფურტის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, მისი მატერიალური მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა. ლუთერის შრომისმოყვარე და მომჭირნე მშობლებმა იმ დროისთვის ცოტაოდენ ფულს მოუყარეს თავი და ახლა უკვე შეეძლოთ შვილის დახმარება იმაში, რაც მისთვის აუცილებელი იყო. კეთილი მეგობრების შეძენამ და მათთან ურთიერთობამ თითქმის წაშალა მის გონებაში ბავშვობის ბნელი ჩრდილები. იგი გულმოდგინედ სწავლობდა გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებებს, რომელნიც მას გონიერებასა და სიბრძნეს მატებდნენ. ადრინდელი მკაცრი დისციპლინის

პირობებშიც კი იგი დიდ იმედებს იძლეოდა და ახლა, შედარებით უკეთეს პირობებში, ლუთერი სწრაფად ყალიბდებოდა, როგორც პიროვნება. ბრწყინვალე მეხსიერება, მდიდარი ფანტაზია, ძლიერი ინტელექტი და სიბეჯითე - ყველა ამ თვისებით იგი საუკეთესო იყო თავის ამხანაგებს შორის. სულიერად მოწესრიგებული მისი გონება თანდათან მწიფდებოდა და სიცოცხლესა და სიბრძნეს იძენდა, რომელიც შემდგომ სასიცოცხლო ბრძოლაში დიდად გამოადგა.

ლუთერს ეშინოდა ღმერთისა და ეს ეხმარებოდა, უფლის მორჩილი ყოფილიყო, არ გადაეხვია იმ გზიდან, რომელსაც იგი დასახული მიზნისაკენ მიჰყავდა. შეგნებული

ჰქონდა, რომ მისი ყოველდღიური ცხოვრება უფალზეა დამოკიდებული. იგი ყოველ ახალ დღეს ლოცვით იწყებდა: ღმერთს მთელი გულით სთხოვდა შემწეობას და მხარდაჭერას. "გულიდან ამოსული ლოცვა, - ხშირად ამბობდა იგი, - ნახევრად შესრულებულ დავალებას ჯობია".

ერთხელ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წიგნების თვალიერებისას ლუთერმა ლათინურ ენაზე დაწერილი ბიბლია აღმოაჩინა. აქამდე მას არასოდეს ენახა ეს წიგნი და არაფერი იცოდა მისი არსებობის შესახებ. საერთო ღვთისმსახურების დროს მას ხშირად ესმოდა სახარებიდან და წერილებიდან ამოღებული ცალკეული ფრაზები და ვარაუდობდა, რომ ეს იყო მთელი

ბიბლია. ახლა კი ამ წიგნს სრულად ხედავდა. მოწიწებითა და გაოცებით ფურცლავდა ამ წმიდა წერილს, თრთოლვით კითხულობდა სიცოცხლის სიტყვებს, დროდადრო ჩერდებოდა და აღტაცებით იმეორებდა: "ნეტავი ღმერთმა მომცეს ასეთი წიგნი!" უფლის ანგელოზები გარს ეხვეოდნენ მას და უფლის ტახტიდან გამოსული ნათელი ჭეშმარიტების საგანძურს უხსნიდა. ლუთერს ყოველთვის ეშინოდა უფლის შეურაცხყოფისა, ახლა კი ისე, როგორც არასდროს, აშკარად იგრძნო თავისი ცოდვილი მდგომარეობა.

ცოდვების მიტევებისა და ღმერთთან თანხმობით ცხოვრების მტკიცე სურვილმა იგი მონასტერში

მიიყვანა. იქ მას აიძულებდნენ, გაეკეთებინა ყველაზე ჭუჭყიანი საქმე და ხშირად კარდაკარ მოწყალების სათხოვნელადაც აგზავნიდნენ. იგი იმ ასაკში იყო, როდესაც ადამიანები ადვილად ექცევიან სხვისი აზრების ზეგავლენის ქვეშ და რა თქმა უნდა, იტანჯებოდა ამ სამუშაოს შესრულებისას, მაგრამ მოთმინებით იტანდა დამცირებას, რადგან ფიქრობდა, რომ თავისი ცოდვებისათვის ისჯებოდა.

ყოველ თავისუფალ წუთს (თუკი ამის საშუალება მიეცემოდა), იგი სწავლას ანდომებდა. მეცადინეობაში ატარებდა უძილო ღამეებს და ჭამისათვის განკუთვნილ დროსაც კი. მას ყველაზე დიდ კმაყოფილებას ბიბლიის კითხვა ჰგვრიდა. მან

ალმოაჩინა ბიბლია, ჯაჭვით მიბმული მონასტრის კედელზე, და ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე მას. რაც უფრო ღრმად გრძნობდა იგი საკუთარ ცოდვიანობას, მით უფრო მეტად ცდილობდა თავისი საქმეებით მიელო მიტევება და სიმშვიდე ღვთისაგან. ცხოვრობდა მკაცრ რეჟიმში, ცდილობდა მარხვით, სიფხიზლითა და თვითგვემით საკუთარი მანკიერებების ალმოფხვრას, რაც თავისი მონასტრული მორჩილებითაც კი ვერ შეძლო. იგი მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლის გალებისათვის, ოღონდ წმიდად წარმდგარიყო უფლის წინაშე. "მე ჭეშმარიტად ღვთისმოსავი ბერი ვიყავი, - ამბობდა იგი მოგვიანებით, - და ისე ზუსტად ვასრულებდი

ორდენის დადგენილ წესებს, რომ ამის გადმოცემა სიტყვებით არ შემიძლია. და თუ ბერთაგან ვინმეს შეეძლო თავისი საქციელით ცათა სასუფეველი დაემსახურებინა, ერთ-ერთი მათგანი, ეჭვგარეშეა, მე ვიქნებოდი". "ჩემი ასეთი მდგომარეობა ცოტა მეტ ხანს რომ გაგრძელებულიყო, ალბათ, სიკვდილის პირამდე მიმიყვანდა." ამ თავისი ნებაყოფლობითი თვითგვემითა და დაუზოგავი საქციელით ლუთერი ძლიერ დასუსტდა, დაეწყო კრუნჩხვები და გულის შეტევები, რომლისგანაც იგი სრულად ველარასოდეს განთავისუფლდა. მაგრამ, მიუხედავად უდიდესი ძალისხმევისა, მისი ტანჯული სული

ვერსად პოულობდა შვებას. და ბოლოს იგი სრულ სასოწარკვეთილებამდე მივიდა.

იმ დროს, როდესაც ლუთერმა ყველაფრის იმედი დაკარგა, უფალმა მას მეგობარი და თანაშემწე გამოუგზავნა. ღვთის სიტყვის შემეცნებაში მას ღვთისმოსავი შტაუპიცი დაეხმარა. მან ლუთერს ყურადღება საკუთარი თავიდან იესო ქრისტეზე გადაატანინა. მისი დახმარებით ლუთერი გათავისუფლდა უფლის კანონის დარღვევის გამო დანაშაულის შეგრძნების მტანჯველი ფიქრებისაგან და მზერა მიაპყრო იესოს - ცოდვათა მიმტევებელსა და მხსნელს... "საკუთარი ცოდვების გამო ტანჯვის ნაცვლად მიდი შენს

მხსნელთან... მიენდე მას, მისი ცხოვრების სიმართლეს, ირწმუნე მისი ჯვარცმის გამომსყიდველი ძალა... დაემორჩილე ღვთის ძეს. იგი განკაცდა, რათა შენ დაგარწმუნოს ღვთის კეთილ ნებაში. შეიყვარე იგი, რადგან მან პირველმა შეგიყვარა შენ". ასე ასწავლიდა მას ეს მადლის მაცნე. მისმა სიტყვებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ლუთერზე. საკუთარ თავში დამკვიდრებულ მანკიერებასთან დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ მან შეძლო ჭეშმარიტების ალქმა და მის მშფოთვარე სულში სიმშვიდე გამეფდა.

სასულიერო ჩინის მიღების შემდეგ ლუთერი ვიტენბერგის უნივერსიტეტში მასწავლებლად მიიწვიეს. იქ შეუდგა ბიბლიის

ორიგინალის შესწავლას. იმავდროულად დაიწყო ლექციების კითხვა ბიბლიიდან. მისით ალტაცებულმა მსმენელებმა შეძლეს ფსალმუნების, სახარებისა და წერილების კითხვა და გაგება. შტაუპიცმა, მისმა მეგობარმა და მასწავლებელმა, უბიძგა მას კათედრიდან ღვთის სიტყვის ქადაგებისაკენ. ლუთერი ყოყმანობდა, რადგან თავს არ თვლიდა იმის ღირსად, რომ ხალხისთვის ქრისტეს სახელით მიემართა. ხანგრძლივი შინაგანი ბრძოლის შემდეგ იგი დაეთანხმა მეგობართა თხოვნას. ამ დროისათვის მას უკვე კარგად ჰქონდა შესწავლილი ბიბლია და ღვთის მადლიც სუფევდა მასზე. მისი

მჭევრმეტყველება ატყვევებდა მსმენელთა ყურს: მის მიერ გადმოცემული ჭეშმარიტების ნათელი და ძალა ზეგავლენას ახდენდა ადამიანთა გონებაზე, ხოლო მისი მგზნებარე სიტყვები მათ გულებს აღელვებდა.

ლუთერი კვლავინდებურად რჩებოდა პაპის ეკლესიის ერთგულ შვილად და სხვაგვარი აზრი არც გაუვლია გონებაში. უფალმა იგი რომში გაგზავნა. ლუთერი ფეხით მოგზაურობდა და გზად მონასტრებში ჩერდებოდა. ერთმა იტალიურმა სავანემ იგი თავისი ფუფუნებითა და სიმდიდრით გააოცა. ბერები დიდებულ აპარტამენტებში სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე ცხოვრობდნენ. დიდი მწუხარებით

ადარებდა ლუთერი ამ სურათს თავისი ცხოვრების თვითგანწირვასა და სიძნელეებს... და იგი დაიბნა.

ბოლოს, შვიდ ბორცვზე გაშენებულ ქალაქს მიაღწია. სულის სილრმემდე შეძრული ლუთერი მიწაზე დაემხო და შესძახა: "მოგესალმები, წმიდა ქალაქო!" იგი დადიოდა ქალაქში, შედიოდა ტაძრებში, ყურს უგდებდა ბერთა და მღვდელთა საუბრებს, რომლებიც დაუღალავად ლაპარაკობდნენ სხვადასხვა სასწაულებზე, მონაწილეობას იღებდა ყველა რელიგიურ ცერემონიაში. საკუთარი თვალით ნანახმა მასში საშინელი აღშფოთება გამოიწვია. იგი კარგად ხედავდა, თუ რა უკანონობა სუფევდა ყველა რანგის სასულიერო პირთა შორის,

ესმოდა პრელატთა უხამსი ხუმრობები და თავზარდაცემული იყო მათი ამაზრზენი, ღვთისმკრეხელური სიტყვების მოსმენით, რომელთაც ღვთისმსახურების პროცესშიც კი წარმოთქვამდნენ. როგორც მონასტრებში, ასევე ქალაქის ცხოვრებაშიც თავაშვებულ და გარყვნილ ცხოვრებას ამჩნევდა. სიწმიდისა და სიმართლის ნაცვლად ყველგან ჭუჭყს ხედავდა. "არავინ დაიჯერებს, - წერდა იგი, - თუ რა ცოდვები და სამარცხვინო საქმეები ტრიალებს რომში; რომ დარწმუნდე, ყოველივე საკუთარი თვალით უნდა ნახო; ისე, რომ ანდაზებიც კი გაჩნდა: "თუკი ჯოჯოხეთი არსებობს, მაშინ რომი მასზე დგასო. ეს არის

უფსკრული, საიდანაც ყველა ცოდვა მოედინება!"

თავის გამოცემულ დადგენილებაში პაპმა ცოდვების მიტევება აღუთქვა ყველას, ვინც ფორთხვით აივლიდა ე.წ. "პილატეს კიბეს", რადგან ნათქვამი იყო, რომ სწორედ მაცხოვარმა ამ კიბეზე ჩამოიარა რომის უმაღლესი სასამართლოდან გამოსვლისას და რომ იგი იერუსალიმიდან რომში რაღაც ზებუნებრივი ძალით იქნა გადმოტანილი. და ერთხელ, როდესაც ლუთერი მოწიწებით მიფორთხავდა ამ საფეხურებზე, უცბად საოცრად ძლიერი ხმა მოესმა: "მართალი იცოცხლებს რწმენით!" იგი მაშინვე წამოხტა და სირცხვილისაგან თავზარდაცემული, სასწრაფოდ

გაშორდა იქაურობას. მას შემდეგ ეს ბიბლიური სიტყვები მის სულში მუდამ ჟღერდა. თავისდა მოულოდნელად, მან ნათლად დაინახა ადამიანის საკუთარი საქმეებით გადარჩენის იმედის ამაოება და შეიგნო ქრისტეს დამსახურებისადმი მარადიული რწმენის აუცილებლობა; მას თვალი აეხილა პაპის მაცდურობაზე. და ამ მომენტიდან ზურგი აქცია რომს, მისი გული თანდათანობით ჩამოშორდა პაპის ეკლესიას და ბოლოს მასთან ყოველგვარი კავშირიც გაწყვიტა.

    რომიდან დაბრუნების შემდეგ ლუთერს ვიტენბერგის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მიანიჭეს. ახლა მას შესაძლებლობა მიეცა, უფრო

მეტი დრო დაეთმო წმიდა წერილის შესწავლისათვის, რასაც მოწიწებით ასრულებდა კიდეც. მან საზეიმო ფიცი დადო, რომ მთელ ცხოვრებას შესწირავდა ღვთის სიტყვის შესწავლას და ერთგულად იქადაგებდა არა პაპის დოქტრინებსა და გამონათქვამებს, არამედ ღვთის სიტყვას. ახლა ის უკვე უბრალო ბერი, ანდა ღვთისმეტყველების პროფესორი კი ალარ იყო, არამედ გავლენიანი ბიბლიური მაცნე, მოწოდებული უფლის ცხვართა სამწყემსად, რომელთაც ჭეშმარიტება სწყუროდათ. მან გაბედულად განაცხადა, რომ ქრისტიანული რელიგიის სწავლების ერთადერთი წყარო წმიდა წერილი უნდა იყოს. ეს სიტყვები, რომელშიც რეფორმაციის

სასიცოცხლო მნიშვნელობის პრინციპები იყო ჩაქსოვილი, გამანადგურებელ დარტყმას აყენებდა პაპის ძალაუფლებას.

ლუთერი კარგად ხედავდა ღვთის სიტყვის დაკნინებას და ადამიანური თეორიების აღზევების შედეგს. იგი გაბედულად აკრიტიკებდა სქოლასტიკურ მოძღვრებას, ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებას, რაც ასე ხანგრძლივად ბატონობდა ადამიანთა გონებაზე. ლუთერი მიუთითებდა, რომ ეს მოძღვრებები არა მხოლოდ უსარგებლოა, არამედ - მავნეც. ამასთან ერთად ცდილობდა, მსმენელთა ყურადღება სოფისტური ფილოსოფიიდან და ღვთისმეტყველებიდან გადაეტანა

მარადიულ ჭეშმარიტებებზე, რომელთაც მოციქულები და წინასწარმეტყველები ქადაგებდნენ.

რა ძვირფასი იყო ეს სახარება ადამიანებისათვის, რომლებიც უდიდესი გულისყურით ისმენდნენ მის თითოეულ სიტყვას. ადრე არასოდეს გაეგონათ ასეთი რამ. კეთილი უწყება მაცხოვრის სიყვარულის შესახებ, უფლის გაღებული სისხლით მიღებული მიტევებისა და მშვიდობის რწმენა - ყოველივე ეს სიხარულითა და მარადიულობის იმედით ავსებდა მათ გულებს. ვიტენბერგში აინთო ნათელი, რომლის სხივები დედამიწის ყველაზე შორეულ კუთხეებს მისწვდა და რომელიც

ბოლო ჟამის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო და უფრო კაშკაშებს.

მაგრამ ნათელი და ბნელი ერთად ვერ იარსებებენ. ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობს. ერთი რომელიმე მხარის დაცვა და მხარდაჭერა - მეორის წინააღმდეგ ბრძოლასა და მის უარყოფას ნიშნავს. ჩვენმა მაცხოვარმა თვითონ თქვა: "ნუ გგონიათ, თითქოს დედამიწაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი. მშვიდობის კი არა, მახვილის მოსატანად მოვედი" (მათ. 10:34). ლუთერმა კი თავისი რეფორმატორული მოღვაწეობიდან რამდენიმე წლის შემდეგ აღნიშნა: "უფალს არა თუ უბრალოდ მივყავარ, არამედ მიბიძგებს წინისაკენ. იგი

მიზიდავს და მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. მინდა მშვიდად ვიცხოვრო, მაგრამ ამის ნაცვლად მღელვარებისა და რევოლუციების შუაგულში ვექცევი". ახლა კი მას ნამდვილად ბრძოლის ველი ელოდა.

კათოლიკური ეკლესია ღვთის მადლით ვაჭრობდა. სამსხვერპლოს გვერდით ფულის გადამცვლელთა მაგიდებთან მყიდველთა და გადამყიდველთა გნიასი იდგა. რომში წმიდა პეტრეს ტაძრის მშენებლობის საბაბით დაიწყო პაპის მიერ გამოშვებული ინდულგენციების საყოველთაო გაყიდვა. დანაშაულის გზით მოპოვებული ფულით უნდა ალმართულიყო ტაძარი უფლის სახელის განდიდებისათვის! ურჯულოების გზით უნდა

დადებულიყო ტაძრის ქვაკუთხედი! მაგრამ იმან, რასაც რომისათვის დიდება უნდა მოეტანა, პირიქით, გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მის ძლიერებას და დიდებულებას. ამ ნაბიჯმა პაპს საკმაოდ ძლიერი მტრები შესძინა. გაჩალდა ბრძოლა, რომელმაც პაპის ტახტი შეარყია და მას გვირგვინი დააკარგვინა.

გერმანიაში ინდულგენციებით ვაჭრობას ხელმძღვანელობდა ერთ-ერთი კათოლიკე მოხელე ტეცელი, რომელიც ადრე საზოგადოებისა და უფლის კანონის საწინააღმდეგო სულმდაბლურ დანაშაულში იყო მხილებული, მაგრამ დამსახურებული სასჯელი თავიდან აიცილა და უფრო მეტიც: პაპის ანგარებიანი და

არაკეთილსინდისიერი განზრახვის განხორციელება დაავალეს. შეუდარებელი თავხედობით, უსირცხვილოდ ყვებოდა იგი ზღაპრებს სასწაულების შესახებ, რითაც აცდუნებდა უმეცარ და ცრუმორწმუნე ხალხს. ადამიანებს რომ ღვთის სიტყვა სცოდნოდათ, ასე ადვილად არ მოტყუვდებოდნენ. ბიბლიას სწორედ იმიტომ უმალავდნენ ხალხს, რომ რომის ეკლესიას იგი უსიტყვო მორჩილებაში ჰყოლოდა, რათა მის პატივმოყვარე ხელმძღვანელებს უფრო განემტკიცებინათ თავიანთი ძალაუფლება და სიმდიდრე.

ქალაქის ქუჩებში ტეცელს წინ მიუძღოდა შიკრიკი, რომელიც ხალხს მიმართავდა: "ღვთის და წმიდა მამის

მადლი ახლა თქვენს კართანაა მომდგარი" და ხალხიც ამ უკეთურ თვალთმაქცს ისე ესალმებოდა, როგორც თვით უზენაესს, ზეციდან მოვლენილს. ეკლესიაში გაჩალდა გულისამრევი ვაჭრობა. კათედრაზე მდგომი ტეცელი ქება-დიდებას ასხამდა ინდულგენციებს, როგორც უფლის ძვირფას ნაბოძვარს. იგი ხალხს უხსნიდა, რომ ინდულგენციების საშუალებით ხდება მათ მფლობელთა ცოდვების მიტევება როგორც აწმყოში, ასევე მომავალშიც ისე, რომ "მონანიებაც არ არის საჭირო". უფრო მეტიც, იგი მსმენელთ არწმუნებდა, რომ ინდულგენციებს შეუძლიათ არა მარტო ცოცხლების, არამედ მიცვალებულთა გადარჩენაც და რომ

ყუთში ჩაგდებული ფულის წკრიალზე სული საწმიდარიდან ამოფრინდება და ზეცაში წავა.

როდესაც სიმონ-მოგვმა ფული შესთავაზა მოციქულებს იმ ძალის ყიდვის მიზნით, რომლითაც იგი სასწაულებს მოიმოქმედებდა, პეტრე მოციქულმა უპასუხა: "შენი ვერცხლი შენვე გქონდეს შენს დასალუპად, ვინაიდან ღვთის ნიჭის ფულით მოპოვება განიზრახე" (საქ. 8:20.) მაგრამ ტეცელის წინადადებას ათასობით ადამიანმა დაუჭირა მხარი. ოქრო და ვერცხლი მდინარედ მიედინებოდა მის სალაროში. გადარჩენის ფულით ყიდვა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ხსნა, რომელიც ცოდვილისაგან მონანიებას, რწმენას

და ცოდვასთან მუდმივ ბრძოლას მოითხოვდა.

სწავლულებმა და კათოლიკური ეკლესიის ღვთისმოშიშმა ადამიანებმა ინდულგენციების წინააღმდეგ გაილაშქრეს, უარყვეს და უაზრობა უწოდეს მას. არც ერთმა პრელატმა არ აღიმაღლა ხმა ამ ღვთის საწინააღმდეგო ვაჭრობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ღვთისმოსავი ადამიანები საგონებელში და მწუხარებაში ჩაცვივდნენ და იმედოვნებდნენ: იქნებ უფალმა რაიმე საშუალებებით განწმინდოსო ეკლესია.

ლუთერი, რომელიც კვლავაც პაპის ერთგული მიმდევარი იყო, აღაშფოთა ინდულგენციებით მოვაჭრეთა ასეთმა ღვთისმკრეხელურმა თავხედობამ.

მრავალი ადამიანი ნაყიდი ინდულგენციებით მიდიოდა მასთან მის სამრევლოში, როგორც თავის პასტორთან. ისინი აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს და მისგან ელოდნენ მიტევებას არა იმიტომ, რომ ინანიებდნენ თავიანთ დანაშაულს და ახალი ცხოვრების დაწყება სურდათ, არამედ იმიტომ, რომ ინდულგენციები შეიძინეს. ლუთერი უარს ამბობდა აღსარების მიღებაზე და ასწავლიდა, რომ თუკი ისინი არ მოინანიებენ და არ შეცვლიან თავიანთ ცხოვრებას, დაიღუპებიან. საგონებელში ჩავარდნილნი, ისინი ტეცელთან ბრუნდებოდნენ და შესჩიოდნენ, რომ მათი პასტორი უარს ამბობს აღსარების მიღებაზე, ხოლო ზოგიერთნი, უფრო

გაბედულნი, ფულის უკან დაბრუნებასაც მოითხოვდნენ. ამან მეტად განარისხა ბერი და საშინელი წყევლა-კრულვით გასცა ბრძანება, კოცონები დაენთოთ საზოგადოებრივ ადგილებში, თან განაცხადა: "ბრძანება მივიღე პაპისგან: ვინც გაბედავს და მისი წმიდა ინდულგენციების წინააღმდეგ გამოვა, ერეტიკოსად ჩაითვლება და კოცონზე დაიწვება."

მაშინ ლუთერმა გაბედულად დაიწყო სიმართლისათვის ბრძოლა. იგი კათედრიდან სერიოზულად და საჯაროდ აფრთხილებდა ხალხს, უხსნიდა ცოდვის საშინელებას და ასწავლიდა, რომ საკუთარი საქმეებით ადამიანს არ შეუძლია ცოდვების წაშლა ან სასჯელის

თავიდან აცილება. მხოლოდ ქრისტეს რწმენით, ღვთის წინაშე მონანიებით შეუძლია ცოდვილს, მოიპოვოს ხსნა. ქრისტეს მადლის შეძენა ფულით შეუძლებელია. მადლი - ეს უფლის უანგარო ძღვენია. ლუთერი ხალხს ურჩევდა, ინდულგენციების შეძენის ნაცვლად, რწმენით მიეპყროთ მზერა ჯვარცმულ მაცხოვარზე. იგი ხალხს უზიარებდა თავის მწარე გამოცდილებას, რომ ერთ დროს ისიც საკუთარი თავის დამცირებითა და თვითგვემით ცდილობდა ხსნის მიღებას. და მსმენელთ არწმუნებდა, რომ მხოლოდ მაშინ ეწვია სიმშვიდე და სიხარული, როდესაც იგი კი ალარ დაეყრდნო საკუთარ საქმეებს, არამედ რწმენით მიმართა ქრისტეს.

ტეცელი კვლავინდებურად განაგრძობდა ვაჭრობას, თავისი უწმიდური პრეტენზიების წამოყენებას და ლუთერმა გადაწყვიტა, უფრო მკაცრი ზომები მიელო ამ აშკარა ბოროტების წინააღმდეგ. მალე მას ამის საშუალება მიეცა. ვიტენბერგის ეკლესიაში დიდი რაოდენობით ინახებოდა "წნიდანთა ნაწილები", რომელნიც დიდ დღესასწაულებზე ხალხის წინაშე გამოჰქონდათ, და ყველას, ვინც ამ დღეს მოვიდოდა ეკლესიაში და ალსარებას იტყოდა, ცოდვები მიეტევებოდა. ახლოვდებოდა უდიდესი დღესასწაული - "ყველა წმიდას" დღე. ამ დღესასწაულის დადგომამდე ლუთერი ეკლესიაში მიმავალ ბრბოს

შეერია და ეკლესიის კარს მიაკრა ფურცელი, რომელზედაც ჩამოწერილი იყო ინდულგენციების საწინაამდეგო 95 თეზისი. ამასთან ერთად მან განაცხადა, რომ მზად არის თავისი თეზისები დაიცვას უნივერსიტეტში თავის მოწინაალმდეგეთა თანდასწრებით.

ამ განცხადებამ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ყველა კითხულობდა ლუთერის თეზისებს. ქალაქში და უნივერსიტეტში დიდი მღელვარება დაიწყო. ლუთერის თეზისებში ნათქვამი იყო, რომ არც პაპს, არც რომელიმე სხვა ადამიანს არასოდეს მისცემია უფლება ცოდვათა მიტევებისა და მისთვის სასჯელის გაუქმებისა, რომ ეს ყველაფერი სხვა არაფერია, თუ არა

სიცრუე და ცრუმორწმუნე ადამიანთა უმეცრებაზე დაყრდნობით ფულის ოსტატური გამოძალვა, რომ ეს სატანას მზაკვრული გეგმაა იმ სულთა დასაღუპავად, რომელნიც მას მიენდობიან. ლუთერი გასაგებად უხსნიდა ხალხს, რომ ეკლესიის ყველაზე ძვირფასი საგანძური - ქრისტეს სახარებაა და სახარებით გადმოცემული ღვთის მადლი უსასყიდლოდ ეძლევა ყველას, ვინც მას მონანიებითა და რწმენით ეძებს.

ლუთერის თეზისები - ეს იყო ჭეშმარიტების მტერთა გაბედული გამოწვევა, მაგრამ ვერავინ გაბედა მისი მიღება. რამდენიმე დღეში ლუთერის მიერ წამოყენებული საკითხები მთელი გერმანიისათვის ცნობილი გახდა, სულ მალე კი მასზე

მთელი ქრისტიანული სამყარო ალაპარაკდა. ბევრი ღვთისმოსავი კათოლიკე, რომელიც ძალზე განიცდიდა ეკლესიაში გაბატონებულ საშინელ ურჯულოებას, მაგრამ არ იცოდა, როგორ აღდგომოდა წინ, უდიდესი სიხარულით კითხულობდა ლუთერის თეზისებს და სწამდა, რომ ეს იყო უფლის ხმა. ისინი მასში ხედავდნენ უფლის მოწყალე ხელს, რომელსაც სურდა ბოლო მოელო რომის ტახტის უკანონობისათვის. მთავრები და მაგისტრები გულში ზეიმობდნენ იმის გამო, რომ მალე შეიზღუდებოდა პატივმოყვარე პაპის ძალაუფლება, რომელიც ყველას თავს ახვევდა თავის განკარგულებათა შესრულებას და მის წინააღმდეგ

სიტყვის თქმის უფლება არავის ჰქონდა.

ცრუმორწმუნე, ცოდვებით დამძიმებული ბრბო შეშინდა იმის გამო, რომ წაართმევდნენ ამ ტკბილ ტყუილს, რომელიც ყოველგვარ საფრთხეს არიდებდა და შიშს უქარწყლებდა. ცბიერმა სამლვდელოებამ, რომელიც ხელს უწყობდა დანაშაულს, კარგად დაინახა საფრთხე, მის შემოსავალს რომ დაემუქრა და საშინლად ალშფოთდა. რეფორმატორს მეტად მძვინვარე მტერთან შეხვედრა ელოდა. ლუთერს ზოგი აჩქარებისათვის და ასეთი სწრაფი მოქმედებისათვის კიცხავდა, სხვები კი მას თავდაჯერებულობაში ადანაშაულებდნენ და თვლიდნენ,

რომ იგი მოქმედებს არა უფლის ნებით, არამედ თავისი სიამაყითა და მოჩვენებითი გამბედაობით. "ვინ არ იცის, რომ ხშირად ახალი იდეების გამტარებელ ადამიანს ამაყი შეხედულება აქვს და ეს ყოველთვის კამათს იწვევს? - პასუხობდა ლუთერი. რატომ აწამეს ქრისტე და მისი მრავალი მიმდევარი? იმიტომ, რომ მათ თვლიდნენ ამპარტავნებად, რომლებიც დამცინავად უყურებდნენ იმდროინდელ სიბრძნეს. ისინი ხომ გაბედულად გამოთქვამდნენ ახალ იდეებს და რჩევისათვის არ მიმართავდნენ მოძველებული ტრადიციებისა და ცოდნის მქონე პირებს."

და კიდევ ამბობდა: "ყველაფერი, რის გაკეთებასაც მე ვაპირებ,

ალსრულებული იქნება არა ადამიანური სიბრძნით, არამედ ღვთის ნებით. თუკი ეს უფლის სამუშაოა, ვინ შესძლებს მის შეჩერებას? და თუკი ეს ღვთისგან არ არის, ვინ წასწევს მას წინ? "ეს არ არის ჩემი ნება, და იყოს ნება შენი და არა ჩვენი, ო, წმიდა მამავ, რომელიც ხარ ცათა შინა!"

თუმცა ლუთერის მთელ ამ მოღვაწეობას სულიწმიდა ხელმძღვანელობდა, წინ მაინც სასტიკი ბრძოლა ელოდა. მას ძლიერ ნაკადად დაატყდა თავს მოწინააღმდეგეთა საყვედურები. და რა თქმა უნდა, მისი განზრახვის არასწორ ახსნას, მისი პიროვნებისა და მოქმედების უსამართლო შეფასებას - უკვალოდ არ ჩაუვლია.

იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ხალხთა წინამძღოლები როგორც ეკლესიაში, ასევე სასწავლებლებში, მზადყოფნით შემოუერთდებოდნენ მას რეფორმაციის საქმეში. გული სიხარულითა და იმედით ევსებოდა, როდესაც მხარდაჭერას გრძნობდა მალალი თანამდებობის პირებისაგან და ხედავდა, რომ მათ ესმოდათ მისი ჩანაფიქრი. მას სწამდა, რომ ეკლესიისათვის განთიადი დადგებოდა. მაგრამ მალე ეს თანაგრძნობა საყვედურებმა და კრიტიკამ შეცვალა. მრავალი სახელმწიფო და ეკლესიის მოხელე დარწმუნებული იყო ლუთერის თეზისების ჭეშმარიტებაში, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ ლუთერის მოძღვრების მიღებას დიდი

ცვლილებები მოჰყვებოდა. განათლება და სახალხო რეფორმა რომის ძალაუფლების ძირის გამოთხრას ნიშნავდა. აშკარა იყო, რომ ხაზინის უხვი შემოსავლის წყარო, რომლითაც პაპის სასახლის კარი იკვებებოდა, მალე დაშრებოდა. უფრო მეტიც, მოძღვრება, რომელიც ხალხს დამოუკიდებელი აზროვნების, მოქმედების და ხსნის ერთადერთი იმედის - ქრისტეს დანახვის საშუალებას აძლევდა, პაპის ტახტის ავტორიტეტის დაცემას გულისხმობდა, რაც საბოლოოდ ამ ჩინოსანთა ავტორიტეტის შელახვას გამოიწვევდა. და ისინი უარს ამბობდნენ ღვთისაგან შემოთავაზებული შემეცნების გზის მიღებაზე. იმ ადამიანის წინაალმდეგ

გამოსვლა, რომელმაც ღვთიური ნათელი მოუტანა მათ, ქრისტესა და მისი ჭეშმარიტების წინაალმდეგ გამოსვლას ნიშნავდა.

ხშირად ჩაფიქრებულა ლუთერი თავის ცხოვრებაზე; იგი მარტო ალმოჩნდა ამა სოფლის ძლიერთა წინაალმდეგ ბრძოლაში. ზოგჯერ ეჭვები ღრღნიდა: ნამდვილად იყო თუ არა უფლის ნება, რომ ლუთერს ეკლესიის ხელისუფლების წინაალმდეგ ებრძოლა. "ვინ ვარ მე? - წერდა იგი, - რომ შევებრძოლო პაპის დიდებულებას, რომლის წინაშე ძრწიან მიწიერი მეფეები და მთელი მსოფლიო?... არავინ იცის, რა ტანჯვა გადავიტანე ამ ორ წელიწადში და რა სასოწარკვეთილებასა და მწუხარებაში ვიყავი ჩავარდნილი".

მაგრამ იგი არ მიატოვა უფალმა. როდესაც ადამიანის მხარდაჭერის იმედი გაუქარწყლდა, ლუთერი სრულად მიენდო ღმერთს და ისწავლა მის ყოვლისშემძლე ხელზე დაყრდნობა.

ლუთერი ასე მიმართავდა წერილში თანამოაზრეს: "ჩვენ ვერ შევიმეცნებთ წმიდა წერილს ვერც გაძლიერებული მეცადინეობით, ვერც საკუთარი ინტელექტის დაძაბვით. შენი უპირველესი მოვალეობაა - ლოცვით შესთხოვო ღმერთს, რომ მან თავისი უდიდესი მოწყალებით გაგიხსნას თავისი სიტყვის ჭეშმარიტი აზრი. რადგან ღვთის სიტყვის ერთადერთი ამხსნელი - თვით ამ სიტყვის ავტორია, მან თავად თქვა: "უფლისაგან იქნება ნასწავლი

ყველა." ნუ დაეყრდნობი საკუთარ ძალისხმევას, მიენდე მხოლოდ უფალს და სულიწმიდას. "მერწმუნე მე, ადამიანს, რომელსაც ამისი დიდი პირადი გამოცდილება მაქვს". უფლისაგან ამ დიდებული ჭეშმარიტების გავრცელებისათვის მოწოდებულ ყოველ ადამიანს ამ სიტყვებიდან ბევრი სასარგებლო რამის მიღება შეუძლია. მათ მიერ წარმოთქმული ჭეშმარიტება განარისხებს სატანას და იმ ადამიანებს, რომლებიც იგავებისა და ზღაპრების მოსმენით მშვიდდებიან. ბოროტ ძალებთან საბრძოლველად საკმარისი არაა მხოლოდ ადამიანური სიბრძნე და გონება.

თუკი ლუთერის მტრები პატივს სცემდნენ ადათ-წესებსა და

ტრადიციებს, პაპის ავტორიტეტსა და დადგენილებებს, რეფორმატორი მხოლოდ ბიბლიას მიმართავდა. განრისხებულმა ფორმალისტებმა და ცრუმორწმუნეებმა ვერ შეძლეს წმიდა წერილის ჭეშმარიტ მტკიცებათა უარყოფა, ამიტომ მათ, ქრისტეს სისხლის მოწყურებულ იუდეველთა მსგავსად, ლუთერის სიკვდილი სურდათ. "ის მწვალებელია! - ყვიროდნენ რომის ერთგულნი. - ერთი საათის სიცოცხლის ნებაც რომ მივცეთ მას, ეს ეკლესიის წინაალმდეგ მიუტევებელი ცოდვა იქნება. სასწრაფოდ ეშაფოტზე!!!" მაგრამ ლუთერს არ ეწერა მათი მძვინვარების მსხვერპლი გამხდარიყო. მას უფლის დავალება უნდა შეესრულებინა და ზეციური

ანგელოზები იცავდნენ მას. ბევრი იმ ადამიანთაგან, ვინც ლუთერისაგან ძვირფასი ნათელი მიიღო, სატანის განსაკუთრებული სიძულვილის საგანი გახდა და საბოლოო ჯამში, ჭეშმარიტებისათვის ტანჯვა და სიკვდილი მორჩილად მიიღო.

ლუთერის მოძღვრებამ მთელი მოაზროვნე გერმანიის ყურადღება მიიპყრო. მის ქადაგებებსა და ნაშრომებს მოჰქონდათ სინათლე, რომელიც აღვიძებდა ათასობით ადამიანის შეგნებას. ცოცხალი რწმენა ცვლიდა მკვდარ ფორმალიზმს, რომლის ტყვეობაშიც ეკლესია ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა. ხალხს თანდათანობით ეკარგებოდა ნდობა ცრუ კათოლიციზმის მიმართ და მისი

ბორკილებიც თანდათან იმსხვრეოდა. ღვთის სიტყვა, ორლესული მახვილის მსგავსად, რომლითაც მოწმდებოდა ყოველგვარი მოძღვრება და სწავლება, გზას იკვლევდა ადამიანთა გულებისაკენ. ყველგან შეიმჩნეოდა სულიერი პროგრესისა და განათლებისაკენ სწრაფვა. ყველას სწყუროდა ჭეშმარიტება. ამისი მსგავსი არაფერი შეინიშნებოდა გასულ საუკუნეებში. ხალხი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში იმედებს ტრადიციებზე, ადამიანურ დადგენილებებზე და მიწიერ დამცველებზე ამყარებდა, მონანიების ვედრებითა და რწმენით მიდიოდა ჯვარცმულ ქრისტესთან.

ეს სულიერი აღმავლობა პაპის ჩინოსანთა დიდ შეშფოთებას

იწვევდა. ლუთერი რომში გამოიძახეს ახსნა-განმარტების მისაცემად. მისი მეგობრები შიშით შეხვდნენ ამ ბრძანებას, ვინაიდან კარგად ესმოდათ, თუ რა დიდი საფრთხე ელოდა მათ მეგობარს ამ უწმიდურ, ქრისტეს მოწმეთა სისხლით შელებილ ქალაქში. მათ პროტესტი გამოთქვეს ლუთერის რომში წასვლის გამო და მოითხოვეს, დარჩენილიყო გერმანიაში, იქიდან კი წერილობითი ახსნა-განმარტება გაეგზავნა რომში.

ბოლოს მათი მოთხოვნა დააკმაყოფილეს და ლუთერის საქმის მოსასმენად პაპის წარმომადგენელი ჩამოვიდა დირექტივებით, რომელთა თანახმადაც იგი უკვე ერეტიკოსად იყო გამოცხადებული. პაპის დესპანს დავალებული ჰქონდა "მისი

გასამართლება და დაპატიმრება". წინაალმდეგობის გაწევის შემთხვევაში, თუკი რეფორმატორის შეპყრობა შეუძლებელი გახდებოდა, დესპანს ეძლეოდა უფლებამოსილება "ლუთერი კანონგარეშედ გამოეცხადებინა მთელ გერმანიაში, აგრეთვე, მის მიმდევართა დევნა, შეჩვენება და ეკლესიიდან მოკვეთა". ამას გარდა, პაპმა ამ შხამიანი ერესის სრული ალმოფხვრისათვის თავის წარმომადგენელს დაავალა ეკლესიისაგან მოეკვეთა და რომის რისხვა გადმოეფრქვია მათზე, ვინც არაფერი გააკეთა ლუთერისა და მისი მომხრეების მოლვაწეობის ალსაკვეთად და ისინი რომისათვის გადაეცა, გამონაკლისს მხოლოდ იმპერატორი წარმოადგენდა.

ყოველი ასეთი მოქმედება კარგად აშიშვლებდა პაპის ხელისუფლების ჭეშმარიტ სულს. ამ დოკუმენტში მინიშნებითაც კი არაფერი იყო თქმული ქრისტიანული ქცევის პრინციპების ან უბრალო საქციელის შესახებ. ლუთერი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რომისგან ძალიან შორს და თავისი თვალსაზრისის გამოთქმის შესაძლებლობას მოკლებული იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი საქმის გარჩევის დაწყებიდანვე იგი ერეტიკოსად გამოაცხადეს, ერთი დღის განმავლობაში ჩაატარეს გამოძიება, წაუყენეს ბრალდება და განაჩენიც გამოუტანეს. და ყველაფერი ეს გაკეთდა "წმიდა მამის" მიერ, რომელმაც

უცოდველობის უზენაესი ავტორიტეტი მიითვისა ეკლესიასა და მთელ სახელმწიფოში!!!

იმ დროს, როცა ლუთერს ასე აკლდა ერთგული და ჭეშმარიტი მეგობრის რჩევა და თანაგრძნობა, უფლის წინასწარგანჭვრეტით ვიტენბერგში ჩამოვიდა მელანქტონი. სათნო და მოკრძალებულმა ახალგაზრდა მელანქტონმა თავისი ჯანსაღი მსჯელობით, ფართო შემეცნებით, მჭევრმეტყველებით, გულწრფელობითა და პატიოსნებით საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა. ასეთი მრავალმხრივი ნიჭის მიუხედავად, იგი მეტად თავმდაბალი და თავაზიანი ახალგაზრდა იყო. სულ მალე კი სახარების სერიოზული

მიმდევარი, ლუთერის ყველაზე ახლო მეგობარი და მისი ფასდაუდებელი თანაშემწე გახდა. მისი თავაზიანობა და პუნქტუალურობა მშვენივრად ეთავსებოდა და ავსებდა ლუთერის მხნე და ენერგიულ ბუნებას. მასთან თანამშრომლობამ დიდად გააძლიერა ლუთერი და ახალი ძალა შემატა რეფორმაციას.

სასამართლო აუგსბურგში დანიშნეს და ლუთერიც ფეხით დაადგა მისკენ მიმავალ გზას. მას სერიოზული საფრთხე დაემუქრა, რადგან აშკარად ემუქრებოდნენ გზაზე მოკვლით. მეგობრები ემუდარებოდნენ, არ გაეწირა თავი, მცირე ხნით დაეტოვებინა ვიტენბერგი და თავი დროებით რომელიმე მეგობართან შეეფარებინა,

მაგრამ ლუთერს არ სურდა იმ საქმის მიტოვება, რომელიც თვით ღმერთმა დაავალა. მან იცოდა, რომ უნდა გაევლო ეს გზა და მიუხედავად მის გარშემო ამტყდარი მღელვარე ქარიშხლისა, ერთგულად უნდა დაეცვა ჭეშმარიტება. იგი ამბობდა: "მე ვემსგავსები იერემიას - მთელი ქვეყნის ბრალმდებელს და მოდავეს" (იერ. 15:10). და რაც უფრო მეტად მემუქრებიან, მით უფრო მიხარია... მათ უკვე შელახეს ჩემი რეპუტაცია და პატიოსანი სახელი; მხოლოდ ერთიღა დამრჩა: ჩემი უძლური სხეული. დაე, ისიც წამართვან, ამით ჩემს სიცოცხლეს რამდენიმე საათით შეამოკლებენ. მაგრამ სულს ვერ წამართმევენ. ქრისტეს სიტყვის

მახარებელი ყოველ წუთს მზად უნდა იყოს სიკვდილისათვის."

ლუთერის აუგსბურგში ჩამოსვლის ცნობამ დიდად გააცარა პაპის დესპანი. მოუსვენარი ერეტიკოსი, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, რომს ჩაუვარდა კლანჭებში; და პაპის წარმომადგენელმა გადაწყვიტა, ყველა ღონე ეხმარა, რომ ხელიდან არ გაეშვა იგი. რეფორმატორს არ ჰქონდა დაცვის სიგელი. მეგობრები ევედრებოდნენ, არ წასულიყო დესპანთან ამ სიგელის გარეშე და იმპერატორს თავად წარუდგინეს თხოვნა ლუთერისათვის დაცვის სიგელის გაცემის შესახებ. ლეგატს იმედი ჰქონდა, რომ ლუთერს აიძულებდა თავისივე მოძღვრების

უარყოფას, წინაალმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილი ჰქონდა მისი რომში ჩაყვანა, სადაც იგი ჰუსისა და იერონიმეს ბედს გაიზიარებდა. პრელატის მიერ მოსყიდული ადამიანები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ლუთერი, წასულიყო დაცვის სიგელის გარეშე, პაპის წარმომადგენელთა მოწყალების იმედით. მაგრამ რეფორმატორმა მტკიცედ განაცხადა უარი პაპის ელჩის წინაშე წარდგომაზე იმ საჭირო საბუთების გარეშე, რომელიც მისთვის იმპერატორის მფარველობის გარანტია იქნებოდა.

მაშინ ლუთერის მტრებმა გადაწყვიტეს, თავაზიანი მოქცევით ემოქმედათ მასზე. შეხვედრისას

ლეგატი მეგობრულად ესაუბრებოდა ლუთერს, მაგრამ მტკიცედ მოითხოვდა ეკლესიის ავტორიტეტის წინაშე მის მორჩილებას და მისი მოძღვრებების ყოველი პუნქტის უარყოფას ყოველგვარი მსჯელობისა და მტკიცებების გარეშე. მან, რა თქმა უნდა, ღირსეულად ვერ შეაფასა მის წინაშე მდგომი პიროვნება; თავის პასუხში ლუთერმა გამოთქვა ეკლესიისადმი პატივისცემა, სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ და მზადყოფნა, პასუხი გაეცა ყველა კითხვაზე, რომელიც მის სწავლებას ეხებოდა და მისი შრომები გაეტანა მოწინავე უნივერსიტეტებში განსახილველად. ამავე დროს მან უარი თქვა, რომ დამორჩილებოდა პრელატს,

რომელიც მისგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა.

მას ერთი და იგივეს ჩასჩიჩინებდნენ: "უარჰყავი, უარჰყავი!" რეფორმატორმა ალნიშნა, რომ იგი ეყრდნობოდა წმიდა წერილს და მტკიცედ განაცხადა, რომ არ შეუძლია ჭეშმარიტების უარყოფა. პრელატი, რომელიც უძლური ალმოჩნდა ლუთერის მტკიცებათა წინაშე, ხან ლანძღვითა და საყვედურებით ავსებდა, ხან ფარისევლურად ცდილობდა მის მოსყიდვას, ხან კი მრისხანედ იმეორებდა ეკლესიის მამების ტრადიციულ გამონათქვამებსა და ციტატებს, რათა მისთვის სიტყვის წარმოთქმის შესაძლებლობა არ მიეცა. ამ მრავალი უნაყოფო საუბრის

შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ლუთერს პასუხის წერილობითი გაცემის ნება დართეს.

"ამით, - წერდა ლუთერი თავის მეგობარს, - ბრალდებული ორმაგად მოგებული რჩება: უპირველესად, ნაწერი შეიძლება სხვადასხვა ადამიანთა მსჯელობის საგანი გახდეს, მეორე კი ის, რომ თუკი სინდისზე ვერ იმოქმედებს, პატივმოყვარე და მოლაყბე დესპოტის დაშინებას მაინც შეძლებს, თორემ წინაალმდეგ შემთხვევაში, იგი თავისი დაჟინებული სიტყვით დაგამარცხებთ."

შემდგომი შეხვედრისას ლუთერმა წარადგინა სრული ახსნა-განმარტება წმიდა წერილის მრავალრიცხოვან ამონაწერებზე დაყრდნობით.

ლუთერმა დაწერილი ხმამაღლა წაიკითხა და გადასცა კარდინალს, რომელმაც ზიზღით გადაუგდო უკან და მრისხანედ დასძინა, რომ ეს ცარიელი სიტყვებისა და ციტატების კორიანტელია, რომელთაც საქმესთან არაფერი აქვთ საერთო. მაშინ ლუთერმა შთამაგონებლად ამხილა ეკლესიის დოქტრინებსა და ტრადიციებზე დამყარებული პრელატის რწმენა და სრულიად უარყო მისი მტკიცებანი.

ლუთერის მტკიცება იმდენად უნაკლო იყო, რომ პრელატმა თავშეკავების უნარი დაკარგა და განრისხებულმა ყვირილი დაიწყო: "უარყავი! წინაალმდეგ შემთხვევაში წარდგები რომის სასამართლოს წინაშე, რომელმაც კარგად იცის

თავისი საქმე. შენ და ყველა შენს მიმდევარს ანათემას გადაგცემ და ყველა შენს თანამგრძნობს ეკლესიიდან გავაძევებ". და მრისხანედ დაუმატა "უარყავი, ან თვალით აღარ დამენახო!"

ლუთერმა და მისმა მეგობრებმა სწრაფად დატოვეს იგი, რითაც ნათლად აგრძნობინეს, რომ არავითარ უარყოფაზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი. კარდინალი საქმის ასეთ დასრულებას არ ელოდა. ის იმედოვნებდა, რომ ძალითა და მუქარით დაიმორჩილებდა ლუთერს. ახლა კი, როდესაც მთელი გეგმები წყალში ჩაეყარა, თავის მრისხანებას ვერ მალავდა.

ლუთერის გაბედულ გამოსვლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. შეხვედრის

მოწმე ადამიანებმა მშვენიერი შესაძლებლობა მიიღეს, შეედარებინათ ამ ორი ადამიანის საქციელი და შესაბამისი დასკვნა გამოეტანათ თითოეული მათგანის ძლიერებისა და სიმართლის შესახებ. რა მკვეთრი განსხვავება იხილეს! მათ წინაშე იდგა თავმდაბალი, უბრალო, მაგრამ შეუდრეკელი, ღვთის ძალით მოსილი რეფორმატორი, რომელიც ჭეშმარიტებას იცავდა; და მეორე პიროვნება - პაპის დესპანი მედიდური და მბრძანებლური იერით, ამაყი და უგუნური, რომელმაც არც ერთი მტკიცება არ მოიყვანა წმიდა წერილიდან, არამედ გაგულისებული, მხოლოდ ყვიროდა: "უარყავი! თორემ გაგგზავნი რომში და იქ მიიღებ საკადრის სასჯელს!"

მიუხედავად იმისა, რომ ლუთერს დაცვის სიგელი ჰქონდა, მისი დაპატიმრების საფრთხე მაინც არსებობდა. ლუთერის მეგობრები ხედავდნენ მისი აუგსბურგში დარჩენის უაზრობას და დაჟინებით მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ ვიტენბერგში დაბრუნებას. დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. და ლუთერმა ღამით, მაგისტრის მიერ გამოყოფილი მხოლოდ ერთი გამცილებლის თანხლებით, ცხენით დატოვა აუგსბურგი. მწუხარე წინათგრძნობით შეპყრობილი რეფორმატორი გზას მიიკვლევდა ქალაქის ბნელ და უკაცრიელ ქუჩებში, მან იცოდა, რომ ვერაგმა და სასტიკმა მტრებმა მისი მოსპობა განიზრახეს. შესძლებს თუ არა იგი

მათი დაგებული მახიდან თავის დაძვრენას? ეს იყო მისი უდიდესი მწუხარებისა და მგზნებარე ლოცვების წუთები. აი, უკვე ქალაქის კედელს მიალწია. კედელში ჩაყოლებული კარი გაიღო და ლუთერი თავის გამცილებელთან ერთად დაუბრკოლებლად გამოვიდა ქალაქიდან. გამოვიდნენ თუ არა სამშვიდობოზე, ნაბიჯს აუჩქარეს და როცა რომის დესპანმა ლუთერის ქალაქიდან გასვლის ამბავი გაიგო, იგი უკვე შორს იყო. სატანა და მისი ემისრები დამარცხდნენ. კაცი, რომელსაც ისინი უკვე თავის ნადავლად თვლიდნენ, ხელიდან დაუძვრათ, როგორც გალიიდან გაფრენილი ჩიტი.

ლუთერის გაქცევის გამო პრელატი მეტად განრისხდა და გაცოფდა. მას იმედი ჰქონდა, რომ მისი მცდელობა ამ მეამბოხის გასანადგურებლად და ეკლესიის სიმშვიდის დასაცავად ღირსეულად შეფასდებოდა და სათანადო ჯილდოსაც მიიღებდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მთელი თავისი რისხვა მან ფრიდრიხის, საქსონიის მმართველის მიმართ გაგზავნილ წერილში გადმოანთხია, რომელშიც მკაცრად ადანაშაულებდა ლუთერს და ფრიდრიხისაგან რეფორმატორის რომში გაგზავნას ან მის საქსონიიდან გაძევებას მოითხოვდა.

თავის მხრივ ლუთერი პრელატისაგან ან პაპისაგან მოითხოვდა, წმიდა წერილის

საფუძველზე დაემტკიცებინათ, თუკი ცდებოდა და საჩალჩოდ დებდა პირობას, რომ თუკი ისინი ამას შესძლებენ, მაშინ იგი უარყოფს თავის თვალსაზრისს. ამასთან ერთად იგი განუწყვეტლივ მადლობას სწირავდა ღმერთს იმისთვის, რომ უფალმა მისი წმიდა საქმისათვის ტანჯვის ღირსი გაჩადა.

საქსონიის მმართველი ცუდად იცნობდა ლუთერის მოძღვრებას, მაგრამ დიდად განაცვიფრა რეფორმატორის სიტყვების გულწრფელობამ, ძლიერებამ, ნათელმა აზრმა და მტკიცედ გადაწყვიტა, მისთვის მფარველობა გაეწია საქმის საბოლოო გარკვევამდე. პრელატის მიმართვას მან ასეთი პასუხი გასცა: "ვფიქრობ, თქვენ უნდა

დაკმაყოფილებულიყავით მარტინ ლუთერის აუგსბურგში ჩამოსვლით. ჩვენ არ მოველოდით, რომ თქვენ აიძულებდით მას საკუთარი მოძღვრების უარყოფას იმის ნაცვლად, რომ დაგერწმუნებინათ შეცდომებში. არც ერთ სწავლულს ჩემს სახელმწიფოში არ მოუმართავს ჩემთვის იმის გამო, რომ მარტინ ლუთერის მოძღვრება ღმერთის საწინააღმდეგო, ანტიქრისტიანული და ერეტიკულია". და ფრიდრიხმა უარი თქვა ლუთერის რომში იძულებით გაგზავნაზე ან მისი საქსონიიდან გაძევებაზე.

ფრიდრიხი კარგად ხედავდა ზნეობრივად დაცემული საზოგადოების სავალალო მდგომარეობასა და რეფორმების

გატარების საჭიროებასაც. მას კარგად ესმოდა, რომ თუკი ადამიანები ჭეშმარიტებით განწმედილი სინდისით უფლის მცნებათა ალმსრულებლები იქნებიან, საჭირო ალარ იქნება ამდენი სახსრების ხარჯვა დანაშაულთან ბრძოლაში. ის გრძნობდა, რომ ლუთერის შრომების იდეა და მიზანი სწორედ ეს იყო და გულის სიღრმეში უხაროდა, რომ ეკლესიის შიგნით კეთილი ძვრები მოხდებოდა.

შეუძლებელი იყო იმის არ დანახვაც, რომ ლუთერი, როგორც პროფესორი, უდიდესი წარმატებით სარგებლობდა. მხოლოდ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლუთერმა თავისი თეზისები ეკლესიის კარს მიაკრა, რის შემდეგაც "ყველა

წმიდანის" დღესასწაულზე ეკლესიაში მოსულ მომლოცველთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო. რომმა დაკარგა თავისი ადრინდელი ქვეშევრდომნი, შემცირდა შესაწირავებიც, მაგრამ ვიტენბერგი არ დაცარიელებულა - ქალაქი სავსე იყო არა "წმიდა ნაწილების" თაყვანის საცემად მოსული მლოცველებით, არამედ უნივერსიტეტის სტუდენტებით. ლუთერის ნაშრომებმა წმიდა წერილის მიმართ ინტერესი აღუძრა საზოგადოებას არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ - ვიტენბერგის უნივერსიტეტში სასწავლებლად სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებსაც. ვიტენბერგში ჩამოსვლისას "ყმაწვილები ზეცით

ალაპყრობდნენ ხელებს და მადლობას სწირავდნენ უფალს იმისთვის, რომ ამ ქალაქიდან ვრცელდებოდა ჭეშმარიტების ნათელი სხივი ისევე, როგორც ძველ დროში სიონიდან ეფინებოდა ღვთიური შუქი დედამიწის ყველა კუთხეს".

მიუხედავად ამისა, ლუთერი ჯერ კიდევ სრულად ვერ გათავისუფლებულიყო კათოლიციზმისაგან. იგი წმიდა ჭეშმარიტებას პაპის დოქტრინებსა და დადგენილებებს ადარებდა და გაოცებით წერდა: "ვკითხულობ პაპის მიერ გამოცემულ ბრძანებულებებს და ვერ გამიგია, პაპი თვითონ არის ანტიქრისტე თუ მისი მოციქულია, იმდენად დამახინჯებული და შეურაცხყოფილია ქრისტე მათ

საქმეებში." მაგრამ ლუთერი კვლავაც რომის ეკლესიის მიმდევრად რჩებოდა და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ოდესმე გამოეყოფოდა მას.

ლუთერის ნაშრომები და მისი მოძღვრება თანდათან მთელ საქრისტიანოში ვრცელდებოდა. მისმა იდეებმა ფესვი გაიდგა შვეიცარიასა და ჰოლანდიაში. მისმა ნაშრომებმა გზა გაიკაფა საფრანგეთსა და ესპანეთში. ინგლისში მისი მოძღვრება ალიქვეს, როგორც სიცოცხლის სიტყვა. ჭეშმარიტებამ გზა გაიკვლია ბელგიასა და იტალიაშიც. ათასობით ადამიანი გამოფხიზლდა სასიკვდილო ძილისაგან და კვლავ გაიხარა ნათელი ცხოვრების იმედის რწმენით.

ლუთერის გამოსვლები კვლავ დიდ მრისხანებას იწვევდა რომში. ზოგიერთი თავდადებული კათოლიკე და თვით კათოლიკური უნივერსიტეტების ზოგიერთი სწავლულიც კი აცხადებდა, რომ ვინც ამ მოამბოხე ბერს მოკლავდა, ცოდვაში არ ჩაეთვლებოდა. ერთხელ რეფორმატორთან მივიდა უცნობი, რომელსაც ჯიბეში მის მოსაკლავად იარაღი ედო და ჰკითხა, თუ რატომ დადიოდა იგი მარტო, დაცვის გარეშე. "ჩემი სიცოცხლე უფლის ხელშია, - უპასუხა ლუთერმა. - იგია ჩემი ძალა, ჩემი ფარი და რას მიზამს ადამიანი?" ამ სიტყვების გაგონებაზე უცნობი გაფითრდა და ისე სწრაფად გაშორდა მას, თითქოს ზეციური ანგელოზი დაენახოს.

რომი ყველა ღონეს ხმარობდა ლუთერის გასანადგურებლად, მაგრამ მას ღმერთი იცავდა. ლუთერის მოძღვრებას ქადაგებდნენ ყველგან - "ქოხებსა და მონასტრებში,.. მთავართა სასახლეებსა და უნივერსიტეტებში და თვით სამეფო კარზეც". მრავლად იყვნენ კეთილშობილი ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამ იდეებს.

როცა იან ჰუსის მოძღვრებებს გაეცნო, ლუთერი მიხვდა, რომ ბოჰემიელი რეფორმატორი ალიარებდა რწმენით გამართლების უდიდეს ჭეშმარიტებას, რასაც იგი ასე დიდხანს ეძებდა და თავად ქადაგებდა. "ჩვენ ყველანი, - ამბობდა ლუთერი, - პავლეც, ავგუსტინიც და

მეც, ჰუსის მიმდევრები ვყოფილვართ, რაც თვითონაც არ ვიცოდით". "უფალი მართლაც განსჯის მსოფლიოს, - განაგრძობდა იგი. - რადგან ჭეშმარიტების ქადაგება 100 წლის წინათ დაიწყო, მსოფლიომ კი იგი ცეცხლს მისცა."

იმპერატორისა და გერმანიის მთავრებისადმი მიმართვაში ლუთერი ქრისტიანებს რეფორმაციისაკენ მოუწოდებდა და პაპის შესახებ წერდა: "საშინელებაა და მწარე იმის დანახვა, რომ ის, ვინც თავის თავს ქრისტეს ნაცვალს უწოდებს, ისეთ ფუფუნებაში ცხოვრობს, რომ იმპერატორიც კი ვერ შეედრება. განა ეს ქრისტეს ან პეტრე მოციქულის ცხოვრებას ჰგავს? ამბობენ, რომ პაპი მსოფლიოს

მბრძანებელია! მაგრამ ქრისტემ, რომლის "ნაცვალადაც" ის თავის თავს თვლის, თქვა: "ჩემი სამეფო არ არის წუთისოფლისა". შეიძლება თუ არა მოადგილის სამფლობელო მეფის სამფლობელოს აღემატებოდეს?"

უნივერსიტეტების შესახებ იგი წერდა: "ძალიან მეშინია, რომ უმაღლესი სასწავლებლები ჯოჯოხეთის კარიბჭედ არ გადაიქცნენ, თუკი მათში მთელი სერიოზულობით არ შეისწავლება წმიდა წერილი და ყმაწვილები მისით არ იხელმძღვანელებენ. მე ვერ ვურჩევ მშობლებს თავიანთი შვილების იმ სასწავლებელში შეყვანას, სადაც მთავარი ადგილი არ ეთმობა ღვთის სიტყვას. ნებისმიერი სასწავლებელი, სადაც დიდი

ყურადღება არ ექცევა წმიდა წერილის შესწავლას, დაამახინჯებს ყმაწვილთა ზნეობას."

ეს მიმართვა ელვისებური სისწრაფით გავრცელდა მთელ გერმანიაში და ხალხში დიდი მღელვარება გამოიწვია. აღელვებული ხალხი პროტესტის ნიშნად რეფორმაციის დროშის ქვეშ ერთიანდებოდა. ლუთერის გამძვინვარებულმა მოწინაალმდეგეებმა აიძულეს პაპი, გადამწყვეტი ზომები მიელო. გადაწყვიტეს, სასწრაფოდ შეეჩვენებინათ ლუთერის მოძღვრება. რეფორმატორს და მის თანამოაზრეებს 60 დღე მისცეს მოსაფიქრებლად და გააფრთხილეს, რომ თუ ამ ხნის განმავლობაში არ

უარყოფდნენ თავიანთ იდეებს, ეკლესიისგან მოიკვეთებოდნენ.

ეს მეტად მრისხანე და გადამწყვეტი მომენტი იყო რეფორმაციის საქმეში. საუკუნეთა მანძილზე რომის განაჩენი ეკლესიისგან მოკვეთის შესახებ შიშს უნერგავდა უძლიერეს მონარქებსაც კი; იგი განადგურებასა და უბედურებას უქადდა უძლიერეს იმპერიებს. პაპის მიერ შეჩვენებულებს შიშითა და სიძულვილით უყურებდნენ. ადამიანები სამუდამოდ კარგავდნენ უახლოეს მეგობრებს, რომლებიც კანონგარეშე ითვლებოდნენ და უნდა განადგურებულიყვნენ. ლუთერმა ყველაფერი იცოდა იმ საშინელი ქარიშხლის შესახებ, რომელიც თავს უნდა დატყდომოდა, მაგრამ მედგრად

იდგა, რადგან იცოდა, რომ უფალი დაეხმარებოდა და დაიცავდა. მოწამებრივი რწმენითა და გაბედულებით წერდა: "მე არ ვიცი, რა მომივა და არც მინდა ვიცოდე... რა დარტყმაც არ უნდა მივილო, მშვიდად ვიქნები... თუკი ფოთლებიც არ ცვივა ხიდან ზეციერი მამის ნების გარეშე, მით უმეტეს, უნდა გვჯეროდეს, რომ იგი ზრუნავს ჩვენზე. არ არის ძნელი წმიდა სიტყვისათვის სიკვდილი, რადგან სიტყვა, რომელიც იქცა ხორცად, თვითონ მოკვდა. თუკი მასთან ერთად მოვკვდებით, მასთან ერთად აღვდგებით. და თუკი ჩვენც გამოვცდით იმას, რაც მან ჩვენზე ადრე გამოსცადა, ჩვენც საუკუნოდ, მარადიულად ვიქნებით იქ, სადაც ის არის".

როდესაც ლუთერმა პაპის მიერ გამოცემული ბულა წაიკითხა, თქვა: "მე მძულს და უარვყოფ მას, რადგან მასში ვხედავ ურჯულოებასა და უსამართლობას... რადგან იგი თვით ქრისტეს საწინააღმდეგოა... მიხარია, რომ შემიძლია ცოტათი მაინც ვიტანჯო ამ ნათელი იდეალისთვის. მე დღეს უფრო ვგრძნობ თავისუფლებას, რადგან საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ პაპი - ანტიქრისტეა და მისი ტახტი - სატანის ტახტია".

რომის დეკრეტი მხოლოდ ქალალდზე არ დარჩენილა. საპყრობილე, წამება და მახვილი საკმაოდ ძლიერი საშუალება იყო ადამიანის დასამორჩილებლად. სუსტებს და ცრუმორწმუნეებს

ეშინოდათ პაპის ბრძანებისა, ხოლო იმ დროს, როდესაც ლუთერი საყოველთაო თანაგრძნობით სარგებლობდა, ძალიან ბევრი უკვე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სიცოცხლე მეტად ძვირფასია იმისთვის, რათა რეფორმაციის საქმემ შეიწიროს. ყველაფერი მოწმობდა იმას, რომ მოვიდა რეფორმატორის საქმის ალსასრული.

მაგრამ ლუთერს გაბედულებამ არ ულალატა. რომმა იგი ანათემას გადასცა და ყველას ეგონა, რომ მოინანიებდა ან დაილუპებოდა. მაგრამ მან რომს არაჩვეულებრივი სიძლიერით დაატეხა თავს საპასუხო ბრალდებანი და თვითონვე საჯაროდ განაცხადა თავისი საბოლოო გადაწყვეტილება ეკლესიიდან

გასვლის შესახებ. მან მრავალრიცხოვან სტუდენტთა, სწავლულთა და ქალაქის მკვიდრთა წინაშე დაწვა პაპის ბულა მთელი თავისი კანონებით, დადგენილებითა და პაპის ავტორიტეტის მხარდამჭერი სპეციალური წესებით. "ჩემი მტრები წვავდნენ ჩემს წიგნებს, - განაცხადა მან, - უბრალო ადამიანთა გონებაში ამახინჯებდნენ სიმართლეს და ლუპავდნენ მათ სულებს; ახლა ამის საპასუხოდ მე ვწვავ მათ წიგნებს. ახლა იწყება ნამდვილი, სერიოზული ბრძოლა. აქამდე მე არც თუ ისე ვაწუხებდი პაპს; ეს საქმე ღმერთის სახელით წამოვიწყე და უჩემოდ, უფლის ძალით დამთავრდება".

მტრების საყვედურებზე, რომლებიც დასცინოდნენ ლუთერის დაწყებულ

საქმეს, იგი პასუხობდა: "ვინ იცის, იქნებ უფლის რჩეული ვარ მისი საქმის აღსასრულებლად? ნუთუ არ ეშინიათ, რომ ჩემდამი სიძულვილით მათ ღმერთი სძულთ? მოსე მარტო იყო ეგვიპტიდან გამოსვლისას; ელია მარტო იყო აქაბის სამეფოში; ესაია მარტო იყო იერუსალიმში; ეზეკიელი მარტო იყო ბაბილონში... ღმერთი არასოდეს ირჩევდა წინასწარმეტყველად მღვდელმთავარს ან სხვა რომელიმე თანამდებობის პირს, არამედ მისი რჩეულნი ყოველთვის უბრალო, შეუმჩნეველი ადამიანები იყვნენ. თვით მწყემსი ამოსიც კი იყო მისი წინასწარმეტყველი. ყველა თაობაში უფალს ჰყავდა მართლები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის

რისკის ფასად ამხელდნენ მეფეებს, მთავრებს, სწავლულებსა და მღვდლებს. მე არ ვუწოდებ ჩემს თავს წინასწარმეტყველს, მაგრამ ვაცხადებ, რომ მათ შიში უნდა ჰქონდეთ, რადგან მე მარტო ვარ, ისინი კი ბევრი არიან. მე დარწმუნებული ვარ, რომ უფალი ლაპარაკობს არა მათი, არამედ ჩემი ბაგეებით."

მაგრამ ეკლესიისაგან გამოყოფა ლუთერს საშინელი შინაგანი ბრძოლის ფასად დაუჯდა. იმ პერიოდში იგი წერდა: "რაც დრო გადის, მით უფრო ვგრძნობ, რა ძნელია მოშორდე იმას, რაც შენში ბავშვობიდანვეა ჩანერგილი. თუმცა წმიდა წერილი მამხნევებს, მაგრამ რამდენი ტანჯვა გადავიტანე მანამ, სანამ დავრწმუნდებოდი, რომ ჩემი

გადაწყვეტილება პაპის, როგორც ანტიქრისტეს, წინაალმდეგ ბრძოლაში... სწორია! რა ძრწოლამ შემიპყრო! რა ხშირად ვუსვამდი ჩემს თავს ერთსა და იმავე კითხვას, რასაც პაპისტები ხშირად მეკითხებოდნენ: "მარტო შენ ხარ ასეთი ბრძენი და სხვა ყველა ცდება? და რა იქნება, თუკი შენი სწავლება მცდარი აღმოჩნდება და თუკი უკვე აცდუნე მრავალი სული, რომელნიც სამუდამოდ დაიღუპებიან?" მე ვებრძოდი საკუთარ თავს და სატანას, სანამ ქრისტემ თავისი წმიდა სიტყვით არ გამიმაგრა გული ამ ყველა ეჭვის საპირისპიროდ."

პაპი ანათემით ემუქრებოდა ლუთერს, თუ იგი თავის იდეებს არ უარყოფდა, და ახლა თავისი მუქარა

შეასრულა. ახალმა ბულამ, რომელმაც ლუთერი საბოლოოდ გააძევა რომის ეკლესიისაგან, შეაჩვენა ლუთერი და ყველა ის, ვინც მის მოძღვრებას მიიღებდა. დაიწყო დიდი ბრძოლა.

ბრძოლა - ეს ყველა იმ ადამიანის ხვედრია, ვისაც უფალი ავალებს ჭეშმარიტების ქადაგებას, მნიშვნელოვანს განსაზღვრული დროისათვის. ლუთერის პერიოდში ვრცელდებოდა ჭეშმარიტება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის, დღეს კი მსოფლიოს ექადაგება ჭეშმარიტებანი, რაც მნიშვნელოვანია ახლანდელი ეკლესიისათვის. ის, ვისი ნებითაც ხდება ყოველივე, ადამიანებს სხვადასხვა პირობებს

სთავაზობს და აკისრებს იმ დროისა
და პირობების შესაბამის
მოვალეობას, რომელშიც ცხოვრობენ.
თუკი ისინი შეეცდებიან ზეციდან
გამოგზავნილი სინათლის სხივის
შეფასებას, მაშინ ჭეშმარიტებას
უფრო ღრმად შეიცნობენ. მაგრამ
დღეს ადამიანებს ისევე სურთ
ჭეშმარიტების შეცნობა, როგორც
ლუთერთან მებრძოლ პაპისტებს.
ჩვენს დღეებშიც, ისევე როგორც
გასულ საუკუნეებში, პატივს
მიაგებენ ადამიანურ ტრადიციებსა
და მოძღვრებებს და არა ღვთის
სიტყვას. ნუ იფიქრებენ
ჭეშმარიტების მქადაგებელნი, რომ
სიმართლეს დღეს უფრო მეტი
სიხარულითა და მზადყოფნით
მიიღებენ, ვიდრე რეფორმაციის

დღეებში. დიდი ბრძოლა ჭეშმარიტებასა და სიცრუეს, ქრისტესა და სატანას შორის სულ უფრო გაძლიერდება წუთისოფლის ალსასრულამდე.

იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: "თქვენ რომ წუთისოფლისანი ყოფილიყავით, წუთისოფელს ეყვარებოდა თავისიანი. და რაკი არ ხართ წუთისოფლისანი, არამედ მე გამოგარჩიეთ წუთისოფლიდან, ამიტომ სძულხართ წუთისოფელს. გაიხსენეთ სიტყვა, რომელიც გითხარით: მონა არ არის-მეთქი თავის ბატონზე დიდი. მე თუ მდევნიდნენ, თქვენც დაგიწყებენ დევნას; თუ ჩემი სიტყვა დაიცვეს, თქვენსასაც დაიცავენ" (იოან. 15:19-20). ამას გარდა, უფალი აშკარად

გვიცხადებს: "ვაი, თქვენ, როცა ყველა ადამიანი კარგს ილაპარაკებს თქვენზე. ასევე ექცეოდნენ ცრუ წინასწარმეტყველთ მათი მამები" (ლუკ. 6:26). თანამედროვე მსოფლიოს სული ისევე ეწინააღმდეგება ქრისტეს სულს, როგორც ადრე. ღვთის ჭეშმარიტი სიტყვის მქადაგებელი დღეს ნაკლებ წინააღმდეგობას როდი ხვდება, ვიდრე მისი წინამორბედნი. შეიძლება შეიცვალოს ჭეშმარიტების წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები, მტრული დამოკიდებულება შეიძლება არ იყოს ისე აშკარა და გაცხადებული, მაგრამ ჭეშმარიტებისადმი სიძულვილი არსებობს და ბოლო ჟამამდე იარსებებს.

თავი 8 ჭეშმარიტების მლალადებელი

გერმანიის სამეფო ტახტზე ავიდა იმპერატორი კარლ V. რომის დესპანებმა იჩქარეს მილოცვა და თანაც იმავდროულად, რეფორმაციის წინააღმდეგ განაწყეს იგი. მაგრამ საქსონიის მმართველმა, რომლის დახმარებითაც კარლ ტახტზე ავიდა, იმპერატორს სთხოვა, საქმის განხილვამდე არ მიელო ზომები

ლუთერის წინაალმდეგ. ამან იმპერატორი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. პაპისტების დაკმაყოფილება მხოლოდ რეფორმატორის სასიკვდილო განაჩენით შეიძლებოდა. მაგრამ საქსონიის მმართველმა არაერთხელ მოითხოვა, რომ "დოქტორი ლუთერი, რომლისთვისაც მომზადებული იქნება დაცვის სიგელი, წარდგება საქმეში ჩახედულ, ღვთისმოსავ და მიუკერძოებელ მსაჯულთა წინაშე, რადგან არც მისმა უდიდებულესობა იმპერატორმა და არც სხვა ვინმემ არ უარყო მისი თხზულებები."

ახლა ყველას ყურადღება მიიპყრო გერმანიის მთავართა სეიმმა ვორმსში, რომელიც კარლ ტახტზე ასვლის დღიდან სულ მალე უნდა

შემდგარიყო. ამ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კრებას, სადაც ახალგაზრდა იმპერატორი და გერმანელი მთავრები პირველად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები უნდა განეხილა. ეროვნულ სეიმზე იმპერიის ყოველი კუთხიდან ჩამოვიდნენ სახელმწიფო და სასულიერო ტიტულოვანი მოხელეები. ვორმსში თავი მოიყარეს დიდებულებმა, რომელნიც ამაყობდნენ თავიანთი მემკვიდრეობითი უპირატესობითა და კეთილშობილური წარმოშობით; აქ იყვნენ თავიანთი ძლიერებითა და ძალაუფლებით გაამაყებული სასულიერო პირები; სამეფო კარის რაინდები შეიარაღებულ ვასალთა

თანხლებით, უცხო ქვეყნების ელჩები; მიუხედავად სეიმზე გატანილ საკითხთა მრავალფეროვნებისა, ამ უმნიშვნელოვანესი კრების ყველაზე დიდ ინტერესს საქსონელი რეფორმატორი იწვევდა.

საქსონიის მმართველმა, რომელიც კარლ V აუცილებლად ლუთერთან ერთად უნდა დასწრებოდა, რეფორმატორს მფარველობა და ყველა საკამათო საკითხის კომპეტენტურ პირთა თანდასწრებით განხილვის შესაძლებლობა აღუთქვა. ლუთერი მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როდესაც იმპერატორის წინაშე წარდგებოდა. იმ დროისათვის ავადმყოფობით დაუძლურებული

ლუთერი მმართველს წერდა: "თუკი ჯანმრთელობა ხელს არ შემიწყობს წასასვლელად, თანახმა ვარ, ავადმყოფი წამიყვანონ, რადგან თუკი იმპერატორი სეიმზე მიწვევს, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს უფლის ნებაა. მაგრამ თუ ძალადობას გამოიჩენენ, რაც მოსალოდნელია კიდეც (რადგან იქ იმიტომ კი არ მეძახიან, რომ ჩემი მოძღვრება მიიღონ), დავემორჩილები უფლის ნებას. თუკი ის, ვინც სამი ჭაბუკი უვნებლად ამოიყვანა გავარვარებული ღუმელიდან, არ გადამარჩენს, ესე იგი ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარა აქვს. ვიზრუნოთ მხოლოდ იმაზე, რომ სახარება უწმიდურთა დასაცინი არ გახდეს. და თუკი მისი დაცვისათვის სისხლი უნდა დაიღვაროს, მე მზადა

ვარ ამისათვის. განა მე შემიძლია იმის თქმა, თუ რა უფრო სასარგებლოა ადამიანთა გადარჩენისათვის - ჩემი სიცოცხლე თუ სიკვდილი?.. თქვენ შეგიძლიათ ყველაფერს ელოდოთ ჩემგან... გაქცევისა და განდგომის გარდა. გაქცევა არ შემიძლია, ხოლო უარყოფა - მით უმეტეს."

ცნობამ ლუთერის სეიმზე გამოსვლის შესახებ დიდი მღელვარება გამოიწვია. ალეანდრე, პაპის დესპანი, რომელსაც ძირითადად ეს საქმე ჰქონდა დავალებული, მძვინვარებამ შეიპყრო. იგი გრძნობდა, რომ ამას პაპისათვის კატასტროფული შედეგი ექნებოდა. იმ საქმის ხელახლა განხილვა, რომელსაც პაპმა

საბრალდებო დასკვნა უკვე გამოუტანა, მისი უბრწყინვალესობის და უწმიდესობის, პაპის ავტორიტეტის შელახვას ნიშნავდა. ამის გარდა, ალეანდრეს ეშინოდა, რომ ლუთერის მჭევრმეტყველება და უცილობელი მტკიცებანი ზეგავლენას მოახდენდა მრავალ მთავარზე და ისინიც განუდგებოდნენ რომს. ამიტომ იგი დაჟინებით გამოთქვამდა პროტესტს ვორმსის სეიმზე ლუთერის დასწრების თაობაზე. იმ დროს გამოიცა პაპის ბულა ლუთერის ეკლესიიდან მოკვეთის შესახებ და პაპის დეკრეტისა და ლეგატის პროტესტის გამო იმპერატორი დათმობაზე წავიდა. მან საქსონიის მმართველს მისწერა, რომ თუკი ლუთერი თავის იდეებს არ

უარყოფდა, მაშინ იგი ვიტენბერგში უნდა დარჩენილიყო.

ამ გამარჯვებამ არ დააკმაყოფილა ალეანდრე და მთელი თავისი ეშმაკობა და ძალაუფლება გამოიყენა, რათა ლუთერისათვის სასჯელი გამოეტანათ. არაჩვეულებრივი გულმოდგინებით მიაღწია მან ამ "კეთილშობილურ მიზანს", ეს საკითხი სეიმზე მთავართა, პრელატთა და სეიმის სხვა წევრთა წინაშე გაიტანა და რეფორმატორი "ამბოხებისაკენ მოწოდებაში, შფოთში, ურჯულოებასა და ღვთის გმობაში" დაადანაშაულა. მაგრამ პრელატის მგზნებარე გამოსვლა და მისი განცხადება აშკარად მიუთითებდა იმ სულზე, რომლის გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა.

"მასში უფრო მეტია სიძულვილი და შურისგება, ვიდრე გულმოდგინება და ღვთისმოსაობა", - ასეთი იყო საერთო დასკვნა. და სეიმის მონაწილეთა უმეტესი ნაწილი უფრო მეტი კეთილგანწყობით მოეკიდა ლუთერის საქმეს, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ალეანდრე გაორკეცებული ენერგიითა და არნახული სიჯიუტით მოითხოვდა, რომ იმპერატორს სისრულეში მოყვანა პაპის დეკრეტი. მაგრამ გერმანიის კანონების მიხედვით, ამის გაკეთება შეუძლებელი იყო მთავართა თანხმობის გარეშე. და ბოლოს, მისი დაჟინებული თხოვნით მობეზრებული კარლ დათმობაზე წავიდა და ამ საქმის სეიმზე

განხილვის ნება დართო. "ეს დღე მეტად საზეიმო იყო პაპის წარმომადგენელთათვის. ეს იყო დიდი შეკრება. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო საქმე, რომელიც უნდა განეხილათ. ალეანდრეს უნდა დაეცვა პაპის ძალაუფლება და ავტორიტეტი... მთელი მსოფლიოს მზრუნველი მამისა და მფარველისა." მას მთელი ქრისტიანული სამყაროს წინაშე უნდა დაეცვა უფლებანი, რომელნიც პაპმა "პეტრე მოციქულისაგან მიიღო". "მჭევრმეტყველური ნიჭით დაჯილდოებულმა პრელატმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. უფალმა დაუშვა, რომ უმაღლესი ტრიბუნალის წინაშე ეკლესიის ავტორიტეტის დასაცავად რომის ერთ-

ერთი დიდებული ორატორი გამოსულიყო". რეფორმატორის თანამოაზრენი და თანამგრძნობნი შიშით უსმენდნენ ორატორს. საქსონიის მმართველი სეიმს არ ესწრებოდა, მან მხოლოდ ორატორის სიტყვის ჩაწერა დაავალა თავის ხალხს.

ჭეშმარიტების დასამარცხებლად ალეანდრემ მთელი თავისი გონება და მჭევრმეტყველება გამოიყენა. დანაშაულთა კორიანტელი დაატყდა თავს ლუთერს. იგი წარმოადგინეს, როგორც ეკლესიისა და სახელმწიფოს, ცოცხალთა და მკვდართა, სამღვდელოებისა და საეროს, მთელი საქრისტიანოსა და თითოეული ქრისტიანის დაუძინებელი მტერი. "ლუთერის

ცრუმოძღვრება საკმარისია იმისათვის, რომ ასი ათასობით ერეტიკოსი ცეცხლს მიეცეს", - განაცხადა მან.

სიტყვის დასასრულს იგი შეეცადა რეფორმატორის მხარდამჭერთა აბუჩად აგდებას: "ვინ არიან ყველა ეს ლუთერანები? უმეცარ და თავხედ მასწავლებელთა ბრბო, გარყვნილი მღვდლები, უწესო ბერები, უვიცი ვექილები, გალარიბებული თავადები, და ერთი მუჭა მდაბიონი, ლუთერის იდეებით მოხიბლულნი. განა შეიძლება მათი კათოლიკეებთან შედარება, რომელნიც ასე მრავალრიცხოვანნი, ნიჭიერნი და ძლიერნი არიან? დაე, ამ ბრწყინვალე სასამართლოს ერთსულოვანმა გადაწყვეტილებამ თვალები

აუხილოს ამ მდაბიოთ,
გააფრთხილოს თავხედნი,
განამტკიცოს მერყევნი და უძლურნი."

ასეთი იარაღი ყველა საუკუნეში გამოიყენებოდა ჭეშმარიტების დამცველთა წინააღმდეგ. დღესაც ასეთ ბრალდებას უყენებენ მათ, ვინც არ ეთანხმება ცრურწმენას და ღვთის ჭეშმარიტ წმიდა სიტყვას ეზიარება. "ვინ არიან ამ ახალ მოძღვრებათა მქადაგებელნი? - გაჰყვირიან პოპულარული რელიგიის მიმდევარნი. - მცირერიცხოვანი და გაუნათლებელი მდაბიონი! როგორ ბედავენ ისინი განაცხადონ, რომ იციან ჭეშმარიტება და უფლის რჩეულნი არიან? ისინი უმეცარნი არიან და თავს იტყუებენ! შეხედეთ ჩვენს ეკლესიას, ასეთ

მრავალრიცხოვანსა და გავლენიანს! რამდენი სახელოვანი პიროვნება და მეცნიერია ჩვენს რიგებში. ჩვენ მათზე ბევრად ძლიერნი ვართ!" და რა თქმა უნდა, ეს არგუმენტები საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს კაცობრიობაზე, მაგრამ ის დღესაც ისევე ნაკლებად დამაჯერებელია, როგორც ლუთერის დღეებში.

    რეფორმაცია არ დამთავრებულა, როგორც ეს ბევრს ჰგონია, ლუთერის სიცოცხლის დასრულებასთან ერთად. იგი უნდა გაგრძელდეს კაცობრიობის ისტორიის დასასრულამდე. ლუთერმა გააკეთა უდიდესი საქმე და გაავრცელა ღვთისაგან მიღებული ნათელი, მაგრამ ეს არ იყო ის სრული სინათლე, რომელიც კაცობრიობას ესაჭიროებოდა. იმ დროიდან დღემდე

წმიდა წერილის ფურცლებიდან მუდმივად მოედინება ნათელი, რომელიც ჭეშმარიტების შეცნობაში გვეხმარება.

ლეგატის სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა სეიმზე. სეიმს არ ესწრებოდა ლუთერი, რომელიც იქ ყოფნის შემთხვევაში, თავისი ნათელი და დამაჯერებელი გამოსვლით, სრულიად გაანადგურებდა პაპის დამცველთ. არავის უცდია რეფორმატორის დაცვა ამ ბრალდებისაგან. თითქოს ყველა მზად იყო ლუთერის მოძღვრების არა მხოლოდ განსჯის, არამედ მისი სრული ალმოფხვრისთვისაც. რომს თავისი ავტორიტეტის განმტკიცების მშვენიერი შესაძლებლობა მიეცა. ყველაფერი ითქვა და გაკეთდა მის

დასაცავად. მაგრამ ეს მოჩვენებითი გამარჯვება ნიშანი იყო მისი სრული დამარცხებისა. ეს ორი ძლიერი ძალა შემდგომში ერთმანეთს კვლავ უნდა შეხვედროდა აშკარა ბრძოლაში, მაგრამ განსხვავება ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის ახლა უკვე გამოიკვეთა. და იმ დღიდან მოყოლებული, რომს ადრინდელივით უშიშრად ალარასოდეს უგრძვნია თავი.

თუმცა სეიმის წევრთა უმრავლესობა მზად იყო ლუთერის რომის კლანჭებში ჩასაგდებად, ბევრი მათგანი მაინც ხედავდა ეკლესიის გახრწნილებას და სურვილი ჰქონდა, ბოლო მოელო მანკიერი და ანგარებიანი სამღვდელოების მიერ ძალაუფლების ბოროტად

გამოყენებისათვის, რომლის გამოც მთელი გერმანიის მოსახლეობა იტანჯებოდა. ლეგატმა პაპის ხელისუფლება მეტად მომხიბვლელ და მომგებიან ფერებში წარმოაჩინა. მაგრამ უფალმა სეიმის ერთ-ერთი მონაწილის სული აღძრა, რომელმაც სამართლიანი შეფასება მისცა პაპის ტირანიის შედეგებს. მთავართა შეკრებაზე გამოვიდა ჰერცოგი გეორგ საქსონელი და საოცარი კეთილშობილური სიმტკიცითა და სიზუსტით მიუთითა პაპის წარმომადგენელთა სიცრუეზე, მანკიერებაზე და მისი ბატონობის საშინელ შედეგებზე. თავისი სიტყვის დასასრულს მან თქვა: "ეს მხოლოდ ნაწილია იმ ბოროტმოქმედებისა, რომელიც რომის წინაალმდეგ

ღალადებს. ღვთისმსახურებმა დაივიწყეს ყოველგვარი სირცხვილი და მათი ერთადერთი მიზანია ფული, ფული და ისევ ფული; ისინი, ვინც ვალდებული არიან ხალხი დამოძღვრონ ჭეშმარიტებაში, სიცრუეს ასწავლიან მათ და ამას არა მხოლოდ უთმენს ხალხი, არამედ ფულსაც უხდის, იმიტომ რომ, რაც უფრო მეტს ცრუობენ, მით უფრო მეტი შემოსავალი აქვთ. სწორედ ამ ჭუჭყიანი წყაროდან მოედინება მოწამლული წყალი. გარყვნილება და ანგარება განუყრელი ძმები არიან. და რა სამწუხაროა, რომ სამღვდელოების ამ სამარცხვინო საქციელს ბევრი უბედური სული დაღუპვისაკენ მიჰყავს. ამიტომ საჭიროა საყოველთაო რეფორმის გატარება!"

თვით ლუთერიც კი, ალბათ, ვერ შეძლებდა პაპის ხელისუფლების ბოროტმოქმედებათა ამაზე უფრო ძლიერ და სრულ აღწერას, როგორც ეს ჰერცოგმა გააკეთა, ხოლო თვით იმ ფაქტმა, რომ იგი რეფორმატორის აშკარა მტერი იყო, უფრო მეტი დამაჯერებლობა შემატა მის სიტყვებს.

უფალს რომ აქ მყოფ ადამიანთათვის სულიერი თვალები აეხილა, დაინახავდნენ მათ გარშემო თავმოყრილ მრავალ ანგელოზს, რომელნიც სიცრუის წყვდიადს ფანტავდნენ და ადამიანებს გულსა და გონებას უხსნიდნენ ჭეშმარიტების მისაღებად. ბრძენმა ღმერთმა ლუთერის მტრებზეც კი მოახდინა ზეგავლენა და მოამზადა გზა

უდიდესი საქმის აღსასრულებლად. მარტინ ლუთერი კრებას არ ესწრებოდა, მაგრამ აქ გაისმა იმისი ხმა, ვინც ლუთერზე დიდი იყო (ქრისტეს ხმა).

და სეიმმა მაშინვე აირჩია კომიტეტი, რომელსაც დაევალა პაპის მხრიდან იმ ბოროტმოქმედებათა ალწერა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა გერმანელ მოსახლეობას. ეს სია, რომელიც სხვადასხვა ბრალდების 101 პუნქტს შეიცავდა, წარუდგინეს იმპერატორს თხოვნით - მიელო სასწრაფო ზომები შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. "რა დიდია ქრისტიან სულთა დანაკარგი, - წერდნენ პეტიციის ავტორები, - რა ძარცვას, რა გამოძალვას ითმენს ჩვენი ხალხი

ეკლესიის მსახურთაგან! ჩვენი ვალია - გადავარჩინოთ საკუთარი ხალხი დალუპვისა და სირცხვილისაგან! აქედან გამომდინარე, მტკიცედ მოვითხოვთ და უმორჩილესად გთხოვთ დაამტკიცოთ საყოველთაო რეფორმა და დაიწყოთ მისი გატარება".

ახლა სეიმმა თავად მოითხოვა რეფორმატორის გამოძახება. ალეანდრეს თხოვნის, პროტესტისა და მუქარის მიუხედავად, იმპერატორმა თანხმობა განაცხადა და ლუთერი სეიმზე მოიწვიეს. მოსაწვევთან ერთად მას გაუგზავნეს დაცვის სიგელი - უკან მშვიდობიანად დაბრუნების გარანტია. ყველაფერი ეს ვიტენბერგში ჩაიტანა კურიერმა,

რომელსაც დავალებული ჰქონდა ლუთერის ვორმსში ჩამოყვანა.

ლუთერის მეგობრები შიშობდნენ, რომ ეს ხელშეკრულების გარანტიაც ვერ დაიცავდა რეფორმატორს, რადგან კარგად იცოდნენ ლუთერის მიმართ სეიმის უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ და სთხოვდნენ მას, საფრთხეში არ ჩაეგდო თავი. ამაზე მან მიუგო: "პაპისტებს არ სურთ ჩემი ვორმსში ჩასვლა. მათ მხოლოდ სასჯელის გამოტანა და ჩემი სიკვდილი სურთ. ჩემზე ნუ სწუხართ, ილოცეთ ღვთის სიტყვის გამარჯვებისათვის... ქრისტე თავისი სულით მომცემს ძალას ამ სიცრუის მსახურებზე გასამარჯვებლად. მე ვიბრძოლებ მათ წინააღმდეგ, სანამ ცოცხალი ვარ,

ხოლო ჩემი სიკვდილი ჩემი მათზე გამარჯვება იქნება. ისინი ვორმსში ეცდებიან მაიძულონ, რომ უარვყო და აი, ჩემი განდგომაც: ადრე ვამბობდი, რომ პაპი - ქრისტეს მოადგილეა, ახლა კი ვამტკიცებ, რომ იგი ჩვენი უფლის მტერი და ეშმაკის მოციქულია."

ლუთერი მარტო არ წასულა ამ ხიფათიან გზაზე. იმპერატორის დაცვასთან ერთად მას თან სამი უახლოესი მეგობარი ახლდა. ძალიან უნდოდა მისი თანხლება მელანქტონსაც, რომელიც იმდენად ერთგული იყო ლუთერისა, რომ მზად იყო საპყრობილეშიც კი გაჰყოლოდა. იგი მისთვის სიკვდილზეც კი თანახმა იყო. მაგრამ მისი თხოვნა ამაო აღმოჩნდა: მელანქტონი ვიტენბერგში დატოვეს. ლუთერის

დალუპვის შემთხვევაში
რეფორმაციის საქმე მას უნდა
გაეგრძელებინა. გამოთხოვებისას
რეფორმატორმა უთხრა მას: "თუკი მე
მომკლავენ და ვერ შევძლებ
დაბრუნებას, არ შეწყვიტო
ჭეშმარიტების ქადაგება. მხნედ იყავ.
გააგრძელე ჩემი საქმე... შენ თუ
ცოცხალი დარჩი, ჩემს სიკვდილს
დიდი მნიშვნელობა არ ექნება."
ლუთერის გასაცილებლად მოსული
სტუდენტები და მოქალაქეები
ღელავდნენ და წუხდნენ მის გამო.
ბევრი მათგანი, ვის გულსაც
სახარების ჭეშმარიტება შეეხო,
განშორებისას ტიროდა. ასე დატოვა
რეფორმატორმა თავის მეგობრებთან
ერთად ვიტენბერგი.

გზად მიმავალი მგზავრები ამჩნევდნენ, რომ გულდამძიმებული მოსახლეობა რალაც გაუგებრობის მოლოდინში იყო. ზოგიერთ ქალაქში მას არც მიაქციეს სათანადო ყურადღება. მღვდელმა, რომელთანაც ღამე გაათიეს, თანაგრძნობა გამოთქვა ლუთერის მიმართ და აჩვენა ერთი იტალიელი რეფორმატორის პორტრეტი, რომელიც მოწამებრივი სიკვდილით დაიღუპა. მეორე დღეს მათთვის ცნობილი გახდა, რომ ვორმსში ლუთერის თხზულებები აკრძალეს. იმპერატორის მაცნეები ყველგან ავრცელებდნენ ამ დეკრეტს და მოსახლეობას მოუწოდებდნენ, ლუთერის ნაშრომები ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ჩაებარებინათ.

ლუთერის გამცილებელმა, რომელიც წუხდა, რაიმე ვნება არ მიეყენებინათ ლუთერისათვის სეიმზე, იფიქრა, რომ იგი ალარ გააგრძელებდა გზას და ჰკითხა, ხომ არ გადაუფიქრებია ვორმსში წასვლა, რაზეც ლუთერმა უპასუხა: "თუნდაც ყველა ქალაქში გამოაცხადონ ჩემი ეკლესიისაგან მოკვეთის ამბავი, მე მაინც გავაგრძელებ გზას".

ერფურტში ლუთერს დიდი პატივით შეხვდნენ. ალტაცებულ ადამიანთა ჯგუფებით გარშემორტყმული, იგი ნელა მიიკვლევდა გზას იმ ქალაქის ქუჩებში, სადაც ოდესლაც ხშირად დადიოდა მათხოვრის ჩანთით. მან შეიხედა მონასტრის სენაკში, სადაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ მრავალი

ტანჯვა და შინაგანი ბრძოლა გადაიტანა, რის წყალობითაც მის სულში შემოვიდა ნათელი, რომელიც ახლა მთელ გერმანიაში ვრცელდებოდა. აქ მას დაჟინებით სთხოვდნენ ქადაგების წარმოთქმას. ლუთერს არ ჰქონდა ამის უფლება, მაგრამ გამცილებელმა ნება დართო და ბერი, რომელიც ოდესღაც აქ ყველაზე შავ სამუშაოს ასრულებდა, კათედრაზე ავიდა.

იგი შეკრებილთ მიესალმა ქრისტეს სიტყვებით: "მშვიდობა თქვენდა!" "ფილოსოფოსები, მწერლები და ღვთისმეტყველნი უშედეგოდ ასწავლიან ხალხს, როგორ მოიპოვონ საუკუნო სიცოცხლე. მე გეტყვით თქვენ: უფალმა მკვდრეთით ალადგინა ერთი კაცი, ჩვენი უფალი

იესო ქრისტე, რათა მას დაეთრგუნა სიკვდილი, მოესპო ცოდვა და დაეხურა ჯოჯოხეთის კარი. ეს ადამიანთა ხსნაა... ქრისტემ გაიმარჯვა! რა სასიხარულოა ამის მოსმენა! ჩვენ მან გადაგვარჩინა არა ჩვენი საქმეების გამო, არამედ თავისი დამსახურებით... ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ თქვა: "მშვიდობა თქვენდა! შეხედეთ ჩემს ხელებს"... - ეს კი ნიშნავს: "ადამიანებო, მობრუნდით ჩემსკენ! შემომხედეთ! მე ვარ ის, ვინც გაგათავისუფლათ ცოდვებისაგან და გამოგისყიდათ, ახლა კი გექნებათ მშვიდობა, ამბობს უფალი".

შემდეგ ლუთერმა განმარტა, თუ როგორ უნდა გამოვლინდეს ჭეშმარიტი რწმენა მართალთა

ცხოვრებაში. "რადგან უფალმა ხსნის საშუალება მოგვცა, ჩვენც უნდა ვეცადოთ საქმეების კეთებას მისი ნებისამებრ. მდიდარი ხარ? დაეხმარე გაჭირვებულთ. ღარიბი ხარ? დააფასონ შენი სამსახური მდიდრებმა. შენ თუ მხოლოდ საკუთარი თავისთვის იღწვი, მაშინ შენი მსახურება, რომელიც უფლის ნება გგონია, სხვა არაფერია, თუ არა სიცრუე".

ხალხი მონუსხული უსმენდა ლუთერს: ამ მოშიებულმა სულებმა სიცოცხლის პური მიიღეს. მათ თვალში ქრისტე ყოველგვარ პაპებზე, ლეგატებზე, იმპერატორებზე და მეფეებზე მაღლა აღზევდა. ლუთერს არაფერი უთქვამს თავისი მძიმე მდგომარეობის შესახებ. არ სურდა

თანაგრძნობის საგანი გამხდარიყო. ქრისტეზე საუბრისას დაავიწყდა საკუთარი თავი. იგი გოლგოთის ჯვარზე გაკრული კაცის ჩრდილში დადგა, რადგან სურდა, რომ ადამიანებს მხოლოდ იესო დაენახათ, როგორც ცოდვილთა მხსნელი.

მათი მოგზაურობა გრძელდებოდა. რეფორმატორს ყველგან დიდი ინტერესით ხვდებოდნენ. ცნობისმოყვარეთა ჯგუფები თავს იყრიდნენ მის გარშემო და მეგობრულად განწყობილნი, აფრთხილებდნენ რომის მომხრეთა განზრახვის შესახებ. "ისინი კოცონზე დაგწვავენ, - ეუბნებოდნენ მას, - თქვენს ფერფლს კი გააბნევენ: გაიხსენეთ როგორ მოექცნენ იან ჰუსს". "მათ მთელ გზაზე,

ვიტენბერგიდან ვორმსამდეც რომ დაანთონ ცეცხლი, ისე, რომ ალი ცას მისწვდეს, უფლის სახელით მასში მაინც გავივლიდი; მე უნდა წარვსდგე მტრის წინაშე; ხახაში ჩავუძვრები ამ ურჩხულს და კბილებს დავაძრობ იესო ქრისტეს მოწმობით." - პასუხობდა ლუთერი.

ლუთერის ვორმსთან მიახლოებამ დიდი მღელვარება გამოიწვია: მეგობრები წუხდნენ მის გამო, მტერს კი მისი საქმის წარმატებით დამთავრებისა ეშინოდა. ისინი დაბეჯითებით არწმუნებდნენ, არ შესულიყო ქალაქში. პაპის დაქირავებული მსახურნი გულითადად ურჩევდნენ, თავი შეეფარებინა რომელიმე მის მიმართ კეთილგანწყობილი რაინდის სახლში

და ამით ყველა პრობლემა მოიხსნებოდა. მეგობრები მის შეშინებას მოსალოდნელი საფრთხით ცდილობდნენ, მაგრამ ერთნიც და მეორენიც ამაოდ ირჯებოდნენ: ლუთერი ძველებურად ძლიერად იდგა და აცხადებდა: "ვორმსში რომ იმდენი უწმიდური სული ალმოჩნდეს, რამდენი კრამიტიცაა ამ სახლების სახურავებზე, მე მაინც შევალ მასში".

ვორმსში შესვლისას ქალაქის კარიბჭესთან ლუთერს ზღვა ხალხი ესალმებოდა. ამდენი ხალხი თვით იმპერატორსაც არ ხვდებოდა ხოლმე. უჩვეულო მღელვარება სუფევდა. უცბად ბრბოს შუაგულში ვიღაცამ გულში ჩამწვდომი, სამგლოვიარო სიმღერა წამოიწყო ლუთერის

გასაფრთხილებლად მოსალოდნელი ხიფათის გამო. "უფალი იქნება ჩემი დამცველი" - თქვა მან ეკიპაჟიდან გადმოსვლისას.

პაპის დესპანს არ სჯეროდა, რომ ლუთერი მართლა გაბედავდა ვორმსში გამოჩენას. მის დანახვაზე ისინი შიშის ზარმა შეიპყრო. იმპერატორმა შემდგომი სამოქმედო გეგმის შესადგენად სასწრაფოდ მოიწვია თავისი მრჩევლები. ერთ-ერთმა პაპის ერთგულმა მსახურმა განაცხადა: "ჩვენ ბევრს ვკამათობთ ამ საკითხის გამო მაშინ, როდესაც თქვენს ბრწყინვალებას ერთი ხელის მოსმით შეუძლია გაგვათავისუფლოს ამ ადამიანისაგან. განა სიგიზმუნდმა არ გადასცა იან ჰუსი კოცონზე დასაწვავად? ჩვენ ვალდებული არა

ვართ, პატივი ვცეთ ამ ერეტიკოსისადმი გაცემულ დაცვის სიგელს". "არავითარ შემთხვევაში, - თქვა იმპერატორმა, - ჩვენ უნდა შევასრულოთ ჩვენი დანაპირები". და გადაწყვიტეს, მოესმინათ რეფორმატორისთვის.

მთელ ქალაქს სურდა ამ შესანიშნავი ადამიანის დანახვა. და მალე გულშემატკივრებით აივსო სახლი, სადაც ის დაბინავდა. ლუთერმა სულ ცოტა ხნის წინ მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა, თანაც ორკვირიანი მგზავრობით ძლიერ დაიქანცა. იგი უნდა მომზადებულიყო სეიმის მონაწილეებთან შესახვედრად, და რასაკვირველია, მოსვენება და სიმშვიდე ესაჭიროებოდა. მაგრამ ხალხს მასთან

შეხვედრის ისეთი დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მხოლოდ რამდენიმე საათის დასვენების შესაძლებლობა მისცეს, შემდეგ კი გარს შემოეხვივნენ ალგზნებული, აღელვებული წარჩინებულნი, რაინდები, მღვდლები და უბრალო მოქალაქენი. მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც იმპერატორის წინაშე გაბედულად ამხილა ეკლესიის ბოროტმოქმედებანი და რეფორმის დაუყოვნებლივ დაწყება მოითხოვა, ისინი, ვინც, ლუთერის თქმით, მისი სახარებით "გათავისუფლდა ტყვეობისაგან." მეგობრებთან ერთად ამ უშიშარი ბერის სანახავად მოდიოდნენ მისი მტრებიც, რომელთაც იგი უცვლელი სიმშვიდით, ღირსეულად ხვდებოდა.

ყოველ მის მოქმედებაში სიმამაცე და სიმტკიცე მოჩანდა. მისი ფერმკრთალი, გამხდარი, ნაავადმყოფარი და დაღლილი სახე სიკეთესა და სიხარულს ასხივებდა. მის საზეიმოდ წარმოთქმულ სიტყვებში იმდენი გულწრფელობა იყო ჩაქსოვილი, რომ მტრებიც კი მოხიბლული დარჩნენ. ყველა გაოცებული იყო მისი დანახვით. ბევრი დარწმუნებული იყო, რომ მასში ღვთაებრივი ძალა იმყოფებოდა, სხვები - იმ ფარისეველთა მსგავსად, რომელნიც ქრისტეს ადანაშაულებდნენ, აცხადებდნენ: "მასში ეშმაკის სულია".

მეორე დღეს ლუთერი სეიმზე მიიწვიეს. იგი სახელმწოფო მოხელის

თანხლებით შევიდა მისაღებ დარბაზში, მაგრამ იქიდან ძლივს გაიკვლია გზა შენობისაკენ. ქუჩები სავსე იყო ხალხით, რომელსაც სურდა იმ ბერის დანახვა, თვით პაპს რომ გაუწია წინაალმდეგობა.

სასამართლოს წინაშე წარდგომამდე ერთმა მრავალ ბრძოლაში გამარჯვებულმა გენერალმა მას სიყვარულით უთხრა: "საწყალი, საცოდავი ბერი! მრავალი ბრძოლა გამივლია და ვიცი, რომ შენ მიდიხარ ერთ-ერთი უსასტიკესი იერიშის მოსაგერიებლად. მაგრამ თუ სიმართლე შენს მხარეზეა, და თავად დარწმუნებული ხარ ამაში, წადი წინ ღმერთის სახელით და ნურაფრის შეგეშინდება. უფალი არ მიგატოვებს".

და ბოლოს, ლუთერი, როგორც იქნა, წარდგა სეიმის წინაშე. იმპერატორი ტახტზე დაჯდა. მის გვერდით იმპერიის ტიტულოვანი დიდებულები მოთავსდნენ. არც ერთ უბრალო ადამიანს, ალბათ არასოდეს უნახავს ასეთი ბრწყინვალე საზოგადოება, რომლის წინაშე ლუთერს უნდა წარმოეთქვა სიტყვა თავისი რწმენის შესახებ. "თვით მისი იქ ყოფნა პაპზე უდიდეს გამარჯვებას ნიშნავდა. პაპმა დამნაშავედ გამოაცხადა ეს ადამიანი, მაგრამ იგი წარდგა სასამართლოს წინაშე, მხოლოდ ამ ერთი მოქმედებითაც კი უკვე პაპის ავტორიტეტზე მაღლა იდგა იგი. პაპმა მოკვეთა ლუთერი ეკლესიისაგან, საზოგადოებიდანაც გააძევა და მიუხედავად ამისა, იგი

პატივით მოიწვიეს მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უდიდეს კრებაზე. პაპმა მას სამუდამოდ ჩამოართვა სიტყვის თქმის უფლება. მას კი საშუალება მიეცა გამოსულიყო ათასობით ყურადღებიანი მსმენელის წინაშე, რომლებიც ქრისტიანული ქვეყნების შორეული მხარეებიდან ჩამოსულიყვნენ. ლუთერმა უდიდესი გადატრიალება მოახდინა. რომის ტახტის ძლიერება უბრალო ბერის ხმამ შეარყია".

უამრავ წარჩინებულთა დანახვაზე ლუთერი შეცბა. ზოგიერთმა მთავარმა იგრძნო მისი ეს მდგომარეობა და გაამხნევა იგი. ერთ-ერთმა მათგანმა კი უჩურჩულა: "ნუ შედრკებით სხეულის მკვლელთა წინაშე, მათ ხომ სულის მოკვლა არ

შეუძლიათ". მეორემ უთხრა: "როცა წაგიყვანენ განმგებლებთან და მეფეებთან ჩემს გამო, ნუ იზრუნებთ, რა ვთქვათო... ვინაიდან მაშინ მოგეცემათ, რაც უნდა თქვათ... ვინაიდან... თქვენი მამის სული ილაპარაკებს თქვენში" (მათ. 10:18-20). ასე გაახსენეს ღვთის მსახურს მისი რწმენის განმამტკიცებელი ქრისტეს სიტყვები გამოცდის წუთებში.

ლუთერს შესთავაზეს, იმპერატორის ტახტის წინ დამდგარიყო. კრება გაირინდა. წამოდგა იმპერატორის მოხელე, ლუთერს თხზულებებზე მიუთითა და რეფორმატორს მოსთხოვა პასუხის გაცემა ორ კითხვაზე: აღიარებს თუ არა, რომ ეს ნაშრომები მისია და აპირებს თუ არა მასში გადმოცემული

თვალსაზრისის უარყოფას. ლუთერმა უპასუხა, რომ დასახელებული ორი წიგნის ავტორი ნამდვილად თავად არის. "ხოლო რაც შეეხება მეორე კითხვას, - განაგრძო მან, - იგი ეხება რწმენას და სულის გადარჩენას, რომელსაც გვაძლევს წმიდა წერილი - ერთ-ერთი უდიდესი და უძვირფასესი საგანძური როგორც ზეცაში, ასევე დედამიწაზე. და ჩემის მხრივ არ იქნება მიზანშეწონილი თქვენს კითხვაზე დაუფიქრებლად პასუხის გაცემა, რადგან დაფიქრების გარეშე შეიძლება სრულად ვერ ვუპასუხო კითხვას, ან იმაზე მეტი ვთქვა, ვიდრე ჭეშმარიტება მოითხოვს და მაშინ ქრისტეს ნათქვამი სიტყვები: "ვინც უარმყოფს მე ადამიანთა წინაშე, მას მეც ვუარვყოფ

ჩემი ზეციერი მამის წინაშე" (მათ. 10:33), ჩემს მიმართ იქნება ნათქვამი. ამიტომ, თქვენო უდიდებულესობავ, უმორჩილესად გთხოვთ, მომცეთ დრო, რათა ჩემმა პასუხმა შეურაცხყოფა არ მიაყენოს უფლის სიტყვას."

ლუთერი ბრძნულად მოიქცა, როდესაც ასეთი თხოვნით მიმართა იმპერატორს. მისმა საქციელმა დაარწმუნა მთელი კრება, რომ მის მოქმედებაში არაფერია მოუფიქრებელი და ნაჩქარევი. ამ გამბედავი და უკომპრომისო ადამიანის საზოგადოებისათვის სრულიად მოულოდნელმა სიმშვიდემ და თავშეკავებამ მის სიტყვებს დამაჯერებლობა შემატა და შემდგომშიც იგი კეთილგონიერებით,

გაბედულად, მტკიცედ, ღირსეულად პასუხობდა ყველა კითხვას, რაც მეტად ანცვიფრებდა მის ამაყ და თავმოყვარე ოპონენტებს.

მეორე დღეს დანიშნული იყო ლუთერის გადამწყვეტი გამოსვლა სეიმზე. როდესაც დაინახა, თუ რა ძალები გაერთიანდნენ მის წინააღმდეგ, რეფორმატორი წამით შეშინდა. მისი რწმენა შეირყა და მისი სული საშინელებამ მოიცვა. მან აშკარად იგრძნო მოახლოებული საშიშროება და მოეჩვენა, რომ მტერი უკვე ზეიმობდა მასზე გამარჯვებას და რომ ამ ბრძოლაში ბნელმა ძალებმა გაიმარჯვეს. მის გარშემო ყველაფერი შავმა ღრუბელმა დაფარა, თითქოს მის ღმერთთან დაშორებას ცდილობდა. მას სურდა

მიელო მტკიცება იმისა, რომ მხედრობის უფალი მასთან იქნება. სრულიად გატანჯული ლუთერი მიწაზე დაემხო და გაწამებული გულიდან სულისშემძვრელი გმინვა ალმოხდა, რომელიც მხოლოდ უფლისათვის იყო გასაგები.

"ყოვლისშემძლე და მარადიულო ღმერთო! - ლოცულობდა იგი, - რა საშინელებაა ეს წუთისოფელი! უკვე დაალო თავისი შავი ხახა ჩემს ჩასაყლაპად; მე კი ისეთი მცირე რწმენა მაქვს შენი... თუკი ჩემი იმედი მხოლოდ ამქვეყნიური ძალები იქნება, მაშინ დავიღუპები... მაშინ ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები უკვე დამდგარა და განაჩენიც გამოტანილია... ო, ჩემო ღმერთო! დამეხმარე და მომაშორე

ამქვეყნიური სიბრძნე, რადგან ეს მხოლოდ შენ შეგიძლია, რადგან ეს მხოლოდ შენი საქმეა და არა ჩემი. მე არაფერი მაქვს ამა სოფლის ძლიერთა საწინააღმდეგო, არამედ ეს შენი საქმეა, სამართლიანი და მარადიული საქმე. ო, ღმერთო! დამეხმარე, ერთგულო და მარად უცვლელო ღმერთო, არც ერთი ადამიანის იმედი არა მაქვს... ყველაფერი ადამიანური - არარაობა და მოკვდავია... შენ ამომირჩიე ამ საქმისათვის და იყავი ჩემთან შენი საყვარელი ძის, იესო ქრისტეს სახელისათვის, რომელიც ჩემი დამცველი, ფარი და ციხე-სიმაგრეა".

უფლის შორსმჭვრეტელმა სიბრძნემ ლუთერის გულში დაუშვა შიში, რათა შეეგრძნო

მოსალოდნელი საშიშროება და თავის თავზე არ დაიმედებულიყო, არ მინდობოდა საკუთარ ძალებს. მაგრამ რეფორმატორის გულში მოულოდნელად ჩამდგარი შიში არ იყო გამოწვეული მოახლოებული ტანჯვა-წამებით და სიკვდილით. არა! დადგა მისი სულის გამოცდის ჟამი და მას სრულიად წაერთვა ძალა. იგი შიშობდა, რომ მისი უძლურების გამო ჭეშმარიტების საქმე დამარცხდებოდა. იგი ღმერთს "ებრძოდა" არა საკუთარი უშიშროებისათვის, არამედ სახარების გამარჯვებისათვის. მის გაწამებულ სულში მიმდინარეობდა შინაგანი ბრძოლა, მსგავსი მდინარის პირას ღამით მარტოდ დარჩენილი "ისრაელის" ღმერთთან ბრძოლისა და

ლუთერიც "ისრაელის" მსგავსად, ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. სრულიად უმწეო ლუთერმა რწმენით მიმართა ქრისტეს - უძლიერეს მხსნელს და ირწმუნა, რომ სეიმზე იგი მარტო არ იქნება. მის სულში სიმშვიდემ და სიხარულმა დაისადგურა იმის გამო, რომ შესაძლებლობა მიეცა, ღვთის სიტყვა ალემაღლებინა დიდებულთა და წარჩინებულთა წინაშე.

უფლის იმედით და მის სიტყვაზე დაყრდნობით მოემზადა ლუთერი მომავალი ბრძოლისათვის. მან გაიაზრა სიტყვა, გააკეთა ამონაწერები თავისი ნაშრომებიდან და შეარჩია შესაბამისი მტკიცებანი წმიდა წერილიდან. შემდეგ მარცხენა ხელი დაადო მის წინ გადაშლილ

წმიდა წერილს, მარჯვენა კი ზეცისკენ ალმართა და უფალს ალუთქვა, რომ "იქნებოდა სახარების ერთგული და საჯაროდ ალიარებდა თავის რწმენას მაშინაც კი, თუკი ამ მოწმობისათვის მისი სისხლი იქნებოდა საჭირო."

როდესაც იგი კვლავ დადგა სეიმის წინაშე, სახეზე დაბნეულობისა და შიშის კვალიც ალარ ეტყობოდა. მშვიდად, აუღელვებლად და უშიშრად, კეთილშობილებითა და სიმამაცით ალსავსე წარდგა იგი - ღვთის მოწმე - ამა სოფლის ძლიერთა წინაშე. სახელმწიფო მოხელემ მისგან მოითხოვა გადამწყვეტი პასუხი: აპირებს თუ არა თავისი იდეების უარყოფას. ლუთერი მოკლედ, მოკრძალებით და

მორჩილად პასუხობდა; მისი ხმა მშვიდი და დამაჯერებელი იყო. თავი მოწიწებით და მორიდებით ეჭირა, მაგრამ, ამასთან ერთად, მისმა სიმტკიცემ და მხიარულმა გამომეტყველებამ მთელი კრება განაცვიფრა.

"თქვენო ბრწყინვალებავ, - მიმართა მან იმპერატორს, - დიდებულო მთავარნო და მოწყალეო მმართველნო! მე დღეს წარვდექი თქვენს წინაშე თქვენი გუშინდელი ნებართვით, ღმერთის წყალობით და, თქვენო უდიდებულესობავ, გთხოვთ მოწყალებით მოისმინოთ საქმე, რომელიც, მჯერა, რომ სამართლიანი და ჭეშმარიტია. თუკი შემთხვევით სასახლის კარის წესებს დავარღვევ, გთხოვთ მომიტევოთ, რადგან მე არ

გავზრდილვარ სამეფო კარზე და სასახლის პალატებში, არამედ - მონასტრის განცალკევებულ სენაკში."

შემდეგ აღნიშნა, რომ მის მიერ გამოქვეყნებული თხზულებები განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი შინაარსით. ზოგიერთ მათგანში (როგორც თვით მოწინააღმდეგენი აღიარებენ, ისინი სრულიად უვნებელნი და სასარგებლონიც კი არიან) მას დაწერილი აქვს რწმენისა და კეთილი საქმეების შესახებ. მათი უარყოფა იმ ჭეშმარიტებათა უარყოფის ტოლფასია, რომელთაც ყველა აღიარებს. სხვა წიგნებში მხილებულია პაპის ხელისუფლების მანკიერება და ბოროტმოქმედებანი. ამ ნაშრომთა უარყოფა - პაპის

ტირანიის მხარდაჭერას ნიშნავს, რაც ფართოდ გაუღებს კარს მრავალ საშინელ ურჯულოებას. და ბოლოს, ზოგიერთ მის წიგნში გაკრიტიკებულია პიროვნებები, რომლებიც მხარს უჭერენ და იცავენ გამეფებულ ბოროტებას. ამ უკანასკნელთაგანზე მან საჯაროდ ალიარა, რომ მის ნაშრომებში ხშირად კრიტიკა, მართლაც, გადაჭარბებულია. რასაკვირველია, იგი დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან, ალნიშნა ლუთერმა, მაგრამ მისთვის ამ წიგნების უარყოფაც შეუძლებელია, რათა არ გათამამდნენ ჭეშმარიტების მტრები, არ ისარგებლონ ამით და უფრო მეტი ტანჯვა არ მიაყენონ ღვთის ხალხს.

"მე უბრალო მოკვდავი ვარ და არა ღმერთი, - განაგრძო მან. - ამიტომ ისე დავიცავ თავს, როგორც ქრისტე აკეთებდა ამას: "თუ ცუდად ვთქვი, დამიმოწმე ცუდის შესახებ..." ღვთის გულისათვის გთხოვთ თქვენ, თქვენო უბრწყინვალესობავ, და ყველა დიდებულს, წმიდა წერილის მიხედვით დამიმტკიცოთ ჩემი შეცდომები. და როგორც კი დამარწმუნებთ ამაში, მე ვალიარებ ჩემს შეცდომებს და თავად მივცემ ცეცხლს ჩემს წიგნებს".

"ჩემი სიტყვებიდან თქვენთვის, ალბათ, გასაგებია, რომ მე ყველაფერი ავწონ-დავწონე, რომ კარგად ვხედავ განსაცდელს, რაშიც თვითონ ვაგდებ საკუთარ თავს. მაგრამ არ მეშინია, პირიქით, გულს უხარია, რომ უფლის

სახარება დღესაც, როგორც ადრე, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და ბრძოლის საგანი ხდება, რადგან ღვთის სიტყვა არავის ტოვებს გულგრილს. "ნუ გგონიათ თითქოს დედამიწაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი; მშვიდობის კი არა, მახვილის მოსატანად მოვედი" (მათ. 10:34) - თქვა იესო ქრისტემ. უფალი დიდებულია და მრისხანე თავის გაფრთხილებებში და განაჩენის გამოტანაში, ამიტომ გაფრთხილდით, რათა, ისწრაფვით რა ბოლო მოულოთ უთანხმოებას, არ გახდეთ უფლის წმიდა სიტყვის მდევნელნი, არ დაიტეხოთ თავს უბედურებანი და არ დაილუპოთ სამუდამოდ... მე შემიძლია მაგალითად მოგიყვანოთ ფარაონი, ბაბილონისა და ისრაელის

მეფეები, რომლებმაც წარმატებით შეუწყვეს ხელი საკუთარი თავის დალუპვას, როცა საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისათვის ასრულებდნენ რჩევა-დარიგებებს, რომელნიც, მათი აზრით, ბრძნული და გონივრული იყო. "იგი გადადგამს მთებს, მაგრამ მაინც ვერ სცნობენ მას."

ლუთერი ლაპარაკობდა გერმანულად, შემდეგ სთხოვეს ნათქვამის ლათინურად გამეორება. დაღლილ-დაქანცულმა, კვლავ ძველი ენერგიითა და მგზნებარებით ლათინურად გაიმეორა თავისი სიტყვა. ყველაფერს, ეჭვი არ იყო, უფლის ხელი განაგებდა. ბევრი მათგანი იმდენად იყო დაბრმავებული თავისი ცრურწმენით,

რომ პირველი მოსმენისას ვერ ჩასწვდა ლუთერის მტკიცებათა ლოგიკას, რაც გასაგები გახდა ნათქვამის გამეორებისას.

ისინი, ვინც ჯიუტად ემიჯნებოდნენ ჭეშმარიტების ნათელს და უარს ამბობდნენ მის მიღებაზე, ძალზე განრისხდნენ ლუთერის დამაჯერებელი სიტყვების გამო. როდესაც მან თავისი გამოსვლა დაამთავრა, სეიმის თავმჯდომარემ სინანულით უთხრა: "შენ ვერ შესძელი კითხვაზე პასუხის გაცემა... შენი პასუხი უნდა იყოს მკაფიო და პირდაპირი... უარყოფ თუ არა?"

რეფორმატორმა განუცხადა: "რადგან თქვენი ბრწყინვალება თხოულობს ჩემგან მკაფიო, პირდაპირ და უბრალო პასუხს, მეც

ასევე გიპასუხებთ: მე არა მჯერა არც პაპის, არც კრების, რადგან ყველამ იცის მათი ცოდვებისა და ურთიერთდაპირისპირების შესახებ. მე მხოლოდ წმიდა წერილის მჯერა, ვეთანხმები ჩემი სინდისის ხმას - ღვთის სიტყვას, ამიტომ არც მსურს და არც შემიძლია განდგომა, რადგან უსამართლობაა და შეუძლებელი ქრისტიანისათვის საკუთარი სინდისის წინაალმდეგ წასვლა. ჩემს აზრზე ვრჩები და სხვანაირად არ შემიძლია. შენ დამიცავი, უფალო! ამინ."

ასე იბრძოდა ეს მართალი ქრისტიანი ღვთის ჭეშმარიტ სიტყვაზე დაყრდნობით. ზეციური ნათელი ეფინა მის სახეს, როცა ამხელდა სიცრუეს და აჩვენებდა

რწმენის უპირატესობას, რომელსაც წუთისოფლის ძლევა შეუძლია. ყველამ იხილა მისი დიდებულება და სიწმიდე, სულიერი სიმშვიდე და სიხარული.

სეიმის წევრებმა რამდენიმე წუთს განცვიფრებისაგან ხმა ვერ ამოიღეს. თავიდან ლუთერი ისეთი მოკრძალებით ლაპარაკობდა, რომ ეს მის მორჩილებად მიიჩნიეს. პაპისტებმა ჩათვალეს, რომ ლუთერი მერყეობდა. ლუთერის თხოვნა პასუხის გასაცემად დროის მიცემის შესახებ მათ თავიანთ გამარჯვებად ჩათვალეს. თვით კარლ მაც ზიზღით აღნიშნა რეფორმატორის დაღლილი სახე, უბრალო ტანსაცმელი, მისი სადა სიტყვა და ჩაილაპარაკა: "ეს ბერი ვერასოდეს

გამხდის ერეტიკოსს". მაგრამ შემდგომში, ლუთერის სიმტკიცემ, მისმა გაბედულებამ, მის მტკიცებათა სიძლიერემ და ნათელმა გონებამ ყველა ალტაცებაში მოიყვანა. და განცვიფრებულმა იმპერატორმა წამოიყვირა: "რა გაბედულად და უშიშრად ლაპარაკობს ეს ბერი!" ბევრი გერმანელი დიდგვაროვანი სიამაყით შეჰყურებდა თავის თანამემამულეს და უხაროდა მისი წარმატება.

რომის მესვეურები დამარცხდნენ; მათი ქმედებანი მეტად ულიმლამოდ გამოიყურებოდა. თავიანთი ძალაუფლების განმტკიცებას ისინი ცდილობდნენ არა წმიდა წერილზე დაყრდნობით, არამედ რომის უცვლელი და მუდმივი არგუმენტით -

მუქარით. სეიმის თავმჯდომარემ ლუთერს შემდეგი სიტყვებით მიმართა: "თუ არ უარყოფ, იმპერატორი და სახელმწიფო მოხელენი ისე მოგექცევიან, როგორც გამოუსწორებელ ერეტიკოსს შეჰფერის".

ლუთერის მეგობრებს, რომლებიც ალფრთოვანებით უსმენდნენ მის გაბედულ და დამაჯერებელ გამოსვლას, ამ სიტყვების გაგონებამ თავზარი დასცა, მაგრამ რეფორმატორმა მშვიდად უპასუხა: "არ შემიძლია უარყოფა. უფალი ღმერთი შემეწევა მე!"

სანამ მთავრები თათბირობდნენ, ლუთერს უბრძანეს, დაეტოვებინა სეიმი. იგრძნობოდა, რომ გადამწყვეტი მომენტი დადგა.

ლუთერმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ არ დაემორჩილებოდა კრებას, ამას კი შეეძლო უდიდესი გავლენა მოეხდინა ეკლესიის ისტორიის მსვლელობაზე. ამიტომ საჭიროდ ჩათვალეს, კიდევ ერთხელ მიეცათ თავისი იდეების უარყოფის შესაძლებლობა. უკანასკნელად მოიყვანეს იგი სეიმზე. კვლავ გაისმა კითხვა, აპირებს თუ არა იგი თავისი მოძღვრების უარყოფას? "მე უკვე გიპასუხეთ, - წარმოთქვა მან, - სხვა არაფერი მაქვს სათქმელი". აშკარა იყო, რომ ლუთერს ვერც მუქარით და ვერც დაპირებებით ვერ აიძულებდნენ თავისი რწმენის შეცვლას.

პაპის მესვეურები მეტად შეურაცხყოფილნი იყვნენ იმით, რომ უბრალო ბერმა ასეთი

წინააღმდეგობა გაუწია მას, ვისი ძალისა და ძლიერების წინაშე მეფეები და დიდებულები ძრწოდნენ. მათ მძვინვარებას მხოლოდ ლუთერის მოწამებრივი სიკვდილი დააკმაყოფილებდა. ლუთერმა იცოდა მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, მაგრამ მშვიდად და ქრისტიანული ღირსებით ეჭირა თავი. მას ვერ შეამჩნევდით ვერც სიფიცხეს, ვერც სიამაყეს და ვერც სიცრუეს. მას საერთოდ დაავიწყდა საკუთარი თავი, გარსშემოხვეული წარჩინებული საზოგადოება და მხოლოდ მის (ქრისტეს) სიახლოვეს გრძნობდა, ვინც პაპებზე, პრელატებზე, მეფეებზე და იმპერატორებზე შეუდარებლად მაღლა იდგა. ლუთერის ბაგეებით თვით ქრისტე ლაპარაკობდა ისეთი

ძალითა და დიდებით, რომ
რეფორმაციის მტრებიცა და
მეგობრებიც უდიდესი მოწიწებითა
და პატივისცემით აღივსნენ მის
მიმართ. ღვთის უჩინარმა ხელმა
ზეგავლენა მოახდინა იმპერიის
დიდგვაროვან წარჩინებულებზე.
ზოგიერთმა მთავარმა თამამად
აღიარა ლუთერის მტკიცებათა
სამართლიანობა. ბევრმა იწამა
ჭეშმარიტება, ბევრნი კი, თავიდან
ლუთერის მოძღვრებით
გატაცებულნი, კვლავ თავიანთ
პირვანდელ თვალსაზრისს
დაუბრუნდნენ. იყვნენ ადამიანები,
რომელთაც ამ დროისათვის ვერ
მოესწროთ ჭეშმარიტებაში ღრმად
ჩახედვა, მაგრამ შემდგომში, წმიდა
წერილის შესწავლის შემდეგ, ისინი

რეფორმაციისათვის უშიშარი მებრძოლნი გახდნენ.

საქსონიის მმართველი ფრიდრიხი განსაკუთრებული მღელვარებით ელოდა ლუთერის სეიმზე გამოჩენას და დიდი გულისყურით უსმენდა მის სიტყვას. მან სიამაყითა და სიხარულით აღნიშნა თავისი ქვეშევრდომის სიმამაცე, თავშეკავება და სიმტკიცე და უფრო მეტად დარწმუნდა მისი დაცვის აუცილებლობაში. ამ ორი მოწინააღმდეგე მხარის ერთმანეთთან შედარებისას, ფრიდრიხი ხედავდა, რომ პაპების, პრელატებისა და იმპერატორების სიბრძნე არარაობაა ჭეშმარიტების ძალის წინაშე. პაპის მესვეურნი დამარცხდნენ და ამ დამარცხებას

საუკუნეთა მანძილზე შეიგრძნობს მსოფლიო.

როდესაც ლეგატმა დაინახა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ლუთერის გამოსვლამ მსმენელებზე, იგრძნო, რომ პაპის ძალაუფლებას საფუძველი შეერყა და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, დაემარცხებინა რეფორმატორი. მთელი თავისი მჭევრმეტყველებით, დიპლომატიური ხელოვნებით, რითაც იგი ცნობილი იყო, ლეგატმა ახალგაზრდა იმპერატორს დაუხატა მომავლის საშინელი საფრთხე; - რომის უძლიერესი ტახტის მფარველობისა და მეგობრობის დაკარგვა ვილაც უბრალო ბერის გამო.

მის სიტყვებს უკვალოდ არ ჩაუვლია. მეორე დღეს სეიმზე

ლუთერის გამოსვლის შემდეგ იმპერატორმა კარლოსმა სეიმს აცნობა თავისი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ იგი კვლავ განაგრძობს თავის წინაპართა პოლიტიკას და მხარს დაუჭერს და დაიცავს კათოლიკურ ეკლესიას. და რადგან ლუთერმა არ უარყო თავისი შეხედულებები, რეფორმატორისა და მის მიმდევართა მიმართ უმკაცრესი ზომები იქნებოდა მიღებული. "მარტოხელა, შეშლილმა ბერმა გაბედა და აღდგა ქრისტიანული რწმენის წინააღმდეგ. მე შევწირავ ჩემს სამფლობელოებს, ხაზინას, მეგობრებს, საკუთარ სიცოცხლესაც კი, მაგრამ ბოლოს მოვუღებ ამ უკეთურებას. გააძევეთ ეს ავგუსტინელი ბერი აქედან და აღარ

გაბედოს ხალხში შფოთის დათესვა. მე კი მტკიცე გადაწყვეტილებებს მივილებ ლუთერისა და მის ურჩ მიმდევართა წინაალმდეგ ბრძოლისათვის. მოვკვეთ მათ ეკლესიიდან, გავაძევებ საზოგადოებიდან, ვიბრძოლებ მათ წინაალმდეგ, ვიდრე ამ ერეტიკოსებს არ გავანადგურებ. მე სეიმის ყველა მონაწილეს მოვუწოდებ, გამოავლინოს თავისი ჭეშმარიტი ქრისტიანული ერთგულება." ამავე დროს იმპერატორმა ხაზგასმით ალნიშნა, რომ ლუთერისადმი გაცემული დაცვის სიგელი ხელშეუხებელია და მის წინაალმდეგ რაიმე ზომების მიღებამდე იგი უვნებლად უნდა დაბრუნდეს სახლში.

სეიმი ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ბანაკად გაიყო. პაპის დესპანები მოითხოვდნენ ლუთერის დაცვის სიგელის გაუქმებას. რეინმა უნდა მიიღოს "მისი ფერფლი, როგორც იან ჰუსის ფერფლი - ასი წლის წინათ", - ამბობდნენ ისინი. მაგრამ გერმანიის მთავრები, მიუხედავად იმისა, რომ პაპის ერთგული მომხრეები და ლუთერის მოძლვრების აშკარა მტრები იყვნენ, პროტესტს გამოთქვამდნენ ნდობის ასეთი უხეში დარღვევის გამო, რაც სამარცხვინო იყო მთელი ერისათვის. მათ გაიხსენეს ის სამწუხარო მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჰუსის სიკვდილის შემდეგ და განაცხადეს, რომ არ დაუშვებენ ისეთივე

საშინელებას გერმანიასა და მისი ახალგაზრდა იმპერატორის მიმართ.

თვითონ კარლოსმა ეს შეურაცხმყოფელი წინადადება უარყო და განაცხადა: "თუკი პატიოსნება და რწმენა გაძევებული იქნება მთელი ქვეყნიერებიდან, მათ თავშესაფარი მთავართა გულებში უნდა ჰპოვონ". ლუთერის დაუძინებელი მტრები განაგრძობდნენ იმპერატორის დაყოლიებას, რეფორმატორს მოქცეოდა სიგიზმუნდის მსგავსად, რომელმაც ჰუსი ეკლესიას გადასცა; მაგრამ კარლოსს მოაგონდა მომენტი, თუ სახალხოდ როგორ მიუთითა ჰუსმა სიგიზმუნდს თავის ბორკილებზე, მიცემულ პირობაზე და

განაცხადა: "მე არ მსურს სირცხვილი ვჭამო სიგიზმუნდის მსგავსად".

და მაინც კარლოს სრულიად V შეგნებულად უარყო ლუთერის მიერ წარმოთქმული ჭეშმარიტება. "მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი ვიარო წინაპართა გზით," - განაცხადა მან. კარლოსმა ჭეშმარიტებისა და სიმართლის გამოც კი არ უარყო წინაპართა ცრურწმენა. ისიც მზად იყო მხარი დაეჭირა პაპის ძალაუფლების სისასტიკისა და გახრწნილებისათვის, რადგან მისი მამები ასე იქცეოდნენ. ამგვარად, მან მტკიცედ დაიცვა თავის წინაპართა პოზიცია: - უარყო ჭეშმარიტების ნათელი.

ბევრი ადამიანი დღესაც ერთგულად იცავს წინაპართა ადათ-

წესებს. ისინი არ ღებულობენ უფლის გამოგზავნილ ახალ ნათელს მხოლოდ იმიტომ, რომ ასე იქცეოდნენ მათი მამა-პაპანი. მაგრამ ჩვენ, მათგან განსხვავებით, სრულიად სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ და სულ სხვა ვალდებულება გვაკისრია. უფალს არ მოსწონს, რომ მისი ჭეშმარიტი სიტყვის დამოუკიდებლად შესწავლის, ჩვენი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის ნაცვლად მამა-პაპების წესებს მივდიოთ. დღეს ჩვენ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვაკისრია, ვიდრე ჩვენს წინაპრებს. ვინაიდან ჩვენ ორივე გვაქვს: ოდესლაც მათ მიერ მიღებული ნათელიც და ღვთის სიტყვიდან წამოსული ნათელიც.

ქრისტემ ასე განაცხადა ურწმუნო იუდეველთა შესახებ: "მე რომ არ მოვსულიყავი და არ მეთქვა მათთვის, არ ექნებოდათ ცოდვა, ახლა კი არა აქვთ პატიება თავიანთი ცოდვებისათვის" (იოან. 15:22). ლუთერის ბაგეებით სწორედ ეს ღვთიური ძალა ლაპარაკობდა გერმანიის სეიმზე და როდესაც ღვთის სიტყვის ჭეშმარიტების ნათელმა მსმენელთა გულში შეალწია, ღვთის სული უკანასკნელად ევედრებოდა ყველას, მოქცეულიყვნენ. მსგავსად პილატესი, რომელსაც მრავალი საუკუნის წინათ სიამაყემ და განდიდების სურვილმა გული დაუხშო წუთისოფლის გამომსყიდველის წინაშე, მსგავსად შეშინებული ფელიქსისა, რომელიც

ჭეშმარიტების მაცნეს შეხვდა სიტყვებით: "ახლა წადი, და როცა მოვიცლი, დაგიძახებ"; მსგავსად მეფე აგრიპასი, რომელმაც ალიარა: "ცოტაც და, ქრისტიანად მაქცევ (საქ. 24:25;26;28)", და მაინც არ მიიღეს ზეცით გამოგზავნილი ნათელი, მოიქცა კარლოს V, როცა უარყო ჭეშმარიტება მიწიერი დიდების გამო.

ცნობამ იმის შესახებ, რომ ლუთერს საფრთხე დაემუქრა, მთელი ქალაქი ააღელვა. რეფორმატორს ბევრი მეგობარი ჰყავდა, რომლებმაც კარგად იცოდნენ რომის ვერაგობა და სისასტიკე მათ მიმართ, ვინც მათი მანკიერების მხილებას გაბედავდა და ამიტომ გადაწყვიტეს, ეხსნათ იგი. ასობით დიდგვაროვანმა ფიცი დადო ლუთერის დასაცავად. ბევრმა

საჯაროდ განაცხადა, რომ იმპერატორი - რომის ყურმოჭრილი ყმაა. საკუთარი სახლებისა და საზოგადო შენობების ჭიშკრებზე გაჩნდა პლაკატები: ერთნი იცავდნენ ლუთერს, მეორენი კი კიცხავდნენ მას. აქა-იქ მოჩანდა პლაკატები სოლომონ ბრძენის უბრალო, მაგრამ მრავლისმთქმელი სიტყვებით: "ვაი, შენდა, ქვეყანავ, ბავშვი რომ გიზის მეფედ" (ეკლ. 10:16). ლუთერისადმი თანაგრძნობის მღელვარებამ მთელი გერმანია მოიცვა და ყველაფერმა ამან დაარწმუნა იმპერატორიც და სეიმიც, რომ რეფორმატორის მიმართ სულ მცირე უსამართლობის გამოჩენაც კი საფრთხეს შეუქმნიდა არა მხოლოდ მშვიდობას იმპერიაში, არამედ იმპერატორის ტახტსაც.

საქსონიის მმართველი ფრიდრიხი დიდ სიფრთხილეს იჩენდა თავის დამოკიდებულებაში რეფორმატორის მიმართ. იგი გულმოდგინედ მალავდა თავის ჭეშმარიტ ურთიერთობას რეფორმატორთან და ამავე დროს, ფხიზლად დარაჯობდა, იცავდა და თვალყურს ადევნებდა არა მარტო მას, არამედ მის მტრებსაც. მოიძებნენ სხვა ადამიანებიც, რომელნიც სულაც არ მალავდნენ თავიანთ კეთილგანწყობას ლუთერისადმი. მის სანახავად მოდიოდნენ თავადები, გრაფები, ბარონები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. "პროფესორის პატარა ოთახი, - წერდა სპალატინი, - ვერ იტევდა ყველა მომსვლელს." ხალხს იგი ზეკაცად მიაჩნდა. ისინიც კი, ვისაც მისი მოძღვრების არ

სწამდა, აღტაცებული იყვნენ მისი ღვთისმოსაობით და კეთილშობილებით, რომელიც რეფორმატორს შთააგონებდა, უმალ სიკვდილი აერჩია, ვიდრე საკუთარი სინდისის წინააღმდეგ წასულიყო.

ლუთერს დაჟინებით ურჩევდნენ რომთან კომპრომისზე წასვლას. დიდებულები არწმუნებდნენ, რომ სეიმისა და ეკლესიის წინააღმდეგობისათვის მას ქვეყნიდან გააძევებენ და დაცვის გარეშე დარჩება. ამაზე ლუთერმა უპასუხა: "ქრისტეს სახარების ქადაგება შეუძლებელია ბრძოლის გარეშე... რატომ უნდა დამაშოროს შიშმა უფალს და მის ღვთიურ სიტყვას, რომელიც ერთადერთ ჭეშმარიტებას

წარმოადგენს? არა, ამას სიკვდილი მირჩევნია!"

და კვლავ შეეცადნენ მის დარწმუნებას იმაში, რომ თუკი იგი იმპერატორს დაემორჩილება, გათავისუფლდება ყოველგვარი ხიფათისაგან. "მე თანახმა ვარ, - უპასუხა ლუთერმა, - რომ ყველამ, დაწყებული იმპერატორიდან და დამთავრებული უბრალო ქრისტიანით, - წაიკითხოს და გააკრიტიკოს ჩემი ნაშრომები, მხოლოდ ერთი პირობით: ეს გააკეთონ ღვთის სიტყვასთან მიმართებაში. ადამიანებს სხვა ალარაფერი დარჩენიათ, თუ არა წმიდა წერილისადმი მორჩილება. მე სრულიად ერთგული ვარ მისი და ამიტომ, ზედმეტია თქვენი

ძალისხმევა ჩემს სინდისზე ზემოქმედებისა."

უფრო მოგვიანებით ერთ-ერთი ამგვარი საუბრისას მან თქვა: "მე უარს ვამბობ დაცვის სიგელზე და ჩემს სიცოცხლეს ვაბარებ იმპერატორს, მაგრამ ღვთის სიტყვას არასოდეს უარვყოფ!" ლუთერმა სეიმის გადაწყვეტილებათა მორჩილების მზადყოფნა გამოთქვა იმ პირობით, თუკი ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნებოდა წმიდა წერილის შესაბამისად. "რაც შეეხება ღვთის სიტყვას და რწმენას, - ამბობდა იგი, - ყველა მორწმუნეს თანასწორად შეუძლია ამის შესახებ მსჯელობა, პაპი იქნება იგი, მისი მრავალრიცხოვანი მსოფლიო კრება

თუ უბრალო ქრისტიანი." და მალე ყველა, მტერიც და მოყვარეც დარწმუნდა, რომ რომსა და ლუთერს შორის შერიგებაზე საუბარი ამაოა.

ლუთერს ერთი პუნქტიც კი რომ დაეთმო, სატანა და მისი მხედრობა გამარჯვებას იზეიმებდნენ, მაგრამ ამ ბერის ურყევი სიმტკიცე საფუძვლად დაედო ეკლესიის თავისუფლებას და დასაბამი მისცა ახალ, უკეთეს ხანას. ასეთი ადამიანის ზეგავლენას, რომელმაც გაბედა დამოუკიდებლად აზროვნება და მოქმედება ისეთ სფეროში, როგორიც რელიგიაა, არ შეიძლებოდა ზემოქმედება არ მოეხდინა როგორც ეკლესიაზე, ასევე საერთოდ, მსოფლიოზე არა მარტო იმ პერიოდში, არამედ მომავალ საუკუნეებშიც. ლუთერის სიმტკიცე

და ერთგულება დაეხმარება ყველას, ვინც ამ სიტუაციაში აღმოჩნდება, დედამიწის ისტორიის დასასრულამდე. უფლის დიდება და ძალა ყოველგვარ ადამიანურ გადაწყვეტილებებზე და სატანის ძლიერებაზე მაღლა დგას.

მალე იმპერატორის ბრძანებით ლუთერმა დატოვა ქალაქი და სახლისაკენ გაუდგა გზას. მან კარგად იცოდა, რომ ამის შემდეგ განაჩენი გამოცხადდებოდა. მის თავზე შავბნელი ღრუბლები ჩამოწვა, მაგრამ იგი მაინც გამარჯვების სიხარულით ტოვებდა ვორმსს. "თვით სატანა იცავდა პაპის ციხე-სიმაგრეს, - ამბობდა იგი, - მაგრამ ქრისტემ გაარღვია მისი კედელი და სატანა იძულებული გახდა

ელიარებინა, რომ უფალი მასზე ძლიერია".

ვორმსის დატოვების შემდეგ ლუთერმა, რომელსაც არ სურდა მისი სიმტკიცე მტრებს არასწორად გამოეყენებინათ, იმპერატორს მისწერა: "მოწმეა ღმერთი, რომელმაც ყველას გული იცის, რომ მე მზადა ვარ, პატივში თუ სირცხვილში მყოფი, მკვდარი თუ ცოცხალი, დავემორჩილო თქვენს უდიდებულესობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია ღვთის სიტყვის უარყოფა, რომლითაც ცოცხლობს ადამიანი. ჩემი ამქვეყნიური ცხოვრებით მე მუდამ თქვენი ერთგული ვიქნები, რადგან ხსნა არ არის დამოკიდებული იმაზე, ვიგებთ თუ ვაგებთ. მაგრამ როდესაც

საქმე მარადიულობას ეხება, უფალს არ სურს, რომ ერთი ადამიანი დაემორჩილოს მეორეს. რადგან ასეთი მორჩილება სულიერების საკითხში ნიშნავს ნამდვილ თაყვანისცემას, თაყვანი კი მხოლოდ შემოქმედს უნდა ვცეთ".

ვორმსიდან უკან დაბრუნებისას გზებზე ლუთერს უფრო მეტი სიყვარულითა და სიხარულით ხვდებოდნენ. უმაღლესი სასულიერო პირები სიხარულით ესალმებოდნენ ეკლესიისაგან მოკვეთილ ბერს, საერო ხელისუფლება კი დიდი პატივით ღებულობდა იმპერატორის მიერ მსჯავრდებულს. მას სთხოვდნენ სიტყვის წარმოთქმას და ისიც, იმპერატორის აკრძალვის მიუხედავად, ადიოდა კათედრაზე.

"მე არასოდეს არავისთვის მიმიცია ალთქმა იმისა, რომ ბორკილებს დავადებ ღვთის სიტყვას, - ამბობდა იგი, - და არც გავაკეთებ ამას".

როგორც კი ლუთერმა ვორმსი დატოვა, პაპის მესვეურებმა იმპერატორი აიძულეს, მის წინააღმდეგ ბრძანებულება გამოეცა. ამ დადგენილებაში ლუთერი მოხსენიებული იყო, როგორც "სატანა ადამიანის სახით, რომელიც ბერის სამოსელშია გახვეული". ბრძანებულებაში ნათქვამი იყო, რომ დაცვის სიგელის ვადის გასვლისთანავე უნდა მიელოთ გადამწყვეტი ზომები მისი მოღვაწეობის აღსაკვეთად. ახლა უკვე არავის ჰქონდა მისთვის მასპინძლობის გაწევის, პურისა და

წყლის მიწოდების, თანაგრძნობისა
და დახმარების უფლება არც
სიტყვით, არც საქმით.
ადგილსამყოფელის მიუხედავად,
ყველგან შეეძლოთ მისი დაპატიმრება
და ხელისუფლებისათვის გადაცემა.
ბრძანების მიხედვით მისი
მიმდევრებიც უნდა
დაეპატიმრებინათ პირადი ქონების
კონფისკაციით; მისი ნაშრომები
უნდა დაეწვათ და ყველას, ვინც ამ
დეკრეტის დარღვევას გაბედავდა,
ასეთივე სასჯელი ელოდა. საქსონიის
მმართველმა და ლუთერისადმი
კეთილგანწყობილმა
დიდგვაროვნებმა რეფორმატორის
ქალაქიდან გასვლის შემდეგ სულ
მალე, თავადაც დატოვეს იგი და
სეიმმაც მაშინვე დაამტკიცა

იმპერატორის ბრძანებულება. რომის მესვეურები ზეიმობდნენ. ახლა, მათი აზრით, რეფორმაციის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

მაგრამ უფალმა გადაარჩინა თავისი მსახური ხიფათისაგან. უზენაესი ყურადღებით ადევნებდა თვალს ყოველ მის მოძრაობას, ხოლო მის კეთილშობილურ გულში თავისი ერთგული მსახურის გადარჩენის გეგმა მწიფდებოდა. უკვე აშკარა იყო, რომ რომს მხოლოდ ლუთერის სიკვდილი დააკმაყოფილებდა. მისი სიცოცხლის შენარჩუნება მხოლოდ საიდუმლო თავშესაფარს შეეძლო. უფალმა სიბრძნე უბოძა ფრიდრიხ საქსონელს ლუთერის გადარჩენის გეგმის მოსაფიქრებლად. საიმედო ადამიანთა მეშვეობით მისი

ჩანაფიქრი სისრულეში იქნა მოყვანილი. უკან დაბრუნებულ ლუთერს სახლისაკენ მიმავალ გზაზე უცბად თავს დაესხნენ, მოიტაცეს და სასწრაფოდ, ტყის ბილიკებით, ვარტბურგის ციხე-სიმაგრეში - მთებში განცალკევებულად მდგარ კოშკში მიიყვანეს. ლუთერის მოტაცება ისეთი დიდი საიდუმლოებით იყო მოცული, რომ თვით ფრიდრიხმაც დიდხანს არაფერი იცოდა მისი ადგილსამყოფელის შესახებ. მას მომხდარის თაობაზე განგებ არაფერს ეუბნებოდნენ ერთი უბრალო სიბრძნის გამო: საიდუმლოს შენახვა მისთვისაა ადვილი, ვინც არაფერი იცის. ფრიდრიხისათვის საკმარისი

იყო იმის გაგება, რომ ლუთერს არავითარი საფრთხე არ ელის.

ერთმანეთს ენაცვლებოდა გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი, ლუთერი კი კვლავინდებურად ტყვეობაში იმყოფებოდა. ალეანდრე და მისი მესვეურნი ზეიმობდნენ იმ იმედით, რომ სახარების ნათელი სულ მალე ჩაქრებოდა. მაგრამ, მათი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, რეფორმატორი თავის ლამპარს "ზეთით" ავსებდა ჭეშმარიტების საგანძურიდან, რომლის ალიც მალე უნდა აგიზგიზებულიყო.

ლუთერმა მღელვარე და სასტიკი ბრძოლის შემდეგ, ვარტბურგის ციხე-კოშკში მცირე ხნით დაისვენა. მაგრამ ამ მშვიდი და წყნარი ცხოვრებით

დიდხანს ტკბობა არ შეეძლო. აქტიურ ცხოვრებასა და ბრძოლას მიჩვეული ლუთერისათვის მეტად ძნელი იყო ეს იძულებითი უმოქმედობა. მარტოობაშიც არასოდეს შეუწყვეტია ფიქრი ეკლესიის მდგომარეობაზე და სასოწარკვეთილებით ამბობდა; "უფლის რისხვის ამ უკანასკნელ დღეებში არ არის ადამიანი, რომელიც კედელივით დადგებოდა უფლის წინაშე ისრაელის გადასარჩენად!" ხშირად ლუთერს ეჩვენებოდა, რომ ბრძოლის ველის მიტოვებისათვის შესაძლოა სიმხდალე დაებრალებინათ. თავის თავს უსაქმურობაში და გულგრილობაში ადანაშაულებდა და ამავე დროს, ყოველდღიურად აკეთებდა იმაზე მეტს, რაც ადამიანის ძალ-ღონეს

ალემატება. მის კალამს მელანი არ შეშრობია. ლუთერის მოწინაალმდეგენი, რომელნიც თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ სამუდამოდ დაადუმეს რეფორმატორი, საოცრად განცვიფრდნენ, როდესაც მათ ხელში ალმოჩნდა თვალსაჩინო მტკიცებანი ლუთერის შემდგომი მოღვაწეობის შესახებ. მთელ გერმანიაში გავრცელდა მის მიერ დაწერილი ტრაქტატები. შეუფასებელია ლუთერის დამსახურება თანამემამულეთა წინაშე - მან პირველმა თარგმნა ახალი აღთქმა გერმანულ ენაზე. თავისი "მთაგორიანი პატმოსიდან" იგი მთელი წლის განმავლობაში განაგრძობდა სახარების ქადაგებას

და თავის თანამედროვეებს ცოდვებზე, შეცდომებზე და მონანიებაზე მიუთითებდა.

უფალმა თავისი მორჩილი მსახური საზოგადოებრივ ცხოვრებას მოაშორა არა მხოლოდ მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ან სხვა, ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი საქმის შესასრულებლად; არა, უფალს უფრო შორეული და ამაღლებული მიზნები ჰქონდა. სიმშვიდესა და სიმარტოვეში ლუთერი დაცული იყო თავისი ავტორიტეტის ამქვეყნიური, ფარისევლური ალიარებისაგან. იგი გათავისუფლდა სიამაყისა და თვითრწმენისაგან, რაც ხშირად წარმატებას მოაქვს. ტანჯვამ და მორჩილებამ კვლავ მოამზადა უშიშარი მოგზაურობისათვის იმ

თავბრუდამხვევ სიმაღლეებზე, სადაც იგი ასე უცბად იქნა ატაცებული.

როდესაც ადამიანები ჭეშმარიტების მიერ ბოძებული თავისუფლებით ხარობენ, ისინი ადიდებენ მას, ვისი ხელითაც უფალმა გაწყვიტა შეცდომებისა და სიცრუის ჯაჭვი. სატანა ცდილობს ადამიანის ფიქრი და გრძნობები შეაჩეროს არა ღმერთზე, არამედ იმაზე, ვისაც დავალებული ჰქონდა ადამიანის გათავისუფლება. მისი შთაგონებით ადამიანი იწყებს იარაღის განდიდებას და ველარ ხედავს ხელს, რომელიც ყველა მოვლენას მართავს. ხშირად რელიგიური ხელმძღვანელები, ქებითა და თაყვანისცემით განდიდებულნი, ველარ გრძნობენ თავიანთ

დამოკიდებულებას უფალზე და თვითდაჯერებული ხდებიან. და მაშინ ისინი ცდილობენ, ადამიანებს შთაუნერგონ უფრო მეტი ნდობა არა ღვთის სიტყვის, არამედ - მათ მიმართ. ეკლესიაში ამ სულის შენარჩუნების გამო რეფორმაცია წელში წყდებოდა. უფალს სურდა რეფორმაციის დაცვა ამგვარი საშიშროებისაგან, სურდა, რომ ამ მოძრაობას უფლის ბეჭედი ჰქონოდა დასმული და არა ადამიანისა. ხალხი ლუთერში ჭეშმარიტების განმმარტებელსა და მქადაგებელს ხედავდა და უფალმა გადამალა იგი, რათა ადამიანს ჭეშმარიტების ნამდვილი და მარადიული ავტორი დაენახა.

თავი 9 ჭეშმარიტების სინათლის სხივი შვეიცარიაში /ცვინგლი და რეფორმაცია შვეიცარიაში/

რეფორმაციის ეკლესიებისათვის მქადაგებელთა არჩევისას უფალი იმავე გეგმით ხელმძღვანელობდა, რომლითაც მან პირველი ეკლესია

დააარსა. ზეციურმა მოძღვარმა გვერდი აუარა ამა სოფლის ძლიერთ, დიდგვაროვნებსა და მდიდრებს, რომელნიც პატივსა და მლიქვნელობას იყვნენ მიჩვეული. ისინი იმდენად ამაყობდნენ თავიანთი უპირატესობით, რომ ვერასოდეს ჩასწვდებოდნენ უბრალო ხალხის გაჭირვებას და ვერასოდეს გახდებოდნენ მოკრძალებული ნაზარეველის თანამშრომელნი. სიტყვები: "მომყევით მე და ადამიანთა მებადურებად გაქცევთ" (მათ. 4:19), უსწავლელ გალილეველ მეთევზეთა მიმართ იყო თქმული. ისინი, უბრალო და ცნობისმოყვარე ადამიანები, რაც უფრო ნაკლებად იყვნენ ჩათრეული იმ პერიოდის ცრუსწავლებათა მორევში, მით უფრო

წარმატებით შეეძლო ქრისტეს მათი მომზადება ღვთისმსახურებისათვის. ასე იყო დიდი რეფორმაციის დღეებშიც, მის სათავეში იდგნენ პატიოსანი, საეკლესიო ინტრიგებისა და ფანატიზმის, ამპარტავნობისა და პატივმოყვარეობისაგან თავისუფალი ადამიანები. უფლის გეგმა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ უბრალო ადამიანები დიდი საქმეებისთვის გამოიყენოს. ამ შემთხვევაში დიდება და წარმატება ადამიანს კი არ მიეწერება, არამედ მას, ვინც მოქმედებს ამ ადამიანების მეშვეობით, რათა აღძრას "სურვილიც და მოქმედებაც თავისი ნებისამებრ".

საქსონელი მეშახტის სახლში ლუთერის დაბადებიდან სულ რამდენიმე კვირის შემდეგ, შორეულ

ალპებში, მწყემსის ოჯახში დაიბადა ულრიხ ცვინგლი. გარემო, რომელშიც ცვინგლი იზრდებოდა, დიდად უწყობდა ხელს მის მომზადებას მომავალი მოღვაწეობისათვის. დიდებულ, მშვენიერ ბუნებაში ალზრდილი, ბავშვობიდანვე განიმსჭვალა უფლის ძლიერებისა და დიდებულების შეგრძნებით. თქმულებანი მშობლიურ მთებში მამაცი ადამიანების ოდესლაც ჩადენილ გმირობებზე უფრო ალაგზნებდნენ მის ნორჩ წარმოდგენებს. ღვთისმოშიში დედა მას ბიბლიურ ისტორიებს უყვებოდა, რომელთაც გულმოდგინებით არჩევდა საეკლესიო გადმოცემებსა და ლეგენდებს შორის. ცოცხალი ინტერესით უსმენდა იგი პატრიარქთა

და წინასწარმეტყველთა გმირობის ამბებს, პალესტინელი მწყემსების თავგადასავალს, რომელთაც ანგელოზებმა ბეთლემში ქრისტეს დაბადება აცხარეს და ამბავს გოლგოთაზე ჯვარცმის შესახებ.

ცვინგლის მამას, ლუთერის მამის მსგავსად, ძალიან უნდოდა, რომ მის შვილს განათლება მიელო. პატარა ცვინგლი ადრეული ასაკიდანვე იძულებული გახდა მშობლიური მთები და მდელოები მიეტოვებინა. მისი გონება ძალიან სწრაფად ვითარდებოდა და მალე ოჯახში მისთვის სერიოზული განათლების მიცემის საკითხი დადგა. 13 წლის ცვინგლი გაამგზავრეს ბერნში, შვეიცარიის ერთ-ერთ საუკეთესო სკოლაში, მაგრამ იქ მას ხიფათი

ელოდა, რომელმაც კინალამ დალუპა მთელი მისი ცხოვრება. იქაური ბერები მთელი ძალით ცდილობდნენ ცვინგლზე ზემოქმედებას, რათა ის ბერად აღკვეცილიყო მონასტერში. დომინიკანელ და ფრანცისკანელ ბერთა საძმოები ერთმანეთის ჯიბრით ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ხალხი გადაებირებინათ თავიანთ მხარეზე. ამ მიზანს ემსახურებოდა მდიდარი ტაძრები, საზეიმო ცერემონიები, საყოველთაოდ ცნობილი წმიდა ნაწილთა თაყვანისცემა და სასწაულთმოქმედი ხატები.

ბერნის დომინიკანელებს კარგად ესმოდათ, რომ თუკი ისინი შეძლებდნენ ამ ნიჭიერი, ახალგაზრდა სტუდენტის თავიანთ

მხარეზე გადმობირებას, დიდებაც და სიმდიდრეც მათი იქნებოდა. ახალგაზრდული ენერგია, ორატორული ნიჭი, ლიტერატურული, მუსიკალური და პოეტური ტალანტი უფრო მეტ პოპულარობას და სიმდიდრეს მოუტანდა ორდენს, ვიდრე მოჩვენებითი საზეიმო ცერემონიალი. ეშმაკობითა და მლიქვნელობით ცდილობდნენ ბერები ცვინგლის ცდუნებას. სტუდენტობის წლებში ლუთერმა მონასტრის სენაკში დაასამარა თავისი ახალგაზრდობა და სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა ქვეყნიერებისათვის, უფალი რომ არ ჩარეულიყო მის ცხოვრებაში. ცვინგლი არ უნდა შემდგარიყო ამ სახიფათო გზაზე. მალე ბერთა

განზრახვა ცნობილი გახდა ცვინგლის მამისათვის, რომელსაც სრულებითაც არ სურდა, მის შვილს ბერების უსაქმური და უსარგებლო ცხოვრებით ეცხოვრა. და როდესაც იგრძნო, რომ მისი შვილის მომავალს საშიშროება დაემუქრა, სასწრაფოდ სახლში დაბრუნება უბრძანა.

ცვინგლი მამას დაემორჩილა, მაგრამ მშობლიურ სოფელში დარჩენა უკვე აღარ შეეძლო და სწავლა ბაზელში გააგრძელა. იქ მან პირველად მოისმინა ქრისტეს სახარება უფლის მადლის შესახებ. მისი ანტიკური ენების მასწავლებელი ვიტემბახი ბერძნული და ებრაული ენების შესწავლისას გაეცნო წმიდა წერილს, შემდეგ კი სტუდენტთა შორის გაავრცელა მისი

ჭეშმარიტების ნათელი. იგი ახალგაზრდებს ასწავლიდა, რომ ჭეშმარიტება უფრო ძველია და ამაღლებული, ვიდრე ფილოსოფოსთა და ღვთისმეტყველთა მოძღვრებანი. ამ უძველესი ჭეშმარიტების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ქრისტეს სიკვდილით შეიძლება ცოდვების გამოსყიდვა. ეს სიტყვები ცვინგლისათვის სინათლის პირველი სხივი იყო, რომელიც წინ უძღოდა განთიადს.

მალე ცვინგლიმ მიატოვა ბაზელი და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება განიზრახა. მისი პირველი სამოღვაწეო ასპარეზი გახდა ეკლესია ალპებში, მის მშობლიურ სოფელთან ახლოს. "მან სრულად მიუძღვნა

თავისი ცხოვრება ღვთიური ჭეშმარიტების გამოკვლევას, რადგან, ერთი მისი თანამედროვის თქმით, კარგად ესმოდა, თუ რა დიდი ცოდნა უნდა ჰქონდეს იმ ადამიანს, ვისაც სამწყემსად ქრისტეს ფარა ჰყავს ჩაბარებული". რაც უფრო ღრმად სწავლობდა წმიდა წერილს ცვინგლი, მით უფრო ნათლად ხედავდა განსხვავებას ბიბლიურ ჭეშმარიტებასა და რომის რელიგიას შორის. და მან თავისი ცხოვრების ხელმძღვანელად გაიხადა ბიბლია - ღვთის სიტყვა, როგორც ერთადერთი სწორი და საიმედო ჭეშმარიტება. იგი ხედავდა, რომ ეს წიგნი თვითონვე იძლეოდა თავის თავზე განმარტებას; იგი ვერ ბედავდა ადრე ჩამოყალიბებული დოქტრინების

მტკიცებათა ძებნას წერილში, არამედ თავის მოვალეობად მიაჩნდა, ყურადღება გაემახვილებინა გასაგებ, ნათელ ჭეშმარიტებებზე. იგი ყველა ლონეს ხმარობდა თავისი ცოდნის გასალრმავებლად, რათა სრული და სწორი წარმოდგენა ჰქონოდა ბიბლიურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობაზე და სთხოვდა რა სულიწმიდას დახმარებას, ამბობდა, რომ ეს ძალა მიეცემა ყველას, ვინც გულწრფელი ლოცვით ითხოვს მას.

"წმიდა წერილი, - ამბობდა ცვინგლი, - მოგვცა უფალმა და არა ადამიანმა და ის, სინათლის წყარო, თავად დაგვეხმარება ყოველი სიტყვის გაგებაში, რომელიც მისგან მოდის. ღვთის სიტყვა... არ დარჩება გაუგებარი, იგი გაეხსნება ადამიანებს

და განწმედს სულს გადარჩენის სრული მადლით, დაამშვიდებს მას უფალში და ისე დაიმორჩილებს, რომ ადამიანი უარყოფს თავის მე-ს და სრულად მიენდობა უფალს." ცვინგლის ცხოვრებამ დაადასტურა ამ სიტყვების ჭეშმარიტება. შემდგომში, თავისი განცდების გახსენებისას, იგი წერდა: "როდესაც წმიდა წერილს სრულად მივენდე, ჩემში აჯანყდა ადრე შესწავლილი ფილოსოფია და სქოლასტიკა. ბოლოს ჩემს თავს ვუთხარი: "შენ თავად უნდა მიატოვო ეს ცრურწმენა, გაჰყვე უფლის კვალს და იხელმძღვანელო მხოლოდ მისი სიტყვით." და მე ვთხოვდი ღმერთს ჩემთვის თავისი სინათლე გამოეგზავნა, რის შემდეგაც ძლიერ

გამიადვილდა წმიდა წერილის შეცნობა."

თავისი მოძღვრება ცვინგლის ლუთერისაგან არ უსესხია. ეს იყო ქრისტეს მოძღვრება. "თუკი ლუთერი ქადაგებს ქრისტეს შესახებ, - ამბობდა შვეიცარიელი რეფორმატორი, - ის იგივეს აკეთებს, რასაც მე. მან ქრისტესთან გაცილებით მეტი ადამიანი მოიყვანა, ვიდრე მე, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე არ მსურს სხვა სახელი ვატარო, გარდა ქრისტესი. მე მისი მეომარი ვარ, ის კი - ჩემი ერთადერთი მასწავლებელი. მე და ლუთერი არასოდეს შევხვედრივართ და სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისათვის. ეს არის ღვთის ერთიანი სულის გამოვლინება. ჩვენ

ორნი ვართ და, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე ერთსულოვნად ვქადაგებთ ქრისტეს მოძღვრებას."

1516 წელს ცვინგლი ეინზიდელნის მონასტერში მღვდლის თანამდებობაზე მიიწვიეს. სწორედ იქ შეეჯახა იგი რომის უკანონობას და გახდა რეფორმატორი, რომლის სახელიც მშობლიურ ალპებს გასცდა. ეინზიდელნის წმიდანთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მარიამ ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, სასწაულთმოქმედი ძალა ჰქონდა. მონასტრის კარიბჭეზე შეიძლებოდა წაგეკითხათ: "აქ ყოველი ადამიანი პოულობს ცოდვების სრულ მიტევებას." არ წყდებოდა

მლოცველთა ნაკადი, რომლებიც ქალწულ მარიამის თაყვანსაცემად ჩამოდიოდნენ, მაგრამ, განწმედის ყოველწლიურ დღესასწაულზე აქ ადამიანები არა მარტო შვეიცარიის ყოველი კუთხიდან, არამედ საფრანგეთიდან და გერმანიიდანაც მოდიოდნენ. ყოველივე ამით ღრმად შეწუხებული ცვინგლი ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას და ამ ცრუმორწმუნე ბრმა მონებს განუმარტავდა, თუ როგორ თავისუფლებას იძლევა სახარება.

"ნუ გგონიათ, რომ ღმერთი მხოლოდ ამ ტაძარშია და სხვაგან - არსად. სადაც არ უნდა იყოთ, ღმერთი ყოველთვის თქვენთანაა და ესმის თქვენი... შეუძლია თუ არა უაზრო საქმეებს, მლოცველთა ხანგრძლივ

მოგზაურობას, მსხვერპლშეწირვას, გამოსახულებებს, ქალწულ მარიამის ხატის წინ ლოცვას ან სხვა წმიდანთა თაყვანისცემას, გამოითხოვოს თქვენთვის უფლის წყალობა?.. რა სარგებლობა მოაქვს სიტყვათა სიმრავლეს ჩვენი ლოცვების დროს? რისთვისაა საჭირო მდიდრული სამოსელი, აკურატულად შეკრეჭილი თმა, გრძელი ქობა და ოქროთი მოვარაყებული ფეხსაცმელები?.. უფალს მხოლოდ ჩვენი გული სჭირდება, ის კი შორსაა მისგან". "ჯვარცმული ქრისტე, - ამბობდა იგი, - ყველა საუკუნის მორწმუნეთა ცოდვების გამომსყიდველი მსხვერპლია."

ბევრს არ მოეწონა მისი სიტყვები. მეტად არასასიამოვნო იყო იმის

მოსმენა, რომ მათი ხანგრძლივი სამლოცველო მოგზაურობა - უაზრობაა. ქრისტეს მსხვერპლით შემოთავაზებული მიტევების ჭეშმარიტება მათთვის გაუგებარი იყო. რომის მიერ ზეციური სასუფევლისაკენ ნაჩვენები გზა მათთვის სრულიად ხელსაყრელი იყო, ხოლო სხვა რამ უკეთესის ძებნასთან დაკავშირებული სიძნელეები კი აშინებდათ. მათთვის უფრო ადვილი იყო გადარჩენის საზრუნავი მღვდლებისათვის ან პაპისათვის მიენდოთ, ვიდრე თავად გარჯილიყვნენ გულის განწმედისათვის.

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სიხარულით მიიღეს იესო ქრისტეს მსხვერპლის მეშვეობით

ცოდვების გამოსყიდვის სახარება. რომის ეკლესიის ცერემონიები მათ გულს სასურველ სიმშვიდეს არ აძლევდა, ახლა კი ადამიანებმა რწმენით მიიღეს მათი ცოდვების გამომსყიდველი ქრისტეს სისხლი. დაბრუნებისას ისინი სხვებსაც უზიარებდნენ მიღებულ ძვირფას ნათელს. ამგვარად, ჭეშმარიტება ვრცელდებოდა სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, მარიამ ღვთისმშობლის ტაძარში კი მლოცველთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო. პარალელურად, რასაკვირველია, შემცირდა შესაწირავებიც და თვით ცვინგლის შემოსავალიც. მაგრამ ეს მხოლოდ ახარებდა მას, რადგან ეს იმის ნიშანი

იყო, რომ ფანატიზმსა და ცრურწმენას საფუძველი შეერყა.

ეკლესიის ხელმძღვანელობა ხედავდა ცვინგლის ამ მოღვაწეობას, მაგრამ ჩარევისაგან ჯერჯერობით თავს იკავებდა. ისინი არ კარგავდნენ იმედს, რომ ბოლოს და ბოლოს, იგი მათ მხარეზე გადავიდოდა და მის მოსყიდვას ფარისევლობითა და მლიქვნელობით ცდილობდნენ. ამასობაში ჭეშმარიტება სულ უფრო მეტად იპყრობდა ადამიანთა გულებს.

ეინზიდელნში მსახურებამ ცვინგლი უფრო ფართო მოღვაწეობისათვის მოამზადა, რომელიც მას სულ მალე უნდა დაეწყო. ეინზიდელნში სამი წლის მსახურების შემდეგ ცვინგლის შესთავაზეს მსახურება ციურიხის

საკათედრო ტაძარში. ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი იყო შვეიცარიის კონფედერაციაში და ცვინგლის მოძღვრება სწორედ აქედან უნდა გავრცელებულიყო შორს, შვეიცარიის საზღვრებს გარეთ. მაგრამ ის პირები, რომლებმაც ცვინგლი ციურიხში მიიწვიეს, ერიდებოდნენ ყოველგვარ სიახლეს და შესაბამისად, მას კონკრეტულ მოვალეობაზე მიუთითეს.

"შენ არაფერს არ უნდა მოერიდო იმისათვის, რომ ტაძრის შემოსავალი გაიზარდოს, რასაც ხელი უნდა შეუწყო. კათედრიდან ქადაგებისას ან ალსარების მიღების დროს მორწმუნეები უნდა დაარწმუნო მეათედისა და შესაწირავების დროზე შემოტანის აუცილებლობაში, რათა

ამით ეკლესიის მიმართ თავიანთი სიყვარული დაამტკიცონ. შენ ვალდებული ხარ და უნდა ეცადო კიდეც შემოსავლის გაზრდას ავადმყოფთა შესაწირავების, წირვისა და ყოველგვარი საეკლესიო რიტუალის ხარჯზე. რაც შეეხება ზიარებას, ქადაგებასა და სამწყსოზე ზრუნვას, - ესეც მღვდლის მოვალეობაში შედის, მაგრამ შენ შეგიძლია ეს სხვას დაავალო, განსაკუთრებით კი - ქადაგება. ზიარება მხოლოდ წარჩინებულთათვის უნდა აღესრულოს, ისიც მაშინ, როდესაც ამისათვის მიგიწვევენ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა აზიარო განურჩევლად ყველა.

ცვინგლიმ უსიტყვოდ მოისმინა ეს რჩევა-დარიგება და მადლობა გადაუხადა ასეთი დიდი პატივისათვის - ამ მეტად მნიშვნელოვან ტაძარში მისი მოწვევის გამო; შემდეგ კი თავისი თვალსაზრისი და მომავალი მსახურების გეგმა გააცნო მათ. "ქრისტეს სიცოცხლე, - თქვა მან, - უკვე დიდი ხანია დაფარულია ხალხისაგან. მე ქადაგებას დავიწყებ მათეს სახარებით... და ვიხელმძღვანელებ მხოლოდ წმიდა წერილით, შევადარებ სხვადასხვა ადგილებს ერთმანეთს და ამით გავალრმავებ ხალხის შემეცნებას. და მუდმივი, გულწრფელი ლოცვებით შევთხოვ უფალს, მომცეს გონება და ძალა ამისათვის. მე მხოლოდ უფლის

დიდებისათვის, მისი მხოლოდშობილი ძის ამაღლებისათვის, სულთა ჭეშმარიტი გადარჩენისათვის და ხალხში ჭეშმარიტი რწმენის ალმშენებლობისათვის ვიმსახურებ." ზოგიერთ მღვდელს არ მოეწონა ცვინგლის ჩანაფიქრი და შეეცადა კიდეც მის შეხედულებათა შეცვლას, მაგრამ ცვინგლი ურყევი აღმოჩნდა. მან არ მიიღო საყვედურები მისი ახლებურად მსახურების მისამართით და განაცხადა, რომ იგი იყენებს იმ მეთოდებს, რომლებითაც ეკლესია ოდითგანვე სარგებლობდა.

ცვინგლის მიერ ნაქადაგებ ჭეშმარიტებათა მიმართ დიდი ინტერესი უკვე გამოვლინდა; მის მსმენელთა რიცხვი დიდად

გაიზარდა. მოდიოდნენ ისინიც, ვინც უკვე დიდი ხანია თავი დაანება ღვთისმსახურებაზე სიარულს. ცვინგლიმ მსახურება სახარების განმარტებით დაიწყო. იგი ხალხს უკითხავდა და უხსნიდა ქრისტეს ცხოვრებისა და სიკვდილის სულისშემძვრელ მოვლენებსა და მოძღვრებას. და აქაც ისევე, როგორც ეინზიდელნში, იგი ქადაგებდა ღვთის სიტყვას, როგორც ერთადერთ სრულყოფილ ავტორიტეტს. "მხოლოდ ქრისტესთან მსურს თქვენი მოყვანა, - ამბობდა იგი, - ქრისტესთან, ადამიანის გადარჩენის ერთადერთ ჭეშმარიტ წყაროსთან". მქადაგებლის მოსასმენად მოდიოდნენ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელნი, დაწყებული

სახელმწიფო მოხელეებით და სწავლულებით და დამთავრებული გლეხებითა და უბრალო ხელოსნებით. მას ყველა დიდი ინტერესით უსმენდა. იგი ქადაგებდა არა მარტო ქრისტეს მიერ თითოეულისათვის უსასყიდლოდ შემოთავაზებული საბოძვარის შესახებ, არამედ გაბედულად აკრიტიკებდა ირგვლივ გამეფებულ გახრწნილებას. ბევრი, ტაძრიდან გასვლის შემდეგ, ადიდებდა ღმერთს. "ეს ადამიანი, - ამბობდნენ ისინი, - ჭეშმარიტების მქადაგებელია. იგი ჩვენთვის იქნება მოსე და გამოგვიყვანს ეგვიპტის ტყვეობის წყვდიადიდან".

მაგრამ თავიდან ასეთი ენთუზიაზმით მიღებული ცვინგლი

მალე დიდ წინააღმდეგობებს შეხვდა. ბერებმა გააკრიტიკეს მისი მოძღვრება და გადაწყვიტეს, ბოლო მოელოთ მისი მოღვაწეობისათვის. ისინი დასცინოდნენ მას, ზოგი ემუქრებოდა კიდეც და ზოგიც შეურაცხყოფას აყენებდა. მაგრამ ცვინგლი ყველაფერს მოთმინებით იტანდა და იმეორებდა: "თუკი გვინდა ცოდვილების ქრისტესკენ მოქცევა, ბევრ რამეზე თვალი უნდა დავხუჭოთ".

სწორედ ამ დროს რეფორმაციის საქმემ მოულოდნელი მხარდაჭერა მიიღო. ერთმა პიროვნებამ, სახელად ლუკიანემ, ციურიხში ლუთერის რამდენიმე თხზულება ჩამოიტანა. ეს მან გააკეთა ბაზელიდან ჩამოსული ადამიანის დავალებით, რომელიც

თანაუგრძნობდა რეფორმაციას და იმედოვნებდა, რომ ამ წიგნების გაყიდვა-გავრცელება დიდად შეუწყობდა ხელს ჭეშმარიტების გავრცელებას. "შენ თვითონ გადაწყვიტე, - წერდა იგი ცვინგლის, - თუკი შენ თვლი, რომ ეს ადამიანი საკმაოდ გონიერია, ეწვიოს იგი შვეიცარიელებს ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში და სახლიდან სახლში ლუთერის წიგნებით, განსაკუთრებით კი გაავრცელოს უფლის ლოცვების განმარტება, რომელიც დაწერილია უბრალო ენით უბრალო ქრისტიანებისთვის. რაც უფრო მეტი ადამიანი გაიგებს ამის შესახებ, მით უფრო მეტი ეგზემპლარი გაიყიდება". ასე და

ამგვარად შემოვიდა ჭეშმარიტების ნათელი ამ ქვეყანაში.

როდესაც უფალი იწყებს უმეცრებისა და ცრურწმენის ბორკილების მსხვრევას, სატანაც უფრო მეტი აქტიურობით მოქმედებს ადამიანთა უკუნეთ წყვდიადში ჩასაძირავად და ცოდვის ბორკილების განსამტკიცებლად. იმ დროს, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოჩნდნენ ადამიანები, ვინც ასწავლიდნენ ქრისტეს სისხლით გამართლებასა და მიტევების შესაძლებლობის სახარებას, რომიც შეშფოთდა. ის უფრო მეტი გულმოდგინებით ცდილობდა ვაჭრულ ურთიერთობებში ქრისტიანული

სამყაროს ჩათრევას და სთავაზობდა ფულით მიტევებას.

სხვადასხვა ცოდვას სხვადასხვა ფასი ჰქონდა. და ხალხს მიეცა თავისუფლება დანაშაულთა ჩასადენად, ოღონდ კი ეკლესიის ხაზინა სავსე ყოფილიყო. ამგვარად, გაჩნდა ორი მოძრაობა: ერთი სთავაზობდა ცოდვების მიტევებას ფულით; მეორე კი იგივეს - ქრისტეს მეშვეობით. რომი ხელს უწყობდა დანაშაულს და თავისი შემოსავლის წყაროდ ხდიდა მას; რეფორმატორები კი კიცხავდნენ ცოდვას და მიუთითებდნენ ქრისტეზე, როგორც გამომსყიდველ და შემწყალებელ ღმერთზე.

გერმანიაში ინდულგენციებით ვაჭრობა დავალებული ჰქონდა

დომინიკანელთა ორდენს უწმიდური ტეცელის ხელმძღვანელობით, შვეიცარიაში კი - ეს ვაჭრობა ხდებოდა ფრანცისკანელთა ორდენის იტალიელი ბერის სამსონის – მეშვეობით. სამსონმა უკვე დიდი სამსახური გაუწია ეკლესიას, როცა გერმანიასა და შვეიცარიაში უზარმაზარი თანხა შეაგროვა პაპის ხაზინისათვის. ახლა იგი შვეიცარიაში მოგზაურობდა, იქცევდა მრავალრიცხოვან ბრბოს ყურადღებას, ძარცვავდა ღარიბებს და მდიდრებისგან მდიდრულ ძღვენს ღებულობდა. თუმცა ინდულგენციებით ვაჭრობა კვლავ გრძელდებოდა, რეფორმაციის გავლენა აქ მაინც იგრძნობოდა. ცვინგლი ჯერ კიდევ ეინზიდელნში

იყო, როცა მეზობელ ქალაქში გამოჩნდა სამსონი თავისი "საქონლით". როგორც კი რეფორმატორს ამის შესახებ შეატყობინეს, მან მაშინვე დაიწყო მოქმედება. ისინი ვერ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ცვინგლიმ ისეთი წარმატებით ამხილა იგი, რომ სამსონმა გაცლა ამჯობინა.

ციურიხში ცვინგლი დიდი გულმოდგინებით განაგრძობდა ინდულგენციებით მოვაჭრეთა მხილებას და როდესაც სამსონმა ამ ქალაქში შესვლა გადაწყვიტა, მოქალაქეებმა ურჩიეს, შიგ ფეხი არ შეედგა. იგი შეეცადა სხვადასხვა მზაკვრული ხერხით ემოქმედა, მაგრამ იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო ისე, რომ ვერც ერთი

ქალალდი ვერ გაყიდა, სულ მალე კი საერთოდ დატოვა შვეიცარია.

რეფორმაციამ განსაკუთრებით დიდი გაქანება ჰპოვა 1519 წელს, როდესაც მთელ შვეიცარიაში მოდებული იყო შავი ჭირი, რომელსაც შავ სიკვდილს უწოდებდნენ. სიკვდილის პირისპირ მდგომი ადამიანები მიხვდნენ ნაყიდი ინდულგენციებით ცოდვების მიტევების უსარგებლობას და უაზრობას. ადამიანის სულს რწმენის მტკიცე საფუძველი სწყუროდა. ცვინგლისაც არ ასცდა ეს საშინელი სენი. მისი მდგომარეობა იმდენად მძიმე და უიმედო იყო, რომ უმალ გავრცელდა ცნობა მისი სიკვდილის შესახებ. მაგრამ ამ მძიმე გამოცდის პერიოდშიც არ დაუკარგავს მხნეობა

და იმედი. იგი რწმენით უმზერდა გოლგოთის ჯვარს და სრულად მიენდო ქრისტეს გამომსყიდველ მსხვერპლს. სიკვდილის კლანჭებიდან თავის დახსნის შემდეგ მან უფრო დიდი მონდომებით დაიწყო სახარების ქადაგება. მისი სიტყვები უდიდესი ძალითა და ენერგიით ისმოდა. ხალხი სიხარულით ესალმებოდა თავის საყვარელ მასწავლებელს, რომელიც სიკვდილს დაუსხლტა კლანჭებიდან. ისინი უვლიდნენ ავადმყოფებს, ზრუნავდნენ მიცვალებულებზე და ახლა ისე, როგორც არასდროს, იგრძნეს, თუ რაოდენ საჭიროა მათთვის ქრისტეს სახარება.

წმიდა წერილის შესწავლისას ცვინგლიმ უფრო ღრმად შეიმეცნა

მასში ჩადებული ჭეშმარიტება და უფრო სრულად შეიგრძნო მისი გადამრჩენელი ძალა. ადამიანის დაცემა და მისი გამოსყიდვის გეგმა - აი თემა, რომელსაც იგი მუდამ უბრუნდებოდა. "ადამში ჩვენ ყველა ვკვდებით ჩვენი ურჯულოების გამო", - ამბობდა იგი. "ქრისტემ სამუდამოდ გამოგვისყიდა. მისი ტანჯვა... ეს ის მარადიული მსხვერპლია, რომელიც მან გაიღო გამოსყიდვისა და ღვთიური სამართლიანობის ალსადგენად იმ ადამიანებში, ვინც მტკიცე და ურყევი რწმენით მიენდობა მას". ამასთან ერთად, ცვინგლი ხაზგასმით ალნიშნავდა, რომ უფლის მადლი არ გვაძლევს ცოდვის ჩადენის უფლებას: "სადაც არის რწმენა, იქ არის უფალი. სადაც

ღმერთია, იქ არის კეთილ საქმეთა კეთების გულწრფელი სურვილიც".

ცვინგლის ქადაგებების მიმართ დაინტერესება იმდენად დიდი იყო, რომ ეს უზარმაზარი ტაძარი მისი მოსმენის მსურველთ ველარ იტევდა. იგი ხალხს ჭეშმარიტებას თანდათანობით უხსნიდა, რადგან იცოდა, რომ ერთბაშად ძნელი იყო მათთვის მისი აღქმა. თავიდან უდიდესი მონდომებით ცდილობდა არ შეხებოდა იმ საკითხებს, რომლებიც მსმენელში შიშსა და ურწმუნობას გამოიწვევდა. მისი მიზანი იყო, კეთილად განეწყო ადამიანები ქრისტეს ჭეშმარიტების მიმართ; მოელბო მათი გულები ქრისტეს სიყვარულით და შთაეგონებინა მისი მაგალითით,

ხოლო, როგორც კი ადამიანები ღებულობდნენ სახარების პრინციპებს, ცრურწმენა და მისი გადმონაშთები თავისთავად ქრებოდა.

ციურიხშიც რეფორმაცია თანდათანობით ფართოდ ვრცელდებოდა. ამით შეძრწუნებული მოწინააღმდეგენი მის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ. მხოლოდ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვიტენბერგელმა ბერმა ვორმსში "არა" უთხრა პაპს და იმპერატორს და ახლა ციურიხშიც ყველა მზადაა, თავისი გადამწყვეტი "არა" განუცხადოს პაპის მოთხოვნებს. ცვინგლის წინააღმდეგ ბრძოლა არ წყდებოდა. პაპის კანტონებში დროდადრო კოცონზე

წვავდნენ ქრისტეს სახარების მოწაფეებს, მაგრამ მათთვის ესეც არ ალმოჩნდა საკმარისი; საჭირო იყო თვით ამ ერესის მქადაგებლის სამუდამოდ დადუმება. კონსტანცას ეპისკოპოსმა სამი წარმომადგენელი გაგზავნა ციურიხის საბჭოში ცვინგლის საპირისპირო ბრალდებებით, რომელშიც მას ეკლესიის კანონთა საწინააღმდეგო სწავლების გავრცელებაში ადანაშაულებდა, "რომელიც საფრთხეს უქმნიდა მთელი საზოგადოების სიმშვიდესა და კეთილდღეობას. "ეკლესიის ავტორიტეტის შელახვა, - წერდა ეპისკოპოსი, - სრულ ანარქიას გამოიწვევს". ცვინგლიმ უპასუხა, რომ მთელი ოთხი წლის განმავლობაში

იგი ქადაგებდა სახარებას ციურიხში, "რომელიც ყველაზე მშვიდ და წყნარ ქალაქად ითვლებოდა მთელ კონფედერაციაში". "განა ეს იმის დამამტკიცებელი არ არის, რომ ქრისტეს სახარება მშვიდობისა და უშიშროების საიმედო და საუკეთესო გარანტიაა?"

ეპისკოპოსის დესპანები საბჭოს წევრებს არწმუნებდნენ იმაში, რომ ეკლესიის გარეშე არ არსებობს გადარჩენა. ცვინგლიმ საბჭოს მიმართა: "ნუ შეგაშინებთ ეს ბრალდება. ეკლესიის საძირკველი - იგივე კლდე და იგივე ქრისტეა, რომელმაც სიმონს პეტრე დაარქვა, იმიტომ, რომ მან ჭეშმარიტად აღიარა იგი. დედამიწის ზურგზე ყველა ადამიანს, რომელსაც გულწრფელად

სწამს იესო, ღებულობს ღმერთი. სწორედ ეს არის ის ჭეშმარიტი ეკლესია, რომლის გარეშეც ადამიანი ვერ გადარჩება". ამ შემთხვევის შემდეგ ეპისკოპოსის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა რეფორმატორთა რწმენა მიიღო.

საბჭომ უარი თქვა ცვინგლის წინააღმდეგ რაიმე ზომების მიღებაზ, და რომი შემდეგი შეტევისათვის მოემზადა. გაიგო რა მტრის განზრახვა, ცვინგლიმ განაცხადა: "დაე, გააკეთონ თავიანთი საქმე. მე მათი ისე მეშინია, როგორც ზღვაზე გადმოშვერილ კლდეს-ზღვის ტალღებისა, რომლებიც მას ეხეთქებიან". პაპის მესვეურთა ასეთი მცდელობა მხოლოდ ხელს უწყობდა რეფორმაციის წინსვლას.

ჭეშმარიტება კვლავ წარმატებით ვრცელდებოდა. ლუთერის გაუჩინარებით შეწუხებული გერმანელი რეფორმატორები გამოფხიზლდნენ და სულიერად გამხნევდნენ მათი საქმეების შვეიცარიაში წარმატების გამო.

რეფორმაციის იდეების განვითარებასთან დაკავშირებით ციურიხის მოქალაქეთა ცხოვრებაში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა: შემცირდა დანაშაულთა რიცხვი, საზოგადოებაში ჰარმონია და წესრიგი გამეფდა. "მშვიდობა დამკვიდრდა ჩვენს ქალაქში, - წერდა ცვინგლი, - ჩვენთან არ არის ჩხუბი, პირფერობა, შური და განხეთქილება. საიდან მოვიდა ასეთი თანხმობა, თუ არა უფლისაგან და მისი მოძღვრების

ქადაგებისაგან, რომელმაც მშვიდობა და ღვთისმოსაობა გვიბოძა?"

რეფორმაციის წარმატებებმა უფრო მეტად აღაგზნეს პაპის მესვეურები, უფრო მეტი ენერგიითა და სისასტიკით შეეცადნენ მის მოსპობას. და როცა მიხვდნენ, გერმანიაში ლუთერის დევნით რომ თითქმის ვერაფერს მიაღწიეს, რეფორმატორთა დამარცხება მათივე საკუთარი იარაღით სცადეს. მიღებული იქნა გადაწყვეტილება დისპუტის გამართვის შესახებ, რომელზედაც ცვინგლი უნდა მოეწვიათ. ისინი მასთან პაექრობაში გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდნენ დისპუტისათვის შესაფერისი ადგილისა და შერჩეულ მსაჯულთა გამო. ოღონდ კი ხელში ჩაეგდოთ

ცვინგლი და ხელიდან ველარ წაუვიდოდათ. მათი აზრით, თუკი ხელმძღვანელის გაჩუმებას შესძლებენ, მაშინ მათი მოძრაობაც მალე დამარცხდება. მაგრამ თავიანთ გულისნადებს ჯერჯერობით გულმოდგინედ მალავდნენ.

დისპუტი დანიშნული იყო ბადენში, მაგრამ ცვინგლი არ გამოცხადდა. ციურიხის საბჭო პაპისტებს მზაკვრულ ჩანაფიქრს მიუხვდა, რადგან კარგად ახსოვდათ, თუ პაპის მესვეურები როგორ წვავდნენ კოცონზე ქრისტეს სახარების მაცნეებს და თავის პასტორს უფლება არ მისცა, საკუთარი თავი საფრთხეში ჩაეგდო; ციურიხში იგი მზად იყო შეხვედროდა რომის ნებისმიერ

წარმომადგენელს, მაგრამ გამგზავრება ბადენში, სადაც სულ ცოტა ხნის წინ დაიღვარა ჭეშმარიტების მოწმეთა სისხლი, უეჭველ სიკვდილზე წასვლა იყო. რეფორმაციის ინტერესებს იცავდნენ ეკოლამპადიუსი და ჰალერი, ხოლო რომის სამღვდელოებას წარმოადგენდნენ ცნობილი დოქტორი ეკენი და პრელატთა და სწავლულთა მთელი ჯგუფი.

თუმცა ცვინგლი დისპუტს არ ესწრებოდა, მისი გავლენა იქ მაინც იგრძნობოდა. პაპისტები თვითონ ნიშნავდნენ მდივნებს, სხვებს კი სიკვდილის მუქარით აეკრძალათ ყოველგვარი ჩანაწერის გაკეთება. მიუხედავად ამისა, ცვინგლი ბადენიდან ყოველდღიურად

ლებულობდა ზუსტ ცნობებს. ერთ-
ერთი სტუდენტი, რომელიც კამათს
ესწრებოდა, ყოველ საღამოს
ყველაფერს გულდასმით იწერდა
დღის განმავლობაში მომხდარი
მოვლენების შესახებ. ორ სხვა
სტუდენტს კი ეს ჩანაწერები და
ეკოლამპადიუსის წერილები
რეფორმატორთან მიჰქონდა.
საპასუხო წერილში რეფორმატორი
გამოთქვამდა თავის აზრს და რჩევა-
დარიგებებს აძლევდა მათ. პასუხებს
იგი ღამით წერდა, დილით კი
სტუდენტები ბადენში
ბრუნდებოდნენ. ქალაქის
კარიბჭესთან მდგარ მცველთა ეჭვი
რომ არ გამოეწვიათ, მათ თავზე
დადგმული ჰქონდათ ქათმების
კალათა და ამგვარად,

დაუბრკოლებლად შედიოდნენ ქალაქში.

ასე ებრძოდა ცვინგლი თავის დაუძინებელ მტრებს. "თავისი უძილო ღამეებითა და ბადენში გაგზავნილი წერილებით მან უფრო მეტის გაკეთება შეძლო, ვიდრე მტერთან პირადად შეხვედრის დროს შეძლებდა" - წერდა მუკონიუსი.

თავიანთ გამარჯვებაში დარწმუნებული პაპის დესპანები ბადენში მდიდრულ ტანსაცმელსა და ძვირფასეულობაში გამოწყობილნი ჩამოვიდნენ. ისინი ფუფუნებაში ცხოვრობდნენ, გამორჩეული და სპეციალურად მომზადებული საკვებით იკვებებოდნენ, საუცხოო ღვინოებს მიირთმევდნენ და სხვადასხვა გართობებითა და

ნადიმებით სულიერ ვალდებულებათა მძიმე ტვირთს იმსუბუქებდნენ. როგორ არ ჰგავდა რეფორმატორთა უბრალო ცხოვრება რომის მესვეურთა ალვირახსნილ ცხოვრებას! მოკრძალებული საკვების მომზადებას ისინი მეტად მცირე დროს ანდომებდნენ. სახლის პატრონი, სადაც ეკოლამპადიუსი ცხოვრობდა, ოთახში შესვლისას მას ყოველთვის წიგნით ხელში ან მლოცველს ხედავდა. განცვიფრებული სახლის პატრონი იძულებული იყო ელიარებინა, რომ "ეს ერეტიკოსი ძალზე ღვთისმოსავი ადამიანია."

დისპუტის დროს პატივმოყვარე და ამაყი ეკენი დიდებულად მორთულ კათედრაზე ავიდა, ეკოლამპადიუსმა

კი კათედრის პირდაპირ დაიკავა მისთვის განკუთვნილი ადგილი - უხეშად გამოთლილ სკამზე. ძლიერი ხმა და უაღრესი პატივმოყვარეობა არასდროს ღალატობდა ეკენს. ხოლო სიმდიდრისა და დიდების ბრწყინვალება მეტ სიამაყესა და თავდაჯერებულობას მატებდა მას, - განა შეიძლება, რომ რწმენის დამცველმა უხვი ჯილდო არ მიიღოს უფლისაგან? თავისი მჭევრმეტყველური მტკიცებების დასასრულს იგი რეფორმატორთა შეურაცხყოფაზე და წყევლაზე გადავიდა.

მოკრძალებული და თავის ძალაში დარწმუნებული ეკოლამპადიუსი კამათს მოერიდა და საზეიმო ხმით განაცხადა: "ჩემთვის არ არსებობს

სხვა საზომი, გარდა ღვთის სიტყვისა!" ამ მორცხვმა და მოკრძალებულმა ადამიანმა დიდი სიმტკიცე და გონიერება გამოავლინა. იმ დროს, როცა რომის სამღვდელოება თავისი ჩვეულებისამებრ, ეკლესიის ავტორიტეტსა და ტრადიციებს ეყრდნობოდა, რეფორმატორი მხოლოდ წმიდა წერილის ავტორიტეტით სარგებლობდა. "ტრადიციას შევეიცარიაში არავითარი ძალა არა აქვს, - თქვა მან, - მასზე არაფერია ნათქვამი კონსტიტუციაში, ხოლო რაც შეეხება რწმენის საკითხებს, აქ ჩვენი კონსტიტუცია - ბიბლიაა".

განსხვავება დისპუტის მონაწილეთა შორის არ დარჩენილა შეუმჩნეველი. რეფორმატორის

მშვიდად და რბილად გამოთქმულმა ნათელმა და დამაჯერებელმა მტკიცებებმა ისეთი დიდი ზეგავლენა მოახდინა მსმენელებზე, რომ ხალხმა ზიზღით აქცია ზურგი ეკენის ტრაბახითა და რისხვით აღსავსე ტირადებს.

დისპუტი 18 დღის განმავლობაში გაგრძელდა. მისი დამთავრების შემდეგ პაპისტებმა ამაყად გამოაცხადეს, რომ მათ გაიმარჯვეს. დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რომს. სეიმმა აღიარა რეფორმატორთა დამარცხება და დაადგინა, რომ ცვინგლისთან ერთად მისი მიმდევრებიც მოიკვეთებიან ეკლესიისაგან. მაგრამ შემდგომში ნათელი გახდა რეფორმატორთა სიმართლე. ამ დისპუტმა ძლიერი

ბიძგი მისცა პროტესტანტიზმის გავრცელებას და სულ მოკლე ხანში ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიც იყო ბაზელი და ბერნი, რეფორმაციის მხარეზე გადავიდნენ.

თავი 10 რეფორმაციის გამარჯვება გერმანიაში

ლუთერის საიდუმლო გაუჩინარებამ მთელი გერმანია

ალაშფოთა. ყველგან მის ამბავს კითხულობდნენ. ათასნაირი დაუჯერებელი მითქმა-მოთქმა დადიოდა მასზე და ბევრიც დარწმუნებული იყო, რომ ლუთერი მოკლეს. არა მარტო მისი მეგობრები, არამედ ისინიც კი, ვინც ვერ მოასწრო რეფორმაციისათვის აშკარად დაეჭირა მხარი, წუხდნენ მისი დალუპვის გამო. ბევრი საჯაროდ იფიცებდა, რომ შურს იძიებდა მისი სიკვდილისათვის.

პაპის უმაღლესმა მოხელეებმა იგრძნეს ხალხის სიძულვილი მათ მიმართ. ლუთერის დალუპვას თავიდან თუმცა ზეიმობდნენ, მაგრამ მალე მათ მხოლოდ ერთადერთი სურვილი ჰქონდათ - გაქცეოდნენ ხალხის რისხვას. ლუთერის

მოწინააღმდეგეებს მისი ფარული მოქმედება უფრო აშფოთებდა, ვიდრე იმ დროის პირდაპირი და მტკიცე გამოსვლები, როცა თავისუფალი იყო. მათ, ვისაც გულით სურდათ ამ მამაცი რეფორმატორის დალუპვა და მთელი ძალით ცდილობდნენ კიდეც ამის გაკეთებას, ახლა მისი ეშინოდათ. "ერთადერთი, რაც თავის გადასარჩენად დაგვრჩენია, - ამბობდნენ ისინი, - ის არის, რომ ჩირაღდნებით ხელში ყველა კუთხეში ვეძებოთ ლუთერი, მოვძებნოთ და დავუბრუნოთ ხალხს". იმპერატორის ბრძანებამ ძალა დაკარგა. პაპის ლეგატები საშინლად აღშფოთებული იყვნენ იმის გამო, რომ ხალხს ლუთერის ბედი უფრო აღელვებდა, ვიდრე ეს ედიქტი.

სასიხარულო ცნობამ იმის შესახებ, რომ ლუთერი, თუმცა ტყვეობაში იმყოფება, მაგრამ ცოცხალია და არავითარი საფრთხე არ ემუქრება, არა თუ მხოლოდ დაამშვიდა ხალხი, არამედ მათში მოზღვავებული სიმპათიის გრძნობაც გამოიწვია. ახლა უფრო მეტი გულმოდგინებით კითხულობდნენ მის თხზულებებს და გამუდმებით იზრდებოდა იმ მამაცი ადამიანის მხარდამჭერთა რიგები, რომელიც ასე გაბედულად იცავდა ღვთის სიტყვას. მისმა გაუჩინარებამ ისეთი საქმე გააკეთა, რის გაკეთებასაც იგი პირადი ძალისხმევით ვერ შეძლებდა. რეფორმაციამ ფართო გაქანება მიიღო. ლუთერის მიერ დათესილი თესლი ყველგან აღმოცენდა.

როდესაც რეფორმაციის ამ გამოჩენილმა ხელმძღვანელმა აქტიური მოღვაწეობა შეწყვიტა, მისმა მიმდევრებმა უფრო მეტი პასუხისმგებლობა იგრძნეს და განახლებული რწმენითა და გულმოდგინებით იწყეს შრომა იმისთვის, რომ ეს დიდებულად დაწყებული საქმე შემდგომშიც განვითარებულიყო.

მაგრამ სატანასაც არ ეძინა. ახლა იგი ცდილობდა იმის გაკეთებას, რასაც ყოველთვის აკეთებდა რეფორმაციის მოძრაობის პერიოდში: ჭეშმარიტება სიცრუით შეეცვალა, ამით ადამიანები მოეტყუებინა და დაელუპა. როგორც პირველი საუკუნის ქრისტიანულ ეკლესიაში ალმოჩნდა მრავალი ცრუქრისტე,

ასევე მე-16 საუკუნეშიც თავი იჩინა მრავალმა ცრუწინასწარმეტყველმა.

ქრისტიანულ სამყაროში რელიგიური აღმავლობის მღელვარებით ღრმად შეპყრობილმა რამდენიმე ადამიანმა წარმოიდგინა, რომ ზეციდან განსაკუთრებული გამოცხადება მიეცათ და განაცხადეს, რომ უფალმა მათ დაავალა ლუთერის დაწყებული საქმის დამთავრება. სინამდვილეში კი ისინი ღუპავდნენ ლუთერის საქმეს. მათ უარყვეს რეფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც აცხადებდა, რომ ღვთის სიტყვა არის რწმენისა და ცხოვრების ერთადერთი საზომი. ამ შეუცდომელი გზის მაჩვენებლის ნაცვლად მათ მიმართეს ცვალებად და განუსაზღვრულ კრიტერიებს -

საკუთარ გრძნობებსა და შთაბეჭდილებებს. და როდესაც ყველამ ამ ცრუ და მცდარი კანონების ხელმძღვანელობით დაიწყო მოქმედება, სატანას გზა გაეხსნა ადამიანის გონებისაკენ.

ერთ-ერთი ამ წინასწარმეტყველთაგანი ამტკიცებდა, რომ მას თვით გაბრიელ მთავარანგელოზი ხელმძღვანელობს. მას შეუერთდა ერთი სტუდენტი, რომელმაც სწავლა მიატოვა და განაცხადა, რომ უფალმა საჭირო სიბრძნე მისცა მისი სიტყვის განმარტებისათვის. მათ შეუერთდნენ სხვა ადამიანებიც, რომელთაც ფანატიზმისკენ ჰქონდათ გადახრები. ამ ენთუზიასტთა მოღვაწეობამ დიდი ხმაური

გამოიწვია. ლუთერის ქადაგებები ხალხს დაეხმარა რეფორმის აუცილებლობის შეგნებაში, ახლა კი ეს გულწრფელი ადამიანები შეცდომაში შეჰყავდა ამ ახალ წინასწარმეტყველთა მოძღვრებას.

ამ ახალი მოძრაობის ხელმძღვანელები ვიტენბერგში მელანქტონთან და მის თანამშრომლებთან გაემგზავრნენ და საჯაროდ განაცხადეს თავიანთი უფლებების შესახებ: "ჩვენ უფლის მაცნეები ვართ, გამოგზავნილი ხალხის გასანათლებლად. ჩვენ ყველაზე ახლო ურთიერთობა გვაქვს ღმერთთან. ჩვენთვის ცნობილია მომავალი. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ წინასწარმეტყველები და

მოციქულები ვართ და ვაგრძელებთ დოქტორ ლუთერის საქმეს.

ამან რეფორმატორები განაცვიფრა და საგონებელში ჩააგდო. აქამდე მათ მსგავსი შემთხვევა არ ჰქონიათ და ახლა არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. მელანქტონმა თქვა: "ამ ადამიანებში სულ სხვა, რალაც უჩვეულო სულია, მაგრამ საკითხავია, ვისი სულია ეს?.. ერთის მხრივ, ძალზე ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ღვთის სული არ ჩავაქროთ, მეორეს მხრივ - ყურადღება გვმართებს, რათა სატანამ არ გვაცდუნოს".

მალე ამ ახალი სწავლების ნაყოფიც გამჟღავნდა. ხალხმა თანდათანობით დაივიწყა ბიბლია და სულ მალე სრულებით მიატოვა იგი. უმაღლეს სასწავლებლებში დაბნეულობამ

იჩინა თავი. სტუდენტებმა უნივერსიტეტებში სწავლა თვითნებურად მიატოვეს. რეფორმაციის საქმეზე პასუხისმგებელმა ადამიანებმა თითქმის დალუპვის პირამდე მიიყვანეს იგი. რომის მომხრეები ზეიმობდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ "კიდევ ერთი უკანასკნელი გაბრძოლება - და ყველაფერი კვლავ ჩვენს ხელში იქნება".

ვარტბურგში მყოფმა ლუთერმა ეს ამბავი რომ გაიგო, სინანულით თქვა: "მე ყოველთვის ველოდი, რომ სატანა თავს დაგვატეხდა ასეთ უბედურებას". იგი კარგად ხედავდა ამ ცრუწინასწარმეტყველთა მოქმედებაში ჩამალულ განზრახვას და იმ საშიშროებას, რომელიც

ჭეშმარიტების საქმეს ემუქრებოდა. პაპისა და იმპერატორის იერიშები არ იწვევდა მასში ისეთ შიშსა და სასოწარკვეთილებას, როგორც ეს ახალი უბედურება. რეფორმაციის თითქოსდა ჭეშმარიტი მეგობრები ახლა მის უბოროტეს მტრებად იქცნენ. სწორედ ის ჭეშმარიტებანი, რომელმაც ასეთი დიდი სიხარული და სიმშვიდე მოუტანა მის ტანჯულ სულს, ეკლესიის განხეთქილებისა და არეულობის მიზეზად იქცა.

რეფორმების გატარებისას ლუთერს სულიწმიდა ხელმძღვანელობდა და მისი დახმარებით მან შეუძლებლის გაკეთება შეძლო. იგი არ აპირებდა ასეთ გადამწყვეტ მოქმედებებს, არ ჰქონდა განზრახული ასეთი რადიკალური ცვლილებების შეტანა,

მაგრამ ის ხომ მხოლოდ იარაღი იყო უსასრულოდ ძლევამოსილი ღმერთის ხელში. თავისი მოღვაწეობის შედეგებზე ფიქრისას ლუთერს ხშირად შიში იტანდა და ერთხელ ალნიშნა კიდეც: "მირჩევნია ათჯერ მოვკვდე, ვიდრე გავიგო, რომ ჩემმა მოძღვრებამ ვნება მოუტანა თუნდაც ერთ ადამიანს, ყველაზე უმეცარსა და უბრალოს. თუმცა ვფიქრობ, რომ ეს არ შეიძლება ასე იყოს, რადგან ჩემი მოძღვრება მხოლოდ სახარებაზეა დამყარებული".

ვიტენბერგი, რეფორმაციის ცენტრი, ერთ-ერთი პირველი მოექცა ფანატიზმისა და უწესრიგობის ზეგავლენის ქვეშ. ამ სამწუხარო გარემოებაში ყველაზე ნაკლები

დანაშაული ლუთერის მოძღვრებას მიუძღოდა, თუმცა მტრები სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. ამის გამო დამწუხრებული ლუთერი თავის თავს ხშირად ეკითხებოდა: "ნუთუ ასე დამთავრდება რეფორმაციის ეს უდიდესი საქმე?" და ლოცვებში უფალთან ჭიდილის შემდეგ მის სულში კვლავ სიმშვიდე ისადგურებდა. "ეს არ არის ჩემი საქმე, ღმერთო, არამედ შენი, - ამბობდა იგი, - და შენ არ დაუშვებ, რომ იგი ფანატიზმმა და ცრურწმენამ დალუპოს". მაგრამ ბრძოლის ასეთ კრიტიკულ მომენტში მას არ შეეძლო განზე დგომა და მტკიცედ გადაწყვიტა ვიტენბერგში დაბრუნება.

გადაწყვეტილების მიღებისთანავე გაემართა ლუთერი ამ სახიფათო

მოგზაურობაში. იმპერიაში იგი კანონგარეშედ იყო გამოცხადებული. მტრებს კვლავინდებურად ჰქონდათ მისი მოკვლის უფლება. მეგობრებსაც კვლავინდებურად ეკრძალებოდათ მისთვის დახმარების გაწევა და უბრალო მასპინძლობაც კი. იმპერატორმა უსასტიკესი ზომები მიიღო მის მიმდევართა მიმართ. მაგრამ ლუთერი ხედავდა, რომ სახარების საქმეს საფრთხე დაემუქრა და ღმერთის იმედით და სახელით გაემართა იგი ჭეშმარიტების საქმისათვის საბრძოლველად.

ფრიდრიხისადმი გაგზავნილ წერილში ლუთერმა ჩამოაყალიბა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზები ვარტბურგის დატოვების გამო. "ვაცნობებ თქვენს

უდიდებულესობას, რომ მე ვბრუნდები ვიტენბერგში. მე იქ მივდივარ უფრო დიდი დაცვით, ვიდრე იმპერატორის სიგელია. ამით ისე არ გამიგოთ, რომ არ ვსაჭიროებ თქვენს მოწყალებას. ვფიქრობ, იქნებ მე თქვენ უფრო გამოგადგეთ დამცველად, ვიდრე თქვენ - მე. თუკი მეცოდინებოდა, რომ ამ საკითხის შესახებ თქვენ უფრო სხვაგვარად ფიქრობთ, მაშინ რა თქმა უნდა, არ ჩამოვიდოდი ვიტენბერგში. მაგრამ ჩემი აზრით, ამ საქმეში ჩემი შველა არასგზით არ შეიძლება. მხოლოდ ღმერთს შეუძლია მოიმოქმედოს ის, რაც ადამიანისათვის შეუძლებელია. ამიტომ, ვისაც ყველაზე მეტად სწამს, ის ყველაზე მეტად არის დაცული".

ვიტენბერგისაკენ გზად მიმავალი ლუთერი მეორე წერილში წერდა: "მე მზადა ვარ, მივიღო თქვენი რისხვა, თქვენო უმაღლესობავ და მთელი მსოფლიო რისხვაც. განა ვიტენბერგის მოქალაქენი ჩემი ცხვრები არ არიან? განა ღმერთმა მე არ ჩამაბარა ისინი? და განა თავი არ უნდა გავწირო მათთვის, თუკი ამას საჭიროება მოითხოვს? გარდა ამისა, მე ძალიან მეშინია გერმანიაში სახალხო მღელვარების დაწყებისა, რითაც უფალმა შეიძლება დასაჯოს ჩვენი ხალხი".

უდიდესი სიფრთხილითა და მორჩილებით, მაგრამ ამავე დროს მტკიცე გადაწყვეტილებით, შეუდგა ლუთერი თავის მსახურებას. "სიტყვით უნდა დავანგრიოთ და

მოვსპოთ ყველაფერი ის, რაც ძალადობითაა დათესილი. მე არ ვაპირებ, ძალით ამოვძირკვო ცრურწმენა და ურჯულოება... ძალადობა დაუშვებელია. თავისუფლება - სწორედ ეს არის რწმენის არსი".

მალე მთელ ვიტენბერგს მოედო ლუთერის დაბრუნების ამბავი და ცნობა იმის შესახებ, რომ იგი კვლავ იწყებს ქადაგებას. უამრავი ხალხი ჩამოვიდა ყველა კუთხიდან და მალე ეკლესიაში ნემსის ჩასაგდები ადგილი ალარ დარჩა. კათედრასთან მდგარი ლუთერი უდიდესი სიბრძნითა და მოკრძალებით უხსნიდა, ასწავლიდა და ამხელდა. იგი შეეხო მათ, ვისაც ძალის გამოყენებით სურდა წირვის

გაუქმება და განაცხადა: "მესა უსარგებლო რამ არის, რომელიც უფლის ნების საწინააღმდეგოდ სრულდება და რომელიც უნდა გაუქმდეს. მე ვისურვებდი, რომ მთელ მსოფლიოში მის ნაცვლად სრულდებოდეს უფლის სერობა, რომელიც თავად უფალმა დააწესა. მაგრამ ამისათვის ძალა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გამოყენებული. ყველაფერი უფლის ხელშია და უნდა იმოქმედოს მისმა სიტყვამ და არა ჩვენ. ალბათ შემეკითხებით, რატომ? იმიტომ, რომ მე არ მიჭირავს ხელში ადამიანთა სულები იმ მექოთნის მსგავსად, რომელიც თიხით სხვადასხვა ჭურჭელს ამზადებს. ჩვენ უფლება გვაქვს - ვილაპარაკოთ და არა -

ვიმოქმედოთ. ჩვენ უნდა ვიქადაგოთ, დანარჩენი კი ღმერთს მივანდოთ. სადამდე მიგვიყვანს ძალისმიერი მეთოდები? მხოლოდ და მხოლოდ ფორმალიზმამდე, არაგულწრფელობამდე, მიმბაძველობამდე, პირფერობამდე და სხვადასხვა ბრძანებულებების გამოჩენამდე... მაგრამ ყოველივე ამაში არ იქნება არც გულის სიწრფელე, არც რწმენა და არც სიყვარული. სადაც არ არსებობს ეს სამი სათნოება, იქ არაფერი არ არსებობს და ასეთი საქმისათვის მე გროშსაც არ გავიღებდი... თავისი სიტყვის ძალით უფალი უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე თქვენ, მე და ჩვენთან ერთად მთელი მსოფლიო. უფალი იპყრობს ადამიანთა გულს და როცა

გული დაპყრობილია, მაშინ ყველაფერი დაპყრობილია...

მე ვიქადაგებ, ვიკამათებ და დავწერ, მაგრამ არავის ძალას არ დავატან, რადგან რწმენა მხოლოდ ნებაყოფლობითია. დაუფიქრდით ჩემს საქციელს: მე გავილაშქრე პაპის, ინდულგენციებისა და პაპის მიმდევართა წინაალმდეგ, მაგრამ არასოდეს მოვუწოდებდი ძალადობისაკენ და არასოდეს შემიტანია ხალხში შფოთი. მე მხოლოდ ვქადაგებდი ღვთის სიტყვას. ვქადაგებდი და ვწერდი - მეტი არაფერი. და როდესაც დავდუმდი, მაშინაც კი ჩემი ქადაგება საძირკველს ურყევდა პაპის ხელისუფლებას, რისი გაკეთებაც ვერც იმპერატორმა და ვერც

დიდგვაროვნებმა ვერ შეძლეს: და მაინც მე არაფერი გამიკეთებია. ყველაფერი სიტყვამ გააკეთა. მე რომ ძალადობისთვის მიმემართა, მთელი გერმანია სისხლში ჩაიხრჩობოდა. რას მოგვიტანდა ეს? ეს დალუპავდა სხეულსაც და სულსაც. ამიტომ მე სიმშვიდეს შევინარჩუნებ; დაე, მხოლოდ ღვთის სიტყვამ იმოქმედოს მთელ მსოფლიოში".

მთელი კვირის განმავლობაში უქადაგებდა ლუთერი მოწყურებულ ხალხს და ღვთის სიტყვამ დაამარცხა ფანატიკოსთა ზეწოლა. სახარების ძალამ გზააბნეული ხალხი ჭეშმარიტების გზაზე დააბრუნა.

ლუთერს არ სურდა შეხვედრა იმ ფანატიკოსებთან, რომლებმაც ხალხში ამდენი ბოროტება დათესეს.

მან იცოდა, რომ ესენი მეტად არაჯანსაღი და თავაშვებული ადამიანები იყვნენ, რომელნიც პრეტენზიას აცხადებდნენ განსაკუთრებულ ზეციურ გამოცხადებაზე და ვერ იტანდნენ რაიმე წინააღმდეგობას, ვერც კეთილ რჩევას ან თავაზიან მხილებას. აცხადებდნენ რა უსაფუძვლო პრეტენზიას უმაღლეს ძალაუფლებაზე, ისინი ყოველი ადამიანისაგან მოითხოვდნენ მის ალიარებას. მაგრამ როცა დაჟინებით მოითხოვეს ლუთერთან შეხვედრა, იგი შეხვდა მათ და ისეთი წარმატებით ამხილა, რომ ამ თვითმარქვიებმა მაშინვე სასწრაფოდ დატოვეს ვიტენბერგი.

ერთ ხანს ეს მოძრაობა ჩაკვდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ იფეთქა ფანატიზმმა, რომელსაც თან ახლდა უდიდესი ძალადობა და საშინელი შედეგები. ამ მოძრაობის ხელმძღვანელთა შესახებ ლუთერი ამბობდა: "მათთვის წმიდა წერილი - მხოლოდ მკვდარი ასოებია და ამიტომაც ყვირიან სული, სული”; მე არ ვაპირებ იმ გზაზე სიარულს, საითაც მიჰყავს ისინი ამ სულს. მოწყალე ღმერთს ვთხოვ, დამიფაროს ისეთი ეკლესიისაგან, სადაც ყველანი წმიდანები არიან. მე მსურს ვიყო უბრალო, უძლურ და ავადმყოფ ადამიანთა გვერდით, მათთან, ვინც აღიარებს თავის ცოდვებს, ვინც მუდამ გულის სიღრმიდან უხმობს ღმერთს და

სთხოვს მფარველობასა და მშვიდობას."

ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფანატიკოსი, თომას მიუნცერი, მეტად ნიჭიერი ადამიანი იყო. რამდენი სარგებლობის მოტანა შეეძლო მას, ჭეშმარიტების გზით რომ ევლო! მაგრამ ჭეშმარიტი რელიგიის თავდაპირველი პრინციპები არ მიიღო. "მას სურდა მსოფლიოს გარდაქმნა, მაგრამ, როგორც ეს ენთუზიასტებს ხშირ შემთხვევაში სჩვევიათ, მასაც დაავიწყდა, რომ გარდაქმნა საკუთარი თავიდან უნდა დაეწყო". ამ პატივმოყვარე ადამიანს სურდა ძალაუფლება და საპატიო ადგილი საზოგადოებაში და არ უნდოდა მდგარიყო მეორე ადგილზე თვით ლუთერის შემდეგაც კი. მან

განაცხადა, რომ რეფორმატორები ეყრდნობიან მხოლოდ ბიბლიურ ავტორიტეტს, რითაც პაპიზმის კიდევ ერთ ნაირსახეობას ქმნიან. მისი მტკიცებით, სწორედ მას დაავალა უფალმა ნამდვილი რეფორმის გატარება. "ამ სულის მფლობელს, - ამბობდა მიუნცერი, - ჭეშმარიტი რწმენა აქვს, თუნდაც თავის ცხოვრებაში არასოდეს არ ენახოს წმიდა წერილი".

ეს ფანატიკოსი მასწავლებლები მთლიანად ემორჩილებიან თავიანთ ემოციებს და თავის ნებისმიერ აზრს თუ სულიერ მოძრაობას უფლის მოწოდებად ღებულობდნენ, რასაც უკიდურესობამდე მიჰყავდა ისინი. ზოგიერთმა მათგანმა თავისი ბიბლიაც კი დაწვა იმ გაგებით, რომ

ასო კლავს, ხოლო სული აცოცხლებს". მიუნცერის მოძღვრება ადამიანებს ულვიძებდა უჩვეულო მოქმედებისაკენ სწრაფვას და მათ პატივმოყვარეობასაც აკმაყოფილებდა, - მათი ადამიანური იდეები და აზრები ხომ ღვთის სიტყვაზე მაღლა დგებოდა.

ათასობით ადამიანი გაჰყვა ამ მოძრაობას, რომელმაც მალე სასტიკად გააკრიტიკა საზოგადოებრივი ღვთისმსახურება და განაცხადა, რომ ხელისუფალთა მორჩილება ნიშნავს როგორც ღმერთის, ისე ეშმაკის მსახურებას.

ადამიანები, რომლებიც ახლახანს განთავისუფლდნენ პაპის უღლისაგან, ხელისუფლების მხრიდან შევიწროებას განიცდიდნენ,

რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მათში. მიუნცერის რევოლუციური მოძღვრება, რომელიც, თითქოსდა მათ უფლისაგან მიიღეს, მის მიმდევრებს ათავისუფლებდა ყოველგვარი ხელისუფლების მორჩილებისაგან, რაც გზას უხსნიდა ცრურწმენისა და საკუთარი ვნებების გამოვლენას. და შედეგმაც არ დააყოვნა: დაიწყო შეტაკებები და მალე გერმანია სისხლმა წალეკა.

ლუთერი საშინელ სულიერ ტანჯვას განიცდიდა მათი ფანატიზმის ასეთი შედეგებით, რომელსაც რეფორმაციას მიაწერდნენ. ეს სულიერი შფოთვა ძალზე წააგავდა ერფურტში განცდილ და გადატანილ გრძნობებს. პაპის ლიდერები აცხადებდნენ, და

მათ თვალსაზრისს ბევრიც იზიარებდა, რომ ამბოხება - ეს ლუთერის მოძღვრების ბუნებრივი შედეგია. თუმცა ასეთი ბრალდებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა, მაგრამ მან რეფორმატორი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. იმის დანახვა, თუ როგორ გააიგივეს მისი ჭეშმარიტი მოძღვრება პრიმიტიულ ფანატიზმთან, - მის ძალას აღემატებოდა. მეორეს მხრივ, მეამბოხეებს ლუთერი არა მხოლოდ იმიტომ სძულდათ, რომ იგი აშკარად იბრძოდა მათი იდეების წინააღმდეგ და უარყოფდა მათ მოჩვენებით ღვთივსულიერებას, არამედ იმისთვისაც, რომ მან ისინი საერო ხელისუფლების წინააღმდეგ

მეამბოხეებად გამოაცხადა. პასუხად მათ ლუთერს უნამუსო თვალთმაქცი უწოდეს. და ამან, როგორც ჩანს, ერთის მხრივ - ხელისუფლებისა და მეორეს მხრივ - ხალხის რისხვა გამოიწვია.

გახარებული პაპისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ რეფორმაციას სულ მალე ბოლო მოელებოდა. ისინი ლუთერს იმ შეცდომების გამო აკრიტიკებდნენ, რომელთა გამოსწორებაც მას გულწრფელად სურდა. ცრურეფორმაციის მომხრენი ყოველგვარი გაიძვერული ხერხებით ამტკიცებდნენ, რომ მათ უსამართლოდ მოექცნენ და, როგორც ამას ხშირად ახერხებენ თვალთმაქცნი, - მიალწიეს იმას, რომ

ხალხმა ისინი მოწამე ქრისტიანებად მიიღო. ამგვარად ისინი, ვინც მთელი ძალებით იბრძოდნენ რეფორმაციის წინააღმდეგ, შერაცხეს ძალადობისა და სისასტიკის მსხვერპლად, მათ თანაუგრძნობდნენ და პატივს სცემდნენ. ეს იყო სატანის საქმე, რომელსაც იგივე სული მართავდა, რომელმაც იგი ოდესღაც ზეცაში ამბოხებამდე მიიყვანა.

სატანა ადამიანებს მუდამ იმით ატყუებს, რომ სიმართლეს ცოდვას უწოდებს და ცოდვას - სიმართლეს. რა ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია! რა დიდი საყვედურები და ბრალდებები დაატყდა თავს ღვთის ერთგულ შვილებს მხოლოდ იმიტომ, რომ მტკიცედ იცავდნენ ჭეშმარიტებას! ხშირად სატანის

აგენტები უდიდესი პატივისცემით სარგებლობენ. მათ აქებენ, პირფერობენ და ჭეშმარიტებისათვის მოწამეებადაც კი თვლიან იმ დროს, როცა ისინი, ვისაც უფლის ერთგულებისათვის ნამდვილად ეკუთვნის პატივისცემა და მხარდაჭერა, ყველასგან მიტოვებული არიან. ისინი სძულთ და მათ უნდობლობას უცხადებენ.

მოჩვენებითი და ყალბი სიწმიდე ადამიანებს ხშირად აცდუნებს. იგი დღესაც ისევე სხვადასხვა ფორმით მოქმედებს, როგორც ლუთერის დღეებში, რათა ადამიანებმა ყურადღება წმიდა წერილიდან საკუთარი გრძნობებისაკენ გადაიტანონ და დაემორჩილონ არა ღმერთის კანონებს, არამედ საკუთარ

ემოციებს. ეს არის სატანის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ხერხი სიწმიდისა და ჭეშმარიტების შელახვისა, - და საკმაო წარმატებასაც ალწევს.

ლუთერი გაბედულად იცავდა სახარებას ყოველმხრივი იერიშისაგან. ღვთის სიტყვამ აქაც გამოაჩინა თავისი ძლიერება და ყოვლისშემძლეობა. ამავე სიტყვით იბრძოდა ლუთერი პაპის უზურპატორული ძალაუფლებისა და სწავლულთა რაციონალისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ; და ამავე დროს, კლდესავით მტკიცედ უმკლავდებოდა ფანატიზმის ზეწოლას, რომელსაც რეფორმაციასთან შერწყმა სურდა.

ყოველი მისი მოწინაალმდეგე მხარე თავისებურად უარყოფდა წმიდა წერილს იმით, რომ სულიერების წყაროდ ადამიანის სიბრძნეს თვლიდა. რაციონალიზმი თავს ხრის გონიერების წინაშე და ჭეშმარიტების კრიტერიუმად თვლის მას. რომის ეკლესია აცხადებს პაპის უზენაესობას, მის ერთიანობას მოციქულთა პერიოდის ეკლესიასთან და მის უცვლელობას და უცოდველობას საუკუნეთა მანძილზე; მოციქულთა ეკლესიის წმიდა მანტიით ფარავს ყოველგვარ გახრწნილებასა და ღალატს. მიუნცერისა და მისი მიმდევრების სწრაფვა სულიერებისაკენ მხოლოდ მათი ფანტაზიის ნაყოფი იყო, რომელმაც ერთნაირად

დამლუპველად იმოქმედა როგორც საერო, ასევე საეკლესიო ხელისუფლებაზე. ჭეშმარიტი ქრისტიანობა ეყრდნობა მხოლოდ წმიდა წერილის ავტორიტეტს და ღებულობს მას, როგორც უდიდეს საგანძურსა და ყოველგვარი იდეების საზომს.

ვარტბურგიდან დაბრუნების შემდეგ ლუთერმა დაასრულა ახალი ალთქმის თარგმნა და მალე გერმანელ ხალხს შესაძლებლობა მიეცა იგი მშობლიურ ენაზე წაეკითხა. ჭეშმარიტების ყველა მოყვარულმა უდიდესი სიხარულით მიიღო სახარების თარგმანი, მაგრამ ადამიანური ტრადიციებისა და წესების ალმსრულებლებმა და

მომხრეებმა კი სიძულვილით უარყვეს იგი.

სამღვდელოება შეშფოთებული იყო იმით, რომ უბრალო ხალხს მიეცა მათთან დისკუსიის შესაძლებლობა ღვთის სიტყვის შესახებ, რითაც მათი უმეცრება ადვილად გამოვლინდებოდა. მათი მიწიერი სიბრძნე უძლური იყო უზენაესის მახვილის წინააღმდეგ. რომი მთელი თავისი ძალაუფლების გამოყენებით ცდილობდა ხელი შეეშალა წმიდა წერილის გავრცელებისათვის, მაგრამ ყველა მისი ბრძანება, ანათემა და წამება ამაო გამოდგა. რაც უფრო მეტად კრძალავდა და დევნიდა რომი ბიბლიას, მით უფრო დიდი იყო ხალხის სურვილი წმიდა წერილის გაცნობისა და ჭეშმარიტების

შესწავლისა. ყოველმა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანმა დაიწყო წმიდა წერილის შესწავლა. წიგნები თან დაჰქონდათ და მრავალჯერ კითხულობდნენ, სანამ კარგად არ დაიმახსოვრებდნენ მის ცალკეულ ტექსტებს. როცა ახალი აღთქმის მიმართ ასეთი დიდი ინტერესი დაინახა, ლუთერი დაუყოვნებლივ შეუდგა ძველი აღთქმის თარგმნას და თავისი შრომის წინსვლის შესაბამისად ნაწილ-ნაწილ აქვეყნებდა.

ლუთერის თხზულებებს ერთნაირი ინტერესით ხვდებოდნენ როგორც ქალაქში, ასევე სოფლებშიც. "იმას, რასაც ლუთერი და მისი მეგობრები წერდნენ, სხვები ავრცელებდნენ. თავიანთი მონასტრული ცხოვრების

უაზრობაში დარწმუნებული და ხანგრძლივი უსაქმური ცხოვრებით მობეზრებული ბერები შრომას შეუდგნენ, მაგრამ ღვთის სიტყვის უცოდინარობის გამო ქადაგება არ შეეძლოთ და ღმერთს იმით ემსახურებოდნენ, რომ დადიოდნენ ქალაქებსა და სოფლებში და ლუთერისა და მისი მეგობრების წიგნებს ყიდიდნენ. მალე მთელ გერმანიას მოედო წიგნების ასეთი მამაცი და შრომისმოყვარე დამტარებლები."

ეს ნაშრომები დიდ ინტერესს იწვევდა მდიდრებშიც და ღარიბებშიც, სწავლულებშიც და უსწავლელებშიც, ღამღამობით სოფლის მასწავლებლები სახარებას უკითხავდნენ ბუხართან შეკრებილ

მსმენელთა მცირე ჯგუფებს და ისინიც, ჭეშმარიტებაში დარწმუნებულნი, თავის მხრივ სხვებს უზიარებდნენ იქ მოსმენილ სიხარულისა და იმედის მომტან სიტყვას.

ალსრულდა წმიდა წერილის სიტყვები: "საწყისი შენი სიტყვებისა ანათებს, შთააგონებს გულუბრყვილოებს" (ფს. 118:130). ბიბლიის შესწავლამ დიდი ცვლილება მოახდინა იმ ადამიანთა გონებასა და გულში, რომლებიც ამდენი ხნის განმავლობაში პაპის ბატონობის რკინის ბორკილებში იმყოფებოდნენ, როცა მორწმუნეები შიშით ასრულებდნენ ყველა რიტუალს, რაც სრულებით არ ეკარებოდა მათ სულს. ღვთის

სიტყვის ნათელი ჭეშმარიტებანი, რომელთაც ლუთერი ქადაგებდა, მერე კი თვით სიტყვა, რომელიც ხალხს უკვე ხელთ ჰქონდა, ალვიძებდა მთვლემარე ძალებს და არა თუ მხოლოდ აკეთილშობილებდა და მხნეობას მატებდა ადამიანის სულიერ ბუნებას, არამედ მის გონებრივ განვითარებასაც უწყობდა ხელს.

ყველგან შეხვდებოდით სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთ ბიბლიით ხელში, რომლებიც რეფორმაციის მონაპოვარს იცავდნენ. პაპისტები, რომლებიც თავის დროზე ბიბლიის წაკითხვის უფლებას მხოლოდ მღვდლებს აძლევდნენ, ახლა დაჟინებით მოითხოვდნენ მათგან ახალი მოძღვრების უარყოფას,

მაგრამ კათოლიკე მღვდლის მსახურებმა, რომელნიც წმიდა წერილში სრულიად უმეცარნი და უვიცნი იყვნენ, დამარცხება იგემეს ეგრეთ წოდებული "ერეტიკოსებისა" და "უმეცართაგან". "სამწუხაროდ, - ამბობდა ერთი კათოლიკე მწერალი, - ლუთერმა თავის მიმდევრებს შთააგონა, არაფერს ენდონ წმიდა წერილის გარდა". უამრავი ადამიანი იკრიბებოდა ამ მცირედ განსწავლული ხალხის მოსასმენად, რომლებიც სწავლულებთან დისპუტებში წარმატებით იცავდნენ ჭეშმარიტებას. და ამ წარჩინებულთა უმეცრება უფრო ნათელი ხდებოდა, როდესაც მათი არგუმენტები ეხლებოდა ღვთის სიტყვის უბრალო ჭეშმარიტებას. უბრალო ხელოსნები,

ჯარისკაცები, ქალები და ბავშვები უფრო კარგად იცნობდნენ ბიბლიურ მოძღვრებას, ვიდრე მღვდლები და ღვთისმეტყველნი.

არანაკლებ საგრძნობი განსხვავება იყო სახარების მოწაფეთა და პაპის ცრუმორწმუნე მიმდევართა შორის, როგორც სწავლულებში, ასევე უბრალო ადამიანებში. "იერარქიის ძველ დამცველებს, რომლებმაც არ იცოდნენ ენები და ლიტერატურა, დაუპირისპირდა კეთილშობილი ახალგაზრდობა, რომელიც წერილის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლასთან ერთად ეცნობოდა უძველეს კლასიკურ შედევრებს. ცოცხალი გონების მქონე ამ მამაცმა და სულიერად ამაღლებულმა ახალგაზრდობამ სულ მალე ისეთი

ცოდნა შეიძინა, რომ დიდხანს ვერავინ დაუდო ტოლი... რეფორმაციის დამცველნი კათოლიკე ღვთისმეტყველებთან შეხვედრისას ისე ადვილად და დამაჯერებლად უმტკიცებდნენ მათი არგუმენტების უსუსურობას, რომ ჩიხში ამწყვდევდნენ და სრულიად ამარცხებდნენ მათ".

როდესაც კათოლიკე მღვდლებმა დაინახეს, რომ მათ ეკლესიაში მრევლი შემცირდა, დახმარებისათვის საერო ხელისუფლებას მიმართეს, რათა ყოველ მიზეზგარეშე დაებრუნებინათ "დაკარგული ცხვრები". მაგრამ ხალხმა ახალ მოძღვრებაში ჰპოვა სულის საზრდო და ზურგი აქცია მათ, ვინც თავისი ცრუ სარწმუნოებითა და ადამიანური

ტრადიციების უვარგისი ნარჩენებით კვებავდა.

როდესაც ჭეშმარიტების მქადაგებელთა უსასტიკესი დევნა დაიწყო, ქრისტეს ერთგულებმა თავიანთი უზენაესი მოძღვრების სიტყვები გაიხსენეს: "როცა ერთ ქალაქში დევნას დაგიწყებენ, მეორისაკენ გაიქეცით, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ; ვერ მოასწრებთ ისრაელის ქალაქების შემოვლას, რომ კაცის ძეც მოვა" (მათ. 10:23). ჭეშმარიტების ნათელი სხივი ყველგან იჭრებოდა. დევნილი მორწმუნეები რომელიმე სტუმართმოყვარე მასპინძლის სახლში პოულობდნენ თავშესაფარს და იესო ქრისტეს შესახებ ქადაგებდნენ. შეძლებისდაგვარად

ქადაგებდნენ ეკლესიებშიც, მაგრამ როდესაც ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ, ქადაგებდნენ სახლებში, მინდვრებში ან ტყეებში. მათთვის ნებისმიერი ადგილი წმიდა ტაძარი იყო, თუნდაც იქ ერთი მსმენელი ყოფილიყო. და ასეთი ენერგიითა და მონდომებით ნაუწყებ ჭეშმარიტებას საზღვრები არ ჰქონდა.

ამაო გამოდგა საპყრობილეები, წამება, კოცონი და მახვილი. უფლის ათასობით ერთგული შვილი მსხვერპლად ეწირებოდა ჭეშმარიტებას, რომელიც განუხრელად ვრცელდებოდა. და ჭეშმარიტების ფანატიზმთან შეერთების სატანისეული მცდელობა იმით დამთავრდა, რომ სატანის საქმე

და უფლის საქმე უფრო
თვალნათლივ გაემიჯნა ერთმანეთს.

თავი 11 დიდგვაროვანთა პროტესტი

რეფორმაციის მხარდამჭერი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აქცია იყო გერმანიის ქრისტიან მთავართა პროტესტი სახელმწიფო სეიმზე შპეიერში 1529 წელს. ამ ღვთისშვილთა სიმამაცე, რწმენა და სიმტკიცე სინდისისა და სიტყვის თავისუფლების მოპოვების საწინდარი იყო მომავალ

საუკუნეთათვის. ამ პროტესტის გამო რეფორმატორთა ეკლესიას ეწოდა პროტესტანტული, რადგან მისი პრინციპები სწორედაც რომ "პროტესტანტულია".

რეფორმაციას პირქუში და სასტიკი დღეები დაუდგა. ვორმსის ედიქტის მიუხედავად, რომელმაც ლუთერი კანონგარეშედ გამოაცხადა და მისი ნაშრომები აკრძალა, ქვეყანამ მაინც რელიგიური შემწყნარებლობა გამოამჟღავნა მის მიმართ. ყოვლისმჭვრეტელი ღმერთი აკავებდა ჭეშმარიტებასთან მებრძოლ ძალებს. კარლოს V, რეფორმაციისათვის გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა, მაგრამ იძულებული იყო, უკან დაეხია. ხშირად

უცილობელი სიკვდილი ელოდა რომის მამაც მოწინაალმდეგებს, მაგრამ ყველაზე კრიტიკულ მომენტში, ალმოსავლეთ საზღვრებზე, გამოჩნდებოდა თურქეთის ჯარი ან საფრანგეთის მეფე, ან თვით პაპი, რომელიც შურის თვალით უცქერდა იმპერატორის მზარდ ძლიერებას და იწყებოდა ომი... და ამგვარ შულლსა და მღელვარებაში რეფორმაცია განაგრძობდა ძალების მოკრებასა და გაფართოებას.

და ბოლოს, პაპისტებმა შეწყვიტეს ერთმანეთში მტრობა და გაერთიანდნენ რეფორმატორთა წინაალმდეგ საბრძოლველად. სახელმწიფო სეიმმა, რომელიც 1526 წელს შპეიერში შეიკრიბა, გერმანიის მთელ ტერიტორიაზე გამოაცხადა

რელიგიის თავისუფლება მსოფლიო კრების მოწვევამდე, მაგრამ როგორც კი საშიშროებამ, რომელმაც ისინი აიძულა, ამ დათმობაზე წასულიყვნენ, ჩაიარა, იმპერატორმა 1529 წელს მეორე სეიმი მოიწვია ერეტიკოსთა წინაალმდეგ, სადაც გადაწყდა, რომ მთავრები რეფორმაციის წინაალმდეგ მშვიდობიანი გზით იბრძოლებდნენ, მაგრამ მარცხის შემთხვევაში კარლოს V, მიემართა.

ზეიმობდნენ პაპის მესვეურები. ისინი უმრავლესობას წარმოადგენდნენ შპეიერის სეიმზე და რეფორმატორთა და მათ მფარველთა მიმართ თავიანთ მტრულ განწყობას არც მალავდნენ.

მელანქტონი წერდა: "ჩვენ ამ წუთისფლის მიერ დაწყევლილი და მოძულებული გავხდით, მაგრამ უფალი შეგვიწყალებს. იგი გადაარჩენს თავის ერთგულთ". სეიმზე ჩამოსულ პროტესტანტ მთავრებს აკრძალული ჰქონდათ ქადაგება იმ სახლებშიც კი, სადაც ისინი დროებით ცხოვრობდნენ. მაგრამ შპეიერის მცხოვრებთ სწყუროდათ ღვთის სიტყვის მოსმენა და აკრძალვის მიუხედავად, ათასობით ადამიანი მოდიოდა ღვთისმსახურებაზე, რომელიც საქსონიის მმართველის სამლოცველოში ტარდებოდა.

ამან დააჩქარა კრიზისი. იმპერატორმა სეიმისაგან მოითხოვა რელიგიის თავისუფლების შესახებ

ბრძანებულების გაუქმება და განაცხადა, რომ სწორედ იგი გახდა მრავალრიცხოვან უწესრიგობათა მიზეზი. ამ თვითნებობამ ქრისტიან პროტესტანტებში დიდი ალშფოთება და შიში გამოიწვია. ერთ-ერთმა მათგანმა ალნიშნა: "ქრისტე კვლავ კაიაფასა და პილატეს ხელში ალმოჩნდა". რომის სამღვდელოება სულ უფრო აგრესიული ხდებოდა. პაპის მომხრე ერთმა ფანატიკოსმა თქვა: "თურქები ლუთერანებზე უკეთესი არიან, რადგან ისინი მარხულობენ, ლუთერანები კი არა. თუკი ჩვენ უნდა მოვახდინოთ არჩევანი ღვთის სიტყვასა და ეკლესიას შორის, მაშინ უნდა უარვყოთ პირველი". მელანქტონი ფაბერის შესახებ წერდა: "იგი

ყოველდღე ქვებს გვესვრის ჩვენ, სახარების მაცნეებს".

რელიგიური შემწყნარებლობა კანონით იყო დამტკიცებული და პროტესტანტმა მთავრებმა გადაწყვიტეს ებრძოლათ თავიანთ უფლებათა ასეთი დარღვევების წინააღმდეგ. ვორმსის ედიქტის თანახმად, ლუთერი კვლავ კანონგარეშედ იყო გამოცხადებული და არ ჰქონდა სეიმზე დასწრების უფლება, მაგრამ მის ნაცვლად წავიდნენ მისი თანამოაზრეები და მთავრები, რომელთაც უფალმა შთააგონა, მისი საქმე სიტყვით დაეცვათ სეიმზე. კეთილშობილი ფრიდრიხ საქსონელი, ლუთერის ძველი მფარველი, უკვე გარდაცვლილი იყო. მისი ტახტი

დაიკავა მისმა ძმამ იოჰანმა, რომელიც რეფორმაციის მომხრე იყო, და ამ მშვიდობის მოსურნე უშიშარმა და მამაცმა ადამიანმა მთელი ძალ-ღონე შეალია რწმენის საქმეს.

სამღვდელოება მოითხოვდა, რომ რეფორმაციის მომხრე მთავრები უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ რომის მართლმსაჯულებას. რეფორმატორებს კი ადრე გამოცხადებული რელიგიის თავისუფლების მიღება სურდათ. მათ არ შეეძლოთ იმაზე ფიქრიც კი, რომ სახელმწიფო, რომელმაც ასეთი დიდი სიყვარულით მიიღო ღვთის სიტყვა, კვლავ რომის ძალაუფლების გავლენის ქვეშ მოქცეულიყო.

ბოლოს და ბოლოს შემოთავაზებული იქნა კომპრომისი.

"იქ, სადაც რეფორმაციას ჯერ კიდევ არ გაედგა ფესვი, ვორმსის ედიქტი ძალაში დარჩეს, ხოლო იქ, სადაც ხალხი არ დაემორჩილა მას და ამბოხების საშიშროება არსებობს, არ ჩატარდეს არავითარი რეფორმა და არ შეეხონ ქადაგებაში საკამათო საკითხებს; არ მოხდეს მესის აკრძალვა და კათოლიკეებს არ მიეცეს ლუთერანობის მიღების უფლება". პაპის სამღვდელოებისა და პრელატთა სასიხარულოდ, ეს წინადადება სეიმმა მოიწონა.

    აქ მიღებული გადაწყვეტილება ცხოვრებაში რომ გატარებულიყო, "რეფორმაცია ვერ გავრცელდებოდა... ახალ-ახალ ადგილებში და ფეხს ვერ მოიკიდებდა იქ, სადაც უკვე არსებობდა. რა თქმა უნდა, სიტყვის

თავისუფლება აიკრძალებოდა და ჭეშმარიტი რწმენის დამკვიდრება შეუძლებელი გახდებოდა. რეფორმაციის მომხრეებისაგან მოითხოვდნენ ამ აკრძალვებისა და შეზღუდვების უსიტყვო და დაუყოვნებლივ აღსრულებას. მშვიდობის იმედი თითქმის აღარ არსებობდა". "რომის იერარქიის აღდგენას უცილობლად მოჰყვებოდა მათი ძველ ბოროტმოქმედებათა კვლავ აღორძინება" და სულ მალე მიეცემოდათ შესაძლებლობა "მოძრაობის სრული განადგურებისათვის, რომელიც ისედაც შერყეული იყო" ფანატიზმითა და შინა ბრძოლებით.

სათათბიროდ შეკრებილი პროტესტანტული პარტიის

წარმომადგენლები სასოწარკვეთილებაში და საგონებელში ჩავარდნენ. ყველას ერთი აზრი აწუხებდა: "რა გავაკეთოთ?" ამ კითხვაზე პასუხს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მსოფლიოსთვის. მიიღებენ თუ არა ამ ახალ დადგენილებას რეფორმაციის ხელმძღვანელები? ამ გადამწყვეტ წუთებში რა ადვილი იყო საკუთარი თავის დარწმუნება არასწორი პოზიციის მიღების აუცილებლობაში! რამდენ გასასამართლებელ მიზეზსა და სამართლიან დასკვნას იპოვიდნენ ისინი იმისათვის, რომ გაემართლებინათ რომისადმი თავისი მორჩილება! ლუთერან მთავრებს აძლევდნენ რწმენის თავისუფლების

გარანტიას. ასეთი უფლება ექნებოდათ მათაც, ვინც ბრძანებულების გამოსვლამდე უკვე იყო რეფორმაციის მხარეზე. განა ეს საკმარისი არ იყო? რამდენ ხიფათს გადაურჩებიან ისინი, თუკი ამ ახალ ბრძანებას დაემორჩილებიან! და მომავალში რა წარმოუდგენელი საშიშროების ქარიშხალი ელით დაუმორჩილებლობის შემთხვევაში! "იქნებ მომავალში უფრო ხელსაყრელი პირობები და შესაძლებლობები გამოჩნდეს? მოდით, მშვიდობა ვარჩიოთ: მივილოთ რომის გამოწვდილი ზეთისხილის ტოტი და მოვაშუშოთ გერმანიის ჭრილობები". ამგვარი მსჯელობებით შეეძლოთ რეფორმატორებს გაემართლებინათ

ამ კომპრომისული წინადადების მიღება, რომელიც სულ ცოტა ხანში მათ მოძრაობას განადგურებამდე მიიყვანდა.

"საბედნიეროდ, მათ მოქმედებებს ხელმძღვანელობდა ღრმა რწმენა. სერიოზული ყურადღება დაუთმეს იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც ამ შემოთავაზებულ წინადადებას ედო საფუძვლად. რაში მდგომარეობდა იგი? ეს მისცემდა რომს სინდისისა და სიტყვის თავისუფლების აღკვეთის უფლებას. მაგრამ განა პირადად მათ და მათ მომხრეებს არ ეძლეოდათ რწმენის აღიარების თავისუფლება? დიახ, მაგრამ ეს იყო მოწყალება, რომელიც ამ წინადადებით იყო განპირობებული და არა - უფლება. ხოლო რაც შეეხება სხვა რამეს,

რომელიც მოლაპარაკების მიღმა დარჩა, იქ კვლავინდებურად ირღვეოდა სინდისის თავისუფლება და არსებობდა ხელისუფლების კულტი, რომი კვლავ რჩებოდა უცოდველი მსაჯულის როლში, რომელსაც ყველა უნდა დამორჩილებოდა. ამ შეთანხმების მიღება ნიშნავდა იმას, რომ რელიგიის თავისუფლება დაიშვებოდა მხოლოდ პროტესტანტულ საქსონიაში, ხოლო დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროში აზრის თავისუფლება და რეფორმაციის მხარდაჭერა გამოცხადდებოდა დანაშაულად, რასაც საპყრობილე და კოცონი მოჰყვებოდა. განა შეეძლოთ მათ თანხმობა განეცხადებინათ მკაცრი

ჩარჩოებით შემოფარგლულ
რელიგიურ თავისუფლებაზე და ამით
ეთქვათ, რომ ყველას უკვე მიღებული
აქვს ჭეშმარიტი რწმენა? შეეძლოთ კი
მათ იმის დაშვება, რომ იმ ვრცელ
ტერიტორიებზე, საითაც კი რომს
ხელი მიუწვდებოდა, მისი ბატონობა
მარადიულად დაკანონებულიყო და
უკვდავყოფილიყო? შეეძლოთ კი
რეფორმატორებს არ ეგრძნოთ თავი
დამნაშავედ იმ ათასობით ადამიანის
დალუპვაში, რომლებიც ამ
კომპრომისის შედეგად
დაკარგავდნენ თავის სიცოცხლეს
პაპის სამფლობელოებში? ეს
სახარებისა და ქრისტიანთა
თავისუფლების ღალატს უდრიდა
ყველაზე კრიტიკულ მომენტში". არა,
უმჯობესი იყო "მათ მსხვერპლად

გაელოთ ყველაფერი: თავიანთი თანამდებობა, ქონება და თვით სიცოცხლეც კი".

"ჩვენ არ ვლებულობთ ამ დადგენილებას, - განაცხადეს მთავრებმა. - იმ საკითხებში, რომელიც სინდისს ეხება, უმრავლესობის აზრს ძალა არა აქვს". დეპუტატებმა განაცხადეს: "იმპერიაში დამყარებული მშვიდობა 1526 წლის დეკრეტის შედეგია. ამ დეკრეტის გაუქმება გერმანიაში შფოთსა და მღელვარებას გამოიწვევს. სეიმს სხვა გამოსავალი არა აქვს, გარდა იმისა, რომ მხარი დაუჭიროს რელიგიის თავისუფლებას მსოფლიო კრების მოწვევამდე". სინდისის თავისუფლების დაცვა -

სახელმწიფოს ვალია, აქაა მისი უფლებამოსილების ზღვარი რელიგიურ საქმეებში. ყოველი ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფო კანონებით ცდილობს სულიერი ცხოვრების მართვას, სწორედ იმ პრინციპებს უგულვებელყოფს, რისთვისაც ასე თავდადებით იბრძოდნენ ქრისტიანი პროტესტანტები.

პაპისტებმა გადაწყვიტეს ამ "თავხედური სიჯიუტის", როგორც ისინი მას უწოდებდნენ, ჩახშობა. ისინი შეეცადნენ რეფორმაციის დამცველთა შორის განხეთქილების ჩამოგდებას და აშინებდნენ მათ, ვინც მხარს არ დაუჭერდა პაპის მესვეურებს. საბოლოოდ, სეიმმა მოიწვია თავისუფალ ქალაქთა

წარმომადგენლები და მათგან პირდაპირი პასუხი მოითხოვა: თანახმა არიან თუ არა შემოთავაზებულ პირობებზე? ისინი შეყოყმანდნენ, მაგრამ ქალაქის დეპუტატთა თითქმის ნახევარი რეფორმატორთა მხარეზე იყო. სინდისის და სიტყვის თავისუფლების მომხრეებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ ელით ცილისწამება, მსჯავრი და დევნა. ერთ-ერთმა დელეგატმა თქვა: "ჩვენ ან უნდა უარვყოთ ღვთის სიტყვა, ან კოცონზე დავიღუპოთ".

იმპერატორის წარმომადგენელი სეიმზე მეფე ფერნანდელი ხედავდა ამ დადგენილებით გამოწვეულ სერიოზულ უთანხმოებას, რომელსაც აუცილებლად ექნებოდა ადგილი იმ

შემთხვევაში, თუკი ისინი მოტყუებით ვერ აიძულებენ მთავრებს მის მილებასა და მხარდაჭერას. ამიტომ მან მთელი თავისი ოსტატობა გამოიყენა მათ დასარწმუნებლად, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ ძალადობა მათ გადაწყვეტილებებს უფრო განამტკიცებდა. იგი "სთხოვდა მთავრებს, მიელოთ ეს დადგენილება, რითაც იმპერატორს ძალზე გაახარებენ". მაგრამ უფლის ეს ერთგული ადამიანები ემორჩილებოდნენ მხოლოდ იმის ძალაუფლებას, ვინც ყველა მიწიერ მეფეზე მალალია და მშვიდად უპასუხეს: "ჩვენ იმპერატორს ვემორჩილებით ყველაფერში, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მშვიდობის

შენარჩუნებას და უფლის განდიდებას".

ბოლოს, მეფემ მთელი სეიმის წინაშე კურფიურსტსა და მის მომხრეებს განუცხადა, რომ "მალე ეს ედიქტი გამოვა იმპერატორის ბრძანებულების სახით და მათ ისღა დარჩენიათ, რომ უმრავლესობას დაემორჩილონ". თქვა და მაშინვე დატოვა კრება, რითაც რეფორმატორებს მსჯელობის და პასუხის არავითარი შესაძლებლობა ალარ მისცა. "ამაოდ გაგზავნეს მასთან დელეგაცია თხოვნით, დაბრუნებულიყო", ის კი ყველა მათ თხოვნაზე ასე პასუხობდა: "საქმე გადაწყვეტილია და თქვენ უნდა დამორჩილდეთ".

იმპერატორის მომხრეებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ქრისტიანი მთავრები კვლავაც ყველა მოძღვრებაზე და მოთხოვნაზე მაღლა წმიდა წერილის ავტორიტეტს დააყენებდნენ. მათ ისიც იცოდნენ, რომ მათი ამ პრინციპების გამო პაპი, საბოლოო ჯამში, ყოველთვის მარცხდებოდა, მაგრამ მრავალ თანამედროვეთა მსგავსად, "მხოლოდ ხილულის მაცქერალნი" თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ პაპისა და იმპერატორის მომხრეები რეფორმატორებზე უფრო ძლიერი არიან. რა თქმა უნდა, რეფორმატორებს მხოლოდ ხალხის დახმარების იმედი რომ ჰქონოდათ, მაშინ ისინიც ისეთივე უძლური იქნებოდნენ, როგორც მათი მტრები

ფიქრობდნენ მათზე. მაგრამ, მიუხედავად მცირერიცხოვნებისა და რომთან ცუდი დამოკიდებულებისა, ისინი ძლიერი იყვნენ. მათ "სეიმის გადაწყვეტილების შემდეგ ღვთის სიტყვას მიმართეს და იმპერატორ კარლოსის შემდეგ - იესო ქრისტეს, მეფეთ მეფესა და უფალთ უფალს".

რადგან მეფე ფერნდინანდმა უარი განაცხადა მათ მოსმენაზე, მთავრებმა გადაწყვიტეს, დაუყოვნებლივ წარედგინათ პროტესტი სახელმწიფოს საბჭოზე განსახილველად, მიუხედავად იმისა, რომ მეფე მას არ ესწრებოდა. მათ საზეიმო დეკლარაცია შეადგინეს და სეიმს წარუდგინეს.

"ჩვენი ღმერთის, ერთადერთი შემოქმედის, ჩვენი გამომსყიდველის,

ჩვენი დამცველისა და მხსნელის წინაშე, რომელიც სამსჯავროს დღეს ყველას განიკითხავს. და აგრეთვე, ყველა ადამიანის წინაშე საზეიმოდ ვაცხადებთ, რომ არც ჩვენ და არც ჩვენი ხალხი არ ვეთანხმებით დადგენილების არც ერთ პუნქტს, რომელიც ჩვენს ღმერთს, მის წმიდა სიტყვას, ჩვენს სუფთა სინდისსა და ჩვენი სულების გადარჩენას ეწინააღმდეგება.

როგორ შეგვიძლია მივილოთ ეს დადგენილება?! ვინ დაეთანხმება იმას, რომ როდესაც ყოვლისშემძლე ღმერთი ყოველ ჩვენგანს მოუწოდებს თავისი სიტყვის შემეცნებისაკენ, ადამიანს უფლის შეცნობის ყოველგვარი უფლება აქვს წართმეული? ჭეშმარიტად და

სწორად შეიძლება ჩაითვალოს ის სწავლება, რომელიც ღვთის სიტყვას ეთანხმება. უფალი გვიკრძალავს სხვა რამის სწავლას... წმიდა წიგნი, რომელიც ასე სჭირდებათ ქრისტიანებს, ადვილად შეიმეცნება და მოცემულია წყვდიადის გასაფანტავად. ღვთის მადლით, ჩვენ ვლებულობთ გადაწყვეტილებას, ვიქადაგოთ მისი ჭეშმარიტი სიტყვა, რომელსაც ძველი და ახალი აღთქმა წარმოადგენს და არაფერი მივამატოთ მას, რაც უფლის ნებას ეწინააღმდეგება. მისი სიტყვა - ერთადერთი ჭეშმარიტებაა, ცხოვრების საიმედო წესი და ყველა მოძღვრების საფუძველი; იგი არასოდეს გვიღალატებს და არ მოგვატყუებს. ის, ვინც ამ

საფუძველზე დგას, გაუმკლავდება ჯოჯოხეთის ყველა ძალას, ხოლო ნებისმიერი მისი საწინააღმდეგო ადამიანური პატივმოყვარეობა არაფერია ღვთის სახის წინაშე.

სწორედ ამ მიზეზით გვინდა მოვიშოროთ ულელი, რომელიც მძიმე ტვირთად გვაწევს. ამავე დროს ვიმედოვნებთ, რომ მისი უმაღლესობა იმპერატორი შეისმენს ჩვენს თხოვნას ისე, როგორც შეეფერება ქრისტიანს, რომლისთვისაც უმაღლესი ავტორიტეტი მხოლოდ ღმერთია; და ჩვენ კი მისი უდიდებულესობის, აგრეთვე თქვენს წინაშე, მოწყალეო ხელმწიფენო, ვაცხადებთ ჩვენს მორჩილებასა და სიყვარულს, რადგანაც ეს ჩვენი პირდაპირი და კანონიერი მოვალეობაა."

ამ მიმართვამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა სეიმზე. პროტესტის განმცხადებელთა გაბედულებამ ბევრი მათგანი გააოცა და შეაშფოთა. მათ თვალწინ წარმოუდგათ მომავლის სასტიკი და საშინელი სურათი. უთანხმოება, მტრობა და სისხლისღვრა გარდაუვალი იყო. მაგრამ თავიანთი საქმის სამართლიანობაში დარწმუნებული რეფორმატორები ყოვლადძლიერის იმედით "სიმამაცითა და სიმტკიცით ალივსნენ".

ამ საზეიმო პროტესტში ჩამოყალიბებული პრინციპები პროტესტანტიზმის ძირითად არსს გამოხატავდა. ეს პროტესტი მიმართული იყო რწმენის საკითხში ორი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ:

ადამიანის სულიერ ცხოვრებაში საერო ხელისუფლების ჩარევისა და სამღვდელოების თავნებობის წინააღმდეგ. პროტესტანტიზმი ამტკიცებდა სინდისის უპირატესობას საერო ხელისუფლებაზე და ღვთის სიტყვის უპირატესობას ეკლესიის ავტორიტეტზე. საერო ხელისუფლების რელიგიურ საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ მებრძოლი პროტესტანტები მოციქულებთან ერთად ამბობდნენ: "ჩვენ მეტად უნდა ვუსმინოთ ღმერთს, ვიდრე ადამიანს". პროტესტანტებს არ აინტერესებდათ კარლოს V, ქრისტეს სასუფევლისაკენ ისწრაფოდნენ. "ადამიანის მიერ შექმნილი ყოველგვარი მოძღვრება

უნდა ექვემდებარებოდეს უფლის ჭეშმარიტებისადმი მსახურებას". პროტესტანტებმა აგრეთვე მოითხოვეს თავიანთი რელიგიური მრწამსის საჯაროდ აღიარების უფლება. მათ სურდათ, არა მარტო ერწმუნათ და აღესრულებინათ უფლის ნება, არამედ ექადაგათ ღვთის სიტყვა ისე, რომ ამ საქმეში არ ჩარეულიყვნენ მღვდლები და ხელისუფალნი. შპეიერის პროტესტი, რომელიც საზეიმო მოწოდება იყო რელიგიის დათრგუნვის წინააღმდეგ, ყოველი ადამიანის საკუთარი სინდისის მიხედვით ღვთისმსახურების უფლებას ამტკიცებდა.

პროტესტი გამოქვეყნდა. იგი დარჩა ათასობით ადამიანის მეხსიერებაში.

იგი შეტანილია ზეციურ წიგნებში, რომელსაც ვერავითარი ხელი ვერ წაშლის. მთელმა პროტესტანტულმა გერმანიამ მხარი დაუჭირა ამ პროტესტს, როგორც თავისი რწმენის გამოხატულებას. ხალხი ამ დეკლარაციაში თავისი ცხოვრების ახალი და ნათელი მომავლის დასაწყისს ხედავდა. ერთ-ერთმა მთავარმა შპეიერში პროტესტანტებს განუცხადა: "დაე, ყოვლისშემძლე ღმერთმა, რომლის წყალობითაც თქვენ შეგიძლიათ ასე ენერგიულად, თავისუფლად და უშიშრად ალიაროთ საკუთარი რწმენა, დაიფაროს თქვენი ქრისტიანული სიმტკიცე ქრისტეს მოსვლამდე".

განსაზღვრული წარმატებების მოპოვების შემდეგ რეფორმაცია

მსოფლიოს პატივისცემის მოსაპოვებლად დროისა და მდგომარეობის პირობებს რომ შეგუებოდა, მაშინ ის ღმერთისა და საკუთარი იდეების მოღალატე გახდებოდა და თავს დაილუპავდა. ამ კეთილშობილ რეფორმატორთა გამოცდილება გაკვეთილია ყველა მომავალი თაობისათვის. საშუალებანი, რასაც სატანა ღმერთისა და მისი სიტყვის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებს, არ შეცვლილა. იგი ისევე, როგორც საუკუნეში, დღესაც სასტიკად იბრძვის იმის წინააღმდეგ, რომ ადამიანმა თავის ცხოვრებაში არ იხელმძღვანელოს წმიდა წერილით. ჩვენს დროშიც მნიშვნელოვანი გადახრები ხდება წმიდა წერილის

უდიდესი პროტესტანტული პრინციპიდან და იგრძნობა ბიბლიისაკენ დაბრუნების სერიოზული საჭიროება. ბიბლია და მხოლოდ ბიბლიაა რწმენისა და მოვალეობის ერთადერთი საზომი. სატანა კვლავ განაგრძობს თავისი საქმის კეთებას და ყველა საშუალებას ხმარობს რელიგიის თავისუფლების გასანადგურებლად. ერთ დროს შპეიერის პროტესტანთა მიერ უარყოფილი ანტიქრისტიანული ძალაუფლება ამჟამად ახალი ძალებით ცდილობს დაკარგული ბატონობის აღდგენას. და დღევანდელ პროტესტანტთა ერთადერთი იმედი - ღვთის სიტყვისადმი ერთგულებაა, რომლითაც რეფორმატორებმა

როდესაც პროტესტანტებს ხიფათი დაემუქრა, ყოვლისშემძლე უფალმა თავის ერთგულ შვილთ თავისი მფარველი და ყოვლისშემძლე დახმარების ხელი გაუწოდა. აი, ამის ერთ-ერთი მაგალითი: მელანქტონი თავის მეგობარ, სიმონ გრენაუსთან ერთად მიიჩქაროდა შპეიერის ქუჩებით. იგი მეგობარსაც აჩქარებდა რეინის მეორე ნაპირზე გადასასვლელად. სიმონს ძალიან უკვირდა მისი ასეთი აჩქარება. "მე გამომეცხადა დიდებული ჭალარათმიანი მოხუცი, - უპასუხა მელანქტონმა, - და მამცნო, რომ უახლოეს ხანში ფერდინანდი

გასცემს ბრძანებას გრენაუსის დაპატიმრების შესახებ".

დღისით პაპის ცნობილი ღვთისმეტყველი ფაბერი გამოვიდა ქადაგებით, რომელშიც იერიში მიიტანა გრენაუსზე. გრენაუსმა თავისი აღშფოთება იმით გამოხატა, რომ განაცხადა: "ფაბერი იცავს საძაგელ სიცრუეს". ფაბერმა იქ თავი შეიკავა, მაგრამ სასწრაფოდ გაემართა ფერდინანდისაკენ და თანხმობა მიიღო ამ "მომაბეზრებელი ჰაიდელბერგელი პროფესორის" შეპყრობაზე. მელანქტონს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ღმერთმა მას თავისი ანგელოზი გამოუგზავნა მეგობრის გადასარჩენად.

იგი დიდხანს იდგა რეინის სანაპიროზე და ელოდა, სანამ

გრენაუსს მეორე ნაპირზე გადაიყვანდნენ. მადლობა ღმერთს, - თავისუფლად ამოისუნთქა მელანქტონმა, როდესაც გრენაუსმა მდინარის მეორე ნაპირს ფეხი დაადგა, - იგი გადაურჩა მათ მძვინვარებას, ვისაც მისი უდანაშაულო სისხლის დაღვრა სურდა”. შინ დაბრუნებისას მელანქტონს აცნობეს, რომ გრენაუსის ძებნაში ოფიცრებმა მთელი სახლი ყირაზე დააყენეს.

რეფორმაციის ავტორიტეტი უნდა ამაღლებულიყო ამა სოფლის ძლიერთა წინაშე. ფერდინანდმა უარი განაცხადა პროტესტანტთა მოსმენაზე, მაგრამ მათ შესაძლებლობა მიეცათ, თავიანთი პრობლემების შესახებ ხმამაღლა

განეცხადებინათ იმპერატორის, სახელმწიფო მოხელეთა და უმაღლეს სასულიერო პირთა წინაშე. იმპერიაში არსებულ მტანჯველ უთანხმოებათა მოსპობის მოსურნე კარლოს V ერთი წლის შემდეგ მოიწვია სეიმი აუგსბურგში და მასზე თავმჯდომარეობის სურვილი გამოთქვა; ამ სეიმზე პროტესტანტთა ხელმძღვანელებიც მოიწვიეს.

რეფორმაციას კვლავ უდიდესი საფრთხე დაემუქრა, მაგრამ მის ერთგულ მსახურთ უფლის იმედი ჰქონდათ და სახარების ერთგულების ფიცი დადეს. საქსონიის მეფის ახლობლები ურჩევდნენ ლუთერს, არ გამოჩენილიყო სეიმზე. "იმპერატორს მთავართა მოტყუება სურს, -

ამბობდნენ ისინი, - ქალაქში ასეთ ძლიერ მტერთან პირისპირ ყოფნა მეტად სარისკო საქმეა". მაგრამ სხვა კეთილშობილი მთავრები აცხადებდნენ: "მთავარია, არ შევშინდეთ, და ღმერთის საქმეც გადარჩება". "უფალი არ მიგვატოვებს," - თქვა ლუთერმა. ფრიდრიხ საქსონელი თავისი ამალით აუგსბურგს გაემგზავრა. ყველასთვის ცნობილი იყო, თუ რა ხიფათი ელოდა მას და მწუხარებით გულდამძიმებულნი აცილებდნენ. მაგრამ ლუთერი, რომელმაც კობურგამდე მიაცილა იგი, საგალობლების მღერით ეხმარებოდა რწმენის განმტკიცებაში. საგალობელს, რომელიც მათ გამგზავრებასთან დაკავშირებით იყო

დაწერილი, ეწოდებოდა "უფალი - ჩვენი სიმაგრეა". ამ შთამაგონებელმა ფსალმუნმა მგზავრებს საშიშროების მძიმე წინათგრძნობა შეუმსუბუქა.

რეფორმაციის მომხრე მთავრებმა გადაწყვიტეს თავიანთი თვალსაზრისის ქალალდზე ჩამოყალიბება, მისი განმტკიცება წმიდა წერილიდან ამოღებული სიტყვებით და ამგვარი დოკუმენტის წარდგენა სეიმის წინაშე. მისი შედგენა დაევალათ ლუთერს, მელანქტონსა და მათ თანაშემწეებს. პროტესტანტთა რწმენის ასეთი ალიარება მიღებული იქნა, როგორც მათი რწმენის სიმბოლო და ისინი შეიკრიბნენ, რათა ყველას მოეწერა ხელი ამ მნიშვნელოვან დოკუმენტზე.

რა საზეიმო და საპასუხისმგებლო მომენტი იყო!

რეფორმატორები ცდილობდნენ, შორს მდგარიყვნენ პოლიტიკისაგან, რადგან მშვენივრად ესმოდათ, რომ რეფორმაცია არ უნდა იყოს სხვა რაიმეზე დამოკიდებული, გარდა ღვთის სიტყვისა. როდესაც პროტესტანტი მთავრები ხელის მოსაწერად გაემზადნენ, მელანქტონი წამოდგა და განაცხადა: "დაე, ეს აქტი აღასრულონ ეკლესიის მსახურებმა და ღვთისმეტყველებმა, ხოლო ამა სოფლის ძლიერთა ავტორიტეტი სხვა საკითხებისათვის შემოვინახოთ". "ღმერთო, გაგვათავისუფლე ასეთი აკრძალვებისაგან", - წამოიძახა იოჰან საქსონელმა, - მე მზადა ვარ ყველაფრის აღსასრულებლად, რასაც

სამართლიანობა მოითხოვს და სულაც არ ვწუხვარ ჩემი ტახტის გამო. მე მზადა ვარ, ყველას წინაშე ვალიარო ჩვენი უფალი. ჩემთვის იესო ქრისტეს ჯვარი უფრო ძვირფასია, ვიდრე მეფის მანტია და გვირგვინი". ამ სიტყვებით მან ხელი მოაწერა დოკუმენტს. მეორე მთავარმა აილო კალამი და წარმოთქვა: "თუკი იესო ქრისტეს სახელისათვის საჭირო იქნება, მე მზადა ვარ გავცე ჩემი ქონება... და სიცოცხლეც. მე უმალ უარს ვიტყვი საკუთარ სამფლობელოზე და უბრალო ჯოხით ხელში დავტოვებ ჩემი მამა-პაპის მიწა-წყალს, - განაგრძო მან, - ვიდრე იმ მოძღვრებათა მიღებაზე დავთანხმდები, რომლებიც არ შეესაბამება ამ დოკუმენტში

ჩამოყალიბებულ პრინციპებს". აი, როგორი რწმენა ჰქონდათ ამ გაბედულ, ღვთის მამაც შვილებს!

დადგა იმპერატორის წინაშე წარდგომის ჟამი. მთავართა და დიდგვაროვანთა ამალით გარშემორტყმულმა ტახტის მფლობელმა კარლოს მიიღო პროტესტანტი რეფორმატორები. წაკითხულ იქნა მათი რწმენის სიმბოლოს პუნქტები. ამ დიდებულთა კრების წინაშე პროტესტანტებმა ნათლად და კონკრეტულად ჩამოაყალიბეს სახარების ჭეშმარიტებანი და მიუთითეს პაპის შეცდომებზე. ამაოდ არ უწოდეს ამ დღეს "რეფორმაციის ერთ-ერთი უდიდესი დღე და

უმშვენიერესი დღე ქრისტიანული სამყაროს ისტორიაში".

მხოლოდ რამდენიმე წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ვიტენბერგელი ბერი ვორმსის ეროვნული საბჭოს წინაშე წარდგა. ახლა მის ადგილზე ალმოჩნდნენ იმპერიის უძლიერესი და უკეთილშობილესი მთავრები. ლუთერს არ მისცეს აუგსბურგში ჩამოსვლის ნება, მაგრამ იგი თავისი ფიქრებით და ლოცვებით მათთან იყო. "მე უალრესად მოხარული ვარ, - წერდა იგი, - რომ იმ დროს მოვესწარი, როდესაც ქრისტეს სახელს ასეთი ცნობილი ქრისტიანები მოწმობენ ასეთი ბრწყინვალე კრების წინაშე". ასე ალსრულდა წერილის სიტყვები: "ვილაპარაკებ შენს მცნებებზე

მეფეთა წინ და არ შემრცხვება" (ფს. 118:46).

პავლე მოციქულის დღეებში, მისი საპყრობილეში ტანჯვის პერიოდში, სწორედ ამ გზით იქადაგებოდა სახარება მეფეთა და წარჩინებულთა წინაშე. ისტორია განმეორდა: სასახლეში ქადაგებდნენ იმას, რისი წარმოთქმაც კათედრიდან აკრძალული იყო თვით იმპერატორის მიერ. მას, რისი მოსმენაც მსახურებსაც კი აკრძალული ჰქონდათ, ახლა განცვიფრებითა და ყურადღებით ისმენდნენ იმპერიის დიდგვაროვანი მმართველნი. მსმენელნი იყვნენ გვირგვინოსანი და ტიტულოვანი პირები, მქადაგებელნი - უძლიერესი მთავრები, ქადაგება კი მიძღვნილი იყო ღვთის ზეციური

ჭეშმარიტებისადმი. "მოციქულთა დღეებიდან, - ამბობს მწერალი, - არავინ ყოფილა ამაზე უფრო დიდებული აქტის მოწმე; არ ყოფილა რწმენის ამაზე უფრო დიდი აღიარება და გამოვლენა დიდებულთა წინაშე".

"ლუთერანთა ნათქვამი ყველა სიტყვა ჭეშმარიტებაა და მისი უარყოფა არ შეგვიძლია", - განაცხადა კათოლიკე ეპისკოპოსმა. "შეგიძლიათ თუ არა დასაბუთებით უარყოთ მთავართა ეს აღსარება?" - ჰკითხა მეორემ პროფესორ ეკენს. "მოციქულთა და წინასაწარმეტყველთა წერილებით - არა, - გაისმა პასუხი, - მაგრამ ეკლესიის მამების სწავლებისა და მსოფლიო კრებების დადგენილებათა საფუძველზე - კი!" "გასაგებია, -

შენიშნა შემკითხველმა, - თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, ლუთერანები ხელმძღვანელობენ წმიდა წერილით, ჩვენ კი - არა".

ზოგიერთმა გერმანელმა მთავარმა მიილო რეფორმატორთა რწმენა. თვით იმპერატორმა განაცხადა, რომ პროტესტანტული რელიგია ჭეშმარიტია. მრავალ ენაზე თარგმნილი რწმენის ეს სიმბოლო მთელ ევროპაში გავრცელდა და მილიონობით მომავალმა თაობამ იგი თავისი რელიგიის საფუძვლად მიილო.

უფლის ერთგული მსახურნი ცალ-ცალკე არ შრომობდნენ. იმ დროს, როდესაც "მთავრობანი, ძალაუფლებანი და ცისქვეშეთის ბოროტი სულები" გაერთიანდნენ მათ

წინაალმდეგ საბრძოლველად, უფალმა არ დაივიწყა თავისი ხალხი. მათ რომ ძველი ალთქმის წინასწარმეტყველის მსგავსად, სულიერი თვალები ახელილი ჰქონოდათ, აუცილებლად იხილავდნენ მათ გვერდით უფლის არსებობის უეჭველ მტკიცებულებას. როდესაც მტრის მეომრებით ალყაშემორტყმული ელისეს მსახური ძლიერ შეშინდა და იფიქრა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, წინასწარმეტყველმა უფალს შეჰლალადა: "უფალო, აუხილე თვალი, რომ დაინახოს" (4მეფ. 6:17). და მსახურმა დაინახა ღვთის მსახურის დასაცავად უფლის მიერ გამოგზავნილი უამრავი ცეცხლოვანი ეტლი და ზეციური მხედრობა.

რეფორმატორებსაც ასეთივე სახით იცავდნენ ანგელოზები.

ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის არსი, რომელსაც მტკიცედ და დაჟინებით იცავდა ლუთერი, იმაში მდგომარეობდა, რომ რეფორმაციის დაცვისათვის არ არის საჭირო არც საერო ხელისუფლების დახმარება და არც იარაღი. მას უხაროდა, როდესაც გერმანიის მთავრებმა მიიღეს სახარების რწმენა, მაგრამ როდესაც თავდაცვის კავშირის შექმნა გადაწყვიტეს, ლუთერმა განაცხადა: "მხოლოდ ღმერთი დაიცავს სახარების ჭეშმარიტებას... რაც უფრო ნაკლები ხალხი ჩაერევა ამ საქმეში, მით უფრო ცხადი გახდება უფლის ჩარევა. თავდაცვისათვის ყველა სხვა პოლიტიკური ზომების მიღება - ეს

სამარცხვინო შიში და უფლის მიმართ დანაშაულებრივი უნდობლობაა."

როდესაც ძლიერი მოწინააღმდეგენი გაერთიანდნენ რეფორმატორთა რელიგიის საბოლოო დამარცხებისათვის, როცა ათასობით პირალესილი მახვილი ალიმართა მის წინააღმდეგ, ლუთერი წერდა: "სატანა აშკარად ავლენს თავის მძვინვარებას; ულმერთო ეპისკოპოსები შექმულებებს აწყობენ და ომით გვემუქრებიან. აცნობეთ ხალხს, რომ უფლის ტახტის წინაშე რწმენითა და ლოცვებით მამაცურად იბრძოლონ, რათა უფლის ძალით დამარცხებული ჩვენი მტრები იძულებული გახდნენ, მშვიდობა დაამყარონ. ჩვენი მთავარი

მოვალეობა, მთავარი შრომა - ლოცვაა; დაე, იცოდეს ხალხმა, რომ მათ წინაალმდეგ მახვილით გამძვინვარებული სატანა იბრძვის; დაე, ილოცონ!"

შემდგომში, პროტესტანტ მთავართა მიერ შემოთავაზებული თავდაცვის კავშირის გახსენებისას, ლუთერი ამბობდა, რომ ამ ომში მხოლოდ ერთი იარაღის გამოყენება შეიძლება: "სულის მახვილი". იგი საქსონიის მმართველს წერდა: "სინდისი არ მოგვცემს ამ კავშირის შექმნის ნებას. ჩვენ ათჯერ სიკვდილი გვირჩევნია, ვიდრე სახარების გამო ადამიანის ერთი წვეთი სისხლის დაღვრა. ჩვენი ბედი იმ კრავისას ჰგავს, რომელიც დასაკლავად წაიყვანეს. ჩვენ ქრისტეს ჯვარი უნდა ვატაროთ. გთხოვთ,

თქვენო უმაღლესობავ, არ იდარდოთ. ლოცვებით ჩვენ უფრო მეტს გავაკეთებთ, ვიდრე ჩვენი მტრების თავისი ტრაბახით. ოღონდ თქვენი ხელი ნუ გაისვრება მოძმეთა სისხლით და, თუკი იმპერატორი მოითხოვს ჩვენს წარდგომას სამსჯავროს წინაშე, მზადა ვართ ამისათვის. თქვენ ვერ შეძლებთ ჩვენი რწმენის დაცვას; ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ქრისტიანები თავისი რწმენის გამო სიცოცხლეს საფრთხეში იგდებენ და ამისათვის მზად არიან".

იმ საიდუმლო ადგილებიდან, სადაც უფლის შვილები ლოცულობდნენ, გამოდიოდა ძალა, რომელმაც რეფორმაციის სახით მთელი მსოფლიო გამოაფხიზლა.

ღვთის ჭეშმარიტი მსახურნი წმიდა სიმშვიდით ეყრდნობოდნენ უფლის ალთქმის ქვაკუთხედს. აუგსბურგში ყოფნისას ლუთერი ყოველდღე სამ საათს უძღვნიდა ლოცვებს. ეს იყო ის საუკეთესო დრო, რომელსაც ჩვეულებრივ მეცადინეობას უთმობდა. "თავის ოთახში განმარტოებული, იგი მოწიწებით, შიშითა და იმედით უშლიდა გულს უფალს; იგი ესაუბრებოდა მას, როგორც თავის მეგობარს. "მე ვიცი, რომ შენ ჩვენი მამა და ჩვენი ღმერთი ხარ, - ლოცულობდა იგი, - რომ შენ გაფანტავ შენი შვილების მდევნელთ, რადგან ჩვენთან ხარ ყოველგვარი საშიშროების დროს. ეს შენი საქმეა და მხოლოდ იმიტომ მოვკიდეთ ამ საქმეს ხელი, რომ ეს შენი ნება იყო.

შენ დაგვიცავი და დაგვიფარე, მამაზეციერო!"

ზრუნვითა და შიშით დამძიმებულ მელანქტონს იგი წერდა: "ქრისტეს მადლი და მშვიდობა შენთან. “ქრისტეში” - ვამბობ და არა წუთისოფელში. ამინ. მე ძალიან მძულს შენი უსაზღვრო წუხილი, რომელიც გლუპავს. თუკი ეს არაა მართალი საქმე, მაშინ მივატოვოთ იგი. მაგრამ თუკი ჩვენ მართლები ვართ, რატომლა უარვყოფთ მის ალთქმას, ვინც გვიბრძანებს, არაფრის გვეშინოდეს?.. ქრისტეს შეუძლია ჭეშმარიტი და სამართლიანი საქმის დასრულება. იგი ცოცხალია, იგი მბრძანებლობს; მაშ, მითხარი, რისი უნდა გვეშინოდეს?"

უფალმა შეისმინა თავის მორჩილთა ვედრება და ამა ქვეყნის ძლიერთა წინაალმდეგ მებრძოლ ჭეშმარიტების დამცველ მთავართ და მსახურთ მხნეობა და მადლი უძღვნა. უფალი ამბობს: "აჰა, მე ვდებ სიონში ლოდს, ქვაკუთხედს, რჩეულს და ძვირფასს და მისი მორწმუნე არ შერცხვება" (1პეტ. 2:6). პროტესტანტი რეფორმატორები ქრისტეს საძირკველზე აშენებდნენ და ამიტომ ჯოჯოხეთი ვერ დაამარცხებდა მათ.

თავი 12 რეფორმაცია საფრანგეთში

შპეიერის პროტესტისა და აუგსბურგის პროცესის შემდეგ, რომელმაც რეფორმაციას გერმანიაში გამარჯვება მოუტანა, დადგა ბრძოლისა და წყვდიადის წლები. შინაური განხეთქილებებითა და გარედან უძლიერეს მტერთა მუდმივი იერიშებით დაუძლურებული პროტესტანტიზმი თითქოს სულს ღაფავდა. ათასობით ადამიანმა სისხლით ალბეჭდა ჭეშმარიტებისადმი ერთგულება. გაჩალდა სამოქალაქო ომი; პროტესტანტულ მოძრაობას

ულალატა ერთ-ერთმა მისმა ხელმძღვანელმა და ცნობილი პროტესტანტი მთავრები იმპერატორმა შეიპყრო. მათ, როგორც ტყვეებს, ერთი ქალაქიდან მეორეში აგზავნიდნენ. მაგრამ მოჩვენებითი ტრიუმფის მომენტში იმპერატორმა დამარცხება იგემა. მან დაინახა, რომ ნადავლს ვერ შეინარჩუნებდა და იძულებული გახდა, მოეხსნა აკრძალვები იმ მოძღვრებებზე, რომელთა განადგურებაც მთელი თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა. მან იმპერია დალუპვის პირას მიიყვანა, დააცარიელა ხაზინა და სიცოცხლეც კი სასწორზე დადო ერესის მოსპობის საქმისათვის. ახლა კი ალმოაჩინა, რომ ამ სისხლისმღვრელი ბრძოლებით არმია

განადგურებულია, ხაზინა ცარიელია, მის მრავალ სამფლობელოში მოსალოდნელია აჯანყებები. და ყველაფერი ეს იმ დროს, როდესაც რწმენა, რომლის სისხლში ჩახრჩობაც მას ასე ძლიერ სურდა, სულ უფრო ფართოდ ვრცელდება. კარლოს უზენაეს ძალას ეომებოდა. ღმერთმა თქვა: "იყოს ნათელი", - მაგრამ იმპერატორმა წყვდიადი არჩია. მის გეგმებს ალსრულება არ ეწერა. ნაადრევად დაბერებულმა იმპერატორმა უარყო თავისი ტახტი და სიცოცხლე მონასტერში დაასრულა.

შვეიცარიაში, ისევე როგორც გერმანიაში, რეფორმაციას შავბნელი დღეები დაუდგა. იმ დროს, როდესაც კანტონები რეფორმატორთა რწმენას

ლებულობდნენ, სხვები კვლავ ბრმად ემორჩილებოდნენ რომს. ჭეშმარიტების დამცველთა დევნა საბოლოოდ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ცვინგლი და მისი მომხრეები კაპელესთან სისხლსმღვრელ ბრძოლაში დაეცნენ. ამ საშინელი უბედურებით შეძრული ეკოლამპადიუსი მალე გარდაიცვალა. რომი ზეიმობდა. გამარჯვებულმა, მრავალ ოლქში დაიწყო თავისი ბატონობის აღდგენა. მაგრამ მას, ვისი გეგმებიც მარადიული და უცვლელია, არ დავიწყებია თავისი საქმე და თავისი ხალხი. იგი თავისუფლებას უმზადებდა მათ. რეფორმაციის საქმე კვლავ გაგრძელდა და სხვა ქვეყნებში გადაინაცვლა.

საფრანგეთში, სადაც ლუთერის სახელი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, ჭეშმარიტებამ შემოანათა. ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც ეს ნათელი მიიღო, იყო მხცოვანი ლეფევრი - სწავლული, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, პაპის გულწრფელი და ერთგული მომხრე. ანტიკური ლიტერატურის კვლევისას მისი ყურადღება ბიბლიამ მიიპყრო და იგი უნივერსიტეტში შეიტანა, როგორც სასწავლო საგანი.

ლეფევრი წმიდანთა თავგამოდებული თაყვანისმცემელი იყო და საეკლესიო გადმოცემებზე დაყრდნობით გადაწყვიტა, მოწამეთა ისტორია დაეწერა. ამ შრომის უდიდესი ნაწილი მას უკვე დაწერილი ჰქონდა, როდესაც

ალმოაჩინა, რომ ბიბლიამ შეიძლება დიდი სამსახური გაუწიოს ამ ნაშრომის დამთავრებაში და მისი შესწავლა დაიწყო. მასში მან ნამდვილად ალმოაჩინა მართალთა ცხოვრების ალწერა, მაგრამ არა იმ წმიდანებისა, რომელნიც რომის კალენდარში იყვნენ შეტანილი. პროფესორს ლვთიურმა ნათელმა გაუნათა გონება. განცვიფრებულმა, უმალვე ზურგი აქცია თავის უწინდელ მიზანს და წმიდა წერილის შესწავლას შეუდგა. და მალე იმ ძვირფას ჭეშმარიტებათა ქადაგება დაიწყო, რომელიც თავად უფალმა გაუხსნა.

1512 წელს, ლუთერისა და ცვინგლის რეფორმატორული მოღვაწეობის დაწყებამდე, ლეფევრი

წერდა: "ღმერთი მხოლოდ რწმენით გვამართლებს ჩვენ; მხოლოდ მისი მადლით მოცემული სიმართლე გაგვიხსნის გზას ზეციური სასუფევლისაკენ." გამოსყიდვის საიდუმლოს შესახებ მსჯელობისას იგი აღფრთოვანებული ამბობდა: "ო, ენით გამოუთქმელია ჭეშმარიტების დიდება! უცოდველი განკითხულია, დამნაშავე გამართლებულია; კურთხეული დაწყევლილია, დაწყევლილი კი - კურთხეული; სიცოცხლე კვდება, მკვდარი ცოცხლობს; დიდება ბნელითაა მოცული, შერცხვენილი კი დიდებითაა მოსილი".

და თუმცა იგი ასწავლიდა, რომ ხსნის დიდება მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის, იქვე აცხადებდა, რომ

ღვთის წინაშე მორჩილება ადამიანის მოვალეობაა. "თუკი ქრისტეს ეკლესიას მიეკუთვნები, - ამბობდა იგი, - მაშინ შენ მისი სხეულის ნაწილი ხარ; ხოლო თუკი მისი სხეულის ნაწილი ხარ, შენ ატარებ მისი ღვთიური ბუნების სისავსეს;.. რა კარგი იქნებოდა, ადამიანები რომ ჩაწვდომოდნენ ამ უპირატესობის საიდუმლოს; რამდენად უფრო ამაღლებული და წმიდა იქნებოდა მათი ცხოვრება და რა უდიდესი მზადყოფნით შეაქცევდნენ ზურგს ამ წუთისოფლის დიდებას, რომელიც არარაობაა იმ შინაგან დიდებასთან შედარებით, რომელსაც თვალით ვერ დაინახავ".

ლეფევრის სტუდენტთა შორის ალმოჩნდნენ ახალგაზრდები,

რომლებიც უდიდესი ინტერესით უსმენდნენ მას, და მასწავლებლის ხმის სამუდამოდ დადუმების შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ქადაგებდნენ ჭეშმარიტებას. ამ მაცნეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა უილიამ ფარელი. ღვთისმოსავ ოჯახში გაზრდილი, იგი ბრმად მიჰყვებოდა ეკლესიის ყველა მოძღვრებას. მას პავლე მოციქულთან ერთად შეეძლო ეთქვა: "მე, როგორც ფარისეველი, ვცხოვრობდი ჩვენი სარწმუნოების უჭეშმარიტესი მოძღვრების მიხედვით" (საქ. 26:5). ეს ერთგული კათოლიკე მზად იყო გაენადგურებინა ყველა, ვინც ეკლესიას წინააღმდეგობას გაუბედავდა. "მე კბილებს ვაკრაჭუნებდი, როგორც

გაასფთრებული მგელი, - თავისი ცხოვრების ამ პერიოდის გახსენებისას ამბობდა იგი, - როცა ვინმე პაპის საწინააღმდეგოს ამბობდა". თაყვანს სცემდა რა წმიდანებს, იგი ლეფევრთან ერთად დადიოდა პარიზის ყველა ეკლესიაში, საკურთხეველთან ლოცულობდა და შესაწირავი ძღვენი მიჰქონდა წმიდა სამარხებთან. მაგრამ ყოველივე ეს მის სულს შვებას ვერ ჰგვრიდა. ყველა ამ რიტუალის შესრულების შემდგომაც კი მას არ ტოვებდა ცოდვიანობის შეგრძნება. ზეციურ ხმად ჩაესმა რეფორმატორის სიტყვები: "გადარჩენა ხდება მხოლოდ მადლით. უდანაშაულო განკითხულია, დამნაშავე - შეწყალებულია. მხოლოდ ქრისტეს

ჯვარი აღებს ზეცის კარიბჭეს და ხურავს ჯოჯოხეთის კარს."

ფარელმა სიხარულით მიიღო ჭეშმარიტება. მოიქცა რა პავლე მოციქულის მსგავსად, მან მიატოვა ტრადიციათა სიმძიმე და ღვთის შვილთა თავისუფლება მიიღო. "მტაცებელი მგლის სისხლმოწყურებული გულის ნაცვლად მას უმანკო კრავის ნაზი გული მიეცა, იგი განუდგა პაპს და თავი სრულად მიუძღვნა ქრისტეს."

იმ დროს, როდესაც ლეფევრი ჭეშმარიტების ნათელს სტუდენტთა შორის ავრცელებდა, ქრისტეს სამსახურში დამდგარი ფარელი, რომელიც ისეთივე გულმოდგინებით ემსახურებოდა ღმერთს, როგორც ადრე პაპს, საჯაროდ ქადაგებდა

ჭეშმარიტებას. მალე მას შეუერთდა ქალაქ მოს ეპისკოპოსი, კათოლიკური ეკლესიის იერარქიის პატივსაცემი პიროვნება. გამოჩდნენ სხვა მასწავლებლებიც, რომელნიც თავიანთი განსწავლულობისა და ნიჭის გამო დიდი პატივისცემით სარგებლოდნენ. მათი განუწყვეტელი ქადაგების მეშვეობით სახარება გავრცელდა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა შორის, დაწყებული ხელოსნებითა და გლეხებით, დამთავრებული გვირგვინოსანი დიდებულებით. საფრანგეთის იმდროინდელი მეფის ფრანცისკ 1-ის დამ რეფორმატორთა რწმენა მიიღო. თავად მეფე და დედა დედოფალიც კეთილად განეწყვნენ

ახალი რელიგიის მიმართ და რეფორმატორებს იმედი მიეცათ, რომ მთელი საფრანგეთი მალე სახარების ჭეშმარიტებას მიიღებდა.

მაგრამ მათ იმედებს შესრულება არ ეწერა. ქრისტეს მოწაფეებს განსაცდელი და დევნა ელოდათ. მათთვის განკუთვნილი მშვიდობის პერიოდი საჭირო და აუცილებელი იყო ძალების მოსაკრებად, რათა ღირსეულად დახვედროდნენ ცდუნებებსა და განსაცდელებს. რეფორმაცია წარმატებით ვრცელდებოდა. ქალაქ მოს ეპისკოპოსი მსახურებას განაგრძობდა თავის ეპარქიაში და ჭეშმარიტების ნათელს ჰფენდა როგორც სასულიერო პირებს, ასევე მოსახლეობას. უმეცარი და მანკიერი

მღვდლები გადააყენეს და ისინი ღვთისმოსავი და მცოდნე ადამიანებით შეცვალეს. ეპისკოპოსს ძლიერ სურდა, რომ ქრისტეს სახარება ხალხისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო და მალე მისი ეს სურვილი აღსრულდა. ლეფევრმა ითავა ახალი აღთქმის თარგმნა და დაახლოებით იმ დროს, როდესაც ლუთერის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი ბიბლია ვიტენბერგში გამოიცა, ქალაქ მო-ში გამოცემული იქნა ახალი აღთქმა ფრანგულ ენაზე. ეპისკოპოსი სახსრებსა და ძალას არ იშურებდა თავის მრევლში მის გასავრცელებლად და მალე ახლომახლო სოფლებში მცხოვრებ

თითქმის ყველა გლეხს ჰქონდა ახალი ალთქმა.

როგორც მწყურვალე მგზავრი სიხარულით ეწაფება მაცოცხლებელ წყაროს, ამ ადამიანებმაც ასეთივე სიხარულით მიიღეს ზეციური სახარება. მინდორში თუ სახელოსნოებში მუშაობისას ხალხი მხოლოდ წმიდა წერილის ამ ძვირფას ჭეშმარიტებებზე საუბრობდა. სალამოობით ბევრნი დასათრობად კი ალარ მიდიოდნენ, არამედ რომელიმე სახლში იკრიბებოდნენ, რათა ერთად წაეკითხათ ღვთის სიტყვა. ლოცულობდნენ და ადიდებდნენ უფალს. მალე ამ ხალხში შესამჩნევი გარდაქმნები მოხდა. უბრალო, გაუნათლებელი მშრომელები უფლის მადლის ძალით

გაკეთილშობილდნენ. მორჩილნი, მოყვარულნი, ღვთისმოსავნი - ისინი ცოცხალი მოწმენი იყვნენ იმისა, თუ რა სასწაულის მოხდენა შეუძლია სახარებას მისი გულწრფელად მიღების შემთხვევაში.

ქალაქ მო-ში ანთებული სინათლე სხვა ქალაქებშიც გავრცელდა. მოქცეულთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდებოდა. იერარქიის მძვინვარებას ერთხანს აკავებდა მეფე, რომელშიც ბერთა ფანატიზმი ზიზღს იწვევდა, მაგრამ საბოლოოდ, პაპისტებმა მაინც გაიმარჯვეს. დაინთო უამრავი კოცონი. ქალაქ მოს ეპისკოპოსმა, რომელიც იძულებული გახდა, არჩევანი გაეკეთებინა: კოცონი ან განდგომა, ჭეშმარიტებისაგან განდგომა არჩია, მაგრამ მიუხედავად

მწყემსის დაცემისა, სამწყსო შეუდრეკელი აღმოჩნდა. ცეცხლის ალში გახვეულმა ბევრმა მორწმუნემ დაამტკიცა თავისი ერთგულება ჭეშმარიტების მიმართ. ამ უბრალო ქრისტიანთა წამების დროს გამოჩენილი სიმამაცე და ერთგულება იყო უფრო დიდი მტკიცება, ხმამაღალი მოწმობა და ქადაგება, ვიდრე მშვიდობიანობის დროს წარმოთქმული ნებისმიერი სიტყვა.

არა მხოლოდ უბრალო და ღარიბი ადამიანები მოწმობდნენ ქრისტეს თავიანთი ტანჯვა-წამებით; დიდებულ სასახლეებშიც აღმოჩნდნენ წარჩინებულნი და დიდგვაროვანნი, ვისთვისაც ჭეშმარიტება ყოველგვარ სიმდიდრეზე, თანამდებობაზე და

თვით სიცოცხლეზე ძვირფასიც კი იყო. სამეფო საჭურველში უფრო მეტად ამალლებული და მტკიცე სული იმალებოდა, ვიდრე ეპისკოპოსის გვირგვინისა და მანტიის ქვეშ. ლუი დე ბერკენი წარჩინებული გვარის წარმომადგენელი იყო. ეს მამაცი და თავაზიანი, მეცნიერებით გატაცებული კეთილშობილი რაინდი გამოირჩეოდა დახვეწილი მანერებითა და მალალი ზნეობით. "იგი პაპიზმის მგზნებარე მიმდევარი იყო, - წერს ერთ-ერთი მწერალი, - დიდი ყურადღებით უსმენდა მესას და ქადაგებებს და ყველაფერი სძულდა, რაც ლუთერის სახელს უკავშირდებოდა". მაგრამ სხვა მრავალთა მსგავსად, ბიბლიის

წაკითხვისას უფლის ნებით და ძალით, თავისდა გასაოცრად, "მასში იპოვა არა რომის, არამედ ლუთერის დოქტრინები", რის შედეგადაც მთელი თავისი სიცოცხლე სახარების საქმეს შესწირა.

"ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ადამიანი საფრანგეთში", უშიშარი, მგზნებარე და ბრწყინვალე ორატორი, მეფის კარზე გავლენიანი ახალგაზრდა, მეფის ფავორიტი ბერკენი ყველა ამ მონაცემით დიდ იმედებს იძლეოდა, რომ თავისი სამშობლოს ღირსეული რეფორმატორი გახდებოდა. ბეზა ამბობდა: "ბერკენი მეორე ლუთერი იქნებოდა, ფრანცისკ 1-ის სახით მას რომ მეორე ფრიდრიხ საქსონელი ეპოვა". "ის ლუთერზე უარესია," -

ყვიროდნენ პაპისტები და მართლაც, იგი მათთვის გერმანელ რეფორმატორზე ბევრად უფრო საშიში იყო. ბერკენი დაადანაშაულეს ერესში და დილეგში ჩააგდეს, მაგრამ მეფემ გაათავისუფლა. ეს ბრძოლა წლობით გრძელდებოდა. რომსა და რეფორმაციას შორის მდგარი ფრანცისკ I მესვეურებს. რომის ხელისუფლებამ სამჯერ ჩააგდო საპრობილეში ბერკენი და სამჯერვე მეფემ გაათავისუფლა იგი. მისი გონიერებითა და კეთილშობილებით დატყვევებული მეფე მუდამ ცდილობდა გადაერჩინა იგი ბოროტი სამღვდელოებისაგან.

ბერკენს ხშირად აფრთხილებდნენ მოსალოდნელი ხიფათის შესახებ,

რომელიც ყოველ ნაბიჯზე ემუქრებოდა მას საფრანგეთში და დაჟინებით ურჩევდნენ, მიებაძა მათთვის, ვინც თავშესაფარი ნებაყოფლობით გადასახლებაში ჰპოვა. ფრთხილი, ყველა დროსა და სიტუაციასთან შემგუებელი ერაზმი, რომელსაც, მიუხედავად უმაღლესი განათლებისა, აკლდა ის ზნეობრივი სიდიადე, რომელიც ადამიანებს ჭეშმარიტებისადმი მთელი თავისი ცხოვრებით მსახურებას შთააგონებს, ბერკენს წერდა: "მოითხოვე, რომ ელჩად გაგიშვან რომელიმე ქვეყანაში; ან გერმანიაში წადი სამოგზაუროდ. შენ კარგად იცნობ ბეზას და მისნაირებს. ის ათასთავიანი შხამიანი ურჩხულია. შენი მტრები - ლეგიონია. და შენი

საქმეები იესო ქრისტეს საქმეებზე უკეთესიც რომ იყოს, ისინი მაინც არ დაგანებებენ თავს, სანამ ვერაგულად არ მოგიღებენ ბოლოს. ძალიან ნუ მიენდობი მეფის შემწყნარებლობას. ნებისმიერ შემთხვევაში - სახელს ნუ მიტეხ ჩვენს ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე."

მოსალოდნელი საშიშროება სულ უფრო იზრდებოდა და მასთან ერთად ძლიერდებოდა ბერკენის სიმამაცე და გულმოდგინება. ერაზმის დიპლომატიური და ეგოისტური რჩევების მიღების ნაცვლად მან გადაწყვიტა უფრო თამამად ემოქმედა: არა მხოლოდ დაეცვა ჭეშმარიტება, არამედ ემხილებინა სიცრუე და შეცდომები. მან ერეტიკოსები უწოდა პაპის

ხელისუფალთ. მისი ყველაზე სასტიკი და შეურიგებელი მოწინააღმდეგენი იყვნენ სწავლულები და ბერები ცნობილი პარიზის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტიდან, რომელიც ქვეყანაში უმაღლესი სასულიერო ავტორიტეტით სარგებლობდა. ამ ღვთისმეტყველთა თხზულებებიდან მან 12 დებულება ამოიღო და საჯაროდ გამოაცხადა, რომ "ისინი ბიბლიის საწინააღმდეგონი არიან და შესაბამისად - ერეტიკული" და მეფეს თხოვნით მიმართა, ყოფილიყო მათი დისპუტის მსაჯული.

მონარქმა, სურდა რა ეჩვენებინა ამ მოწინააღმდეგე მხარეთა შორის განსხვავება ძალასა და სიბრძნეში და

დაეთრგუნა ამაყ ბერთა პატივმოყვარეობა, კათოლიკებისაგან თავის დაცვა ბიბლიის საფუძველზე მოითხოვა, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რომ ამით წარმატებას ვერ მიალწევდნენ: ისინი უკეთესად ფლობდნენ სხვა იარაღსა და საშუალებებს: საპყრობილეს, წამებას და კოცონს. ახლა კი მათი როლები შეიცვალა და ისინიც მიხვდნენ, რომ განწირული არიან და დგანან იმ უფსკრულის პირას, რომელშიც ბერკენის გადაჩეხვა სურდათ.

"სწორედ იმ დროს გააუწმიდურეს ქალაქის ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში მდგარი მარიამ ღვთისმშობლის ქანდაკება. ამან მოქალაქეთა დიდი მღელვარება გამოიწვია. შემთხვევის ადგილზე მრავალი აღშფოთებული

ადამიანი მოვიდა. მეფეც დიდად შეურაცხყოფილი დარჩა ამ ინციდენტის გამო. ბერკენის მტრებს მეტად ხელსაყრელი მომენტი დაუდგათ და მშვენივრად გამოიყენეს კიდეც იგი: მათ განაცხადეს: "აი, ბერკენის სწავლების ნაყოფი. სულ მალე ამ ლუთერანთა შეთქმულების მიერ იგნორირებული იქნება კანონი, რელიგია და მეფის ტახტი".

და ბერკენი კვლავ შეიპყრეს. სწორედ ამ დროს მეფე გასული იყო პარიზიდან და ბერებმა თავისუფლება იგრძნეს. რეფორმატორი გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს, ხოლო ფრანცისკ I
რომ არ მიეცათ, განაჩენის დაუყოვნებლივ სისრულეში მოყვანა

გადაწყვიტეს. შუადღისას იგი დასჯის ადგილას მიიყვანეს, სადაც უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ბევრს ენანებოდა ბერკენი და მწუხარებით ალნიშნავდა, რომ პაპის კლანჭებში საფრანგეთის კიდევ ერთი წარჩინებული გვარის უმამაცესი და უკეთილშობილესი წარმომადგენელი მოხვდა. ადამიანებს სახეზე ეწერათ სიძულვილი, განცვიფრება და მწარე სინანული. მხოლოდ ერთი ადამიანი იდგა მშვიდად და აუღელვებლად. მოწამის ფიქრები შორს იყო მღელვარებისა და მწუხარებისაგან; იგი მხოლოდ უფლის სიახლოვეს გრძნობდა.

ბერკენი ვერ ამჩნევდა ვერც იმ ღარიბულ ორთვალას, რომლითაც სასიკვდილო განაჩენის

ალსასრულებლად მიჰყავდათ, ვერც ჯალათთა პირქუშ სახეებს და არც იმ საშინელ სიკვდილზე ფიქრობდა, მას რომ ელოდა. ის, ვინც "მკვდარი იყო და გაცოცხლდა", ვისაც ხელში უჭირავს ჯოჯოხეთისა და სიკვდილის გასაღები, მის გვერდით იყო. ზეციური სიმშვიდე და ნათელი მოჰფენოდა ბერკენის სახეს. თავისი დიდებული წარმოშობის შესაბამისად მას "ეცვა ხავერდის მოსასხამი, ალისფერი ატლასის კამზოლი და ოქროსფერი პანტალონები". დადგა დრო, როდესაც მას თავისი რწმენა უნდა დაემოწმებინა უფლისა და მთელი სამყაროს მბრძანებლის წინაშე და მწუხარების ვერავითარმა ჩრდილმა ვერ დაფარა მისი სიხარული.

პროცესია ნელა მიიწევდა წინ ხალხით გადატვირთულ ქუჩებში; ყველას უკვირდა ამ ერთგული მოწმის სიმშვიდე და მისი სახის ზებუნებრივი, საზეიმო გამომეტყველება. "იგი წააგავს ადამიანს, რომელიც ზის ტაძარში და რაღაც წმიდაზე და ამაღლებულზე ფიქრობს", - ამბობდნენ სასეიროდ მოსული ადამიანები.

ავიდა რა კოცონზე, ბერკენს სურდა რამდენიმე სიტყვით მიემართა ხალხისათვის, მაგრამ ბერებმა არ დაუშვეს ის, რისიც ძალიან ეშინოდათ და ყვირილი ატეხეს, ჯარისკაცებმა იარაღის ჟღარუნი დაიწყეს და ბერკენის ხმა ხმაურმა შთანთქა. "დაადუმა რა მომაკვდავი მოწამის უკანასკნელი სიტყვები,

პარიზის, ამ კულტურის უდიდესი ცენტრის უმაღლესმა სასულიერო ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1529 წელს სამარცხვინო მაგალითი დაუტოვა საფრანგეთის 1793 წლის მოვლენებს".

ბერკენი მოკვდა. ცნობამ მისი სიკვდილის შესახებ ძალზე დაამწუხრა ყველა, ვინც თანაგრძნობას უწევდა საფრანგეთის რეფორმაციას. მაგრამ იგი ამაოდ არ მომკვდარა. "ჩვენც მზადა ვართ - აცხადებდნენ ჭეშმარიტების მოწმენი, - სიხარულით შევხვდეთ სიკვდილს მარადიულობის მოლოდინში."

დევნის პერიოდში ქალაქ მო-ში რეფორმატორთა მომხრე მასწავლებლებს აეკრძალათ ქადაგება და მათ უცხო მხარეებს მიაშურეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ლეფევრი გერმანიაში გაემგზავრა, ფარელი კი ალმოსავლეთ საფრანგეთში თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა ჭეშმარიტების ნათელის გასავრცელებლად. ამ ადგილებში ცნობილი გახდა ქალაქ მო-ში მომხდარი მოვლენების შესახებ და ფარელის მიერ ასეთი სიმამაცითა და მონდომებით ნაქადაგებმა ჭეშმარიტებამ მრავალი მომხრე ჰპოვა, მაგრამ სულ მალე, ხელისუფლებამ აიძულა იგი დადუმებულიყო, შემდეგ კი ქალაქიდან გააძევა. ლეგალური მოღვაწეობა შეუძლებელი გახდა და მაშინ მან დაიწყო ქადაგება სოფლებში, შორეულ მხარეებში, დადიოდა ქალაქიდან ქალაქში,

სოფლიდან სოფელში, სახლიდან სახლში. ხშირად თავს ტყეებსა და გამოქვაბულებს აფარებდა, სადაც ბავშვობაში ხშირად იმალებოდა ხოლმე. ღმერთი უდიდესი გამოცდისათვის ამზადებდა ფარელს. "ჯვარი, დევნა და სატანის ძალისხმევა, - ყველაფერი ერთად დამატყდა თავს, - ამბობდა იგი, - და ეს ჩემს ძალას ალემატებოდა, მაგრამ უფალი, ჩემი ზეციერი მამა მაძლევდა ძალას და მე მჯერა, რომ იგი არასოდეს მიმატოვებს".

როგორც მოციქულთა დღეებში, ახლაც დევნა და მასზე "მოწეული ამბები ემსახურნენ სახარების დიდ წარმატებას" (ფილ. 1:12). პარიზიდან და ქალაქ მო-დან გაძევებულნი, ისინი "გაფანტულები მიმოდიოდნენ

და ახარებდნენ სიტყვას" (საქ. 8:4). და ამგვარად, ჭეშმარიტების ნათელმა საფრანგეთის შორეულ კუთხეებშიც შეაღწია.

უფალი განაგრძობდა ზრუნვას იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს ეხარებინა მისი სიტყვა. პარიზის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა ერთი მეტად სერიოზული და სიტყვაძვირი ახალგაზრდა. იგი გამოირჩეოდა არა მარტო ძლიერი, შორსმჭვრეტელი გონებით, არამედ თავისი შინაგანი სიწმიდითა და რელიგიური სწრაფვით. უნიკალური ნიჭისა და გულმოდგინების გამო მისით მთელი კოლეჯი ამაყობდა და ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ჟან კალვინი რომის ეკლესიის ერთ-ერთი

ნიჭიერი და პატივსაცემი მოღვაწე გახდებოდა. მაგრამ ღვთიური სინათლის სხივმა სქოლასტიკისა და ცრურწმენის კედლებშიც შეაღწია, რომელშიც ჟან კალვინი იმყოფებოდა. ახალი მოძღვრება შიშს გვრიდა მას და ეჭვი არასოდეს ეპარებოდა, რომ ერეტიკოსები ნამდვილად იმსახურებდნენ კოცონზე სიკვდილს. მაგრამ სრულიად შემთხვევით, იგი პირისპირ შეეჯახა ერესს და თავისდაუნებურად, იძულებული გახდა, გამოეცადა რომის თეოლოგიის ძალა პროტესტანტულ მოძღვრებასთან მიმართებაში.

   იმ პერიოდში პარიზში ცხოვრობდა კალვინის ნათესავი, რეფორმაციის ერთ-ერთი მომხრე. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და

მსჯელობდნენ საკითხებზე, რომელნიც ასე აღელვებდა ქრისტიანობას. "მსოფლიოში არსებობს ორი რელიგიური მიმართულება, - ამბობდა პროტესტანტი ოლივეტანი, - ერთი რელიგია მოიგონეს ადამიანებმა, სადაც ადამიანი ცდილობს ხსნა დაიმსახუროს ცერემონიებისა და კეთილი საქმეების მეშვეობით; მეორე რელიგია - რომელიც ბიბლიაშია მოცემული, ადამიანს ასწავლის, ეძებოს ხსნა მხოლოდ უფლის მადლის თავისუფალი ძღვენით."

"მე არ მსურს რაიმე საერთო მქონდეს შენს ახალ მოძღვრებასთან - წამოიძახა კალვინმა, - იქნებ შენ ფქრობ, რომ მე მთელი ცხოვრების განმავლობაში ვცდები?"

თანდათანობით, საკუთარი სურვილის გარეშე, იგი მეტად დააფიქრა ნათესავის სიტყვებმა. თავისი ცოდვილი ცხოვრების შეგრძნება მუდამ თან სდევდა კალვინს. სამართლიანი და მართალი მსაჯულის პირისპირ დარჩენილი, ხედავდა თავის უბადრუკ მდგომარეობას. წმიდანთა მფარველობა, კეთილი საქმეები, საეკლესიო ცერემონიალები - ყველაფერი ეს უძლური იყო სულის სახსნელად. წინ ალარაფერი იყო, მარადიული სასოწარკვეთილებისა და წყვდიადის გარდა. ამაოდ ცდილობდნენ ღვთისმეტყველნი მისი მწუხარების შემსუბუქებას. არც ალსარებამ უშველა და არც ეპიტიმიამ;

არაფერს და არავის შეეძლო მისი სულის შემორიგება ღმერთთან.

მსგავსი სულიერი ბრძოლის მდგომარეობაში მყოფი კალვინი ერთხელ მოედანზე აღმოჩნდა, სადაც ერთი ერეტიკოსის კოცონზე დაწვის მოწმე გახდა. იგი გაოცებული იყო განწირულის სახის მშვიდი გამომეტყველებით. ასეთი საშინელი სიკვდილის ბორკილებში, ეკლესიისაგან მოკვეთილმა (ეს კი ფიზიკურ ტანჯვაზე უფრო საშინელი იყო) მოწამემ შეინარჩუნა რწმენა და სიმამაცე, რასაც ახალგაზრდა სტუდენტი თავის სასოწარკვეთილებასა და გამოუვალ მდგომარეობას ადარებდა, თუმცა კი მკაცრად ემორჩილებოდა ეკლესიის სწავლებას. მან კარგად იცოდა, რომ ეს

ერეტიკოსები თავიანთ რწმენაში წმიდა წერილს ეყრდნობოდნენ და მათი სიხარულის საიდუმლოს ამოსახსნელად ბიბლიის შესწავლა გადაწყვიტა.

ბიბლიაში მან ქრისტე იპოვა. "მამაო ჩემო, - ლოცულობდა იგი, - მისმა მსხვერპლმა დააცხრო შენი მრისხანება; მან იტვირთა ჩემი წყევლა, მისმა სიკვდილმა გამომისყიდა მე. ჩვენ საკუთარ უმეცრებაში ვიძირებით, მაგრამ შენ მომიძღვენი შენი სიტყვა, როგორც ჩირაღდანი. შემოდი ჩემს გულში, რათა ყველაფერი შემძულდეს, იესოს გარდა."

კალვინს სასულიერო წოდების მისაღებად ამზადებდნენ. 12 წლის ასაკში იგი კაპელანის

თანამდებობაზე დანიშნეს ერთ პატარა ეკლესიაში, სადაც ეპისკოპოსმა ცერემონიალი საეკლესიო წესების მიხედვით ჩაატარა. მას არ მიუღია ხელდასხმის კურთხევა, არც მღვდლის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ ჩაეწერა მღვდელთა სიაში და შესაბამის ჯამაგირს იღებდა.

ახლა კი, როდესაც იგრძნო, რომ არასოდეს გახდებოდა მღვდელი, დაიწყო სამართლის შესწავლა, მაგრამ მალე ესეც მიატოვა და გადაწყვიტა თავისი ცხოვრება სახარების შესწავლისათვის მიეძღვნა. თუმცა სახარების მქადაგებლის მოღვაწეობა დიდად აშინებდა: იგი ბუნებით მეტად მორიდებული და მორცხვი იყო;

მაგრამ ამავე დროს სრულებით გააცნობიერა პასუხისმგებლობა ამ მსახურების მიმართ. მას კვლავინდებურად იზიდავდა მეცნიერება და ბოლოს მეგობრების დაჟინებული რჩევით იგი დათანხმდა. "საოცარია, - ამბობდა იგი, - რომ ასეთი დაბალი ფენის წარმოშობის ადამიანს ასეთი დიდი პატივი ხვდა წილად".

კალვინმა მშვიდად იწყო თავისი შრომა. მისი სიტყვები დედამიწის მაცოცხლებელ ცვარს ჰგავდა. მალე პარიზი მიატოვა და სახარების ერთგულ პრინცესა მარგარიტას მფარველობით ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში დასახლდა. კალვინი იმ პერიოდში თავაზიანი და მოკრძალებული მანერების მქონე

ახალგაზრდა ყმაწვილი იყო. თავიდან იგი სახლიდან სახლში დადიოდა, ოჯახებში კითხულობდა ბიბლიას და ადამიანებს უხსნიდა ხსნის ჭეშმარიტებას. ისინი კი, თავის მხრივ, ამ ცნობას სხვებს უზიარებდნენ და მალე ახალმა მასწავლებელმა ქალაქის ახლო-მახლო სოფლებში დაიწყო სიარული. იგი დადიოდა როგორც ციხე-დარბაზებში, ასევე ღარიბთა ქოხებშიც და მტკიცედ მიიწევდა წინ, აშენებდა რა საძირკველს მომავალი ეკლესიებისათვის, რომელთაც უშიშრად უნდა ეშრომათ ჭეშმარიტების მოწმობისათვის.

რამდენიმე თვის შემდეგ იგი პარიზში დაბრუნდა. სწავლულთა შორის უჩვეულო მღელვარება

იგრძნობოდა: ანტიკური ენების შესწავლამ ადამიანები ბიბლიამდე მიიყვანა და ისინიც კი, ვინც გულით არ მიილო ეს ჭეშმარიტებანი, მხურვალედ კამათობდნენ ამ საკითხზე პაპის წარმომადგენლებთან. თუმცა კალვინი პოლემიკაში მეტად ძლიერი იყო, მას უფრო ამაღლებული მისიის შესრულება ელოდა, ვიდრე ამ ხმაურიან სწავლულებს. ადამიანები გამოფხიზლდნენ და ეს მეტად ხელსაყრელი მომენტი იყო მათთვის ჭეშმარიტების გასაცნობად. იმ დროს, როდესაც უნივერსიტეტის აუდიტორიებში ღვთისმეტყველთა ხანგრძლივი დისპუტები მიმდინარეობდა, კალვინი დადიოდა სახლიდან სახლში, ხალხს ბიბლიურ

ჭეშმარიტებებს ასწავლიდა და ქრისტეს ცხოვრებისა და ჯვარცმის შესახებ უამბობდა.

უფალს სურდა, რომ პარიზს ერთხელ კიდევ გაეგონა ეს კეთილი და ადამიანთა მხსნელი სახარება. მართალია, ლეფევრისა და ფარელის მოწოდებები აქ უარყვეს, მაგრამ უფლის ნება იყო, რომ ამ დიდი ქალაქის ყოველ ბინადარს მოესმინა ეს სახარება. პოლიტიკური მოსაზრების გამო მეფე ჯერ კიდევ არ იყო გადასული რომის მხარეზე რეფორმაციის წინაალმდეგ ბრძოლაში. პრინცესა მარგარიტას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ პროტესტანტიზმი საფრანგეთში გამარჯვებას მოიპოვებდა და მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ

რეფორმატორთა რწმენა ექადაგათ პარიზში. ქალაქში მეფის არყოფნის დროს მან ნება დართო პროტენტანტიზმის ხელმძღვანელებსა და ღვთისმსახურთ, ღვთის სიტყვა ქალაქის ტაძრებში ექადაგათ. როცა პაპისტებმა ეს აკრძალეს, პრინცესამ მათ თავისი სასახლე დაუთმო. შენობა შესაბამისად მოამზადეს და გამოაცხადეს, რომ ყოველდღე, განსაზღვრულ დროს, აქ ჩატარდებოდა ღვთისმსახურება, რომელზედაც იწვევდნენ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთ. უამრავი ადამიანი მოდიოდა აქ ყოველდღიურად. მათ შორის იყვნენ სახელმწიფო მოღვაწეები, იურისტები, ვაჭრები და

ხელოსნები. სასახლის ეკლესიის გარდა, სავსე იყო წინკარიც და დარბაზებიც, აკრძალვის ნაცვლად მეფემ კიდევ ორი სამლოცველოს გახსნა ბრძანა პარიზში. არასოდეს არ ჰქონია ასეთი ძალა ღვთის სიტყვას ამ ქალაქში. თითქოს ზეციურ სიწმიდეს მოეცვა ხალხი. ლოთობა, გარყვნილება, მტრობა და უსაქმურობა თავდაჭერილობამ, სიწმიდემ, წესრიგმა და შრომისმოყვარეობამ შეცვალა.

მაგრამ სამღვდელოება არ თვლემდა. როდესაც მეფემ უარი განაცხადა ეკლესიის დახურვაზე, მათ მთელი ყურადღება ქალაქის მოსახლეობაზე გადაიტანეს; ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ამ ცრუმორწმუნე და უმეცარ ხალხში

ფანატიზმის, ცრურწმენისა და შიშის გასალვივებლად. ბრმად მიენდო რა ცრუმასწავლებლებს, პარიზმა, როგორც ძველი დროის იერუსალიმმა, ვერ გამოიცნო თავისი დრო და ვერ მიხვდა, რა მოუტანდა მას მშვიდობას. პარიზში ორი წლის განმავლობაში გაისმოდა სახარების ხმა და თუმცა ბევრმა მიიღო, მაგრამ უმრავლესობამ მაინც უარყო იგი. ფრანცისკ შემწყნარებლობის გამო, რომელსაც განსაზღვრული ჩანაფიქრი ჰქონდა, პაპისტებმა შეძლეს თავიანთი ადრინდელი ძალაუფლების აღდგენა. კვლავ დაიხურა სამლოცველოები, აიკრძალა ქადაგება და მალე შუა პარიზში ეშაფოტი აღიმართა.

კალვინი ჯერ კიდევ პარიზში იყო. იგი სწავლობდა, მსჯელობდა და

ლოცულობდა, რითაც მომავალი მსახურებისათვის და ჭეშმარიტების ნათელის გავრცელებისათვის ემზადებოდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, იგი ეჭვმიტანილთა სიაში მოხვდა და ქალაქის ხელისუფლებამ განაჩენი გამოუტანა: კოცონზე დაწვა. ერთხელ კალვინთან, რომელმაც არაფერი იცოდა მოსალოდნელი ხიფათის შესახებ, მისი აღელვებული მეგობრები მივიდნენ და გააფრთხილეს, რომ წუთიწუთზე მოვლენ მის დასაპატიმრებლად და მართლაც, ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა. წამის დაკარგვაც არ შეიძლებოდა. კალვინის ერთ-ერთი მეგობარი კარის გასაღებად წავიდა, ხოლო სხვებმა იგი ფანჯრიდან გააპარეს და სასწრაფოდ ქალაქგარეთ

გაიყვანეს. მან რეფორმაციის გულშემატკივართან, ერთ უბრალო ხელოსანთან ჰპოვა თავშესაფარი. კალვინმა გადაიცვა სახლის პატრონის ტანსაცმელი, ხელში თოხი დაიჭირა და გზას გაუდგა. იგი მიდიოდა სამხრეთის მიმართულებით მანამ, სანამ პრინცესა მარგარიტას სამფლობელოს არ შეაფარა თავი.

აქ იგი რამდენიმე თვეს დარჩა თავის უძლიერეს მეგობართა მფარველობის ქვეშ და კვლავ ღვთის სიტყვის შესწავლას მიჰყო ხელი. მაგრამ არ ასვენებდა ფიქრი საფრანგეთში ჭეშმარიტების გავრცელების შესახებ; უმოქმედობა მისთვის შეუძლებელი შეიქნა. როგორც კი პარიზის მღელვარება

მიწყნარდა, მან თავისი მოლვაწეობისათვის ასპარეზი მონახა პუატიეში, სადაც არსებობდა უნივერსიტეტი და სადაც ახალ მოძღვრებას კეთილგანწყობით შეხვდნენ. საზოგადოების ყველა ფენა სიხარულით ღებულობდა სახარების ჭეშმარიტებას. კალვინი იქ საჯაროდ არ ქადაგებდა, მაგრამ ხან ქალაქის მერის, ხან თავის სახლში, ხან ქალაქის საზოგადოების თავშეყრის ადგილას, ბალში, საუკუნო სიცოცხლის სიტყვას აწვდიდა მსურველთ. მოგვიანებით, როდესაც მას მსმენელნი შესამჩნევად შემოემატნენ, გადაწყვიტეს, უფრო უსაფრთხო ადგილას, ქალაქგარეთ შეკრებილიყვნენ. მონახეს ხეებითა და კლდის შვერილებით ოსტატურად

შენიღბული გამოქვაბული, სადაც ხალხი პატარ-პატარა ჯგუფებად, სხვადასხვა გზებით მოდიოდა და ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ამ მყუდრო გამოქვაბულში კითხულობდნენ ბიბლიას და ღებულობდნენ საჭირო ახსნა-განმარტებებს. სწორედ აქ, პირველად საფრანგეთში, პროტესტანტებმა მონაწილეობა მიიღეს უფლის სერობაში. ამ პატარა ეკლესიიდან რამდენიმე ერთგული მქადაგებელი გამოვიდა.

და კალვინი ისევ პარიზში დაბრუნდა. მას მაინც ჰქონდა იმედი, რომ რეფორმაციის იდეებს მთელი საფრანგეთი მიიღებდა. მაგრამ სულ მალე დარწმუნდა, რომ იქ მუშაობის არავითარი შესაძლებლობა არ

არსებობდა. სახარების ქადაგება დაუყოვნებლივ ეშაფოტზე ასვლას ნიშნავდა... და მან გერმანიაში წასვლა გადაწყვიტა. დატოვა თუ არა საფრანგეთი, კვლავ ატყდა საშინელი ქარიშხალი პროტესტანტთა წინააღმდეგ და საფრანგეთიდან გასვლა რომ არა, კალვინსაც დალუპვა ელოდა.

ფრანგმა რეფორმატორებმა, რომელთაც სურდათ არ ჩამორჩენოდნენ გერმანიასა და შვეიცარიას, გადაწყვიტეს, გაბედული დარტყმა მიეყენებინათ რომის ცრურელიგიისათვის და მთელი ერი ფეხზე დაეყენებინათ. ერთი ღამის განმავლობაში მთელ საფრანგეთში გააკრეს პლაკატები, რომელნიც მკაცრად აკრიტიკებდნენ მესას.

მაგრამ მოსალოდნელი წარმატების ნაცვლად, ეს მოუფიქრებელი ნაბიჯი დამლუპველი აღმოჩნდა არა მარტო მათთვის, ვინც ეს ჩაიფიქრა, არამედ რეფორმაციის ყველა მომხრესათვის მთელ საფრანგეთში. პაპისტებმა მიიღეს ის, რასაც ასე დიდი ხანი ელოდნენ - საბაბი, რომელიც მშვენივრად გამოიყენეს ერეტიკოსთა, როგორც ტახტისა და ეროვნული თანხმობის მოწინააღმდეგე საშიში დამნაშავეების, სრული განადგურებისათვის.

ვილაცის მოუფიქრებელმა ხელმა - რეფორმაციის მეგობარმა თუ ვერაგმა მტერმა - (რაც ბოლომდე გაუგებარი დარჩა) ერთ-ერთი პლაკატი მეფის კაბინეტის კარზე ჩამოჰკიდა. მეფე საშინლად აღშფოთდა: ეს ფურცელი

საშინელ დარყმას აყენებდა იმ ცრურელიგიას, რომელსაც ასე მოწიწებითა და პატივისცემით ეკიდებოდნენ მრავალი საუკუნის განმავლობაში. ამ უმაგალითო თავხედობამ მათი მხრიდან, ვინც გაბედა და სახეში ესროლა მეფეს უხეში და თავხედური სიტყვები, მეფის მძვინვარება გამოიწვია. ერთხანს იგი თითქოს დამუნჯდა, ალშფოთებისაგან ცახცახებდა, შემდეგ კი თავისი რისხვა ამ საშინელ სიტყვებში გადმოანთხია: "დაიჭირონ ლუთერანობაში ყველა ეჭვმიტანილი; მე მათ ყველას გავანადგურებ" - ასეთი იყო საბოლოო გადაწყვეტილება. მეფემ მტკიცედ გადაწყვიტა რომის მხარდაჭერა.

სასწრაფოდ იქნა მიღებული ყველა ზომა პარიზში ლუთერანთა დასაპატიმრებლად. პაპისტებმა შეიპყრეს საწყალი ხელოსანი, რეფორმატორთა მომხრე, რომელიც საიდუმლო კრებებზე იწვევდა მორწმუნეებს და სიკვდილის მუქარით აიძულეს პაპის ემისარისათვის ეჩვენებინა მისთვის ცნობილ პროტესტანტთა სახლები. თავიდან ამ უბედურმა სასტიკად უარყო ასეთი სულმდაბლობა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, შიშმა ენა ამოადგმევინა და ძმათა მოღალატე გახადა. ჯარისკაცთა, მღვდელთა და ბერთა თანხლებით მორინი-მეფის საძიებო პოლიციის აგენტი და ეს უბედური კაცი, თავისი სინდისის გამყიდველი, ნელ-ნელა მიიწევდნენ

ქალაქის ქუჩებში. თითქოს ეს პროცესია მოწყობილ იქნა "წმიდა საიდუმლოს" პატივსაცემად, როგორც პროტესტანთა მიერ მესისთვის მიყენებული შეურაცხყოფის გამომსყიდველი აქტი. მაგრამ მთელი ეს "წმიდა" აქტი შავბნელ გეგმებს მალავდა. ლუთერანის სახლთან მოახლოებისას მოლალატე ხელით ანიშნებდა და პროცესიაც ჩერდებოდა; მაშინვე შეცვივდებოდნენ ხოლმე მითითებულ სახლში, აპატიმრებდნენ ყველას, ადებდნენ ბორკილებს და საშინელი პროცესია კვლავ განაგრძობდა გზას ახალი მსხვერპლის ძებნაში. ისინი "უყურადღებოდ არ ტოვებდნენ არც ერთ სახლს, შედიოდნენ ყველგან,

ლარიბულ ქოხებსა თუ უნივერსიტეტის შენობაში... მთელი ქალაქი შიშმა მოიცვა... ყველგან თავზარდამცემი საშინელება გამეფდა".

შეპყრობილთ წამების შემდეგ სიკვდილით სჯიდნენ. გამოიცა ბრძანება, დაენთოთ პატარა კოცონი, რათა ჯოჯოხეთური აგონია უფრო დიდხანს გაგრძელებულიყო. მაგრამ მოწამენი, უჩვეულოდ მშვიდად და მტკიცედ კვდებოდნენ, როგორც გამარჯვებულნი. მათი მდევნელნი, რომელნიც უძლური აღმოჩნდნენ ამ უდრეკი სიმამაცის წინაშე, თავს დამარცხებულად თვლიდნენ. "პარიზის ყოველ უბანში აღმართული იყო ეშაფოტები და ყოველდღე ცეცხლზე იწვოდა ახალ-ახალი

მსხვერპლი ადამიანთა შესაშინებლად. მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც სახარების მხარეზე იყო. მთელმა პარიზმა დაინახა, თუ რას წარმოადგენდნენ ახალი მოძღვრების მიმდევარნი. მათი კათედრა იყო კოცონი. ის მშვიდი სიხარული, რომელიც მოწამეთა სახეებს ანათებდა, ცეცხლის ალში გახვეულთა გმირულ სიმამაცეს, მათ ყოვლისმიმტევებელ სიტყვებს არაერთხელ შეუცვლია რისხვა შეწყალებით, სიძულვილი - სიყვარულით და ყოველივე ეს ნათლად მოწმობდა სახარების სასარგებლოდ."

იმისათვის, რომ ხალხის რისხვა არ ჩამცხრალიყო, სამღვდელოება საოცარ, დაუჯერებელ ჭორებს

ავრცელებდა პროტესტანტთა შესახებ. მათ ადანაშაულებდნენ კათოლიკეთა წინაალმდეგ სისხლიან შეთქმულებებში, მთავრობის დამხობისა და მეფის მკვლელობის განზრახვაში. მაგრამ მათ ამის არავითარი მტკიცება არ გააჩნდათ. მათი საშინელი წინასწარმეტყველება ალსრულდა, მხოლოდ სულ სხვა გზით: დანაშაულობანი, რომელთაც კათოლიკენი უდანაშაულო პროტესტანტებს სდებდნენ ბრალად, ალსრულდა უფრო მოგვიანებით და თვით პაპისტების მიერ, რომელთა მეშვეობითაც დაილუპა მეფე, მისი ამალა და ქვეშევრდომნი. არა პროტესტანტულმა მოძღვრებამ, არამეს მისმა განადგურებამ მიიყვანა საფრანგეთი იქამდე, რომ 300 წლის

შემდეგ მას საშინელი კატასტროფა დაატყდა თავს.

შიშმა, ეჭვმა და უნდობლობამ დაისადგურა საზოგადოების ყველა ფენაში. მაგრამ ამ საერთო მწუხრის ჟამს ნათლად შეიმჩნეოდა ის სასიკეთო ცვლილებებიც, რომელიც ლუთერის მოძღვრებამ მოუტანა მის მიმდევრებს - ისინი გამოირჩეოდნენ უმაღლესი განათლებით, თავდაჭერილობით და საკუთარი თავის ღირსების შეგრძნებით. ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო თანამდებობის ადგილები სახელმწიფოში ვაკანტური აღმოჩნდა. ქალაქიდან გაქრნენ ხელოსნები, მბეჭდავები, სწავლულები, უნივერსიტეტის პროფესორები, მწერლები და

სასახლის კარისკაცებიც კი. ათასობით ადამიანმა დატოვა პარიზი, რითაც რეფორმაციის მიმართ თავიანთი ერთგულება დაამტკიცა. პაპისტები გაოგნებული იყვნენ ამ სურათით - ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ პარიზში ამდენი ერეტიკოსი იყო... და უფრო მეტი სისასტიკით ექცეოდნენ მათ, ვინც უკვე შეპყრობილი ჰყავდათ. ციხეები გადატვირთული იყო, ჰაერი იმ კოცონთა კვამლის სუნით იყო გაჟღენთილი, რომელზედაც სახარების მოწმეებს წვავდნენ.

ფრანცისკ I , საკუთარ თავს მეცნიერების დიადი ალორძინების მოძრაობის წინამძღვრად თვლიდა, რომელიც მე-16 საუკუნეში დაიწყო. იგი

სიამოვნებით იწვევდა სწავლულთ მსოფლიოს ყველა კუთხიდან. რეფორმაციის მიმართ მისი კეთილგანწყობა ნაწილობრივ განათლების სიყვარულითა და ბერთა უმეცრებისა და ცრუმორწმუნეობის სიძულვილით აიხსნებოდა. მაგრამ ერესის სრული განადგურების უდიდესი სურვილის გამო მან გამოსცა ბრძანება საფრანგეთში ბეჭდვითი საქმის აკრძალვის შესახებ! ისტორიამ ბევრი მაგალითი იცის იმისა, რომ ინტელექტუალური კულტურა ხშირად არ არის რელიგიის მიმართ შემწყნარებელი და არც ფრანცისკ პირველი იყო გამონაკლისი.

თავისი მტკიცე გადაწყვეტილება პროტესტანტიზმის განადგურების

შესახებ საფრანგეთს მთლიანად უნდა მოეყვანა სისრულეში. სამღვდელოება მოითხოვდა მესის კრიტიკისათვის მიყენებული შეურაცხყოფის სისხლით გამოსყიდვას და მეფისაგან საჯარო თანხმობას ამ საშინელი საქმის ალსრულებაზე.

საშინელი ცერემონია შედგა 1535 წლის 21 იანვარს. ამ დროისათვის სამღვდელოებამ იზრუნა იმაზე, რომ ხალხში დაეთესა შიში და ერში-ბრმა სიძულვილი პროტესტანთა მიმართ. პარიზის ქუჩები ხალხით იყო გადაჭედილი. და აი, გამოჩნდა დიდებული პროცესია. ქუჩების განაპირა სახლებზე სამგლოვიარო ქსოვილები იყო გადმოფენილი. ყოველი კარის წინ "წმიდა

საიდუმლოს" პატივისცემის ალსანიშნავად ჩირალდანი ენთო. ცერემონიალის მონაწილენი გათენებამდე შეიკრიბნენ მეფის სასახლესთან. "პროცესიის თავში მოჰქონდათ ბაირალი და სხვადასხვა სამრევლოებიდან გამოტანილი ჯვარცმები; მათ ორ რიგად მოჰყვებოდნენ მოქალაქენი ანთებული ჩირალდნებით ხელში." უკან მისდევდნენ თავიანთ სამოსელში გახვეული ბერები ოთხი ორდენიდან, შემდეგ კი მიჰქონდათ ცნობილ წმიდანთა ნაწილები, რომელთაც უკან მიჰყვებოდნენ მეწამულ და ალისფერ საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი, ძვირფასეულობით შემკული კარდინალები.

"უკან მიჰყვებოდა უამრავი მხედრობა, რომელსაც წინ პარიზის ეპისკოპოსი მიუძღოდა... ოთხ დიდებულს ხელით მიჰქონდა ძვირფასი თვლებით შემკული ბალდახინი. მხედრობას უკან მიჰყვებოდა მეფე... იმ დღეს მას თავზე არ ედგა გვირგვინი და არც სამეფო ტანსაცმელი ეცვა. თავსაბურავის გარეშე, თავდახრილი, ანთებული სანთლებით ხელში ფრანცისკ I
ცოდვილს უფრო ჰგავდა, ვიდრე დიდებულ მონარქს. ყოველი საკურთხევლის წინ იგი მორჩილებით იყრიდა მუხლს და მიტევებას ითხოვდა არა საკუთარი მანკიერი სულის და უბრალოთა სისხლის გამო, რომელშიც ხელი

ჰქონდა გასვრილი - არა, იგი მიტევებას ითხოვდა თავის ქვეშევრდომთათვის, რომელთაც მესა შეურაცხყვეს. მას გვერდით ედგა დედოფალი და სახელმწიფო მოხელენი, რომლებიც ასევე ორ რიგად იყვნენ ჩამწკრივებული და ხელში ანთებული ჩირაღდნები ეჭირათ.

იმ დღეს ეპისკოპოსის სასახლის დიდ დარბაზში მეფემ სიტყვით მიმართა წარჩინებულთ. მწუხარე სახით გამოვიდა მათ წინაშე და დიდი სინანული გამოთქვა "დანაშაულის, ღვთისმკრეხელობის, სირცხვილისა და ნაღველის გამო", რომელიც მთელ ერს დაატყდა თავს. შემდეგ მან თავის ერთგულთ მოუწოდა, დახმარებოდნენ ერესის

ალმოფხვრაში, რომელიც მთელ საფრანგეთს დალუპვას უქადდა. "მოწყალეო ხელმწიფენო, - თქვა მან, - მე თუ გავიგებდი, რომ ჩემს ფეხს ან ხელს მიეკერა ეს საშინელი, საზიზღარი სენი, უეჭველად მოვიკვეთდი მას... და ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ მე თქვენი მეფე ვარ. უფრო მეტიც, თუ გავიგებდი, რომ რომელიმე ჩემი შვილიც შეიბღალა ამ დაწყევლილი მოძღვრებით, არც მას დავინდობდი... თავად გადავცემდი მას მართლმსაჯულებას და მსხვერპლად შევწირავდი ღმერთს". მეფემ ტირილითა და ცრემლებით წარმოსთქვა ეს სიტყვები და მთელმა მისმა ამალამ ერთხმად წამოიძახა:

"ჩვენ მზად ვართ სიცოცხლე შევწიროთ კათოლიკურ რწმენას."

რა საშინელმა წყვდიადმა მოიცვა ხალხი, რომელმაც უარყო ჭეშმარიტების ნათელი! ხსნის მადლი და წყალობა მიეცა საფრანგეთს; ქვეყანამ დაინახა მისი ძალა და სიწმიდე, დაინახა, თუ როგორ მოიქცა ათასობით ადამიანი ღვთიური სრულყოფილებისაკენ; ქალაქები და სოფლები ღვთიურმა ნათელმა მოიცვა; მან დაინახა ყველაფერი ეს, მაგრამ უარყო ჭეშმარიტება და სინათლეს სიბნელე არჩია. მან უარი თქვა ზეცისაგან შემოთავაზებულ საბოძვარზე. სიკეთეს ბოროტება უწოდა და ბოროტებას - სიკეთე, სანამ თავისი სიცრუის მსხვერპლი არ გახდა. შესაძლოა, მას თვითონვე

სჯეროდა, რომ თავისი ხალხის სასტიკი დევნით ღმერთს ემსახურებოდა, მაგრამ ამას არავითარი გამართლება არ ჰქონდა. მან თავისი ნებით უარყო ნათელი, რომელსაც შეეძლო მათი ხსნა შეცდომებისა და სისხლისღვრისაგან.

გაისმა საზეიმო ფიცი ერესის განადგურების შესახებ დიდ კათედრალურ ტაძარში, რომელშიც 300 წლის შემდეგ, სრულიად დავიწყებული ცოცხალი ღმერთის ნაცვლად, გვირგვინით შეამკობენ "გონიერების ქალღმერთს". ამის შემდეგ პროცესიამ კვლავ განაგრძო გზა პარიზის ქუჩებში და ფრანგი ხალხი შეუდგა იმ საქმის ალსრულებას, რომლისთვისაც ფიცი დადო. "ერთმანეთისაგან მცირე

მანძილის დაშორებით აღმართეს ეშაფოტები პროტესტანტთა კოცონზე დასაწვავად. "ცოცხალი კოცონი" მეფის მოახლოებისთანავე უნდა ანთებულიყო, რათა პროცესიის მონაწილეთ მათი წამების დანახვა შესძლებოდათ". ძალიან ძნელია იმ ტანჯვის დაწვრილებით აღწერა, რომელიც იესო ქრისტეს ამ მოწმეებმა გადაიტანეს; მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას, რომ მათ უყოყმანოდ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე გასწირეს თავიანთი სიცოცხლე. როდესაც ერთ პროტესტანტს შესთავაზეს ამ მოძღვრების უარყოფა, მან უპასუხა: "მე მხოლოდ ის მწამს, რასაც მოციქულები და წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ; ასევე სწამდა ყველა

წმიდანს; მე მწამს უფლისა, რომელიც დაამარცხებს ჯოჯოხეთის ძალებს."

ყოველ ეშაფოტთან ჩერდებოდა პროცესია. და ბოლოს, მიაღწია რა მეფის სასახლეს, ხალხი თანდათანობით დაიშალა, იმ დღის მოვლენებით მეტად კმაყოფილი მეფე და პრელატები ერთმანეთს ულოცავდნენ, რომ ასე წარმატებით დაიწყო ერესის აღგვის საქმე საფრანგეთის მიწაზე.

საფრანგეთის მიერ უარყოფილი მშვიდობის სახარება მალე ძირფესვიანად იქნა აღმოფხვრილი, რასაც საშინელი შედეგები მოჰყვა. 1793 წლის 21 იანვარს, საფრანგეთის მიერ რეფორმაციის მოსპობის შესახებ საზეიმო ფიცის დადების დღიდან ზუსტად 258 წლის შემდეგ

პარიზის ქუჩებში გზას მიიკვლევდა სულ სხვა პროცესია სულ სხვა განზრახვით. "პროცესიის ცენტრალური ფიგურა კვლავ მეფე იყო; კვლავ გაისმოდა შეძახილები; კვლავ ითხოვდა მსხვერპლს ხმაურიანი ბრბო, კვლავ ალიმართა ქალაქის ქუჩებში ეშაფოტები და კვლავინდებურად საშინელი სისხლისღვრით დამთავრდა ის დღე: ლუდოვიკო XVI, სასოწარკვეთილებით ეწინააღმდეგებოდა ჯალათებს, ძალით მიათრიეს კუნძთან და თავი მოჰკვეთეს". მარტო მეფე არ დალუპულა; მასთან ერთად იმ ტერორის საშინელ დღეებში გილიოტინით დასაჯეს 2800 ადამიანი.

რეფორმაცია ქვეყნიერებას სთავაზობდა ბიბლიას და აცნობდა ღმერთის კანონის მოთხოვნას, რომელიც ყოველი ადამიანის სინდისში უნდა ჩანერგილიყო. უფლის უსაზღვრო სიყვარულმა ადამიანებს ზეცის კანონები და პრინციპები გაუხსნა. უფალმა თქვა: "დაიცავით და შეასრულეთ, რადგან ეს არის თქვენი სიბრძნე და გონიერება იმ ხალხების წინაშე, რომლებიც ყურს მოჰკრავენ ამ წესებს და იტყვიან: აჰა, ბრძენი და გონიერი ხალხია ეს დიდი ერი." (2რჯ. 4:6). საფრანგეთმა უარყო ეს ზეციური ძღვენი, რითაც ანარქიისა და დაღუპვის თესლი დათესა, რომელმაც შესაბამისი ნაყოფი გამოიღო - რევოლუცია და ტერორი.

მესის საწინააღმდეგო პლაკატის გამოჩენამდე, რომელმაც ეს სასტიკი დევნა გამოიწვია, მამაცი და ფიცხი ფარელი იძულებული იყო სამშობლოდან გადახვეწილიყო. იგი ჩავიდა შვეიცარიაში და ცვინგლის დახმარებით შესძლო საზოგადოების გადახრა რეფორმაციის მხარეზე. იგი შვეიცარიაში სიცოცხლის ბოლომდე დარჩა, მაგრამ იქიდანაც კი დიდ გავლენას ახდენდა საფრანგეთის რეფორმაციაზე. გადასახლების პირველ წლებში ფარელი ძირითადად ზრუნავდა თავის მშობლიურ ქვეყანაში სახარების გავრცელებაზე. იგი ბევრს ქადაგებთა თავის თანამემამულეთა წინაშე, რომლებიც შვეიცარიის საზღვართან ახლოს ცხოვრობდნენ, შეუნელებელი

ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მათ ბრძოლას, ამხნევებდა სიტყვით და ასწავლიდა მათ. საფრანგეთიდან გადასახლებულთა მეშვეობით მათ ფრანგულ ენაზე თარგმნეს გერმანელ რეფორმატორთა ნაშრომები და ბიბლიასთან ერთად, ფრანგულ ენაზე დიდი ტირაჟებით გამოსცეს. ეს წიგნები მთელ საფრანგეთში გავრცელდა. მათ დაბალ ფასებში აძლევდნენ წიგნებით მოვაჭრეებს, მოგებული ფული კი სტიმულს მატებდა წიგნების გამავრცელებლებს.

ფარელმა შვეიცარიაში შრომა უბრალო მასწავლებლის როლში განაგრძო. დაიწყო რა მსახურება ერთ პატარა ეკლესიაში, მთელი თავისი სიცოცხლე ბავშვთა აღზრდას შეალია.

სხვა სასკოლო საგნებთან ერთად ბავშვებს ფრთხილად აწვდიდა ბიბლიურ ჭეშმარიტებათა გამოთქმებს იმ იმედით, რომ შემდგომში ამით მათი მშობლებიც დაინტერესდებოდნენ. ზოგმა მათგანმა ირწმუნა, მაგრამ მღვდლები წინ ალუდგნენ მის სწავლებას და მოახერხეს ცრუმორწმუნე ხალხის მის წინააღმდეგ განწყობა. "ეს არ შეიძლება იყოს ქრისტეს სახარება, - დაჟინებით ამბობდნენ ისინი, - რადგან მის ქადაგებას მოაქვს არა მშვიდობა, არამედ ომი". პირველ მოციქულთა მსგავსად, ერთი ქალაქიდან განდევნილი ფარელი მეორეში გარბოდა. დადიოდა სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, ითმენდა ყველაფერს:

შიმშილს, სიცივეს, დაღლილობას და ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულ ხიფათს ელოდა. ქადაგებდა ბაზრების მოედნებზე, ეკლესიებში, ხოლო ზოგჯერ ტაძრის კათედრიდანაც კი. ზოგჯერ ეკლესიები თითქმის ცარიელი იყო, ხშირად ქადაგებას დამცინავი შეძახილებით აწყვეტინებდნენ და აძევებდნენ კიდეც კათედრიდან. მის წინააღმდეგ აქეზებდნენ მდაბიოთ, რომელნიც სასიკვდილოდ სცემდნენ. მაგრამ იგი კვლავ განაგრძობდა თავის საქმეს. ხშირად მარცხდებოდა, მაგრამ არ ნებდებოდა და თანდათანობით სოფლები, რომლებიც პაპს ეკუთვნოდა, კარს უხსნიდნენ სახარების ნათელს. ამ პატარა ეკლესიის სამრევლომ, სადაც მან

მსახურება დაიწყო, რეფორმატორული რწმენა მიიღო. ქალაქებმა მორატმა და ნევშატელმა უარი განაცხადეს კათოლიკურ რელიგიაზე და მორწმუნეებმა თავიანთი ეკლესიებიდან წარმართული ხატები გადაყარეს.

ფარელს დიდი ხნის ოცნებად ჰქონდა გადაქცეული პროტესტანტიზმის ბაირალის აფრიალება ჟენევაში. სახარების მიღების შემთხვევაში ეს ქალაქი შეიძლებოდა რეფორმაციის ცენტრი გამხდარიყო საფრანგეთის, იტალიისა და შვეიცარიისათვის. ამ მიზნის განსახორციელებლად გულმოდგინედ დაიწყო შრომა და სულ მალე ჟენევის გარშემო მდებარე ქალაქებმა და სოფლებმა

რეფორმატორთა მოძღვრება მიიღეს. და მაშინ, ერთადერთი მეგობრის თანხლებით ფარელი ჟენევაში ჩავიდა. მაგრამ იქ მხოლოდ ორი ქადაგების ჩატარება შეძლო. სამღვდელოებამ, რომელმაც სამოქალაქო ხელისუფლებისაგან ვერ მიიღო დასტური ფარელის დაპატიმრებაზე, იგი საეკლესიო კრებაზე მიიწვია, სადაც მღვდლები ანაფორის ქვეშ დამალული იარაღით მოვიდნენ, რადგან მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი მისი მოკვლა. შენობა ხელკეტებითა და მახვილებით შეიარაღებული ბრბოთი იყო გარშემორტყმული. კრებას რომ ხელიდან დასხლტომოდა, ბრბოს მაინც ვერ გადაურჩებოდა ფარელი. იგი ქალაქის ხელისუფლებისა და

შეიარაღებულ ჯარისკაცთა იქ ყოფნამ გადაარჩინა. მეორე დილას ფარელმა და მისმა მეგობრებმა მალულად გადაცურეს ტბა და საიმედო ადგილს შეაფარეს თავი. ასე დამთავრდა ჟენევაში სახარების ქადაგების მისი პირველი მცდელობა.

შემდგომი მცდელობისათვის ამორჩეული იქნა სხვა, უფრო შეუმჩნეველი პიროვნება - ახალგაზრდა კაცი, რომელიც იმდენად შეუხედავი იყო, რომ თვით რეფორმაციის მეგობრებიც კი ცივად შეხვდნენ. რას გააკეთებდა ეს ახალგაზრდა იქ, სადაც თვით ფარელმაც კი დამარცხება იგემა? როგორ გაუძლებს იგი, ასეთი გამოუცდელი და მორიდებული, ქარიშხალს, რომელსაც ასეთმა

ძლიერმა და მამაცმა ადამიანებმაც ვერ გაუძლეს? "არა ძალითა და ძლიერებით, არამედ ჩემი სულითო, ამბობს ცაბაოთ უფალი" (ზაქ.4:6). "რადგან უგუნურება ღვთისა ადამიანებზე უბრძენესია და სისუსტე ღვთისა, - ადამიანებზე უძლიერესი... წუთისოფლის უმეცარნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ბრძენები" (1კორ. 1:25,27).

ფრომენტმა სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მის მიერ ნასწავლ ჭეშმარიტებას ბავშვები სახლში იმეორებდნენ და მალე ბიბლიის განმარტებების მოსასმენად მშობლებმა იწყეს სკოლაში მოსვლა. ასე, თანდათანობით, საკლასო ოთახი ყურადღებიანი მსმენელებით აივსო.

მათ, ვინც ვერ ბედავდა მოსვლას ახალი მოძღვრების მოსასმენად, ახალი ალთქმისა და ტრაქტატების წაკითხვას სთავაზობდნენ, ეს წიგნები კი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო. რამდენიმე ხსნის შემდეგ ეს მსახურიც იძულებული გახდა, გაქცეულიყო, მაგრამ მის მიერ ნაქადაგები ჭეშმარიტებანი ხალხის შემეცნებაში უკვე მტკიცედ იყო ჩაბეჭდილი. რეფორმაციის თესლი ნაყოფიერ ნიადაგზე დაეცა. მოძრაობა იზრდებოდა და ფართოვდებოდა. სახარების მქადაგებელნი უკან ბრუნდებოდნენ და მათი შრომის წყალობით პროტესტანტულმა ღვთისმსახურებამ ჟენევაში მტკიცედ გაიდგა ფესვი.

როდესაც ხანგრძლივი ხეტიალისა და ბედის უკულმართობის შემდეგ აქ კალვინი გამოჩნდა, ჟენევამ უკვე საჯაროდ აღიარა და მიიღო რეფორმაცია. კალვინი მშობლიური ადგილებიდან ბაზელში ბრუნდებოდა, მაგრამ გზა კარლოს მეომრების მიერ გადაკეტილი აღმოჩნდა და იგი იძულებული გახდა, შემოვლითი გზით - ჟენევაზე გავლით - დაბრუნებულიყო ამ ქალაქში.

კალვინის ჩამოსვლაში ფარელმა უფლის ხელი დაინახა. თუმცა ჟენევამ მიიღო პროტესტანტთა რელიგია, მაგრამ აქ კიდევ დიდი სამუშაო იყო ჩასატარებელი. უფლისაკენ მოქცევა ხდება არა ერთბაშად და ჯგუფურად, არამედ -

ინდივიდუალურად; გულისა და სინდისის გარდაქმნა და განწმედა ხდება არა საეკლესიო დადგენილებებით, არამედ სულიწმიდით. თუმცა ჟენევის მოსახლეობამ უარყო რომის ძალაუფლება, მაგრამ მის მიერ დათესილი მანკიერების ალმოფხვრისათვის ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად. ადამიანებისათვის იმის შთაგონება, რომ აუცილებელია სახარების წმიდა პრინციპებით ცხოვრება, რათა ღირსეული როლი ითამაშონ უფლის მიერ მათთვის წინასწარგათვლილ პოზიციაში არცთუ ისე ადვილი საქმე იყო.

ფარელი დარწმუნებული იყო, რომ კალვინი სწორედ ის პიროვნებაა, რომელთანაც შეიძლება ამ საქმეში

თანამშრომლობა. უფლის სახელით სთხოვდა იგი ახალგაზრდა მქადაგებელს ჟენევაში დარჩენას. ამ წინადადებამ შეაშინა კალვინი. მორიდებული და რბილი ხასიათის მქონე კალვინი თავს არიდებდა თამამ და ფიცხ ჟენეველებს. სუსტი ჯანმრთელობა და მეცნიერული შრომისაკენ მიდრეკილება მას განმარტოებისაკენ უბიძგებდა. იგი თვლიდა, რომ მისი ნაშრომები უფრო დიდ სამსახურს გაუწევდა რეფორმაციას და ცდილობდა, მყუდრო ადგილი მოეძებნა შრომისათვის, რათა თავისი კალმით დაეჭირა მხარი ჭეშმარიტი ეკლესიისათვის. მაგრამ ფარელის დაჟინებულ თხოვნაში მან ზეციური მოწოდება იგრძნო და უარის თქმა

ვერ გაბედა. მას მოეჩვენა, რომ "უფალმა ხელი გამოუწოდა ზეციდან, უარის თქმა არ აცალა და არ გაუშვა იმ ადგილიდან, საიდანაც ასე გულით უნდოდა წასვლა."

ამ დროს პროტესტანტებს სერიოზული საფრთხე დაემუქრა. პაპმა ანათემას გადასცა ჟენევა და ძლიერი სახელმწიფოებიც დაემუქრნენ მას. როგორ ალუდგა წინ ეს პატარა ქალაქი ამ ძლიერ იერარქიას, რომელსაც მეფეები და იმპერატორები ემორჩილებოდნენ? როგორ გაუძლო მან უძლიერეს დამპყრობთა შემოსევას?

მთელ ქრისტიანულ სამყაროში პროტესტანტებს უამრავი მტერი ჰყავდა. რეფორმაციის გამარჯვებათა პირველმა პერიოდმა განვლო; რომმა

ახალი ძალები მოიკრიბა მისი საბოლოოდ განადგურების იმედით. ამ დროისათვის იქმნება იეზუიტთა ორდენი - პაპის ყველაზე სასტიკი, უპრინციპო და ერთგული მომხრეებით. იყვნენ რა თავისუფალნი ყოველგვარი მიწიერი გრძნობებისა და ინტერესებისაგან, მათ ჩაიკლეს ბუნებრივი გრძნობები და მოთხოვნილებები, დაიხშეს სინდისისა და გონების ხმა. ისინი არ სცნობდნენ არც ერთ ხელისუფლებას, არავითარ ვალდებულებას, გარდა ორდენის სამსახურისა და ორდენის გავლენის სფეროების გაფართოებას თავის ერთადერთ მოვალეობად თვლიდნენ. ქრისტეს სახარება მის ერთგულთ შიმშილის, სიცივის, ტანჯვის, გაჭირვებისა და ნებისმიერი

საშიშროების ღირსეულად გადატანისათვის აძლევდა ძალასა და შესაძლებლობას. და მათ არ ეშინოდათ არც საპყრობილეებისა, არც წამებისა და არც კოცონისა. ამ ძალას იეზუიტებმა დაუპირისპირეს ფანატიზმი, რომელიც მათ ეხმარებოდა მსგავსი სიძნელეების გადალახვასა და ჭეშმარიტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ. არ არსებობდა დანაშაული, რომლის ჩადენაც მათ არ შეეძლოთ; არ არსებობდა სიცრუე, რომლის თქმასაც ისინი არ იკადრებდნენ. და არ არსებობდა არანაირი რთული მზაკვრული ფანდი, მათ რომ არ გამოეყენებინათ. დებდნენ რა სამუდამო სილარიბისა და

მორჩილების აღთქმას, ისინი მიზანდასახულად მიიწევდნენ სიმდიდრისა და ძალაუფლებისაკენ, რათა გამოეყენებინათ პროტესტანტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და პაპის ხელისუფლების აღსადგენად.

სიმშვიდის ნიღაბს ამოფარებული ორდენის წევრები დადიოდნენ ციხეებსა და საავადმყოფოებში, ემსახურებოდნენ საწყლებსა და ავადმყოფებს, რითაც ხაზს უსვამდნენ მათ მიერ ამ წუთისოფლის უარყოფას. ისინი განუმარტავდნენ ხალხს, რომ ქრისტეს სახელით, უფლის მსგავსად დადიან ყველგან, თესავენ სიკეთეს და ემსახურებიან ადამიანებს. მაგრამ ამ მოჩვენებითი კეთილი საქმეების ნიღაბქვეშ

ხშირად ბოროტი და
დანაშაულებრივი განზრახვა -
ორდენის მთავარი პრინციპი
იმალებოდა: "მიზანი ამართლებს
საშუალებას". ამგვარად, სიცრუეს,
ქურდობას, ვერაგობასა და
მკვლელობას ისინი არა მხოლოდ
ამართლებდნენ, არამედ აქებდნენ და
ახალისებდნენ კიდეც ამ საქმის
გამკეთებლებს, თუკი ეს ეკლესიის
ინტერესებიდან გამომდინარეობდა.
სხვადასხვაგვარი მზაკვრული
ხერხებით იეზუიტები გზას
მიიკვლევდნენ სახელმწიფო
თანამდებობისაკენ, აღწევდნენ მეფის
მრჩევლის წოდებას და ზემოქმედებას
ახდენდნენ მრავალი ქვეყნის
პოლიტიკაზე. ისინი ხდებოდნენ
ბატონთა მსახურნი, რათა თვალყური

ედევნებინათ, შემდეგ კი დაებეზღებინათ ისინი. იეზუიტები ხსნიდნენ კოლეჯებს მთავართა, ხოლო სკოლებს - უბრალო ხალხთა შვილებისათვის, სადაც პროტესტანტთა შვილებს პაპის მიერ დაწესებული ცერემონიების შესასრულებლად იწვევდნენ. მთელი კათოლიკური ღვთისმსახურების მოჩვენებითი სიდიადე იქით იყო მიმართული, რომ დაეჩლუნგებინათ ადამიანთა გონება და შემდეგ ემართათ იგი და ხშირად აღწევდნენ კიდეც მიზანს. ზოგჯერ შვილები ღალატობდნენ თავისუფლების იმ იდეალებს, რისთვისაც მამაცურად იბრძოდნენ და სისხლს ღვრიდნენ მათი მშობლები. ასეთი ორდენები თითქმის მთელ ევროპაში შეიქმნა

და ყველგან ხელს უწყობდნენ პაპის ძალაუფლების განმტკიცებასა და ალორძინებას.

ამ ორდენის ძალაუფლების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებისათვის პაპმა გამოსცა სპეციალური დეკრეტი ინკვიზიციის ალსადგენად. მიუხედავად მის მიმართ საზოგადოების დიდი სიძულვილისა, ეს საშინელი ტრიბუნალი პაპის ხელისუფლებამ კათოლიკურ ქვეყნებშიც კი ალადგინა. საიდუმლო ციხეებში ხდებოდა საზარელი მხეცობა, რომლის საშინელებას, ალბათ, დღის სინათლე ვერ გაუძლებდა. მრავალ ქვეყანაში დახოცეს ათასობით ადამიანი, მრავალი გააძევეს ქვეყნიდან. ეს ადამიანები ერის გულს

წარმოადგენდნენ: ზედმიწევნით პატიოსანი წარჩინებულნი; დიდად განათლებული და ნიჭიერი ადამიანები; ღვთისმოსავი და ერთგული პასტორები; შრომისმოყვარე და თავისი სამშობლოს მოყვარული მოქალაქეები; ნიჭიერი მხატვრები; თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე ხელოსნები.

ასეთ საშუალებებს მიმართავდა რომი რეფორმაციის შუქის მოსასპობად, რათა ხალხისათვის წაერთმია ღვთის სიტყვა - ბიბლია და დაებრუნებინა შუა საუკუნეების უმეცრება, ცრუმორწმუნოება და წყვდიადი. მაგრამ უფლის ნებით, იმ ღვთისნიერ კაცთა შრომების წყალობით, რომლებიც ლუთერს

ცვლიდნენ, პროტესტანტიზმი არ განადგურებულა. თავისი სიცოცხლისუნარიანობისათვის იგი უნდა უმადლოდეს არა მთავართა წყალობასა და იარაღს, არამედ პროტესტანტიზმის საყრდენი იყო პატარა ქვეყნები, ყველაზე უბრალო და სუსტი ერები. ისეთები, როგორიც იყო შვეიცარია უძლიერეს მტერთა გარემოცვაში, რომელთაც მისი მოსპობა სურდათ; ჰოლანდია, რომელიც ჩრდილოეთის ზღვის ქვიშიან ნაპირებზე მამაცურად იბრძოდა ესპანეთის ტირანიის წინააღმდეგ; ღარიბი შვედეთი, სადაც რეფორმაციამ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა.

დაახლოებით 30 წელი იშრომა კალვინმა შვეიცარიაში, უპირველეს

ყოვლისა, ისეთი ეკლესიის ალმშენებლობისათვის, რომელიც მხოლოდ ბიბლიის ზნეობრივი კანონებით იხელმძღვანელებდა; შემდგომ კი - რეფორმაციის გავრცელებისათვის მთელ ევროპაში. თავის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მას, რა თქმა უნდა, ჰქონდა შეცდომებიც. მისი მოძღვრებაც არ იყო შეცდომებისაგან დაზღვეული, მაგრამ მან უდიდესი როლი შეასრულა ჭეშმარიტების გავრცელებაში, რაც იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი საქმე იყო; სწრაფად ალორძინებული პაპის ძლიერებისაგან პროტესტანტიზმის დაცვაში იგი რეფორმატორულ ეკლესიებს ეხმარებოდა უბრალო და წმიდა ჭეშმარიტი გზებით

სიარულში, იმ პერიოდის კათოლიკეთა ძალაუფლების გაჩრწინლებისა და ამპარტავნობის საპირისპიროდ.

ჟენევა აგზავნიდა მასწავლებლებსა და წიგნებს რეფორმატორთა მოძღვრების გასავრცელებლად. ყველა ქვეყნის სიმართლისათვის დევნილთა იმედიანი მზერა მისკენ იყო მიმართული მჩნეობისა და ცოდნის მისაღებად. კალვინის ქალაქი მთელი დასავლეთი ევროპის დევნილ რეფორმატორთა თავშესაფარი გახდა. ისინი მრავალსაუკუნოვანი სასტიკი დევნისაგან თავის გადასარჩენად ჟენევისაკენ მიისწრაფოდნენ. ძალაგამოცლილნი, დაჭრილნი, სამშობლოსა და ოჯახის გარეშე

დარჩენილნი, აქ პოულობდნენ სულიერ სითბოსა და კეთილ მასპინძლობას. შვეიცარია მათთვის მეორე სამშობლოდ იქცა, მათ კურთხევა და მადლი მოჰქონდათ იმ ქალაქისათვის თავიანთი ოსტატობით, ცოდნითა და ღვთისმოსაობით. ბევრი მათგანი ამ თავშესაფარში ძალ-ღონის მოკრების შემდეგ კვლავ თავის სამშობლოში ბრუნდებოდა რომის ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორის იყვნენ მამაცი შოტლანდიელი რეფორმატორი ჯონ ნოქსი, მრავალი ინგლისელი პურიტანი, ჰოლანდიელი და ესპანელი პროტესტანტები, ფრანგი ჰუგენოტები. ყველა მათგანმა ჟენევიდან გამოიტანა ჭეშმარიტების ლამპარი, რათა გაეფანტა უმეცრებისა

და ცრუმორწმუნოების წყვდიადი, რომელშიც მათი მშობლიური ქვეყანა იყო გახვეული.

თავი 13 რეფორმაცია ნიდერლანდებსა და სკანდინავიაში

ნიდერლანდებსა და სკანდინავიაში გაბატონებულმა დესპოტიზმმა ძალიან ადრე გამოიწვია მწვავე პროტესტი. ლუთერის მოძღვრებამდე 700 წლით ადრე რომის პაპის

წინაალმდეგ გაბედულად გამოვიდა ორი ეპისკოპოსი, რომელთაც რომში ჩასვლისას იხილეს ჭეშმარიტი ხასიათი იმისა, ვინც "წმიდა ტახტზე" იჯდა. უფალმა "საუკუნოდ დააარსა ეკლესია, თავისი სასძლო და დედოფალი ყველა ქრისტიანის საკეთილდღეოდ და მისცა მას ამაღლებული და მარადიული სიკეთე; მან ეკლესიას მისცა გვირგვინი და კვერთხი; შენ კი, როგორც ქურდმა, მიითვისე უფლის ნაბოძვარი; შენ ზიხარ ტაძარში, როგორც ღმერთი; იმის ნაცვლად, რომ მწყემსი ყოფილიყავი, გახდი მგელი ცხვრებს შორის; გსურს დაგვარწმუნო, რომ შენ ხარ უზენაესი მღვდელმთავარი, მაგრამ ისე იქცევი, როგორც დესპოტი. შენ უნდა იყო

მსახურთა მსახური, როგორც თავს უწოდებ, მაგრამ გაბატონებულთა ბატონი გახდი. შენ გძულს უფლის კანონები... ყველა ეკლესიას მთელ დედამიწაზე სულიწმიდა აშენებს... უფლის ქალაქი, რომელშიც ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ, ზეცას სწვდება. იგი იმ ქალაქზე უფრო დიდია, რომელსაც წინასწარმეტყველნი ბაბილონს უწოდებდნენ, რომელიც ღვთიურ ქალაქად თვლის თავს, რომელიც ცამდე ადის და თავს იწონებს თავისი უკვდავი სიბრძნით, რისთვისაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია და თვლის, რომ ის არასოდეს შემცდარა და არც შეიძლება შეცდეს".

ამ საპროტესტო გამოსვლას საუკუნიდან საუკუნემდე

იმეორებდნენ სულ ახალ-ახალი ადამიანები. იმ პირველმა მასწავლებლებმა, რომლებიც მრავალ ქვეყანაში მოგზაურობდნენ, სხვადასხვა სახელებით იღწვოდნენ, ვალდენსელი მისიონერების მსგავსად ყველგან სახარების ჭეშმარიტებას ქადაგებდნენ, ნიდერლანდებამდეც მიაღწიეს, სადაც მათი მოძღვრება სწრაფად გავრცელდა. მათ ბიბლია ვალდენსთა ენიდან ჰოლანდიურ ენაზე თარგმნეს, ვინაიდან, კარგად იცოდნენ, რომ "იგი დიდ სარგებლობას მოუტანდა ხალხს, რადგან მასში არაფერია ფუქსავატური, არანაირი ხუმრობა, დაცინვა და ეშმაკობა, არამედ მხოლოდ ჭეშმარიტების სიტყვა; რასაკვირველია, აქაც გვხვდება

თავისებური სირთულე, მაგრამ მასში მოცემული სიკეთისა და სიწმიდის სითბო და არსი სრულიად გასაგებია ყოველი ადამიანისათვის". - ასე წერდნენ ჭეშმარიტი რელიგიის მეგობრები მეთორმეტე საუკუნეში.

დაიწყო დევნა. მაგრამ ტანჯვა-წამებისა და კოცონთა სიმრავლის მიუხედავად მორწმუნეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ისინი ბიბლიას უშიშრად უწოდებდნენ ერთადერთ უცოდველ ავტორიტეტს რელიგიის საკითხებში და ამტკიცებდნენ, რომ "ვერც ერთ ადამიანს ვერ მიაღებინებენ რწმენას ძალით, არამედ - მხოლოდ ქადაგებით".

ლუთერის მოძღვრებამ ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა ნიდერლანდებში. იქ

სახარების საქადაგებლად გამოჩნდნენ მისი გულწრფელი და ერთგული დამცველები. მენო სიმონსი ჰოლანდიის ერთ-ერთი პროვინციის მკვიდრი იყო. რომის კათოლიკური რწმენით აღზრდილმა, ხელდასხმულმა მღვდელმა სრულებით არ იცოდა ბიბლია და არც სურდა მისი წაკითხვა იმის შიშით, რომ ერეტიკოსთა ბადეში არ გაბმულიყო. ერთხელ მას ეჭვი შეეპარა საკითხთა საფუძვლიანობაში, მაგრამ ეს სატანურ ცდუნებას მიაწერა და შეეცადა, ლოცვებითა და აღსარებით გათავისუფლებულიყო ასეთი აზრებისაგან, მაგრამ ამაოდ. იგი ფუქსავატი გართობებით შეეცადა გამოღვიძებული სინდისის ხმის

ჩახშობას, მაგრამ ამანაც არ უშველა. ცოტა ხნის შემდეგ ახალი აღთქმისა და ლუთერის ნაშრომების შესწავლა დაიწყო და ბოლოს და ბოლოს, რეფორმატორული რწმენა მიიღო. ერთხელ იგი მოწმე გახდა ადამიანის დასჯისა, რომელსაც თავი მოჰკვეთეს მხოლოდ იმის გამო, რომ მეორედ მოინათლა. ამ შემთხვევამ აიძულა იგი მიემართა ბიბლიისათვის ბავშვთა ნათლობის პრობლემის გადასაწყვეტად. წმიდა წერილში მან ვერ მონახა ამის დამამტკიცებელი შემთხვევა. პირიქით, იგი დარწმუნდა, რომ ნათლობის მიღებისათვის აუცილებელია მხოლოდ მონანიება და რწმენა.

მენომ მიატოვა კათოლიკური ეკლესია და მთელი თავისი

სიცოცხლე ჭეშმარიტების ქადაგებას მიუძღვნა. გერმანიაში და ნიდერლანდებში იმ პერიოდში ბევრი ფანატიკოსი გამოჩნდა, რომლებიც აბსურდულ და ბუნტარულ მოძღვრებებს ავრცელებდნენ და ხალხს წესრიგის დარღვევისაკენ, ძალადობისა და ამბოხებისაკენ მოუწოდებდნენ. მენომ წინასწარ განჭვრიტა ამ მოძრაობის შედეგები და მთელი ძალით ჩაება ფანატიკოსთა ამ ცრუ იდეებისა და მათი ველური გეგმების წინააღმდეგ ბრძოლაში. თავდაპირველად ამ ბუნტარული მოძღვრებით გატაცებული ბევრი ადამიანი ბოლოს გამოეყო ამ დამღუპველ მოძრაობას. მათ გარდა, ნიდერლანდებში მრავლად იყვნენ ძველი

ქრისტიანული რელიგიის მიმდევარნი - ვალდენსელთა შთამომავლობის წარმომადგენელნი; სწორედ ამ ადამიანებში დაიწყო მენომ თავისი მსახურება და დიდი წარმატებითაც.

25 წლის განმავლობაში მოგზაურობდა იგი ცოლ-შვილთან ერთად; არ მოჰკლებია გაჭირვება, სიძნელეები და თავი ხშირად ჩაუგდია საფრთხეში; მოგზაურობდა მთელ ნიდერლანდებში და ჩრდილოეთ გერმანიაში, სადაც ძირითადად, უბრალო ადამიანთა შორის შრომობდა და დიდი პატივისცემითაც სარგებლობდა. მას მჭევრმეტყველების თანდაყოლილი ნიჭი ჰქონდა, თუმცა დიდი განათლება არ მიუღია. ეს

ზედმიწევნით პატიოსანი, მეტად მგრძნობიარე და მორიდებული, სერიოზული და ჭეშმარიტად ღვთისმოსავი კაცი, საკუთარ ცხოვრებაში ატარებდა იმ პრინციპებს, რომელთა შესახებაც ხალხს უქადაგებდა და ამიტომაც მათ შორის დიდი ნდობით სარგებლობდა. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული მისი მიმდევრები ხშირად დიდ სიძნელეებს იტანდნენ იმის გამოც, რომ ისინი ფანატიკოს-მუნსტერებში ეშლებოდათ. და მაინც, მისი მცდელობისა და ნაშრომების მეშვეობით, ბევრი ადამიანი მობრუნდა ღმერთისაკენ.

არსად არ მიუღიათ რეფორმატორული მოძღვრებანი ისე ფართოდ, როგორც ნიდერლანდებში.

და ეს - მიუხედავად დევნისა, რაც მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში იყო უფრო ძლიერი. გერმანიაში კარლოს V აკრძალა რეფორმაცია და დიდი სიამოვნებით გაგზავნიდა ყოველ ლუთერანს კოცონზე, მაგრამ მთავრები გაბედულად დაუპირისპირდნენ მის დესპოტიზმს. ნიდერლანდებში მას დიდი გავლენა და ძალაუფლება ჰქონდა და აქაც გაუთავებლად გამოდიოდა ბრძანებულებები რეფორმატორთა დევნის შესახებ. ბიბლიის კითხვა, მის ჭეშმარიტებათა ქადაგება ან მოსმენა, მის შესახებ უბრალო საუბარიც კი კოცონზე სიკვდილს ნიშნავდა. ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა განცალკევებულ ადგილას და არა ხელქმნილი ხატების წინაშე,

ფსალმუნთა გალობაც კი დანაშაულად ითვლებოდა, რაც სიკვდილს იმსახურებდა. მამაკაცები მახვილისაგან იღუპებოდნენ, ქალებს კი ცოცხლად მარხავდნენ. ათასობით ადამიანი დაიღუპა კარლოს და ფილიპე II.

ერთხელ ინკვიზიციის წინაშე წარდგა მთელი ოჯახი, რომელსაც ბრალი დასდეს იმაში, რომ მონაწილეობას არ ღებულობდა მესაში და სახლში ლოცულობდა. ამ ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრის დაკითხვისას მათი ოჯახური ღვთისმსახურების წესის შესახებ, ბავშვმა უპასუხა: "ჩვენ მუხლებზე დაჩოქილნი ვლოცულობთ და ვევედრებით უფალს, გაგვინათოს გონება და მოგვიტევის ცოდვები;

ვლოცულობთ ჩვენი მეფისათვის და ღმერთს ვთხოვთ, რომ მის სამფლობელოში წესრიგი იყოს, თვითონ კი - ბედნიერი; ჩვენ ვლოცულობთ ჩვენი ქალაქის მთავრებისათვის, რათა ღმერთმა დაიცვას ისინი." ამ სიტყვებმა ერთ-ერთ მოსამართლეს აუჩუყა გული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ბავშვის ერთ-ერთი ძმა და მამა კოცონზე დაწვეს.

მდევნელთა მძვინვარება მოწამეთა რწმენას უთანასწორდებოდა. არა მარტო მამაკაცები, არამედ ნაზი ქალები და ახალგაზრდა გოგონებიც კი ურყევ რწმენას ავლენდნენ და დიდ გმირობას იჩენდნენ. "ცოლები არ შორდებოდნენ კოცონს, რომლის ალში იწვებოდნენ მათი ქმრები;

ისინი ლოცვითა და წმიდა გალობებით ამხნევებდნენ მათ. ახალგაზრდა ქალიშვილები, რომელთაც ცოცხლად მარხავდნენ მიწაში, ისე იქცეოდნენ, თითქოს თავიანთ საძინებელ ოთახში დასაძინებლად წვებოდნენ. ეშაფოტზე ან კოცონზე ასვლისას ისინი იცმევდნენ ყველაზე ლამაზ კაბებს, თითქოს ქორწილისათვის ემზადებოდნენ და არა სიკვდილისათვის".

როცა წარმართნი სახარების განადგურებას ცდილობდნენ, მაშინ ქრისტიანთა დაღვრილი სისხლი წმიდა თესლად იქცეოდა. დევნა უფრო ზრდიდა ჭეშმარიტების მიმდევართა რიცხვს. წლიდან წლამდე ამ მტკიცე, დაუმარცხებელი

ხალხის უდრეკი სულით გაცოფებული მეფე განაგრძობდა თავის საშინელ საქმიანობას, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ბოლოს, კეთილშობილი ვილჰელმ ორანელის მეფობის შემდეგ ჰოლანდიამ ღვთისმსახურების თავისუფლება მიიღო.

პიემონტის მთებში, საფრანგეთის ველებსა და ჰოლანდიის ნაპირებზე სახარება ქრისტეს მოწაფეთა დაღვრილი სისხლით ვრცელდებოდა. ჩრდილოეთის ქვეყნებში კი ყველაფერი მშვიდობიანი გზით მიმდინარეობდა. რეფორმატორთა რწმენა სკანდინავიაში ვიტენბერგიდან სამშობლოში დაბრუნებულმა სტუდენტებმა ჩამოიტანეს. ლუთერის ნაშრომებიც

დიდად უწყობდა ხელს სახარების გავრცელებას. ჩრდილოეთის უბრალო, გულწრფელმა ადამიანებმა ზურგი აქციეს რომის მანკიერებას, ცრუმორწმუნეობასა და მის გარეგნულ დიდებულებას, რათა მიელოთ წმიდა და ნათელი ბიბლიური მოძღვრება.

დანიელი რეფორმატორი თაუზენი უბრალო გლეხის შვილი იყო. მას ბავშვობიდანვე დიდი ნიჭი ალმოაჩნდა. განათლების მიღების დიდი სურვილიც ჰქონდა, მაგრამ მშობლებს ამის შესაძლებლობა არ გააჩნდათ და იგი იძულებული გახდა, მონასტერში წასულიყო. თავისი გონიერებით, გულმოდგინებითა და პატიოსნებით ყმაწვილმა მალე მონასტრის ხელმძღვანელის

პატივისცემა დაიმსახურა. გამოცდების ჩაბარებისას მან მრავლისმომცველი ნიჭი გამოავლინა, რითაც მომავალში ეკლესიას კარგ სამსახურს გაუწევდა. მალე მისი გერმანიის ან ნიდერლანდების ერთ-ერთ უნივერსიტეტში სასწავლებლად გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღეს. ახალგაზრდა სტუდენტს ნება დართეს, თვითონვე ამოერჩია უმალლესი სასწავლებელი - ვიტენბერგის გარდა. მომავალი ღვთისმეტყველი ერესის შხამიან მოძღვრებას უნდა მოერიდოს, - ამბობდნენ ბერები.

თაუზენი გაემგზავრა კიოლნში, რომელიც იმ დროისათვის პაპის ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ძალიან მალე კათოლიკე მასწავლებელთა

მისტიციზმმა ყმაწვილში ზიზღი გამოიწვია. დაახლოებით ამ პერიოდისათვის იგი გაეცნო ლუთერის ნაშრომებს, რასაც განცვიფრებული ალტაცებით კითხულობდა და რეფორმატორის ნახვისა და მისგან რჩევის მიღების დიდი სურვილი აღეძრა. მან, რა თქმა უნდა იცოდა, რომ ამით შეურაცხყოფას მიაყენებდა მონასტრის წინამძღოლს და მის მხარდაჭერასა და წყალობას დაკარგავდა. მაგრამ მალე არჩევანი გაკეთდა და ცოტა ხნის შემდეგ თაუზენი ვიტენბერგის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა.

დანიაში დაბრუნების შემდეგ იგი ისევ თავის მონასტერში მივიდა. ჯერ კიდევ არავინ იცოდა მისი

ლუთერანული რწმენის მხარეზე გადასვლის ამბავი. მან არავის გაანდო თავისი საიდუმლო, მეგობრები კი ისე ფრთხილად მიჰყავდა ჭეშმარიტი რწმენისა და წმიდა ცხოვრებისაკენ, რომ ცდილობდა, მათ ცრუმორწმუნეობას არ შეხებოდა. იგი ბიბლიას კითხულობდა და მის ჭეშმარიტ მნიშვნელობას უხსნიდა მათ. და ბოლოს, საჯაროდ დაიწყო სახარების ქადაგება, ქადაგება ცოდვილთა გამართლებისა და გადარჩენის ერთადერთი იმედის, ქრისტეს შესახებ. საშინელი იყო მონასტრის წინამძღვრის   რისხვა იმ ახალგაზრდა სტუდენტის მიმართ, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდა, როგორც რომის ეკლესიის

ერთგულ დამცველზე. თაუზენი სასწრაფოდ სხვა მონასტერში გადაიყვანეს და სენაკში მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ მოათავსეს.

მის ახალ წინამძღვართა საუბედუროდ, მალე რამდენიმე ბერმა თავი პროტესტანტად გამოაცხადა. თავისი სენაკის გისოსებიდან თაუზენი მეგობრებს ჭეშმარიტების შესახებ ესაუბრებოდა. აქაურ მამებს რომ სცოდნოდათ, როგორ ექცეოდნენ ერეტიკოსებს, თაუზენის ხმა სამუდამოდ დადუმდებოდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ სადმე მიწისქვეშა დილეგში ჩაეგდოთ, იგი მონასტრიდან გააძევეს. ახლა კი ისინი უკვე უძლური იყვნენ. მეფის ახლად გამოსული ბრძანებულება

მფარველობას უცხადებდა ახალი მოძღვრების ყველა მასწავლებელს. თაუზენმა კვლავ დაიწყო სახარების ქადაგება. მის წინაშე გაიხსნა ეკლესიების კარი და მის მოსასმენად უამრავმა ხალხმა იწყო დენა. ღვთის სიტყვას სხვებიც ქადაგებდნენ. დანიურ ენაზე გადათარგმნილი ახალი აღთქმა ფართოდ ვრცელდებოდა მთელ სახელმწიფოში. პაპისტების ძალისხმევამ, შეეჩერებინათ ეს პროცესი, პირიქით, მისი ფართოდ გავრცელება გამოიწვია და სულ მოკლე ხანში დანიამ განცხადება გააკეთა პროტესტანტული რელიგიის მიღების შესახებ.

შვედეთში ახალგაზრდა ქრისტიანებმა ჩამოიტანეს

ვიტენბერგის წყაროს მაცოცხლებელი წყალი და უსასყიდლოდ გაუზიარეს თანამემამულეებს. შვედ რეფორმატორთა ბელადთაგან ორნი - ალაფი და ლავრენტი პეტრები - ორებრუელი მჭედლის შვილები, ლუთერისა და მელანქტონის მოწაფეები, სახარების მგზნებარე მქადაგებლები იყვნენ. უდიდესი რეფორმატორის მსგავსად, ოლიფი თავისი გულმოდგინებითა და მჭერმეტყველებით სულიერად ალაფრთოვანებდა ხალხს, ხოლო სიტყვაძვირი და დინჯი ლავრენტი, მელანქტონის მსგავსად, სწავლულს უფრო წააგავდა. ორივე ნამდვილი ღვთისმოსავი, თეოლოგიის დიდი მცოდნე და ჭეშმარიტების უშიშარი მქადაგებელი იყო. მაგრამ პაპისტებიც

უქმად არ კარგავდნენ დროს. კათოლიკე მღვდლები რეფორმატორთა წინაალმდეგ ამხედრებდნენ უმეცარ და ცრუმორწმუნე ხალხს. ოლაფ პეტრის ხშირად ესხმოდა თავს ქუჩის ბრბო და ბევრჯერ სიკვდილსაც გადაურჩა. მიუხედავად ამისა, მეფე კეთილად იყო განწყობილი ამ რეფორმატორთა მიმართ და მათ მფარველობას უწევდა.

რომის ეკლესიის უღელმა დააბეჩავა ხალხი. წმიდა წერილისგან გარიყულთ, სიმბოლური გარეგნული რელიგია ვერავითარ სულიერ საზრდოს ვერ აწვდიდა, ამიტომ ადამიანები კვლავ წინაპართა წარმართულ რელიგიას - კერპთაყვანისმცემლობას

დაუბრუნდნენ. ერი ორ მოწინაალმდეგე ბანაკად გაიყო და მათ შორის გაუთავებელმა ბრძოლებმა უფრო დაამონა და გაალარიბა ხალხი. მეფემ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოში და ეკლესიაში რეფორმაციის დაკანონების შესახებ და ამ ნიჭიერ მებრძოლთ ყოველმხრივ ეხმარებოდა რომის საწინაალმდეგო მოლვაწეობაში.

მეფისა და შვედეთის უმაღლეს მმართველთა თანდასწრებით ოლაფ პეტრი კათოლიკე ღვთისმეტყველებთან დისპუტის დროს წარმატებით იცავდა რეფორმატორთა რწმენას. მან განაცხადა, რომ მამების მოძღვრების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ იგი ეთანხმება წმიდა წერილს; რომ რწმენის ყველა აუცილებელი პრინციპი ბიბლიაში ნათელი და გასაგები ფორმითაა მოცემული ისე, რომ ყველა ადამიანს შეუძლია მისი შემეცნება. ქრისტემ თქვა: "ჩემი მოძღვრება ჩემი არაა, არამედ მისია, ვინც მე მომავლინა" (იოან. 7:16), ხოლო პავლე მოციქულმა განაცხადა: "თუნდაც ჩვენ ან ანგელოზმა ზეციდან გახაროთ არა ის, რასაც ჩვენ გახარებდით, შეჩვენებული იყოს იგი" (გალ. 1:8). "მაშინ რატომ ბედავს ადამიანი, - თქვა რეფორმატორმა, - თავისი დოგმების დადგენას და რატომ ახვევს თავს მას სხვა ადამიანებს, როგორც გადარჩენის აუცილებელ საშუალებას?" ამ დისპუტზე მან

დაამტკიცა, რომ ეკლესიის დადგენილებებს არავითარი ძალა არა აქვს, როცა ისინი უფლის მცნებათა საწინააღმდეგოა და გამოაცხადა პროტესტანტიზმის უდიდესი პრინციპი: "ბიბლია და მხოლოდ ბიბლიაა" - ცხოვრებისა და რწმენის წესი.

ეს არც თუ ისე დიდად ცნობილი ბრძოლა "გვაცნობს ადამიანებს, რომელნიც რეფორმაციის არმიის რიგით წევრებს შეადგენდნენ. ისინი არ იყვნენ გაუნათლებელი და ხმაურიანი ფანატიკოსები. არავითარ შემთხვევაში! ეს ადამიანები ღრმად ჩაწვდნენ ღვთის სიტყვის არსს და კარგად იცოდნენ, სად, როდის და როგორ უნდა გამოეყენებინათ ეს ღვთით ბოძებული იარაღი. რაც

შეეხება ცოდნას და განათლებას, მათ წინ გაუსწრეს დროს. თუკი ჩვენს ყურადღებას შევაჩერებთ განათლების ისეთ ბრწყინვალე ცენტრებზე, როგორიცაა ვიტენბერგი და ციურიხი და ისეთ ცნობილ პიროვნებებზე, როგორებიც იყვნენ ლუთერი და მელანქტონი, ცვინგლი და ეკოლამპადიუსი, ჩვენ, რასაკვირველია, გვიპასუხებენ, რომ ისინი მოძრაობის ბელადები არიან და დახვეწილი გონება და ბრწყინვალე საქმეები აქვთ, ხოლო მათი მიმდევრები დიდად განსხვავდებოდნენ მათგან. დიახ, ეს ასეა. მაგრამ, მოდით, გადავხედოთ შვედეთის მოვლენებს, ამ დიდი მასწავლებლების მოკრძალებულ მოწაფეებს - ოლაფსა და ლავრენტს.

რას ვხედავთ? ესენი არიან სწავლული და ღვთისმეტყველი ადამიანები, რომლებმაც სრულად შეისწავლეს სახარების ჭეშმარიტება და სიტყვით დაამარცხეს რომის თეოლოგები და სოფისტები".

ზემოხსენებული დისპუტის შედეგად შვედეთის მეფემ პროტესტანტული რწმენა მიიღო, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ პარლამენტიც მის გზას დაადგა. ოლაფ პეტრიმ შვედურ ენაზე თარგმნა ახალი აღთქმა და მეფის სურვილის თანახმად, მთელი ბიბლიის თარგმნა დაიწყეს. ამგვარად, შვედმა ხალხმა თავისი არსებობის მანძილზე პირველად მიიღო ღვთის სიტყვა მშობლიურ ენაზე. პარლამენტმა გამოსცა

ბრძანება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ეკლესიაში, ღვთის მსახურთ მრევლისათვის უნდა განემარტათ წმიდა წერილი, ხოლო სკოლებში ბავშვებისათვის ბიბლია წაეკითხათ.

სახარების კურთხეული ნათელი თანდათანობით, მაგრამ მტკიცედ ფანტავდა ცრუმორწმუნეობისა და უმეცრების წყვდიადს. რომის ტყვეობიდან განთავისუფლებულმა ერმა არნახულ დიდებასა და განვითარებას მიაღწია. შვედეთი პროტენტატიზმის მტკიცე ციხე-სიმაგრედ იქცა. ასი წლის შემდეგ, უდიდესი საშიშროების მომენტში ამ პატარა და წარსულში სუსტმა ქვეყანამ, ერთადერთმა ევროპაში, გაბედა და დახმარების ხელი

გაუწოდა გერმანიას საშინელი, 30-წლიანი ომის დროს. დადგა მომენტი, როდესაც მთელი ჩრდილოეთი ევროპა კვლავ რომის ტირანიის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, მაგრამ შვედეთის ჯარმა შეაჩერა ჯარები, რომლებიც გერმანიისაკენ მიიწევდნენ, მიალწია რელიგიურ შემწყნარებლობას გერმანელი პროტესტანტების - კალვინისტებისა და ლუთერანებისათვის და სინდისის თავისუფლების დაბრუნებაში დაეხმარა ქვეყნებს, რომელთაც რეფორმაცია მიიღეს.

თავი 14 ბრიტანეთის კუნძულებზე ჭეშმარიტებამ შეაღწია

/გვიანი პერიოდის ინგლისელი რეფორმატორები/

    იმ დროს, როდესაც ლუთერმა თავის ხალხს მათთვის ადრე

მიუწვდომელი ბიბლია მიუძღვნა, სულიწმიდით შთაგონებულმა ტინდალმა იგივე მოიმოქმედა ინგლისში. უიკლიფმა ბიბლია ლათინური ენიდან თარგმნა და მასში მრავალი შეცდომა იქნა დაშვებული. ეს ბიბლია არასოდეს დაბეჭდილა, ხოლო ხელით გადაწერილი წიგნის ფასი იმდენად დიდი იყო, რომ მისი ყიდვა მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ. ამავე დროს, ეკლესია კრძალავდა მას და ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა. 1516 წელს, ლუთერის თეზისების გამოქვეყნებამდე ერთი წლით ადრე ერაზმმა პირველად დაბეჭდა ახალი ალთქმა ბერძნულ ენაზე, შემდეგ კი სულ მალე მისი ლათინური თარგმანიც გამოვიდა. ახლა ღვთის სიტყვის ორიგინალი პირველად

დაიბეჭდა. ამ გამოცემაში შესწორდა ადრინდელ გამოცემებში დაშვებული შეცდომები და დაზუსტებულ იქნა ტექსტი. ეს ბევრ განათლებულ ადამიანს დაეხმარა ჭეშმარიტების შეცნობაში, ამან კი, რა თქმა უნდა, ბიძგი მისცა რეფორმაციის საქმეს. მაგრამ ღვთის სიტყვა უბრალო ხალხისათვის კვლავინდებურად უმეტესად მიუწვდომელი რჩებოდა. ტინდალს უნდა დაესრულებინა უიკლიფის დაწყებული საქმე და ბიბლია თანამემამულეთათვის მიეძღვნა.

ტინდალმა, ჭეშმარიტების გულმოდგინე და სერიოზულმა მკვლევარმა, წაიკითხა რა ერაზმის მიერ ბერძნულ ენაზე დაბეჭდილი ახალი აღთქმა, ირწმუნა სახარება.

იგი უშიშრად ქადაგებდა ჭეშმარიტებას და დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ყოველგვარი მოძღვრება წმიდა წერილის საფუძველზე უნდა შემოწმდეს. განცხადებაზე იმის შესახებ, რომ ბიბლია ხალხს ეკლესიამ მისცა და მხოლოდ მას შეუძლია მისი განმარტება, ტინდალი პასუხობდა: "იცით თქვენ, ვინ ასწავლა არწივებს საკვების მოპოვება? ამგვარად, იგივე ღმერთი ასწავლის თავის მშიერ შვილებს, მოძებნონ მამა მის სიტყვაში. თქვენ არ მოგიციათ ჩვენთვის წმიდა წერილი, პირიქით, გვიმალავდით; თქვენ ცეცხლში წვავდით მათ, ვინც მის სიტყვას ქადაგებდა. თქვენ რომ

შეგძლებოდათ, თვით წერილსაც დაწვავდით".

ტინდალის ქადაგება დიდ ინტერესს იწვევდა და მრავალი ღებულობდა ჭეშმარიტებას. მაგრამ მღვდლები ფხიზლად იყვნენ და როგორც კი იგი ტოვებდა სამოლვაწეო ასპარეზს, მუქარითა და მზაკვრობით ცდილობდნენ დაენგრიათ ის, რასაც რეფორმატორი აშენებდა. და ხშირად ახერხებდნენ კიდეც ამას. "რისი გაკეთება შეიძლება? - ამბობდა ტინდალი, - იმ დროს, როდესაც მე სხვაგან ვთესავ, მოდის მტერი და ჩემს დატოვებულ მინდორს აჩანაგებს. მე ხომ ყველგან არ შემიძლია ყოფნა. რა კარგი იქნებოდა, მორწმუნეთ წმიდა წერილი თავიანთ მშობლიურ ენაზე რომ ჰქონოდათ, მაშინ ისინი

შეძლებდნენ ბრძოლას ამ ცრუბრძენთა წინაალმდეგ. ბიბლიის გარეშე შეუძლებელია ადამიანის ჭეშმარიტებაში დამკვიდრება."

ეს აზრი მოსვენებას არ აძლევდა ტინდალს. "ებრაელი ხალხი მშობლიურ ენაზე მღეროდა ფსალმუნებს უფლის ტაძარში, - ამბობდა იგი, - და ნუთუ სახარება არ უნდა ჟღერდეს აქ ინგლისურ ენაზე?.. განა ეკლესიას შუადღისას უფრო ნაკლები ნათელი უნდა ჰქონდეს, ვიდრე განთიადისას?.. ქრისტიანებმა ახალი აღთქმა თავის მშობლიურ ენაზე უნდა წაიკითხონ". ღვთისმეტყველნი და ეკლესიის მოძღვარნი ერთმანეთს ეწინაალმდეგებიან. მხოლოდ ბიბლიის დახმარებით შეიძლება

ჭეშმარიტების დადგენა. "ერთი ამ მოძღვარს უსმენს, მეორე სხვას, ერთი სწავლული დანარჩენებს ეწინააღმდეგება... როგორ გავარჩიოთ მართალი ტყუილისაგან? როგორ? მხოლოდ ღვთის სიტყვის მეშვეობით".

რამდენიმე ხნის შემდეგ ტინდალთან დისპუტი გამართა ერთმა კათოლიკე ღვთისმეტყველმა, რომელმაც ფიცხად წარმოთქვა: "ჩვენ გვირჩევნია ღმერთის კანონების გარეშე ვიცხოვროთ, ვიდრე პაპის კანონების გარეშე!" ტინდალმა ამაზე უპასუხა: "მე არ მაინტერესებს პაპი და მისი კანონები. თუკი უფალი გამიხანგრძლივებს სიცოცხლეს, მივალწევ იმას, რომ უბრალო გლეხის

მეგუთნე ბიჭმა თქვენზე უკეთესად იცოდეს წმიდა წერილი".

ახლა ტინდალმა მტკიცედ გადაწყვიტა თავისი დიდი ხნის სურვილის განხორციელება - ახალი ალთქმის მშობლიურ ენაზე თარგმნა და დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. სახლიდან გაძევებული ტინდალი ლონდონში ჩავიდა, სადაც შეძლო რამდენიმე ხანს დაუბრკოლებლად ემუშავა. მაგრამ მალე განრისხებულმა პაპისტებმა კვლავ გააძევეს იგი ლონდონიდან. მთელ ინგლისში არ აღმოჩნდა მისთვის საიმედო თავშესაფარი და მისი ძებნა რეფორმატორმა გერმანიაში გადაწყვიტა.

სწორედ აქ დაიწყო მან ახალი ალთქმის ინგლისურ ენაზე გამოცემა.

ორჯერ შეაწყვეტინეს მუშაობა, მაგრამ როცა ლვთის სიტყვის დაბეჭდვას ერთ ქალაქში უკრძალავდნენ, სხვა ქალაქში მიემგზავრებოდა. ბოლოს ჩავიდა ვორმსში, სადაც რამდენიმე წლის წინათ ლუთერი სახარების ჭეშმარიტებას იცავდა სეიმის წინაშე. ამ ძველ ქალაქში რეფორმაციის ბევრი მეგობარი ცხოვრობდა, ამიტომ აქ ტინდალმა მუშაობა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განაგრძო. მალე ახალი აღთქმის სამი ათასი ეგზემპლარი დაიბეჭდა და იმავე წელს კიდევ ერთი გამოცემა გახდა საჭირო.

იგი მთელი სერიოზულობითა და მონდომებით განაგრძობდა მუშაობას. ინგლისის ხელისუფლების

სიფხიზლის მიუხედავად, რომელიც მკაცრად აკონტროლებდა ნავსადგურებს, ღვთის სიტყვა საიდუმლო გზებით ჩაჰქონდათ ლონდონში, იქიდან კი იგი მთელ ინგლისში ვრცელდებოდა. პაპის მესვეურები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ჭეშმარიტების გასანადგურებლად, მაგრამ ამაოდ. ერთხელ დარჰემის ეპისკოპოსმა წიგნებით მოვაჭრისაგან, რომელიც ტინდალის მეგობარი იყო, ყველა ბიბლია შეისყიდა და მათი მოსპობა გადაწყვიტა, იმედოვნებდა რა, რომ ამით რეფორმატორის მოღვაწეობას დიდ ზიანს მიაყენებდა. მაგრამ მოხდა პირიქით: ამ ფულით შეიძინეს მასალა ახალი უფრო უკეთესი გამოცემისათვის, რომელსაც სხვა

შემთხვევაში ვერ მოახერხებდნენ. შემდგომში, როდესაც ტინდალი დააპატიმრეს, მას გათავისუფლებას დაპირდნენ იმ პირობით, თუკი დაასახელებდა ადამიანებს, რომლებიც მატერიალურ დახმარებას უწევდნენ მას ბიბლიის გამოცემაში; ამაზე ტინდალმა უპასუხა, რომ ამ საქმეში ყველაზე მეტად დარჰემის ეპისკოპოსი დაეხმარა, როდესაც მან დიდი რაოდენობით შეისყიდა ბიბლია და ამით დიდად შეუწყო ხელი მისი საქმის წარმატებით დაგვირგვინებას.

ტინდალი მტრებს ჩაუვარდა ხელში და მრავალი თვე ციხეში გაატარა. და ბოლოს, მოწამებრივი სიკვდილით დაამტკიცა თავისი რწმენა, მისი დამზადებული იარაღით კი სხვა

მეგობრებიც იბრძოდნენ საუკუნეთა განმავლობაში, ჩვენს დღეებამდე.

ლათიმერი კათედრიდან აცხადებდა, რომ ხალხმა ბიბლია მშობლიურ ენაზე უნდა წაიკითხოს. "წმიდა წერილის ავტორი, - ამბობდა იგი, - თვით უფალია, წერილი კი ისეთივე ძლიერი და მარადიულია, როგორც მისი ავტორი. ყოველი მეფე, იმპერატორი თუ მმართველი უნდა დაემორჩილოს მას...მის წმიდა სიტყვას. მოდით, ნუ ვივლით მრუდე გზებით, არამედ ღვთის სიტყვა იყოს ჩვენი გზის მაჩვენებელი. ნუ ვივლით ჩვენს მამა-პაპათა ნაკვალევზე, - ჩვენ ის კი არ უნდა ვაკეთოთ, რასაც ისინი აკეთებდნენ, არამედ ის, რაც მათ უნდა გაეკეთებინათ".

ტინდალის ერთგული მეგობრები, ბარნსი და ფრაიტი ჭეშმარიტების დამცველთა მხარეზე დადგნენ. მათ მაგალითს მიბაძეს რიდლიზმა და კრენმერმა. ინგლისის რეფორმაციის ხელმძღვანელები განათლებული ადამიანები იყვნენ და მათი უმრავლესობა თავიანთი გულმოდგინებისა და პატიოსნების გამო დიდი პატივისცემით სარგებლობდა კათოლიკეთა საზოგადოებაში. მათი პაპთან დაპირისპირების შედეგი სწორედ პაპის "წმიდა ტახტის" შეცდომების უფრო ახლო გაცნობა იყო. ბაბილონის საიდუმლოთა ცოდნა დიდ ძალას მატებდა მათ.

"ნება მომეცით, ერთობ უცნაური შეკითხვა დაგისვათ, - თქვა ერთხელ

ლათიმერმა თავის ქადაგებაში, - ვინ არის ყველაზე გულმოდგინე ეპისკოპოსი და პრელატი მთელ ინგლისში?.. ვხედავ, რომ პასუხს ჩემგან ელით... მე გეტყვით თქვენ: სატანა. იგი არასოდეს ტოვებს თავის სამფლობელოს; მიმართეთ მას ნებისმიერ დროს, იგი ყოველთვის სახლში დაგხვდებათ. იგი ყოველთვის საქმით არის დაკავებული. თქვენ ვერასოდეს დაინახავთ მას უქმად, ეს სიმართლეა. სადაც ეშმაკი იბუდებს,.. იქ წვავენ წიგნებს და მათ ნაცვლად იძენენ სანთლებს; იქ ანადგურებენ ბიბლიას და იძენენ კრიალოსანს; იქ მალავენ სახარების ნათელს და შუადღისას სანთლებს ანთებენ... უარყოფენ ქრისტეს ჯვარს და ადიდებენ

საწმიდარს, რათა გაძარცონ მორწმუნენი,.. იქ ლარიბთა, საწყალთა და უძლურთა დახმარების ნაცვლად ამკობენ ხატებს, თაყვანს სცემენ კერპებს, აკანონებენ ადამიანურ ტრადიციებსა და წესებს, უარყოფენ უზენაესს და მის წმიდა სიტყვას... რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს პრელატებს ისეთივე გულმოდგინებით დაეთესათ კეთილი სახარების თესლი, როგორც სატანა თესავს ღვარძლსა და სარეველა ბალახებს!"

მთავარი პრინციპი, რომელსაც ეს რეფორმატორები იცავდნენ, - იგივეა, რისთვისაც ვალდენსები, უიკლიფი, იან ჰუსი, ლუთერი, ცვინგლი და მათი მიმდევრები იბრძოდნენ. სახელდობრ: წმიდა წერილის,

როგორც რწმენისა და ცხოვრების საზომის, ურყევი ავტორიტეტი. ისინი უარყოფდნენ პაპების, კრებების, ეკლესიის მამებისა და მეფეების მიერ ადამიანის რელიგიური სინდისის გაკონტროლების უფლებას. მათთვის ერთადერთ ავტორიტეტს ბიბლია წარმოადგენდა. ისინი ყოველგვარ მოძღვრებასა და სწავლებას წმიდა წერილით ამოწმებდნენ. უფლისა და მისი სიტყვისადმი რწმენა მათ კოცონზე ასვლისას აძლიერებდა; "სულით არ დაეცე, - მიმართა ლათიმერმა თავის მოწამე მეგობარს, როდესაც ცეცხლის ალი უკვე მისწვდა მას, - ჩვენ დღეს ისეთ სინათლეს დავანთებთ ინგლისში, რომელიც, იმედი მაქვს, ღვთის წყალობით არასოდეს ჩაქრება.

კოლუმბასა და მის თანამეგობართა მიერ შოტლანდიაში დათესილი ჭეშმარიტების თესლი სრულად არასოდეს განადგურებულა. მას შემდეგ, რაც ინგლისის ეკლესიები რომმა დაიმორჩილა, შოტლანდიის ეკლესია მრავალი საუკუნის განმავლობაში თავისუფლებას ინარჩუნებდა. მაგრამ მე-12 საუკუნეში პაპიზმმა აქაც გაიდგა ფესვი და არსად მისი ძალაუფლება არ ყოფილა ისეთი უსასრულო, როგორიც ამ ქვეყანაში. მაგრამ ზოგჯერ ამ სქელ წყვდიადშიც კი იჭრებოდა ნათელი სხივი, რომელსაც განთიადის იმედი მოჰქონდა. ლოლარდებმა, რომლებმაც ამ ქვეყანაში ბიბლია და უიკლიფის მოძღვრებანი ჩამოიტანეს, ბევრი

გააკეთეს სახარების ჭეშმარიტების სხივის შენარჩუნებისათვის. ყველა საუკუნეს ჰყავდა თავისი მოწმენი და რწმენისათვის მოწამენი.

უდიდესი რეფორმაციის დასაწყისშივე აქ გამოჩნდა ლუთერის ნაშრომები და ტინდალის მიერ თარგმნილი ახალი აღთქმა. უფლის ამ მაცნეებს პაპის ხელისუფლებისათვის შეუმჩნევლად, უხმაუროდ, ჩუმად გადაჰქონდათ ჭეშმარიტების ნათელი სიტყვა მალალმთიანი ბილიკებისა და ველების გავლით შოტლანდიაში, იქ, სადაც იგი თითქმის სულს ღაფავდა. ძალისხმევა რომისა, რომელიც აქ ოთხი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა, ამაო აღმოჩნდა.

მოწამეთა დალვრილმა სისხლმა ახალი ძალები მისცა ამ მოძრაობას. პაპის ხელისუფლებამ, დაინახა რა მოსალოდნელი საფრთხე, კოცონზე მოწამებრივი სიკვდილით დასაჯა შოტლანდიის რამდენიმე დიდგვაროვანი ოჯახის შვილები. მაგრამ ამით მათ მხოლოდ ალმართეს ის კათედრა, საიდანაც მთელ ქვეყანაში გაისმა მომაკვდავ მოწამეთა სიტყვები და რამაც ხალხს მტკიცედ გადააწყვეტინა რომის ბორკილების გადაგდება.

ჰამილტონი და უიშარტი, ეს კეთილშობილი ადამიანები თავიანთი ბუნებითაც და წარმოშობითაც, ქრისტეს უბრალო მოწაფეებთან ერთად მოწამებრივი სიკვდილით დაიღუპნენ. წამებულმა

უიშარტმა დატოვა ღირსეული შემცვლელი, რომელიც ვერავითარმა კოცონმა და ცეცხლმა ვერ შეაშინა და ვისაც წილად ხვდა, უფლის ნებით და ძალით, სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინა პაპისათვის შოტლანდიაში.

ჯონ ნოქსმა ზურგი აქცია ეკლესიის ტრადიციებსა და მისტიციზმს და მიიღო ღვთის სიტყვის ჭეშმარიტება, ხოლო უიშარტის მოძღვრებამ უფრო განუმტკიცა რომთან ურთიერთობის გაწყვეტისა და დევნილ რეფორმატორთა მხარეზე გადასვლის გადაწყვეტილება.

მეგობრები ურჩევდნენ, მქადაგებელი გამხდარიყო. მან თავიდან უარი თქვა, მაგრამ ხანგრძლივი ლოცვებისა და

მტანჯველი შინაგანი ბრძოლის შემდეგ დათანხმდა ამ წინადადებას. ასეთ საპასუხისმგებლო მოვალეობას იგი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად და გაბედულად ასრულებდა. ამ მამაცმა რეფორმატორმა არ იცოდა, რა იყო შიში. მის გარშემო დანთებულ კოცონთა სიმრავლე, რაზეც ქრისტეს მოწაფეებს აწამებდნენ, უფრო მეტ გულმოდგინებას მატებდა მას. მის თავზე ალმართულმა ტირანის მახვილმაც კი ვერ შეაცვლევინა თავისი რწმენა და იგი სულ ახალ-ახალ დარტყმას აყენებდა კერპთაყვანისმცემლობას.

შოტლანდიის დედოფლის წინაშე წარდგომისას, როცა ბევრი პროტესტანტი იბნეოდა და ხმას ვერ

იღებდა, ჯონ ნოქსი უშიშრად მოწმობდა ჭეშმარიტების შესახებ. იგი ვერ გატეხეს ვერც პირფერობით და ვერც მუქარით. დედოფალმა იგი ერესში დაადანაშაულა. მან განაცხადა, რომ სახელმწიფოს მიერ აკრძალული რელიგიის ქადაგებით იგი არღვევს ღმერთის კანონს, რომელიც ბრძანებს ხელისუფალთა წინაშე მორჩილებას. ამაზე ნოქსმა მტკიცედ უპასუხა:

"რადგანაც ჭეშმარიტი რელიგია საწყის ძალას იღებს არა ამქვეყნიური მეფეების, არამედ მარადიული ღმერთისაგან, ამიტომ ქვეშევრდომნი ვალდებული არ არიან, თავიანთი რელიგიური რწმენა მთავართა გემოვნებას დაუმორჩილონ. მთავრები ჭეშმარიტი რწმენის

საკითხებში ხშირად უვიცნი არიან. ...აბრაამის თესლს რომ ფარაონის რელიგია მიელო, რომლის ტყვეობაშიც ისინი ასე ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ, რომელ ღმერთებს, - მიტევებას ვითხოვ კადნიერებისათვის, - დედოფალო, დაემორჩილებოდა დღეს მთელი მსოფლიო? მოციქულთა დღეებში, ყველას რომ რომის კეისართა რელიგია მიელო, რომელი რწმენა გაბატონდებოდა დედამიწაზე?.. ამგვარად, თქვენო უმაღლესობავ, ახლა თქვენთვის გასაგებია, რომ ქვეშევრდომნი არ არიან ვალდებული, მიიღონ თავიანთ მმართველთა რწმენა, თუმცა კი სხვა

საკითხებში უნდა დაემორჩილონ მათ".

მის სიტყვებს დედოფლის პროტესტი მოჰყვა: "თქვენ თქვენებურად განმარტავთ სახარებას, ისინი კი (კათოლიკე მოძღვრები) - თავისებურად. ვის უნდა დავუჯერო, ან ვინ იქნება თქვენი მსაჯული?"

"თქვენ უნდა ერწმუნოთ უფალს, რომელმაც თავის სიტყვაში ყველაფერი გასაგებად განაცხადა, - უპასუხა რეფორმატორმა, - უნდა დაიჯეროთ ის, რასაც მისი სიტყვა გვასწავლის და არა ის, რასაც სხვადასხვა ადამიანები ამბობენ. ღვთის სიტყვა გასაგებად არის დაწერილი და თუკი მასში არის რომელიმე ძნელად გასაგები ადგილი,

სულიწმიდა, რომელიც არასოდეს ეწინააღმდეგება თავის თავს, დაგვეხმარება, იგი სხვა ტექსტების მეშვეობით გავიგოთ. ასე, რომ სხვა არავითარი ეჭვი არ დარჩება, გარდა ადამიანის სიჯიუტისა, იმყოფებოდეს თავის უმეცრებაში".

ასე და ამგვარად, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად გამოვიდა ის მისი უმაღლესობა დედოფლის წინაშე და გაბედულად ლაპარაკობდა ჭეშმარიტებაზე. იგი ასევე უშიშრად და ლოცვით იბრძოდა და შრომობდა დასახული მიზნის განსახორციელებლად და უფლის საქმის აღსასრულებლად მანამ, სანამ შოტლანდიამ პაპის უღელი არ მოიშორა.

ინგლისში პროტესტანტიზმის ეროვნულ რელიგიად დაკანონებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა პაპის მესვეურთა მძვინვარება, თუმცა დევნა საბოლოოდ არ შეწყვეტილა. უარყოფილ იქნა მრავალი დოქტრინა, მაგრამ შენარჩუნდა კათოლიკური ადათ-წესების გარეგნული გამოვლინებები. აქ უკვე ალარ ალიარებდნენ პაპის ძალაუფლების უზენაესობას. მისი ადგილი ეკლესიის სათავეში მონარქმა დაიკავა. ღვთისმსახურებაშიც ჯერ კიდევ მრავლად იყო სახარებისეული სიწმიდისა და უბრალოებისაგან გადახვევა. რელიგიური თავისუფლების უდიდესი პრინციპი სათანადოდ არ იქნა მიღებული. თუმცა პროტესტანტი მღვდლები

იშვიათად იჩენდნენ ისეთ არაადამიანურ სისასტიკეს, როგორითაც რომის ხელისუფლება ებრძოდა ერესს, მაგრამ მაინც არ იქნა ალიარებული თითოეული ადამიანის უფლება, საკუთარი სინდისის თანახმად ემსახურა ღმერთისათვის. ყველა ვალდებული იყო მიელო და ელიარებინა გაბატონებული ეკლესიის მრწამსი და მისი წეს-ჩვეულებანი. სხვაგვარად მოაზროვნენი კი საუკუნეების მანძილზე, ცოტად თუ ბევრად, მაგრამ მაინც იდევნებოდნენ.

XVII საუკუნეში ათასობით პასტორი ჩამოაშორეს ღვთისმსახურებას. აიკრძალა სხვა რელიგიურ შეკრებებზე დასწრება, ოფიციალური ეკლესიების გარდა,

რისთვისაც დიდი ჯარიმები, პატიმრობა და გადასახლებაც კი იყო დაწესებული. უფლის ერთგული მორწმუნენი სალოცავად მალულად იკრიბებოდნენ სახლებში, ბნელ ორლობეებში, ზაფხულობით კი ხშირად ტყე იყო მათი თავშესაფარი. გაუვალ ტყეებში, უფლის ხელით შექმნილ ამ ტაძრებში იკრიბებოდნენ დევნილი ღვთისშვილები, რათა სამადლობელი ლოცვებით შეემსუბუქებინათ თავიანთი სულიერი ტანჯვა. ასეთი სიფრთხილე ყოველთვის როდი შველოდა მათ: ბევრი დაიღუპა თავისი რწმენის გამო. ავსებული საპყრობილეები, დანგრეული ოჯახები, სამშობლოდან გაძევებული მრავალი ადამიანი - ასეთი იყო დევნის შედეგი. მაგრამ

უფალმა არ მიატოვა თავისი ხალხი. სასტიკმა დევნამ ვერ დაადუმა ისინი. ბევრმა გადასერა ოკეანე და ამერიკაში დასახლდა, სადაც საფუძველი ჩაუყარეს სამოქალაქო და რელიგიურ თავისუფლებას, რომელმაც ეს ქვეყანა შემდგომში ასე შეადუღა და გააძლიერა.

და კვლავ, როგორც მოციქულთა დღეებში, დევნამ მხოლოდ ხელი შეუწყო სახარების გავრცელებას. გარყვნილებითა და დამნაშავეებით სავსე სარდაფში ჯონ ბუნიანი ზეცის სიახლოვეს გრძნობდა; იქ მან დაწერა თავისი მშვენიერი სიმბოლური მოთხრობა: "მლოცველის მოგზაურობა სიკვდილის ქვეყნიდან ზეციურ ქალაქში". 200 წელზე მეტია, რაც ეს ხმა, რომელიც პირველად

ბედფორდის ციხის კედლებში გაისმა, გულში ჩამწვდომი ძალით უხმობს ადამიანთა სულებს. ბუნიანის "მლოცველის მოგზაურობა" და "უსაზღვრო წყალობა უდიდესი ცოდვილის მიმართ", ბევრს დაეხმარა ცხოვრების გზის არჩევაში.

ბაქსტერი, ფლაველი, ალეინი და სხვა ნიჭიერი, განათლებული ადამიანები თავიანთი დიდი სულიერი გამოცდილებით მამაცურად იცავდნენ ჭეშმარიტებას, "რომელიც ერთხელ წმიდანებს გადაეცათ". ის, რაც ამ დევნილმა და ყოველგვარ უფლებაჩამორთმეულმა ადამიანებმა გააკეთეს, არასოდეს დაკარგავს თავის მნიშვნელობას. ფლაველის თხზულებებმა: "სიცოცხლის წყარო" და "მადლის

ზეგავლენა", ბევრ ადამიანს ასწავლა იესოსადმი ერთგულება. ბაქსტერის წიგნი - "განახლებული მწყემსი" დიდი კურთხევა იყო მათთვის, ვისაც უფლის საქმის ალორძინება სურდათ; მისი მეორე წიგნის, "წმიდანთა მარადიული სიმშვიდე"-ს დანიშნულება იყო ადამიანთა შეყვანა "სიმშვიდეში", რომელშიც "მარადიულად უნდა იცხოვროს ღვთის ხალხმა".

ასი წლის შემდეგ, დიდი სულიერი წყვდიადის პერიოდში, ადამიანებს გზას უნათებდა უესლი და უაითფილდი. სახელმწიფო ეკლესიის გაბატონების წლებში ინგლისის რელიგია იმდენად დაეცა, რომ თითქმის არაფრით განსხვავდებოდა წარმართთა

რელიგიისაგან. ეკლესიის მსახურთა საყვარელ საქმედ საბუნებისმეტყველო რელიგიის კვლევა-ძიება და ძირითადად ამ საკითხზე საუბარი იქცა. ღვთისმოსაობა საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენელთა დაცინვის საგანი გახდა, რომელნიც ამაყობდნენ თავის აზრთა თავისუფლებით. დაბალი ფენა უმეცრებისა და მანკიერების ჭაობში ჩაეფლო, ეკლესიას კი არ გააჩნდა არც საკმარისი რწმენა და არც გაბედულება, დახმარებოდა დასაღუპად განწირულ ჭეშმარიტებას.

ლუთერის მიერ ასე ნათლად ჩამოყალიბებული რწმენით გამართლების უდიდესი პრინციპი

თითქმის დავიწყებული იქნა. წინა პლანზე წამოიწია კათოლიკურმა პრინციპმა, რომლის თანახმადაც ხსნა კეთილი საქმეებით მოიპოვება. უაითფილდი და ძმები უესლები სახელმწიფო ეკლესიის წარმომადგენლები იყვნენ და გულწრფელად ცდილობდნენ ღვთის წყალობის დამსახურებას, რომელიც, როგორც მათ ასწავლიდნენ, შეიძლებოდა კეთილი საქმეებითა და რელიგიურ ადათთა დაცვით მიელოთ.

ერთხელ ჩარლზ უესლი მძიმედ გახდა ავად და სიკვდილისათვის მოემზადა. მას ჰკითხეს, თუ რის საფუძველზე ჰქონდა მარადიულ სასუფეველში ცხოვრების იმედი. უესლიმ უპასუხა: "მე მთელი ჩემი ძალებით ვემსახურებოდი უფალს".

მეგობარი, რომელმაც ეს კითხვა დაუსვა, არ დააკმაყოფილა მისმა პასუხმა, უესლიმ კი გაიფიქრა: "ნუთუ მთელი ჩემი გაწეული შრომა არ მაძლევს გადარჩენის იმედს? განა შეიძლება ვინმემ წამართვას ყოველივე ის, რაც გამიკეთებია? მე სხვა არაფრის იმედი არა მაქვს". აი, როგორი წყვდიადით იყო მოცული ეკლესია, სადაც დაფარული იყო ქრისტეს გამომსყიდველი მსხვერპლი და მისი დიდება; ბნელით იყო მოცული ადამიანთა გონება და წყვდიადი ართმევდა მათ გადარჩენის ერთადერთ იმედს, რომელსაც ჯვარცმული მაცხოვრის სისხლი იძლეოდა.

უესლი და მისი თანამოაზრენი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ

ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა გულშია დაფარული, ხოლო უფლის კანონი ისევე მოქმედებს ადამიანის გონებაზე, როგორც მის სიტყვებზე და ქცევებზე. გულის სიწრფელე და უმანკო ცხოვრება, მათი აზრით, აუცილებელი პირობა იყო სიმართლისათვის, საითკენაც ისინი ისწრაფოდნენ. ლოცვებით ცდილობდნენ ისინი თავიანთ ცოდვილ ბუნებაზე გამარჯვებას. ანიჭებდნენ რა დიდ მნიშვნელობას მორჩილებასა და კეთილ საქმეებს, ყველაფერს იკლებდნენ, არაჩვეულებრივი სიმკაცრითა და გულმოდგინებით ასრულებდნენ ყველაფერს, რათა მიელწიათ სასურველი მიზნისათვის - სიწმიდისათვის, რითაც უფლის

კეთილგანწყობის დამსახურება სურდათ. მაგრამ მათ ვერ მიაღწიეს სასურველ მიზანს. საკუთარი თავის ცოდვის წყევლისაგან გათავისუფლებისა და მისი ძალაუფლების დამარცხების ყოველგვარი მცდელობა ამაო გამოდგა. ასეთივე შინაგანი ბრძოლა გადაიტანა ლუთერმა ერფურტის მონასტრის საკანში, მათაც იგივე კითხვა აწუხებდა: "რით უნდა გამართლდეს ადამიანი უფლის წინაშე?" (იობი 9:2).

პროტესტანტიზმის საკურთხეველზე თითქმის უკვე ჩამქრალი ღვთიური ჭეშმარიტების ცეცხლი კვლავ უნდა გაჩაღებულიყო იმ ძველი ჩირაღდნიდან, რომელიც ბოჰემიელმა ქრისტიანებმა თაობებს

გადასცეს. რეფორმაციის შემდგომ პერიოდში პროტესტანტიზმი ბოჰემიაში დამარცხდა რომაელი ურდოების მიერ. ყოველი, ვინც ჭეშმარიტებას არ უარყოფდა, იძულებული იყო გაქცეულიყო. ზოგმა, ვინც საქსონიას შეაფარა თავი, შეინარჩუნა ძველი რწმენა. ამ ქრისტიანთა თაობებიდან მიიღეს ჭეშმარიტების ნათელი უესლიმ და მისმა თანამოაზროვნეებმა.

მას შემდეგ, რაც ჯონ და ჩარლზ უესლები ხელდასხმით აკურთხეს მსახურებისათვის, ისინი მისიონერული დავალებით ამერიკაში გაგზავნეს. გემბანზე მორავიელი ძმების ჯგუფი იმყოფებოდა. ზღვაზე ძლიერი გრიგალის დროს, რომელიც

სასიკვდილოდ დაემუქრა მგზავრებს, ჯონ უესლიმ იგრძნო, რომ არ არის შერიგებული ღმერთთან. მას მეტად გაუკვირდა გერმანელთა სიმშვიდე და უფლისადმი ნდობა, რომელიც ჯონისათვის უცხო და გაუგებარი იყო.

"მე დიდხანს ვაკვირდებოდი, - ამბობს იგი, - რა უჩვეულოდ იქცეოდნენ ისინი. მათი მორჩილება სხვა მგზავრთა მიმართ ყურადღებასა და დახმარებაში გამოიხატებოდა, რისი მოფიქრებაც ვერც ერთმა ინგლისელმა ვერ შეძლო. ისინი ამას უანგაროდ აკეთებდნენ და განმარტავდნენ, რომ ეს სასარგებლოა ამაყი გულის დამორჩილებისათვის; რომ მაცხოვარმა თავისი შვილების სიყვარულის გამო უფრო მეტი გააკეთა. არაფერს შეეძლო მათი

მოთმინებიდან გამოყვანა და თავშეკავების დაკარგვა. როდესაც დიდი ქარიშხალი ამოვარდა და გემმა რყევა დაიწყო, ამ ძლიერი, მტკივნეული დარტყმების მიუხედავად, არც ერთი მათგანის ბაგეს ჩივილი და კვნესა არ დასცდენია. მათ შესაძლებლობა მიეცათ ეჩვენებინათ, რომ ისინი ისეთივე თავისუფალი არიან შიშისაგან, როგორც სიამაყის, რისხვისა და გაღიზიანებისაგან. გალობის დროს, რითაც მათ თავიანთი ღვთისმსახურება დაიწყეს, გემს უზარმაზარი ტალღა მოასკდა, რომელმაც გემის დიდი აფრა ნაფლეთებად აქცია და მთელ ხომალდს ისე გადააფარა, თითქოს თითოეული ჩვენთაგანი ბნელმა

უფსკრულმა ჩაყლაპა. ინგლისელებმა საშინელი ყვირილი მორთეს; გერმანელები კი მშვიდად განაგრძობდნენ გალობას. შემდეგ მე ვკითხე ერთ მათგანს; "განა თქვენ არ შეგეშინდათ?" "მადლობა ღმერთს, არა". მე კვლავ შევეკითხე: "განა თქვენს ცოლებსა და ბავშვებს არ შეეშინდათ?" მან თავაზიანად მიპასუხა: "ჩვენს ცოლებსა და შვილებს სიკვდილისა არ ეშინიათ".

სავანაში ჩასვლისას, უესლი რამდენიმე ხანს მორავიელ ძმებთან ცხოვრობდა. იგი სულის სიღრმემდე შეძრა მათმა ქრისტიანულმა საქციელმა. ერთ-ერთი ღვთისმსახურების აღწერისას, რომელიც დიდად განსხვავდებოდა ინგლისური ეკლესიის უსიცოცხლო

ფორმალიზმისაგან, მან ალნიშნა: "მათი ღვთისმსახურების საოცარმა უბრალოებამ და ამავე დროს, საზეიმო განწყობილებამ მე-17 საუკუნის მილმა გადამახედეს და ჩემი თავი იმ ერთ-ერთ შეკრებაზე წარმოვიდგინე, როდესაც არავითარი გარეგნული ფორმალობა და პარადულობა არ არსებობდა. ღვთისმსახურებას ატარებდა მეკარვე პავლე, ან მეთევზე პეტრე. მაგრამ მათში იგრძნობოდა სულიწმიდა და ღვთის ძალა."

ინგლისში დაბრუნების შემდეგ უესლი ერთი მორავიელი პასტორის ხელმძღვანელობით უფრო ღრმად ჩაწვდა ბიბლიურ რწმენას. იგი დარწმუნდა იმაში, რომ არავითარი იმედი არ არსებობს საკუთარი საქმეებით გადარჩენისა; რომ საჭიროა

სრულად მიენდო "ღვთის კრავს, რომელმაც იტვირთა წუთისოფლის ცოდვები". მორავიელთა საზოგადოების ერთ-ერთ შეკრებაზე ლონდონში წაკითხული იქნა ლუთერის მტკიცება იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც მორწმუნე ადამიანში სულიწმიდის ზეგავლენით ხდება. ამის გაგონებაზე უესლის გულში რწმენის ცეცხლი დაინთო: "მე ვგრძნობდი: თუ გადარჩენა მინდა, ქრისტეს უნდა მივენდო, მხოლოდ ქრისტეს. მე დავრწმუნდი იმაში, რომ მან გამათავისუფლა ჩემი ცოდვებისაგან, სწორედაც რომ ჩემი ცოდვებისაგან და იგი მიხსნის ცოდვისა და სიკვდილის კანონისაგან".

მრავალი წლის განმავლობაში მტანჯველი, უშედეგო ბრძოლის, მკაცრი თვითალკვეთის, საყვედურებისა და დამცირების ფასად ეძებდა უესლი ღმერთს. ახლა კი იპოვა; იგი მიხვდა, რომ ღვთის მადლი, რომლის დამსახურებასაც იგი ლოცვებითა და მარხვებით, ქველმოქმედებითა და თავგანწირვით ცდილობდა, არის საბოძვარი, რომლის ყიდვაც ფულზე შეუძლებელია, რადგან იგი "შეუფასებელია".

ქრისტეს რწმენაში განმტკიცებულმა, ამ საოცარი სახარების ცოდნის გავრცელების სურვილით ანთებულმა უესლიმ დაიწყო ქადაგება ღვთის მადლის უსასყიდლოდ გაცემის შესახებ. "მე

მთელ მსოფლიოს ვუყურებ, როგორც ჩემს სამრევლოს, - ამბობდა იგი, - სადაც არ უნდა ვიყო, ჩემი ვალი, უფლება და მოვალეობაა, ვახარო ხსნის სახარება ყველას, ვინც მოსმენას მოისურვებს".

იგი კვლავინდებურად მკაცრ, თავგანწირულ ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ ეს მისთვის არ იყო საყრდენი, არამედ რწმენის შედეგი, არა ფესვი, არამედ სიწმიდის ნაყოფი. ღვთის მადლი ქრისტეში - ქრისტიანული იმედის საყრდენია და ეს ძღვენი მორჩილებაში ვლინდება. ქრისტეს გამომსყიდველი სისხლის რწმენით გამართლება, სულიწმიდის გარდამქმნელი ძალა ქრისტეს მაგალითის მიმბაძველთა გულში - ამ უდიდეს ჭეშმარიტებათა ქადაგებას

შეალია უესლიმ მთელი თავისი ცხოვრება.

უაითფილდი და ძმები უესლები მომზადებული იყვნენ მომავალი მოღვაწეობისათვის. მათ გაიარეს საკუთარი უბადრუკობის შემეცნების ხანგრძლივი და მტანჯველი გზა; ჯერ კიდევ უნივერსიტეტში და შემდეგ მსახურების დასაწყისში დაცინვისა და დევნის ქარცეცხლში იმისთვის გამოიწრთვნენ, რომ შემდგომში ყველა უბედურებას ისე დახვედროდნენ, როგორც ეს ქრისტეს ჭეშმარიტ მებრძოლთ შეეფერის. ურწმუნო სტუდენტი-ამხანაგები მათ დაცინვით "მეთოდისტებს" უწოდებდნენ. ამ სახელს დღეს ინგლისსა და ამერიკაში ერთ-ერთი

პატივსაცემი და უდიდესი ქრისტიანული განვითარება ატარებს.

მიეკუთვნებოდნენ რა ანგლიკანურ ეკლესიას, მათთვის მეტად მძიმე იყო მისი ღვთისმსახურების ფორმა, მაგრამ უფალმა მათ თავის სიტყვაში აჩვენა ღვთისმსახურების უფრო სრულყოფილი მაგალითი. სულიწმიდა შთააგონებდა, ექადაგათ ჯვარცმული ქრისტე და ყოვლისშემძლეს ძალა თავისი დიდებული შუქით ანათებდა მათ ნაშრომებს. დარწმუნდნენ რა მათ სიმართლეში, ათასობით ადამიანმა მიიღო ჭეშმარიტი რწმენა. ეს სამწყსო მგლების მძვინვარე იერიშისაგან დაცვას საჭიროებდა. უესლის მიზნად არ ჰქონია რელიგიის ახალი მრწამსის ჩამოყალიბება, მან უბრალოდ,

მორწმუნენი მეთოდისტთა საზოგადოებაში გააერთიანა.

სახელმწიფო ეკლესიამ რაღაც უჩვეულო და მტანჯველი ბრძოლა წამოიწყო ამ პასტორების წინააღმდეგ, მაგრამ უფალმა თავისი სიბრძნით ისე წარმართა მოვლენები, რომ რეფორმები თვით ეკლესიის შიგნით დაიწყო. რეფორმა გარედან რომ დაწყებულიყო, ვერ შეეხებოდა საეკლესიო ცხოვრების იმ მხარეებს, რომელთაც განსაკუთრებით ესაჭიროებოდათ გარდაქმნა. მაგრამ, რადგანაც რეფორმის გამტარებლები თვით ამ ეკლესიის მსახურნი იყვნენ, რომელთაც უამრავი შესაძლებლობები ჰქონდათ, ჭეშმარიტებამ შეაღწია იქ, სადაც სხვა პირობებში ვერ შეაღწევდა.

გაკვირვებისაგან გონს მოსული ზოგიერთი სასულიერო პირი მგზნებარე მქადაგებლად ევლინებოდა თავის მრევლს. ფორმალიზმისაგან გადაგვარებული ეკლესიები კვლავ ახალი სიცოცხლისათვის იღვიძებდნენ.

უესლის პერიოდში, ისევე, როგორც საეკლესიო ისტორიის ყველა საუკუნეში, ამა თუ იმ მსახურებას ასრულებდნენ შესაბამისი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები. მათ შორის ხშირად იყო უთანხმოება დოქტრინალური მოძღვრების ამა თუ იმ პუნქტის გამო, მაგრამ ისინი წმიდა სულით იყვნენ აღვსილი, მათ ერთი იდეა და მიზანი ამოძრავებდათ, - ადამიანთა ქრისტესკენ მოქცევა. ერთხელ უაითფილდსა და უესლებს

შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება განხეთქილებით დაემუქრა მათ. მაგრამ ქრისტეს სკოლაში ნასწავლმა შემრიგებლობამ, სიყვარულმა და მიმტევებლობამ გაიმარჯვა და მათ შეძლეს საერთო ენის გამონახვა და შერიგება. კამათის დრო არ იყო, რადგან ირგვლივ გაბატონებული იყო სიცრუე, უწმიდურება და ცოდვილნი პირდაპირ დალუპვის უფსკრულისაკენ მიექანებოდნენ.

უფლის მსახურებმა ეკლიან გზაზე შეაბიჯეს. მათ ეწინააღმდეგებოდნენ საკმაოდ გავლენიანი და განათლებული ადამიანები. მალე სამღვდელოების რისხვაც დაატყდათ თავს და რწმენის სიწმიდისა და მის მქადაგებელთა წინაშე დაიხურა ეკლესიის კარი. ისინი კათედრებიდან

ლანძლავდნენ მათ, რითაც მათ წინაალმდეგ ურწმუნო და უმეცარ ხალხს ამხედრებდნენ. ჯონ უესლი ბევრჯერ გადაურჩა სიკვდილს ღმერთის წყალობით. ერთხელ, როდესაც მძვინვარე ბრბოს შუაგულში აღმოჩნდა და იგრძნო, რომ გამოსავალი არსაიდან იყო, ადამიანის სახით მოსულმა უფლის ანგელოზმა გადაარჩინა იგი; ხალხი ორად გაიყო და გზა მისცა მათ. და იესო ქრისტეს მსახურმა ეს სახიფათო ადგილი სრულიად უვნებელმა დატოვა.

ერთ-ერთი ასეთი სასწაულის გახსენებისას უესლი ამბობდა: "როდესაც მთიდან მოლიპული ბილიკით დაბლა ვეშვებოდით, ზოგიერთები ჩემს წაქცევას

ცდილობდნენ იმ იმედით, რომ ველარ ავდგებოდი. მაგრამ მე არც კი წავბორძიკებულვარ, არ წავქცეულვარ და მშვიდობიანად დავალწიე თავი ჩემს მდევნელთ... ბევრი უშედეგოდ ცდილობდა, საყელოში ან სახელოში ეტაცა ხელი, ერთი მათგანი ჯიბესაც კი ჩაეჭიდა, მაგრამ ჩემი ჟილეტის ჯიბე მაშინვე, მომენტალურად მოწყდა და მტერს შერჩა ხელში. მეორე ჯიბე, რომელშიც ფული მქონდა შენახული, სანახევროდ ჩაირღვა. ვილაც უშველებელმა ახმახმა რამდენჯერმე ხელკეტი ასწია დასარტყმელად. მისი ერთი დარტყმა თავზე საკმარისი იყო, რომ ველად ავმდგარიყავი. მე არ ვიცი როგორ, მაგრამ მან ვერც ერთხელ ვერ დამარტყა, თუმცა თავის გადახრის

საშუალებაც კი არ მქონდა არც მარცხნივ, არც მარჯვნივ. მეორემ ხალხის ტალღა გაარღვია და ჩემსკენ გამოექანა დასარტყმელად, მაგრამ ხელი ძირს ჩამოუვარდა ისე, რომ მხოლოდ ოდნავ შემეხო, თან წარმოსთქვა: "რა რბილი თმა აქვს მას!" და ამის შემდეგ, ამ თავზეხელალებულმა გმირებმა, რომლებიც ქალაქში ყველა შეჯახებისა და ჩხუბის მოთავენი იყვნენ, - ერთ მათგანს პრიზიც კი ჰქონდა მიღებული დათვთან ორთაბრძოლაში, - შეცვალეს ჩემს მიმართ დამოკიდებულება."

"რა ფრთხილად და თანდათანობით გვამზადებს უფალი თავისი ნების ალსასრულებლად! ორი წლის წინათ ნასროლმა აგურმა მხარი დამიზიანა.

ერთი წლის შემდეგ შუბლში ქვა მომარტყეს. გასულ თვეს ძლიერი დარტყმა ვიგემე. დღეს სალამოს კი ორჯერ მცემეს, ქალაქში შესვლისას და შემდეგ, მისი დატოვებისას. მაგრამ ეს კიდევ არაფერია! ვილაც მამაკაცმა მთელი ძალით მუშტი დამარტყა მკერდში, ხოლო მეორემ - სახეში. მაშინვე სისხლი წამსკდა, მაგრამ ტკივილი არ მიგრძვნია. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩალა შემეხო".

არსებობის პირველ წლებში მეთოდისტები - მორწმუნენიც და პასტორებიც - დევნასა და დაცინვას განიცდიდნენ როგორც ეკლესიის წევრების, ასევე აშკარა ურწმუნოთა მხრიდან, რომელთაც სხვადასხვაგვარი ჭორებით

აქეზებდნენ. მეთოდისტებს ხშირად ასამართლებდნენ, თუმცა ის მხოლოდ იწოდებოდა სასამართლოდ, თორემ სად იყო სამართალი. მორწმუნენი ხშირად ძალადობის მსხვერპლი ხდებოდნენ. მათ სახლებს ქუჩის ნაძირალები ძარცვავდნენ, ამსხვრევდნენ და არბევდნენ, თვით მორწმუნეებს კი აბუჩად იგდებდნენ. ზოგჯერ განცხადებასაც კი გამოაკრავდნენ, რომელიც მსურველთ მეთოდისტთა დარბევაში მონაწილეობის მისაღებად იწვევდა ამა თუ იმ დროს. და ადამიანური და ღვთიური კანონების ასეთ უხეშ, აშკარა დარღვევას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ამ ადამიანთა სისტემატური დევნისა და დარბევის ერთადერთი მიზანი

მხოლოდ ის იყო, რომ მათ დასალუპად განწირულ ცოდვილთა დაყენება სურდათ ჭეშმარიტების გზაზე.

ბრალდებას, რომელიც მას და მის თანამოაზრეებს წაუყენეს, ჯონ უესლიმ ასე უპასუხა: "ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ამ ადამიანთა ეს ახალი რელიგია ცრუ, ფანატიკური და მცდარია, ხოლო მისი მიმდევრები - კვაკერები, ფანატიკოსები და პაპისტები არიან. მაგრამ ასეთი ბრალდებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს, რადგან უკვე ფართოდ არის ცნობილი და დამტკიცებული, რომ ამ რელიგიის ყველა ელემენტი წმიდა წერილის ჭეშმარიტ მოძღვრებაზეა დაფუძნებული. და თუკი წერილი ჭეშმარიტებაა, მაშინ ეს მოძღვრებაც

არ შეიძლება იყოს ცრუ და მცდარი. სხვები ამტკიცებენ, რომ მათი მოძღვრება მეტად მკაცრია და ზეცისკენ მიმავალი გზაც ძალზე ვიწროა. ეს იყო ერთადერთი (იმ დროისათვის) ბრალდება, რომელზედაც აგებული იყო სხვა ბრალდებები, რაც მათ წაუყენეს. მაგრამ განა მათ დაავიწროვეს ქრისტესა და მის მოციქულთა მიერ გაკვლეული გზა? განა მათი მოძღვრება ბიბლიურ მცნებებზე უფრო მეტად მკაცრია? მიაქციეთ ყურადღება ზოგიერთ მათგანს: "შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა". "ყოველი

უსარგებლო სიტყვისათვის, რომელსაც ადამიანები იტყვიან, პასუხს აგებენ განკითხვის დღეს". "ჭამთ, სვამთ თუ სხვა რამეს აკეთებთ, ყველაფერი აკეთეთ ღვთის სადიდებლად".

თუკი მათი მოძღვრება ამ მოთხოვნებს არ ეთანხმება, მაშინ იგი გაკიცხვის ღირსია. თუ შეუძლია ვინმეს დაუშვას სულ მცირე უზუსტობა წმიდა წერილის მიმართ, რომ არ დაამახინჯოს იგი? შეიძლება თუ არა უფლის საიდუმლოთა შემნახველს ეწოდოს ერთგული, თუკი იგი რაიმეს შეცვლის ამ წმიდა საგანძურში? რა თქმა უნდა არა; მას არ შეუძლია მასში რაიმე შეამციროს ან შეარბილოს. იგი ვალდებულია განუცხადოს ხალხს: "მე არ შემიძლია

შევუფარდო წმიდა წერილი თქვენს გემოვნებას. თქვენ ან უნდა იცხოვროთ მასთან თანხმობით, ან სამუდამოდ დაიღუპოთ". აი, რატომ ამბობს ხალხი მათი მისამართით: "მათ არა აქვს სიყვარული!" ნუთუ მართლა? განა ისინი არ აპურებენ მშიერთ და არ მოსავენ შიშველთ? არა, საქმე ამაში არ არის. ამაში მათ ვერ დაადანაშაულებ. ისინი შეუწყალებელი არიან თავიანთ მსჯელობებში, რადგან იციან, რომ ვერავინ გადარჩება, თუკი მათ მაგალითს არ მიბაძავენ".

ინგლისის მოსახლეობის სულიერი დაცემა, რომელიც უესლის დაბრუნებამდე შეინიშნებოდა, უპირველესად იმით იყო განპირობებული, რომ მათ რელიგიას

მხედველობიდან გამორჩა უფლის კანონი. ბევრი ამტკიცებდა, რომ ქრისტემ გააუქმა ზნეობრივი კანონი და ქრისტიანებისთვის აუცილებელი არ არის მისი შესრულება, რომ ყოველი ქრისტიანი თავისუფალია "კეთილ საქმეთა მონობისაგან". სხვები თუმცა აღიარებდნენ კანონის უცვლელობას, მაგრამ აცხადებდნენ, რომ არ არის აუცილებელი, მოძღვრებმა ხალხს ასწავლონ ღვთის წინაშე მორჩილება, "რადგან ღვთის რჩეულნი ღვთის მადლის უდიდესი ძალის ზემოქმედებით" თავად მივლენ ღვთისმოსაობამდე და კეთილი საქმეების კეთებამდე, ხოლო საუკუნო სიკვდილისათვის განწირულთ "არ ძალუძთ ღვთიური კანონების აღსრულება".

სხვები, რომელნიც თვლიდნენ, რომ "რჩეულთ არ წაერთმევა უფლის მადლი და წყალობა", უფრო საშინელ დასკვნამდე მივიდნენ: ამტიცებდნენ, რომ "ამ ადამიანთა მიერ ჩადენილი დანაშაული არ ითვლება ცოდვად და უფლის მცნებათა დარღვევად და, აქედან გამომდინარე, მათთვის სულაც არ არის საჭირო თავიანთი დანაშაულის მონანიება და პატიების თხოვნა". ამიტომ, აცხადებდნენ ისინი, ყველაზე ამაზრზენი დანაშაული, რომელიც "ღვთიური კანონის უხეშ დარღვევად ითვლება, არ არის ცოდვა უფლის თვალში, თუკი მას რომელიმე მისი რჩეული ჩაიდენს, რადგან მისი რჩეულნი სხვებისაგან სწორედ იმით გამოირჩევიან, რომ არ შეუძლიათ

ჩაიდინონ უფლის სურვილის საწინააღმდეგო ქმედება ანდა მისი კანონით აკრძალული საქციელი".

ეს საშინელი დოქტრინები უფრო ნათლად გამოიკვეთა გამოჩენილ ღვთისმეტყველთა და მოძღვართა უფრო გვიანდელ სწავლებაში, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ არ არსებობს უცვლელი ღვთიური კანონი, როგორც სამართლიანობის საზომი, არამედ საზოგადოება თავად ირჩევს და გამოიმუშავებს ზნეობის ნორმებს, რომელიც მუდმივად იცვლება. ყველა ეს იდეა მოდის იმ სულისაგან, რომელმაც თავისი მოღვაწეობა დაიწყო უცოდველ არსებათა შორის, რომელსაც სურდა გაენადგურებინა უფლის კანონის სამართლიანი შეზღუდვები.

სწავლება იმის შესახებ, რომ ყოველი ადამიანის ბედი წინასწარ განსაზღვრულია უფლის მიერ, ბევრი ადამიანისათვის უფლის მცნებათა უარყოფის საბაბი გახდა. უესლიმ გაბედულად გაილაშქრა ამ მცდარი, ანტინომისტური სწავლების წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ იგი წმიდა წერილის საწინააღმდეგოა. "ვინაიდან გამოჩნდა ღვთის მადლი, ყველა ადამიანის მხსნელი". "ვინაიდან ეს კეთილი და სათნოა ჩვენი მაცხოვარი ღვთისათვის, რომელსაც ნებავს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტების შემეცნებას, ვინაიდან ერთია ღმერთი და ერთია ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი, -კაცი ქრისტე იესო, რომელმაც თავი

გასწირა ყველას გამოსახსნელად" (ტიტე 2:11; 1ტიმ. 2:3-6). ღვთის სული ეძლევა ყველას, რათა თითოეულმა ისარგებლოს ამ ხსნის საბოძვარით. ამგვარად, იესო ქრისტე "ნათელი ჭეშმარიტი, ...გაუნათებს წუთისოფლად მომსვლელ ყველა ადამიანს" (იოან.1:9). და როცა საკუთარი ნებით უარყოფენ სიცოცხლის ძღვენს, ადამიანები ველარ ღებულობენ ხსნას.

პასუხად იმის მტკიცებაზე, რომ ქრისტეს სიკვდილის გამო საჭირო ალარ არის უფლის ათი მცნება და რჯულის სხვა კანონები, უესლიმ განაცხადა: "ზნეობრივი კანონი უფლის ათი მცნების სახით, რომლითაც ღვთის წინასწარმეტყველნი

ხელმძღვანელობდნენ, არ არის გაუქმებული ქრისტეს მიერ. იგი არ მოსულა დედამიწაზე ღმერთის კანონის ან მისი რომელიმე ნაწილის გასაუქმებლად, რადგან ამ კანონის შეცვლა ან გაუქმება არ შეიძლება, მარადიულია იგი, "როგორც ერთგული მოწმე ზეცაში". იგი არსებობდა დასაბამიდან და დაწერილი იყო არა მხოლოდ ქვის ფიქალებზე, არამედ უფლის მიერ შექმნილ ადამიანთა გულზე. და თუმცა ახლა ღვთის ხელით ნაწერი ცოდვის საბურველითაა დამახინჯებული, მაინც, ვიდრე ბოროტისა და კეთილის შემეცნება შეგვიძლია, მისი განადგურება არ შეიძლება. ამ კანონის ყოველი მცნება ძალაში უნდა იყოს

კაცობრიობისათვის საუკუნეთა მანძილზე, რადგან ეს კანონი არ არის დამოკიდებული არც დროზე, არც ადგილზე და არც რაიმე სხვა ფაქტორზე, რომელთა შეცვლაც შეიძლება, არამედ დაფუძნებულია თვით უფლის არსზე, ადამიანის ბუნებაზე და მათ შორის უცვლელ დამოკიდებულებაზე".

"გასაუქმებლად კი არ მოვედი, არამედ აღსასრულებლად"...- ეჭვგარეშეა, ქრისტე ამაში გულისხმობდა შემდეგს, (რაც ეთანხმება მის ადრინდელ და შემდგომში ნათქვამ სიტყვებს): მე მოვედი, რათა აღვადგინო იგი მთელი თავისი სისრულით მის ადამიანურ განმარტებათა საწინააღმდეგოდ; მე მოვედი, რათა ბოლომდე აგიხსნათ ის,

რაც თქვენთვის აქამდე ბნელით იყო მოცული; მე მოვედი, რათა გაგიხსნათ ყოველი მცნების ჭეშმარიტი აზრი, გაჩვენოთ მისი ჭეშმარიტი შინაარსის სიდიდე, სილრმე და სიმაღლე და კანონის ყოველი ნაწილის უსაზღვრო სიწმიდე და სულიერება გამოვავლინო.

უესლი სახარებისა და კანონის სრულ ჰარმონიას ქადაგებდა: "უფლის კანონსა და სახარებას შორის უახლოესი კავშირია. ერთის მხრივ, კანონი გზას იკვლევს სახარებისაკენ და საბოლოო ჯამში მასთან მივყავართ, მეორეს მხრივ კი - სახარება სრულად მიგვითითებს კანონის ზუსტ ალსრულებაზე. მაგალითად, კანონი მოითხოვს, რომ გვიყვარდეს ღმერთი და მოყვასი,

ვიყოთ მოკრძალებულნი, მორჩილნი და მართალნი. მაგრამ ვგრძნობთ, რომ ჩვენთვის შეუძლებელია ასე ცხოვრება და ეს მართლაც ასეა, მაგრამ გვახსოვს უფლის ალთქმა, რომელიც დაგვიპრდა, რომ მოგვცემდა ასეთ სიყვარულს, მოკრძალებას, მორჩილებასა და სიმართლეს და ჩვენც ვლებულობთ ამ სახარებას, ამ კეთილ უწყებას და ეს ჩვენში ხდება ჩვენი რწმენით და "კანონის სიმართლე სრულდება ჩვენში" მხოლოდ იესო ქრისტეს რწმენით...

სახარების ყველაზე დიდი მტერი ის არის, - განაგრძობდა უესლი, - ვინც ასე აშკარად კიცხავს და აკრიტიკებს კანონს; ვინც ადამიანებს მცნებების ან მისი რომელიმე ნაწილის დარღვევას,

გაუქმებას, ან შეცვლას ასწავლის... ყველაზე მეტ განცვიფრებას იწვევს ადამიანთა რწმენა, რომ კანონის უარყოფით ისინი პატივს მიაგებენ ქრისტეს, უფლის მცნებათა დარღვევით კი განადიდებენ შემოქმედს და მის მსახურებას! დიახ, ისინი ისეთ პატივს მიაგებენ მას, როგორც იუდა, რომელმაც თქვა: "გიხაროდეს, რაბი" და ეამბორა მას". და სულაც არ იქნება საფუძველს მოკლებული უფლის შეკითხვა მათ მიმართ: "ამბორით გასცემ კაცის ძეს?" და თუკი დღეს მისი გამომსყიდველი სისხლის შესახებ ქადაგებენ და ამასთან ერთად, სამეფო გვირგვინს ართმევენ მას, როდესაც აუქმებენ მის მცნებებს ან ერთ რომელიმე მათგანს, განა ეს ამბორით ღალატი არ არის? და

მართლაც, ეს ბრალდება არ ეხსნება მას, ვინც ქადაგებს რა ჭეშმარიტებას, აუქმებს ან ამცირებს უფლის რომელიმე ყველაზე მცირე მცნებასაც კი, რითაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოუწოდებს ადამიანებს დაუმორჩილებლობისაკენ".

მათ, ვინც დაჟინებით ამტკიცებდა, რომ "სახარების ქადაგება პასუხობს კანონის ყველა მიზანს", უესლი პასუხობდა: "ჩვენ სრულებით უარვყოფთ ამას. რადგან არ სრულდება კანონის უმთავრესი დანიშნულება: ცოდვილთა მხილება და მათი გამოფხიზლება, ვინც უფსკრულის პირას თვლემს". პავლე მოციქული ამბობს: "რჯულით შეიცნობა ცოდვა". სანამ ადამიანი

ჭეშმარიტად არ შეიცნობს თავის ცოდვას, ვერ იგრძნობს ქრისტეს გამომსყიდველი სისხლის საჭიროებას... ჩვენი მხსნელი თვითონვე ამბობს: "მკურნალი ჯანმრთელებს კი არა, ავადმყოფებს სჭირდებათ". რა თქმა უნდა, უაზრობაა, მკურნალი შესთავაზო ჯანმრთელებს ან მათ, ვინც თავს ჯანმრთელად თვლის: ისინი ჯერ უნდა დარწმუნდნენ, რომ ავადმყოფები არიან, თორემ თქვენს მზრუნველობას არ დააფასებენ. ასევე, აზრი არა აქვს შესთავაზო ქრისტე მას, ვის გულსაც არასოდეს განუცდია ტანჯვა".

ამგვარად, უფლის მადლის სახარების ქადაგებისას უესლი, თავისი უდიდესი მასწავლებლის

მსგავსად, "კანონის ამაღლებასა და განდიდებას" ცდილობდა. მან ერთგულად და კეთილსინდისიერად შეასრულა უფლის დავალება და იხილა თავისი მოღვაწეობის ნაყოფი. მისი ხანგრძლივი ცხოვრების დასასრულს - მან 80 წელი იცოცხლა და აქედან ნახევარი საუკუნე მისიონერულ მოგზაურობაში გაატარა, - მის მიმდევართა რიცხვი ნახევარ მილიონამდე გაიზარდა და მაინც, როდესაც გამოსყიდულთა მთელი ოჯახი უფლის სასუფეველში შეიკრიბება, მხოლოდ მაშინ გავიგებთ, თუ სინამდვილეში რამდენი ადამიანი აღდგა ცოდვისა და მანკიერების ნანგრევებიდან მისი შრომის წყალობით, რათა წმიდა ცხოვრებისაკენ მობრუნებულიყო და

რამდენმა ადამიანმა მიიღო უფრო მდიდარი და ღრმა გამოცდილება მისი მოძღვრების მეშვეობით. მისი ცხოვრება შეუფასებელი მაგალითია ყოველი ქრისტიანისათვის. და რა დასანანია, რომ ასე აკლიათ თანამედროვე ეკლესიებს ისეთი რწმენა და მორჩილება, შემეცნება და სიყვარული, როგორიც იესო ქრისტეს ამ მსახურს ჰქონდა!

თავი 15 ბიბლია და საფრანგეთის რევოლუცია

XVI საუკუნეში რეფორმაცია, რომელმაც ხალხს ბიბლია შესთავაზა, ევროპის ყველა სახელმწიფოში შელწევას ცდილობდა. ზოგი ქვეყანა სიხარულით ხვდებოდა მას, როგორც

სასურველ ზეციურ მაცნეს. ხოლო იქ, სადაც პაპიზმმა შეძლო წინ ალდგომოდა მის გავლენას, ბიბლიური ჭეშმარიტების მაღალი ნათელი თითქმის ვერ გავრცელდა. ქვეყანა, რომლის შესახებაც საუბარი გვექნება ამ თავში, გაანათა ზეციურმა ნათელმა, მაგრამ წყვდიადი ვერ გაფანტა. მთელი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა ამ ორ ძალას შორის. ბოლოს, ბოროტებამ გაიმარჯვა და ზეციური ჭეშმარიტება უარყოფილ იქნა. "განკითხვა კი ის არის, რომ ნათელი მოვიდა წუთისოფელში და ადამიანებმა ნათელზე მეტად ბნელი შეიყვარეს" (იოან. 3:19). და ამ ხალხმა მოიმკა ის, რაც დათესა. სულიწმიდის შემკავებელი ძალა წაერთვა ხალხს,

რომელმაც უარყო მისი მადლის საბოძვარი; უფალმა დაუშვა, რომ ბოროტებას ფესვი გაედგა და მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ რა შედეგი მოჰყვა უფლის ნათლის ნებაყოფლობით უარყოფას.

საფრანგეთში ბიბლიის წინააღმდეგ ბრძოლამ, რომელიც საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა, უმაღლეს წერტილს რევოლუციის პერიოდში მიაღწია. ასეთი საშინელი აფეთქება რომის მიერ წმიდა წერილის აკრძალვის გარდაუვალი შედეგი იყო. ეს ომი - პაპის პოლიტიკის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაციაა და იმ შედეგების მაჩვენებელია, რომლისკენაც რომის ეკლესიის მოძღვრებას თითქმის 400 წლის მანძილზე მიჰყავდა ხალხი.

პაპის ხელისუფლების პერიოდში წმიდა წერილის აკრძალვა წინასწარ ნაუწყები იყო უფლის წინასწარმეტყველთა მიერ. იოანე ღვთისმეტყველის "გამოცხადებაშიც" ნათქვამია "განდგომილების ძის" ბატონობის საშინელი შედეგების შესახებ, რამაც განსაკუთრებით საფრანგეთში იჩინა თავი.

უფლის ანგელოზმა გაგვაფრთხილა: "...ისინი ორმოცდაორ თვეს გათელავენ წმიდა ქალაქს. მივცემ ჩემ ორ მოწაფეს და ისინი იწინასწარმეტყველებენ ათას ორას სამოც დღეს ძაძებით შემოსილნი... როცა ისინი დაამთავრებენ თავიანთ მოწმობას, უფსკრულიდან ამომავალი მხეცი შეებრძოლება მათ, გაიმარჯვებს და

დაᲮოცავს მათ. მათი გვამები ეყრება დიდი ქალაქის ქუჩაში, რომელსაც სულიერად ჰქვია სოდომი და ეგვიპტე, სადაც ჯვარს ეცვა მათი უფალიც... მცᲮოვრებნი გაიᲮარებენ მათზე და იმᲮიარულებენ, და გაუგზავნიან ერთმანეთს საჩუქრებს, ვინაიდან ეს ორი წინასწარმეტყველი აწამებდა დედამიწის მკვიდრთ... სამნახევარი დღის შემდეგ კი შევიდა მათში სიცოცხლის სული ღვთისაგან, და ფეᲮზე დადგნენ; დიდი შიში დაეცა ყველას, ვინც მათ უყურებდა" (გამოცᲮ. 11:2-11).

ზემოთ აღნიშნული დროის მონაკვეთი - "42 თვე" და "1260 დღე" - ერთი და იგივე პერიოდია, რომლის დროსაც ქრისტეს ეკლესიას სასტიკი დევნა ელოდა რომის ეკლესიის

მხრიდან. პაპის ბატონობის 1260-წლიანი პერიოდი 538 წელს დაიწყო და დამთავრდა 1798 წელს, როდესაც საფრანგეთის არმია რომში შევიდა და დაატყვევა პაპი, რომელიც შემდგომ გადასახლებაში გარდაიცვალა. თუმცა მის ნაცვლად მალე ახალი პაპი აირჩიეს, მაგრამ პაპის იერარქიას უკვე ალარასოდეს ჰქონია ადრინდელი ძალაუფლება და ძლიერება.

ეკლესიის დევნა ამ 1260 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ არ მიმდინარეობდა. უფალმა თავისი წყალობით შეამოკლა ცეცხლოვანი გამოცდის დღეები. ხოლო "დიდი მწუხრის" შესახებ, რომელიც ეკლესიას მომავალში დაუდგება, მაცხოვარმა თქვა: "ის დღეები რომ არ

შემოკლებულიყო, ძე ხორციელი ვერ გადარჩებოდა. მაგრამ რჩეულთა გულისათვის შემოკლდება ის დღეები" (მათ. 24:22). რეფორმაციის ზეგავლენის წყალობით დევნა 1798 წლამდე კარგა ხნით ადრე შეწყდა.

ორი მოწმის შესახებ წინასწარმეტყველი ამბობს: "ესენი არიან ზეთისხილის ორი ხე და ორი სასანთლე, რომლებიც დედამიწის უფლის წინაშე დგას" (გამოცხ. 11:4; ფს. 118:105). ეს ორი მოწმე სიმბოლოა ძველი და ახალი აღთქმისა. ისინი ერთნაირად ამტკიცებენ ღმერთის კანონის წარმოშობას, მის მარადიულობას და აგრეთვე გადარჩენის გეგმის არსებობასაც. ძველი აღთქმის სიმბოლოები, მსხვერპლი და

წინასწარმეტყველებანი მიუთითებენ მაცხოვრის მოსვლაზე, რომელიც სწორედ ისე მოვიდა დედამიწაზე, როგორც ეს ნაჩვენები და ნაწინასწარმეტყველები იყო ძველ ალთქმაში. ამას სახარება და ახალი ალთქმის წერილები ადასტურებენ.

"და ისინი იწინასწარმეტყველებენ 1260 დღეს ძაძებით შემოსილნი". ამ დროის უმეტესი ნაწილი ღვთის მოწმეებმა წყვდიადში გაატარეს. პაპის მესვეურნი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ხალხისთვის ჭეშმარიტების სიტყვა დაემალათ და უგზავნიდნენ ცრუმოწმეებს, რომელნიც ბიბლიის საწინააღმდეგოდ მოწმობდნენ. როდესაც ბიბლია საერთოდ იქნა აკრძალული საეკლესიო და

სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, მის მოწმობას ამახინჯებდნენ და ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ იგი ადამიანთა შემეცნებამდე არ მისულიყო; როდესაც იმათ, ვინც წმიდა ჭეშმარიტების წარმოთქმას გაბედავდა, დევნიდნენ, ღალატობდნენ, ტანჯავდნენ, მიწაში ცოცხლად მარხავდნენ, კოცონზე წვავდნენ ან იძულებულს ხდიდნენ თავშესაფარი მიუვალ კლდეებში, ხევებში, გამოქვაბულებში ეძებნათ - მაშინ ერთგული მოწმენი, "ძაძებით შემოსილნი", წინასწარმეტყველებდნენ. დევნის მიუხედავად ისინი ღვთის სიტყვას 1260 წლის განმავლობაში ქადაგებდნენ. ყველაზე საშინელ პერიოდშიც კი არსებობდნენ

ერთგული ადამიანები, რომელთაც უყვარდათ ღვთის სიტყვა და მას დიდებას მატებდნენ. "თუ ვინმე მოინდომებს ავნოს მათ, ცეცხლი გამოვა მათი პირიდან და შთანთქავს მათ მტრებს; და თუ ვინმე მოინდომებს ავნოს მათ, ის უნდა მოიკლას" (გამოცხ. 11:5). ადამიანები, რომელნიც აბუჩად იგდებენ ღვთის სიტყვას, დაუსჯელად ვერ გადაურჩებიან ღმერთს. ამ საშინელი გაფრთხილების არსი გადმოცემულია გამოცხადების ბოლო თავში: "მე ვამოწმებ ყველასთვის, ვისაც ესმის ამ წიგნის წინასწარმეტყველების სიტყვები: თუ ვინმე რამეს დაუმატებს ამას, ღმერთი გაუმრავლებს მას ამ წიგნში ჩაწერილ წყლულებს; თუ ვინმე რამეს მოაკლებს ამ

წინასწარმეტყველების წიგნის სიტყვებს, ღმერთი წაართმევს მას წილს სიცოცხლის ხიდან, წმიდა ქალაქიდან და იქიდან, რაც ამ წიგნშია ჩაწერილი" (გამოცხ. 22:18-19).

ასეთ გაფრთხილებებს უგზავნიდა უფალი ადამიანებს, რათა განდგომისაგან დაეცვა ისინი და მათთვის გაეცნო თავისი ნება და მიზანი. ეს საზეიმო გაფრთხილებანი ეხება ყველას, ვინც თავისი ცხოვრებით ადამიანებს უფლის კანონის უგულვებელყოფის მაგალითს უჩვენებს. ამ გაფრთხილებამ შიში და მოწიწება უნდა შთაუნერგოს მას, ვინც თვლის, რომ მორჩილება უფლის კანონის წინაშე სულაც არ არის აუცილებელი. ის, ვინც თავის პირად აზრს უფლის

გამოცხადებებზე მაღლა აყენებს, ვინც წერილის ნათელ შინაარსს რაიმე ანგარების გამო ან მისი ამქვეყნიურთან გათანაბრებისათვის ამახინჯებს, საკუთარ თავზე საშინელ პასუხისმგებლობას იღებს. დაწერილი სიტყვა, უფლის კანონი არის საზომი ყოველი ადამიანისათვის და ყველაფერი ის, რაც მას არ შეეფარდება, მომავალში განიკითხება.

"როცა ისინი დაამთავრებენ თავიანთ მოწმობას"... პერიოდი, რომლის განმავლობაში ორ ძაძებით მოსილ მოწმეს უნდა ეწინასწარმეტყველა, დასრულდა 1798 წელს. სულიერ წყვდიადში მათი მსახურების დამთავრებისას მათ უნდა შებრძოლებოდა ძალა,

რომელსაც "უფსკრულიდან ამომავალი მხეცი" წარმოადგენს. ევროპის ბევრ ქვეყანაში ეკლესიისა და სახელმწიფოს მმართველნი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სატანის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ, რომელიც პაპის მეშვეობით მოქმედებდა. მაგრამ ჩვენ აქ სატანური ძალის ახალ გამოვლინებას ვხედავთ.

რომის პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ ხალხისთვის გაუგებარ ენაზე დაწერილი ბიბლია საზოგადოებისთვის დაემალა, ვითომდა, ბიბლიის მიმართ უდიდესი პატივისცემისა და მოკრძალების გამო. და რომის ხელისუფლების მმართველობის დროს მოწმენი, "ძაძებით მოსილნი" ქადაგებდნენ.

მაგრამ უნდა გამოჩენილიყო სხვა ძალა, - "უფსკრულიდან ამომავალი მხეცი", - და ღვთის სიტყვის წინააღმდეგ საჯაროდ უნდა გამოეცხადებინა ბრძოლა.

"დიდ ქალაქს", რომლის ქუჩაში მოკლეს ორი მოწმე და სადაც მათი გვამები ეყარა, რელიგიური გაგებით, ეგვიპტე ეწოდება. ბიბლიაში მოყვანილ ერებს შორის ეგვიპტელები ყველაზე უფრო დიდი თავხედობით უარყოფდნენ ცოცხალ ღმერთს და წინააღმდეგობას უწევდნენ მის ნებას. ვერც ერთმა მეფემ ვერ გაბედა ასე აშკარად და თავხედურად ალმდგარიყო ზეცის ავტორიტეტის წინააღმდეგ , როგორც ეს ეგვიპტის მმართველმა გააკეთა. როდესაც მოსემ უფლის სახელით აუწყა ფარაონს

უზენაესის ნება, ამ ამაყმა მონარქმა უპასუხა: "ვინ არის უფალი, რომ დავუჯერო და გავუშვა ისრაელი? არც უფალი ვიცი და არც ისრაელს გავუშვებ" (გამოს. 5:2); ეს ათეიზმია. და ხალხი, რომელიც სიმბოლურად ეგვიპტეა, ზუსტად ასე უნდა გამოსულიყო ცოცხალი ღმერთის წინაალმდეგ და ასეთივე უნდობლობისა და დაუმორჩილებლობის სული გამოეჩინა. "დიდი ქალაქი" აგრეთვე შედარებულია სულიერ სოდომთან. სოდომის გარყვნილება და მის მიერ უფლის კანონის დარღვევა განსაკუთრებული ძალით მის გახრწნილებაში გამომჟღავნდა. ამგვარივე ცოდვა იყო იმ ხალხის დამახასიათებელი თვისება, რომლის

ცხოვრებაშიც უნდა ალსრულებულიყო წერილის ეს წინასწარმეტყველება.

წინასწარმეტყველის თქმით, 1798 წლამდე ცოტა ხნით ადრე გამოჩნდება სატანის ძალა და დაიწყებს ომს ბიბლიის წინაალმდეგ, და იმ ქვეყანას, სადაც ღვთის ამ ორი მოწმის ხმა დადუმდება, ფარაონის ათეიზმი და სოდომის გახრწნილება წალეკავს.

ეს წინასწარმეტყველება საოცარი სიზუსტით ალსრულდა საფრანგეთის ისტორიაში. 1798 წლის საფრანგეთის რევოლუციის დროს "მსოფლიომ პირველად შეიტყო, რომ ცივილიზებულ და განათლებულ საზოგადოებაში დაბადებული და ალზრდილი ადამიანები, რომელთაც ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი

ქვეყნის მმართველობის უფლება ჰქონდათ მინიჭებული, გამოვიდნენ ადამიანებისათვის ოდესმე მოცემული ყველაზე ფაქიზი და ამაღლებული ჭეშმარიტების წინააღმდეგ და ერთხმად უარყვეს ღმერთი და ღვთისმსახურება". "საფრანგეთი - ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელიც, სარწმუნო წყაროების მიხედვით, აშკარად აუჯანყდა სამყაროს შემოქმედს. თუმცა ინგლისში, გერმანიაში, ესპანეთში და მრავალ სხვა ქვეყანაში ყოველთვის იყო და ახლაც მრავლადაა ურწმუნონი და ღვთისმკრეხელნი, მაგრამ საფრანგეთი მსოფლიო ისტორიაში ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც

საკანონმდებლო კრების სპეციალური დადგენილებით განაცხადა, რომ ღმერთი არ არსებობს. დედაქალაქშიც და ყველგან, მთელ ქვეყანაში, ხალხი ცეკვა-სიმღერითა და უდიდესი სიხარულით შეხვდა ასეთი გადაწყვეტილების მიღებას".

სოდომის დამახასიათებელი თვისებები სრულიად აშკარად გამოჩნდა საფრანგეთში. რევოლუციის დროს აქ ისეთივე გახრწნილება გაბატონდა, რომელიც თავის დროზე სოდომის და გომორის დალუპვის მიზეზი გახდა. ისტორიკოსი საფრანგეთის უზნეობასა და ათეიზმს წინასწარმეტყველებასთან სრული შესაბამისობით აღწერს: "რელიგიასთან დაკავშირებულ

კანონებთან ერთად გამოვიდა ახალი დადგენილება ქორწინების, მთელ დედამიწაზე ამ ყველაზე წმიდა კავშირის, საზოგადოების კონსოლიდაციის საწინდარის შესახებ, რომლის თანახმადაც ქორწინება მოქალაქეთა შორის დროებით შეთანხმებას წარმოადგენდა. მისი დარღვევა ასევე შეიძლებოდა ყოველგვარი წინაალმდეგობის გარეშე, მეუღლეთა თანხმობით... ეშმაკებს დიდი ძალისხმევით რომ ეშრომათ ყველაზე ეფექტური კანონის გამოგონებაზე ოჯახში ყოველგვარი სიწმიდის, კეთილშობილებისა და მარადიულის გასანადგურებლად, რაც გარანტია იქნებოდა იმისა, რომ ეს დამღუპველი ზეგავლენა უცვლელად გადაეცემა

თაობიდან თაობას, ისინიც კი უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდნენ. მსახიობმა სოფი არნომ, რომელიც თავისი მახვილგონიერებით არის ცნობილი, სამოქალაქო ქორწინებას "მრუშობის საიდუმლო" უწოდა.

"სადაც ჯვარს ეცვა მათი უფალიც". საფრანგეთში აღსრულდა წინასწარმეტყველების ეს ნაწილიც. არც ერთ ქვეყანას არ გამოუჩენია ასეთი მტრობა ქრისტეს მიმართ, როგორიც მას. არც ერთ ქვეყანაში ასე სასტიკად არ იდევნებოდა ჭეშმარიტება, როგორც იქ. საფრანგეთმა კვლავ ჯვარს აცვა ქრისტე მის მოწაფეთა სახით, რომელთაც იგი უმაგალითო სისასტიკით სდევნიდა.

საუკუნეების მანძილზე ილვრებოდა მართალთა სისხლი. იმ დროს, როდესაც პიემონტის მთებში თავიანთ სიცოცხლეს სწირავდნენ "ღვთის სიტყვისათვის და იესო ქრისტეს მოწმობისათვის", მათი ძმები, ფრანგი ალბიგოელები, მათგან მოშორებით ასევე მოწმობდნენ სახარების შესახებ. რეფორმაციის პერიოდში მისი ერთგულნი საშინელი ტანჯვა-წამებით ესალმებოდნენ სიცოცხლეს. მეფე და მისი ამალა, დიდგვაროვანი ქალები და უზადო ქალიშვილები, ერის სიამაყე და ნაღები საზოგადოება, ყველანი ტკბებოდნენ იესო ქრისტეს მოწმეთა სასიკვდილო ტანჯვების ცქერით. მამაცი ჰუგენოტები, რომლებიც ადამიანის წმიდა

უფლებებისათვის იბრძოდნენ, სისხლს ღვრიდნენ სასტიკ ბრძოლებში. პროტესტანტები კანონგარეშედ გამოაცხადეს; მათი თავებისათვის გარკვეული საზღაური იყო დაწესებული. მათზე ნადირობდნენ, როგორც გარეულ მხეცებზე.

"ეკლესია უდაბნოში", ადრეულ ქრისტიანთა მცირერიცხოვანი თაობები, რომლებმაც თავშესაფარი ჰპოვეს მთებში ქვეყნის სამხრეთით და ამ გზით შეძლეს საუკუნეში XVIII თავიანთი მამების რწმენის შენარჩუნება, ჯერ კიდევ შემორჩენილიყვნენ საფრანგეთში. თუკი ისინი ზოგჯერ ბედავდნენ თავიანთი თავშესაფრებიდან გამოსვლას და მთის ხეობაში, ან სხვა

მიუვალ ადგილებში შეკრებას, მათზე მონადირე დრაგუნები იჭერდნენ მათ და სამუდამო ტყვეობაში მიჰყავდათ გალერებზე. საფრანგეთის საუკეთესო, უკეთილშობილეს და უალრესად განათლებულ შვილებს, - მამაკაცებსა და ქალებს, ბორკილებს ადებდნენ, როგორც ქურდებსა და მკვლელებს. ზოგს კი უფრო დიდი ბედნიერება ხვდებოდა წილად: მათ, უძლურებსა და სუსტებს, ლოცვისას მუხლმოყრილთ, შეუბრალებლად ხოცავდნენ. ათასობით მოხუცი, სუსტი, დაუცველი ქალი და უმანკო ბავშვი იქნა მოკლული ღვთისმსახურების დროს. და ხშირად, როდესაც ისინი გზას მიიკვლევდნენ ულრან ტყეებში და ხეობებში, "თავიანთ გზაზე მოკლულთა გვამები

და ხეებზე ჩამოხრჩობილ ადამიანთა უსულო სხეულები ხვდებოდათ". მახვილით, ნაჯახით და ცეცხლით დაცარიელებული ქვეყანა "უზარმაზარ უდაბნოდ იქცა". და ეს მხეცობანი ხდებოდა არა უმეცრებისა და სიბნელის პერიოდში, არამედ ლუდოვიკო XIV ეპოქაში, მეცნიერებისა და ლიტერატურის აყვავების პერიოდში, იმ წლებში, როდესაც სამეფო კარი და დედაქალაქის სამღვდელოებაც განათლებული და მჭევრმეტყველი პიროვნებებისაგან შედგებოდა, რომლებიც მოკრძალებისა და სათნოების გამოხატვას ცდილობდნენ".

უმძიმესი დანაშაული ყველა საშინელ დანაშაულთა შორის, ამ

მხეცობის პირქუშ და ბნელ საუკუნეში, ბართლომეს ღამე იყო. მსოფლიო დღესაც ძრწოლვით იხსენებს იმ ღამის საშინელებას. რომის მღვდელთა და პრელატთა მხრიდან მორწმუნეთა შემაძრწუნებელი და მხეცური განადგურების მოთხოვნაზე საფრანგეთის მეფემ თანხმობა განაცხადა. შუაღამის სამრეკლოს ზარი ნიშანი იყო ხოცვა-ჟლეტის დაწყებისა. ათასობით პროტესტანტს მშვიდად ეძინა თავის სახლებში, დარწმუნებულს იმაში, რომ მეფის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ისინი გამოჰყავდათ ქუჩებში და შეუბრალებლად ხოცავდნენ.

როგორც უხილავი ქრისტე გზას უკვლევდა თავის ხალხს ეგვიპტის

ტყვეობიდან გამოყვანის დროს, ასევე უხილავი სატანა ხელმძღვანელობდა თავის ქვეშევრდომთ ამ საზარელ საქმეში. სისხლისღვრა პარიზში მთელ კვირას გაგრძელდა, აქედან პირველი სამი დღე განსაკუთრებული და წარმოუდგენელი სისასტიკით გამოირჩეოდა. ეს თავზარდამცემი ხოცვა-ჟლეტა მარტო ქალაქის კედლებით არ შემოიფარგლებოდა; მეფის საგანგებო ბრძანებულებით, პროტესტანტთა სისხლი საფრანგეთის პროვინციებსა და სხვადასხვა ქალაქებშიც იღვრებოდა. ასაკსა და სქესს მკვლელთათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. უმანკო ყრმას და ჭაღარა მოხუცს ერთნაირი ხვედრი ელოდა. წარჩინებული და მდაბიო,

ახალგაზრდა და მოხუცი, დედა და შვილი ერთად იხოცებოდნენ. ორი თვის განმავლობაში განუწყვეტელი ხოცვა-ჟლეტის შედეგად საფრანგეთი სასაკლაოდ იქცა. ამ ხნის განმავლობაში განადგურებული იქნა 70 ათასი ადამიანი - ერის სიამაყე.

"როდესაც რომმა მომხდარი უბედურების შესახებ შეიტყო, სამღვდელოების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამ ამბის მაცნეს კარდინალმა ლორენსკიმ ათასი კრონი აჩუქა. ეს ამბავი ქალაქ წმ. ანჯელოს ზარბაზანმა მქუხარე გასროლით აღნიშნა. რეკდნენ სამრეკლოს ზარები; კოცონის ალმა ღამე დღედ აქცია; პაპი გრიგორი კარდინალთა და სხვა სასულიერო პირთა თანხლებით წმ. ლუდოვიკოს

ტაძარს ეწვია, სადაც ლორენსკი მლეროდა: "შენთვის, უფალო..." ამ სასაკლაოს უკვდავსაყოფად მედალიონი გამოუშვეს. ვატიკანში დღემდე შემონახულია ვაზარის სამი ფრესკა, რომელზედაც გამოსახულია ჰუგენოტ ადმირალზე თავდასხმა; მეფე თავისი მრჩევლებით, რომლებიც მომავალი სისხლისღვრის შესახებ თათბირობდნენ და თვით სასაკლაო. გრიგორიმ საფრანგეთის მეფეს "ოქროს ვარდი" გაუგზავნა, ხოლო ამ ხოცვა-ჟლეტის დღიდან ოთხი თვის შემდეგ ...იგი სიამოვნებით ისმენდა ფრანგი მღვდლის ქადაგებას... რომელიც იხსენებდა სიხარულისა და ბედნიერების იმ დღეს, როცა ამ სასიხარული ამბის მიღებით

გახარებული წმიდა მამა ტაძრისაკენ გაემართა, რათა სამადლობელი შეეწირა უფლისათვის და წმ. ლუდოვიკოსათვის".

სული, რომელიც ბართლომეს ღამის ხოცვა-ჟლეტას ხელმძღვანელობდა, რევოლუციის შთამაგონებელ ძალად იქცა. იესო ქრისტე თვითმარქვიად და თაღლითად იქნა გამოცხადებული, ხოლო ფრანგ ურწმუნოთა ლოზუნგად იქცა სიტყვები: "ძირს თაღლითი" (მხედველობაში ჰყავდათ ქრისტე). ხალხში საშინელმა ურჯულოებამ და საზიზღარმა უწმიდურებამ დაისადგურა. ყველაზე დაცემული ადამიანები და ყველაზე საზიზღარი ნაძირალები, ზნედაცემული და გარყვნილი ქუჩის მაწანწალები ამაღლებულ და

განდიდებულ იქნენ. და უმაღლესი პატივი მიაგეს სატანას იმ დროს, როცა ქრისტე - სრულყოფილი სიწმიდე, ჭეშმარიტება და უანგარო სიყვარულის განსახიერება - ჯვარცმული იქნა.

"უფსკრულიდან ამომავალი მხეცი შეებრძოლება, გაიმარჯვებს და დახოცავს მათ". ათეისტური ხელისუფლება, რომელიც საფრანგეთში რევოლუციისა და გაბატონებული ტერორის შედეგად დამყარდა, ღმერთისა და მისი სიტყვის წინააღმდეგ თავისი აშკარა ბრძოლით მსოფლიოს აოცებდა. ეროვნულმა კრებამ გააუქმა ღვთისმსახურება. ხალხისაგან ამოღებული ბიბლიის წიგნები შეაგროვეს და დაცინვითა და აბუჩად

აგდებით ცეცხლს მისცეს. ღმერთის კანონი შეურაცხყვეს. გააუქმეს ბიბლიური დადგენილებანიც. ყოველკვირეული დასვენების დღე გაუქმებულ იქნა, მის ნაცვლად კი დაწესდა ყოველი მეათე დღე, როგორც ღვთისმკრეხელობისა და ალვირახსნილობის დღე. ნათლობა და ზიარება აიკრძალა. სასაფლაოებზე გაჩნდა პლაკატები, რომელიც სიკვდილს საუკუნო ძილად აცხადებდა.

გავრცელდა აზრი, რომ ღვთის შიში - სისულელის დასაწყისია და არა სიბრძნისა. ყოველგვარი რელიგიური ცერემონიალი აკრძალულ იქნა, გარდა ქვეყნისა და თავისუფლების მიმართ სამსახურისა. "პარიზის ეპისკოპოსი იძულებული გახდა

მთავარი როლი ეთამაშა ამ უტიფარ კომედიაში, რომელიც მთელი ერის სახელით თამაშდებოდა... იგი მოიყვანეს კონვენტთა შეკრებაზე და აიძულეს, ყველას წინაშე ელიარებინა, რომ რელიგიას, რომელსაც იგი ამდენი წლის მანძილზე ემსახურებოდა, არავითარი საფუძველი არა აქვს არც ისტორიაში და არც წმიდა ჭეშმარიტებაში და რომ ეს მლვდლების გამოგონილი სიცრუეა. საზეიმოდ და მკაფიოდ უარყო მან ღმერთის არსებობა, რომელსაც წლების მანძილზე ემსახურებოდა და თავისუფლების, თანასწორუფლებიანობის, ზნეობისა და სიკეთის სამსახურისათვის მზადყოფნა გამოაცხადა. მან მაგიდაზე დააწყო ეპისკოპოსის

სამოსი, რის შემდეგაც კონვენტის თავმჯდომარე ძმურად გადაეხვია. ამ პრელატის მაგალითს კიდევ რამდენიმე მოღალატე ეპისკოპოსმა მიბაძა".

"დედამიწის ზურგზე მცხოვრებნი გაიხარებენ მათზე და იმხიარულებენ, და გაუგზავნიან ერთმანეთს საჩუქრებს, ვინაიდან ეს ორი წინასწარმეტყველი აწამებდა დედამიწის მკვიდრთ". ათეისტურმა საფრანგეთმა დაადუმა ღვთის ორი მოწმე, რომელნიც ამხილებდნენ მას. ჭეშმარიტების სიტყვა შებღალულ იქნა და ღმერთის კანონის ყოველი უარმყოფელი და მოძულე ზეიმობდა... ისინი აშკარად გამოთქვამდნენ უპატივცემულობას ღმერთის მიმართ და ძველი დროის

ცოდვილებივით ყვიროდნენ: "როგორ შეიტყობს ღმერთი? განა აქვს გაგება უზენაესს?" (ფს. 72:11).

ახალი ხელისუფლების ერთ-ერთმა ქურუმმა წარმოუდგენელი ღვთისმკრეხელური კადნიერებით განაცხადა: "ღმერთო, თუკი შენ მართლა არსებობ, შური იძიე შენი შეურაცხყოფისათვის! მე შენ გიწვევ! შენ დუმხარ? შენ ვერ ბედავ გრგვინვით და ქუხილით გამცე პასუხი?! ამის შემდეგ ვინღა ირწმუნებს შენს არსებობას?" განა ეს არ არის ფარაონის სიტყვების გამოძახილი: "ვინ არის უფალი, რომ მე ვუსმინო მას? მე არ ვიცნობ უფალს!"

"თქვა უგუნურმა თავის გულში: "არ არის ღმერთი". უფალი კი

ჭეშმარიტების მგმობელთა მიმართ აცხადებს: "მათი უგუნურება თავს იჩენს ყველას წინაშე" (ფს. 13:1; 2ტიმ. 3:9). სულ ცოტა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა უარყო ცოცხალი ღმერთი, "მართალი და ყველა ცოცხალზედ ამაღლებული საუკუნოდ" და კერპთაყვანისმცემლობის მორევში ჩაიძირა მთელი ქვეყანა, რომელიც ემსახურებოდა და თაყვანს სცემდა გონიერების ქალღმერთს ვიღაც გარყვნილი, როსკიპი ქალის სახით. და ყოველივე ამას მთელი ერის წინაშე ჩადიოდნენ წარჩინებულნი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელნი! ისტორიკოსი ამბობს: "იმ შეშლილი დროის ერთ-ერთმა ცერემონიამ ხომ ყველაფერს

გადააჭარბა თავისი უაზრობითა და ურჯულოებით. კონვენტის კარი საზეიმო პროცესიის დაწყებამდე გაიხსნა: მუნიციპალიტეტის წევრები მუსიკოსთა თანხლებით და თავისუფლების სადიდებელი ჰიმნის მლერით მიაბიჯებდნენ. შეკრებილთა შუაში იდგა ქალი, საფარველში გახვეული, მათი მომავალი ღმერთის სიმბოლო, რომელსაც ისინი გონიერების ქალღმერთს უწოდებდნენ. იგი კონვენტის წევრებს წარუდგინეს, საბურველი გადახადეს და თავმჯდომარის ხელმარჯვნივ დასვეს "და მასში ყველამ ამოიცნო ოპერის მოცეკვავე; და ამ ქალს, რომელიც საოცრად კარგად თამაშობდა იმ გონიერების ქალღმერთის როლს, რომელსაც

ისინი თაყვანს სცემდნენ, საფრანგეთის ეროვნულმა კონვეტმა სახალხოდ მიაგო პატივი".

ეს ულირსი და სასაცილო მასკარადი შემთხვევითი არ ყოფილა; გონიერების ქალღმერთის უზენაესობა დაკანონდა მთელ ქვეყანაში, სადაც ადამიანებს სურდათ ეჩვენებინათ, რომ მათ უკვე მიალწიეს "რევოლუციის უმაღლეს მწვერვალებს".

ორატორი, რომელიც მოუწოდებდა თაყვანი ეცათ გონიერებისათვის ამტკიცებდა: "კანონმდებელნო! ფანატიზმი შეცვალა ჯანსაღმა აზრმა, გაბინდულმა თვალებმა ვერ აიტანეს კაშკაშა ნათელი. დღეს უამრავი ხალხი შეიკრიბა ამ გოთური თაღის ქვეშ, სადაც პირველად წარმოითქვა

ჭეშმარიტება. აქ საფრანგეთი პირველად ალნიშნავს ერთადერთ ჭეშმარიტ მსახურებას - თავისუფლებისა და გონიერების წინაშე. დღეს ჩვენ იმედებს ვამყარებთ რესპუბლიკის იარალის ძალაზე. აქ ვტოვებთ უსულო კერპებს, რათა თაყვანი ვცეთ გონიერებას, ბუნების ამ სრულქმნილ, ცოცხალ სიმბოლოს".

როდესაც გონიერების ქალღმერთი კონვენტში შეიყვანეს, ორატორმა ხელი მოჰკიდა მას და კრებას მიმართა: "მოკვდავნო! ნუ კანკალებთ ღმერთის უძლური გრგვინვის წინაშე, რომლითაც თქვენ გაშინებდნენ. ამ წუთებიდან თქვენ არა გყავთ სხვა ღმერთი, გარდა გონიერებისა. მე წარმოგიდგენთ მის კეთილშობილ და

წმიდა სიმბოლოს; თუკი გსურთ კერპები, მიუტანეთ შესაწირავები მხოლოდ ამის მსგავსთ. თაყვანი ეცით თავისუფლებას. ო, თავისუფლების საბურველო!"

ამის შემდეგ, თავმჯდომარეს ჩახუტებული გონიერების ქალღმერთი მდიდრულად მორთულ ეკიპაჟში ჩაჯდა და ადამიანთა მრავალრიცხოვანი ბრბოს თანხლებით ნოტრ დამის ტაძრისკენ გაეშურა ღმერთის ადგილის დასაკავებლად. და იქ, საკურთხეველში, ღებულობდა თაყვანისცემას ყველა დამსწრესაგან".

ამას ბიბლიის სახალხოდ დაწვა მოჰყვა. ერთხელ მუზეუმის საზოგადოებრივი გაერთიანების წევრები მუნიციპალიტეტის

დარბაზში შევიდნენ შეძახილებით: "გაუმარჯოს გონიერებას!" მალალ კვარცხლბეკზე ნახევრად დამწვარი წიგნები მოჰქონდათ, სხვადასხვა საეკლესიო გამოცემებს შორის იყო ძველი და ახალი ალთქმა, რომელმაც, თავმჯდომარის თქმით, "დიდი ცეცხლით გამოისყიდა ის უგუნურებანი, რომლის ჩადენასაც იგი კაცობრიობას აიძულებდა".

ასე ჩაუყარა პაპიზმმა საფუძველი იმ საქმეს, რომელიც ათეიზმმა დაასრულა. რომის პოლიტიკამ შექმნა სოციალური, პილიტიკური და რელიგიური წინაპირობა საფრანგეთის დაცემისა. მწერლები, რომლებიც წერდნენ რევოლუციურ საშინელებათა შესახებ, ჩვეულებრივ, ამ ექსცესებში სახელმწიფოს და

ეკლესიას ადანაშაულებდნენ. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ამისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკლესიას ეკისრება. პაპის ხელისუფლებამ რეფორმაციისადმი უარყოფითად განაწყო მონარქები და მეფის ტახტის, სახელმწიფოს კეთილდღეობისა და მშვიდობის უბოროტეს მტრად წარმოადგინა იგი. სწორედ რომი უბიძგებდა მეფეებს უკიდურესი სისასტიკისა და ხალხის საშინელი შევიწროებისაკენ.

ბიბლიას მხოლოდ თავისუფლება მოჰქონდა. იქ, სადაც სახარებას ღებულობდნენ, ადამიანთა გონება იღვიძებდა. ისინი ამსხვრევდნენ თავიანთი მონური უმეცრების, მანკიერებისა და ცრუმორწმუნეობის

ბორკილებს და დამოუკიდებელ აზროვნებასა და მოქმედებას იწყებდნენ. ამის შემხედვარე მონარქები თავიანთი ძალაუფლების დაკარგვის შიშით კანკალებდნენ.

რომი აღარ აყოვნებდა მათ ცეცხლზე ნავთის დასხმას. 1525 წელს პაპმა საფრანგეთის რეგენტი შემდეგნაირად გააფრთხილა: "პროტესტანტიზმის ეს მანია მოსპობს და გაანადგურებს არა მარტო რელიგიას, არამედ თვით სახელმწიფოებს, თავადაზნაურობას, კანონებსა და მართლწესრიგს". რამდენიმე წლის შემდეგ პაპის დესპანი კვლავ აფრთხილებდა მეფეს: "თქვენო ბრწყინვალებავ, არ შეცდეთ! პროტესტანტები ერთნაირად ემუქრებიან როგორც სახელმწიფოს,

ისე საეკლესიო ხელისუფლებას... მეფის ტახტსაც ისეთივე საშიშროება ელის, როგორიც საკურთხეველს... ახალი რელიგიის შემოღება ახალი მმართველობის აუცილებლობას გამოიწვევს". ღვთისმეტყველნი სარგებლობდნენ ხალხის ცრუმორწმუნეობით და ცდილობდნენ მის დარწმუნებას, რომ "პროტესტანტული რელიგია ხალხს აცდუნებს თავისი სიახლითა და უგუნურებით; იწვევს მეფის ქვეშევრდომთა ღალატს და ანადგურებს როგორც ეკლესიას, ასევე სახელმწიფოს". სწორედ ასეთი მეთოდების გამოყენებით აამხედრა რომმა საფრანგეთი რეფორმაციის წინააღმდეგ. "საფრანგეთში პირველად გაშიშვლდა დევნის

მახვილი ტახტისა და დიდებულთა დასაცავად და კანონიერების შესანარჩუნებლად".

ამ ქვეყნის მმართველნი, ალბათ ვერც წარმოიდგენდნენ და ვერც განსაზღვრავდნენ ამ საბედისწერო, ბოროტი პოლიტიკის შედეგებს. ბიბლიის შესწავლა ადამიანთა გულში და შემეცნებაში სამართლიანობის, თავშეკავების, ჭეშმარიტების, თანასწორობისა და ქველმოქმედების პრინციპებს განამტკიცებდა, რაც ერის განვითარებისა და აყვავების ქვაკუთხედია. "სიმართლე აამაღლებს ადამიანებს", "რადგან ტახტი სიმართლით მტკიცდება", რაც "შეიქმს მშვიდობას და მყუდროებას... უკუნისამდე" (იგავ. 14:34; 16:12; ესაია

32:17). ვინც უფლის კანონს ემორჩილება, იგი, მით უმეტეს, პატივს სცემს თავისი ქვეყნის კანონებს. უფლის მოშიში პატივს მიაგებს მეფეს და მის ყველა სამართლიან და კანონიერ მოთხოვნას. მაგრამ უბედურმა საფრანგეთმა, სამწუხაროდ, აკრძალა ბიბლია და მისი ერთგულნი კანონგარეშედ გამოაცხადა. საუკუნეების განმავლობაში ეს პრინციპული და პატიოსანი, მახვილგონიერი და მალალი ზნეობის მატარებელი ადამიანები, რომელთაც საკმაო გაბედულება გააჩნდათ იმისათვის, რომ თავიანთი იდეები და რწმენა საჯაროდ ელიარებინათ, ჭეშმარიტებისათვის ეტანჯათ, საუკუნეების მანძილზე ისინი,

როგორც მონები, წელებზე ფეხს იდგამდნენ კატორღულ სამუშაოებზე, მოწამებრივი სიკვდილით კვდებოდნენ ან ცოცხლად ლპებოდნენ მიწისქვეშა საპყრობილეებში. ათასობით და ათიათასობით ადამიანი იძულებული იყო, გაქცევით ეშველა თავისთვის და ეს უბედურება რეფორმაციის დაწყებიდან 250 წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

"მთელი ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფრანგთა ერთ-ერთი თაობა ხომ მაინც გახდებოდა იმისი მოწმე, თუ რა სისასტიკით და შეუბრალებლობით იდევნებოდნენ სახარების მიმდევარნი. სამშობლოდან გაძევებულთ თან მიჰქონდათ ცოდნა, განათლება,

ხელოვნება, ოსტატობა და წესრიგი. ყოველივე ამით ისინი ამდიდრებდნენ იმ ქვეყანას, სადაც თავშესაფარს პოულობდნენ. თავიანთი ნიჭით ისინი ხელს უწყობდნენ სხვა, უცხო ქვეყნების აყვავებას, ხოლო მათი საკუთარი სამშობლო მწირი ხდებოდა. და ყველა ეს ნიჭიერი ადამიანი საფრანგეთში რომ დარჩენილიყო, ამ 300 წლის განმავლობაში დევნილთა ტალანტი რომ მშობლიურ მხარეს მოხმარებოდა; ქვეყანას მათი მხატვრული ნიჭი, ხელოვნების გენია და გონების ძალა საკუთარი ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარებისათვის რომ გამოეყენებინა და თავიანთი სიბრძნით ხელისუფლებას

დახმარებოდნენ, თავიანთი სიმამაცით კი - სარდლებს, და მათი სამართლიანი მსჯელობების ნიადაგზე კანონები რომ გამოცემულიყო, ბიბლიურ რელიგიას კი განემტკიცებინა გონებრივი ძალები და იგი მათი სინდისის გამგებელი გამხდარიყო, დიდების რა უმალლეს მწვერვალს მიალწევდა საფრანგეთი! დიდებული, აყვავებული, ბედნიერი ქვეყანა - რა შესანიშნავი მაგალითი შეიძლებოდა გამხდარიყო მსოფლიოს ყველა ხალხებისათვის!"

"მაგრამ ბრმა და შეუწყალებელმა ფანატიზმმა ქვეყნიდან განდევნა ყველა კეთილი მოძღვარი, წესრიგის მომხრე და ტახტის პატიოსანი დამცველი. მათ, ვისაც თავისი

ქვეყნისათვის სიკეთე და დიდება სურდათ, მიეცათ არჩევანის საშუალება: "აირჩიეთ, რა გსურთ: კოცონი თუ გადასახლება". და სახელმწიფო საბოლოოდ დაინგრა. სინდისი ალარ იდევნებოდა, რადგან იგი ალარ იყო ხალხში; რელიგიური იდეებისათვის კოცონზე ალარ წვავდნენ, რადგან რელიგია უკვე ალარ არსებობდა; გადასახლებით ალარავის ემუქრებოდნენ, რადგან ალარ არსებობდნენ პატრიოტები". ამ საშინელი პოლიტიკის დამაგვირგვინებელი შედეგი იყო რევოლუცია მთელი თავისი დამანგრეველი საშინელებებით.

"ჰუგენოტთა საფრანგეთიდან გაძევების შედეგად ქვეყანაში ყოვლისმომცველი კრიზისი დაიწყო.

დაჭკნა აყვავებული ქალაქები, უდაბნოდ იქცა ნაყოფიერი მიწები, განვითარების არნახული წარმატებები ინტელექტუალურმა უძრაობამ და ზნეობრივმა გახრწნილებამ შეცვალა. პარიზი დავრდომილთა უზარმაზარ თავშესაფრად იქცა და როგორც შემდგომ დაითვალეს, რევოლუციის შემდეგ, პირველსავე დღეებში, 200 ათასი მათხოვარი ქუჩაში გამოვიდა მეფის მოწყალების მოლოდინში. მხოლოდ იეზუიტები ნეტარებდნენ ამ გაძარცვულ ქვეყანაში და თავიანთი უფლებამოსილებით გაუგონარ სისასტიკეს იჩენდნენ ეკლესიების, სკოლების, ციხეებისა და გამოსასწორებელი სახლების მიმართ".

სახარების მეშვეობით საფრანგეთში შეიძლებოდა იმ პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემათა გადაჭრა, რომლებმაც საგონებელში და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო სამღვდელოება, მეფე და კანონმდებლობა, რომელთაც საბოლოო ჯამში ერი ანარქიამდე და დალუპვამდე მიიყვანეს. მაგრამ რომის ზეგავლენით, ხალხმა ვერ შეიმეცნა მაცხოვრის ძვირფასი რჩევა-დარიგებანი უანგარო სიყვარულისა და თავგანწირვის შესახებ. ადამიანები ძალზე შორს იყვნენ იმისგან, რომ სხვების კეთილდღეობისათვის მსხვერპლი გაელოთ. მდიდართ არავინ ამხელდა ღარიბთა შევიწროებისათვის, ხოლო

მონურ მდგომარეობაში მყოფ დამცირებულ ლატაკთ ალარავინ უწვდიდა დახმარების ხელს. სიმდიდრისა და ძალაუფლების ეგოიზმი სულ უფრო საგრძნობი და დესპოტური ხდებოდა. საუკუნეთა განმავლობაში დიდგვაროვანთა სიხარბე და გამფლანგველობა მძიმე ტვირთად აწვებოდა ღარიბ-ღატაკთ. მდიდრები ატყუებდნენ ღარიბებს, ღარიბებს კი სძულდათ მდიდრები.

მრავალ პროვინციაში ადგილ-მამულები დიდგვაროვანთ ეკუთვნოდა, მშრომელები კი მხოლოდ არენდატორები იყვნენ. მათი ცხოვრება დამოკიდებული იყო პატრონთა მოწყალებაზე და ისინიც იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ მათ უსამართლო

მოთხოვნებს. ეკლესიისა და სახელმწიფოს შენახვის სიმძიმე საზოგადოების საშუალო და დაბალ ფენას აწვებოდა მხრებზე, რომელთაც დიდ გადასახადებს აკისრებდა როგორც სახელმწიფო, ასევე საეკლესიო ხელისუფლება. "წარჩინებულთა სურვილი უმაღლეს კანონს წარმოადგენდა", გლეხი, შესაძლოა, შიმშილით მომკვდარიყო, მაგრამ მათ ბატონებს სრულებითაც არ ენალვლებოდათ ეს. ხალხს ყველაფერში მიწის მფლობელთათვის უნდა გაეწია ანგარიში. გლეხთა ცხოვრება - ეს იყო გამუდმებული შრომა და უიმედო გაჭირვება. ყველა მათ საჩივარს (თუკი ვინმე ჩივილს გაბედავდა), ამპარტავნული სიძულვილით

უარყოფდნენ. სასამართლო ყოველთვის იცავდა მდიდარს და არა ღარიბს. მოსამართლეები იღებდნენ ქრთამს და არისტოკრატთა ყოველგვარი ახირებული სურვილი კანონის სახეს ღებულობდა ამ საყოველთაო გახრწნილების მორევში. გადასახადის ნახევარიც კი, რომელსაც მთავრები და სასულიერო პირები უბრალო ხალხს ახდევინებდნენ, საეკლესიო და სამეფო ხაზინაში კი არ შედიოდა, არამედ მდიდართა დროსტარებას ხმარდებოდა. მოყვასთა ურიცხვი მძარცველნი თავად არავითარ გადასახადს არ იხდიდნენ და უფლება ჰქონდათ, წესისა და კანონის მიხედვით, - სახელმწიფოში ნებისმიერი თანამდებობა

დაეკავებინათ. პრივილეგირებული ფენა დაახლოებით 150 ათას კაცს ითვლიდა და მათი სურვილის დასაკმაყოფილებლად მილიონობით ადამიანი განწირული იყო ბეჩავი და ლატაკი არსებობისათვის.

სამეფო კარი ფუფუნებასა და გარყვნილებაში ცხოვრობდა. მმართველებსა და მოსახლეობას შორის არავითარი ნდობა არ არსებობდა. უმაღლესი ხელისუფლების მიერ ყოველ გადადგმულ ნაბიჯს ხალხი მზაკვრობად და ანგარებად ალიქვამდა. რევოლუციის წინა პერიოდში, 50 წლის განმავლობაში ტახტზე იჯდა ლუდოვიკო რომელიც ამ ავისმომტან პერიოდშიც კი ცნობილი იყო თავისი

არასერიოზულობით, უსაქმურობითა და გარყვნილებით. გახრწნილი და სასტიკი არისტოკრატია, გაძარცული, გაუნათლებელი ბრბო, ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილი სახელმწიფო, სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხი... არ არის აუცილებელი, იყო წინასწარმეტყველი, რომ ნათლად დაინახო კვანძის მოახლოებული გახსნა. მრჩეველთა ყოველ გაფრთხილებაზე მეფე პასუხობდა: "ეცადეთ, რომ ჩემს სიცოცხლეში ყველაფერი ძველებურად დარჩეს, ჩემი სიკვდილის შემდეგ კი მოხდეს, რაც მოსახდენია". მეფე ყურად არ იღებდა არანაირ რჩევასა და საუბრებს რეფორმების გატარების შესახებ. იგი ხედავდა ბოროტებას, მაგრამ არც ძალა გააჩნდა და არც

გაბედულება, წინ აღდგომოდა მას. მისი არასერიოზული და ეგოისტური პასუხი "ჩემს შემდეგ თუნდაც წყალს წაულია ყველაფერი", მშვენივრად განსაზღვრავდა საფრანგეთის მომავალს.

აჩალებდა რა შურსა და ეჭვს მეფეებსა და მმართველ წრეებში, რომი ხელს უწყობდა მათ, მონობაში ჰყოლოდათ ხალხი, რადგან კარგად იცოდა, რომ ეს სახელმწიფოს დაასუსტებდა და მაშინ მმართველნიც და ხალხიც მისი მონები გახდებოდნენ. რომის შორსმჭვრეტელ სამღვდელოებას კარგად ესმოდა, რომ ადამიანთა დასამონებლად მათი სულების დამონებაა საჭირო, ხოლო მათზე სამუდამო ბატონობის საუკეთესო

გზაა - უუნარონი გამხდარიყვნენ თავისუფლების გამოყენებაში. ზნეობრივი გარყვნილება - რომის პოლიტიკის შედეგი - ფიზიკურ ტანჯვაზე ბევრად უფრო მძიმე იყო. ბიბლიის გარეშე დარჩენილი, ფანატიზმის ტყვეობაში მყოფი ხალხი უმეცრების, ცრურწმენის, მანკიერების მორევში იძირებოდა და თვითმმართველობისათვის სრულიად უძლური აღმოჩნდა.

მაგრამ თავისი მოღვაწეობის შედეგებმა რომს იმედები არ გაუმართლა. სურდა რა ხალხი თავისი დოგმების ბრმა მორჩილებაში ჰყოლოდა, რომმა მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ადამიანებს საერთოდ წაართვა რწმენა და რევოლუციონერებად აქცია. მათ

შეიძულეს კათოლიციზმი, რადგან მას სამლვდელოების ინტრიგებთან აიგივებდნენ, რასაც თავისი ჩაგრული მდგომარეობის მიზეზად თვლიდნენ. ერთადერთი ღმერთი, რომელსაც ისინი სცნობდნენ, რომის ღმერთი იყო და ერთადერთი რელიგია - რომის ეკლესიის მოძღვრება. რომის სიხარბეს და სისასტიკეს ბიბლიური მოძღვრების კანონიერ ნაყოფად მიიჩნევდნენ და ამიტომ უარყვეს იგი.

რომმა ხალხს ღმერთის ხასიათი არასწორად წარმოუდგინა და დაამახინჯა მისი მოთხოვნები, რის შედეგადაც ხალხმა ბიბლიაც უარყო და მისი ავტორიც. რომი მოითხოვდა თავისი დოგმების მიმართ ბრმა რწმენას და ამტკიცებდა, რომ ასე ასწავლის წმიდა წერილი. ამის

საპასუხოდ ვოლტერმა და მისმა მომხრეებმა უარყვეს ბიბლია და ყველგან უნდობლობისა და ურწმუნოების შხამი გაავრცელეს. რომმა თავისი რკინის ქუსლით მიწას მიასრისა ხალხი და ახლა, დამცირებულმა და გაველურებულმა ადამიანებმა საერთოდ ზურგი აქციეს მას და მონობის ყველა ბორკილი დაამსხვრიეს. ამდენი სიცრუითა და მზაკვრობით გაბოროტებულმა ხალხმა სიცრუესთან ერთად ჭეშმარიტებაც უარყო, და მიიჩნია რა გარყვნილება თავისუფლებად, ამ მანკიერების მონები ხარობდნენ ასეთი ცრუ თავისუფლებით.

უშუალოდ რევოლუციის წინა პერიოდში, მეფის დათმობების წყალობით, უბრალო ხალხმა

პარლამენტში უფრო მეტი ადგილი მიიღო, ვიდრე მთავრებმა და სამღვდელოებამ, ერთად აღებულმა. ამგვარად, მათ ხელში კი აღმოჩნდა ძალაუფლება, მაგრამ მზად არ იყვნენ, ის ბრძნულად და გონივრულად გამოეყენებინათ. ცდილობდნენ შეეცვალათ არა ის, რასაც ამდენი უბედურება მოჰქონდა მათთვის, არამედ საზოგადოების გარდაქმნა იწყეს. ხალხმა მრისხანება თავისი დაუსრულებელი დამცირებისათვის თავს დაატეხა იმათ, ვისაც იგი საკუთარი ტანჯვის მიზეზად თვლიდა. ტირანიის გაკვეთილებს უკვალოდ არ ჩაუვლია: ადრინდელმა მონებმა დღეს თავიანთი ბატონების შევიწროება დაიწყეს.

გაუბედურებული და სისხლდაცლილი საფრანგეთი იმას იმკიდა, რაც დათესა. რა საშინელი შედეგი მოუტანა მას რომის წინაშე მორჩილებამ! და იმ ადგილას, სადაც საფრანგეთმა რეფორმაციის პირველ დღეებში კათოლიკე მღვდელთა კარნახით "ერეტიკოსისათვის" პირველი კოცონი დაანთო, რევოლუციამ თავისი პირველი გილიოტინა ალმართა. სწორედ იმ ადგილას, სადაც საუკუნეში XVI კოცონზე დაწვეს პირველი მოწამე-პროტესტანტები, ორი საუკუნის შემდეგ გილიოტინაზე აიყვანეს რევოლუციის პირველი მსხვერპლი. უარყო რა სახარება, რომელიც მას განკურნებას მოუტანდა, საფრანგეთმა კარი გაუხსნა

ურჯულოებასა და ნგრევას. როდესაც სრულად იქნა უარყოფილი უფლის კანონის მოთხოვნები, ნათელი გახდა ადამიანური კანონის უძლურება მათი ვნებების შესაოკებლად და ხალხი ანარქიამ და ქაოსმა მოიცვა. ბიბლიის წინაალმდეგ ომის გამოცხადებამ მსოფლიო ისტორიაში ახალი ფურცელი შეიტანა, რომელიც "ტერორის ბატონობის" სახელწოდებით არის ცნობილი. მშვიდობამ და ბედნიერებამ მიატოვა ადამიანთა გულები და სახლები; არავინ იცოდა, რას მოუტანდა მათ ხვალინდელი დღე. დღეს მოზეიმე, ხვალ შესაძლოა, ეჭვმიტანილთა და მსავრდადებულთა სიაში მოხვედრილიყო. ირგვლივ ძალადობა და გარყვნილება ბატონობდა.

მეფე, სამღვდელოება და სამეფო კარი იძულებული გახდნენ, გონებადაბნელებული ხალხის დესპოტიზმს დამორჩილებოდნენ. მეფის დასჯამ კიდევ უფრო გაალვივა შურისძიების ცეცხლი და ისინი, ვინც მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, მალე თავად ავიდნენ ეშაფოტზე. "სიკვდილი!"- ეს განაჩენი ელოდა რევოლუციისადმი მტრულ დამოკიდებულებაში ყველა ეჭვმიტანილს. ციხეები გადატვირთული იყო. იმ პერიოდში საპყრობილეებში ერთდროულად 200 ათასი პატიმარი იმყოფებოდა. ქალაქში შემაძრწუნებელი ამბები ხდებოდა. თვით რევოლუციონერთა შორის მწვავე ბრძოლები იყო გაჩაღებული და საფრანგეთი

ადამიანთა ვნებების დასაკმაყოფილებლად აღძრული ომების უზარმაზარ კერად იქცა; "პარიზში აჯანყებას აჯანყება მოსდევდა, მოსახლეობა პარტიებად დაიყო, რომელნიც თითქოსდა, მხოლოდ ერთმანეთის განადგურებას ცდილობდნენ". ამ საყოველთაო ნგრევას ისიც დაემატა, რომ საფრანგეთი ჩათრეულ იქნა ხანგრძლივ და გამანადგურებელ ომებში ევროპის ძლიერ სახელმწიფოებთან. "ქვეყანა სრულ განადგურებამდე მივიდა. არმია ფულს ითხოვდა, პარიზში ხალხი შიმშილით იხოცებოდა; ყაჩაღთა ბანდები ძარცვავდნენ პროვინციებს და ცივილიზაცია თითქმის სრულად

დალუპა ანარქიამ და ალვირახსნილობამ".

დიახ, ხალხმა კარგად აითვისა სისასტიკის მაგალითები, რომელთაც ასე გულმოდგინედ იძლეოდა რომი. და აი, დადგა შურისგების დღე. ახლა იესო ქრისტეს მოწაფეები ალარ ადიოდნენ ეშაფოტზე და ალარც ციხეებს ავსებდნენ; ისინი ან დიდი ხანია დაილუპნენ, ან გადასახლებაში იმყოფებოდნენ. შეუბრალებელმა რომმა ახლა იგრძნო მათი სასიკვდილო ძალა, ვისაც თავად წვრთნიდა სისხლისღვრაში. "საშინელი დევნა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ფრანგი სამღვდელოების ძირითად ინსტრუმენტად ითვლებოდა, უჩვეულო, წარმოუდგენელი

მძვინვარებით დაუბრუნდა მას. ეშაფოტები მღვდელთა სისხლში იძირებოდა. გალერები და ციხეები, რომლებიც ერთ დროს ჰუგენოტებით იყო სავსე, ახლა მათ მდევნელთა სამყოფელი გახდა. სკამზე ან ნიჩბებზე მიბმული კათოლიკე მღვდლები ისეთივე ტანჯვასა და წამებას განიცდიდნენ, როგორც ერთ დროს მათ მიერ დევნილი მორჩილი ერეტიკოსები".

დადგა დრო, როდესაც ბარბაროსულმა მართლმსაჯულებამ ბარბაროსული კანონები შემოიღო, რომელთა თანახმადაც ადამიანს არათუ ლოცვა ეკრძალებოდა თავის მეგობართან და ნაცნობთან ერთად, არამედ მისალმებაც კი. კაცი გონს მოსვლას ვერ ასწრებდა, რომ მისი

სასიკვდილო განაჩენი უკვე გამოტანილი იყო. დადგა დრო, როდესაც ადამიანები ყოველ ნაბიჯზე ღალატობდნენ ერთმანეთს; დილიდანვე შეუჩერებლივ მუშაობდა გილიოტინა. ციხეები მონათმფლობელთა გემების ტრიუმებს ემსგავსებოდა და წყალსადენი მილებით სენაში ქაფმოგდებული სისხლი ჩადიოდა... პარიზის ქუჩებში ყოველდღიურად ჩამწკრივებული იყო სასიკვდილოდ განწირული ადამიანებით სავსე ფურგონების გრძელი რიგი. უმაღლესი კომიტეტიდან დეპარტამენტში გამოგზავნილი პროკონსულები ისეთი აუწერელი სისასტიკით მოქმედებდნენ, რომ პარიზიც კი გააოცეს. გილიოტინის

მჭრელი დანა თავის საქმეს ნელა აკეთებდა და ბევრ ტყვეს ტყვიით ულებდნენ ბოლოს. პატიმრებით დატვირთული ბარჟების ფსკერზე სპეციალურად აკეთებდნენ ნახვრეტებს. ქალაქი ლიონი უდაბნოდ იქცა. არესში პატიმრებს უარი განუცხადეს ისეთ პრივილეგიებზეც კი, როგორიცაა სწრაფი სიკვდილი. სომურიდან ზღვამდე მდინარე ლაურა სავსე იყო ერთმანეთში საშინლად ჩახვეული და გადახლართული გვამებით, რომელთაც თავს ყვავ-ყორნების გუნდები დასტრიალებდა. შეწყალება არ ჰქონდათ არც ქალებს, არც ბავშვებს. ათასობით ახალგაზრდა ქალი და ქალიშვილი დაიღუპა ამ საშინელი, არაადამიანური რეჟიმის

მიერ. დედის მკერდს აგლეჯილ ძუძუმწოვარა ბავშვებს იაკობინელები ხიშტიდან ხიშტზე ისროდნენ მთელ მწყობრში. რალაც ათი წლის განმავლობაში უამრავი ადამიანი დაილუპა.

ყველაფერი ისე აღსრულდა, როგორც სატანამ ჩაიფიქრა. ამის მიღწევას იგი მთელი საუკუნეების განმავლობაში ლამობდა. მისი პოლიტიკა - თავიდან ბოლომდე სიცრუეა. მისი მუდმივი მიზანია ხალხისათვის ტანჯვისა და უბედურების მოტანა; უფლის შემოქმედების ნაყოფის გახრწნა, ღვთიური კეთილი ნებისა და სიყვარულის დამახინჯება, და ამით მთელი ზეცისთვის მწუხარების მიყენება. სატანა მეტად ოსტატურად

აბრმავებს ადამიანებს, როცა ყველაფერში ღმერთს ადანაშაულებს და არწმუნებს მათ, რომ ყველა უბედურება დედამიწაზე უფლის გეგმის შედეგია. და როდესაც გარყვნილი და გამხეცებული ადამიანები საბოლოოდ თავისუფლდებიან ღმერთისაგან, სატანა უკიდურესი სისასტიკისაკენ უბიძგებს მათ, შემდეგ კი ალვირახსნილი მანკიერება ტირანთა და დიქტატორთა მიერ ცხადდება, როგორც თავისუფლების შედეგი.

როდესაც ერთ რომელიღაც სამოსელში გახვეული სიცრუე გამომჟღავნდება, სატანა მას სხვა სამოსში ახვევს და ადამიანიც ისეთივე სიამოვნებით ღებულობს მას, როგორც პირველს. როდესაც

ხალხი მიხვდა, რომ პაპიზმი-სიცრუეა და სატანამ ველარ აიძულა იგი, ამ გზით დაერღვია უფლის კანონი, მან სხვა ხერხი იხმარა: ადამიანებს რელიგია სიცრუედ წარმოუდგინა, ბიბლია კი-ზღაპრად. უარყვეს რა უფლის დადგენილებანი, ადამიანები უსასრულო უწმიდურებაში ჩაიძირნენ.

საბედისწერო შეცდომა, რომელმაც ამდენი ტანჯვა მიაყენა საფრანგეთს, მდგომარეობს იმ უდიდესი ჭეშმარიტების უარყოფაში, რომ ნამდვილი თავისუფლება მხოლოდ ღმერთის კანონის აღსრულებაშია. "ნეტავი ყურად გელო ჩემი მცნებები! მაშინ მდინარესავით იქნებოდა შენი სიმრთელე და ზღვის ტალღებივით - შენი სიმართლე". "არ არის მშვიდობა

ბოროტეულთათვის, - ამბობს უფალი". "ჩემი გამგონე უდარდელად იცხოვრებს და მშვიდად, ბოროტის შიში არ ექნება" (ეს. 48:18,22; იგავ.1:33).

ათეისტები, სკეპტიკოსები და ურჯულოები უარყოფენ ღვთის კანონს და იბრძვიან მის წინაალმდეგ; მაგრამ ყოველივე ამის შედეგი საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს, რომ ადამიანის კეთილდღეობა - ღვთიურ მცნებათა მორჩილებაშია. ვისაც უფლის წიგნის მიხედვით ცხოვრება არ სურს, მას შეუძლია კარგი გაკვეთილი ჰპოვოს ხალხთა ისტორიაში.

სატანამ კათოლიკური ეკლესიის მეშვეობით ხალხი აიძულა, მიეტოვებინა უფლის გზა, თუმცა გულმოდგინედ მალავდა თავის

ჭეშმარიტ მიზანს. მისი მცდელობა ისე კარგად იყო შენიღბული, რომ ხალხი ზნეობრივი დაცემისა და გახრწნილების მთავარ მიზეზად კანონის დარღვევას არ მიიჩნევდა. ღვთის სული ეწინააღმდეგებოდა სატანას და ამიტომ მან თავისი განზრახვის მთლიანად სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო. მაგრამ რევოლუციის შედეგად, უფლის კანონი სახალხოდ იქნა აკრძალული ქვეყნის ეროვნული საბჭოს მიერ და ტერორის წლებში მიზეზი და შედეგი ყველასათვის აშკარა გახდა.

როდესაც საფრანგეთმა სახალხოდ უარყო ღმერთი და ბიბლია, ბნელი ძალები და უწმიდური სულები ზეიმობდნენ, რადგანაც მიაღწიეს სასურველ მიზანს - მთელი ქვეყანა

გათავისუფლდა ღვთის კანონის მოთხოვნებისაგან. "რაკი სწრაფვადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომ ბედავს კაცი ბოროტების ჩადენას" (ეკლ. 8:11). მაგრამ სამართლიანი და წმიდა კანონის დარღვევას აუცილებლად მოჰყვება უბედურება და ნგრევა. თუმცა, ადამიანთა უბედურება მომენტალურად არ იქნა დასჯილი, ისინი მაინც უკვე დალუპვის უფსკრულისკენ მიექანებოდნენ. საუკუნეთა მანძილზე უდიდესმა განდგომილებამ და დანაშაულმა აავსო შურისგების თასი და ბოლოს, ღმერთისგან განდგომილებმა კარგად დაინახეს, თუ რარიგ საშიშია ღვთის მოთმინების გამოცდა. ბნელი ძალების შემკავებელი ღვთის სული

უკვე ალარ ეწინაალმდეგებოდა სატანის დანაშაულებრივ ძალაუფლებას და მან, ვისაც ადამიანთა ტანჯვა ყოველთვის დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდა, მოქმედების თავისუფლება მიიღო. ცოდვის მსახურებმა მოიმკეს ის, რაც დათესეს, სანამ მთელი ქვეყანა საშინელმა, ენით აუწერელმა დანაშაულმა არ წალეკა. დანგრეული, მიწასთან გასწორებული პროვინციებისა და ქალაქების მცხოვრებთა სასოწარკვეთილებითა და ენით გამოუთქმელი მწუხარებით ალსავსე შეძახილები და კვნესა ზეცას სწვდებოდა. საფრანგეთი თითქოს უდიდესმა მიწისძვრამ შეაზანზარა. რელიგია, მცნებები, საზოგადოებრივი კანონები, ოჯახი,

სახელმწიფო, ეკლესია - ყველაფერი ალიგავა უწმიდური ხელით, რომელმაც გათელა უზენაესის კანონი. ჭეშმარიტებას ამბობდა ბრძენი: "უკეთური თავისი უკეთურებით დაეცემა". "ცოდვილმა კაცმა ასჯერაც რომ ჩაიდინოს ბოროტი საქმე, მიეტევება; მე ისიც ვიცი, რომ მიეგებათ მადლი ღვთისმოსავთ, რომელთაც ეშინიათ ღვთისა; არ მიეგებათ მადლი ბოროტეულთ" (იგავ.11:5; ეკლ.8:12,13). რადგან "არ ისურვეს ჩემი რჩევები და შეიძულეს ყველა ჩემი დარიგება, იგემებენ ნაყოფებს მათი საქციელისამებრ და თავიანთი ავი ზრახვებით გაძღებიან" (იგავ.1:30,31).

"უფსკრულიდან ამოსულ" ბნელ ძალთა მიერ დამარცხებული უფლის

ერთგული მოწმენი დიდხანს როდი დუმდნენ. "სამნახევარი დღის შემდეგ კი შევიდა მათში სიცოცხლის სული ღვთისაგან და ფეხზე დადგნენ; დიდი შიში დაეცა ყველას, ვინც მათ უყურებდა" (გამოცხ. 11:11). 1793 წელს საფრანგეთის ეროვნული კრების მიერ მიღებულ იქნა დეკრეტი, რომელიც კრძალავდა ქრისტიანულ რელიგიას და ბიბლიას. მაგრამ სამნახევარი წლის შემდეგ იმავე კრებამ დაუბრუნა თავისუფლება ღვთის სიტყვას. მთელმა მსოფლიომ დაინახა წმიდა წერილის უარყოფის საშინელი შედეგი და ხალხმაც ალიარა უზენაესისადმი რწმენა და აუცილებლობა მისი სიტყვისა, როგორც ზნეობისა და სათნოების საფუძველისა. უფალი ამბობს: "ვის

ლანძღავდი, ვის აგინებდი? ვისზე ალიმაღლე ხმა და ვისზე შემართე მედიდურად თვალი? ისრაელის წმიდაზე! (ეს. 37:23). "ამიტომ, აჰა, ჭკუას ვასწავლი მათ ამჯერად: დავანახვებ ჩემს მკლავსა და ძლიერებას, და ეცოდინებათ, რომ უფალია ჩემი სახელი" (იერ. 16:21).

ორი მოწმის შესახებ წინასწარმეტყველი ამბობს: "იყო დიდი ხმა ციდან, რომელმაც უთხრა მათ: "ამოდით აქ". ისინი ღრუბლით ავიდნენ ზეცას, და მათმა მტრებმა დაინახეს ისინი" (გამოცხ.11:12). საფრანგეთმა ომი გამოუცხადა უფლის ორ მოწმეს, მაგრამ ისინი განდიდებულ იქნენ ისე, როგორც არასდროს. 1804 წელს დაარსდა ბრიტანეთისა და საზღვარგარეთის

ქვეყნების ბიბლიური საზოგადოება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ასეთივე საზოგადოებებისა და მათი ფილიალების მთელ ევროპაში დაარსებას. 1816 წელი-ამერიკის ბიბლიური საზოგადოების დაარსების თარიღია. ბრიტანეთის საზოგადოების დაარსებისას ბიბლია გამოცემული და გავრცელებული იქნა 50 ენაზე. მას შემდეგ იგი მსოფლიოს ასობით ენაზე და დიალექტზე ითარგმნა.

1792 წლამდე, 50 წლის განმავლობაში - მეტად მცირე ყურადღება ექცეოდა უცხოეთის მისიებს. არ დაარსებულა არც ერთი ახალი საზოგადოება და წარმართთა ქვეყნებში ქრისტიანობის გასავრცელებლად მხოლოდ სულ

რამდენიმე ეკლესია მოქმედებდა აქა-იქ. მაგრამ საუკუნის მიწურულს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. რაციონალიზმი უკვე აღარ აკმაყოფილებდა ხალხს, ისინი გრძნობდნენ ღვთიური გამოცხადების პრაქტიკული, ცოცხალი რელიგიის აუცილებლობას. ამ დროიდან უცხოეთის მისიათა მოღვაწეობამ არნახულ სიმაღლეებს მიაღწია.

ბეჭდვითი საქმის განვითარებამ ნაყოფიერად იმოქმედა ბიბლიის გავრცელებაზე. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საშუალებათა გაუმჯობესებამ, ადრინდელი ცრუმორწმუნეობისა და ნაციონალიზმის გადალახვამ, რომის პაპის სახელმწიფოზე ზეგავლენის დაკარგვამ გზა გაუხსნა ღვთის

სიტყვას. ახლა უკვე ბიბლია თავისუფლად იყიდებოდა რომის ქუჩებში; მან დედამიწის ყველა კუთხეში შეაღწია.

ურწმუნო ვოლტერმა ერთხელ ტრაბახით განაცხადა: "მე დავიღალე ხალხის მოსმენით, რომელიც ამტკიცებს, რომ 12 ადამიანმა დააარსა ქრისტიანული რელიგია. მე დავამტკიცებ, რომ ერთი ადამიანიც საკმარისია მის მოსასპობად". მისი სიკვდილის დღიდან მრავალი წელი გავიდა... მილიონობით ადამიანი შეუერთდა ბიბლიის წინააღმდეგ მებრძოლთ, მაგრამ რა უძლეველია ეს წიგნი, მისი მოსპობა შეუძლებელია! თუკი ვოლტერის პერიოდში ბიბლიის ასამდე ეგპემპლარი არსებობდა, ახლა მისი რიცხვი ასობით ათასს

ალემატება. ერთ-ერთმა პირველმა რეფორმატორმა ქრისტიანული ეკლესიის შესახებ თქვა: "ბიბლია - ეს არის გრდემლი, რომელზედაც ბევრი ჩაქუჩი გაიცვითა". უფალი ამბობს: "ყოველი იარაღი, შენს წინააღმდეგ გამოჭედილი, გაცუდდება და ყოველ ენას, შენ წინააღმდეგ აღმდგარს სამსჯავროზე, გაამტყუნებ" (ეს. 54:17).

"ჩვენი ღვთის სიტყვა დგას საუკუნოდ". "მის ხელთა საქმენი - ჭეშმარიტება და სამართალია, სარწმუნოა ყველა მცნება მისი" (ეს. 40:8; ფს.110:7). ყველაფერი, რაც ადამიანურ ავტორიტეტზეა აგებული, დაინგრევა. მაგრამ ის, რაც ღვთის უცვლელი სიტყვის კლდეზე შენდება, მარად იცოცხლებს.

თავი 16 პირველი პროტესტანტები ამერიკაში

ინგლისელმა რეფორმატორებმა თუმცა კათოლიკური რელიგია უარყვეს, იმავე დროს მისი ბევრი ფორმა შეინარჩუნეს. მართალია ძირითადში უარს ამბობდნენ პაპის რელიგიის ავტორიტეტზე და რწმენის სიმბოლოზე, მაინც ბევრი მისი რიტუალი და ადათ-წესი შევიდა ანგლიკანურ ღვთისმსახურებაში.

ისინი აცხადებდნენ, რომ ეს ტრადიციები არ წარმოადგენს სინდისის საკითხს და თუმცა წმიდა წერილში ისინი არაა ნახსენები, მაშასადამე არც არსებითია, მაგრამ აკრძალულიც არ არის და არც ვნება მოაქვთ. მიიჩნევდნენ, რომ მათ დაცვას შეიძლებოდა რეფორმირებულ ეკლესიათა და რომს შორის გაყოფით წარმოშობილი უფსკრული ამოევსო და კათოლიკეებისთვის ხელი შეეწყო პროტესტანტული რწმენის მიღებაში.

კონსერვატორები და კომპრომისის მომხრეები ამ მტკიცებებს სავსებით ლოგიკურად თვლიდნენ, მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომელნიც სხვაგვარად მსჯელობდნენ. ის ფაქტი, რომ ეს რიტუალები "ხიდს დებდა

რომსა და რეფორმაციას შორის", მათი აზრით, ყველაზე დიდი არგუმენტი იყო მათი დაცვის წინაალმდეგ. მათში ისინი ხედავდნენ სიმბოლოს მონობისა, რომლისგანაც უკვე გათავისუფლდნენ და არ სურდათ კვლავ ამ უღელში შებმა. ისინი მიუთითებდნენ, რომ ღვთისმსახურების პრინციპი უფალმა თავის სიტყვაში მოგვცა და ადამიანებმა მას არც უნდა დაუმატონ რაიმე, არც უნდა დააკლონ. უდიდესი განდგომილება სწორედ იმით დაიწყო, რომ უფლის ავტორიტეტი ეკლესიის ავტორიტეტით შეივსო. თავდაპირველად რომმა აკრძალა ის, რაც ღმერთს არ აუკრძალავს, საბოლოო ჯამში კი აკრძალა ის, რაც უფალმა დაადგინა.

ადრეული ქრისტიანული რელიგიის სიწმიდისა და უბრალოების დაბრუნება ბევრს გულწრფელად სურდა. ანგლიკანური ეკლესიის ცერემონიებში კერპთაყვანისმცემლურ გადმონაშთებს ხედავდნენ და სინდისი არ აძლევდა ამგვარ ცერემონიებში მონაწილეობის მიღების ნებას. მაგრამ ეკლესია, სარგებლობდა რა სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერით, მტკიცედ იცავდა თავის დადგენილ წესებს. კანონი ყველას ავალდებულებდა ოფიციალური ეკლესიის ღვთისმსახურებაზე დასწრებას, სხვა რელიგიური შეკრებები კი დაპატიმრების,

გადასახლებისა და სიკვდილის მუქარით იქნა აკრძალული.

XVII საუკუნის დასაწყისში ტახტზე ახლადასულმა მეფემ თავისი მტკიცე გადაწყვეტილება გამოაცხადა: "ყველა პურიტანი იძულებულია, აღიაროს მხოლოდ ანგლიკანური ეკლესიის ავტორიტეტი... წინაალმდეგ შემთხვევაში, უფრო მკაცრი ზომების თავიდან ასაცილებლად, მათ სამშობლო უნდა დატოვონ". ამ დევნილ, ციხის საკნებში გატანჯულ ხალხს უკეთესი დროის იმედი აღარ დარჩა და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მათთვის, ვინც გულწრფელად და საკუთარი სინდისის თანახმად ემსახურებოდნენ უფალს, "ინგლისი საცხოვრებლად აღარ გამოდგებოდა". ზოგმა თავშესაფრის ძებნაში

ჰოლანდიას მიაშურა, მაგრამ იქაც დიდ სიძნელეებსა და დევნას წააწყდა. მათ გეგმებს ალსრულება არ ეწერა. მოღალატეთა წყალობით ისინი ხშირად უვარდებოდნენ ხელში მტერს, მაგრამ მათმა სიმტკიცემ და სითამამემ გაიმარჯვა და ბევრმა თავშესაფარი ჰოლანდიის სტუმართმოყვარე რესპუბლიკაში ჰპოვა.

დევნილნი სიჩქარის გამო თავიანთ სახლ-კარს, ქონებას და საარსებო საშუალებებს ტოვებდნენ. იქ, უცხოეთში, უცნობ ადამიანთა შორის, მათი ენისა და ზნე-ჩვეულებათა უცოდინარობის გამო, ისინი იძულებული ხდებოდნენ ლუკმაპურის მოსაპოვებლად ახალი, მათთვის უცნობი საქმისათვის

მოეკიდათ ხელი. ხანში შესული ადამიანები, რომელნიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მიწას ამუშავებდნენ, ახლა სხვადასხვა ტექნიკურ პროფესიებს ითვისებდნენ. მაგრამ ყოველგვარ გასაჭირს მტკიცედ ხვდებოდნენ, თავიანთ ხვედრს ეგუებოდნენ, დროს უქმად არ კარგავდნენ და არც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. უკიდურესი გაჭირვების დროს კი მადლობას სწირავდნენ ღმერთს მისი წყალობისა და იმ დიდი სიხარულისათვის, რომელიც მათთვის თავისუფალ სულიერ ურთიერთობებს მოჰქონდა. "ისინი თავს მლოცველ მწირებად თვლიდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ იმას, თუ რა ხდებოდა მათ გარშემო. მათი მზერა მიმართული

იყო მხოლოდ ზეცისაკენ, თავიანთი ძვირფასი სამშობლოსაკენ, რითაც სიმშვიდეს ჰპოვებდნენ".

გადასახლებამ და გაჭირვებამ კიდევ უფრო განამტკიცა მათი რწმენა და სიყვარული. ისინი მხოლოდ უფლის აღთქმაზე იყვნენ დაყრდნობილნი და უფალმაც არ მიატოვა გასაჭირში. უფლის ანგელოზები ყოველთვის მათთან იყვნენ, ამხნევებდნენ და ეხმარებოდნენ ხიზნებს. და როდესაც უფლის ხელმა უჩვენა გზა ოკეანის გადალმა-მიწაზე, სადაც საკუთარი სახელმწიფოს შექმნა და შთამომავლობისათვის მემკვიდრეობად რელიგიის თავისუფლების დატოვება შეეძლოთ,

ისინიც უფლის მიერ მითითებულ მხარეს უყოყმანოდ გაემართნენ.

უფალმა დაუშვა განსაცდელი თავისი ხალხისათვის, რომ ისინი ღვთიური წყალობის მისაღებად მოემზადებინა. ეკლესია დამცირებულ იქნა, რათა შემდგომ ამაღლებულიყო. უფალი მზად იყო დაეცვა ის, რათა მთელი მსოფლიოსათვის ეჩვენებინა, რომ არასოდეს ავიწყდება თავისი მოიმედენი. იგი ყველა მოვლენას ისე მართავდა, რომ სატანის მძვინვარებასა და უწმიდურთა ზრახვებს ხელი შეეწყო მისი დიდების გამოვლინებისათვის და ღვთის შვილთა უშიშროებისათვის. დევნამ და გადასახლებამ მის ხალხს თავისუფლებისაკენ გაუხსნა გზა.

ანგლიკანური ეკლესიისაგან იძულებით გამოყოფილი პურიტანები შეკავშირდნენ და საზეიმო ფიცი დადეს, რომ ისინი, როგორც უფლის თავისუფალი შვილნი, "ივლიან უფლის მათთვის ცნობილი თუ ჯერ კიდევ უცნობი გზებით". სწორედ ამაში გამოიხატებოდა რეფორმაციის ჭეშმარიტი სული და პროტესტანტიზმის ცხოვრებისეული პრინციპები; ამ მიზნით დატოვეს პროტესტანტებმა ჰოლანდია, რათა ეპოვათ ახალი სამშობლო ახალ მიწაზე. მათმა პასტორმა ჯონ რობინსონმა, რომელიც უფლის ნებით არ გაემგზავრა მათთან ერთად, გამოთხოვებისას მიმართა მათ:

"ძმებო! ჩვენ მალე დავშორდებით და მხოლოდ უფალმა უწყის, შევხვდებით თუ არა კვლავ ერთმანეთს. არ ვიცი, როგორი იქნება უფლის ნება, მაგრამ მე გევედრებით ღვთისა და მის ანგელოზთა წინაშე: მომბაძეთ მხოლოდ იმაში, რაშიც მე ვბაძავდი ქრისტეს. თუკი უფალი სხვა ვინმეს მეშვეობით კვლავ გამოგიგზავნით ახალ ნათელს, მზად იყავით მის მისაღებად ისევე, როგორც ჩემგან ღებულობდით ყოველგვარ ჭეშმარიტებას; რადგან მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ უფალს ჯერ კიდევ მრავლად აქვს ჭეშმარიტება და ნათელი, რომელიც მან თავის სიტყვაში უნდა გამოგიცხადოთ.

რაც შემეხება მე, მეტად ვწუხვარ რეფორმისტულ ეკლესიათა ახლანდელი მდგომარეობის გამო, რომელთაც მიალწიეს რელიგიის განვითარების განსაზღვრულ ეტაპს და ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი ალარ სურთ მისი შემდგომი განვითარებისაკენ. ლუთერანებს არ სურთ იმაზე წინ გაიხედონ, ვიდრე ლუთერი იხედებოდა... კალვინისტები, როგორც თავად ხედავთ, იმ ადგილას შეჩერდნენ, სადაც ისინი უფლის ამ დიდებულმა შვილმა დატოვა, რადგან მან ყველაფერი არ იცოდა. რა დასანანია, რომ ეკლესიები ასეთ სამწუხარო მდგომარეობაში ალმოჩნდნენ. მათი ფუძემდებლები თავის დროზე მსოფლიოსათვის სინათლის

მატარებლები იყვნენ, მაგრამ ისინიც კი სრულად ვერ ჩაწვდნენ უფლის მოძღვრებებს. ისინი რომ ახლა ცოცხლები იყვნენ, შეძლებდნენ ახალი ნათელის მიღებას, როგორც ოდესღაც მისი პირველი სხივები მიიღეს".

"მარად გახსოვდეთ აღთქმა, რომელიც ეკლესიაში უფლის წინაშე დადეთ, რომ ივლით უფლის გზებით, რომელნიც თქვენთვის უკვე ცნობილია და რომელნიც მომავალში კიდევ გაგეხსნებათ. გახსოვდეთ თქვენი აღთქმა უფლისა და ერთმანეთის წინაშე, რომ მიიღებთ უფლის სიტყვის მიერ გაცხადებულ ყოველგვარ ნათელს და ჭეშმარიტებას, რომელიც წმიდა წერილშია მოცემული. მაგრამ

ძალიან გთხოვთ, სანამ ჭეშმარიტებას მიიღებდეთ, ფრთხილად იყავით, აწონ-დაწონეთ, შეადარეთ იგი წერილის სხვადასხვა ადგილებს, რადგან შეუძლებელია, რომ ქრისტიანულმა სამყარომ, რომელიც ახლახანს გათავისუფლდა ანტიქრისტიანული წყვდიადისაგან, უცბად აღიქვას სრულყოფილი შემეცნების სისრულე".

სინდისის თავისუფლების შეძენისაკენ სწრაფვა უფლის ერთგულ შვილებს ძალას მატებდა და ეხმარებოდა ოკეანეში ამ ხანგრძლივი მოგზაურობისას ყოველგვარი გასაჭირის გადატანაში, ამ უკაცრიელ მიწაზე მრავალი გაჭირვებისა და ხიფათის გაძლებაში და ამერიკის ნაპირებზე ღვთის

კურთხევით უძლიერესი ერის საძირკვლის ჩაყრაში. მაგრამ მიუხედავად ღრმა ღვთისმოსაობისა და პატიოსნებისა, მათ მაინც სრულად ვერ შეიმეცნეს რელიგიური თავისუფლების უდიდესი პრინციპების მნიშვნელობა. ისინი არ იყვნენ მზად იმისათვის, რომ ასეთი დიდი მსხვერპლით მოპოვებული თავისუფლება სხვებისთვის გაეზიარებინათ. საუკუნის "XVII გამოჩენილ მოაზროვნეთა და მორალისტთა შორისაც კი ბევრს არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა ახალი ალთქმის უდიდეს პრინციპზე, რომელიც ადამიანური რწმენის ერთადერთ მსაჯულად ღმერთს ალიარებს". მოძღვრება იმის შესახებ, რომ ღმერთმა ეკლესიას მისცა

უფლება, იბატონოს სინდისზე და განსაზღვროს და დასაჯოს ერესი - პაპიზმის ერთ-ერთი ღრმად ფესვგადგმული, მტკნარი სიცრუეა. თუმცა რეფორმატორები განუდგნენ კათოლიკურ რელიგიურ მოძღვრებას, მაგრამ ამავე დროს რელიგიური შეუწყნარებლობის სულისაგან სრულად ვერ გათავისუფლებულიყვნენ. ჯერ კიდევ სრულად არ იყო გაფანტული ის დიდი წყვდიადი, რომლითაც საუკუნეთა მანძილზე პაპი ქრისტიანულ სამყაროს მოსავდა. მასაჩუსეტსის შტატის ერთ-ერთმა ცნობილმა მოღვაწემ თქვა: "რელიგიურმა შეუწყნარებლობამ სამყარო ანტიქრისტიანული გახადა; და ბევრის აზრით, თითქოს არაფერია

საზიანო და ცუდი ეკლესიის მიერ ერეტიკოსთა დასჯაში". ახალმოსახლეებმა მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმადაც სამოქალაქო მმართველობაში ხმის უფლება მხოლოდ ეკლესიის წევრებს ჰქონდათ. შეიქმნა სახელმწიფო ეკლესიის მსგავსი ორგანიზაცია და ყოველი ადამიანი ვალდებული იყო მხარი დაეჭირა სამღვდელოებისათვის, ხოლო სამოქალაქო ხელისუფლებამ მიიღო უფლებამოსილება ყოველგვარი ერესის აღსაკვეთად. ამრიგად, სამოქალაქო ხელისუფლება ეკლესიის ხელში აღმოჩნდა. ამ ზომების გატარებას მალე მოჰყვა გარდაუვალი შედეგი - დევნა.

პირველი კოლონიის დაარსებიდან II წლის შემდეგ ახალ ქვეყანაში ჩამოვიდა როჯერ უილიამსი. ისიც, პირველ მოსახლეთა მსგავსად, მშვიდობის საძიებლად ჩამოვიდა აქ, მაგრამ მათგან განსხვავებით, როჯერს კარგად ესმოდა, რომ თავისუფლება - ეს არის ყველა ადამიანის განუყოფელი უფლება, მიუხედავად მათი რელიგიური მრწამსისა. იგი სიმართლის გულწრფელი მძებნელი იყო და რობინსონთან ერთად იზიარებდა იმ აზრს, რომ მსოფლიოს ჯერ არ მიულია ღვთის სიტყვის სრული ნათელი. "უილიამსი თანამედროვე საქრისტიანოში პირველი ადამიანი იყო, რომელმაც კანონის წინაშე სინდისის თავისუფლებისა და

მრწამსის თანასწორობის პრინციპები სახელმწიფო მმართველობის საფუძველში ჩადო". მან განაცხადა, რომ ხელისუფლება ვალდებულია ალკვეთოს დანაშაული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხელყოს პიროვნების სინდისის თავისუფლება. "ხელისუფლების წარმომადგენლებს ან საზოგადოებას შეუძლიათ განსაჯონ ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, მაგრამ როდესაც ცდილობენ ადამიანებს განუსაზღვრონ, თუ როგორი უნდა იყოს მათი დამოკიდებულება ღმერთთან, აქ ისინი აჭარბებენ თავიანთ უფლებამოსილებას და სახიფათო მდგომარეობას ქმნიან, რადგან თავისთავად ცხადია, რომ დღეს

ხელისუფლებას შეუძლია ხალხს თავს მოახვიოს ერთი რელიგიური მრწამსი, ხვალ კი - სულ სხვა. ასე მოქმედებდა ინგლისში ბევრი მეფე და დედოფალი, ასეთივე გადაწყვეტილებას ღებულობდნენ რომის პაპები და ეკლესიის კრებები. ამის შედეგად რწმენის საკითხებში ბევრ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი".

მას, ვინც ოფიციალური ეკლესიის ღვთისმსახურებას არ დაესწრებოდა, ჯარიმა და ციხე ემუქრებოდა. უილიამსმა გააკრიტიკა ეს კანონი; ინგლისის კანონმდებლობის ერთ-ერთი ყველაზე უვარგისი პუნქტი იყო ადგილობრივი სამრევლოს ღვთისმსახურებაზე აუცილებელი დასწრების მოთხოვნა. ადამიანთა იძულებით გაერთიანებას სხვა

რელიგიური მრწამსის ხალხთან იგი აფასებდა, როგორც მათი ბუნებრივი უფლებების აშკარა და პირდაპირ დარღვევას; ურწმუნო და რელიგიისაგან შორს მყოფ ადამიანთა ღვთისმსახურებაზე დასწრების იძულება თვალთმაქცობისა და პირმოთნეობის ხელშეწყობას ნიშნავდა. "არ შეიძლება ადამიანი აიძულო, იაროს ღვთისმსახურებაზე ან ეკლესიას გაუწიოს მატერიალური დახმარება" - ამბობდა იგი. "როგორ? - უკვირდათ მის მოწინააღმდეგეებს, - განა მსახურებს არ უნდა აუნაზღაურდეთ მათი შრომის საფასური?" "რასაკვირველია, - პასუხობდა იგი, - მაგრამ უნდა აუნაზღაუროს იმან, ვინც იგი დაიქირავა".

როჯერ უილიამსი უყვარდათ და დიდად აფასებდნენ, როგორც ერთგულ მსახურს, განსაკუთრებული, იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულს, მოუსყიდველი პატიოსნებისა და დიდი გულის მქონეს, მაგრამ იმის გამო, რომ ასე მტკიცედ და საჯაროდ კიცხავდა ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის მართვას და რელიგიური თავისუფლების ხელყოფას, იგი შეიძულეს. იმის შიშით, რომ მისი იდეების ცხოვრებაში დამკვიდრება დაანგრევდა სახელმწიფოს და ხელისუფლებას ძირს გამოუთხრიდა, უილიამსის კოლონიიდან გაძევების დადგენილება გამოიტანეს. პატიმრობა რომ თავიდან

აეცილებინა, იგი იძულებული გახდა ზამთრის სუსხიან ყინვაში ულრან ტყეში დამალულიყო.

"თოთხმეტი კვირის განმავლობაში, - შემდგომში იხსენებდა იგი, - დავეხეტებოდი ისე უსახლკაროდ, ლუკმაპურის გარეშე. მაგრამ ყვავები მკვებავდნენ და ხეთა ფულუროები სახლის მაგივრობას მიწევდნენ". იგი განაგრძობდა ამ მძიმე გზას გაუვალ, დათოვლილ ტყეებში, სანამ ინდიელთა ტომს არ წააწყდა. ასწავლიდა რა მათ სახარების ჭეშმარიტებას, მალე ინდიელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

მრავალი თვის ხეტიალის შემდეგ მან ნარაგენსეთის ყურეს მიაღწია, სადაც საფუძველი ჩაუყარა პირველ

შტატს, რომელშიც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ალიარებული იქნა რელიგიის თავისუფლება. როჯერ უილიამსის კოლონიის ფუნდამენტალური პრინციპი შემდეგში მდგომარეობდა: "ყოველ ადამიანს უფლება აქვს ღმერთს ემსახუროს თავისი სინდისის მიხედვით". მისი პატარა შტატი როდ-აილენდი ყველა დევნილის თავშესაფარი გახდა, ის კი სულ უფრო იზრდებოდა და მშვენდებოდა, სანამ მისი ძირითადი პრინციპები - სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლება ქვაკუთხედად არ დაედო ამერიკის რესპუბლიკას.

უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა წამოაყენეს, როგორც უფლებათა

კანონი - დამოუკიდებლობის დეკლარაციაში - განაცხადეს: "ჩვენ ვთვლით, რომ აშკარა ჭეშმარიტებაა შემდეგი: უფალმა ყოველ ადამიანს თავისუფლება და თანასწორობა უბოძა და ყველას აქვს უზენაესის მიერ მიცემული განსაზღვრული უფლებანი: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა". კონსტიტუცია სინდისის ხელშეუხებლობის სრულ გარანტიას იძლევა: "რელიგიური მრწამსი არ შეიძლება ჩაითვალოს მიზეზად ან დაბრკოლებად რაიმე თანამდებობის დასაკავებლად შეერთებულ შტატებში". "კონგრესს არა აქვს უფლება, ვინმეს თავს მოახვიოს რომელიმე რელიგიური მრწამსი ან აუკრძალოს იგი".

"კონსტიტუციის ავტორებმა ალიარეს ამ პრინციპების უცვლელობა, რომლის თანახმადაც ადამიანის ღმერთთან დამოკიდებულება არ ექვემდებარება ადამიანურ კანონებს, ხოლო სინდისის თავისუფლება ხელშეუხებელია. ეს ჭეშმარიტება მტკიცებას არ საჭიროებს - იგი ჩვენს სულში ცოცხლობს. სწორედ იგი, სხვა ადამიანური კანონების საპირისპიროდ, დაეხმარა მრავალ წამებულს კოცონისა და ტანჯვა-წამების გადატანაში. მათ იცოდნენ, რომ უფლის მიმართ მოვალეობა ყოველგვარ ადამიანურ დადგენილებებს აღემატება, რომ ადამიანს არა აქვს რაიმე ძალაუფლება მათ სინდისზე. ამ

თანდაყოლილი პრინციპის ალმოფხვრა შეუძლებელია".

როდესაც ევროპაში ცნობილი გახდა, რომ არსებობს სახელმწიფო, სადაც ყოველ ადამიანს შეუძლია თავისი შრომის ნაყოფით დატკბეს და თავისი სინდისის კარნახით იცხოვროს, ათასობით ადამიანმა მიაშურა ახალი ქვეყნის ნაპირებს. კოლონიები სწრაფად იზრდებოდა. მასაჩუსეტსის შტატი სპეციალური კანონით სთავაზობდა თავშესაფარს და უანგარო დახმარებას ნებისმიერი ეროვნების ქრისტიანს, რომელიც "გაურბოდა ომს, შიმშილსა და დევნას" და იქ ჩასვლას შეძლებდა. ამგვარად, ლტოლვილი და დევნილი ადამიანები კანონის ძალით გახდნენ ამ სახელმწიფოს სტუმრები. და ოცი

წლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც პირველმა გემმა ლუზა ჩაუშვა პლიმუტში, მრავალი ათასობით მორწმუნე დასახლდა ახალ ინგლისში.

სასურველი თავისუფლების მისალწევად "ისინი მზად იყვნენ ხელმოკლედ და მოკრძალებულად ეცხოვრათ. იმედოვნებდნენ, რომ მიწა მხოლოდ თავიანთი შრომის საფასურს აუნაზღაურებდა მათ. არ ოცნებობდნენ სიმდიდრეზე - სიხარულით შეჰყურებდნენ, თუ როგორ თანდათანობით, ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ ყალიბდებოდა მათი სახელმწიფო და ცრემლებით რწყავდნენ თავისუფლების ხეს, სანამ მან ლრმად არ გაიდგა ფესვი".

ბიბლია მათთვის იყო რწმენის საფუძველი, სიბრძნის წყარო და თავისუფლების კანონი. მის პრინციპებს გულმოდგინედ სწავლობდნენ სახლში, სკოლაში, ეკლესიაში და ამის ნაყოფი იყო მომჭირნეობა, სალი აზრი, თავაზიანობა და თავშეკავებულობა. წლების განმავლობაში პურიტანულ კოლონიებში ვერ ნახავდით "ვერც ერთ ლოთს, ვერ გაიგონებდით წყევლას და ვერ შეხვდებოდით მათხოვარს". ეს იყო ცოცხალი მოწმობა იმისა, რომ ბიბლიური პრინციპები ეროვნული სიდიადის მტკიცე გარანტიაა. სუსტი, ცალკეული დასახლებები თანდათან ძლიერი შტატების კონფედერაციად იქცნენ და მსოფლიო განცვიფრებით

ალნიშნავდა, რომ შესაძლებელი ყოფილა სიმშვიდე და წარმატება "ეკლესიისა - პაპის გარეშე და სახელმწიფოსი - მეფის გარეშე".

მაგრამ ამერიკის ნაპირებს განუწყვეტლივ აწყდებოდა სხვა ხალხიც, რომელთაც პირველად ჩამოსულ მორწმუნეთა იდეებთან არაფერი ჰქონდათ საერთო. თუმცა ჭეშმარიტ რწმენასა და სიწმიდეს დიდი გარდამქმნელი ზეგავლენა ჰქონდა, მაინც თანდათან უფრო სუსტდებოდა, სანაცვლოდ კი იზრდებოდა მათი რიცხვი, ვინც აქ მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის მოსაპოვებლად ჩამოდიოდა.

პირველ მოსახლეთა დადგენილებამ იმის შესახებ, რომ

მხოლოდ ეკლესიის წევრებს ეძლეოდათ სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობათა დაკავების უფლება, დამლუპველი შედეგი გამოიღო. ზომებმა, რომლებიც მიღებული იქნა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, ეკლესიის დაცემა გამოიწვია. ვინაიდან არჩევნებში მონაწილეობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის წინაპირობა რელიგიური მრწამსი იყო, ბევრი, სახელმწიფოში განსაზღვრული თანამდებობის დაკავების მიზნით, ფორმალურად ხდებოდა ეკლესიის წევრი, მათი გული კი შორს იდგა ჭეშმარიტი რელიგიისაგან. ამგვარად, ეკლესია თითქმის ურწმუნოთაგან

შედგებოდა, თვით ღვთისმსახურთა შორისაც კი იყვნენ ადამიანები, რომლებიც საწინაალმდეგო იდეებს ქადაგებდნენ და წარმოდგენაც არ ჰქონდათ სულიწმიდის გარდამქმნელ ძალაზე. შედეგები ისეთივე დამლუპველი იყო, როგორიც არაერთხელ გვხვდება საეკლესიო ისტორიაში კონსტანტინეს პერიოდიდან დღემდე, როდესაც ეკლესიის შენება ხდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე, როცა სამოქალაქო ხელისუფლებას მიმართავდნენ იმ სახარების მხარდასაჭერად, რომლის ავტორმა თქვა: "ჩემი სამეფო არ არის წუთისოფლისა". ეკლესიისა და სახელმწიფოს კავშირი, თუნდაც უმნიშვნელო, მიმართული

წუთისოფლის ეკლესიასთან დაახლოებისაკენ, სინამდვილეში ეკლესიას აახლოებს წუთისოფელთან.

რობინსონისა და როჯერ უილიამსის მიერ ჩამოყალიბებული კეთილშობილური პრინციპი - "ჭეშმარიტება პროგრესულია და ყოველი ქრისტიანი მზად უნდა იყოს იმ სინათლის მისაღებად, რომელმაც შეიძლება წმიდა წერილის ფურცლებიდან გამოასხივოს", - მათმა შთამომავლობამ თანდათან დაკარგა. ამერიკისა და ევროპის პროტესტანტულმა ეკლესიებმა, თუმც მიიღეს რეფორმაციის უდიდესი მადლი, მაგრამ ვერ წაიწიეს წინ რეფორმების გზით. თუმცა დრო და დრო გამოჩნდებოდნენ ხოლმე ღვთის

ერთგული შვილები, რომლებიც ახალ ჭეშმარიტებას ქადაგებდნენ და გაბატონებულ სიცრუეს ამხილებდნენ, მაინც უმრავლესობა, ქრისტეს დღეების იუდეველთა და ლუთერის პერიოდის პაპისტების მსგავსად, კმაყოფილდებოდა მამა-პაპათა რელიგიით და არც თავისი ცხოვრების გარდაქმნის სურვილი ჰქონდა. ამიტომაც რელიგიამ კვლავ ფორმალური სახე მიილო, კვლავ დაუბრუნდა იგი ადრინდელ შეცდომებსა და ცრურწმენას, რომელთა ალმოფხვრაც მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუ ეკლესია ღვთის სიტყვის "ნათელში სიარულს" განაგრძობდა. რეფორმაციის სული თანდათანობით ქრებოდა, ვიდრე თვით

პროტესტანტულ ეკლესიებშიც არ მომწიფდა რეფორმათა გატარების უდიდესი მოთხოვნილება, როგორც ეს იყო რომის ეკლესიაში ლუთერის დროს. აქაც იგივე მიწიერი სურვილები, სულიერი სიჩლუნგე და ადამიანური აზრების თაყვანისცემა სუფევდა, ღვთის სიტყვის ნაცვლად კი ხალხთა მიერ შეძენილი თეორიები იყო გამეფებული.

XIX საუკუნის დასაწყისში ბიბლიის საყოველთაო გავრცელებამ და ჭეშმარიტების უდიდესმა ნათელმა, რომელმაც მთელი მსოფლიო გაასხივოსნა, ჭეშმარიტების შემეცნებასა და რელიგიურ პრაქტიკას მაინც ვერ მოუტანა შესაბამისი წარმატება. სატანას აღარ შეეძლო ღვთის სიტყვის

დამალვა ხალხისაგან, რადგან იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, მაგრამ თავისი მიზნის მისაღწევად მან სხვა ხერხს მიმართა: ხალხს შთააგონა, რომ წმიდა წერილი არცთუ ისე მნიშვნელოვანია ადამიანებისათვის. წერილის შესწავლის შესაძლებლობის უგულვებელყოფის გამო ხალხი კვლავ მის არასწორ ახსნა-განმარტებას ღებულობდა და იზიარებდა მოძღვრებას, რომელსაც არავითარი ბიბლიური საფუძველი არ გააჩნდა.

დაინახა რა საკუთარი უძლურება, რომ დევნით ჭეშმარიტებას ვერ გაანადგურებდა, სატანა კვლავ შეთანხმების პრინციპს დაუბრუნდა, რომელმაც თავის დროზე დიდი

განდგომილება და რომის ეკლესიის დაარსება გამოიწვია. ახლა იგი ქრისტიანებს აცდუნებდა, შეთანხმებულიყვნენ არა წარმართებთან, არამედ მათთან, ვინც თავისი მიწიერი კეთილდღეობისათვის ჭეშმარიტი კერპთაყვანისმცემლობა ხისაგან დამზადებული ხატების თაყვანისცემაში გამოავლინეს. ასეთი კავშირის შედეგი არანაკლებ დამღუპველი აღმოჩნდა, ვიდრე ეს წარსულში იყო. ნილაბქვეშ იმალებოდა სიამაყე, ფუფუნება და ანგარება. ეკლესია იხრწნებოდა. სატანა კვლავ განაგრძობდა ბიბლიურ ჭეშმარიტებათა დამახინჯებას; მილიონობით სულთა დამღუპველმა ტრადიციებმა ღრმად გაიდგა

ფესვები. ეკლესიამ, იმის ნაცვლად, რომ ებრძოლა "რწმენისათვის, რომელიც ერთხელ გადაეცათ წმიდანებს", მიიღო ეს ტრადიციები და იცავდა კიდეც მათ. ამგვარად განადგურდა ის პრინციპები, რომელთა დასამკვიდრებლადაც იბრძოდნენ და იტანჯებოდნენ რეფორმატორები.

თავი 17 ქრისტეს აღთქმა მისი მეორედ მოსვლის შესახებ

ერთ-ერთი ყველაზე დიდებული და ბრწყინვალე ჭეშმარიტება, რომელსაც ბიბლია გვიცხადებს, ესაა სიმართლე ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ, - რითიც დასრულდება კაცობრიობის

გამოსყიდვა. უფლის მომთაბარე შვილებისათვის, რომლებიც ამდენი ხნის განმავლობაში "სასიკვდილო ჩრდილსა და წყვდიადში" იმყოფებოდნენ, ალთქმა უფლის მეორედ მოსვლის შესახებ, რომელიც არის "აღდგომა და სიცოცხლე", და რომელიც კვლავ შემოიკრებს თავის გაფანტულ შვილებს, მეტად ძვირფასი და სასიხარულო იმედია. უფლის მეორედ მოსვლის მოძღვრება წმიდა წერილის ძირითად შინაარსს შეადგენს. იმ დღიდან, რაც პირველი წყვილი ნაღვლიანად გამოეთხოვა ედემს, რწმენის შვილებმა ცხოვრება დაიწყეს ალთქმულის მოსვლის მოლოდინში, რომელსაც დამლუპველი ძალაუფლება უნდა გაენადგურებინა და მათთვის

დაკარგული სამოთხე დაებრუნებინა. მესიის დიდებით მოსვლა ძველი ალთქმის ყოველი წმიდანის იმედის საყრდენი იყო. ენოქი, ოდესღაც სამოთხეში მცხოვრებ ადამიდან მეშვიდე, რომელიც 300 წლის განმავლობაში "დადიოდა უფლის წინაშე" დედამიწაზე, ღირსი გახდა, ეხილა მომავალი მხსნელი: "აჰა, მოდის უფალი თავის ათეულ ათასობით წმიდანთან ერთად, - ამბობს იგი, - რათა ყველა განიკითხოს" (იუდ.14:15). პატრიარქი იობი თავისი ტანჯვის ღამეს უდიდესი სასოებით ამბობს: "მაგრამ ვიცი, ცოცხალია ჩემი გამომხსნელი და იგი აღადგენს მკვდრეთით ამ ჩემს დაშლილ კანს; მე ჩემი სხეულით ვიხილავ ღმერთს! მე თავად

დავინახავ მას და ჩემი თვალები იხილავენ, არა სხვისნი" (იობ. 19:25-27; თარგმ. ორიგ.).

სიმართლის ზეიმად მოხსენიებული ქრისტეს მოსვლის იმედი აღამაღლებდა და აღაფრთოვანებდა ამ წმიდა წიგნის ავტორთ. ბიბლიური პოეტები და წინასწარმეტყველები ზეციური ცეცხლოვანი სიტყვებით მეტყველებდნენ. ისრაელის მეფის ძალასა და დიდებას უმღეროდა მეფსალმუნე: "სიონიდან, მშვენიერების სრულქმნილებიდან გამობრწყინდება უფალი. მოვა ჩვენი ღმერთი და ნუმც დადუმდება; გამოიძახებს ცას ზევიდან და დედამიწას თავისი ხალხის სამსჯავროზე" (ფს.49:2-4).

"გამხიარულდებიან ცანი და მოილხენს ქვეყანა. იხმაურებს ზღვა და სავსება მისი... უფლის წინაშე, რადგანაც მოვა ქვეყნიერების განსასჯელად; განსჯის სამყაროს სიმართლით და ხალხებს - თავისი ჭეშმარიტებით" (ფს.95:11,13).

ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: "გაცოცხლდებიან შენი მკვდრები, ალდგებიან გვამები; გაიღვიძეთ და იყიჟინეთ, მტვერში დავანებულნო! რადგან ნათლის ცვარია შენი ცვარი და მიწა ამოანთხევს მიცვალებულთ". "შთანთქავს სიკვდილს სამუდამოდ და მოსწმედს ცრემლს უფალი ღმერთი ყოველ პირისახეს, წარხოცავს თავისი ერის სირცხვილს მთელ ქვეყანაზედ, რადგან უფალმა ასე ბრძანა. იტყვიან იმ დღეს: აჰა, ეს

არის ღმერთი ჩვენი, მას ვესავდით და გვიხსნა! ეს არის უფალი, მას ვესავდით! გავიხაროთ და გავმხიარულდეთ მისმიერი ხსნით!" (ესაია, 26:19; 25:8,9; თარგ. ორიგ.).

აბაკუმ წინასწარმეტყველიც ალიტაცა მისი მოსვლის წმიდა ხილვამ: "თემანიდან მოდის ღმერთი და უწმიდესი - ფარანის მთიდან. დაფარა ზეცა მისმა ბრწყინვალებამ და მისმა დიდებამ აავსო დედამიწა; დღესავით ბრწყინავს მისი ნათელი... შედგა, შეატორტმანა მიწა; გაიხედა და შეაძრწუნა ხალხები; გაცამტვერდა საუკუნო მთები, ჩამოიქცა საუკუნო ბორცვები; საუკუნოა მისი გზები; შენ ამხედრდი შენს ცხენებზე, შენი ძლევის ეტლებზე... დაგინახეს და შედრკნენ მთები, გადაიარა წყლის

ნიალვარმა, ხმა გაილო წყლის უფსკრულმა, ალმართა ხელები, მზე და მთვარე დაყოვნდნენ თავიანთ სადგომებში, შენი ისრების შუქზე დადიან ისინი, შენი ელვარე, გაფრენილი შუბების შარავანდედზე... შენი ერის გამოსახსნელად გამოხვედი, შენი ცხებულის გამოსახსნელად" (აბაკ.3:3-13).

თავის მოწაფეებთან განშორებისას მაცხოვარმა დაამშვიდა ისინი და ალუთქვა, რომ კვლავ დაბრუნდება: "ნუ შეკრთება თქვენი გული... მამაჩემის სახლში ბევრი სავანეა... მე მივდივარ, რათა ადგილი მოგიმზადოთ. როდესაც წავალ და ადგილს მოგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ" (იოან. 14:1-3).

"ხოლო, როცა მოვა კაცის ძე თავისი დიდებით და ყველა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება თავისი დიდების ტახტზე, შეიყრება მის წინაშე ყოველი ერი" (მათ. 25:31-32).

ანგელოზებმა, რომელნიც ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდგომ ზეთისხილის მთაზე შეყოვდნენ, მოციქულებს გაუმეორეს უფლის აღთქმა მისი დაბრუნების შესახებ: "ეს იესო, რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეცად, კვლავ მოვა, როგორც ზეცად აღმავალი იხილეთ" (საქ. 1:11). სულიწმიდით შთაგონებული პავლე მოციქული მოწმობდა: "ვინაიდან თვითონ უფალი გადმოვა ციდან ბრძანების სიტყვით, მთავარანგელოზის ხმაზე

და ღვთის საყვირზე" (1თეს. 4:16). და პატმოსზე გადასახლებული წინასწარმეტყველიც გვეუბნება: "აჰა, ის მოდის ღრუბლებით და დაინახავს მას ყოველი თვალი" (გამოცხ. 1:7).

ქრისტეს მოსვლასთან არის დაკავშირებული დიდება "ყოვლისა კვლავ აღდგინებისა, რასაც უკუნისიდან წარმოთქვამდა ღმერთი ყველა თავისი წმიდა წინასწარმეტყველის პირით" (საქ. 3:21). მაშინ წერტილი დაესმევა ბოროტების ბატონობას: "წუთისოფლის სამეფო" გახდება "ჩვენი უფლისა და მისი ქრისტესი და იმეფებს იგი უკუნითი უკუნისამდე" (გამოცხ. 11:15). "გამოცხადდება უფლის დიდება და ყოველი ხორციელი ერთად იხილავს" (ეს. 40:5).

"უფალი ღმერთი ალმოაცენებს სიმართლეს და სადიდებელს ყოველი ხალხის წინაშე" (ეს. 61:11). "იმ დღეს ცაბაოთ უფალი იქნება დიდების გვირგვინი და ბრწყინვალე ჯილა თავისი ერის ნარჩომისათვის" (ეს. 28:5).

მაშინ დედამიწაზე მოვა დიდი ხნის ნანატრი მესიის სამეფო. "რადგან ანუგეშებს უფალი სიონს, ანუგეშებს ყოველ მის ნაოხარს; სამოთხედ გადააქცევს მის უდაბნოს და უფლის ბალად მის ტრამალს" (ეს. 51:3). "ალარ დაგიძახებენ მიტოვებულს და შენს ქვეყანას ალარ დაერქმევა უკაცრიელი, რადგან გეწოდება ჩემი სასურველი და შენს ქვეყანას - დაპატრონებული, რადგან შენ ჰსურხარ უფალს და ქვეყანას პატრონი ეყოლება... როგორც

ხარობს სიძე დედოფლით, ასე გაიხარებს შენით შენი ღმერთი" (ეს. 62:4,5). "ლიბანის დიდება მიეცემა მას, ქარმელის და შარონის სიდიადე" (ეს. 35:2).

ქრისტეს მოსვლის აღთქმა იმედის ფრთებს ასხამდა მის მიმდევართ ყველა საუკუნეში. ზეთისხილის მთაზე გამომშვიდობებისას მაცხოვარმა დაბრუნება აღუთქვა მოციქულებს და ამან გაანათა მათი მომავალი, სიხარულითა და იმედით აღავსო მათი გულები, რომელთაც მწუხარებამ და გამოცდამ ვერაფერი დააკლო. დევნისა და ტანჯვის ქარცეცხლში "უზენაესი ღმერთისა და ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს გამოჩენა" მათთვის "ნეტარი სასოება" იყო. როდესაც თესალონიკელი

ქრისტიანები მწუხარებით მარხავდნენ თავიანთ მიცვალებულებს - ჭეშმარიტ მორწმუნეთ, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ საკუთარი თვალით იხილავდნენ უფლის მოსვლას, პავლე მოციქული, მათი მოძღვარი ახსენებდა მათ მკვდრეთით ალდგომის შესახებ, რომელიც მაცხოვრის მოსვლისას მოხდება. მაშინ ქრისტეში მკვდარნი ალდგებიან და ცოცხლებთან ერთად "ზეატაცებულნი იქნებიან", რათა ჰაერში შეეგებონ უფალს. "და ამგვარად უფალთან ვიქნებით სამარადისოდ. ამიტომ ანუგეშეთ ერთმანეთი ამ სიტყვებით - ამბობს მოციქული (1თეს. 4:16-18).

პატმოსის მთაგორიან კუნძულზე უფლის საყვარელმა მოწაფემ გაიგონა ალთქმა: "ჰე, მალე მოვალ!", და გამოხატა რა ყველა საუკუნის ეკლესიების სურვილი, უპასუხა: "ჰე, მოდი, უფალო იესო!" (გამოცხ. 22:20).

ყოველი საუკუნის საპყრობილეებიდან, კოცონის ალიდან და ეშაფოტებიდან, სადაც წმიდანები ჭეშმარიტების შესახებ მოწმობდნენ, ისმის მათი რწმენითა და იმედით ალსავსე ხმები: "დარწმუნებულნი მის ალდგომაში და ასევე თავიანთში, მისი მეორედ მოსვლის დროს" - ამბობს ერთ-ერთი მათგანი ამ ქრისტიანთაგან, - "მათ სძულდათ სიკვდილი და ისინი მასზე მაღლა იდგნენ". "ისინი მზად იყვნენ ჩასულიყვნენ საფლავებში", რათა

შემდეგ "ამოსულიყვნენ თავისუფალნი". ისინი ელოდნენ უფლის გამოჩენას "ზეცით ღრუბლებზე მამის დიდებაში", "რომელმაც მართლებს უნდა მოუტანოს ხსნა". სწორედ ასეთი რწმენა ჰქონდათ ვალდენსებს. მხსნელის გამოჩენას უიკლიფი ეკლესიის იმედს უწოდებდა.

ლუთერი ამბობდა: "მე რატომლაც დარწმუნებული ვარ, რომ განკითხვის დღე დადგება არა უგვიანეს 300 წლისა. ღმერთი არ მოისურვებს და ვერც შეძლებს ამ უწმიდური წუთისოფლის მოთმენას... დიადი დღე დადგება, როდესაც ეს გახრწნილი წუთისოფელი განადგურდება".

"კაცობრიობის აღსასრული მალე დადგება", - ამბობდა მელანქტონი. კალვინი არწმუნებდა მორწმუნეთ "არ შეეჭვებულიყვნენ, არამედ იმედით დალოდებოდნენ ქრისტეს მოსვლას, როგორც უდიდეს მოვლენას კაცობრიობის ისტორიაში" და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ "მთელი ქრისტიანული ოჯახი უნდა ელოდოს ამ დღის დადგომას... ჩვენ უნდა ვიგრძნოთ შიმშილი ქრისტეს მიმართ; უნდა ვეძებოთ იგი, ვიფიქროთ მასზე და ვიმსჯელოთ მის შესახებ, სანამ არ გამობრწყინდება ის დიდებული დღე, როდესაც ჩვენი უფალი მთელი სისრულით გამოავლენს თავისი სამეფოს დიდებას".

"განა ჩვენი უფალი იესო ადამიანის სხეულით არ ამაღლდა ზეცად? - ამბობს შოტლანდიელი რეფორმატორი ნოქსი. - და განა ასევე არ დაბრუნდება? ჩვენ ვიცით, რომ იგი დაბრუნდება და ეს მალე იქნება". რიდლი და ლათიმერი, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე ჭეშმარიტებას შესწირეს, რწმენით ელოდნენ ქრისტეს მოსვლას. რიდლი წერდა: "მე მჯერა და ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ მსოფლიო თავის ალსასრულს უახლოვდება. და ამიტომ, უფლის მსახურ იოანესთან ერთად გულით მივმართოთ ჩვენს მაცხოვარს: "მოდი მალე, უფალო იესო!"

"უფლის მეორედ მოსვლაზე ფიქრი, - ამბობდა ბაქსტერი, - ჩემთვის

ყველაზე დიდი სიხარული და ბედნიერებაა. მორწმუნეთა რწმენა და ხასიათი იმაში ვლინდება, რომ ისინი სიყვარულითა და ნეტარი სასოებით ელიან ქრისტეს მოსვლას. თუკი სიკვდილი იქნება უკანასკნელი მტერი, რომელიც აღდგომით განადგურდება, ამან უნდა აღგვიძრას ლოცვისა და ქრისტეს მეორედ მოსვლის სურვილი, როდესაც სრული იქნება მტერზე გამარჯვება". "ამ დღის მალე დადგომას რწმენით უნდა ელოდოს ყველა მორწმუნე; ამ დღეს დასრულდება მათი გამოსყიდვის მსახურება და მათი სულის ყოველი სურვილი და მისწრაფება აღსრულდება. უფალო, ჩემო ღმერთო, მოგვიახლოვე ეს ნეტარი დღე!" ასეთი იყო მოციქულთა ეკლესიის იმედი,

"ეკლესიისა უდაბნოში" და რეფორმატორთა იმედიც.

წინასწარმეტყველება გვაუწყებს არა მხოლოდ ქრისტეს მეორედ მოსვლის მიზანსა და იმას, თუ როგორ მოხდება ეს, არამედ მიგვითითებს კიდეც იმ ნიშნებზე, რითაც ადამიანები უნდა მიხვდნენ მის მოახლოებას. იესო ამბობს: "და იქნება ნიშნები მზეზე და მთვარეზე და ვარსკვლავებზე" (ლუკ. 21:25)... "მზე დაბნელდება და მთვარე ალარ გამოსცემს შუქს. იქნება ვარსკვლავთა ცვენა და შეირყევიან ციური ძალები. მაშინ იხილავენ კაცის ძეს, ღრუბლებზე მომავალს დიადი ძალით და დიდებით" (მარკ. 13:24-26). იოანე ღვთისმეტყველი ასე აღწერს მეორედ მოსვლის დასაწყისის

ნიშნებს: "...აჰა, მოხდა დიდი მიწისძვრა, მზე გაშავდა, როგორც ბალნის ძაძა, და მთვარე მთლიანად სისხლივით გახდა..." (გამოცხ. 6:12).

ეს ნიშნები საუკუნეXIX დამდეგამდე გამოჩნდა. 1755 წელს მოხდა ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი მიწისძვრა დედამიწის მთელი ისტორიის მანძილზე. თუმცა ის ცნობილი იყო ლისაბონის მიწისძვრის სახელწოდებით, მაგრამ მისი მოქმედება ევროპის, აფრიკისა და ამერიკის უდიდეს ნაწილზე გავრცელდა. იგი იგრძნობოდა გრენლანდიაში, ვესტ-ინდოეთში, კუნძულ მადეირაზე, შვედეთსა და ნორვეგიაში, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში. მან მოიცვა ტერიტორია

არა უმცირეს 4 მილიონი კვადრატული მილი ტერიტორია. აფრიკაშიც ისეთივე ძლიერი ბიძგები იყო, როგორც ევროპაში. ალჟირის უდიდესი ნაწილი დაინგრა, ხოლო მაროკოს მახლობლად მიწის უფსკრულმა ჩაყლაპა სოფელი მისი 8-10 ათასი მცხოვრებით. ესპანეთისა და აფრიკის ნაპირებს უზარმაზარი ტალღა დაატყდა თავს, რომელმაც ქალაქები წალეკა და მთელი რიგი რაიონები გააუკაცრიელა.

ესპანეთში და პორტუგალიაში მეტად ძლიერი ბიძგები იგრძნობოდა. ამბობდნენ, რომ კადისს ეძგერა ტალღა, რომლის სიმაღლე 18 მეტრს ალწევდა. "პორტუგალიის ყველაზე მაღალი მთები მწვერვალიდან ძირამდე ირყეოდნენ. ზოგიერთი

მწვერვალი დასკდა და რაღაც საოცარი, უჩვეულო ფორმა მიიღო. უზარმაზარი კლდეები გადმოეფშვნა ახლომდებარე სოფლებს. იტყობინებოდნენ, რომ ნაპრალებიდან ცეცხლის ალი იფრქვეოდა".

ლისაბონში "თავდაპირველად მიწის სიღრმიდან მოისმა გრგვინვის მსგავსი ხმა და მაშინვე უძლიერესმა ბიძგმა დაანგრია ქალაქის უდიდესი ნაწილი; სულ რაღაც 6 წუთში 60 ათასი ადამიანი დაიღუპა. თავიდან ზღვა უკუიქცა და გააშიშვლა ქვიშიანი ნაპირი, შემდეგ კი თავისი ჩვეულებრივი დონიდან 15 მეტრით მაღლა აიწია. სხვა უჩვეულო შემთხვევებიდან, რომელთაც ლისაბონის კატასტროფის დროს

ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით ალსანიშნავია სუფთა მარმარილოთი მოპირკეთებული სანაპიროს წალეკვა. მისი მშენებლობა სახელმწიფოს მეტად ძვირი დაუჯდა. ჩამოქცეული კლდის ნატეხებისაგან თავის დასალწევად იქ უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, მაგრამ უცბად მთელი სანაპირო ზღვამ დაფარა და წყლის ზედაპირზე არც ერთი დალუპული არ ამოტივტივებულა".

მიწისქვეშა ბიძგებმა მომენტალურად დაანგრია ყველა ეკლესია და მონასტერი, თითქმის ყველა დიდი შენობა და საცხოვრებელ სახლთა მეოთხედი. ბიძგიდან დაახლოებით ორი საათის შემდეგ ზოგ კვარტალში ხანძარი გაჩნდა და

სამი დღის განმავლობაში ქალაქში საშინელი ცეცხლი ბობოქრობდა, რომელმაც სრულად გაანადგურა იგი. მიწისძვრა მოხდა უქმე დღეს, როდესაც ეკლესიები და მონასტრები ხალხით იყო სავსე და მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა გადარჩენა. "ამ საშინელების აღწერა შეუძლებელია. არავინ ტიროდა. ეს ყოველივე ცრემლებს აღემატებოდა. ადამიანები აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ამ საშინელი მოულოდნელობისაგან გონებადაბნელებულნი, მკერდში მუშტებს იცემდნენ და ყვიროდნენ: "დადგა მსოფლიოს აღსასრული!" დედებმა მიატოვეს ბავშვები და წინ და უკან დარბოდნენ ჯვრებით ხელში. თავის გადასარჩენად ისინი ეკლესიებში შეცვივდნენ, მაგრამ

ამაოდ ევედრებოდნენ "წმიდა ნაწილებს", განრთხმული ხალხი ამაოდ იშვერდა ხელებს საკურთხევლებისაკენ, - სამწუხაროდ, ერთნაირი ხვედრი ეწია ხატებს, მღვდლებსა და ხალხს". როგორც შემდგომში დაადგინეს, იმ საშინელ დღეს 90 ათასი ადამიანი დაიღუპა.

25 წლის შემდეგ გამოჩნდა წინასწარმეტყველებაში მოხსენიებული სხვა ნიშანი - მზისა და მთვარის დაბნელება. ყველა განაცვიფრა იმან, რომ ეს წინასწარმეტყველება ზუსტად დათქმულ დროს აღსრულდა. ზეთისხილის მთაზე თავის მოწაფეებთან საუბრისას იესომ აღწერა მწუხრის პერიოდი მისი ეკლესიისათვის - 1260 წლის

განმავლობაში მისი დევნა პაპის ეკლესიის მიერ - და თქვა, რომ ეს დღეები შემოკლდება; ასევე ალნიშნა რამდენიმე მოვლენა, რომელსაც ადგილი ექნება მისი მოსვლის წინა პერიოდში და დაასახელა მათი ალსრულების დრო: "იმ გასაჭირის შემდგომ, მზე დაბნელდება და მთვარე ალარ გამოსცემს შუქს" (მარკ. 13:24). 1260 დღის პერიოდი დასრულდა 1798 წელს. ამ თარიღამდე 25 წლით ადრე ქრისტიანთა დევნა თითქმის სრულად შეწყდა. დევნის შემდეგ, ქრისტეს სიტყვებით, უნდა მომხდარიყო მზის დაბნელება. და 1780 წლის 19 მაისს ეს წინასწარმეტყველებაც ალსრულდა.

1780 წლის 19 მაისის "პირქუში დღე", როდესაც საოცარმა წყვდიადმა

მოიცვა ახალი ინგლისის მთელი ზეცა, ერთადერთ ამოუცნობ და უდიდესი საიდუმლოებით მოცულ ფენომენად დარჩება.

მასაჩუსეტსის შტატის მოქალაქე, ერთ-ერთი თვითმხილველი, ასე ალწერს ამ მოვლენას:

"მოწმენდილ ცაზე ჩვეულებრივად ამოვიდა მზე, მაგრამ სულ მალე იგი ღრუბელმა დაფარა, რომელიც სულ უფრო დაბლა და დაბლა ეშვებოდა. ამ ბნელ და ავისმომასწავებელ ღრუბლებს დროდადრო ელვა ჰკვეთდა; ცაზე გრგვინვამ გადაიარა და მცირე წვიმა წამოვიდა. დაახლოებით დილის 9 საათისათვის ღრუბელი გაფერმკრთალდა და მოყვითალო სპილენძის ფერი მიიღო, ასე რომ, დედამიწა, მთები, ხეები,

შენობები, წყალი და ადამიანები, - ყველაფერი შეცვლილი მოჩანდა ამ უჩვეულო, იდუმალ ნათელში. რამდენიმე წუთის შემდეგ უზარმაზარმა შავმა ღრუბელმა დაფარა მთელი ზეცა, ჰორიზონტის ვიწრო ზოლის გარდა და ისე ჩამობნელდა, როგორც ეს ზაფხულობით, საღამოს 9 საათზე ხდება...

მღელვარებამ, შიშმა და რაღაც მოკრძალებულმა თრთოლვამ მოიცვა ხალხი. ქალები მდუმარედ იდგნენ თავიანთი სახლების ზღურბლზე და ცას შესცქეროდნენ; მამაკაცები დაბრუნდნენ მინდვრის სამუშაოებიდან; დურგლებმა მიატოვეს თავიანთი ხელსაწყოები; მჭედლებმა - სამჭედლოები. ვაჭარმა

დაჩურა თავისი დაჩლი. შეშინებული ბავშვები სკოლებიდან შინ გაუშვეს, მგზავრებმა ახლო-მახლო ფერმერთა სახლებს მიაშურეს. გაფითრებული ბაგეებით ყველა ერთი და იგივე კითხვას იმეორებდა: "რა ხდება?" ყველას ეგონა, რომ დიდი ქარიშხალი ამოვარდება, წალეკავს მთელ ქვეყანას და ქვეყნის ალსასრული დადგება.

დაინთო სანთლები და ბუხარში ცეცხლი ისე ანათებდა, როგორც შემოდგომის უმთვარო ღამეს... ქათმებმა ქანდარაზე მოიკალათეს დასაძინებლად, ნახირი ბღაოდა, ბაყაყები ყიყინებდნენ, ჩიტები თავიანთ ღამის სიმღერას გალობდნენ და ყველგან ღამურები დაფრინავდნენ. მაგრამ ადამიანებმა

კარგად იცოდნენ, რომ დალამებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო.

"სალემის კარვად" წოდებული ეკლესიის პასტორმა, დოქტორმა ნათანაელ უითეიკერმა, რომელიც ამ დროს ღვთისმსახურებას ატარებდა, თავის ქადაგებაში წარმოთქვა, რომ ეს წყვდიადი ზებუნებრივი წარმოშობისაა. ღვთისმსახურება სხვა ეკლესიებშიც ტარდებოდა. თავიანთ იმპროვიზირებულ ქადაგებებში პასტორები იყენებდნენ იმ ადგილებს წმიდა წერილიდან, რომლებიც ამ მოვლენებზე მიუთითებდნენ... განსაკუთრებით ჩამობნელდა 11 საათის შემდეგ". "ქვეყნის ბევრ ადგილას შუადღისას იმდენად ბნელოდა, რომ სანთლების გარეშე შეუძლებელი იყო საათის

ციფერბლატის გარჩევა, სადილობა და რაიმე სხვა საქმის კეთება".

წყვდიადში ჩაიძირა უზარმაზარი ტერიტორიები - ფალმუტის ალმოსავლეთიდან ...კონეკტიკუტისა და ალბანის შორეულ დასავლეთ საზღვრებამდე. სამხრეთში წყვდიადმა მოიცვა ზღვის მთელი სანაპირო, ხოლო ჩრდილოეთით - ამერიკის მთელი დასახლებები.

დღის ბოლოს, დაღამებამდე ერთი-ორი საათით ადრე, ღრმა წყვდიადი გაიფანტა, ცა ნაწილობრივ გადაიწმინდა, მზე გამოჩნდა, თუმცა შავი, სქელი ნისლი კვლავ შემოხვეოდა მას. "მზის ჩასვლის შემდეგ ცა კვლავ ღრუბლებით დაიფარა და ძალიან მალე დაბნელდა. ღამის სიბნელეც ისეთივე უჩვეულო

და საშინელი იყო, როგორც დღისით; მიუხედავად სავსე მთვარისა, სანთლების გარეშე რაიმეს გარჩევა შეუძლებელი იყო. ისინი ოდნავ ბჟუტავდა სახლების ფანჯრებში, რომლებიც თითქოს ეგვიპტურ უკუნეთ ბნელში ჩაფლულიყვნენ". ერთ-ერთი თვითმხილველი აღწერს: "მე სულ იმას ვფიქრობდი, რომ თუნდაც ყველა ციური მნათობი სქელი ნისლით რომ შემოსილიყო ან სრულებით ჩამქრალიყო, დედამიწა მაშინაც კი არ იქნებოდა ასეთი წყვდიადით მოცული". სალამოს 9 საათზე ამოვიდა სავსე მთვარე, მაგრამ "მანაც ვერ გაფანტა უკუნეთი სიბნელე". შუალამისას წყვდიადი გაიფანტა და გამოჩნდა მუქი სისხლისფერი მთვარე".

ეს დღე, 1780 წლის 19 მაისი, ისტორიაში შევიდა "პირქუში დღის" სახელწოდებით. მოსეს პერიოდიდან ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, რომ ამგვარი სქელი ნისლი ასეთ უზარმაზარ ტერიტორიაზე ასეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოწოლილიყო. თვითმხილველთა მიერ ამ მოვლენათა აღწერა მხოლოდ სუსტი გამოძახილია უფლის სიტყვისა, იოველ წინასწარმეტყველის მიერ მათ აღსრულებამდე 25 საუკუნით ადრე რომ დაიწერა: "მზე დაბნელდება და მთვარე გასისხლიანდება, სანამ დადგებოდეს უფლის დღე, დიდი და საშინელი" (იოვ. 2:31). ქრისტემ თავის ხალხს დაუბარა, თვალყური ედევნებინათ მისი მოსვლის

ნიშნებისათვის, რათა შეემჩნიათ და სიხარულით აღენიშნათ მეუფის მოსვლის მოახლოება. "როცა ამის აღსრულება დაიწყება, გაიმართეთ და თავი ასწიეთ, რადგან ახლოვდება თქვენი ხსნა". მან თავის მიმდევართ გაზაფხულის ახლად აკვირტულ ხეებზე მიუთითა: "როცა ისინი უკვე იფოთლებიან, შეხედავთ და თვითონ იცით, რომ უკვე ახლოა ზაფხული; ასევე თქვენ, როცა იხილავთ ყოველივე ამის ახდენას, იცოდეთ, რომ ახლოა ღვთის სასუფეველი" (ლუკ. 21:28,30,31).

მაგრამ, რადგან მორჩილებამ და ერთგულებამ ეკლესიაში ადგილი დაუთმო სიამაყესა და ფორმალიზმს, ქრისტეს მიმართ სიყვარული და მისი მოსვლის რწმენა განელდა.

ამქვეყნიური პრობლემებით გადატვირთულმა და სიამოვნებათა მიმდევარმა ადამიანებმა, ვინც თავს ღვთის ხალხად თვლიდა, უგულვებელყვეს მაცხოვრის დარიგება მისი მეორედ მოსვლის ნიშნების შესახებ. მისი ეს მოძღვრება უყურადღებოდ დარჩა, ხოლო ამ საკითხთან დაკავშირებული წმიდა წერილის ტექსტები ცრუ განმარტებათა ნისლით დაიფარა, სანამ ჭეშმარიტება სრულ დავიწყებას არ მიეცა. ეს განსაკუთრებით ამერიკის ეკლესიებს ეხებოდა. საზოგადოების ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი თავისუფლება და აწყობილი ცხოვრება, სიმდიდრისაკენ პატივმოყვარული სწრაფვა, გამდიდრების, სახელისა და

ძალაუფლების მოხვეჭის დაუოკებელი სურვილი, რაც თითქმის ყველასათვის ადვილად მისაღწევი ჩანდა, - ამ ყველაფრის გამო ადამიანთა ინტერესები, იმედები და ყურადღება ამქვეყნიურმა ცხოვრებამ მიიპყრო და შორეულ მომავალში იქნა გადასროლილი ის დიდებული დღე, როცა მიწიერი ცხოვრების წესი სამუდამოდ შეწყვეტს თავის არსებობას.

მიუთითებდა რა თავისი მეორედ მოსვლის ნიშნებზე, მაცხოვარმა წინასწარ განჭვრიტა ის უდიდესი განდგომილება, რომელსაც ადგილი ექნებოდა მისი მეორედ მოსვლის წინ. ამ დროს კაცობრიობა იმავე მდგომარეობაში იქნება, როგორც იყო

ნოეს დღეებში: ადამიანები მთლიანად ჩაეფლობიან ამქვეყნიურ საქმეებსა და სიამოვნებებში: ჭამენ, სვამენ, იყიდიან, გაყიდიან, ააშენებენ, იქორწინებენ და სრულიად დაივიწყებენ ღმერთსა და მომავალ საუკუნო სიცოცხლეს. ქრისტემ ამ პერიოდის ყველა მცხოვრები გააფრთხილა: "გაფრთხილდით, რომ არ დამძიმდეს თქვენი გული ღრეობით, ლოთობითა და სიცოცხლეზე ზრუნვით და იმ დღემ არ გიწიოთ მოულოდნელად". "მაშ, ყოველჟამს იფხიზლეთ და ილოცეთ, რათა ღირსნი იქმნეთ იმისა, რომ თავი დაალწიოთ ყველაფერს, რაც მოიწევა და კაცის ძის წინაშე წარსდგეთ" (ლუკ. 21:34,36).

მაცხოვარი ასე აღწერს ამ პერიოდის ეკლესიის მდგომარეობას: "გაქვს სახელი, თითქოს ცოცხალი იყო, შენ კი მკვდარი ხარ". უფალი ასეთ საზეიმო გაფრთხილებას აძლევს მათ, ვინც უზრუნველ ცხოვრებას არის მიჩვეული: "და თუ არ იფხიზლებ, მოვალ, როგორც ქურდი, და ვერ გაიგებ, რა დროს მოგივალ" (გამოცხ. 3:3).

ადამიანებმა აუცილებლად უნდა იგრძნონ თავიანთი სახიფათო მდგომარეობა და მოემზადონ სიძნელეებთან შესახვედრად, რომელიც უკანასკნელ გამოცდასთან არის დაკავშირებული. უფლის წინასწარმეტყველი ამბობს: "რადგან დიდია უფლის დღე და ძალზე საშინელი. ვინ გაუძლებს მას?" (იოვ.

2:11). ᲮᲝᲚᲚᲝ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲣᲫᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ, ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ: "ᲡᲣᲤᲗᲐᲐ ᲡᲐᲮᲔᲓᲕᲔᲚᲜᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲠ ᲫᲐᲚᲒᲘᲫᲡ ᲡᲘᲐᲕᲘᲡ ᲭᲕᲠᲔᲢᲐ" (ᲐᲑᲐᲙ. 1:13). ᲮᲝᲚᲚᲝ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ: "ᲦᲛᲔᲠᲗᲝ ᲩᲔᲛᲝ! ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲒᲘᲪᲐᲜᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜ", ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲔᲡ ᲐᲦᲗᲥᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲡ ᲡᲪᲔᲡ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘ (ᲝᲡᲘᲐ, 8:2,1; ᲤᲡ. 15:4), ᲒᲣᲚᲨᲘ ᲐᲦᲐᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲣᲠᲯᲣᲚᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲬᲛᲘᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐᲗ, ᲣᲤᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ "ᲬᲧᲕᲓᲘᲐᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲣᲥᲘᲡ ᲜᲐᲦᲐᲛᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲘ" (ᲐᲛᲝᲡ. 5:20). "ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲐᲛᲠᲐᲠᲘᲗ ᲛᲝᲕᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲡ ᲓᲐᲕᲓᲔᲑ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲤᲣᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲤᲣᲔᲑᲣᲚᲗ, ᲒᲣᲚᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ: "ᲐᲠᲪ ᲙᲐᲠᲒᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲣᲤᲐᲚᲘ, ᲐᲠᲪ ᲪᲣᲓᲡᲝ" (ᲡᲝᲤ.

1:12). "მოვკითხავ ქვეყნიერებას მის სიავეს და ბოროტეულთ - მათ დანაშაულს; ბოლოს მოვუღებ ამპარტავანთა ქედმაღლობას და მტარვალთა სიამაყეს დავამდაბლებ" (ეს. 13:11). "ვერც ვერცხლი, ვერც ოქრო ვერ იხსნის მათ უფლის რისხვის დღეს... განიავდება მათი ქონება და გაუკაცურდება მათი სახლები" (სოფ. 1:13,18).

იერემია წინასწარმეტყველი ამ საშინელი პერიოდის შესახებ ამბობს: "მიკვნესის გული! ვერ დავდუმდები, რადგან ბუკის ხმა გესმის, სულო ჩემო, საბრძოლო ყიჟინა. უბედურება უბედურებას მოსდევს" (იერ. 4:19,20).

"რისხვის დღეა ის დღე, ჭირისა და სიმწრის დღე, ნგრევისა და მოოხრების დღე, სიბნელისა და

წყვდიადის დღე", ჯანღისა და ბურუსის დღე, ბუკისა და ყიჟინის დღე" (სოფ. 1:15,16). "აჰა, მოდის უფლის დღე... ქვეყნიერების იავარსაყოფად და ცოდვილთა წარსახოცად მისი პირისაგან" (ეს. 13:9).

ამ "საშინელი დღის" მოლოდინში ღვთის სიტყვა სერიოზულად და დამაჯერებლად მოუწოდებს ღვთის ხალხს, "გამოფხიზლდნენ და მონანიებითა და მორჩილებით ეძებონ უფალი". "ჩაბერეთ საყვირს სიონზე, დაეცით ყიჟინა ჩემს წმიდა მთაზე! დაე, შეძრწუნდნენ ქვეყნის მკვიდრნი, რადგან უფლის დღე მოდის, ახლოვდება". "დათქვით მარხვა და გამოაცხადეთ ჯარობა. შეჰყარეთ ერი, მოიწვიეთ

საკრებულო, შეკრიბეთ უხუცესობა, შეყარეთ ჭაბუკები... გამოვიდეს სიძე თავისი პალატიდან და პატარძალი თავისი სანთიობოდან! ატირდებიან კარიბჭესა და სამსხვერპლოს შორის მღვდლები, უფლის მსახურნი". "მოიქეცით ჩემსკენ მთელი გულით, მარხვით და მოთქმა-გოდებით. გული დაიგლიჯეთ და არა სამოსელი. დაუბრუნდით უფალს, თქვენს ღმერთს; მოწყალე და შემბრალებელია იგი, სულგრძელი და მრავალმადლიანი" (იოვ. 2:15-18,12,13).

იმისათვის, რომ ღვთის ხალხმა გაუძლოს უფლის დღეს, უდიდეს რეფორმათა განხორციელება იყო საჭირო. უფალი ხედავდა, რომ ბევრნი მისი ხალხიდან არ ირჯებიან საუკუნო სასუფევლისათვის; და

მაშინ მან თავისი მოწყალებით წინასწარ გააფრთხილა ისინი, რათა გამოფხიზლებულიყვნენ და უფლის შესახვედრად მომზადებულიყვნენ.

ეს გაფრთხილება შესულია გამოცხადების წიგნის მე-14 თავში, სადაც კარგად ჩანს, რომ სამი ანგელოზის გაფრთხილების შემდეგ დგება კაცის ძის მოსვლის ჟამი, "რათა მოემკა სამკალი დედამიწაზე". პირველი ანგელოზის სახარება გვაფრთხილებს სამსჯავროს დადგომის შესახებ. წინასწარმეტყველმა დაინახა ანგელოზი, "რომელიც ზეცის შუა დაფრინავდა. მას ჰქონდა მარადიული სახარება, დედამიწის მკვიდრთათვის - ყოველი ერის და ტომის, ენისა და ხალხისათვის

სახარებლად; ამბობდა დიდი ხმით: "გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას, ვინაიდან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი. თაყვანი ეცით ცისა და დედამიწის, ზღვისა და წყალთა წყაროების შემქმნელს" (გამოცხ. 14:6,7).

ეს გაფრთხილება "მარადიული სახარების" ნაწილია. სახარების ქადაგება უფალმა დააბარა არა ანგელოზებს, არამედ ადამიანებს. ანგელოზებმა კი უნდა უხელმძღვანელონ ადამიანთა გადარჩენის ამ დიადი მოძრაობის საქმეს. სახარების ქადაგების საქმე დედამიწაზე - ღვთისმსახურთა საქმეა.

და ამ სახარებას დედამიწის ყველა კუთხეში ქადაგებდნენ ღვთისა და

მისი სიტყვის მორჩილი ადამიანები - ისინი, ვინც მიმართა "უმტკიცეს წინასწარმეტყველურ სიტყვას, რომელიც ბნელში ანათებს, როგორც ლამპარი, ვიდრე დღე გათენდებოდეს და ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდოდეს" (2პეტ. 1:19). ისინი ეძებდნენ უფალს, ყველაზე ძვირფასს სხვა საგანძურთა შორის, რადგან იცოდნენ, რომ სიბრძნის შეძენა "სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი - ხალას ოქროს" (იგავ. 3:14). და უფალმა გაუხსნა მათ სასუფევლის უდიდესი ჭეშმარიტებანი. "საიდუმლო უფლისა - მოშიშთა მისთა და თავის აღთქმას აუწყებს მათ. (ფს. 24:14).

ისინი, ვინც შეიცნო ჭეშმარიტება და უქადაგა იგი მსოფლიოს, არ

იყვნენ განსწავლული ღვთისმეტყველნი. ისინი უფლის ერთგული დარაჯნი რომ ყოფილიყვნენ, ეცოდინებოდათ, რომ ჩამოწვა ღამის სიბნელე; წინასწარმეტყველება მათ მომავლის მოვლენებს გაუმხელდა. მაგრამ ისინი არ აღმოჩდნენ უფლის ერთგულნი და ამიტომ სახარების ქადაგება უბრალო ადამიანებს დაევალათ: "იარეთ სანამ ნათელი გაქვთ, რათა ბნელმა არ მოგიცვათ" (იოან. 12:35). ის, ვინც არ ღებულობს ღმერთის მიერ გამოგზავნილ ნათელს ან არ ეძებს მას, ბნელში რჩება. მაგრამ მაცხოვარი ამბობს: "ვინც წამომყვება, ბნელში აღარ ივლის, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას" (იოან. 8:12). ვინც გულმოდგინედ ცდილობს ღვთის

ნების აღსრულებას, ვინც მის მიერ გამოგზავნილ ნათელს ღებულობს, უფრო დიდ ნათელს მიიღებს. ასეთი სულისათვის კაშკაშა ვარსკვლავი უფრო მეტად გაბრწყინდება, რათა მთელი ჭეშმარიტება გაუხსნას.

ქრისტეს პირველად მოსვლის დროს მღვდლებსა და მწიგნობრებს, ვისაც უფლის ჭეშმარიტების გავრცელება ევალებოდათ, შეეძლოთ გამოეცნოთ ნიშნები და დრო და ეცნობებინათ ალთქმული მესიის მოსვლის შესახებ. მიქას წინასწარმეტყველებაში მითითებული იყო მესიის დაბადების ადგილი; დანიელ წინასწარმეტყველმა განსაზღვრა მისი დაბადების თარიღი (მიქა 5:1; დან. 9:25). ეს წინასწარმეტყველებანი უფალმა ებრაელი ხალხის

წინამძღოლებს მიანდო, რომელთაც არა აქვთ არავითარი გამართლება, რადგან ვერ განსაზღვრეს, რომ მესია უკვე ახლოსაა და არ აცნობეს ხალხს ამის შესახებ. ასეთი უმეცრება მათი ურწმუნოების შედეგი იყო. იუდეველები ძეგლებს უგებდნენ ღვთის წამებულ წინასწარმეტყველთ და იმავდროულად, მიაგებდნენ რა პატივს ამა სოფლის ძლიერთ, სატანის მსახურნი ხდებოდნენ. თავისი ამბიციებისა და საზოგადოებაში პირველობისათვის ბრძოლის გამო მათ მხედველობიდან გამორჩათ ზეციური მეფის შემოთავაზებული ღვთიური წყალობა და კურთხევა.

ისრაელის უხუცესობას ძირფესვიანად და წრფელი ინტერესით უნდა შეესწავლა

მსოფლიო ისტორიაში უდიდესი მოვლენის ადგილის, დროისა და მდგომარეობის - უფლის ძის ადამიანთა გამოსასყიდად მოსვლის შესახებ. მთელი ერი მზად უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ერთ-ერთი პირველთაგანი მისალმებოდა ქვეყნიერების გამომხსნელს. მაგრამ ამაოდ! ორი დაღლილი მგზავრი ნაზარეთიდან მოვიდა ბეთლემში და ღამის გასათევის ამაოდ ძებნაში მთელი ქალაქი შემოიარეს. კარი არავინ გაუღო და ბოლოს თავშესაფარი საქონლის ბოსელში იპოვეს. სწორედ იქ დაიბადა ქვეყნიერების მხსნელი.

ზეციურ ანგელოზებს ნანახი ჰქონდათ მამისა და ძის დიდება სამყაროს შექმნამდე და ახლა მეტად

დაძაბული ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს დედამიწაზე მის დაბადებას - მოვლენას, რომელსაც უდიდესი სიხარული უნდა მოეტანა ყველა ადამიანისათვის. ანგელოზებს ნაბრძანები ჰქონდათ, ემცნოთ ეს სასიხარულო ამბავი ყველასათვის, ვინც მზად იყო მის მისაღებად და ვინც ამ ბედნიერებას სხვებს გაუზიარებდა. ქრისტემ დაიმდაბლა თავი, მოვიდა რა ადამიანის სახით წუთისოფლის ცოდვებისაგან გამოსასყიდად. მას თავის თავზე უნდა აელო ენით აუწერელ ტანჯვათა სიმძიმე, მაგრამ ანგელოზებს სურდათ, რომ ასეთ დამცირებულ მდგომარეობაშიც კი უზენაესის ძე ადამიანებს თავის დიდებაში

ეხილათ. ნუთუ ამა სოფლის ძლიერნი არ შეიკრიბებიან იერუსალიმში, ისრაელის დედაქალაქში და არ მიესალმებიან მის დაბადებას? - ფიქრობდნენ ისინი. - ნუთუ ანგელოზთა ლეგიონები არ წარუდგენენ უფლის ძეს მის მომლოდინე ხალხს?

ანგელოზი ჩამოვიდა დედამიწაზე, რათა გაეგო, თუ ვინ მოემზადა იესოსთან შესახვედრად. მაგრამ ვერსად შეამჩნია მოლოდინის ნიშანწყალი. ვერ გაიგონა ქება-დიდების ვერავითარი შეძახილი იმის შესახებ, რომ მესია სულ მალე მოვა. ანგელოზი დიდხანს დაფრინავდა იმ ქალაქისა და ტაძრის თავზე, სადაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ისრაელს უფლის დიდება

ეცხადებოდა, მაგრამ აქაც სრული გულგრილობა დაინახა. ამაყ და ზარ-ზეიმის მოყვარულ მღვდლებს ტაძარში გაუწმიდურებული მსხვერპლი მოჰქონდათ შესაწირავად. ფარისევლები კი ხმამაღლა მიმართავდნენ ხალხს ან ყველა გზაჯვარედინზე, ყველას გასაგონად და დასანახად ლოცულობდნენ. სამეფო პალატებში, ფილოსოფოსთა შეკრებებზე და რაბინთა სკოლებში - არსად არავინ იყო მზად ამ საუკუნო ამბის მისალებად, რომელმაც მთელი ზეცა სიხარულითა და ქება-დიდებით აავსო. ვერავინ იგრძნო იმ მომენტის დადგომა, როდესაც დედამიწაზე ქვეყნიერების მხსნელი უნდა დაბადებულიყო.

ვერსად შეამჩნია ანგელოზმა ქრისტეს მოლოდინის რაიმე ნიშანიც კი: არავითარი მზადება სიცოცხლის მეფესთან შესახვედრად! შეშფოთებულ და განცვიფრებულ ანგელოზს ის-ის იყო უნდა დაეტოვებინა დედამიწა და ამ სამარცხვინო ცნობით ზეცაში დაბრუნებულიყო, როდესაც ერთგან მწყემსების ჯგუფი შეამჩნია, რომლებიც თავიანთ ფარას დარაჯობდნენ. ისინი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეჰყურებდნენ და მომავალი მესიის შესახებ წინასწარმეტყველებაზე მსჯელობდნენ. აშკარა იყო, რომ მათ მთელი თავისი არსებით სურდათ გამომსყიდველის მოსვლა. ზეციური უწყების მისაღებად სწორედ ეს

ადამიანები იყვნენ მზად და სწორედ მათ გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც ეს უდიდესი სიხარული ამცნო. ზეციური დიდებით აივსო მინდორი, უეცრად გაჩნდა ანგელოზთა დიდძალი გუნდი, რადგან სიხარული მეტად დიდი იყო იმისათვის, რომ მხოლოდ ერთ მაცნეს ეხარებინა იგი კაცობრიობისათვის და გაისმა მრავალხმიანი საზეიმო გალობა, რომელსაც მომავალში ყველა გამოსყიდული იმღერებს: "დიდება მაღალთა შინა ღმერთს, მშვიდობა ქვეყანაზე, და კაცთა შორის სათნოება!" (ლუკ. 2:14).

    რა მნიშვნელოვანი გაკვეთილია ჩადებული ამ ისტორიაში, რომელიც ბეთლემში მოხდა! როგორ ამხელს იგი ჩვენს ურწმუნოებას, სიამაყესა და

თვითკმაყოფილებას! როგორ გვაფრთხილებს და გვიცავს დანაშაულებრივი გულგრილობისაგან, რომელმაც შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ვერ შევამჩნიოთ დროის ნიშნები და ვერ გავიგოთ უფლის მოსვლა!

არა მარტო იუდას გორაკებზე და უბრალო მწყემსთა შორის ნახეს ანგელოზებმა მესიის მომლოდინენი. წარმართთა შორისაც იყვნენ ადამიანები, ვინც მის მოსვლას ელოდებოდნენ - ალმოსავლეთის ბრძენი, მდიდარი და დიდგვაროვანი ფილოსოფოსები. ისინი დაკვირვებით სწავლობდნენ ბუნებისმეტყველებას, რომელშიც შემოქმედის ხელს ხედავდნენ. ებრაელთა წერილებიდან მათ გაიგეს

იაკობის ვარსკვლავის შესახებ და მოუთმენლად ელოდნენ მის გამოჩენას, რომელიც არა მარტო "ისრაელის ნუგეშისცემა" იქნებოდა, არამედ "ნათელი წარმართთა გასაბრწყინებლად", "ხსნად ქვეყნის კიდემდე" (ლუკ. 2:25,32; საქ. 13:47). ისინი ეძებდნენ ნათელს და უფლის ტახტიდან გამოსულმა ნათელმაც არ დააყოვნა და გაანათა მათი გზები. იმ დროს, როდესაც იერუსალიმის სამღვდელოება და მოძღვრები, ჭეშმარიტების კანონიერი შემნახველნი და დამცველნი ბნელით იყვნენ მოცულნი, ზეციურ ვარსკვლავს წარმართები მეფის დაბადების ადგილისაკენ მიჰყავდა.

მის მომლოდინე ხალხისათვის კი ქრისტე "მეორედ გამოჩნდება ...მის

მომლოდინეთა სახსნელად" (ებრ. 9:28). მაცხოვრის დაბადების ამბის მსგავსად, მისი მეორედ მოსვლის სახარება უფალმა არ მიანდო ხალხის რელიგიურ წინამძღოლებს. ისინი შორს იყვნენ ღმერთისაგან და უარყვეს ზეცით მოვლენილი ნათელი. ამიტომაც მათ შესახებ არ წერს პავლე მოციქული, როცა ამბობს: "მაგრამ თქვენ, ძმებო, სიბნელეში არ იმყოფებით, რომ დღე ქურდივით წამოგეწიოთ. ვინაიდან თქვენ ყველანი ნათლის შვილები ხართ და დღის შვილები; არც ღამისანი ვართ ჩვენ და არც ბნელისანი" (1თეს. 5:4,5).

სიონის კედლების გუშაგებს პირველებს უნდა მიელოთ სახარება მესიის მოსვლის შესახებ. პირველებს უნდა აემაღლებინათ ხმა ადამიანთა

გასაფრთხილებლად და მასთან შესახვედრად მოემზადებინათ. მაგრამ ისინი განცხრომით ცხოვრობდნენ, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ოცნებობდნენ, ხალხი კი ცოდვის ძილქუშში ეფლობოდა. იესო ხედავდა, რომ მისი ეკლესია ჰგავდა ლელვის ხეს, რომელიც უხვად არის ფოთლებით შემოსილი, მაგრამ ძვირფას ნაყოფს არ იძლევა. ეკლესია ამაყობდა რელიგიურ ფორმალობათა დაცვით, მაგრამ მასში არ იყო მორჩილების, მონანიებისა და ჭეშმარიტი რწმენის სული - ის, რაც ღმერთს სწადია. სულის ნაყოფის ნაცვლად თავი იჩინა სიამაყემ, ფორმალიზმმა, საკუთარ თავზე ზრუნვამ, პატივმოყვარეობამ, ანგარებამ და იძულებამ.

განდგომილმა ეკლესიამ ვერ შეამჩნია დროის ნიშნები. ღმერთს არ დავიწყებია თავისი ეკლესია. ეკლესიისადმი მისი ერთგულება უცვლელი იყო, მაგრამ თვით ეკლესია განუდგა მას და მის სიყვარულს. მან უარი თქვა პირობის შესრულებაზე და ამიტომ უფალს არ შეეძლო თავისი კურთხევის მათზე გადმოფრქვევა.

ასეთია გარდაუვალი შედეგი სინათლის უარყოფისა და იმ უპირატესობაზე უარის თქმისა, რომელსაც ღმერთი გზავნის. თუკი ეკლესია არ ივლის უფლის მიერ მითითებულ ჭეშმარიტ გზაზე, თუკი იგი არ მიიღებს მისგან გამოგზავნილი სინათლის ყოველ სხივს და არ შეასრულებს თავის

მოვალეობას მის წინაშე, მაშინ რელიგია უბრალო ფორმალობად იქცევა და პრაქტიკული ღვთისმოსაობის სული დატოვებს მას. ეს ჭეშმარიტება არაერთხელ დამტკიცებულა ეკლესიის ისტორიაში. უფლის მიერ მინიჭებულ უპირატესობათა და წყალობათა შესაბამისად, უფალი თავისი ხალხისაგან ითხოვს რწმენასა და მორჩილებას. მორჩილება კი ნიშნავს თავგანწირვასა და ჯვარს და ამ მიზეზის გამო ბევრმა ეგრეთ წოდებულმა ქრისტეს მიმდევარმა უარი თქვა ზეციური ნათლის მიღებაზე და ძველ იუდეველთა მსგავსად, "ვერ შეიცნო მისი მონახულების ჟამი" (ლუკ. 19:44). უფალმა გვერდი აუარა მათ, ამაყთა

და ურწმუნოთ და თავისი ჭეშმარიტება გაუხსნა მათ, ვინც ბეთლემის მწყემსთა და აღმოსავლეთის ბრძენთა მსგავსად, მიიღო ზეცით გამოგზავნილი მთელი ნათელი.

თავი 18 ახალი ნათელი ახალ ქვეყანაში

/ამერიკელი რეფორმატორი/

უილიამ მილერი ერთი პატიოსანი და მოკრძალებული ფერმერი იყო, რომელსაც წმიდა წერილის ღვთიური ავტორიტეტის მიმართ მტკიცე რწმენა არ გააჩნდა, თუმცა ჭეშმარიტების შეცნობა გულწრფელად სურდა. სწორედ იგი აირჩია უფალმა ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ ქადაგებისათვის. მრავალ სხვა

რეფორმატორთა მსგავსად, უილიამ მილერი ადრეული ყმაწვილობიდან ებრძოდა სილარიბეს და არსებობისათვის ბრძოლამ მას ბევრი რამ ასწავლა; მათ შორის ორი უდიდესი რამ: საკუთარ სურვილებზე უარის თქმა და ძალების მოკრების უნარი. მისი ოჯახის წევრები დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვით, თავისუფლებისა და სამშობლოს მხურვალე სიყვარულით გამოირჩეოდნენ; ერთი სიტყვით, მისი ხასიათის ძირითადი თვისებებიც სწორედ ეს გახდა. მამამისი რევოლუციური არმიის კაპიტანი იყო და ოჯახმა დიდი მსხვერპლი გაილო ამ ბრძოლისა და ტანჯვის მძიმე პერიოდში. სწორედ ამან განაპირობა

მილერის შეჭირვებული ცხოვრება ახალგაზრდობაში.

ფიზიკურად მეტად ძლიერი და ჯანმრთელი უილიამ მილერი ბავშვობიდანვე განსაკუთრებული ნიჭითა და გონებით გამოირჩეოდა, რაც მის ზრდასთან ერთად სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა. მისი შემოქმედებითი და განვითარებული ბუნება ცოდნის შეძენისაკენ ისწრაფოდა. თუმცა მას არ ხვდა წილად ბედნიერება, განათლება მიელო უნივერსიტეტში, მაგრამ ცოდნის მიღების უდიდესმა სურვილმა, სწავლის სიყვარულმა, სერიოზული მსჯელობის უნარმა და გულმოდგინე მეცადინეობამ იგი იმ ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა რიგებში ჩააყენა,

რომელთაც ჯანსაღი მსჯელობის უნარი გააჩნიათ. ეს იყო მაღალი ზნეობისა და უმწიკვლო რეპუტაციის მქონე პიროვნება, ყველასგან პატივცემული თავისი პატიოსნების, მომჭირნეობისა და კეთილმოსურნეობის გამო. თავისი ენერგიული შრომისა და გულმოდგინების წყალობით მან სულ მალე მიაღწია მატერიალურ დამოუკიდებლობას, თუმცა პარალელურად სწავლა-განათლების მიღება არასოდეს შეუწყვეტია. დიდ წარმატებებს მიაღწია სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობებზე ყოფნის დროს და მისთვის სიმდიდრისა და დიდებისაკენ გზა ხსნილი იყო.

მილერს დედა მეტად ღვთისმოსავი ჰყავდა და ბიჭიც რელიგიურ

ატმოსფეროში გაიზარდა. მაგრამ ახალგაზრდა მილერი მოხვდა დეისტთა საზოგადოებაში, რომელნიც თავისი კეთილი, ჰუმანური ქმედებებით უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ ადამიანებზე. მათ ზნეობრივ თვისებებს დიდად განაპირობებდა ის ქრისტიანული გარემოცვა, რომელშიც ცხოვრება უხდებოდათ. რასაკვირველია, თავის მალალ ზნეობრივ თვისებებს, საზოგადოების პატივისცემასა და ნდობას ბიბლიას უმადლოდნენ, მაგრამ წმიდა წერილის ჭეშმარიტებებს იმდენად დამახინჯებულად სწავლობდნენ, რომ ეს ხალხი საზოგადოებაზე, ნებით თუ უნებლიეთ, ღვთის სიტყვის საწინააღმდეგო გავლენას

ახდენდა. მათთან ურთიერთობისას მილერმა თავისდაუნებურად მათი თვალსაზრისი გაიზიარა. იმდროინდელი ბიბლიური ახსნა-განმარტება ისეთ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რომ მილერს იგი შეუძლებლად მიაჩნდა. მისმა ახალმა რელიგიამ, რომელიც უარყოფდა ბიბლიას და სანაცვლოს არაფერს მატებდა მის სულს, ვერ დააკმაყოფილა იგი. მიუხედავად ამისა, იგი დეისტთა თვალსაზრისს 12 წლის განმავლობაში იზიარებდა. 34 წლის ასაკში, სულიწმიდის ძალის ზემოქმედებით შეიცნო თავისი ცოდვილი მდგომარეობა. თავის რელიგიაში მან ვერ ჰპოვა რწმენა სიკვდილის შემდეგ ბედნიერი ცხოვრების შესახებ. ამიტომ

მომავალი წყვდიადით მოცული და საიდუმლოებით ალსავსე ეჩვენებოდა. შემდგომში, თავისი მტანჯველი ფიქრების გახსენებისას, იგი ამბობდა:

"სიკვდილზე ფიქრი იმდენად ამაზრზენი და საშინელი იყო, რომ მთელი სხეული სიცივისაგან მეკუმშებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პასუხისმგებლობის მტანჯველი გრძნობა საყოველთაო დალუპვისაკენ მიმაქანებდა. ზეცა ჩემთვის იყო სპილენძი, ფეხქვეშ დედამიწა კი - რკინა. მარადიულობა - რა არის ეს? რისთვის არის საჭირო სიკვდილი? რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ამის შესახებ, მით უფრო ვშორდებოდი მტკიცებებს. რაც მეტს ვმსჯელობდი, მით უფრო უაზრო იყო

ჩემი დასკვნები. შევეცადე შემეწყვიტა ამაზე ფიქრი, მაგრამ საკუთარ თავს ველარ ვფლობდი. ასეთ საცოდავ მდგომარეობაში ვიყავი და ვერ გამეგო, რა ხდებოდა ჩემს თავს. ვშფოთავდი და თვითონაც არ ვიცოდი, ვის რაში ვადანაშაულებდი. ვგრძნობდი, რომ რაღაც რიგზე არაა, მაგრამ არ ვიცოდი, სად მეძებნა ჭეშმარიტება. მაშინ ვქვითინებდი და ეს იყო სასოწარკვეთილების ცრემლები."

ასეთი მდგომარეობა რამდენიმე თვეს გაგრძელდა. "უცბად, - იხსენებდა იგი, - მე მივხვდი, როგორი იყო ჩემი მაცხოვარი სინამდვილეში. თვალწინ წარმომიდგა ვიღაცა - იმდენად კეთილი და მოწყალე, რომ კვდება ჩვენი ურჯულოებისაგან

გამოსყიდვისათვის და ჩვენივე ცოდვების გამო ჩვენი კუთვნილი სასჯელისაგან გვათავისუფლებს. მაშინვე ვიგრძენი მისი სიყვარული ჩემს მიმართ და ვიფიქრე, ახლავე დავემხობი მის ფერხთით და სრულად მივენდობი მის წყალობას- მეთქი. მაგრამ მაშინვე სხვა კითხვა წამოიჭრა ჩემს გონებაში: "როგორ უნდა დავამტკიცო მისი ჭეშმარიტი არსებობა, ვინც "იყო, არის და იქნება"? და მე მივხვდი, რომ ბიბლიის გარდა, სხვაგან ვერსად ვიპოვიდი მაცხოვრის არსებობის მტკიცებას და მომავალი ცხოვრების არსს...

ბიბლიამ გადამიშალა მაცხოვრის ხასიათი, რომელიც ასე მჭირდებოდა და დავრწმუნდი, რომ მხოლოდ უფლის მიერ დაწერილ

ღვთივსულიერ წიგნში შეიძლება იყოს ჩაწერილი ის წესები, რაც დაცემულ კაცობრიობას სჭირდება და გულში დავეთანხმე იმ აზრს, რომ წმიდა წერილი არის ღვთის გამოცხადება. ბიბლია გახდა ჩემი სიხარული და სიცოცხლის მიზანი, იესოში კი მეგობარი ვიპოვე. მაცხოვარი ჩემთვის "სხვა, ათიათასზე უკეთესი" გახდა, წერილი კი, რომელიც ადრე ასე გაუგებარ ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპების მქონე წიგნად მეჩვენებოდა, ახლა ჩემი ცხოვრების გზის მანათობელ ლამპრად გადაიქცა. მე დავმშვიდდი და დავრწმუნდი, რომ უფალი - კლდეა ჩემი ცხოვრების ოკეანეში. ამიერიდან ბიბლია გახდა ჩემი გამოკვლევების საგანი და

გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ მისი შესწავლა უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა. ამავე დროს აღმოვაჩინე, რომ აქამდე არ მსმენია ამ წიგნში მონათხრობის თითქმის ნახევარზე მეტი; მიკვირდა, რომ ადრე ვერ ვამჩნევდი მის სილამაზესა და დიდებას და უარვყოფდი მას. მასში ვპოვე პასუხი ყველა ჩემს გულისთქმაზე, ვპოვე ჩემი ყველა სულის ტკივილის წამალი. დავკარგე სხვა წიგნებისადმი ინტერესი და ჩემი გული უფლის სიბრძნის შემეცნებას მივუძღვენი".

მილერმა სახალხოდ აღიარა იმ რელიგიისადმი ერთგულება, რომელსაც ადრე უგულვებელყოფდა. მისმა ურწმუნო მეგობრებმა არ დააყოვნეს იმ მტკიცებათა

წამოყენება, რომლითაც ადრე თვით მილერი უარყოფდა წმიდა წერილის ღვთიურ წარმოშობას. მაშინ იგი ჯერ კიდევ არ იყო მზად პასუხის გასაცემად და ასე მსჯელობდა: თუკი ბიბლია ნამდვილად უფლის გამოცხადებაა, მაშინ მასში არ უნდა იყოს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები; თუკი იგი ადამიანის სასწავლებლად არის განკუთვნილი, მაშინ მისი შინაარსი გასაგები უნდა იყოს. და მან გადაწყვიტა ბიბლიის დამოუკიდებლად შესწავლა, რათა გაეგო, შეიძლებოდა თუ არა ამ მოჩვენებითი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების შეთანხმება.

გარეშე აზრთა ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით, მას არ

უსარგებლია არც ერთი კომენტარით, არამედ წერილებს ერთმანეთს ადარებდა და მხოლოდ პარალელური ადგილებითა და სიმფონიით სარგებლობდა. იგი ბიბლიას რეგულარულად და სისტემატურად სწავლობდა: დაიწყო ყოველი ტექსტის შესწავლა დაბადების წიგნიდან და გაუგებრობის შემთხვევაში დიდხანს ჩაჰკირკიტებდა ერთსა და იმავე ადგილს. ბიბლიის ძნელ ადგილებს მისი სხვა, პარალელური ტექსტებით სხნიდა. რა თქმა უნდა, წმიდა წერილის ყოველ ტექსტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მილერი მათ მნიშვნელობას სხვა ტექსტებთან შედარებით იგებდა. იგი გულმოდგინე ლოცვებით

იკვლევდა ბიბლიას: სთხოვდა უფალს, მიეცა მისთვის ღვთიური ნათელი და დახმარებოდა იმ კითხვებზე პასუხის მოძებნაში, რომელიც ადრე მისთვის დაფარული იყო. მან საკუთარი გამოცდილებით შეიცნო მეფსალმუნის სიტყვები: "საწყისი შენი სიტყვებისა ანათებს, შთააგონებს გულუბრყვილოებს" (ფს. 118:130).

განსაკუთრებული ინტერესით დანიელისა და გამოცხადების წიგნებს სწავლობდა, იყენებდა რა მათი განმარტებისათვის იმავე პრინციპებს, რასაც სხვა ტექსტების განხილვისას. უდიდესი სიხარულით ალმოაჩინა, რომ წინასწარმეტყველურ სიმბოლოთა გაშიფვრა შესაძლებელი ყოფილა. მან დაინახა, რომ

წინასწარმეტყველებანი სიტყვა-სიტყვით სრულდება, რომ სხვადასხვა სიმბოლოების, მეტაფორების, იგავების, შედარებებისა და სხვათა ახსნა შეიძლება ტექსტების ურთიერთდამოკიდებულებით ან მათში ჩადებული აზრი წმიდა წერილის სხვა ადგილებით განიმარტება და აქედან გამომდინარე, ისინი პირდაპირი მნიშვნელობით შეიმეცნება. "ამ გზით იმ დასკვნამდე მივედი, - ამბობდა მილერი, - რომ ბიბლია - ეს არის ნათელ ჭეშმარიტებათა სისტემა, იმდენად უბრალო და ადვილად გასაგები, რომ ამისთვის განათლება სულაც არ არის საჭირო". წინასწარმეტყველებათა გრძელ ჯაჭვს ის თანდათანობით, რგოლიდან რგოლამდე წარმატებით

სწავლობდა და მისი მცდელობა წარმატებით დაგვირგვინდა. მის აზრებს ზეციური ანგელოზები მართავდნენ და მას გონებას უხსნიდნენ.

იმაზე დაყრდნობით, რომ წარსულის ყველა წინასწარმეტყველება ზუსტად ალსრულდა, მილერი დარწმუნდა, რომ ასევე ზუსტად ალსრულდება წინასწარმეტყველება მომავლის მოვლენების შესახებ. ამგვარად, მან გააკეთა დასკვნა, რომ საყოველთაოდ გავრცელებული აზრი ქრისტეს სულიერ სასუფეველზე - კაცობრიობის ისტორიის დასასრულის წინა ათასწლიან პერიოდზე - არ მტკიცდება ღვთის სიტყვით. ამ თეორიის თანახმად,

რომელიც უფლის მეორედ მოსვლის წინა პერიოდს სიმართლისა და მშვიდობის პერიოდს უწოდებს, უფლის დღე, დიდი და საშინელი, მეტად შორეული დროისათვის გადაიწეოდა. რამდენადაც დამამშვიდებლად არ უნდა გამოიყურებოდეს ეს თეორია, იგი სრულად ეწინააღმდეგება ქრისტესა და მის მოციქულთა მოძღვრებას, რომლებიც ქადაგებდნენ, რომ ხორბალი და ღვარძლი ერთად უნდა გაიზარდოს, სანამ არ დადგება მკის დრო, ე.ი. მსოფლიოს აღსასრული, რომ "ბოროტი ადამიანები და ცრუმარქვიები წინ წაიწევენ უარესისკენ, სხვებსაც აცდენენ და თავადაც ცდუნებაში იქნებიან" (მათ. 13:30,38-41; 2ტიმ. 3:13,1), "და

უკანასკნელ დღეებში დადგება საზარელი ჟამი", ხოლო გაბატონებული ბოროტების სამეფო იარსებებს უფლის მოსვლის დღემდე, "რომელსაც უფალი იესო გაანადგურებს თავის ბაგეთა სულით და განაქარვებს თავისი მოსვლის გამოცხადებით" (იხ. 2თეს. 2:8).

მოციქულთა დროის ეკლესია არ ალიარებდა აზრს მთელი სამყაროს უფლისკენ მოქცევისა და ქრისტეს სულიერი სასუფევლის დამყარების შესახებ. ამ დოქტრინას ქრისტიანთა მიერ XVIII
არ ჰქონდა ფართო აღიარება. სხვა მრავალ შეცდომათა მსგავსად, ამ თეორიის შედეგიც დამღუპველი იყო. ამ დოქტრინიდან გამომდინარე, ადამიანები უფლის მოსვლას

შორეულ მოვლენად მიიჩნევდნენ და არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მისი მოახლოების უკვე ალსრულებულ ნიშნებს. იგი ადამიანებში თავდაჯერებულობისა და უშიშროების გრძნობას აღძრავდა და ხალხიც უფალთან შეხვედრის სამზადისის აუცილებლობას მეტად გულგრილად ეკიდებოდა.

მილერმა აღმოაჩინა, რომ წმიდა წერილი ნათლად მიუთითებს უფლის მეორედ მოსვლის ჭეშმარიტებაზე. პავლე მოციქული ამბობს: "ვინაიდან თვითონ უფალი გადმოვა ციდან ბრძანების სიტყვით, მთავარანგელოზის ხმაზე და ღვთის საყვირზე" (1თეს. 4:16). მაცხოვარი ამბობს: "მაშინ გამოჩნდება კაცის ძის ნიშანი ზეცაში... და იხილავენ კაცის

ძეს, ცის ღრუბლებზე მომავალს, დიადი ძალითა და დიდებით". "ვინაიდან, როგორც ელვა გამოდის ალმოსავლეთიდან და თვით დასავლეთამდე ანათებს, ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც" (მათ. 24:30,27). იგი გამოჩნდება მთელი ზეციური მხედრობის თანხლებით: "მოვა კაცის ძე თავისი დიდებით და ყველა ანგელოზი მასთან ერთად" (მათ. 25:31). "მოავლინებს თავის ანგელოზებს დიდხმიანი საყვირით და შეკრებენ მის რჩეულებს" (მათ. 24:31). მისი მოსვლისას ქრისტეში მკვდარნი აღდგებიან; ცოცხალნი კი - შეიცვლებიან: "ყველანი არ განვისვენებთ, - ამბობს პავლე მოციქული, - მაგრამ ყველანი შევიცვლებით ერთ წამში, თვალის

დახამხამებაზე, უკანასკნელი საყვირისას; ვინაიდან დასძახებს საყვირი და მკვდრები აღდგებიან უხრწნელად, ხოლო ჩვენ შევიცვლებით. ვინაიდან ეს ხრწნადი უხრწნელობით უნდა შეიმოსოს და ეს მოკვდავი უკვდავებით" (1კორ.15:51-53). თავის წერილში თესალონიკელთა მიმართ იგი ასე ალწერს ქრისტეს მოსვლის შემდგომ მოვლენებს: "ჯერ ქრისტეში მკვდარნი აღდგებიან, შემდეგ კი ჩვენ, ცოცხლად დარჩენილები, მათთან ერთად ვიქნებით ზეატაცებულნი ღრუბლებში, რათა ჰაერში შევეგებოთ უფალს და, ამგვარად, უფალთან ვიქნებით სამარადისოდ" (1თეს. 4:16,17).

ღვთის ხალხი სასუფეველს მხოლო ქრისტეს პირადად მოსვლის შემდეგ დაიმკვიდრებს. მაცხოვარმა თქვა: "როცა მოვა კაცის ძე თავისი დიდებით და ყველა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება თავის დიდების ტახტზე, შეიყრება მის წინაშე ყოველი ერი და გამოარჩევს ერთიმეორისაგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ხოლმე თხებს ცხვრებისაგან, და დააყენებს ცხვრებს თავის მარჯვნივ და თხებს - მარცხნივ, მაშინ ეტყვის მეუფე, თავის მარჯვნივ მდგომთ: "მოდით მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ წუთისოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი" (მათ. 25:31-34). წმიდა წერილის აქ მოყვანილი ტექსტებიდან

გასაგები ხდება, რომ კაცის ძის მოსვლისას განსვენებულნი ალდგებიან უხრწნელად და ცოცხლები შეიცვლებიან. და ეს უდიდესი გარდაქმნა, რომელიც მათში მოხდება, მოამზადებს სასუფევლისათვის, რადგან პავლე მოციქული ამბობს, რომ "ხორცსა და სისხლს არ ძალუძს ღვთის სასუფევლის დამკვიდრება, და ხრწნაც ვერ დაიმკვიდრებს უხრწნელობას" (1კორ.15:50). ადამიანი თავის ბუნებრივ მდგომარეობაში მოკვდავია და ხრწნადი, მაგრამ ღვთის სასუფეველი უხრწნადი და მარადიული იქნება. სწორედ ამიტომ ვერ შევა ადამიანი თავისი ბუნებრივი მდგომარეობით ღვთის სასუფეველში. მაგრამ მოვა იესო და

მისცემს თავის ხალხს უკვდავებას, შემდეგ კი შესთავაზებს საუკუნო სასუფეველს, რომლის მემკვიდრენი ისინი დასაბამიდან იყვნენ.

ეს და სხვა ტექსტები წმიდა წერილიდან მილერისათვის მეტად დამაჯერებელი მტკიცებანი იყო იმისა, რომ მოვლენებს, რომელთაც ქრისტეს მოსვლამდე ელოდნენ - ე.ი. საყოველთაო კეთილდღეობას და ღვთის სასუფევლის დედამიწაზე დაარსებას, სინამდვილეში ადგილი ექნება ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ. უფრო მეტიც: დროის ყველა ნიშანი და კაცობრიობის მდგომარეობა სრულად შეესაბამებოდა წინასწარმეტყველებაში აღწერილ ბოლო დღეებს. მხოლოდ წმიდა

წერილის გამოკვლევის შედეგად მივიდა იგი იმ დასკვნამდე, რომ დედამიწის ისტორიისათვის განკუთვნილი დრო იწურებოდა.

"ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, - ამბობდა იგი, - წმიდა წერილის ქრონოლოგიამ. მე ალმოვაჩინე, რომ წარსულში ნაწინასწარმეტყველები მოვლენები ზუსტად განსაზღვრულ დროში ახდა. 120 წელი წარღვნის წინ (დაბ. 6:3); შვიდი დღე წარღვნის უშუალო დაწყებამდე და წვიმები 40 დღის განმავლობაში (დაბ. 7:4); "აბრაამის თესლის" მოხეტიალე ცხოვრება 400 წლის განმავლობაში (დაბ. 15:13), სამი განსაზღვრული დღე მწდესა და მეპურესათვის (დაბ. 40:12-20), შვიდი წელი ფარაონის ქვეყანაში (დაბ. 41:28-

54); 40 წელი უდაბნოში (რიცხ. 14:34); შიმშილობა სამნახევარი წლის განმავლობაში (3 მეფ. 17:1); ტყვეობის 70 წელი (იერ. 25:11); ნაბუქოდონოსორის შვიდი დრო (დან. 4:13-16); იუდეველთათვის განსაზღვრული შვიდი შვიდეული, 62 შვიდეული და კიდევ ერთი შვიდეული, რომელიც ერთად 70 შვიდეულს უდრიდა - (დან. 9:24-27) - ყველა ეს მოვლენა უფლის წინასწარმეტყველთა მიერ ნათქვამი, უკიდურესი სიზუსტით აღსრულდა".

შემდგომში ბიბლიის გამოკვლევისას, იგი პოულობდა სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდებს, რომლებიც, მისი აზრით, ქრისტეს მეორედ მოსვლის დრომდე გრძელდებოდა და დროის ამ

მონაკვეთებს იგი უყურებდა, როგორც "განსაზღვრულ დროს", რომელიც უფალმა ღმერთმა თავის მორჩილთ გაუხსნა. "დაფარული - უფალს, ჩვენს ღმერთს, გაცხადებული კი - ჩვენ და ჩვენს შვილებს უკუნისამდე, რომ შესრულდეს ამ რჯულის ყოველი სიტყვა" (მეორ. რჯ. 29:29). უფალი ამოს წინასწარმეტყველის პირით ამბობს, რომ "არაფერს მოიმოქმედებს უფალი ღმერთი, თუ არ გაუცხადა თავისი საიდუმლო თავის მორჩილთ, წინასწარმეტყველთ" (ამოს. 3:7). და ამიტომ, ღვთის სიტყვის მკვლევართ წერილში შეუძლიათ აღმოაჩინონ სხვადასხვა მნიშვნელოვანი მითითებები იმ ჭეშმარიტ მოვლენათა

შესახებ, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონდეს კაცობრიობის ისტორიაში.

"როდესაც სავსებით დავრწმუნდი, - ამბობდა მილერი, - რომ "მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლო" (2ტიმ. 3:16), "რადგან წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები სულიწმიდის მიერ აღძრულნი, ღვთისაგან წარმოთქვამდნენ მას" (2პეტ. 1:21) და, რომ იგი "ჩვენს სასწავლებლად დაიწერა, რათა მოთმინებით და წერილთა ნუგეშით გვქონდეს იმედი" (რომ. 15:4), უკვე აღარ შემიძლია, ბიბლიის ქრონოლოგიური ნაწილი არ მივიჩნიო ღვთის სიტყვის ნაწილად, რომელიც სხვა ტექსტებთან ერთად მეტად სერიოზულ და ღრმა

შესწავლას მოითხოვს. ამიტომ ვალიარებ: ვცდილობ რა ღრმად შევიმეცნო ის, რაც უფალმა თავისი კეთილი ნებით გაგვიხსნა, უფლება არა მაქვს გვერდი ავუარო წინასწარმეტყველურ პერიოდებს".

დანიელის წიგნში (8:14) მოცემული იყო წინასწარმეტყველება, რომელიც, როგორც ეგონათ, უეჭველად მიუთითებდა ქრისტეს მეორედ მოსვლის თარიღზე: "ორიათას სამას საღამოსა და დილას გასტანსო და ამის შემდეგ განიწმიდებაო საწმიდარი", ჩვენ ვიცით წესი, რომლის თანახმადაც წმიდა წერილი თავად განმარტავს საკუთარ თავს. ამის მიხედვით მილერმა აღმოაჩინა, რომ ბიბლიური წინასწარმეტყველის დროის ერთი დღე ერთ წელიწადს

ნიშნავს (რიცხ. 14:34; ეზეკ. 4:6). მან გამოიანგარიშა, რომ 2300 წინასწარმეტყველური დღე რეალურად 2300 წელიწადს ალნიშნავს, რაც სცილდება იუდეველთათვის განსაზღვრულ მადლის პერიოდის ზღვარს და აქედან გამომდინარე, იგი არ ეხება ძველი აღთქმის საწმიდარს. მილერი იზიარებდა იმ პერიოდში საერთოდ მიღებულ თვალსაზრისს და თვლიდა, რომ დედამიწა ქრისტიანულ ხანაში წარმოადგენს საწმიდარს, და ამის გამო დანიელის მიერ ნაწინასწარმეტყველები საწმიდარის გაწმედა (დან. 8:14) ნიშნავს დედამიწის ცეცხლით გაწმედას ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს. თუკი 2300 დღის გამოსათვლელად

ვიპოვით ათვლის წერტილს, მსჯელობდა იგი, მაშინ შეიძლება ქრისტეს მოსვლის დროც დავადგინოთ და ეს იქნება ის დიადი დასასრული, როდესაც თანამედროვე მსოფლიო თავისი სიამაყით, ფუფუნებით, ძალაუფლებით, "თავისი ამპარტავნობით, უწმიდურებითა და ბატონობით" თავის აღსასრულს იხილავს, როდესაც "წყევლა განქარდება, სიკვდილი გაცამტვერდება, ხოლო ღვთის მორჩილნი, წინასწარმეტყველნი და წმიდანები, ყველა ღვთის მოშიშნი მიიღებენ თავის საბოძვარს, ხოლო მტერი განადგურდება".

მილერი განსაკუთრებულად ღრმა და განახლებული ინტერესით

განაგრძობდა წინასწარმეტყველების გამოკვლევას და მთელ თავის დროს იმ ჭეშმარიტებათა შესწავლას ანდომებდა, რაც მისთვის მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან საქმედ იქცა. დანიელის წიგნის თავში მან ვერ მიაგნო 2300 დღის ათვლის წერტილს; თუმცა გაბრიელ ანგელოზს დავალებული ჰქონდა, დანიელისათვის ეს ხილვა აეხსნა, მან კი იგი ნაწილობრივ შეასრულა. როდესაც წინასწარმეტყველმა ხილვაში დაინახა დევნის საშინელება, რომელიც ღვთის ეკლესიას მომავალში ელოდა, ძალ-ლონე გამოეცალა. ამ სურათის დანახვა აუტანელი იყო მისთვის და ანგელოზმაც დროებით დატოვა იგი. დანიელი რამდენიმე დღით ავად

გახდა "შეძრწუნებული ვიყავი ამ ხილვით, მაგრამ ვერაფერი გავიგე მასში" (დან. 8:27, თარგ. ორიგ.), - ამბობს იგი.

მაგრამ ღმერთმა თავის მაცნეს უბრძანა: "განუმარტე მას ეს ხილვა!" რამდენიმე ხნის შემდეგ ამ დავალების შესასრულებლად ანგელოზი კვლავ დაბრუნდა დანიელთან: "დანიელ, ახლა გამოვედი, რომ ჭკუა დაგარიგო". "დაუკვირდი ამ სიტყვას და გამოიცანი ხილვა" (დან. 8:27,16; 9:22, 23, 25-27;). მე-8 თავში აღწერილ ხილვაში იყო მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც აუხსნელი დარჩა, სახლდობრ: 2300 დღის პერიოდი. ამიტომ მეორედ გამოჩენისას ანგელოზმა დროის საკითხზე

განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა.

"შენი ერისთვის და შენი წმიდა ქალაქისათვის სამოცდაათი შვიდეულია დადგენილი... ოლონდ იცოდე და შეიგნე: მას შემდეგ, რაც გამოვა ბრძანება იერუსალიმის ალსადგენად და ასაშენებლად, შვიდი შვიდეული და 62 შვიდეული გავა ცხებული მეფის მოსვლამდე. აღდგება ქუჩა და უბანი, ოლონდ ძნელბედობის ჟამს. 62 შვიდეულის შემდეგ მოიკვეთება ცხებული, მაგრამ ბრალი არ ექნება.. იგი მრავალთან განამტკიცებს აღთქმას ერთ შვიდეულში, შვიდეულის ნახევარში შეცვლის მსხვერპლსა და ძღვენს".

ანგელოზი დანიელთან დაბრუნდა, რათა განემარტა ის, რაც მან ხილვაში

ვერ გაიგო (მე-8 თავი), - სიტყვები, რომელიც დროს ეხებოდა: "ორიათას სამასი საღამო და დილა. და მაშინ საწმიდარი განიწმიდება". უბრძანა რა დანიელს, დაჰკვირვებოდა და გამოეცნო ეს ხილვა, ანგელოზმა მაშინვე აუხსნა: "შენი ერისთვის და წმიდა ქალაქისთვის 70 შვიდეულია დადგენილი". სიტყვა - დადგენილი ორიგინალში ნიშნავს: "გადაწყვეტილს, მოჭრილს". 70 შვიდეული, ანუ 490 წელიწადი, ანგელოზის სიტყვისამებრ, დადგენილია სპეციალურად იუდეველთათვის. მაგრამ რისგან არის იგი მოჭრილი? რადგანაც მე-8 თავში მოცემულია ერთადერთი დროის მონაკვეთი 2300 დღე, აქედან გამომდინარე, 70 შვიდეული უნდა

გამოაკლდეს 2300 დღეს და დროის ეს ორი მონაკვეთი ერთდროულად უნდა დაიწყოს. ანგელოზის ახსნის თანახმად ეს 70 კვირა იწყებოდა იმ დღიდან, როდესაც გამოვა ბრძანება იერუსალიმის აღდგენის შესახებ. ამ ბრძანებულების დადგენის თარიღის შესაძლებლობის შემთხვევაში სავსებით ადვილი იქნებოდა 2300 დღის ათვლის წერტილის დადგენა.

ეზრას წიგნის მე-7 თავში ნათქვამია ამ დადგენილების შესახებ (ეზრ. 7:12-26). საბოლოო, სრული სახით ეს ბრძანებულება სპარსეთის მეფის, ართახშაშთას მიერ ქრისტეს დაბადებამდე 457 წელს გამოიცა. მაგრამ ეზრას წიგნში ნათქვამია (6:14), რომ უფლის სახლი უნდა აშენდეს "ისრაელის ღმერთის ნებით, კიროსის,

დარიოსის, ართაxშაშთას, სპარსთა მეფის მიერ". სამმა მეფემ შეადგინა, დააზუსტა და სრულყოფილი გაxადა ეს ბრძანებულება ამ დღემდე, რომელიც წინასწარმეტყველების თანაxმად, 2300 დღის ათვლის წერტილად ითვლება. თუკი ქრისტეს დაბადებამდე 457 წელს ათვლის წერტილად ჩავთვლით, ადვილად შესაძლებელია დეტალურად გამოვითვალოთ, თუ როგორ ალსრულდა წინასწარმეტყველება 70 შვიდეულის შესახებ.

"იმ დღიდან, რაც გამოვა ბრძანება იერუსალიმის ალსადგენად, ქრისტე უფალის მოსვლამდე, შვიდი შვიდეული და 62 შვიდეული", - ე.ი. სულ 69 შვიდეული, ანუ 483 წელია. მეფე ართაxშაშთას მიერ

გამოცემული ბრძანება ძალაში შევიდა ძვ.წ. 457 წლის შემოდგომაზე. თუკი ამ მომენტიდან გადავთვლით 483 წელიწადს, მივიღებთ თარიღს ახალი წელთაღრიცხვით: 27 წლის შემოდგომას, - როდესაც სრულად ალსრულდა ეს წინასწარმეტყველება. სიტყვა "მესია" ნიშნავს "ცხებულს". 27 წლის შემოდგომაზე ქრისტე, იოანე ნათლისმცემლის მიერ იორდანეს წყალში მოინათლა და სულიწმიდით ცხებულ იქნა. პავლე მოციქული მოწმობს, რომ "სცხო ღმერთმა სულიწმიდით და ძალით იესო ნაზარეველი" (საქ. 10:38). თვით მაცხოვარი გვეუბნება: "უფლის სულია ჩემზე, ვინაიდან მან მცხო გლახაკთა სახარებლად" (ლუკ. 4:18). თავისი ნათლობის შემდეგ "იესო

მოვიდა გალილეას და ღვთის სახარებას ქადაგებდა" (მარკ. 1:14-15).

"იგი მრავალთან განამტკიცებს ალთქმას ერთ შვიდეულში". აქ ნახსენები შვიდეული არის 70 შვიდეულის ბოლო კვირა და ეს უკანასკნელი შვიდი წელი სპეციალურად იუდეველთათვის იყო განკუთვნილი. ამ პერიოდში, ახ.წ. 27-34 წლებში, ჯერ თვით იესო, შემდეგ კი მოციქულები მხოლოდ იუდეველთათვის ქადაგებდნენ სახარებას. გაგზავნა რა მოციქულები ზეციური სასუფევლის საქადაგებლად, მაცხოვარმა გააფრთხილა ისინი: "წარმართთა გზაზე არ იაროთ და სამარიელთა ქალაქში არ შეხვიდეთ; არამედ

წადით ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებთან" (მათ. 10:5,6).

"შვიდეულის ნახევარში შეცვლის მსხვერპლსა და ძღვენს". ახალი წელთაღრიცხვით 31 წელს, ნათლობიდან სამნახევარი წლის გასვლის შემდეგ, უფალი ჯვარცმულ იქნა. გოლგოთაზე გაღებული ამ უდიდესი მსხვერპლით დასრულდა თვით მსხვერპლშეწირვის სისტემის არსებობა, რომელიც ოთხი ათასი წლის განმავლობაში ღვთის კრავზე მიუთითებდა. ჯვარზე ერთმანეთს შეხვდნენ პირველსახე და რეალობა და აქ მსხვერპლშეწირვამ და შესაწირავთა ცერემონიებმა ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა.

70 შვიდეული, ანუ 490 წელიწადი, რომელიც სპეციალურად

ებრაელებისათვის იყო დადგენილი, როგორც ვხედავთ, ახ.წ. 34 წელს გასრულდა. ამ წელს იუდეველთა სინედრიონის გადაწყვეტილებით, უფლის რჩეულმა ხალხმა საბოლოოდ უარყო სახარება, როცა ქვებით ჩაქოლეს უფლის მორჩილი სტეფანე და იწყეს ქრისტეს მიმდევართა დევნა. იმ დღიდან ხსნის სახარების ქადაგება არ შემოიფარგლა მხოლოდ უფლის რჩეული ხალხით, არამედ იგი მთელ მსოფლიოს ემცნო. ქრისტეს დევნილმა მოწაფეებმა დატოვეს იერუსალიმი, "გაფანტულები მიმოდიოდნენ და ახარებდნენ სიტყვას". "ასე ჩავიდა ფილიპე სამარიელთა ქალაქში და მათ უქადაგებდა ქრისტეს". უფლისაგან განსწავლულმა პეტრემ ხსნის

სახარება აუწყა კესარიელ ასისთავს, ღვთისმოშიშ კორნელიუსს, მგზნებარე პავლემ, იწამა რა ქრისტე, მიიღო დავალება, ექადაგა იგი "შორს წარმართებთან" (საქ. 8:4,5; 22:21).

ცხადი იყო, რომ აღსრულდა ამ წინასწარმეტყველების ყოველი წვრილმანი: 70 შვიდეულის ათვლის წერტილად, რა თქმა უნდა, ითვლება 457 წელი ქრ. დაბ-მდე, ხოლო ამ პერიოდის დასასრული ახ.წ. 34 წელია. ამ მონაცემებით არ არის ძნელი 2300 დღის დასასრულის თარიღის დადგენა. 70 შვიდეული - 490 დღე - "მოკვეთილია" 2300 დღიდან და ვღებულობთ 1810 დღეს, რომელიც უნდა დარჩეს 490 დღიანი პერიოდის შემდგომ. რომ გადავითვალოთ 1810 წელიწადი 34 წლიდან (ახ.წ.),

მივილებთ 1844 წელს. აქედან გამომდინარე 2300 დღე, რომელზედაც საუბარია დანიელის წიგნის წინასწარმეტყველებაში (8:14), მთავრდება 1844 წელს. ამ უდიდესი წინასწარმეტყველური პერიოდის გასრულებისას - ქრისტეს მეორედ მოსვლის დღეს, უნდა მომხდარიყო "საწმიდარის განწმედა". ამგვარად, საწმიდარის გაწმედის დრო ზუსტად იყო გამოთვლილი.

თავიდან მილერი და მისი თანამშრომლები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ 2300 დღე გასრულდება 1844 წლის გაზაფხულზე, თუმცა წინასწარმეტყელება იმავე წლის შემოდგომაზე მიუთითებდა. ამ ტექსტის არასწორმა გაგებამ იმედები

გაუცრუა მათ, ვინც ქრისტეს მოსვლას გაზაფხულზე ელოდა. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ჩრდილავდა იმ ჭეშმარიტებას, რომ 2300 დღე სრულდებოდა 1844 წელს და ამ წელს უნდა მომხდარიყო უდიდესი მოვლენა, რომელიც საწმიდარის გაწმედასთან იყო დაკავშირებული.

წმიდა წერილის გამოკვლევა მილერმა თავდაპირველად იმის დასამტკიცებლად დაიწყო, რომ იგი ნამდვილად უფლის გამოცხადებას წარმოადგენს. და იმის წარმოდგენაც კი არ შეეძლო, თუ როგორ დასკვნამდე მივიდოდა. მას თავადაც ძლივს სჯეროდა თავისი გამოკვლევის შედეგებისა, მაგრამ წმიდა წერილში მოცემული მტკიცებანი იმდენად ნათელი და

აშკარა იყო, რომ მათი უგულვებელყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა.

ორი წელი მოანდომა მილერმა ბიბლიის შესწავლას და 1818 წელს გააკეთა საზეიმო დასკვნა - 25 წლის შემდეგ იესო ქრისტე მეორედ მოვა თავისი ხალხის გამოსასყიდად. "ძნელია იმ სიხარულის აღწერა, - წერდა მილერი, - რომელიც ჩემს გულს აღავსებდა დიდების მომავალზე ფიქრისას. ჩემს სულს გამოსყიდვის ბედნიერების სხვებისთვის გაზიარების მგზნებარე სურვილი დაეუფლა. ახლა ბიბლია თავიდან, ახლებურად გადაიშალა ჩემს წინაშე. ჭეშმარიტად, ეს გონების ზეიმი იყო: ყველაფერი, რაც ადრე მის მოძღვრებაში საიდუმლო, გაუგებარი

და წყვდიადით მოცული მეჩვენებოდა, გაიფანტა სინათლის სხივებში, რომელსაც მისი წმიდა ფურცლები აშუქებდა. რა ნათელი და მშვენიერი მეჩვენა ჭეშმარიტება! გაქრა ყოველგვარი წინააღმდეგობა და აზრთა სხვაობა, რომელიც ადრე თვალში მხვდებოდა და თუმცა ჯერ კიდევ წმიდა წერილის ბევრი ადგილი დამრჩა გამოსაკვლევი, მაგრამ ღვთის სიტყვიდან გამოსულმა ასეთმა დიდმა ნათელმა ისე გაანათა ჩემი დაბნელებული გონება, რომ წმიდა წერილის შესწავლა ჩემთვის ჭეშმარიტ სიამოვნებად იქცა.

მტკიცედ დარწმუნებული იმაში, რომ წერილში ნაწინასწარმეტყველები მნიშვნელოვანი მოვლენები ძალიან

მალე უნდა აღსრულდეს, გამუდმებით ვფიქრობდი ჩემს მოვალეობაზე მსოფლიოს წინაშე". იგი გრძნობდა, რომ მისი პირდაპირი მოვალეობა იყო ნათელი სხივის სხვებისათვის გაზიარება. კარგად იცოდა, რომ დიდი ბრძოლა ელოდა ურწმუნო ადამიანებთან, მაგრამ დარწმუნებული იყო, ყველა ქრისტიანი სიხარულით შეხვდებოდა თავის საყვარელ უფალს. ერთადერთი, რისიც მას ეშინოდა, იყო ის, რომ უჩვეულო მოვლენა ხალხს არ მიელო ღვთის სიტყვაში ღრმად ჩაწვდომის გარეშე, თორემ ხელი შეეშლებოდათ, სრულად დარწმუნებულიყვნენ მის ჭეშმარიტებაში. იგი ბოლომდე არ ენდობოდა საკუთარ თავს, ამიტომაც

ვერ გადაეწყვიტა თავისი კვლევის შედეგების საჯაროდ გამოცხადება, რათა ცდუნებაში არ შეეყვანა ხალხი. და კვლავ დაიწყო თავის მსჯელობათა გადამოწმება, განსაკუთრებით კი წმიდა წერილში ძნელად გასაგები ადგილებისა. და დაინახა, რომ უფლის ჭეშმარიტების ნათელი სხივის წინაშე ნისლივით გაქრა ყოველგვარი ეჭვი. 5 წელი გავიდა იმ დრომდე, სანამ იგი თავისი დასკვნების სისწორეში საბოლოოდ დარწმუნდებოდა.

და მილერმა კვლავ ახალი ენერგიით იგრძნო სხვა ადამიანებისათვის ღვთის სიტყვის მოწმობის გაზიარების აუცილებლობა. "როდესაც ჩემი საქმეებით ვიყავი დაკავებული, -

ამბობდა იგი, - ყურში მუდამ მესმოდა სიტყვები: "წადი და გააფრთხილე კაცობრიობა მოსალოდნელი საშიშროების შესახებ!" მუდამ ჩამესმოდა ყურში უფლის ხმა: "ბოროტეულო, სიკვდილით მოკვდები-მეთქი, შენ კი არაფერს იტყვი, რომ დააკავო ბოროტეული თავის გზაზე. ბოროტეული თავისი ცოდვების გამო მოკვდება, მის სისხლს კი შენ მოგკითხავ. თუ შენ გააფრთხილე ბოროტეული, რომ მოქცეულიყო თავისი გზიდან და არ მოიქცა, ის თავისი ცოდვის გამო მოკვდება, შენ კი იხსნი შენს სულს" (ეზეკ. 33:8,9). მე ვგრძნობდი, რომ თუკი ბოროტეულს მისწვდება ეს გაფრთხილება, ბევრი მათგანი მოინანიებს, ხოლო თუ ისინი არ

გავაფრთხილე, მათ სისხლს უფალი მე მომკითხავს".

და მან გადაწყვიტა თავისი თვალსაზრისი გაეზიარებინა ყველგან, სადაც კი ამისი შესაძლებლობა ექნებოდა, გამუდმებით ლოცულობდა იმისათვის, რომ ეკლესიის რომელიმე მსახურს შეეცნო ამ სახარების უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც მას წმიდა წერილის გამოკვლევამ გაუხსნა. და მილერმა სახალხოდ იწყო ხალხის გაფრთხილება, რითაც დარწმუნებული იყო, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზე. მის ყურს გამუდმებით ესმოდა სიტყვები: "წადი და გამოუცხადე მსოფლიოს ამის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში

მათ სისხლს შენ მოგკითხავ". ცხრა წლის განმავლობაში დუმდა იგი, რაც მძიმე ტვირთად დააწვა მის სულს, სანამ 1831 წელს პირველად არ გამოაქვეყნა თავისი მტკიცებანი.

ელისეს მსგავსად, რომელიც უფალმა მინდვრის სამუშაოებიდან პირდაპირ თავის სამსახურში წაიყვანა, უილიამ მილერსაც უნდა დაეტოვებინა თავისი გუთანი, რათა კაცობრიობისათვის ღვთის სასუფევლის საიდუმლო გაემხილა. უდიდესი მღელვარებით უხატავდა იგი ხალხს წინასწარმეტყველური პერიოდების სურათს თავიდან ბოლომდე, ქრისტეს მეორედ მოსვლის დღემდე. გაბედულება და ძალა თანდათან ემატებოდა და უმტკიცდებოდა, როცა მისი

სიტყვების მიმართ ხალხის დიდ ინტერესს ხედავდა.

მხოლოდ თავისი მორწმუნე ძმების დაჟინებული მოთხოვნით, რომელთა სიტყვებშიც უფლის მოწოდება ესმოდა, გადაწყვიტა მილერმა, გამოექვეყნებინა თავისი თვალსაზრისი. იმ დროისათვის მას 50 წელი შეუსრულდა; იგი ადრე არასოდეს გამოსულა დიდი აუდიტორიის წინაშე და მისთვის მეტად ძნელი იყო ეს საქმე. მაგრამ ადამიანთა ხსნისათვის მის შრომას უფლისაგან თავიდანვე დიდი კურთხევა ჰქონდა. მის პირველ გამოსვლას ხალხის წინაშე ისეთი დიდი რელიგიური გამოლვიძება მოჰყვა, რომ ცამეტი ოჯახი, ორი სულის გამოკლებით, მოიქცა

უფლისაკენ. მას იწვევდნენ სხვადასხვა ადგილებში გამოსვლებისათვის და მის მიერ ღვთის სიტყვის ქადაგებას ყველგან უდიდესი წარმატება ჰქონდა. ცოდვილები ინანიებდნენ, ქრისტიანები უფლის სიტყვის უფრო ღრმად შეცნობისაკენ ისწრაფოდნენ, დეისტები და ათეისტები ბიბლიური ჭეშმარიტებისა და ქრისტიანული რელიგიისაკენ მობრუნდნენ. ადამიანები, რომელთა შორისაც მილერი მოღვაწეობდა, მოწმობდნენ: "მან დაატყვევა ისინიც, ვინც არასოდეს არავის გავლენის ქვეშ არ მოქცეულა". მისი ქადაგება მიმართული იყო უდიდეს რელიგიურ ჭეშმარიტებათა მიმართ საზოგადოების ინტერესების

გალვივებისა და საუკუნის სულ უფრო და უფრო მზარდი გახრწნილების შეჩერებისაკენ.

მისი ქადაგების შემდეგ თითქმის ყველა ქალაქში ქრისტეს ჭეშმარიტებას ათობით და ასობით ადამიანი ღებულობდა. მას ბევრი პროტესტანტული ეკლესია და დენომინაცია სიამოვნებითა და კეთილმოსურნეობით უხსნიდა კარს. და მილერმა ერთდროულად მიიღო რამდენიმე რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელთა მოწვევა მსახურებისათვის. მას უცვლელ წესად ჰქონდა, ქადაგებით გამოსულიყო იქ, სადაც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ სულ ცოტა ხანში აღარ ჰყოფნიდა იმის დრო და

შესაძლებლობა, რომ ამ მოწვევათა ნახევარზე მაინც ეპასუხა.

თუმცა ბევრი არ იზიარებდა მის თვალსაზრისს ქრისტეს მეორედ მოსვლის ზუსტი თარიღის შესახებ, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდათ მის მოახლოებაში და ხალხის მომზადების საჭიროებაში. ბევრ დიდ ქალაქში მისმა მოღვაწეობამ უდიდესი ზეგავლენა იქონია საზოგადოებაზე. ღვინით მოვაჭრენი კეტავდნენ თავიანთ მაღაზიებს და ამ დარბაზებს სამლოცველო შეკრებებისათვის იყენებდნენ; აზარტული თამაშები აიკრძალა; დეისტთა, უნივერსალისტთა, ათეისტთა და თვით უკანასკნელ ნაძირალათა ცხოვრებაში უდიდესი ძვრები მოხდა: ზოგიერთი მათგანი

ხომ წლების განმავლობაში არ ალებდა ეკლესიის კარს. სხვადასხვა რელიგიური საზოგადოებები ქალაქის ყველა კუთხეში თითქმის საათში ერთხელ იკრიბებოდა სალოცავად, საქმიანი ადამიანები კი - შუადღით, სამლოცველო სახლებში. არსად არ ჰქონია ადგილი ფანატიკურ ალტკინებას, არამედ ყველგან სერიოზული და საზეიმო განწყობა სუფევდა. მილერი, ადრეულ რეფორმატორთა მსგავსად, ცდილობდა ემოქმედა ადამიანთა ცნობიერებაზე, გაელვიძებინა მათი სინდისი და არა მხოლოდ მათი ემოციები გამოეწვია.

1833 წელს მილერმა მიიღო ოფიციალური თანხმობა, ექადაგა ბაპტისტთა ეკლესიის სახელით,

რომლის წევრიც თავად იყო. ამ ეკლესიის წევრთა უმრავლესობა ემხრობოდა მას და მათი ფორმალური თანხმობით განაგრძობდა თავისი საქმის კეთებას. იგი მუდამ მოგზაურობდა და ქადაგებდა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, თუმცა ძირითადად ახალ ინგლისში და ჩრდილო აღმოსავლეთის შტატებში მსახურობდა. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი მხოლოდ თავისი პირადი ხარჯებით ცხოვრობდა და ასე იყო შემდგომაც, რადგან აღებული ფული გზის ხარჯებსაც კი ვერ უფარავდა. ამგვარად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მძიმე ტვირთად აწვა და მისი პირადი ქონება თანდათან მცირდებოდა. იგი დიდი ოჯახის

პატრონი იყო და მხოლოდ მისი ოჯახის წევრთა მომჭირნეობა და შრომისმოყვარეობა ხდიდა შესაძლებელს ფერმის მცირე შემოსავლით ცხოვრებას.

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მილერმა საჯაროდ დაიწყო ქადაგება ქრისტეს მეორედ მოსვლის მოახლოების შესახებ. და აი, 1833 წელს ალსრულდა ბოლო ჟამის ერთ-ერთი ნიშანი, რომლის შესახებაც მაცხოვარმა თქვა: "...და ვარსკვლავები ჩამოცვივა ციდან" (მათ. 24:29). იოანემ, მიიღო რა ხილვა უფლის დღის შესახებ, თქვა: "ცის ვარსკვლავები მიწაზე ჩამოცვივდნენ, როგორც ძლიერი ქარით შერხეულ ლელვის ხეს გასცვივა მკვახე ლელვი" (გამოცხ. 6:13). ეს წინასწარმეტყველება

საოცარი სიზუსტით ახდა 1833 წლის 13 ნოემბერს, მეტეორიტული წვიმის დროს. არასოდეს გამხდარა ადამიანი ვარსკვლავთცვენის ასეთი დიდებული და გრანდიოზული სურათის მოწმე. რამდენიმე საათის განმავლობაში "შეერთებული შტატების მთელ ზეცას ცეცხლის ფეირვერკი ანათებდა. ამ ქვეყანაში არასოდეს ყოფილა ასეთი ზეციური მოვლენები, რომელმაც ერთნი დიდად გააოცა, მეორენი კი შიშსა და საგონებელში ჩააგდო". "ამ სანახაობის დიდებულება ჯერ კიდევ ნათლად შერჩა ხალხის მეხსიერებას... ყველაზე კოკისპირული წვიმაც კი ვერ შეედრებოდა ამ მეტეორიტთა ნაკადს, რომელიც განუწყვეტლივ მოდიოდა ამერიკის მთელ

ტერიტორიაზე: ალმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, რომელიც საოცარ შთაბეჭდილებას ქმნიდა. თითქოს, მთელი ზეცა მოძრაობაში მოვიდა... და ეს სანახაობა, როგორც პროფესორ სილიმანის ჟურნალი იტყობინებოდა, მრავალი საათის განმავლობაში მთელ ჩრდილოეთ ამერიკაში გრძელდებოდა... სრულიად მოწმედილ და კამკამა ცაზე ღამის 2 საათიდან განთიადის დადგომამდე ბრწყინვალე მნათობთა დამაბრმავებელი თამაში არ შეწყვეტილა".

"შეუძლებელია ამ სანახაობის სიტყვებით გადმოცემა... ვისაც იგი არ უნახავს, ვერასოდეს წარმოიდგენს მის დიდებულებას. ისეთი

შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ვარსკვლავებით მოჭედილი მთელი ზეცა ერთ წერტილში, ზენიტთან იკუმშებოდა და იქიდან ელვისებური სისწრაფით მთელ ცაზე სინათლის ისრები იფანტებოდა. და ასე უსასრულოდ: ათასობით ცვლიდნენ ისინი ერთმანეთს, თითქოს ამ სანახაობისათვის საგანგებოდ იყვნენ მომზადებული". "ამაზე უკეთესი შედარება არც შეიძლება: ეს სანახაობა მოგაგონებდათ ლელვის ხეს, რომელსაც მკვახე ნაყოფი სცვივა დიდი ქარიშხლის დროს".

ნიუ-იორკის ერთ-ერთ კომერციულ ჟურნალში 1833 წლის 14 ნოემბერს დაიბეჭდა ვრცელი სტატია ამ საოცარი მოვლენის შესახებ. მისი ავტორი ამტკიცებდა: "არც ერთ მეცნიერს ან

ფილოსოფოსს არასოდეს არაფერი დაუწერია ისეთი საოცრების შესახებ, როგორიც გუშინ დილას მოხდა. დღეს ჩვენ გვიძნელდება ზუსტად განვმარტოთ ეს მოვლენა, მაგრამ 18 საუკუნის წინათ წინასწარმეტყველმა ზუსტად იწინასწარმეტყველა ვარსკვლავთცვენა, რაც დღეს ახდა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით".

ამგვარად, აღსრულდა ბოლო ჟამის ერთ-ერთი ნიშანი, რომელიც უფლის მოსვლის წინ უნდა მოხდეს და რომლის შესახებაც იესო თავის მოწაფეებს ასწავლიდა: "ასევე, როდესაც თქვენ იხილავთ ყოველივე ამას, იცოდეთ, რომ კარზეა მომდგარი" (მათ. 24:33). ამ ნიშნის შემდეგ იოანემ დაინახა, რომ ცა დაიგრაგნა და გაუჩინარდა, ყოველი

მთა და კუნძული დაიძრა თავისი ადგილიდან და ურჯულონი ცდილობდნენ მღვიმეებსა და მთის გამოქვაბულებში მიმალულიყვნენ, რათა გაქცეოდნენ კაცის ძის რისხვას. (იხ. გამოცხ. 6:12-17).

ბევრი თვითმხილველი ვარსკვლავთცვენას მომავალი სამსჯავროს მომასწავლებლად თვლიდა, როგორც "მრისხანე ნიშანს, უდავო წინასწარ უწყებას, დიდი და საშინელი დღის მოწყალების ნიშანს". ასეთი გზით ამ წინასწარმეტყველების აღსრულებამ ადამიანთა ყურადღება მიიპყრო და ბევრმა ყურად იღო გაფრთხილება ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ.

1840 წელს განსაკუთრებული სახით აღსრულდა სხვა

წინასწარმეტყველებაც, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ მოვლენამდე ორი წლით ადრე ერთ-ერთმა ცნობილმა ღვთისმსახურმა იოსებ ლიტჩმა, რომელიც ქრისტეს მეორედ მოსვლის მოახლოებას ქადაგებდა, გამოაქვეყნა გამოცხადების წიგნის მეცხრე თავის წინასწარმეტყველებათა ახსნა ოსმალეთის იმპერიის დაცემასთან დაკავშირებით. მისი გამოანგარიშებით, ეს 1840 წლის აგვისტოში უნდა მომხდარიყო, ხოლო მის აღსრულებამდე რამდენიმე დღით ადრე იგი წერდა: "თუ დავუშვებთ, რომ 150-წლიანი პერიოდის ბოლო ზუსტად ემთხვევა დიაკოზესის თურქთა ნებართვით ტახტზე ასვლას და, რომ 391 წელი და

15 დღე პირველი პერიოდის ბოლოდან დაიწყო, მაშინ იგი 1840 წლის 11 აგვისტოს უნდა დამთავრდეს, როდესაც მოსალოდნელია ოსმალეთის ხელისუფლების დამხობა კონსტანტინოპოლში. ამას კი, მე დარწმუნებული ვარ, შემთხვევითობას მიაწერენ".

მითითებულ დროს თურქეთმა თავისი ელჩების მეშვეობით თანხმობა განაცხადა ევროპის სახელმწიფოთა კავშირის მფარველობის მიღებაზე და იგი ქრისტიანულ ხალხთა კონტროლის ქვეშ მოექცა. ყველაფერი ზუსტად დათქმულ დროში მოხდა. როდესაც ეს ფაქტი ცნობილი გახდა, ბევრმა ირწმუნა მილერისა და მისი თანამოაზრეების მიერ

წინასწარმეტყველებათა განმარტების პრინციპები, რაც ადვენტისტური მოძრაობის წარმატების საწინდარი გახდა. მეცნიერები და გავლენიანი პირები მილერს შეუერთდნენ ღვთის სიტყვის ქადაგებასა და მის გამოქვეყნებაში და 1840-1844 წლებში მათმა მსახურებამ ფართო გაქანება მიიღო.

უილიამ მილერი დიდი, მეტად განვითარებული ინტელექტის პატრონი იყო გულმოდგინე მეცადინეობისა და გონებრივი ვარჯიშის და ამავე დროს, იმ ზეციური სიბრძნის წყალობით, რომელსაც მარადიული სიბრძნის წყაროდან იღებდა. მას ზედმიწევნით პატიოსან ადამიანად იცნობდნენ, ამიტომ მისი მაღალი ზნეობისა და

კეთილშობილების გამო უდიდესი პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობოდნენ. მისი გულისხმიერი კეთილშობილება შერწყმული იყო ქრისტიანულ სათნოებასა და თავდაჭერილობასთან. იგი ერთნაირ ყურადღებას იჩენდა ყველას მიმართ და ყოველთვის მზად იყო სხვისი მოსაზრებებისა და არგუმენტების მოსმენისათვის. ყოველგვარი გალიზიანებისა და აღელვების გარეშე ყველა თეორიას და მოძღვრებას ღვთის სიტყვით ამოწმებდა და წმიდა წერილის ჯანსაღი და ძირფესვიანი ცოდნა ყოველგვარი სიცრუისა და შეცდომების თავიდან აცილების შესაძლებლობას აძლევდა.

და მაინც, მას ხშირად უხდებოდა სასტიკი წინააღმდეგობის გადალახვა.

ძველ რეფორმატორთა მსგავსად, ქვეყნის ცნობილი ღვთისმეტყველნი მისი მოძღვრების მიმართ არ იყვნენ კეთილგანწყობილი. წმიდა წერილის საფუძველზე თავიანთი თვალსაზრისის დამტკიცებაში უძლურნი, ისინი იძულებული იყვნენ დაყრდნობოდნენ ადამიანურ გადმოცემებსა და დოქტრინებს, ეკლესიების წმიდა მამათა ტრადიციებს. ხოლო ადვენტისტური ჭეშმარიტების მქადაგებელნი მხოლოდ ღვთის სიტყვის მოწმობას ემყარებოდნენ. "ბიბლია და მხოლოდ ბიბლია!" - ეს იყო მათი ლოზუნგი. სიმართლის მტრები თავიანთ ბიბლიურ უმეცრებას დაცინვითა და ლანძღვით ანაზღაურებდნენ. დროს, ფულსა და ნიჭს - ყოველივეს იმ

ადამიანთა შეურაცხყოფისათვის იყენებდნენ, რომელთა ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ სიხარულით ელოდნენ თავიანთი უფლის დედამიწაზე დაბრუნებას, ცდილობდნენ უმანკო ცხოვრებით ეცხოვრათ და სხვებსაც ურჩევდნენ უფალთან შესახვედრად მომზადებას.

ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ადამიანის ყურადღება უფლის მოსვლის დღისაკენ არ მიეპყროთ. ისინი ცდილობდნენ ადამიანებისათვის ჩაენერგათ, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლისა და წუთისოფლის აღსასრულის შესახებ წინასწარმეტყველების შესწავლა დანაშაულია და სამარცხვინოცაა. ამით ეკლესიების მოძღვარნი ხალხს ღვთის სიტყვის მიმართ რწმენას

უცრუებდნენ. მათი მოძღვრება ადამიანებს ურწმუნოებისა და თავიანთი სურვილების დაკმაყოფილებისაკენ უბიძგებდა. შემდგომში კი ყველა ეს მანკიერებანი ბოროტების მასწავლებლებმა ადვენტისტებს გადააბრალეს.

იმ დროს, როცა მილერის ქადაგების მოსასმენად მოსული ხალხისაგან დარბაზებში ტევა არ იყო, მისი სახელი იშვიათად თუ გაიელვებდა რელიგიურ პრესაში და ისიც მხოლოდ დაცინვისა და ბრალდების საბაბით. რელიგიურ წინამძღვართა მხარდაჭერითა და წაქეზებით არასერიოზული და ულვთო ადამიანები შეურაცხმყოფელ ეპითეტებს, ღვთისმკრეხელურ ხუმრობებსა და ანეგდოტებს

უძლვნიდნენ მას, რათა აბუჩად აეგდოთ მილერი და მისი საქმე. ეს თმაჭალარა, ხანში შესული ადამიანი, რომელმაც მიატოვა სახლ-კარი, მშვიდი ცხოვრება და დადიოდა ქალაქებსა და სოფლებში, რათა გაეფრთხილებინა კაცობრიობა სამსჯავროს დღის მოახლოების შესახებ, საზოგადოებას წარუდგინეს, როგორც ფანატიკოსი, მატყუარა და გაიძვერა.

მის წინააღმდეგ მიმართულმა ბოროტმა დაცინვამ და ბილწსიტყვაობამ სახელმწიფო პრესაშიც კი გამოიწვია აღშფოთება. ამგვარი არასერიოზულობისა და უპატივცემულობის გამოჩენა "ასეთი დიდი, უმნიშვნელოვანესი საკითხის და მისი მეტად სერიოზული

შედეგების მიმართ, - განაცხადა ხალხმა, - ეს არა მხოლოდ ადამიანთა, არამედ ღვთის სამსჯავროს დღის დაცინვაა. ეს თვით უფლის და მისი სამართლიანობის გაკიცხვაა".

ავტორი ყოველგვარი ბოროტებისა შეეცადა, წინაალმდეგობა გაეწია არა მხოლოდ ადვენტისტთა მოძრაობისათვის, არამედ - მქადაგებლის მოსპობაც განიზრახა. მილერი ქადაგებებში მსმენელთა ურჯულოებას ბიბლიურ ჭეშმარიტებას ადარებდა, რითიც ამხილებდა მათ ცოდვებსა და თავდაჯერებულობას და მისი ეს პირდაპირი, მამხილებელი გამოსვლები სიძულვილს იწვევდა ადამიანებში. ერთხელ მის წინაალმდეგ ეკლესიის მტრულად

განწყობილმა წევრებმა მკვლელები მოისყიდეს, რომ ღვთისმსახურებიდან უკან დაბრუნებისას გზაზე მოეკლათ. მაგრამ წმიდა ანგელოზები გაერივნენ ბრბოში. ერთმა ადამიანის სახით მოსულმა ანგელოზმა ხელი მოჰკიდა ღვთის მსახურს და ხალხის გამძვინვარებულ ბრბოს მოაშორა. მისი მსახურება ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და სატანის თანამზრახველთა ჩანაფიქრი ჩაიშალა.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ინტერესი ადვენტისტური მოძრაობის მიმართ თანდათანობით იზრდებოდა. თუკი ადრე ღვთისმსახურებაზე ათობით და ასობით ადამიანი მოდიოდა, ახლა

მათი რიცხვი ათასს აღწევდა. დიდად გაიზარდა ახალმოქცეულთა რიცხვი, რამაც ოპოზიციის რისხვა გამოიწვია და ეკლესიებმა დისციპლინარულ ზომებს მიმართეს მათ მიმართ, ვინც მილერის თვალსაზრისს იზიარებდა. ამან მილერი აიძულა წერილობით მიემართა ყველა რელიგიური დენომინაციისათვის მოთხოვნით, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც მის მოძღვრებას ცრუდ მიიჩნევენ, ეს წმიდა წერილზე დაყრდნობით დაამტკიცონ.

"განა ჩვენი რწმენა, - ამბობდა იგი, - არ ეყრდნობა ღვთის სიტყვას, რომელსაც თავადაც ჩვენი რწმენისა და ცხოვრების საზომად ვთვლით? რით დავიმსახურეთ ბრალდებათა ასეთი ნიაღვარი თქვენი

კათედრებიდან და გაზეთის ფურცლებიდან? რატომ აძლევთ თავს თქვენი ეკლესიებიდან და საზოგადოებიდან ჩვენი (ადვენტისტების) გარიცხვის უფლებას? თუკი ჩვენ არა ვართ მართალი, გთხოვთ მიგვითითოთ ჩვენს შეცდომებზე. გვიჩვენეთ ისინი წმიდა წერილის საფუძველზე. მართალია, ჩვენ დღეს დაცინვის საგანი გავხდით, მაგრამ ეს არ არის დამამტკიცებელი საბუთი ჩვენი შეცდომებისა. მხოლოდ ღვთის სიტყვას შეუძლია ჩვენი თვალსაზრისის შეცვლა. ამ დასკვნამდე ჩვენ დაფიქრებულად, ლოცვებითა და წმიდა წერილზე დაყრდნობით მივედით".

საუკუნეთა მანძილზე კაცობრიობის მიმართ უფლის გაფრთხილებას, რომელსაც მისი ერთგული მსახურნი გადასცემდნენ, წუთისოფელი მუდამ უნდობლობითა და ეჭვით ღებულობდა. როდესაც წარღვნამდელი წუთისოფლის გარყვნილებამ უფალი იძულებული გახადა, წარღვნით დაესაჯა იგი, მას არ დაუფარავს ეს განზრახვა, რითაც ადამიანებს გამოსწორების საშუალება მისცა. 120 წლის განმავლობაში გაისმოდა ხმა, რომელიც მონანიებისაკენ მოუწოდებდა ხალხს და აფრთხილებდა, რომ ღმერთი მოსპობდა მათ, თუკი არ მოინანიებდნენ. მაგრამ ეს გაფრთხილება უაზრო მონაჩმახად

მიიჩნიეს და ყურად არ იღეს. ურჯულოების მოქმედნი დასცინოდნენ უფლის მაცნეს, მის გაფრთხილებებს და ქედმაღლობაც კი დასწამეს - როგორ შეუძლია ერთ ადამიანს წინ აღუდგეს ამ წუთისოფლის ძლიერებას? თუკი ნოეს გაფრთხილება ჭეშმარიტი იყო, მაშინ რატომ არ აღიარა კაცობრიობამ და არ ირწმუნა იგი? რას ნიშნავს ერთი ადამიანის სიტყვა ათასთა სიბრძნის წინააღმდეგ? არა, ისინი არ დაიჯერებენ და კოდობანში არ დაიწყებენ თავშესაფრის ძებნას!

ურწმუნონი მიუთითებდნენ ბუნების მოვლენებზე: წელიწადის დროთა თანაბარ მონაცვლეობაზე, მოწმენდილ ცაზე, საიდანაც წვიმის ერთი წვეთიც კი არასოდეს

ჩამოვარდნილა; მწვანე ველებზე, რომელიც დილის ცვარ-ნამით ირწყვებოდა და ამბობდნენ: "იგავებით ხომ არ ლაპარაკობს იგი?" უფლის მაცნეს, როგორც შეშლილ ფანატიკოსს, სიძულვილით აქციეს ზურგი და უფრო მეტი ვნებით მიეცნენ გარყვნილებასა და ურჯულოებას. მაგრამ მათმა ურწმუნოებამ ხელი ვერ შეუშალა იმას, რაც უფლის ნებით უნდა მომხდარიყო. უფალმა დიდხანს ითმინა მათი უკეთურება, მისცა მონანიების საშუალება, მაგრამ მის მიერ განსაზღვრულ დროს უფლის სამსჯავრო ეწია ყველას, ვინც მისი წყალობა უარყო.

ქრისტე ამბობს, რომ მის მეორედ მოსვლასაც ასეთივე უნდობლობით

შეხვდებიან ადამიანები: "ვინაიდან, როგორც იყო ნოეს დღეები, ისევე იქნება კაცის ძის მოსვლაც". "და არ იცოდნენ, ვიდრე წარღვნა მოვიდოდა" (მათ. 24:37,39). როდესაც ეგრეთ წოდებული "ღვთის ხალხი" წუთისოფელს შეერევა, მისი ცხოვრებით იცხოვრებს და მონაწილე იქნება მისი გარყვნილებისა; როდესაც წუთისოფლის სიმდიდრე ეკლესიის მონაპოვარი გახდება, როცა ყველგან მოისმენენ საქორწინო ზარების რეკვას და ადამიანები დარწმუნებული იქნებიან მომავალი წლების კეთილდღეობასა და აყვავებაში, მაშინ უცბად, ელვისებურად დადგება მათი ბრწყინვალე ოცნებებისა და ამაო იმედების აღსასრული.

როგორც მაშინ გამოგზავნა უფალმა თავისი მსახურნი წარღვნის შესახებ წუთისოფლის გასაფრთხილებლად, ისევე ახლაც გამოგზავნა მაცნეები უკანასკნელი სამსჯავროს მოახლოების საუწყებლად და როგორც ნოეს, ამ სიმართლის მღაღადებელს დასცინოდნენ, ასევე მილერის დღეებშიც ბევრი, თვით უფლის რჩეულთაგან, აბუჩად იგდებდა მის გაფრთხილებას.

რატომ ხვდებიან ეკლესიები ასეთი შეუწყნარებლობით ქადაგებას ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ? უფლის მოსვლას ურწმუნოთათვის უბედურება და დალუპვა მოაქვს, ხოლო მართალთათვის - სიხარული და იმედი. ყველა საუკუნეში ეს უდიდესი ჭეშმარიტება დიდი

ნუგეშისცემა იყო უფლის ერთგული შვილებისათვის, მაგრამ რატომ გახდა იგი, ქრისტეს მსგავსად, "ლოდი შებორკილებისა" და "კვლავ ცდუნებისა" მისი ხალხისათვის? თვით მაცხოვარმა ალუთქვა თავის მოწაფეებს "როდესაც წავალ და ადგილს მოგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა, სადაც მე ვარ, თქვენც იქ იყოთ" (იოან. 14:3). გულშემატკივარ მაცხოვარს კარგად ესმოდა თავის მიმდევართა მარტოობა და მწუხარება, ამიტომაც უბრძანა ანგელოზებს დედამიწაზე ჩამოსვლა და მათი ნუგეშისცემა იმედის მომცემი სიტყვებით მისი დაბრუნების შესახებ. როდესაც მოციქულები თვალმოუშორებლად შესცქეროდნენ ზეცით მიმავალ

მაცხოვარს, შემდეგი სიტყვების გაგონებაზე მზერა მოწყვიტეს თავის საყვარელ მოძღვარს: "გალილეველო კაცებო! რას დგახართ და შეჰყურებთ ზეცას? ეს იესო, ,,რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეცად, კვლავ მოვა, როგორც ზეცად აღმავალი იხილეთ" (საქ. 1:11). ანგელოზთა სიტყვებმა კვლავ გააცოცხლეს იმედი მათ გულში. მოწაფეები "დაბრუნდნენ იერუსალიმში დიდი სიხარულით. სულმუდამ ტაძარში იყვნენ, ღვთის მადიდებელნი და მაკურთხეველნი" (ლუკ. 24:52-53). მათ ის კი არ ახარებდათ, რომ იესო მათ გვერდით აღარ იყო და ახლა თავად უნდა ებრძოლათ სიძნელეებისა და წუთისოფლის ცდუნებათა წინააღმდეგ, არამედ ის, რომ

ანგელოზის სიტყვების თანახმად, იესო კვლავ დაბრუნდებოდა.

და დღესაც, ცნობამ ქრისტეს მოსვლის შესახებ ისეთივე სიხარული უნდა მოგვიტანოს, როგორიც მაშინ, შორეულ წარსულში, ანგელოზებმა ბეთლემელ მწყემსებს რომ მოგვარეს. უფლის ჭეშმარიტად მოყვარულნი მხოლოდ სიხარულს იგრძნობენ ღვთის სიტყვაზე დამყარებული უწყების მოსმენით. ის, ჩვენი მარადიული სიცოცხლის იმედი, მეორედ მოვა არა იმისათვის, რომ უარყონ, დაამცირონ და სიძულვილი გამოუცხადონ, არამედ მოვა "მთელი თავისი ძალითა და დიდებით" თავისი ხალხის გადასარჩენად. მისი მოსვლა მხოლოდ მის მოძულეთ არ სურთ და აი, ყველაზე ნათელი

დასტური ეკლესიის ჭეშმარიტი ღმერთისაგან განდგომისა - სიბრაზე და სიძულვილი, რითაც ისინი ზეცით გამოგზავნილ უფლის სიტყვას ხვდებიან.

ისინი, ვინც ადვენტისტური მოძღვრება მიიღო, უფლის წინაშე მონანიებისა და მორჩილების აუცილებლობის გრძნობით განიმსჭვალნენ. ბევრი მათგანი ყოყმანობდა ღმერთსა და წუთისოფელს შორის, მაგრამ ახლა გადამწყვეტი არჩევანის წინაშე დადგა: "მარადიულობამ მათ თვალში უჩვეულო რეალობა ჰპოვა. ზეცა მიუახლოვდა მათ და იგრძნეს, თუ რაოდენ დიდი ცოდვილები იყვნენ ღმერთის წინაშე". მორწმუნენი ახალი სულიერი ცხოვრებისათვის

გამოფხიზლდნენ; გაუჩნდათ პასუხისმგებლობის გრძნობა მოყვასთა მიმართ. ყოველმა ამქვეყნიურმა ფასი დაკარგა მათ თვალში; გრძნობდნენ, რომ სულ მალე მოვა მარადისობა. უფლის სული იყო მათზე, რომელმაც ძალა მისცა ცოდვილთათვის გულწრფელი მოწოდებით ემცნოთ, რომ უფლის დღისათვის მომზადებულიყვნენ. მათი ყოველდღიური ცხოვრების უტყვი მოწმობა მუდმივი საყვედური იყო ურწმუნოთათვის. ადამიანებს არ სურდათ, რომ მათთვის ვინმეს შეეშალა ხელი დროსტარებისა და ფუფუნებისაკენ სწრაფვაში, ამქვეყნიური პატივისა და დიდების მოპოვებაში. და შედეგად ადვენტისტთა რწმენისა და მის

მაცნეთა წინაალმდეგ უკმაყოფილების ომი და დაუფარავი ბრძოლა გაჩალდა.

როდესაც ჭეშმარიტების მოწინაალმდეგეებმა ვერაფერი ილონეს წინასწარმეტყველური პერიოდების ბიბლიურ მტკიცებათა წინაალმდეგ, მთელი ძალებით შეეცადნენ, იმედები გაეცრუებინათ იმ მორწმუნეთათვის, ვისაც სჯეროდა მათი, ამიტომ უმტკიცებდნენ, რომ წინასწარმეტყველება დაფარულია ხალხისაგან. ამ შემთხვევაში პროტესტანტებმა პაპისტებს მიბაძეს. იმ დროს, როცა პაპის ხელისუფლება, კათოლიკური ეკლესია ხალხს ბიბლიას უმალავდა, პროტესტანტები ამტკიცებდნენ, რომ წმიდა სიტყვის ყველაზე განსაკუთრებული და

მნიშვნელოვანი ნაწილი - სწორეს ის, რომელიც ჩვენს დროს ეხება - თითქოსდა მიუწვდომელია ჩვენი გონებისათვის.

ღვთისმსახურნი და ხალხი ამტკიცებდნენ, რომ დანიელის წინასწარმეტყველება და გამოცხადების წიგნი ამოუცნობი საიდუმლოებით არის მოცული. მაგრამ ქრისტემ თავის მოწაფეთა ყურადღება მიმართა დანიელის სიტყვებისაკენ იმ მოვლენების მიმართ, რომელიც მათ დღეებში უნდა მომხდარიყო, მან თქვა: "წამკითხველმა გაიგოს" (მათ. 24:15). ხოლო იმის მტკიცება, რომ გამოცხადების წიგნი - ესაა საიდუმლო, რომლის აღქმაც ადამიანთა გონებას არ ძალუძს,

ეწინაალმდეგება თვით ამ წიგნის სათაურს: "გამოცხადება იესო ქრისტესი, რომელიც მისცა მას ღმერთმა, რათა ეჩვენებინა თავის მორჩილთათვის, რაც უნდა მოხდეს მალე... ნეტარია წამკითხველი და მომსმენი ამ საწინასწარმეტყველო სიტყვისა და მასში დაწერილის დამცველი, რადგან ახლოა ჟამი" (გამოცხ. 1:1,3).

წინასწარმეტყველი ამბობს: "ნეტარია წამკითხველი", - ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქნებიან ისეთნიც, რომელნიც მას არ წაიკითხავენ და ეს კურთხევა მათთვის არ არის განკუთვნილი "და მომსმენი", - ე.ი. ისეთნიც, ვინც არ მოისურვებს ამ წინასწარმეტყველების მოსმენას და ეს კურთხევა არც მათთვისაა

განკუთვნილი. "მასში დაწერილის დამცველნი", - ე.ი. ბევრი უარს იტყვის იმ გაფრთხილებებსა და მოძღვრებებზე, რომელსაც გამოცხადების წიგნი მოიცავს და რა თქმა უნდა, ვერც ერთი მათგანი ვერ მიიღებს ალთქმულ კურთხევას. ყოველი, ვინც აბუჩად აიგდებს გამოცხადების წიგნში მოცემულ სიმბოლოებსა და წინასწარმეტყველებებს, ვინც უარს იტყვის თავისი ცხოვრების წესის შეცვლაზე და კაცის ძის შესახვედრად მომზადებაზე, ამ კურთხევის გარეშე დარჩება.

როცა გვაქვს ასეთი შთამაგონებელი და სარწმუნო მოწმობა, როგორ ბედავენ ადამიანები იმის მტკიცებას, რომ გამოცხადების წიგნი -

ამოუცნობი საიდუმლოა? იგი ამოცნობილი, ყველასათვის გახსნილია. გამოცხადების წიგნის შესწავლა ადამიანის გონებას დანიელის წინასწარმეტყველური წიგნისაკენ მიმართავს, ამ ორი უმნიშვნელოვანესი წიგნის მეშვეობით უფალმა ხალხს ამცნო იმ მოვლენების შესახებ, რომელთაც ადგილი ექნება დედამიწის ისტორიის დასასრულს.

მაცხოვარმა იოანეს დაანახა მოვლენები, რომლებიც ეკლესიის მლელვარე და ღრმა ინტერესს იწვევს. მან იხილა ღვთის ხალხის მდგომარეობა, ხიფათი, ბრძოლა და მათი საბოლოო გათავისუფლება. მან იხილა, რომ სახარების ქადაგების დასრულების შემდეგ დედამიწაზე

დაიწყება მკა - თავთავთა შეგროვება ზეციური ბელლისათვის და ჩალისა - ცეცხლში დასაწვავად. მისთვის გაცხადებულ იქნა უდიდესი ჭეშმარიტებანი, რომელიც განსაკუთრებით ბოლო ჟამის ეკლესიას ეხება, რათა უფლის ერთგულმა შვილებმა ყველაფერი იცოდნენ მოსალოდნელ ბრძოლასა და საშიშროებაზე. ყოველმა ადამიანმა უნდა გაიგოს მომავალი მოვლენების შესახებ.

მაშ, რითი შეიძლება აიხსნას ღვთის სიტყვის ამ უმნიშვნელოვანესი წიგნის უგულვებელყოფა? რატომ არის გაბატონებული ამ ბიბლიური მოწმობების შემეცნების მიმართ ასეთი უარყოფითი სურვილი? ეს არის ბოროტების მეფის

მიზანდასახული მცდელობა, ხალხს დაუმალოს ყველაფერი ის, რაც მის სიცრუეს ამხელს. გამოცხადების წიგნის ავტორმა, იესო ქრისტემ, კარგად იცოდა, რომ ამ წიგნის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა გაჩაღდებოდა და სწორედ ამიტომ აკურთხა ისინი, ვინც წაიკითხავს, მოისმენს და აღასრულებს ამ წინასწარმეტყველების სიტყვებს.

თავი 19 ნათელი წყვდიადში

ყველა რელიგიური და რეფორმატორული მოძრაობა, რომელსაც უფალი დედამიწაზე ხელმძღვანელობს, საოცრად ჰგავს ერთმანეთს. ღმერთის ადამიანთან დამოკიდებულების პრინციპი მარად უცვლელია. აწმყო დროის მოძრაობა წარსულის გამოცდილებით მტკიცდება და ეკლესიის მიერ გასულ საუკუნეებში გადატანილი განსაცდელი ჩვენთვის მეტად ძვირფას გაკვეთილს წარმოადგენს.

ბიბლია გასაგებად გვეუბნება იმის შესახებ, თუ ღმერთი სულიწმიდის მეშვეობით როგორ ხელმძღვანელობს

თავის მსახურებს დედამიწაზე სულთა გადარჩენის დიად საქმეში. უფალი ადამიანებს იარაღად იყენებს თავის კეთილ და მოწყალე ზრახვათა განსახორციელებლად. ყოველ ადამიანს განსაზღვრული მოვალეობა აკისრია. თითოეულს მიცემული აქვს ჭეშმარიტების შუქის განსაზღვრული ზომა, რომელიც შეესაბამება დროის საჭიროებას და საკმარისია დაკისრებული მოვალეობის ალსასრულებლად. მაგრამ ზეცის ასეთი დიდი ყურადღების მიუხედავად, ვერც ერთმა ადამიანმა სათანადოდ ვერ შეიმეცნა გამოსყიდვის უდიდესი გეგმა, ან თუნდაც უფლის განზრახვა თვით მის მიმართ. ადამიანებს სრულად არა აქვთ შემეცნებული, თუ რა მიზანი

ამოძრავებს უფალს, როდესაც ამა თუ იმ საქმეს ანდობს მათ; არც იმ სახარების მთელი მნიშვნელობა ესმით, რომელსაც ღმერთის სახელით ქადაგებენ.

"ჩასწვდები კი შენ ღვთის სიბრძნეს? ჩასწვდები ყოვლადძლიერის სრულყოფილებას?" "ჩემი ზრახვები არ არის თქვენი ზრახვები და ჩემი გზები არ არის თქვენი გზები, - ამბობს უფალი. - რადგან, როგორც ცა არის მაღალი მიწაზე, ასევე მაღალია ჩემი გზები თქვენს გზებზე და ჩემი ზრახვები თქვენს ზრახვებზე" - რადგან მე ღმერთი ვარ და არ არის სხვა ღმერთი, არვინაა ჩემი მსგავსი". "დასაბამითვე ვაცხადებ მომავალს და

ძველიდანვე, რაც ჯერ არ მომხდარა" (იობი, 11:7; ეს. 55:8,9, 46:9,10).

თვით წინასწარმეტყველნიც კი, რომელთაც სულიწმიდის განსაკუთრებული ნათელი ჰქონდათ მიღებული, სრულად ვერ ალიქვამდნენ მიღებული გამოცხადების მნიშვნელობას, რომლის რჩევებითა და მოძღვრებებით უნდა ეხელმძღვანელათ საუკუნეების მანძილზე, საჭიროების შესაბამისად.

პეტრე მოციქული, ამბობდა რა სახარების ნათლით ბოძებული ხსნის შესახებ, წერდა: "ამ ხსნისათვის იძიებდნენ და იკვლევდნენ წინასწარმეტყველნი, რომლებიც თქვენთვის განკუთვნილ მადლზე წინასწარმეტყველებდნენ.

იკვლევდნენ, რომელ და რა დროზე მიუთითებდა მათში მყოფი ქრისტეს სული, როცა წინასწარ უმოწმებდა ქრისტეს ტანჯვას და ტანჯვის შემდგომ დიდებას" (1პეტ. 1:10,11).

წინასწარმეტყველთაც კი ბოლომდე არ ესმოდათ უფლისაგან გაცხადებული, მაგრამ გულწრფელად ცდილობდნენ იმ სინათლის შემეცნებას, რომელიც ღმერთმა გამოგზავნა. ისინი გულმოდგინედ იკვლევდნენ, "რომელ და რა დროზე მიუთითებდა მათში მყოფი ქრისტეს სული". რა დიდებული გაკვეთილია ქრისტიანულ ეპოქაში მცხოვრები ღვთის ხალხისათვის, რომელთა საკეთილდღეოდ არის მოცემული ეს წინასწარმეტყველებანი, "რომელიც გამოეცხადა, რომ თვით მათ კი არა,

თქვენ მოგმსახურებოდათ ის, რაც ახლა გეუწყათ!" გაიხსენეთ ეს ღვთის წმიდა შვილები, რომელნიც "იძიებდნენ და იკვლევდნენ" გამოცხადებას, რომელიც მომავალი თაობებისათვის გადასაცემად მიეცათ. შეადარეთ მათი წმიდა გულმოდგინება გვიანი საუკუნეების ქრისტიანთა გულგრილ დამოკიდებულებას ზეციური ძღვენის მიმართ. რა საყვედურია უსაქმურ გულგრილთა და ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე მზრუნველთა მიმართ, რომელნიც აცხადებენ, რომ წინასწარმეტყველების გაგება შეუძლებელია.

თუმცა ადამიანის შეზღუდულ გონებას არც ძალუძს უსასრულო

ღმერთის გეგმების შეცნობა, მაგრამ ხშირად ამ ზეციურ ჭეშმარიტებათა გაუგებრობის მიზეზი არის შეცდომები ან მის მიმართ ადამიანთა გულგრილი დამოკიდებულება. ძალზე ხშირად ადამიანთა და ღვთის შვილთა გონებაც კი დაბნელებულია ადამიანური ფილოსოფიით, ცრურწმენით და ისინი იმ გაბატონებული აზრის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რომლის თანახმადაც, თითქოსდა, ღვთის სიტყვის ჭეშმარიტების მხოლოდ განსაზღვრული ნაწილის გაგება შეუძლიათ. ასე დაემართათ ქრისტეს მოწაფეებსაც, მიუხედავად იმისა, რომ მაცხოვარი მათ გვერდით იმყოფებოდა. მათი გონება დაბნელებული იყო საერთო

წარმოდგენით მესიაზე, როგორც მიწიერ მეფეზე, რომლის მეშვეობითაც ისრაელი მსოფლიოზე გაბატონდებოდა და ამიტომ მათ ვერ შეიმეცნეს ქრისტეს სიტყვები მისი ტანჯვისა და სიკვდილის შესახებ.

თავად იესომ აცნობა მათ: "ალსრულდა ჟამი და მოახლოვდა ღვთის სასუფეველი. მოინანიეთ და იწამეთ სახარება" (მარკ. 1:15). ეს უწყება დაფუძნებული იყო დანიელის წინასწარმეტყველებაზე (9 თავი). 69 შვიდეული, ანგელოზის თქმით, ქრისტეს მოსვლამდე გრძელდებოდა და მოწაფეები დიდი სიხარულითა და იმედით ელოდნენ იმ დროს, როცა მესია თავის სამეფოს იერუსალიმში შექმნიდა, რათა მთელი მსოფლიო ემართა.

ისინი ქრისტეს დავალებით ქადაგებდნენ სახარებას, თუმცა თავად სრულად არ ესმოდათ იგი. თავიანთ ქადაგებებში ეყრდნობოდნენ დანიელის წიგნის მე-9 თავს (მუხ. 25) და ვერ ამჩნევდნენ, რომ იმავე თავის შემდგომ მუხლში მესიის უცილობელ სიკვდილზე იყო საუბარი. ბავშვობიდანვე მიწიერი სამეფოს დიდებაზე ოცნებობდნენ და ამან საშუალება არ მისცა მათ, სწორად გაეგოთ წინასწარმეტყველებანი და ქრისტეს სიტყვები.

მათ შეასრულეს თავისი მოვალეობა, იუდეველებს ამცნეს შემოთავაზებული მადლის შესახებ და იმ დროს, როდესაც თავიანთი უფლის დავითის ტახტზე გამეფებას

ელოდნენ, იმ საშინელებათა მოწმენი გახდნენ, თუ როგორ შეიპყრეს ქრისტე, შეურაცხყვეს ვითარცა თაღლითი, მსჯავრი დასდეს და შემდეგ... გოლგოთაზე ჯვარს აცვეს. რა სასოწარკვეთილებაში და მწუხარებაში ჩაცვივდნენ მოციქულები იმ დღეებში, როდესაც მათი უფალი სამარხში განისვენებდა!

ქრისტე მოვიდა განსაზღვრულ დროს და ზუსტად ისე, როგორც წინასწარმეტყველებაში ეწერა. წმიდა წერილის მოწმობა მისი ცხოვრების ყველა მომენტში დეტალურად ალსრულდა. იგი ქადაგებდა ხსნის სახარებას და "მის სიტყვას ჰქონდა ძალა". მსმენელთა აღიარებით, ეს სახარება ზეციდან იყო

გამოგზავნილი. სიტყვამ და სულიწმიდამ დაადასტურეს იესო ქრისტეს მისიის ღვთიურობა.

მოწაფეები კვლავინდებურად ერთგული იყვნენ თავიანთი საყვარელი მოძღვრისა, თუმცა ეჭვი და გაუგებრობა მაინც აწუხებდათ. ამ მწუხარებაში სულ დაავიწყდათ ქრისტეს სიტყვები თავისი გვემისა და სიკვდილის შესახებ. თუკი ნაზარეველი იესო მართლაც მესია იყო, მაშ რატომღა ეუფლებათ მათ სასოწარკვეთა და რად იტანჯებიან? აი, რა უფორიაქებდა სულს, როდესაც მათი უფალი სამარხში იწვა შაბათს, მისი აღდგომის წინა დღეს.

თუმცა მწუხრის ღამემ გონება დაუბნელა ქრისტეს მოციქულებს, ისინი მაინც არ იყვნენ მიტოვებულნი:

წინასწარმეტყველი ამბობს: "თუმც დაცემული ვარ, ალვდგები; თუმც ბნელში ვზივარ, უფალია ჩემი ნათელი!... ნათელში გამიყვანს და მე ვიხილავ მის სიკეთეს". "სიბნელეც ვერ დაბინდავს შენგან და ღამე დღესავით გაანათებს: რა სიბნელე და რა სინათლე". "ამოაბრწყინებს სიბნელეში შუქს". "წავიყვან ბრმებს მათთვის უცნობი გზებით და მათთვის უცნობ ბილიკებზე გავატარებ; ბნელს ნათლად ვაქცევ მათ წინაშე და ოლრო-ჩოლროებს - ვაკეებად. აი, ამ საქმეებს მოვიმოქმედებ და არ მივატოვებ მათ" (მიქ. 7:8,9; ფს. 138:12, 11:4; ეს. 42:16).

სახარება, რომელსაც მოციქულები უფლის სახელით ქადაგებდნენ, სრული და ყველა წვრილმანში

ჭეშმარიტი იყო და სწორედ იმ დროს ხდებოდა ის მოვლენები, რომელზედაც იგი მიუთითებდა: "ალსრულდა ჟამი და მოახლოვდა ცათა სასუფეველი" - ქადაგებდნენ ისინი სწორედ იმ ჟამის "ალსრულებისას", როცა 69 შვიდეული გასრულდა დანიელის წინასწარმეტყველების მე-9 თავის მიხედვით და რომელიც მესიის მოსვლამდე გრძელდებოდა. უფლის "ცხებული" - ქრისტე სულიწმიდამ სცხო იორდანეში იოანე ნათლისმცემლის მიერ ნათლობის მიღების შემდეგ, ხოლო "ცათა სასუფეველი", რომლის მოახლოებასაც ისინი ქადაგებდნენ, დადგენილ იქნა დედამიწაზე ქრისტეს სიკვდილის შემდეგ. ეს არ

იყო მიწიერი სამეფო, როგორც მათ ბავშვობიდანვე არწმუნებდნენ. ეს არ იყო ის მარადიული სასუფეველი, სადაც არ იქნება სიკვდილი და როდესაც "მეფობა, ხელმწიფება და ცისქვეშეთის ყველა სამეფოს დიდება უზენაესის ერს მიეცემა" (დან.7:27). ბიბლიურ ენაზე "ღვთის სასუფეველი" მადლისა და დიდების სამეფოსაც ნიშნავს. მადლის ტახტის შესახებ პავლე მოციქული ლაპარაკობს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში, სადაც ქრისტეს აცხადებს მოწყალე შუამდგომელად, რომელსაც შეუძლია "თანაგვიგრძნოს ჩვენ უძლურებებში". მოციქული მოგვიწოდებს: "მაშ, თამამად მივეახლოთ მადლის ტახტს, რომ მივილოთ წყალობა და ვპოვოთ

მადლი დროული შემწეობისათვის" (ებრ. 4:16). ამგვარად, მადლის ტახტი მადლის სასუფეველს განასახიერებს, რადგან თვით ტახტის არსებობა სამეფოს არსებობასაც გულისხმობს. ბევრ თავის იგავში ქრისტე სარგებლობს გამოთქმით: "ცათა სასუფეველი", რათა ყურადღება გაამახვილოს უფლის მადლის მოქმედებაზე ჩვენს გულებში.

ამგვარად, მადლის ტახტი დიდების სასუფეველს ანსახიერებს და მაცხოვრის სიტყვებშიც ამ დიდების ტახტზეა საუბარი: "როცა მოვა კაცის ძე თავისი დიდებით და ყველა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება თავისი დიდების ტახტზე და შეიყრება მის წინ ყოველი ერი" (მათ. 25:31,32). მაგრამ ეს სამეფო

მომავლისაა. იგი მეორედ მოსვლამდე არ დამყარდება.

მადლის სასუფეველი დადგენილ იქნა მაშინვე, როგორც კი ადამიანი დაეცა და როცა ცოდვილი კაცობრიობის გამოსყიდვის გეგმა შედგა. იგი არსებობდა ამ გეგმის თანახმად, ღვთის ალთქმის შედეგად და ადამიანებს რწმენის მეშვეობით შეეძლოთ მისი ქვეშევრდომნი გამხდარიყვნენ. მაგრამ ქრისტეს ჯვარცმამ იგი მთელი სისრულით გაამყარა. ადამიანთა უმადურობითა და სიჯიუტით გატანჯულსა და დამწუხრებულ მაცხოვარს თავისი მიწიერი მსახურების დაწყების შემდეგაც კი შეეძლო გოლგოთის მსხვერპლზე უარი ეთქვა. ტანჯვის სასმისი თრთოდა მის ხელში.

გეთსიმანიის ბაღში ადვილად შეეძლო სისხლიანი ოფლის წვეთები მოეწმინდა და ურჯულო საქმეებით დაცემული კაცობრიობა მიეტოვებინა, დასალუპად გაეწირა. და მას რომ ეს გაეკეთებინა, ცოდვილ ადამიანს აღარასოდეს მიეცემოდა გადარჩენის შესაძლებლობა. მაგრამ მაშინ, როდესაც მაცხოვარმა მსხვერპლად გაიღო თავისი სიცოცხლე და ჯვარზე გაკრულს ალმოხდა: "აღსრულდა!", დაიწყო გამოსყიდვის გეგმის შესრულება. ალთქმა გადარჩენის შესახებ, რომელიც ედემის პირველ წყვილს მიეცა, აღსრულდა. მადლის სასუფეველი, რომელიც აქამდე მხოლოდ ალთქმის სახით არსებობდა, ახლა უკვე ჭეშმარიტად დამყარდა.

ამგვარად, ქრისტეს სიკვდილი, რაც გულგატეხილმა მოწაფეებმა საკუთარი სასოების საბოლოო დალუპვად მიიჩნიეს, პირიქით, მათი იმედებისა და რწმენის უდიდეს მტკიცებად იქცა. მოვლენამ, რომელმაც ამდენი მწუხარება და სასოწარკვეთა მოუტანა მათ, სინამდვილეში, იმედის კარი გაუხსნა ადამის მოდგმას მთელი დედამიწის ზურგზე. და სწორედ იგია საყრდენი წერტილი ყველა საუკუნის ერთგულთა მომავალი ცხოვრებისა და ყველა საუკუნის უფლის ერთგულთა მარადიული ნეტარებისა.

მიუხედავად მოწაფეთა იმედების გაცრუებისა, უფლის უსასრულო წყალობა და მადლი გამოვლინდა. მათი გული სწორედ ამ პიროვნების

ღვთიურმა მადლმა და საჱარების ძალამ დაატყვევა, ვის შესაჱებაც ამბობდნენ: "არავის არასოდეს ულაპარაკია ამ ადამიანის მსგავსად", მაგრამ ქრისტეს მიმართ მათი სიყვარულის გაწმენდილ ოქროს მაინც შეერია ამქვეყნიური სიამაყისა და პატივმოყვარეობის ჭუჭყი. პასექის დღესასწაულის დროს ზემოთვალში ყოფნისას, იმ საზეიმო წუთებში, როდესაც მათ მოძღვარს გეთსიმანიის ჩრდილი უკვე მისდგომოდა, ისინი კამათობდნენ: "რომელი მათგანი უნდა ჩათვლილიყო დიდად" (ლუკ. 22:24). ოცნებობდნენ ტაჱტზე და დიდების გვირგვინზე იმ დროს, როდესაც ასე მოაჱლოვდა გეთსიმანიის სულიერი ტანჯვისა და წამების სამარცხვინო წუთები,

სასამართლოს დარბაზი და
გოლგოთას ჯვარი. სიამაყისა და
ამქვეყნიური დიდებისკენ სწრაფვის
გამო ისინი იმდრონდელ ცრუ
მოძღვრებას ჩაებლაუჭნენ და ყურად
არ იღეს ქრისტეს სიტყვები მისი
სასუფევლის ჭეშმარიტი არსის, მისი
ტანჯვისა და სიკვდილის შესახებ;
სწორედ ამ მცდარმა გაგებამ
გამოიწვია საკმაოდ მძიმე და
მტანჯველი, მაგრამ ამასთანავე, მათი
გამოსწორებისათვის აუცილებელი
გამოცდა. თუმცა მოციქულებს
არასწორად ესმოდათ ამ სახარების
ჭეშმარიტი არსი და თავს ამაო
იმედებით იტყუებდნენ, მაგრამ მაინც
ქადაგებდნენ უფლის სიტყვას და
უფალმაც დააჯილდოვა ისინი
რწმენისა და მორჩილებისათვის. მათ

უნდა ეუწყებინათ მთელი მსოფლიოსათვის მკვდრეთით ალმდგარი ქრისტეს კეთილი სახარება. სწორედ ამ მსახურებისათვის მოსამზადებლად მიეცათ მათ ტანჯვის მწარე გაკვეთილები.

მკვდრეთით ალდგომის შემდეგ იესო ემაუსის გზაზე ეჩვენა მოწაფეებს, "დაიწყო მოსედან და ყველა წინასწარმეტყველიდან და განუმარტავდა მათ ყოველ წერილში მის შესახებ ნათქვამს" (ლუკ. 24:27). მოწაფეებს თვალი აეხილათ. მათმა რწმენამ გამოიღვიძა. და სანამ იესო გაეხსნებოდა, "მათი გულები უკვე ღვიოდა". ქრისტეს სურდა, გაენათებინა მათი გონება და განემტკიცებინა მათი რწმენა

"უმტკიცესი წინასწარმეტყველური სიტყვით", სურდა, რომ ჭეშმარიტებას ღრმად გაედგა ფესვი მის მოწაფეთა გულებში არა თავისი მოწმობის, არამედ იმის გამო, რომ არსებობს სარწმუნო მოწმობანი სიმბოლოების, რჯულის ჩრდილისა, ანარეკლისა და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებათა სახით. ქრისტეს მოწაფეებს არა მხოლოდ თავად უნდა ჰქონოდათ ჭეშმარიტი რწმენა, არამედ მთელი ქვეყნიერებისათვის უნდა ემცნოთ სახარება ქრისტეს შესახებ. და ამ შემეცნების შეძენის გზაზე პირველ ნაბიჯად იესომ თავისი მოწაფეები "მოსესთან და წინასწარმეტყველებთან" წარგზავნა. ამგვარად მიუთითა მკვდრეთით

ალმდგარმა მაცხოვარმა ძველი ალთქმის წიგნთა უდიდეს მნიშვნელობაზე.

რა დაემართათ მოწაფეებს, როდესაც მათ კვლავ ცოცხლად იხილეს თავიანთი მოძღვრის საყვარელი სახე! (იხ. ლუკ. 24:32). მათ სრული გაგებით სწორედ ახლა "იპოვეს ის, ვის შესახებაც მოსეს რჯულში და წინასწარმეტყველებაში წერია". ეჭვი, ტანჯვა და სასოწარკვეთილება მტკიცე და ნათელმა რწმენამ შეცვალა. და რა გასაკვირია, რომ უფლის ზეცად ამაღლების შემდეგ "ისინი ყველანი ერთსულოვნად გამუდმებულ ლოცვა-ვედრებაში იყვნენ", აქებდნენ და ადიდებდნენ უფალს. ხალხს, რომელსაც მხოლოდ მაცხოვრის

სამარცხვინო სიკვდილის ამბავი ჰქონდა გაგონილი, ეგონა, რომ დამარცხებულ და დამწუხრებულ მოწაფეებს იხილავდნენ, მაგრამ ამის ნაცვლად, გამარჯვების ზეიმი იხილეს. ქრისტეს მოწაფენი რა მშვენივრად იყვნენ მომზადებული მომავალი მსახურებისათვის! მათ უდიდესი მწუხარება და მტანჯველი გამოცდა გადაიტანეს და როცა ყველაფერი დაკარგულად მიიჩნიეს, სწორედ მაშინ დიდებულად ალსრულდა ღვთის სიტყვა! რალა დააკარგვინებდა რწმენას და რა ჩაუქრობდა სიყვარულის ცეცხლს მათ ყოველივე ამის შემდეგ? ყველაზე დიდი გაჭირვებისა და ტკივილის დროს მათ ჰქონდათ "დიდი სიმშვიდე" და იმედი, რომელიც

"სანდო და მტკიცე ლუზასავით" იყო მათი სულებისათვის (ებრ. 6:18,19). ისინი მოწმენი იყვნენ უფლის სიბრძნისა და ძალისა, სწამდათ, რომ "ვერც სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო და ვერც მყოფადი, ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე, ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება" ვერ შეძლებს მათ ჩამოშორებას "ღვთის სიყვარულისაგან ჩვენს უფალ ქრისტე იესოში". "ყოველივე ამას ჩვენ ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით" - ამბობდნენ ისინი. "ღვთის სიტყვა კი უკუნისამდე მკვიდრობს". "ვინ დასდებს მსჯავრს? ქრისტე იესო, რომელიც მოკვდა და, მით უმეტეს, რომელიც აღდგა

მკვდრეთით, ღვთის მარჯვნივ არის და ის შუამდგომლობს ჩვენთვის" (რომ. 8:37-39; 1პეტ. 1:25; რომ. 8:34).

უფალი ამბობს: "არ შერცხვება ჩემი ერი უკუნისამდე" (იოვ. 2:26). "ღამით გლოვა დაისადგურებს, და ცისკრის ჟამს - მხიარულება" (ფს. 29:6). ახლა, როცა უფლის აღდგომის დღეს მოციქულები შეხვდნენ მაცხოვარს და მათი გული მისმა სიტყვებმა აანთო; როცა უცქერდნენ მის ნაიარევ შუბლს და მათთვის განგმირულ ხელებსა და ფეხებს, როცა თავისი ზეცად ამაღლების წინ იესომ ისინი ბეთანიაში წაიყვანა, ხელები მაღლა აღაპყრო მათი კურთხევისათვის და უთხრა: "წადით და მთელ წუთისოფელს უქადაგეთ ეს სახარება" და დაუმატა: "აჰა, მე

თქვენთანა ვარ წუთისოფლის ალსასრულამდე"; როცა ორმოცდამეათე დღეს მათთან ჩამოვიდა აღთქმული ნუგეშისმცემელი და ძალა ზემოდან და მორწმუნეებმაც იგრძნეს ზეცად ამაღლებული მაცხოვრის სიახლოვე, - მიუხედავად იმ მრავალი ტანჯვა-წამებისა, რომელიც თავიანთი უფლის მსგავსად ელოდათ მომავალში, განა შეეძლოთ მადლის სახარებისადმი მსახურება და ის "დიდების გვირგვინი", რომელსაც ისინი მის მეორედ მოსვლისას მიიღებენ, გაეცვალათ მიწიერ ტახტზე, რომელზედაც ადრე ოცნებობდნენ? მან, "ვისაც უფრო მეტის გაკეთება შეუძლია ჩვენთვის, ვიდრე ვთხოვთ ან ვფიქრობთ", თავის

ტანჯვასთან ერთად მათ შესაძლებლობა მისცა შეერთებოდნენ მის სიხარულს, იმ სიხარულს, რომელსაც "მრავალი შვილი მოჰყავს დიდებაში" და რომელთანაც შედარებით, პავლე მოციქულის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ჩვენი ხანმოკლე, წამიერი ტანჯვა" არაფრად ღირს.

ის ტანჯვა და გამოცდილება, რომელიც ქრისტეს მოწაფეებმა უფლის დედამიწაზე პირველად მოსვლის დროს, "სასუფევლის სახარების" ქადაგებისას იგემეს, მათ ტანჯვასა და გამოცდილებაში აირეკლება, ვინც მის მეორედ მოსვლას ამცნობს წუთისოფელს. როგორც პირველი მოწაფეები დადიოდნენ და ქადაგებდნენ:

"ალსრულდა ჟამი და მოახლოვდა უფლის სასუფეველი", ასევე მილერიც თავის თანამოაზრეებთან ერთად ქადაგებდა იმის შესახებ, რომ ბიბლიაში მოცემული ყველაზე ხანგრძლივი, უკანასკნელი წინასწარმეტყველური პერიოდი მალე დამთავრდება, რომ მოახლოვდა სამსჯავროს დღე და რომ მალე მოვა საუკუნო სასუფეველი. მათი ქადაგება დროის შესახებ დაფუძნებული იყო დანიელის წიგნის მე-9 თავში მოცემულ 70 შვიდეულზე. მილერი და მისი თანამოაზრენი აუწყებდნენ ხალხს ბიბლიური 2300 დღის გასრულების შესახებ (დან. 8:14), რომლის ნაწილს 70 შვიდეული წარმოადგენდა. უწყება ცალკეული პერიოდების შესახებ

დაფუძნებული იყო იმაზე, რომ ეს ცალკეული პერიოდები ამ უდიდესი (2300 დღე) წინასწარმეტყველური პერიოდის ნაწილებს წარმოადგენდა.

პირველ მოწაფეთა მსგავსად, უილიამ მილერი და მისი მეგობრები ღრმად ვერ ჩაწვდნენ მათ მიერ ნაქადაგები უწყების უაღრესად დიდ მნიშვნელობას. ეკლესიაში გამეფებული შეცდომები მათ ხელს უშლიდა წინასწარმეტყველების ამ მნიშვნელოვანი მომენტის გაგებაში. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ გაფრთხილებას უფლის დავალებით ქადაგებდნენ, მისი არასწორი შემეცნების გამო იმედების დიდი გაცრუება ხვდათ წილად.

სიტყვების - "ორიათას სამას საღამოსა და დილას გასტანსო და

ამის შემდეგ განიწმიდებაო საწმიდარი" (დან. 8:14) ახსნისას, მილერი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეყრდნობოდა საერთოდ მიღებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ საწმიდარი - ეს არის დედამიწა და დარწმუნებული იყო იმაში, რომ საწმიდარის გაწმედაში ნაგულისხმევია დედამიწის ცეცხლით გაწმედა და, რომ ეს მოხდება უფლის მეორედ მოსვლისას. ამიტომაც, როდესაც 2300 დღის გასრულების მომენტი გამოიკვლია, დაასკვნა, რომ ეს თარიღი - ქრისტეს მოსვლის დღეა. იგი ღრმად შეცდა იმაში, რომ გაიზიარა საერთოდ მიღებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სიტყვა "საწმიდარში" დედამიწა იგულისხმება.

ძველი აღთქმის ღვთისმსახურების სისტემაში, რომელიც ქრისტეს მსხვერპლისა და მისი სიწმიდის ანარეკლია, საწმიდარის განწმედა იყო ის უკანასკნელი აქტი, რომელსაც მღვდელმთავარი მთელი წლის მსახურების ბოლოს ასრულებდა. ეს იყო გამოსყიდვის დამამთავრებელი მომენტი - ისრაელიანთა განწმედა ცოდვებისაგან. იგი იყო სიმბოლო ჩვენი ზეციერი მღვდელმთავრის მსახურების დამამთავრებელი ეტაპისა, როდესაც იგი თავის ხალხს გაათავისუფლებს ზეციურ წიგნებში შეტანილი ცოდვებისაგან. ეს მსახურება მოიცავს ძიებას და სამსჯავროს, რომლის შედეგადაც გამოჩნდება ღრუბლებზე მომავალი ქრისტე ძალითა და ძლიერებით,

რადგან მის მოსვლამდე ყოველი ადამიანის ბედი უკვე გადაწყვეტილი იქნება. იესო ამბობს: "აჰა, მოვალ მალე და ჩემი საზღაური ჩემთან არის, რათა თითოეულს მისი საქმეების მიხედვით მივუზღა" (გამოცხ. 22:12). სწორედ ამ სამსჯავროს შესახებ ამცნობს ხალხს პირველი ანგელოზი "გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას, ვინაიდან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი" (გამოცხ. 14:7).

ამ გაფრთხილებების მაცნენი ჭეშმარიტებას ზუსტად დადგენილ დროს უქადაგებდნენ ხალხს. მაგრამ ქრისტეს მოწაფეთა მსგავსად, რომელნიც დანიელის წიგნის მე-9 თავზე დაყრდნობით ქადაგებდნენ: "აღსრულდა დრო და მოახლოვდა ცათა სასუფეველი" და ამავე დროს,

არ ესმოდათ, რომ ამავე თავში დაწერილია მესიის სიკვდილის შესახებ, მილერიც და მისი თანამოზრენიც ქადაგებდნენ წინასწარმეტყველებას დან. 8:14 და გამოცხ. 14:7 დაყრდნობით და ვერ ამჩნევდნენ გამოცხ. 14 თავის სხვა, ორ ჭეშმარიტებას, რომელიც ხალხს აუცილებლად უნდა ექადაგოს უფლის მოსვლამდე. როგორც მოციქულები ცდებოდნენ, როცა ეგონათ, რომ ღვთის სასუფეველი 70 შვიდეულის დამთავრებისას დადგებოდა, ასევე ადვენტისტები შეცდნენ იმ მოვლენათა მიმართ, რომელიც უნდა მომხდარიყო 2300 დღის გასრულებისას. პირველ და მეორე შემთხვევაშიც შეცდომა მხოლოდ იმიტომ იქნა დაშვებული,

რომ ისინიც და ესენიც იზიარებდნენ საერთო შეცდომას, რომელმაც სულიერი თვალები დაუბრმავა მათ. მოციქულების მსგავსად, მილერიც უფლის ნებას ასრულებდა იმ სახარების ქადაგებით, რომელიც უფლის სურვილით, ხალხს უნდა გაეგო. და ამ ცნების არასწორი გაგების გამო, პირველმაც და მეორემაც დიდი იმედების გაცრუება იგემეს.

უფალმა მაინც მიალწია თავის კეთილ მიზანს, როდესაც დაუშვა ამ გაფრთხილების სახარების ქადაგება ასეთი გზით. მართლაც, მოახლოებული იყო უდიდესი დღე და უფალმა ღმერთმა დაუშვა თავისი ხალხის გამოცდა განსაზღვრული დროით, რათა გაეცხადებინა მათთვის

ის, რაც მათ გულში იყო დაფარული. ამ სახარების ქადაგება საჭირო იყო ეკლესიის გამოცდისა და განწმედისათვის. ადამიანები თვითონვე უნდა გარკვეულიყვნენ, თუ საით ისწრაფოდა მათი გული - ამქვეყნიური ცხოვრებისაკენ თუ ქრისტესა და სასუფევლისკენ? ისინი აცხადებდნენ, რომ უყვართ მაცხოვარი და ახლა ეძლეოდათ შესაძლებლობა ამ სიყვარულის დამტკიცებისა. იყვნენ თუ არა მზად ამქვეყნიური ცხოვრებისაკენ ლტოლვის უარსაყოფად და უფალთან შესახვედრად? ამ მომენტს მათთვის უნდა დაენახვებინა საკუთარი სულიერი მდგომარეობა; მათი ეს გამოცდა უფლის ნება იყო,

რათა მათ მორჩილებითა და მონანიებით ეძებნათ უფალი.

თუმცა მათი იმედების გაცრუება მათი მხრიდან ამ ჭეშმარიტების გაუგებრობის შედეგი იყო, მაგრამ იგი მათდა სასიკეთოდ უნდა შემობრუნებულიყო. ეს იყო გამოცდა იმ ადამიანებისა, ვინც ამ სახარების ერთგულად თვლიდა თავს. შეინარჩუნებენ თუ არა მაცხოვრისადმი ერთგულებას ამ მწარე იმედგაცრუების შემდეგ? შეინარჩუნებენ თუ არა ღვთის სიტყვისადმი რწმენას? თუ ლოცვებითა და მორჩილებით შეეცდებიან მათ მიერ დაშვებული შეცდომების ძებნას, რომლის გამოც არასწორად გაიგეს წინასწარმეტყველების არსი? ვინ

მიიღო ეს ცნება შიშისა და წუთიერი გრძნობების ზეგავლენის გამო? ვის ჰქონდა ეჭვი და უნდობლობა? ბევრი ლაპარაკობდა, რომ უყვარს უფალი და ელის მის მოსვლას. უარყოფენ თუ არა ისინი თავიანთ რწმენას მაშინ, როდესაც წუთისოფელი დაუწყებს დაცინვას, წაუყენებს მრავალ ბრალდებას და როდესაც მათი მოლოდინი არ გამართლდება? მათ გამო ღვთის განზრახვის შეუცნობლად ხომ არ აქცევენ ზურგს ღვთის სიტყვით დამტკიცებულ ჭეშმარიტებას?

ამ გამოცდას უნდა გამოევლინა მათი იმედების სიმტკიცე, ვინც უფლის სიტყვა და მისი სულიწმიდის მოძღვრება ჭეშმარიტი რწმენით მიიღო. განცდილ მწუხარებას

ყველაზე მეტად უნდა ესწავლებინა მათთვის, თუ რა საშიშია ადამიანური თეორიებისა და განმარტებების მიღება იმის ნაცვლად, რომ ბიბლიის განმარტებისათვის თვით ბიბლია გამოეყენებინათ. საკუთარი შეცდომების შედეგით გამოწვეული მწუხარება და დაბნეულობა დიდი გაკვეთილი უნდა ყოფილიყო მათთვის. ეს უნდა ყოფილიყო ბიძგი წინასწარმეტყველური სიტყვის უფრო ღრმად შესწავლისაკენ, რათა გულმოდგინედ და ძირფესვიანად შეემოწმებინათ თავიანთი რწმენის საფუძველი და უარი ეთქვათ ყველაფერზე, რაც ასე ფართოდ არის მიღებული ქრისტიანულ სამყაროში, მაგრამ ჭეშმარიტების სიტყვას არ ეყრდნობა.

ქრისტეს პირველ მოწაფეთა მსგავსად, ეს ქრისტიანები მხოლოდ შემდგომში ჩასწვდებიან იმას, რაც გამოცდის პერიოდში ვერ შეიმეცნეს. როდესაც ისინი იხილავენ "უფლის დასასრულს", მათთვის ნათელი გახდება, რომ მათივე შეცდომებით გამოწვეული გამოცდა ნაწილი იყო უფლის მოწყალებითა და სიყვარულით ალსავსე გეგმისა. საკუთარი გამოცდილებით მიხვდებიან, რომ იგი არის "თანამგრძნობი და მოწყალე ღმერთი" და გზები მისი - "წყალობა და ჭეშმარიტებაა მისი ალთქმისა და გამოცხადების შემნახველთათვის".

თავი 20 დიდი რელიგიური გამოლვიძება

უდიდესი რელიგიური გამოლვიძება, რომელსაც გამოიწვევდა ქადაგება ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ, ნაწინასწარმეტყველებია იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების წიგნის მე-14 თავში, პირველი ანგელოზის გაფრთხილებაში. მასში ვკითხულობთ ანგელოზის შესახებ, "რომელიც ზეცის შუა დაფრინავდა. მას ჰქონდა მარადიული სახარება დედამიწის მკვიდრთათვის ყოველი ერის და ტომის, ენისა და ხალხისათვის სახარებლად". "დიდი ხმით" აუწყებს იგი ხალხს: "გეშინოდეთ ღვთისა და დიდება

მიაგეთ მას, ვინაიდან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი. თაყვანი ეცით ცისა და დედამიწის, ზღვისა და წყალთა წყაროების შემქმნელს" (გამოცხ. 14:6,7).

ამ გაფრთხილების მნიშვნელობა უფრო იმითაა ალსანიშნავი, რომ მას თავად ანგელოზი აცხადებს. ღვთიური სიბრძნის ზეციური მაცნის სიწმიდით, დიდებითა და ძალით უნდა ყოფილიყო მოსილი იმ ამაღლებული და დიდებული ჭეშმარიტების გამოცხადება, რომელიც მთელ წუთისოფელს უნდა ემცნოს. ანგელოზის ფრენა შუა ზეცაში, მისი გაფრთხილების "დიდი ხმა", რომელიც გაისმის "ყოველი ერის და ტომის, ენისა და ხალხისათვის სახარებლად", ამ ჭეშმარიტების

სწრაფ და საყოველთაო გავრცელებაზე მეტყველებს.

ეს სახარება თავად აცხადებს ამ დიდი მოძრაობის დაწყების დროს. იგი "მარადიული სახარების" ნაწილია და სამსჯავროს დადგომას გვამცნობს. ხსნის სახარება ყველა საუკუნეში იქადაგებოდა, მაგრამ ეს გაფრთხილება ნაწილია იმისა, რომელიც უკანასკნელ დღეებში უნდა გამოცხადდეს, რადგან მხოლოდ მაშინ დადგება სამსჯავროს ჟამი. წინასწარმეტყველებაში ნათქვამია იმ მოვლენების შესახებ, რომელნიც სამსჯავროს დაწყებას უსწრებენ წინ. ეს განსაკუთრებით დანიელის წიგნს ეხება. მაგრამ დანიელს ნაბრძანები ჰქონდა, წინასწარმეტყველება ბოლო დღეებზე საიდუმლოდ შეენახა და

დაებეჭდა "უკანასკნელ ჟამამდე". ამ წინასწარმეტყველებაზე დაფუძნებული სახარება სამსჯავროს შესახებ არ უნდა გავრცელებულიყო ამ დროის დადგომამდე. მაგრამ წინასწარმეტყველის თქმით, ბოლო ჟამს მას "მრავალნი შეისწავლიან და მოიმატებს ცოდნა" (დან. 12:4).

პავლე მოციქული აფრთხილებდა ეკლესიას, მის დღეებში არ დალოდებოდნენ ქრისტეს მოსვლას. "ვინაიდან ის დღე არ დადგება, სანამ უწინ არ მოვა განდგომილება და არ გამოჩნდება ურჯულოების კაცი, ძე დაღუპვისა" (2თეს. 2:3). ჩვენ არ უნდა ველოდოთ ჩვენი უფლის მოსვლას იმაზე ადრე, ვიდრე არ დადგება რწმენისაგან უდიდესი განდგომილება და "დაღუპვის ძის"

ხანგრძლივი მმართველობის პერიოდი. "დალუპვის ძე", რომელსაც აგრეთვე "ურჯულოების საიდუმლო", "ურჯულოების კაცი" და "ურჯულო" ეწოდება - ეს არის პაპის ხელისუფლება, რომელსაც უნდა ებატონა 1260 წლის განმავლობაში. ეს პერიოდი 1798 წელს დამთავრდა, ამიტომ ქრისტეს მოსვლა არ შეიძლებოდა მომხდარიყო ამ პერიოდამდე. პავლე მოციქულის გაფრთხილება ეხება მთელ ქრისტიანულ ხანას 1798 წლამდე. ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ქადაგება სახარებისა ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ.

გასულ საუკუნეებში კაცობრიობას არ მოუსმენია ეს სახარება. როგორც ვხედავთ, პავლე მოციქულიც არ

ქადაგებდა ამის შესახებ; იგი თავის ძმებს მიუთითებდა იმ შორეულ მომავალზე, როდესაც ქრისტე მოვიდოდა. ამ სახარებას არც რეფორმატორები ქადაგებდნენ. მარტინ ლუთერი თვლიდა, რომ სამსჯავროს დღემდე 300 წელი იყო დარჩენილი. მაგრამ 1798 წლის შემდეგ დანიელის წიგნს მოეხსნა "ბეჭედი", ბევრმა შეისწავლა იგი და დაიწყო ქადაგება სამსჯავროს მოახლოების შესახებ.

XVI საუკუნის რეფორმაციის მსგავსად, ადვენტისტური მოძრაობა ქრისტიანული სამყაროს სხვადასხვა ქვეყანაში ერთდროულად წარმოიშვა. ევროპაშიც და ამერიკაშიც მორწმუნე ქრისტიანები რწმენითა და ლოცვებით სწავლობდნენ

წინასწარმეტყველებს, მრავალჯერ კითხულობდნენ მის შთამაგონებელ სიტყვებს და მათთვის ნათელი ხდებოდა ბოლო ჟამის მოახლოება. ბევრ ქვეყანაში გამოჩნდნენ ცალკეული ჯგუფები ადამიანებისა, რომლებიც წმიდა წერილის სერიოზული შესწავლის შედეგად, მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ მოახლოვდა ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამი.

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მილერმა განმარტა წინასწარმეტყველება სამსჯავროს ჟამის შესახებ, და 1821 წელს იოსეფ ვოლფმა, "მსოფლიო მისიონერმა", დაიწყო ქადაგება უფლის მალე მოსვლის შესახებ. ვოლფი გერმანიაში, ებრაელის ოჯახში

დაიბადა. მისი მამა რაბინი იყო. მან ბავშვობიდანვე შეიმეცნა ქრისტიანული რელიგიის ჭეშმარიტება. მისი ცოცხალი გონება მუდამ ძიებაში იყო; დიდი ყურადღებით უსმენდა მამის სახლში გამართულ საუბრებს, სადაც ყოველდღე თავს იყრიდნენ განსწავლული იუდეველები და მსჯელობდნენ თავიანთი ხალხის იმედისა და სასოების, მომავალი მესიისა და ისრაელის აღდგენის შესახებ. ერთხელ, გაიგონა რა ყმაწვილმა იესო ნაზარეველის შესახებ, ძლიერ დაინტერესდა მისით. "იგი ძალიან ჭკვიანი ებრაელი იყო, - უპასუხეს მას, - მაგრამ თავი მესიად გამოაცხადა და იუდეველთა ტრიბუნალმა სიკვდილის განაჩენი

გამოუტანა მას". "მაგრამ რატომ დაინგრა იერუსალიმი, - დაინტერესდა ბავშვი, - და რატომ ვართ ჩვენ მონობაში?" "სამწუხაროდ, ასე იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ, ებრაელები, ვხოცავდით წინასწარმეტყველთ". - იყო მამის პასუხი. ვოლფმა გამოთქვა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ "შესაძლოა, იესოც ასეთივე წინასწარმეტყველი იყო, სრულიად უდანაშაულო და იუდეველებმა მოკლეს იგი". ამ აზრმა ისე გაიტაცა, რომ მიუხედავად ქრისტიანულ ეკლესიაში სიარულის აკრძალვისა, იგი ხშირად დადიოდა იქ ქადაგების მოსასმენად.

ის მხოლოდ შვიდი წლისა იყო, როდესაც თავის ქრისტიან მეზობელს

ეტრაბახებოდა იმ ბრწყინვალე მომავლის შესახებ, რომელიც ისრაელს მესიის მოსვლის შემდეგ ელოდა. მოხუცმა ქრისტიანმა თბილად მიმართა მას: "საყვარელო ბიჭუნავ, მე გეტყვი შენ, ვინ არის ჭეშმარიტი მესია. იგი არის იესო ნაზარეველი... რომელიც ძველ წინასწარმეტყველთა მსგავსად ჯვარს აცვეს შენმა წინაპრებმა. სახლში დაბრუნებისას წაიკითხე ესაია წინასწარმეტყველის 53-ე თავი და თავად დარწმუნდები იმაში, რომ იესო ქრისტე არის ძე ღვთისა". და მართლაც, როცა მან წაიკითხა მითითებული თავი, გაოცებული დარჩა იმით, თუ როგორ ზუსტად ალსრულდა იესო ნაზარეველის ცხოვრებაში ყველაფერი, რაც

წინასწარმეტყველის წიგნში იყო დაწერილი. იქნებ, მართალია მისი ქრისტიანი მეზობელი? ბიჭმა მამას სთხოვა წინასწარმეტყველების განმარტება, მაგრამ მისგან ისეთ ჯიუტ და სასტიკ დუმილს წააწყდა, რომ შემდგომ, უკვე ველარასოდეს ბედავდა ასეთი კითხვების დასმას. მაგრამ ამან უფრო გაუძლიერა ინტერესი, მეტი გაეგო ქრისტიანობის შესახებ.

ბავშვის მშობლები გულმოდგინედ ცდილობდნენ იმ ჭეშმარიტების დამალვას, რომელიც ასე ძლიერ სწყუროდა მას. მაგრამ 11 წლის ასაკში ვოლფმა მიატოვა მამისეული სახლი და გავიდა ხალხში, რათა განათლება მიელო და რელიგია და პროფესია აერჩია. რამდენიმე ხანს

იგი ნათესავებთან ცხოვრობდა, მაგრამ იქიდანაც მალე გააძევეს, როგორც რჯულის მოღალატე. თავშესაფრისა და ფულის გარეშე დარჩენილმა ყმაწვილმა გადაწყვიტა, თვითონვე გაეკვალა თავისი ცხოვრების გზა. იგი ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილას, სულდგმულობდა ებრაული ენის სწავლების ხარჯზე, ცდილობდა ცოდნა შეეძინა და განათლება მიელო. კათოლიკე მოძღვრის გავლენის წყალობით მან რომის კათოლიკური რელიგიის რწმენა მიიღო და გადაწყვიტა, გამხდარიყო მისიონერი თავისი ხალხისათვის. მან რამდენიმე წლის შემდეგ ამ მიზნით დაიწყო სწავლა რომის კათოლიკურ სამისიონერო კოლეჯში. მაგრამ სულ

მალე თავისი თავისუფალი მსჯელობებისა და გულახდილი გამოთქმების გამო ერესში დასდეს ბრალი. იგი საჯაროდ აკრიტიკებდა სამღვდელოებას და რეფორმების აუცილებელ გატარებას მოითხოვდა. თვითონ ვოლფი პაპის წარმომადგენელთა განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდა, მაგრამ ყველაფერი ეს მისი რომიდან გაძევებით დამთავრდა. ეკლესიის მუდმივი ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ვოლფი ერთი ქალაქიდან მეორეში მანამ მოგზაურობდა, სანამ არ დარწმუნდა იმაში, რომ ვერასოდეს შეეგუება რომის ბატონობას. ბოლოს და ბოლოს იგი გამოუსწორებლად მიიჩნიეს და

თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა მისცეს. მაშინ იგი ინგლისს გაემგზავრა და მიილო რა პროტესტანტული რწმენა, ანგლიკანური ეკლესიის წევრი გახდა. ორი წლის მომზადების შემდეგ, 1821 წელს მან მისიონერული მოღვაწეობა დაიწყო.

მიილო რა ჭეშმარიტება ქრისტეს პირველი მოსვლის შესახებ, რომელმაც "იკისრა ჩვენი ვნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი", ვოლფმა დაინახა, რომ წინასწარმეტყველება ასეთივე თანმიმდევრობით მოწმობდა ძალითა და დიდებით ქრისტეს მეორედ მოსვლაზე და ხალხს მიუთითებდა იესო ნაზარეველზე, როგორც ალთქმულ მესიაზე, მის პირველ

მოსვლაზე და მის დამდაბლებაზე ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად. ვოლფი აგრეთვე ასწავლიდა ჭეშმარიტებას უფლის მეორედ მოსვლაზე და რომ უფალი მოვიდოდა, როგორც მეფე და განმათავისუფლებელი.

"იესო ნაზარეველი - ჭეშმარიტი მესიაა, - ამბობდა ის, - რომელსაც განუგმირეს ხელები და ფეხები; რომელიც კრავის მსგავსად, სასაკლაოზე წაიყვანეს; რომელმაც იკისრა ჩვენი ვნებები და იტვირთა ჩვენი სნეულებანი; რომელიც პირველად მოვიდა მას შემდეგ, რაც იუდას წაერთვა სამეფო კვერთხი და საკანონმდებლო ძალაუფლება; მაგრამ იგი მეორედ გამოჩნდება ცის ღრუბლებზე, მთავარანგელოზის

საყვირის ხმაზე და დადგება ზეთისხილის მთაზე. და ძალაუფლება, რომელიც ერთხელ მიეცა ადამს უფლის მიერ შექმნილ ყოველ არსებაზე საბატონოდ და რომელიც შემდგომ დაკარგა (იხ. დაბ. 1:26; 3:17), იესოს გადაეცემა. ის იქნება მთელი დედამიწის მეფე. აღარ იქნება ტირილი და კბილთა ღრჭენა, ყველგან იმღერებენ ქება-დიდების ჰიმნებს... როდესაც იესო მოვა მამის დიდებაში უამრავ წმიდა ანგელოზთან ერთად... პირველად ქრისტეში მკვდარნი ალსდგებიან (იხ. 1თეს. 4:16; 1კორ. 15:23). ეს არის პირველი აღდგომა. მაშინ ცხოველებიც კი გარდაიქმნებიან (ეს. 11:6-9) და დაემორჩილებიან იესოს (ფს. 8). დამყარდება საყოველთაო მშვიდობა.

და უფალი კვლავ გადახედავს დედამიწას და იტყვის: "აჰა, ძალიან კარგია!"

ვოლფს სჯეროდა, რომ უფლის მოსვლა მოახლოებულია და წინასწარმეტყველური და დიდებული ალსასრულის ჟამის მისეული განსაზღვრა უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა მილერის მიერ მითითებული დროისაგან. მათ, ვინც ქადაგებდა, რომ ამ "დღისა და საათის შესახებ არავინ იცის" და არც არაფერი უნდა იცოდეს ქრისტეს მოსვლის მოახლოების შესახებ, ვოლფი პასუხობდა: "განა ჩვენმა უფალმა თქვა, რომ დღე და საათი არასოდეს არ იქნება ცნობილი? განა არ მოგვცა დროის ნიშანი თუნდაც იმ იგავით, რომელშიც ნათქვამია, თუ

როგორ უნდა შევიცნოთ ზაფხულის მოახლოება ლელვის ფოთლების მიხედვით? (იხ. მათ. 24:32). განა ჩვენ მუდამ უმეცრებაში უნდა ვიმყოფებოდეთ, თუკი უფალმა თვითონ გვასწავლა დანიელის წიგნის არა მხოლოდ უბრალოდ წაკითხვა, არამედ მისი სრული შემეცნება? სწორედ იმ დანიელის წიგნისა, სადაც ნათქვამია, რომ იგი ბოლო ჟამამდე დაფარული იქნება და რომ "ბევრი შეისწავლის მას (ებრ. გამოთქმა: "თვალყურის დევნება და მსჯელობა დროის შესახებ") და (ამ დროის მიმართ) მოიმატებს ცოდნა" (დან. 12:4). უფალმა, როგორც ჩანს, გაგვაფრთხილა არა იმის შესახებ, რომ ჩვენ ამ დროის მოახლოებას ვერ შევამჩნევთ, არამედ იმის შესახებ,

რომ "იმ დღისა და საათის შესახებ არავინ იცის" ზუსტად. პირიქით, იგი პირდაპირ ამბობს, რომ დროის ნიშნებით ბევრ რამეს შევიცნობთ, რათა მოვემზადოთ მასთან შესახვედრად იმის მსგავსად, თუ ოდესღაც როგორ ამზადებდა ნოე კიდობანს".

ბიბლიურ განმარტებათა დამახინჯების ფართოდ გავრცელებული სისტემის შესახებ ვოლფი წერდა: "ქრისტიანულ ეკლესიათა უმრავლესობამ დატოვა წმიდა წერილის ჭეშმარიტი შემეცნების გზა და მიმართა ბუდისტების აჩრდილთა სისტემას, რომელთაც სჯერათ, რომ "კაცობრიობის ბედნიერება ადამიანთა ჰაერში დაუბრკოლებლად

გადაადგილებაში მდგომარეობს" და ეს ქრისტიანები "წარმართს" კითხულობენ იქ, სადაც დაწერილია "იუდეველი", "იერუსალიმში" გულისხმობენ "ეკლესიას", ხოლო "დედამიწა" "ზეცად" მიაჩნიათ; "უფლის მოსვლა - "მისიონერთა საზოგადოების პროგრესად", ხოლო სიტყვებს: "წავიდეთ მთაზე უფლის სახლში" ისინი განმარტავენ, როგორც წასვლას "მეთოდისტთა დიდებულ კრებაზე".

24 წლის განმავლობაში, 1821-1845 წ.წ., ვოლფი მუდმივად მოგზაურობდა. აფრიკაში იგი ეწვია ეგვიპტეს და აბისინიას, აზიაში - პალესტინას, სირიას, სპარსეთს, ბუხარას და ინდოეთს. ხოლო შეერთებული შტატებისკენ მიმავალ

გზაზე წმ. ელენეს კუნძულებზე ქადაგებდა. 1837 წელს იგი ჩავიდა ნიუ-იორკში, იქადაგა და შემდეგ გაემართა ფილადელფიაში, იქიდან ბალტიმორში და ბოლოს მიაღწია ვაშინგტონს. შემდგომში იგი წერდა: "ექს-პრეზიდენტის, ჯონ კუინს ადამსის მიერ შემოთავაზებული წინადადებით მე შესაძლებლობა მომეცა, გამოვსულიყავი კონგრესის დარბაზში, რაც შაბათ დღეს შედგა კიდეც. ამ ლექციას კონგრესის ყველა წევრი დაესწრო, მოვიდა თვით ვირჯინიის ეპისკოპოსი, სამღვდელოება და ვაშინგტონის მოქალაქენი. ასეთივე პატივით მიმიღეს ნიუ-ჯერსისა და პენსილვანიის შტატებში, სადაც საზოგადოებას ვაცნობდი აზიაში ჩემი

გამოკვლევების შესახებ და ვკითხულობდი ლექციებს იესო ქრისტეს პირადი მმართველობის შესახებ".

პროფესორი ვოლფი მიყრუებულ მხარეებში ყოველგვარი დაცვის გარეშე მოგზაურობდა, მრავალი სიძნელე და გაჭირვება ხვდებოდა გზებზე და ბევრჯერ ხიფათსაც გადაურჩა. სცემდნენ ჯოხებით, კლავდნენ შიმშილით, ერთხელ გაყიდეს კიდეც, როგორც მონა და სამჯერ სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანეს. არაერთხელ ჩავარდნია იგი ხელთ ყაჩაღებს და მრავალჯერ წყურვილით სიკვდილიც დაემუქრა. ერთხელ ყველაფერი მოპარეს და იძულებული გახდა, ასობით მილი ფეხით გაევლო, თოვლიანი მთები

შიშველი, გაყინული ფეხებით გადაეკვეთა.

როდესაც ურჩევდნენ იარაღის გარეშე არ წასულიყო მტრულად განწყობილ ტომებთან, იგი ჩვეული ტონით პასუხობდა, რომ შეიარაღებულია "ლოცვებით, ქრისტეს მსახურების სურვილით და მისი დახმარების რწმენით. ამას გარდა, ჩემი გული ალსავსეა ღმერთისა და მოყვასისადმი სიყვარულით, ხელში კი ბიბლია მიჭირავს". იგი მუდამ თან ატარებდა ბიბლიას ინგლისურ და ებრაულ ენებზე. თავისი უკანასკნელი მოგზაურობის გახსენებისას იგი წერდა: "მე... ხელში ყოველთვის მეჭირა გადაშლილი ბიბლია. ვგრძობდი, რომ ჩემი ძალა - ამ

წიგნშია, რომ მისი სიძლიერე მეხმარება მე".

ვოლფი შეუპოვრად შრომობდა მანამ, სანამ მსოფლიოს უმეტეს ნაწილში არ გაისმა სახარება სამსჯავროს მოახლოების შესახებ. იგი ღვთის სიტყვას ავრცელებდა ებრაელებში და თურქებში, სპარსელებსა და ინდიელებში, ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა; ყველა ენისა და რასის წარმომადგენელთა შორის და ხალხს მესიის სასუფევლის დადგომის მოახლოებას აცნობდა.

ბუხარაში მოგზაურობისას მან ალმოაჩინა, რომ იმ ხალხისათვის უცხო არ არის ქრისტეს სასუფევლის მოახლოების ამბავი და რომ ამ მოძღვრებას იცნობს მსოფლიო

ცივილიზაციისაგან ასე შორს მყოფი ხალხი. "არაბებს იემენიდან, - წერდა იგი, - აქვთ წიგნი, სახელწოდებით "სეერა", რომელშიც ნათქვამია ქრისტეს მეორედ მოსვლისა და მისი დიდებით მეფობის შესახებ. ისინი ელიან უდიდეს მოვლენებს, რომელთაც ადგილი ექნება 1840 წელს... იემენში ექვსი დღე დავყავი რეჰაბის შვილებთან. ისინი არ სვამენ ღვინოს, არც ვაზს რგავენ, არც თესავენ. ცხოვრობენ კარვებში, საუბრებში იხსენებენ კეთილ იონადაბს, რეჰაბის ვაჟს; მათ შორის ბევრი ისრაელიანი ვნახე დანის შტოდან, რომელნიც რეჰაბის შვილებთან ერთად ელიან მესიის გამოჩენას ცის ღრუბლებზე".

სხვა მისიონერის ალმოჩენით, ასეთივე მოძღვრება არსებობდა თათრეთში. თათარმა მოლამ ჰკითხა მისიონერს, თუ როდის მოვიდოდა იესო ქრისტე მეორედ და როდესაც მისიონერმა უპასუხა - ამის შესახებ არაფერი ვიციო, მოლას დიდად გაუკვირდა ამ კაცის უმეცრება, რომელიც თავს დებდა ბიბლიის მასწავლებლობაზე. მოლა მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ქრისტე დაახლოებით 1884 წელს მოვიდოდა.

ინგლისში ქრისტეს მოსვლის შესახებ საბარების ქადაგება 1826 წელს დაიწყო. მაგრამ ეს მოძრაობა აქ არ ჩამოყალიბებულა ისეთი განსაზღვრული ფორმით, როგორც ამერიკაში; ყველგან არ იყო თქმული ზუსტი დროის შესახებ. მაგრამ

უდიდესი ჭეშმარიტება ქრისტეს ძალითა და დიდებით მოსვლაზე ფართოდ ვრცელდებოდა. და ამისათვის შრომობდნენ არა მხოლოდ სექტანტები და "გამთიშველები". ინგლისელი მწერალი მურან ბროკი ამბობს, რომ ანგლიკანური ეკლესიის დაახლოებით 700-მდე წარმომადგენელი ქადაგებდა "სასუფევლის სახარებას". უწყება იმის შესახებ, რომ ქრისტე 1844 წელს მოვა დედამიწაზე, დიდ ბრიტანეთშიც გაისმა. აქ ფართოდ ვრცელდებოდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოტანილი ადვენტისტური ბროშურები, იბეჭდებოდა წიგნები და ჟურნალები. 1842 წელს რობერტ ვინტერმა, წარმოშობით ინგლისელმა,

რომელმაც ადვენტისტური რწმენა ამერიკაში მიიღო, სამშობლოში დაბრუნებისას დაიწყო ქადაგება უფლის მეორედ მოსვლის შესახებ. მის საქმიანობას ბევრი შემოუერთდა და მალე სამსჯავროს მოახლოების სახარება ინგლისის სხვადასხვა მხარეში გავრცელდა.

უმეცრებაში და საეკლესიო ინტრიგებში ჩაფლულ სამხრეთ ამერიკაში გამოჩნდა ვინმე იეზუიტი ლაკუნზა, წარმოშობით ესპანელი, რომელმაც წმიდა წერილის გამოკვლევის შედეგად მიიღო ჭეშმარიტება ქრისტეს მალე მოსვლის შესახებ. მან თავი ვალდებულად ჩათვალა, ხალხი ამის შესახებ გაეფრთხილებინა და რომის მხრიდან ბრალდების თავიდან აცილების

მიზნით, თავისი თვალსაზრისი გამოთქვა ფსევდონიმით "რაბი-ბენ-ეზრა", რომელშიც თავი ახალმოქცეულ ებრაელად გამოაცხადა. ლაკუნზა ცხოვრობდა XVIII საუკუნეში, მაგრამ მისი წიგნი მხოლოდ 1825 წელს აღმოჩნდა ლონდონში, სადაც იგი ინგლისურ ენაზე ითარგმნა. ამ წიგნმა უკვე გამოფხიზლებულ ინგლისელ ხალხს მეორედ მოსვლის სახარებისადმი ინტერესი გაუღრმავა.

გერმანელ ხალხს ეს სახარება ამცნო ლუთერანული ეკლესიის მსახურმა ბენგელმა, რომელიც საუკუნის XV
გამოჩენილ ღვთისმეტყველად და კრიტიკოსად იყო ცნობილი. მიიღო რა განათლება, ბენგელმა "მთელი თავისი დრო თეოლოგიის შესწავლას

მიუძღვნა, რაშიც თავისი სერიოზული, რელიგიური წესრიგისა და დისციპლინის მქონე ბუნება და აგრეთვე ბავშვობაში მიღებული ალზრდა უწყობდა ხელს. სხვა სერიოზულ ახალგაზრდა თეოლოგთა მსგავსად, მასაც ჰქონდა ეჭვებთან და სიძნელეებთან დიდი ბრძოლა სულიერი ცხოვრების სფეროში და შემდგომში დიდი გრძნობით იხსენებდა "იმ მრავალრიცხოვან ისრებს, რომლებმაც დასერეს მისი საწყალი გული და მისი სიჭაბუკე მძიმე ტვირთად აქციეს". ვიურტბენგერის კონსისტორიის წევრად გახდომის შემდეგ მან რელიგიური თავისუფლების დაცვა დაიწყო. "იბრძოდა რა ეკლესიის უფლება-პრივილეგიისათვის, ამავე

დროს უფრთხილდებოდა ყოველი ადამიანის კუთვნილ სინდისის თავისუფლებასაც, რომელიც უნდა მისცემოდა ყველას, მათაც, ვისაც ეკლესიის წევრად დარჩენა არ შეეძლო". (ბრიტანეთის ენციკლოპედია). მისი მოღვაწეობის კეთილი გავლენა დღესაც კი იგრძნობა მის სამშობლოში.

ერთხელ, ქადაგებისათვის მზადებისას იგი გამოცხადების 21-ე თავს ჩაუფიქრდა და უცბად გონება ქრისტეს მეორედ მოსვლის ნათელმა ჭეშმარიტებამ გაუნათა. გამოცხადების წიგნის წინასწარმეტყველება მთელი სიცხადით გადაიშალა მის წინაშე. წინასწარმეტყველის მიერ დახატული სურათების გრანდიოზულობითა და

მრავალმნიშვნელობით აღლვებულ პასტორს სხვა რამეზე ფიქრი უკვე ალარ შეეძლო. მეორე დღეს ეს ჭეშმარიტება მთელი თავისი რეალობითა და სიძლიერით კვლავ წარმოუდგა თვალწინ. და იმ დღიდან დაიწყო მან წინასწარმეტყველებათა გამოკვლევა, განსაკუთრებით კი გამოცხადების წიგნისა და სულ მალე დარწმუნდა, რომ ქრისტეს მოსვლა მოახლოებული იყო. მის მიერ გამოთვლილი თარიღი მხოლოდ რამდენიმე წლით არ ემთხვეოდა მილერის გვიანდელ გამოთვლებს.

ბენგელის ნაშრომები მთელ საქრისტიანოში გავრცელდა. მის თვალსაზრისს სრულად იზიარებდნენ ვიურტენბერგში და ნაწილობრივ, გერმანიის სხვა

ქალაქებში. ეს მოძრაობა იზრდებოდა მისი სიკვდილის შემდეგაც და სახარება ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ სხვა ქვეყნებთან ერთად გერმანიაშიც იქადაგებოდა. ზოგიერთი მორწმუნე რუსეთში გადასახლდა, სადაც მცირე კოლონიები დააარსა და ამ ქვეყანაში დღესაც იქადაგება სახარება ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ.

ნათელი ამობრწყინდა საფრანგეთშიც და შვეიცარიაშიც. ჟენევაში, სადაც ფარელმა და კალვინმა გაავრცელეს რეფორმაციის იდეები, ახლა გოსენი ქადაგებდა სახარებას ქრისტეს მოსვლის მოახლოების შესახებ. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, გოსენი იმ რაციონალიზმის სულს შეეჯახა,

რომელიც XVIII დასასრულსა და საუკუნის XIX დასაწყისში მთელ ევროპაში იყო გაბატონებული; და სასულიერო ხარისხის მიღების შემდეგაც არაფერი იცოდა ჭეშმარიტი რწმენის შესახებ, რის მიმართაც ასე სკეპტიკურად იყო განწყობილი. ახალგაზრდობაში იგი წინასწარმეტყველებებით დაინტერესდა. წაიკითხა რა როლანის "ძველი ისტორია", მისი ყურადღება მიიპყრო დანიელის წიგნის მე-2 თავმა და განცვიფრებული დარჩა იმ საოცარი სიზუსტით, რომლითაც წინასწარმეტყველება აღსრულდა, რაც კიდეც ასახული იყო ისტორიულ მატიანეში. ეს მისთვის წერილის

"ღვთივსულიერებას" მოწმობდა, რომელიც შემდგომში მის საყრდენად იქცა და ყოველთვის ეხმარებოდა, რომ არ ჩაძირულიყო ხიფათით სავსე ცხოვრების მორევში. რაციონალისტური მოძღვრება არ აკმაყოფილებდა მას; მხოლოდ ბიბლიის სრული შესწავლის შემედ, უფრო დიდი შემეცნებისაკენ მუდმივი სწრაფვით, საკმაოდ დიდი ხნის მერე მივიდა იგი ჭეშმარიტ რწმენამდე.

წინასწარმეტყველებათა გამოკვლევების გავრცელებით და მასზე მუდმივი მსჯელობის შედეგად იგი მიხვდა, რომ უფლის მოსვლა ახლოსაა. შეიცნო რა საზეიმო მნიშვნელობა ამ უდიდესი ჭეშმარიტებისა, გადაწყვიტა იგი

სხვებისთვის გაეზიარებინა, მაგრამ საყოველთაოდ გავრცელებულმა რწმენამ დანიელის საიდუმლო წინასწარმეტყველებათა შესახებ და იმ აზრმა, რომ მისი გაგება ადამიანისათვის მიუწვდომელია, სერიოზული დაბრკოლებები შეუქმნა ჭეშმარიტების გზაზე. ბოლოს გადაწყვიტა, მიებაძა ფარელის მაგალითისათვის და დაიწყო ბავშვებთან მუშაობა იმ იმედით, რომ შემდგომში მათი მშობლებისთვის გაელვიძებინა ინტერესი.

მოგვიანებით იგი ამ მეთოდის შესახებ წერდა: "მე მსურს ყველამ იცოდეს, თუ ჩემი მსახურების დასაწყისში რატომ მივმართე ბავშვებს და არა უფროსებს. ეს გავაკეთე არა იმიტომ, რომ

ჭეშმარიტება, რომელსაც მე ვქადაგებდი, ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო. პირიქით, სწორედ იმ ჭეშმარიტების, რომელიც ასეთი ძვირფასი საგანძური იყო ჩემთვის, გადაცემა მინდოდა ადვილი და უფრო მისაწვდომი ფორმით. მსურდა, ჩემი მოწოდება გაეგო ყველას, მაგრამ მეშინოდა, რომ ეს არ მოხდებოდა, თუ პირდაპირ უფროსებს მივმართავდი. ამიტომ მივედი ყველაზე პატარებთან. მე ვაგროვებდი ბავშვებს და ასე ვმსჯელობდი: თუკი ჩემი ჯგუფი გაიზრდება, იმას ნიშნავს, რომ ეს აინტერესებთ, რომ მათთვის გასაგებია ჩემი საუბარი და ისინი მსჯელობენ მასზე, მაშინ გამიჩნდება იმედი მეორე ასეთი ჯგუფის შექმნისა, შემდეგ კი მშობლებიც

დარწმუნდებიან იმაში, რომ ღირს ამ საკითხზე მსჯელობა და დაფიქრება. და როდესაც ეს ასე მოხდება, გამარჯვება გარდაუვალია".

გოსენის მოლოდინი გამართლდა. პატარებთან შრომით მან უფროსებიც დააინტერესა. მისი ეკლესია სავსე იყო ყურადღებიანი მსმენელით. მათ შორის ხშირად იყვნენ გავლენიანი და სწავლული პიროვნებები, ჟენევაში ჩამოსული უცხოელები და ამგვარად, სახარება ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ სხვა მხარეებშიც ვრცელდებოდა.

წარმატებებით გამხნევებულმა გოსენმა თავისი ლექციები იმ იმედით გამოაქვეყნა, რომ წინასწარმეტყველთა წიგნების გამოკვლევები დაინტერესებდა

ეკლესიებსაც, სადაც მსახურება ფრანგულ ენაზე ტარდებოდა. "ბავშვებისათვის მოძღვრებათა გამოქვეყნებით სინამდვილეში მე მათ მშობლებს მივმართავდი, - წერდა გოსენი, - რომლებიც ხშირად უგულვებელყოფდნენ ამ წიგნებს იმ მიზეზით, რომ მათთვის მიუწვდომელია მათი საიდუმლო. რა არის აქ გაუგებარი, თუკი ბავშვებიც კი ჩაწვდნენ მას? ძალიან მინდოდა ეს წინასწარმეტყველებანი ჩემი ეკლესიისათვის გამეცნო. მე ეს დროულად მიმაჩნია. მათი შესწავლა მოგვამზადებს მოახლოებული გამოცდისათვის, დაგვეხმარება ფხიზლად ვიყოთ იესო ქრისტეს მოლოდინის იმედით".

მიუხედავად იმისა, რომ გოსენი ჟენევის ერთ-ერთი საყვარელი მოძღვარი იყო, რომელიც ღვთისმსახურებას ფრანგულ ენაზე ატარებდა, რამდენიმე ხნის შემდეგ იგი სამსახურიდან დაითხოვეს. მის წინაალმდეგ წამოყენებული ბრალდება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი უსიცოცხლო საეკლესიო და რაციონალისტური კატეხიზმის ნაცვლად ახალგაზრდებს ბიბლიას ასწავლიდა. შემდგომში იგი ღვთისმეტყველების მასწავლებელი გახდა და კვლავინდებურად კვირადღეობით ბავშვებს ბიბლიას ასწავლიდა. დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა ნაშრომებმა წინასწარმეტყველებათა შესახებ. საპროფესორო კათედრიდან, თავისი

წიგნის ფურცლებიდან თუ თავისი სამასწავლებლო და სამოღვაწეო ადგილებიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში უგზავნიდა ადამიანებს კეთილ აზრებს, მიუთითებდა წინასწარმეტყველებებზე და უფლის მოსვლის მოახლოებაზე.

სახარება უფლის მეორედ მოსვლის შესახებ სკანდინავიაშიც გაისმა, სადაც მან დიდი ინტერესი გამოიწვია. ბევრი გამოფხიზლდა უზრუნველი ძილისაგან, აღიარა და მიატოვა თავისი ცოდვები და მიტევებისათვის ქრისტეს მიმართა. სახელმწიფო ეკლესიათა ხელმძღვანელები მისი ასეთი მოღვაწეობის წინააღმდეგ გამოვიდნენ და მათი მოთხოვნით ზოგიერთი მქადაგებელი დილეგში

ჩააგდეს. მაგრამ ბევრგან, სადაც უფლის მეორედ მოსვლის მაცნენი დაადუმეს, უფალმა ქადაგების სხვა, ჩინებულ ხერხს მიმართა - პატარა ბავშვების მეშვეობით. არასრულწლოვანობის გამო, სახელმწიფო კანონები ბავშვებზე არ ვრცელდებოდა და მათ ჭეშმარიტების შესახებ ლაპარაკი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეეძლოთ.

ასეთი ფორმით ქადაგება პოპულარული იყო უბრალო მშრომელთა შორის, რომელთა ღარიბულ სახლებშიც ხალხი ამ გაფრთხილებათა მოსასმენად იკრიბებოდა. მქადაგებელი ბავშვები ძირითადად ამ ღარიბი ოჯახების წევრები იყვნენ და ზოგიერთი მათგანი 6-7 წლისა იყო. და თუმცა

მათი ცხოვრება მაცხოვრისადმი უდიდეს სიყვარულსა და მისი წმიდა მოთხოვნების შესრულების მცდელობას მოწმობდა, ისინი მაინც ჩვეულებრივი ბავშვები იყვნენ, რომელთა განვითარებაც მათ ასაკს შეეფერებოდა. მაგრამ როცა ხალხის წინაშე გამოდიოდნენ, აშკარად ჩანდა, რომ მათ ზეციური ძალა ხელმძღვანელობდა. მომავალი სამსჯავროს შესახებ გაფრთხილებათა წარმოთქმის დროს მათი ხმებიც კი სხვაგვარად ჟღერდა: "გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას, ვინაიდან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი". ისინი ამხელდნენ და კიცხავდნენ ადამიანთა ცოდვებს, მათ უზნეობასა და მანკიერებას, მათ ჭეშმარიტი რწმენისაგან განდგომას

და მსმენელთ მოუწოდებდნენ მომზადებულიყვნენ ქრისტეს შესახვედრად, რათა უფლის რისხვა თავიდან აეცილებინათ.

ხალხი მოკრძალებით უსმენდა მათ სიტყვებს. ღვთის სულიწმიდა ზეგავლენას ახდენდა მათ გულებზე. ბევრმა ინტერესით ჩაიხედა წმიდა წერილში; უზნეო ადამიანები ტოვებდნენ თავიანთ ცოდვილ ცხოვრებას, უარყოფით თვისებებს და მათი ცხოვრების უკეთესისაკენ გარდაქმნა იმდენად ნათელი იყო, რომ თვით სახელმწიფო ეკლესიათა მსახურნიც კი იძულებული იყვნენ ამ მოძრაობაში უფლის ხელი ელიარებინათ.

უფალს სურდა, რომ სკანდინავიის ქვეყნებს მოესმინათ სახარება

მაცხოვრის მოსვლის შესახებ და როდესაც მის მსახურთა ხმა დაადუმეს, თავისი სული ბავშვებს მისცა დაწყებული საქმის დასასრულებლად. როდესაც იესო, მოზეიმე ადამიანთა თანხლებით იერუსალიმში შედიოდა და ალტაცებული ხალხი პალმების რტოებით ხელში დავითის ძედ აცხადებდა მას, შურიანმა ფარისევლებმა იესოს ხალხის გაჩუმება მოსთხოვეს, მაგრამ უფალმა უპასუხა, რომ ეს წინასწარმეტყველების ასრულებაა და თუკი ადამიანები დადუმდებიან, მაშინ ქვები იღაღადებენ. მღვდელთა და მთავართა მუქარით შეშინებული ხალხი იერუსალიმში უფლის შესვლის დროს გაჩუმდა, მაგრამ

ტაძრის ეზოში შემოსული ბავშვები პალმის ტოტების ქნევით უშიშრად შესძახოდნენ: "ოსანა დავითის ძეს!" (მათ. 21:8-16). როდესაც ალშფოთებულმა ფარისევლებმა უთხრეს მას: "თუ გესმის, რას ამბობენ ისინი?", იესომ უპასუხა: "ნუთუ არასოდეს წაგიკითხავთ: "ჩვილთა და ძუძუმწოვართა პირით დაიმკვიდრე დიდება?" როგორც მაცხოვრის პირველი მოსვლის დროს მოქმედებდა ბავშვების მეშვეობით უფალი, ასევე გამოიყენა ისინი ქადაგებისათვის თავისი მეორედ მოსვლის შესახებ, რადგან უნდა ალსრულებულიყო ღვთის სიტყვა იმის შესახებ, რომ უფლის მოსვლის სახარება ექადაგება ყველა ტომს, ხალხებს და ენებს.

უფალმა ამ სახარების ქადაგება ამერიკაში უილიამ მილერსა და მის მიმდევრებს დაავალა. ეს ქვეყანა უდიდესი ადვენტისტური მოძრაობის ცენტრად იქცა. აქ უფრო სრულად ალსრულდა პირველი ანგელოზის სახარების წინასწარმეტყველება. აქედან ვრცელდებოდა მილერისა და მის თანამოაზრეთა ნაშრომები სხვადასხვა ქვეყნებში. ამერიკელი მისიონერები ყველა ქვეყანაში ქადაგებდნენ სასიხარულო და კეთილ სახარებას ქრისტეს მალე მოსვლის შესახებ. დედამიწის ყველა კუთხეში ვრცელდებოდა სახარების ჭეშმარიტება: "გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას, ვინაიდან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი".

ადამიანები დაატყვევა წინასწარმეტყველებამ იმის შესახებ, რომ ქრისტე 1844 წლის გაზაფხულზე მოვა. ეს ამბავი მქადაგებლებს ერთი შტატიდან მეორეში გადაჰქონდათ, რასაც ყველგან დიდი ინტერესით ხვდებოდნენ. ბევრი დარწმუნდა წინასწარმეტყველურ მტკიცებათა ჭეშმარიტებაში და უარყო რა თავისი ამაყი სწრაფვა საკუთარი თვალსაზრისისაკენ, სიხარულით ღებულობდა ჭეშმარიტებას. ზოგიერთი ღვთისმსახური ბიბლიის საწინააღმდეგო თავის თვალსაზრისს და წინანდელ შეხედულებებს იცვლიდა. ისინი უარს ამბობდნენ ანაზღაურებაზე, ტოვებდნენ ეკლესიებს და მიდიოდნენ ქრისტეს მოსვლის შესახებ ჭეშმარიტების

საქადაგებლად. მაგრამ ასეთ მსახურთა რიცხვი მცირე იყო და ეს სახარება ძირითადად უბრალო ადამიანთა მეშვეობით ვრცელდებოდა. ფერმერები ტოვებდნენ თავიანთ ფერმებს; ხელოსნები – ; კომერსანტები - თავიანთ სავაჭროებს; მოსამსახურენი - თავიანთ სამუშაო ადგილებს, მაგრამ ამ დიდი სამუშაოს შესასრულებლად მქადაგებელთა ეს მცირე რიცხვი საკმარისი არ იყო. ეკლესიის არასახარბიელო მდგომარეობა, უწმიდურებაში ჩაფლული წუთისოფელი - ყველაფერი ეს მძიმე ტვირთად დააწვა უფლის ჭეშმარიტ გუშაგთ და ისინიც ნებაყოფლობით იტანდნენ სიძნელეებს, გაჭირვებას, ტანჯვას,

რათა ადამიანებისათვის ეჩვენებინათ მონანიებისა და გადარჩენის გზა. სატანის წინააღმდეგობის მიუხედავად, საქმე კეთდებოდა და ადვენტისტური რწმენა ათასობით ადამიანმა მიიღო.

ყველგან გაისმოდა ხმა, რომელიც მოუწოდებდა ცოდვილებს - მორწმუნეებსაც და ურწმუნოებსაც - ყველაფერი გაეკეთებინათ მომავალი რისხვის თავიდან ასაცილებლად. ქრისტეს წინამორბედის, იოანე ნათლისმცემლის მსგავსად, ჭეშმარიტების მაცნეებმა ცული დასცეს ხის ფესვებთან და ყველას დაჟინებით ევედრებოდნენ, მონანიების ღირსეული ნაყოფი გამოელოთ. როგორ არ ჰგავდა წუთისოფლისადმი მიმართული

მათი მწუხარე და მღელვარე მიმართვები იმ ტკბილ, დამამშვიდებელ სიტყვებს, რომელიც ეკლესიების კათედრებიდან გაისმოდა. წმიდა წერილის უბრალო, სულიწმიდის ზეგავლენით წარმოთქმული დამაჯერებელი მოწმობანი ისე ძლიერ ატყვევებდა ადამიანთა გულს, რომ მას ძალიან მცირე ნაწილი უწევდა წინააღმდეგობას. თეოლოგიის მასწავლებლები გამოფხიზლდნენ, დაინახეს თავიანთი შეცდომები, ამქვეყნიურობისადმი სიყვარული, ურწმუნოება, სიამაყე და ეგოიზმი. ბევრი მონანიებასა და მორჩილებაში ეძებდა ღმერთს. ახლა მათ თავიანთი გრძნობები და ფიქრები, რომელიც ასე ხანგრძლივად იყო მიჯაჭვული

წუთისოფელზე, ზეცისაკენ მიმართეს, სულიწმიდით ალივსნენ და მორჩილებითა და სიხარულით აიტაცეს სიტყვები: "გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას, ვინაიდან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი".

ცოდვილნი ტიროდნენ: "რა უნდა გავაკეთოთ, რომ გადავრჩეთ?" მათ, ვინც ადრე უზნეოდ იქცეოდა, ახლა სრულიად საწინააღმდეგო სურდათ. ჰპოვეს რა სიმშვიდე ქრისტეში, ისინი გულწრფელად ცდილობდნენ, რომ სხვებსაც მიეღოთ ასეთივე მადლი. მშობელთა გულები შვილებისაკენ მობრუნდნენ და შვილებისა - მშობლებისაკენ. ადამიანთა ურთიერთობას სიამაყე და თავდაჯერებულობა აღარ უშლიდა

ხელს. ისინი გულწრფელად ინანიებდნენ ცოდვებს, გულმოდგინედ იღწვოდნენ ნათესავთა და ახლობელთა გადასარჩენად და მგზნებარე ლოცვებს აღავლენდნენ ერთმანეთისათვის. ყველგან იყვნენ ადამიანები, რომელნიც თრთოლვითა და მოკრძალებით ევედრებოდნენ უფალს გადარჩენას. მთელ ღამეებს ლოცვებში ატარებდნენ, სურდათ რა დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ უფალმა მიუტევა ცოდვები, სხვები კი თავიანთ ნათესავთა და მეზობელთა გადარჩენისთვის ლოცულობდნენ.

ადვენტისტთა შეკრებებზე საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი მოდიოდა: მდიდრები და ღარიბები,

დიდებულნი და მდაბიონი, რომელთაც მხოლოდ ერთი რამ სწყუროდათ: მოესმინათ მოძღვრება ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. სანამ ღვთისმსახურნი რწმენის პრინციპების შესახებ ქადაგებდნენ, უფალი აქრობდა ხალხში წინააღმდეგობის სულს. ზოგჯერ ეს მოწმობა მეტად სუსტი იყო, მაგრამ ღვთის სული დამაჯერებელს ხდიდა მას. ასეთ შეკრებებზე ყოველთვის იგრძნობოდა წმიდა ანგელოზთა იქ ყოფნა და ყოველდღიურად მრავალი ადამიანი უერთდებოდა მორწმუნეთ. ერთად შეკრებილი უამრავი ხალხი სულგანაბული უსმენდა საზეიმოდ წარმოთქმულ სიტყვებს ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. თითქოს ზეცა და დედამიწა უახლოვდებოდა

ერთმანეთს. ღვთის ძალა მოქმედებდა მოხუცებშიც, ახალგაზრდებშიც და ბავშვებშიც. ადამიანები სახლებში ქება-დიდების ჰიმნების მღერით ბრუნდებოდნენ და სიხარულით ალსავსე ხმები ღამის სიჩუმეს არღვევდა. შეკრებათა მონაწილეებს არასოდეს დავიწყებიათ ამ კრებებზე გამეფებული დაძაბული სულიერი ატმოსფერო.

ქრისტეს მოსვლის ზუსტი დროის მითითება საზოგადოების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა როგორც ეკლესიის მსახურებში, ასევე ყველაზე თავზეხელაღებულ დამნაშავეებშიც. რა ზუსტად ალსრულდა წინასწარმეტყველის სიტყვები: "უპირველესად იცოდეთ, რომ უკანასკნელ დღეებში მოვლენ

დაცინვით დამცინავნი, რომელნიც საკუთარი გულისთქმისამებრ იქცევიან. ამბობენ: სად არის მისი მოსვლის აღთქმაო? რადგან მას შემდეგ, რაც მიიცვალნენ მამები, ყოველივე უცვლელად რჩება დასაბამიდან მოყოლებული" (2პეტ. 3:3,4). ბევრი უფლის მოყვარული და მომლოდინე, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებდნენ, ამბობდა: ჩვენ ვლებულობთ მოძღვრებას ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ, მაგრამ რა საჭიროა ამ მოვლენის ზუსტი თარიღის დასახელება? მაგრამ ყოვლისმხილველი ხედავდა მათ გულებს, მათ სულაც არ სურდათ ქრისტეს მოსვლა, რომელიც სამართლიანად განსჯის კაცობრიობას. ისინი არ იყვნენ

ერთგული მსახურნი; მათ ეშინოდათ მათი გულების გამომცდელი ღმერთისა, ეშინოდათ უფალთან შეხვედრისა. ქრისტეს პირველად მოსვლის პერიოდის იუდეველთა მსგავსად, ეს ადამიანები არ იყვნენ მზად იესოსთან შესახვედრად. მათ არა მხოლოდ არ სურდათ ბიბლიურ მტკიცებათა მოსმენა, არამედ დასცინოდნენ კიდეც უფლის მომლოდინეთ. სატანა და მისი ანგელოზები ზეიმობდნენ და უკმეხად მიუთითებდნენ ქრისტეს და მის ანგელოზთ ღვთის ხალხზე, რომელთაც, ეტყობა, არც თუ ისე დიდი სიყვარული აქვთ უფლის მიმართ, რადგან არ სურთ მისი დედამიწაზე მოსვლა.

"არავინ იცის დღე და საათი", - ეს სიტყვები ხშირად გაისმოდა, როგორც მტკიცება ქრისტეს მოსვლის უარმყოფელი ხალხისა. წმიდა წერილი ამბობს: "მაგრამ იმ დღისა და ჟამის შესახებ არავინ იცის, არც ზეციურმა ანგელოზებმა, არც ძემ, არამედ მხოლოდ მამამ" (მათ. 24:36). წმიდა წერილის ამ ტექსტის ნათელ და მასთან შეთანხმებულ განმარტებას იძლეოდნენ ქრისტეს მომლოდინენი, ხოლო მოწინააღმდეგენი არასწორად ხსნიდნენ მას. ეს სიტყვები ზეთისხილის მთაზე მოწაფეებთან სამახსოვრო საუბრისას ქრისტემ მას შემდეგ წარმოთქვა, რაც უკანასკნელად ეწვია ტაძარს. მოწაფეებმა ჰკითხეს: "რა იქნება შენი

მოსვლისა და წუთისოფლის ალსასრულის ნიშანი?" იესომ დროის ნიშნებზე მიუთითა და უთხრა: "როდესაც თქვენ იხილავთ ყოველივე ამას, იცოდეთ, რომ კარზეა მომდგარი". მაცხოვრის ერთი გამოთქმა არ გამორიცხავს მეორეს. თუმცა არც ერთმა ადამიანმა არ იცის მისი მოსვლის ზუსტი დღე და საათი, მაგრამ ჩვენ გაფრთხილებული ვართ ამ მოვლენის მოახლოების ნიშნების შესახებ. ასევე ნათქვამია, რომ ამ გაფრთხილებათა უგულვებელყოფით და იმ ნიშნებზე თვალის დახუჭვით, რომლებიც ქრისტეს მოსვლის მოახლოებაზე მიუთითებს, ისეთივე საბედისწერო შეცდომას ჩავდივართ, როგორც ნოეს პერიოდში მცხოვრები ადამიანები,

რომელთაც არ იცოდნენ, როდის მოვიდოდა წარღვნა. ამავე თავში მოცემულ იგავში ნაჩვენებია ორი ურთიერთსაპირისპირო მსახური: ერთგული და ბოროტი; ნაჩვენებია იმ მონის ბედი, რომელმაც თავის გულში თქვა: "იგვიანებსო ჩემი ბატონი". ეს იგავი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ მოექცევა ქრისტე იმ ხალხს, ვინც ელოდა მას და სხვებსაც ასწავლიდა ჭეშმარიტებას მისი მოსვლის შესახებ და რა დამოკიდებულება ექნება მის უარმყოფელთა მიმართ. "ფხიზლად იყავით, რადგან არ იცით, რომელ დღეს მოვა თქვენი უფალი. ნეტარია მონა, რომლის ბატონიც მოვა და ამგვარად მოქმედს ჰპოვებს მას" (მათ. 24:42-46). "და თუ არ იფხიზლებ,

მოვალ, როგორც ქურდი, და ვერ გაიგებ, როდის მოგივალ" (გამოცხ. 3:3).

იმათ შესახებ, ვისთვისაც ქრისტეს მოსვლა მოულოდნელი იქნება, მოციქული პავლე გვეუბნება: "უფლის დღე ღამის ქურდივით მოვა. ვინაიდან, როცა იტყვიან: "მშვიდობა და უსაფრთხოებაა", მაშინ მოულოდნელად დაატყდებათ თავს განადგურება... და ვერ დაალწევენ თავს". იგი მიმართავს მათაც, ვინც ყურადღებით ეკიდება ყოველივე ამას და ფხიზლობს: "მაგრამ თქვენ, ძმებო, სიბნელეში არ იმყოფებით, რომ დღე ქურდივით წამოგეწიოთ. ვინაიდან თქვენ ყველანი ნათლის შვილები ხართ და დღის შვილები; არც

ღამისანი ვართ ჩვენ და არც ბნელისანი" (1თეს. 5:2-5).

ამგვარად, როგორც ვხედავთ, წმიდა წერილი არავის აძლევს იმის საფუძველს, რომ ადამიანი უმეცარი იყოს ქრისტეს მეორედ მოსვლასთან დაკავშირებით. ამის შესახებ მოსმენა არ სურთ მხოლოდ მათ, ვინც საბაბს ეძებს ჭეშმარიტების უარსაყოფად. "დაცინვით დამცინავნი", რომელთა შორის ეგრეთ წოდებული ქრისტეს მსახურნიც არიან, გაუთავებლად იტყვიან: "იმ დღისა და ჟამის შესახებ არავინ იცის". როდესაც ხალხი გამოფხიზლდა და გადარჩენის გზის ძებნა დაიწყო, რელიგიის მასწავლებლები, ცდილობდნენ რა მათი შიშის გაქარწყლებას ღვთის სიტყვის არასწორი განმარტებებით,

მათსა და ჭეშმარიტებას შორის ჩადგნენ. ურწმუნო გუშაგნი შეუერთდნენ უდიდეს მაცდურს და ყვიროდნენ: "მშვიდობა, მშვიდობა!" მაშინ, როდესაც ღმერთი არ აცხადებს მშვიდობას. ქრისტეს დღეებში მცხოვრებ ფარისეველთა მსგავსად, ბევრმა ნებაყოფლობით თქვა უარი ზეციურ სასუფეველზე და სხვებსაც უშლიდა ხელს მისკენ სწრაფვაში. ისინი დამნაშავენი არიან მათ დალუპვაში.

უპირველესად, ეს სახარება ეკლესიის ყველაზე თავმდაბალმა და ერთგულმა წევრებმა მიიღეს. მათ, ვინც დამოუკიდებლად სწავლობდა ბიბლიას, არ შეეძლოთ, არ დაენახათ წინასწარმეტყველების შესახებ საზოგადოდ მიღებული,

დაუსაბუთებელი და მცდარი თვალსაზრისი; და იმ ადამიანებისთვის, რომელნიც წმიდა წერილს იკვლევდნენ არა სამღვდელობის ზეგავლენით, არამედ დამოუკიდებლად, საჭირო იყო ადვენტისტური სწავლების მხოლოდ წმიდა წერილთან შედარება, რათა მის ღვთიურ წარმოშობაში დარწმუნებულიყვნენ.

ბევრი იდევნებოდა თავისივე თანამოძმეებისაგან, რომელთაც არ სურდათ მოესმინათ ქრისტეს მოსვლის შესახებ. ეკლესიაში თავიანთი პოზიციების შენარჩუნების მიზნით ზოგმა ამ ახლად გამოღვიძებული იმედის შესახებ დუმილი არჩია. მაგრამ სხვები გრძნობდნენ, რომ უფლის ერთგულთ

არ შეჰფერით უფლის მიერ ბოძებული ჭეშმარიტების დამალვა. ბევრი ადამიანი ოფიციალური ეკლესიებიდან იმის გამო გარიცხეს, რომ მათ ქრისტეს მოსვლის მოახლოება სწამდათ. მაგრამ ჭეშმარიტებისათვის დევნილნი თავს წინასწარმეტყველის სიტყვებით ინუგეშებდნენ: "ამბობენ თქვენი ძმები, თქვენი მოძულენი და ჩემი სახელისათვის თქვენი უარისმყოფელნი: გამოაჩინოს უფალმა თავისი დიდება, რომ ვიხილოთო თქვენი სიხარული", მაგრამ შერცხვებიან ისინი" (ეს. 66:5).

უფლის ანგელოზები უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ამ მოძრაობის შედეგებს. როდესაც ეკლესიებმა ძირითადში უარი თქვეს

ამ გაფრთხილების სახარების მიღებაზე, ანგელოზებმა მწუხარებით დაიფარეს სახეები. მაგრამ ბევრთან ჯერ არ მისულიყო ადვენტისტური ჭეშმარიტება. ბევრნი შეცდომაში შეიყვანეს ცოლებმა, ქმრებმა, მშობლებმა თუ შვილებმა, რომელნიც მათ არწმუნებდნენ, რომ ამ ადვენტისტური ერესის მოსმენაც კი დიდი ცოდვაა ღმერთის წინაშე. ანგელოზებს ნაბრძანები ჰქონდათ, განსაკუთრებით ედევნებინათ თვალყური ამ სულთათვის, რადგან მათ უფლის ტახტიდან სხვა ნათელი უნდა მიელოთ.

ხოლო ისინი, ვინც ეს სახარება მიიღეს, მოუთმენლად მოელოდნენ უფლის მოსვლას. დადგენილი დრო ახლოვდებოდა და მისთვის

განსაკუთრებულად, საზეიმოდ ემზადებოდნენ. ისინი ნეტარებდნენ უფალთან ურთიერთობით. ეს ურთიერთობა ნათელი მომავლის გარანტია იყო. არც ერთ მათგანს, ვინც გამოსცადა ეს იმედი, არ შეეძლო ქრისტეს მოლოდინის იმ ძვირფასი წუთების დავიწყება. მითითებულ დრომდე რამდენიმე კვირით ადრე, თითქმის ყველამ მიატოვა თავიანთი ამქვეყნიური საქმეები. მორწმუნენი ისეთი დაძაბული ყურადღებითა და დაკვირვებით იკვლევდნენ თავიანთ ყოველ აზრსა თუ გრძნობას, თითქოს სასიკვდილო სარეცელზე იწვნენ და თითქოს სულ რამდენიმე საათი აშორებდა მარადიული სასუფევლისაგან. არავის შეუკერია სპეციალური ტანსაცმელი ზეცად

ასვლისათვის, რადგან ყველამ იცოდა, რომ მაცხოვართან შესახვედრად მხოლოდ სულის მომზადება იყო საჭირო; ქრისტეს გამომსყიდველი სისხლით ცოდვისაგან განთავისუფლებული სულის სიწმინდე იყო თეთრი სამოსელი მათთვის. ო, რა კარგი იქნებოდა, რომ დღესაც ისეთივე წრფელი რწმენა და თავისი სულის გამოკვლევის მტკიცე სურვილი ჰქონდეთ ღვთის შვილთ, მორჩილებით რომ დაიმდაბლონ თავი უფლის წინაშე და ლოცვა-ვედრება ალავლინონ მადლის ტახტის წინაშე. რა მდიდარი იქნებოდა მათი სულიერი სამყარო! მაგრამ რა ცოტას ლოცულობენ დღეს, რა ცოტა ადამიანი ინანიებს გულწრფელად თავის ცოდვებს! დღეს ადამიანებს

არა აქვთ ცოცხალი რწმენა და შესაბამისად, უფლისაგან ასე უხვად მომადლებული წყალობაც არა აქვთ.

უფალს თავისი ხალხის გამოცდა სურდა. მისმა ხელმა დაფარა შეცდომა წინასწარმეტყველური პერიოდების გამოთვლისას. ადვენტისტებმა ვერ დაინახეს ეს შეცდომა. ვერ დაინახეს იგი მისმა ყველაზე განსწავლულმა მოწინაალმდეგეებმაც. ისინი ამბობდნენ: "თქვენი გამოთვლა სწორია. ადგილი ექნება უდიდეს მოვლენებს, მაგრამ არა მათ, რასაც მილერი ქადაგებს; ეს არ იქნება ქრისტეს მეორედ მოსვლა. არამედ ეს იქნება მთელი მსოფლიოს მოქცევა ქრისტესკენ".

დანიშნულ დროს არ მოვიდა ქრისტე თავისი ხალხის სახსნელად. მათ, ვინც გულწრფელად და სიყვარულით ელოდა უფლის მოსვლას, იმედები სასტიკად გაუცრუვდათ. მაგრამ უფალმა ალასრულა თავისი განზრახვა: გამოსცადა მათი გული, ვინც ამტკიცებდა, რომ ელის მის გამოჩენას. მათ შორის ბევრი იყო მოქცეული შიშით და არა უმაღლესი აზრების ხელმძღვანელობით. მათმა ზედაპირულმა, გარეგნულმა მოქცევამ ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა მათ გულზე და ცხოვრების წესზე. ქრისტე არ მოვიდა და ადამიანებმაც განაცხადეს, რომ სულაც არ გრძნობენ იმედების გაცრუებას, რადგან არასოდეს

სჯეროდათ ქრისტეს მოსვლისა. და მათ პირველებმა დაუწყეს დაცინვა უფლის გულწრფელ შვილებს.

მაგრამ იესო და მთელი ზეციური მხედრობა სიყვარულითა და თანაგრძნობით ადევნებდნენ თვალს თავის იმედგაცრუებულ, მაგრამ გამოცდილ და ერთგულ შვილებს. და რომ გახსნილიყო ფარდა, რომელიც უხილავ სამყაროს ხილულისაგან ჰყოფს, ღვთის შვილები დაინახავდნენ, თუ როგორ ეხვია მათ თავს ზეციურ ანგელოზთა გუნდი და როგორ იცავდნენ ისინი მათ სატანის შემოტევებისაგან.

თავი 21 უარყოფილი გაფთხილება

უილიამ მილერი და მისი თანამოაზრენი ჭეშმარიტებას ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ ერთადერთი მიზნით ქადაგებდნენ - ადამიანები განკითხვის დღისათვის მოემზადებინათ. ისინი აგრეთვე ცდილობდნენ, რელიგიურ ხელმძღვანელთა ყურადღება ეკლესიის ჭეშმარიტი იმედისაკენ მიექციათ, დაერწმუნებინათ ქრისტიანული ცხოვრების ღრმა გამოცდილებათა უცვლელობაში და რა თქმა უნდა, განუწყვეტლივ შრომობდნენ ურწმუნოთა გამოფხიზლებისათვის, მოუწოდებდნენ, დაუყოვნებლივ მოენანიებინათ თავიანთი ცოდვები და უფლისკენ მოქცეულიყვნენ.

"ჩემი მოღვაწეობა, - წერდა მილერი, - არასოდეს ყოფილა მიმართული რაიმე ახალი რელიგიის შექმნისაკენ; არასოდეს მიცდია რომელიმე ერთი მოძღვრების განდიდება ან მეორის დაკნინება. მე მხოლოდ ერთადერთი სურვილი მამოძრავებდა: დავხმარებოდი ყველას. მჯეროდა, რომ ყველა ქრისტიანს გაახარებდა იმედი ქრისტესთან მალე შეხვედრისა, რომ ჩემი თვალსაზრისის მოწინააღმდეგეთ არანაკლებ ეყვარებათ ჭეშმარიტების მიმლები ძმები; მე ვერც კი წარმომედგინა, რომ ეკლესია როდისმე გაიყოფოდა. მე ერთადერთი სურვილი მქონდა - ადამიანებს დავხმარებოდი უფალთან შესახვედრად მომზადებაში. ჩემი

შრომის შედეგად მრავალი ახალმოქცეული შეუერთდა სხვადასხვა მოქმედ ეკლესიებს".

    თავდაპირველად მილერის მოღვაწეობას კეთილგანწყობით ხვდებოდნენ, რადგანაც იგი ეკლესიის ზრდას უწყობდა ხელს. მაგრამ რელიგიურმა ღვთისმსახურებმა და ხელმძღვანელებმა უარყვეს ადვენტისტთა მოძღვრება და ყველა ღონეს ხმარობდნენ მის მიმართ ინტერესის ჩასაქრობად. ისინი მას არა მხოლოდ საჯაროდ, კათედრიდან აკრიტიკებდნენ, არამედ ეკლესიის წევრებსაც უკრძალავდნენ იმ ღვთისმსახურებებზე დასწრებას, სადაც იქადაგებოდა სახარება ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ და საერთოდ, მასზე საუბარსაც კი

უშლიდნენ. ამგვარად, მორწმუნენი მეტად რთულ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: თავიანთი ეკლესიების ერთგულთ არ სურდათ მათი დატოვება, მაგრამ როდესაც დაინახეს, თუ როგორ უმალავენ ღვთის სიტყვის მოწმობას და როგორ უკრძალავენ მსჯელობას წინასწარმეტყველებათა შესახებ, დარწმუნდნენ, რომ უფლისადმი ერთგულება შეუთავსებელია მათ მოთხოვნებთან. მათ არ შეეძლოთ ქრისტეს ეკლესიად, "ჭეშმარიტების სვეტად და საძირკვლად" მიელოთ ღვთის სიტყვის უარმყოფელნი. და ამ სიმართლის შეგრძნებამ გააბედვინა მათ ეკლესიების დატოვება. 1844 წელს თითქმის 50 ათასმა მორწმუნემ დატოვა თავისი ეკლესიები.

ამავე დროს, ამერიკის შეერთებული შტატების ეკლესიების უმრავლესობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. წლების განმავლობაში სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა თანდათანობითი, მაგრამ მზარდი გადახრა ამქვეყნიური ჩვეულებებისა და ტრადიციებისაკენ, რამაც სულიერების დაქვეითება გამოიწვია, მაგრამ იმ წელს შტატების თითქმის ყველა ეკლესიაში განსაკუთრებით ერთბაშად და მკვეთრად მოხდა მისი დაცემა. თუმცა არავის შეეძლო ამის ახსნა, მაგრამ ეს პროცესი იმდენად თვალსაჩინო და ნათელი იყო, რომ ეკლესიებისა და პრესის ყურადღებაც მიიპყრო.

ფილადელფიაში ხუცესთა შეკრებაზე ბარნესმა, ფართოდ ცნობილი კომენტარების ავტორმა და ერთ-ერთი წამყვანი ეკლესიის პასტორმა, თავის გამოსვლაში ალნიშნა, რომ "იგი უკვე 20 წელია ეკლესიის მსახურია და მთელი ამ ხნის განმავლობაში, თვით უფლის სერობის უკანასკნელ ჩატარებამდეც კი, ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, რომ ზიარების დროს ეკლესიას ახალმოქცეულნი არ შეერთებოდნენ. ახლა კი ალარ არის არც გამოფხიზლება, არც მოქცევა, არც მოძღვართა შესამჩნევი სულიერი ზრდა უფლის მადლში. უკვე ალარავინ მოდის მასთან სულის ხსნაზე სასაუბროდ. ბიზნესისა და კომერციის ზრდასთან ერთად ხდება

სულიერი დაცემა და ასეთი მდგომარეობა ყველა დენომინაციაში შეინიშნება".

იმავე წლის თებერვალში ობერლინსკის კოლეჯის პროფესორი ფინეი იძულებული გახდა აღენიშნა: "ჩვენ იძულებული ვართ, ვაღიაროთ, რომ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა პროტესტანტულმა ეკლესიამ გულგრილობა და, უფრო მეტიც, მტრული დამოკიდებულება გამოავლინა ყოველგვარი ზნეობრივი ხასიათის რეფორმების მიმართ ამ საუკუნეში. არიან ცალკეული გამონაკლისები, მაგრამ ისინი იმდენად მცირერიცხოვანია, რომ თავისუფლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ საერთო ტენდენციაზე: ეკლესია ერთ წერტილზე გაიყინა.

ყველგან სუფევს სულიერი აპათია, იმდენად აშკარა, რომ ამან პრესის ყურადღებაც კი მიიქცია. ეკლესიის წევრთა უმრავლესობა მოდის მონა ხდება და არ იკლებს ამქვეყნიურ სიამტკბილობას; ცეკვავს და დღესასწაულებს მართავს. ჩვენ არ გვჭირდება ამ საგულისხმო მოვლენების გაზვიადება, რადგან სამწუხაროდ, ფაქტი სახეზეა და ყოველივე ეს მძიმე ტვირთად გვაწვება, როდესაც ვხედავთ ეკლესიის სავალალო მდგომარეობას. ადამიანები განუდგნენ უფალს და უფალმაც მიატოვა ისინი".

ერთი ლიტერატორი ჟურნალში "სულიერი ტელესკოპი" - წერდა: "ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ მოწმენი ისეთი რელიგიური დაცემისა,

როგორსაც დღეს ვხედავთ. ჭეშმარიტად, ეკლესიამ უნდა გამოიღვიძოს და ეძებოს ამ უბედურების მიზეზი იმიტომ, რომ ყოველი უფლის მოყვარული ამ ფაქტს შეხედავს, როგორც დიდ უბედურებას. როდესაც ვხედავთ, რა მცირეა ჭეშმარიტ მორწმუნეთა რიცხვი და რა უსაშველოდ დიდია ურწმუნოთა კადნიერება, უნებლიედ ალმოგვხდება: "ნუთუ უფალმა დაივიწყა წყალობა? ნუთუ მადლის კარი დახურულია?"

ეკლესიის ასეთ მდგომარეობაში ყოფნა თვით ეკლესიის ბრალიცაა. სულიერ წყვდიადში ხალხი, ეკლესიები და ცალკეული ადამიანები ეფლობიან არა იმიტომ, რომ უფალი თავისი სურვილისამებრ

ართმევს მათ ზეციურ მადლს, - ეს ღვთიური სინათლის უგულვებელყოფის, ან თუნდაც უარყოფის შედეგია. ამ ჭეშმარიტების დამამტკიცებელი გასაოცარი მაგალითია იუდეველთა ისტორია ქრისტეს დედამიწაზე ყოფნის დროს. ამქვეყნიურ საქმეებში ჩაფლულმა ისრაელიანებმა დაივიწყეს ღმერთი და მისი სიტყვა; სიბნელემ მოიცვა მათი გონება და მათ გულში მხოლოდ ამქვეყნიური ვნებებისათვის შემორჩა ადგილი. ამის გამო მათთვის ბნელით იყო მოცული მესიის მოსვლა და თავიანთი ურწმუნოებისა და სიამაყის გამო უარყვეს მხსნელი. თუმცა, მაშინაც არ დატოვა ღმერთმა ისინი ბნელში და კვლავ მისცა გადარჩენის საშუალება. მაგრამ

ჭეშმარიტების უარმყოფელებმა დაკარგეს ყოველგვარი სურვილი ზეციური ძლვენის მიღებისა. მათ "ბნელი ნათლად აქციეს და ნათელი - ბნელად", სანამ მათში მყოფი ნათელიც ბნელად არ იქცა და რა დიდი იყო ეს წყვდიადი!

სწორედ ეს მიზანი ამოძრავებს სატანას - აიძულოს ადამიანები ალასრულონ რელიგიური ადათ-წესები, ჩვეულებანი და დაივიწყონ ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა. უარყვეს რა სახარება, იუდეველები განაგრძობდნენ ძველი ადათ-წესების გულმოდგინე დაცვას, მკაცრად უფრთხილდებოდნენ თავიანთ ეროვნულ უპირატესობას და ამავე დროს, არ შეეძლოთ არ ელიარებინათ, რომ უფალმა მიატოვა ისინი.

დანიელის წინასწარმეტყველება ისე ნათლად და შეუცდომლად მიუთითებდა მესიის მოსვლის დროზე და მის სიკვდილზე, რომ ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ხალხის ინტერესის გაქარწყლებას მისი შესწავლის მიმართ. და ბოლოს, რაბინებმა დაიწყეს მათი შეჩვენება, ვინც ამ წინასწარმეტყველებაში მოცემული პერიოდების გამოთვლას ცდილობდა. თავიანთი სიბრმავითა და მოუნანიებლობით ისრაელის ხალხი მთელ მომდევნო საუკუნეთა განმავლობაში გულგრილი დარჩა წყალობით შემოთავაზებული გადარჩენის მიმართ, ყოველგვარი ყურადღების გარეშე დატოვეს სახარების მადლიცა და საზეიმო,

მრისხანე გაფრთხილებაც მათთვის, ვინც ზეციურ ნათელს უარყოფს.

სადაც მიზეზია, იქ შედეგიც არ აყოვნებს. ის, ვინც საკუთარ თავში განზრახ კლავს მოვალეობის გრძნობას მხოლოდ იმიტომ, რომ მის მრწამსს არ ემთხვევა, დაკარგავს ჭეშმარიტების შეცდომისაგან განსხვავების უნარს. ასეთ შემთხვევაში გონება ჩლუნგდება, სინდისი იძინებს, გული ქვავდება და სულიც შორდება ღმერთს. იქ, სადაც ჭეშმარიტებას ჯეროვნად ვერ აფასებენ და უარყოფენ, ეკლესია ბნელში იძირება, რწმენა და სიყვარული გრილდება და მასში გაუცხოება და უთანხმოება ისადგურებს. და იმ დროს, როდესაც ეკლესიის წევრების ყურადღება და

ძალები მიპყრობილია ამქვეყნიურობისაკენ, ცოდვილთ უფრო უსასტიკდებათ გული თავიანთ მოუნანიებლობაში.

პირველი ანგელოზის უწყება გამოცხადების წიგნის მე-14 თავიდან, რომელიც ღვთის სამსჯავროს მოახლოებას აცხადებს და ხალხს მოუწოდებს ეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგონ მას, მიმართული იყო მორწმუნეთა გასაფრთხილებლად, რათა მორიდებოდნენ ამქვეყნის გამხრწნელ ზემოქმედებას, ახელოდათ თვალები და კარგად დაენახათ თავიანთი მდგომარეობა და დაცემა. ამ უწყებით უფალი აფრთხილებდა ეკლესიას, რომ მისი მიღების შემთხვევაში ალმოიფხვრებოდა ყოველგვარი

ბოროტება, რომელიც მათ ღმერთს აშორებდა. მათ რომ ეს ზეციური ჭეშმარიტება მორჩილებით მიელოთ, უფლის ძალა და სული მათთან იქნებოდა, ეკლესიაში კვლავ აღდგებოდა რწმენისა და სიყვარულის ის კურთხეული ერთიანობა, რომელიც სუფევდა მოციქულთა ეკლესიებში, სადაც მორწმუნეებს "ჰქონდათ ერთი გული და სული", როდესაც "გაბედულად ლაპარაკობდნენ ღვთის სიტყვას" და "უფალი დღითიდღე მატებდა დახსნილთ ეკლესიას" (საქ. 4:32,31; 2:47).

უფლის შვილებს რომ ღვთის სიტყვიდან გამომდინარე ნათელი მიელოთ, მიალწევდნენ ერთიანობას, რომლის შესახებაც ლოცულობდა

ქრისტე და წერდა მოციქული: "ერთია სხეული და ერთია სული, როგორც ხართ კიდეც მოწოდებულნი თქვენი მოწოდების ერთი იმედით; ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება" (ეფეს. 4:3-5).

სწორედ ასეთი უდიდესი კურთხევის ღირსი გახდნენ ისინი, ვინც ადვენტისტური მოძღვრება მიიღო. ეს ადამიანები სხვადასხვა ეკლესიებიდან გამოვიდნენ, დაგმეს ადრინდელი წინაალმდეგობები, რომელიც მათ ერთმანეთს აშორებდა, რითაც რელიგიურ უთანხმოებებს ბოლო მოეღო. დედამიწაზე ათასწლიანი სასუფევლის საფუძველს მოკლებული იმედი ნისლივით, ხოლო სიამაყე და ამქვეყნიური ინტერესები

შარშანდელი თოვლივით გაქრა; შეცდომები გამოსწორდა; ადამიანები გაერთიანდნენ და ერთურთს შორის სიყვარული და სიხარული გამეფდა. ამ მოძღვრების წყალობით ასევე გარდაიქმნებოდა და შეიცვლებოდა ყოველი მათგანის ცხოვრება, ვინც მას მიიღებდა.

მაგრამ ეკლესიამ სრულად არ მიიღო ეს გაფრთხილება. მის მსახურებს, "ისრაელის სახლის დარაჯთა" მსგავსად, პირველებს უნდა დაენახათ ქრისტეს მოსვლის მოახლოების ნიშნები, მაგრამ ვერ შენიშნეს ვერც წინასწარმეტყველთა მოწმობანი და ვერც დროის ნიშნები. ამქვეყნიურმა იმედებმა და პატივმოყვარე მისწრაფებებმა მათი გულიდან გამოდევნეს ღვთის

სიყვარული, რწმენა მისი სიტყვის მიმართ და როდესაც გაისმა სახარება ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ, ამან უფრო მეტი ურწმუნოება და ცრურწმენა აღძრა მათში. ვინაიდან ამ ჭეშმარიტებას, ძირითადად, უბრალო ადამიანები ქადაგებდნენ, რომელთაც ღვთისმეტყველური განათლება არ გააჩნდათ, მათ ნაკლებად უსმენდნენ. ძველი დროის მსგავსად, ღვთის სიტყვის ამ ნათელი მოწმობების ქადაგებას ხვდებოდნენ შეკითხვით: "მთავრებიდან და ფარისევლებიდან ირწმუნა ვინმემ?" და როცა რწმუნდებოდნენ, თუ რა ძნელია მოცემულ წინსწარმეტყველურ პერიოდებზე დაფუძნებულ მტკიცებათა უარყოფა, ბევრნი უარს ამბობდნენ წინასწარმეტყველებათა

წიგნების ღრმად შესწავლაზე იმ მიზეზით, რომ ისინი "დაბეჭდილია" და მათი გაგება შეუძლებელია. ერთნი ბრმად ენდობოდნენ თავიანთ რელიგიურ მასწავლებლებს და საერთოდ უარს ამბობდნენ ამ გაფრთხილებათა მოსმენაზე; მეორენი, თუმცა მალე რწმუნდებოდნენ ჭეშმარიტებაში, ამის ხმამაღლა განცხადებას ვერ ბედავდნენ იმის შიშით, რომ მათ "სინაგოგიდან გააძევებდნენ". უფლის მიერ ეკლესიის გამოსაცდელად და განსაწმენდად გამოგზავნილმა გაფრთხილების უწყებამ ნათელჰყო, თუ რა დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც ქრისტეზე მეტად წუთისოფელი უყვართ. მათ ამქვეყნიური კავშირები ანაცვალეს

ზეციურისაკენ ლტოლვას, ამ წუთისოფლის სიბრძნე ირჩიეს და უარყვეს ჭეშმარიტების სახარება, რომელიც მათ გამოსაცდელად გაისმა.

პირველი ანგელოზის გაფრთხილების უარყოფით ადამიანებმა უარყვეს ის საშუალებანი, რომელნიც ზეცის მიერ მათი სულიერი განახლებისათვის იყო განკუთვნილი. ერთგულ მოწმეს სურდა, განეწმინდა მათი ცხოვრება და განეშორებინა მათგან ყველაფერი ის, რაც ღმერთისაგან ჰყოფდა. მაგრამ მათ სიძულვილით აქციეს ზურგი უფლის მცდელობას და უფრო დიდი მონდომებით იწყეს წუთისოფელთან მეგობრობის გზების ძებნა. აი, სწორედ ეს იყო ეკლესიების

დასუსტების, განდგომილებისა და სულიერი დაცემის მიზეზი 1844 წელს.

გამოცხადების წიგნის მე-14 თავში ვკითხულობთ, რომ პირველ ანგელოზს უკან მოჰყვა მეორე, რომელიც ამბობდა: "დაეცა დიდი ბაბილონი, რომელმაც თავისი მძვინვარე მეძავობის ღვინო ასვა ყველა ხალხს". სიტყვა "ბაბილონის" ძირი არის "ბაბელი", რაც "არეულობას", "უწესრიგობას" ნიშნავს. წმიდა წერილში ამ სიტყვით ალინიშნება ყოველგვარი შეცდომა და რელიგიური განდგომილება. გამოცხადების წიგნის მე-17 თავში ბაბილონი წარმოდგენილია ქალის სახით, ეს კი ბიბლიაში ეკლესიის სიმბოლოა. უმანკო ქალი სიმბოლოა

ჭეშმარიტი ეკლესიისა, ხოლო მეძავი ქალი - ცრუ ეკლესიისა.

წმინდა და ერთგულ დამოკიდებულებას ქრისტესა და მის ეკლესიას შორის ბიბლიურად "საქორწინო კავშირი" ჰქვია. უფალმა საზეიმოდ ალუთქვა თავის ხალხს, რომ საუკუნოდ მათი ღმერთი იქნებოდა, ხოლო მისმა ხალხმა ალთქმა დადო მის წინაშე, რომ ის იქნებოდა მისი ხალხი და მხოლოდ უფალი იქნებოდა მათი ერთადერთი ღმერთი. იგი ამბობს: "და მე საუკუნოდ დაგწინდავ ჩემთვის, დაგწინდავ სიმართლითა და სამართლით, წყალობითა და სიყვარულით" (ოს. 2:21). და კიდევ: "მე ვარ თქვენი პატრონი" (იერ. 3:14). პავლე მოციქულსაც აქვს

გამოყენებული ეს სიმბოლო ახალ ალთქმაში, როდესაც ამბობს: "დაგნიშნეთ თქვენ ერთ კაცზე, რათა წმიდა ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე" (2კორ. 11:2).

განდგომა ეკლესიისა, რომელსაც ალარა აქვს ქრისტეს მიმართ ნდობა, სიყვარული და რომლის სული მიწიერისაკენ ისწრაფვის, ცოლ-ქმრული ალთქმის დარღვევასთანაა გაიგივებული. უფლისაგან განდგომილი ისრაელის ცოდვა სწორედ ასეთი სიმბოლოთია წარმოდგენილი, ხოლო მათ მიერ უარყოფილი უფლის საოცარი სიყვარული კი შემდეგი ამაღელვებელი სიტყვებით არის გამოხატული: "შემოგფიცე და ალთქმა დაგიდევი, - ამბობს უფალი ღმერთი, -

და ჩემი გახდი". "დიდად გამშვენდი და სადედოფლო შეიქენი. გავარდა შენი სილამაზის სახელი ხალხებში, რადგან სრულქმნილი ჩანდი ჩემი დიდების გამო, რომლითაც შეგმოსე, ...დაენდე შენს სილამაზეს და გაგაბოზა შენმა სახელმა". "ჰგავდი გარყვნილ დიაცს, ქმრის ნაცვლად უცხოებს რომ ეძლევა". "როგორც ცოლი ღალატობს თავის მეგობარს, ასე მიღალატე შენც, ისრაელის სახლო, - ამბობს უფალი" (ეზეკ. 16:8,13-15; 32. იერ 3:20).

ახალ აღთქმაში მოციქული ასევე მიმართავს იმ მორწმუნეთ, რომელნიც წუთისოფელთან მეგობრობისაკენ უფრო იხრებიან, ვიდრე უფლის წყალობისაკენ. მოციქული იაკობი ამბობს: "მრუშნო!

განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა, ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა უნდა, იგი ღვთის მტერი ხდება" (იაკ. 4:4).

დიაცი (ბაბილონი) გამოცხადების წიგნის მე-17 თავში "შემოსილი იყო პორფირით და ძოწეულით, მორთული იყო ოქროთი, პატიოსანი ქვებით და მარგალიტებით, ხელთ ჰქონდა ოქროს სასმისი, მისი სიძვის სიბილწით და უწმიდურებით სავსე. მას შუბლზე ეწერა საიდუმლო სახელი: დიდი ბაბილონი, მეძავთა და დედამიწის სიბილწეთა დედა". წინასწარმეტყველი ამბობს: "დავინახე, რომ დამთვრალი იყო წმიდათა და იესოს მოწმეთა სისხლით". და კვლავ, ბაბილონი

წარმოდგენილია, როგორც "დიდი ქალაქი, რომელსაც აქვს მეფობა დედამიწის მეფეებზე" (გამოცხ. 17:4-6;18).

ხელისუფლება, რომელსაც ქრისტიანი მეფეები მრავალი საუკუნის განმავლობაში ემორჩილებოდნენ - ეს არის რომი. პორფირი და ძოწეული, ოქრო, პატიოსანი ქვები და მარგალიტები - ყოველივე ეს ნათელ ფერებში გვიხატავს რომის სიამაყეს და ამპარტავნობას. და არც ერთი ხელისუფლების შესახებ არ შეიძლება ასეთი სიმართლით ითქვას, რომ იგი "დამთვრალი იყო წმიდათა სისხლით", გარდა რომისა, რომელიც ასე სასტიკად სდევნიდა ქრისტეს მიმდევრებს. ბაბილონს

ასევე ბრალი ედება "დედამიწის მეფეებთან" მეძავობაში. განუდგა რა უფალს და შეუერთდა წარმართებს, იუდეველთა ეკლესია მეძავად იქცა. მიწიერი ძალაუფლების მძებნელი რომიც, მის მსგავსად გაირყვნა და ასევე განიკითხება.

ბაბილონს "მეძავთა დედას" უწოდებენ. მის შვილებში იგულისხმება ის ეკლესიები, რომელნიც მისი მოძღვრებისა და ტრადიციების ერთგული არიან და რომლებმაც რომის მსგავსად უარყვეს ჭეშმარიტება და ღვთის მადლი წუთისოფელთან ურჯულო კავშირის გამო. გამოცხადების მე-14 თავის უწყება ბაბილონის დაცემის შესახებ, მიმართულია იმ რელიგიური საზოგადოებების მიმართ, რომელნიც

ოდესღაც წმიდა იყვნენ, ხოლო შემდგომში მეძავობის გზას დაადგნენ. რადგან ეს სახარება მოსდევს სამსჯავროს შესახებ გაფრთხილებას, იგი უნდა ექადაგოს ხალხს უკანასკნელ დღეებში, ამიტომ იგი მხოლოდ კათოლიკური ეკლესიისადმი არაა მიმართული, რადგან ეს ეკლესია მრავალი საუკუნის განმავლობაში დაცემული იყო. უფრო მეტიც: გამოცხადების მე-18 თავში უფალი ღვთის ხალხს ბაბილონიდან გამოსვლისკენ მოუწოდებს. ამ ტექსტის მიხედვით, ბევრი ღვთის შვილთაგანი ჯერ კიდევ ბაბილონში იმყოფება. რომელ რელიგიურ საზოგადოებას მიეკუთვნება იესო ქრისტეს მიმდევართა უმრავლესობა?

ეჭვსგარეშეა, პროტესტანტულს. პროტესტანტული ეკლესიების ალორძინების პერიოდში ამ ეკლესიებმა მიიღეს ღმერთი და ჭეშმარიტება. და უფლის კურთხევაც თან სდევდა მათ. თვით ურწმუნო მსოფლიოც კი იძულებული გახდა, ელიარებინა სახარების პრინციპების მიღების კეთილი შედეგები. ისრაელის წინასწარმეტყველი ამბობს: "გავარდა შენი სილამაზის სახელი ხალხებში, რადგან სრულქმნილი ჩანდი ჩემი დიდების გამო, რომლითაც შეგმოსე, ამბობს უფალი ღმერთი". მაგრამ ისინი დაეცნენ თავიანთი ცოდვილი სურვილების გამო. ისრაელი შეჩვენებულ იქნა და დალუპვის პირამდე მივიდა - რადგან მიბაძეს

უწმიდურთა ადათ-წესებს და მეგობრად გაიხადეს ისინი. "დაენდე შენს სილამაზეს და გაგაბოზა შენმა სახელმა" (ეზეკ. 16:14,15).

მრავალმა პროტესტანტულმა ეკლესიამ მიბაძა რომს და იწყო "მეძავობა დედამიწის მეფეებთან" - სახელმწიფო ეკლესიები ამას საერო ხელისუფლებასთან აკეთებენ, ხოლო სხვა რელიგიის წარმომადგენლები ამქვეყნიურ კეთილდღეობას ეძებენ. და სიტყვა "ბაბილონი" ანუ "არეულობა", - სრულიად შეეფერება ამ ეკლესიებს და თუმცა ისინი თავიანთი მოძღვრების საყრდენად ბიბლიას მიიჩნევენ, ამავე დროს ურთიერთსაწინააღმდეგო დოგმებითა და თეორიებით

მრავალრიცხოვან სექტებად არიან დაყოფილი.

გარდა ამ "მეძავობისა დედამიწის მეფეებთან", რომისგან განდგომილმა ეკლესიებმა მისგან სხვა მრავალი თვისებებიც მიიღეს მემკვიდრეობით.

ერთ-ერთ კათოლიკურ თხზულებაში - "სწავლებანი კათოლიკე ქრისტიანთათვის", ნათქვამია: "თუკი წმიდანთა თაყვანისმცემელ რომის ეკლესიას ბრალი ედება კერპთაყვანისმცემლობაში, მაშინ მისი მემკვიდრე ანგლიკანური ეკლესიაც ასეთივე დამნაშავეა იმაში, რომ აქვს მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ათი ეკლესია და მხოლოდ ერთი - ქრისტეს სახელობისა".

პროფესორი ჰოპკინსი თავის ტრაქტატში "1000-წლიანი სასუფეველი", აცხადებს: "არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის თქმა, რომ ანტიქრისტეს სული და მისი საქმეები მხოლოდ რომის ეკლესიაში მოქმედებს. ანტიქრისტე კარგად მოღვაწეობს პროტესტანტულ ეკლესიებშიც, ისინი შორს არიან პატიოსნებისა და ზნეობრივი სიწმიდისაგან".

რომისაგან გამოყოფილი პრესვიტერიანული ეკლესიების შესახებ დოქტორი ჰუსრი წერდა: "სამასი წლის წინათ ჩვენი ეკლესია რომის კედლებიდან გამოვიდა ემბლემაზე აღნიშნული გადაშლილი ბიბლიით და დევიზით: "გამოიკვლიეთ წმიდა წერილი".

შემდეგ კი იგი მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს: "გამოვიდა თუ არა წმიდად ჩვენი ეკლესია ბაბილონიდან?"

"ანგლიკანურ ეკლესიას, - ამბობს სპერჯენი, - ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ადათ-წესები, ხოლო მისგან გამოსული სხვა ეკლესიები კი გამსჭვალული არიან ფილოსოფიური ურწმუნოებით. ისინი, ვისგანაც ძალზე ბევრს მოველოდით, ერთიმეორის მიყოლებით განშორდნენ რწმენის საფუძვლებს. მე არ მასვენებს იმაზე ფიქრი, რომ თვით ინგლისის გული ჩაფლულია ურჯულოების მორევში, რომელიც ბედავს კათედრასთან გამოსვლას და თავს ქრისტიანს უწოდებს".

როგორ დაიწყო ეს უდიდესი განდგომილება? როგორ მოხდა, რომ პირვანდელი ეკლესია ასე დაშორდა სახარებისეული მოძღვრების უბრალოებას? პასუხი ერთია: წარმართთა უფრო ადვილად გაქრისტიანებისათვის ეკლესიამ თავად დაიწყო წარმართული ცერემონიებით სარგებლობა. პავლე მოციქული თავის დროზე წერდა: "ურჯულოების საიდუმლო უკვე მოქმედებს" (2თეს. 2:7). მოციქულთა სიცოცხლეში ეკლესია ჯერ კიდევ ინარჩუნებდა შედარებით სიწმიდეს, მაგრამ "მეორე საუკუნის დასასრულისათვის ეკლესიების უმრავლესობამ ცვლილება განიცადა: ალარ იყო ადრინდელი უბრალოება და ერთგულ მოწაფეთა სიკვდილის

შემდეგ მათი ადგილები ნელ-ნელა შეუმჩნევლად ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებმა და ახალმოქცეულებმა დაიკავეს... და მათ ყველაფრის თავისებურად კეთება დაიწყეს". ახალმოქცეულთა შესანარჩუნებლად თანდათან დაბლდებოდა და უფასურდებოდა ქრისტიანული პრინციპები და ამის შედეგად "წარმართთა ნაკადი შეიჭრა ეკლესიაში, რომელმაც თან მოიტანა თავისი წეს-ჩვეულებანი, ტრადიციები და ღმერთები". როდესაც ქრისტიანობამ საერო ხელისუფლებისაგან მხარდაჭერა ჰპოვა, მაშინ ფორმალურად ბევრმა მიიღო იგი, რის შედეგადაც ისინი ქრისტიანებად იწოდებოდნენ, სინამდვილეში კი "ჭეშმარიტ

წარმართებად დარჩნენ და ფარულად კვლავ თავიანთ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს".

განა ანალოგიური რამ არ ხდებოდა ყოველ ეკლესიაში, რომელიც თავს პროტესტანტულს უწოდებდა? როდესაც პროტესტანტიზმის ფუძემდებლები, ეს ჭეშმარიტი რეფორმატორები უკვე აღარ იყვნენ ამქვეყნად, მათი საქმის გამგრძელებლებს დიდი ცვლილებები შეჰქონდათ და თავისებურად მოქმედებდნენ. ისინი ბრმად მიყვებოდნენ თავიანთი მამების რწმენას და უარყოფდნენ ყველა იმ ჭეშმარიტებას, რომელიც მათ ცოდნას აღემატებოდა. რეფორმატორთა შთამომავალნი სულაც არ ჰგავდნენ თავიანთ მამებს

თავაზიანობასა და თავდადებაში, უფლისადმი ერთგულებასა და ამქვეყნიური "ბაბილონის" უარყოფაში. ამგვარად "გაქრა ადრინდელი უბრალოება". ეკლესიაში მოვარდნილმა ადამიანთა ფართო ნაკადმა თან მოიტანა "თავიანთი ადათ-წესები, ცერემონიები და ღმერთები".

სამწუხაროა, რომ ქრისტეს მიმდევართა წუთისოფელთან კავშირი, რომელიც უფალთან მტრობის ტოლფასია, დღესაც ძალას იკრებს. რა შორს არიან დღევანდელი მსოფლიოს წამყვანი ეკლესიები თავმდაბლობის, თავდადების, უბრალოებისა და ღვთისმოსაობის ბიბლიური ნორმებისგან! ჯონ უესლი ასე ამბობს ფულის სწორად

გამოყენების შესახებ: "არც ერთი კაპიკი არ დახარჯოთ თქვენი გაუმაძღარი თვალის დასაკმაყოფილებლად: მდიდრული ტანსაცმლისა და უსარგებლო ძვირფასეულის შესძენად. არ დახარჯოთ ფული თქვენი სახლების უაზრო შემკობისთვის, მდიდრული ავეჯის, ძვირადღირებული სურათებისა და ოქროს სამკაულების შესაძენად. არ დახარჯოთ ფული თქვენი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ან იმისათვის, რომ ადამიანებში აღტაცება ან ქება გამოიწვიოთ... საკუთარი თავისათვის მცდელობის გამო შეიძლება ადამიანთაგან ქება დაიმსახურო, სანამ "პორფირით და ძოწეულით მორთული" იქნები და "შენს დღეებს

დიდებაში და სიხარულში" გაატარებ. უდავოა, ბევრი შეასხამს ქება-დიდებას შენს დახვეწილ გემოვნებას, შენს სტუმართმოყვარეობას და ხელგაშლილობას. მაგრამ ნუ იყიდი მათ ხოტბას ამ ფასად. ყველაფერ ამას უფლის გულის მოგება სჯობია". თუმცა სამწუხაროდ, ბევრი დღევანდელი ეკლესია ყურად არ იღებს ამ სწავლებას.

მსოფლიოში ბევრი სხვადასხვა რელიგიური მრწამსი არსებობს. სახელმწიფო მმართველნი, პოლიტიკოსები, კანონმდებლები, მეცნიერები და კომერსანტები ეკლესიაში ერთიანდებიან, რათა საზოგადოების ნდობითა და პატივისცემით ისარგებლონ და განამტკიცონ თავიანთი

კეთილდღეობა. აცხადებენ რა თავს ქრისტიანებად, ამით თავიანთ ბოროტ ზრახვათა შენიღბვას ცდილობენ. მრავალ რელიგიურ გაერთიანებათა სიძლიერე მათივე გავლენიან წევრთა მოღვაწეობასა და სიმდიდრეზეა დაფუძნებული. მთავარ ქუჩებზე შენდება დიდებული და მშვენიერი ტაძრები, სადაც დადიან მდიდრულად და მოდურად ჩაცმული ადამიანები და სადაც ნიჭიერ პასტორებს დიდი ხელფასი აქვთ დანიშნული. მისგან არავინ ელის ცოდვათა მხილებას, მისი ქადაგება მხოლოდ ნაზი და დამამშვიდებელი მუსიკა უნდა იყოს ყოველი მსმენელისათვის. ამგვარი გზით ადამიანები, რომელთა ცოდვებიც საყოველთაოდ არის ცნობილი,

ეკლესიის წევრები ხდებიან და მათი დანაშაული ღვთისმოსაობის ნიღბით არის დაფარული.

ერთ-ერთი ცნობილი სახელმწიფო ჟურნალისტი თანამედროვე ეკლესიების წუთისოფელთან ურთიერთობის შესახებ წერს: "თავისდა შეუცნობლად, ეკლესია საუკუნის სულისკვეთებას დანებდა და თავისი მსახურება მშვენივრად შეუფარდა თანამედროვე საჭიროებებს. დღეს ეკლესია ყველა თავის საშუალებას იყენებს იმისათვის, რომ რელიგიას მეტი მომხიბვლელობა შემატოს". აი, რას წერს მეთოდიზმის შესახებ სხვა ჟურნალი: "რელიგიის პოპულარობა იზრდება მათ ხარჯზე, ვინც მისი უპირატესობით სარგებლობს და

ამასთანავე არ სურს რაიმე ვალდებულებით იყოს შებოჭილი".

ჰოვარდ კროსბი ამბობს: "ჩვენ სერიოზულად გვაღელვებს ის, რომ ქრისტეს ეკლესია ასე ცუდად ამართლებს უფლის განზრახვებს. იგი დაშორდა ღმერთს იმ იუდეველთა მსგავსად, რომელნიც წარმართებში აითქვიფნენ... ასევეა ქრისტეს დღევანდელი ეკლესიაც: უწმიდურ წუთისოფელთან კავშირით და მასთან მეგობრობის სურვილით იგი უგულვებელყოფს ღვთისმოსაური ცხოვრების ღვთიურ პრინციპებს და ურწმუნო საზოგადოების ერთი შეხედვით თითქოსდა უწყინარი ჩვევების დამღუპველი გავლენის ქვეშ ექცევა, მოჰყავს რა მტკიცებანი, რომელნიც სულიერად უცხო არიან

უფლის გამოცხადებისათვის და შინაარსით მტრობს უფლის მადლში სულიერ ზრდას".

წუთისოფლის სიამტკბილობისა და ორომტრიალის ნაკადში თითქმის სრულიად შთაინთქა ისეთი სათნოებანი, როგორიცაა ქრისტეს სახელისათვის თავგანწირვა და თავდადება. "საეკლესიო ცხოვრებაში ზოგიერთ აქტიურ მონაწილეს ბავშვობაში ასწავლეს რაიმე შესაწირავის გალება ქრისტეს სახელისათვის. ახლა კი, როცა საჭიროა სახსრები, არავის მოუწოდებენ შესაწირავის გალებისაკენ. არა! იმართება ბაზრობები, წარმოდგენები, ინსცენირებული სასამართლო პროცესები, თეატრალიზებული

ბანკეტები - და ეს ყველაფერი მხოლოდ ხალხის გასართობად".

ვისკონსის გუბერნატორმა, 1873 წლის იანვარში თავის ყოველწლიურ პატაკში თქვა: "კანონი მოითხოვს აზარტული თამაშების შემსწავლელი კურსების დახურვას. ეს ბოროტება თითქმის ყველგან გავრცელდა. თვით ეკლესიაც კი (თავისდაუნებურად, რა თქმა უნდა) ზოგჯერ ეშმაკის საქმეს ასრულებს. საქველმოქმედო კონცერტები, ლატარია და ა.შ. - ეს არის სატანისმიერი თვალთმაქცური ხრიკები ფულის საშოვნელად. მაგრამ არაფერია ახალგაზრდობისათვის ისე დამღუპველი, როგორც უშრომელი ფულის შოვნა. ამ საქველმოქმედო ვაჭრობაში მონაწილე პატივცემული ადამიანები სინდისს იმით

იმშვიდებენ, რომ მიღებული შემოსავალი კეთილ მიზნებს მოემსახურება. და განა გასაკვირია ის, თუ რატომ ჩნდება შტატების ახალგაზრდა თაობებში ის მეტად საშიში თვისებები, რომლისკენაც ისინი ამ ამალლებულ, აზარტულ გართობებს მიჰყავთ?"

თითქმის ყველა ქრისტიანული ეკლესია შეგუებულია წუთისოფელთან. რობერტ ატკინსმა ლონდონში წარმოთქმულ ქადაგებაში ინგლისში არსებული სულიერების დაცემის საკმაოდ მძიმე სურათი დაგვიხატა: "ქრისტეს ჭეშმარიტი მორწმუნენი თითქმის ალარ არსებობენ დედამიწაზე და ეს ამბავი გულთან არავის მიაქვს. ჩვენი ეკლესიების რელიგიური

ხელმძღვანელები ამქვეყნიურ სიამოვნებას არ იკლებენ, ერწყმიან წუთისოფელს, ესწრაფვიან ფუფუნებაში ცხოვრებას და ზრუნავენ თავიანთი სახელის განდიდებისათვის. მოწოდებულნი ქრისტესთან ერთად ტანჯვისათვის, ისინი უბრალო საყვედურსაც კი ვერ იტანენ... ყველა ეკლესიის კარს აწერია: "განდგომილება" და მათ რომ ამის შემეცნების უნარი გააჩნდეთ, კიდევ იქნებოდა იმედი, მაგრამ - ამაოდ! ისინი ხმამაღლა აცხადებენ: "ჩვენ მდიდრები ვართ, ჩვენი კეთილი საქმეები მრავლდება და არაფერი გვჭირდება"-ო.

ბაბილონის უდიდესი ცოდვა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ "თავისი მძვინვარე მეძავობის ღვინო

ასვა ყველა ხალხს". ეს შხამიანი თასი, რომელსაც იგი მთელ მსოფლიოს ასმევს, სწორედ ის ცრუ მოძღვრებაა, რომელიც მან "დედამიწის მეფეებთან" კავშირის შედეგად მიიღო. წუთისოფელთან მეგობრობა რყვნის მის რწმენას. შემდგომში კი, თავის მხრივ, იგი გამხრწნელ ზეგავლენას ახდენს მთელ მსოფლიოზე თავისი მოძღვრებებით, რომელნიც ღვთის სიტყვის ნათელ მტკიცებათა სრულიად საწინააღმდეგო არიან.

რომი ხალხს ბიბლიას უმალავდა და მის ნაცვლად თავის დოქტრინებს ახვევდა თავს. სწორედ რეფორმაციის წყალობით დაუბრუნდა ადამიანს ღვთის სიტყვა, მაგრამ ეკლესიებში წმიდა წერილის ნაცვლად კვლავ

ეკლესიურ გადმოცემებსა და რწმენის სიმბოლოებს ასწავლიან. ჩარლზ ბიჩერმა პროტესტანტული ეკლესიის შესახებ საუბრისას აღნიშნა: "ისინი შეურაცხყოფად მიიჩნევენ ყოველ სიტყვას, რომელიც აკრიტიკებს მათ წმიდანთა და მოწამეთა მომრავლებას... პროტესტანტულმა ევანგელისტურმა დენომინაციებმა ისე შეუკრეს ხელ-ფეხი ერთმანეთსაც და საკუთარ თავსაც, რომ ახლა შეუძლებელია გახდე მქადაგებელი, თუ ბიბლიის გარდა სხვა წიგნითაც არ ხელმძღვანელობ... ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, რომ თავიანთი დოქტრინებით ისინიც იწყებენ ბიბლიური სწავლების აღკვეთას ისევე, როგორც ამას რომი

აკეთებდა, ოლონდ უფრო
დელიკატური გზით".

როდესაც ჭეშმარიტი
მასწავლებლები ღვთის სიტყვას
განმარტავენ, მაშინვე გამოჩნდებიან
სწავლული მსახურნი, რომელნიც
პრეტენზიას აცხადებენ წერილის
განმმარტებელთა როლზე, ჯანსაღ
მოძღვრებას ერესს უწოდებენ და
ხალხს თვალებს უბრმავებენ
ჭეშმარიტებაზე. მსოფლიო ასე
უიმედოდ რომ არ იყოს ბაბილონის
ღვინით დამთვრალი, მაშინ
მრავალნი მოიქცეოდნენ და
მიიღებდნენ ღვთის სიტყვის ნათელ,
გარკვეულ ჭეშმარიტებებს. მაგრამ
საერთოდ, რელიგიური მოძღვრება
ისე დახლართული და გაუგებარი
ალმოჩნდა, რომ ხალხმა არ იცოდა,

ვისთვის ესმინა და ვისი მოძღვრება ერწმუნა. წარმართული მსოფლიოს ცოდვა ეკლესიას მძიმე ტვირთად აწევს.

გამოცხადების წიგნის მე-14 თავის მეორე ანგელოზის უწყება პირველად 1844 წლის ზაფხულში იქნა ნაქადაგები და იგი ძირითადად შეერთებული შტატების ეკლესიებისადმი იყო მიმართული, სადაც ყველაზე დიდი სულიერი დაცემა იგრძნობოდა და სადაც უფლის ეს გაფრთხილება თითქმის ყველგან უარყვეს. თუმცა მეორე ანგელოზის ეს გაფრთხილება სრულად არ იქნა აღსრულებული 1844 წელს. ეს პერიოდი ეკლესიების ზნეობრივი დაცემის პერიოდი იყო, რაც ადვენტისტური მოძღვრების

უარყოფამ გამოიწვია. მაგრამ ეს დაცემაც არ იყო საბოლოო. რაც უფრო მეტად უარყოფდნენ ამ დროისათვის განკუთვნილ ჭეშმარიტებას, მით უფრო დიდი იყო მათი სულიერი დაცემა. მიუხედავად ამისა, ჯერ არ დამდგარა დრო, რომ ვთქვათ: "დაეცა დიდი ბაბილონი, რომელმაც თავისი მძვინვარე მეძავობის ღვინო ასვა ყველა ხალხს". მას ეს ჯერ არ გაუკეთებია. წუთისოფელთან მეგობრობა და ჭეშმარიტებისადმი გულგრილობის სული, რა თქმა უნდა, კვლავინდებურად ცოცხლობს მთელი საქრისტიანოს პროტესტანტულ ეკლესიებში და სწორედ მათ ამხელს ასე საზეიმოდ და მკაცრად მეორე ანგელოზი. მაგრამ განდგომილების კულმინაცია ჯერ არ დამდგარა.

ბიბლია გვეუბნება, რომ უფლის მეორედ მოსვლის წინ სატანა იმოქმედებს "ყოველგვარი ყალბი ძალით, ნიშნებითა და სასწაულებით, და უსამართლობის ყველა საცდურით დალუპულთათვის იმის გამო, რომ არ შეიწყნარეს ჭეშმარიტების სიყვარული თავის სახსნელად". "ამისათვის გაუგზავნის მათ ღმერთი მცდარ ქმედებას, რათა იწამონ სიცრუე" (2თეს. 2:9-11). სანამ ყველაფერი ზემოთქმული არ ალსრულდება და ქრისტიანული ეკლესიები სრულებით არ შეერწყმიან წუთისოფელს, მანამდე ბაბილონის სრული დაცემა არ მოხდება. ეკლესიების განდგომა თანდათანობით ხდება და სრული ასრულება იმისა, რაც

ნაწინასწარმეტყველებია გამოცხადების წიგნის მე-14 თავში - მომავლის საქმეა.

თუმცა ბაბილონის სახით წარმოდგენილი ეკლესიები სულიერ წყვდიადში არიან ჩაფლული და ღმერთისაგან შორს დგანან, მაინც მათ შორისაც ბევრია ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევარი. ბევრს ჯერ არც გაუგონია რამე ამ დროისათვის განკუთვნილი ჭეშმარიტების შესახებ. ბევრს არ აკმაყოფილებს თავისი ახლანდელი მდგომარეობა და უფრო მეტი ნათელი სწყურია. ისინი ამაოდ ეძებენ ქრისტეს ხატებას თავიანთ ეკლესიებში. და რაც უფრო მეტად შორდება ეკლესია ჭეშმარიტებას, რაც უფრო მჭიდროა მისი კავშირი წუთისოფელთან, მით

უფრო შესამჩნევი ხდება სხვაობა ეკლესიის წევრთა შორის და გაყოფა აუცილებლად მოხდება. დადგება დრო, როდესაც ქრისტეს ერთგულნი არ მოისურვებენ მათთან დარჩენას, ვინც არიან "უფრო სიამეთა მოყვარულნი, ვიდრე ღვთისა" (2ტიმ. 3:4,5).

გამოცხადების მე-18 თავი მიგვანიშნებს იმ დროზე, როდესაც სამი ანგელოზის გაფრთხილების შემდეგ (გამოცხ. 14:6-12) ეკლესია სწორედ იმ მდგომარეობაში ალმოჩნდება, რომელიც მეორე ანგელოზის მიერ იქნა გამოცხადებული. მაშინ იქნება მოწოდება ბაბილონში მყოფი ღვთის ხალხისადმი, დატოვონ იგი. ეს იქნება უკანასკნელი გაფრთხილება

მსოფლიოსათვის და იგი შეასრულებს თავის დანიშნულებას. იმ დროს, როცა "ყველა, ვინც ჭეშმარიტება არ იწამა და მოიწონა უსამართლობა" (2თეს. 2:12), ცრუ და მცდარ ეკლესიებში დარჩება, ჭეშმარიტების ნათელი ამორწყინდება ყველა მისი მიღების მსურველთა გულში. და ბაბილონში მყოფი ღვთის ყველა შვილი გაიგონებს მოწოდებას: "გამოერიდე მას, ჩემო ხალხო!" (გამოცხ. 18:4).

თავი 22 ალსრულებული წინასწარმეტყველება

გასრულდა1844 წლის გაზაფხული - ქრისტეს მოსვლის დრო და ისინი, ვინც რწმენით ელოდნენ მის გამოჩენას, საგონებელში ჩაცვივდნენ. წუთისოფელი ამ ადამიანებს სიცრუის მსხვერპლად თვლიდა, მაგრამ მათი ნუგეშისცემის წყაროდ კვლავ ღვთის სიტყვა რჩებოდა. ბევრი

კვლავ განაგრძობდა წმიდა წერილის შესწავლას, ამოწმებდა თავისი რწმენის საფუძველს და ჭეშმარიტების უფრო დიდი ნათლისაკენ სწრაფვაში კვლავ კითხულობდა წინასწარმეტყველებებს. ბიბლიის მტკიცე მოწმობანი მათთვის საბოლოო და ცხადი იყო. ნიშნები შეუცდომლად მიუთითებდნენ ქრისტეს მოსვლის მოახლოებაზე. უფლის განსაკუთრებული კურთხევანი, რაც ცოდვილთა მოქცევასა და ქრისტიანთა სულიერ ალმავლობაში გამოიხატა, ნათლად მოწმობდნენ, რომ იგი უფლის მიერ იყო გამოგზავნილი. და თუმცა იმ დროს მორწმუნეებს ვერ აეხსნათ თავს დატეხილი იმედგაცრუება,

მაინც გრძნობდნენ, რომ ღმერთი მათთან იმყოფებოდა.

ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამის შესახებ წინასწარმეტყველებასთანაა დაკავშირებული დარიგება წმიდა წერილიდან, რომელიც მშვენივრად შეესაბამებოდა მათ გაურკვეველ მდგომარეობას და უფლის ერთგულთ შთააგონებდა, რწმენითა და მოთმინებით დალოდებოდნენ იმას, რაც ამ პერიოდში ჯერ კიდევ გაუგებარი იყო მათი შემეცნებისათვის, მაგრამ მომავალში პირდებოდა ნათლის მოფენას.

ეს არის ნაწყვეტი აბაკუმის წინასწარმეტყველების წიგნიდან (2:1-4): "ჩემს სადარაჯოზე დავდგები და გავალ კოშკზე, დავაყურადებ, რომ ვნახო, რას მეტყვის და რა ვუპასუხო

ჩემს ჩივილზე. მომიგო უფალმა და მითხრა: "ჩაწერე ხილვა და ფიქალებზე ამოკვეთე, რომ სწრაფად წაიკითხოს მკითხველმა. რადგან უკვე დათქმული ჟამისთვის არის ხილვა და ბოლოს გაცხადდება, არ გამტყუნდება. თუ დაგვიანდეს, დაელოდე, რადგან უსათუოდ მოვა, არ დაბრკოლდება. აჰა, გაამაყდა, არ გასწორდა მასში სული, მართალი კი თავისი რწმენით იცოცხლებს".

ამ წინასწარმეტყველების ბრძანების კილომ: "ჩაწერე ხილვა და ფიქალებზე ამოკვეთე, რომ სწრაფად წაიკითხოს მკითხველმა", ჯერ კიდევ 1842 ჩააგონა ჩარლზ ფიტჩს, მოემზადებინა წინასწარმეტყველებათა სქემა, რომელიც დაკავშირებული იყო

დანიელის და იოანეს გამოცხადების წიგნებში ალწერილ ხილვებთან. ამ სქემის გამოცემას იგი აბაკუმის წიგნში მოცემული უფლის ბრძანების ალსრულებად თვლიდა. მაგრამ ვერავინ შეამჩნია ის, რომ ამავე წინასწარმეტყველებაში არის ნათქვამი ხილვების ალსრულების დაყოვნების შესახებ. წმიდა წერილის ამ ტექსტმა იმ საყოველთაო იმედგაცრუების შემდეგ განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა შეიძინა. "დათქმული ჟამისათვის არის ხილვა და ბოლოს გაცხადდება, არ გამტყუნდება. თუ დაგვიანდეს, დაელოდე, რადგან უსათუოდ მოვა... მართალი თავისი რწმენით იცოცხლებს".

ეზეკიელის წინასწარმეტყველების რამდენიმე ტექსტმაც იმედი და ძალა შემატა იესოს მორწმუნეებს: "იყო ჩემს მიმართ უფლის სიტყვა ნათქვამი: ადამის ძევ! ეს რა ანდაზა გაქვთ ისრაელის მიწაზე: "ჟამი გაივლის და ყოველი ხილვა გაქარწყლდებაო?" ამიტომ უთხარი მათ, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ახლოა ჟამი და ყოველი ხილვის ალსრულება-თქო; რადგან მე, უფალი, ვილაპარაკებ, რასაც ვილაპარაკებ, მოხდება, არ გადაიდება; აჰა, ამბობს ისრაელის სახლი: ხილვა, რომელიც მან იხილა, მალე არ ახდებაო; შორეული დროისთვის წინასწარმეტყველებსო. ამიტომ უთხარი მათ, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: არცერთი ჩემი სიტყვა მეტად

ალარ გადაიდება, რა სიტყვაც არ უნდა ვთქვა, ახდება, ამბობს უფალი ღმერთი" (ეზეკ. 12:21-25,27,28).

უფლის მომლოდინენი გახარებული იყვნენ და სწამდათ, რომ მან, ვინც დასაწყისი და დასასრული იცის, მრავალი საუკუნის წინ იწინასწარმეტყველა მათი იმედგაცრუება და გასამხნევებლად იმედის სიტყვები გამოუგზავნა. წმიდა წერილის ეს ტექსტები რომ არა, რომელნიც მოუწოდებდნენ, მოთმინებით დალოდებოდნენ და ერწმუნათ ღვთის სიტყვა, მათი რწმენა გამოცდის იმ დღეებში შეირყეოდა.

მათეს სახარების 25-ე თავში მოცემულ იგავს ათი ქალწულის შესახებ პირდაპირი

დამოკიდებულება აქვს ადვენტისტებთან. მათეს სახარების 24-ე თავში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ პასუხობდა რა მოწაფეთა შეკითხვებს მისი მოსვლისა და წუთისოფლის ალსასრულის ნიშნების შესახებ, ქრისტემ მიუთითა ეკლესიისა და დედამიწის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, რომელთაც ადგილი ექნებათ მის პირველსა და მეორედ მოსვლის შუა პერიოდში, სახელდობრ: იერუსალიმის დანგრევა, ეკლესიის სასტიკი დევნა წარმართთა და პაპის ხელისუფლების მხრიდან; მზისა და მთვარის დაბნელება, ვარსკვლავთცვენა. ამის შემდგომ, მისივე სიტყვებით, გამოჩნდება

უფალი. მან თქვა იგავი, რომლის მიხედვითაც ბოლო ჟამს იქნება მის მომლოდინე ადამიანთა ორი ჯგუფი. 25-ე თავი შემდეგი სიტყვებით იწყება: "მაშინ ცათა სასუფეველი დაემსგავსება ათ ქალწულს". აქ ლაპარაკია ბოლო ჟამის ეკლესიაზე, რომელიც 24-ე თავის ბოლოშია ნახსენები. ამ იგავში აღმოსავლური ქორწილის მაგალითზე ნაჩვენებია ის, რისი გადატანაც მოუხდა ღვთის ხალხს.

"მაშინ ცათა სასუფეველი დაემსგავსება ათ ქალწულს, რომელთაც აიღეს თავიანთი ლამპრები და გამოვიდნენ ნეფის შესახვედრად. ხუთი მათგანი უგუნური იყო და ხუთი - გონიერი. უგუნურებმა თავიანთი ლამპრები

რომ აიღეს, ზეთი არ გაიყოლეს თან. ხოლო გონიერებმა თავიანთ ლამპრებთან ერთად ზეთიც გაიყოლეს ჭურჭლებით. ნეფემ რომ შეიგვიანა, ყველას ჩათვლიმა და დაეძინა. მაგრამ შუალამისას გაისმა ყვირილი: "აჰა, ნეფე მოდის, გამოდით შესაგებებლად".

ქრისტეს მოსვლა, რომლის შესახებაც საუბარია პირველი ანგელოზის უწყებაში, გამოსახულია ნეფის მოსვლით. უდიდესი რეფორმაცია, რომელსაც თან მისი მოსვლის მოახლოების შესახებ ქადაგება მოჰყვა, აღნიშნულია ქალწულთა გამოჩენით. ამ იგავში, ისევე როგორც მათეს სახარების 24-ე თავში, ადამიანთა ორი ჯგუფია ნაჩვენები. ყველამ აიღო ლამპრები -

ბიბლია და გამოვიდა მის ნათელში ნეფის შესახვედრად. მაგრამ "უგუნურებმა თავიანთი ლამპრები რომ აიღეს, ზეთი არ გაიყოლეს თან", "ხოლო გონიერებმა თავიანთ ლამპრებთან ერთად ზეთიც გაიყოლეს ჭურჭლებით". და ამ ადამიანებმა მიიღეს ღვთის მადლი სულიწმიდის გარდამქმნელი ძალის სახით, რომელმაც უფლის სიტყვა მისკენ მიმავალი გზის მანათობელ ლამპრად აქცია. წმიდა ღვთის მოშიშებით სწავლობდნენ ისინი წერილს ჭეშმარიტების შესამეცნებლად და გულწრფელად ისწრაფოდნენ თავიანთი ცხოვრებისა და გულის სიწმიდისაკენ. საკუთარ თავზე გამოსცადეს ყოველივე და ტანჯვაში გამობრძმედილი მათი

რწმენა უფლისა და მისი სიტყვის მიმართ, ვერ შეარყია ვერც იმედგაცრუებამ და ვერც უფლის მოსვლის შეყოვნებამ. სხვებმა კი "ლამპრები რომ აიღეს, ზეთი არ გაიყოლეს თან". ეს ადამიანები წუთიერი ემოციებით მოქმედებდნენ. ამ გამაფრთხილებელმა სახარებამ შიშის გრძნობა ჩაუნერგა მათ, მაგრამ ისინი თავიანთი ძმების რწმენას ეყრდნობოდნენ და თავიანთი გრძნობების მოციმციმე სინათლის სუსტი სხივით დაკმაყოფილდნენ, სინამდვილეში კი არ ჰქონდათ სრული წარმოდგენა ჭეშმარიტებაზე, ან კიდევ, ღვთის მადლის მიერ ადამიანის გულის გარდამქმნელ მოქმედებაზე. ისინი უფლის შესახვედრად იმ სასიხარულო

იმედით გამოვიდნენ, რომ მალე მიიღებდნენ ალთქმულ ჯილდოს და სრულებით არ იყვნენ მზად მოსალოდნელი იმედების გაცრუებისა და უფლის მოსვლის შეყოვნებისათვის. ხოლო როდესაც გამოცდის დრო მოვიდა, მათი რწმენა გაქრა და ლამპრებიც ჩაქრა.

"ნეფემ რომ შეიგვიანა, ყველას ჩათვლიმა და დაეძინა". ნეფის დაგვიანება ნიშნავს იმედების გაცრუებასა და მოჩვენებითი შეყოვნების პერიოდს უფლის მოლოდინში. იმ დაბნეულობის ჟამს ნახევრადმოქცეულ, ზედაპირული რწმენის მქონე ადამიანებს ეჭვი შეეპარათ, იმედები გადაეწურათ, მაგრამ ისინი, ვისი რწმენის საძირკველიც ბიბლია იყო, მტკიცედ

იდგნენ ამ რწმენის კლდეზე და იმედგაცრუების ვერავითარმა ტალღამ ვერ შეარყია. "ყველას ჩასთვლიმა და დაეძინა", - ზოგს უზრუნველად და უდარდელად, თავისი რწმენის დაკარგვის გამო, სხვებს კი უფრო დიდი ნათელის მოთმინებით მოლოდინში. მაგრამ გამოცდის ღამეს მათაც კი ცოტა ხნით დაკარგეს თავიანთი გულმოდგინება და საქმისადმი ერთგულების გრძნობა. ნახევრადმოქცეული და ზედაპირული, მცირე რწმენის ადამიანები ველარ ეყრდნობოდნენ თავიანთი ძმების რწმენას. თითოეული მათგანი ან მტკიცედ უნდა მდგარიყო ფეხზე, ან უნდა დაცემულიყო.

ამ დროს იწყო გამოვლენა ფანატიზმმაც. ქრისტეს მოსვლის სახარების ადრინდელი გულმოდგინე და ერთგული მიმდევრები ახლა უარყოფდნენ ღვთის სიტყვას, როგორც ცხოვრების ჭეშმარიტ სახელმძღვანელოს და ამტკიცებდნენ, რომ ახლა ისინი სულის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან და საკუთარი გრძნობებით, შთაბეჭდილებებითა და წარმოდგენებით უნდა იხელმძღვანელონ. ზოგიერთები უაზრო გულმოდგინებით კიცხავდნენ ყველას, ვინც მათ მაგალითს არ ბაძავდა. ადვენტისტთა უმრავლესობა არ იზიარებდა მათ ფანატიკურ თვალსაზრისს, მაგრამ ჭეშმარიტებას მაინც მიადგა ჩრდილი.

სატანა ამგვარი გზით ცდილობდა ხელი შეეშალა ღვთის საქმისათვის და გაენადგურებინა იგი. ადვენტისტთა იდეებმა ხალხი ააღელვა: ათასობით ცოდვილი მოიქცა ღმერთისაკენ, ხოლო ღვთის საქმის ერთგული ადამიანები თავდაუზოგავად ქადაგებდნენ ჭეშმარიტებას მაშინაც კი, როდესაც უფალი დათქმულ დროს არ მოვიდა. ბნელეთის მეფემ დიდი დანაკარგი განიცადა და იმისათვის, რომ ღვთის საქმისათვის ზიანი მიეყენებინა, გულწრფელ მორწმუნეთა ცდუნებას და მათ უკიდურესობამდე მიყვანას ცდილობდა. მისი დემონები მზად იყვნენ ესარგებლათ მათი ნებისმიერი, სულ მცირე შეცდომით ან არასწორი საქციელით, რათა

გაეზვიადებინათ ის და გამოემზეურებინათ ხალხის წინაშე, რითაც ხალხში ადვენტისტთა მიმართ ზიზღსა და სიძულვილს თესავდნენ. ამგვარად, რაც უფრო იზრდებოდა მათი რიცხვი, ვისაც სჯეროდა ქრისტეს მეორედ მოსვლისა და ამავე დროს სატანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მით უფრო მეტი შანსი ჰქონდა ბოროტს, ხალხის მთელი ყურადღება მიეპყრო მათზე, როგორც მთელი ეკლესიის წარმომადგენლებზე.

სატანა "ძმების ცილისმწამებელია". იგი აქეზებს ადამიანებს, შეცდომები და ნაკლოვანებები გამოუძებნონ ღვთის შვილთ, ხელიდან არც ერთი შემთხვევა არ გაუშვან და უარყოფითად წარმოუდგინონ ისინი

საზოგადოებას იმ დროს, როცა ადვენტისტთა საუკეთესო საქმეები შეუმჩნეველი რჩება. სატანა განსაკუთრებით უფრო აქტიურად მოქმედებს მაშინ, როცა უფალი სულთა გადარჩენისათვის შრომობს. როდესაც ღვთის შვილნი უფლის წინაშე წარდგებიან, აქვეა სატანაც. ყოველი რელიგიური გამოღვიძების მომენტში სატანა ეკლესიაში უწმიდური და სუსტი გონების მქონე ადამიანების მოყვანას ცდილობს. და იმ ადამიანთა მეშვეობით, რომელნიც ნაწილობრივ ღებულობენ ჭეშმარიტებას, იგი სხვებს თავისი თეორიებით აცდუნებს. არც ერთი ადამიანი არ შეიძლება ჩაითვალოს ქრისტიანად მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ღვთის შვილთა შორის იმყოფება

ლოცვებისა და უფლის სერობის ცერემონიალის ჩატარების დროს. სატანა ხშირად ესწრება ასეთ საზეიმო შეკრებებს მათი სახით, ვისაც იგი იარაღად იყენებს.

ბოროტების მეფე იბრძვის ყოველი გოჯი მიწისათვის, რომლითაც ღვთის ხალხი ზეციური ქალაქისაკენ მიიწევს. ეკლესიის მთელ ისტორიაში არც ერთი რეფორმა არ ჩატარებულა უბრძოლველად და მშვიდად. ასევე იყო პავლე მოციქულის დღეებშიც. მის მიერ შექმნილ ეკლესიებში ყოველთვის მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ლებულობდნენ რწმენას, მაგრამ ამასთან ერთად, თან მოჰქონდათ ერესი, რომლის მიღებაც ჭეშმარიტებისადმი სიყვარულის

ცეცხლს ჩაქრობას უქადდა. ლუთერმაც ბევრი გაჭირვება და მწუხარება გადაიტანა სხვადასხვა ფანატიკოსთა გამო, რომლებიც აცხადებდნენ, რომ თითქოსდა ღმერთი უშუალოდ მათი მეშვეობით მოქმედებდა, რითიც ცდილობდნენ, თავიანთი იდეები და თვალსაზრისი წმიდა წერილის მოწმობებზე მაღლა დაეყენებინათ. მრავალნი, რომელთაც არ ჰქონდათ საკმარისი რწმენა და გამოცდილება, ძალა და მისწრაფება რეფორმებისადმი, ცდუნდნენ ამ ახალ მოძღვართა მიერ და სატანის დამქაშებს შეუერთდნენ, რათა დაენგრიათ ყველაფერი ის, რაც უფალმა ლუთერის ხელით ააშენა. უესლი და მრავალი სხვა რეფორმატორი, რომლებიც თავიანთი

რწმენისა და გავლენის მეშვეობით კურთხევად იქცნენ მთელი მსოფლიოსათვის, ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდნენ სატანის ეშმაკურად დაგებულ მახეებს უჩვეულოდ გულმოდგინე, გაუნათლებელი და ფანატიკურად განწყობილი ადამიანების სახით.

უილიამ მილერის დამოკიდებულება ფანატიზმის მიმართ მეტად მკაცრი იყო. ლუთერის მსგავსად, ისიც დარწმუნებული იყო, რომ ყოველგვარი სული უნდა შემოწმდეს წმიდა წერილით. "ჩვენს დროში სატანას, - ამტკიცებდა მილერი, - მეტად დიდი გავლენა აქვს ზოგიერთი ადამიანის გონებაზე. და როგორ შეიძლება გავიგოთ, რომელი სულია

ადამიანში? ბიბლია ამბობს: "ნაყოფით შეიცნობთ მათ". არსებობს მრავალი სული და ჩვენ უნდა შევამოწმოთ ისინი. სული, რომელიც არ შთაგვაგონებს, ვიცხოვროთ ფხიზელი, მართალი და ღვთისმოსაური ცხოვრებით, არ არის ქრისტეს სული. ყოველდღიურად სულ უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ ფანატიზმის ყოველგვარი გამოვლინება - სატანის საქმეა. ხშირად ბევრ ჩვენთაგანს პრეტენზია აქვს აბსოლუტური უმწიკვლოებისა, იცავს ტრადიციებს, მაგრამ იგი ისევე შორსაა ჭეშმარიტებისაგან, როგორც რელიგიაში სრულიად უვიცი ადამიანი. ცდუნების სული გვაშორებს ჭეშმარიტებას, ღვთის სულს კი მასთან მივყავართ. მაგრამ ამ

შემთხვევაში ჩნდება სავსებით კანონზომიერი კითხვა: როგორ მოიქცეს ადამიანი, რომელიც ცდება, მაგრამ თავად დარწმუნებულია იმაში, რომ ჭეშმარიტ გზაზე დგას? ჩვენ ამ კითხვაზე ასეთი პასუხი გვაქვს: სული და სიტყვა სრულ ურთიერთჰარმონიაში არიან. თუკი ადამიანი შეამოწმებს თავის თავს ღვთის სიტყვით და აღმოაჩენს თავისი ბუნების სრულ თანხმობას მასთან, მაშინ შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ შეიცნო ჭეშმარიტება; მაგრამ თუკი იგი აღმოაჩენს, რომ მასში მყოფი სული არ ეთანხმება უფლის მცნებებს და საერთოდ მთელ წმიდა წერილს, მაშინ დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რომ სატანის ქსელში არ

გაებას. მე ხშირად ერთ მადლიერ გამოხედვაში, ერთ გულწრფელ სიტყვაში და ერთ მძიმე ამოოხვრაში მეტ შინაგან ღვთისმოსაობას ვიჭერდი, ვიდრე ქრისტიანულ სამყაროში გამეფებულ მთელ ხმაურში".

რეფორმაციის დღეებში მისი მტრები განსაკუთრებული სისასტიკით დებდნენ ბრალს ფანატიზმში სწორედ მათ, ვინც მთელი ძალით იბრძოდა მის წინააღმდეგ, ასევე მოქმედებდნენ ადვენტისტური მოძრაობის მტრები. ისინი არ კმაყოფილდებოდნენ ფანატიკოსთა შეცდომების გაზვიადებითა და დამახინჯებით და ავრცელებდნენ რაღაც მოჩმახულ ისტორიებს, რომელიც ძალიან შორს

იყო სიმართლისაგან. ამ ადამიანებს სიძულვილი და ცრურწმენა ამოძრავებდათ. უწყებამ ქრისტეს მოსვლის მოახლოების შესახებ სიმშვიდე დაურღვია მათ. სჯეროდათ და თან არ სჯეროდათ ეს ჭეშმარიტება. "ვაითუ სიმართლე გამოდგეს? მაგრამ არა, შეუძლებელია, ეს მოხდეს". - აი, ამაშია ადვენტისტთა და მათი რწმენის მიმართ ამ ადამიანთა მტრული დამოკიდებულების საიდუმლო.

თუკი რამდენიმე ფანატიკოსმა კიდეც შესძლო ადვენტისტთა რიგებში შელწევა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს მოძრაობა ღვთისაგან არ არის, ისევე, როგორც პავლე მოციქულის ან ლუთერის დროინდელ ეკლესიაში

ცრუმორწმუნეთა და ფანატიკოსთა არსებობა სრულებით არ ამცირებს მათი მოლვაწეობის მნიშვნელობას. დაე, ღვთის ხალხი გამოფხიზლდეს ღრმა ძილისაგან და გულწრფელად მოინანიოს; დაე, იშრომოს მან რეფორმაციის საკეთილდღეოდ, დაიწყოს წმიდა წერილის შესწავლა ქრისტეს ჭეშმარიტების შესაცნობად; სრულად მიუძღვნას თავი ღმერთს და მაშინ მას ექნება საკმარისი მტკიცებანი იმისა, რომ სატანა კვლავინდებურად მეტად აქტიური და ცბიერი მტერია. იგი ყოველგვარი მზაკვრული ხერხების გამოყენებით გამოაჩენს თავის ძალას და ამაში დასახმარებლად მოიხმობს თავისი სამეფოს ყველა დაცემულ ანგელოზს.

ქრისტეს მეორედ მოსვლის უწყების ქადაგებას არ გამოუწვევია ფანატიზმი და განხეთქილება. ეს მოხდა 1844 წლის ზაფხულში, როდესაც ადვენტისტები მეტად მძიმე მდგომარეობაში და ეჭვებში იმყოფებოდნენ. პირველი ანგელოზის უწყება და "შუალამის ყვირილი" აკავებდა ფანატიზმს და გაყოფას. ამ უდიდესი მოძრაობის ერთგულნი ერთსულოვანნი იყვნენ; მათი გულები ალსავსე იყო მოყვასისა და იესოსადმი სიყვარულით და მასთან მალე შეხვედრის იმედით ცოცხლობდნენ. რწმენისა და ნეტარი იმედის ერთიანობა მიულწეველს ხდიდა მათ ყოველგვარი მავნე ზეგავლენისთვის და სატანის შემოტევისაგან იცავდა.

"ნეფემ რომ შეიგვიანა, ყველას ჩასთვლიმა და დაეძინა. მაგრამ შუალამისას გაისმა ყვირილი: "აჰა, ნეფე მოდის, გამოდით შესაგეგებლად". მაშინ წამოდგა ყველა ქალწული და გამართეს თავ-თავისი ლამპრები" (მათ. 25:5-7). 1844 წლის ზაფხულში ნახევარი დრო გავიდა იმ მომენტიდან, როდესაც უნდა გასრულებულიყო 2300 დღე, ანუ იმავე წლის შემოდგომამდე, როცა შემდგომი აღმოჩენის თანახმად, ეს პერიოდი უნდა დამთავრებულიყო - და სწორედ მაშინ გაისმა მოწოდება: "აჰა, ნეფე მოდის!"

ამ მოძრაობის დაწყების იმპულსი გახდა აღმოჩენა, რომელმაც განსაზღვრა, რომ მეფე ართახშაშთას მიერ გამოცემული ბრძანებულება

იერუსალიმის აღდგენის შესახებ, საიდანაც 2300-დღიანი პერიოდის გამოთვლა იწყება, ძალაში შევიდა ჩვენს წ-მდე 457 წლის შემოდგომაზე და არა იმავე წლის დასაწყისში, როგორც ადრე ვარაუდობდნენ. 457 წლიდან ათვლილი 2300 დღე 1844 წლის შემოდგომაზე სრულდებოდა.

ძველი აღთქმის სიმბოლოებიც შემოდგომაზე მიუთითებდა, როგორც იმ პერიოდზე, როდესაც, წმიდა წერილის მიხედვით, უნდა მომხდარიყო "საწმიდარის გაწმედა". იმის გამო, რომ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებანი ქრისტეს პირველი მოსვლის შესახებ ზუსტად ალსრულდა, მათ სწამდათ, რომ სავსებით ნათელი და განსაზღვრული გზით მიდიოდნენ.

საპასექო კრავის მსხვერპლშეწირვა ქრისტეს სიკვდილის სიმბოლო იყო. პავლე მოციქული ამბობს: "ვინაიდან ჩვენი პასექი, ქრისტე, ჩვენს გამო შეეწირა" (1კორ. 5:7). ხოლო პასექის დროს უფლისადმი პირველნაყოფის შეწირვა ქრისტეს აღდგომის სიმბოლო იყო. უფლისა და მთელი მისი ხალხის აღდგომის შესახებ პავლე მოციქული წერდა: "პირმშო-ქრისტე, ხოლო შემდეგ ქრისტესნი-მისი მოსვლისას" (1კორ. 15:23). შესარხევი ძნის მსგავსად, რომელიც მკის წინ შეკრებილ მწიფე თავთავთა კონას წარმოადგენდა, ქრისტე პირველია იმ გამოსყიდულ თავთავთა შორის, რომელიც აღდგომის დროს უნდა შეგროვდეს უფლის ბელელში.

ეს სიმბოლოები აღსრულდა არა მარტო არსებითად, არამედ დროის სიზუსტითაც. იუდეველთა პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს, სწორედ იმ თვეს, რომელშიც ხანგრძლივი 15 საუკუნის განმავლობაში მსხვერპლად სწირავდნენ პასექის კრავს, ქრისტემ თავის მოწაფეებთან ერთად ჭამა პასექი და ამგვარად დაადგინა სერობა, რომელიც შემდგომში მისი სიკვდილის მოსაგონებლად უნდა აღსრულებულიყო, "როგორც ღვთის კრავისა, რომელიც დასაკლავად წაიყვანეს". იმავე ღამეს იგი შეიპყრეს ურჯულოებმა, ჯვარს აცვეს და მოკლეს. და ჩვენი უფალი აღდგა მკვდრეთით მესამე დღეს, როგორც "პირმშო მკვდართაგან", როგორც

მაგალითი ყველა მკვდრეთით ალმდგარ მართალთათვის, რომელთა "დამდაბლებულ სხეულს გარდაქმნის თავისი დიდების სხეულის მსგავსად" (ფილ. 3:20,21).

ასევე თავის დროზე უნდა ალსრულებულიყო სიმბოლური მსახურების ყველა მაგალითი, რომელიც ქრისტეს მეორედ მოსვლას უკავშირდება. მოსეს რჯულის თანახმად, საწმიდარის განწმედა, ანუ გამოსყიდვის უდიდესი დღე ხდებოდა იუდეველთა მეშვიდე თვის მეათე დღეს (იხ. ლევ. 16:29-34), როდესაც მღვდელმთავარი ალასრულებდა მთელი ისრაელის გამოსყიდვის მსახურებას და იუდეველთა ცოდვებისაგან საწმიდარის განწმედის შემდეგ

ხალხთან გამოდიოდა და აკურთხებდა მათ. ამ მაგალითით სწამდათ, რომ ჩვენი უდიდესი მღვდელმთავარი გამოჩნდება ცოდვისა და ცოდვილის მოსასპობად, დედამიწის განსაწმედად და თავისი ხალხისათვის უკვდავების მისაცემად. მეშვიდე თვის მეათე დღე - გამოსყიდვის უდიდესი დღე და საწმიდარის განწმედის დროა. 1844 წელს ეს დღე 22 ოქტომბერი იყო. სწორედ ამ დღეს ელოდნენ უფლის გამოჩენას. ეს შეესაბამებოდა ადრინდელ გამოთვლას, რომლის თანახმადაც 2300-დღიანი პერიოდი შემოდგომაზე უნდა გასრულებულიყო. ასეთი დასკვნა მეტად ლოგიკური იყო.

მათეს სახარების 25-ე თავში ნეფის მოსვლას წინ უძღვის მოლოდინისა და ძილის პერიოდი. ესეც შეესაბამება წინასწარმეტყველებასა და სიმბოლოებს. მორწმუნენი ღრმად იყვნენ დარწმუნებული თავიანთ მტკიცებათა ჭეშმარიტებაში და "შუალამის ყვირილის" შესახებ მრავალი მაცნე ქადაგებდა.

ეს მოძრაობა ზღვის უზარმაზარი ტალღის მსგავსად აგორდა მთელ ქვეყანაში. ამ ამბავს გადასცემდნენ ქალაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფელში, ქვეყნის ყველაზე შორეულ კუთხეებში, სანამ მთელმა ღვთის ერმა არ გაიღვიძა უფალთან შესახვედრად. მისი ძლიერება ჩრდილავდა ფანატიზმის ყოველგვარ გამოვლენას ისევე, როგორც

ამომავალი მზის სხივები ადნობს ყინულის ლოლუებს. ეჭვი და დაბნეულობა გაქრა. იმედმა და მხნეობამ გაასხივოსნა მორწმუნეთა სული. ადგილი არ ჰქონდა უკიდურესობებს, რომლებიც ყოველთვის თავს იჩენდნენ იქ, სადაც ადამიანები ღვთის სიტყვისა და მისი სულიწმიდის შემკავებელი ძალის გარეშე მოქმედებენ. ეს დღეები საოცრად ემსგავსებოდა იმ პერიოდს, როდესაც ძველი ისრაელი, ღვთის წარგზავნილ მორჩილთა მიერ მისი მხილების შედეგად, მორჩილებას იჩენდა და კვლავ ღმერთს უბრუნდებოდა. ამ მოძრაობას ისეთი გარდამქმნელი შრომის ბეჭედი ესვა, რომელიც ყოველ საუკუნეში სრულდება. არავინ არ ეძლეოდა

უაზრო დროსტარებას; ადამიანები იკვლევდნენ საკუთარ გულს, ინანიებდნენ ცოდვებს და ჰქონდათ სულიერი სიმშვიდე. ემზადებოდნენ რა უფლის შესახვედრად, ისინი მუდმივ ლოცვებში იყვნენ და სრულად მიენდნენ ღმერთს.

მილერი ამ მდგომარეობას ასე ალწერს: "იგრძნობოდა, რომ ადამიანები თითქოს განზრახ არ ავლენდნენ დიდ სიხარულს და სპეციალურად ინახავდნენ მას მომავლისათვის, როდესაც ცა და დედამიწა ერთად გაიხარებდნენ ენით გამოუთქმელი, მარადიული სიხარულით. არსად ისმოდა ხმამაღალი შეძახილები - მასაც საყოველთაო დიდებისთვის ინახავდნენ. დუმდნენ მომღერლები -

თითქოს ისინიც ელოდებოდნენ იმ დროს, როდესაც მათი ხმები საერთო საგალობელში შეერწყმებოდნენ ანგელოზთა მხედრობის ზეციურ ჰანგებს. არ ისმის კამათი. თითქოს მათში ერთი გული და ერთი გონებაა".

აი, რას წერდა სხვა თვითმხილველი: "ამ მოძრაობამ ღრმად ჩაახედა ადამიანები საკუთარ შინაგან ცხოვრებაში და ასწავლა მოთმინება ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე. უკან დარჩა ამქვეყნიური ინტერესები, გაქრა მტრობა და შულლი, მოინანიეს ცოდვები და ყველამ მუხლი მოიყარა უზენაესის წინაშე მიტევების თხოვნით. თავის ასეთი დამდაბლება და მონანიება მსოფლიოს ჯერ არ ენახა. როგორც იოველ წინასწარმეტყველის მიერ იყო

ნათქვამი, უფლის უდიდესი დღის მოახლოებამ გამოალვიძა ხალხი, რომელმაც არა ტანსაცმელი, არამედ "გულები დაიგლიჯა" და უფალს მარხვებითა და ლოცვებით, ცრემლითა და ქვითინით მიმართა. უფალმა მადლითა და წყალობით აავსო თავისი შვილები, როგორც თქვა კიდეც ზაქარია წინასწარმეტყველის პირით: "ისინი შეხედავენ მას, ვინც განგმირეს და ატირდებიან მასზე" და უფლის მომლოდინეები დაიმდაბლებენ თავიანთ სულებს მის წინაშე".

მოციქულთა დღეებიდან მოყოლებულ უდიდეს რელიგიურ მოძრაობათა შორის არც ერთი არ ყოფილა ასე თავისუფალი ადამიანური მანკიერებისა და

სატანის ცდუნებისაგან, როგორც 1844 წლის შემოდგომის მოძრაობა. ახლაც კი, მას შემდეგ მრავალი წლის გასვლის შემდეგ, ამ მუშაობის მონაწილენი, მის ჭეშმარიტებაში მტკიცედ დარწმუნებულნი, განიცდიან ამ მოძრაობის წმიდა ზეგავლენას და მოწმობენ იმის შესახებ, რომ იგი ღვთისგან იყო.

როდესაც გაისმა ყვირილი: "აჰა, ნეფე მოდის, გამოდით შესაგებებლად!", მისმა მომლოდინეებმა "გამართეს თავიანთი ლამპრები". ისინი ღვთის სიტყვას უჩვეულო მონდომებით იკვლევდნენ. იმედგაცრუებულთა გასამხნევებლად და უწყების მიღებისათვის მოსამზადებლად ზეცამ თავისი ანგელოზები

მოავლინა. ამ შრომაში მონაწილეობას ღებულობდა ადამიანის სიბრძნე და ცოდნა, მაგრამ მოძრაობის ხელმძღვანელი ღვთის ძალა იყო. ყველაზე პირველად ეს სახარება გაიგონეს და მიიღეს არა ყველაზე განათლებულებმა და ნიჭიერებმა, არამედ ყველაზე მორჩილებმა და ერთგულებმა. ფერმერები ყანებში ტოვებდნენ აულებელ პურის მოსავალს; ხელოსნები - თავიანთ სამუშაო იარაღებს და ცრემლიანი სიხარულით გადიოდნენ ხალხში საქადაგებლად. ისინი კი, ვინც ადრე ხელმძღვანელობდა უფლის საქმეს, ერთ-ერთი უკანასკნელნი შეუერთდნენ ამ მოძრაობას. ეკლესიებმა საერთოდ მიუხურეს

კარი ამ მოძრაობას, ხოლო ვინც მას მიიღებდა, რელიგიურ საზოგადოებას ტოვებდა. შორსმჭვრეტელი უფლის სურვილი იყო, რომ "შუალამის ყვირილი" მეორე ანგელოზის სახარებას შერწყმოდა მის გასაძლიერებლად.

შეძახილს: "აჰა, ნეფე მოდის!", არ ესაჭიროებოდა მტკიცება თუნდაც იმიტომ, რომ იგი დაფუძნებული იყო ნათელ და განსაზღვრულ ბიბლიურ მოწმობაზე. ამ სიტყვებს განსაკუთრებული ძალა და გავლენა ჰქონდა ადამიანთა სულებზე. ის არ ტოვებდა ეჭვსა და გაუგებრობას. ქრისტეს იერუსალიმში საზეიმოდ შესვლისას, ქვეყნის ოთხივ კუთხიდან შეკრებილი ადამიანები შეუერთდნენ ზეთისხილის მთისკენ

მიმავალ ბრბოს, რომელიც იესოს მიაცილებდა და ყველასთან ერთად სიხარულით ყვიროდნენ: "კურთხეულია უფლის სახელით მომავალი!" (მათ. 21:9). ამგვარად შეუერთდნენ ადვენტისტურ მოძრაობას ურწმუნონი - ზოგი ცნობისმოყვარეობის გამო, ზოგიც გასართობად: ერთნიც და მეორენიც საკუთარ თავზე სახარების ძალის მოქმედებას განიცდიდნენ და იძახდნენ: "აჰა, ნეფე მოდის!"

იმ დროს ადამიანებს ჰქონდათ ისეთი მტკიცე რწმენა, რომელიც შესაძლებელს ხდიდა ლოცვაზე პასუხის მიღებას, - რწმენა, რომელსაც უფალი არ ტოვებს საზღაურის გარეშე. როგორც გვალვისგან გამომშრალ მიწას აცოცხლებს წვიმა,

ასე გარდმოეფინა მადლის სული ჭეშმარიტების მიღების მსურველთ. ენით აუწერელ სიხარულს გრძნობდნენ ისინი, ვინც მოუთმენლად ელოდა უფალთან პირისპირ შეხვედრას. სულიწმიდის დამამშვიდებელი, დამატყვევებელი ძალა აკეთილშობილებდა გულებს და მისი კურთხევა უხვად იღვრებოდა ჭეშმარიტების ერთგულ და გულწრფელ შვილებზე.

ამ უწყების მიმღებნი მოწიწებით ელოდნენ უფალთან შეხვედრის მომენტს. ყოველ დილას, უპირველეს ყოვლისა ცდილობდნენ, დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ უფალი მათთანაა. ისინი ერთსულოვნად და მხურვალედ ავედრებდნენ ერთურთს უფალს.

ღმერთთან ურთიერთობისათვის ხშირად ბუნების წიაღის მყუდრო ადგილებში იკრიბებოდნენ, ლოცულობდნენ და უფლის მფარველობას ითხოვდნენ. უფალთან ურთიერთობა მათთვის უფრო ძვირფასი და საჭირო იყო, ვიდრე "პური არსობისა" და თუკი სულს მოუსვენრობა დაეუფლებოდა, ადგილს ვერ პოულობდნენ მანამ, სანამ მათ სულში სიმშვიდე არ დაისადგურებდა. გამოსცადეს რა საკუთარ თავზე ყოვლისმიმტევებელი მადლის მოქმედება, მათ დიდად სწყუროდათ თავიანთი საყვარელი მაცხოვრის ხილვა.

მაგრამ კვლავ გაუცრუვდათ იმედი. მითითებული დრო დადგა, მაგრამ

მაცხოვარი არ მოვიდა. ურყევი სასოებითა და იმედით ელოდნენ ისინი მის გამოჩენას და ახლა ზუსტად ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნენ, როგორშიც იყო მარიამი, როდესაც სამარხში შევიდა და ქვითინით წარმოთქვა: "ჩემი უფალი წაიღეს და არ ვიცი, სად დაასვენეს!" (იოან. 20:13).

წმიდა შიში იმისა, რომ ეს ყველაფერი შესაძლოა ჭეშმარიტება ყოფილიყო, ერთხანს აკავებდა ურწმუნოთ. დაპირებულმა დრომ განვლო, მაგრამ ეს გრძნობა მათ დიდხანს შემორჩათ. თავიდან ისინი ვერ ბედავდნენ აშკარა სიხარულის გამოხატვას ქრისტეს მომლოდინეთა იმედგაცრუების გამო. მაგრამ, როცა ვერ იხილეს ღვთის რისხვის

გამოვლინების რაიმე ნიშანი, შიში გაუქრათ და უფლის ერთგული შვილების დაცინვა და მასხარად აგდება დაიწყეს. უამრავმა ადამიანმა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ აცხადებდა, რომ სჯერა უფლის მალე მოსვლისა, უარყო თავისი რწმენა. ზოგიერთნი თავიანთი სიამაყის გამო იმდენად შეურაცხყოფილი დარჩნენ, რომ სურვილი გაუჩნდათ ამ ქვეყნიდან წასვლისა. იონა წინასწარმეტყველის მსგავსად ისინი უფალს ადანაშაულებდნენ და ასეთ სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებდნენ, ხოლო ისინი, ვინც რწმენის საკითხში სხვის თვალსაზრისს ეყრდნობოდნენ და არა ღვთის სიტყვას, ახლა მზად იყვნენ, ისევ შეეცვალათ საკუთარი აზრი.

ღვთისმეტყველთ თავიანთ მხარეზე გადაჰყავდათ სუსტი და მშიშარა ადამიანები და ისინიც ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ უკვე აღარავისი უნდა ეშინოდეთ, რადგან არავინ მოვა. დათქმული დრო გავიდა, უფალი კი არ მოვიდა და წუთისოფელიც კვლავინდებურად უცვლელი დარჩა.

გულწრფელმა, სერიოზულმა მორწმუნეებმა ყველაფერი შესწირეს ქრისტეს და ახლა ისე გრძნობდნენ მის განსაკუთრებულ სიახლოვეს, როგორც არასდროს. ისინი თვლიდნენ, რომ უკვე ამცნეს უკანასკნელი გაფრთხილება მსოფლიოს და არ დაუკარგავთ იმედი, რომ სულ მალე შეხვდებოდნენ მაცხოვარს და მის

ანგელოზებს. და გაურბოდნენ მათთან შეხვედრას, ვინც არ მიიღო ეს გაფრთხილება. ისინი მთელი გულით ლოცულობდნენ: "მოდი უფალო იესო, მალე მოდი!" მაგრამ ის არ მოვიდა. ახლა მათ კვლავ უნდა ეტვირთათ ზრუნვისა და სიძნელეების უღელი, გაეძლოთ საყვედურებისათვის, აეტანათ დაცინვა და გამასხარავება წუთისოფლის მხრიდან. მათ რწმენასა და მოთმინებას მართლაც საშინელი განსაცდელი დაემუქრა.

მაგრამ იმედის ეს გაცრუება და გულგატეხილობა ვერ შეედრებოდა იმ გრძნობას, რაც მოწაფეებმა ქრისტეს პირველად მოსვლის დროს განიცადეს. როდესაც იესო ზეიმით შევიდა იერუსალიმში, მისი მიმდევრები დარწმუნებული იყვნენ,

რომ იგი დავითის ტახტზე დაჯდებოდა და ისრაელს დამპყრობთაგან გაათავისუფლებდა. ისინი სიხარულისა და იმედის მოლოდინში მთელი მონდომებით ცდილობდნენ, დიდი პატივი მიეგოთ თავიანთი მეფისათვის. ხალიჩის ნაცვლად ბევრი თავის ტანსაცმელს უფენდა ძირს. სხვები პალმის ტოტებით ხვდებოდნენ. ხალხი ალტაცებული სიხარულით ეგებებოდა მას: "ოსანა დავითის ძეს!" როდესაც განრისხებულმა ფარისევლებმა იესოს მოსთხოვეს, გაეჩუმებინა თავისი მოწაფეები, მან უპასუხა: "ესენი რომ დადუმდნენ, ქვები იღალადებენ" (ლუკ. 19:40). წინასწარმეტყველება უნდა ალსრულებულიყო. მოწაფეები ღვთის

ნებით მოქმედებდნენ, მაგრამ მაინც მწარე იმედგაცრუება ელოდათ. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი ქრისტეს მოწამებრივი სიკვდილისა და მისი დამარხვის მოწმენი გახდნენ. არც ერთ მათ მცირე ოცნებას და იმედს არ ეწერა ხორცშესხმა და მათი მომავლის იმედიც ქრისტესთან ერთად მოკვდა. მხოლოდ გამარჯვებული უფლის სამარხიდან ამოსვლის შემდეგ მიხვდნენ ისინი, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, ნათქვამი იყო წინასწარმეტყველებაში და რომ "ქრისტე უნდა დატანჯულიყო და მკვდრეთით ალმდგარიყო" (საქ. 17:3).

ამ დღემდე 500 წლით ადრე უფალმა ზაქარია წინასწარმეტყველის პირით წარმოთქვა: "იხარე დიდად, სიონის

ასულო! დაეცი ყიჟინა, იერუსალიმის ასულო! აჰა, შენი მეფე მოდის შენთან, მართალი და გამარჯვებული. თვინიერია ის და ამხედრებულია სახედარზე და ჩოჩორზე, ხრდალი ვირის ნაშიერზე" (ზაქ. 9:9). მოწაფეებს თუ წინასწარ ეცოდინებოდათ, რომ იესოს სასამართლო და სიკვდილი ელის, ვერ შეძლებდნენ ამ წინასწარმეტყველების აღსრულებას.

სწორედ ამგვარად აღასრულეს მილერმა და მისმა თანამზრახველებმა წინასწარმეტყველება და მსოფლიოს მისთვის განკუთვნილი სახარება ამცნეს. მათ რომ წინასწარ სრულად შეეცნოთ წინასწარმეტყველება, რომელშიც ნათქვამი იყო

მოსალოდნელი იმედგაცრუების შესახებ და ამავე დროს სხვა სახარებაც, რომელიც ექადაგება ყველა ხალხს ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ, ისინი ვერ შეასრულებდნენ ამ სამუშაოს. პირველი და მეორე ანგელოზის სახარება ზუსტად მითითებულ დროს ემცნო ხალხს და შეასრულა თავისი დანიშნულება, რომელიც უფალმა განუსაზღვრა.

მთელი მსოფლიო თვალს ადევნებდა ამ მოძრაობას და იმედოვნებდა, რომ რადგან დრო გასრულდა და დანიშნულ დროს ქრისტე არ მოვიდა, ადვენტიზმი შეწყვეტს თავის არსებობას. მაშინ, თუმცა ბევრმა ვერ გაუძლო ცდუნებას და უარყო თავისი მრწამსი, ბევრი

მაინც მტკიცედ იცავდა მას. რა ნაყოფი გამოილო ადვენტისტურმა მოძრაობამ? - სულის მორჩილება, თვითანალიზისადმი მიდრეკილება, წუთისოფლის უარყოფა და ცხოვრების ძირეული გარდაქმნა - რაც ნათლად მიუთითებდა, რომ ეს მოძრაობა ღვთისაგან იყო. განა შეეძლოთ მათ იმის უარყოფა, რომ სწორედ სულიწმიდის ძალა შთააგონებდა ამ ხალხს, ექადაგა ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ? განა შეეძლოთ მათ, შეცდომად ჩაეთვალათ წინასწარმეტყველური პერიოდების გამოთვლა? მათმა ყველაზე ბრძენმა მოწინააღმდეგეებმაც კი ვერ შეძლეს მათი წინასწარმეტყველების ახსნის სისტემის უარყოფა. ამ ადამიანებმა

ვერ უარყვეს თავიანთი რელიგიური მრწამსი, რომელიც დაფუძნებული იყო ბიბლიურ მტკიცებებზე და რომელიც შემეცნებული იყო იმ ადამიანთა მიერ წმიდა წერილის სერიოზული და მოწიწებული შესწავლის შედეგად, რომელთაც გონება უფლის სულმა გაუნათა და რომელთა გულს უზენაესის მგზნებარე სიყვარული ხელმძღვანელობდა. განა შეეძლოთ მათ იმ ჭეშმარიტების უარყოფა, რომელმაც გაუძლო ყველაზე მკაცრ კრიტიკას, ხალხის რელიგიურ წინამძღოლთა უსასტიკეს სიძულვილს და ცნობილ ფილოსოფოსთა შემოტევას, და მიუხედავად მეცნიერთა დავისა, მჭევრმეტყველური საყვედურებისა,

დაცინვისა და შეურაცხყოფისა, რითაც საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებმა შეამკეს ადვენტისტები, მაინც ურყევად იდგა თავის პოზიციაზე?

მართალია, არ მოხდა ის, რასაც ისინი ელოდნენ, მაგრამ ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებაში ერთი წამითაც არ დაეჭვებულან. როდესაც იონა წინასწარმეტყველმა ნინევიის ქუჩებში გამოაცხადა, რომ 40 დღის შემდეგ ეს ქალაქი დაინგრეოდა, უფალმა ყურადღება მიაქცია იმ ცვლილებას, ნინევიის მკვიდრთა ცხოვრებაში რომ მოხდა და მათ გამოცდის ვადა გაუგრძელა; მით უმეტეს, რომ იონა ღმერთისგან იყო წარგზავნილი და ქალაქის მცხოვრებთა გამოცდაც უფლის ნება

იყო. ადვენტისტებს სწამდათ, რომ უფალმა მათ დაავალა კაცობრიობის გაფრთხილება მომავალი სამსჯავროს შესახებ: "ამ სახარებამ, - ამბობდნენ ისინი, - გამოსცადა იმ ადამიანთა გულები, ვინც მოისმინა ის და ზოგს უფალთან შეხვედრის დიდი სურვილი აღუძრა, ზოგს კი მეტ-ნაკლებად სიძულვილი... ამ უწყებამ გაჰყო ადამიანები, რათა მათ გამოეკვლიათ თავიანთი გული და გაეგოთ, ვის მხარეზე ალმოჩნდებოდნენ უფლის მოსვლისას და მზად იყვნენ თუ არა, მისი მოსვლის დღეს ეთქვათ: "აჰა, ჩვენი ღმერთი, მას ვესავდით და გვიხსნა", ან მიემართათ კლდეებისა და მთებისათვის, რომ ჩამომსხვრეულიყვნენ და

დასცემოდნენ მათ, რათა დაეფარათ კრავის რისხვისაგან; ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფალმა გამოსცადა თავისი ხალხი; გამოსცადა მათი რწმენა, რათა სცოდნოდა, შეინარჩუნებდნენ თუ არა ისინი სიმტკიცეს გამოცდის მომენტში, მზად იქნებიან თუ არა ამქვეყნიური ცხოვრების უარსაყოფად და დაეყრდნობიან თუ არა ღვთის სიტყვას".

იმ ადამიანთა გრძნობები, რომელნიც დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ამ მოძრაობას უფლის ხელი მართავდა, უილიამ მილერმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: "მე რომ თავიდან დამეწყო ცხოვრება და ხელთ იგივე მტკიცებანი მქონოდა, რომელიც მქონდა, ჩავთვლიდი, რომ

სწორად ვიქცევი ღმერთისა და მოყვასის წინაშე და კვლავ იმ გზას დავადგებოდი, რომელიც უკვე განვვლე. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩემზე არავისი სისხლი არ არის. მე ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ვინმეს წინაშე არ მქონოდა რაიმე დანაშაული. თუმცა ორჯერ გამიცრუვდა იმედი, - განაგრძობს იგი, - მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ ჩავვარდნილვარ... კვლავინდებურად მტკიცედ მწამს ქრისტეს მეორედ მოსვლა. მე გავაკეთე ის, რაც მრავალი წლის სერიოზული გამოკვლევების შედეგად ჩემს მოვალეობად მივიჩნიე. და თუკი შევცდი, შევცდი მხოლოდ მოყვასის სიყვარულისა და იმის გამო, რომ მსურდა, ჩემი ვალი მომეხადა

უფლის წინაშე. ერთში მტკიცედ ვარ დარწმუნებული: მე ვქადაგებდი იმას, რისიც მჯეროდა და თვით უფალი იყო ჩემთან. მისი ძალა ხელმძღვანელობდა ჩემს შრომას, ამიტომ მრავალი კეთილი საქმე გაკეთდა. ჩვენი ქადაგების მეშვეობით ათასობით ადამიანმა დაიწყო წმიდა წერილის შესწავლა. და ქრისტეს გამომსყიდველი სისხლის რწმენით ისინი ღმერთისაკენ მობრუნდნენ. მე არასოდეს მიძებნია ამა სოფლის ძლიერთა კეთილგანწყობა და არც ჩემს მიმართ კაცობრიობის სიძულვილის შემშინებია. ახლაც არ ვცდილობ მათი კეთილგანწყობის მოპოვებას და ჩემი მოვალეობის ზღვარს არ ვცილდები, რომ

გამოვცადო მათი სიძულვილი. არც საკუთარ სიცოცხლეს ვებლაუჭები და იმედი მაქვს, არ შემეშინდება მისი დაკარგვის, თუკი ეს უფლის ნება იქნება".

ღმერთმა არ მიატოვა თავისი ხალხი; მისი სული კვლავ მათთან იყო, ვინც არ უარყო მიღებული ნათელი და ადვენტისტური მოძრაობა. ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში ჩაწერილია სიტყვები, რომელიც აფრთხილებს და ამხნევებს მათ, ვინც მწუხარება განიცადა იმ კრიტიკულ მომენტში: "მაშ, ნუ მიატოვებთ თქვენს გაბედულებას, რომელსაც დიდი საზღაური აქვს. მოთმინება გმართებთ თქვენ, რათა აღასრულოთ ღვთის ნება და მიიღოთ აღთქმული, ვინაიდან კიდევ ცოტა,

ძალიან ცოტაც და მოვა მომავალი, არ დააყოვნებს. მართალი იცოცხლებს რწმენით, ხოლო თუ უკან მიიქცევა, ჩემი სული არ მოიწონებს მას. ხოლო ჩვენ უკან მიქცეულთაგანნი კი არა ვართ დასალუპავად, არამედ მორწმუნენი სულის სახსნელად" (ებრ. 10:35-39).

ქრისტეს მეორედ მოსვლის მოახლოების შესახებ ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ისინი მიმართულია ბოლო ჟამის ეკლესიის მიმართ: "ვინაიდან კიდევ ცოტა, ძალიან ცოტაც და მოვა მომავალი, არ დააყოვნებს". აქ გასაგებად არის ნათქვამი მოჩვენებითი შეყოვნების შესახებ და იმაზე, რომ უფალი მალე არ მოვა. ეს სპეციალური გაფრთხილება მიმართულია იმ

ადამიანებისაკენ, რომლებიც იმ დღეებში ელოდნენ ქრისტეს მოსვლას. იმ ხალხს, ვისთვისაც ეს სიტყვებია ნათქვამი, რწმენის დაკარგვის საშიშროება დაემუქრა. მათ აღასრულეს ღვთის ნება, მიჰყვნენ უფლის სიტყვისა და სულიწმიდის ხელმძღვანელობას და მიუხედავად ამისა, ვერ ჩაწვდნენ უფლის განზრახვას მათი გამოცდის შესახებ, რომელიც წილად ხვდათ; ისინი ვერ მიხვდნენ, რატომ ატარა ღმერთმა ამ გზით და დაეჭვდნენ: ჭეშმარიტად ღმერთი ატარებდა მათ თუ არა? სწორედ ამ პერიოდს შეეფერება სიტყვები: "მართალი იცოცხლებს რწმენით". როდესაც "შუალამის ყვირილის" ნათელმა სხივმა გზა გაუნათა, მათ აშკარად

დაინახეს გახსნილი წინასწარმეტყველება, ხოლო ნიშნების ალსრულებათა სისწრაფემ დაარწმუნა ქრისტეს მოსვლის მოახლოებაში; ისინი ჭეშმარიტად გრძნობდნენ ნათელს და დადიოდნენ მასში. მაგრამ ახლა, იმედის გაცრუების შემდეგ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილთ, მხოლოდ ღმერთისა და მისი სიტყვის რწმენა თუ გადაარჩენდა. უწმიდური წუთისოფელი ამბობდა: "თქვენ მოგატყუეს; უარყავით თქვენი რწმენა და ალიარეთ, რომ ადვენტისტური მოძრაობა-სატანისგანაა". მაგრამ ღვთის სიტყვა ამტკიცებდა: ვინც "უკან მიიქცევა, ჩემი სული არ მოიწონებს მას". რწმენისაგან განდგომა, სულიწმიდის ძალის

უარყოფა, რომლითაც სახარება იქადაგებოდა, განდგომილებისა და დალუპვის ტოლფასი იყო. პავლე მოციქულის სიტყვები: "მაშ, ნუ მიატოვებთ თქვენს გაბედულებას, რომელსაც დიდი საზღაური აქვს. მოთმინება გმართებთ თქვენ... ვინაიდან კიდევ ცოტა, ძალიან ცოტაც და მოვა მომავალი, არ დაყოვნებს", ამხნევებდა მათ და სიმტკიცეს აძლევდა. ისინი უნდა წასულიყვნენ მხოლოდ ერთადერთი, ჭეშმარიტი გზით, გაფრთხილებოდნენ ნათელს, რომელიც ერთხელ მიიღეს უფლისაგან, იმედი ჰქონოდათ მისი ალთქმისა, გაეგრძელებინათ წმიდა წერილის გამოკვლევა და მოთმინებით ეფხიზლათ, რათა მიელოთ ახალი ნათელი.

თავი 23 რას წარმოადგენს საწმიდარი?

ადვენტისტთა რწმენის საყრდენი ბოძი და საფუძველია ტექსტი წმიდა წერილიდან: "ორიათას სამასი დილა და საღამო,.. და ამის შემდეგ განიწმიდებაო საწმიდარი" (დან. 8:14). ეს სიტყვები ქრისტეს მომლოდინე ყველა მორწმუნესათვის იყო ცნობილი. ათასობით ბაგე წარმოთქვამდა მას, როგორც თავისი

რწმენის სიმბოლოს. ისინი ალიარებდნენ, რომ მათი მომავლის იმედები და მოლოდინი სწორედ ამ წინასწარმეტყველებაზეა აგებული. ნათელი იყო, რომ ეს წინასწარმეტყველური დღეები 1844 წლის შემოდგომაზე უნდა გასრულებულიყო. დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან ერთად ადვენტისტებსაც სჯეროდათ, რომ საწმიდარი არის დედამიწა ან მისი რომელიმე ნაწილი. ისინიც ასევე ფიქრობდნენ, რომ საწმიდარის გაწმენდა დედამიწის ცეცხლით გაწმედას ნიშნავს უკანასკნელ, დიდებულ დღეს და რომ ეს მოხდება ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს. აქედან გამოიტანეს დასკვნა, რომ

ქრისტე დედამიწაზე 1844 წელს უნდა დაბრუნებულიყო.

მაგრამ დათქმულმა დრომ ჩაიარა და უფალი არ მოვიდა. მორწმუნეებმა კარგად იცოდნენ, რომ წმიდა წერილში არ არის შეცდომა და არც შეიძლება იყოს. აქედან დაასკვნეს: მათ არასწორად გამოიკვლიეს ღვთის სიტყვის წინასწარმეტყველებანი. მაგრამ სად არის შეცდომა? ბევრი წინააღმდეგობათა კვანძის გახსნას იმ მტკიცებით ეცადა, რომ 2300 დღე არ მთავრდებოდა 1844 წელს, მაგრამ ამის დასაბუთება შეუძლებელი იყო და მათ მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, ევარაუდათ, რომ ქრისტე არ მოვიდა იმ დროს, როცა მას ელოდებოდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ წინასწარმეტყველური დღეები 1844

წელს გასრულდებოდა, მაშინ ქრისტე გაწმედდა საწმიდარს (დედამიწას) ცეცხლით, მაგრამ რადგან უფალი არ მოვიდა, ესე იგი ეს დღეები ჯერ არ გასულა.

ასეთი დასკვნის გამოტანა მათ მიერ ადრე გამოთვლილი წინასწარმეტყველური ვადების უარყოფას ნიშნავდა. როგორც ცნობილია, 2300 დღის ათვლის წერტილია წელი, როდესაც ძალაში შევიდა მეფე ართაxშაშთას მიერ გამოცემული ბრძანებულება იერუსალიმის აშენებისა და ალდგენის შესახებ, ე.ი. 457 წელი ჩვენს წ-მდე. თუკი ათვლის წერტილად ამ თარიღს მივიჩნევთ, მაშინ დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში აღწერილი ყველა მოვლენა

(დან. 9:25-27) ჰარმონიულად ჯდება ამ დროში. 69 შვიდეული, ანუ პირველი 483 წელიწადი 2300 წლიდან, გვამცნობს მეუფე ქრისტეს შესახებ, ხოლო მისი ნათლობა და სულიწმიდისაგან ცხება ჩვენი წელთაღრიცხვით 27 წელს, ზუსტად ემთხვევა ამ გამოანგარიშებას. 70-ე შვიდეულის შუა პერიოდში მესია უნდა მომკვდარიყო. ნათლობიდან სამნახევარი წლის შემდეგ, 31 წლის გაზაფხულზე, ქრისტე მართლაც ჯვარცმულ იქნა. 70 შვიდეული, ანუ 490 წელიწადი სპეციალურად იუდეველებისთვის იყო განკუთვნილი. ამ პერიოდის ამოწურვისას იუდეველებმა საბოლოოდ უარყვეს ქრისტე და დაიწყეს მისი მოწაფეების დევნა; 34

წლიდან მოციქულებმა ქადაგება დაიწყეს წარმართებში. 490 წლის გასრულების შემდეგ, 2300 წლის პერიოდიდან დარჩენილი იყო 1810 წელიწადი. თუკი ჩვენი წელთაღრიცხვის 34 წლიდან გადავითვლით 1810 წელიწადს, მივიღებთ 1844 წელს. "და მაშინ, - როგორც ანგელოზმა თქვა, - განიწმიდებაო საწმიდარი". ყველა მითითებული წინასწარმეტყველება ზუსტად განსაზღვრულ დროში ალსრულდა.

ამ გამოთვლაში ყველაფერი ნათელი და ზუსტი იყო, გარდა ერთისა: 1844 წელს არ მოხდა მოვლენები, რომლებიც შეიძლებოდა ალქმული ყოფილიყო, როგორც საწმიდარის გაწმედა. იმ ფაქტის

უარყოფა, რომ წინასწარმეტყველური პერიოდი გასრულდა 1844 წელს, უკვე დამტკიცებული ჭეშმარიტების არევ-დარევასა და უარყოფას ნიშნავდა.

მაგრამ უფალი ხელმძღვანელობდა თავის ხალხს ამ დიდ, ადვენტისტურ მოძრაობაში. მისი ძალა და დიდება მართავდა ამ საქმეს და უფალმა არ დაუშვა, რომ წყვდიადს შთაენთქა იგი, რომ ჭეშმარიტება სიცრუედ, ფანატიზმად და წარმავალ მოძღვრებად მიელოთ. ის ვერ შეეგუებოდა, რომ მისი სიტყვის ჭეშმარიტებაში ვინმეს ეჭვი შეპარვოდა. თუმცა ბევრმა უარყო ადრინდელი გამოთვლის წინასწარმეტყველური პერიოდისა და საერთოდ, ამ მოძრაობის უფლებამოსილება მასზე

დაყრდნობით, მაგრამ სხვებმა პირიქით, არ უარყვეს თავიანთი რწმენა და ის გამოცდილება, რომელიც გამართლებული იყო წმიდა წერილით და სულიწმიდის მოწმობით. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ წინასწარმეტყველებათა გამოკვლევისას ჯანსაღი პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ და ახლა თავს ვალდებულად თვლიდნენ, არ დაეტოვებინათ ჭეშმარიტების უკვე მოპოვებული ფაქტები და წერილის გამოკვლევის უკვე მიღებული მიმართულება. ისევ და ისევ ლოცვებით უბრუნდებოდნენ ბიბლიის კვლევას, რათა დაშვებული შეცდომა აღმოეჩინათ. და როდესაც წინასწარმეტყველური პერიოდების გამოკვლევებში ვერავითარი

უზუსტობა ვერ იპოვეს, სერიოზული ყურადღება მიაპყრეს საკითხს საწმიდარის შესახებ.

ამ საკითხის შესწავლისას მათ ბიბლიაში ვერ აღმოაჩინეს ვერავითარი მტკიცება საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისისა დედამიწის, როგორც საწმიდარის შესახებ, მაგრამ სრული ახსნა-განმარტება მიიღეს მის მოწყობასა და მასში აღსრულებულ მსახურებასთან დაკავშირებით. ბიბლიის ავტორთა მოწმობა იმდენად ამომწურავი და გასაგები იყო, რომ ყოველგვარი ეჭვი გაქრა. პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში ამბობს: "პირველ აღთქმასაც ჰქონდა ღვთისმსახურების წესდებები და ამქვეყნიური წმიდა, ვინაიდან

მოწყობილი იყო პირველი კარავი, რომელშიც იყო სასანთლე, ტაბლა და საწირი პური, რომელსაც "წმიდა" ეწოდება. მეორე ფარდის მიღმა იყო კარავი, სახელწოდებით "წმიდათაწმიდა", რომელსაც ჰქონდა ოქროს საკმეველი და ყოველი მხრიდან ოქროთი მოჭედილი ალთქმის კიდობანი, სადაც იყო მანანით სავსე ოქროს ტაკუკი, აარონის განედლებული კვერთხი და ალთქმის ფიქალები, ხოლო მათ ზემოთ დიდების ქერუბიმნი, რომელნიც უჩრდილავდნენ შენდობის ადგილს" (მადლის ტახტს) (ებრ. 9:1-5).

საწმიდარი, რომლის შესახებაც პავლე მოციქული გვესაუბრება, იყო მოსეს მიერ ღვთის ბრძანებით

აშენებული კარავი, დედამიწაზე უზენაესის საცხოვრისი. "გამიკეთონ საწმიდარი, რომ დავივანო მათ შორის" (გამოს. 25:8); ასეთი იყო ბრძანება უფლისა, როდესაც მოსეს ელაპარაკებოდა მთაზე. ისრაელიანები უდაბნოში მოგზაურობის დროს ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ და კარავიც შესაბამისად იყო დამზადებული. მიუხედავად ამისა, იგი დიდებულ ნაგებობას წარმოადგენდა. მისი კედლები გაკეთებული იყო ოქროს სქელი ფენით მოვარაყებული ფიცრებისაგან, ვერცხლის საყრდენებით, ხოლო სახურავის მაგივრობას რამდენიმე "საფარებელი" ანუ ხალიჩა უწევდა. გარედან კარავი გამოქნილი

ტყავებით იყო დაფარული, ხოლო შიგნითა მხარეს გამოკრული ჰქონდა წმიდა, ძვირფასი სელის გრეხილი ქსოვილი, რომელზედაც ოქრომკერდით იყო ამოქარგული ქერუბიმთა დიდებული გამოსახულებანი. ეზოში მდებარეობდა "ყოვლადდასაწველის" სამსხვერპლო, თვით კარავი კი ორი განყოფილებისაგან შედგებოდა: საწმიდარი და წმიდათაწმიდა, რომლებიც ერთმანეთისაგან მდიდრული, შესანიშნავი ფარდით იყო გამიჯნული. ასეთივე ფარდა ფარავდა პირველი განყოფილების შესასვლელს.

პირველ განყოფილებაში, ე.ი. საწმიდარში, სამხრეთის მხარეს დადგმული იყო შვიდი ლამპრისაგან

შემდგარი სასანთლე, დღისით და ღამით მის გასანათებლად. ჩრდილოეთის მხარეს იდგა ტაბლა შესაწირი პურით, ხოლო იმ ფარდის წინ, რომელიც საწმიდარს წმიდათაწმიდისაგან მიჯნავდა, იდგა ოქროს საკმეველი, საიდანაც ყოველდღე კეთილსურნელებასთან ერთად ზეცამდე აღწევდა ისრაელის ლოცვები.

წმიდათაწმიდაში იდგა ძვირფასი ხისგან ნაკეთები და ოქროთი მოფერილი აღთქმის კიდობანი, რომელშიც ინახებოდა ქვის ორი ფიქალი, რომლებზედაც უფალმა ათი მცნება ამოკვეთა. კიდობანს ჰქონდა უჩვეულო ნაკეთობის სახურავი, რომელიც მადლის ტახტად იწოდებოდა და რომელიც ორი

ქერუბიმით იყო შემკული, - ყველაფერი ხალასი ოქროსაგან. სწორედ აქ, ქერუბიმთა შორის, დიდების ღრუბელში იყო დავანებული ღმერთი.

როდესაც ებრაელები ქანაანის მიწაზე დასახლდნენ, კარავი შეიცვალა ტაძრით, რომელიც სოლომონმა ააგო. ეს იყო მშვენიერი ნაგებობა. მას შენარჩუნებული ჰქონდა ძველი კარვის პროპორციები და სახე. აი, რას წარმოადგენდა საწმიდარი ჩვ.წ. 70 წლამდე, სანამ იგი რომაელებმა არ დაანგრიეს. რასაკვირველია, თუ არ ჩავთვლით დანიელის დღეებს, როდესაც იგი ნანგრევებად იყო ქცეული.

ბიბლია გვამცნობს, რომ ეს იყო ერთადერთი საწმიდარი, რომელიც

ოდესლაც არსებობდა დედამიწაზე. როგორც პავლე მოციქული ამბობს, ეს იყო პირველი ალთქმის საწმიდარი. განა ახალ ალთქმას არა აქვს საწმიდარი?

მორწმუნეებმა კვლავ მიმართეს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს და ჭეშმარიტების მძებნელებმა პავლე მოციქულის სიტყვებში მეორე, ახალი ალთქმის საწმიდარის არსებობაზე მითითება იპოვეს: "პირველ ალთქმასაც ჰქონდა ღვთისმსახურების წესდებები და ამქვეყნიური წმიდა". პავლეს ეს სიტყვები იმის მანიშნებელია, რომ მას ადრეც ჰქონია საუბარი ამ საწმიდარის შესახებ. მათ გადაშალეს წინამდებარე თავი და წაიკითხეს: "მთავარი, რაზეც ლაპარაკია, ეს არის: გვყავს ისეთი

მღვდელმთავარი, რომელიც დიდების ტახტის მარჯვნივ დაჯდა ზეცაში, და ის არის მსახური წმიდათა და ჭეშმარიტი კარვისა, რომელიც უფალმა ააშენა და არა ადამიანმა" (ებრ. 8:1-2).

აქ საუბარია ახალი აღთქმის საწმიდარზე. ძველი აღთქმის საწმიდარი, რომელიც მოსემ ააშენა, ადამიანის ხელით იყო აგებული, ხოლო ახალი აღთქმის საწმიდარი აგებულია არა ადამიანის, არამედ უფლის მიერ. მიწიერ საწმიდარში მსახურებას მიწიერი მღვდლები ატარებდნენ, მეორეში კი მოღვაწეობს ქრისტე, ჩვენი უზენაესი მღვდელმთავარი. პირველი საწმიდარი იყო დედამიწაზე, მეორე - ზეცაში.

მოსეს მიერ აგებული კარავი შესრულებულია უფლის მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მიხედვით. მან ბრძანა: "როგორც მე გაჩვენებთ სავანის სახეს და მთელი მისი მოწყობილობის სახეს, იმგვარად გააკეთეთ ყველაფერი" (გამოს. 25:9,25,40). პავლე მოციქულიც ამბობს, რომ პირველი კარავი "არის აწმყო დროის მაგალითი, როდესაც სწირავენ ძღვენთა და მსხვერპლთ, რასაც არ შეუძლია შემწირველის სინდისის სრულყოფა", რომ მისი წმიდა განყოფილებები "ზეციურის ასლი" იყო და რჯულის მიხედვით შესაწირავის მოტანით მღვდლები ემსახურებოდნენ "ზეციურ სახესა და ჩრდილს", და რომ "ქრისტე შევიდა არა ხელთქმნილ წმიდაში,

ჭეშმარიტის ანარეკლში, არამედ თვით ცაში, რათა წარდგეს ახლა ჩვენთვის ღვთის წინაშე" (ებრ. 9:9,23; 8:5; 9:24).

ზეციური საწმიდარი, სადაც ქრისტე ჩვენთვის ასრულებს მსახურებას, არის სწორედ ის დიდებული ორიგინალი, რომლისგანაც მოსემ მისი მიწიერი ასლი ააგო. მიწიერი საწმიდარის მშენებლებს თვით უფალი შთააგონებდა. ამ სამუშაოს შესრულების უმაღლესი მხატვრული დონე უფლის დიდ სიბრძნეზე მოწმობს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს საწმიდარის კედლები ოქროს ზოდებისაგან იყო აგებული, რადგან იგი ირეკლავდა ოქროს სასანთლის შვიდი ლამპრის ნათელს. "ტაბლა შესაწირი პურით"

და საკმეველი ბრწყინავდა, როგორც მბზინავი ოქრო, ზედა ჭერს ქმნიდა ჩინებული, საუცხოო ქსოვილისაგან დამზადებული ფარდა, რომელზედაც ცისფერი, ალისფერი და მეწამული ძაფებით ანგელოზთა გამოსახულებები იყო ამოქარგული. მეორე ფარდის მიღმა იდო ალთქმის კიდობანი, სადაც უფალი აცხადებდა თავის დიდებას. ამ განყოფილებაში მღვდელმთავრის გარდა თუ სხვა ვინმე შევიდოდა, მოკვდებოდა.

მიწიერი საწმიდარის უბადლო ელვარება და დიდებულება ადამიანის თვალს უჩვენებდა იმ ზეციური ტაძრის დიდებას, სადაც ქრისტე, როგორც ჩვენი შუამდგომელი, ჩვენთვის ეწევა მსახურებას ღვთის ტახტის წინაშე.

იერუსალიმის ტაძარი, ყველაზე დიდებული ნაგებობა, რაც ოდესღაც ადამიანის ხელს შეუქმნია დედამიწის ზურგზე, იმ ზეციური ტაძრის მხოლოდ სუსტი ანარეკლი იყო, სადაც სუფევს მეფეთა მეფე, სადაც მას ათასობით ანგელოზნი ემსახურებიან, სადაც არის მარადიული ტახტის დიდება, სადაც "სერაფიმები", მისი "მფარველი ანგელოზები" მოწიწებით იფარავენ სახეს ამ დიდების წინაშე. მიუხედავად ამისა, მიწიერი საწმიდარი მთელი თავისი მსახურების სისტემით გვამცნობს მნიშვნელოვან ჭეშმარიტებებს ზეციური საწმიდარისა და იმ დიდი მსახურების შესახებ, რომელიც იქ

მიმდინარეობს ადამიანის გამოსყიდვისათვის.

ზეციური საწმიდარი, მიწიერის მსგავსად, ასევე ორი განყოფილებისაგან შედგება. როდესაც იოანე მოციქულმა თავის ხილვაში ზეციური ტაძარი იხილა, მან "ტახტის წინ შვიდი ცეცხლოვანი ჩირაღდანი" დაინახა. აგრეთვე იხილა ანგელოზი, რომელიც "დადგა სამსხვერპლოსთან და ოქროს საცეცხლური ეპყრა, და მიცემული ჰქონდა ბევრი საკმეველი, რათა ყველა წმიდას ლოცვებთან ერთად მიეტანა ოქროს სამსხვერპლოზე, ტახტის წინ" (გამოცხ. 4:5; 8:3). იოანეს ნება მიეცა ზეციური საწმიდარის პირველი განყოფილების ხილვისა, სადაც მან იხილა "შვიდი ცეცხლოვანი

ჩირაღდანი" და "ოქროს საცეცხლური", რომელთაც მიწიერ საწმიდარში სასანთლე და საკმეველი ეწოდებოდა. კვლავ "გაიხსნა უფლის ტაძარი" და ფარდის მილმა "წმიდათა წმიდაში" მან დაინახა "აღთქმის კიდობანი", რომლის მსგავსი ააგო მოსემ მიწიერ საწმიდარში, სადაც უფლის მცნებების ქვის ფიქალები ინახებოდა. ამ პრობლემის ასე გულმოდგინედ და ყურადღებით შესწავლის შედეგად მოპოვებულ იქნა უცილობელი დასტური ზეციური საწმიდარის არსებობისა. მოსემ მიწიერი საწმიდარი ააგო იმ ორიგინალიდან, რომელიც უფალმა აჩვენა. ებრაელთა მიმართ თავის ეპისტოლეში პავლე მოციქულიც ადასტურებს იმას, რომ მიწიერი

საწმიდარი არის ასლი ზეციურისა და იოანეც ამოწმებს, რომ მან იგი ზეცაში ნახა.

ზეციურ ტაძარში, სადაც უფალი სუფევს, უზენაესის ტახტი დაფუძნებულია სამართლიანობასა და სამსჯავროზე. წმიდათაწმიდაში ინახება მისი კანონი - სამართლის უდიდესი საზომი, რომლითაც მთელი კაცობრიობის გამოცდა ხდება. ალთქმის კიდობანში ინახება მცნებათა ფიქალები, ხოლო მის სახურავზე - მადლის ტახტია, რომლის წინაშეც ქრისტე თავისი დაღვრილი სისხლით ცოდვილთ შუამდგომლობს. ასე არის განსახიერებული მართლმსაჯულებისა და გულმოწყალების კავშირი

კაცობრიობის გამოსყიდვის გეგმაში. მხოლოდ უსასრულო სიბრძნეს შეეძლო ასეთი კავშირის შემოთავაზება და მხოლოდ უსასრულო ძალას შეეძლო მისი ალსრულება, რის წინაშეც მთელი ზეცა გაოცებით იყრის მუხლს. მიწიერ საწმიდარში ქერუბიმები, რომელნიც ასე მოწიწებით აპყრობენ მზერას მადლის ტახტს, გამოხატავენ იმ ინტერესს, რომლითაც მთელი ზეციური მხედრობა ადამიანთა გადარჩენას ადევნებს თვალს. ესაა შეწყალების საიდუმლო, რომლის შემეცნებაც ასე აინტერესებთ ანგელოზებს: როგორ შეიძლება ღმერთი იყოს სამართლიანი, თუკი ამართლებს მონანიებულ ცოდვილს და ხურგს არ აქცევს დაცემულ

კაცობრიობას? როგორ შეძლო ქრისტემ დალუპვის უფსკრულიდან ადამიანთა ამოყვანა და მათი თავისი სიმართლის უმანკო სამოსელით შემოსვა, მათი გაერთიანება ანგელოზებთან, რომელთაც არ იციან, რა არის ცოდვა, რათა ისინი საუკუნოდ ღვთის გვერდით იყვნენ?

ქრისტეს, როგორც დაცემული ადამიანის შუამდგომელს, ვხედავთ ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნში, რომელსაც ეწოდება "მორჩი". წინასწარმეტყველი ამბობს: "ის ააშენებს უფლის ტაძარს და იტვირთავს დიდებას, დაჯდება და იხელმწიფებს თავის ტახტზე; ის იქნება მღვდელი თავის ტახტზე და თანხმობა იქნება ამ ორთა შორის" (ზაქ. 6:13).

"ის ააშენებს უფლის ტაძარს". თავისი მსხვერპლისა და შუამდგომლური მსახურების მეშვეობით ქრისტე ერთდროულად არის ღვთის ეკლესიის საძირკველიც და ალმშენებელიც. პავლე მოციქული მას უწოდებს ქვაკუთხედს, "რომელზედაც მთელი შენაწევრებული შენობა წამოიმართება უფალში წმიდა ტაძრად, რომელზეც შენდებით თქვენც, რათა იყოთ ღვთის სამკვიდრებელი სულში" - ამბობს მოციქული (ეფეს. 2:20-22).

ის "იტვირთავს დიდებას". ქრისტეს ეკუთვნის დაცემული კაცობრიობის გამოსყიდვის დიდება. სასუფეველი აივსება გამოსყიდულთა ჰანგებით. "მას, რომელმაც შეგვიყვარა და

საკუთარი სისხლით გვიხსნა ჩვენი ცოდვებისაგან... მას დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე" (გამოცხ. 1:5,6).

"დიდი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება, მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს",.. "და მის მეფობას არ ექნება დასასრული". იგი ახლა არ ზის "თავისი დიდების ტახტზე", რადგან დიდების სასუფეველი ჯერ არ დამყარებულა დედამიწაზე. მხოლოდ თავისი შუამდგომლური მსახურების დამთავრებისას "მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს" და "მის მეფობას არ ექნება დასასრული" (ლუკ. 1:32-33).

როგორც მღვდელი, ქრისტე ახლა ზის მამის ტახტზე, მის გვერდით

(გამოცხ. 3:21). მარადიულ ცოცხალ მეფესთან მის ტახტზე, მის გვერდით ზის ის, "ვინც იკისრა ჩვენი ვნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი", რომელიც ჩვენსავით იყო "გამოცდილი ყველაფერში, გარდა ცოდვისა", რათა "დაეხმაროს განსაცდელში მყოფთ". "ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე - მართალი იესო ქრისტე" (ეს.53:4;ებრ.4:15;2:18;1იოან.2:1). იგი გვშუამდგომლობს ჩვენ თავისი დაწყლულებული, ნაცემ-ნაგვემი, დალეწილი სხეულით და თავისი უმანკო ცხოვრებით. მისი ნალურსმნალი ხელები და ფეხები, განგმირული ფერდი - ეს ყველაფერი, ვედრებაა დაცემული

ადამიანისათვის და მის შეწყალებას ითხოვს, ვინც ასეთი დიდი ფასით არის გამოსყიდული.

"და თანხმობა იქნება ამ ორთა შორის". მამისა და ძის სიყვარული ერთად წარმოადგენს გადარჩენის წყაროს დაცემული მოდგმისათვის. იესომ თავისი ზეცად ამაღლების წინ თქვა: "არ გეუბნებით, რომ მამას ვთხოვ თქვენთვის. ვინაიდან თვით მამას უყვარხართ" (იოან. 16:26,27). "ღმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი" (2კორ. 5:19). და ზეციურ საწმიდარში "ამ ორთა შორის თანხმობა იქნება". "ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ

დაილუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე" (იოან. 3:16).

კითხვაზე: რას წარმოადგენს საწმიდარი? - წმიდა წერილი ნათლად და გასაგებად პასუხობს. გამოთქმა "საწმიდარი", როგორც ბიბლიაში ვკითხულობთ, უპირველეს ყოვლისა, ეწოდება მოსეს მიერ ზეციური ტაძრის მიხედვით დედამიწაზე აგებულ კარავს და ასევე ჭეშმარიტ კარავს ზეცაში, რომელზეც მიწიერი საწმიდარი მიუთითებს. ქრისტეს ჯვარცმით დამთავრდა სიმბოლური მსახურება. "ჭეშმარიტი კარავი" ზეცაში - ახალი აღთქმის საწმიდარია და რადგან დანიელის წინასწარმეტყველება (8:14) თავის აღსრულებას ახალ აღთქმაში პოულობს, ამიტომ საწმიდარი,

რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, ახალი აღთქმის საწმიდარს უნდა ნიშნავდეს. ამგვარად, წინასწარმეტყველება: "2300 საღამოს და დილას გასტანსო - და მერე გაიწმიდებაო საწმიდარი" - ეჭვსგარეშეა, ზეციურ საწმიდარზე მიუთითებს.

ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე გვრჩება პასუხი გასაცემი: რას ნიშნავს საწმიდარის გაწმედა? ძველ აღთქმაში ნათქვამია მიწიერი საწმიდარის განმწმედელი მსახურების შესახებ, მაგრამ ზეცაში განა რამეს სჭირდება განწმედა? ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-9 თავში გასაგებად არის ნათქვამი როგორც მიწიერი, ასევე ზეციური საწმიდარის განწმედის შესახებ.

"თითქმის ყველაფერი, რჯულის მიხედვით, სისხლით წმიდავდება და სისხლის დალვრის გარეშე არ ხდება მიტევება. მაშასადამე, იმათი სახეები, რომლებიც ზეცაში არიან, უნდა წმიდავდებოდნენ ამით, თვით ზეციურნი კი ამაზე უმჯობესი მსხვერპლით" (ებრ. 9:22-23), სახელდობრ: ქრისტეს ძვირფასი სისხლით.

განწმედა, როგორც მიწიერ, ასევე ჭეშმარიტ, ზეციურ მსახურებაში მხოლოდ სისხლით უნდა მომხდარიყო. პირველ შემთხვევაში - ცხოველთა, მეორეში კი - ქრისტეს სისხლით. ებრაელთა მიმართ წერილში პავლე მოციქული მიუთითებს, რომ განწმედა უნდა ხდებოდეს სისხლის მეშვეობით

იმიტომ, რომ სისხლის დაღვრის გარეშე არ არსებობს მიტევება. ცოდვა უნდა განქარდეს ან მიეტევოს, მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ცოდვას საწმიდართან, გინდ მიწიერთან, გინდ ზეციურთან? ამ კითხვაზე პასუხის მიღება შეიძლება, თუკი გამოვიკვლევთ სიმბოლურ მსახურებას, რადგან მღვდლები თავიანთი მიწიერი მსახურებისას "ემსახურებიან ზეციურ სახესა და ჩრდილს" (ებრ. 8:5).

მიწიერ საწმიდარში მსახურება ორი ნაწილისაგან შედგებოდა: მღვდლები ყოველდღიურად მსახურობდნენ წმიდაში, ხოლო წელიწადში ერთხელ მღვდელმთავარი საწმიდარის განწმედისათვის შემორიგების

ცერემონიალის განსაკუთრებულ მსახურებას ატარებდა. ცოდვილს თავისი შესაწირავი საწმიდარის კართან მოჰყავდა, ცხოველის თავზე ხელდადებით აღიარებდა საკუთარ ცოდვებს, რითაც თავისი ცოდვები სიმბოლურად გადაჰქონდა უდანაშაულო ცხოველზე. ამის შემდეგ ცხოველს კლავდნენ. "სისხლის დაღვრის გარეშე, - ამბობს მოციქული, - არ არსებობს მიტევება". "რადგან სისხლშია ხორციელის სული" (ლევ. 17:11). უფლის კანონის დარღვევა ცოდვილის სიცოცხლეს ითხოვდა. სისხლი, რომელიც იმ ცოდვილის განსახიერება იყო, ვისი დანაშაულიც უცოდველ ცხოველზე გადაჰქონდათ, მღვდელს საწმიდარში შეჰქონდა, ასხურებდა ფარდას,

რომლის მიღმაც იდგა აღთქმის კიდობანი, სადაც ადამიანის მიერ დარღვეული უფლის კანონის ფიქალები იდო. ამ წესის შესრულებით, ცოდვა სიმბოლურად გადაჰქონდათ საწმიდარში. ზოგ შემთხვევაში სისხლი არ შეჰქონდათ საწმიდარში, მაგრამ მაშინ ხორცი უნდა ეჭამათ მღვდლებს, როგორც უბრძანა მოსემ აარონის ვაჟებს: "ეს /მსხვერპლი/ იმისათვის მოგეცათ, რომ გეტვირთათ საზოგადოების შეცოდება" (ლევ. 10:17). ეს ორივე წესი ერთნაირად სიმბოლურად გამოხატავდა მონანიებული ცოდვილისაგან ცოდვის გადატანას საწმიდარში.

ეს იყო ყოველდღიური მსახურება მთელი წლის განმავლობაში.

ამგვარად, ისრაელის ცოდვები შედიოდა საწმიდარში, ხოლო საწმიდარის განწმედისათვის განსაკუთრებული წესები არსებობდა. უფალმა ბრძანა, რომ საწმიდარის ყოველი განყოფილების განწმედისათვის სრულიად განსაკუთრებული მსახურების ჩატარება იყო საჭირო: "განწმედს საწმიდარს ისრაელიანთა უწმიდურობისგან და შეცოდებისგან და ყოველი ცოდვისაგან. ასე უნდა მოიქცეს სადღესასწაულო კარვის მიმართ, რომელიც მათთან არის, მათ უწმიდურობათა შორის". აუცილებელი იყო აგრეთვე სამსხვერპლოს განწმედაც: "გაასუფთავებს და გააწმიდავებს მას

ისრაელიანთა უწმიდურობისგან" (ლევ. 16:16,19).

წელიწადში ერთხელ, შემორიგების დიდებულ დღეს, მღვდელმთავარი შედიოდა წმიდათაწმიდაში საწმიდარის განსაწმედად, - ამით მთავრდებოდა ღვთისმსახურების წლიური ციკლი. ამ გამოსყიდვის დიდ დღეს საწმიდარის შესასვლელთან მოჰყავდათ ორი ვაცი და მათზე ხდებოდა წილის ყრა: "ერთი წილი უფლისათვის, მეორე წილი - განტევებისთვის" (ლევ. 16:8). უფლის წილხვდომილი ვაცი უნდა შეეწირათ ცოდვების გამოსასყიდად. მღვდელმთავარს შეჰქონდა მისი სისხლი კრეტსაბმელის მეორე მხარეს, წმიდათაწმიდაში აღთქმის კიდობნის თავსარქველზე და

თავსარქველის წინ დასასხურებლად. სისხლის დაპკურებით უნდა განწმედილიყო აგრეთვე სასაკმევლე, რომელიც კრეტსაბმელის წინ იდგა.

"თავზე დაასხამს ორთავე ხელს აარონი ცოცხალ ვაცს და აღიარებს მასზე ისრაელიანთა ყველა უკეთურებას, ყველა შეცოდებას და ყველა ცოდვას, ატვირთებინებს ვაცს და გაუშვებს უდაბნოში საგანგებო კაცის ხელით. წაიღებს ვაცი ყველა მათ უკეთურებას დასაკარგავისაკენ; გაუშვებს თხას უდაბნოში" (ლევ. 16:21-22). განტევების ვაცი ალარასოდეს უბრუნდებოდა ისრაელიანთა ბანაკს და კაცს, რომელსაც იგი უდაბნოში მიჰყავდა, უნდა გაერეცხა თავისი სამოსი, ტანი დაებანა და მხოლოდ ამის შემდეგ

შეეძლო თავის თანამოძმეებთან დაბრუნება.

მთელი ამ ცერემონიალის ალსრულების მიზანი ის იყო, რომ ყოველი ისრაელიანის გონებაში ალბეჭდილიყო უფლის სიწმიდე და ცოდვისადმი მისი სიძულვილი; მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ცოდვასთან ყოველგვარი შეხება აუწმიდურებს ადამიანს. ამ შერიგების სადღესასწაულო ცერემონიალის დროს ყველა ადამიანს გული უნდა განეწმიდა და დაემდაბლებინა. იმ დღეს ყოველგვარი სხვა საქმიანობა წყდებოდა. ყოველი ებრაელი მას საზეიმო მორჩილებაში, ლოცვაში, მარხვაში და საკუთარი გულის გამოკვლევაში ატარებდა.

შერიგების მსახურების ეს პირველსახე მეტად მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას მოიცავს. ცოდვილის ნაცვლად მსხვერპლად იწირებოდა მისი შემცვლელი, მაგრამ შეწირულ სისხლს არ შეეძლო ცოდვების განწმედა. ამიტომ გადაჰქონდათ იგი საწმიდარში. ამ სისხლის გაღებით ცოდვილი ცნობდა კანონის ავტორიტეტს, აღიარებდა თავის დანაშაულს მისი დარღვევის გამო და გამოხატავდა თავის მისწრაფებას, მიელო მიტევება მაცხოვრისადმი რწმენით, რომელიც უნდა მოსულიყო, როგორც მესია. მაგრამ იგი მაინც სრულად ვერ თავისუფლდებოდა კანონის მსჯავრისაგან... შერიგების დღეს მღვდელმთავარს საზოგადოებისაგან შემოწირული

მსხვერპლის სისხლი წმიდათაწმიდაში შეჰქონდა და ასხურებდა მას ალთქმის კიდობნის თავსარქველს, სადაც ფიქალები იმყოფებოდა, რათა ამგვარად დაეკმაყოფილებინა კანონის მოთხოვნები. შემდგომ, როგორც შუამდგომელი, იგი თავის თავზე იღებდა ცოდვებს და გაჰქონდა ისინი საწმიდარიდან. განტევების ვაცზე ხელდასხმით იგი აღიარებდა ისრაელის ყველა ცოდვას და ამ გზით ისინი განტევების ვაცზე გადაჰქონდა. ვაცს ისინი შორს მიჰქონდა და ითვლებოდა, რომ ამით ხალხი სამუდამოდ თავისუფლდებოდა ყველა ამ ცოდვისაგან.

აი, რას წარმოადგენდა მსახურება, რომელიც "ზეციური სახე და ჩრდილი

იყო". ის, რაც სიმბოლურად მიწიერ საწმიდარში სრულდებოდა, მთელი ჭეშმარიტებითა და სრულყოფით სრულდებოდა ზეციურ საწმიდარში. ზეცად ამაღლების შემდეგ მაცხოვარმა, როგორც მღვდელმთავარმა, ზეციურ საწმიდარში დაიწყო მსახურება. პავლე მოციქული ამბობს: "ვინაიდან ქრისტე შევიდა არა ხელთქმნილ წმიდაში, ჭეშმარიტის ანარეკლში, არამედ თვით ცაში, რათა წარდგეს ახლა ჩვენთვის ღვთის წინაშე" (ებრ. 9:24).

მღვდლის მიერ შესრულებული ერთწლიანი მსახურება საწმიდარის პირველ განყოფილებაში "კრეტსაბმელის მილმა", რომელიც წმიდა ადგილისა და გარე ეზოს

გამყოფი კარის მაგიერია, განასახიერებს იმ მსახურებას, რომლის აღსრულებასაც შეუდგა ქრისტე ზეცად ამაღლების შემდეგ. მღვდლის ყოველდღიური მსახურება გამოიხატებოდა ცოდვის გამო შეწირული მსხვერპლის სისხლის უფლის წინაშე მოტანაში და საკმევლის კმევაში, რომელიც ისრაელის ლოცვებთან ერთად ადიოდა ზეცად. ასეთივე მსახურებას ეწევა ქრისტე, რომელმაც მამას ცოდვილთათვის დაღვრილი თავისი სისხლი მოუტანა და თავისი სიმართლის კეთილსურნელებასთან ერთად მას მორწმუნეთა მონანიების ლოცვები წარუდგინა. ეს მსახურება ზეციური საწმიდარის პირველ განყოფილებაში სრულდებოდა.

ქრისტეს მოწაფეებმა მაცხოვრის ცად ამაღლების შემდეგ რწმენით მიაპყრეს თვალნი ზეციურ საწმიდარს. მისკენ იყო მიმართული მათი ყველა იმედი, რომელიც პავლე მოციქულის სიტყვების თანახმად, "ჩვენი სულისათვის არის სანდო და მტკიცე ღუზასავით და შედის ფარდის მიღმა, სადაც ჩვენთვის წინამორბედად შევიდა იესო, და გახდა უკუნისამდე მღვდელმთავარი ...არა ვაცთა და ზვარაკთა სისხლით, არამედ საკუთარი სისხლით შევიდა ერთხელ წმიდაში და მოგვიპოვა საუკუნო გამოსყიდვა" (ებრ. 6:19-20; 9:12).

თვრამეტი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა ეს წმიდა მსახურება საწმიდარის პირველ

განყოფილებაში. ქრისტეს სისხლი შუამდგომლობდა მონანიების მოსურნე ცოდვილს და არიგებდა მას მამასთან, მაგრამ მისი ცოდვები კვლავინდებურად ზეციურ წიგნებში ჩაწერილი რჩებოდა. როგორც სიმბოლური მსახურების დროს წლის ბოლოს სრულდებოდა შემორიგების მსახურება, ასევე კაცობრიობის გამოსყიდვისათვის ქრისტეს მსახურების დასრულებამდე საჭირო იყო ზეციური საწმიდარის განწმედა... ცოდვებისაგან. სწორედ ეს არის ის მსახურება, რომელიც დაიწყო 2300 დღის გასრულების შემდეგ. ამ დროს, დანიელის წინასაწარმეტყველებათა მიხედვით, ჩვენი მღვდელმთავარი შევიდა წმიდათაწმიდაში თავისი უკანაკნელი საზეიმო მსახურების

ბოლო ნაწილის აღსასრულებლად - საწმიდარის განსაწმედად.

როგორც ძველ დროში ადამიანთა ცოდვები რწმენით ინაცვლებდა ცოდვის გამოსყიდვისათვის შეწირულ ცხოველზე და მისი დაღვრილი სისხლის მეშვეობით სიმბოლურად გადაიტანებოდა მიწიერ საწმიდარში, ასევე ახალ ალთქმაშიც, ჩვენი ცოდვები ჩვენივე რწმენით ტვირთად აწვება ქრისტეს და ფაქტიურად, მაცხოვარს ის ზეციურ საწმიდარში გადააქვს. და როგორც მიწიერი საწმიდარის განწმედა მისგან ცოდვების გატანით ხდებოდა, ასევე ზეციური საწმიდარის ჯეშმარიტი განწმედა უნდა მოხდეს უფლის მიერ შეტანილი ჩვენი ცოდვების იქიდან

გატანით ან მოსპობით. მაგრამ იმ გადაწყვეტილებათა მისაღებად, თუ ვინ შეიძლება ქრისტეში რწმენითა და მონანიებით მიიღოს გადარჩენის უფლება, საჭიროა ზეციური წიგნების შესწავლა. ამიტომ, საწმიდარის განწმედაში შედის სასამართლო ძიების მსახურებაც. იგი უნდა დასრულდეს ქრისტეს დედამიწაზე მოსვლამდე ადამიანთა გამოსასყიდად, რადგან, როდესაც იგი მოვა, მასთან იქნება შურისგება, რათა "თითოეულს მისი საქმეების მიხედვით მიუზღას" (გამოცხ. 22:12).

ამგვარად, მათ, ვინც ირწმუნეს წინასწარმეტყველური სიტყვა, ნათლად დაინახეს, რომ ქრისტე 2300 წინასწარმეტყველური დღის გასრულებისას - 1844 წელს,

დედამიწაზე მოსვლის ნაცვლად შევიდა ზეციური საწმიდარის წმიდათაწმიდაში საბოლოო შემორიგების დასკვნითი მსახურების ალსასრულებლად, რაც მოამზადებს მის დედამიწაზე მეორედ მოსვლას.

ნათელი და გასაგები გახდა, რომ დაკლული ვაცი მიუთითებდა ქრისტეზე, როგორც მსხვერპლზე, ხოლო მღვდელმთავარი ანსახიერებდა ქრისტეს, როგორც შუამდგომელს. განტევების ვაცი კი ანსახიერებდა სატანას, ცოდვის ავტორს, რომელსაც შემდგომში დააწვება ყოველი გულწრფელად მონანიებული ადამიანის ცოდვა. როდესაც მღვდელმთავარი ცოდვისათვის დაკლული მსხვერპლის სისხლით განწმედდა

საწმიდარს, მას ცოდვა განტევების ვაცზე გადაჰქონდა. როდესაც ქრისტე თავისი ხალხის ცოდვებისათვის დაღვრილი თავისი სისხლით განწმედს ზეციურ საწმიდარს, იგი ყველა ამ ცოდვას სატანას დააკისრებს, რომელიც ზეციური სამსჯავროს გადაწყვეტილებით, საბოლოოდ დაისჯება. განტევების ვაცს უშვებდნენ დაუსახლებელ, უკაცრიელ უდაბნოში, რათა იგი ალარასოდეს დაბრუნებულიყო ისრაელიანთა ბანაკში. ასევე, სატანაც სამუდამოდ იქნება განდევნილი უფლისაგან და მისი ხალხისაგან და თავის არსებობას დაასრულებს ცოდვისა და ცოდვილთა განადგურების შემდეგ.

თავი 24 იესო ქრისტე - ჩვენი შუამდგომელი და დამცველი

1844 წლის იმედების გაცრუების საიდუმლოს გასაღები სწორედ ზეციური საწმიდარის საკითხში მდგომარეობდა. მან ნათელი გახადა უზენაესის გეგმის თანმიმდევრობა

და ერთიანობა, რომელიც მოწმობდა, რომ უდიდეს ადვენტისტურ მოძრაობას უფალი ხელმძღვანელობდა და თავის ხალხს საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე მიუთითებდა. როგორც იესოს მოწაფეებმა საშინელი იმედგაცრუებისა და სულიერ ტანჯვაში გატარებული ღამის შემდეგ "გაიხარეს უფლის დანახვით", ასევე აქაც, მის მეორედ მოსვლაში დარწმუნებულთ, სიხარულის განცდა დაეუფლათ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ იესო დიდებით მოვა და თავის ერთგულ მსახურთ დამსახურებისამებრ მიუზღავს. მაგრამ როცა იმედი არ გაუმართლდათ, მათ იესო ქრისტე დაკარგეს თვალთახედვის არედან და

მარიამთან ერთად ტიროდნენ მას სამარხში: "ჩემი უფალი წაიღეს და არ ვიცი, სად დაასვენეს". ახლა მათ წმიდათაწმიდაში კვლავ იპოვეს თავიანთი თანამგრძნობი მღვდელმთავარი, რომელიც მალე მოვა, როგორც მეფე და მხსნელი. საწმიდარიდან გამოსულმა ჭეშმარიტების ნათელმა გაანათა წარსული, აწმყო და მომავალი. უფლის ერთგულებმა ახლა კარგად იცოდნენ, რომ უფლის ხელი მართავდა მათ ყოველგვარ ქმედებას. თუმცა, პირველი მოწაფეების მსგავსად, ისინი სრულად ვერ ჩასწვდნენ სახარებას, რომელსაც თავად ქადაგებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს იყო უფლის ნებით ნაქადაგები ჭეშმარიტება,

რითაც ისინი უფლის განზრახვას ასრულებდნენ და მათი შრომა არ იყო "ამაოდ უფალში". სულიწმიდით ალვსილნი, ხარობდნენ "ენით უთქმელი სიხარულით და უფლისმიერი დიდებით".

დანიელის წინასწარმეტყველება (8:14): "ორიათას სამას საღამოსა და დილას გასტანსო და ამის შემდეგ განიწმიდებაო საწმიდარი" და პირველი ანგელოზის სახარება: "გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას, ვინაიდან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი", ქრისტეს ზეციური საწმიდარის წმიდათაწმიდაში მსახურებაზე და სამსჯავროს დაწყებაზე მიუთითებდა და არა ქრისტეს მეორედ მოსვლაზე, როცა იგი თავისი ხალხის გამოსასყიდად

და უწმიდურთა გასანადგურებლად მოვიდოდა. შეცდომა იყო დაშვებული არა წინასწარმეტყველური პერიოდების გამოთვლაში, არამედ იმაში, თუ რა უნდა მომხდარიყო 2300 დღის გასრულებისას. სწორედ ამ შეცდომამ გაუცრუა იმედი და გაუტეხა გული ღვთის შვილთ, მაგრამ ყველაფერი ის, რაც წინასწარმეტყველებაში იყო ნათქვამი და რასაც ისინი წმიდა წერილის საფუძველზე ელოდნენ, ალსრულდა. იმ დროს, როდესაც ისინი თავის გაცრუებულ იმედებს დასტიროდნენ, ალსრულდა უფლის ანგელოზის გაფრთხილება, რაც უნდა მომხდარიყო მანამ, სანამ უფალი თავის ერთგულთა გადასარჩენად მოვიდოდა.

ქრისტე მოვიდა, ოღონდ არა დედამიწაზე, როგორც ისინი იმედოვნებდნენ, არამედ, წინასწარმეტყველების თანახმად, იგი შევიდა უფლის ზეციური ტაძრის წმიდათაწმიდაში. დანიელ წინასწარმეტყველი ასე აღწერს ამ მომენტს: "ჩემს ღამის ხილვაში ვნახე: აჰა, ცის ღრუბლებზე მოდიოდა კაცი ძის მსგავსი; იგი ძველ დღეთასთან მოვიდა და წარდგენილ იქნა მის წინაშე" (დან. 7:13).

ამის შესახებ ამბობს აგრეთვე მალაქია წინასწარმეტყველი: "...უეცრად მოვა თავის ტაძარში უფალი, რომელსაც თქვენ ეძიებთ, და აღთქმის ანგელოზი, რომელიც გსურთ. აჰა, მოდის, ამბობს ცაბაოთ უფალი" (მალ. 3:1). უფლის ტაძარში

მოსვლა უეცარი და მოულოდნელი იყო მისი ხალხისათვის. ისინი არ ელოდნენ იქ მას, რადგან ფიქრობდნენ, რომ იგი მოვა დედამიწაზე და "ცეცხლის ალით იძიებს შურს მათზე, ვინც არ შეიცნო ღმერთი და არ ემორჩილება უფალ იესოს სახარებას" (2თეს. 1:8).

მაგრამ ხალხი ჯერ კიდევ არ იყო მზად თავის უფალთან შესახვედრად. ისინი უნდა მომზადებულიყვნენ ამისათვის. მათ სჭირდებოდათ ნათელი, რომელიც მათ გონებას ღვთის ზეციური ტაძრისაკენ მიმართავდა და მაშინ, გაჰყვებოდნენ რა რწმენით თავიანთ მღვდელმთავარს მის მსახურებაში, თავიანთ ახალ მოვალეობასაც შეიმეცნებდნენ. ეკლესიამ უნდა

მიიღოს სხვა, ახალი მითითებებისა და გაფრთხილების უწყება.

წინასწარმეტყველი ამბობს: "ვინ აიტანს მის მოსვლის დღეს და ვინ გაუძლებს მის გამოცხადებას? რადგან ის გამომდნობელის ცეცხლივით არის და მრეცხავთა მტუტესავით. დაჯდება ვერცხლის გამომდნობელი და განმწმედელი; განწმედს ლევიანებს და გაასუფთავებს მათ, როგორც ოქროსა და ვერცხლს, რომ სიმართლით მიუძღვნან უფალს შესაწირავი" (მალ. 3:2,3). ადამიანები, რომელნიც ზეციურ საწმიდარში ქრისტეს მსახურების გასრულებისას ცოცხალი იქნებიან, უწმიდესის წინაშე შუამდგომლის გარეშე უნდა წარდგნენ. მათი სამოსელი შეუბღალავი, ხოლო ხასიათი -

განწმედილი უნდა იყოს გამომსყიდველი სისხლის მეშვეობით. უფლის მადლით, საკუთარი გულმოდგინებითა და ძალისხმევით უნდა გაიმარჯვონ მათ ბოროტებასთან ბრძოლაში. იმ დროს, როდესაც ზეცაში გრძელდება უფლის სამსჯავრო, როდესაც ადამიანთა მონანიებული ცოდვებისაგან იწმიდება საწმიდარი, დედამიწაზე უფლის ხალხში განწმედისა და ცოდვისგან გათავისუფლების განსაკუთრებული სამუშაო უნდა ჩატარდეს. ეს ნათლად არის წარმოდგენილი გამოცხადების წიგნის მე-14 თავში.

როდესაც ეს სამუშაო შესრულდება, ქრისტეს მიმდევრები მზად იქნებიან უფალთან შესახვედრად. "მაშინ

საამო იქნება უფლისათვის იუდას და იერუსალიმის შესაწირავი, როგორც ძველ დროში და გარდასულ წელიწადებში" - ამბობს მალაქია წინასწარმეტყველი (მალ. 3:4). მაშინ ეკლესიას, რომელსაც უფალი თავისი მოსვლის დღეს მიიღებს, ჩათვლის "დიდებულ ეკლესიად, რომელსაც ლაქა ან მანკი, ან რაიმე მისი მსგავსი არაფერი აქვს" (ეფეს. 5:27). მაშინ იგი იქნება "ცისკარივით ალმომჭვრეტელი, მთვარისებრ მშვენიერი და მზისებრ ნათელი, და საშინელი როგორც ბაირაღებით მორთული ბანაკი" (ქებათა ქება, 6:10).

თავის ტაძარში უფლის მოსვლის გარდა, მალაქია აგრეთვე წინასწარმეტყველებს მისი მეორედ მოსვლისა და იმ სამსჯავროს

ალსრულების შესახებ, რომელიც მას თან მოაქვს: "მოვალ თქვენთან განსაკითხავად და ვიქნები ფიცხელი მოწმე ჯადოქართა და მემრუშეთა წინაალმდეგ, ცრუმოფიცართა, მოჯამაგირეთა და ქვრივ-ობლების მჩაგვრელთა წინაალმდეგ, ხიზნის გამგდებელთა და ჩემს უშიშთა წინაალმდეგ, ამბობს ცაბაოთ უფალი" (მალ. 3:5). იუდასაც იგივე აქვს მხედველობაში, როდესაც ამბობს: "აჰა, მოდის უფალი თავის ათეულ ათასობით წმიდანთან ერთად, რათა ყველა განიკითხოს და ამხილოს ულვთოთა ყოველგვარი საქმე" (იუდა, 14-15). უფლის მეორედ მოსვლა და თავის ტაძარში მისი შესვლა - სრულიად განსხვავებული მოვლენებია.

ქრისტეს, როგორც ჩვენი მღვდელმთავრის წმიდათაწმიდაში შესვლა საწმიდარის განსაწმედად, რომელიც აღწერილი აქვს დანიელ წინასწარმეტყველს (დან. 8:14), კაცის ძის წარდგომა "ძველ დღეთა"-სთან, (დან. 7:13) და უფლის მოსვლა თავის ტაძარში მალაქიას წინასწარმეტყველების მიხედვით - ეს ყველაფერი ერთი და იგივე მოვლენის აღწერაა, რომელიც აგრეთვე გამოხატულია ნეფის საქორწინო ზეიმზე მოსვლით ქრისტეს იგავში ათი ქალწულის შესახებ (მათ. 25 თავი).

1844 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე გაისმა სახარების ხმა: "აჰა, ნეფე მოდის". მაშინ განსაკუთრებით გამოიკვეთა

ადამიანთა ორი ტიპი, რომელიც ქრისტეს იგავში გამოსახულია გონიერ და უგუნურ ქალწულთა სახით. ერთნი სიხარულით ელოდნენ უფლის გამოჩენას და გულმოდგინედ ემზადებოდნენ მასთან შესახვედრად; სხვები, შიშითა და წუთიერი ემოციებით მოცულნი, მხოლოდ თეორიული ჭეშმარიტებებით კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ მოკლებული იყვნენ ღვთის მადლს. იგავის მიხედვით, როდესაც ნეფე მოვიდა, "გამზადებულნი მასთან ერთად შევიდნენ ქორწილში". აქ ნეფის მოსვლა ხდება საქორწინო ცერემონიალის წინ. ქორწილი ნიშნავს ქრისტეს მიერ მისი სამეფოს მიღებას. წმიდა ქალაქს, ახალ იერუსალიმს, რომელიც სამეფოსა და

მისი დედაქალაქის განსახიერებაა, ეწოდება "სასძლო, კრავის ცოლი". ანგელოზმა უთხრა იოანეს: "მოდი და გიჩვენებ სასძლოს, კრავის ცოლს". "წამიყვანა სულით... მიჩვენა წმიდა ქალაქი იერუსალიმი, რომელიც ციდან ეშვებოდა ღვთისაგან" (გამოცხ. 21:9-10). მაშასადამე, სასძლო - ეს არის წმიდა ქალაქი, ხოლო ნეფის შესახვედრად გამოსული ქალწულნი - ეკლესიებია. გამოცხადების წიგნში ნათქვამია, რომ ღვთის შვილნი მიწვეული იქნებიან საქორწინო სერობაზე (გამოცხ. 19:9). თუკი ისინი სტუმრები არიან, მაშინ იმავდროულად, "სასძლო" ვერ იქნებიან. დანიელ წინასწარმეტყველის თქმით, ქრისტე "ძველ დღეთაგან" მიიღებს

"ხელმწიფებას, დიდებას და მეფობას". იგი მიიღებს ახალ იერუსალიმს, თავისი სამეფოს დედაქალაქს, გამზადებულს, "როგორც თავსი ქმრისათვის მორთული სასძლო" (დან. 7:14; გამოცხ. 21:2). მიიღებს რა მეფობას, იგი მოვა თავისი დიდებით, როგორც მეფეთა მეფე და უფალთ უფალი, თავისი ხალხის გამოსასყიდად, რომელნიც სუფრასთან "დასხდებიან აბრაამთან, ისააკთან და იაკობთან" ერთად მის სასუფეველში, რათა მონაწილეობა მიიღონ კრავის საქორწინო სერობაში (მათ. 8:11; ლუკ. 22:30).

1844 წლის ზაფხულში ნაუწყებმა ხარებამ: "აჰა, ნეფე მოდის", - ათასობით ადამიანის გული განაწყო

უფლის მალე მოსვლის მოლოდინისათვის. დანიშნულ დროს ნეფე მოვიდა საქორწინო ცერემონიაზე, მაგრამ არა დედამიწაზე, როგორც ადამიანები იმედოვნებდნენ, არამედ ზეცაში, "ძველ დღეთა"-სთან თავისი სამეფოს მისაღებად. "გამზადებულნი მასთან ერთად შევიდნენ ქორწილში და კარიც ჩაიკეტა". ისინი პირადად არ უნდა დაესწრონ ამ ცერემონიალს, რადგან ეს ზეცაში ხდება, თვითონ კი დედამიწაზე არიან. ქრისტეს მიმდევრები უნდა ელოდონ "თავიანთი ბატონის დაბრუნებას ქორწილიდან" (ლუკ. 12:36). მაგრამ მათ უნდა შეიცნონ უფლის ეს მსახურება და უნდა გაჰყვნენ მას იმ დროს, როდესაც იგი წარდგება

უზენაესის წინაშე. სწორედ ამ გაგებით არის ნათქვამი მათ შესახებ, რომ ისინი შევიდნენ საქორწინო სერობაზე.

იგავში ნათქვამია, რომ საქორწინო ზეიმზე მხოლოდ ისინი შევიდნენ, ვისაც გამართული ჰქონდათ თავიანთი ლამპრები. ის, ვინც წმიდა წერილის ჭეშმარიტება შეიცნო, ვინც ღვთის მადლსა და სულს მიენდო, ის, ვინც უმძიმესი განსაცდელისას არ დაკარგა მოთმინება და უფრო დიდი სინათლის მისაღებად ბიბლიას მიმართა, ჩაწვდა ჭეშმარიტებას ზეციური საწმიდარისა და მაცხოვრის ახალი მსახურების შესახებ და რწმენით გაჰყვა მას ზეციურ საწმიდარში. და ყველას, ვინც წმიდა წერილის მოწმობით ღებულობს ამ

ჭეშმარიტებას, და რწმენით მიჰყვება ქრისტეს იმ დროს, როცა იგი უზენაესის წინაშე დგას თავისი შუამდგომლური მსახურების ალსრულებისათვის და მის დამთავრებისთანავე, თავისი სამეფოს მისაღებად წარდგება - სიმბოლურად, საქორწინო სერობაზე წვეული ჰქვია.

იგავში, რომელიც მათეს სახარების 22-ე თავშია მოთხრობილი, გამოყენებულია ქორწილის იგივე სიმბოლო და ნათლად არის ნათქვამი, რომ გამოძიებითი სამსჯავრო ქორწინებამდე დასრულდება. საქორწინო ნადიმის დაწყების წინ მეფე შედის, რათა ნახოს, აცვია თუ არა ყველა სტუმარს საქორწინო სამოსელი, ე.ი. არის თუ არა ყველა

განწმედილი და გასპეტაკებული კრავის სისხლით (მათ. 22:11; გამოცხ. 7:14). ვისაც არა აქვს ასეთი სამოსელი, გაძევებული იქნება საქორწინო სერობიდან, ხოლო დანარჩენი, ვინც ამ გამოცდის დროს საქორწინო სამოსელით იქნება შემოსილი, მიღებული იქნებიან უფლის მიერ, გახდებიან მის სასუფეველში შესვლის ღირსი და მასთან ერთად დასხდებიან სამეფო ტახტზე. ადამიანთა შესწავლა და საბოლოო განსაზღვრა იმისა, თუ ვინ არის მზად ღვთის სასუფეველში შესასვლელად, ხდება მთელი სამსჯავრო ძიების პერიოდის განმავლობაში, როგორც უკანასკნელი მსახურება ზეციურ საწმიდარში.

როდესაც ეს სასამართლო პროცესი დამთავრდება, როცა ყველა საუკუნის ქრისტიანთა ცხოვრება განიხილება და მათ მიმართ შესაბამისი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მხოლოდ მაშინ დამთავრდება გამოცდის პერიოდი და წყალობის კარი დაიხურება. მაშასადამე, ერთ მოკლე ფრაზას: - "გამზადებულნი მასთან ერთად შევიდნენ ქორწილში და კარიც დაიკეტა" - მაცხოვრის უკანასკნელი მსახურების წყალობით გადავყავართ იმ დროში, როდესაც ადამიანის გადარჩენის უდიდესი საქმე დასრულებული იქნება.

როდესაც მიწიერ საწმიდარში, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, ზეციურის ანარეკლია, შემორიგების დღეს მღვდელმთავარი

წმიდათაწმიდაში შედიოდა, საწმიდარის პირველ განყოფილებაში ღვთისმსახურება წყდებოდა. უფალმა ბრძანა: "არცერთი კაცი არ უნდა იმყოფებოდეს სადღესასწაულო კარავში, როცა იგი საწმიდარის განსაწმედად არის შესული. განწმედს საკუთარ თავს, თავის სახლს და მთელს ისრაელის კრებულს" (ლევ. 16:17). ამიტომ როდესაც ქრისტე წმიდათაწმიდაში შევიდა შემორიგების მსახურების დამამთავრებელი ცერემონიალის ალსასრულებლად, შეწყვიტა თავისი მსახურება პირველ განყოფილებაში. როდესაც პირველ განყოფილებაში დამთავრდა მისი მსახურება, იგი მეორეში დაიწყო. როდესაც მღვდელმთავარი მიწიერ ტაძარში

მსახურებისას, შერიგების დღეს საწმიდარის პირველი განყოფილებიდან გამოდიოდა, უზენაესის წინაშე უნდა წარმდგარიყო, რათა მისთვის ისრაელის ცოდვებისათვის გალებული მსხვერპლის სისხლი წარედგინა, ისრაელისა, რომელმაც გულწრფელად მოინანია თავისი ცოდვები. ამგვარად, ქრისტემ დაასრულა თავისი შუამდგომლური მსახურების მხოლოდ ერთი ნაწილი და შეუდგა მეორე ნაწილის ალსრულებას, განაგრძო რა კვლავინდებურად ცოდვილთათვის შუამდგომლობა მამის წინაშე.

ეს საკითხი 1844 წელს გაუგებარი იყო ადვენტისტებისათვის. მას შემდეგ, რაც მხსნელის მოსვლის

დრომ განვლო, მორწმუნეებს მაინც სწამდათ, რომ იგი ეს-ეს არის გამოჩნდება, ვინაიდან სჯეროდათ, რომ ღმერთის წინაშე ადამიანისათვის ქრისტეს შუამდგომლური მსახურება დასრულდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ბიბლიის მიხედვით, ადამიანთა გამოცდა ქრისტეს ფაქტიური, უშუალო დიდებით მოსვლის წინ დამთავრდება. ამაში ისინი ეყრდნობოდნენ ბიბლიურ ტექსტებს, რომლებიც მიუთითებდა იმ დროზე, როცა ადამიანები ტირილით მოაწყდებიან მადლის დაკეტილ კარს, მაგრამ იგი აღარ გაიხსნება. ისინი საგონებელში ჩაცვივდნენ: იქნებ, ქრისტეს მოსვლის თარიღი, რომელსაც ისინი ასე ელოდნენ,

სულაც არ ალნიშნავდეს მისი მოსვლის უშუალოდ წინა პერიოდის დასაწყისს. გააკეთეს რა თავის მხრივ ყველაფერი ადამიანთა გასაფრთხილებლად უფლის მოსვლის მოახლოების შესახებ, ისინი ფიქრობდნენ, რომ მათი მსახურება წუთისოფელში დამთავრებულია და ცოდვილთა გადარჩენისათვის პასუხისმგებლობა მოხსნილი აქვთ, ხოლო დაცინვებსა და აბუჩად აგდებას, რომელიც თავს დაატყდათ, ღებულობდნენ იმის დასამტკიცებლად, რომ უფლის სულმა დატოვა მისი მადლის უარმყოფელნი. ყველაფერი ეს განამტკიცებდა მათ აზრს იმის შესახებ, რომ გამოცდის პერიოდი

დამთავრდა, ანუ, როგორც ისინი ამბობდნენ, "მადლის კარი დაიკეტა".

მაგრამ საწმიდარის საკითხის გამოკვლევამ მათ გონებას უფრო დიდი ნათელი მოჰფინა. ახლა, როდესაც ისინი ამბობდნენ, რომ 1844 წელს, 2300 დღის გასრულებას მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა მოჰყვეს, უფრო ღრმად დარწმუნდნენ თავის სისწორეში. თუმცა იმედისა და მოწყალების კარი, რომლითაც მთელი თვრამეტი საუკუნის განმავლობაში ისინი უფლისაკენ გზას იგნებდნენ, მართლაც დაიხურა, მაგრამ გაიხსნა სხვა კარი და ცოდვათა მიტევება შესაძლებელი გახდა ქრისტეს შუამდგომლური მსახურებით წმიდათაწმიდაში. ამგვარად, მთავრდებოდა მსახურების მხოლოდ

ერთი ნაწილი, რათა ადგილი დაეთმო მეორესათვის. ზეციური საწმიდარის კარი, სადაც ქრისტე განაგრძობდა ცოდვილთათვის მსახურებას, ჯერ კიდევ ღია იყო.

მხოლოდ მაშინ მიხვდნენ ისინი ქრისტეს მიერ გამოცხადების წიგნში წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობას, რითაც მან იმ დროს ეკლესიებს მიმართა. "ასე ამბობს წმიდა, ჭეშმარიტი, რომელსაც აქვს დავითის გასაღები, რომელიც გაალებს და ვერავინ დაკეტავს, დაკეტავს და ველარავინ გაალებს: ვიცი შენი საქმენი; აჰა, შენს წინაშე მოგეცი შენ ღია კარი, რომლის დაკეტვაც არავის ძალუძს" (გამოცხ. 3:7,8).

ის, ვინც მაცხოვარს შემორიგების უდიდეს საქმეში რწმენით მიჰყვება,

მისი შუამდგომლური მსახურების ნაყოფსაც იგემებს; ხოლო ამ მსახურების სინათლის უარმყოფელნი ვერავითარ სარგებლობას ვერ ნახავენ მასში. იუდეველებმა, რომელთაც უარყვეს ქრისტეს პირველად მოსვლისას მათთვის მიცემული ნათელი და არ მიიღეს იგი, როგორც წუთისოფლის მხსნელი, ვერ მიიღეს მისით მიტევება. როდესაც იესო ზეცად ამაღლების შემდეგ თავისი სისხლით ზეციურ საწმიდარში შევიდა, რათა თავისი შუამდგომლური მსახურების მადლი თავის მოწაფეებზე გარდმოეფინა, იუდეველები სრულ წყვდიადში დარჩნენ და კვლავ უსარგებლო მსხვერპლშეწირვას განაგრძობდნენ. ჩრდილებისა და

ანარეკლების მსახურება დასრულდა. ის კარი, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ადრე ღმერთთან მისასვლელ გზას პოულობდნენ, დაიხურა. იუდეველებმა უარი თქვეს ეპოვათ ღმერთი იმ ერთადერთი გზით, რომლითაც მისი პოვნა შეიძლება - ზეციურ საწმიდარში მსახურების მეშვეობით. ამიტომაც ვერ ჰპოვეს კავშირი ღმერთთან. მათთვის მადლის კარი დაიხურა. მათ არ მიიღეს იესო ქრისტე ჭეშმარიტ მსხვერპლად და ერთადერთ შუამდგომლად უზენაესის წინაშე. აქედან გამომდინარე, ისინი ვერც ისარგებლებდნენ მისი შუამდგომლური მსახურების ნაყოფით.

მდგომარეობა, რომელშიც ურწმუნო ებრაელები ალმოჩნდნენ, მშვენიერი ილუსტრაციაა იმ უზრუნველთა და ურწმუნოთა ყოფისა, რომლებიც ცხოვრობენ ჭეშმარიტ ქრისტიანთა შორის, მაგრამ შეგნებულად უგულვებელყოფენ ჩვენი უდიდესი და მოწყალე მლვდელმთავრის მსახურებას. სიმბოლური მსახურების დროს, როდესაც მლვდელმთავარი წმიდათაწმიდაში შედიოდა, მთელი ისრაელი საწმიდარის გარშემო უნდა შეკრებილიყო და საჯაროდ უნდა გამოეხატა სულიერი მორჩილება უფლის წინაშე, რათა ამგვარად მოეპოვებინათ ცოდვათა მიტევება და არ ყოფილიყვნენ საზოგადოებისაგან განდგომილნი. და რაოდენ უფრო

მნიშვნელოვანია ჩვენთვის ამ უკანასკნელი, ჭეშმარიტი შემორიგების დღეს შევიცნოთ ჩვენი უდიდესი მღვდელმთავრის მსახურების არსი და ჩვენი პირადი მოვალეობაც.

შეუძლებელია ადამიანები დაუსჯელი დარჩნენ იმ გაფრთხილებათა უარყოფის გამო, რომელსაც ღმერთი მათ თავისი წყალობით უგზავნის. ნოეს დღეებში ხალხს ზეციდან ეუწყა წარღვნის შესახებ გაფრთხილება და ადამიანთა გადარჩენა მხოლოდ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ მიიღებდნენ ამ ცნობას. და რადგანაც მათ ყურად არ იღეს ეს გაფრთხილება, სულიწმიდამ დატოვა ცოდვილი კაცობრიობა და

წუთისოფელი წარღვნის წყლებმა წალეკა. აბრაამის დღეებში, როდესაც უფალმა თავისი წყალობის გარეშე დატოვა სოდომის უწმიდური მცხოვრებნი, ცეცხლით დაილუპა ყველა - ლოტის, მისი ცოლისა და ორი ქალიშვილის გარდა. ასევე იყო ქრისტეს დღეებშიც. უფლის ძემ იმ თაობის ურწმუნო ებრაელებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: "აჰა, გრჩებათ თქვენი სახლი ოხრად" (მათ. 23:38). და უკანასკნელ დღეებშიც იგივე უსასრულო ძალა აცხადებს, რომ მათ, ვინც თავის გადასარჩენად არ მიიღეს ჭეშმარიტების სიყვარული, "გაუგზავნის ღმერთი მცდარ ქმედებას, რათა იწამონ სიცრუე, რათა დაისაჯოს ყველა, ვინც ჭეშმარიტება არ იწამა და მოიწონა

უსამართლობა" (2თეს. 2:10-12). ვინაიდან მათ უარყვეს უფლის ჭეშმარიტი სიტყვა, ღმერთმა წაართვა თავისი სული და დატოვა ისინი ამ მცდარ ქმედებაში, რომელიც შეიყვარეს.

მაგრამ ქრისტე განაგრძობს თავის შუამდგომლურ მსახურებას ადამიანისათვის და ჭეშმარიტების ნათელი მიეცემა ყველას, ვინც მას ეძებს. თუმცა ადვენტისტებისათვის თავიდან გაუგებარი იყო ეს, მაგრამ შემდგომში წმიდა წერილის წყალობით ყველაფერი ნათელი გახდა.

განვლო 1844 წლის მოლოდინის დღეებმა და დადგა უდიდესი გამოცდის პერიოდი მათთვის, ვინც რწმენით ლოდინს განაგრძობდა.

ერთადერთი იმედი, რომელიც ადვენტისტებს თავიანთი პოზიციის სისწორეში არწმუნებდა, იყო ის ნათელი, რომელმაც მათი გონება ზეციური საწმიდარისაკენ მიმართა. ზოგიერთმა უარყო თავისი მტკიცებანი წინასწარმეტყველური პერიოდების სამართლიანი გამოთვლების შესახებ და სულიწმიდის უდიდესი, უძლიერესი ზეგავლენა, რომელიც ადვენტისტურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა, ადამიანურ ან სატანურ ძალას მიაწერა. სხვები კი მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ უფალი ხელმძღვანელობდა მათ ამ უდიდესი გამოცდის ჟამს და უფლის ნების შეცნობისათვის ლოცვებით, სიფხიზლითა და ლოდინით

მიხვდნენ, რომ მათი უდიდესი მღვდელმთავარი თავისი შუამდგომლური მსახურების მეორე ნაწილის აღსრულებას შეუდგა და გაჰყვნენ რა მას რწმენით, შეიმეცნეს ეკლესიის დამაგვირგვინებელი მსახურების არსი; მიიღეს ნათელი და განსაზღვრული ცნება პირველ და მეორე ანგელოზთა სახარებისა, ახლა უკვე მზად იყვნენ მესამე ანგელოზის საზეიმო გაფრთხილების მისაღებად და მის წუთისოფელში საქადაგებლად; გაფრთხილებისა, რომელიც გამოცხადების მე-14 თავშია მოცემული.

თავი 25 ამერიკა წინასწარმეტყველებაში

"გაიღო ღვთის ტაძარი ცაში, და გამოჩნდა მისი აღთქმის კიდობანი მის ტაძარში" (გამოცხ. 11:19). ღვთის აღთქმის კიდობანი წმიდათაწმიდაში, ზეციური

საწმიდარის მეორე განყოფილებაში იმყოფება. მიწიერ კარავში მსახურებისას, რომელიც "სახე და ჩრდილი" იყო ზეციურისა, ეს განყოფილება მხოლოდ შერიგების უდიდეს დღეს საწმიდარის განწმედისათვის იღებოდა. ამიტომ მტკიცება იმისა, რომ ზეცაში გაილო ღვთის ტაძარი და მასში გამოჩნდა უფლის აღთქმის კიდობანი, მიუთითებს ზეციური საწმიდარის წმიდათაწმიდას კარის გახსნას 1844 წელს, როდესაც ქრისტე შევიდა მასში და შეუდგა შერიგების მსახურების დასკვნითი ნაწილის აღსრულებას. და მათ, ვინც რწმენით გაჰყვნენ უდიდეს მღვდელმთავარს წმიდათაწმიდაში მსახურებისას, დაინახეს მისი აღთქმის კიდობანი.

საწმიდარზე მსჯელობისას მათთვის გასაგები გახდა მაცხოვრის მსახურებაში მომხდარი ცვლილება და დარწმუნდნენ, რომ მაცხოვარი იწყებს თავის მსახურებას უფლის ალთქმის კიდობნის წინაშე და ცოდვილთ თავისი სისხლით შუამდგომლობს.

ალთქმის კიდობანში, რომელიც მიწიერ საწმიდარში იმყოფებოდა, იდო ორი ქვის ფიქალი მასზე დაწერილი ღვთის მცნებებით. კიდობანი წარმოადგენდა მხოლოდ ადგილს, სადაც ინახებოდა კანონის ფიქალები. მისი საფასური და სიწმიდე მასში მყოფი ღვთიური მცნებებით განისაზღვრებოდა. როდესაც ცაში გაიღო ღვთის ტაძარი, გამოჩნდა მისი ალთქმის კიდობანი.

ზეციური კარვის წმიდათაწმიდაში წმიდად ინახება ღვთიური კანონი - სინაის მთაზე უფლის მიერ გრგვინვითა და ქუხილით წარმოთქმული და მისივე ხელით ქვის ორ ფიქალზე დაწერილი.

უფლის კანონი, რომელიც ზეციურ საწმიდარში ინახება, არის უმაღლესი ორიგინალი, რომლის ზუსტი ასლი მოსემ ამოკვეთა ქვის ფიქალებზე და ჩაწერა ხუთწიგნეულში. ის, ვინც ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა შეიმეცნა, დარწმუნდა ღვთიური კანონის სიწმიდესა და უცვლელობაში, საბოლოოდ ჩაწვდა მაცხოვრის სიტყვების ძალას: "ვიდრე ცა და დედამიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე

ყოველივე არ აღსრულდება" (მათ. 5:18). უფლის კანონი, როგორც უფლის ნების გამოცხადება, მისი ხასიათის ანარეკლია, რომელიც მარადისობაში არსებობს, როგორც "ჭეშმარიტი მოწმე ზეცაში". არც ერთი მცნება არ გაუქმებულა მასში, არც ერთი იოტა, არც ერთი წერტილი. მეფსალმუნე ამბობს: "უკუნისამდე, უფალო, შენი სიტყვა დაფუძნებულია ზეცაში". "სარწმუნოა ყველა მცნება მისი, იმედნეულნი არიან უკუნითი უკუნისამდე" (ფს. 118:89; 110:8).

ათი მცნების შუაგულში იმყოფება მეოთხე მცნება, თავიდანვე უფლის ბაგეებით წარმოთქმული: "გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდა ჰყო იგი. ექვს დღეს იმუშავე და აკეთე შენი საქმეები; მეშვიდე დღე კი

უფლის, შენი ღვთის შაბათია. არა საქმე არ გააკეთოთ, არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა მდგმურმა, სახლში რომ გყავს. რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია და, მეშვიდე დღეს შეისვენა; ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმიდაჰყო იგი" (გამოს. 20:8-11).

სულიწმიდამ ზეგავლენა მოახდინა იმ ადამიანთა გულებზე, ვინც მის სიტყვას იკვლევდა. მათ არ ასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ არღვევენ ამ მცნებას, რადგან არ იცავენ შემოქმედის დასვენების დღეს. მათ დაიწყეს იმ მიზეზთა გამოკვლევა,

რამაც აიძულა ადამიანები, დაეცვათ კვირის პირველი დღე უფლის წმიდა დღის ნაცვლად. და ვერ იპოვეს ვერავითარი საფუძველი მეოთხე მცნების გაუქმებისა ან შაბათი დღის გადატანისა. მეშვიდე დღის სიმშვიდის თავდაპირველი კურთხევა და მადლი არასოდეს ტოვებდა მათ. ისრაფოდნენ რა მთელი სულითა და გულით შეეცნოთ უფლის ნება, დამნაშავედ გრძნობდნენ თავს მისი ამ მცნების დარღვევის გამო და ეს დიდად აწუხებდა მათ. უფლისათვის თავისი ერთგულების დასამტკიცებლად, სწორედ მაშინ დაიწყეს უფლის მეშვიდე დღის - შაბათის დაცვა.

დიდი იყო მცდელობა მათი რწმენის შერყევისა. ყველასათვის გასაგები

იყო, რომ თუკი მიწიერი საწმიდარი ასლი იყო ზეციურისა, მაშინ მასში შენახული ალთქმის კიდობანიც, რომელშიც უფლის კანონის ათი მცნება ინახებოდა, ზეციურის ზუსტი ასლი უნდა ყოფილიყო; ზეციური საწმიდარის შესახებ ჭეშმარიტების მიღება ნიშნავდა უფლის კანონების აუცილებელ დაცვას, მათ შორის მეოთხე მცნებისაც - შაბათის შესახებ. სწორედ ამაში მდგომარეობს წმიდა წერილის სწორი განმარტების მიმართ ჯიუტი და მტკიცე წინააღმდეგობის საიდუმლო, იმ წერილისა, რომელიც ქრისტეს ზეციურ საწმიდარში მსახურებაზე მიგვითითებს. ადამიანები ცდილობდნენ დაეხურათ ქრისტეს მიერ გაღებული კარი, მაგრამ მან,

ვინც "აღებს - და ვერავინ დაკეტავს, დაკეტავს და ვერავინ გააღებს", თქვა: "აჰა, შენს წინაშე მოგეცი შენ ღია კარი, რომლის დაკეტვაც არავის ძალუძს" (გამოცხ. 3:7,8). ქრისტემ გაალო კარი, ე.ი. დაიწყო მსახურება წმიდათაწმიდაში და ზეციური საწმიდარის გახსნილი კარიდან ამობრწყინდა ნათელი. ყველამ დაინახა, რომ მეოთხე მცნება - ეს იმ კანონის ნაწილია, რომელიც ზეციურ საწმიდარში ინახება. ადამიანს არა აქვს უფლება იმის გაუქმებისა, რაც ღმერთმა დაადგინა.

ადამიანებმა მიიღეს ქრისტეს შუამდგომლური მსახურებისა და უფლის კანონის უცვლელობის შესახებ ნათელი და აღმოაჩინეს, რომ სწორედ ეს ჭეშმარიტებაა

გადმოცემული გამოცხადების წიგნის მე-14 თავში. ამ თავში მოცემულია სამი გაფრთხილება, რომლებმაც დედამიწის მკვიდრნი ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის უნდა მოამზადონ. სიტყვები: "ვინაიდან დადგა მისი სამსჯავროს ჟამი" - ქრისტეს მიერ ადამიანთა გამოსყიდვისათვის მსახურების დამამთავრებელ ეტაპზე მიუთითებს. ამ სიტყვებშია ჭეშმარიტება, რომელიც უნდა ექადაგოს ხალხს, ვიდრე მაცხოვარი თავის შუამდგომლურ მსახურებას დაამთავრებს ზეციურ სასუფეველში და მოვა თავისი ხალხის წასაყვანად. 1844 წელს დაწყებული სამსჯავრო გრძელდება მანამ, სანამ არ გადაწყდება ყოველი ადამიანის -

მკვდრისა თუ ცოცხლის ბედი. მაშასადამე, იგი გამოცდის ბოლო ჟამამდე გაგრძელდება. ადამიანთა სამსჯავროს პერიოდისათვის მოსამზადებლად გაისმა ბრძანება: "გეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგეთ მას... თაყვანი ეცით ცისა და დედამიწის, ზღვისა და წყალთა წყაროების შემქმნელს". ამ გაფრთხილების მიღების შედეგი გადმოცემულია ღვთის სიტყვაში: "აქაა წმიდანთა მოთმინება, რომლებიც იცავენ ღვთის მცნებებს და იესოს რწმენას" (გამოცხ. 14:12). სამსჯავროზე წარსადგომად მომზადებისათვის საჭიროა ღვთის მცნებების დაცვა. სწორედ ეს კანონი იქნება ხასიათის საზომი განკითხვის დროს. პავლე მოციქული ამბობს:

"ვინც რჯულის გარეშე შესცოდეს, რჯულის გარეშე დაილუპებიან... იმ დღეს, როცა ღმერთი განიკითხავს იესო ქრისტეს მიერ ადამიანთა დაფარულ ფიქრებს" (რომ.2:12-16). უფლის კანონის დაცვისა და ალსრულებისათვის საჭიროა რწმენა, რადგან "რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისთვის მოსაწონად ყოფნა". "ხოლო ყოველივე, რაც რწმენით არაა, ცოდვაა" (ებრ. 11:6; რომ. 14:23).

პირველი ანგელოზი ადამიანებს მოუწოდებს "ეშინოდეთ ღვთისა და დიდება მიაგონ მას", თაყვანი სცენ ცისა და დედამიწის შემქმნელს. ამის შესრულებისათვის საჭიროა დაემორჩილონ უფლის კანონს. ეკლესიასტე ამბობს: "ღვთისა

გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისნი, რადგან ეს არის კაცის თავი და თავი" (ეკლ. 12:13). მისი მცნებებისადმი მორჩილების გარეშე ღმერთისთვის არავითარი მსახურება არ არის მოსაწონი. "ვინაიდან ღვთის სიყვარული ისაა, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს". "ვინც რჯულის მოსმენას ყურს არიდებს, მისი ლოცვაც კი სიბილწეა" (1იოან. 5:3; იგავ. 28:9).

ჩვენ თაყვანი უნდა ვცეთ ღმერთს იმიტომ, რომ იგი შემოქმედია და ჩვენს გარშემო ყველაფერი - მისი შემოქმედების ნაყოფია. და ბიბლიის იმ ადგილას, სადაც უფალი ადამიანისაგან მოითხოვს თაყვანისცემასა და პატივისცემას, მოყვანილია მისი შემოქმედებითი ძალის მტკიცებაც: "რადგან ხალხთა

ყველა ღმერთი კერპებია, ხოლო უფალმა შეჰქმნა ცანი" (ფს. 95:5). "ვის შემადარებთ, რომ გავუტოლდე? ამბობს წმიდა. ზეცად აღაპყარით თვალნი და შეხედეთ, ვინ შექმნა ესენი?" "ასე ამბობს უფალი, ცათა შემოქმედი (ის არის ღმერთი, რომელმაც მიწა გამოსახა და შექმნა...): მე ვარ უფალი და მეტი არავინაა" (ეს. 40:25-26; 45:18). მეფსალმუნე ამბობს: "უწყოდეთ, რომ უფალია ღმერთი. მან შეგვქმნა ჩვენ და მისთვის ვართ ჩვენ". "მოდით, თაყვანი ვცეთ და მოვიხაროთ, მუხლი მოვიდრიკოთ ჩვენი შემქმნელი უფლის წინაშე" (ფს. 99:3; 94:5,6). წმიდა არსებანი თაყვანს სცემენ მას ზეცაში და ასეთი სიტყვებით გამოხატავენ მისდამი თაყვანისცემას:

"შენ ღირსი ხარ, უფალო და ღმერთო ჩვენო, რომ მიიღო დიდება, პატივი და ძალა, ვინაიდან შენ შექმენი ყოველივე" (გამოცხ. 4:11).

გამოცხადების მე-14 თავი მოგვიწოდებს, თაყვანი ვცეთ შემოქმედს. წინასწარმეტყველებაც მიუთითებს იმ ადამიანებზე, ვინც მიიღო სამი ანგელოზის გაფრთხილება და ვინც იცავს ღვთის მცნებებს. ერთ-ერთი ამ მცნებათაგანი პირდაპირ მიგვითითებს ღმერთზე, როგორც შემოქმედზე. მეოთხე მცნება გვიცხადებს: "მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია... რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა; ამიტომ აკურთხა უფალმა შაბათი

დღე და წმიდაჰყო იგი" (გამოსვ. 20:10-11). შაბათის შესახებ უფალი კვლავ ამბობს: "წმიდად შეინახეთ ჩემი შაბათები, რომ გქონდეთ ნიშნად ჩემსა და თქვენს შორის, და იცოდეთ, რომ მე უფალი ვარ, თქვენი ღმერთი" (ეზეკ. 20:20). ხოლო ამის საფუძველი შემდეგშია: "ეს იყოს სამარადისო ნიშნად ჩემსა და ისრაელიანებს შორის, რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, მეშვიდე დღეს კი იუქმა და დაისვენა" (გამოსვ. 31:17).

"შაბათი, უფლის შემოქმედების ნიშანი, იმიტომ არის ასე მნიშვნელოვანი, რომ იგი ყოველთვის მოწმობს უფლისადმი ჩვენი თაყვანისცემის მიზეზს", რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი შემოქმედია, ჩვენ კი მისი შექმნილნი. "შაბათი

განსაკუთრებით იმიტომაც არის ღვთისმსახურების საძირკველი, რომ იგი ნებისმიერ დადგენილებაზე მეტად გამოხატავს ამ უდიდეს ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტი მიზეზი ღვთის თაყვანისცემისა ნათლად ჩანს არა მხოლოდ შაბათის მცნებაში, არამედ იმ განსხვავებაშიც, რომელიც არსებობს ღმერთსა და მის შექმნილთ შორის. ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი არასოდეს მოძველდება და მისი დავიწყებაც არ შეიძლება". უფალმა შაბათის მცნება ედემში დაადგინა, რათა ამ გზით ადამიანისათვის ეს ჭეშმარიტება გაეხსენებინა და მანამ, სანამ ჩვენ პატივს მივაგებთ უფალს, როგორც ჩვენს შემოქმედს, შაბათი დარჩება ნიშნად და სამახსოვრო დღედ ჩვენსა და უფალს შორის.

შაბათს ყველა რომ იცავდეს, მაშინ ადამიანთა ფიქრები და მისწრაფებები მიმართული იქნებოდა უფლისაკენ, შემოქმედისაკენ, იქნებოდა საყოველთაო თაყვანისცემა და პატივი მის მიმართ; მაშინ ალარ იარსებებდა არც ერთი კერპთაყვანისმცემელი, ათეისტი და ურწმუნო. შაბათის დაცვა - ნიშანია ერთგულებისა ჭეშმარიტი ღმერთისადმი, ვინც "შექმნა ცა და მიწა, ზღვა და წყალთა წყაროები". აქედან გამომდინარე, სახარება, რომელიც ადამიანებს მოუწოდებს, თაყვანი სცენ ღმერთს და დაიცვან მისი მცნებები, განსაკუთრებით მიგვითითებს მეოთხე მცნების დაცვის აუცილებლობაზე.

მათგან, ვინც იცავს ღვთის მცნებებს და იესოს რწმენას, მკვეთრად განსხვავდებიან ის ადამიანები, რომელთაც ასე საზეიმოდ და სასტიკად აფრთხილებს მესამე ანგელოზი: "ვინც თაყვანსა სცემს მხეცს და მის ხატებას და მიიღებს ნიშანს შუბლზე ან ხელზე, ის შესვამს ღვთის მძვინვარების ღვინისაგან" (გამოცხ. 14:9,10). ამ გაფრთხილების სწორი გაგებისათვის აუცილებელია ამ სიმბოლოთა სწორი განმარტება. რას ნიშნავს მხეცი, მისი ხატება ან მისი ნიშანი?

გამოცხადების წიგნის მე-12 თავის წინასწარმეტყველება, რომელშიც ეს სიმბოლოებია მოყვანილი, იწყება გველეშაპის ალწერით, რომელიც ცდილობს ქრისტეს მოსპობას მისი

დაბადებისთანავე. გველეშაპს სატანასაც უწოდებენ (გამოცხ. 12:9). ეს მან შთაუნერგა ჰეროდეს მაცხოვრის მოკვლა. მაგრამ ქრისტიანული ერის პირველ საუკუნეში ქრისტეს და მისი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში სატანის მთავარი იარაღი იყო რომის იმპერია, რომელშიც წარმართული რელიგია ჭარბობდა. ამგვარად, თუმცა უპირველეს ყოვლისა, გველეშაპი სატანის განსახიერებაა, მაგრამ, მეორეს მხრივ, იგი წარმართული რომის სიმბოლოცაა.

გამოცხადების წიგნის მე-13 თავში (1-10) აღწერილია სხვა მხეცი, ავაზას მსგავსი, რომელსაც გველეშაპმა მისცა "თავისი ძალა, თავისი ტახტი და დიდი ხელმწიფება". ეს სიმბოლო, პროტესტანტთა უმრავლესობის

აზრით, განსაკიერებაა პაპიზმისა, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ძველი რომის იმპერიის ძალა, ტაძტი და ხელმწიფება. ავაზის შესახებ ნათქვამია: "მიეცა მას პირი, რათა მედიდურად ელაპარაკნა და დაეგმო ღმერთი" (გამოცხ. 13:5-7). "გაჩსნა მან პირი ღვთის საგმობად და დაგმო მისი სახელი, მისი სავანე, ცაში დავანებულნი. ნება მიეცა მას, რომ ეომა წმიდანებთან და გაემარჯვა მათზე, და მიეცა მას ხელმწიფება ყველა ტომსა და ხალხზე, ენასა და ერზე". ეს წინასწარმეტყველება, რომელიც თითქმის მთლიანად ემთხვევა დანიელის წიგნის მე-7 თავში პატარა რქის აღწერილობას, ეჭვსგარეშეა, პაპის მმართველობაზე მიგვითითებს.

"მიეცა მას ხელმწიფება ორმოცდაორ თვეს სამოქმედოდ". წინასწარმეტყველი ამბობს: "ვიხილე, ერთი მის თავთაგან სასიკვდილოდ იყო განგმირული". და კიდევ: "ვინც მახვილით ჰკლავს, თვითონაც მახვილით მოკვდება; ვისაც ტყვე მიჰყავს, თვითონაც ტყვედ წავა". 42 თვე - ეს იგივეა, რაც დრო, დრონი და ნახევარი დრო, ანუ 1260 დღე, როგორც მითითებულია დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის მე-7 თავში. ამ დროის განმავლობაში პაპის ხელისუფლებას უნდა შეევიწროებინა ღვთის ხალხი. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ეს პერიოდი დაიწყო 538 წელს, როდესაც პაპმა ხელში ჩაიგდო უმაღლესი ხელისუფლება და დასრულდა 1798

წელს, როდესაც პაპი საფრანგეთის არმიამ ტყვედ წაიყვანა; პაპის ძალაუფლებამ სასიკვდილო ჭრილობა მიიღო და აღსრულდა წინასწარმეტყველება: "ვისაც ტყვე მიჰყავს, თვითონაც ტყვედ წავა".

შემდგომ გვეცხადება სხვა სიმბოლო. წინასწარმეტყველი ამბობს: "ვიხილე სხვა მხეცი, მიწიდან ამომავალი; მას ჰქონდა კრავის მსგავსი ორი რქა" (გამოცხ. 13:11). ამ მხეცის გარეგნობა და თვით მისი გამოჩენა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ სიმბოლოთი სულ სხვა ხალხია გამოსახული. მსოფლიოში გაბატონებული უდიდესი სამეფოები დანიელმა იხილა მტაცებელი ცხოველების სახით, რომლებიც იბრძოდნენ, როგორც "ზეცის ოთხი

ქარი... დიდ ზღვაზე" (დან. 7:2). გამოცხადების წიგნის მე-17 თავში ანგელოზი განმარტავს, რომ "წყლები... არის ხალხები და ბრბოები, და ერები და ენები" (გამოცხ. 17:15). ხოლო ქარები - ომის სიმბოლოა. ზეცის ოთხი ქარი, რომელიც დიდ ზღვას აწყდებოდა, სიმბოლოა დამპყრობლური ომებისა და რევოლუციებისა, რის საშუალებითაც სამეფოებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება.

მაგრამ კრავის რქებიანი მხეცი ამოდის "მიწიდან". ამ სიმბოლოთი გამოსახული ერი ყალიბდება არა სხვა ძალაუფლების დამხობის ხარჯზე, არამედ თავისუფალ, ვინმეს მიერ დაუკავებელ ტერიტორიაზე და თანდათანობით, მშვიდად

ვითარდება. მაშასადამე, ეს ერი არ შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მჭიდროდ დასახლებულ და ერთმანეთის მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში მყოფ მსოფლიო სახელმწიფოთა შორის, "ხალხების და ბრბოების, და ერების და ენების" მშფოთვარე ოკეანეში. ამიტომ იგი დასავლეთ ნახევარსფეროში უნდა ვეძებოთ.

რომელი ერი დაადგა აღმავლობისა და განმტკიცების გზას ახალ სამყაროში 1798 წლიდან და მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო? ამ სიმბოლოს განმარტება არავითარ ეჭვს არ იწვევს. მსოფლიოში მხოლოდ ერთადერთ ერს შეიძლება შეესაბამებოდეს მოცემული წინასწარმეტყველება. იგი

შეუცდომლად მიუთითებს შეერთებულ შტატებზე. ხშირად ამ აზრს და თვით წინასწარმეტყველის სიტყვებსაც დიდი სიზუსტით, მაგრამ შეუგნებლად იყენებდნენ ისტორიკოსები და ორატორები ამ ერის განვითარების აღწერისას. ეს იყო "მიწიდან ამომავალი მხეცი". და ლინგვისტთა აზრით, სიტყვა, რომელიც აქ თარგმნილია, როგორც "ამომავალი", დედანში ნიშნავს - "ალმოცენებას მცენარის მსგავსად". როგორც უკვე ვნახეთ, ამ ერის ჩამოყალიბება უნდა ხდებოდეს თავისუფალ, ჯერ კიდევ დაუკავებელ ტერიტორიაზე. ცნობილი ლიტერატორი ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების აღწერისას საუბრობს

"მისი სიცარიელიდან აღმოცენების საიდუმლოს" შესახებ და ამბობს: "მცენარის თესლის მსგავსად უსიტყვოდ და ჩუმად აღმოვცენდით და იმპერიად ვიქეცით". ერთ-ერთმა ევროპულმა ჟურნალმა 1850 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებს "საოცარი იმპერია" უწოდა, რომელიც "მიწიერ სიჩუმეში ამოიზარდა და დღითიდღე ივსებოდა ძალითა და სიამაყით". ედუარდ ევერტმა თავის სიტყვაში ამ ერის დამაარსებელი და ფუძემდებელი მამების შესახებ თქვა: "რას ეძებდნენ ისინი? განცალკევებულ, მშვიდობიან, წყნარ ადგილს, სადაც მათი პატარა ლეიდენის ეკლესია იცხოვრებდა თავისი სინდისის პრინციპებით? აი, ეს თვალუწვდენელი სივრცეები,

რომელნიც მათ მშვიდობიანი გზით დაიპყრეს და სადაც ქრისტიანული დროშა ააფრიალეს!"

"ჰქონდა კრავის მსგავსი ორი რქა". კრავის მსგავსი რქები მიუთითებს ახალგაზრდობაზე, უცოდველობასა და სირბილეზე, რაც სრულად შეესატყვისება ამერიკის შეერთებული შტატების არსს, რომელიც წინასწარმეტყველს ეჩვენა 1798 წელს "ამომავალი". დევნილ ქრისტიანთა შორის, რომელნიც პირველნი გაიქცნენ ამერიკაში მეფის მიერ დევნისა და რელიგიური შეუწყნარებლობის გამო, მრავლად იყვნენ ადამიანები, ვინც მტკიცედ დაადგნენ რელიგიური და სამოქალაქო თავისუფლების ფუნდამენტალურ საფუძველზე

სახელმწიფოს შენების გზას. მათი თვალსაზრისი ნათლად აირეკლა დამოუკიდებლობის დეკლარაციაში, რომელმაც წინ წამოსწია უდიდესი ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ "ღმერთმა ადამიანები თანასწორებად შექმნა" და ყოველ მათგანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის კანონიერი უფლება. მიღებული კონსტიტუცია ხალხს იმ პირობით აძლევს თვითმმართველობის უფლებას, რომ ხმის მიცემით არჩეული მისი წარმომადგენელნი შეიმუშავებენ და აამოქმედებენ სამართლიან კანონებს. ადამიანებს მიეცათ რელიგიის თავისუფლება - თითოეულს შეეძლო ღმერთისთვის თავისი რწმენისა და სინდისის

მიხედვით ემსახურა. რესპუბლიკური პრინციპებისა და პროტესტანტიზმის საფუძველზე აღმოცენდა ეს ერი. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი, როგორც სახელმწიფოს, ძლიერებისა და აყვავების საიდუმლო. დედამიწის ყოველი კუთხიდან დევნილ ქრისტიანთა იმედითა და ინტერესით ალსავსე მზერა მიმართული იყო ამ მიწისაკენ და მილიონობით ადამიანმა მიაშურა მის ნაპირებს.

მაგრამ "კრავის მსგავსი რქებიანი მხეცი ლაპარაკობდა, როგორც გველეშაპი". "იგი მოქმედებდა პირველი მხეცის მთელი ხელმწიფებით მის წინაშე და აიძულებდა დედამიწას და მის მკვიდრთ, თაყვანი ეცათ პირველი მხეცისთვის, რომელსაც განეკურნა

სასიკვდილო ჭრილობა... და ეუბნებოდა დედამიწის მკვიდრთ, რომ გაეკეთებინათ მხეცის ხატება, რომელსაც აქვს ჭრილობა მახვილისაგან და გაცოცხლდა" (გამოცხ. 13:11-14).

კრავის მსგავსი რქები და გველეშაპის ხმა სიმბოლურად მიუთითებს მკვეთრ წინაალმდეგობაზე გამოცხადებულ პრინციპებსა და ცხოვრებაში მათ პრაქტიკულ ალსრულებას შორის. აქ გამოსახულ სახელმწიფოში საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების მოქმედება ეწინაალმდეგება თავისუფლებისა და მშვიდობის პრინციპებს, რომელიც ჩადებულია მისი პოლიტიკის საფუძველში. წინასწარმეტყველება,

რომელიც ამტკიცებს, რომ "ლაპარაკობდა, როგორც გველეშაპი" და "მოქმედებდა პირველი მხეცის მთელი ხელმწიფებით", ნათლად მიგვითითებს დევნისა და შეუწყნარებლობის სულის განვითარებაზე, რომელიც ახასიათებდათ სახელმწიფოებს, გამოხატულთ გველეშაპისა და მხეცის სახით, "რომელიც ჰგავდა ავაზას". და მტკიცება იმისა, რომ ორრქიანი მხეცი მთელ დედამიწას და მის მკვიდრთ პირველი მხეცის თაყვანისცემას აიძულებს, მოწმობს იმას, რომ ეს ერი მთელ თავის ძლიერებას გამოიყენებს, რათა კაცობრიობა დაუმორჩილოს პაპს.

ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება ამ სახელმწიფოს მმართველობის

პრინციპებს, მის თავისუფლებისმოყვარე კანონებს, დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და კონსტიტუციის არაორაზროვან და საზეიმო პრინციპებს. ამ სახელმწიფოს ფუძემდებელნი ბრძნულად იქცეოდნენ, როდესაც სამოქალაქო ხელისუფლებას ეკლესიის ზეგავლენისაგან იცავდნენ, რათა არ მისულიყვნენ ისეთ გარდაუვალ შედეგებამდე, როგორიცაა შეუწყნარებლობა და დევნა. კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ "კონგრესს არა აქვს რაიმე რელიგიის დაკანონების ან მისი მრწამსის თავისუფლად აღიარების აღკვეთის უფლება" და რომ "რელიგია ამერიკის შეერთებულ შტატებში არასოდეს არ

უნდა იყოს პირობა საპასუხისმგებლო საზოგადოებრივი თანამდებობის დასაკავებლად". სამოქალაქო ხელისუფლების მიერ რომელიმე, ნებისმიერი რელიგიური მრწამსის ადამიანისათვის იძულებით თავსმოხვევა იმ პრინციპის სასტიკი დარღვევაა, რომელიც ერის თავისუფლების სადარაჯოზე დგას. ასეთი ნაბიჯის შეუთავსებლობა სრულებით შეესაბამება ამ ძალაუფლების გამომსახველ სიმბოლოს. იგი არის მხეცი კრავის რქებით - სიწმიდის, უბრალოებისა და უცოდველობის განსახიერება, მაგრამ ლაპარაკობს, როგორც გველეშაპი.

"ეუბნებოდა დედამიწის მკვიდრთ, რომ გაეკეთებინათ მხეცის ხატება". ეს

სიტყვები მიუთითებს მმართველობის ისეთ ფორმაზე, რომლის დროსაც საკანონმდებლო ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის და ეს ყველაზე გასაოცარი მოწმობაა იმისა, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებია ის სახელმწიფო, რომლის შესახებაც ლაპარაკია წინასწარმეტყველებაში.

მაგრამ რას წარმოადგენს "მხეცის ხატება" და როგორ ჩამოყალიბდება ის? იგი წარმოდგენილია ორრქიანი მხეცის სახით და პირველი მხეცის ხატებას წარმოადგენს. ამ ხატების არსისა და მისი ჩამოყალიბების გასაგებად კარგად უნდა ვიცოდეთ თვით მხეცის, ე.ი. პაპის ხელისუფლების თავისებურებანი.

როდესაც ადრეულმა ეკლესიამ წარმართული წეს-ჩვეულებანი და ტრადიციები მიიღო, დაკარგა სახარებისეული სიწმინდე და უბრალოება. ამით წაერთვა ღვთის სული და ძალა და ადამიანთა სინდისზე ბატონობისათვის სწრაფვით, იწყო მხარდაჭერის ძებნა სამოქალაქო ხელისუფლებაში. ამის შედეგად ჩამოყალიბდა პაპის ეკლესია, რომელიც აკონტროლებდა სახელმწიფო ხელისუფლებას და მას საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდა, განსაკუთრებით კი ე.წ. "ერეტიკოსებთან" ანგარიშსწორებისათვის... ამერიკის შეერთებული შტატების მიერ "მხეცის ხატების" შექმნისათვის, რელიგიურ იერარქიას უნდა დაემორჩილებინა

სახელმწიფო მმართველობა და მისი ავტორიტეტი თავისი მიზნის მისაღწევად უნდა გამოეყენებინა.

ყველა დროის ეკლესია სახელმწიფო ძალაუფლების შეძენის შემდეგ ცდილობს იმათ დასჯას, ვინც მის მოძღვრებას არ ღებულობს. რომის წამბაძველი პროტესტანტული ეკლესიები სამოქალაქო ხელისუფლებასთან შეკავშირდნენ და სინდისის თავისუფლების შეზღუდვას შეეცადნენ. ამის კარგი მაგალითია ანგლიკანური ეკლესია, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში დევნიდა მათ, ვინც არ ღებულობდა ამ ეკლესიის მოძღვრებას. საუკუნეში ათასობით ეკლესიის მსახური, რომელიც სახელმწიფო რელიგიას არ

იზიარებდა, იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი ეკლესია. მრავალი პასტორი და რიგითი მორწმუნე დააჯარიმეს, დააპატიმრეს, აწამეს და მოწამებრივი სიკვდილით მოკლეს.

განდგომილმა ეკლესიამ მხარდაჭერისა და დახმარების ძებნა დაიწყო სახელმწიფო ხელისუფლებაში. ამგვარად შეიქმნა პირობები პაპის-მხეცის მმართველობისათვის. პავლე მოციქული წერს: "ის დღე არ დადგება, სანამ უწინ არ მოვა განდგომილება და არ გამოჩნდება ურჯულოების კაცი, ძე დალუპვისა" (2თეს. 2:3).მაშასადამე, ეკლესიის განდგომილებამ მოუმზადა გზა მხეცის ხატების ჩამოყალიბებას.

ბიბლია გვასწავლის, რომ ქრისტეს მოსვლის წინ დადგება რელიგიური დაცემის პერიოდი, ზუსტად ისე, როგორც ეს იყო პირველ საუკუნეში. "უკანასკნელ დღეებში დადგება საზარელი ჟამი, ვინაიდან ადამიანები იქნებიან თავმოყვარენი, ვერცხლის მოყვარენი, ამაყნი, ამპარტავანნი, მგმობელნი, მშობლების ურჩნი, უმადურნი, უწმიდურნი, გამცემნი, თავხედნი, გაბღენძილნი, უფრო სიამეთა მოყვარულნი, ვიდრე ღვთისა, რომელთაც ღვთისმოსაობის სახე აქვთ, მის ძალას კი უარყოფენ" (2ტიმ. 3:1-5). "ხოლო სული გარკვევით ამბობს, რომ უკანასკნელ დღეებში ზოგიერთები განდგებიან რწმენისაგან, დაუჯერებენ მაცდურ სულებს და ეშმაკთა მოძღვრებებს"

(1ტიმ. 4:1). სატანა მოქმედებს "ყოველგვარი ყალბი ძალით, ნიშნებით, სასწაულებით და უსამართლობის ყველა საცდურით და იმის გამო, რომ მათ არ შეიწყნარეს ჭეშმარიტების სიყვარული თავის სახსნელად", თავისი თავის ანაბარა იქნებიან დატოვებულნი და "ამისათვის გაუგზავნის მათ ღმერთი მცდარ ქმედებას, რათა იწამონ სიცრუე" (2თეს. 2:9-11). როდესაც ეს უწმიდური ჟამი დადგება, შედეგი ისეთივე იქნება, როგორიც პირველ საუკუნეში.

ბევრი თვლის, რომ პროტესტანტულ ეკლესიებში დოქტრინათა მრავალფეროვნება იმის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს, რომ ძალადობით ერთიანობის მიღწევა

შეუძლებელია. მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში პროტესტანტულ ეკლესიებში დიდად იზრდება სწრაფვა რელიგიური და დოქტრინალური გაერთიანებისაკენ. ასეთი ერთიანობის მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭირო გახდება დისკუსიის უარყოფა იმ საკითხებში, რომლებშიც არ არსებობს თანხმობა, იმისდა მიუხედავად, თუ ბიბლიური თვალსაზრისით რა მნიშვნელობა აქვს ამ საკითხებს.

ჩარლზ ბიჩერმა 1846 წელს თავის ქადაგებაში თქვა, რომ "პროტესტანტული ეკლესიის მსახურნი არა მხოლოდ უბრალო, ადამიანური შიშის უჩვეულო ზემოქმედებით აკეთებენ ყველაფერს, არამედ ცხოვრობენ, მოძრაობენ და

სუნთქავენ ამ გაუწმიდურებულ ატმოსფეროში, მიჰყვებიან თავიანთი მდაბალი არსის მოთხოვნილებებს, ჩქმალავენ ჭეშმარიტებას და თავს ხრიან განდგომილი ძალაუფლების წინაშე. განა ასევე არ იყო რომთან დაკავშირებით? ხომ არ ვიმეორებთ იგივე ისტორიას? რა გველის მომავალში? სხვა მსოფლიო კრება! საყოველთაო შეთანხმება! ქრისტიანული კავშირი და ერთიანი, საყოველთაო დოქტრინა!" როდესაც ეს ალსრულდება, მაშინ მხოლოდ ერთი ნაბიჯი იქნება დარჩენილი ძალადობამდე, რადგან ეს სრული ერთიანობის შენარჩუნებას დასჭირდება.

როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი ეკლესიები მათ

მიერ მიღებული დოქტრინების გარშემო გაერთიანდებიან, ისინი შეეცდებიან, ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლებაზე თავიანთ დადგენილებათა დანერგვისა და თავიანთ ორგანიზაციათა მხარდაჭერის მიზნით და მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ პროტესტანტულ ამერიკაში ჩამოყალიბდება რომის იერარქიის მსგავსი სისტემა, რომლის უცილობელი შედეგი იქნება სახელმწიფო სასჯელის გამოყენება სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ.

ორრქიანი მხეცი აიძულებს ყველას - დიდებსა და პატარებს, მდიდრებსა და ღარიბებს, თავისუფლებსა და მონებს - მიიღონ "ნიშანი მარჯვენა ხელზე ან შუბლზე, რომ არავის

შეძლებოდა ყიდვა-გაყიდვა, იმათ გარდა, ვისაც ექნებოდა ნიშანი - მხეცის სახელი ან მისი სახელის რიცხვი" (გამოცხ. 13:16-17). მესამე ანგელოზი გვაფრთხილებს: "ვინც თაყვანს სცემს მხეცს და მის ხატებას და მიიღებს ნიშანს შუბლზე ან ხელზე, ის შესვამს ღვთის მძვინვარების ღვინისაგან". ამ გაფრთხილებაში ნახსენები "მხეცი", რომლის თაყვანისცემასაც აიძულებს ყველას ორრქიანი მხეცი, - ეს არის პირველი, ანუ "ავაზას" მსგავსი ცხოველი (გამოცხ. 13 თავი) - პაპის ძალაუფლება. "მხეცის ხატებას" წარმოადგენს პროტესტანტიზმის განდგომილების ფორმა, რომელიც მაშინ გამოჩნდება, როდესაც პროტესტანტული ეკლესიები,

თავიანთი კანონების იძულებითი გავრცელებისათვის მხარდაჭერის თხოვნით მიმართავენ სამოქალაქო ხელისუფლებას. გასაგები დაგვრჩა საკითხი "მხეცის ნიშნის" შესახებ.

ანგელოზის იმ გაფრთხილების შემდეგ, რომ არ ვცეთ თაყვანი მხეცს და მის ხატებას, წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: "აქაა წმიდანთა მოთმინება, რომლებიც იცავენ ღვთის მცნებებს და იესოს რწმენას". ვინაიდან უფლის მცნებების დამცველნი ეწინააღმდეგებიან მათ, ვინც თაყვანს სცემს მხეცს ან მის ხატებას, ან მიიღებს მის ნიშანს, აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ სწორედ უფლის კანონის დაცვა, და მეორეს მხრივ, მისი დარღვევა მოგვცემს

შესაძლებლობას, განვასხვაოთ ღვთის ჭეშმარიტი თაყვანისმცემელნი მათგან, ვინც თაყვანს სცემს მხეცს.

მხეცისა და მისი ხატების განსაკუთრებული თავისებურება უფლის კანონის დარღვევაში მდგომარეობს. დანიელ წინასწარმეტყველი ასე ამბობს "მომცრო რქის", ანუ პაპის მმართველობის შესახებ: "განიზრახავს მათთვის დროთა და რჯულის შეცვლას" (დან. 7:25). პავლე მოციქულმა ამ მმართველობას "ურჯულოების კაცი" უწოდა, რომელიც "აღზევებულია ყველაფერზე მაღლა, რაც სახელდებულია ღმერთად". ერთი წინასწარმეტყველება მეორეს ავსებს.

საკუთარი თავის ღმერთზე მაღლა ალზევება პაპის ძალაუფლებას მხოლოდ ღმერთის კანონის შეცვლით შეეძლო. და ის, ვინც შეგნებულად დაიცავს ამ დამახინჯებულ კანონს, უდიდეს პატივს მიაგებს ძალაუფლებას, რომელმაც ეს ცვლილებები მოახდინა. ადამიანი, რომელიც ემორჩილება პაპის კანონებს, მის ძალაუფლებას აღიარებს და უზენაესის ძალაუფლებაზე მაღლა აყენებს.

პაპის ძალაუფლება შეეცადა ღმერთის კანონის შეცვლას. მეორე მცნება, რომელიც კრძალავს ხატებისადმი თაყვანისცემას, კანონიდან ამოიღეს, ხოლო მეოთხე მცნება შეცვალეს და მეშვიდე დღის, - შაბათის უქმობის ნაცვლად კვირის

პირველი დღე დააწესეს. ამასთან ერთად, პაპისტები ამტკიცებენ, რომ მეორე მცნება შედის პირველში, იგი მისი შემადგენელი ნაწილია და რომ ისინი კანონს სწორედ ისე წარმოადგენენ, როგორც უფალს სურს. მაგრამ ასეთი ცვლილების შესახებ როდი გვესაუბრება წინასწარმეტყველი! აქ ლაპარაკია წინასწარგანზრახულ, წინასწარმოფიქრებულ ცვლილებაზე. "განიზრახავს მათთვის დროისა და რჯულის შეცვლას". მეოთხე მცნების შეცვლა ზუსტად შეესაბამება წინასწარმეტყველების აღსრულებას. აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მხოლოდ ეკლესიას აქვს ასეთი ცვლილებების უფლება. ამგვარად, პაპის ხელისუფლებამ საჯაროდ

გამოაცხადა ღმერთზე თავისი უპირატესობა.

ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანები ძირითადად გამოირჩევიან მეოთხე მცნების დაცვით, რადგან სწორედ იგია ნიშანი უფლის შემოქმედებითი ძალისა და მოწმობა იმისა, რომ მხოლოდ ღმერთს უნდა მივაგოთ დიდება და პატივი, რადგან იგი მხოლოდ მას ეკუთვნის. მხეცის თაყვანისმცემლები შემოქმედის მიერ დაწესებული დღის გაუქმებისაკენ სწრაფვით გამოირჩევიან და უფლის კანონზე მაღლა რომის დადგენილებებს აყენებენ. თავისი ქედმაღლური პრეტენზია პაპის ხელისუფლებამ პირველად მაშინ წამოაყენა, როდესაც კვირა დღის საკითხი დადგა, როდესაც მან

დახმარებისათვის სამოქალაქო ხელისუფლებას მიმართა, რათა აეძულებინა ადამიანები, პატივი მიეგოთ ამ დღისათვის, როგორც "უფლის დღისათვის". მაგრამ ბიბლია გვასწავლის, რომ უფლის დღე არის მეშვიდე დღე - შაბათი და არა კვირის პირველი დღე. ქრისტემ თქვა: "კაცის ძე შაბათის უფალიც არის ". მეოთხე მცნება გვეუბნება: "მეშვიდე დღე - უფლის შაბათია". უფალიც ესაია წინასწარმეტყველის მეშვეობით ამ დღეს შემდეგი სიტყვებით განსაზღვრავს: "ჩემს წმიდა დღეს" (ეს. 58:13).

ისინი ხშირად ამბობენ, რომ ქრისტემ გააუქმა შაბათი, მაგრამ ამ მტკიცებას თავად უფალი უარყოფს; მთაზე ქადაგების დროს მან თქვა: "არ

იფიქროთ, თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი. გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვიდრე ცა და დედამიწა არ გადაივლის, არც ერთი იოტა ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება. ამრიგად, ვინც დაარღვევს ერთს ამ უმცირეს მცნებათაგანს და ისე ასწავლის ადამიანებს, უმცირესი დაერქმევა მას ცათა სასუფეველში" (მათ.5:17-19).

საერთოდ, პროტესტანტები აღიარებენ, რომ წმიდა წერილი არ იძლევა შაბათის შეცვლის საფუძველს. ეს აზრი ნათლად არის ჩამოყალიბებული ამერიკის

საზოგადოების ცნობილი გამომცემლობების პუბლიკაციებში და საკვირაო სკოლების ამერიკულ კავშირში. მათ ერთ-ერთ სტატიაში ალიარებულია "ახალი ალთქმის აბსოლუტური დუმილი კვირადღის დაცვის მცნების შესახებ".

   არსებობს ასეთი აზრიც: "ქრისტეს ჯვარცმამდე არავითარი ცვლილება არ მომხდარა ამ დღესთან დაკავშირებით და რამდენადაც ამას წმიდა წერილი მოწმობს, მოციქულებსაც არავითარი მითითება არ დაუტოვებიათ მეშვიდე დღის, შაბათის გაუქმებისა და მის ნაცვლად კვირის პირველი დღის დაწესების შესახებ".

   რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელნი არ უარყოფენ

იმას, რომ უფლის დღე მათმა ეკლესიამ შეცვალა. ამასთან ერთად ხაზგასმით ალნიშნავენ, რომ პროტესტანტები კვირა დღის დაცვით რომის ავტორიტეტს ალიარებენ. "კათოლიკეთა ქრისტიანულ კატეხიზმში" კითხვაზე: "რომელი დღე უნდა დავიცვათ მეოთხე მცნების თანახმად?" პასუხი ასეთია: "კანონის თანახმად, შაბათი იყო წმიდა დღე; მაგრამ ქრისტეს ეკლესიამ, სულიწმიდის ხელმძღვანელობით, შაბათი კვირა დღით შეცვალა; ამგვარად, ახლა ჩვენ ვიცავთ კვირის პირველ და არა მეშვიდე დღეს. კვირა დღე ჩვენთვის უფლის დღეა".

პაპისტები კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტის სიმბოლოდ მიიჩნევენ "თვით შაბათის კვირა დღით

შეცვლის აქტს, რომელსაც პროტესტანტებიც ეთანხმებიან... რადგანაც, კვირა დღის დაცვით ისინი ალიარებენ ეკლესიის უფლებას, რომ დააწესოს დღესასწაულები, ხოლო მისი უარყოფა - ცოდვად გამოაცხადოს". ასეთ შემთხვევაში რას წარმოადგენს შაბათის შეცვლა, თუ არა რომის ეკლესიის ავტორიტეტის ნიშანს - "მხეცის ნიშანს".

    რომის ეკლესია არ უარყოფს თავის პრეტენზიებს უმაღლეს ხელისუფლებაზე და როდესაც მთელმა მსოფლიომ და მათ შორის პროტესტანტულმა ეკლესიებმაც მიიღეს მის მიერ დაწესებული შაბათი და უარყვეს ჭეშმარიტი ბიბლიური შაბათი, ამით ფაქტიურად აღიარეს რომის

ეკლესიის უმაღლესი ხელისუფლება. ეს ცვლილება შეიძლება გამართლებულ იქნას ეკლესიის ტრადიციებით და წმიდა მამების ავტორიტეტით, მაგრამ მისი მიღებით პროტესტანტები უგულვებელყოფენ მთავარ პრინციპს, რომლითაც ისინი რომის ეკლესიებისაგან გამოირჩევიან, სახელდობრ: "ბიბლია და მხოლოდ ბიბლია არის პროტესტანტთა რელიგია". პაპისტებს კარგად ესმით, რომ პროტესტანტები ამ ფაქტზე თვალის დახუჭვით თავს იტყუებენ. ისინი მეტად კმაყოფილი არიან იმით, რომ ბევრი რელიგიური მიმართულება ღებულობს კვირა დღეს, როგორც უფლის დღეს - და ეს რომს მატებს იმის რწმენას, რომ ბოლოს და ბოლოს, მთელი

პროტესტანტული სამყარო მისი დროშის ქვეშ გაერთიანდება.

პაპისტები აცხადებენ, რომ "კვირა დღის დაცვით პროტესტანტები თავისდაუნებურად აღიარებენ კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლებას". კვირა დღის დაცვით პროტესტანტული ეკლესიები აიძულებენ ხალხს, თაყვანი სცენ პაპის ძალაუფლებას, ე.ი. მხეცს. ის, ვინც მეოთხე მცნების მოთხოვნას ასრულებს, მაგრამ ჭეშმარიტი შაბათის ნაცვლად ცრუ შაბათს იცავს, პატივს მიაგებს იმ ძალაუფლებას, რომელმაც შეცვალა უფლის წმიდა კანონი. ადამიანებს სამოქალაქო ხელისუფლების ძალით ავალდებულებენ აღასრულონ ეს რელიგიური მოთხოვნა, რითაც

ეკლესიები თავად ატარებენ "მხეცის ნიშანს"; აქედან გამომდინარე, ადამიანთა იძულება, დაიცვან კვირა დღე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიშნავს "მხეცის და მისი ხატების" თაყვანისცემისის მოთხოვნას.

წარსულ საუკუნეში ქრისტიანებს, იცავდნენ რა კვირა დღეს, მტკიცედ სწამდათ, რომ იცავენ ბიბლიურ შაბათს. დღეს ყოველ ეკლესიაში, და მათ შორის კათოლიკურშიც, არიან ჭეშმარიტი ქრისტიანები, დარწმუნებული იმაში, რომ კვირა დღე - უფლის მიერ დაწესებული შაბათია. უფალი ღებულობს მათ წრფელ მსახურებას და ამ საკითხისადმი მათ პატიოსან მიდგომას. მაგრამ, როდესაც კვირა

დღის დაცვა კანონის ძალით მოხდება, კაცობრიობას კი ეცოდინება ჭეშმარიტება უფლის შაბათის შესახებ, მაშინ რომის ბრძანების გამო, უფლის მცნებათა ყოველი დამრღვევი უფრო მეტ პატივს მიაგებს პაპს, ვიდრე ღმერთს. იგი დაემორჩილება რომს და იმ ხელისუფლებას, რომელიც მას თავისი დადგენილებების შესრულებას აიძულებს. და მაშინ იგი "თაყვანს სცემს მხეცს და მის ხატებას". უარყოფენ რა ღმერთის დადგენილებას, რომელიც უფლის ძალაუფლების ნიშანია და მიიღებენ რომის დადგენილებებს - მისი ხელისუფლების უზენაესობის ნიშნად, ადამიანები რომისადმი ერთგულების გამომხატველ - "მხეცის

ნიშანს" იღებენ. როდესაც ყოველივე ამის არსს შეიმეცნებენ და უფლის მცნებებსა და ადამიანის მიერ დადგენილ მცნებათა შორის არჩევანის წინაშე დადგებიან, მხოლოდ მაშინ მიიღებენ "მხეცის ნიშანს" უფლის მცნებათა ჯიუტად უარმყოფელნი.

მესამე ანგელოზი ადამიანებს ამცნობს მეტად სერიოზულ და მრისხანე გაფრთხილებას, რაც ოდესმე მოკვდავისადმი ყოფილა მიმართული. ლაპარაკია საშინელ ცოდვაზე, რომელიც გამოიწვევს უფლის მძვინვარებას ცოდვილზე და მაშინ უფლის რისხვა არ იქნება წყალობასთან შეზავებული. ადამიანები, რასაკვირველია, არ უნდა დარჩნენ უმეცარნი ამ მეტად

მნიშვნელოვან საკითხში. კაცობრიობას უნდა მიეცეს გაფრთხილება ამ ცოდვის წინააღმდეგ მანამ, სანამ უფალი დედამიწას თავის სამსჯავროს მოუვლენს. ყველამ კარგად უნდა იცოდეს ამ სამსჯავროს შესახებ, რათა მომავლის სასჯელი ხალხს მოულოდნელად არ დაატყდეს თავს და გადარჩენის შესაძლებლობა მიეცეს. წინასწარმეტყველებაში ნათქვამია, რომ პირველი ანგელოზი თავისი სახარებით მიმართავს "ყოველ ერს და ტომს, ენასა და ხალხს". მესამე ანგელოზის გაფრთხილება, რომელიც სამი ანგელოზის სახარების ნაწილს წარმოადგენს, არანაკლებ ფართო გაქანებას მიიღებს.

წინასწარმეტყველებაში ნათქვამია, რომ ანგელოზი ამ გაფრთხილებას "დიდი ხმით" წარმოთქვამდა და ზეცის შუა დაფრინავდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მთელი მსოფლიოს ყურადღებას მიიპყრობს.

ბრძოლის დამთავრებისას მთელი საქრისტიანო ორ ნაწილად გაიყოფა. ერთნი, ვინც იცავს უფლის მცნებებს და აქვთ იესო ქრისტეს რწმენა და მეორენი, ვინც თაყვანს სცემს მხეცს, მის ხატებას და მიიღებს მის ნიშანს. თუმცა ეკლესია და სახელმწიფო გააერთიანებს თავის ძალებს, რათა აიძულონ "ყველა - დიდები და პატარები, მდიდრები და ღარიბები, თავისუფლები და მონები" (გამოცხ. 13:16) - მიიღონ მხეცის ნიშანი, ღვთის ხალხი მაინც არ მიიღებს მას.

წინასწარმეტყველმა იოანემ კუნძულ პატმოსზე ყოფნისას უკვე იხილა ისინი, ვინც გაიმარჯვეს მხეცზე, მის ხატებაზე, მის ნიშანსა და მისი სახელის რიცხვზე. ისინი "დგანან მინის ზღვაზე და უპყრიათ ღვთის ქნარები და გალობენ ღვთის მორჩილის მოსეს გალობას და კრავის გალობას" (გამოცხ. 15:2-3).

თავი 26 რეფორმის ჟამი

ესაია წინასწარმეტყველი ამბობს, რომ უკანასკნელ დღეებში ადამიანები დაუბრუნდებიან

შაბათის დღესასწაულს: "ასე ამბობს უფალი: შეინახეთ რჯული და ქმენით სამართალი, რადგან სადაც არის, მოვა ჩემი ხსნა და ჩემი სამართალი გაცხადდება. ნეტარია ის კაცი, ვინც აკეთებს ამას და ადამის ძე, ვინც ამას ეჭიდება; უმწიკვლოდ შემნახველი შაბათისა და ყოველი ავის ქმნისგან ხელის დამყენებელი". "უცხოთა შვილებს, რომლებიც მიეკრნენ უფალს, რომ ემსახურონ უფალს და უყვარდეთ მისი სახელი, რომ იყვნენ მისი მორჩილნი, ყველას, შაბათის უმწიკვლოდ შემნახველს და ჩემი ალთქმის მტკიცედ დამჭერს, მოვიყვან ჩემს წმიდა მთაზე და ჩემს სამლოცველო სახლში გავახარებ" (ეს. 56:1,2,6,7).

ეს სიტყვები ქრისტიანულ ხანასაც მიესადაგება. როგორც კონტექსტიდან ჩანს: "ამბობს უფალი ღმერთი. გაფანტული ისრაელის შემკრები: კიდევაც შევკრებ და მივუმატებ უკვე შეკრებილებს" (ეს. 56:8). აქ სიმბოლურად არის ნათქვამი, რომ სახარების ქადაგება გააერთიანებს წარმართებს. და კურთხევა აქვს ალთქმული ყველას, ვინც დაიცავს და პატივს მიაგებს შაბათს. ამიტომაც, მეოთხე მცნება ძალაში რჩება ქრისტეს ჯვარცმის, აღდგომისა და ცად ამაღლების შემდეგაც და ვრცელდება იმ პერიოდშიც, როდესაც უფლის მსახურნი გადარჩენის სახარებას ყველა ხალხს უქადაგებენ.

უფალი ბრძანებს წინასწარმეტყველის პირით: "შეჰკარი

ეს ანდერძი, დაბეჭდე რჯული ჩემს მოწაფეებში" (ეს. 8:16). უფლის კანონის ბეჭედი - მეოთხე მცნებაა. დანარჩენ ცხრა მცნებათაგან მხოლოდ მასშია გაცხადებული კანონმდებლის სახელი და ტიტული. ეს მცნება ამტკიცებს: უფალი არის შემოქმედი ცისა და მიწისა, საიდანაც უფლის, როგორც უზენაესის, თაყვანისა და პატივისცემის მოთხოვნა გამომდინარეობს. უფლის არც ერთ მცნებაში, გარდა მეოთხისა, არ არის მითითებული, თუ ვისი ძალაუფლების მიერაა გამოცემული კანონი. როდესაც პაპის ხელისუფლებამ შაბათი შეცვალა, კანონს ბეჭედი აეხსნა. იესოს მოწაფენი მოწოდებული არიან, რომ ალადგინონ მეოთხე მცნების

კანონიერი მდგომარეობა და აამაღლონ იგი, როგორც უზენაესის ძალაუფლების ნიშანი და უფლის დღე.

"მიმართეთ რჯულსა და ანდერძს". სხვადასხვა კანონთა და თეორიათა შორის უფლის კანონი არის ერთადერთი საზომი, რომლის მეშვეობითაც უნდა შემოწმდეს ყოველგვარი თვალსაზრისის, მოძღვრებისა თუ თეორიის ჭეშმარიტება. წინასწარმეტყველი ამტკიცებს: "თუ არ ამბობენ ამ სიტყვის მიხედვით, ნათქვამს არა აქვს აზრი" (ეს. 8:20).

კვლავ გაისმის უფლის ბრძანება: "ხმამაღლა იყვირე, თავს ნუ დაიზოგავ; ბუკივით აღიმაღლე ხმა და გამოუცხადე ჩემს ხალხს მისი

დანაშაული და იაკობის სახლს მისი ცოდვები (ეს. 58:1). ეს სიტყვები ეხება არა ურწმუნო მსოფლიოს, არამედ (უფალი კიცხავს ჩადენილი ურჯულოებისათვის) მათ, ვისაც იგი "თავის ხალხს" უწოდებს. და შემდეგ ამბობს: "ყოველდღე მეძებენ მე და ჩემი გზების გაგება სურთ იმ ხალხის მსგავსად, სიმართლით რომ იქცევიან და თავიანთი ღმერთის სამართალს არ ივიწყებენ" (ეს. 58:1-2). აქ ნაჩვენებია ადამიანები, რომელნიც თავს მართლებად თვლიან და გარეგნულად გულმოდგინედ ემსახურებიან ღმერთს, მაგრამ ის, ვინც ადამიანთა გულში იხედება, ისე მკაცრად და მრისხანედ ამხელს მათ, რომ ცხადი ხდება - ისინი უფლის კანონებს არ იცავენ.

ადამიანთა მიერ უგულვებელყოფილ მცნებათა შესახებ წინასწარმეტყველი ამბობს: "აგიშენდება ძველი ნაოხარნი, ალადგენ ძველისძველ საძირკვლებს და დაგერქმევა დანგრეულის ამშენებელი, გზათა განმაახლებელი მკვიდრი ხალხისათვის. თუ შეაბრუნებ შენს ფეხს შაბათისაგან, რომ დათრგუნო სურვილი ჩემს წმიდა დღეს, შერაცხავ შაბათს სანეტაროდ და უფლის წმიდად მის განსადიდებლად, და პატივს მიაგებ მას, არ მოიქცევი შენი ჩვეულებით, სურვილს არ აისრულებ და ფუჭსიტყვაობას არ მოჰყვები, მაშინ ინეტარებ უფალში" (ეს. 58:12,13). ეს წინასწარმეტყველება ჩვენს დღეებსაც ეკუთვნის. შაბათის შეცვლით რომის

ხელისუფლებამ სრულად დაარღვია უფლის კანონი. მაგრამ დადგა უფლის დადგენილებათა აღდგენის ჟამი. უნდა ამოივსოს მასში შექმნილი სიცარიელე და უნდა აშენდეს მტკიცე საძირკველი მრავალი თაობისათვის.

ადამი იცავდა უფლის მიერ განწმედილი და კურთხეული შაბათის სიმშვიდეს არა მხოლოდ დაცემამდე, არამედ მისი ნეტარი სამშობლოდან განდევნის შემდეგაც. შაბათს იცავდა ყველა პატრიარქი, დაწყებული აბელით და დამთავრებული მართალი ნოეთი, აბრაამითა და იაკობით. როდესაც რჩეული ხალხი ეგვიპტის ტყვეობაში იმყოფებოდა, იქ, წარმართთა ქვეყანაში გამეფებულ კერპთაყვანისმცემლობას შორის

მრავალს დაავიწყდა უფლის კანონი. მაგრამ ისრაელის ეგვიპტის მონობიდან გათავისუფლების შემდეგ უფალმა საზეიმოდ, საჯაროდ გამოუცხადა თავისი კანონი ურიცხვ ადამიანთა კრებას, რათა ხალხს სცოდნოდა უზენაესის ნება, დამორჩილებოდა მას და მისი მოშიშება ჰქონოდა საუკუნოდ.

იმ ხნიდან დღემდე დედამიწაზე შემონახულია უფლის კანონის ცნება და შაბათს იცავდნენ მეოთხე მცნების თანახმად. თუმცა "ურჯულოების კაცმა" შესძლო ღვთის წმიდა დღის ფეხით გათელვა, მაგრამ მისი ბატონობის პერიოდშიც კი იყვნენ ადამიანები, რომელნიც ამ დღეს ფარულად იცავდნენ. რეფორმაციის დღეებიდან მოყოლებული, ყოველ

თაობაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც იცავდნენ. ლანძღვისა და დევნის მიუხედავად, ღვთის ერთგული შვილები მუდამ მოწმობდნენ, რომ უფლის კანონი მარადიულია და შემოქმედის შაბათის დაცვა ყოველი ადამიანის წმიდა მოვალეობაა.

როგორც გამოცხადების წიგნის მე-14 თავშია ალნიშნული, ეს ჭეშმარიტებანი, "მარადიულ სახარებასთან" დაკავშირებით, ქრისტეს ეკლესიის განმასხვავებელი ნიშანი იქნება უფლის მოსვლისას, რადგან სამი ანგელოზის სახარების გაცხადების შემდეგ უფალი შეკრებს ხალხს, რომელიც იცავს ღვთის მცნებებს და აქვს იესოს რწმენა. ეს არის ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ

მსოფლიოს მიმართ უკანასკნელად წარმოთქმული სახარება. მთელ მსოფლიოში მისი გამოცხადების შემდეგ, როგორც ეს წინასწარმეტყველმა იხილა, კაცის ძე მოვა სულ მალე თავისი დიდებით, რათა მოაგროვოს სამკალი.

ისინი, ვინც მიიღო საწმიდარისა და ღვთის კანონის უცვლელობის ნათელი, სიხარულითა და აღტაცებით აღივსნენ გაცხადებული ჭეშმარიტების სილამაზისა და ჰარმონიის გამო. მათ სურდათ ჭეშმარიტების ეს ძვირფასი ნათელი ყველა ქრისტიანისათვის გაეზიარებინათ და ეჭვიც არ ეპარებოდათ იმაში, რომ ადამიანები მას გაიგებდნენ და სიხარულით მიიღებდნენ. მაგრამ ჭეშმარიტებამ,

რომელმაც ისინი წუთისოფელს დაუპირისპირა, არ გამოიწვია იმათი ალფრთოვანება, ვინც თავს ქრისტეს მიმდევრად თვლიდა. მეოთხე მცნების აღსრულება მსხვერპლს ითხოვდა და უმრავლესობამ არ გაილო იგი.

ამქვეყნიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, მრავალნი მსჯელობდნენ ღირს თუ არა შაბათის შენახვა? "ჩვენ ყოველთვის ვიცავდით კვირას ჩვენი მამების მსგავსად. მრავალი ღვთისმოსავი და კეთილი ადამიანიც იცავდა ამ დღეს და ისინი მართლებად კვდებოდნენ. და თუკი ისინი მართლები იყვნენ, ჩვენც მართლები ვართ ამ საკითხში. შაბათის დაცვა გაგვრიყავს მთელი დანარჩენი სამყაროსაგან და ჩვენ

ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოვახდენთ მასზე. რისი იმედი უნდა ჰქონდეს შაბათი დღის დამცველ ერთ მუჭა ხალხს, როცა კვირა დღის დამცველ უზარმაზარ მსოფლიოს დაუპირისპირდება?" იუდეველნი სწორედ ამგვარი მტკიცებებით ცდილობდნენ თავის მართლებას ქრისტეს უარყოფის გამო. მათი მამები მსხვერპლს სწირავდნენ ღმერთს. უფალიც ღებულობდა მათ და რატომ არ შეუძლიათ მათ შვილებს ხსნის მიღება იმავე გზაზე სიარულით? ზუსტად ასევე ამტკიცებდნენ პაპის წარმომადგენლები ლუთერის დღეებში: რადგან ჭეშმარიტი ქრისტიანები კათოლიკეებად კვდებოდნენ, მაშასადამე, ამ

რელიგიას მოაქვს ხსნა. ასეთი დასკვნები მეტად სერიოზულ წინაალმდეგობებს უქმნის რელიგიური რწმენისა და ცხოვრების ყოველგვარ განვითარებას.

ბევრი ამტკიცებდა, რომ კვირა დღის დაცვა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კანონით დაწესებული დღეა ეკლესიისათვის. მაგრამ ამ მტკიცების უარყოფა იმით შეიძლება, რომ შაბათი დღის დაცვა - უფრო ძველი და უფრო ფართოდ გავრცელებული წესია, ისეთივე ძველი, როგორც დედამიწა და იგი ღმერთისა და მისი ანგელოზების მიერაა კურთხეული. "როცა გალობდნენ დილის ვარსკვლავები და ყიჟინობდნენ ღვთისშვილები" და უფალმა შექმნა დედამიწა, მაშინ

დაწესდა შაბათი დღეც (იობ. 38:6,7; დაბ. 2:1-3). აი, რატომ უნდა მივაგოთ პატივი შაბათს: იგი არ არის დაწესებული ადამიანის მიერ და არ არის დაფუძნებული ადამიანურ გადმოცემებზე; იგი დადგენილია "ძველი დღეთა"-ს მიერ და მისი მარადიული სიტყვა ბრძანებს ამ დღის დაცვას.

როდესაც ადამიანები მიხვდნენ, რომ შაბათი შეცვლილია, წამყვან ეკლესიათა მსახურებმა იწყეს წმიდა წერილის დამახინჯებულად განმარტება, რათა მოედუნებინათ მათი გამოღვიძებული გონება. და ვინც დამოუკიდებლად არ სწავლობდა ღვთის სიტყვას, დიდი კმაყოფილებით ღებულობდა ასეთ დასკვნას, რადგან მის სურვილებს

პასუხობდა. ბევრი ცდილობდა ჭეშმარიტების უარყოფას სხვადასხვა ხრიკებით, იშველიებდა რა მამების გადმოცემებსა და ეკლესიის ავტორიტეტს. მისმა დამცველებმა კი მეოთხე მცნების კანონიერების დასამტკიცებლად ბიბლიას მიმართეს. უბრალო ადამიანები, მხოლოდ ღვთის სიტყვით შეიარაღებულნი, გაბედულად იგერიებდნენ სწავლულთა იერიშებს, რომელნიც განცვიფრებითა და რისხვით ხედავდნენ, თუ რა უძლური იყო მთელი თავიანთი მჭევრმეტყველური სოფისტიკა მათ უბრალო და პირდაპირ მტკიცებათა წინააღმდეგ, ვინც წმიდა წერილში უფრო იყო ჩახედული, ვიდრე სწავლულთა სიბრძნეში.

ბევრნი, რომელთაც ღვთის სიტყვიდან ხელთ არავითარი მტკიცება არ ჰქონდათ და რომელთაც დაავიწყდათ, რომ ოდესღაც ფარისევლებიც ასევე ცდილობდნენ ქრისტესა და მის მოციქულთა დადანაშაულებას, ჯიუტად განაგრძობდნენ მტკიცებას: შაბათის შესახებ ამ თვალსაზრისს "რატომ არ იზიარებენ ჩვენი სახელოვანი მამები და სწავლულები? მხოლოდ ადამიანთა უმცირესობას სწამს ის. დაუშვებელია, რომ თქვენ იყოთ მართლები, ხოლო მსოფლიოს ყველა ღვთისმეტყველი ცდებოდეს".

ასეთ არგუმენტთა უარყოფისათვის საკმარისია მივმართოთ წმიდა წერილს და თავის ხალხთან უფლის დამოკიდებულებას ყველა

საუკუნეში. უფალი მოქმედებს მათი მეშვეობით, ვისაც ესმის მისი ხმა და ვინც მისი მორჩილია, ვინც საჭიროების შემთხვევაში გამოთქვამს მკაცრ ჭეშმარიტებას და არ შეეშინდება, ამხილოს გავრცელებული ცოდვები. საჭირო რეფორმის გატარებისათვის უფალი იშვიათად ირჩევს განსწავლულ და წარჩინებულ ადამიანებს, რადგან ასეთი ადამიანები უფრო მეტად ენდობიან საკუთარ თვალსაზრისს, თეორიებსა და ღვთისმეტყველურ წყობას და ღმერთისაგან სწავლის მოთხოვნილება არ გააჩნიათ. წმიდა წერილის შემეცნება და განმარტება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ახლოს არის სიბრძნის წყაროსთან. ზოგჯერ ჭეშმარიტების გავრცელებას

ნაკლებად განათლებულ ადამიანებს ანდობენ - არა მათი მცირე განათლების გამო, არამედ იმიტომ, რომ ისინი არ არიან იმდენად თავდაჯერებულნი, რომ არ ისწავლონ უფლისაგან. ისინი ქრისტეს სკოლაში ღებულობენ განათლებას და მაღლდებიან თავიანთი მორჩილებითა და თავმდაბლობით. ანდობს რა თავისი ჭეშმარიტების შემეცნებას და გავრცელებას, უფალი ისეთ პატივს მიაგებს მათ, რომლის გვერდითაც ყოველგვარი ამქვეყნიური, ადამიანური დიდება ფერმკრთალდება.

ადვენტისტთა უმრავლესობამ უარყო ჭეშმარიტება საწმიდარისა და უფლის კანონის შესახებ, ბევრმა დატოვა ადვენტისტური მოძრაობა,

რადგან მიიღო წინასწარმეტყველების ამ საკითხთა საპირისპირო თვალსაზრისი. ზოგი ქრისტეს მოსვლის დროის გამოთვლამ გაიტაცა, რამაც შეცდომაში შეიყვანა. ნათელს, რომელმაც გააშუქა საკითხი საწმიდარის შესახებ, უნდა ეჩვენებინა მათთვის, რომ არც ერთი წინასწარმეტყველური პერიოდი არ განსაზღვრავს უფლის მეორედ მოსვლის თარიღს, რომ მისი მოსვლის ზუსტი დრო უფალს წმიდა წერილში არ დაუდგენია. მაგრამ ზურგი აქციეს რა სიმართლეს, ისინი კვლად და კვლავ ასახელებდნენ უფლის მოსვლის თარიღს და ყოველთვის მწარედ უცრუვდებოდათ იმედები.

    როდესაც თესალონიკელთა ეკლესიაში თავი იჩინა ქრისტეს

მეორედ მოსვლის არასწორმა გაგებამ, პავლე მოციქული მათ ურჩევდა, თავიანთი იმედები და მოლოდინი მთელი გულისყურითა და ყურადღებით ღვთის სიტყვის მეშვეობით გადაემოწმებინათ. მან მორწმუნეთ მიუთითა შესაბამის წინასწარმეტყველებაზე იმ მოვლენების შესახებ, რომელთაც ადგილი ექნებათ ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ და გააფრთხილა, რომ იმ დღეებში ქრისტეს მოლოდინის არავითარი საფუძველი არ გააჩნიათ. "არანაირად არ გაცდუნოთ ვინმემ" (2თეს. 2:3). მათ რომ იმ იმედით ეცოცხლათ, რომლისთვისაც წმიდა წერილში არავითარი საფუძველი არ არსებობს, ეს უცილობლად გამოიწვევდა მათ არასწორ

მოქმედებას და ურწმუნოთა დაცინვის საგანი გახდებოდნენ, რითაც მოსალოდნელი იყო ეჭვი შეეტანათ ჭეშმარიტებაში, რომელიც ასე აუცილებელია ადამიანთა გადარჩენისათვის. მოციქულის გაფრთხილება თესალონიკელთა მიმართ (იხ. 2თეს. 2:3) მნიშვნელოვანი გაკვეთილია ბოლო ჟამის მორწმუნეთათვის. ბევრი ადვენტისტი ვარაუდობს: ვისაც უფლის გამოჩენის დროის მიმართ რწმენა არ გააჩნია, ის დაუდევრობას იჩენს მასთან შეხვედრისათვის მომზადების საქმეში. მაგრამ, რადგან მათი იმედები ყოველთვის ცრუვდება, რწმენაც თანდათანობით სუსტდება და მათ უკვე აღარ შეუძლიათ

წინასწარმეტყველებათა უდიდესი ჭეშმარიტების მიღება.

სამსჯავროსათვის განსაზღვრული დრო პირველი ანგელოზის უწყებაში უფლის ნებითაა მითითებული. წინასწარმეტყველური პერიოდის გამოთვლები, რომელსაც ეს სახარება ეყრდნობა და რომელიც გვიჩვენებს, რომ 2300 დღე 1844 წლის შემოდგომაზე მთავრდება, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამ წინასწარმეტყველური პერიოდის დასაწყისისა და დასასრულის განსაზღვრის მრავალი მცდელობა და მტკიცებანი, რომლებიც ვერ უძლებს კრიტიკას და, რაც ასე აუცილებელია ამ თარიღთა დაზუსტებისათვის, არა მხოლოდ აშორებს ადამიანებს ჭეშმარიტებას, არამედ ეჭვს იწვევს

წინასწარმეტყველების განმარტების ყველა მცდელობის მიმართ. რაც უფრო ხშირად ადგენენ უფლის მოსვლის კონკრეტულ თარიღს და რაც უფრო ფართოდ იქადაგება იგი ხალხის მასებში, მით უფრო მეტი წყალი ესხმება სატანის წისქვილს. როდესაც ამაოდ გადის დანიშნული დრო, ხალხში ამგვარ წინასწარმეტყველებისადმი ეჭვი და სიძულვილი იღვიძებს, რაც ჩრდილს აყენებს 1843-44 წლების უდიდეს ადვენტისტურ მოძრაობას. ისინი, ვინც კვლავ ჯიუტად იმეორებენ თავიანთ შეცდომებს, ბოლოს და ბოლოს გამოთვლიან უფლის მოსვლის თარიღს, რომელიც ამ მოვლენას შორეულ მომავალში გადაიტანს. მაშინ მათ მოტყუებითი

უზრუნველობის გრძნობა დაეუფლებათ და მრავალი ადამიანი სამარადისოდ დაკარგული ალმოჩნდება უფლისათვის.

ძველი ისრაელის ისტორია საოცარი სურათია იმ გამოცდისა, რომელიც ადვენტისტთა ეკლესიას ხვდა წილად. უფალი ისევ ისე მართავს თავის ხალხს ადვენტისტურ მოძრაობაში, როგორც თავისი რჩეული ხალხის ეგვიპტიდან გამოყვანას ხელმძღვანელობდა. მათი რწმენა ისეთივე უდიდესი იმედგაცრუებით გამოიცადა, როგორც ებრაელთა რწმენა მეწამულ ზღვასთან. ისინი რომ სრულად მინდობოდნენ უფლის უძლიერეს ხელს, რომელიც მათ წარსულში მართავდა, დაინახავდნენ უფლის მიერ შემოთავაზებულ

გადარჩენის გზას. 1844 წლის მოძრაობის მონაწილეებს რომ მიელოთ მესამე ანგელოზის სახარება და სულიწმიდის ძალით ექადაგათ იგი, უფალი მათი მეშვეობით უდიდეს საქმეებს აღასრულებდა. დედამიწას მოეფინებოდა სინათლის უდიდესი ნაკადი. დედამიწის მკვიდრნი უკვე დიდი ხნით ადრე მიიღებდნენ გაფრთხილებას, მსახურების ბოლო ეტაპიც უკვე დასრულებული იქნებოდა და ქრისტე მოვიდოდა თავისი ხალხის სახსნელად.

უფლის ნება არ იყო ის, რომ ისრაელს 40 წლის განმავლობაში ეხეტიალა უდაბნოში; მას განზრახული ჰქონდა მათი შეყვანა ქანაანის მიწაზე, სადაც ისინი

მართალი და ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრებდნენ. მაგრამ "მათ ვერ შეძლეს შესვლა ურწმუნობის გამო" (ებრ. 3:19). ურწმუნობამ და განდგომილებამ დალუპა ისინი, ალთქმული მიწა კი წილად სხვა თაობას ხვდა. ახლაც ასევე უფლის ნების საწინააღმდეგოდ ყოვნდება ქრისტეს მოსვლა და მორწმუნენიც ასე დიდხანს რჩებიან ამ ცოდვისა და ტანჯვის წუთისოფელში. ისინი ურწმუნოებამ დააშორა ღმერთს. და რადგან უარი თქვეს უფლის დავალების შესრულებაზე, სხვები აღდგნენ სახარების გამოსაცხადებლად. წუთისოფლისადმი თანაგრძნობის გამო აყოვნებს იესო მოსვლას და ცოდვილს აძლევს ამ სახარების

მოსმენის შესაძლებლობას, რათა უფალში ჰპოვოს მან თავშესაფარი მანამ, სანამ ღვთის რისხვა დაატყდება თავს დედამიწას.

დღესაც ისევე, როგორც წარსულში, ცოდვათა და შეცდომათა მამხილებელი ჭეშმარიტების ქადაგება წინააღმდეგობას აწყდება. "ვინაიდან ყველას, ვინც ბოროტებას სჩადის, სძულს ნათელი და არ მიდის ნათლისკენ, რათა არ იქნეს მხილებული მისი საქმენი" (იოან. 3:20). ბევრნი ხედავენ, რომ არ შეუძლიათ თავიანთი თვალსაზრისის მტკიცება წმიდა წერილის მეშვეობით და რისხვით ილაშქრებენ ამ "არაპოპულარული" ჭეშმარიტების დამცველთა წინააღმდეგ. ასეთი სული ყველა საუკუნეში ვლინდება.

ელია წინასწარმეტყველი ისრაელის ხალხის ამბოხებისაკენ მოწოდებაში დაადანაშაულეს, იერემია - ღალატში, პავლე მოციქული - ტაძრის გაუწმიდურებაში და იმ დროიდან მოყოლებული, დღემდე ჭეშმარიტების ერთგულ ადამიანებს ბრალს სდებენ შეთქმულებებში, ერესში და განხეთქილებებში. და ადამიანები, რომლებიც სუსტი რწმენის გამო ვერ ღებულობენ წინასწარმეტყველების სიტყვას, მიამიტად უერთდებიან მათ ლანძღვას, ვინც ბედავს თანამედროვე წუთისოფლის ცოდვათა მხილებას. ასეთი ტენდენცია მომავალში კვლავ გაიზრდება. და ბიბლიაც პირდაპირ გვეუბნება, რომ დადგება დრო, როდესაც სახელმწიფო კანონები

იმდენად დაუპირისპირდება ღვთის მცნებებს, რომ ღვთიურ დადგენილებათა დამცველთ ბრალი დაედებათ საზოგადოების სიმშვიდის დარღვევაში და მათი გაკიცხვისა და სასჯელის ღირსად ჩათვლიან.

რა არის ჭეშმარიტების მაცნეს მოვალეობა? უნდა შეწყვიტოს თუ არა მან ჭეშმარიტების ქადაგება, თუკი ეს მხოლოდ ალიზიანებს ხალხს და მაინც არ ღებულობს მას? არავითარ შემთხვევაში. მან, პირველ რეფორმატორთა მსგავსად, არ უნდა შეწყვიტოს მოწმობა ღვთის სიტყვის შესახებ მხოლოდ იმის გამო, რომ ეს წინააღმდეგობას იწვევს. წმიდანთა და მოწამეთა მიერ სარწმუნოების აღიარება მომავალ თაობათა საკეთილდღეოდ შევიდა ისტორიაში.

მათი სიწმიდისა და უდრეკი სიმტკიცის მაგალითები დღესაც ცოცხლადაა შემონახული ჩვენში და მხნეობას მატებს მათ გულს, ვინც უფლისაგან მოწოდებულია მის სამსახურში. მათ მიიღეს მადლი და ჭეშმარიტება არა მხოლოდ თავისთვის, არამედ, ღვთის შემეცნების ნათლით მთელი მსოფლიოს გასანათებლად. მისცა თუ არა ღმერთმა ნათელი თავის მსახურთ ამ თაობაში? დიახ, და მათ უნდა გაუნათონ მთელ მსოფლიოს.

ძველად უფალმა გააფრთხილა ერთ-ერთი წინასწარმეტყველი, რომელიც მისი სახელით ქადაგებდა: "ისრაელის ხალხი კი არ ისურვებს შენს მოსმენას, რადგან ჩემი მოსმენა არ სურთ მათ". მიუხედავად ამისა,

უთხრა: "უთხარი ჩემი სიტყვები, გინდ მოისმინონ, გინდ ნუ მოისმენენ, რადგან ურჩნი არიან" (ეზეკ. 3:7; 2:7). დღესაც მიმართავს უფალი თავის მსახურთ: "ხმამაღლა იყვირე, თავს ნუ დაზოგავ; ბუკივით აღიმაღლე ხმა და გამოუცხადე ჩემს ხალხს მისი დანაშაული და იაკობის სახლს მისი ცოდვები" (ეს. 58:1).

ჭეშმარიტების შუქის მიმღები ყოველი ადამიანი, შეძლებისდაგვარად, თავის თავზე ღებულობს საშინელ და სასტიკ პასუხისმგებლობას, ისრაელის იმ წინასწარმეტყველის მსგავსად, რომლის მიმართაც უფალს აქვს ნათქვამი: "აჰა, ადამის ძევ! ისრაელის სახლის მფარველად დამიდგენიხარ, ისმინე სიტყვა ჩემი ბაგიდან და

ჩემგნით გააფრთხილე ისინი. როცა ბოროტეულს ვეტყვი: ბოროტეულო, სიკვდილით მოკვდები-მეთქი, შენ კი არაფერს იტყვი, რომ დააკავო ბოროტეული თავის გზაზე, ბოროტეული თავისი ცოდვის გამო მოკვდება, მის სისხლს კი შენ მოგკითხავ" (ეზეკ. 33:7-9).

ჭეშმარიტების გავრცელებასა და დამკვიდრებას წინ მრავალი სიძნელე და უსიამოვნება ელობება, რაც ღვთის სიტყვის ყოველ მქადაგებელს აუცილებლად შეხვდება თავის გზაზე. ეს ის ერთადერთი არგუმენტია ჭეშმარიტების წინააღმდეგ, რომელსაც ვერასოდეს უარყოფენ მისი დამცველნი. მაგრამ ქრისტეს ჭეშმარიტ მიმდევრებს ეს არ უნდა აშინებდეთ. მათ არ შეუძლიათ

და არც უნდა ელოდონ იმ დროს, როდესაც ჭეშმარიტება საყოველთაოდ ალიარებული იქნება. იციან რა საკუთარი მოვალეობა, ისინი ნებაყოფლობით იღებენ თავიანთ ჯვარს და პავლე მოციქულის მსგავსად იმედოვნებენ, რომ "ჩვენი მსუბუქი და ხანმოკლე ტანჯვა დიდ და მომეტებულ საუკუნო დიდებას ქმნის ჩვენთვის" (2კორ. 4:17) და ძველ წინასწარმეტყველთან ერთად თვლიან, რომ "ქრისტესთვის გმობა მეტი სიმდიდრეა... ვიდრე ეგვიპტის საგანძურები" (ებრ. 11:26).

მხოლოდ ისინი, ვინც მთელი სულითა და ხორცით წუთისოფელს არიან მიჯაჭვულნი, გადაწყვეტენ რელიგიურ საკითხებს - თავისი სარწმუნოების მიუხედავად -

პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე და არა საკუთარი პრინციპების მიხედვით. ჩვენ უნდა ავირჩიოთ სიმართლე სიმართლისათვის, შედეგები კი ღმერთს მივანდოთ. მსოფლიო დიდ გარდაქმნებს პრინციპულ, მორწმუნე და მამაც ადამიანებს უნდა უმადლოდეს. ასეთი ადამიანები რეფორმებს დღესაც ატარებენ.

უფალი ამბობს: "მისმინეთ სიმართლის მცოდნენო, ხალხო, ვისაც გულში გაქვთ ჩემი რჯული. ნუ გეშინიათ კაცთაგან შეურაცხებისა და მათი ლანძღვა-გინება ნუ შეგაკრთობთ. რადგან სამოსელივით შეჭამს მათ ჩრჩილი და მატყლივით შეჭამს მათ ჭია; ჩემი სიმართლე კი საუკუნოდ დარჩება და ჩემი ხსნა

თაობიდან თაობაში გადავა". (ეს. 31:7,8).

თავი 27 გამოღვიძება ჩვენს დღეებში

ღვთის სიტყვას, სადაც კი მთელი თავისი ჭეშმარიტებით იქადაგებოდა, ყველგან მოჰქონდა ნაყოფი, რომელიც მის ღვთიურ წარმოშობაზე მოწმობდა. ღვთის სული ხელმძღვანელობდა უფლის მსახურთა მუშაობას და მათ სიტყვას დიდი ძალა ჰქონდა. ცოდვილნი იღვიძებდნენ. "ნათელი... რომელიც ანათლებს ამ ქვეყნად მოსულ ყოველ ადამიანს", სულის იდუმალ სილრმეებს უნათებდა მას და "ყოველი დაფარული ცხადი ხდებოდა". ღრმა მონანიების გრძნობა ეუფლებოდა ადამიანთა გონებასა და გულს. მათ ცხოვრებაში შედიოდა

მცნებები: ცოდვა, სიმართლე და მომავალი განკითხვა. მათ თანდათანობით იწყეს უფლის სიმართლის შეცნობა და თავზარს სცემდათ იმის გაფიქრებაც კი, რომ თავიანთი ცოდვებითა და უწმიდურებით წარდგებიან გულთამხილველის წინაშე. და სულიერ ტანჯვებში მყოფნი, ღაღადებდნენ: "ვინ გამანთავისუფლებს ამ ხრწნადი სხეულისაგან?" მათ წინაშე სრულად იშლებოდა გოლგოთას დიდება ადამიანთა ცოდვების გამო გაღებული უსაზღვრო მსხვერპლით და გასაგები ხდებოდა: მხოლოდ ქრისტეს დამსახურებით შეიძლება ადამიანთა ურჯულოების მიტევება და მათი უფალთან შერიგება.

რწმენითა და მორჩილებით ღებულობდნენ ადამიანები ღვთის კრავს, რომელმაც იტვირთა წუთისოფლის ცოდვები. და ქრისტეს სისხლით მათ მიიღეს "ცოდვებისაგან გათავისუფლება".

ამ სულებმა "მონანიების ღირსეული ნაყოფი" გამოიღეს; ირწმუნეს, ნათელ იღეს და აღდგნენ ახალი ცხოვრებისათვის, როგორც ახალი ქმნილება ქრისტე იესოში, რათა ძველი სურვილები დავიწყებისათვის მიეცათ, უფლის ძის რწმენით მის კვალს გაჰყოლოდნენ და მისი ხასიათისა და მისებრ ღვთიური სიწმიდისათვის მიელწიათ. ახლა მათ შეიყვარეს ის, რაც ადრე სძულდათ. ჭირვეულნი და თავის თავში დარწმუნებულნი -

თავმდაბალ და მორჩილ ადამიანებად იქცნენ; უზნეონი-ღვთისმოსავებად; ლოთები გამოფხიზლდნენ, მეძავები სათნოებით შეიმოსნენ და ამქვეყნიური ვნებები მიტოვეს. უფლის შემცნობთათვის მთავარი იყო არა "მშვენება... თმის ნაწნავებში, ოქროს სამკაულებში ან ჩაცმულობაში", "არამედ გულის დაფარული კაცი უხრწნელ მყუდროებაში და სულის სიმშვიდეში, რაც ძვირფასია ღვთის წინაშე" (1პეტ. 3:3-4).

დადგა გამოფხიზლების ჟამი, რამაც ადამიანები საკუთარ გულში ჩაახედა და მორჩილება ჩაუსახა. ყველაზე საზეიმო და სერიოზული მოწოდებები მიმართული იყო ცოდვილებისადმი, ვისთვისაც

ქრისტემ თავისი სისხლი დაღვარა. მამაკაცები და ქალები აღავლენდნენ ლოცვებს და მადლობას სწირავდნენ უფალს სულთა გადარჩენისათვის. ამ უდიდესი გამოფხიზლების შედეგები კარგად მოჩანდა ადამიანთა სულებში, რომელნიც მზად იყვნენ თავგანწირვისათვის, ბედნიერებად მიიჩნევდნენ ქრისტეს სახელისათვის ტანჯვასა და გმობას. ყველასთვის ცხადი იყო მათ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, ვინც ქრისტე ალიარა. ეს ადამიანები მეტად დადებით ზეგავლენას ახდენდნენ საზოგადოებაზე. ისინი აგროვებდნენ ქრისტესთან ერთად და თესდნენ სულით, რათა მოემკათ მარადიული სიცოცხლის ნაყოფი.

მათ შესახებ შეიძლებოდა გეთქვათ: "თქვენ... დანაღვლიანდით მოსანანიებლად". "რადგან დანაღვლიანდით ღვთის გულისათვის; ვინაიდან ღვთის გულისათვის დანაღვლიანება წარმოშობს სინანულს სახსნელად, ხოლო წუთისოფლის ნაღველი სიკვდილს წარმოშობს. ვინაიდან იმან, ღვთის გულისთვის რომ დანაღვლიანდით, დახეთ, რამდენი რამ წარმოშვა თქვენში: როგორი სიბეჯითე, როგორი მობოდიშება, როგორი გულისწყრომა ცოდვაზე, როგორი შიში, როგორი სურვილი, როგორი მოშურნეობა, როგორი შურისგება! და ყველაფერში აჩვენეთ, რომ სუფთანი ხართ ამ საქმეში" (2კორ. 7:9-11).

ეს ღვთის სულის ზემოქმედების შედეგი იყო. ყველა ეს ცვლილება სრულ მონანიებაზე მეტყველებს. თუკი ცოდვილი შეასრულებს თავის დადებულ აღთქმას, დააბრუნებს მოპარულს, აღიარებს თავის დანაშაულს და შეიყვარებს მოყვასსა და ღმერთს, მაშინ შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ღმერთს შეურიგდა. ასეთი იყო რელიგიური გამოფხიზლების შედეგები წარსულში. ამ შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი უფლისგან იყო წინასწარ განზრახული ადამიანთა გადარჩენისა და კაცობრიობის მოდგმის ამაღლებისათვის.

მაგრამ ასეთი გამოღვიძების მსგავსი სხვა მრავალი მოძრაობა, რასაც ადგილი აქვს ჩვენს დღეებში,

მკვეთრად განსხვავდება იმ ღვთიური მადლის გამოვლინებისაგან, რომელიც უხვად ეძღვნებოდა ღვთის მორჩილთა მსახურებას. მართალია, ხალხის ინტერესი ფართოვდება, მრავალი იმედით შესცქერის ღმერთს და ეკლესიებიც იზრდება, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების დონე იზრდება. სინათლე ელვასავით გაკრთება სულ ცოტა ხნით, შემდეგ კი ქრება და წყვდიადიც უფრო პირქუში ხდება.

ძალიან ხშირად რელიგიური გამოღვიძება სიახლისა და იდუმალებისაკენ ადამიანის ბუნებრივ მისწრაფებას ეყრდნობა და ემოციებსა და წარმოდგენებზეა დაფუძნებული. ამ გზით მოქცეულ

ადამიანებს არა აქვთ ბიბლიური ჭეშმარიტების შესწავლის სურვილი და არ აინტერესებთ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მოწმობანი. თუკი ღვთისმსახურებაში არ არის რაიმე სენსაციური, ისინი არ უსმენენ მას. სახარება, რომელიც მოუხმობს არა ვნებებით დაბურულ, არამედ საღი გონებისაკენ, მათში გამოხმაურებას ვერ ჰპოვებს. და ღვთის სიტყვის ნათელი გაფრთხილებანი, რომელნიც მათ მარადიულ ინტერესებს გამოხატავს, უგულვებელყოფილი რჩება.

ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის ამქვეყნიურ ცხოვრებაში მთავარია ღმერთთან და ზეცასთან ურთიერთობა. მაგრამ

დღეს სად არის პოპულარულ ეკლესიებში უფლისადმი ჭეშმარიტი მსახურების სული? მოქცეულთ არ მიუტოვებიათ თავიანთი სიამაყე და წუთისოფლის სიყვარული. მოქცევის შემდეგაც კი არ ცდილობენ უარყონ საკუთარი "მე", აილონ თავისი ჯვარი და გაჰყვნენ თავმდაბალ და სათნო იესოს. რელიგია დაცინვისა და იუმორის საგანი გახდა ურჯულოთა და სკეპტიკოსთათვის და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრება მრავალი ადამიანისა, რომელიც თავს ქრისტიანს უწოდებს, ძალიან შორს არის ჭეშმარიტი ქრისტიანული პრინციპებისაგან. მრავალ ეკლესიაში ძალზე ძნელია ღვთისმოსაობის ალმოჩენა. მხიარული და გასართობი სეირნობები, საეკლესიო

წარმოდგენები, თამაშები, მდიდრული სახლები, საკუთარი გამოფენები - ყოველივე ამან ჩაახშო უფლისადმი ინტერესი და მასზე მსჯელობის სურვილი. ადამიანები იმდენად გადატვირთული არიან ამქვეყნიური საქმეებითა და საზრუნავით, რომ საუკუნო სიცოცხლე მათ არარაობად, არასაჭიროდ და წვრილმანად ეჩვენებათ.

მიუხედავად რწმენისა და ღვთისმოსაობის საყოველთაო დაცემისა, ამ ეკლესიებში მაინც არიან ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრები. უფლის მიერ დედამიწის საბოლოო განაჩენის გამოტანის წინა პერიოდში ღვთის შვილთა შორის მოხდება ღვთისმოსაობისა და სიწმიდის ისეთი

ალორძინება, როგორსაც ადგილი არ ჰქონია მოციქულთა დღეების შემდგომ. უფლის შვილები სულიწმიდის ძალით აღივსებიან. მაშინ ეკლესიები, სადაც უფლისა და მისი სიტყვისადმი სიყვარულმა გამოდევნა ამქვეყნიურობისადმი ლტოლვა, დაიცლება. მრავალი ღვთისმსახური და უბრალო ადამიანი დიდი სიხარულით მიიღებს იმ უმაღლეს ჯეშმარიტებას, რომელიც იმ პერიოდში უფლის ნებით ექადაგება წუთისოფელს, რათა ხალხი მოამზადოს უფლის მეორედ მოსვლისათვის. მაგრამ ადამიანის სულის მტერი მთელი თავისი ძალით ცდილობს, ხელი შეუშალოს ამ სამუშაოს. იგი შეეცდება, შეაჩეროს ეს მოძრაობა და მისი ჯეშმარიტება

თავისი სიცრუით შეცვალოს. იმ ეკლესიებში, რომელთა ცდუნებასაც შეძლებს, იგი ხალხს შთააგონებს, რომ უფლის განსაკუთრებული კურთხევა უკვე მიეცა ადამიანებს და მათაც ეგონებათ, რომ იწყება უდიდესი რელიგიური გამოღვიძება. ბევრი სიხარულით აღივსება უფლის ძალის ამ საოცარი ზემოქმედების გამო იმ დროს, როდესაც ამ ყველაფერს სულ სხვა სული აღასრულებს. ღვთისმოსაობის იერით შენიღბული სატანა შეეცდება მთელ ქრისტიანულ სამყაროზე თავისი გავლენის გავრცელებას.

ამ ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ბევრ რელიგიურ მოძრაობაში მეტნაკლებად შეიმჩნევა იმ ძალის მოქმედება, რომელიც

მომავალში უფრო დიდი მოძრაობებით იჩენს თავს. აშკარაა, რომ ადამიანთა გრძნობები აფორიაქებულია, ჭეშმარიტება სიცრუეშია არეული, რასაც მრავალი შეცდომაში შეჰყავს. მაგრამ ამ სიყალბის თავიდან აცილება შესაძლებელია. ღვთის სიტყვის მეშვეობით არცთუ ისე ძნელია ამ მოძრაობის სულის განსაზღვრა. ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფლის კურთხევა არ არის იქ, სადაც უგულვებელყოფილია ბიბლიური მოწმობანი, სულის გამომცდელი ჭეშმარიტებანი, რაც ადამიანებისაგან თავდადებასა და ამქვეყნიური სიამტკბილობის უარყოფას მოითხოვს. და თვით უფალ იესოს მიერ ნათქვამი

სიტყვების თანახმად: "მათი ნაყოფით იცნობთ მათ" (მათ. 7:16), ნათელი ხდება, რომ ეს მოძრაობა უფლის სულისგან არ არის.

თავის ჭეშმარიტ სიტყვაში უფალი გაეხსნა ადამიანებს. და ყველასათვის, ვინც ამ ჭეშმარიტებებს ღებულობს, იგი არის ფარი სატანის ყოველგვარი ცდუნებისაგან თავდასაცავად. რელიგიურ სამყაროში ბოროტების გავრცელების მიზეზი - მხოლოდ ამ ჭეშმარიტებათა უგულვებელყოფაა. უფლის მცნებათა არსი და მნიშვნელობა თვალთახედვიდან დაკარგულია. ღვთიური კანონის არსის, მოთხოვნებისა და მისი ურყეობის შესახებ არასწორმა წარმოდგენამ გამოიწვია მცდარი შეხედულებანი ადამიანის მოქცევასა

და განწმედაზე, ამას კი ეკლესიაში ღვთისმოსაობის დაცემა მოჰყვა. ამით აიხსნება ღვთის სულისა და ძალის არყოფნა თანამედროვე განახლებულ მოძრაობებში.

თავისი ღვთისმოსაობით ცნობილი, სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ადამიანები აღიარებენ ამ ფაქტს და მწარე სინანულს გამოთქვამენ ამის გამო. პროფესორმა ედუარდ პერკმა თანამედროვე რელიგიისადმი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ საუბრისას სწორად აღნიშნა: "საშიშროების ერთ-ერთი წყარო იმაში მდგომარეობს, რომ უგულვებელყოფილია ღმერთის კანონის კათედრიდან ქადაგება. ძველ დროში კათედრა სინდისის ხმას წარმოადგენდა. ცნობილი

მქადაგებლების გამოსვლები საზეიმო დიდებით იყო ალსავსე იმის გამო, რომ ისინი მიჰყვებოდნენ თავიანთი მასწავლებლის მაგალითს და მთავარ ადგილს კანონს, უფლის მცნებებსა და აკრძალვებს უთმობდნენ, რითაც ადამიანებს განუწყვეტლივ ახსენებდნენ ორ უდიდეს პრინციპს, სახელდობრ: კანონი არის ღვთიური სრულყოფილების ანარეკლი, ხოლო ადამიანს, რომელსაც არ უყვარს რჯული, არ უყვარს სახარებაც. ვინაიდან რჯული, სახარების მსგავსად, არის სარკე, რომელიც უფლის ჭეშმარიტ ხასიათს ასახავს. ამის უგულვებელყოფას კი უდიდეს საშიშროებამდე მივყავართ: ცოდვის სიმძიმის, მისი მასშტაბებისა და სხვა თვისებების შეუფასებლობისაკენ.

როგორც დიდია მცნებათა სიმართლე, ასევე დიდია ბოროტებაც, მისი დაუცველობიდან გამომდინარე".

ამას კიდევ ერთი საშიშროება ემატება: ღვთის სამართლიანობის შეუფასებლობა. თანამედროვე მქადაგებლები ცდილობენ ღვთიური სამართლიანობა ღვთიური მოწყალებისაგან გამოყონ და მოწყალების, როგორც პრინციპის, ამაღლებისა და განდიდების ნაცვლად, მას უბრალო გრძნობასთან აიგივებენ. თანამედროვე თეოლოგები აცალკევებენ იმას, რაც ღმერთმა გააერთიანა. სინამდვილეში, რას წარმოადგენს უფლის კანონი - სიკეთეს თუ ბოროტებას? ეს სიკეთეა. და თუ ეს ასეა, მაშინ სამართლიანობაც სიკეთე ყოფილა,

რადგან იგი კანონის პრინციპთა ასრულების გამოვლინებაა. შეეჩვია რა ღვთიური კანონისა და სამართლიანობის, ადამიანური დაუმორჩილებლობის მასშტაბებისა და ხარისხის შეუფასებლობას, ხალხი ადვილად ეგუება ღვთის მადლის შეუფასებლობასაც, მიცემულს ცოდვებისაგან გასათავისუფლებლად. ამგვარად, ადამიანთა თვალში სახარება უფასურდება და ისინი მზად არიან თვით ბიბლიის უარყოფისთვისაც.

მრავალი თეოლოგი ამტკიცებს, რომ ქრისტემ თავისი სიკვდილით გააუქმა კანონი და აქედან გამომდინარე, ადამიანები თავისუფალი არიან მისი მოთხოვნებისაგან. არიან ისეთებიც, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ

კანონი - მძიმე ტვირთია და კანონისადმი მორჩილებას უპირისპირებენ სახარების მიერ ბოძებულ თავისუფლებას.

მაგრამ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა დამოკიდებულება ღვთის წმიდა მცნებებისადმი სხვადასხვაგვარია: "ვივლი ხალვათად, რადგან შენს ბრძანებებს ვეძიებდი" (ფს. 118:45) - ამბობს დავითი. მოციქულმა იაკობმა უკვე ქრისტეს სიკვდილის შემდეგ უწოდა ათ მცნებას "სამეფო რჯული" და "სრულყოფილი რჯული თავისუფლებისა" (იაკ. 2:8; 1:25). და იოანეც, უფლის ჯვარცმიდან 50 წლის შემდეგ ამბობდა იმ კურთხევათა შესახებ, რომელიც უფლის კანონის დამცველთ მიეცემათ, "რათა ჰქონდეთ

უფლება სიცოცხლის ხეზე და კარიბჭეთი შევიდნენ ქალაქში" (გამოცხ. 22:14).

ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ ქრისტემ თავისი სიკვდილით გააუქმა რჯული. თუკი შესაძლებელი იქნებოდა კანონის შეცვლა ან გაუქმება, მაშინ სულაც არ იყო საჭირო ქრისტეს სიკვდილი ადამიანის ცოდვების სასჯელისაგან გათავისუფლებისათვის. ქრისტეს სიკვდილი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს კანონის გაუქმებასთან, თავად ამტკიცებს, რომ ეს შეუძლებელია. უფლის ძე მოვიდა, რადგან "ინება თავისი სიმართლისათვის განედიდებინა და განეთქვა რჯული" (ეს. 42:21). მან

თქვა: "არ იფიქროთ, თითქოს რჯულის გასაუქმებლად მოვედი". "არც ერთი იოტა ანდა ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა" (მათ. 5:17,18). ხოლო თავის დროზე იგი ამბობს: "შენი სურვილის შესრულება მინდოდა, ღმერთო, და რჯული შენი ჩემს გულშია" (ფს. 39:9).

ღმერთის კანონი თავისი არსით მარადიულია და უცვლელი. იგი მისი ავტორის ხასიათისა და ნების გამოვლინებას წარმოადგენს. ღმერთი არის სიყვარული და მისი კანონიც სიყვარულია. მისი ორი უდიდესი პრინციპია - სიყვარული უფლისადმი და სიყვარული ადამიანისადმი. "სიყვარული რჯულის აღსრულებაა" (რომ. 13:10). უფლის ხასიათი - ეს არის სიმართლე და ჭეშმარიტება; მისი

კანონის არსიც ეს არის. მეფსალმუნე ამბობს: "შენი რჯული ჭეშმარიტია", "რადგან ყველა შენი მცნება სიმართლეა" (ფს. 118:142,172). პავლე მოციქულიც აცხადებს: "რჯული წმიდაა, მცნებაც წმიდაა, მართალი და კეთილი" (რომ. 7:12). კანონი, რომელიც უზენაესის ნებისა და სიბრძნის გამოვლინებაა, ისეთივე მარადიული უნდა იყოს, როგორიც მისი ავტორია.

ადამიანის მოქცევა და განწმედა ისე მოქმედებს, რომ ის ურიგდება უფალს და იწყებს ახალ ცხოვრებას მისი კანონის პრინციპების მიხედვით. თავიდან უფალმა ადამიანი შექმნა თავის მსგავსად. იგი ცხოვრობდა ბუნებასთან და ღვთის კანონთან სრულ ჰარმონიაში; სიმართლის

პრინციპები მის გულზე იყო ალბეჭდილი. მაგრამ ცოდვამ დააშორა იგი შემოქმედს. და ადამიანში უკვე ალარ დარჩა უფლის ხატება. მისმა გულმა ომი გამოუცხადა ღვთის კანონის პრინციპებს. "ხორციელი ფიქრები ღვთის მტრობაა; ვინაიდან არ ემორჩილება ღვთის რჯულს და არც შეუძლია" (რომ. 8:7). მაგრამ "ღმერთმა ისე შეიყვარა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე" ადამიანის უფალთან შემორიგებისათვის. ქრისტეს მიერ გალებული მსხვერპლის მეშვეობით ადამიანმა მიიღო თავის შემოქმედთან ჰარმონიული ურთიერთობის ალდგენის შესაძლებლობა. მისი გული ღვთიური მადლით უნდა

განახლდეს; მან უნდა მიიღოს ახალი, ზეცით ბოძებული სიცოცხლე. სწორედ ამ ცვლილებას ეწოდება ხელახლა შობა, ანუ ზეციდან შობა, რომლის გარეშეც, იესო ქრისტეს თქმით, "ადამიანი ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს".

უფალთან შერიგების პირველი ნაბიჯი - ეს არის ცოდვის შეცნობა. "ცოდვა - ურჯულოებაა". და "რჯულით შეიცნობა ცოდვა" (1იოან. 3:4; რომ. 3:20). თავისი დანაშაულის შესაცნობად ცოდვილმა თავისი თავი უფლის სიმართლის უდიდესი საზომით უნდა შეამოწმოს. ეს არის სარკე, რომელიც ადამიანს უჩვენებს მართალი ხასიათის სრულყოფილებას და ეხმარება საკუთარი ნაკლის დანახვაში.

კანონი ადამიანს თავის ცოდვებზე მიუთითებს, მაგრამ არ ათავისუფლებს მათგან. კანონის შემსრულებელთ აღთქმული აქვთ სიცოცხლე, ხოლო მის დამრღვევთ - სიკვდილი. მხოლოდ ქრისტეს სახარებას შეუძლია ადამიანის გათავისუფლება ცოდვის წყევლისაგან. ადამიანმა უნდა მოინანიოს ღმერთის წინაშე, რომლის კანონიც დაარღვია; უნდა ირწმუნოს ქრისტე და მისი შემრიგებლური მსხვერპლი. ამ გზით იგი ტოვებს თავის ცოდვებს და ღვთიური ბუნების თანაზიარი ხდება. იგი ღვთის შვილია და რადგან უფლის შვილობა მიიღო, ამიტომ შეჰღალადებს: "მამაო ჩვენო!"

თავისუფლდება კი იგი ახლა უფლის კანონის მოთხოვნისაგან? პავლე მოციქული ამბობს: "მაშ, ჩვენ რწმენით ვაბათილებთ რჯულს? არამც და არამც; არამედ განვამტკიცებთ რჯულს" (რომ. 3:31). იოანე კი აცხადებს: "ვინაიდან ღვთის სასუფეველი ისაა, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს; ხოლო მისი მცნებები მძიმე როდია" (1იოან. 5:3). ხელახლა შობისას ადამიანის გული უფრო მორჩილი ხდება და იგი მისი მცნებების დაცვას იწყებს. როდესაც ცოდვილ ადამიანში ასეთი დიდი ცვლილებები ხდება, მაშინ იგი სიკვდილიდან სიცოცხლეში, ცოდვიდან - სიწმიდეში, ურჯულოებიდან და ურჩობიდან - მორჩილებასა და ერთგულებაში

გადადის. მთავრდება უფლისაგან გაუცხოებული, და იწყება ახალი, უფალთან შემორიგებული, რწმენითა და სიყვარულით აღსავსე ცხოვრება. მაშინ კანონის სიმართლე აღსრულდება მათში, "რომლებიც ქრისტე იესოში ცხოვრობენ არა ხორციელად, არამედ სულიერად" (რომ. 8:1). მაშინ ითქმება გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვები: "რარიგად მიყვარს რჯული შენი, ის არის ჩემი საფიქრალი დღენიადაგ" (ფს. 118:97).

"რჯული უფლისა სრულყოფილია, სულს განამტკიცებს" (ფს. 18:8). რჯულის გარეშე ადამიანებს ჭეშმარიტი წარმოდგენა არ ექნებოდათ არც ღვთის სიწმიდისა და სიმართლის და არც საკუთარი

დანაშაულისა და უკეთურების შესახებ. ადამიანები ვერ შეიცნობდნენ თავიანთ ცოდვილ მდგომარეობას და არც მონანიების საჭიროება ექნებოდათ. და ვინაიდან უფლის კანონის დარღვევის გამო ვერ შეიცნობდნენ თავიანთ სავალალო მდგომარეობას, ვერც ქრისტეს შემრიგებლური სისხლის საჭიროებას დაინახავდნენ. გადარჩენის იმედს არ მოჰყოლია მათი გულების განახლება და არც მათი ცხოვრება შეუცვლია. ასეთი ზედაპირული მოქცევა საყოველთაო მოვლენად იქცა. და მრავალნი, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ ქრისტესთან ახლო ურთიერთობა, შეუერთდნენ ეკლესიას.

ღვთიური კანონის უგულვებელყოფის ფაქტებიდან გამომდინარე განწმედისა და სულიერი აღმავლობის ცრუ თეორიები თვალსაჩინო ადგილს იკავებენ დღევანდელ რელიგიურ მოძრაობებში. ეს თეორიები დოქტრინალურად არასწორი და პრაქტიკულ ცხოვრებაში მეტად საშიშია; თვით ის ფაქტი, რომ ასე ადვილად მიიღო იგი ხალხის ფართო მასებმა, მოითხოვს მათთვის წმიდა წერილის აუცილებელ განმარტებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჭეშმარიტი განწმედა - ეს არის ბიბლიური სწავლება. პავლე მოციქული თესალონიკელთა მიმართ გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: "ვინაიდან ღვთის ნებაა თქვენი

განწმედა, რათა განერიდოთ სიძვას", და ლოცულობდა, რათა მშვიდობის ღმერთს სრულად განეწმიდა ისინი (1თეს. 4:3; 5:23). ბიბლია ნათლად განმარტავს, თუ რა არის განწმედა და როგორ შეიძლება მიაღწიო მას. მაცხოვარი ასე ავედრებს მამა ღმერთს თავის მოწაფეებს: "განწმიდე ისინი ჭეშმარიტებით, შენი სიტყვა ჭეშმარიტებაა" (იოან. 17:17,19). პავლე მოციქულიც ასწავლიდა, რომ მორწმუნენი სულიწმიდით განწმედილნი უნდა ყოფილიყვნენ (რომ, 15:16). რაში მდგომარეობს სულიწმიდის მსახურება? იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: "როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძლვებათ იგი ყოველ ჭეშმარიტებაში" (იოან. 16:13).

მეფსალმუნეც გვეუბნება: "რჯული არის ჭეშმარიტება". სიტყვის მეშვეობით სულიწმიდა ადამიანებს უხსნის სიმართლის უდიდეს პრინციპებს, რომელთაც სრულყოფილება ჰპოვეს მის რჯულში. და რადგანაც რჯული "არის წმიდა, სამართლიანი და კეთილი" და ღვთიურ სრულყოფილებას ასახავს, ამიტომ ამ მცნებათა საფუძველზე ჩამოყალიბებული ხასიათიც მართალი იქნება. იესო ამბობს: "მე დავიცავი მამაჩემის მცნებები", "რადგან მუდამ იმას ვაკეთებ, რაც მისთვის არის სათნო" (იოან. 15:10; 8:29). ქრისტეს მიმდევრები მას უნდა ემსგავსონ; ღვთის მადლის მეშვეობით მათი ხასიათი უფლის წმიდა რჯულის პრინციპებთან

ჰარმონიაში უნდა ჩამოყალიბდეს. სწორედ ეს არის ბიბლიური განწმედა.

ამის მიღწევა მხოლოდ ქრისტეს რწმენით, მისი სულიწმიდის ძალის მეშვეობით არის შესაძლებელი. პავლე მოციქული ამცნობს მორწმუნეთ: "ძრწოლით იღვაწეთ თქვენს სახსნელად, რადგან ღმერთი იქმს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც თავისი სათნოებით" (ფილ. 2:12,13).

ცოდვა კვლავ ეცდება ადამიანის ცდუნებას, მაგრამ იგი შეუდრეკელი ალმოჩნდება მასთან მუდმივ ბრძოლაში. სწორედ აქ არის აუცილებელი ქრისტეს დახმარება. ადამიანური სისუსტე ერწყმის ღვთიურ ძალას და რწმენა ღაღადებს:

"მადლობა ღმერთს, რომელიც გვაძლევს ძლევას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ" (1კორ. 15:57).

წერილში გასაგებად არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ განწმედა - ეს არის მუდმივი წინსვლა. როდესაც მოქცეული ცოდვილი მშვიდობას ჰპოვებს ღმერთთან მისი გამომსყიდველი სისხლის მეშვეობით, სწორედ მაშინ იწყება ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრება. ახლა იგი იწყებს სრულყოფილებისაკენ წინსვლას და სულიერ ზრდას "ქრისტეს სრული ასაკის ზომამდე". პავლე მოციქული გვამცნობს საკუთარი თავის შესახებ: "ვივიწყებ, რაც ჩემს უკან არის, და იმას ველტვი, რაც ჩემს წინ არის. ვილტვი მიზნისაკენ, ღვთის

უზენაესი მოწოდების პატივისაკენ ქრისტე იესოში" (ფილ. 3:13,14). პეტრე მოციქულიც გვამცნობს ბიბლიური განწმედის მიღწევას საფეხურების მიხედვით: "ამისათვის ეცადეთ ყოველი ღონე იხმაროთ, რათა წარმოაჩინოთ თქვენს რწმენაში სათნოება და სათნოებაში - შემეცნება, შემეცნებაში-თავშეკავება, თავშეკავებაში - მოთმინება, მოთმინებაში - ღვთისმოსაობა, ღვთისმოსაობაში - ძმათმოყვარეობა, ძმათმოყვარეობაში-სიყვარული... თუ ასე მოიქცევით, არასოდეს წაიბორძიკებთ" (2პეტ. 1:5-10).

ისინი, ვისაც აქვს ბიბლიური განწმედის პირადი გამოცდილება, ყველაფერში მორჩილების სულს გამოავლენენ. მოსეს მსგავსად, მათ

იხილეს მოწიწების შთამაგონებელი სიწმიდის დიდება და შეიცნეს თავიანთი ულირსობა უზენაესის უმწიკვლო სრულყოფილებისა და სიწმიდის წინაშე.

დანიელ წინასწარმეტყველი ჭეშმარიტი განწმედის მაგალითია. მისი ხანგრძლივი სიცოცხლე აღსავსე იყო შემოქმედისადმი კეთილშობილური მსახურებით. იგი ზეცის საყვარელი მსახური იყო. თავისი სიწმიდისა და უმანკოების გამო ქედმაღლობის ნაცვლად, ეს პატივდებული წინასწარმეტყველი თავს ცოდვილი ისრაელის თანატოლად წარმოგვიდგენს და ღმერთს ევედრება, შეიწყალოს თავისი ხალხი. "რადგან ჩვენი სიმართლის იმედით კი არ მოგვაქვს

შენს წინაშე ჩვენი სავედრებელი, არამედ შენი დიდი მოწყალების იმედით". "შევცოდეთ ჩვენ და ურჯულოება ჩავიდინეთ". დანიელი პირდაპირ აცხადებს: "ჯერ კიდევ ვლაპარაკობდი, ვლოცულობდი, ვალიარებდი ჩემი და ჩემი ერის - ისრაელის ცოდვებს", მოგვიანებით კი, როდესაც მას ხილვის განმარტებისათვის ღვთის ძე გამოეცხადა, დანიელი ამბობს: "სახეზე მკვდრის ფერი დამედო და ძალა ვერ მოვიკრიბე" (დან. 9:18,15,20; 10:8).

ისმინა რა ძლიერ ქარში უფლის ხმა, იობმა წარმოთქვა; "ვკიცხავ ჩემს თავს და ვინანიებ მტვერსა და ნაცარში" (იობ. 42:6). როდესაც ესაია წინასწარმეტყველმა იხილა უფლის

დიდება და ისმინა ქერუბიმთა შეძახილები: "წმიდაა! წმიდაა! წმიდაა ცაბაოთ უფალი!" შეჰლალადა: "ვაი მე, დავიღუპე, რადგან ბაგეუწმიდური კაცი ვარ" (ეს. 6:3,5). მას შემდეგ, რაც პავლე მესამე ცამდე იქნა ატაცებული, სადაც ისმინა ისეთი სიტყვები, რომელთა გადმოცემაც ადამიანურ ენაზე შეუძლებელია, მან თავის თავს "ყველა წმიდას შორის უმცირესი" უწოდა (ეფ. 3:8). ქრისტეს საყვარელი მოწაფე, რომელიც მრავალჯერ ეკვროდა მკერდში თავის უფალს და რომელმაც იხილა მისი დიდება, მკვდარივით დაეცა ანგელოზის ფერხთით (იხ. გამოცხ. 1:17).

მათ, ვისაც გოლგოთას ჯვრის ჩრდილი მისწვდა, არასოდეს არ უნდა

ჰქონდეთ თვითკმაყოფილების გრძნობა და არც უნდა იტრაბახონ, რომ უცოდველი არიან. მათ შეგნებული აქვთ, თუ რა დიდი ტანჯვა მიაყენა მათმა ცოდვებმა უფლის ძის გულს და ამის გამო უფრო უნდა დაიმდაბლონ თავი. რაც უფრო ახლო ურთიერთობაშია ადამიანი ქრისტესთან, მით უფრო ნათლად ხედავს თავის უძლურებას, ცოდვილ ბუნებას და მხოლოდ ჯვარცმული და მკვდრეთით ალმდგარი მაცხოვრის დამსახურების იმედით ცოცხლობს.

თანამედროვე რელიგიურ სამყაროში მიღებული და მეტად გავრცელებული განწმედის არსი გამსჭვალულია თვითგანდიდებისა და უფლის კანონის უარყოფის

სულით. ასეთი თეორიის მომხრენი ასწავლიან, რომ განწმედა ერთჯერადი აქტია, როდესაც ადამიანი მხოლოდ ერთხელ მიღებული რწმენის მეშვეობით აღწევს სრულყოფილ სიწმიდეს. "მთავარია გწამდეთ, - არწმუნებენ ისინი, - და კურთხეული იქნებით". მათი აზრით, ამ კურთხევების მიღება მათ ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეუძლიათ. ამავე დროს უარყოფენ უფლის კანონის ავტორიტეტს და ამტკიცებენ, რომ ისინი თავისუფალი არიან უფლის მცნებათა დაცვის აუცილებლობისაგან. მაგრამ შეუძლია თუ არა ადამიანს, გახდეს უფლისათვის სათნო და წმიდა, თუკი იგი უგულვებელყოფს იმ პრინციპებს,

რომელშიც გამოსახულია უფლის არსი, ნება და სურვილი?

მხოლოდ სურვილმა, რომ ელიარებინა უფრო ადვილი, უფრო მოსახერხებელი რელიგიური მრწამსი, რომელიც არ მოითხოვს ბრძოლას, თავგანწირვასა და ამქვეყნიურ ფასეულობათა უარყოფას, დაბადა მოძღვრება იმის შესახებ, რომ ადამიანისათვის საკმარისია მხოლოდ რწმენა. ეს მოძღვრება მეტად გავრცელებულია, მაგრამ რას ამბობს ამის შესახებ ღვთის სიტყვა? მოციქული იაკობი ალნიშნავს: "ჩემო ძმებო, რა სარგებელია, თუ ვინმე იტყვის, რომ რწმენა აქვს, საქმენი კი არ გააჩნია? განა ამ რწმენას შეუძლია მისი ხსნა? ...შენ კი, ამაო ადამიანო, გსურს

გაიგო, რომ რწმენა საქმეთა გარეშე მკვდარია? განა აბრაამი, მამაჩვენი, საქმეებით არ გამართლდა, როცა თავის ძეს, ისააკს სამსხვერპლოზე სწირავდა? ხედავ, რწმენა მოქმედებდა მის საქმეებთან ერთად. საქმეებით კი სრულყოფილი შეიქმნა რწმენა. ...თქვენ ხედავთ, რომ საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით" (იაკ. 2:14-24).

ღვთის სიტყვა უარყოფს ასეთ ცრუ მოძღვრებას მხოლოდ რწმენის შესახებ, საქმეების გარეშე. რწმენა, რომელიც ითხოვს ზეციურ მადლს და ამავე დროს არ ემორჩილება პირობებს, რომელთა თანახმადაც შეიძლება იგი მოგვეცეს - არ არის რწმენა, არამედ მხოლოდ კადნიერი თვითდაჯერებულობაა; რადგან

ჭეშმარიტი რწმენა წმიდა წერილის ალთქმებზეა დაფუძნებული.

ნურავინ ცდუნდება - შეუძლებელია ადამიანი გახდეს წმიდა, თუ იგი უფლის ერთ მცნებასაც კი არღვევს. წინასწარგანზრახული ცოდვა აჩუმებს სულიწმიდის მამხილებელ ხმას და ადამიანს ღმერთისაგან აშორებს. "ცოდვა ურჯულოებაა". "ვერცერთი შემცოდე ვერ იხილავს და ვერ შეიცნობს მას" (ღმერთს) (1იოან. 3:6). თუმცა იოანე თავის წერილებში ამდენს წერს სიყვარულის შესახებ, მაგრამ იგი უყოყმანოდ ამხილებს მათ, ვისაც თავი წმიდად მოაქვს და ამავე დროს, უფლის კანონს არღვევს. "ვინც ამბობს: შევიცანიო იგი და მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და არ არის

მასში ჭეშმარიტება", "ხოლო ვინც იცავს მის სიტყვას, მასშია ჭეშმარიტად აღსრულებული ღვთის სიყვარული" (1იოან. 2:4,5). აქ გამოიცდება ყოველი ადამიანის სიყვარული. არ შეიძლება ვიმსჯელოთ ადამიანის სიწმიდეზე მანამ, სანამ იგი არ გამოიცდება ერთადერთი საზომით როგორც ზეცაში, ასევე დედამიწაზე - უფლის სიწმიდით. ადამიანები, რომლებიც არ გრძნობენ ზნეობრივი კანონის მოთხოვნების აუცილებლობას, ამცირებენ და აუფასურებენ უფლის მცნებებს, როცა არღვევენ თუნდაც მათ შორის მცირედს და ამას სხვებსაც ასწავლიან. მათ არ უნდა ჰქონდეთ უფლისაგან კურთხევის მიღების იმედი, და შეიძლება მთელი

დამაჯერებლობით ითქვას, რომ მათი პრეტენზიები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ უცოდველია, შორს არის სიწმიდისაგან. იგი თავს უცოდველად თვლის, რადგან არ გააჩნია ჭეშმარიტი წარმოდგენა უფლის უსასრულო სიწმიდესა და სიმართლეზე და იმაზე, თუ როგორი უნდა იყვნენ უფლის გზაზე მავალი ადამიანები. მას არა აქვს სწორი გაგება იესოს წმიდა და ამაღლებული სიყვარულისა, ცოდვის მანკიერებისა და ვერაგობისა. რაც უფრო დიდია მანძილი ადამიანსა და ქრისტეს შორის, რაც უფრო არასრულყოფილია მისი შემეცნება უფლის ხასიათისა და მისი

მოთხოვნების შესახებ, მით უფრო მართალი ჰგონია მას საკუთარი თავი.

განწმედა, რომელზეც საუბარია წმიდა წერილში, მთელ ადამიანურ არსებას ეხება: სულს, სამშვინველსა და ხორცს. პავლე მოციქული სთხოვდა თესალონიკელებს, რომ მათი "სული, სამშვინველი და სხეული დაცულ იქნეს უბიწოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისათვის" (1თეს. 5:23). და იგი კვლავ მიმართავს მორწმუნეთ: "ამრიგად, შეგაგონებთ, ძმებო, ღვთის მოწყალებებით, რომ შესწიროთ თქვენი თავი ცოცხალ და წმიდა, ღვთისათვის სასურველ მსხვერპლად" (რომ. 12:1). ძველ ისრაელში უფლის სამსხვერპლოდ განკუთვნილი შესაწირავი

გულდაგულ მოწმდებოდა. შესაწირავის სხეულზე აღმოჩენილი რაიმე ნაკლი უვარგისს ხდიდა მას მსხვერპლშეწირვისათვის, რადგან უფალი თხოულობდა "უმანკო" მსხვერპლს. სწორედ ამგვარად უნდა წარუდგინონ მორწმუნეებმა უფალს თავიანთი სხეული, "როგორც ცოცხალი, წმიდა და ღვთისთვის სასურველი მსხვერპლი". ამისათვის ადამიანმა თავად უნდა იზრუნოს საკუთარი თავის განწმედაზე. ყოველი მანკიერი თვისება, რომელიც ასუსტებს მის ფიზიკურ და გონებრივ ძალებს, შეუძლებელს ხდის ადამიანის მსახურებას შემოქმედისადმი. და განა უზენაესი დაკმაყოფილდება ჩვენი უმცირესი მსხვერპლის გაღებით, როდესაც

შეგვიძლია საუკეთესო შევწიროთ მას? ქრისტემ თქვა: "შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით" და ვისაც ღმერთი უყვარს, ეცდება, მთელი თავისი ცხოვრებით ემსახუროს მას, შეეცდება, მთელი თავისი არსება შეუთანხმოს კანონებს, რომლებიც დაეხმარება უფლის ნების აღსრულებაში. უფლის მოყვარული თავს ნებას არ მისცემს მუცლის ამოყორვით ან სხვადასხვა ვნებებით დაამციროს და გააუწმიდუროს მსხვერპლი, რომელიც მან ზეციერ მამას უნდა შესწიროს.

პეტრე მოციქული ამბობს: "შეგაგონებთ... განეშორენით ხორციელ გულისთქმებს, რომლებიც სულის წინააღმდეგ იბრძვიან" (1პეტ.

2:11). მაცდურ სურვილთა ყოველგვარი დაკმაყოფილება ამცირებს სულიერ და გონებრივ შესაძლებლობებს. და ასეთი ადამიანის გულზე ღვთის სიტყვა ან სულიწმიდა სუსტ ზეგავლენას ახდენს. პავლე მოციქული კორინთელებს მიმართავს: "განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისაგან, ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე" (2კორ. 7:1), რათა გქონდეთ სულის ნაყოფი: "სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება" (გალ. 5:22,23).

ამ შთამაგონებელი სიტყვების უგულვებელყოფით მრავალი ქრისტიანი ვნებს თავის

ჯანმრთელობას მომხვეჭელობის ან მოდის დევნაში; მრავალი აუწმიდურებს თავის თავში უფლის ხატებას გაუმაძღრობით, ლოთობით ან სხვადასხვაგვარი ულირსი დროსტარებით. და ამ მანკიერებათა გაკიცხვის ნაცვლად ეკლესია ხშირად ხელს უწყობს ამ ბოროტებათა ალზევებას, ანგარებისა და უწმიდურებისაკენ სწრაფვას თავისი ხაზინის ასავსებად, რომლის ავსება არ შეუძლია ქრისტეს სიყვარულით, რადგან მასში ეს სიყვარული მეტად სუსტია. თანამედროვე ეკლესიაში იესო რომ შესულიყო, მასში დაინახავდა დღესასწაულებისა და უწმიდურების ქაოსს, რომელიც რელიგიის სახელს ატარებს. და განა არ გაყრიდა ამ უწმიდურთ

ეკლესიიდან ისევე, როგორც ძველი ეკლესიიდან - ფულის გადამცვლელები გაყარა?

იაკობ მოციქული ამბობს, რომ "ზემოდან მოცემული სიბრძნე", უპირველეს ყოვლისა, წმიდაა. და იგი რომ შეხვედროდა "ქრისტიანს", რომელიც იესოს სახელს თამბაქოთი გაუწმიდურებული ბაგეებით წარმოთქვამდა, თავადაც ამ ჰაერის მომწამვლელი სუნით იქნებოდა გაჟღენთილი და ხალხსაც აიძულებდა ამ შხამით ესუნთქათ, განა მოციქული არ გაკიცხავდა წმიდა სახარების საწინააღმდეგო ასეთ თვისებებს და არ შეაფასებდა მას, როგორც "ამქვეყნიურს, მანკიერსა და სატანურს?" თამბაქოს მონებს ჰგონიათ, რომ ზეცით კურთხეულნი

არიან და ზეციურ სასუფეველში მოხვედრის იმედი აქვთ, მაგრამ ღვთის სიტყვა ნათლად და გასაგებად ამბობს, რომ ვერ შევა მასში ვერაფერი უწმიდური" (გამოცხ. 21:27).

"ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღვთისაგან გაქვთ, და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით? ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულებით, რომლებიც ღვთისანი არიან" (1კორ. 6:17,29). ის, ვისი სხეულიც სულიწმიდის ტაძარია, არ დაემონება ამ დამღუპველ თვისებებს და მთელ ძალას ქრისტეს სამსახურს მოახმარს, იმ უფლის სამსახურს, რომელმაც იგი თავისი სისხლით

გამოისყიდა. ყველაფერი, რაც მისია, უფალსაც ეკუთვნის. განა იგი უდანაშაულო იქნება, თუკი მასზე მინდობილ კაპიტალს გაფლანგავს? ადამიანები, რომლებიც თავს ქრისტიანებად თვლიან, ყოველწლიურად დიდ თანხებს ხარჯავენ უსარგებლო და დამლუპველ გართობებში იმ დროს, როდესაც სულებს იღუპავენ სიცოცხლის სიტყვის მოსმენის გარეშე. ისინი მეტ დროს უთმობენ თავიანთი მანკიერი სურვილების ასრულებას, ვიდრე ღარიბთა დახმარებასა და სახარების გავრცელებას, რითაც ატყუებენ ღმერთს მეათედში და შესაწირავებში. ადამიანები, რომლებიც თავს ქრისტეს მიმდევარს

უწოდებენ, ჭეშმარიტად განწმედილნი რომ იყვნენ, არ მოახმარდნენ თავის ქონებას უსარგებლო და მავნე საქმეს, არამედ უფლის საგანძურში მიიტანდნენ მას. თავშეკავების, თავდადებისა და თვითშეწირვის რა დიდებულ მაგალითს უჩვენებდნენ ხალხთა მასებს ასეთი ქრისტიანები! მაშინ ისინი ამ წუთისოფლის ნათელი იქნებოდნენ.

დღეს მთელი მსოფლიო მიილტვის ამქვეყნიური სიამოვნებისა და გართობისაკენ. "ხორციელი გულისთქმა და სიამაყე ცხოვრებისა!" - აი, რა ძალები ბატონობს ადამიანებზე დღეს. მაგრამ ქრისტეს მიმდევართ უფალი მოუწოდებს "გამოერიდე მას, ჩემო ხალხო, რათა

არ ეზიარო მის ცოდვებს და არ მიიღო მისი წყლულებისაგან". ღვთის ჭეშმარიტი სიტყვის თანახმად, სრული უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ განწმედა არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი მანამ, სანამ ადამიანი თავის ცოდვიან თვისებებს და ამქვეყნიურ სიამოვნებას არ მიატოვებს.

მათ, ვინც შემოთავაზებულ პირობას დაეთანხმება და გამოერიდება მას, "რათა არ ეზიაროს მის ცოდვებს და არ მიიღოს მისი წყლულებისაგან", მიცემული აქვთ ღვთის აღთქმა: "გამოდით მათგან და გამოეყავით! უწმიდურს ნუ მიეკარებით და მე მიგიღებთ თქვენ. ვიქნები თქვენთვის მამა, და თქვენ იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი,

ამბობს უფალი ყოვლისმპყრობელი" (2კორ. 6:17,18). ყოველი ქრისტიანი ვალდებულია და აქვს უპირატესობა, იცხოვროს სრული და შინაარსიანი სულიერი ცხოვრებით. "მე ნათელი ვარ წუთისოფლის, ვინც წამომყვება, ბნელში ალარ ივლის, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას" (იოან. 8:12). "მართალთა გზა დილის ნათელივითაა; უფროდაუფრო ნათდება დღის დადგომამდე" (იგავ. 4:18). რწმენისა და მორჩილების ყოველი ნაბიჯი ააxლოებს სულს სიცოცxლის ნათელთან, რომელშიც "არ არის ბნელი". სიმართლის მზე ეფინება ღვთის მორჩილთ და მათზე უნდა აისაxოს მისი სxივები. როგორც ვარსკვლავები მოწმობენ ზეცაში არსებულ უდიდეს ნათელზე,

რომელსაც ისინი ირეკლავენ, ასევე ქრისტიანებმაც უნდა აჩვენონ, რომ მთელ სამყაროზე მეფობს ღმერთი, რომელიც ქება-დიდებისა და მიბაძვის ღირსია. მისი სულის საბოძვარი, მისი სიწმიდე და სიმართლე მის მოწაფეებში უნდა გამოჩნდეს.

პავლე მოციქული კოლასელთა მიმართ თავის წერილში საუბრობს იმ უხვ კურთხევათა შესახებ, რომელიც ღვთის შვილებს აღუთქვა უფალმა: "ამისათვის ჩვენც იმ დღიდან, როცა ეს მოვისმინეთ, განუწყვეტლივ ვლოცულობთ თქვენთვის, რათა აღივსოთ მისი ნების შეცნობით, ყოველნაირი სიბრძნითა და სულიერი გონებით, რათა მოიქცეთ უფლის ღირსად და ყველაფერში ასიამოვნოთ

მას ყოველ კეთილ საქმეში ნაყოფის მოტანით და ღვთის შემეცნებაში ზრდით; მთელი ძალით გაძლიერებულნი მისი დიდების სიმტკიცისამებრ, ყოველგვარ მოთმინებაში და სულგრძელობაში, სიხარულით" (კოლ. 1:9-11).

ასეთივე სახით მიმართავს იგი ეფესელ ძმებს, რათა მათაც შეიცნონ ქრისტიანული სულის სიმაღლეები. მეტად გასაგები ენით ესაუბრება იგი მათ იმ საოცარი, შესანიშნავი ძალისა და ცოდნის შესახებ, რომლის მფლობელნიც შეიძლება გახდნენ უზენაესის ძენი და ასულნი. მათ მიეცემათ ძალა "თავისი სულით შინაგან კაცში განსამტკიცებლად", რათა "ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში",

"ყველა წმიდასთან ერთად ჩასწვდნენ, რა არის სიგანე და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე და შეიცნონ ქრისტეს სიყვარული". მოციქულის ლოცვა მეტად მღელვარე ხდება, როდესაც ამბობს: "რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისავსით" (ეფ. 3:16,18,19).

ამ ტექსტებში ნაჩვენებია სიმაღლეები, რომელთაც მივაღწევთ ჩვენი ზეციერი მამის აღთქმათა რწმენით, თუკი აღვასრულებთ მის ნებას. ქრისტეს დამსახურებანი მიგვაახლოვებს უსასრულო ძალების ტახტთან. "ის, ვინც თავისი საკუთარი ძე არ დაინდო, არამედ გასწირა ჩვენთვის, განა მასთან ერთად ყოველივეს არ გვაჩუქებს?" (რომ. 8:32). მამამ ძეს მისცა მთელი თავისი სული

მთელი სიხარულით და ჩვენც ასევე შეგვიძლია დავეუფლოთ მას. იესო ამბობს: "თუ თქვენ ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემთა მიცემა თქვენი შვილებისათვის, მეტადრე ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს" (ლუკ. 11:13). და "თუ რამეს ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ". "ითხოვეთ და მიიღებთ, რათა თქვენი სიხარული სრულყოფილი იყოს" (იოან. 14:14; 16:24).

თუმცა ქრისტიანი მოკრძალებით, თავმდაბლობითა და მორჩილებით უნდა გამოირჩეოდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, მწუხარე და დათრგუნული იყოს. ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ უფლის მოწონება და კურთხევა დავიმსახუროთ. ჩვენს ზეციერ მამას არ სურს, რომ ბნელში ვიყოთ და

მუდამ სინდისის ქენჯნა გვაწუხებდეს. ჭეშმარიტი მორჩილება არ ნიშნავს თავდაბრილ სიარულსა და საკუთარ ცოდვებზე ურვას; ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ იესოსთან, განვიწმიდოთ და მისი კანონის წინაშე ყოველგვარი სირცხვილისა და სინდისის ქენჯნის გარეშე წარვდგეთ. "ახლა არავითარი მსჯავრი არ არის მათზე, რომლებიც ქრისტე იესოში ცხოვრობენ არა ხორციელად, არამედ სულიერად" (რომ. 8:1).

იესოს მეშვეობით ადამის დაცემული შვილები "ღვთის შვილებად" იქცნენ. "ვინაიდან გამწმედელი და განწმედილნიც ყველანი ერთისაგან არიან; ამიტომ არ რცხვენია, მათ ძმები უწოდოს" (ებრ. 2:11). ქრისტიანის ცხოვრება უნდა

იყოს რწმენით, გამარჯვებითა და სიხარულით ალსავსე უფალში. "ვინაიდან ყოველი ღვთისგან შობილი სძლევს წუთისოფელს. ეს არის ძლევა, წუთისოფლის მძლეველი - ჩვენი რწმენა" (1იოან. 5:4). რა სამართლიანად ამბობს უფლის მსახური ნეემია: "უფლის სიხარულია თქვენი გაძლერება" (ნეემ, 8:10). პავლე მოციქული ამბობს: "მარადის იხარეთ უფალში, და კიდევ ვიტყვი: იხარეთ". "მუდამ ხარობდეთ. ილოცეთ ერთთავად. მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის, ვინაიდან ეს არის თქვენს მიმართ ღვთის ნება ქრისტე იესოში" (ფილ. 4:4; 1თეს. 5:16-18).

ასეთია ბიბლიური მოქცევისა და განწმედის ნაყოფი, მაგრამ იგი იშვიათია, რადგან ქრისტიანული

სამყარო არ ღებულობს უფლის კანონით გადმოცემულ სამართლის უდიდეს პრინციპებს. ამავე მიზეზის გამო ვხედავთ ღვთის სულის მსახურების ღრმა და ყოვლისმომცველ გამოვლენას, რომელიც თან სდევდა გასულ საუკუნეთა რელიგიური გამოღვიძების მოძრაობებს.

მომავლის ჭვრეტითა და ქრისტეზე ფიქრით ჩვენ გარდავიქმნებით. და თუკი ადამიანებს არ სურთ იმ წმიდა მცნების შეცნობა, რომელშიც ღმერთმა გვიჩვენა თავისი ხასიათის სიწმიდე და სრულყოფილება, და მის ნაცვლად ადამიანურ თეორიებსა და მოძღვრებებს სწავლობენ, განა გასაკვირია, რომ ეკლესიაში ასე მცირეა ცოცხალი ღვთისმოსაობა?

უფალი ამბობს: "რადგან ორი დანაშაული ჩაიდინა ჩემმა ერმა: მიმატოვეს მე, ცოცხალი წყაროსთვალი და ამოკვეთეს თავისთვის დანგრეული ჭები, წყალს რომ ვერ იკავებენ" (იერემ. 2:13).

"ნეტარია კაცი, რომელიც არ მისდევს ულმრთოთა რჩევას, და ცოდვილთა გზას არ ადგას... არამედ უფლის რჯულშია მისი მისწრაფება და მის რჯულზე ფიქრობს იგი დღედაღამ. და იქნება იგი წყლის ნაკადებთან დანერგილი ხესავით, თავის დროზე რომ იძლევა ნაყოფს და ფოთოლი მისი არ დაჭკნება და ყოველივეში რასაც იქმს, წარმატებულია" (ფს. 1:1-3). მხოლოდ მაშინ, როდესაც უფლის კანონი განდიდდება და სათანადო სიმაღლეს

მიალწევს, უფლის რჩეულთა შორის განახლდება თავდაპირველი რწმენა და ღვთისმოსაობა. "ასე ამბობს უფალი: დადექით გზებზე, მიმოიხედეთ და გამოიკითხეთ ძველი სავალი, რომლითაც აჯობებს იმ გზებზე იარეთ და სულისთვის შვებას ჰპოვებთ" (იერ. 6:16).

თავი 28 სამსჯავროს წინაშე

"ბოლოს ვნახე, - ამბობს დანიელ წინასწარმეტყველი, - რომ დაიდგა ტახტრევნები და დაჯდა ძველი

დღეთა. მისი სამოსელი თოვლივით სპეტაკი იყო და სუფთა მატყლივით იყო თმები მის თავზე. მისი ტახტი ვერცხლის ელვარება იყო, მისი ეტლის თვლები კი - მგზნებარე ცეცხლი. მოედინებოდა ცეცხლოვანი მდინარე და მის წინ გამოდიოდა. ათასის ათასნი ემსახურებოდნენ მას და ბევრის ბევრნი იდგნენ მის წინაშე. დაჯდა სამსჯავრო და გადაიშალა წიგნები" (დან. 7:9,10).

ასე იხილა წინასწარმეტყველმა დღე უდიდესი და დიდებული, როდესაც მთელი დედამიწის უზენაესი მსაჯული განიხილავს ადამიანთა ცხოვრებასა და ხასიათს და ყოველი მათგანი მიიღებს საზღაურს "თავისი საქმეების მიხედვით". "ძველი დღეთა" - ეს მამა

ღმერთია. მეფსალმუნე ამბობს: "ვიდრე მთები დაიბადებოდნენ და შექმნიდი დედამიწასა და სამყაროს, და უკუნითი უკუნისამდე შენა ხარ ღმერთი" (ფს. 89:2). ის - წყარო ყოველი არსებულისა, შემოქმედი და დამაარსებელი მთელი კანონისა, უხელმძღვანელებს სამსჯავროს. "ვნახე: აჰა, ცის ღრუბლებზე მოდიოდა კაცის ძის მსგავსი; იგი "ძველ დღეთა"-სთან მოვიდა და წარდგენილ იქნა მის წინაშე. მიეცა მას ხელმწიფობა, დიდება და მეფობა, რათა ყველა ხალხი, ტომნი და ენანი მას ემსახურონ. მისი ხელმწიფება საუკუნო ხელმწიფებაა, ბოლო არ ექნება მას" (დან. 7:13,14). აქ ქრისტეს დედამიწაზე მეორედ მოსვლა არაა აღწერილი. იგი წარდგა "ძველ

დღეთა"-ს წინაშე ზეცაში ხელმწიფების, დიდებისა და მეფობის მისაღებად, რომელიც მას თავისი შუამდგომლური მსახურების დამთავრების შემდეგ მიეცემა. ეს წინასწარმეტყველება მიუთითებდა მოვლენაზე, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა 2300 დღის გასრულებისას, 1844 წელს და არა ქრისტეს მეორედ მოსვლაზე. წმიდა ანგელოზთა თანხლებით ჩვენი უდიდესი მღვდელმთავარი შედის ზეციურ წმიდათაწმიდაში, რათა წარდგეს ღმერთის წინაშე და დაასრულოს თავისი შუამდგომლური მსახურება ადამიანებისათვის, ე.ი. ჩაატაროს სასამართლო ძიება და გამოისყიდოს ყველა, ვინც კურთხევის ღირსი აღმოჩნდება.

მიწიერი მსახურებისას განწმედის ამ უდიდესი დღის მსახურებაში მხოლოდ ისინი ღებულობდნენ მონაწილეობას, ვინც ალსარებითა და მონანიებით მივიდა უზენაესთან და ვისი ცოდვებიც მათთვის შეწირული მსხვერპლის სისხლით შეტანილ იქნა საწმიდარში. ამ დიდებულ, საბოლოო შემორიგებისა და სამსჯავროს გამოცხადების დღესაც მხოლოდ ღვთის ხალხის საქმეები განიხილება. ულვთოთა სამსჯავრო - სხვა მოვლენაა, რომელიც მოგვიანებით იქნება. "რადგან დროა ღვთის სახლიდან განკითხვის დაწყებისა და, თუ ჩვენგან დაიწყება, რა ალსასრული ელით ღვთის სახარების ურჩებს?" (1პეტ. 4:17).

ადამიანთა ბედი გადაწყდება ზეციური წიგნების ჩანაწერების თანახმად, სადაც შეტანილია ყოველი ადამიანის სახელი და საქმენი. დანიელ წინასწარმეტყველი ამბობს: "დაჯდა სამსჯავრო და გადაიშალა წიგნები". გამოცხადების წიგნის ავტორი იგივე მოვლენების ალწერისას დამატებით გვიცხადებს: "...გადაშლილი იყო სხვა წიგნიც, რომელიც სიცოცხლის წიგნია; და განკითხულ იქნენ მკვდრები წიგნებში ნაწერიდან, მათი საქმეებისამებრ" (გამოცხ. 20:11,12).

სიცოცხლის წიგნში ჩაწერილია ყველა ადამიანის სახელი, რომელიც ოდესლაც უფალ ღმერთს ემსახურებოდა. იესომ მიმართა თავის მოწაფეებს: "გიხაროდეთ, რომ თქვენი

სახელები ჩაიწერება ცაში" (ლუკ. 10:20). პავლე მოციქულიც გვიამბობს თავის ერთგულ თანამშრომელთა შესახებ, "რომელთა სახელები სიცოცხლის წიგნშია" (ფილ. 4:3). დანიელი, რომელმაც იხილა "მძიმე დრო", "ხალხის გაჩენის დღიდან ამ დრომდე რომ არ ყოფილა", ამბობს, რომ ღვთის ხალხი, "ყველა გადარჩება, ვინც კი წიგნში ჩაწერილი ალმოჩნდება" (დან.12:1). გამოცხადებაშიც ნათქვამია, რომ ღვთის ქალაქში შევლენ "მხოლოდ ისინი, ვინც კრავის სიცოცხლის წიგნშია ჩაწერილი". (გამოცხ. 21:27).

"როცა უფლის მოშიშნი ერთმანეთში ლაპარაკობენ, ყურს უგდებს უფალი, ესმის და იწერება მის წინაშე სამახსოვრო წიგნი

უფლის მოშიშთათვის და მისი სახელის მომხსენიებელთათვის" (მალ. 3:16). მათი რწმენის სიტყვები და სიყვარულის საქმეები ზეცაში ალინიშნება. ამაზე დაყრდნობით ნეემია სთხოვს უფალს: "ამის გულისათვის გამიხსენე, ჩემო ღმერთო, და ნუ წარხოცავ იმ ჩემს ძველ საქმეებს, რაც ღვთის სახლისთვის და მისი სამსახურისთვის გამიკეთებია" (ნეემ. 13:14). უფლის სამახსოვრო წიგნში შეტანილია ყოველი მართალი საქმე. იქ სამართლიანად არის ალნიშნული წარმატებით ჩაბარებული გამოცდა, ყოველი გამარჯვება ბოროტებაზე, ადამიანის მიერ წარმოთქმული ყოველი თბილი სიტყვა. იქ ალნიშნულია ყოველი თავდადება,

ქრისტეს გულისათვის გადატანილი ყოველი განსაცდელი, ტკივილი და განცდა. მეფსალმუნე ამბობს: "ჩემი ხეტიალი გამოთვლილი გაქვს; შენს ჭურჭელში მოათავსე ჩემი ცრემლები - აგერ შენს წიგნშია" (ფს. 55:9).

ზეცაში აღინიშნება ადამიანთა ცოდვებიც: "რადგან ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს ღმერთი, ყოველივე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს" (ეკლ. 12:14). "...ყოველი ფუჭი სიტყვისათვის, რომელსაც იტყვიან ადამიანები, პასუხს აგებენ განკითხვის დღეს; ვინაიდან შენი სიტყვებით გამართლდები და შენივე სიტყვებით გამტყუნდები" (მათ. 12:36,37). ამ სამართლიან ანგარიშგებაში ჩაწერილია ფარული ზრახვები და ფიქრები, რადგან

უფალი "გაანათებს ბნელში დამალულს და გამოაჩენს გულის ზრახვებს" (1კორ. 4:5). "აჰა, დაწერილია ჩემს წინაშე... და საზღაურს მივაგებ... მათი ცოდვებისთვის და მათი მამა-პაპის ცოდვებისთვის ერთიანად" (ეს. 65:6,7).

ყოველი ადამიანის თითოეული ნაბიჯი უფლის მიერ განიხილება და ალინიშნება, როგორც ჭეშმარიტი ან უსამართლო ზეციურ წიგნებში. ჩვენი სახელის გასწვრივ უდიდესი სიზუსტით ალინიშნება ყოველი ცუდი სიტყვა, ყოველი ეგოისტური ქცევა, ყოველი შეუსრულებელი მოვალეობა და ყოველგვარი დაფარული ცოდვა, რა დიდი ოსტატობითაც არ უნდა იყოს შენილბული. ანგელოზი უყურადღებოდ არ ტოვებს უფლის

არც ერთ გაფრთხილებას, რომელიც ადამიანმა არ ისმინა; უქმად გაფლანგულ დროს, ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობას, ადამიანის მიერ გავრცელებულ კეთილ ან ბოროტ გავლენას მისგან გამომდინარე ყველა შედეგით.

უფლის კანონი არის ის საზომი, რომლითაც ადამიანები სამსჯავროზე შემოწმდებიან. სოლომონ ბრძენი ამბობს: "ღვთისა გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისნი, რადგან ეს არის კაცის თავი და თავი. რადგან ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს ღმერთი" (ეკლ.12:13,14). მოციქული იაკობი ძმებს აფრთხილებდა: "ისე ილაპარაკეთ და ისე მოიქეცით, როგორც თავისუფლების რჯულით განსაკითხველებმა" (იაკ. 2:12).

ხოლო ისინი, ვინც ღირსად ჩაითვლება, მონაწილეობას მიიღებენ მართალთა აღდგომაში. იესო ამბობს: "ხოლო, ვინც ღირსნი არიან მოიპოვონ ის საუკუნე და მკვდრეთით აღდგომა... ანგელოზთა სწორნი და ღვთის ძენი არიან ისინი, - აღდგომის ძენი" (ლუკ. 20:35,36). და კვლავ განაგრძობს: "კეთილის მოქმედნი სიცოცხლის აღდგომისთვის გამოვლენ" (იოან. 5:29). ქრისტეში მკვდარნი აღდგებიან მხოლოდ სამსჯავროს შემდეგ, როდესაც მათ ღირსად სცნობენ "სიცოცხლის აღდგომისათვის". აქედან გამომდინარე, ისინი არ დაესწრებიან სასამართლოს, როდესაც მათი საქმეები იქნება განხილული და მათი ბედი გადაწყდება.

იესო მათი დამცველი იქნება. იგი უშუამდგომლებს მათ ღმერთის წინაშე. "ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე - მართალი იესო ქრისტე" (1იოან. 2:1). "ვინაიდან ქრისტე შევიდა არა ხელთქმნილ წმიდაში, ჭეშმარიტის ანარეკლში, არამედ თვით ცაში, რათა წარდგეს ახლა ჩვენთვის ღვთის წინაშე" (ებრ. 9:24). "ამიტომაც ძალუძს სრულად გადაარჩინოს ყველა, ვინც მისი შუამდგომლობით მიეახლება ღმერთს, ვინაიდან ცოცხალია მუდამ, რათა უშუამდგომლოს მათ" (ებრ. 7:25).

როდესაც სამსჯავროზე წიგნები გადაიშლება, მაშინ იესო ქრისტეს ერთგულ მორწმუნეთა ცხოვრებაც გადაიშლება ღვთის წინაშე. ჩვენი

შუამდგომელი იწყებს დედამიწის პირველი მკვიდრიდან, თანმიმდევრულად გადადის თაობიდან თაობაზე და დაასრულებს ცოცხლებით. ყოველი ადამიანი თავისი სახელით იქნება ალნიშნული და მთელი მისი ცხოვრება დიდი გულმოდგინებითა და ყურადღებით იქნება შესწავლილი. ზოგს მიიღებენ, ზოგს კი - უარყოფენ. თუკი წიგნში ალმოჩნდება ადამიანის მიერ მოუნანიებელი და უფლის მიერ მიუტევებელი ცოდვები, მისი სახელი ამოიღება სიცოცხლის წიგნიდან და მის კეთილ საქმეთა სიასაც ხაზი გადაესმება. "უთხრა უფალმა მოსეს: ვინც მე შემცოდა, იმას ამოვშლი ჩემი წიგნიდან" (გამოს. 32:33). და ეზეკიელ წინასწარმეტყველიც ამბობს: "თუ

მართალი მიიქცევა თავისი სიმართლისაგან და ჩაიდენს უკეთურებას, ჩაიდენს ყველა სისაძაგლეს, რასაც ბოროტეული სჩადის, იცოცხლებს განა? ყოველი სიკეთე, რაც გაუკეთებია, არ გაუხსენდება" (ეზეკ. 18:24).

ყველას, ვინც გულწრფელად მოინანია ცოდვები და ირწმუნა ქრისტეს სისხლის გამომსყიდველი მსხვერპლი, ზეციური წიგნების თანახმად, მიეტევება. ისინი გახდებიან ქრისტეს სიმართლის თანაზიარნი და აღასრულებენ უფლის კანონის მოთხოვნას. უფალი კი წაშლის ზეციურ წიგნში ჩაწერილ მათ ცოდვებს და მარადიული სიცოცხლის ღირსად სცნობს მათ. უფალი ესაია წინასწარმეტყველის

მეშვეობით ალგვითქვამს: "მე ვარ, მე, ვინც წარვხოცავდი შენს შეცოდებებს ჩემი გულისთვის და შენს ცოდვებს არ ვიხსენებდი" (ეს. 43:25). იესო ამბობს: "გამარჯვებული ჩაიცვამს თეთრ სამოსელს და მის სახელს არ ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან, და ვაღიარებ მის სახელს ჩემი მამის წინაშე და მისი ანგელოზების წინაშე". "ყველას, ვინც მე მაღიარებს ადამიანთა წინაშე, იმას მეც ვაღიარებ ჩემი ზეციერი მამის წინაშე; ვინც უარმყოფს მე ადამიანთა წინაშე, მას მეც უარვყოფ ჩემი ზეციერი მამის წინაშე" (გამოცხ. 3:5; მათ. 10:32,33).

როგორი სიმართლის მომცველიც არ უნდა იყოს მიწიერი სასამართლო, იგი მაინც სუსტი ანარეკლია იმ ყურადღებისა, რომლითაც

შესწავლილი იქნება მთელი სამყაროს უზენაესი მსაჯულის მიერ სიცოცხლის წიგნში ჩაწერილთა ცხოვრება და საქმეები. ღვთიური შუამდგომელი ითხოვს მათ დანაშაულთა მიტევებას, ვინც გაიმარჯვა მისი სისხლის რწმენით, რათა ისინი კვლავ დაბრუნდნენ ედემში და ღვთის მემკვიდრეებად იწოდებოდნენ, როცა "წინანდელი ხელმწიფება" დაბრუნდება (მიქ. 4:8). სატანა იმედოვნებდა ადამიანის გადარჩენის ღვთიური გეგმის ჩაშლას, მაგრამ ახლა ქრისტე ისე მოითხოვს ამ გეგმის განხორციელებას, თითქოს დედამიწაზე ცოდვა არასოდეს ყოფილა. იგი ითხოვს მისი ხალხის არა მხოლოდ სრულ მიტევებასა და

გამართლებას, არამედ იმასაც, რომ ისინი მისი დიდების თანაზიარნი გახდნენ და მის ტახტზე, მისივე გვერდით დაჯდომის უფლება ჰქონდეთ.

იმ დროს, როდესაც იესო შუამდგომლობას უწევს მისი მადლის მიმღებთ, სატანა მათ ღმერთის წინაშე დამნაშავეებად წარმოადგენს. უდიდესი მაცდური ყოველთვის უბიძგებდა მათ ურწმუნოებისაკენ, უფლის სიყვარულის მცნებების უარყოფისა და უიმედობისაკენ, ახლა კი მათ ცხოვრებისეულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს, იმაზე, თუ როგორ არ ჰგვანან ეს ადამიანები ქრისტეს, რომ მათ შეარცხვინეს თავიანთი მაცხოვარი; ხაზგასმით მიუთითებს ყველა იმ ცოდვაზე,

რომლისკენაც თავად უბიძგა და აცხადებს თავის უფლებამოსილებას მათზე, როგორც თავის ქვეშევრდომებზე.

იესო არ ამართლებს ადამიანთა ცოდვებს, მაგრამ მიუთითებს მათ რწმენაზე და მიტევების მიღების უფლებაზე, იწვდის თავის განგმირულ ხელებს მამისა და წმიდა ანგელოზებისაკენ და ამბობს: მე მათ სახელებით ვცნობ. მე ჩემს ხელისგულებზე დავიწერე ისინი. "შესაწირავი ღმერთისა - სული მოდრეკილი; მოდრეკილისა და მორჩილის გული არ დაამცირო, ღმერთო!" (ფს. 50:19). და იგი მიმართავს თავისი ხალხის ცილისმწამებელს: "გიკრძალავს უფალი, სატანავ! გიკრძალავს

უფალი, რომელმაც იერუსალიმი ამოარჩია! განა ეს ცეცხლიდან მოწყვეტილი მუგუზალი არ არის?" (ზაქ. 3:2). ქრისტე შემოსავს თავის ერთგულთ თავისი სიმართლით, რათა წარადგინოს ისინი მამის წინაშე, როგორც თავისი ეკლესია, "რომელსაც ლაქა ან მანკი, ან რაიმე მისი მსგავსი არაფერი აქვს" (ეფ. 5:27). მათი სახელები ჩაწერილია სიცოცხლის წიგნში და მათზეა ნათქვამი: "ჩემთან ერთად ივლიან თეთრებში, ვინაიდან ისინი ღირსნი არიან" (გამოცხ. 3:4).

ამგვარად, სრულად ახდება უფლის მიერ აღთქმული: "ყველას ვაპატიებ დანაშაულს და აღარ გავუხსენებ ცოდვებს". "იმ დღეებში და იმხანად, ამბობს უფალი, მოეკითხება

ისრაელის ბრალი და ალარ იქნება; იუდას - ცოდვა და ალმოჩნდება, რადგან ყველას ვაპატიებ, ვისაც კი დავარჩენ" (იერ. 31:33; 50:20). "იმ დღეს იქცევა უფლის მორჩი მშვენებად და პატივად, და მიწის ნაყოფი - ლირსებად და დიდებად ისრაელის ნატამალისთვის; სიონს შემონახული და იერუსალიმში დარჩენილი წმიდად იქნება წოდებული ყველა, ვინც განწესებულია იერუსალიმში სასიცოცხლოდ" (ეს. 4:2,3).

ზეციური სამსჯავრო და ცოდვათა მოსპობა უფლის მეორედ მოსვლამდე უნდა დასრულდეს. იმდენად, რამდენადაც მიცვალებულნი წიგნის ჩანაწერების მიხედვით განიკითხებიან, ადამიანთა ცოდვები არ შეიძლება წაიშალოს სამსჯავროს

დამთავრებამდე, რომელზედაც მათი ბედი უნდა გადაწყდეს. პეტრე მოციქული გასაგებად ამბობს, რომ მორწმუნეთა ცოდვები შეიძლება ალიხოცოს ოდეს "მოიწიოს ჟამი სიხარულისა უფლის სახისაგან და მოავლინოს თქვენთვის ნაწინასწარმეტყველები იესო ქრისტე" (საქ. 3:19,20). გასრულდება რა სამსჯავროს პერიოდი, უფალი იესო მოვა დედამიწაზე შურისგებისათვის, რათა ყოველს თავისი საქმეების მიხედვით მიუზღას.

ისრაელის ცოდვისაგან გამოსყიდვის მიწიერი მსახურებისას მღვდელმთავარი გამოდიოდა ხალხის წინაშე და აკურთხებდა მას. ასევე ქრისტეც, თავისი შუამდგომლური მსახურების აღსრულების შემდგომ

"გამოჩნდება არა ცოდვებისაგან განსაწმედად, არამედ მის მომლოდინეთა სახსნელად" (ებრ. 9:28), მარადიული სიცოცხლის მომლოდინეთა საკურთხებლად და როგორც მღვდელმთავარი საწმიდარიდან გატანილ ცოდვებს აკისრებდა "განტევების ვაცს", ასევე ქრისტეც ყველა ცოდვას დააკისრებს სატანას, ურჯულოებისა და ბოროტების სათავეს და როგორც ისრაელის ცოდვებით დამძიმებული განტევების ვაცი იდევნებოდა "დასაკარგავისაკენ... უდაბნოში" (ლევ. 16:22), ასევე სატანაც, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა დანაშაულისათვის, თავად რომ უბიძგა ღვთის შვილთ, იხეტიალებს ათასი წლის განმავლობაში

გატიალებულ, უსიცოცხლო უდაბნოში და საბოლოოდ დამსახურებისამებრ დაისჯება იმ ცეცხლით, რომლითაც უნდა განადგურდეს და ბოლო მოელოს ყოველგვარ უწმიდურებასა და უწმიდურთ. ამგვარად, გამოსყიდვის უდიდესი გეგმა დასრულდება ცოდვებისა და ბოროტების განადგურებით და მათი გადარჩენით, ვინც ბოროტებას წინ ალუდგა.

წინასწარმეტყველების მიხედვით, სამსჯავროსათვის განსაზღვრული დროიდან (2300 დღის გასრულებისას), ე.ი. 1844 წლიდან დაიწყო ზეციური სამსჯავრო და ცოდვათა მიტევება: ცხოვრება ყოველი ადამიანისა, რომელიც თავს ქრისტეს მიმდევრად თვლიდა, გულმოდგინე და ღრმად

შესწავლის საგანი გახდება. ცოცხლებიც და მკვდრებიც "წიგნებში ჩაწერილ თავიანთ საქმეთა მიხედვით" განიკითხებიან.

მოუნანიებელი და მოუმორებელი ცოდვები ადამიანებს არ მიეტევებათ. ისინი წიგნებში დარჩებიან ცოდვილის წინააღმდეგ მოწმობისათვის უფლის დღეს. ბოროტება, ჩადენილი დღისით თუ ღამით - სულ ერთია, "გაცხადდება და გაშიშვლდება" მის წინაშე, ვინც უნდა განგვიკითხოს. უფლის ანგელოზები ხედავენ ყოველ ცოდვას და უდიდესი სიზუსტით აღნიშნავენ მას. ცოდვის დაფარვა, დამალვა და უარყოფა შეიძლება მამის, დედის, ცოლის, ბავშვებისა თუ მეგობრების წინაშე და შესაძლოა, თავად ცოდვილის

გარდა, ვერასოდეს ვერავინ გაიგოს ჩადენილი ბოროტების შესახებ, მაგრამ ზეცის წინაშე შეუძლებელია მისი დაფარვა. ვერც ყველაზე ბნელი ღამის წყვდიადი, ვერც ყველაზე ოსტატური ნილაბი ვერცერთ აზრსა და ფიქრს ვერ დამალავს უზენაესისაგან. უფლისათვის კარგად არის ცნობილი ყოველი უსამართლო საქციელი და ყოველი უწმიდური საქმე. შეუძლებელია მისი მოტყუება ღვთისმოსაობის ნიღბით. იგი უშეცდომოდ შეიცნობს ჩვენს არსებას. მზაკვარ და სულწაწყმედილ ადამიანებს შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ თავიანთი ახლობლები, მაგრამ უფლისათვის გაცხადებულია ყოველგვარი სიცრუე და ყოველი

ადამიანის შინაგანი, სულიერი ცხოვრება.

რა საოცარია! ადამიანები ყოველდღიურად ტოვებენ ამ წუთისოფელს, მაგრამ მათი ყოველი მოქმედება დაბეჭდილი რჩება ზეციურ წიგნებში. ერთხელ ნათქვამ სიტყვას უკან ველარასოდეს დააბრუნებ და ვერც უკვე ჩადენილს შეცვლი. ანგელოზები ალნიშნავენ როგორც კეთილ, ასევე ბოროტ საქმეებს. ყველაზე ძლიერ დამპყრობელსაც კი არ ძალუძს, დაიბრუნოს ერთადერთი დღეც კი. ჩვენს საქმეებს, სიტყვებს და ყველაზე დაფარულ ფიქრებსაც კი - ყოველივეს თავისი წონა და მნიშვნელობა ექნება ჩვენი ბედის გადაწყვეტისას. ბევრი წვრილმანი, შესაძლოა უკვე

დავიწყებულიც, ან გაგვამართლებს, ან გაგვამტყუნებს.

როგორც ფოტოგრაფიული ფირი აფიქსირებს ადამიანის სახეს, ასევეა ალბეჭდილი ადამიანი ზეციურ წიგნებში. სამწუხაროდ, ძალიან ცოტას ადარდებს ის ფაქტი, რომ ზეცისათვის არაფერია დაფარული. რომ შეიძლებოდეს იმ ფარდის გადაწევა, რომელიც ხილულს ჰყოფს უხილავისაგან, დედამიწის შვილები დაინახავდნენ ანგელოზებს, რომელნიც იწერენ ყოველ ჩვენს მიერ წარმოთქმულ სიტყვას და ყველაფერს, რაც შემდგომში სამსჯავროზე განიხილება. რამდენ უკეთურ სიტყვას არ წარმოვთქვამდით და რამდენ ულირს საქციელს არ ჩავიდენდით მაშინ!

სამსჯავროზე დიდი ყურადღებით აიწონება სარგებელი იმ ტალანტიდან, რომელიც ჩვენ გვებოძა. როგორ გამოვიყენეთ ზეცის მიერ მობარებული კაპიტალი? დავუბრუნებთ თუ არა ქრისტეს მისი მოსვლის დღეს მის საკუთრებას სარგებლით? გამოვიყენეთ თუ არა ჩვენი ხელი, გული და გონება უფლის დიდებისა და წუთისოფლის კურთხევისათვის? რას მოვახმარეთ ჩვენი დრო, კალამი, ხმა, ფული და გავლენა? რა გავაკეთეთ ქრისტესათვის ღარიბთა, ტანჯულთა, ობოლთა და ქვრივთა დახმარების სახით? ღმერთმა გვანდო თავისი წმიდა სიტყვა, როგორ გამოვიყენეთ ადამიანთა გადარჩენისათვის ჩვენთვის ბოძებული ჭეშმარიტების

ნათელი? ქრისტიანული რწმენის ალიარებას მხოლოდ სიტყვებით, საქმის გარეშე, არავითარი ფასი არა აქვს, რადგან საქმეებით ხორცშესხმული სიყვარული ითვლება ჭეშმარიტებად. ზეცა ალიარებს მხოლოდ სიყვარულით გაკეთებულ საქმეებს. სიყვარულით ალსრულებული საქმე, ადამიანების თვალში თუნდაც მცირე და უმნიშვნელო, სასიამოვნოა უფლისათვის და საზღაურს მიაგებს მათ.

ზეციური წიგნები გააცხადებენ ადამიანში ღრმად დამალულ ეგოიზმს. მათში ალინიშნება ისიც, რომ არ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა მოყვასის მიმართ და ისიც, რომ დავივიწყეთ მაცხოვრის

მცნებები. ადამიანები დაინახავენ, თუ რა ხშირად ახარჯავდნენ ისინი სატანას ენერგიას და დროს, რომელიც ქრისტეს ეკუთვნოდა. ო, რა სამწუხარო ჩანაწერებს აკეთებენ ანგელოზები ზეცაში! გონიერი არსებები, რომელთაც ქრისტეს მიმდევრები ჰქვიათ, მთლიანად ჩაფლულნი არიან ამქვეყნიურ საქმეებსა ან გართობებში. ამქვეყნიურ სიამოვნებათა და პატივმოყვარე ვნებათა დაკმაყოფილებას ეწირება მათი ფული, ძალა და დრო, და რა მცირე დრო ეთმობა ლოცვებს, წმიდა წერილის შესწავლას, ცოდვათა მონანიებასა და აღსარებას.

საზღვარი არა აქვს სატანის გამომგონებლობას, რომელიც

ცდილობს ჩვენი ყურადღების მოდუნებას ჩვენივე მთავარი დანიშნულების მიმართ. შეუდარებელ თვალთმაქცს სძულს უდიდესი ჭეშმარიტებანი, რომლებიც გამომსყიდველი მსხვერპლისა და ყოვლისშემძლე შუამდგომლისაკენ გვიკაფავს გზას. მან კარგად იცის, რომ მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს დააშოროს ადამიანი ქრისტეს და მის ჭეშმარიტებას.

ისინი, ვინც ქრისტეს მოზიარენი გახდებიან ზეციურ სიხარულში, წარბშეუხრელად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და "იწმიდებიან ღვთის მოშიშობაში". პატივმოყვარე ანგარების

დასაკმაყოფილებლად ძვირფასი წუთების ფუჭ გართობებზე გაფლანგვის ნაცვლად, ასეთი ადამიანები მთელ დროს ღვთის სიტყვის ჭეშმარიტების ლოცვებით შესწავლას ანდომებენ. ჭეშმარიტებანი საწმიდარისა და სამსჯავროს შესახებ ღვთის ხალხმა ღრმად უნდა შეიმეცნოს. ყველას უნდა ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რას აკეთებს უდიდესი მღვდელმთავარი ჩვენთვის. წინაალმდეგ შემთხვევაში ხალხს არ ექნება საჭირო რწმენა და ვერ დაიკავებს უფლის მიერ მათთვის განკუთვნილ ადგილს. ყოველ ადამიანს აქვს სული, რომელიც უნდა გადარჩეს, ან დაიღუპოს. ყოველი ჩვენთაგანის ცხოვრება სასწორზე

იწონება. ყოველი ადამიანი პირისპირ უნდა წარდგეს უდიდესი მსაჯულის წინაშე. სწორედ ამიტომ საჭიროა, ადამიანმა ხშირად იფიქროს იმ მრისხანე წუთებზე, როდესაც ზეციური წიგნები გადაიშლება და ყოველი ადამიანი, დანიელთან ერთად, "დღეთა დასასრულს" წარდგება თავისი განაჩენის მოლოდინში.

ყველამ, ვინც მიიღო ამ უდიდეს ჭეშმარიტებათა ნათელი, სხვებს უნდა გაუზიაროს იგი. ზეციური საწმიდარი - ეს არის ქრისტეს ადამიანისათვის მსახურების ცენტრი. ის, რაც იქ ხდება, ეხება ყველა ადამიანს მთელი დედამიწის ზურგზე. იგი ნათელს ხდის გამოსყიდვის მთელ გეგმას,

მივყავართ დედამიწის ისტორიის ბოლო ჟამისაკენ და ცოდვაზე უდიდესი გამარჯვებისაკენ. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ამ საკითხთა ღრმა და დაფიქრებული შესწავლა, რათა სწორი პასუხი გაეცეს ყველას, ვინც ჩვენი იმედებით დაინტერესდება.

ადამიანისათვის ქრისტეს შუამდგომლობა ზეციურ საწმიდარში - ეს გადარჩენის გეგმის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორიც მისი ჯვარცმა. თავისი სიკვდილით დაიწყო მან ამ გეგმის განხორციელება, რომლის დასასრულებლად ზეცად ამაღლდა მკვდრეთით აღდგომის შემდგომ. ჩვენ რწმენით უნდა შევიდეთ ფარდის მიღმა, "სადაც ჩვენთვის

წინამორბედად შევიდა იესო" (ებრ. 6:20). იქ ბრწყინავს გოლგოთას ჯვრის ნათელი. იქ შეგვიძლია ღრმად შევიცნოთ გამოსყიდვის საიდუმლო. ზეცამ უდიდესი საფასური გაიღო ადამიანის გადასარჩენად; გაღებული მსხვერპლი სრულად აკმაყოფილებს უფლის დარღვეული კანონის მოთხოვნებს. იესომ გახსნა გზა მამის ტახტისაკენ და მისი შუამდგომლური მსახურების მეოხებით, მასთან რწმენით მოსულ ყოველ ადამიანს შეუძლია თავისი სურვილი ამცნოს უზენაესს.

"ვინც თავის ცოდვებს მალავს, ხელი არ მოემართება, ხოლო ვინც მათ აღიარებს და მიატოვებს, შეწყალებული იქნება" (იგავ. 28:13). მათ, ვინც თავის შეცდომებს მალავს

და ამართლებს, ამის გამო სატანის ზეიმისა, ქრისტეს და მის ანგელოზთა მიმართ მკრეხელური დაცინვის ხილვა რომ შეეძლოთ, ერთი წუთითაც არ შეყოვნდებოდნენ: ალიარებდნენ და მიატოვებდნენ თავიანთ ცოდვებს. სატანა სარგებლობს ადამიანის სისუსტით და ცდილობს დაეუფლოს მთელ მის არსებას, რადგან იცის, რომ თუკი მანკიერება განმტკიცდება, იგი გაიმარჯვებს. ამიტომ ის მუდამ ცდილობს, ქრისტეს მიმდევართ შთააგონოს, რომ ისინი მაინც ვერ მოერევიან თავიანთ სუსტ მხარეებს. მაგრამ იესო შუამდგომლობს მათ. თავისი განგმირული და ნაიარევი ხელებით იგი მიუთითებს თავის დაჭრილ სხეულზე და მიმართავს

მათ, ვისაც სურს, გაჰყვეს მის გზას: "გეყოფა ჩემი მადლი". "იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს, ვინაიდან ჩემი უღელი საამურია და ჩემი ტვირთი - მსუბუქი" (2კორ. 12:9; მათ. 11:29,30). ამიტომ ნურავინ ჩათვლის თავის ცოდვებს გამოუსწორებლად. უფალი გვაძლევს რწმენასა და მადლს, რათა გავთავისუფლდეთ მათგან.

დღეს ჩვენ გამოსყიდვის უდიდეს პერიოდში ვცხოვრობთ. მიწიერი სიმბოლური მსახურებისას, როდესაც მღვდელმთავარი ისრაელის გამოსყიდვის ცერემონიალს ატარებდა, ყველას სული უნდა მოედრიკა მონანიებითა და ღვთის

წინაშე ცოდვების აღიარებით. იგივე უნდა მოვიმოქმედოთ ჩვენც, რათა ცოდვებმა არ გაგვრიყოს უფლის ხალხისაგან. მათ მსგავსად ყველამ, ვისაც სურს, რომ მისი სახელი შენარჩუნებული იყოს სიცოცხლის წიგნში, ამ გამოცდისათვის დარჩენილ მცირე დღეებში გულწრფელად უნდა მოინანიოს ღვთის წინაშე თავისი ცოდვები. საჭიროა ღრმად ჩავიხედოთ ჩვენს გულში. საჭიროა მოვიშოროთ ის არასერიოზულობა და უზრუნველობა, რომელიც მრავალ, ეგრეთ წოდებულ, ქრისტიანს ახასიათებს. მძიმე ბრძოლა ელის ყველას, ვისაც თავის ცოდვებზე გამარჯვება სურს. მზადების სამუშაო თითოეულმა თავად უნდა

შეასრულოს. ჩვენ კოლექტიურად ვერ გავიმარჯვებთ. ერთი ადამიანის ღვთისმოსაობა და ერთგულება ვერ შეავსებს მეორეში ამ თვისებებს და თუმცა უფლის სამსჯავროს წინაშე ყველანი უნდა წარვდგეთ, მაგრამ უზენაესი ისეთი ღრმა ყურადღებით განიხილავს თითოეული ჩვენთაგანის საქმეს, თითქოს ჩვენს გარდა ქვეყნად სხვა არავინ არსებობდეს. ყოველი ადამიანი უნდა გამოიცადოს და წარდგეს ღვთის წინაშე ყოველგვარი ნაკლისა და მანკიერების გარეშე.

რა საზეიმოდ დასრულდება შემორიგების მსახურება! რა მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გადაწყდეს! დღეს ზეციურ საწმიდარში სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. იგი საკმაოდ დიდი

ხნის წინ დაიწყო. მალე - არავინ იცის, ზუსტად როდის, დაიწყება ცოცხალთა საქმეების განხილვა. და მაშინ უფლის წინაშე განსახილველად წარდგება ჩვენი ცხოვრება. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეიგნოს მაცხოვრის სიტყვები: "გაფრთხილდით, იფხიზლეთ, ილოცეთ, ვინაიდან არ იცით, როდის დადგება ეს ჟამი" (მარკ. 13:33). "თუ არ იფხიზლებ, მოვალ, როგორც ქურდი, და ვერ გაიგებ, რა დროს მოგივალ" (გამოცხ. 3:3).

სასამართლო ძიების დასრულებისას გადაწყდება ყოველი ადამიანის ბედი - მას სიცოცხლე ელის თუ - სიკვდილი. გამოცდის პერიოდი დამთავრდება ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, ზეციურ

ღრუბლებზე მის დიდებით გამოჩენამდე. იმ ჟამის შესახებ ქრისტე ამბობს: "უსამართლო კვლავ უსამართლობდეს და უწმიდური კვლავ უწმიდურობდეს, მართალი კვლავ მართლობდეს და წმიდა კვლავ წმიდობდეს. აჰა, მოვალ მალე და ჩემი საზღაური ჩემთან არის, რათა თითოეულს მისი საქმეების მიხედვით მივუზღა" (გამოცხ. 22:11,12).

მართლებიც და უწმიდურებიც კვლავ იცხოვრებენ დედამიწაზე: დათესავენ და ააშენებენ, შეჭამენ და დალევენ და სრულიად არაფერი ეცოდინებათ იმის შესახებ, რომ მათთვის გამოტანილია საბოლოო განაჩენი, რომლის შეცვლაც უკვე ალარ შეიძლება. წარღვნის წინ, ნოეს

კიდობანში შესვლის შემდეგ, უფალმა დახურა მისი კარი და ურჯულონი კარს მიღმა დარჩნენ, მაგრამ შემდგომი შვიდი დღის განმავლობაში ადამიანებმა თავიანთი განწირული ბედის შესახებ არაფერი იცოდნენ, კვლავ განაგრძობდნენ უზრუნველ ცხოვრებას და სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ გაფრთხილება სამსჯავროს შესახებ. "ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც" (მათ. 24:39). უხმაუროდ, როგორც ღამის ქურდი, დადგება გადამწყვეტი მომენტი, როდესაც ყოველი ადამიანის ბედი გადაწყდება და მაშინ ცოდვილებს სამუდამოდ წაერთმევათ ადრე ასე უხვად შემოთავაზებული მადლი. "ამიტომ ფხიზლად იყავით,.. რათა

მოულოდნელად არ მოვიდეს, მძინარენი არ გპოვოთ" (მარკ. 13:35,36). რა დიდ საფრთხეში იგდებენ თავს ისინი, ვინც მოლოდინმა დაღალა და კვლავ ამქვეყნიურ გართობებს დაუბრუნდა. იმ მომენტში, როდესაც საქმოსანი დაკავებული იქნება სიმდიდრის მოხვეჭით, სიამტკბილობის მოყვარული გართული იქნება თავის სურვილთა დაკმაყოფილების ძებნაში, ხოლო მოდების მოყვარული - საკუთარი თავის გალამაზებაში... სწორედ იმ წუთებში მთელი ქვეყნის მსაჯული წარმოთქვამს განაჩენს: "სასწორზე აიწონე და მსუბუქი აღმოჩნდი" (დან. 5:27).

თავი 29 ბოროტების წარმოშობა

ცოდვის წარმოშობა და მისი არსებობის მიზეზები ბევრისათვის ამოუხსნელ ამოცანად რჩება. ბოროტების დამანგრეველი მოქმედების დანახვისას, რასაც მოაქვს მწუხარება და სიცარიელე, ადამიანებს ძალაუნებურად ებადებათ კითხვა: როგორ შეუძლია ამის დაშვება მას, ვისი სიბრძნე, ძალაუფლება და სიყვარული ასე უსაზღვროა? მათთვის შეუძლებელია ამ საიდუმლოებაში ჩახედვა და მასში შელწევა. მათ არ ესმით ეს და ეჭვებით შეპყრობილნი, ვერ ხედავენ იმ

ჭეშმარიტებებს, რომლებიც ნათლადაა გახსნილი ღვთის სიტყვაში და ჩვენი გადარჩენისთვისაა განკუთვნილი. არიან ისეთებიც, ვინც ცოდვის არსებობის მიზეზების შესაცნობად ცდილობენ შეაღწიონ იმ ხლვარს იქით, სადაც უფალი არავის უშვებს და რასაკვირველია, ვერ პოულობენ პასუხს თავის კითხვებზე. ამის გამო კრიტიკისა და ეჭვების სულით შეპყრობილნი, თვლიან, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია და ამართლებენ თავის მხრივ წმიდა წერილის უარყოფას. არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ვერ პოულობენ ბოროტების ახსნა-განმარტებას იმ მიზეზით, რომ უფლის არსის, მისი მმართველობის

წესებისა და ცოდვისადმი დამოკიდებულების პრინციპების ბიბლიური სწავლება დაფარულია თქმულებებითა და ბიბლიის მცდარი ახსნით.

ცოდვის წარმოშობისა და არსებობის ლოგიკური დასაბუთება შეუძლებელია. ამასთანავე, ცოდვის წარმოშობისა და მისი საბოლოო ალმოფხვრის განხილვისას შეიძლება სრულად შევიცნოთ ის სამართლიანობა და მოწყალება, რომელსაც ღმერთი ავლენს ბოროტეულთან დამოკიდებულებაში. წერილი სრულიად ნათლად გვასწავლის, რომ ღმერთი არავითარ შემთხვევაში არ აგებს პასუხს ცოდვის წარმოშობაზე, თვითნებურად არ შეუწყვეტია მას

ღვთიური მადლი, არც რაიმე ხინჯი ყოფილა მის მმართველობაში, რასაც შეეძლო, ზეცაში აჯანყება გამოეწვია. ცოდვა - დაუპატიჟებელი სტუმარია, რომლის გამოჩენას არავითარი ახსნა არა აქვს. ეს ჩვენთვის მიუწვდომელი საიდუმლოა. ცოდვის გამართლება ნიშნავს მის დაცვას. და რომ შესაძლებელი ყოფილიყო ცოდვის წარმოშობის მიზეზის მოძებნა ან მისი გამოჩენის გამართლება, მაშინ ის უკვე ცოდვა აღარ იქნებოდა. ჩვენთვის ცოდვის ერთადერთი განსაზღვრებაა წმიდა წერილის სიტყვები: - "ცოდვა ღმერთის კანონის დარღვევაა". ცოდვა ჩნდება სიყვარულის უდიდეს მცნებებთან (რომლებზედაც დაფუძნებულია ღვთიური მმართველობა)

შეურიგებელ წინააღმდეგობაში მყოფი პრინციპების გატარების შედეგად.

ბოროტების წარმოშობამდე მთელ სამყაროში მშვიდობა და სიხარული სუფევდა. ყველაფერი შემოქმედის ნებასთან სრულ ჰარმონიაში იმყოფებოდა. ყველაზე მთავარი - ღმერთისადმი სიყვარული იყო, ერთმანეთისადმი სიყვარული კი - მიუკერძოებელი და წმიდა. ქრისტე- სიტყვა, ღმერთისგან მხოლოდშობილი და მამა ერთნი იყვნენ. მათ ერთნაირი ბუნება და ერთი მიზანი ჰქონდათ. მთელ სამყაროში მხოლოდ ერთადერთი ქრისტე იყო ჩახედული ღმერთის ყოველ ჩანაფიქრში. ქრისტეს მეშვეობით შექმნა მამამ ყველა

ზეციური არსება, "ვინაიდან მისით შეიქმნა ყოველი, რაც ცაში და დედამიწაზეა, ხილული თუ უხილავი; საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი - ყველაფერი მის მიერ და მისთვის არის შექმნილი" (კოლ. 1:16).

იმდენად, რამდენადაც ღვთიური მმართველობა დაფუძნებული იყო სიყვარულის კანონზე, მის მიერ შექმნილი ყოველი არსების ბედნიერება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ შეეთვისებოდა იგი სიმართლის უდიდეს პრინციპებს. უფალს სურს, რომ მისი შექმნილი არსებები სიყვარულით ემსახურებოდნენ მას, ე.ი. მოწიწების გრძნობით, რომელიც მისი ხასიათის გონივრული შემეცნებიდან

გამომდინარეობს. უფალს არ აკმაყოფილებს იძულებითი მსახურება. იგი ყველას აძლევს მოქმედების თავისუფლებას, რათა ადამიანები კეთილი ნებით ემსახურონ მას.

მაგრამ გამოჩნდა ვილაც, რომელმაც ბოროტად გამოიყენა ეს თავისუფლება. ცოდვამ პირველად დაიბუდა მასში, ვინც მეორე იყო ქრისტეს შემდეგ, ვინც დიდად პატივცემული იყო ღმერთის მიერ და თავისი ძლიერებითა და დიდებით ყველა ზეციურ არსებაზე მაღლა იდგა. დაცემამდე ლუციფერი პირველი ნათლის ქერუბიმი იყო, წმიდა და უნაკლო. "ასე ამბობს უფალი ღმერთი: სრულყოფილების ბეჭედი ხარ, სიბრძნით სავსე და

მშვენებით სრული. ედემში, ღვთის ბალში იყავი, ყოველნაირი ძვირფასი ქვა იყო შენი საფარველი... მფარველი ქერუბიმივით ცხებული იყავი და ღვთის წმიდა მთაზე დაგსვი. იქ იყავი და ცეცხლის ქვათა შორის მიმოდიოდი. სრული იყავი შენს გზებზე შექმნის დღიდან, ვიდრე უკეთურება არ გამოგაჩნდა" (ეზეკ. 28:12-15).

ლუციფერს ყოველთვის შეეძლო ესარგებლა ციური მხედრობის პატივისცემითა და სიყვარულით, ასევე უფლის წყალობითაც, თუკი თავის ძლიერებას სხვათა კურთხევისათვის და შემოქმედის სადიდებლად გამოიყენებდა. მაგრამ წინასწარმეტყველი ამბობს: "გადიდგულდი შენი მშვენების გამო

და წარყვენი შენი სიბრძნე სიამპარტავნით" (ეზეკ. 28:17). ლუციფერში თანდათან გამოიკვეთა სწრაფვა თვითგანდიდებისაკენ. "რაკი შენს გულს ღმერთის გულს უტოლებ" (ეზეკ. 28:6). "გულში ამბობდი: ცად ავხდები, ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს დავიდგამ და დავჯდები საკრებულო მთაზე... მაღლა ღრუბლებში ავიჭრები, უზენაესს გავუტოლდები!" (ეს.14:13,14). იმის ნაცვლად, რომ განედიდებინა ღმერთი და მისი ღვთიური დიდებისაკენ მიემართა შექმნილ არსებათა მთელი სიყვარული და ერთგულება, ლუციფერი შეეცადა, აეძულებინა ისინი, მისთვის ეცათ თაყვანი და ემსახურათ. მას სურდა იმავე

პატივით ესარგებლა, როგორითაც მამა ღმერთმა შემოსა თავისი ძე და მან, ციური მხედრობის მბრძანებელმა, ჩაიფიქრა იმ ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რომელიც მხოლოდ ქრისტეს ეკუთვნოდა.

მთელ ზეცას განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრიდა უფლისადმი მსახურება იმით, რომ ეჩვენებინათ შემოქმედის ძალა და ქება-დიდება შეესხათ მისთვის. სანამ ღმერთი პატივდებული იყო, მანამ ყველა ცხოვრობდა სიმშვიდეში და სიამეში. მაგრამ ციური ჰარმონია დაირღვა. თვითგანდიდება და თვითმსახურება მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა შემოქმედის ჩანაფიქრს, რამაც ბოროტი გრძნობები და სურვილები

ჩაუნერგა გონებაში მათ, ვისთვისაც ადრე ღვთისადმი მსახურება ყველაზე დიდი სიხარული იყო. ლუციფერს ზეციურ შეკრებებზე იწვევდნენ. უფლის ძე არწმუნებდა მას შემოქმედის სამართლიანობაში, სიკეთესა და სიდიადეში, მისი მცნებების სიწმიდესა და მარადიულობაში. ზეციური კანონები თვით ღმერთმა დააწესა, ხოლო მათი უარყოფით ლუციფერმა შეურაცხყო თავისი შემოქმედი, რითაც საკუთარი თავი თავადვე გადაჩეხა სიკვდილის უფსკრულში. უსაზღვრო სიყვარულითა და მოწყალებით გამოწვეული ყოველი გაფრთხილება მასში წინააღმდეგობის სულს აღძრავდა. ლუციფერმა გულის კარი

გაუხსნა შურის გრძნობას, რომელიც უფრო და უფრო სასტიკს ხდიდა მას.

ამაყობდა რა თავისი წარმოშობით, მას უმაღლესი ძალაუფლება სწყუროდა. სათანადოდ ვერ შეაფასა ის უდიდესი პატივი, რომლითაც შემოსა უფალმა და არ გამოხატა მადლიერების გრძნობა თავისი შემქმნელის მიმართ. იგი ამაყობდა სხვა ციურ არსებებზე თავისი უპირატესობით და მიზნად დაისახა, ღმერთის თანასწორი გამხდარიყო. ციური მხედრობა სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა მას. ანგელოზები სიხარულით ასრულებდნენ მის ბრძანებებს. იგი უდიდესი სიბრძნით იყო დაჯილდოებული და ყველაზე დიდებული იყო მათ შორის... მაგრამ

ზეცის მბრძანებლად მიიჩნიეს ღვთის ძე, რომელიც მფლობელი იყო ისეთი ძალაუფლებისა და ავტორიტეტისა, როგორიც მამას ჰქონდა. ქრისტე თანამზრახველი იყო მამის ჩანაფიქრისა, ლუციფერისთვის კი დაფარული იყო ღვთის გეგმები. რატომ უნდა ჰქონდეს ქრისტეს უმაღლესი ძალაუფლება? - ფიქრობდა ძლიერი ანგელოზი. - რატომ უნდა იდგეს იგი ჩემზე, ლუციფერზე მაღლა?

ლუციფერმა უგულვებელყო თავისი ადგილი ღვთის წინაშე და ანგელოზთა შორის იწყო უკმაყოფილების სულის თესვა. ღრმად ჩაიდო გულში სხვებისგან დაფარული საიდუმლო და უფლისადმი დიდი მოწიწების

ნილბით შეიმოსა, რათა ვერავინ მიმხვდარიყო მის ნამდვილ ზრახვებს. ცდილობდა უკმაყოფილების გამოწვევას იმ კანონების მიმართ, რომლებსაც ყოველი ციური არსება ემორჩილებოდა. ის არაორაზროვნად მიუთითებდა იმაზე, რომ მათში ჩადებული შეზღუდვები სულაც არაა საჭირო. რადგანაც ანგელოზები თავისი ბუნებით წმიდანი არიან, - შთააგონებდა მათ, - აქედან გამომდინარე, ისინი უნდა დაემორჩილონ საკუთარ ნებას და არა ღმერთის კანონებს. იმედოვნებდა, რომ გამოიწვევდა ანგელოზთა თანაგრძნობას და განაცხადა, თითქოს ღმერთმა უსამართლობა გამოიჩინა მის მიმართ მაშინ, როცა უმაღლესი

პატივი და ძალაუფლება ქრისტეს მიაკუთვნა. არწმუნებდა მათ, რომ ისწრაფვის მეტი ძალაუფლებისაკენ და უფრო მაღალი თანამდებობისაკენ არა თვითგანდიდების, არამედ იმის გამო, რომ ყოველ ციურ ბინადარს მისცემოდა უფრო დიდი სიმაღლეების დაპყრობის შესაძლებლობა.

უფალი დიდ მოწყალებასა და მოთმინებას იჩენდა ლუციფერის მიმართ. მართალია, იგი უკმაყოფილების სულს თესავდა, მაგრამ არც მაშინ წაერთვა თავისი უმაღლესი მდგომარეობა, როდესაც ერთგულ ანგელოზთა წინაშე თავის უკანონო მოთხოვნებს აყენებდა. იგი კვლავ დიდხანს იყო ზეცაში. მრავალჯერ შესთავაზეს მიტევება იმ

პირობით, თუ მოინანიებდა და უფლის მორჩილი გახდებოდა. უსაზღვრო სიყვარულისა და სიბრძნის მქონე უფლის დიდი ძალისხმევა მიმართული იყო იქით, რომ მისთვის აეხსნა მისი შეცდომები. მანამდე განხეთქილების სული უცნობი იყო ზეცაში. თავდაპირველად, თვით ლუციფერმაც ვერ განჭვრიტა, სადამდე მიიყვანდა ყოველივე ეს. მას არ ესმოდა თავისი გრძნობების ჭეშმარიტი ბუნება. მაგრამ როდესაც აუხსნეს, რომ უკმაყოფილებისათვის არ არსებობს საფუძველი, ლუციფერი დარწმუნდა, რომ ცდებოდა, ხოლო უფლის მოთხოვნები სამართლიანი იყო. მას ეს მთელი ზეცის წინაშე უნდა ელიარებინა და მართლაც ასე

რომ მოქცეულიყო, იხსნიდა თავსაც
და მრავალ ანგელოზსაც. იმ
პერიოდში იგი ჯერ კიდევ
რამდენადმე ექვემდებარებოდა
ღმერთს, მიუხედავად იმისა, რომ
ჩამოერთვა მფარველი ქერუბიმის
მდგომარეობა; მას ჯერ კიდევ შეეძლო
ღმერთთან ნებაყოფლობით
დაბრუნებულიყო, ელიარებინა
შემოქმედის სიბრძნე და
დაკმაყოფილებულიყო იმ
მდგომარეობით, რომელიც უფლის
უდიდეს გეგმაში მისთვის იყო
განკუთვნილი. მაშინ იგი
დაიბრუნებდა თავის ადრინდელ
ძალაუფლებას. მაგრამ სიამაყემ არ
მისცა ნება, დამორჩილებილიყო. იგი
ჯიუტად იცავდა თავის აზრს და
მოქმედებას, ამტკიცებდა, რომ

არაფერი აქვს მოსანანიებელი და საბოლოოდ, თავისი შემოქმედის წინაალმდეგ დიდი ბრძოლის გზა აირჩია.

და მთელი თავისი გონიერება მიმართა იმ ანგელოზთა ცდუნებისაკენ, რომელნიც მისი მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. თავისი მოღალატე გეგმების ალსასრულებლად ქრისტეს გაფრთხილება და რჩევებიც კი გააყალბა. მათ, ვისაც იგი განსაკუთრებით უყვარდა, ლუციფერი შესჩიოდა, რომ არ სცემენ სათანადო პატივს, რომ უხეშად არღვევენ მის თავისუფლებას და უსამართლოდ ექცევიან. მან გააყალბა ქრისტეს სიტყვები, მიმართავდა სხვადასხვა ხერხს და პირდაპირ

ცილისწამებასაც კი, რათა უფლის ძე დაედანაშაულებინა იმაში, რომ თითქოსდა მას ლუციფერის შეურაცხყოფა და ზეციურ მცხოვრებთა წინაშე შერცხვენა სურდა. ცდილობდა ერთგული ანგელოზებისათვის ცრუდ წარმოედგინა თავისი უთანხმოება. ყველას, ვისი ცდუნება და თავის მხარეზე გადმობირება ვერ შესძლო, ზეცის ბინადართა ინტერესებისადმი გულგრილობაში ადანაშაულებდა. მათ, ვინც ღმერთის ერთგული დარჩა, ბრალს დებდა იმაში, რასაც თავად ჩადიოდა და ისინი რომ მის მიმართ ღმერთის უსამართლო დამოკიდებულებაში დაერწმუნებინა, ცრუდ განმარტავდა შემოქმედის სიტყვებსა და მოქმედებებს. მისი

მზაკვრული პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ სხვადასხვა ეშმაკური ფანდებით ანგელოზთა შორის დაბნეულობა დაეთესა და ეჭვი გამოეწვია უფლის გეგმების მიმართ. ღმერთის წმიდა სიტყვებს ოსტატურად აყალბებდა და ეჭვის ჩრდილით ფარავდა. ლუციფერის უმალლესი თანამდებობა და მისი ღვთიურ ხელმძღვანელობაში მონაწილეობა უფრო მეტ ძალას მატებდა მის ყველა მტკიცებას და ბევრმა ცდუნებულმა მხარი დაუჭირა მას ზეციური მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებაში.

უფალმა თავისი სიბრძნით ნება დართო სატანას, გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა მანამ, სანამ უკმაყოფილების სული აშკარა

აჯანყებაში არ გადაიზარდა. ეს აუცილებელი იყო იმისათვის, რომ სრულად ახდოდა ფარდა სატანის გეგმებს და ყველას დაენახა მისი ჭეშმარიტი არსი და მიზანი. ლუციფერს, როგორც ცხებულ ქერუბიმს, მალალი თანამდებობა ეკავა, ციურ ბინადართა დიდი სიყვარულით სარგებლობდა და მათზე ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა. უფალი მართავდა არა მარტო ზეცის ბინადართ, არამედ თავის შექმნილ მთელ სამყაროს და სატანა იმედოვნებდა, რომ თუკი იგი შეძლებდა ზეციური ანგელოზების გახვევას აჯანყებაში, მაშინ მისთვის შესაძლებელი გახდებოდა სხვა სამყაროების ცდუნებაც. იგი ძალიან ოსტატურად და ხელოვნებით

აყალიბებდა თავის არგუმენტებს, რისთვისაც სხვადასხვაგვარ სიყალბესა და მზაკვრობას იყენებდა. ძალზე დიდი იყო მისი ცდუნების ძალა და სიცრუის მანტიაში გამოხვეულმა, წარმატებას მიაღწია. თვით ერთგული ანგელოზებიც კი ვერ ჩაწვდნენ მის ხასიათს და ვერ მიხვდნენ, საით იყო მიმართული მისი ქმედებანი.

სატანას ისეთი მაღალი თანამდებობა ეკავა და ყოველი მისი ქმედება ისეთი ამოუცნობი საიდუმლოებით იყო მოცული, რომ ანგელოზებს უჭირდათ მისი მოქმედების ჭეშმარიტი ბუნების ამოცნობა. სანამ ცოდვამ სრულ განვითარებას არ მიაღწია, მანამდე ვერ შეიცნეს ის მთელი თავისი

სისრულით. აქამდე უფლის შექმნილ მთელ სამყაროში არასოდეს მომხდარა მსგავსი რამ, ამიტომ წმიდა არსებებს არც ცოდვის მზაკვრობასა და არსზე, არც მის საშინელ შედეგებზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ. ღვთიური კანონების დარღვევებიდან გამომდინარე, თავდაპირველად სატანა თავის ნამდვილ ზრახვებს ღვთისადმი მოჩვენებითი ერთგულების საფარქვეშ მალავდა. ის ყველას არწმუნებდა, რომ ცდილობს განამტკიცოს და გააძლიეროს უფლის სიდიადე, გაამყაროს მისი მმართველობა და ხელი შეუწყოს ზეციურ მცხოვრებთა კეთილდღეობას. იგი უთანხმოების შხამით წვეთ-წვეთობით ავსებდა

მისი მორჩილი ანგელოზების გონებას და ოსტატურად უჩვენებდა მათ, თითქოს მთელი ძალისხმევით ცდილობს ბოლო მოუღოს ამ უკმაყოფილებას. იგი დაბეჯითებით მოითხოვდა უფლის მმართველობის კანონებისა და პირობების შეცვლას და ამას იმით ხსნიდა, რომ თითქოსდა ამ გზით შეიძლებოდა ზეცის თანხმობის შენარჩუნება.

ღმერთს ცოდვასთან ბრძოლა მხოლოდ სიმართლითა და ჭეშმარიტებით შეეძლო. სატანამ კი თავის მხრივ გამოიყენა ის, რისი გამოყენებაც ღმერთს არ შეეძლო - მლიქვნელობა და სიცრუე. იგი ცდილობდა ღვთის სიტყვის დამახინჯებას და უფლის მმართველობის გეგმის ანგელოზთა

წინაშე ცრუდ წარმოსახვას. ამტკიცებდა, რომ უფალი არ არის მართალი იმაში, რომ თავის წესებსა და კანონებს დაუმორჩილა ზეცის მცხოვრებნი; რომ იგი თავის შექმნილთაგან მორჩილებისა და დაქვემდებარების მოთხოვნით, უბრალოდ, თვითგანდიდებისაკენ ისწრაფვის. ამიტომ უფალი იძულებული გახდა, ზეციურ მცხოვრებთათვის და საერთოდ, მთელი სამყაროსათვის ეჩვენებინა ღვთიური მმართველობის სამართლიანობა და მისი კანონების სრულყოფილება. სატანა ისე მოქმედებდა, თითქოს თავად იღწვოდა მთელი სამყაროს სიკეთისა და კეთილდღეობისათვის. ამიტომ საჭირო გახდა, ყველა მიმხვდარიყო,

როგორი იყო ამ უზურპატორის ხასიათი და რა იყო მისი ჭეშმარიტი მიზანი. ამისთვის განსაზღვრული დრო იყო საჭირო, რათა მას თავადვე აეხადა ფარდა თავისი ურჯულოებისათვის.

ზეცაში მის მიერ წარმოქმნილ განხეთქილებაში ლუციფერმა კანონსა და ღვთის მმართველობას დასდო ბრალი. მან განაცხადა, რომ მთელი ბოროტება - ღვთიური მმართველობის შედეგია, ხოლო მისი ერთადერთი მიზანია - უფლის კანონების სრულყოფა. ამიტომ აუცილებელი იყო, რომ მას თავისი მისწრაფებების არსი სააშკარაოზე გამოეტანა და მის მიერ შემოთავაზებული ღვთიური კანონების შეცვლა პრაქტიკულად

განეხორციელებინა. მისთვის მსჯავრი მისივე ქცევასა და მოქმედებას უნდა დაედო. სატანა თავიდანვე ამტკიცებდა, რომ აჯანყება მას არ დაუწყია და ამიტომ აუცილებელი გახდა, მისი სიცრუე მთელი სამყაროს წინაშე გამოაშკარავებულიყო.

მაშინაც კი, როდესაც მისი ზეციდან გაძევება გადაწყდა, უსასრულოდ ბრძენმა ღმერთმა არ გაანადგურა იგი. უფალი ღებულობს მხოლოდ სიყვარულზე დაფუძნებულ მსახურებას, ამიტომ მის შექმნილთა ერთგულება დამყარებული უნდა ყოფილიყო მისი სამართლიანობისა და სიკეთის რწმენაზე. ცისა და სხვა სამყაროს ბინადარნი, რომელთაც არ შეეძლოთ ცოდვის წიაღში და მის

შედეგებში ჩაწვდომა, ვერ ჩათვლიდნენ ღმერთს სამართლიანად და მოწყალედ, თუკი იგი მაშინვე მოსპობდა სატანას. სატანა მაშინვე რომ განადგურებულიყო, შემდგომში ცის ბინადართა ღვთისმსახურება დაფუძნებული იქნებოდა არა სიყვარულზე, არამედ შიშზე, მზაკვარი ბოლომდე არ დამარცხდებოდა და წინაალმდეგობის სული სრულად ვერ ალმოიფხვრებოდა. ბოროტება უნდა მომწიფებულიყო. მთელი სამყაროს კეთილდღეობისათვის საჭირო იყო, სატანას მისცემოდა თავისი პრინციპების აღსრულების ნება მომავალ უსასრულო საუკუნეებში, რათა ღვთიური მმართველობის მიმართ მისი ბრალდება ჭეშმარიტ

ნათელში გამოჩენილიყო უფლის შექმნილ ყოველი არსების წინაშე - მაშინ უფლის სიმართლე, მოწყალება და მისი კანონის ურყევობა უეჭველად საუკუნოდ დამტკიცდებოდა.

სატანის ამბოხება უნდა ყოფილიყო გაკვეთილი და მომავალ საუკუნეთა განმავლობაში ცოდვის არსისა და მისი საშინელი შედეგების მარადიული მოწმობა. სატანის მოქმედებისა და ზეგავლენის შედეგი იმის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო, თუ რა დამლუპველია ღვთიური ძალაუფლების წინააღმდეგ ამბოხება. ყველაფერი ეს უნდა ყოფილიყო იმის დამადასტურებელი, რომ უფლის შექმნილი ყოველი არსების კეთილდღეობა დამოკიდებულია

უფლის კანონის დაცვაზე და ღვთიური პრინციპების გატარებაზე. ამგვარად, ეს საშინელი ამბოხება გააცხადებდა ურჯულოების ჭეშმარიტ არსს და მარადიული გაფრთხილება იქნებოდა ყოველი წმიდა არსებისათვის, რათა თავი შეეკავებინა ცოდვის ჩადენისა და მისგან გამომდინარე გარდაუვალი ტანჯვისა და სასჯელისაგან. უდიდესი გაიძვერა კვლავ განაგრძობდა თავის მართლებას ბოლომდე, ზეცაში ომის დამთავრებამდე. როდესაც ცნობილი გახდა, რომ სატანას მის თანამოაზრეებთან ერთად ზეციდან გააძევებდნენ, მეამბოხემ მაშინვე აშკარად გამოავლინა და გამოაცხადა თავისი სიძულვილი შემოქმედის

კანონების მიმართ; გაიმეორა თავისი მტკიცება იმის შესახებ, რომ ანგელოზები არავითარ კონტროლს არ საჭიროებენ და რომ ისინი უნდა ხელმძღვანელობდნენ თავიანთი ძალაუფლებით, რომელიც ყოველთვის აღძრავს მათში სიკეთის გრძნობას. მან განაცხადა, რომ ღვთიური კანონი ზღუდავს მათ თავისუფლებას და საჭიროა მისი გაუქმება, რათა მისი ბორკილებიდან გათავისუფლებულმა ციურმა მხედრობამ შეძლოს, მიაღწიოს უფრო მეტ სიმაღლეებსა და დიდებულებას.

სატანამ და მისმა მომხრეებმა თავიანთ მოწყობილ აჯანყებაში ერთხმად დაადანაშაულეს ქრისტე და განაცხადეს, რომ მათთვის საყვედური რომ არ გამოეთქვათ,

ისინი არასოდეს აჯანყდებოდნენ. ამაოდ ცდილობდნენ ისინი ღვთიური მმართველობის ჩამოგდებას და ამასთანავე საკუთარი თავის დესპოტური ძალაუფლების უდანაშაულო მსხვერპლად ჩვენებას. ბოლოს და ბოლოს, უდიდესი თვალთმაქცი და მისი მიმდევრები ზეციდან გააძევეს.

იგივე სული, რომელმაც აჯანყება მოახდინა ზეცაში, დღემდე განაგრძობს იმავე საქმის კეთებას დედამიწაზე. ადამიანებთან მიმართებაში სატანა იგივე ხრიკებს მიმართავს, რომელიც ანგელოზთა საცდუნებლად გამოიყენა. მისი სული დღესაც ბატონობს უფლის ურჩ შვილებში. მის მსგავსად, ადამიანებიც ცდილობენ,

გაანადგურონ უფლის კანონის შეზღუდვები და მისი მცნებების უარმყოფელ ადამიანებს თავისუფლებას პირდებიან. ცოდვის მხილება იგივე წინაალმდეგობასა და სიძულვილს იწვევს ხალხში. როდესაც უფალი აფრთხილებს ადამიანებს, სატანა მათ შთააგონებს, თავი გაიმართლონ და თავისი დანაშაულებრივი საქმეებისადმი თანაგრძნობა სხვებთან ეძებონ. თავისი შეცდომების გამოსწორების ნაცვლად ადამიანები მიდიან მამხილებლის წინაალმდეგ, თითქოსდა იგია წარმოქმნილი უსიამოვნების ერთადერთი მიზეზი. მართალი აბელის დროიდან ასე უყურებენ ყოველ ადამიანს, ვინც გაბედავს ცოდვის მხილებას.

სატანა დედამიწაზეც იმავე მეთოდებით მოქმედებს, რომლითაც ზეცაში. იგი ადამიანებს უქმნის ცრუ წარმოდგენას უფალზე, როგორც მკაცრ და სასტიკ ტირანზე, შეცდომაში შეჰყავს ადამიანები და უბიძგებს ცოდვის ჩადენისაკენ, წარმატებას აღწევს ამაში და აცხადებს, რომ სწორედ ღმერთის უსამართლო მოთხოვნებმა მიიყვანა კაცობრიობა დაცემამდე ისევე, როგორც ოდესღაც მას უბიძგა აჯანყებისკენ.

მაგრამ უზენაესი ზუსტად ისეთია, როგორსაც მოსე წარმოგვიდგენს თავის უფლისადმი მიმართვაში: "უფალო, უფალო! ღმერთო მწყალობელო და შემბრალებელო, სულგრძელო, დიდმადლიანო და

ჭეშმარიტო, შემნახავო სიყვარულისა ათასთა მიმართ, დანაშაულთა, ცოდვათა და ბრალთა მიმტევებელო! (გამოს. 34:6,7).

სატანას ზეციდან გამოძევებით ღმერთმა დაამტკიცა თავისი სამართლიანობა და ამით შეინარჩუნა თავისი ტახტის ავტორიტეტი. ხოლო როდესაც ადამიანი ამ ჭეშმარიტების უარმყოფელი სულის ზეგავლენის ქვეშ მოექცა და შესცოდა, უფალმა იმით დაამტკიცა თავისი სიყვარული, რომ დაცემული კაცობრიობის გადასარჩენად სასიკვდილოდ გასწირა თავისი მხოლოდშობილი ძე. ამით უფალმა გაგვიხსნა თავისი ბუნების ჭეშმარიტი არსი. ჯვარი - ეს არის უდიდესი მოწმობა იმისა, რომ ლუციფერის მიერ არჩეული ცოდვის

გზა არავითარ შემთხვევაში არ არის ღვთიური მმართველობის შედეგი.

მაცხოვრის დედამიწაზე მსახურების დროს უდიდესმა მაცდურმა ქრისტესა და სატანას შორის ბრძოლაში სრულად ამხილა საკუთარი თავი. მხოლოდ კაცობრიობის მხსნელთან მის სასტიკ ბრძოლას შეეძლო გამოევლინა სატანის ბოროტი სული. ამის დამნახველ უფლის ერთგულ ზეციურ ანგელოზებსაც შესაძლებლობა მიცემოდათ, ზურგი ექციათ სატანისათვის და დაეგმოთ იგი. სატანის თავხედური ღვთისგმობა, როდესაც მან მოსთხოვა ქრისტეს, თაყვანი ეცა მისთვის, მისი ქედმაღლური ტრაბახი, როდესაც იესო აიყვანა მთის მწვერვალზე და

ტაძრის ქიმზე; ბოროტული განზრახვა, რომელიც გამოჩნდა მის წინადადებაში - თავბრუდამხვევი სიმაღლიდან ქრისტე ძირს გადავარდნილიყო; მუდმივი ბოროტება, რომლითაც იგი სდევნიდა მას და აიძულებდა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასულიყო და რომლითაც შთააგონებდა მღვდლებს და აიძულებდა ადამიანებს, არ მიელოთ მისი სიყვარული და ბოლოს მოეთხოვათ: "ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი!" - ყოველივე ამან მთელი სამყაროს გაოცება და აღშფოთება გამოიწვია.

სწორედ სატანამ შთაუნერგა კაცობრიობას ქრისტეს უარყოფა. ბოროტების მეფემ ყველა ღონე იხმარა და ყოველგვარი მზაკვრობა

გამოიყენა ქრისტეს
განადგურებისათვის, რადგან კარგად
ხედავდა, რომ მაცხოვარმა თავისი
უდიდესი მოწყალებითა და
სიყვარულით, თანაგრძნობითა და
შემწყალებელი სათნოებით
კაცობრიობას ღმერთი დაანახა.
სატანა იბრძოდა ღვთის ძის მიერ
წარმოთქმული ყოველი სიტყვის
წინააღმდეგ და თავის იარაღად
ადამიანებს იყენებდა, რათა
მაცხოვრის ცხოვრება ტანჯვითა და
მწუხარებით აღევსო. სიცრუე და
თვალთმაქცობა, რომლითაც იგი
ხელს უშლიდა იესოს მსახურებას;
სიძულვილი, რომელმაც თავი იჩინა
უფლის ურჩ შვილებში; ულმობელი
ბრალდება მისი მისამართით, ვისი
ცხოვრებაც ღვთისმოსაობის უდიდესი

გამოხატულება იყო - ყველაფერი ეს მასში ღრმად ფესვგადგმული შურისგების წყურვილით იყო გამოწვეული. ამ საშინელებით შეძრული მთელი ზეცა მდუმარედ უყურებდა გოლგოთას, სადაც უფლის ძეს ბოროტების, შურის, სიძულვილისა და შურისგების ალი მისწვდა.

უდიდესი მსხვერპლის გაღების შემდეგ ქრისტე ამაღლდა ზეცად და არ მიიღო ანგელოზთა თაყვანისცემა მანამ, სანამ მამას არ წარუდგინა თავისი თხოვნა: "მსურს, რომ სადაც მე ვიქნები, იქვე იყვნენ ისინიც, რომელნიც მომეცი" (იოან. 17:24). და მამის ტახტიდან გაისმა ენით გამოუთქმელი სიყვარულითა და ძალით აღსავსე ხმა: "დაე, თაყვანი

სცეს მას ყველა ანგელოზმა ღვთისა" (ებრ. 1:6). იესოს არ აღმოაჩნდა არც ერთი ლაქა. დამთავრდა მისი დამცირება. მან გაიღო მსხვერპლი და მისი სახელი ამაღლდა ყოველ სახელზე მაღლა.

ამის შემდეგ სატანის დანაშაულის გამართლება შეუძლებელი გახდა. მან გააშიშვლა თავისი ჭეშმარიტი არსი - თვალთმაქცისა და მკვლელის ხასიათი. ახლა ყველამ დაინახა, რომ იმავე მეთოდებით, როგორითაც იგი წარმართავდა ადამიანთა ცხოვრებას, იმოქმედებდა ზეციურ მაცხოვრებელთა შორისაც. იგი ამტკიცებდა, რომ უფლის კანონების დარღვევა ადამიანებს თავისუფლებას მოუტანს და სულიერად აამაღლებს, მაგრამ,

როგორც ალმოჩნდა, ამან მათ მხოლოდ ნგრევა და მონობა მოუტანა.

ნათლად გამოჩნდა სატანის ცილისმწამებლური ბრალდება უფლისა და მისი მმართველობის მიმართ. მან ბრალი დასდო ღმერთს იმაში, რომ თავის შექმნილ არსებათაგან მორჩილებისა და მოკრძალების მოთხოვნით იგი მათ თავს ახვევდა თავის ნებას, რითაც თვითგანდიდებისაკენ ისწრაფვოდა. და, რომ სხვებს მოუწოდებდა თავდადებისაკენ, თავად კი, თავის მხრივ, არავითარი მსხვერპლის გაღება არ სურდა. ახლა კი ყველამ დაინახა, თუ რა დიდი მსხვერპლი გაიღო დაცემული და ცოდვილი კაცობრიობის გადარჩენისათვის სამყაროს მბრძანებელმა. ასეთი

ძვირფასი მსხვერპლის გაღება მხოლოდ დიდ სიყვარულს შეუძლია: "ღმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი" (2კორ. 5:19). ასევე ყველამ დაინახა ლუციფერის სწრაფვა პატივისა და უზენაესი ძალაუფლებისაკენ, რამაც გზა გაუხსნა ცოდვას. ქრისტემ კი ცოდვის განადგურებისათვის დაიმდაბლა თავი და სიკვდილამდე მორჩილი გახდა. ღმერთმა აჩვენა ამბოხების პრინციპებისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება. მთელმა ზეცამ დაინახა მისი სამართლიანობა, რაც სრულად გამოვლინდა როგორც სატანის გასამართლებაში, ასევე ადამიანის ცოდვისაგან გამოსყიდვაში. ლუციფერმა განაცხადა, რომ თუკი

ღმერთის კანონი უცვლელია და მისი დარღვევისათვის არ არსებობს მიტევება, მაშინ არც ერთ მის დამრღვევს არ უნდა ჰქონდეს ღვთისგან შეწყალება. იგი ამტკიცებდა, რომ ცოდვილი კაცობრიობის გამოსყიდვა არ მოხდება და აქედან გამომდინარე, წუთისოფელი მისი კანონიერი ნადავლი გახდა. მაგრამ ქრისტეს სიკვდილი ისეთი არგუმენტი იყო ადამიანის სასარგებლოდ, რომლის უარყოფაც შეუძლებელია. კანონით გათვალისწინებული სასჯელი დაედო მას, ვინც ღვთის სწორი იყო და ადამიანმა მოიპოვა უფლება, ქრისტეს სიმართლის მიღებითა და თავისი მორჩილი, ღვთისმოსაური ცხოვრებით გაემარჯვა ცოდვაზე

ისევე, როგორც უფლის ძემ გაიმარჯვა სატანის ძალაუფლებაზე.

მაგრამ ქრისტე მარტო იმისთვის არ მოსულა ამ ქვეყნად, რომ თავისი ტანჯვისა და სიკვდილის ფასად გამოესყიდა ადამიანი. მას უნდა "აემაღლებინა და დიდებით შეემკო კანონი". უფლის კანონისა და მისი უცვლელობის შესახებ სწორი წარმოდგენა უნდა ჰქონოდა არა მარტო დედამიწის მკვიდრთ, არამედ სხვა სამყაროების ყოველ წარმომადგენელს. კანონის შეცვლა შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მაშინ სულაც არ იქნებოდა საჭირო უფლის ძის სიცოცხლის განწირვით კანონის დამრღვევთა გამოსყიდვა. ქრისტეს სიკვდილი ამტკიცებს რჯულის უცვლელობას და ეს მსხვერპლი,

რომელიც მამამ და შვილმა ცოდვილისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო გაიღეს, მოწმობაა მთელი სამყაროს წინაშე იმ სამართლიანობისა და მოწყალებისა, რომელიც უფლის მმართველობისა და მისი კანონის საფუძველია.

სამსჯავროს დასრულებისას ყველასათვის ნათელი გახდება, რომ ცოდვის ალმოცენების არავითარი მიზეზი არ არსებობდა. როდესაც დედამიწის მსჯავრმდებელი მოსთხოვს პასუხს სატანას: "რატომ აჯანყდი ჩემს წინაალმდეგ და გადაიბირე ჩემი სამეფოს ქვეშევრდომნი?" ბოროტების სათავე ვერაფერს იტყვის თავის გასამართლებლად. ვერავინ ამოიღებს

ხმას, მთელი ამბოხებული მხედრობა დადუმდება.

გოლგოთის ჯვარი მტკიცებაა კანონის ურღვევობისა და უცვლელობისა, რომელმაც მთელ სამყაროს უჩვენა, რომ ცოდვის სასჯელი - სიკვდილია. სიკვდილის წინ მაცხოვრის წარმოთქმული სიტყვა "ალსრულდა!" სატანისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ნიშნავდა. უკვე გამოჩნდა დიდი ბრძოლის დასასრული, რომელიც ამდენ ხანს გრძელდებოდა და რითაც შესაძლებელი გახდა ბოროტების საბოლოოდ ალმოფხვრა. უფლის ძე მოკვდა, "რათა სიკვდილით გააქარწყლოს ის, ვისაც სიკვდილის ხელმწიფება აქვს, ესე იგი ეშმაკი" (ებრ. 2:14). განდიდების სურვილმა

ლუციფერს ათქმევინა: "ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს დავიდგამ... უზენაესს გავუტოლდები" (ეს. 14:13,14). უფალი ამბობს: "ნაცრად გაქცევ მიწაზე... და აღარ იქნები უკუნისამდე" (ეზ. 28:18,19). "აჰა, მოდის დღე, თონესავით ავარვარებული და ყველა ამპარტავანი და ავისმოქმედი ჩალა იქნება და გადაბუგავს მათ მომავალი დღე, ამბობს ცაბაოთ უფალი, ისე რომ არ შეარჩენს არც ძირს და არც რტოს" (მალაქ. 3:19).

მთელი სამყარო დაინახავს, თუ რა არის ცოდვა და როგორია მისი შედეგები. მისი სრულად მოსპობა თავიდანვე რომ მომხდარიყო, შეაშინებდა ანგელოზებს და შელახავდა უფლის ავტორიტეტს,

ახლა კი უფლის სიყვარულის დადასტურება იქნება და აამაღლებს მას სამყაროს ყოველი მკვიდრის თვალში, რომელნიც უდიდეს ნეტარებს ჰპოვებენ მისი ნების აღსრულებაში და რომელთა გულებშიც ჩაბეჭდილია მისი კანონი. არასოდეს, არსად, არ იარსებებს ბოროტება. ღვთის სიტყვა ამბობს: "და უბედურება აღარ განმეორდება" (ნაუმ 1:9). უფლის კანონი, რომელიც სატანამ მონურ ტვირთად წარმოადგინა, დაფასდება, როგორც თავისუფლების კანონი. სამყაროს უკვე გამოცდილი მცხოვრებნი, რომელთაც გაუძლეს გამოცდას, არასოდეს დაეჭვდებიან და მარად ერთგული დარჩებიან მისი, ვინც სრულიად ნათლად გამოავლინა

თავისი უსაზღვრო სიყვარული და
უსასრულო სიბრძნე.

თავი 31 ვინ არიან ანგელოზები?

წმიდა წერილში ნათლად არის ალწერილი კაცობრიობის ისტორიისაგან განუყოფელი მოვლენები - ხილული სამყაროს კავშირი უხილავთან, ღვთის ანგელოზთა მსახურება და ბოროტ ძალთა საქმიანობა. თანამედროვე ადამიანებს არანაკლებად სჯერათ ბოროტ სულთა არსებობისა და წმიდა ანგელოზთა მსახურებისა, რომელნიც

არიან "მათდა სამსახურად წარმოგზავნილნი, ვინც ხსნა უნდა დაიმკვიდროს" (ებრ. 1:14) და მათ მიცვალებულთა სულებად მიიჩნევენ. მაგრამ წმიდა წერილი არა მხოლოდ მოწმობს როგორც კეთილ, ასევე ბოროტ ანგელოზთა შესახებ, არამედ უდავოდ ამტკიცებს, რომ ისინი არ არიან მიცვალებულთა უსხეულო სულები.

ანგელოზები არსებობდნენ ჯერ კიდევ ადამიანის შექმნამდე, როდესაც დაიდო დედამიწის ქვაკუთხედი და "როცა გალობდნენ დილის ვარსკვლავები და ყიჟინობდნენ ღვთისშვილები" (იობ. 38:7). ადამიანთა დაცემის შემდეგ ანგელოზები გაგზავნილ იქნენ "სიცოცხლის ხის" დასაცავად მაშინ,

როდესაც დედამიწაზე არც ერთი ადამიანი ჯერ არ მომკვდარიყო. ანგელოზნი თავიანთი არსით ადამიანზე ძლიერნი არიან, რადგან მეფსალმუნე ამბობს: "ბევრად არ დამიმცირებია იგი ანგელოზებზე" (ფს. 8:6).

წმიდა წერილი გვესაუბრება ციურ არსებათა ძალისა და დიდების შესახებ, იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ ღვთიურ მმართველობასთან და გამოსყიდვის მსახურებასთან. "უფალმა ცაში დაიდგა ტახტი თვისი და მეუფება მისი ფლობს ყოველივეს", წინასწარმეტყველიც ამბობს: "ვიხილე და მოვისმინე მრავალი ანგელოზის ხმა ტახტის ირგვლივ". და ადიდებენ უფალს "ანგელოზნი მისნი,

ძალით ძლიერნი, მისი სიტყვის შემსრულებელნი... მსახურნი მისნი, მისი ნების შემსრულებელნი, რომელნიც ემორჩილებიან მის ნათქვამს" (ფს. 102:19,21). დანიელმა ათასობით და ათიათასობით ზეციური მაცნე იხილა. პავლე მოციქული გვიამბობს: "აურაცხელ ანგელოზთა" შესახებ (იხ. დან. 7:10; ებრ. 12:22). უფლის ნების აღსასრულებლად ანგელოზები ელვის მსგავსად დაფრინავენ (ეზეკ. 1:14). რა დიდებულნი არიან ისინი, რა სწრაფად მოძრაობენ! ქრისტეს სამარხთან ზეცით მოსული ანგელოზის "შესახედაობა ელვასავით იყო და მისი ტანისამოსი - თოვლივით სპეტაკი" (მათ. 28:3). "მისი შიშით შეძრწუნდნენ საფლავის მცველნი და

მკვდრებს დაემსგავსნენ" (მათ. 28:4). როდესაც სანჰერიბი, ამპარტავანი ასირიელი, ლანძღავდა და დასცინოდა ღმერთს და დალუპვით ემუქრებოდა ისრაელს, "იმ ღამით იყო, რომ გავიდა უფლის ანგელოზი და მუსრი გაავლო აშურის მეფის ბანაკში ასოთხმოცდახუთ ათას კაცს". "მოავლინა უფალმა ანგელოზი და ამოწყვიტა აშურის მეფის ბანაკში ყველა მაგარი ვაჟკაცი, წინამძღოლი და სარდალი" სანჰერიბის მეომრებიდან. "შერცხვენილი გაბრუნდა იგი თავის ქვეყანაში" (4მეფ. 19:35; 2ნეშტ. 32:21).

ანგელოზებს ღვთის შვილთათვის წყალობა და თანაგრძნობა მოაქვთ. სწორედ მათ ამცნეს აბრაამს ალთქმული წყალობის შესახებ;

დასალუპად განწირული სოდომის კარიბჭესთან მართალი ლოტის გადასარჩენად მტკიცე გადაწყვეტილებით მოვიდნენ ისინი; მათ მოინახულეს ელია იმ დროს, როდესაც იგი გატანჯული, შიმშილისაგან სულს ღაფავდა უდაბნოში; ელისესთან გაიგზავნა ცეცხლის ეტლი და მეომარნი იმ ქალაქში, სადაც იგი მტრებმა ალყაში მოაქციეს; ანგელოზები დაეხმარნენ დანიელს მაშინ, როდესაც იგი ღვთიურ სიბრძნეს ითხოვდა წარმართი მეფის კარზე და მაშინაც, როდესაც ხაროში ლომებს ჩაუგდეს შესაჭმელად; ანგელოზები გამოეცხადნენ პეტრეს, რომელიც სიკვდილს ელოდა ჰეროდეს საპყრობილეში, ხოლო

დატყვევებულთ - ფილიპეში; ისინი დაეხმარნენ პავლეს და მის თანამგზავრთ ქარიშხლის დროს და მათვე აუხილეს თვალი კორნელიუსს სახარების ჭეშმარიტებაზე; სწორედ მათ გააგზავნეს პეტრე ხსნის სახარების საქადაგებლად წარმართთა ოჯახში. ამგვარად, წმიდა ანგელოზები ყოველთვის ემსახურებოდნენ ღვთის ხალხს.

ყოველ ქრისტიანს ჰყავს თავისი დამცველი ანგელოზი. ზეციური მცველები იცავენ მართლებს მაცდურის ხრიკებისაგან. თვით სატანაც ალიარებს ამას, როდესაც ამბობს: "მერედა ტყუილად არის იობი ღვთიმოშიში? განა შენ არ გყავს დაცული მთელი მისი სახლ-კარითა და საბადებლითურთ? (იობ. 1:9,10).

მეფსალმუნის სიტყვებით, უფალი ასე იცავს თავის ხალხს: "დაიბანაკებს ანგელოზი უფლისა მის მოშიშთა ირგვლივ და გადაარჩენს მათ" (ფს. 33:8). მაცხოვარი ზრუნავს ყოველ მასზე მინდობილის ბედზე: "აბუჩად არ აიგდოთ არც ერთი ამ მცირეთაგანი. გეუბნებით მე თქვენ, რომ მათი ანგელოზები ზეცაში ყოველთვის ხედავენ ჩემი ზეციერი მამის სახეს" (მათ. 18:10). ღვთისშვილთა სამსახურისათვის გამოგზავნილ ანგელოზებს ყოველთვის ხსნილი აქვთ გზა ზეციერი მამის სავანეში.

ბნელეთის მეფის ყველა მზაკვრული ცდუნება და უთვალავი ხრიკი, ყველა ბოროტი ძალა ღვთის ხალხის წინაალმდეგ არის

მიმართული, მაგრამ ისინი ზეციური ანგელოზების მუდმივი დაცვის ქვეშ იმყოფებიან. მორწმუნეებს ნამდვილად სჭირდებათ ეს. ღმერთი თავის შვილებს აძლევს მადლისა და მფარველობის აღთქმას, რადგან იცის, თუ რა ძლიერ, ბოროტ ძალებთან ექნებათ საქმე - მრავალრიცხოვან, მტკიცე გადაწყვეტილებების მქონე და დაუღალავად მოქმედ ძალებთან, რომელთა ძლიერების უარყოფა არ შეიძლება.

თავდაპირველად ეს ბოროტი ძალები უცოდველნი იყვნენ და თავიანთი ბუნებით, ძალითა და დიდებით იმ წმიდა არსებებს უტოლდებოდნენ, რომელთაც დღეს უფლის მაცნეები ჰქვიათ. მაგრამ

შესცოდეს და უფლის ცილისწამებისა და ადამიანის განადგურების მიზნით გაერთიანდნენ; მხარი დაუჭირეს სატანას ამბოხებაში, რის შემდეგაც თავიანთ წინამძღოლთან ერთად გააძევეს ზეციდან. შემდგომ საუკუნეთა განმავლობაში ისინი ღვთიური ძალაუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ. წმიდა წერილი მოგვითხრობს შეთქმულებების, ამბოხების, ასევე სხვადასხვა რანგის ბოროტ სულთა ძლიერებისა და მათი მზაკვრული ხრიკების შესახებ, რომელნიც ცდილობენ, ადამიანს ტანჯვა და მწუხარება მოუტანონ.

ძველ აღთქმაში ბევრი რამ არ არის დაწერილი მათი არსებობის შესახებ. ბოროტი სულების ძალისა და

ძლიერების გამოვლენა უფრო თვალსაჩინო გახდა ქრისტეს დედამიწაზე მსახურების დროს. ქრისტე მოვიდა წუთისოფელში ადამიანის გადარჩენის გეგმის განსახორციელებლად, მაგრამ სატანამ ბრძოლა გააჩალა დედამიწაზე თავისი უფლების დაცვისათვის. მან შეძლო კერპთაყვანისმცემლობის თესლის დანერგვა დედამიწის ყველა კუთხეში, პალესტინის გარდა. და ქრისტეც მოვიდა აქ, ერთადერთ ადგილას, სადაც მაცდურის ზეგავლენა ჯერ კიდევ არ გაძლიერებულიყო, რათა ამ ხალხისათვის ზეციური ნათელი მიეცა. სწორედ აქ შეეჯახა ერთმანეთს ორი დაპირისპირებული ძალა. იესომ

სიყვარულით გაუწოდა ხელი და თავისთან მიიწვია ყოველი ადამიანი ქრისტეში მიტევებისა და მშვიდობის მისაღებად. ბნელეთის ძალები მიხვდნენ, რომ მათ ძალაუფლებას საფრთხე დაემუქრა, რომ ქრისტეს მისიის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მათ მმართველობას მალე მოელებოდა ბოლო. სატანა ჯაჭვით დაბმული ლომის მსგავსად მძვინვარებდა, ახალ ძალებს იკრებდა და თავს ესხმოდა ადამიანებს.

ახალი აღთქმა გასაგებად ამბობს, რომ არსებობდნენ ეშმაკეულით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ ფიზიკურად იტანჯებოდნენ. ქრისტემ სრული შეგნებით იცოდა, ვისთან ჰქონდა

საქმე, რადგან ხედავდა ბოროტ სულთა უშუალო არსებობას და მათ მოქმედებას. წმიდა წერილში ჩვენ ვხვდებით ბოროტ ანგელოზთა მრავალრიცხოვნობას, ძალასა და მზაკვრობას. ვხვდებით ქრისტეს ძლიერებასა და მოწყალებას, რომელიც გენესარეთის ქვეყანაში ეშმაკეულთა განკურნებაში გამოიხატა. ეს უბედური ეშმაკეულები ნებისმიერ ბორკილებს წყვეტდნენ, პირზე ქაფმორეულები ისე მრისხანებდნენ, რომ მათი ყვირილი ჰაერს აზანზარებდა. თავისი ველური ქცევებით ვნებას აყენებდნენ საკუთარ თავს და საფრთხეს უქმნიდნენ ყველას, ვინც მათ მიუახლოვდებოდა. მათი გასისხლიანებული და

დაწყლულებული სხეული, მათი დაბნელებული გონება დიდ სიხარულს გვრიდა ბნელეთის მეფეს. ერთ-ერთმა ეშმაკეულმა განაცხადა: "ლეგიონია ჩემი სახელი, ვინაიდან ბევრნი ვართ" (მარკ. 5:9). რომის არმიაში ლეგიონი სამი ან ხუთი ათასი კაცისაგან შედგებოდა. სატანის მხედრობაც დაყოფილია ჯგუფებად და ჯგუფი, რომელსაც ეს ეშმაკეული მიეკუთვნებოდა, ლეგიონს ითვლიდა.

დაემორჩილნენ რა იესოს ბრძანებას, ბოროტმა სულებმა დატოვეს თავიანთი მსხვერპლი, ის კი დამშვიდებული და გონსმოსული, წყნარად იჯდა მაცხოვრის ფერხთით. ხოლო ეშმაკებმა, რომელთაც ნება მიეცათ, ღორების კოლტში შესულიყვნენ, ეს ცხოველები ზღვაში

გადაჩეხეს. გენესარეთის მკვიდრთ იმდენად დიდი ეჩვენათ ეს დანაკარგი, რომ უარყვეს ქრისტეს კურთხევა და ღვთიური მკურნალიც იძულებული იყო გასცლოდა მათ. სატანაც სწორედ ამისთვის იბრძოდა: იესოს ღორების კოლტის დაღუპვაში დასდეს ბრალი, რითაც სატანამ ეგოისტური შიშის გრძნობა გაულვივა ხალხს და მათ უარი თქვეს უფლის სიტყვის მოსმენაზე. სატანა ყოველგვარ დანაკარგში, უბედურებასა თუ ტანჯვაში მუდამ ქრისტიანებს ადანაშაულებს და არა ნამდვილ დამნაშავეთ - საკუთარ თავსა და თავის დამქაშებს.

მაგრამ ქრისტეს გეგმა არ ჩაშლილა. მან ამ ღორების ჯოგის მოსპობის ნება დართო ბოროტ სულებს და ამასთან

ერთად ამხილა იუდეველნი, რომელთაც ეს უწმიდური ცხოველები გამდიდრების მიზნით ჰყავდათ მოშენებული. ქრისტეს რომ არ შეეკავებინა ეშმაკები, ისინი არა მხოლოდ ღორებს, არამედ მათ პატრონებსაც გადაჩეხავდნენ ზღვაში. მაცხოვარმა თავისი მოწყალებით ისინიც გადაარჩინა. უფრო მეტიც, ეს მოვლენა ასე უნდა განვითარებულიყო, რათა იესოს მოწაფეებს დაენახათ სატანის ძალაუფლების სისასტიკე ადამიანთა და ცხოველთა მიმართ. მაცხოვარს სურდა, რომ მის მიმდევრებს კარგად გაეცნოთ მტერი, რომელსაც ისინი მომავალში ხშირად დაუპირისპირდებოდნენ, რათა არ მოტყუებულიყვნენ და მისი

მზაკვრობითა და ეშმაკური ხრიკებით არ დამარცხებულიყვნენ. მას აგრეთვე სურდა, რომ ამ ქვეყნის მცხოვრებთ დაენახათ უფლის ძალა, რომელსაც შეუძლია სატანის ბორკილების დამსხვრევა და მის ტყვეთა განთავისუფლება. და თუმცა იესო იძულებული იყო, დაეტოვებინა ეს მხარე, მაგრამ მის მიერ გათავისუფლებული ადამიანები დარჩნენ იქ, რათა დაემოწმებინათ თავიანთ კეთილისმყოფელზე.

წმიდა წერილში ამის მსგავსი სხვა მაგალითებიც მრავლად გვხვდება. იესომ განდევნა ეშმაკი სიროფინიკიელი დედაკაცის ასულისაგან (იხ. მარკ. 7:26-30). ერთი "ეშმაკეული, ბრმა და მუნჯი" ყმაწვილი, (მათ. 12:22) უტყვი სულით

შეპყრობილი, "რომელსაც ბევრჯერ ჩაუგდია ცეცხლსა და წყალში, რათა დაელუპა" (იხ. მარკ. 9:17-27); "არაწმიდა ეშმაკის სულით შეპყრობილი" შეშლილი, რომელმაც კაპერნაუმში შაბათის ღვთისმსახურება დაარღვია (ლუკ. 4:33-36) - ყველა ეს გატანჯული სნეული განკურნა მოწყალე მაცხოვარმა. თითქმის ყველა შემთხვევაში ქრისტე მიმართავდა ეშმაკებს, როგორც გონიერ არსებებს, უბრძანებდა, დაეტოვებინათ თავიანთი მსხვერპლი და აღარ ეტანჯათ ისინი. როდესაც კაპერნაუმის მლოცველებმა ქრისტეს ძლიერება იხილეს, გაოცებით იკითხეს: "ეს რა სიტყვაა, რომ ხელმწიფებითა და ძალით არაწმიდა

სულებს უბრძანებს და ისინიც გამოდიან" (ლუკ. 4:36).

უწმიდური სულით შეპყრობილნი ძლიერ იყვნენ გატანჯული, მაგრამ იყვნენ გამონაკლისებიც. ზებუნებრივი ძალის მიღების მიზნით ზოგიერთი ნებაყოფლობით შედიოდა სატანის მფლობელობაში. რა თქმა უნდა, მათ არავითარი უთანხმოება არ გააჩნდათ ეშმაკებთან. ასეთები იყვნენ გრძნეული სიმონი, ჯადოქარი ელამი და ერთი ასული, რომელიც ფილიპეში მიმავალ პავლეს და სილას კვალდაკვალ დაჰყვებოდა.

უწმიდურ სულთა გავლენა დიდ საშიშროებას წარმოადგენს მათთვისაც, ვინც წერილის განსაზღვრული და ამომწურავი

მოწმობის მიუხედავად, უარყოფს სატანისა და მის დემონთა არსებობას. ეშმაკებს უდიდესი უპირატესობა სწორედ მაშინ გააჩნიათ, როდესაც არაფერი ვიცით მათი მზაკვრობისა და ვერაგობის შესახებ; ადამიანები ყურს უგდებენ მათ რჩევებს და წინადადებებს, ჰგონიათ, რომ საკუთარი გონებით მოქმედებენ. რაც უფრო ახლოვდება ბოლო ჟამი, მით უფრო ძალას იკრებს სატანა, რათა მრავალი აცდუნოს და დალუპოს. და ამისათვის იგი ცდილობს ყველას შთააგონოს, რომ სატანის არსებობა - მითია და არა სინამდვილე. სატანის ვერაგობაც სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ცდილობს, შეუმჩნევლად იმოქმედოს.

უდიდეს მზაკვარს ყველაზე მეტად თავისი ხრიკების გამოაშკარავების ეშინია. თავისი ნამდვილი ხასიათისა და ზრახვების უფრო უკეთესად შენიღბვისათვის იგი ცდილობს, ადამიანებს ისეთი სახით წარუდგეს, რომ მათში მხოლოდ დამცინავი ღიმილი გამოიწვიოს. იგი მეტად კმაყოფილია, როცა თავისი მისამართით უხეშ და დამცინავ ხუმრობებს ისმენს ადამიანებისაგან, რომელნიც თავს ყოვლისმცოდნე და გონიერ პიროვნებად თვლიან.

და სწორედ იმის გამო, რომ მან ასეთი დიდი დახვეწილი ოსტატობით შესძლო დაეფარა თავისი ჭეშმარიტი არსი, ყველგან ერთი და იგივე კითხვა გაისმის: "ნუთუ იგი მართლა არსებობს?" რელიგიურმა სამყარომ

მიიღო მოძღვრება, რომელიც ძირშივე ეწინააღმდეგება ღვთის სიტყვის ნათელ მოწმობას და ესეც სატანის წარმატებულ მოღვაწეობას მოწმობს. და სწორედ იმიტომ, რომ მაცდური ასე ადვილად იპყრობს ადამიანთა გულს, რომელთაც შესაძლოა, არაფერი იციან მისი ზეგავლენის შესახებ, წმიდა წერილში გაშუქებულია სატანის ბოროტმოქმედების მრავალი მაგალითი, რომელიც ფარდას ხდის მის ფარულ ძალას და გვეხმარება მისი იერიშების მოგერიებაში.

სატანისა და მისი მხედრობის სისასტიკე და ძალა კანონიერად გამოიწვევდა ჩვენში მღელვარებასა და შფოთს, რომ არა ჩვენი ყოვლისშემძლე მაცხოვრის ძალით

ჩვენი გადარჩენის შესაძლებლობა. ჩვენ საგულდაგულოდ ვკეტავთ სახლებს ურდულებითა და კლიტეებით ჩვენი ქონებისა და სიცოცხლის ბოროტი ადამიანების მიერ ხელყოფისაგან, მაგრამ რა იშვიათად გვახსენდება ბოროტი სულები, რომლებიც გამუდმებიც ცდილობენ ჩვენში შემოჭრას და რომელთაგან თავის დაცვა საკუთარი ძალებით არ შეგვიძლია. მათ რომ უფლება მიეცეთ, ბეჯითად იმოქმედებდნენ ჩვენს გონებაზე, დაგლეჯდნენ ჩვენს სხეულებს, გაანადგურებდნენ ჩვენს ქონებასა და სიცოცხლეს. ტანჯვა და ნგრევა - უდიდესი სიხარულია ბოროტი სულებისათვის. რა საშინელი საფრთხე ელით მათ, ვინც

ეწინაალმდეგება უფლის სიტყვას და სატანის ცდუნებებს ულებს გულის კარს, ვიდრე უფალი არ დატოვებს მათ უწმიდურ ძალთა მფლობელობაში. მაგრამ ქრისტეს ერთგულნი ყოველთვის დაცული არიან მისგან. თვით უზენაესი აგზავნის უძლიერეს ანგელოზთ მათ დასაცავად და მაშინ მზაკვარს ძალა ალარ შესწევს იმ კედლის გადასალახავად, რომლითაც უფალი თავის ხალხს იფარავს.

თავი 30 მტრობა ადამიანსა და სატანას შორის

"მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის; ის თავს

გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე!" (დაბ. 3:15). ადამიანის დაცემის შემდეგ სატანის მიმართ გამოტანილი ღვთიური განაჩენი - ეს იყო წინასწარმეტყველება, რომელიც მოიცავდა მთელ საუკუნეებს ბოლო ჟამამდე და რომელიც დედამიწაზე მცხოვრებ ყველა თაობის დიდ ბრძოლას მოასწავებდა.

ღმერთი ამბობს: "მტრობას ჩამოვაგდებ". ეს მტრობა არ არის ბუნებრივად გამოწვეული გრძნობა. როდესაც ადამიანმა დაარღვია ღვთიური კანონი, მისი ბუნება ცოდვით გაუწმიდურდა და ამ გზით დამყარდა ერთობა სატანასა და მას შორის. რა თქმა უნდა, ცოდვილ ადამიანსა და ცოდვის მთავარ წყაროს შორის არ არსებობს არავითარი

მტრობა. ერთიც და მეორეც ცოდვილი გახდა განდგომილების შედეგად. და მას შემდეგ მოღალატემ დაკარგა სიმშვიდე, რომელსაც კვლავ იბრუნებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მიერ ცდუნებულნი და მოტყუებულნი მის მაგალითს ბაძავდნენ. სწორედ ამიტომ დაცემული ანგელოზები და უწმიდური ადამიანები ურჯულოთა კავშირში ერთიანდებიან. უფლის განსაკუთრებული ჩარევა რომ არა, სატანა და ადამიანი ზეცის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდებოდნენ და სატანასთან დაპირისპირების მაგიერ კაცობრიობა ღმერთის წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმებოდა.

სატანამ ისევ უბიძგა ადამიანებს დანაშაულის ჩადენისაკენ, როგორც თავის დროზე აცდუნა ანგელოზები, რათა მიელო მათგან მხარდაჭერა ზეცის წინაალმდეგ ბრძოლაში. სატანას და მის დაცემულ ანგელოზებს ერთნაირი ძალით სძულდათ ქრისტე. თუმცა სხვა დანარჩენ საკითხებში მათ განსხვავებული თვალსაზრისი გააჩნდათ, მაგრამ სამყაროს გამგებლის ძლიერების წინაალმდეგ ბრძოლამ დიდად შეაკავშირა ისინი. როდესაც სატანამ მოისმინა იმ მტრობის შესახებ, რომელიც დედაკაცსა და მას შორის, მის თესლსა და დედაკაცის თესლს შორის იარსებებდა, მიხვდა, რომ მის მიერ კაცობრიობის გარყვნის მცდელობას

ოდესმე ზღვარი დაედებოდა და ადამიანს მიეცემოდა შესაძლებლობა, წინ აღდგომოდა მის გავლენას და ძლიერებას.

ადამიანის მიმართ სატანის სიძულვილი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, როდესაც დაინახა, თუ როგორ დაეხმარა ქრისტე ადამიანებს ღვთიური სიყვარულისა და გულმოწყალების შეძენაში. სატანას სურს, ხელი შეუშალოს ადამიანის გამოსყიდვის ღვთიურ გეგმას იმით, რომ რყვნის და აუწმიდურებს უფლის ამ ჩინებული შემოქმედების ნაყოფს, რათა ამგვარად ჩრდილი მიაყენოს შემოქმედის სახელს და ზეცაზე უდიდესი მწუხარება გამოიწვიოს, დედამიწა ტანჯვითა და

უბედურებით აივსოს, შემდეგ კი გამოაცხადოს, რომ ყველა ამ უბედურებაში ადამიანის შემქმნელი ღმერთია დამნაშავე.

ქრისტეს მიერ ბოძებული მადლით ადამიანი წინაალმდეგობას უწევს სატანას. ამ გარდამქმნელი წყალობისა და განმაახლებელი ძალის გარეშე ადამიანი სამუდამოდ დარჩებოდა სატანის ტყვედ, მის მონად და მორჩილ მსახურად. მაგრამ ღვთის მადლი ადამიანის სულს ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ქრისტე მას აძლევს ძალას, რომლითაც შეძლებს წინაალმდეგობა გაუწიოს ამ ტირანს და უზურპატორს. და მაშინ, სიყვარულის ნაცვლად, იგი სიძულვილს გრძნობს ცოდვის მიმართ და იმარჯვებს თავის

ადრინდელ ვნებებზე - ასე მოქმედებს ადამიანში ზემოდან მოცემული ძალა.

ქრისტეს სულსა და სატანას სულს შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა იმაში, თუ როგორ მიიღო ქრისტე წუთისოფელმა. იუდეველებმა უფალი უარყვეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მოვიდა ღარიბი ადამიანის სახით, ყოველგვარი ბრწყინვალებისა და დიდების გარეშე. ისინი ხედავდნენ, რომ იგი ფლობს ძალას, რომელსაც შეეძლო, დაუბრკოლებლად დაებრუნებინა მათთვის დაკარგული უპირატესობა. მაგრამ ქრისტეს სიწმიდემ და უმანკოებამ ურჯულოთა სიძულვილი გამოიწვია. მისი თავგანწირვითა და უსაზღვრო

ერთგულებით ალსავსე ცხოვრება საყვედური იყო ამ ამაყი და პატივმოყვარე ხალხის მიმართ, რამაც უფლის ძისადმი სიძულვილი აღძრა მათში. სატანა და ბოროტი ანგელოზები ერთ ძალად გაერთიანდნენ დაცემულ ადამიანებთან ერთად. განდგომილმა ყველა ძალა და ენერგია დარაზმა სიმართლის დამცველის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შემოქმედისადმი მტრული დამოკიდებულება მის მიმდევართა მიმართაც ვლინდება. ყოველი ადამიანი, რომელიც შეიცნობს ცოდვის სისაძაგლეს და ზემოდან მოცემული ძალის დახმარებით იწყებს ცდუნებასთან ბრძოლას, აუცილებლად იწვევს სატანისა და

მის ხელქვეითთა მრისხანებას. წმიდა ჭეშმარიტების პრინციპთა მიმართ სიძულვილი, მის დამცველთა მიმართ ბრალდება და ღვთის ერთგულთა დევნა იარსებებს მანამ, სანამ არსებობს ცოდვა და ცოდვილი. ქრისტეს მიმდევართა და სატანის მსახურთა შორის არ შეიძლება არსებობდეს რაიმე თანხმობა. ქრისტეს ჯვარი დღესაც შეურაცხყოფს სატანას და უწმიდურ ადამიანებს. "და ყველა, ვისაც სურს ქრისტე იესოში ღვთისმოსაობით იცხოვროს, დევნილი იქნება" (2ტიმ. 3:12).

სატანის ქვეშევრდომნი მუდამ ცდილობენ განამტკიცონ მისი ძალაუფლება და სამფლობელო, ვინც წინააღმდეგობას უწევს ღვთის

მმართველობას. ამისათვის ისინი ცდილობენ, აცდუნონ ქრისტეს მიმდევარნი და აიძულონ, უღალატონ ღმერთს. თავიანთი წინამძღოლის მსგავსად, ამ მიზნის მისაღწევად ისინი დამახინჯებით განმარტავენ წმიდა წერილს. სატანის მსგავსად, რომელიც ცდილობს, ცილი დასწამოს ღმერთს, მისი მიმდევარნიც ცდილობენ, ცილი დასწამონ ღვთის ხალხს. იგივე სული, რომელმაც ჯვარს აცვა ქრისტე, უწმიდურთ უფლის ხალხის დასალუპავად მოქმედებისაკენ მოუწოდებს. ყოველივე ეს ნათქვამია პირველ წინასწარმეტყველებაში: "მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის

თესლს შორის". და ეს ბრძოლა ბოლო ჟამამდე გაგრძელდება.

სატანა ძალას იკრებს ამ ბრძოლისათვის და მთელ ენერგიას ახმარს მას. რატომ არ ხვდება იგი სერიოზულ წინააღმდეგობას? რატომ არის ქრისტეს მხედრობა ასეთი სუსტი და გულგრილი? იმიტომ, რომ ისინი ფაქტიურად შორს არიან ქრისტესგან და მათში არ არის მისი სული. ისინი ცოდვას არ თვლიან ისეთ სისაძაგლედ და ამაზრზენად, როგორიც იგი შემოქმედის თვალშია. ისინი არ უწევენ მას ისეთ მტკიცე და გადამწყვეტ წინააღმდეგობას, როგორც ამას ქრისტე აკეთებდა; ისინი ღრმად ვერ აცნობიერებენ ბოროტების დამღუპველობას, ცოდვის ვერაგობას და კარგად არ

იცნობენ ბნელეთის მეფეს. სატანის საქმეებს არ ხვდება სათანადო წინაალმდეგობანი იმის გამო, რომ მეტად მცირე რამ არის ცნობილი მისი ძალისა და ვერაგობის, შესაძლებლობებისა და ბრძოლისუნარიანობის შესახებ, რომელიც ქრისტესა და მისი ეკლესიის წინაალმდეგ არის მიმართული. მათ არ იციან, რომ მათი მტერი ძლიერი მხედართმთავარია, მეფე ბოროტი ანგელოზებისა, რომელიც გულმოდგინედ მოფიქრებული გეგმებითა და ოსტატური სტრატეგიით იბრძვის ქრისტეს წინაალმდეგ, რათა ხელი შეუშალოს მას ადამიანთა გადარჩენის საქმეში. მორწმუნენი და თვით სახარების მსახურნიც კი,

ძალზე ცოტას ლაპარაკობენ სატანის საქმეებზე და იშვიათად და შემთხვევით ახსენებენ მას. ისინი ყურადღების გარეშე ტოვებენ მისი მუდმივი მოღვაწეობისა და წარმატებების მტკიცებებს. ადამიანები თავს არიდებენ გაფრთხილებებს მისი ვერაგობის შესახებ და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საერთოდ ყურადღებას არ აქცევენ მის არსებობას.

ადამიანებმა არაფერი იციან იმ ვერაგი მტრის ხრიკების შესახებ, რომელიც ყოველ ნაბიჯზე თან სდევს მათ. იგი იჭრება ოჯახურ ცხოვრებაში; მასთან შეხვედრა ქალაქის ნებისმიერ ქუჩაზე შეიძლება; იგი ესწრება სამლოცველო შეკრებებს, სახელმწიფო თათბირებს,

სასამართლო სხდომებს და ყველგან შეაქვს არეულობა, შფოთი და ცდუნება. იგი ღუპავს სულს და სხეულს, ანგრევს ოჯახებს და თესავს სიძულვილს, მტრობას, განხეთქილებასა და სიკვდილს. ხოლო ქრისტიანები ღებულობენ ყოველივე ამას, როგორც ღვთისაგან განწესებულს.

სატანა გამუდმებით ცდილობს დაამარცხოს ღვთის ხალხი იმ წინაალმდეგობათა დანგრევით, რომელიც მას წუთისოფლისაგან ჰყოფს. ძველმა ისრაელმა შესცოდა, არ შეისმინა უფლის სიტყვა და წარმართებთან აკრძალულ ურთიერთობებში შევიდა. ამგვარ ცდუნებას ვერსად გაექცა თანამედროვე ისრაელიც.

"ურწმუნოთათვის, რომელთაც ამ წუთისოფლის ღმერთმა დაუბრმავა გონება, რათა მათთვის არ ებრწყინა სახარების ნათელს ქრისტეს დიდებაზე, რომელიც უხილავი ღვთის ხატია" (2კორ. 4:4). ყოველი ადამიანი, რომელიც მთელი გულით არ უერთგულებს ქრისტეს, სატანის მსახურია. თუკი ადამიანის გულში ჭეშმარიტების ნათელმა ვერ შეალწია, იგი აუცილებლად მიილტვის ცოდვისაკენ, მალავს და ამართლებს მას. განახლებული გულის მქონე ადამიანს სძულს ცოდვა და მტკიცე წინააღმდეგობას უწევს. როდესაც მორწმუნე ადამიანი უპირატესობას ანიჭებს უწმიდურთა და ურჯულოთა საზოგადოებას, დიდია ცდუნების საშიშროება. ფარული, დახვეწილი

ხრიკების მეშვეობით იგი ველარ არჩევს ჭეშმარიტებას სიცრუისაგან, რადგან სატანა თვალს უბრმავებს და იგი ვერ ხვდება, რომ ასეთი საზოგადოება მხოლოდ ზიანს აყენებს, წუთისოფლისადმი წამხედურობა კი უფრო აბრმავებს მას. და ასეთი ადამიანისათვის სულ უფრო ძნელი ხდება სიმართლის გარჩევა სიცრუისაგან.

ამქვეყნიური ადათ-წესების მიღებით ეკლესია თავად ხდება მისი მსგავსი და ამით სულაც არ აახლოვებს წუთისოფელს ქრისტესთან. ცოდვისადმი ლოიალური დამოკიდებულება აუცილებლად მიგვიყვანს იქამდე, რომ იგი ნაკლებად საძულველი მოგვეჩვენება. სატანის მსახურებთან

ურთიერთობის მქონე ადამიანს მალე მათი ბატონისაც ალარ შეეშინდება. როდესაც ჩვენი მოვალეობის ალსრულებისას განსაცდელს ვაწყდებით, როგორც ეს დანიელს შეემთხვა მეფის კარზე, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ უფალი დაგვიცავს; მაგრამ თუკი ჩვენ თავად მივისწრაფით ცდუნებისაკენ, ადრე თუ გვიან დაცემა გარდაუვალია.

მაცდური ხშირად დიდი წარმატებით მოქმედებს მათი მეშვეობით, ვისშიც ეჭვს ვერავინ შეიტანს, რომ იგი სატანის მსახურია. ნიჭიერი და განათლებული ადამიანები, რა თქმა უნდა, პატივისცემითა და ყურადღებით სარგებლობენ, თითქოს მათი ეს ღირსება შეცვლის ღვთისადმი

მოწიწებას ან გამოიწვევს უფლის კურთხევას. ნიჭი და კულტურა თავისთავად ღვთის ნაბოძვარია, მაგრამ როდესაც უფლის ამ ძღვენით ღვთისმოსაობის შეცვლას ცდილობენ და ამ თვისებებით ადამიანთა უფალთან დაახლოების ნაცვლად, მათ დაშორებას უწყობენ ხელს, მაშინ იგი წყევლა და თავგზის აბნევაა. ბევრს ჰგონია, რომ მაღალი კულტურა და დახვეწილი მანერები მათი მფლობელის ქრისტიანობაზე მეტყველებს. ეს უდიდესი შეცდომაა. ასეთი თვისებებით უნდა იყოს შემკული ყოველი ქრისტიანი, რადგან იგი ხელს შეუწყობს ადამიანის ჭეშმარიტი რელიგიისაკენ მოქცევას. მაგრამ ეს ღირსებანი უფლისადმი უნდა იყოს მიძღვნილი; წინააღმდეგ

შემთხვევაში იგი ბოროტ ძალად იქცევა. ხშირია შემთხვევა, როდესაც უნიჭიერესი და მაღალი კულტურის მქონე ადამიანი უზნეო საქციელს სჩადის და სატანის ხელში ჩინებულ იარაღად იქცევა. ასეთი ადამიანი - მრავალ ცდუნებათა წყარო, ქრისტეს უფრო საშიშ მტრად იქცევა, ვიდრე მისი გაუნათლებელი და უკულტურო მოწინააღმდეგენი.

ლოცვებითა და ღმერთთან გულწრფელი ურთიერთობით მიაღწია სიბრძნეს მეფე სოლომონმა, რომელიც მთელ მსოფლიოს აკვირვებდა და აოცებდა. მაგრამ როდესაც იგი დაშორდა თავისი ძლიერების წყაროს და საკუთარ ძალას დაეყრდნო, ცდუნების ლუკმა გახდა. და ღვთისაგან ბოძებულმა ამ

უდიდესმა ნიჭმა სატანის მოქმედ იარაღად აქცია იგი.

თუმცა სატანა გამუდმებით ცდილობს ადამიანთა გონების დაბნელებას, მაგრამ ქრისტიანებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი იბრძვიან არა "სისხლის და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ წუთისოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ" (ეფ. 6:12). საუკუნეთა მანძილზე ესმოდათ ქრისტიანებს გაფრთხილება: "მღვიძარენი იყავით, იფხიზლეთ, რადგან თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი დაძრწის როგორც მბრდღვინავი ლომი და ეძებს, ვინ ჩაყლაპოს" (1პეტ. 5:8).

"შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი, რათა შესძლოთ წინაალუდგეთ ეშმაკის მზაკვრობას" (ეფ. 6:11).

ადამის დროიდან დღემდე კაცობრიობის მტერი არ დაღლილა ნგრევით, დალუპვითა და განადგურებით. ახლა იგი ეკლესიის წინაალმდეგ თავისი უკანასკნელი ბრძოლისათვის ემზადება. ქრისტეს ყველა მიმდევარი ჩაებმება ამ ბრძოლაში საშიში და მოულოდნელი მტრის წინაალმდეგ. რაც უფრო მეტად ბაძავს ქრისტიანი ღვთის ხატებას, მით უფრო სავარაუდოა, რომ იგი სატანის სამიზნედ იქცეს. ქრისტეს სახელით მშრომელი ყოველი ადამიანი, რომელიც ამხილებს ეშმაკის მზაკვრობას და ხალხის

წინაშე მოწმობს მაცხოვარს, შესძლებს შეუერთდეს პავლე მოციქულის მოწმობას, რომელიც ამტკიცებს, რომ ღმერთის მსახურება დაკავშირებულია მრავალ შეურაცხყოფასთან, "ცრემლებთან და ცდუნებასთან".

სატანა მზაკვრული ცდუნებებითა და ეშმაკობით მიუდგა ქრისტეს, მაგრამ იგი მუდამ მარცხდებოდა. იესო ჩვენი კეთილდღეობისათვის იბრძოდა: მისი გამარჯვებით ჩვენც გავიმარჯვეთ. ქრისტე დახმარების ხელს უწვდის ყველა მთხოვნელს. სატანა ვერ დაამარცხებს ადამიანს მისი ნების გარეშე. მაცდური ვერ აიძულებს ადამიანს, შესცოდოს. მას შეუძლია ბევრი ტკივილი მიაყენოს ადამიანს, მაგრამ ვერ

გააუწმიდურებს მას. ქრისტეს გამარჯვებით შთაგონებულმა მისმა მიმდევრებმა მამაცურად უნდა იბრძოლონ ცოდვისა და სატანის წინააღმდეგ.

თავი 32 სატანის ქსელი

დიადი ბრძოლა სატანასა და ქრისტეს შორის, რომელიც აგერ უკვე ექვსი ათასი წელი გრძელდება, დასასრულს უახლოვდება და სატანაც აორკეცებს თავის მცდელობას, რათა ჩაშალოს ადამიანის ხსნის გეგმა და თავის ქსელში გაახვიოს ქრისტეს მიმდევარნი. მისი მიზანია - ამყოფოს ადამიანები ბნელში, რათა არ მოინანიონ ცოდვები ქრისტეს შუამდგომლური მსახურების დასრულებამდე, როდესაც მსხვერპლი ცოდვისათვის უკვე აღარ იქნება.

როდესაც ადამიანები არავითარ ძალისხმევას არ იჩენენ მისი ძალაუფლების წინააღმდეგ, როდესაც ეკლესიაში და ერში გულგრილობისა და უზრუნველობის სულია გამეფებული, სატანა დამშვიდებულია - მას არ ემუქრება თავის ტყვეთა დაკარგვის საშიშროება. მაგრამ როდესაც ადამიანები ფიქრობენ პრობლემებზე, რომელნიც მარადიულობასთანაა დაკავშირებული და მათ სულებში იბადება კითხვა: "როგორ მოვიქცე, რომ გადავრჩე?", სატანა მაშინვე ფხიზლდება და ცდილობს თავისი ძალაუფლების გამოყენებას ქრისტეს ძალის წინააღმდეგ, რათა გაანადგუროს სულიწმიდის გავლენა.

წმიდა წერილში აღწერილია ერთი შემთხვევა, როდესაც ანგელოზებთან ერთად ღვთის წინაშე წარდგა სატანაც (იობ. 1:6). მაგრამ იგი წარდგა არა უკვდავი მეფის თაყვანისცემისათვის, არამედ, მართალთა შორის ბოროტების დათესვას შეეცადა. ამავე მიზნით ესწრება იგი ხშირად ღვთისმსახურებას. უხილავი მტერი მთელი ძალით ცდილობს მლოცველთა აზრების დაპყრობას. ნიჭიერი მხედართმთავრის მსგავსად იგი წინდაწინ ადგენს გეგმებს, როდესაც ხედავს, რომ მქადაგებელი მთელი ყურადღებით კითხულობს წმიდა წერილს და მომავალი მსახურებისათვის ემზადება. სატანაც იმახსოვრებს მომავალი ქადაგების

თემას და შემდეგ მთელ თავის ძალას, ხელოვნებასა და ოსტატობას იყენებს ისეთი პირობების შესაქმნელად, რომ ჭეშმარიტების სიტყვა არ მივიდეს იმ მსმენელის ყურამდე, რომლის ცდუნებაც იმ მომენტში აქვს გადაწყვეტილი. და მას, ვინც განსაკუთრებით საჭიროებს სიფრთხილეს, სატანა გამოუჩენს გადაუდებელ საქმეს ან სხვა მიზეზს და არ მოასმენინებს სიტყვებს, რომელიც მისი გადარჩენისათვის არის ნათქვამი.

სატანა ხედავს, რომ ადამიანთა სულიერი სიბნელე მეტად აწუხებს ღვთის მსახურთ. მას ესმის მათი გულწრფელი ლოცვა, რათა უფლის მადლმა და ძალამ გაფანტოს გულგრილობის წყვდიადი,

ადამიანთა უზრუნველობა და საზეიმო განწყობილება. და იგი განახლებული ენერგიით იწყებს ახალი ცდუნების ქსელის ქსოვას. იგი შთააგონებს ადამიანებს, რომ მთავარია საკუთარი სურვილების ასრულება და საკუთარი თავისადმი პატივისცემა. და ამას იმიტომ აკეთებს, რომ ისინი გულგრილი დარჩნენ იმ საკითხის მიმართ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მათთვის.

სატანას მშვენივრად ესმის, რომ ყველა, ვისი ყურადღებაც შეასუსტა და მოწყვიტა ლოცვასა და წერილის კითხვას, მის ნადავლად იქცევა. ამიტომ იგი ყველა ღონეს ხმარობს ადამიანთა გონების დაპყრობისათვის. და მართლაც, ყველგან გვხვდებიან ადამიანები,

რომელნიც თავიანთ თავს ღვთისმოშიშს უწოდებენ, მაგრამ დაკავებული არიან არა ჭეშმარიტებათა შემეცნებით, არამედ სხვათა ნაკლისა და შეცდომების გამოკვლევებით. ეს ადამიანები სატანის მარჯვენა ხელს წარმოადგენენ. სხვისი განკითხვის მოყვარული ადამიანები მრავლად არიან და ისინი განსაკუთრებულ აქტიურობას მაშინ იჩენენ, როდესაც უფალი აუწყებს თავის ნებას, ჭეშმარიტი მორწმუნენი კი ცდილობენ მის აღსრულებას. სატანის ნების აღმსრულებელნი ცრუდ ასახავენ უფლის ნების მორჩილთა საქმეებს. ქრისტეს ყველაზე გულწრფელ, ერთგულ და თავგანწირულ მსახურთ ისინი

მოტყუებულს ან მატყუარას უწოდებენ. ისინი უკულმა წარმოადგენენ ყოველგვარ კეთილშობილურ და კარგ საქციელს, რათა ეჭვი დაბადონ უბრალო ადამიანებში და ხელიდან არ უშვებენ არც ერთ ხელსაყრელ მომენტს, რომ არ წაბილწონ ყველაფერი წმიდა და მართალი და დამახინჯებულად და ცრუდ არ წარუდგინონ იგი ხალხს.

მაგრამ არავინ არ უნდა დარჩეს უმეცარი ასეთ ადამიანთა მიმართ. არ არის ძნელი მათი შეცნობა: ვისი მიმდევრები არიან და ვის დავალებას ასრულებენ. "მათი ნაყოფით იცნობთ მათ" (მათ. 7:16). ისინი ემსგავსებიან სატანას, ვერაგ მკვლელს, "ძმათა ცილისმწამებელს" (გამოცხ. 12:10).

ამ უდიდეს მზაკვარს მრავალი დამქაში ჰყავს, რომელნიც ყოველ წუთს მზად არიან სულთა საცდუნებლად. ისინი იგონებენ სხვადასხვა ცრუ მოძღვრებებს მათი ინტელექტის შესაბამისად, ვისაც სატანა დასალუპავად ეძებს. მისი მიზანია, მოიყვანოს ეკლესიაში არაგულწრფელი, გაუნათლებელი ადამიანები, ვინც ურწმუნოებისა და ეჭვის სათავედ იქცევიან და ხელს შეუშლიან უფლის საქმის წარმატებით განხორციელებას. არც თუ ისე ცოტაა ადამიანები, რომელთაც არა აქვთ ღვთისა და მისი სიტყვის მიმართ ჭეშმარიტი რწმენა, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღიარებენ ჭეშმარიტების ზოგიერთ პრინციპს და იმის გამო, რომ თავს მორწმუნეებად

თვლიან, აქვთ შესაძლებლობა, თავიანთი მცდარი თვალსაზრისი სულიერ ჭეშმარიტებად წარადგინონ.

განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია სატანამ მაშინ, როდესაც ადამიანს შთააგონა, რომ მისი რწმენის საგანს არა აქვს მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა. მაცდურმა იცის, რომ სიყვარულით მიღებული ჭეშმარიტება ანათლებს სულს, ამიტომ ყოველთვის ცდილობს მათ შეცვლას ცრუ თეორიებით, მითებითა და ცრუ სახარებით. დასაბამიდანვე ღვთის მსახურნი ებრძვიან ცრუ მასწავლებლებს, ვინაიდან მათ არა მხოლოდ ცოდვილებად, არამედ ადამიანისათვის დამღუპველ სიცრუის წყაროდ თვლიან. ელია, იერემია და პავლე მოციქული

გამუდმებით და უშიშრად გამოდიოდნენ მათ წინააღმდეგ, ვინც ადამიანს ხელს უშლიდა ღვთის სიტყვის მიღებაში. ჭეშმარიტებათა ეს წმიდა დამცველნი ყოველთვის ილაშქრებდნენ იმ სულიერი თავაშვებულობის წინააღმდეგ, რომლის დროსაც, სულ ერთია, რისი რწმენა აქვს ადამიანს.

წმიდა წერილის ბუნდოვანი განმარტება, რელიგიური რწმენის მრავალრიცხოვანი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორიები, რომელიც დღეს არსებობს ქრისტიანულ სამყაროში - ყოველივე ეს შედეგია უდიდესი თვალთმაქცის მოღვაწეობისა, რომელიც ამ გზით ცდილობს ადამიანის ცდუნებას და მის ჭეშმარიტებისაგან დაცილებას.

ბიბლია არის სახელმძღვანელო ყველასათვის, ვინც უფლის ნების შეცნობას ისწრაფვის. ღმერთმა ადამიანებს მისცა "ჭეშმარიტი წინასწარმეტყველური სიტყვა", ანგელოზებმა და თვით უფალმა იესომაც განუმარტეს დანიელს და იოანეს ის, რაც მალე უნდა მოხდეს. ჩვენს გადარჩენასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ჭეშმარიტებანი არ არის საიდუმლოებით მოცული და დაფარული. ისინი იმგვარადაა გახსნილი ჩვენთვის, რომ ჭეშმარიტების მძებნელი არ დაიბნეს და არაფერში შეცდეს. უფალმა აბაკუმ წინასწარმეტყველის მეშვეობით განაცხადა: "ჩაწერე ხილვა და ფიქალებზე ამოკვეთე, რომ

სწრაფად წაიკითხოს მკითხველმა" (აბაკ. 2:2). უფლის სიტყვა გასაგებია ყველასათვის, ვინც ლოცვით შეისწავლის მას. და ყოველი ერთგული, პატიოსანი სული მივა ამ ჭეშმარიტების ნათელთან: "შუქი ილვრება წმიდისათვის" (ფს. 96:11). ვერც ერთი საზოგადოება ვერ მიიღებს სულიერ ზრდას, თუკი მისი წევრები არ დაუწყებენ ძებნას ჭეშმარიტებას, როგორც "დაფარულ განძს".

სიტყვა "თავისუფლებამ" ბევრს დაარღუჭინა თვალი უდიდესი თვალთმაქცის ხრიკებზე, რომელიც განუხრელად ილწვის თავისი მიზნის განხორციელებისათვის. და როდესაც მას ეძლევა შესაძლებლობა, ბიბლიური ჭეშმარიტება შეცვალოს

ადამიანური გამოგონებებით, მაშინ უფლის კანონი იგნორირებულია, ხოლო ეკლესია ცოდვის ბორკილებში ექცევა, თუმცა კი აცხადებს, რომ მოიპოვა თავისუფლება.

ბევრისთვის წყევლა-კრულვად იქცა მეცნიერული აღმოჩენები. უფალმა დაუშვა, რომ სინათლის ნაკადი წუთისოფელზე მეცნიერული აღმოჩენებისა და ხელოვნების მეშვეობით გადმოფენილიყო, მაგრამ ყველაზე უმაღლესი გონებაც კი, თუკი იგი ღვთის სიტყვით არ ხელმძღვანელობს, გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება მეცნიერებასა და გამოცხადებას შორის დამოკიდებულების შესწავლის მცდელობისას.

ადამიანის ცოდნა მატერიალური და სულიერი სამყაროს შესახებ არასრულყოფილია. ამის გამო ბევრი თავის მეცნიერულ თვალსაზრისს ვერ უფარდებს ბიბლიურ ჭეშმარიტებას. ბევრი თეორიებსა და ვარაუდს მეცნიერულ ფაქტებად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ღვთის სიტყვა უნდა შემოწმდეს ამ "ეგრეთწოდებული მოძღვრებით" (1ტიმ. 6:20). მათ არ ძალუძთ, ჩაწვდნენ შემოქმედს და მის საქმეებს, არ შეუძლიათ, ყველაფერი ახსნან ბუნებრივი კანონებით და ამის გამო ბიბლიურ ისტორიას ეჭვის თვალით უყურებენ. მას, ვინც ეჭვს თესავს ძველი და ახალი აღთქმის ჭეშმარიტი მოწმობის ირგვლივ, ეჭვი ეპარება ღმერთის არსებობაშიც და მისი ძალაუფლების უსასრულობასაც

ბუნებრივ მოვლენებად მიიჩნევს, ხელიდან უშვებს რწმენის ლუზას და ურწმუნოების უფსკრულში იჩეხება.

ამგვარად, ის, ვინც უარყოფს რწმენას და ღებულობს მცდარ თვალსაზრისს, სატანის ტყვე ხდება. ადამიანებს სურთ, შემოქმედზე მაღლა იდგნენ თავიანთი სიბრძნით; ადამიანური ფილოსოფია ცდილობს, ჩაწვდეს და ამოხსნას საიდუმლო, რომელიც მარადიულობაშიც არ იქნება გახსნილი. ადამიანებს რომ ჰქონდეთ სურვილი იმის შემეცნებისა, რაც უფალმა განაცხადა თავისი არსისა და თავისი ზრახვის შესახებ, ისინი ჩაწვდებოდნენ ღვთის დიდებას, ყოვლისშემძლეობასა და ძალას, აღიარებდნენ თავიანთ უძლურებას, არარაობას და

დაკმაყოფილდებოდნენ მხოლოდ იმით, რაც გახსნილია მათთვის და მათი შვილებისათვის.

სატანის ყველაზე დახვეწილი ცდუნება იმაში მდგომარეობს, რომ იგი შთააგონებს ადამიანებს, იმსჯელონ ცოდნის იმ ნაწილის შესახებ, რომლის გამოცხადება და გახსნა უფალს არ სურს. სწორედ ამ მიზეზის გამო დაატოვებინეს ლუციფერს ზეცა. უკმაყოფილომ იმით, რომ უფალმა არ გაანდო ყველა თავისი საიდუმლო, მან ბოლოს და ბოლოს, უგულვებელყო ისიც, რაც მიანდეს. ლუციფერმა უკმაყოფილების სული აღძრა მასთან დაახლოებულ ანგელოზებში და მათი დაცემის მიზეზიც გახდა. იგი დღესაც იმავე სულით ცდილობს ადამიანთა

ცდუნებას, რათა აიძულოს, ურჩობა გამოავლინონ უფლის ნების წინაშე.

ისინი, ვისაც ბიბლიურ ჭეშმარიტებათა ნათელი გამოცხადების მიღება არ სურთ, სხვადასხვა მსუბუქ ხერხებს იგონებენ თავიანთი სინდისის დასამშვიდებლად. და ამა თუ იმ მოძღვრებაში რაც უფრო მცირეა სულიერება, თავგანწირვა და მორჩილება, მით უფრო ადვილად ღებულობენ მას. თავიანთ ინტელექტს საკუთარ სურვილთა დასაკმაყოფილებლად იყენებენ. ეს ამპარტავანი ადამიანები მეტად დაბრძენებულად თვლიან თავს იმისათვის, რომ მონანიებითა და გულწრფელი ლოცვებით შეისწავლონ წმიდა წერილი უფლის

ხელმძღვანელობის შესახებ, ამიტომ ბნელეთის ძალებს ვერ უმკლავდებიან. სატანა კი მზად არის, დააკმაყოფილოს მათი სურვილები და სარგებლობს ყველა შემთხვევით, რათა ჭეშმარიტების ნაცვლად სიყალბე შეაჩეჩოს მათ. სწორედ ამ გზით დაიპყრეს პაპის ერთგულებმა ადამიანთა გონება და პროტესტანტებიც, უარყვეს რა ჭეშმარიტება მისი ალიარების სიმძიმის გამო, იმავე გზას დაადგნენ. ყველა, ვინც უარყოფს ღვთის სიტყვას ამქვეყნიური კომფორტისა და სიმშვიდის მოპოვების მიზნით და იმისათვის, რომ არაფრით გამოირჩეოდეს წუთისოფლისაგან, მზადაა, ყველაზე საშინელი ერესი ბიბლიურ ჭეშმარიტებად მიიღოს.

ვინც შეგნებულად უარს ამბობს ჭეშმარიტებაზე, მიიღებს მისთვის მოსაწონ ნებისმიერ სიცრუეს. ერთ შეცდომას კი მეორე მოჰყვება. პავლე მოციქული ამბობს: "იმის გამო, რომ მათ არ შეიწყნარეს ჭეშმარიტების სიყვარული თავის სახსნელად, ამისთვის გაუგზავნის მათ ღმერთი მცდარ ქმედებას, რათა იწამონ სიცრუე... ვინც ჭეშმარიტება არ იწამა და მოიწონა უსამართლობა" (2თეს. 2:10-12). მოციქულის ეს სიტყვები გვახსენებს, თუ რა დიდი სიფრთხილე გვმართებს ამა თუ იმ მოძღვრების მიღებისას.

უდიდესი თვალთმაქცის ყველაზე ნაყოფიერ ცდუნებათა შორის პირველი ადგილი სპირიტიზმის მოძღვრებასა და მის სასწაულებს

უჭირავს. ნათლის ანგელოზის სახით სატანა ქსოვს თავის მაცდურ ქსელს იქ, სადაც ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი. თუ ადამიანებიც გულმოდგინედ და ლოცვებით რომ შეესწავლათ ღვთის სიტყვა, მაშინ არ დარჩებოდნენ ბნელში და არ გაიტაცებდა ყოველგვარი ცრუმოძღვრება. მაგრამ ჭეშმარიტების უარყოფის გამო ისინი სიცრუის მსხვერპლნი ხდებიან.

კიდევ ერთი სახიფათო შეცდომა არსებობს ქრისტეს ღვთიურობისა და მისი დედამიწაზე მოსვლამდე არსებობის უარყოფაში. ამ მოძღვრებას იზიარებენ ისინიც, ვინც უფლის სიტყვის მორწმუნედ თვლის თავს, თუმცა პირდაპირ ეწინააღმდეგებიან ჩვენი მაცხოვრის

გასაგებად ნათქვამს მისი მამასთან კავშირის, ღვთიური არსისა და მარადიული არსებობის შესახებ. ამ მოძღვრების მიღება მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც განზრახ სურს წმიდა წერილის დამახინჯება. იგი არა მხოლოდ ამცირებს ადამიანის წარმოდგენას გამომსყიდველი მსხვერპლის შესახებ, არამედ რწმენას უკარგავს ხალხს ბიბლიის, როგორც ღვთიური გამოცხადების მიმართ. ამიტომ ეს მოძღვრება ყველაზე სახიფათო და საშიშია. როდესაც ადამიანები უარყოფენ ღვთის სიტყვის მოწმობას ქრისტეს ღვთიურობის შესახებ, მათთვის საწინააღმდეგოს მტკიცება უშედეგოა, ვინაიდან, არც ერთი ყველაზე დამაჯერებელი მტკიცება

მათზე არ იმოქმედებს: "მშვინვიერი ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევს და არც ძალუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი" (1კორ. 2:14). ამ სიცრუის გამზიარებელ არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ჭეშმარიტი წარმოდგენა იქონიოს ქრისტეს ხასიათზე, მისიაზე და მით უმეტეს, ადამიანის გამოსყიდვისათვის ღვთის უდიდეს გეგმაზე.

არსებობს აგრეთვე სხვა მზაკვრული, მავნებლური და ადვილად გასავრცელებელი სიცრუე. ბევრი თვლის, რომ სატანა სინამდვილეში არ არსებობს, ხოლო წერილში მისი სახელი მოიხსენიება, მხოლოდ როგორც ადამიანის

არაკეთილსინდისიერი აზრებისა და სურვილების განსახიერება.

არსებობს ასეთი აზრიც, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა - ეს არის უფლის გამოცხადება ყოველი ადამიანისათვის სიკვდილის შემდეგ. ეს სიცრუე აკრთობს ადამიანებს, რომლებიც ელიან მის გამოჩენას ზეციურ ღრუბლებზე. მრავალ საუკუნეთა მანძილზე სატანა კარნახობდა: "აჰა, ის შიდა ოთახებშია" (მათ. 24:23-26) და ბევრი, მისი სიტყვებით ცდუნებული, დაილუპა.

ამქვეყნიური სიბრძნე გვასწავლის, რომ ლოცვა აუცილებელი არ არის. მეცნიერები აცხადებენ, რომ არ შეიძლება რაიმე რეალური პასუხი არსებობდეს აღვლენილ ლოცვაზე და

რომ ეს იქნებოდა სასწაული, სამყაროს კანონების დარღვევა, სასწაული კი არ არსებობს. სამყაროს, - ამბობენ ისინი, - მართავს განსაზღვრული კანონები, რომელსაც თვით ღმერთი ემორჩილება. ისინი ამგვარად ამტკიცებენ, რომ ღმერთი ემორჩილება თავისივე შექმნილ კანონებს; თითქოს, ღვთიურ კანონთა მოქმედება გამორიცხავს ღვთიურ თავისუფლებას. ასეთი მოძღვრება ბიბლიური მოწმობის საწინააღმდეგოა. განა ქრისტე და მისი მოციქულები არ ახდენდნენ სასწაულებს? მოწყალე მაცხოვარი დღესაც ისევე პასუხობს რწმენით აღვლენილ ლოცვებს, როგორც ძველად, როდესაც დედამიწაზე ცხოვრობდა. ბუნებრივი ერწყმის

ზებუნებრივს. ჩვენს გულწრფელ ლოცვაზე პასუხი, რომელსაც სხვა შემთხვევაში ვერ მივიღებდით, უფლის ჩანაფიქრის ნაწილია.

რამდენი ცრუმოძღვრება და ადამიანის მიერ მოგონილი იდეებია გაბატონებული დღეს ქრისტიანულ ეკლესიებში! შეუძლებელია ღვთის სიტყვის მიერ დადგენილი მხოლოდ ერთი პრინციპის უგულვებელყოფის დამღუპველი შედეგის წარმოდგენაც კი! ასეთი გაბედული ნაბიჯის გადამდგმელი იშვიათად კმაყოფილდება მხოლოდ ერთი ჭეშმარიტების დარღვევით. უმრავლესობა ერთიმეორის მიყოლებით უარყოფს ჭეშმარიტების ყველა პრინციპს მანამ, სანამ

საბოლოოდ ნამდვილი ულმერთო არ გაჩდება.

პოპულარული თეოლოგიის შეცდომებმა მრავალი მიაბრუნა ბიბლიიდან სკეპტიციზმისაკენ. სამართლიანობა, მოწყალება და სიკეთე - ეს უმაღლესი ფასეულობანია და როდესაც ადამიანს შთააგონებენ, რომ თითქოს ყოველივე ეს გათვლილია ბიბლიაში, იგი საერთოდ ზურგს აქცევს ღვთის სიტყვას.

ამ მიზნის განხორციელებისათვის იბრძვის სატანაც. მისი უდიდესი სურვილია, მოუსპოს ადამიანს ნდობა ღმერთისა და მისი სიტყვის მიმართ. სატანა სათავეში უდგას იმ ადამიანთა დიდ არმიას, რომელთაც ეჭვი ეპარებათ ღვთის სიტყვაში და

მაცდურიც მთელი ძალით ცდილობს მათ დატყვევებას. ურწმუნოება მოდად იქცა. ადამიანთა უმრავლესობა ეჭვის თვალით უყურებს ღვთის სიტყვას და მის ავტორს, რადგან იგი ამხელს და კიცხავს ცოდვას. ადამიანებს არ სურთ დაემორჩილონ უზენაესის მოთხოვნებს და ცდილობენ მისი ავტორიტეტის შელახვას. ასეთი ადამიანები კითხულობენ ბიბლიას ან უსმენენ მქადაგებელს მხოლოდ იმ მიზნით, რომ რაიმე შეცდომა იპოვონ წერილში ან ქადაგებაში. მრავალი ადამიანი ურწმუნო ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ გაამართლოს თავისი გულგრილი დამოკიდებულება საკუთარი მოვალეობის მიმართ. ზოგი ურწმუნოებასთან სიამაყესა და

უზრუნველობას მიჰყავს. ზოგს კი, ცხოვრების ფუფუნებისაგან განებივრებულს, არ ჰყოფნის ძალა, გადადგას რაიმე ღირსეული ნაბიჯი, რომელიც ძალისხმევასა და თავგანწირვას მოითხოვს. იგი აკრიტიკებს ბიბლიას და ცდილობს, ბრძენის სახელი დაიმკიდროს. ჩვენს შეზღუდულ, ღვთიური სიბრძნით გაუნათლებელ გონებას ბევრი რამის შემეცნება არ ძალუძს. ამიტომ ასეთი ადამიანები ყოველთვის პოულობენ კრიტიკის მიზეზს. სხვები კი უბრალოდ, ამაყობენ თავიანთი ურწმუნოებით, სკეპტიციზმითა და ურჯულოებით. ამ ადამიანების მოჩვენებითი გულწრფელობა მალავს თავდაჯერებულობასა და სიამაყეს. ბევრი განსაკუთრებულ სიამოვნებას

ლებულობს წმიდა წერილის ტექსტების ძებნაში, რომელთაც ადამიანები ჩიხში შეჰყავთ. ზოგი კი თავიდან კრიტიკას უბრალოდ, იმიტომ იწყებს, რომ კამათის მოყვარულია და არ ესმის, რომ ამით თავად ეხვევა ცდუნების ბადეში. საკმარისია, განაცხადო შენი ურწმუნოების შესახებ და შემდეგ იძულებული ხარ ალარ გადათქვა შენი სიტყვა. ამგვარად ალმოჩნდები ურწმუნოთა ბანაკში და თავად დახურავ შენს წინაშე სამოთხის კარს.

უფალმა თავის სიტყვაში თავისი ღვთიური არსის საკმარისი მტკიცებები მოიყვანა. ჩვენს გამოსყიდვასთან დაკავშირებული უდიდესი ჭეშმარიტებანი მასში გასაგებად და დამაჯერებლადაა

გადმოცემული. სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მიეცემა ყველას, ვინც გულწრფელად ეძებს მას, ყოველ ადამიანს შეუძლია, დამოუკიდებლად ჩაწვდეს ამ ჭეშმარიტებებს. უფალმა ადამიანებს უბოძა მტკიცე საფუძველი, რომელზედაც მათ შეუძლიათ თავიანთი რწმენის შენება.

მაგრამ ადამიანის შეზღუდულ გონებას არ ძალუძს უზენაესის გეგმებისა და ზრახვათა სრული შეცნობა. გონებით ჩვენ ვერასოდეს ვიპოვით ღმერთს. არც ღირს თავდაჯერებული და თავის თავში დარწმუნებული ადამიანი უფლის საიდუმლოთა ფარდის ახდას ცდილობდეს. მოციქული ამბობს: "როგორი ჩაუწვდომელნი არიან მისი

სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები!" (რომ. 11:33). ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ მხოლოდ ერთში: მას ამოძრავებს მხოლოდ უსაზღვრო სიყვარული და მოწყალება, შერწყმული მის უსასრულო ძლიერებასთან. ჩვენი ზეციერი მამა ბრძენი და სამართლიანი მმართველია და ჩვენ არ გაგვაჩნია უიმედობისა და უნდობლობის საფუძველი მის მიმართ, არამედ მოწიწებით თაყვანი უნდა ვცეთ მას. იგი გამოგვიცხადებს და გაგვიხსნის თავის ჩანაფიქრს იმდენად, რამდენადაც ეს ჩვენი კეთილდღეობისთვისაა საჭირო, ხოლო რაც "მის მიღმაა", ამაში უნდა მივენდოთ მის ყოვლისშემძლე

გულსა და ხელს, სიყვარულით გამოწვდილს.

მიუხედავად იმისა, რომ უფალმა მოგვცა მტკიცე საძირკველი და საკმარისი მტკიცებანი რწმენისათვის, იგი მაინც არ წაშლის ურწმუნოების ყველა საბაბს. ვინც ეძებს კაუჭს, რომ თავისი ეჭვები ზედ წამოაგოს, აუცილებლად იპოვის მას. და ვინც უარს იტყის ღვთის სიტყვის მიღებაზე, მის მორჩილებაზე მანამ, სანამ ეს წინააღმდეგობა არ მოისპობა და ეჭვების ყოველგვარი შესაძლებლობა არ გაქრება, ვერასოდეს მიიღებს ნათელს.

უფლისადმი უნდობლობა ბუნებრივი შედეგია გაუნათლებელი, მის მიმართ მტრულად განწყობილი გულისა. რწმენა - სულიწმიდის

ზემოქმედების შედეგია, ხოლო იზრდება და მტკიცდება მხოლოდ ადამიანის ძალისხმევით. არავის შეუძლია თავისი რწმენის განმტკიცება შეგნებული ძალისხმევის გარეშე. ურწმუნოება ფესვს იდგამს მაშინ, როდესაც ადამიანი ზრუნავს ამაზე. თუ ვინმე, ვინც იმის ნაცვლად, რომ იფიქროს რწმენის განსამტკიცებლად უფლის მიერ მოცემულ მტკიცებებზე, ეჭვობს და ეძებს ყოველგვარ უარყოფით მხარეებს, ის დროთა განმავლობაში უფრო გაამყარებს თავის ეჭვებს.

მაგრამ ვისაც ეჭვი ეპარება უფლის ალთქმაში, მის მადლს არ ენდობა, უპატივცემულობას იჩენს უზენაესის მიმართ, ის ნაცვლად იმისა, რომ ადამიანები საკუთარი მაგალითით

ქრისტესკენ მოაქციოს, პირიქით, დათვურ სამსახურს უწევს მათ. ასეთი ადამიანები ემსგავსებიან უნაყოფო ხეებს, რომლებიც თავიანთი მძიმე ტოტების ჩრდილით ეფარებიან სხვა მცენარეებს და მზის სხივებს არ უშვებენ მათთან, რითაც ხელს უწყობენ მათ ჭკნობას. ამ ადამიანთა მთელი ცხოვრება მტკიცე მოწმობა იქნება თვით მათ წინააღმდეგ. ისინი თესავენ ეჭვისა და უნდობლობის თესლს და ეჭვსგარეშეა, შესაბამის მოსავალსაც მოიმკიან.

მათთვის, ვისაც გულწრფელად სურს ეჭვებისაგან გათავისუფლება, მხოლოდ ერთი გზა არსებობს: იმის ნაცვლად, რომ ეჭვი შეიტანონ და გააკრიტიკონ ის, რაც მათთვის გაუგებარია, გზა უნდა მისცენ

ნათელს, რომელსაც უფალი უკვე აძლევს მათ და პირდება, რომ შემდგომში უფრო დიდი ნათელი მიეცემათ. მათ უნდა შეასრულონ მათთვის გასაგები მოვალეობანი, რაც ხელს შეუწყობს იმ ჭეშმარიტების შემეცნებას, რომელიც ჯერ კიდევ ეჭვს იწვევს მათში, შემდეგ კი იცხოვრონ ამ ჭეშმარიტებით.

სატანას ისე შეუძლია წარადგინოს ოსტატურად შენიღბული სიყალბე, რომ ყოველი ადამიანი, ვისთვისაც უცხოა თავგანწირვა და მსხვერპლის გალება და ვინც მზად არის მოიტყუოს თავი, მას ჭეშმარიტებად მიიღებს; მაგრამ დაპყრობა გულისა, რომელიც ჭეშმარიტებისა და სიმართლის შემეცნებისაკენ ისწრაფვის, მას არ ძალუძს. ქრისტე არის ჭეშმარიტება

და "ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გაუნათებს წუთისოფლად მომსვლელ ყველა ადამიანს" (იოან. 1:9). დედამიწაზე გამოგზავნილ იქნა ჭეშმარიტების სული, რათა ადამიანებს ჭეშმარიტება ასწავლოს. უფლის ძემ დაბეჯითებით თქვა: "ეძებეთ და იპოვიდეთ". "ვისაც სურს ალასრულოს მისი ნება, იგი შეიტყობს ამ მოძღვრებას, ღვთისაგანაა იგი თუ ჩემით ვლაპარაკობ" (მათ. 7:7; იოან. 7:17).

ქრისტიანებისათვის მცირე რამ არის ცნობილი იმ შეთქმულებათა შესახებ, რომელთაც მათ წინააღმდეგ აწყობენ სატანა და მისი ქვეშევრდომნი. მაგრამ სამყაროს მეფე მის ვერაგულ ხრიკებს თავისი ღრმა ჩანაფიქრის აღსრულებისათვის

იყენებს. უფალი უშვებს თავისი ხალხის ცხოვრებაში გამოცდას მეტად მძიმე განსაცდელებით არა იმიტომ, რომ იგი სიამოვნებას ღებულობს ადამიანთა სასოწარკვეთილებითა და მწუხარებით, არამედ იმიტომ, რომ ტანჯვა აუცილებელია ცოდვაზე საბოლოო გამარჯვებისათვის. უფალს არ შეუძლია თავისი ძალითა და დიდებით დაიცვას ისინი ცდუნებისაგან, რადგან თვით გამოცდის მიზანია - ადამიანებს ცდუნების წინაალმდეგ ბრძოლა ასწავლოს.

არც ერთ ბოროტმოქმედს და ნაძირალას, არც ერთ დემონს არ ძალუძს ხელი შეუშალოს უფლის საქმეს და არ შეუძლია ჩვენი უფალთან დაშორება, თუკი

მორჩილებითა და მონანიებით მივალთ მასთან, ვითხოვთ მიტევებას და მთელი გულით ვირწმუნებთ მის ალთქმას. ყოველ ცდუნებას, ყოველგვარ წამბილწველ ზეგავლენას, ხილული იქნება იგი თუ დაფარული, შეიძლება წარმატებით გავუწიოთ წინაალმდეგობა "არა ძალითა და ძლიერებით, არამედ ჩემი სულითო, ამბობს ცაბაოთ უფალი" (ზაქ. 4:6).

"ღვთის თვალები მიპყრობილია მართალთა მიმართ, ყურები კი - მათი ვედრების მიმართ ...ცუდს ვინ გაგიკეთებთ, თუ კეთილის მოშურნე იქნებით" (1პეტ. 3:12,13). როდესაც დიდი საზღაურის მიღებით ცდუნებულმა ბალაამმა ისრაელის, უფლის რჩეული ხალხის შეჩვენება

გადაწყვიტა, სულიწმიდამ გზა გადაულობა ამ ბოროტებას და ბალაამმა წამოიძახა: "როგორ დავიწყევლო? ღმერთს არ დაუწყევლია. როგორ შევაჩვენო? უფალს არ შეუჩვენებია". "მოვკვდე მართალთა სიკვდილით და იყოს ჩემი ალსასრული, როგორც მათი!" როდესაც კვლავ შესწირეს მსხვერპლი, უწმიდურმა წინასწარმეტყველმა წარმოთქვა: "აჰა, დალოცვა მებრძანა. მან დალოცა და მე ვერ გადავთქვამ". "არ არის სიცრუე იაკობში და არ ჩანს მზაკვრობა ისრაელში. უფალი, მათი ღმერთია მასთან და სამეფო ბუკის ხმაა მასში". "არ არის გრძნეულება იაკობში და არ არის ჯადოქრობა ისრაელში. თავის დროზე გამოეცხადება იაკობს და

ისრაელს, რა მოიმოქმედა ღმერთმა". მესამედ ააგეს სამსხვერპლო და ბალაამმა კვლავ სცადა ისრაელის შეჩვენება, მაგრამ წინასწარმეტყველის ბაგე მისდაუნებურად ლაპარაკობდა მხოლოდ იმას, რაც სულიწმიდის ნება-სურვილი იყო, ამცნობდა რა თავისი რჩეული ხალხის კეთილდღეობას და კიცხავდა მის მტერთა ბოროტეულ ზრახვებს. "დალოცვილია შენი დამლოცველი და დაწყევლილია შენი მაწყევარი" (რიცხ. 23:8,10,20,21;23; 24:9).

ისრაელი მაშინ უფლის ერთგული იყო და სანამ იგი უფლის კანონებს ემორჩილებოდა, არავითარ ბოროტ და ჯოჯოხეთის ძალას არ შეეძლო მისი დამარცხება; მაგრამ ის წყევლა,

რომლის წარმოთქმის ნებაც არ მისცა უფალმა ბალაამს, მაინც ეწია ისრაელს, როდესაც სატანამ შეძლო მათი ცოდვაში გახვევა. დაარღვიეს რა უფლის მცნებები, ისინი დაშორდნენ ღმერთს და დამლუპველის გავლენის ქვეშ მოექცნენ.

სატანამ კარგად იცის, რომ ყველაზე უძლურ სულს, მაგრამ ქრისტეს ერთგულს, წარმატებით შეუძლია ბრძოლა ბნელ ძალთა წინააღმდეგ და მოვლენებში თვით მისი ჩარევის შემთხვევაშიც კი, დამარცხება გარდაუვალია. ამიტომ იგი ცდილობს ქრისტეს მხედრობის გამოყვანას მიუვალი ციხე-სიმაგრიდან, თვითონ კი, მიმალული ელის და მზადაა, რომ ნებისმიერ მომენტში ყველა, ვინც კი ფეხს შემოდგამს მის ტერიტორიაზე,

დალუპოს. ჩვენ თავს უსაფრთხოდ ვიგრძნობთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მორჩილად ვენდობით უფალს და ვიცავთ მის მცნებებს.

ადამიანი ვერ იგრძნობს თავს უსაფრთხოდ, თუკი იგი ყოველდღიურად, გამუდმებით არ ლოცულობს. უფალს განსაკუთრებით უნდა ვთხოვოთ სიბრძნე მისი სიტყვების გასაგებად, რომელშიც მხილებულია მაცდურის ყოველი ხრიკი და ნაჩვენებია ის საშუალებანი, რომელთა მეშვეობითაც შეგვიძლია წარმატებით გავუწიოთ წინააღმდეგობა მას. სატანამ კარგად იცის წმიდა წერილი, თავისებურად განმარტავს ყველა ტექსტს და ამით ჩვენი ცდუნების იმედი აქვს. ჩვენ

ბიბლია უნდა შევისწავლოთ მორჩილი გულით და არასოდეს დავივიწყოთ, რომ დამოკიდებული ვართ ღმერთზე. მუდამ მზად უნდა ვიყოთ, სატანის ცდუნებანი მოვიგერიოთ რწმენის ლოცვებით: "ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში".

თავი 33 უკვდავების საიდუმლო /პირველი უდიდესი ცდუნება/

კაცობრიობის ისტორიის დასაწყისშივე გამოავლინა სატანამ თავისი ცბიერება და შეუდგა ადამიანის ცდუნებას. მან, ვინც პირველმა მოაწყო ამბოხება ზეცაში, მოისურვა დედამიწის მცხოვრებთა იძულება, მხარი დაეჭირათ მისთვის ღვთის მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ადამი და ევა სრულიად ბედნიერნი იყვნენ იმ დროს, როდესაც

უფლის კანონებს ემორჩილებოდნენ, ეს კი ხელს არ აძლევდა სატანას, რომელიც ამტკიცებდა, რომ ღმერთის კანონი ამონებს ადამიანს და სიხარულს ართმევს უფლის ყოველ ქმნილებას. და როდესაც სატანამ დაინახა, თუ რა მშვენიერი სახლი მოუმზადა უფალმა ამ უცოდველ წყვილს, შურმა მოიცვა. მან გადაწყვიტა, ცდუნებაში შეეყვანა ისინი, რათა ღმერთისგან გაშორებულნი, თავისი ძალაუფლებისთვის დაექვემდებარებინა და ამგვარად დედამიწის ბატონ-პატრონი გამხდარიყო, შეექმნა თავისი სამეფო, რომელიც უზენაესის ნებას არ დაემორჩილებოდა.

სატანას რომ თავისი ჭეშმარიტი არსი დაუფარავად გამოემჟღავნებინა, მტკიცე წინაალმდეგობას წააწყდებოდა, რადგან ადამი და ევა გაფრთხილებული იყვნენ ამ საშიში მტრის შესახებ. მაგრამ იგი დაფარულად მოქმედებდა და დასახული მიზნის მისაღწევად თავის ნამდვილ ზრახვებს მალავდა. გამოიყენა რა შუამავლად გველი, რომელსაც მაშინ საკმაოდ მიმზიდველი გარეგნობა ჰქონდა, მან ევას მიმართა: "მართლა გითხრათ ღმერთმა, ბაღის არცერთი ხის ნაყოფი არ შეჭამოთო?" (დაბ. 3:1). ევას რომ მაშინვე უარი ეთქვა მაცდურთან საუბარზე, გადარჩებოდა, მაგრამ გაბედა მასთან დალაპარაკება და მისი მზაკვრული ხრიკების

მსხვერპლი გახდა. დღესაც ამავე გზით ცდუნდება ბევრი. მათ ეჭვი ეპარებათ უფლის მცნებებში და უარყოფენ მათ. იმის ნაცვლად, რომ უფლის კანონებს დაემორჩილონ, ისინი ეთანხმებიან ადამიანურ თეორიებს, რომლებიც სატანის გამოგონებაა და სხვა არაფერი.

"მიუგო დედაკაცმა გველს: რაც კი ბალშია, ყველა ხის ნაყოფი გვეჭმევა, ოღონდ შუაგულ ბალში რომ ხე დგას, იმის ნაყოფს ნუ შეჭამთ, გვითხრა ღმერთმა, არ გაეკაროთ, თორემ მოკვდებითო. უთხრა გველმა დედაკაცს, არ მოკვდებით. მაგრამ იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ, თვალი აგეხილებათ და შეიქნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი" (დაბ. 3:2-5).

გველი ამტკიცებდა, რომ ადამიანები გახდებიან ღმერთის მსგავსნი, ალივსებიან სიბრძნით და მიაღწევენ უმაღლეს განვითარებას. ევამ ვერ გაუძლო ამ ცდუნებას და ადამიც შეცდომაში შეიყვანა. მათ დაუჯერეს გველის სიტყვებს, რომ ღმერთმა მოატყუა ისინი. მათ ეჭვი შეეპარათ თავიანთ შემოქმედში და დაიჯერეს, რომ უფალი ხელყოფს მათ თავისუფლებას და მისი მცნებების დაუმორჩილებლობით განდიდდებოდნენ და უდიდეს სიბრძნეს შეიძენდნენ.

და აი, ადამმა შესცოდა, მაგრამ შემდეგ მიხვდა უფლის მიერ ნათქვამი სიტყვების ჭეშმარიტ მნიშვნელობას: "რადგან, როგორც კი შეჭამთ, მოკვდებითო". ავიდა თუ არა

იგი, როგორც სატანა შთააგონებდა მათ, ყოფიერების უმაღლეს საფეხურზე? ამ შემთხვევაში ღვთის კანონების დარღვევა უდიდესი კურთხევა იქნებოდა, სატანა კი სიკეთის მომტანი გახდებოდა მთელი კაცობრიობისათვის. მაგრამ ადამი მიხვდა, რომ უფლის განაჩენში სულ სხვა აზრი იყო ჩაქსოვილი. ღმერთმა თქვა, რომ ცოდვისათვის ადამიანი უნდა დაისაჯოს და იქცეს ისევ მიწად, რისგანაც იგი შეიქმნა. "რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი" (დაბ. 3:19). სატანის სიტყვები: "თვალი აგეხილებათ", გამართლდა იმ გაგებით, რომ ადამსა და ევას, რომლებმაც დაარღვიეს უფლის სიტყვა, თავიანთ შეცდომებზე აეხილათ თვალი: მათ შეიცნეს

ბოროტება და იგემეს ურჯულოების მწარე ნაყოფი.

ედემის ბაღში იდგა სიცოცხლის ხე, რომლის ნაყოფი უკვდავებას ანიჭებდა. ადამი რომ უფლის ერთგული დარჩენილიყო, მას შემდგომშიც ექნებოდა უფლება სიცოცხლის ხესთან თავისუფლად მისვლისა და მარადიული სიცოცხლისა. მაგრამ რაკი შესცოდა, მას ჩამოერთვა ეს უფლება და გახდა მოკვდავი. უფლის განაჩენი: "მტვერი იყავ და მტვრადვე მიიქცევი" - მიგვითითებს სიცოცხლის სრულად შეწყვეტაზე.

უკვდავებამ, რომელიც უფალმა მისი მორჩილების პირობებში ალუთქვა ადამიანს, ძალა დაკარგა მისი დაცემის შემდეგ. ადამს არ

შეეძლო თავისი შთამომავლობისთვის გადაეცა ის, რაც თვითონ არ გააჩნდა. დაცემული ადამიანისათვის აღარ იყო არავითარი იმედი, უფალს რომ თავისი ძის მსხვერპლად შეწირვით არ დაებრუნებინა მისთვის უკვდავების უფლება. "სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში მის მიერ, ვისთვისაც ყველამ სცოდა", მაგრამ ქრისტემ "გააბათილა სიკვდილი და სახარებით გაანათლა სიცოცხლე და უკვდავება" (რომ. 5:12; 2ტიმ. 1:10). უკვდავება მხოლოდ ქრისტეს მეშვეობით შეიძინება. იესო ამბობს: "ვისაც ძე სწამს, საუკუნო სიცოცხლე აქვს, ხოლო ურჩი ძისა ვერ იხილავს სიცოცხლეს" (იოან. 3:36). ყოველ ადამიანს შეუძლია გახდეს ამ

უძვირფასესი კურთხევის მფლობელი, თუკი მოცემულ პირობას შეასრულებს. ყველა, "ვინც კეთილი საქმის გამუდმებული კეთებით ეძებს დიდებას და პატივსა და უხრწნელობას", მიიღებს საუკუნო სიცოცხლეს (რომ. 2:7).

ხოლო ის ერთადერთი, ვინც ადამს დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სიცოცხლე აღუთქვა, გაიძვერა იყო. არსებითად, გველის მტკიცება ედემში: "არ მოკვდებით", - პირველი ქადაგებაა სულის უკვდავების შესახებ. მაგრამ სატანის ავტორიტეტზე დაფუძნებული ეს სიტყვები დღესაც გაისმის თითქმის ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში და ადამიანთა უმეტესი ნაწილი ისეთივე მზადყოფნით ღებულობს მათ,

როგორც ჩვენმა წინაპრებმა მიიღეს. ღვთიური განაჩენი: "ცოდვილი სული უნდა მოკვდეს" (ეზ. 18:20), - დამახინჯებული სახით ასე გამოითქმის: "ცოდვილი სული არ მოკვდება, არამედ საუკუნოდ იცოცხლებს". ჩვენ გაოცებას ვერ ვმალავთ, თუ როგორი ბრმა ნდობით ეკიდებიან ადამიანები სატანის ნათქვამს და რაოდენ უნდობლობას იჩენენ უფლის სიტყვებისადმი.

უკვე ცოდვაში ჩავარდნილ ადამიანს, სიცოცხლის ხესთან მისვლის უფლება რომ მისცემოდა, მას ექნებოდა საუკუნო სიცოცხლე და ამგვარად, ცოდვაც მარადიული გახდებოდა. მაგრამ უფალმა ქერუბიმები და ცეცხლოვანი მახვილი დაუყენა სიცოცხლის ხესთან

მისასვლელ გზას დასაცავად (დაბ. 3:24) და ადამის არც ერთ შთამომავალს არა აქვს უფლება ამ საზღვრის გადალახვისა და სიცოცხლის ნაყოფთან მიახლოებისა. ამიტომ ცოდვილი არ შეიძლება იყოს უკვდავი.

მაგრამ ადამიანთა დაცემის შემდეგ სატანამ თავის ანგელოზებს უბრძანა, დაერწმუნებინათ ისინი ადამიანის ბუნებრივ უკვდავებაში და შეძლო კიდეც მათი დარწმუნება იმაში, რომ ცოდვილს ჯოჯოხეთის მარადიული ტანჯვა-წამება ელის. ახლა ბნელეთის მეუფე, მოქმედებს რა თავისი მიმდევრებით, ღმერთს ახასიათებს, როგორც შურისმგებელ ტირანს და ამტკიცებს, რომ იგი ცეცხლის ტბაში ყრის ყველას, ვინც მას არ მოსწონს და

ამით აიძულებს, საუკუნოდ იტანჯონ მისი რისხვისაგან. სატანა ამტკიცებს, რომ ცოდვილთა მარადიულ ცეცხლში ენით აუწერელი ტანჯვა შემოქმედს სიამოვნებას ჰგვრის.

ეს ვერაგი მტერი შემოქმედს - კაცობრიობის ყოველგვარი კეთილდღეობის სათავეს, თავის თვისებებს აკუთვნებს. სისასტიკე - ეს სატანის ხასიათია. ღმერთი არის სიყვარული და ყველაფერი, რაც მან შექმნა, წმიდა და მშვენიერი იყო, სანამ პირველმა უდიდესმა მეამბოხემ ცოდვა არ შემოიტანა სამყაროში. მტერი, რომელიც ადამიანს აცდუნებს და ცოდვისაკენ უბიძგებს, შემდეგ კი, თუ შეძლებს, საბოლოოდ ღუპავს მას, - ეს არის სატანა. შეიპყრობს რა ადამიანს, იგი განაგრძობს თავის

დამანგრეველ მუშაობას და რაოდენ დიდ სიხარულს გვრის მას მისი მსხვერპლის დალუპვა! მისი ნება რომ იყოს, მთელ კაცობრიობას თავის ქსელში გახვევდა. უზენაესის ძალის ჩარევა რომ არა, ადამის არც ერთ შთამომავალს არ ექნებოდა გადარჩენის იმედი.

სატანა დღესაც იმავე ხერხით ცდილობს ადამიანთა ცდუნებას, რომლითაც თავის დროზე აცდუნა ჩვენი წინაპარი, დათესა რა მასში შემოქმედისადმი უნდობლობის თესლი და აიძულა, ეჭვი შეეტანა უფლის მმართველობის სიბრძნესა და მისი კანონების სამართლიანობაში. სატანა თავის მომხრეებთან ერთად ცდილობს, ადამიანები უფლისადმი უფრო

ცუდად განაწყოს, ვიდრე მის მიმართ; ხატავს რა მუქ ფერებში უზენაესს, ამით ცდილობს, თავისი სიმდაბლე და დაუმორჩილებლობა გაამართლოს. უდიდესი თვალთმაქცი ცდილობს ჩვენი ზეციერი მამა დაადანაშაულოს სისასტიკეში, რომელიც თვით მისი თვისებაა. ცდილობს, თავი მოგვაჩვენოს მსხვერპლად და მოწამედ, რომელიც ზეციდან იმისათვის გამოაძევეს, რომ არ დაემორჩილა ასეთ უსამართლო მმართველს. იგი სამყაროს წინაშე ხატავს თავისუფლების მაგალითს, რითაც ადამიანები, თითქოსდა, დატკბებოდნენ მისი რბილი, ზომიერი მმართველობისას, რომელიც სულაც არა ჰგავს ღმერთს თავისი მკაცრი ბრძანებებით. და

კიდეც ახერხებს ადამიანთა ცდუნებას და ღვთისადმი ერთგულების გზიდან გადაცდენას.

    რა შორს არის სიყვარულისაგან, მოწყალებისაგან დ, ჩვენი გაგებით, სამართლიანობისგანაც კი სწავლება იმის შესახებ, რომ მკვდარი ცოდვილნი მარადიული ცეცხლის ალში იტანჯებიან და რომ თავიანთი ხანმოკლე, მიწიერი ცხოვრების შეცდომებისათვის საუკუნოდ უნდა იტანჯონ. მაგრამ სწორედ ამ სწავლებას ქადაგებენ ყველგან და იგი მრავალ ქრისტიანულ დოქტრინაშიც კი არის შესული. ერთი განათლებული ღვთისმეტყველი დოქტორი ასე ამბობდა: "ჯოჯოხეთში ტანჯულთა სანახაობა გააძლიერებს მართალთა საუკუნო ბედნიერებას.

როდესაც ისინი იქ თავის მსგავსთ ასეთ საშინელ მდგომარეობაში დაინახავენ, ამ დროს კი თავის თავს ასე განდიდებულად, მათი ნეტარება გაიზრდება". სხვა ღვთისმეტყველმა თქვა: "სამსჯავროს განაჩენი მარად წარმოითქმება რისხვის თასზე და ცეცხლის კვამლი, რომელშიც იწვიან ცოდვილნი, მიალწევს წყალობის თასამდე, მაგრამ მართალი არ თანაუგრძნობს ამ უბედურებს, არამედ წამოიძახებს: "ამინ, ალილუია, დიდება შენ, ღმერთო!"

წმიდა წერილის რომელ ადგილას წერია ასეთი სწავლება? ნუთუ ზეცაში მყოფ გამოსყიდულთ არ ექნებათ არავითარი შეცოდებისა და თანაგრძნობის ან უბრალოდ, ჰუმანურობის გრძნობა? ან იქნებ, ამ

გრძნობებს გულგრილობა და ველური სისასტიკე შეცვლის? არამც და არამც, არავითარ შემთხვევაში! არაფერი ამის მსგავსი არ არსებობს უფლის წიგნში. შესაძლოა ისინი, ვინც ამ იდეებს ქადაგებს, მეტად განათლებული და ყველასათვის პატივცემული ადამიანები არიან, მაგრამ სატანის ხრიკებით არიან მოტყუებული. სატანა შთააგონებს მათ, არასწორად ახსნან წმიდა წერილში მოცემული მკვეთრი გამოთქმები, რომელთაც ისინი ბიბლიაში ეძებენ და თვლიან, რომ ეს არის სისასტიკე და მუქარა, რაც სატანის თვისებებია და არა ჩვენი მაცხოვრისა. "ცოცხალიმც ვარ, ამბობს უფალი ღმერთი! თუ მინდოდეს ბოროტეულის სიკვდილი, თუ

ბოროტეულის მოქცევა თავისი გზიდან და მისი გადარჩენა არ მინდოდეს! მოიქეცით, მოიქეცით თქვენი გზიდან, ბოროტეულნო! რისთვის უნდა დაიხოცოთ, ისრაელის სახლო" (ეზ. 33:11).

თუკი ერთი წუთით დავუშვებთ იმ აზრს, რომ უფალს სიამოვნებს ცოდვილის ტანჯვა, მათი კვნესა და ვაება, ვინც ჯოჯოხეთის ცეცხლში ჰყავს ჩაყრილი, მაშინ ისმის კითხვა: რა აზრია ჩადებული ამ ტანჯვა-წამებაში? განა შეიძლება, რომ ეს საშინელი გმინვა ტკბილი მუსიკა იყოს უსაზღვრო სიყვარულისთვის? ამტკიცებენ, რომ ურწმუნოთა გაუთავებელი ტანჯვა მოწმობს უფლის სიძულვილს ცოდვისადმი, რომელიც არღვევს სიმშვიდეს და

მშვიდობას მთელ სამყაროში! ო, რა საშინელი მკრეხელობაა! მაშინ გამოდის, რომ ცოდვისადმი ღმერთის სიძულვილი არის მისი უკვდავყოფის მიზეზი. ბევრი ღვთისმეტყველი ამტკიცებს, რომ მუდმივი ტანჯვა მოწყალების იმედის გარეშე უფრო აბოროტებს ამ უბედურებს, რომლებიც საშინელებას განიცდიან წყევლისაგან და მკრეხელობისაგან და ამით უფრო მეტ დანაშაულს ჩადიან. საუკუნეთა მანძილზე ცოდვის მუდმივი მატება არ განადიდებს უფლის სახელს.

ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს იმ ბოროტების მთელ სიღრმეს, რაც მარადიული ტანჯვის ერეტიკულმა დოქტრინამ მოიტანა. სიყვარულით, სიკეთით და დიდი თანაგრძნობით

ალსავსე ბიბლიური სწავლება ცრურწმენისა და საშინელების ჩრდილმა დააბნელა. და თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, თუ როგორ ცრუდ სახავს სატანა უფალს, განა უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენი მოწყალე უფლის ეშინიათ და ხშირად სძულთ კიდეც? ღმერთზე ასეთმა საშინელმა წარმოდგენამ, რომელიც ეკლესიური ქადაგებების მეშვეობით მთელი დედამიწის ზურგზე ვრცელდება, ათასობით და მილიონობით სკეპტიკოსი და ულმერთო ადამიანი წარმოშვა.

მარადიული ტანჯვის თეორია, - ეს არის ერთ-ერთი ცრუ სწავლება, ბაბილონის საძაგელი ღვინო, რომელიც შეასვა მან ყველა ხალხს (გამოცხ. 14:8; 17:2). ის, რომ ქრისტეს

მსახურებმა მიიღეს ეს ერესი და ავრცელებენ მას, მართლაც საიდუმლოა. საუკუნო ტანჯვის წარმოდგენა ისევე მოახვიეს თავს ადამიანს, როგორც შაბათის შეცვლა კვირით. მრავალმა დიდმა და კეთილმა ადამიანმა იქადაგა ეს იდეა, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ის ნათელი, რომელიც ჩვენ მოგვეცა. მათ პასუხი იმდენად მოეთხოვებათ, რამდენადაც იმ დროის ნათელი ჰქონდათ მიცემული. ჩვენ კი უნდა ვიცხოვროთ იმ სინათლით, რომელიც ჩვენს დღეებში ანათებს. თუკი ჩვენ უარს ვიტყვით უფლის სიტყვის მოწმობაზე და ცრუ სწავლებას მივიღებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ასე გვასწავლიდნენ მამები, მაშინ განაჩენი, რომელიც უფალმა

ბაბილონს გამოუტანა, ჩვენი განაჩენიც იქნება, რადგან ჩვენც შევსვით მისი ურჯულოების ღვინო.

ბევრი ადამიანი, ალშფოთებული საუკუნო ტანჯვის შესახებ სწავლებით, სხვა, საწინააღმდეგო ცდუნებაში ვარდება. ისინი ხედავენ, რომ უფალი, რომელსაც წმიდა წერილი წარმოგვიდგენს, ალსავსეა სიყვარულითა და მოწყალებით და ვერ იჯერებენ, რომ იგი თავის შექმნილ არსებას საუკუნო ტანჯვისათვის გაიმეტებს. მაგრამ იზიარებენ რა აზრს, რომ სული თავისი ბუნებით უკვდავია, იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ბოლოს და ბოლოს, მთელი კაცობრიობა გადარჩება. ბევრი ბიბლიაში მოცემულ გაფრთხილებებს უყურებს,

როგორც დაშინებისა და დამორჩილების საშუალებებს, მაგრამ მათი სიტყვასიტყვით ასრულება არ სჯერათ. გამოდის, რომ ცოდვილს შეუძლია იცხოვროს, როგორც მას სიამოვნებს, უგულვებელყოს ღმერთის კანონები და ამავე დროს იმედი ჰქონდეს მისდამი უფლის კეთილგანწყობისა. ასეთი სწავლება, რომელიც აღიარებს უფლის მადლს, მაგრამ უარყოფს მის სამართლიანობას, მისაღებია მხოლოდ "ხორციელი" ადამიანისათვის და ურჯულოებისაკენ უბიძგებს მას.

იმის საჩვენებლად, თუ როგორ ამახინჯებენ წმიდა წერილს ისინი, ვისაც საყოველთაო გადარჩენისა სჯერათ, და თუ როგორი

დამლუპველია მათი სწავლება, საკმარისია მივუბრუნდეთ მათ საკუთარ გამოთქმებს: ერთ-ერთი ურწმუნო ახალგაზრდა კაცის დაკრძალვაზე, რომელიც უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა, გამოჩენილმა ღვთისმსახურმა წარმოთქვა ტექსტი წმიდა წერილიდან, რომელიც დავითს ეხება: "გაუქარვდა მწუხარება ამნონის გამო, რომელიც მოუკვდა" (2 მეფ. 13:39).

"მე ხშირად მეკითხებიან, - თქვა პასტორმა, - რა ელის მას, ვინც ტოვებს ამ ცოდვილ ქვეყანას, მაგალითად, მთვრალ მდგომარეობაში, ვინც არ გაირეცხა თავისი ტანსაცმელი და არ მოიცილა დანაშაულის სისხლიანი ლაქები, ან დაიღუპა ამ ახალგაზრდის მსგავსად, რომელსაც არ განუცდია

რწმენაში შესვლის სიხარული? ამ საშინელი პრობლემების გადაწყვეტისას ჩვენ ვეყრდნობით წმიდა წერილის ავტორიტეტს: ამნონი დიდად ცოდვილი ადამიანი იყო. იგი იყო დამნაშავე, რომელმაც არ მოინანია. იგი მოკლეს მთვრალ მდგომარეობაში. დავითი კი ღმერთის წინასწარმეტყველი იყო. თუ არა დავითისთვის, ვისთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი, თუ რა ელოდა მის შვილს იმქვეყნად, - უბედურება თუ კეთილდღეობა. რას ეუბნებოდა მას გული? "შეწყვიტა აბესალომის დევნა დავითმა, რადგან გაუქარვდა მწუხარება ამნონის გამო, რომელიც მოუკვდა".

რა დასკვნის გამოტანა შეგვიძლია? განა ნათელი არ არის, რომ დავითს არ

სწამდა უსასრულო ტანჯვა და საუკუნო წამება? ეს ცხადია, და აქ ჩვენ ვპოულობთ მეტად დამამშვიდებელ, გამამტკიცებელ და უფრო დიდი მოწყალების ჰიპოთეზის დადასტურებას, რომლის თანახმადაც სამყაროში ბოლოს და ბოლოს დამყარდება სიმშვიდე და სიწმიდე. მას გაუქარვდა მწუხარება, როდესაც დაინახა თავისი მკვდარი შვილი. როგორ? რატომ? იმიტომ, რომ თავისი წინასწარმეტყველური თვალით დავითი ხედავდა დიდებულ მომავალს, იგი ხედავდა, რომ მისი შვილი დაზღვეული იყო ყოველგვარი ცდუნებისაგან, რომ იგი გათავისუფლდა ცოდვის ტყვეობიდან, განწმედილია ურჯულოების უწმიდურებისაგან და

დამლუპველობისაგან. იგი ხედავდა მას მართალს, სხვა მართალთა შორის მიღებულს. მისი ერთადერთი ნუგეში იყო ის, რომ მისი საყვარელი შვილი, გათავისუფლებული ცოდვისა და ტანჯვის მარწუხებისაგან, იმყოფება იქ, სადაც სულიწმიდა იქნება მასთან და იგი აამაღლებს მის ჩაბნელებულ სულს, სადაც მას გაეხსნება გონება ზეციური სიბრძნისა და უკვდავი სიყვარულის აღორძინებისათვის და ამგვარად, მისი განწმედილი სული მომზადებული იქნება მარადიული სიხარულისათვის ზეციურ სამშობლოში.

და ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ზეცისმიერი ხსნა არ არის დამოკიდებული ჩვენს საქციელზე ამ ცხოვრებაში; არ არის დამოკიდებული

იგი არც ჩვენი გულების გარდაქმნაზე, არც ჩვენს რწმენაზე და არც რომელიმე რელიგიის ალიარებაზე".

ამგვარად, ქრისტეს ცრუ მსახურმა გაიმეორა გველის მიერ ედემში წარმოთქმული სიცრუე: "არ მოკვდებით... მაგრამ როგორც კი შეჭამთ, თვალი აგეხილებათ და შეიქმნებით ღმერთივით". იგი აცხადებს, რომ ყველაზე დიდი ცოდვილნი - მკვლელი, ყაჩაღი და მეძავი - სიკვდილის შემდეგ ნეტარების მემკვიდრენი გახდებიან.

რას ეყრდნობოდა ეს მოძღვარი, როდესაც ასე ამახინჯებდა წმიდა წერილს? ერთადერთ ფრაზას, რომელიც გამოხატავს დავითის მორჩილებას წინასწარმეტყველებისადმი. მის

სულს სურდა აბესალომთან წასვლა, "რადგან გაუქარვდა მწუხარება ამნონის გამო, რომელიც მოუკვდა". დრომ განკურნა იმ ტკივილისაგან, რომელიც შვილის დაკარგვით იყო გამოწვეული და მისი ფიქრები ცოცხალ შვილს მიუბრუნდა, რომელსაც სამართლიანი სასჯელის წინაშე შიში ჰკლავდა, რადგან იცოდა, რომ დანაშაული ჩაიდინა. და განა შეიძლება ეს იყოს იმის მტკიცება, რომ ლოთი ამნონი, რომელმაც თავისი საკუთარი და გააუპატიურა, სიკვდილის შემდეგ ალმოჩნდა წმიდა სავანეში, სადაც, განწმედილი და გასპეტაკებული, უცოდველ ანგელოზთა ოჯახის წევრი გახდა? დიახ, რასაკვირველია, სასიამოვნო სიცრუეა, რომელიც

ატკბობს ხორციელ გულს. ეს თვით სატანის გამოგონებაა და მას ნაყოფიც გამოაქვს. და თუკი ადამიანებს ასე ასწავლიან, განა გასაკვირია ის, რომ ცოდვასა და მანკიერებას დიდი წარმატება აქვს?

ამ ცრუ მასწავლებლის მსგავსად მოქმედებენ სხვებიც, მათი სულიერი ნათესავები. წმიდა წერილიდან იღებენ კონტექსტიდან ამოგლეჯილ რამდენიმე სიტყვას მაშინ, როდესაც სრული ტექსტი სწორედ მათი განმარტების საწინააღმდეგოა და ასე ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელ მონაკვეთებს იყენებენ იმისათვის, რომ დაამტკიცონ დოქტრინა, რომელსაც არავითარი საფუძველი არა აქვს ღვთის სიტყვაში. მტკიცება იმისა,

რომ ლოთი ამნონი ალმოჩნდება ზეცაში - ეს მხოლოდ ადამიანის მიერ გამოტანილი დასკვნაა, რომელიც სრულიად საწინააღმდეგოა ბიბლიის გარკვეული და მყარი მტკიცებისა, რომ ლოთები უფლის სასუფეველში ვერ შევლენ (1კორ. 6:10). სწორედ ასეთი გზით ჭეშმარიტებას სიცრუედ გამოსახავენ სკეპტიკოსები, ურწმუნონი და ეჭვის მქონენი. და ბევრს, ძალიან ბევრს სჯერა ამისთანა სიცრუისა და მშვიდად სძინავს იმ იმედით, რომ არავითარი საშიშროება არ ემუქრება.

ყოველი ადამიანი სიკვდილის შემდეგ მართლაც რომ ზეცაში მიდიოდეს, მაშინ ჩვენთვის სიკვდილი სიცოცხლეზე მეტად სანატრელი იქნებოდა და ეს

მოძლვრება ბევრს
თვითმკვლელობამდე მიიყვანდა.
როდესაც ჩვენ დათრგუნული ვართ
მწუხარებით, ძნელბედობით და
გაცრუებული იმედებით, მაშინ
ჩნდება დიდი სურვილი საკუთარ
სიცოცხლესთან დამაკავშირებელი
ყოველგვარი ძაფის გაწყვეტისა და
მარადიული ბედნიერების სამყაროში
გადასახლებისა.

უფალმა თავის სიტყვაში
დამაჯერებელი მტკიცება მოგვცა
იმისა, რომ მისი კანონების
დამრღვევნი დაისჯებიან. მან, ვინც
თავს იმშვიდებს იმ აზრით, რომ
უფალი უსასრულოდ კეთილია და არ
მიაგებს ცოდვილს სამართლიანად,
შეხედოს გოლგოთის ჯვარს. უფლის
უცოდველი ძის სიკვდილი მოწმობს

იმაზე, რომ "ცოდვის საზღაური - სიკვდილია", რომ უფლის კანონის ყოველ დარღვევას უნდა მოჰყვეს შესაბამისი საზღაური. უცოდველი ქრისტე ცოდვილი გახდა ადამიანის გადარჩენისათვის. მან თავის თავზე აიღო დანაშაული ურჯულოების გამო, ხოლო როცა მამამ სახე მოარიდა, მისმა გულმა ეს ვერ აიტანა და სიცოცხლემ დატოვა იგი. ეს უდიდესი მსხვერპლი გაღებულ იქნა ცოდვილთა გამოსასყიდად. არანაირი სხვა გზით არ შეეძლო ადამიანს, გათავისუფლებულიყო ცოდვის სასჯელისაგან. და ყოველი სული, რომელიც უარს ამბობს შემორიგებაში მონაწილეობის მიღებაზე, რომელიც ასეთ დიდ ფასადაა მიღწეული, თავის

თავზე იღებს ცოდვის დანაშაულსაც და სასჯელსაც.

ვნახოთ, კიდევ რას ამბობს ბიბლია ურწმუნოებისა და იმ ადამიანების შესახებ, რომელთაც არ მოინანიეს და რომელთაც ზოგიერთი ღვთისმსახური ასახლებს ზეცაში, როგორც წმიდანსა და ბედნიერ ანგელოზს.

"მივცემ მწყურვალს უსასყიდლოდ სიცოცხლის წყლის წყაროსგან". ეს ალთქმა ეკუთვნით მათ, ვისაც სწყურია. მხოლოდ ისინი, ვისაც ნამდვილად უნდათ სიცოცხლის წყალი, ეძებენ მას და სხვა დანარჩენი უმნიშვნელოა, მიიღებენ მას. "გამარჯვებული დაიმკვიდრებს ყოველს და ვიქნები მისი ღმერთი და ის იქნება ჩემი ძე" (გამოცხ. 21:6,7). აქ,

როგორც ვხედავთ, წამოყენებულია პირობები: თუკი გვინდა გავხდეთ მემკვიდრენი, უნდა ვებრძოლოთ ცოდვას და გავიმარჯვოთ მასზე.

უფალი ესაია წინაწარმეტყველის პირით ამბობს: "უთხარით მართალს, რომ სიკეთეს ეწევა, რომ ყველა თავის ნამოქმედარს შეჭამს. ვაი უკეთურს, ბოროტეულს, რადგან მოიმკის თავისი ხელის ნამოქმედარს!" (ეს. 3:10,11). "ცოდვილმა კაცმა ასჯერაც რომ ჩაიდინოს ბოროტი საქმე, მიეტევება". - ამბობს სოლომონ ბრძენი. - "მე ისიც ვიცი, რომ მიეგებათ მადლი ღვთისმოსავთ, რომელთაც ეშინიათ ღვთისა. არ მიეგებათ მადლი ბოროტეულთ" (ეკლ. 8:12,13). პავლე მოციქულიც მოწმობს: "შენი სიკერპისა და მოუნანიებელი გულის

გამო, თვითონვე იხვეჭ რისხვას ღვთის რისხვისა და ღმერთის მართალი მსჯავრის გამოცხადების დროს, როდესაც იგი მათი საქმისამებრ მიაგებს ყველას. ჭირი და ვიწროება ყველა ბოროტმოქმედი კაცის სულს" (რომ. 2:5,6,9).

"არც ერთ მეძავს, ან უწმიდურს, ან ანგარს, რომელიც კერპთმსახურია, არა აქვს მემკვიდრეობა ქრისტესა და ღვთის სასუფეველში" (ეფ. 5:5). "ეცადეთ იქონიოთ ყველასთან მშვიდობა და სიწმიდე, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს" (ებრ. 12:14). "ნეტარნი არიან, რომლებიც რეცხავენ თავიანთ სამოსელს, რომ ჰქონდეთ უფლება სიცოცხლის ხეზე და კარიბჭეთი შევიდნენ ქალაქში". "მის მილმა კი

არიან ძაღლები და გრძნეულები, მეძავნი და კაცის მკვლელები, კერპთაყვანისმცემლები და ყოველი მოყვარული და ჩამდენი სიცრუისა" (გამოცხ. 22:14,15).

ღმერთმა ადამიანს თავისი ხასიათი გაუხსნა და ამავე დროს დაანახა ცოდვის მიმართ თავისი დამოკიდებულება: "უფალო, უფალო! ღმერთო მწყალობელო და შემბრალებელო, სულგრძელო, დიდმადლიანო და ჭეშმარიტო, შემნახაო სიყვარულისა ათასთა მიმართ. დანაშაულთა, ცოდვათა და ბრალთა მიმტევებელო" (გამოს. 34:6,7). "ყველა ბოროტს მოსპობს" (ფს. 144:20). "ხოლო ბრალეულნი ერთიანად მოისპობიან, ბოროტთა მომავალი გადაშენდება" (ფს. 36:38). უფალი

გამოიყენებს თავის ძალასა და უფლებას ამბოხების საბოლოო განადგურებისათვის, მით უმეტეს, რომ ყოველი სამსჯავრო სამართლიანი იქნება, რაც უფლის მოწყალე, მრავლისმომთმენ და თანამგრძნობ ხასიათს პასუხობს.

უფალი არ მოქმედებს ძალდატანებით, არც ვინმეს ნებას ხელყოფს. მას სიამოვნებას არ ჰგვრის მონური მორჩილება. სურს, რომ მისი ხელით შექმნილ არსებებს უყვარდეთ იგი, რადგან ის ღირსია სიყვარულისა, სურს, რომ ადამიანები ემორჩილებოდნენ, რადგან მათ თავისი სიბრძნის შემეცნების, სამართლიანობისა და სიკეთის შეცნობის შესაძლებლობას აძლევს. და ყველა, ვისაც სწორი წარმოდგენა

აქვს მასზე, ალივსება მისი სიყვარულით და თაყვანს სცემს მას სიკეთისა და თანაგრძნობისათვის.

სიკეთის, მოწყალებისა და სიყვარულის პრინციპები, რომელიც მაცხოვარმა საკუთარი მაგალითით გვასწავლა, ზუსტად ასახავს უფლის არსს. ქრისტემ თქვა, რომ იგი ასწავლის მხოლოდ და მხოლოდ იმას, რაც მამისაგან მიიღო. ღვთიური მმართველობის პრინციპები ჰარმონიულადაა შერწყმული მაცხოვრის მცნებასთან: "გიყვარდეს მტერი შენი". უფალი გამოიჩენს თავის სამართლიანობას უწმიდურთა მიმართ და აღასრულებს მას მთელი სამყაროს კეთილდღეობისათვის და მათთვისაც, ვინც სამსჯავროზე წარდგება. უფალს მათი ბედნიერება

ღვთიური კანონებისა და სამართლიანობის თანახმად სურდა. იგი გარს ახვევს მათ თავისი სიყვარულის ნიშნებს, უგზავნის თავისი კანონის ცოდნას და მოწყალებას არ აკლებს, ისინი კი უარყოფენ მის სიყვარულს, დასცინიან მის კანონს და მის მოწყალებას, თუმცა კი მუდმივად ღებულობენ მისგან წყალობას, მაგრამ თავად მომცემს უპატიოდ ექცევიან. მათ სძულთ ღმერთი, რადგან იციან, რომ უფალს სძულს ცოდვა. უზენაესი დიდი მოთმინებით ეკიდება მათ სიჯიუტეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, დადგება დრო, როდესაც მათი ბედი გადაწყდება. გამოიყენებს თუ არა უფალი ძალას მეამბოხეთა თავის

მხარეზე გადასაყვანად? ან აიძულებს მათ თავისი ნების აღსრულებას?

ის, ვინც თავის წინამძღოლად სატანა აირჩია და მისი ნების მორჩილია, არ არის მზად უფლის წინაშე წარსადგომად. ასეთ ადამიანებს სიამაყის, სიცრუის, გარყვნილებისა და სისასტიკის ბეჭედი ადევთ. და განა შესაძლებელია მათთვის ზეცაში ასვლა და საუკუნოდ მათ გვერდით ყოფნა, ვინც სძულდათ და ვისაც ამცირებდნენ აქ, დედამიწაზე? ჭეშმარიტება ვერასოდეს დაეთანხმება სიცრუეს; კდემამოსილება - თვითდაჯერებულობასა და სიამაყეს; სიწმიდე - გარყვნილებას და უანგარო სიყვარული - ეგოიზმს. ან რა

სიხარული უნდა განიცადონ ზეცაში მათ, ვინც მხოლოდ ამქვეყნიური სარგებლის ინტერესებშია ჩაფლული?

შეუძლიათ თუ არა მათ, ვინც თავისი ცხოვრება უფლის წინაალმდეგ ამბოხებას შეალია, უცბად ალმოჩნდეს ზეცაში და იხილოს მალალი და წმიდა სრულყოფილება იქ, სადაც ყოველი არსება სიხარულს ასხივებს, სადაც ყოველი სახე სიხარულს გამოსცემს, სადაც ღმერთსა და კრავს უსასრულო ჰანგებით ადიდებენ; სადაც ტაძტზე მჯდომარესაგან ასხივებს მარადიული სინათლის სხივი, გამოსყიდულთ რომ ეფინება; განა შეუძლიათ მათ, ვისი გულებიც ალსავსეა უფლისადმი სიძულვილით,

ჭეშმარიტებისა და სიწმიდისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით, ამ წმიდა არსებებთან ურთიერთობა და მათთან ერთად ქება-დიდების ჰიმნების გალობა? განა გაუძლებენ ისინი ღმერთისა და კრავის დიდებას? არა და კიდევ არა; მთელი წლები მიეცათ მათ გამოსაცდელად, რათა მოემზადებინათ თავიანთი ხასიათი ზეცისათვის. მაგრამ არ შეიყვარეს სისპეტაკე; ვერ შეისწავლეს ზეციური ენა, ახლა კი უკვე ძალზე გვიანია. უფლის ნების საწინააღმდეგო ცხოვრებამ ისინი ზეციური სასუფევლისათვის გამოუსადეგარ არსებებად აქცია. უფლის სისპეტაკე, სიწმიდე და სიმშვიდე მათთვის წამება იქნებოდა, უფლის დიდება კი - მჭამელი ცეცხლი. ისინი ვერ

გაუძლებდნენ ყოველივე ამას, ამიტომ მხოლოდ ერთი სურვილი ექნებოდათ: ამ წმიდა ადგილიდან გაქცევა. ისინი უმალ სიკვდილს აირჩევდნენ, ოღონდ იმის სახეს დამალვოდნენ, ვინც მათი გამოსყიდვისათვის მოკვდა. უწმიდურთა ბედს მათი საკუთარი არჩევანი გადაწყვეტს. მათ თავიანთი ნებით უარყვეს ზეცა, ღმერთი კი კვლავაც უცვლელი რჩება: სამართლიანი და მოწყალე.

წარღვნის წყლების მსგავსად, ურჯულოთა მიმართ უფლის განაჩენი განკითხვის დღის ცეცხლი იქნება. ცოდვილებმა არ გამოამჟღავნეს არავითარი სურვილი უფლის ნების მორჩილებისა. მათი ნება ამბოხებაში გამოიხატა და როდესაც სიცოცხლე მთავრდება,

აზრებს სხვა მიმართულება ველარ მიეცემა. უკვე ძალზე გვიანია იმისათვის, რომ ურჯულოებისაგან მორჩილებისაკენ, სიძულვილიდან კი - სიყვარულისაკენ მობრუნდე.

შეუნარჩუნა რა სიცოცხლე მკვლელ კაენს, ამით უფალმა კაცობრიობას დაანახა, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ცოდვილის სიცოცხლეს და თავისი სურვილისამებრ მოქმედების დაშვებას. კაენის საქციელის ზეგავლენით, ბევრმა მისი შთამომავლობიდან შესცოდა და საბოლოო ჯამში "წაირყვნა ქვეყანა ღვთის წინაშე და აივსო ქვეყანა უსამართლობით" (დაბ. 6:11) და "უკეთური იყო მუდამჟამს მათი ყოველი გულისთქმა" (მუხ. 5).

კაცობრიობისადმი თანაგრძნობის გამო გაანადგურა უფალმა სიცოცხლე დედამიწაზე ნოეს დღეებში. ამავე გრძნობით მოსპო მან სოდომის გარყვნილი მოსახლეობა. სატანის ცდუნება რჯულის დამრღვევთ ხელს უწყობს, ისარგებლონ ხალხის მხარდაჭერით და მათი თანაგრძნობით, და ამგვარად ისინი სხვებსაც ითრევენ ამბოხებაში. ასე იყო კაენისა და ნოეს დღეებში, აბრაამისა და ლოტის დროს, ასეა ახლაც, ჩვენს დროში. სწორედ მთელი სამყაროს სიყვარულისა და თანაგრძნობის გამო ღმერთი საბოლოოდ გაანადგურებს მათ, ვინც უარს ამბობს მის მადლზე.

"ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღვთის მადლი -

მარადიული სიცოცხლე ჩვენს უფალში, ქრისტე იესოში" (რომ. 6:23). იმ დროს, როცა სიცოცხლე მართალთა მემკვიდრეობაა, სიკვდილი უწმიდურთა ხვედრია. მოსემ ასე მიმართა ისრაელს: "აჰა, დღეს გადმოვეცი შენს წინაშე სიცოცხლე და სიკეთე, სიკვდილი და ბოროტება" (მეორ. რჯ. 30:15). სიკვდილი, რომლის შესახებაც აქაა საუბარი, არ არის ის სიკვდილი, რომელიც ადამს მიეცა, რადგან მთელი კაცობრიობა დაისაჯა მისი ურჯულოებისათვის. აქ ლაპარაკია "მეორე სიკვდილზე", რომელიც მარადიული სიცოცხლის საპირისპიროა.

ადამის ცოდვის შედეგად მთელი მისი შთამომავლობა სიკვდილს დაექვემდებარა. ყველა ერთნაირად

ჩადის სამარეში. მაგრამ მეორეს მხრივ, გადარჩენის გეგმა ყველას სიკვდილისაგან გათავისუფლებას გვთავაზობს. "იქნება მკვდრეთით ალდგომა, როგორც მართალთა, ისე უკეთურთა" (საქ. 24:15). "როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე გაცოცხლდებიან ქრისტეში" (1კორ. 15:22). მაგრამ ადამიანთა ამ ორ ჯგუფს შორის საზღვარია გავლებული. "ყველანი, ვინც სამარხებში არიან, მის ხმას მოისმენენ, კეთილის მოქმედნი სიცოცხლის ალდგომისთვის გამოვლენ, სიავის მქნელნი კი - სამსჯავროს ალდგომისთვის" (იოან. 5:28,29). "ნეტარი და წმიდაა ის, ვისაც აქვს წილი პირველ ალდგომაში; მასზე ხელმწიფება არა აქვს მეორე

სიკვდილს" (გამოცხ. 20:6). მაგრამ ისინი, ვინც მონანიებითა და რწმენით ვერ მიიღო მიტევება, დაისჯებიან თავიანთი ურჯულოებისათვის - რაც "ცოდვის საზღაურია". ისინი დაისჯებიან თავიანთი საქმეების მიხედვით, ხოლო შემდეგ მეორე სიკვდილით მოკვდებიან. რადგან, თავისი სამართლიანობისა და მოწყალების პრინციპების თანახმად, უფალს არ შეუძლია ცოდვილის გადარჩენა ცოდვებთან ერთად, იგი ართმევს მას სიცოცხლეს, რომლის უფლებაც ცოდვილმა თვითონ დაკარგა და თავისი საქმეებით დაამტკიცა, რომ მისი ღირსი არ არის. ასე ამბობს დავითის სულისჩამდგმელი სიტყვა: "კიდევ ცოტა და აღარ იქნება ბოროტი,

დაუკვირდები მის ადგილს და ალარ იქნება იგი" (ფს. 36:10). "თითქოს არც არაფერი ყოფილიყოს" (აბდ. 16). სირცხვილნაჭამნი, ისინი სამუდამოდ გაქრებიან და დავიწყებას მიეცემიან.

ასე ალმოიფხვრება საბოლოოდ ცოდვა მთელი თავისი უბედურებითა და სიმწარით, მწუხარებითა და ნგრევით. მეფსალმუნე ამბობს: "განრისხდი ერებზე, მოსპე ბოროტი, მათი სახელი ამოშალე უკუნითი უკუნისამდე" (ფს. 9:6). იოანე წინასწარმეტყველმა მომავალი მარადიულობის ხილვისას ისმინა მთელი სამყაროს დიდების ჰიმნი, რომლის ჰარმონიას არც ერთი ყალბი ბგერა არ არღვევდა. ყოველი ცოცხალი არსება, ზეცაშიც და დედამიწაზეც, ადიდებდა ღმერთს

(იხ. გამოცხ. 5:13). იმ დროს იქ აღარ იქნება არც ერთი დაცემული სული, რომელიც მკრეხელობას გამოიჩენს უფლის მიმართ. და ჯოჯოხეთში ტანჯულთა კვნესა გადარჩენილთა გალობას არ შეუერთდება.

დოქტრინამ სულის უკვდავების შესახებ დააფუძნა წარმოდგენა სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეზე, რაც საუკუნო ტანჯვის არსებობის მსგავსად, ეწინააღმდეგება ბიბლიურ სწავლებას, გონიერებას და ჩვენს ჰუმანურობას. ამ პოპულარული სწავლების თანახმად, ზეცაში მყოფი გადარჩენილნი თვალყურს ადევნებენ ყველაფერს, რაც დედამიწაზე ხდება, განსაკუთრებით კი მათ მიერ დატოვებული მეგობრებისა და საყვარელი ადამიანების ცხოვრებას.

მაგრამ როგორ შეუძლიათ გადარჩენილთ, ზეცაში ბედნიერად იგრძნონ თავი, თუ ისინი ხედავენ თავიანთი ახლობლების გასაჭირს, მათ ჩადენილ ცოდვებს, მათ მწუხარებას, იმედების გაცრუებასა და ტანჯვას? შეიძლება კი ისინი ბედნიერნი იყვნენ, თუკი ხედავენ ყოველივე ამას? და რა საშინელებაა იმის დაჯერება, რომ როგორც კი სიცოცხლე ტოვებს ადამიანის სხეულს, მოუნანიებელი სული მაშინვე ჯოჯოხეთის ალში ეხვევა! და რა სულიერი ტრავმა უნდა განიცადონ მათ, ვინც ხედავს, რომ მათ მეგობრებს თავიანთი ცოდვებისათვის საუკუნო ტანჯვა ელით! ამ საშინელებაზე ფიქრით შეიძლება ბევრი ჭკუაზე შეიშალოს.

რას ამბობს წმიდა წერილი ამ საკითხების შესახებ? დავითი ამტკიცებს, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანი კარგავს შემეცნების უნარს. "ამოუვა სული, დაუბრუნდება თავის მიწას; იმ დღეს გაქრება მისი ფიქრები" (ფს. 145:4). სოლომონიც ადასტურებს ამ აზრს: "წარხდა მათი სიძულვილიც, შურიც და ტრფობაც. ალარ ექნებათ აწ და მარადის წილი იმაში, რაც მზის ქვეშ ხდება". "რადგან არც საქმე, არც საფიქრალი, ცოდნა, ან სიბრძნე არ გაგყვება შავეთში, სადაც მიდიხარ" (ეკლ. 9:5,6,10).

როდესაც ხიზკია ლოცვით შეევედრა უფალს, მისი სიცოცხლე თხუთმეტი წლით გაეგრძელებინა და უფალმაც შეუსრულა სურვილი, მადლიერმა მეფემ ქება-დიდება

შესწირა უზენაესს ამ უდიდესი წყალობისათვის: "რადგან შავეთი არ გმადლობს შენ, სიკვდილი არ დაგიწყებს დიდებას, ქვესკნელში ჩამავალთ ალარა აქვთ შენი სიმტკიცის იმედი. ცოცხალი, მხოლოდ ცოცხალია, რომ გმადლობს შენ, როგორც მე დღეს" (ეს. 38:18,19). გავრცელებული თეოლოგია მკვდარ მართალს წარმოგვიდგენს ზეცაში, სადაც მარად ადიდებს ღმერთს, მაგრამ ხიზკია ვერ ხედავდა ამ ბრწყინვალე პერსპექტივას სიკვდილში. მას მეფსალმუნეც უმოწმებს: "არ არის შენი გახსენება სიკვდილში; ვინღა შეგასხამს ქვესკნელიდან ქება-დიდებას?" (ფს. 6:6). "არა თუ მკვდრები აქებენ

უფალს, და ან ყოველი ქვესკნელს ჩასული" (ფს. 115:25).

პეტრე მოციქულმა ორმოცდამეათე დღეს თქვა, რომ პატრიარქი დავითი "აღესრულა და დაიკრძალა, და დღევანდლამდე ჩვენს შორისაა მისი სამარხი", "რადგან დავითი არ ამაღლებულა ზეცად" (საქ. 2:29,34). დავითის სამარხში ყოფნა მოწმობს იმას, რომ სიკვდილის შემდეგ მართლები არ მიდიან ზეცაში, მხოლოდ მკვდართა აღდგომისას ქრისტეს აღდგომის წყალობით მიეცემა დავითს უფლის მარჯვნივ დაჯდომის შესაძლებლობა.

პავლე მოციქული ამბობს: "ვინაიდან, თუ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღმდგარა. ხოლო თუ ქრისტე არ აღდგა, ჩვენი

რწმენა ფუჭია და კვლავ თქვენს ცოდვებში ხართ. მაშინ ისინიც დალუპულან, რომელთაც ქრისტეში განისვენეს" (1კორ. 15:16-18). და თუკი ოთხიათასი წლის განმავლობაში ყველა მართალი ზეცად ამაღლდა, მაშინ როგორლა თქვა პავლემ, რომ ქრისტეში განსვენებულნიც დაილუპებიან, თუკი არ არის ალდგომა? მაშინ ხომ ალდგომაც საჭირო ალარ არის?

წამებულმა თინდეილმა მიცვალებულთა მდგომარეობაზე თქვა: "მე გულახდილად ვაღიარებ, რომ სრულებით არა ვარ დარწმუნებული, თითქოს ისინი ზეცად ამაღლებულნი არიან სრულ დიდებაში, სადაც ქრისტე და ღვთის რჩეული ანგელოზები იმყოფებიან.

ჩემი რწმენა არ ეთანხმება ამას, რადგან, ეს რომ ასე იყოს, მაშინ რაღა საჭიროა ქადაგება ხორციელი აღდგომის შესახებ?"

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ უკვდავების იმედმა ადამიანები ბიბლიური აღდგომის უარყოფამდე მიიყვანა. ამის შესახებ ადამ კლარკი ამბობდა: "აღდგომის შესახებ სწავლებას უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა ქრისტიანობის დასაწყისში, ვიდრე დღეს! რატომ მოხდა ასე? მოციქულები ყოველთვის ქადაგებდნენ უფლის აღდგომაზე, აიმედებდნენ, მხარს უჭერდნენ და უმტკიცებდნენ რწმენას ქრისტეს იმ მიმდევრებს, რომელნიც აღდგომის იმედით ცოცხლობდნენ. ხოლო დღევანდელი მისი მიმდევრები

იშვიათად ახსენებენ ალდგომას. პირველ ქრისტიანებს სწამდათ ალდგომა იმ ძალით, რა ძალითაც მოციქულები ქადაგებდნენ, ხოლო ჩვენ რას ვქადაგებთ, იქიდან ჩანს, თუ რა სწამთ ჩვენს მსმენელთ. სახარებაში ყველაზე დიდ ყურადღებას ითხოვს უწყება ალდგომის შესახებ, ხოლო ქადაგებათა თანამედროვე სისტემაში რწმენის არც ერთ პუნქტს არ ეპყრობიან ისე უყურადღებოდ, როგორც ამას" (კომენტ. და შენიშვნ. 1კორ. 15:3).

და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ალდგომის დიდებული ჭეშმარიტება თითქმის სრულად არ დაფარა სიბნელემ და ქრისტიანულმა სამყარომ თითქმის დაკარგა იგი.

ერთი გამოჩენილი რელიგიური მწერალი კომენტარს უკეთებს პავლე მოციქულის სიტყვებს (1თეს. 4:13-18) და ამბობს: "მართალთა ნეტარი უკვდავების დოქტრინა ადამიანის დამშვიდებისათვის პრაქტიკული მიზნით, ჩვენი შემეცნებიდან განდევნის ყოველგვარ საეჭვო სწავლებას უფლის მეორედ მოსვლის შესახებ. ჩვენი სიკვდილის შემდეგ უფალი მოდის ჩვენს წასაყვანად. სწორედ ამას ველით და ამის იმედი გვაქვს. მკვდრები უკვე გადავიდნენ დიდებაში. ისინი აღარ ელოდებიან საყვირის ხმას, რომელიც ამცნობს მათ სამსჯავროსა და საუკუნო ნეტარების შესახებ".

მაგრამ, როდესაც იესო თავის მოწაფეებს ტოვებდა, არ უთქვამს,

რომ ისინი მალე მივლენ მასთან. "მე მივდივარ, რათა ადგილი მოგიმზადოთ. როდესაც წავალ და ადგილს მოგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა, სადაც მე ვარ, თქვენც იქ იყოთ" (იოან. 14:2,3), პავლე მოციქული კი ამბობს: "ვინაიდან თვით უფალი გადმოვა ციდან ბრძანების სიტყვით, მთავარანგელოზის ხმაზე და ღვთის საყვირზე და ჯერ ქრისტეში მკვდარნი აღდგებიან, შემდეგ კი ჩვენ, ცოცხლად დარჩენილები, მათთან ერთად ვიქნებით ზეატაცებულნი ღრუბლებში, რათა ჰაერში შევეგებოთ უფალს და ამგვარად უფალთან ვიქნებით სამარადისოდ". და შემდეგ დაუმატა: "ამიტომ ანუგეშეთ ერთმანეთი ამ სიტყვებით"

(1თეს. 4:16-18). რა დიდი განსხვავებაა იმედის ამ სიტყვებსა და უნივერსალური ეკლესიის მსახურის ნაშრომიდან ამოღებულ ციტატას შორის! ეს უკანასკნელნი იმით ანუგეშებენ თავიანთ დამწუხრებულ მეგობრებს, რომ მიუხედავად ცოდვებისა, გარდაცვლილები ამაღლდებიან ზეცად და მიღებული იქნებიან ანგელოზთა შორის. პავლე მოციქული კი თავის ძმებს ქრისტეს მეორედ მოსვლაზე მიუთითებს, როდესაც "ქვესკნელის ბორკილები დაიმსხვრევიან" და "ქრისტეში მკვდარნი" საუკუნო სიცოცხლისათვის აღდგებიან.

სანამ ნეტარების სამფლობელოში შევაბიჯებდეთ, ყოველი ადამიანის ცხოვრება და ხასიათი გულდასმით

უნდა იყოს გამოკვლეული და თითოეულის საქმეები - უფლის მიერ შემოწმებული. ყოველი ადამიანი გასამართლდება წიგნებში ჩანაწერის მიხედვით და თითოეული მიიღებს ჯილდოს თავისი საქმეებისამებრ. მაგრამ ეს სამსჯავრო ადამიანის სიკვდილის შემდეგ არ შედგება. მიაქციეთ ყურადღება პავლე მოციქულის სიტყვებს: "ვინაიდან მან დაადგინა დღე, როდესაც ქვეყნიერებას განიხილავს სამართლით წინასწარ არჩეული კაცის ხელით - ყველა დაარწმუნა რა იმით, რომ იგი მკვდრეთით ალადგინა" (საქ. 17:31). აქ მოციქული პირდაპირ მიუთითებს განსაზღვრულ დროზე, რომელიც დანიშნულია

ქვეყნიერების განსაკითხავად მომავალში.

მოციქული იუდაც ამ დროზე მიგვითითებს: "ხოლო ანგელოზნი, რომელთაც არ დაიცვეს თავიანთი ღირსება, არამედ მიატოვეს თავიანთი სავანე, საუკუნო ბორკილებისა და წყვდიადის ქვეშ შემოინახა, რათა დიად დღეს იქნან განკითხულნი". შემდეგ კი იგი იმეორებს ენოქის სიტყვებს: "აჰა, მოდის უფალი თავის ათეულ ათასობით წმიდანთან ერთად, რათა ყველა განიკითხოს" (იუდა 6,14,15). იოანე ამბობს: "ვიხილე მკვდრები, დიდები და პატარები, რომლებიც ტახტის წინ იდგნენ, და გადაშლილი იყო წიგნები... და განკითხულ იქნენ მკვდრები

წიგნებში ნაწერიდან, მათი საქმეებისამებრ" (გამოცხ. 20:12).

მაგრამ თუკი მკვდართაგან ნაწილი ბედნიერია ზეცაში, სხვები კი იტანჯებიან ჯოჯოხეთში, მაშინ რალა საჭიროა განკითხვის დღე? ღვთის სიტყვა ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხებს ნათლად და გასაგებად აშუქებს და ყველაზე უბრალო ადამიანებსაც კი შეუძლიათ ჩაწვდნენ მათ. მაგრამ რა სიმართლესა და სიბრძნეს იპოვის სერიოზული და მოაზროვნე ადამიანი ამ მეტად გავრცელებულ თეორიებში? როგორ შეუძლიათ მართალთ განაჩენის გამოტანის შემდეგ ამ სიტყვების მოსმენა: "კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ!.. შედი შენი ბატონის სიხარულში" (მათ. 25:21),

თუკი ერთად არიან, შესაძლოა, მთელი საუკუნეების განმავლობაში? განა შეკრიბავენ ჯოჯოხეთის ყოველი კუთხიდან უწმიდურთ იმისათვის, რათა მოისმინონ განაჩენი მთელი დედამიწის მეუფისაგან: "წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში"? (მათ. 25:41). ო. რა მწარე დაცინვაა! უფლის სიბრძნისა და სამართლიანობის რა სამარცხვინო დამახინჯებაა!

თეორია სულის უკვდავების შესახებ მიეკუთვნება ერთ-ერთ იმ ცრუ სწავლებათაგანს, რომელიც რომმა წარმართთაგან მიიღო და შემდეგ ქრისტიანულ რელიგიაში დანერგა. მარტინ ლუთერი ამ სწავლებას თვლიდა "სულელურ იგავებად, რომელნიც რომის

ბრძანებულებათა ნაკელის გროვაა და მეტი არაფერი". უკეთებს რა კომენტარს ეკლესიასტეს წიგნიდან სოლომონის სიტყვებს იმის შესახებ, რომ "მკვდრებმა კი არაფერი იციან, რადგან მათი ხსოვნა დავიწყებას მიეცა", რეფორმატორი წერს: "კიდევ ერთი ადგილი, რომელიც ამტკიცებს, რომ მკვდრები... არაფერს გრძნობენ. იქ არ არსებობს პასუხისმგებლობის გრძნობა, მეცნიერება, ცოდნა და სიბრძნე. ამიტომ სოლომონი ამბობს, რომ მათ სძინავთ და ვერაფერს გრძნობენ. რადგან მკვდრები წვანან და არ ითვლიან არც დღეებს, არც წლებს, ხოლო, როდესაც ისინი გაიღვიძებენ, მოეჩვენებათ, რომ მხოლოდ ერთი წამით ჩასთვლიმეს".

წმიდა წერილში ვერსად ვპოულობთ იმის დადასტურებას, რომ მართლები გარდაცვალებისთანავე ღებულობენ თავიანთ ჯილდოს, უწმიდურნი კი - თავიანთ სასჯელს. არც პატრიარქებს და არც წინასწარმეტყველებს არ დაუტოვებიათ ჩვენთვის ასეთი რწმუნება. ქრისტეს და მოციქულებს გადაკვრითაც კი არაფერი უთქვამთ რაიმე ამის შესახებ. ბიბლია ნათლად გვასწავლის, რომ მიცვალებულნი სიკვდილისთანავე არ მიდიან ზეცაში. მათზე საუბარია, როგორც მკვდრეთით აღდგომამდე მიძინებულებზე (1თეს. 4:14; იობ. 14:10:12). იმ დღეს, როდესაც წყდება ვერცხლის საბელი და ტყდება ოქროს ჭურჭელი (ეკლ. 12:6), ადამიანის

ყოველგვარი საფიქრალი ქრება. ქვესკნელში ჩასული ადამიანი სიჩუმეშია და მას ალარაფერი ესაქმება იმასთან, რაც მზის ქვეშ ხდება (იობ. 9:10,12). ნეტარი დასვენებაა დაქანცულ მართალთათვის! დიდხანს იქნებიან ისინი ამ მდგომარეობაში თუ ცოტა ხანს, მათთვის ის მაინც ერთი წამია. მათ სძინავთ და უფლის საყვირი გაალვიძებს მათ დიდებული უკვდავებისთვის. "ვინაიდან დასძახებს საყვირი და მკვდრები ალდგებიან უხრწნელად, ხოლო ჩვენ შევიცვლებით. ვინაიდან ეს ხრწნადი უხრწნელობით შეიმოსება და ეს მოკვდავი - უკვდავებით, მაშინ ახდება დაწერილი სიტყვა: "სიკვდილი შთაინთქა ძლევით"

(1კორ. 15:52-54). და ღრმა ძილიდან ალმდგარნი, თავიანთ არსებობას დაიწყებენ იმ მომენტიდან, როდესაც სიკვდილმა შეწყვიტა. მათი ცნობიერების უკანასკნელი წამი სასიკვდილო ტანჯვით იყო დაბნელებული; მათი უკანასკნელი ფიქრი იყო ის, რომ საფლავში მიდიან. ხოლო როდესაც აღდგებიან, მათი სიხარულით ალსავსე პირველი ფიქრი გამარჯვების ამოძახილში გადაიზრდება: "სად არის, სიკვდილო, შენი ნესტარი? სად არის, ჯოჯოხეთო, შენი ძლევა?" (მუხ. 55).

თავი 34 შეუძლიათ თუ არა მკვდრებს ლაპარაკი? /სპირიტიზმი/

წმიდა ანგელოზთა მსახურება, რომლის შესახებაც წმიდა წერილი გვესაუბრება, ერთ-ერთი ყველაზე დამამშვიდებელი და ფასდაუდებელი ჭეშმარიტებაა ყოველი ქრისტიანისათვის. მაგრამ ბიბლიური სწავლება დაჩრდილული და დამახინჯებულია პოპულარული თეოლოგიის შავბნელი ხრიკებით. სულის ბუნებრივ უკვდავებაზე წარმოდგენამ, რომელიც გადმოლებულია წარმართული ფილოსოფიიდან და ქრისტიანულ რწმენაში დიდი განდგომილების შავბნელ პერიოდშია დანერგილი,

დაიკავა იმ ჭეშმარიტების ადგილი, რომელიც ასე გასაგებად და ნათლად არის წარმოდგენილი წმიდა წერილის ფურცლებზე, სახელდობრ: - "მკვდრებმა არაფერი იციან". და ბევრმა დაიჯერა, თითქოს "მომსახურე სულები, რომლებიც გამოგზავნილები არიან მათი მსახურებისათვის, ვინც გადარჩენის მემკვიდრენი არიან", გარდაცვლილთა სულებია. ასეთი წარმოდგენა განმტკიცდა ბიბლიური მოწმობის საწინააღმდეგოდ, რომელიც ნათლად გვასწავლის ზეციურ ანგელოზთა არსებობისა და იმ კავშირის შესახებ, რომელიც მათ აქვთ ადამიანებთან მთელი ცხოვრების განმავლობაში, ადამიანის სიკვდილამდე.

სწავლებამ ადამიანის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის შესახებ, განსაკუთრებით კი იმ რწმენამ, რომ მიცვალებულთა სულები ემსახურებიან ცოცხლებს, გზა გაუხსნა თანამედროვე სპირიტიზმს. თუკი მიცვალებულნი უფალთან და წმიდა ანგელოზებთან ურთიერთობაში არიან და იმაზე უფრო მეტი ცოდნა აქვთ მიღებული, რაც ადრე ჰქონდათ, რატომ არ უნდა დაბრუნდნენ დედამიწაზე ცოცხლების სასწავლებლად? და თუკი, როგორც ღვთისმეტყველნი ამტკიცებენ, მკვდართა სულები დაჰქრიან დედამიწაზე მათი მეგობრების გარშემო, რატომ არ შეუძლიათ, გაესაუბრონ, გააფრთხილონ მოსალოდნელი

უბედურების შესახებ და ნუგეში სცენ მათ მწუხარებაში? რასაკვირველია, ადამიანებს, რომელნიც დარწმუნებული არიან ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი შეგნებული ცხოვრების არსებობაში, არ შეუძლიათ, უარყონ ეს სულები, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სჯერათ, რომ სულებს ღვთიური ნათელი მოაქვთ. და ამ წმიდა (საერთო გაგებით) გზით ახორციელებს სატანა თავის გეგმებს. დაცემული ანგელოზები, რომლებიც მის ბრძანებებს ასრულებენ, ადამიანებს ეცხადებიან, როგორც სულიერი სამყაროს მაცნეები. სატანა ცდილობს, ადამიანები დაარწმუნოს მკვდრებთან ურთიერთობის შესაძლებლობაში, რითაც მზაკვარი

ბოროტ ზეგავლენას ახდენს მათ გონებაზე.

სატანას შეუძლია ადამიანებს გარდაცვლილი მეგობრები აჩვენოს მათი ნამდვილი სახით; საოცარი სიზუსტით შეუძლია, შექმნას ადამიანის გარეგნობა, თვალთა გამომეტყველება, ხმა და საუბრის მანერა. და ბევრს უხარია, რომ მათი ახლობლები ბედნიერი არიან ზეცაში და ვერც კი გრძნობენ საშიშროებას, როცა უსმენენ "მაცდურ სულებს და ეშმაკის მოძღვრებებს".

როდესაც ადამიანები იწყებენ იმის მტკიცებას, რომ მიცვალებულნი ბრუნდებიან მათთან ურთიერთობისათვის, სატანას შეუძლია, მათ გამოუცხადოს იმათი ხატება, ვინც მოუმზადებლად ჩავიდა

სამარეში. გამოცხადებისას ისინი ყვებიან თავიანთ ბედნიერ ცხოვრებაზე, იმ უმაღლეს დიდებაზე, რომელიც ზეცაში აქვთ და ამგვარად, ფართოდ ვრცელდება მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ სიკვდილის შემდეგ არ არსებობს განსხვავება მართალსა და უწმიდურს შორის. ეს ცრუ სტუმრები, სულების ქვეყნიდან მოსულნი, ზოგჯერ მომავალი საფრთხის შესახებ აფრთხილებენ თავიანთ ახლობლებს და შემდგომში მათი სიტყვები მართლდება კიდეც. ამგვარად, ნდობის მოპოვების შემდეგ, ისინი თავს ახვევენ ადამიანებს ისეთ აზრებს, რომლითაც ძირს უთხრიან წმიდა წერილისადმი მათ ნდობას. მიწიერი მეგობრების მიმართ დიდი მზრუნველობის

გამოჩენის მიზნით, ეს სულები ცდილობენ, ადამიანებს ჩაუნერგონ მეტად საშიში და მაცდური აზრები. მათ მტკიცებებს დამაჯერებლობას მატებს ისიც, რომ ისინი ზოგჯერ სიმართლეს ამბობენ, შეუძლიათ მომავლის წინასწარმეტყველება და ადამიანებიც ამ ცრუ სწავლებას ისეთი მზადყოფნითა და მტკიცე რწმენით ხვდებიან, როგორც წმიდა ბიბლიურ ჭეშმარიტებას. და აი, უფლის კანონი დავიწყებულია, მადლი უარყოფილია და ალთქმის სისხლი ამ ადამიანთა თვალში კარგავს თავის წმიდა მნიშვნელობას. სპირიტები უარყოფენ ქრისტეს ღვთიურობას და თვით შემოქმედს უტოლებენ თავს. და ამგვარად, უდიდესი მეამბოხე ახალი ნიღბის

ქვეშ კვლავ განაგრძობს უფლის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც ზეცაში დაიწყო და აგერ უკვე ექვსი ათასწლეულის განმავლობაში გრძელდება დედამიწაზე.

ძალიან ბევრი ადამიანი სხვადასხვა სპირიტულ გამოვლინებას მხოლოდ და მხოლოდ მედიუმის ხელის სისწრაფესა და ხრიკებს მიაწერს. მართლაც, ძალიან ხშირად, ჭეშმარიტებად ღებულობენ თაღლითთა ფოკუსებს, მაგრამ ალინიშნება ზებუნებრივი ძალის აშკარა ჩარევაც. იდუმალი კაკუნი - სწორედ ასე გამოვლინდა თანამედროვე სპირიტიზმი - ეს იყო არა ადამიანთა ეშმაკობისა და სიცრუის ფანდები, არამედ დემონთა ჩარევის შედეგი, რამაც ამ გზით

საფუძველი ჩაუყარა სიცრუეს, რომელიც წარმატებით ღუპავს ადამიანთა სულებს. თავდაპირველად სპირიტიზმს უყურებენ, როგორც უმნიშვნელო ოინებს, მაგრამ, როდესაც პირისპირ ხვდებიან ისეთ მოვლენებს, რომელთაც მხოლოდ ზებუნებრივი ძალის გამოვლინება შეიძლება დაერქვას, ადამიანები ტყუვდებიან და ღმერთის უდიდეს ძალად მიიჩნევენ.

ამ ადამიანებს არ შეუმეცნებიათ წმიდა წერილის გაფრთხილება სატანისა და მის ხელქვეითთა სასწაულების შესახებ. სწორედ სატანის ჩარევით შეძლეს ფარაონის გრძნეულებმა უფლის საქმეების მიბაძვა. პავლე მოციქული ამბობს, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ

გახშირდება სატანის ძალის ამგვარი გამოვლინებები. უფლის მოსვლის წინ "გამოჩნდება ურჯულო... რომელიც მოვა სატანის მოქმედებით, ყოველგვარი ყალბი ძალით, ნიშნებითა და სასწაულებით და უსამართლობის ყველა საცდურით დალუპულთათვის" (2თეს. 2:9,10). იოანე მოციქული ბოლო ჟამის სასწაულების აღწერისას ამბობს: "ახდენდა დიდ სასწაულებს, ცეცხლიც კი ჩამოიტანა ციდან დედამიწაზე ადამიანთა წინაშე. აცდუნებდა დედამიწის მკვიდრთ სასწაულებით, რომლებიც მიეცა მას მხეცის წინაშე მოსახდენად" (გამოცხ. 13:13,14). მოციქული არ თვლის ამ სასწაულებს უბრალო სიცრუედ. ეშმაკები ადამიანებს ნამდვილი სასწაულებით

აცდუნებენ და არა უბრალო ფანდებით.

ბნელეთის მეფე, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ხვეწდა თავის ნიჭს მთელი კაცობრიობის მოტყუებით, ძალზე ოსტატურად აცდუნებს საზოგადოების ყველა ფენის ადამიანებს. განათლებულ და დახვეწილ პიროვნებათა წინაშე იგი სასწაულებს ისეთ სრულყოფილ და ინტელექტუალურ ფორმებში ახდენს, რომ მრავალი ექცევა მის ნასროლ ბადეში. სპირიტიზმის სიბრძნეზე მოციქული იაკობი ასე ამბობს: "ეს არაა მადლით გარდმოვლენილი სიბრძნე, არამედ მიწიერი, მშვინვიერი, ეშმაკური" (იაკ. 3:15). ამას, რასაკვირველია, უდიდესი თვალთმაქცი მალავს, რათა უფრო

ადვილად განაცორციელოს თავისი
გეგმები. ის, ვინც ცდუნების
უდაბნოში ქრისტესთან მივიდა,
როგორც ნათელი სერაფიმი,
ადამიანებს უფრო მომციბვლელ
ფორმაში, სინათლის ანგელოზის
სახით ეცხადება. ამაღლებულ
თემებზე საუბრებით ატყვევებს იგი
ადამიანთა გონებას; სხვადასხვა
წარმტაცი სურათებით მოქმედებს მის
წარმოდგენებზე და სიყვარულისა და
სულგრძელობის მომხიბვლელი
ალწერით ზეგავლენას ახდენს მის
გრძნობებზე. იგი ადამიანის გონებას
კვებავს დიდებული წარმოდგენებით
და ამით თვითალზევების გრძნობას,
თვითრწმენისა და საკუთარი
სიბრძნის განდიდების აზრს
უნერგავს, რათა მან თავის გულში

უარყოს უზენაესი. უძლიერესი მტერი, რომელმაც ქვეყნის მხსნელი ყველაზე მაღალ მთაზე აიყვანა და იქიდან აჩვენა დედამიწის ყველა სამეფო და მათი დიდება, მონახავს საჭირო საშუალებას და გზას, რათა მიუახლოვდეს მათ, ვინც ღვთიური ძალით არ არიან დაცული.

დღესაც სატანა ისევე აცდუნებს ადამიანებს, როგორც თავის დროზე ედემში აცდუნა ევა - ფარისევლობით, აკრძალული ცოდნის სურვილის ალგზნებით და თვითგანდიდებისკენ სწრაფვით. სწორედ ამ ვნებებმა მიიყვანა სატანა დაცემამდე და ამ გზებითვე ცდილობს იგი ადამიანთა დალუპვას. "შეიქნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი" - განაცხადა მან (დაბ.

3:5). სპირიტიზმი ასწავლის, რომ - "ადამიანი თავისი ბუნებით შემოქმედია. იგი მოწოდებულია მარადიული თვითგანვითარების სწრაფვისაკენ, რათა მიაღწიოს ღვთიურობის დონეს". და შემდეგ: "ყოველმა უნდა განიკითხოს თავისი თავი და არა სხვა". "ტახტი თვითონ თქვენშია". სპირიტიზმის ერთმა მასწავლებელმა, როდესაც მასში "სულიერმა შეგნებამ" გაიღვიძა, თქვა: "ჩემი ძმები-ადამიანები ყველა ნახევრადღმერთები იყვნენ, რომელთაც არასოდეს შეუცოდავთ". მეორე კი აცხადებს: "ყოველი სამართლიანი და სრულქმნილი არსება - ქრისტეა".

ამგვარად, უსასრულო ღმერთის სიმართლისა და სრულყოფილების

ნაცვლად, რომელიც ერთადერთია ღირსი თაყვანისცემისა და პატივისცემისა, მისი კანონის სრულყოფილი სიმართლის ნაცვლად, რომელიც ადამიანთა მისწრაფებების ერთადერთი საზომია, სატანა გვთავაზობს, თაყვანი ვცეთ ცოდვილ, მანკიერ არსებას - ადამიანს და ჩავთვალოთ იგი ხასიათისა და მსჯელობის ერთადერთ საზომად. ეს მართლაც პროგრესია, მაგრამ არა წინ, არამედ საპირისპირო მხარეს.

როგორც სულიერი, ასევე ინტელექტუალური კანონის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შემეცნებისდა მიხედვით ჩვენ აუცილებლად ვიცვლებით. ადამიანი თანდათანობით ემსგავსება იმ საგნებს, რაზეც ფიქრობს და

უთანაბრდება იმას, რაც უყვარს. და იგი ვერასოდეს ავა სიწმიდის, ღვთისმოსაობის და ჭეშმარიტების საკუთარ მაგალითზე მაღლა. თუკი უმაღლესი იდეალია საკუთარი "მე", მაშინ ადამიანი ვერასოდეს მიაღწევს მასზე უფრო ამაღლებულს. პირიქით, იგი ნელ-ნელა, მაგრამ აუცილებლად დაიწევს დაბლა. მხოლოდ ერთადერთს, უფლის მადლს შესწევს ძალა ადამიანის ამაღლებისა. საკუთარ თავზე დაყრდნობით ჩვენ აუცილებლად დაცემა გველის.

სხვადასხვაგვარ გართობათა და სიამოვნებათა მოყვარულ ადამიანებს, რომელთაც განვითარებული მგრძნობიარობა აქვთ, სულები უფრო დაბალ დონეზე ემსახურებიან, ვიდრე დახვეწილ და ინტელექტუალურ

პიროვნებებს. სატანა ადამიანთან მისასვლელ გზას მისი ხასიათის თვისებების შესაბამისად ეძებს. იგი დაკვირვებით სწავლობს ადამიანის ხასიათის ყოველ სუსტ ადგილს; კარგად ამჩნევს თითოეული ადამიანის მიდრეკილებას ამა თუ იმ დანაშაულისაკენ, შემდეგ კი ყოველ ღონეს ხმარობს, შეუქმნას მას ნაყოფიერი ნიადაგი მანკიერი თვისებების განვითარებისათვის; ადამიანს უბიძგებს ზედმეტობისაკენ, თავშეუკავებლობისაკენ და ამახინჯებს მის ბუნებრივ მოთხოვნილებებს, რაც მათ ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ ძალთა დაქვეითებას იწვევს. მან დალუპა და კვლავ ლუპავს ათასობით სიცოცხლეს ვნებების

დაკმაყოფილებით, ადამიანის ხასიათის სისასტიკის მატებით. იგი თავისი დაწყებული საქმის დასრულებისათვის სპირიტების მეშვეობით აცხადებს: "ჭეშმარიტი ცოდნა ადამიანს ყველა კანონზე მაღლა აყენებს", რომ "ყველაფერი, რაც ხდება, კეთილდღეობაა", რომ "ღმერთი არ განსჯის", რომ "ჩადენილი ცოდვა დანაშაული არ არის". ადამიანებსაც სჯერათ, რომ მათი სურვილები უმაღლესი კანონია, რომ თავისუფლება - ადამიანის ყოველგვარი სურვილის დაკმაყოფილებაა, რომ ადამიანი პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე. და განა გასაკვირია, რომ ყველგან გაბატონებულია მანკიერება და

უწესობა? ბევრი დიდი სიამოვნებით ღებულობს ასეთ სწავლებას, რომელიც ნებას რთავს, იცხოვროს ხორციელი გულის სურვილებითა და სრული თავისუფლებით. ამგვარად, თავშეკავებას მანკიერება ურჩევნიათ, სულიერ და გონებრივ ძალებს კი უმორჩილებენ საკუთარ სურვილებს, და მოზეიმე სატანა თავის ბადეში ახვევს ათასობით მსხვერპლს, რომელნიც თავს ქრისტეს მიმდევრებად თვლიან.

ნუ მოტყუვდებით სპირიტიზმის ცრუ ფანდებით! უფალმა საკმარისი სინათლე მისცა კაცობრიობას იმისათვის, რომ ადამიანებმა ალმოაჩინონ ეშმაკის დაგებული მახე. როგორც ალნიშნული იყო, სპირიტიზმი ძირშივე

ეწინაალმდეგება წმიდა წერილის ნათელ და ჭეშმარიტ სწავლებას. ბიბლია გვასწავლის, რომ მკვდრებმა არაფერი იციან და არაფერზე ფიქრობენ, რომ არა აქვთ წილი იმაში, რაც მზის ქვეშ ხდება, რომ მათთვის არაფერია ცნობილი იმ ადამიანთა სიხარულისა თუ მწუხარების შესახებ, რომელნიც მათთვის ასე ძვირფასი იყვნენ დედამიწაზე.

უფრო მეტიც: ღმერთმა საერთოდ აკრძალა ყოველგვარი ურთიერთობა ე.წ. მიცვალებულთა სულებთან. იუდეველთა შორისაც იყვნენ თანამედროვე სპირიტების მსგავსი ადამიანები, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ კავშირი აქვთ მიცვალებულებთან. მაგრამ ამ "მეგობარ სულებს", როგორც

თითქოსდა იმ ქვეყნიდან მოსულთ უწოდებდნენ, ბიბლია "ეშმაკის სულებს" უწოდებს (რიცხ. 25:1-8; ფს. 28; 1კორ. 10:20; გამოცხ. 16:14). ასეთ სულებთან ყოველგვარი ურთიერთობა საზიზღრობა იყო ღმერთის წინაშე და სასტიკად აკრძალული სიკვდილით დასჯამდეც კი (ლევ. 19:31; 20:27). აწმყოშიც კი სიტყვა "ჯადოქრობა" ზიზღით წარმოითქმება, მტკიცებებს, რომ ადამიანებს შეუძლიათ ურთიერთობის დამყარება ბოროტ სულებთან, დღეს ღებულობენ, როგორც შუა საუკუნეებში შეთხზულ ზღაპრებს. მაგრამ სპირიტიზმი, რომელსაც ასი ათასობით და მილიონობით მიმდევარი ჰყავს, შეიჭრა მეცნიერებაში, ეკლესიაში,

საკანონმდებლო ორგანოებში და მეფეთა სასახლეებშიც კი. ეს უდიდესი სიცრუე სხვა არაფერია, თუ არა შენილბული ჯადოქრობის ალორძინება, რომელიც ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იყო გაკიცხული და აკრძალული.

სპირიტიზმის ჭეშმარიტი არსის სხვა დამადასტურებელი მტკიცებებიც რომ არ ყოფილიყო, ქრისტიანისათვის საკმარისი უნდა იყოს მარტო ის ფაქტიც, რომ სპირიტები არ ანსხვავებენ მართალს ცოდვილისაგან, ქრისტეს კეთილშობილ და წმიდა მოციქულებს - სატანის დაცემულ და გარყვნილ მსახურთაგან. სატანის მტკიცებით, ეს მანკიერი ადამიანები ზეცაში იმყოფებიან და უდიდეს

პატივისცემას იმსახურებენ, რითაც მაცდურს სურს, თქვას: "არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ცოდვილი ხართ თუ არა; გჯერათ ბიბლიისა თუ არა; იცხოვრეთ თქვენი სურვილისამებრ, ზეცა მაინც თქვენი სახლია". არსებითად, სპირიტიზმის მქადაგებელნი პირდაპირ აცხადებენ, რომ "ყოველი ბოროტმოქმედი კეთილად უჩანსო უფალს და ისინი უყვარსო მას, სად არისო სიმართლის ღმერთი? (მალ. 2:17). თუმცა ღვთის სიტყვა ამბობს: "ვაი მათ, ვინც ბოროტებას სიმართლეს არქმევს და სიკეთეს - ბოროტებას; ვინც ბნელს ნათლად სახავს და ნათელს - ბნელად" (ეს. 5:20).

ეს ცრუ სულები, რომელნიც თავს მოციქულებად ასაღებენ,

ეწინაალმდეგებიან ყველაფერს, რასაც სულიწმიდით ალვსილი ჭეშმარიტი მოციქულები წერდნენ. ისინი უარყოფენ ბიბლიის წარმოშობის ღვთიურობას და ამით საბოლოოდ ანგრევენ ქრისტიანთა იმედებსა და ბნელით ფარავენ იმ სინათლეს, რომლითაც ზეცაში მიმავალი გზაა განათებული. სატანა ადამიანებს არწმუნებს, რომ ბიბლია ზღაპარია, ადამიანთა მონაგონი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ეს არის წიგნი, რომელიც კაცობრიობის ჩვილ ასაკს შეეფერებოდა, მაგრამ ახლა არ შეიძლება სერიოზულად მივუდგეთ მას; ან იქნებ უკეთესია, საერთოდ დავივიწყოთ ეს მოძველებული წიგნი! ხოლო ღვთის სიტყვის ნაცვლად იგი სულების გამოცხადებას

გვთავაზობს. ეს არის ბერკეტი, რომელიც სრულად ექვემდებარება მის კონტროლს. ამის საშუალებით მას შეუძლია, ყველაფერში დაარწმუნოს კაცობრიობა, თავისი სურვილისამებრ. იგი ჩრდილავს და უვარგისად აცხადებს იმ წიგნს, რომელმაც უნდა გაასამართლოს სატანა და მისი მიმდევრები. ქვეყნიერების მხსნელი მან უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანად წარმოაჩინა. და როგორც იესოს საფლავის მცველებმა მღვდელმთავართა შთაგონებით გაავრცელეს სიცრუე მისი აღდგომის უარსაყოფად, ისინიც, ვისაც სჯერა სპირიტიზმის გამოვლინებებისა, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ჩვენი მაცხოვრის ცხოვრებაში არავითარი სასწაული არ

ყოფილა. და იესოს უკანა პლანზე გადაწევით ადამიანთა ყურადღებას იპყრობენ საკუთარი სასწაულებით, რომლებიც, მათი თქმით, ქრისტეს საოცარ საქმეებზე მაღალია.

სიმართლეს შეეფერება ის ფაქტიც, რომ თანამედროვე სპირიტიზმი იცვლის თავის სახეს, ადამიანებში უფრო მეტი პროტესტის გამომწვევ საქმეებს მალავს და ქრისტიანულ სამოსელში ეხვევა. მაგრამ მისი მოძღვრების პრინციპები წლების განმავლობაში იქადაგება და უფრო და უფრო ვრცელდება; ამიტომ, მისი ნამდვილი არსის დაფარვა შეუძლებელია. ამ სწავლების არც შენიღბვა შეიძლება და არც უარყოფა. მაგრამ თავისი ჭეშმარიტი სახით იგი უფრო საშიშია, რადგან მზაკვრული

სიცრუის სამოსელში უფრო ოსტატურად არის გახვეული. თუკი წარსულში სპირიტიზმი უარყოფდა ბიბლიას და ქრისტეს, ახლა იგი ალარ უარყოფს მათ და თითქოს ერთსაც და მეორესაც ღებულობს, მაგრამ ბიბლიის ახსნა ისეთნაირად ხდება, რომ განუახლებელ გულს მოეწონოს იმ დროს, როცა მისი სწორი და არსებითი ჭეშმარიტებანი გაუფასურებული და დამდაბლებულია. ღმერთის ყველაზე მთავარი თვისება - სიყვარული ჩამოფასებულია უბრალო სენტიმენტალიზმამდე, რომელშიც არ არის განსხვავება ბოროტსა და კეთილს შორის. უზენაესის სამართლიანობა, ცოდვილი ადამიანისადმი მიმართული

გაფრთხილება, მისი წმიდა კანონების დაცვის მოთხოვნა - ყოველივე ეს დაფარულია ადამიანისაგან. ადამიანებს ასწავლიან, რომ ათ მცნებას შეხედონ, როგორც მკვდარ სიტყვებს. ხალხის შეგნება და გრძნობა სასიამოვნო, ჯადოსნური ზღაპრების ტყვეობაში იმყოფება, რაც მათ ალუძრავს სურვილს, უარი თქვან ბიბლიაზე, როგორც რწმენის წყაროზე. ქრისტე დღესაც ისევე უარყოფილია, როგორც ადრე, მაგრამ სატანამ ისე დააბრმავა ადამიანი, რომ ამას სრულებით ვერ ამჩნევს.

მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილს აქვს სწორი წარმოდგენა სპირიტიზმის მაცდუნებელი ძალისა და მისი ზეგავლენის საშიშროებაზე.

სპირიტიზმით დაინტერესება ხდება შემთხვევით, მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო. ადამიანებს არ სჯერათ მისი რეალობისა და საშინელ მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ, მათთვის რომ ვინმეს პირდაპირ შეეთავაზებინა სპირიტთა ძალებისადმი მორჩილება. მაგრამ როგორც კი გაბედავენ ამ უძლიერესი მზაკვრისა და კაცობრიობის დამლუპველის კუთვნილ ტერიტორიაზე ფეხის დადგმას, მაშინვე მისი ძალაუფლების ქვეშ ექცევიან. მან კი კარგად იცის, როგორ აიძულოს ადამიანები, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ემსახურონ მას. და რაკი მაცდურს ერთხელ დაუმორჩილებენ თავის გონებას,

მისი მსახურნი ხდებიან და საკუთარი ძალებით ველარ ალწევენ თავს მის ბოროტ ზემოქმედებას. მხოლოდ ღმერთის ძალას, რომელიც მათ მიეცემათ ძალზე სერიოზული, რწმენით წარმოთქმული ლოცვის შედეგად, შეუძლია ამ მოტყუებულ სულთა გამოხსნა.

ისინი, ვინც აყოლილი არიან თავის დანაშაულებრივ სურვილებს ან არ სურთ თავი დაანებონ საყვარელ ცოდვას, თვითონვე იწვევენ სატანას და კარს უხსნიან ცდუნებისათვის. ისინი თავს აშორებენ ღმერთს; კარგავენ ღვთის ანგელოზების დაცვას და როცა ეშმაკი იწყებს მათ ცდუნებას, ადვილადაც ბატონდება მათზე. სატანის ძალის მორჩილთ წარმოდგენა არა აქვთ, თუ რით

შეიძლება დამთავრდეს ყოველივე ეს. სატანა იმორჩილებს ამ ადამიანებს და შემდეგ სხვების საცდუნებლად იყენებს.

ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: "თუ გითხრეს დაეკითხეთო მესულთანებს და ჯადოქრებს, რომ ჩურჩულებენ და სტვენენო, განა თავის ღმერთს არ ეკითხება ხალხი, განა მკვდრებს ეკითხება ცოცხალთა გამო? მიმართეთ რჯულსა და ანდერძს! თუ არ ამბობენ ამ სიტყვის მიხედვით, ნათქვამს არა აქვს აზრი" (ეს. 8:19,20). ადამიანებს რომ ჰქონდეთ სურვილი, მიიღონ წმიდა წერილის ფურცლებზე მოცემული ჭეშმარიტება ადამიანის ბუნებისა და მიცვალებულთა მდგომარეობის შესახებ, მიხვდებოდნენ, რომ

სპირიტიზმი - სატანის ხრიკებია, რომელიც ცრუ სასწაულებით მოქმედებს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ უარი თქვან იმ თავისუფლებაზე და ჩვეულ ცოდვებზე, რომელიც ბევრ სიამოვნებას გვრის ხორციელ გულს, მრავალი ადამიანი უარს ამბობს ღვთიურ ნათელზე და მიუხედავად გაფრთხილებისა, თავისი ამორჩეული გზით დადის მანამ, სანამ სატანის ნადავლი არ გახდება და მის ბადეში არ გაებმება. და "იმის გამო, რომ არ შეიწყნარეს ჭეშმარიტების სიყვარული თავის სახსნელად, ამისათვის გაუგზავნის მათ ღმერთი მაცდურ ქმედებას, რათა იწამონ სიცრუე" (2თეს. 2:10,11).

სპირიტიზმის მოწინააღმდეგენი ებრძვიან არა მარტო ადამიანებს,

არამედ სატანას და მის ანგელოზებსაც. ისინი აწარმოებენ ბრძოლას "მთავრობათა, ხელისუფალთა და უწმიდურ ძალთა წინაალმდეგ დედამიწაზე". სატანა მიწის ერთ მტკაველსაც არ დათმობს, თუ ზეციურ მაცნეთა ძალით არ იქნა გაგდებული. ღვთის ხალხი მას მაცხოვრის მსგავსად უნდა ხვდებოდეს, სიტყვებით: "დაწერილია". სატანას დღესაც, როგორც ქრისტეს დღეებში, შეუძლია წმიდა წერილის ტექსტების ბიბლიური ჭეშმარიტების დამახინჯება და თავისი სიცრუის დასამტკიცებლად გამოყენება. მათ, ვისაც ამ მეტად საშიშ დროს სიმტკიცის შენარჩუნება სურს,

გონებით უნდა შეიმეცნონ წმიდა წერილის მოწმობები.

ბევრ ადამიანს უწმიდური სულები თავიანთი გარდაცვლილი ნათესავების ან მეგობრების სახით ეცხადებიან და მზაკვრულად აცდუნებენ მათ. ისინი ეხებიან ჩვენს ყველაზე ნაზ გრძნობებს და ახდენენ სასწაულებს, რათა გამოხატონ ჩვენდამი თანაგრძნობა. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, სპირიტიზმს იმ ბიბლიური ჭეშმარიტებით შეიარაღებულნი შევხვდეთ, რომელიც ამტკიცებს, რომ მკვდრებმა არაფერი იციან, ხოლო მათი სახით გამოცხადებულნი - უწმიდური სულები არიან.

ჩვენ გველის "განსაცდელის ჟამი, რომელიც მოვა მთელ მსოფლიოზე,

რომ გამოსცადოს დედამიწის მკვიდრნი" (გამოცხ. 3:10). ყველა ის, ვისი რწმენაც არ არის დაფუძნებული ღვთის სიტყვაზე, ცდუნდება და დამარცხდება. სატანა მოქმედებს "ყოველგვარი უსამართლო ცდუნებით", რათა დაიმორჩილოს მიწის შვილები. მისი ცდუნების ძალა თანდათანობით სულ უფრო და უფრო გაიზრდება, მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ მიაღწევს თავის მიზნებს, როდესაც ადამიანები ნებაყოფლობით მიიღებენ მის ცდუნებას. ისინი კი, რომელნიც გულწრფელად ისწრაფვიან ჭეშმარიტების შემეცნებისაკენ და მორჩილებით - თავიანთი გულების განწმედისაკენ, ამით ემზადებიან მოსალოდნელი ბრძოლისათვის და

ღვთის ჭეშმარიტებაში კიდეც ჰპოვებენ საიმედო დაცვას. და "რაკი შენ დაიცავი სიტყვა ჩემი მოთმინებისა, მეც დაგიცავ განსაცდელის ჟამისაგან" - ასე გვაიმედებს უფლის აღთქმა (გამოცხ. 3:10). მას ურჩევნია, ყველა ზეციური ანგელოზი გამოგზავნოს თავისი ხალხის დასაცავად, ვიდრე ერთი მასზე მინდობილი სული დატოვოს სატანის კლანჭებში.

ესაია წინასწარმეტყველი ამბობს, თუ რა სასტიკად ცდებიან უწმიდურნი, რომელნიც თვლიან, რომ უფლის სამსჯავრო მათ არ შეეხება. "აღთქმა გვაქვს დადებული სიკვდილთან და კავშირი შევკარით შავეთთან; როცა წარმხოცელი შოლტი ჩამოივლის, ვერ მოგვწვდება, რადგან

სიცრუე გავიხადეთ თავშესაფრად და ტყუილი - საფარველად" (ეს. 28:15). აქ ალწერილ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან ისინიც, ვინც ჯიუტად ჩასჭიდებია ცოდვას და თავს იმით იიმედებს, რომ ცოდვილთათვის არავითარი სასჯელი არ არსებობს; რომ ყოველი ადამიანი, როგორი ცოდვილიც არ უნდა იყოს, ამაღლდება ზეცად და ღვთის ანგელოზთ დაემსგავსება. მაგრამ რაც უფრო მეტად არიან ცოდვასთან მიჯაჭვულნი ისინი, ვინც აღთქმა დაუდო სიკვდილსა და ჯოჯოხეთს, ვინც უარყო მწუხრის დღეებში მართალთა დასაცავად ზეცით შემოთავაზებული ჭეშმარიტება და მის ნაცვლად სატანის სიცრუე მიიღო,

მით უფრო სრულად დაემონებიან სპირიტიზმის ცდუნებას.

მართლაც საოცარია ჩვენი თაობის სიბრმავე! ათასობით ადამიანი უარყოფს ღვთის სიტყვას, უნდობლობას უცხადებს მას და ბრმად ენდობიან სატანის ვერაგობას. სკეპტიკოსნი და დამცინავნი გმობენ იმ ადამიანთა ბრმა ერთგულებას, ვინც წინასწარმეტყველთა და მოციქულთა რწმენის შენარჩუნებისათვის იბრძვის, აბუჩად იგდებენ საოცარ ბიბლიურ ჭეშმარიტებას მაცხოვარზე, კაცობრიობის გადარჩენის გეგმასა და უწმიდურთა სასჯელზე. ისინი არ იღლებიან სიბრალულის გამოჩენით მათ მიმართ, ვინც მათი აზრით, იმდენად გონებაშეზღუდული, სუსტი

და ცრუმორწმუნეა, რომ ალიარებს ღმერთის მოთხოვნებს და ასრულებს მის კანონებს. ისინი ისეთი რწმენით მოქმედებენ, თითქოს მართლაც დაუდეს ალთქმა სიკვდილსა და ჯოჯოხეთს, თითქოს გადაულახავი ბარიერი ალმართეს საკუთარ თავსა და უზენაესის შურისგებას შორის. მათ არაფრის არ ეშინიათ. ისე მთლიანად მიენდნენ თვალთმაქცს, იმდენად მჭიდროდ შეერწყნენ მას და ალივსნენ მისი სულით, რომ არ გააჩნიათ არც ძალა და არც სურვილი მისი მახისაგან გათავისუფლებისა.

სატანა დიდი ხანია ემზადება კაცობრიობის საბოლოო ცდუნებისათვის. მისი შრომა ჯერ კიდევ ედემში დაიწყო, როდესაც ევას არწმუნებდა: "არ მოკვდებით, მაგრამ

იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ, თვალი აგეხილებათ და შეიქნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი" (დაბ. 3:4.5). იგი თანდათანობით მიიწევდა წინ თავისი მზაკვრული სიცრუის მწვერვალისკენ - სპირიტიზმისაკენ. და თუმცა დღემდე ვერ შეძლო თავისი მიზნის სრულად განხორციელება, მაგრამ დარჩენილ დროში ამასაც მიალწევს. წინასწარმეტყველი ამბობს: "და ვიხილე ურჩხულის პირით და მხეცის პირით და ცრუწინასწარმეტყველთა პირით გამომავალი სამი უწმიდური სული, გომბეშოს მსგავსნი. ესენი ეშმაკის სულები არიან. ისინი ახდენენ სასწაულებს და გამოდიან მთელი ქვეყნის მეფეთა მიმართ,

რათა საბრძოლველად შეკრიბონ ისინი ყოვლისმპყრობელი ღმერთის იმ დიადი დღისათვის" (გამოცხ. 16:13,14). მთელი მსოფლიო ირწმუნებს ამ სიცრუეს, გარდა იმ ადამიანებისა, რომელთაც იცავს ღმერთის ძალა და მისი სიტყვის რწმენა. ბოროტის მიერ მიძინებული კაცობრიობა თავს უშიშრად გრძნობს და მას მხოლოდ ღვთის რისხვის გადმოფრქვევა გაალვიძებს.

უფალი ამბობს: "დავდებ სამართალს ლარად და სიმართლეს - სასწვრად, და სეტყვა წარხოცავს სიცრუის თავშესაფარს და წყალი წაიღებს ტყუილის საფარველს. გაცუდდება თქვენი აღთქმა სიკვდილთან და თქვენი კავშირი შავეთთან ვერ გაძლებს; როცა

წარმხოცელი შოლტი ჩამოივლის, მისი გასათელი შეიქნებით" (ეს. 28:17,18).

თავი 35 სინდისის თავისუფლება საფრთხეშია

თანამედროვე პერიოდში პროტესტანტები უფრო კეთილგანწყობილნი არიან რომის კათოლიკური ეკლესიისადმი, ვიდრე წარსულში. იმ ქვეყნებში, სადაც არ შეინიშნება კათოლიკეთა ალმავლობა და პაპის თანამოაზრენი შედარებით შემრიგებლურ პოლიტიკას ეწევიან, რათა უფრო განამტკიცონ თავიანთი პოზიციები, ხშირად გვხვდება ღრმად ფესვგადგმული გულგრილობა იმ საკითხის მიმართ, თუ რით გამოიყოფა პროტესტანტული ეკლესია პაპის იერარქიისაგან. თანდათანობით სულ უფრო ვრცელდება აზრი იმის შესახებ, რომ

ბოლოს და ბოლოს, ჩვენი უთანხმოება ძირითად საკითხებში არც თუ ისე დიდია, როგორც ადრე გვეჩვენებოდა და რომ ჩვენი მხრიდან უმნიშვნელო დათმობა ხელს შეუწყობს რომთან ურთიერთგაგებას. იყო დრო, როდესაც პროტესტანტები დიდად აფასებდნენ სინდისის თავისუფლებას, რომელიც ასე სისხლის ფასად მოიპოვეს. ისინი თავიანთ შვილებს უნერგავდნენ სიძულვილს პაპის მმართველობისადმი და რომთან თანხმობას ღმერთის ღალატად თვლიდნენ. მაგრამ დღეს სულ სხვა აზრები გამოითქმის.

პაპის ქომაგნი აცხადებენ, რომ ეკლესიას ცილი დასწამეს და პროტესტანტული სამყაროც მზად

არის, დაეთანხმოს ამას. ბევრი თვლის, რომ უსამართლობაა თანამედროვე ეკლესიის შესახებ მსჯელობა იმ სისაძაგლისა და უაზრობის გამო, რომლითაც პაპის ეკლესიის მმართველობა სიბნელისა და უმეცრების პერიოდში ალინიშნებოდა. ისინი ეკლესიის საშინელ სისასტიკეს იმ ეპოქის ბარბაროსული ზნეობით ამართლებენ და ხაზგასმით ალნიშნავენ, რომ თანამედროვე ცივილიზაციის გავლენამ შეცვალა ეკლესიის დამოკიდებულება ბევრი რამის მიმართ.

ნუთუ ადამიანებს დაავიწყდათ, რომ ეს ქედმაღლური ძალაუფლება რვა საუკუნის განმავლობაში პრეტენზიებს აცხადებდა თავის

შეუცდომლობაზე და უცოდველობაზე? პაპის მიმდევართ არასოდეს უფიქრიათ თავიანთი უფლებების დათმობაზე და ეს უფრო მეტად მეცხრამეტე საუკუნეში დადასტურდა. თუკი რომი ამტკიცებს, რომ "ეკლესია არასოდეს შემცდარა და წმიდა წერილის თანახმად, არასოდეს შეცდება", მაშინ როგორ შეუძლია განუდგეს იმ პრინციპებს, რომლითაც გასულ საუკუნეებში ხელმძღვანელობდა?

პაპის ეკლესია არასოდეს დათმობს თავის უფლებას შეუცდომლობაზე. იგი დღესაც ამართლებს გასულ საუკუნეებში იმ ადამიანთა დევნას, რომლებიც მის დოგმებს არ ეთანხმებოდნენ და განა იგივეს არ გაიმეორებს, თუკი ამის

შესაძლებლობა მიეცემა? აბა, უარი თქვან მთავრობებმა მის მიმართ შემოღებულ შეზღუდვებზე და დაუბრუნონ რომს ძველი უფლებები - მაშინვე განახლდება დევნა და ტირანია.

ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალი ასე ამბობს სინდისის თავისუფლების მიმართ პაპის იერარქიის დამოკიდებულებაზე და იმ საშიშროებაზე, რომელიც პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებს ემუქრება პაპის პოლიტიკის წარმატების შემთხვევაში.

"ძალიან ბევრი ამერიკის შეერთებულ შტატებში კათოლიკური ეკლესიის წინაშე შიშს ფანატიზმს ან ბავშვურ მიამიტობას მიაწერს. ისინი კათოლიკეთა ხასიათსა და მათ

წესდებებში ჩვენი თავისუფლების ინსტიტუტის მიმართ ვერ ხედავენ რაიმე საგანგაშოს და მტრულს და ვერაფერს ხედავენ ცუდს ამ ეკლესიის ალმავლობაში. მოდით, შევადაროთ ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები კათოლიკური ეკლესიის პრინციპებს.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია სინდისის თავისუფლების გარანტიაა, ამაზე მნიშვნელოვანი და ძირეული არაფერია. პაპი პიი IX თავის ენციკლიკეში, რომელიც დათარიღებულია 1854 წ. 15 აგვისტოთი, აცხადებს: "ერეტიკული და აბსურდული დოქტრინები ან ბოდვა სინდისის თავისუფლების დაცემის შესახებ ყველაზე საშიში

ერესია. ეს არის შავი ჭირი, ყველაზე დიდი საშიშროება სახელმწიფოსათვის". იგივე პაპმა 1864 წ. 8 დეკემბრის ენციკლიკეში ანათემას გადასცა "ყველა, ვინც იბრძვის სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისათვის", აგრეთვე "ყველა, ვინც თვლის, რომ ეკლესიამ არ უნდა გამოიყენოს ძალა".

რომის შემრიგებლური ტონი ამერიკის შეერთებულ შტატებში არ მოწმობს პაპის მმართველობის წესთა შეცვლას. კათოლიკური ეკლესია მოთმინებას იჩენს იქ, სადაც თავად უძლურია. აი, რას ამბობს ეპისკოპოსი ო,კონორი: "ჩვენ უდრტვინველად ვითმენთ რელიგიის თავისუფლებას მანამ, სანამ საწინააღმდეგო პრინციპებით არ შევცვლით მას ისე,

რომ კათოლიკური სამყარო არ დაზარალდეს". სენტ-ლუისის არქიეპისკოპოსმა ერთხელ თქვა: "ერესი და ურწმუნოება - ეს დანაშაულია. და ქრისტიანულ ქვეყნებში, ისეთებში, როგორიცაა იტალია და ესპანეთი, სადაც ყოველი მოქალაქე კათოლიკეა და კათოლიკური რელიგია მათი კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილია, ისევე ისჯება, როგორც სხვა დანაშაულობანი".

"კათოლიკური ეკლესიის ყოველი კარდინალი, არქიეპისკოპოსი და ეპისკოპოსი დებს ფიცს პაპის ერთგულებაზე, რომელშიც ასეთი სიტყვებია: "მე ვიღებ ვალდებულებას, მთელი ძალები მოვახმარო ერეტიკოსთა,

გამთიშველთა და ურჩთა დევნას, რომლებიც არ ემორჩილებიან ჩვენს მბრძანებელს /პაპს/ ან მის მემკვიდრეთ".

რასაკვირველია, რომის კათოლიკურ ეკლესიაში ნამდვილი ქრისტიანებიც არიან. ათასობით ადამიანი, რომელიც ამ ეკლესიას მიეკუთვნება, ემსახურება ღმერთს იმ ნათლით, რაც გააჩნია. მათ არა აქვთ ღვთის სიტყვის თავისუფლად შესწავლის უფლება და ამის გამო არ იცნობენ ჭეშმარიტებას. მათ არასოდეს უნახავთ განსხვავება უფლისადმი გულწრფელ მსახურებასა და უბრალო ფორმალური წესების აღსრულებას შორის. უფალი თანაუგრძნობს ამ ადამიანებს აღზრდილთ

ცრურწმენაში, რომელიც სულს ვერ ასაზრდოებს. იგი აუცილებლად ეცდება თავისი ნათელი სხივებით გაფანტოს მათ გარს შემოხვეული წყვდიადი, შემცდართ დაანახოს ჭეშმარიტება, როგორია იგი იესოში და მრავალი მათგანი შეუერთდება უფლის ხალხთა რიგებს.

კათოლიკური მსოფლმხედველობა დღესაც ისევე შეუთავსებელია ქრისტეს სახარებასთან, როგორც წარსულში. პროტესტანტული ეკლესიები ისევ ღრმად ცდებიან (და ეს მათ არ ეპატიებათ); წინაალმდეგ შემთხვევაში, დროის ნიშნებს გამოიცნობდნენ. კათოლიკურ ეკლესიას დიდი სამომავლო გეგმები და მოქმედების განსაკუთრებული მეთოდები აქვს. იგი თავისი

გავლენის სფეროთა
გაფართოებისათვის და თავის
ძალაუფლების განმტკიცებისათვის
ყოველგვარ საშუალებას იყენებს. ის
ემზადება სასტიკი და გადამწყვეტი
ბრძოლისათვის, რათა აღადგინოს
მსოფლიოზე ბატონობის უფლება,
რომელიც პროტესტანტიზმის
მიღწევების დევნისა და
განადგურების განახლებას
ითვალისწინებს. კათოლიციზმს
ყველა ფრონტზე მიაქვს იერიში.
შეხედეთ, როგორ იდგამს ფეხს ეს
ეკლესია პროტესტანტულ ქვეყნებში.
შეხედეთ, რა პოპულარობით
სარგებლობს მისი კოლეჯები და
სემინარიები ამერიკაში, სადაც
ძირითადად პროტესტანტული
ხელისუფლებაა. ნახეთ,

თანდათანობით როგორ მიილტვიან ცერემონიებისაკენ ინგლისში, სადაც ძალზე გახშირდა კათოლიკურ ეკლესიებში გადასვლის ფაქტები. სინდისის თავისუფლება საფრთხეშია! ეს საგანგაშო უნდა იყოს ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია სახარების წმიდა პრინციპები.

პროტესტანტები უახლოვდებიან პაპისტებს და იცავენ მათ; ისინი ისეთ დათმობებზე და შეთანხმებებზე მიდიან, რომელიც თვით კათოლიკეთა გაკვირვებას იწვევს, მიზეზი კი ვერ გაუგიათ. ადამიანები თვალს ხუჭავენ კათოლიციზმის ჭეშმარიტ ხასიათზე და იმ საშიროებაზე, რომელიც მისი ბატონობის შემთხვევაში ემუქრებათ.

ხალხი უნდა გამოფხიზლდეს, რათა წინაალმდეგობა გაუწიოს სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლების ამ მეტად საშიში მტრის შემოტევას.

ბევრი პროტესტანტი თვლის, რომ კათოლიკურ რელიგიას არ გააჩნია მიმზიდველობა, რომ მისი მსახურება - მოსაწყენი და უშინაარსო ცერემონიაა. მაგრამ ისინი ღრმად ცდებიან. თუმცა კათოლიციზმი სიცრუეს ეყრდნობა, მაგრამ ამ სიცრუეს ვერ უწოდებ ვერც უხეშსა და ვერც არასასიამოვნოს. რომის ეკლესიის რელიგიური მსახურება მეტად შთამბეჭდავი ცერემონიებია. მათი დიდებულება და ბრწყინვალება უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანთა გრძნობებზე, მათი

სინდისისა და გონების ხმას კი ახშობს და ადუნებს. დიდებული ტაძრები, სადღესასწაულო პროცესიები, ოქროთი მოელვარე საკურთხევლები, ძვირფასი ქვებით მორთული აკლდამები, გენიალურ მხატვართა ხელით შექმნილი სურათები, მარმარილოს სკულპტურები, უბადლო მუსიკა - ეს ყველაფერი მშვენიერებისადმი სიყვარულზე მეტყველებს. ორღანის გულში ჩამწვდომი ტკბილი მუსიკა მგალობელთა ხმებთან ერთად სცილდება ტაძრების დიდებულ გუმბათებს და ადამიანთა გულებს სიწმიდისა და მოწიწების გრძნობით ალავსებს და ამ დიდების შემხედვარე არავინ რჩება გულგრილი.

ეს გარეგნული დიდებულება, ბრწყინვალება და ცერემონიები მხოლოდ ცოდვით დამძიმებულ სულთა აბუჩად აგდებაა და თვალნათლივ მოწმობენ შინაგან გახრწნილებაზე. ქრისტეს რელიგია არ საჭიროებს ასეთ მდიდრულ სამოსელში გახვევას. მისი ჯვრის ნათელში მდგარი ჭეშმარიტი ქრისტიანობა ისეთი წმიდა და სიყვარულით აღსავსეა, რომ ვერავითარი გარეგნული მორთულობა ვერ შეედრება მის ჭეშმარიტ ღირსებას. მორჩილი და მშვიდი სულის წმიდა სილამაზე - აი, რა არის ღმერთისთვის ყველაზე ძვირფასი.

გარეგნული ბრწყინვალება არ არის ნიშანი წმიდა, ამაღლებული

აზრებისა. ხელოვნების უმაღლესი შეგრძნება, დახვეწილი გემოვნება ხშირად თან ახლავს მგძნობიარე და თავაშვებულ ადამიანებს. სატანა მიმართავს ასეთ ხრიკებს, რათა ადამიანებს დაავიწყოს თავიანთი სულიერი მოთხოვნილებები, მომავალი, საუკუნო სიცოცხლე, რათა ზურგი აქციონ მხსნელს, მარად ცოცხალ შემწეს და მხოლოდ ამ წუთისოფლისთვის იცხოვრონ.

გული, რომელსაც განახლება არ განუცდია, შეიძლება გაიტაცოს რელიგიის გარეგნულმა ფორმებმა. კათოლიკური ეკლესიის მსახურების დიდებულება და ცერემონიები დიდად მაცდუნებელი, ჯადოსნური ძალაა, რომელმაც მრავალი უკვე აცდუნა კიდეც. ადამიანები მოდიან

კათოლიკურ ეკლესიაში, როგორც სასუფევლის ჭეშმარიტ კარიბჭესთან. მხოლოდ მათ, ვინც იცის ჭეშმარიტების საფუძველი და ვისი გულიც სულიწმიდითაა განახლებული, ვერ სწვდება მისი ზეგავლენა. ათასობით ადამიანი, რომელსაც არა აქვს პრაქტიკული, პირადი ცოდნა ქრისტეს შესახებ, გაებმება გარეგნული ღვთისმოსაობის ხლართებში. ბევრი სწორედ ასეთი რელიგიითაა გატაცებული.

რადგანაც კათოლიკური ეკლესია აცხადებს, რომ იგი უფლებამოსილია, მიუტევოს ცოდვები, მისი მიმდევრები ფიქრობენ, რომ თავისუფლად შეიძლება დანაშაულის ჩადენა, ხოლო ალსარების ცერემონია, რომლის

გარეშეც ეკლესია არ მიუტევებს, თითქოს ადამიანებს ბოროტების ჩადენის ნებას აძლევს. ის, ვინც მუხლს იყრის დაცემული ადამიანის წინაშე, ანდობს მას თავის საიდუმლოებას და გულისნადებს, ამით თავის ადამიანურ ღირსებას კარგავს და სულის კეთილშობილურ სურვილებს ამდაბლებს. აღიარებს რა თავის ცოდვას მღვდლის, თავად ცოდვილის, ცდომილი მოკვდავის, ხშირად ლოთობით და გარყვნილებით დამახინჯებული სულის წინაშე, ადამიანი ამცირებს მოთხოვნას საკუთარი თავისადმი და მისი სინდისი იბღალება. მისი ღმერთზე წარმოდგენა დაცემულ ადამიანზე წარმოდგენას უტოლდება იმიტომ, რომ მათ წინაშე მღვდელი

ღმერთის წარმომადგენელია. ეს მეტად დამამცირებელი აღსარება ერთი ადამიანისა მეორის წინაშე სწორედ ის საიდუმლო წყაროა, საიდანაც მოედინება ბოროტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც რყვნის კაცობრიობას და მას საბოლოო დაღუპვისაკენ უბიძგებს. რასაკვირველია, მათთვის, ვისაც მანკიერება უყვარს, უფრო ადვილი და მოსახერხებელია აღსარების თქმა მოკვდავი ადამიანის წინაშე, ვიდრე გულის გახსნა ღმერთის წინაშე. ადამიანური ბუნებისათვის ეპიტიმიის მიღება უფრო ადვილია, ვიდრე ცოდვაზე უარის თქმა. ადამიანისათვის უფრო ადვილია ჯვალოში გახვევა, თვითგვემა და სხვა წვალება, ვიდრე ხორციელი ვნებების

ჯვარცმა. ხორციელი გული მზად არის, ატაროს მძიმე ტვირთი ნაცვლად იმისა, რომ მუხლი მოიყაროს ქრისტეს ტვირთის წინაშე.

კათოლიკური ეკლესია ძალიან ჰგავს ქრისტეს დედამიწაზე პირველი მოსვლის პერიოდის იუდეველთა ეკლესიას. იმ დროს, როდესაც იუდეველნი ფარულად ფეხქვეშ თელავდნენ ღმერთის მცნებათა ყოველ პრინციპს, გარეგნულად მკაცრად იცავდნენ ყოველ კანონს, რომელსაც მრავალი კონკრეტული წესითა და ტრადიციით ტვირთავდნენ, რაც კანონისადმი მორჩილებას მეტად ამძიმებდა და მტკივნეულს ხდიდა. იუდეველთა მსგავსად, რომელნიც უფლის კანონებზე მოწიწებით

ლაპარაკობდნენ, კათოლიკეებიც ამტკიცებენ, რომ ისინი ქედს იხრიან ჯვრის წინაშე, ადიდებენ ქრისტეს ტანჯვათა სიმბოლოს და ამავე დროს, თავიანთ ცხოვრებაში უარყოფენ მას, ვინც ზედ იყო ჯვარცმული.

კათოლიკეთა ეკლესიებზე, საკურთხევლებზე და სამოსელზე ჯვარია გამოსახული. ყველგან შეიძლება დაინახო ჯვრის ნიშანი. გარეგნულად ჯვარი პატივცემული და განდიდებულია. მაგრამ ქრისტეს სწავლება ურიცხვი ტრადიციების, ცრუ სწავლებისა და მკაცრი ფორმალურობის სიმრავლის ქვეშაა დამარხული. ფანატიკოს იუდეველებისადმი მიმართული მაცხოვრის სიტყვები კიდევ უფრო მისაღებია რომის კათოლიკური

ეკლესიისათვის: "კრავენ მძიმე ტვირთს და ზურგზე ჰკიდებენ ადამიანებს, თავად კი თითითაც არ სურთ მათი დაძვრა" (მათ. 23:4). პატიოსანი ადამიანები შეურაცხყოფილი ღმერთის რისხვის წინაშე მუდმივი შიშის ქვეშ ჰყავთ იმ დროს, როცა ეკლესიის მრავალი მსახური ფუფუნებაში ცხოვრობს და მიწიერ, ამქვეყნიურ განცხრომას ეძლევა.

წმიდა წერილებისა და გამოსახულების თაყვანისცემა, წმიდანთა ქომაგობა, პაპის განდიდება - ყოველივე ეს სატანის ფანდებია, მიმართული იმისაკენ, რომ მოწყვიტოს ხალხი უფალსა და მის ძეს. ცდილობს რა ადამიანთა საბედისწერო უფსკრულში

გადაჩეხვას, სატანა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ადამიანთა ყურადღება ააცილოს მას, ერთადერთს, რომელსაც მათი გადარჩენა შეუძლია. იგი ყველა გზას უჩვენებს მათ, გარდა უფლისა, რომელმაც თქვა: "მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ" (მათ. 11:28).

სატანა მუდამ ცდილობს, ცრუდ წარმოსახოს უფლის ხასიათი, ცოდვის არსი და დიადი ბრძოლის ჭეშმარიტი მიზეზები და შედეგები. თავისი მზაკვრული მოქმედებებით იგი ცდილობს ადამიანთა პასუხისმგებლობის შემცირებას უფლის წინაშე, რითაც მათ ცოდვისაკენ უხსნის გზას. ამავე დროს

იგი ისეთ მცდარ წარმოდგენას ქმნის ღმერთზე, რომ სიყვარულის ნაცვლად ადამიანებს მის მიმართ შიშისა და სიძულვილის გრძნობა ებადებათ. მზაკვარი თავის სისასტიკეს უფალს მიაწერს, ამიტომ გამოსჭვივის იგი ეკლესიების მრავალ სწავლებაში და მსახურების ფორმებში. ამგვარად ადამიანები უკვე ველარ არჩევენ, სად არის ჭეშმარიტება და სად - სიცრუე, სატანა კი მათ თავის მეკავშირეებად ხდის უფლის წინაალმდეგ ბრძოლაში. უფლის ხასიათის დამახინჯებულმა გაგებამ მიიყვანა წარმართები იმ რწმენამდე, რომ უფლის გულის მოსაგებად ადამიანის მსხვერპლია საჭირო და ამის გამო კერპთაყვანისმცემლობის

საფარველქვეშ სასტიკი, საშინელი საქმეები ხდებოდა.

რომის კათოლიკური ეკლესია, რომელიც წარმართობისა და ქრისტიანობის ნაერთია, წარმართთა მსგავსად ამახინჯებს უფლის ხასიათს და ისეთივე შეურიგებლობასა და სისასტიკეს იჩენს. პაპის ბატონობის დროს მისი ეკლესია თავის სწავლებას წამების იარაღებით თავს აძვევდა ხალხს. კოცონზე დაწვა ელოდა მას, ვინც უარს იტყოდა მის მორჩილებაზე. მხოლოდ სამსჯავროს დღეს გახდება ნათელი, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპა ჭეშმარიტებისათვის. ეკლესიის მსახურნი სატანის დახმარებით წამების ისეთ იარაღს იგონებდნენ, რომელიც საშინელ

ტანჯვას აყენებდა მსხვერპლს, მაგრამ სიცოცხლეს არ ხელყოფდა. ჯოჯოხეთური წამება გრძელდებოდა მანამ, სანამ ადამიანს გაძლება შეეძლო, შემდეგ კი ორგანიზმი ნებდებოდა, ხოლო მოწამე ეგებებოდა სიკვდილს, როგორც ნანატრ ხსნას.

ასეთი ბედი ელოდა რომის ყველა მოწინააღმდეგეს. ამ ეკლესიის ერთგულთა თავზე სასტიკი დისციპლინის მათრახი ტრიალებდა სულისამომხდელი მარხვებითა და ყოველგვარი თვითგვემის სახით. ზეცის წყალობის მოპოვებისათვის მონანიე ცოდვილნი უფლის კანონს ბუნების კანონის უგულვებელყოფით არღვევდნენ. ადამიანებს ასწავლიდნენ ყოველივე იმის უარყოფას, რაც უფალმა სიხარულისა

და ბედნიერებისათვის შექმნა. ეკლესიის სასაფლაოებზე დაკრძალული იყო მილიონობით ადამიანი, რომელიც ამაოდ ებრძოდა თავის ბუნებრივ მიდრეკილებას, რათა რომელიმე მიწიერი გრძნობებით არ გამოეწვია ღვთის რისხვა.

საკმარისია მხოლოდ ერთი თვალის გადავლება კათოლიციზმის ისტორიაზე, რათა ჩავწვდეთ სატანის ბოროტებისა და გულგრილობის საშინელ სისასტიკეს, რომელიც მთელი საუკუნეების მანძილზე ვლინდებოდა არა იქ, სადაც არასოდეს არაფერი გაეგონათ ღმერთზე, არამედ შუაგულ საქრისტიანოში და მის საზღვრებში. სიცრუეთა სასწაულებრივი სისტემის

საშუალებით ბნელეთის მეფე აღწევს თავის მიზანს: შეურაცხყოფს უფალს და კაცობრიობას უბედურებისა და ტანჯვისაკენ უბიძგებს. და თუკი შევამჩნევთ, თუ რამდენად წარმატებით მოქმედებს იგი ნიღაბაფარებულ ეკლესიის ხელმძღვანელთა მეშვეობით, მაშინ უკეთესად გავიგებთ მისი ბიბლიისადმი ასეთი დიდი სიძულვილის მიზეზს. ამ წიგნის შესწავლისას თვალი გვეხილება უფლის სიყვარულსა და მის წყალობაზე; ნათელი ხდება, რომ უფალი არავის აკისრებს ისეთ ტვირთს, რომლის ტარებაც მას არ შეუძლია. იგი ადამიანს მხოლოდ ერთ რამეს სთხოვს: მორჩილ,

სინანულით ალსავსე გულსა და თავმდაბალ, მშვიდ სულს.

ქრისტეს ცხოვრებაში არ მოიძებნება არც ერთი შემთხვევა, რომ მას ქალის ან მამაკაცისათვის ერჩიოს მონასტერში აღკვეცა მარადიული სიცოცხლისათვის მოსამზადებლად. იგი არასოდეს ასწავლიდა, რომ ადამიანმა საკუთარ თავში უნდა ჩაიხშოს მოწყალებისა და სიყვარულის გრძნობა. მაცხოვრის გული მუდამ სიყვარულით იყო ალსავსე. რაც უფრო უახლოვდება ადამიანი ზნეობრივ სრულყოფას, მით უფრო ფაქიზია მისი გრძნობები, მძაფრია მის მიერ ცოდვის აღქმა და მით უფრო სრულად ვლინდება მისი თანაგრძნობა ცოდვით დამძიმებულთა მიმართ. პაპი

აცხადებს, რომ იგი არის ქრისტეს ნაცვალი დედამიწაზე, მაგრამ გაუძლებს კი იგი ამ შედარებას ჩვენს მაცხოვართან? განა ქრისტე ხალხს საპყრობილეებში ყრიდა ან საწამებლად იმეტებდა ვინმეს იმისთვის, რომ პატივი არ მიაგეს მას, როგორც ზეციურ ხელმწიფეს? განა სიკვდილი მიუსაჯა მათ, ვინც არ მიიღეს იგი? ერთხელ, როდესაც სამარიის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებმა უარი თქვეს მის მოსმენაზე, ალშფოთებულმა იოანემ წამოიძახა: "უფალო! თუ გნებავს, ვიტყვით, რომ ცეცხლი ჩამოვიდეს ციდან და მოსპოს ისინი, როგორც ელიამ გააკეთა" (ლუკ. 9:54). მაგრამ იესომ თანაგრძნობითა და საყვედურით ამხილა მათი სისასტიკე

და წყრომით უთხრა: "ძე კაცისა მოვიდა არა ადამიანთა სულების დასაღუპავად, არამედ სახსნელად!" (ლუკ. 9:56). როგორ არა ჰგავს ქრისტე ე.წ. თავის "შემცვლელს" დედამიწაზე!

დღეს რომის ეკლესია ფართო კეთილგანწყობის ღიმილით ცდილობს აიძულოს მსოფლიო, დაივიწყოს კათოლიკეთა მიერ წარსულში ჩადენილი საშინელებები. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იგი ქრისტიანულ სამოსელში გაეხვია, მისი არსი იგივე რჩება. პაპის მმართველობის ადრე არსებული ყოველი პრინციპი დღესაც ძალაშია. შუა საუკუნეების ბნელ პერიოდში ჩამოყალიბებული ყოველი სწავლება დღესაც არსებობს. ნურავინ

ცდუნდება. პაპის მმართველობა, რომლისკენაც ხელს იწვდიან დღევანდელი პროტესტანტები, იგივე დარჩა, როგორიც იყო რეფორმაციამდე, როცა უფლის რჩეულებმა საკუთარი სიცოცხლის ხიფათში ჩაგდების გზით ამხილეს მისი ურჯულოება. მან შეინარჩუნა ადრინდელი სიამაყე და თავისი ქედმაღლური პრეტენზიები, რომლის გამოც აიმაღლა თავი ყველა სამეფო და სახელმწიფო ძალაუფლებაზე და მიითვისა უფლის ძალაუფლება. სული, რომელიც პაპის მმართველობაში დღესაა გაბატონებული, არაფრით განსხვავდება იმ სისასტიკისა და დესპოტიზმისაგან, რომლითაც თრგუნავდა ადამიანის

თავისუფლებას და ანადგურებდა ღვთის მართალ შვილებს.

პაპის მმართველობა არის სწორედ ის, რასაც წინასწარმეტყველებაში ბოლო ჟამის განდგომილება ეწოდება. მისი პოლიტიკა მეტად მოქნილია, იგი ისეთ სახეს ღებულობს, რომელიც საუკეთესო შესაძლებლობას მისცემს თავისი მიზნების განხორციელებისათვის. მაგრამ ქამელეონის ნებისმიერი ნიღბის ქვეშ უცვლელადაა დამალული გველის სასიკვდილო შხამი. პაპისტები აცხადებენ: "რწმენის პრინციპები არ უნდა იყოს დაცული ერეტიკოსთა და იმ პირთა მიმართ, რომელნიც ერესში არიან ეჭვმიტანილნი". ის ძალაუფლება, რომლის ისტორია საუკუნეების მანძილზე წმიდანთა

სისხლით იწერებოდა, უნდა ჩაითვალოს თუ არა ქრისტეს ეკლესიის ნაწილად?

საფუძველსმოკლებული არაა პროტესტანტული ქვეყნების მტკიცება იმის შესახებ, რომ ჩვენს დღეებში კათოლიციზმი ისე მკვეთრად ალარ განსხვავდება პროტესტანტიზმისაგან, როგორც წარსულში. დიახ, ცვლილება მართლაც მოხდა, მაგრამ არა პაპის მმართველობაში. კათოლიციზმს და თანამედროვე პროტესტანტიზმს შეხების ბევრი წერტილი აქვთ, მაგრამ ეს იმის გამო ხდება, რომ პროტესტანტიზმი ძლიერ დაეცა რეფორმაციის პერიოდთან შედარებით.

რადგან პროტესტანტული ეკლესიები ცდილობდნენ

კაცობრიობის კეთილგანწყობის მოპოვებას, ამიტომ საკუთარმა სათნოებამ დააბრმავა ისინი. პროტესტანტები ვერ გარკვეულან, თუ რატომ არ შეიძლება იყო დამთმობი ბოროტების მიმართ და დაუფიქრებლად ღებულობენ ბოროტებას სიკეთედ. იმის ნაცვლად, რომ დღეს დაიცვან და დაიბრუნონ "რწმენა, რომელიც თავიდან მიიღეს წმიდებმა", ისინი პატიებას სთხოვენ რომს თავიანთი პროტესტის გამო და მიტევებას - თავისი ფანატიზმისათვის.

მათაც კი, ვინც მტრულად უყურებს კათოლიციზმს, ძალზე მცირე წარმოდგენა აქვთ იმ დიდ საშიშროებაზე, რომელიც მის ძალასა და გავლენაშია ჩამალული. ბევრი

დღესაც ამტკიცებს, რომ შუა საუკუნეებში გამეფებული ინტელექტუალური და სულიერი სიბნელე ხელს უწყობდა კათოლიციზმის დოგმების, ცრურწმენის გავრცელებას და მისი სისასტიკის გამოვლენას. მაგრამ დღეს, ამბობენ ისინი, რელიგიურ საკითხებში განათლების, კულტურისა და ლიბერალიზმის ზრდა ბარიერია ტირანიისა და გაუტანლობის წინაშე. და თვით ის აზრი, რომ ჩვენს განათლებულ საუკუნეში შეიძლება მოხდეს ასეთი რამ, სასაცილოდ ეჩვენებათ. ვერ უარყოფენ იმას, რომ ჩვენი თაობისათვის მეცნიერება, რელიგია და მორალი კაშკაშა სინათლით არის მოსილი. წმიდა წერილის

ფურცლებიდან კაცობრიობას ღვთის ზეციური ნათელი მოეფინა, მაგრამ ნურასდროს დაგვავიწყდება, რომ რაც უფრო დიდია ნათელი, მით უფრო დიდია წყვდიადი მათთვის, ვინც მისგან შორს დგას და თავს არიდებს მის სხივებს.

პროტესტანტები ლოცვით რომ ჩალრმავებოდნენ ბიბლიის შესწავლას, მიხვდებოდნენ პაპის მმართველობის ჭეშმარიტ ხასიათს და ეცოდინებოდათ, როგორ მოიქცნენ. მაგრამ ძალიან ბევრი ისეა დარწმუნებული თავის სიბრძნეში, რომ უფლისა და მისი ჭეშმარიტების მორჩილებით ძებნის არავითარი სურვილი არა აქვს. თუმცა ისინი ამაყობენ თავიანთი განათლებით, მაგრამ არ იციან წმიდა წერილი და

არც უფლის ძალას ცნობენ. ისინი მხოლოდ იმისკენ ისწრაფვიან, რაც სინდისს დაუმშვიდებს; მოსწონთ ყველაფერი ის, რაც ნაკლებ მორჩილებასა და სულიერებას მოითხოვს; თავად ღმერთის დავიწყება სურთ, მაგრამ ხალხს აჩვენებენ, თითქოს ახსოვთ იგი. პაპის სარწმუნოება სწორედ ზედგამოჭრილია მათთვის. იგი პასუხობს ორი კატეგორიის ადამიანთა გულისთქმას: მათ, ვისაც საკუთარი საქმეებით გადარჩენის იმედი აქვთ და მათ, ვისაც სწამს, რომ ცოდვაში მყოფნიც გადარჩებიან. სწორედ ამაშია პაპის რელიგიის პოპულარობის მთელი საიდუმლო.

როგორც ვთქვით, ღრმა უმეცრების პერიოდმა ხელი შეუწყო პაპის

მმართველობის წარმატებით განვითარებას. მაგრამ სულ მალე დავინახავთ, რომ უდიდესი სინათლის პერიოდიც ზუსტად ასევე შეუწყობს ხელს მას. გასულ საუკუნეებში ადამიანები ღვთის სიტყვისა და მისი ჭეშმარიტების ცოდნის გარეშე ცხოვრობდნენ და სულიერად გაყინული იყვნენ. ისინი ბრმად იყვნენ გახვეული ცდუნების ბადეში. დღესაც ბევრია ადამიანური თეორიების, ე.წ. "ცრუ მეცნიერების" ბრწყინვალებით დაბრმავებული. ისინი ვერ ხედავენ მათ წინ დაგებულ მახეს და ადვილად ებმებიან მასში. უფლის ჩანაფიქრით, ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ მისი გონიერების ძალა ღვთის ბოძებული ნიჭია და იგი სიმართლისა და ჭეშმარიტების

სამსახურს უნდა მიეძღვნას, მაგრამ როდესაც ადამიანი თავისი სიამაყისა და ამპარტავნობის გამო საკუთარ თეორიებს ღვთის სიტყვაზე მაღლა აყენებს, მაშინ განათლებამ, შეიძლება, უფრო მეტი ვნება მიაყენოს, ვიდრე უვიცობამ. ამგვარად, თანამედროვე "ცრუ მეცნიერება", რომელიც ბიბლიურ რწმენას უკარგავს ადამიანებს, დიდი წარმატებით უკვალავს გზას პაპის რელიგიას მთელი თავისი ბრწყინვალე ცერემონიებით, ისევე, როგორც შუა საუკუნეებში უცოდინრობა და სიბნელე ხელს უწყობდა მის ზრდასა და განვითარებას.

ცდილობენ რა სახელმწიფო ხელისუფლების მხარდაჭერით

უზრუნველყონ საეკლესიო დაწესებულებები ამერიკის შეერთებულ შტატებში, პროტესტანტები კათოლიკეთა ნაკვალევს მიჰყვებიან. უფრო მეტიც; ისინი გზას უხსნიან პაპის მმართველობას პროტესტანტულ ამერიკაში გაბატონებისათვის, რომელიც ადრე მას დაკარგული ჰქონდა. ამ მოძრაობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისი მთავარი დაფარული მიზანი, სახელდობრ: კვირა დღის აუცილებელი დაცვა, რომლის სათავეც რომიდან მოდის და რომელსაც კათოლიკური ეკლესია თავისი ძალაუფლების სიმბოლოდ თვლის. პაპიზმის სული, - ეს ამქვეყნიურ ადათ-წესებთან თანხმობის სულია, რომელიც

ადამიანურ გადმოცემებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე უფლის კანონს. ამ სულმა პროტესტანტულ ეკლესიებშიც შეაღწია, სადაც იგი ისევე ნერგავს კვირა დღის განდიდებასა და პატივისცემას, როგორც ამას თავის დროზე პაპის რელიგია აკეთებდა.

თუკი მკითხველს სურს იცოდეს, რა ძალები იქნება ჩართული მომავალ ბრძოლაში, მაშინ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ რა მეთოდებით სარგებლობდა რომი ამგვარი მიზნების მისაღწევად გასულ საუკუნეებში. და თუკი შენ, ძვირფასო მკითხველო, გექნება სურვილი გაიგო, თუ როგორ გამოვლენ კათოლოკეებთან გაერთიანებული პროტესტანტები

მათი დოგმების უარმყოფელთა წინაალმდეგ, შეხედე, რა დამოკიდებულებაშია რომი შაბათისა და მისი დამცველების მიმართ.

სამეფო ბრძანებულებები, მსოფლიო საეკლესიო კრებები და საეკლესიო დადგენილებები, რომელთაც მხარს უჭერდა საერო ხელისუფლება, - აი, ეს საფეხურები, რომელთა გავლითაც ამ წარმართულმა დღესასწაულმა დიდების მწვერვალს მიალწია ქრისტიანულ სამყაროში. პირველი სახალხო აქტი, რომლითაც კვირა დღე აუცილებელ საზეიმო დღედ გამოცხადდა, იყო კონსტანტინეს მიერ 321 წელს მიღებული კანონი. ეს ბრძანებულება მოითხოვდა, რომ ქალაქის მცხოვრებთ დაესვენათ

"მზის ღირსეულ დღეს", თუმცა მიწათმოქმედთ ამ დღეს მიწის სამუშაოების შესრულების უფლება ეძლეოდათ. თუმცა ეს წარმართული დღესასწაულია, მაგრამ იგი დაამტკიცა იმპერატორმა, რომელმაც ფორმალურად მიიღო ქრისტიანობა.

მაგრამ იმპერატორის ბრძანება არ ალმოჩნდა საკმარისი ღმერთის მცნების გაუქმებისათვის და სულ მალე რომის ეპისკოპოსმა ევსეიმ, კონსტანტინეს უახლოესმა მეგობარმა და ფავორიტმა, მთავართა უფრო მეტი მხარდაჭერისთვის დაიწყო იმის მტკიცება, რომ თავად ქრისტემ შეცვალა შაბათი კვირა დღით, თუმცა წმიდა წერილში ამის დამამტკიცებელი არც ერთი ტექსტი არ არსებობდა. თვით ევსეიმ შემდგომ

თავისდაუნებურად აღიარა თავისი მტკიცების სიცრუე და მიუთითა მის ჭეშმარიტ ავტორებზე: "ყველაფერი, - თქვა მან, - რისი გაკეთებაც შაბათს არის საჭირო, ჩვენ უფლის დღეზე გადაგვაქვს ". მაგრამ, რამდენადაც უსაფუძვლოა კვირა დღის ზეიმი, იმდენად აბუჩად იქნა აგდებული უფლის შაბათი. ყველამ, ვისაც სურდა წუთისოფლის პატივისცემის დამსახურება, მიიღო ეს დადგენილება.

რაც უფრო ფესვს იდგამდა და მტკიცდებოდა პაპის ხელისუფლება, მით უფრო იზრდებოდა კვირა დღის მნიშვნელობა. თავიდან მინდვრის სამუშაოებით დაკავებული ადამიანები არ დადიოდნენ ეკლესიაში და მათთვის მეშვიდე

დღედ კვლავინდებურად შაბათი რჩებოდა. მაგრამ თანდათანობით, ძირეული გარდაქმნების საფუძველზე წმიდა კანცელარიის მსახურთ აეკრძალათ რაიმე განაჩენის გამოტანა სამოქალაქო საქმეებში კვირა დღეს; მალე გამოვიდა კანონი, რომელიც ამ დღეს ყოველგვარ საქმიანობას კრძალავდა. დარღვევის შემთხვევაში თავისუფალ მოქალაქეს ფულადი ჯარიმა უნდა გადაეხადა, მონებს კი გაროზგვა ელოდათ. მოგვიანებით გამოვიდა ბრძანება, რომლის თანახმადაც კვირა დღეს მუშაობისათვის მდიდრები დაკარგავდნენ თავიანთი ქონების ნახევარს და თუკი მაინც განაგრძობდნენ ჯიუტობას, მონობა ელოდათ. დაბალი ფენებისათვის კი

სამუდამო პატიმრობა იყო დაკანონებული.

თავისი დადგენილებების გასაძლიერებლად ხელისუფლება სასწაულებსაც კი იყენებდა. სხვა სასწაულთა შორის ყვებოდნენ ერთ მხვნელზე, რომელიც კვირა დილას ემზადებოდა ყანის მოსახნავად და გუთანს მიწისაგან რკინის ფირფიტით წმენდდა. ეს ფირფიტა მას ხელში შეერჭო და ორი წლის განმავლობაში ვერაფრით ვერ შეძლეს მისი ხელიდან ამოღება, რაც საშინელი ტკივილებისა და მისი შერცხვენის მიზეზი გახდა.

მოგვიანებით პაპმა გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც მღვდლებს კვირა დღის სიმშვიდის დამრღვევნი უნდა დაერიგებინათ და

დაევალდებულებინათ მოსულიყვნენ ეკლესიაში და ელოცათ, წინაალმდეგ შემთხვევაში ისინი თითქოს დიდ უბედურებას მოუტანდნენ საკუთარ თავსაც და ახლობლებსაც. საეკლესიო საბჭომ წამოაყენა არგუმენტი კვირა დღის სასარგებლოდ, რომელიც შემდგომში პროტესტანტთა შორისაც კი დიდად პოპულარული გახდა. იგი მდგომარეობდა შემდეგში: რადგანაც ადამიანებს, რომელნიც კვირა დღეს მუშაობდნენ, აქვთ მეხის დაცემის შემთხვევები, ეს დღე შაბათ დღედ უნდა ჩაითვალოს. "სრულიად ნათელია, - ამბობდნენ პრელატები, - რომ უფლის რისხვაა მათზე, ვინც უგულვებელყოფს მის დღეს". შემდეგ ყველა მღვდელს, მსახურთ, მონარქებს, მთავართ და მორწმუნეთ

მოუწოდეს - "ყველა ღონე ეხმარათ იმისათვის, რომ სათანადო პატივი ეცათ ამ დღისათვის და ქრისტიანული რწმენის გულისთვის უფრო მეტი ერთგულებით დაეცვათ იგი, რათა დიდი კურთხევა ჰქონოდათ მომავალში".

მაგრამ, ვინაიდან საბჭოების დადგენილება საკმარისი არ ალმოჩნდა, ეკლესიამ დახმარებისათვის სამოქალაქო ხელისუფლებას მიმართა, რის შედეგადაც გამოიცა დადგენილება, რომელიც, სასჯელის მუქარით აიძულებდა ხალხს, შეეწყვიტათ ყოველგვარი მუშაობა კვირა დღეს. რომის სინოდის გადაწყვეტილებით საზეიმოდ დამტკიცდა ყველა გამოტანილი დადგენილება, რაც

საეკლესიო კანონთა ნაწილი გახდა, განმტკიცდა სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერით და მთელ ქრისტიანულ სამყაროს მოახვიეს თავს.

მაგრამ ის ფაქტი, რომ კვირა დღის სასარგებლოდ არ არსებობს არავითარი ბიბლიური მტკიცება, ძალიან ბევრ სიძნელეებს იწვევდა. ხალხს ეჭვი ეპარებოდა თავიანთ მასწავლებელთა უფლებამოსილებაში, რომელთაც უგულვებელყვეს ღმერთის ნათლად ჩამოყალიბებული მოთხოვნები: "მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია" და მზის დღის საზეიმო ალნიშვნა მოისურვეს. საჭიროება მოითხოვდა, როგორმე შეევსოთ ბიბლიური მტკიცებების

არარსებობა. და ამ მიზნით, მეთორმეტე საუკუნის დასასრულს ანგლიკანური ეკლესიები მოინახულა კვირა დღის ერთმა მეტად ერთგულმა დამცველმა. მაგრამ, როდესაც მას ჭეშმარიტების უდავო მტკიცებებით შეხვდნენ და აქ წარმატებას ვერ მიაღწია, დროებით დატოვა ეს ქვეყანა. მალე იგი კვლავ დაბრუნდა ინგლისში წარმატების იმედით და თან ჩამოიტანა თითქოს-და თვით უფლის ხელით ნაწერი პერგამენტის გრაგნილი, რომელიც შეიცავდა ბრძანებას კვირა დღის წმიდად შენახვაზე, აგრეთვე საშინელ მუქარას მათი მისამართით, ვინც უარს იტყოდა ამის შესრულებაზე. ამ "ძვირფასი დოკუმენტის" შესახებ, რომელიც საზიზღარი სიყალბე იყო

და სხვა არაფერი, ნათქვამი იყო, რომ იგი ჩამოვარდა ციდან და ნაპოვნი იქნა იერუსალიმში, წმიდა სიმეონის საკურთხეველზე, გოლგოთაზე, მაგრამ სინამდვილეში, ეს სიცრუე პაპის სასახლეში, რომში დაიბადა. პაპის იერარქია საუკუნეთა განმავლობაში ხშირად მიმართავდა ყოველგვარ მზაკვრობასა და სიყალბეს, რითაც თავის ეკლესიის აყვავებასა და განმტკიცებას ცდილობდა და ეს სირცხვილად არ მიაჩნდა. გრაგნილში მოცემული იყო სამუშაოს დამთავრების მოთხოვნა ცხრა საათიდან, ე.ი. შაბათი დღის დასასრულიდან ორშაბათს მზის ამოსვლამდე. ასეთი მოთხოვნების შესრულების აუცილებლობას თან სდევდა მრავალი სასწაულებრივი

მოვლენა. მაგალითად, ამბობდნენ, რომ ადამიანებს, რომელნიც აკრძალულ დროს მუშაობდნენ, დამბლა დაეცათ. ვილაც მეწისქვილემ წისქვილში მუშაობის დროს შენიშნა, რომ ფქვილის მაგივრად სისხლი წამოვიდა, შემდეგ, მიუხედავად წყლის დიდი ნაკადისა, წისქვილის დოლაბები გაჩერდა. ქალმა, რომელიც კვირა დღეს პურს აცხობდა, გახურებული ღუმელიდან იგი ისევ ცომად ამოიღო. მეორემ კი პირიქით, მოამზადა ცომი, მაგრამ როცა დაინახა, რომ კვირა დღე დგებოდა, პურის გამოცხობა ორშაბათამდე გადადო. მეორე დღეს კი პური გამომცხვარი დახვდა, რაც, რასაკვირველია, უფლის ძალას მიაწერეს. ვილაცამ შაბათს ცხრა

საათის შემდეგ პური გამოაცხო და როდესაც გატეხა, მისგან სისხლი წამოვიდა. კვირა დღის დამცველები ასეთი აბსურდული და არაპატიოსანი გზით ცდილობდნენ მისი სიწმიდის დაფუძნებას.

შოტლანდიაში, ისევე როგორც ინგლისში, კვირა დღისადმი პატივისცემა უფრო მეტად დამკვიდრდა, ვინაიდან მას ძველი შაბათი დღის ნაწილიც შეუერთეს. მაგრამ დრო, რომელიც წმიდად ითვლებოდა, იცვლებოდა. შოტლანდიის მეფემ გამოსცა დეკრეტი: "წმიდა დღე იწყება შაბათს, შუადღის 12 საათიდან და ამ დროიდან ორშაბათ დილამდე არავის აქვს ამქვეყნიური საქმეების კეთების უფლება".

მაგრამ, მიუხედავად კვირა დღის სიწმიდის დამტკიცებისათვის დიდი ძალისხმევისა, თვით პაპის მიმდევრები სახალხოდ აღიარებდნენ შაბათის ღვთიურ ავტორიტეტს და კვირა დღის, როგორც "წმიდა დღის", ადამიანურ წარმოშობას. მე-16 საუკუნეში პაპის საბჭომ განაცხადა: "ყოველ ქრისტიანს უნდა ახსოვდეს, რომ მეშვიდე დღე წმიდა-ჰყო უფალმა და ამ დღეს პატივს სცემდნენ და ინახავდნენ არა მარტო იუდეველები, არამედ ყველა, ვინც მას ემსახურება. თუმცა ჩვენ, ქრისტიანებმა შევცვალეთ შაბათი უფლის დღით"... მათ, ვინც აბუჩად აიგდო უფლის კანონი, ეს არ მოსვლიათ თავიანთი ჩადენილი საქმეების მიმართ უვიცობის გამო.

ისინი საკუთარ თავს სრულიად შეგნებულად აყენებდნენ ღმერთზე მაღლა.

სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანთა მიმართ რომის დამოკიდებულების საოცარ სურათს წარმოადგენს ვალდენსთა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი დევნა, რომლებიც იცავდნენ ღვთის წმიდა შაბათს. იყვნენ სხვა ადამიანებიც, რომელთაც სიცოცხლე დაკარგეს მეოთხე მცნების ერთგულების გამო. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეთიოპიის ეკლესიების ისტორია. შუა საუკუნეების შავბნელ პერიოდში ცენტრალური აფრიკის ქრისტიანები დაიკარგნენ თვალთახედვის არედან და კაცობრიობამ დიდხანს არაფერი იცოდა მათ შესახებ. მრავალი

საუკუნის განმავლობაში ისინი რელიგიის თავისუფლებას ინარჩუნებდნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, რომისთვის ცნობილი გახდა მათი არსებობა და სულ მალე, აბისინიის იმპერატორი იძულებული გახდა, პაპი "ქრისტეს ნაცვალად" ელიარებინა. ამ პირველ დათმობას სხვა მრავალიც მოჰყვა. გამოიცა დადგენილება, რომელიც შაბათის დაცვას უსასტიკესი სასჯელის მუქარით კრძალავდა. მაგრამ სულ მალე პაპის დესპოტიზმის მძიმე უღელი ისეთი აუტანელი გახდა აფრიკელებისათვის, რომ მისი ჩამოგდება გადაწყვიტეს. საშინელი ბრძოლის შემდეგ მათ პაპისტები განდევნეს თავიანთი სამფლობელოებიდან და კვლავ

განაახლეს ძველი სარწმუნოება. მორწმუნეებმა კვლავ დაიბრუნეს თავისუფლება და არასოდეს დავიწყებიათ ის მწარე გაკვეთილი, რომელიც დესპოტური რომის ძალაუფლების მიერ იგემეს. მათ ჰქონდათ სიხარულის საფუძველი იმის გამო, რომ დანარჩენი ქრისტიანული სამყაროსგან შორს ცხოვრობდნენ.

აფრიკის ეკლესიები ისევე იცავდნენ შაბათს, როგორც ამას პაპის ეკლესია თავის სრულ განდგომამდე აკეთებდა. იცავდნენ რა მეშვიდე დღეს უფლის მცნებების თანახმად, ისინი კვირასაც არ მუშაობდნენ და ამით ეკლესიის დადგენილებასაც ემორჩილებოდნენ. მაგრამ, როდესაც რომმა უდიდესი ძალაუფლება ჩაიგდო ხელთ, უფლის

შაბათი გააუქმა და მის ნაცვლად თავს მოახვია თავისი დღე, აფრიკის ეკლესიები, რომელთაც შეძლეს ათი საუკუნის განმავლობაში შეუმჩნეველნი დარჩენილიყვნენ, არ დაადგნენ განდგომილების გზას. მოხვდნენ რა რომის გავლენის ქვეშ, ისინი იძულებული იყვნენ, ჭეშმარიტი შაბათი ყალბით შეეცვალათ, მაგრამ შემდგომში დაიბრუნეს დაკარგული დამოუკიდებლობა და კვლავ დაიწყეს მეოთხე მცნების შესრულება. ეს ისტორიული ფაქტები პირდაპირი დასტურია რომის სიძულვილისა ჭეშმარიტი შაბათის დამცველებისა და იმ საშუალებების მიმართ, რითაც ამ დღეს ადიდებენ. ღვთის სიტყვა გვასწავლის, რომ წარსული

განმეორდება მაშინ, როდესაც კათოლიკენი და პროტესტანტები გაერთიანდებიან იმისათვის, რომ სათანადო სიმაღლეზე აიყვანონ კვირა დღე.

წინასწარმეტყველება ამბობს (გამოცხ. 13), რომ ძალაუფლება, რომელიც წარმოდგენილია კრავისრქებიანი მხეცის სახით, აიძულებს "მთელ დედამიწას და მის მკვიდრთ" პაპისადმი თაყვანისცემას, რომელიც გამოხატულია "მხეცის სახით, რომელიც ჰგავდა ავაზას". მხეცი კრავის რქებით აგრეთვე "ეუბნებოდა დედამიწის მკვიდრთ, რომ გაეკეთებინათ მხეცის ხატება", შემდეგ კი "აიძულა ყველა, დიდები და პატარები, მდიდრები და ღარიბები, თავისუფლები და მონები -

მიელოთ მხეცის ნიშანი" (გამოცხ. 13:11-16). როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს მხეცის ძალაუფლებას, რომელსაც კრავის რქები აქვს და ეს წინასწარმეტყველება აღსრულდება მაშინ, როცა ეს ქვეყანა გამოსცემს კანონს კვირა დღის აუცილებელი დაცვის შესახებ, რაც რომის ავტორიტეტის განსაკუთრებული აღიარების ნიშანი იქნება. მაგრამ პაპს არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატები მიაგებს პატივს. რომის გავლენა იმ ქვეყნებში, რომელნიც ოდესღაც აღიარებდნენ მის ძალაუფლებას, ძველებურად მტკიცეა. წინასწარმეტყველებაც გვეუბნება მისი ძალაუფლების აღდგენაზე: "ვიხილე, ერთი მის

თავთაგან თითქოს სასიკვდილოდ იყო განგმირული, მაგრამ ეს სასიკვდილო ჭრილობა განიკურნა, და განცვიფრდა მთელი დედამიწა და უკან გაედევნა მხეცს" (გამოცხ. 13:3). 1798 წელს პაპის მმართველობა "სასიკვდილოდ დაიჭრა", მაგრამ, როგორც წინასწარმეტყველი გვეუბნება, "სასიკვდილო ჭრილობა განიკურნა" და მთელი დედამიწა განცვიფრებული იყო მხეცით. პავლე მოციქული გასაგებად ამბობს, რომ "ურჯულოების კაცი" იმოქმედებს უფლის მეორედ მოსვლამდე (2თეს. 2:3-8). დედამიწის ისტორიის ბოლო მომენტამდე არ შეწყვეტს იგი ადამიანთა ცდუნებას. ამასვე ამბობს იოანე წინასწარმეტყველი პაპის ძალაუფლების შესახებ: "თაყვანი სცა

მას დედამიწის ყველა მცხოვრებმა, რომელთა სახელებიც ჩაწერილი არ არის სიცოცხლის წიგნში, რომელიც აქვს წუთისოფლის დასაბამიდან დაკლულ კრავს" (გამოცხ. 13:8). როგორც ძველ, ისევე ახალ, ქრისტიანულ სამყაროში, რომის ეკლესიის ავტორიტეტით დაწესებული კვირა დღის დაცვა პაპის წინაშე მორჩილებისა და პატივისცემის ნიშანი გახდება.

მე-19 საუკუნის შუა წლებიდან ბიბლიის ამერიკელი მკვლევარნი ამ ამბავს მთელ მსოფლიოს ამცნობენ. ყველაფერი ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ წინასწარმეტყველების აღსრულება მოახლოვდა. პროტესტანტი

მასწავლებლები ამტკიცებენ, რომ კვირა დღე ღვთიური ავტორიტეტითაა დამტკიცებული, თუმცა არ გააჩნიათ ამის ბიბლიური დასაბუთება ისევე, როგორც პაპისტებს, რომლებმაც უფლის მცნების შესაცვლელად სხვადასხვა სასწაულები გამოიგონეს. ჩვენ კვლავაც მოვისმენთ მუქარას იმის შესახებ, რომ ღვთის სამსჯავრო დაატყდება თავს კვირა დღის დამრღვევთ. უკვე გაისმის კიდეც მსგავსი სიტყვები. მოძრაობა კვირა დღის აუცილებელი დაცვისათვის სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობს.

რომის ეკლესიის გამჭრიახობა და ეშმაკობა სწორედ რომ გასაკვირია. მან კარგად იცის, რა მოხდება და

მოთმინებით ელის თავის დროს. იგი კარგად ხედავს, რომ პროტესტანტული ეკლესიები, იცავენ რა ცრუ შაბათს, უკვე შემობრუნდნენ მისკენ: რომ ისინი თანდათანობით სხვებსაც აიძულებენ მის მიღებას იმავე საშუალებებით, რომელთაც კათოლიკური ეკლესია შუა საუკუნეებში იყენებდა. ჭეშმარიტების უარმყოფელნი მომავალში კიდევ ერთხელ მიმართავენ დახმარებისათვის მას, ვინც თავის თავს უცოდველს უწოდებს, რათა განამტკიცონ მისივე პოზიციები. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ როგორი მზადყოფნით გაეშურება რომის ეკლესია პროტესტანტების დასახმარებლად. პაპის ძალაუფალთა უკეთ ვინ იცის,

თუ როგორ უნდა მოეპყრონ იმათ, ვინც ეკლესიას არ ემორჩილება?

    რომის კათოლიკური ეკლესია, თავისი უამრავი განშტოებებით, მთელ მსოფლიოში ქმნის უდიდეს ორგანიზაციას, რომელიც პაპის ტახტის კონტროლს ექვემდებარება და მის ინტერესებს ემსახურება. მილიონობით მის მიმდევარს მთელი დედამიწის ზურგზე ასწავლიან, რომ პაპი არის ეკლესიის თავი, რომელსაც ყველა უნდა დაემორჩილოს. ეროვნებისა და მოქალაქეობის მიუხედავად, ყველამ უმაღლესი პატივი უნდა მიაგოს ამ ეკლესიას. მართალია, მათ უფლება ეძლევათ, ერთგულების ფიცი დადონ იმ ქვეყნის წინაშე, სადაც ცხოვრობენ, მაგრამ რომისადმი მორჩილება

მათთვის უპირველესია და ისიც ათავისუფლებს მათ ყოველგვარი მოვალეობისაგან, რომელიც მის ინტერესს არ შეესაბამება.

ისტორია მოწმობს, რომ რომის ეკლესიას ყოველთვის დიდი ხელოვნებითა და შეუპოვრად შეეძლო სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩარევა, და თავისი პოზიციების განმტკიცების შემდგომ, იწყებდა თავისი გეგმების განხორციელებას უბრალო ხალხისა და ცნობილ დიდებულთა სიცოცხლის ფასადაც კი. 1204 წელს პაპმა ინოკენტი ასეთი უჩვეულო ფიცი ჩამოართვა მეფეს, პეტრეს: "მე პეტრე, არაგონიის მეფე, პირობას ვდებ, რომ ყოველთვის ვიყო ჩემი ბატონის - პაპი ინოკენტის, მის

კათოლიკე მემკვიდრეთა და რომის ეკლესიის მორჩილი და ერთგული. და ვფიცავ, რომ ჩემს სამეფოს შევუნარჩუნებ პაპის ერთგულებას, დავიცავ კათოლიკურ რწმენას და განვდევნი ერეტიკოსებს". ასეთი ფიცი კარგად ეხმარება რომის პაპის მოთხოვნებს, რომელიც თვლის, რომ "იგი უფლებამოსილია, ჩამოაგდოს იმპერატორები" და "გაათავისუფლოს თავისი ქვეშევრდომნი თავიანთ წარმართ ხელისუფალთა წინაშე დადებული ერთგულების ფიცისაგან".

ისიც უნდა გვახსოვდეს: რომი ამაყობს იმით, რომ იგი არასოდეს იცვლება. პრინციპები, რომლებითაც გრიგორი VII და ინოკენტი II ხელმძღვანელობდნენ,

კვლავინდებურად რომის კათოლიკური ეკლესიის პრინციპებად რჩება. და მას რომ უფლება მიეცეს, ადრინდელი ენთუზიაზმით გაატარებდა ცხოვრებაში მათ ისევე, როგორც ეს იყო წარსულში. პროტესტანტები, ალბათ, კარგად ვერ ხვდებიან, რას აკეთებენ, როდესაც იზიარებენ რომის აზრს კვირა დღის დაწესების შესახებ. იმ დროს, როცა პროტესტანტები ამ მიზნის განხორციელებას შეუდგებიან, რომი შეეცდება თავისი დაკარგული ძალაუფლებისა და ადრინდელი ბატონობის აღდგენას. როგორც კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკლესიები გამოიყენებენ ან კონტროლს გაუწევენ სახელმწიფო ძალაუფლებას იმაში, რომ კანონის

ძალით დააწესონ რელიგიური წესები და ჩვეულებები, ერთი სიტყვით, როდესაც ეკლესია და სახელმწიფო ერთად გაბატონდებიან სინდისზე, მაშინ დადგება რომის ზეიმის მომენტი ამ ქვეყანაში.

ღვთის სიტყვა გვაფრთხილებს მომავალი საშიშროების შესახებ და თუ პროტესტანტული სამყარო ყურად არ იღებს ამ გაფრთხილებას, მალე გაიგებს რომის ეკლესიის ჭეშმარიტ ზრახვებს, მაგრამ უკვე გვიან იქნება. კათოლიციზმის ძალაუფლება ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ფართოვდება და იზრდება. მისი ძალა იგრძნობა საკანონმდებლო კრებებზე, ეკლესიებში და ადამიანთა გულებში. შენდება დიდებული და გრანდიოზული ნაგებობანი,

რომელთა საიდუმლო ლაბირინთებში კვლავ გამეორდება გასულ საუკუნეთა სისხლიანი ისტორია. თანდათანობით, შეუმჩნევლად, ეჭვმიუტანლად ამაგრებს თავის პოზიციებს კათოლიკური ეკლესია, რათა მოწინაალმდეგეთ საბოლოო დარტყმა მიაყენოს, როცა ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი დადგება. ყველაფერი, რაც მას სჭირდება, - ეს არის მომგებიანი პოზიცია და უნდა ითქვას, რომ მას იგი უკვე უკავია. ჩვენ მალე დავინახავთ და გავიგებთ, თუ რა არის რომის კათოლიკური იერარქიის მიზნები და ზრახვანი. ღვთის სიტყვის მორწმუნეთ და მის მორჩილთ კი მხოლოდ გმობა და დევნა ელით.

თავი 36 მოახლოებული ბრძოლა

სატანის მიერ ზეცაში დიდი ბრძოლის დაწყების მიზანი უფლის კანონის დამხობა იყო. სწორედ ამ განზრახვით აუჯანყდა იგი შემოქმედს და შემდგომში, ზეციდან გამოძევებულმა, იგივე ბრძოლა დედამიწაზე განაგრძო. მიზანი, რომელსაც იგი შეუპოვრად ახორციელებს, არის ადამიანთა ცდუნება და იძულება, რომ

დაარღვიონ ღვთის კანონი. იქნება ეს მთელი კანონის დარღვევა თუ ერთ-ერთი მცნების უარყოფა - საბოლოო ჯამში შედეგი ერთი და იგივეა. ერთი მცნების დამრღვევი მთელ კანონს უგულვებელყოფს. თავისი მაგალითით და გავლენით სატანა ხელს უწყობს ურჯულოებას და "იგი ყველაფერში დამნაშავე ხდება" (იაკ. 2:10).

უფლის კანონზე ჩრდილის მიყენების მიზნით სატანამ დაამახინჯა ბიბლიური სწავლება, რის შედეგადაც ათასობით ადამიანი, რომელსაც სჯერა წმიდა წერილისა, შეცდომათა ქსელში გაეხვია. უკანასკნელი დიადი ბრძოლა ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის, რომელიც საუკუნეთა მანძილზე

მიმდინარეობს, მთავრდება. ეს არის ბრძოლა ადამიანურ კანონებსა და ღვთის მცნებებს, ბიბლიურ რელიგიასა და მითებისა და გადმოცემების რელიგიას შორის.

ჭეშმარიტებისა და სიმართლის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში გაერთიანებული ძალები უკვე აქტიურად მოქმედებენ. როგორ გაუფასურდა ღვთის წმიდა სიტყვა, რომელმაც ტანჯვისა და სისხლის ფასად გაიკვლია გზა ჩვენამდე! ბიბლია ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილმა გაიხადა იგი ცხოვრების ხელმძღვანელად. დიდად საგანგაშოა ის, რომ ურწმუნოება მეტად გავრცელდა არა მარტო წუთისოფელში, არამედ თვით

ეკლესიაშიც. ბევრი იქამდე მივიდა, რომ უარყოფს წმიდა წერილს, როგორც ქრისტიანული რწმენის დედაბოძს. სამყაროს შექმნის უდიდესი მატიანე, გადმოცემული ღვთის სულით შთაგონებულ წინასწარმეტყველთა მიერ, ადამიანის დაცემა, შემორიგება, უფლის კანონის მარადიულობა - ყველაფერი ეს ქრისტიანთა უმრავლესობის მიერ პრაქტიკულად უარყოფილია, თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც. ათასობით ადამიანს, რომელიც თავისი სიბრძნითა და დამოუკიდებლობით ამაყობს, დამცირებად მიაჩნია ბიბლიისადმი სრული ნდობა. ბიბლიის კრიტიკა და მის უმნიშვნელოვანეს ჭეშმარიტებათა თავისუფალი ახსნა

მათ მიერ შეფასებულია, როგორც ნიჭისა და ერუდიციის გამოვლენა. ბევრი სულიერი მსახური, მეცნიერი და მასწავლებელი ხალხს შთააგონებს, რომ ღვთის კანონი უკვე მოძველებულია და ისინი, ვისაც ჯერ კიდევ სწამთ მისი სიტყვის მარადიულობისა და მის მცნებათა მორჩილნი არიან, მხოლოდ შებრალებასა და დაცინვას იმსახურებენ.

ჭეშმარიტების უკუგდებით ადამიანები მის ავტორსაც უარყოფენ. ფეხქვეშ თელავენ რა ღმერთის მცნებებს, ამით ისინი თვით კანონმდებლის ავტორიტეტსაც აქცევენ ზურგს. ცრუ სწავლებისა და თეორიებისგან კერპის შექმნა ისევე ადვილია, როგორც მათი ქვისაგან ან

ხისაგან გაკეთება. სატანამ ადამიანებს უფლის არსის საპირისპირო აზრი შთაუნერგა, რადგან მან თავად დაამახინჯა იგი. ბევრმა, უარყო რა ღმერთი, კერპად ფილოსოფია გაიხადა. მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილს სწამს ცოცხალი ღმერთისა ისე, როგორც ის თავად არის წარმოდგენილი თავის სიტყვაში, ქრისტეში და მის ნამოქმედარში. ათასობით ადამიანი ალმერთებს ბუნებას და ამავე დროს უარყოფს ბუნების შემქმნელს. კერპთაყვანისმცემლობას დღესაც (თუმცა სხვადასხვა ფორმით) ისევე ღრმად აქვს ფესვი გადგმული თანამედროვე ქრისტიანულ სამყაროში, როგორც იგი ძველ ისრაელში, ელია წინასწარმეტყველის

დროს იყო გავრცელებული. თვითდაჯერებულ ბრძენთა, ფილოსოფოსთა, პოლიტიკოსთა, ჟურნალისტთა ღმერთი, რომელიც ალიარებულია საზოგადოების ელიტარული წრეების, კოლეჯების, უნივერსიტეტებისა და ზოგიერთი ღვთისმეტყველური დაწესებულებების მიერაც კი, არაფრით ჯობია ბაალს, ფინიკიელთა მზის ღმერთს.

ქრისტიანულ სამყაროში დამკვიდრებულ შეცდომათაგან არც ერთი ისე თავხედურად არ არის მიმართული ღმერთის ავტორიტეტის წინააღმდეგ, არც ერთი ისე აშკარად არ ეწინააღმდეგება გონიერებას და არც ერთს არ მოაქვს ისეთი დამღუპველი შედეგები, როგორც

ახალ სწავლებას იმის შესახებ, რომ ღმერთის კანონი ადამიანისათვის ალარ არის სავალდებულო. ყველა ქვეყანას აქვს თავისი კანონი, რომელიც მის თითოეულ მოქალაქეს ავალდებულებს - პატივი სცეს და შეასრულოს ის. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა კანონების გარეშე და განა დასაჯერებელია ის, რომ ცისა და დედამიწის შემოქმედს არ ჰქონდეს კანონი, რომლის მეშვეობითაც მართავს იგი თავის შექმნილთ? დავუშვათ, რომელიმე გამოჩენილმა სახელმწიფო მსახურმა ხმამაღლა განაცხადოს, რომ კანონები, რომლებიც ამ ქვეყანაში ფუნქციონირებენ და იცავენ მოქალაქეთა უფლებებს, სულაც არ

არის სავალდებულო, რომ ისინი მხოლოდ ხლუდავენ ადამიანთა თავისუფლებას და ამიტომ მათი შესრულება საჭირო არ არის. როგორ ფიქრობთ, დიდხანს გააჩერებენ ასეთ ადამიანებს კათედრასთან? მაგრამ განა სახელმწიფო კანონების უგულვებელყოფა უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ღვთიური განკარგულებებისა, რომელიც ყოველგვარი მმართველობის საფუძველია.

უფრო დასაჯერებელია ის, რომ სახელმწიფო გააუქმებს თავის კანონებს და უფლებას მისცემს მოქალაქეებს, საკუთარი სურვილის მიხედვით მოიქცნენ, ვიდრე იმის დაშვება, რომ მთელი სამყაროს მმართველი თავისივე კანონს

უარყოფს და სამყაროს იმ საწყაოს გარეშე დატოვებს, რომლის მეშვეობითაც განაჩენი უნდა გამოუტანოს ცოდვილს და გაამართლოს უდანაშაულო. იცით თუ არა თქვენ, სად მიგვიყვანს უფლის მცნებათა უარყოფა? ასეთი გამოცდილება უკვე გვაქვს. რა საშინელი დღეები გადაიტანა საფრანგეთმა, როდესაც იქ ათეიზმი დამკვიდრდა. მაშინ მთელი მსოფლიოსათვის ცხადი გახდა, რომ უფლის ძალაუფლებისაგან თავის დაღწევით საშინელი ტირანიის ტყვე ვხდებით. როდესაც სიმართლის საზომს გადააგდებენ, მაშინ ბნელეთის მეფეს გზა ეხსნება დედამიწაზე საკუთარი ბატონობის აღსადგენად.

იქ, სადაც ხდება უფლის ნების უგულვებელყოფა, ცოდვა დაუშვებლად ალარ მიგვაჩნია, სიმართლე კი კარგავს თავის მიმზიდველობას. ვინც ღმერთს არ ემორჩილება, საკუთარი თავის მართვის უნარსაც კარგავს. მათი დამლუპველი სწავლება დაუმორჩილებლობის სულს უნერგავს ახალგაზრდობას, რომელიც თავისი ბუნებით თავისუფლების მოყვარეა და ურჯულოების გამო საზოგადოებაში მანკიერება იდგამს ფესვს. იმ დროს, როდესაც უფლის მცნებათა დამცველთ მათი ბავშვური რწმენისათვის დასცინიან, ბევრი სატანის ცდუნების მსხვერპლი ხდება. ისინი ირჩევენ მანკიერებისა და ცოდვის იმ გზას, რის გამოც

წარმართებს ღვთის სამსჯავრო დაატყდათ თავს.

ის, ვინც ადამიანებს ასწავლის, რომ ზერელედ მოეკიდონ უფლის მცნებებს, ამბოხების თესლს თესავს და ადრე თუ გვიან ქარიშხალი დაატყდება თავს. ნუ დაექვემდებარებით ღმერთის კანონს და დაინახავთ, რომ ადამიანური კანონებიც ძალზე ჩქარა იქნება დავიწყებული. რამდენადაც უზენაესი კრძალავს უსინდისობას, სიცრუესა და შურს, იმდენად ადამიანები უფრო იღწვიან იმისათვის, რომ გათელონ მისი დადგენილებები, რომლებიც ხელს უშლიან მათ ამქვეყნიურ კეთილდღეობას. მაგრამ მათი გაუქმების შედეგები მეტად დიდი

მოულოდნელობა იქნება მათთვის. თუკი კანონი აუცილებელი არ არის, რატომ უნდა შეგეშინდეს მისი დარღვევის? და მაშინ პირად საკუთრებასაც საფრთხე დაემუქრება. ადამიანები დაიტაცებდნენ მეზობლების ქონებას და ვინც ძლიერია, ყველაზე მდიდარიც ის გახდება. ყოველგვარი პატივისცემა დაიკარგება თვით ცხოვრების მიმართ. ქორწინების ერთგულების ცოლ-ქმრულ ფიცს არავითარი ძალა ალარ ექნებოდა. ძლიერისათვის შესაძლებელი გახდებოდა თავისი მოყვასისთვის ცოლის წართმევა. მეხუთე მცნება მეოთხესთან ერთად გაუქმდებოდა. შვილები თავიანთი გარყვნილი ბუნებით უკან არ დაიხევდნენ მშობლის მკვლელობაზე,

ცივილიზებული სამყარო ყაჩაღების ბუნაგად გადაიქცეოდა. მშვიდობა, სიმშვიდე და ბედნიერება სამუდამოდ გაქრებოდა პირისაგან მიწისა.

მოძღვრებამ იმის შესახებ, რომ ადამიანები უფლის მცნებების დაცვისგან თავისუფალი არიან, უკვე დაასუსტა მათი ზნეობრივი მოვალეობა და მანკიერებას გაუხსნა გზა. ურჯულოება, თავაშვებული ცხოვრება და გარყვნილება წარღვნასავით დაგვატყდა თავს. სატანამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ბევრ ოჯახში. მისი დროშა ფრიალებს ეგრეთ წოდებულ ქრისტიანთა სახლებზეც, სადაც სუფევს შური, ეჭვი, პირფერობა, გაუტანლობა, მეტოქეობა, კონფლიქტები, ღალატი, ბოროტი ახირებების

დაკმაყოფილება. რელიგიური პრინციპებისა და მოძღვრების მთელი სისტემა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველი და საყრდენი უნდა იყოს, წარმოადგენს მერყევ მასას, რომელიც ყოველ წუთს მზადაა დასანგრევად.

პირწავარდნილი ყაჩაღები, რომლებიც თავიანთი დანაშაულის გამო საპყრობილეში ხვდებიან, ხშირად დაუმსახურებელი ყურადღებით სარგებლობენ - და ისე ასაჩუქრებენ, თითქოს რაღაც გმირული საქმე ჩაედინოთ. მათ ცხოვრებას და ბოროტმოქმედებას დიდ ყურადღებას უთმობენ. პრესაში დაწვრილებით აღწერენ მანკიერებათა აღმაშფოთებელ ფაქტებს და ამ გზით სხვებსაც

უბიძგებენ თაღლითობისა და ძალადობისაკენ. სატანას კი თავისი ჯოჯოხეთური გეგმების ასეთი წარმატებები დიდ სიხარულს ანიჭებს. მანკიერების სიმდაბლე, უმიზეზო, უაზრო მკვლელობები, თავშეუკავებლობა, ყველა სახისა და ხარისხის ურჯულოებანი - ყოველივე ეს უნდა აშფოთებდეს და აფიქრებდეს უფლის ყოველ მოშიშს: როგორ შევაჩეროთ ეს მოზღვავებული ბოროტება?

მართლმსაჯულება კორუმპირებულია. გამდიდრების წყურვილი და მიწიერი სიამოვნებისადმი სიყვარული ამოძრავებს ადამიანებს, რომელნიც ხელისუფლების სათავეში არიან. თავშეუკავებლობამ ბევრს ისე

დაუბნელა გონება, რომ მათზე მთლიანად ბატონობს სატანის ძალა. სამართლიანობის დამცველნი მექრთამეებად, ზნედაცემულ ადამიანებად იქცნენ. ლოთობას, ალვირახსნილობას, შურს, სიმდაბლეს - ყოველივე ამას ღრმადა აქვს ფესვი გადგმული მათში, ვისაც კანონის დამცველი ჰქვია. და "უკუიქცა სამართალი და სიმართლე შორს გადგა, რადგან წაფორხილდა ქუჩაში ჭეშმარიტება და სიწრფელე ველარ შემოდის" (ეს. 59:14).

უწმიდურება და სულიერი უმეცრება, რომელიც გაბატონებული იყო პაპის ხელისუფლების დროს, წმიდა წერილის აკრძალვის უცილობელი შედეგი გახდა. მაგრამ სად ვეძებოთ მიზეზი ასე ფართოდ

გავრცელებული ურჯულოებისა და უფლის კანონის უარყოფისა, თავისი დამღუპველი შედეგებით ჩვენს დროში - სრული საცხარებისეული სინათლისა და რელიგიური თავისუფლების პირობებში? დღეს, როდესაც სატანას აღარ შესწევს ძალა, წმიდა წერილის გარეშე დატოვოს მსოფლიო, იმავე მიზნის განსაცხორციელებლად სხვა საშუალებებს მიმართავს. ბიბლიის მიმართ რწმენის განადგურება, მისი ჩანაფიქრის მიხედვით - თვით ბიბლიის განადგურების ტოლფასია. იგი შთააგონებს და ასწავლის ადამიანებს, რომ უფლის კანონი არ არის საჭირო და ამით დიდი წარმატებით უბიძგებს მათ მცნებათა დარღვევისაკენ. და ადამიანებიც ისე

ცხოვრობენ, თითქოს არასოდეს სმენიათ ამ კანონის შესახებ. როგორც გასულ საუკუნეებში, სატანა თავისი საქმის კეთებას დღესაც ასევე ეკლესიის მეშვეობით განაგრძობს. თანამედროვე რელიგიური ორგანიზაციები უარს ამბობენ იმ არაპოპულარულ ჭეშმარიტებებზე, რომლებიც ასე ნათლად არის წარმოდგენილი წმიდა წერილში და მათ წინაალმდეგ ბრძოლაში იბადება სხვადასხვაგვარი ახსნა ბიბლიისა, რაც ურწმუნოებას თესავს. მიიღეს რა პაპის ცრუსწავლება სულის უკვდავებისა და სიკვდილის შემდეგ ადამიანის შეგნებული ცხოვრების არსებობის შესახებ, მათ დაკარგეს სპირიტიზმის ცდუნებისაგან თავდაცვის ერთადერთი საშუალება.

მარადიული ტანჯვის შესახებ სწავლებამ ბიბლიისადმი რწმენა დაუკარგა ხალხს. როდესაც ადამიანებს მეოთხე მცნების მნიშვნელობას უხსნიან და ისინიც ხვდებიან მისი დაცვის აუცილებლობას, მაშინ მათთვის არასასურველი მცნებისაგან განთავისუფლების მიზნით, ცნობილი მასწავლებლები აცხადებენ, რომ ღმერთის კანონი საერთოდ საჭირო არ არის. ამ გზით ისინი უარყოფენ კანონსაც და შაბათსაც. რაც უფრო გაფართოვდება მოძრაობა შაბათი დღის რეფორმაციისათვის, მით უფრო დიდი იქნება მთელი კანონის პრაქტიკულად საჯარო უარყოფის მცდელობა, განსაკუთრებით კი მეოთხე მცნებისა.

რელიგიურ მოძღვართა ცრუ სწავლებამ ფართოდ გაულო კარი ურჯულოებას, სპირიტიზმსა და უფლის წმიდა კანონის აბუჩად აგდებას. სწორედ ამ ადამიანებს ეკისრებათ უდიდესი პასუხისმგებლობა იმ ურჯულოებისათვის, რომელიც დღეს ქრისტიანულ სამყაროში არსებობს.

მიუხედავად ამისა, თვით ეს ადამიანები გვარწმუნებენ, რომ უზნეობის ასე სწრაფად გაბატონების მიზეზი სწორედ ის არის, რომ ე.წ. ქრისტიანული შაბათი გაუწმიდურებულია, და რომ კვირა დღის დაცვის აუცილებლობა საზოგადოების მორალურ კლიმატს დიდად გააუმჯობესებდა. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით

დაჟინებით გაისმა ამერიკაში, სადაც სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ხშირად ისმის ქადაგება შაბათი დღის შესახებ. მოწოდება თავშეკავებისაკენ - ზნეობრივი გარდაქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლისაკენ - ხშირად ერწყმის მოძრაობას კვირა დღის დაცვისათვის, რომლის დამცველებს თავი საზოგადოების უმაღლესი ინტერესებისათვის მებრძოლებად წარმოუდგენიათ; და მათ, ვინც უარს ამბობს მათთან გაერთიანებაზე, რეფორმებისა და ხალხის კეთილდღეობის მტრად აცხადებენ. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ სიცრუის დამკვიდრებისაკენ მიმართული ეს მოძრაობა თავისი არსით სასარგებლო საქმეს უერთდება, ჯერ კიდევ არ

წარმოადგენს არგუმენტს ცდომილების სასარგებლოდ. საკვებში შხამის გარევით შეიძლება შეუმჩნეველი გავხადოთ იგი, მაგრამ ამით მისი სასიკვდილო თვისებები არ იკარგება. პირიქით, ის უფრო საშიში ხდება, რადგან გარეგნულად საჭმელი ეჭვს არ იწვევს. სატანის ერთ-ერთი ეშმაკური ფანდი იმაში გამოიხატება, რომ სიცრუეს ჭეშმარიტებაში ურევს, რათა მას სიმართლის ელფერი დაჰკრავდეს. კვირა დღის დაცვის მომხრეები შეიძლება გამოვიდნენ რეფორმისა და ხალხისათვის მეტად საჭირო იმ პრინციპების დასაცავად, რომლებიც არ იქნება ბიბლიის საპირისპირო, მაგრამ რადგან იმავდროულად წამოაყენებენ მოთხოვნას, რომელიც

უფლის კანონის საწინააღმდეგო იქნება, ჭეშმარიტი ღვთისმსახურნი არ შეუერთდებიან მათ. არავითარი გამართლება არ ექნება მას, ვინც უფლის მცნებებს ადამიანური მოძღვრებით შეცვლის.

სულის უკვდავება და კვირა დღის სიწმიდე - ეს არის ორი უდიდესი შეცდომა, რომლითაც სატანას დიდი გავლენა აქვს ადამიანებზე. პირველი საფუძველს უმზადებს სპირიტიზმს, მეორეს კი პროტესტანტები რომისაკენ მიჰყავს. ამერიკის შეერთებული შტატების პროტესტანტები პირველნი გაუწოდებენ ხელს სპირიტიზმს; შემდეგ ისინი გადალახავენ უფსკრულს, რათა ხელი გაუწოდონ რომის ხელისუფლებას; ამ სამგვარი

კავშირის ზეგავლენით ეს სახელმწიფო რომის გზით წავა და ფეხქვეშ გათელავს სინდისის თავისუფლებას.

ვინაიდან თანამედროვე სპირიტიზმი უფრო კარგად და ღრმად ბაძავს ქრისტიანობას, უფრო მეტად აძლიერებს მის ცდუნებებს. თვით სატანაც კარგად ერგება თანამედროვე წესებსა და ჩვეულებებს: იგი ღებულობს ნათლის ანგელოზის სახეს; სპირიტიზმის საშუალებით მოახდენს მრავალ სასწაულს, განკურნავს ავადმყოფებს, მოახდენს მრავალ სხვა, მეტად დამაჯერებელ ზებუნებრივ მოვლენებს. და რადგან სულები გამოაცხადებენ, რომ აქვთ ბიბლიური რწმენა და გამოავლენენ ეკლესიის ინსტიტუტებისადმი

პატივისცემას, ამის გამო მათ ღვთიური ძალის გამოვლინებად მიიღებენ. ხლვარი ეგრეთ წოდებულ ქრისტიანებსა და ულმერთოებს შორის თითქმის წაშლილია. ეკლესიის წევრებს უყვართ ის, რაც უყვარს წუთისოფელს და მზად არიან შეუერთდნენ მას. და სატანამაც გადაწყვიტა მათი შერწყმა და მათი სპირიტიზმის გავლენის ქვეშ მოქცევა. კათოლიკენი, რომლებიც სასწაულებს ჭეშმარიტი ეკლესიის ნიშნად მიიჩნევენ, ცდუნდებიან ამ სასწაულმოქმედი ძალით. პროტესტანტებიც უარყოფენ ჭეშმარიტების მუზარადს და აგრეთვე ცდუნდებიან. კათოლიკენი, პროტესტანტები, ამქვეყნიური, უბრალო ადამიანები - ყველა

მოექცევა მკვდარი ღვთისმოსაობის გავლენის ქვეშ. თუმცა, იმავდროულად, ისინი მიიღებენ ამ კავშირს, როგორც უდიდეს მოძრაობას, რომელიც ემსახურება მთელი მსოფლიოს ჭეშმარიტებისაკენ მობრუნებას და დიდი ხნის ნანატრი ათასწლიანი სასუფევლის მოახლოებას.

სპირიტიზმის საშუალებით სატანას თავი მოაქვს მთელი კაცობრიობის კეთილის მსურველად; ადამიანებს სნეულებათა მკურნალად ევლინება და მსოფლიოს რელიგიური რწმენის ახალ, უფრო ამაღელვებელ სისტემას სთავაზობს, მაგრამ ამავე დროს მოქმედებს, როგორც მისი დამანგრეველი. მის ცდუნებებს ადამიანები დაღუპვისაკენ მიჰყავს.

თავშეუკავებლობა ადამიანებს გონებას აკარგვინებს, რასაც მოაქვს თავაშვებულობა, სისხლისღვრა და სხვა საშინელებანი. სატანას განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას ჰგვრის ომი, რადგან იგი ადამიანის სულში ყველაზე მდაბალ, უარყოფით ვნებებს აღვიძებს, შემდეგ კი თავის მსხვერპლს, მანკიერებითა და სისხლით გაუწმიდურებულს, სრულად აღგვის პირისაგან მიწისა. მისი მიზანია, წააქეზოს ერები ერთურთის წინააღმდეგ, რადგან ამ მეთოდით მას შეუძლია ადამიანთა ყურადღების გადატანა ქრისტეს მოსვლისათვის მზადებიდან ამ პროცესზე.

დაღუპვის პირას მისულ ადამიანთა სულების ხელში ჩასაგდებად სატანა

აგრეთვე ხშირად იყენებს ბუნების ძალას. მან კარგად შეისწავლა ბუნების საიდუმლო და ყოველ ღონეს ხმარობს, სტიქია თავისი მიზნების მისაღწევად იმდენად გამოიყენოს, რამდენადაც ამას ღმერთი დაუშვებს. როდესაც მას ნება დაერთო, დაეტანჯა იობი, რა საოცარი სისწრაფით გაუჩინარდა ფარა, სახლები, მოსამსახურეები, შვილები - ერთ უბედურებას მეორე მოსდევდა. მხოლოდ ღმერთი იფარავს თავის შექმნილთ და იცავს მათ დალუპვისაგან. მაგრამ ქრისტიანულმა სამყარომ ზურგი აქცია ღმერთის კანონებს და უფალიც აასრულებს იმას, რის გაკეთებასაც შეგვპირდა: აღარ მისცემს დედამიწას თავის წყალობას, აღარ დაიცავს მათ,

ვინც წინ ალუდგა მის კანონებს, მის სიტყვას და სხვასაც უბიძგებს ამისკენ. ყველა, ვისაც ღმერთის განსაკუთრებული მფარველობა არა აქვს, სატანის ძალაუფლებაში იმყოფება. ერთნი ღებულობენ მის კეთილგანწყობას, რაც დააკმაყოფილებს მათ საკუთარ ინტერესებს, მეორეებს კი - მხოლოდ უსიამოვნებასა და უბედურებას აყენებს. თანაც სატანა შთააგონებს ადამიანებს, რომ მათი ყოველგვარი ტანჯვის მიზეზი მხოლოდ ღმერთია.

გამოაცხადებს რა თავს უდიდეს მკურნალად, რომელსაც სურს და შეუძლია კიდეც განკურნოს ყველა სნეულება, იგი მხოლოდ ავადმყოფობასა და უბედურებას მოუტანს და ქალაქებს უკაცრიელ

ნანგრევებად აქცევს. იგი უკვე აკეთებს ამ საქმეს. უბედური შემთხვევები წყალში და ხმელეთზე, საშინელი გამანადგურებელი ხანძრები, ქარიშხალი, შემაძრწუნებელი გრიგალი, მიწისძვრები - ყველაფერი ეს მისი ბოროტი ნებით ხდება. იგი მოსავალს იმკის, რასაც მოჰყვება შიმშილი და უბედურება. იგი დედამიწას შხამიანი ორთქლით წამლავს და ათასობით ადამიანი ეპიდემიის მსხვერპლი ხდება. სნეულებათა დამლუპველი შემოტევები სულ უფრო ხშირი და საშიში ხდება. კვდება ცხოველიც და ადამიანიც. "დამწუხრდა, დაღონდა ქვეყანა; დაჭკნა, დაღონდა სოფელი; დაჭკნენ ქვეყნიერთა დიდებულნი. წაიბილწა მიწა მის მკვიდრთა ქვეშ,

რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატეხეს საუკუნო ალთქმა" (ეს. 24:4,5).

მაშინ უდიდესი თვალთმაქცი შეეცდება დაარწმუნოს ადამიანები, რომ ყველა ამ უბედურებათა მიზეზი სწორედ ღვთის მსახურნი არიან. ცოდვილნი, რომელნიც ღვთის რისხვას გამოიწვევენ, თავიანთ უბედურებაში დაადანაშაულებენ მათ, ვინც ყოველთვის ემსახურებოდა ღმერთს და მისი მცნებების ერთგული დამცველი იყო. გამოცხადდება, რომ ადამიანები, რომელნიც უარყოფენ კვირა დღეს, უფლის შეურაცხმყოფელნი არიან; რომ სწორედ ამ ცოდვამ გამოიწვია ღვთის რისხვა და ის არ დამთავრდება, სანამ უფლის საზეიმო

დღედ ყველგან კვირა არ დაწესდება. დაიწყება იმის მტკიცება, რომ მეოთხე მცნების შემნახველნი აუწმიდურებენ კვირა დღეს, შეცდომაში შეჰყავთ ხალხი და ამით ართმევენ ღვთის კურთხევას. ამგვარად, განმეორდება ბრალდება, რომელიც ერთ დროს ღვთის მსახურს წაუყენეს: "როცა დაინახა აქაბმა ელია, უთხრა აქაბმა: ეს შენა ხარ, ისრაელის მაოხრებელო? თქვა: მე არ ამიოხრებია ისრაელი, შენ და მამაშენის სახლმა ააოხრეთ, რომ დაივიწყეთ უფლის მცნებანი და ბაალების გზაზე წახვედით" (3მეფ. 18:17,18). და როდესაც ასეთი ცრუ ბრალდებებით აღელვებულ ადამიანთა რისხვა ზღვარს გადასცდება, ეს განრისხებული ხალხი ღვთის შვილებს ისევე

მოექცევა, როგორც განდგომილი ისრაელი მოექცა ელიას.

სპირიტიზმის სასწაულმოქმედი ძალა მიმართული იქნება მათ წინააღმდეგ, ვინც ადამიანის მორჩილებას უფლის წინაშე მორჩილება არჩია. სპირიტები მოჰყვებიან იმის მტკიცებას, რომ ღმერთის გამოგზავნილები არიან, რათა კვირა დღის უარმყოფელნი თავიანთ შეცდომაში დაარწმუნონ. ისინი დაჟინებით მოითხოვენ, რომ სახელმწიფო კანონებს ისევე უნდა დაემორჩილო, როგორც ღმერთის მცნებებს. ისინი გოდებას მოჰყვებიან წუთისოფლის უბედურებაზე და ამავე დროს მხარს დაუჭერენ იმ რელიგიურ მოძღვართ, რომლებიც თვლიან, რომ სწორედ კვირა დღის

დარღვევაა ასეთი დიდი ზნეობრივი და მორალური დაცემის მიზეზი. რა დიდი იქნება გულისწყრომა მათ წინაალმდეგ, ვინც მსგავს მოწმობებს უარყოფს.

ღვთის ხალხის წინაალმდეგ ამ დიად ბრძოლაში სატანა ისევე იმოქმედებს, როგორც დასაწყისში, ზეცაში ამბოხების დროს. თავიდან მან განაცხადა, რომ მხოლოდ ღვთიური მმართველობის განმტკიცება სურს, ფარულად კი ყველაფერს აკეთებდა, რათა დაემხო იგი. ამავე დროს, იგი ერთგულ ანგელოზებს იმაში სდებდა ბრალს, რისკენაც თვითონ ისწრაფოდა. მსგავსი ფანდები დამახასიათებელია რომის ეკლესიის ისტორიისათვისაც, რომელმაც გამოაცხადა, რომ იგი

ღმერთის მოადგილეა დედამიწაზე, და ამავე დროს ყოველთვის ცდილობდა, ღმერთზე მაღალი ყოფილიყო და მისი კანონები შეეცვალა. რომის ბატონობის დროს სახარებისადმი ერთგულების გამო მოწამებრივი სიკვდილით დაღუპული ადამიანები ბოროტმოქმედებად იქნენ გამოცხადებული; მათ ბრალს სდებდნენ სატანასთან კავშირში; ყველა საშუალებას იყენებდნენ იმისათვის, რომ სამარცხვინო ბოძზე გაეკრათ ისინი და ხალხის წინაშე საშინელ დამნაშავეებად გამოეყვანათ. ასევე იქნება ჩვენს დროშიც. ეცდება რა ყველას მოსპობას, ვინც უფლის მცნებებს იცავს, სატანა ისე მოაწყობს, რომ ეს

ადამიანები გასამართლდნენ, როგორც კანონის დამრღვევები, როგორც ადამიანები, რომელთაც შეურაცხყვეს ღმერთი და ამით მთელ მსოფლიოს უბედურება მოუვლინეს.

უფალი არასოდეს ატანს ძალას ადამიანის ნებას და სინდისს; სატანა კი პირიქით, ყოველთვის ძალასა და სისასტიკეს იყენებს იმათ დასამორჩილებლად, ვისი ცდუნებაც სხვა გზით არ შეუძლია. ძალითა და შიშით ცდილობს იგი ადამიანის სინდისის დამონებას და ამ გზით თაყვანისცემისა და პატივისცემის მიღწევას. ამ მიზნის მისაღწევად იგი რელიგიურ და სახელმწიფო ძალაუფლებას იყენებს, აიძულებს რა მათ ისეთი კანონების გამოცემას, რომელნიც ადამიანთა

დადგენილებების დაცვას მოითხოვს და უფლის მცნებათა საწინააღმდეგოა.

ბიბლიური შაბათის დამცველნი წესრიგისა და კანონის მტრებად და ზნეობის დამრღვევებად გამოცხადდებიან, რომელთაც მოაქვთ ანარქია და მანკიერება. მათ ღმერთის რისხვის დედამიწაზე გადმოფრქვევის მთავარ მიზეზად ჩათვლიან. მათი კეთილსინდისიერება და ერთგულება ხელისუფლების წინაშე დაუმორჩილებლობად და სიჯიუტედ იქნება მიჩნეული. მათ დაადანაშაულებენ ხელისუფლების მიმართ უპატივცემლობაში. ეკლესიის მსახურნი, რომელნიც უარყოფენ უფლის მცნებათა დაცვის

აუცილებლობას, კათედრიდან გამოაცხადებენ, რომ ყოველი ადამიანი ვალდებულია დაემორჩილოს სახელმწიფო ხელისუფლებას, რომლის ავტორიტეტიც კურთხეულია. საკანონმდებლო კრებაზე და სასამართლოებზე უფლის მცნებათა შემნახავთ ცილს დასწამებენ და განაჩენს გამოუტანენ. მათ სიტყვებს დაამახინჯებენ, ხოლო ყოველგვარ მოძრაობასა და საქციელს უხამს ელფერს მისცემენ.

პროტესტანტული ეკლესიები უარყოფენ წმიდა წერილში ნათლად გამოსახულ მტკიცებებს, რომლებიც უფლის კანონის სასარგებლოდ მოწმობენ და შეეცდებიან მათ დადუმებას, ვისი რწმენის

საწინააღმდეგო მტკიცებას ვერ იპოვიან ბიბლიაში. თუმცა არ სურთ ამის აღიარება, მაგრამ ისინი ირჩევენ იმ ადამიანთა დევნის გზას, ვინც სხვა, დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან ერთად შეგნებულად იტყვის უარს პაპის შაბათის აღიარების მოთხოვნაზე.

ეკლესიის ხელმძღვანელობა და სახელმწიფო გაერთიანდება, რათა ქრთამით, ძალითა თუ დარწმუნებით აიძულოს საზოგადოების ყველა ფენა, აღიარონ კვირა დღე. ღვთიური ავტორიტეტის ნაკლებობა იძულებითი ზომებით შეივსება. პოლიტიკოსთა ღალატი შეარყევს სამართლიანობისადმი სიყვარულს და ჭეშმარიტებისადმი პატივისცემას. და თვით თავისუფალ ამერიკაშიც

კანონმდებლობა და ხელისუფალნი დათმობაზე წავლენ და დააკანონებენ კვირა დღის აუცილებლობას, რათა საზოგადოების პატივისცემა დაიმსახურონ. ამგვარად, ასეთი დიდი ფასით მოპოვებული სინდისის თავისუფლება ფეხქვეშ გაითელება. ამ მომავალ ბრძოლაში ნათლად დავინახავთ წინასწარმეტყველის სიტყვების აღსრულებას: "განრისხდა დედაკაცი გველეშაპზე და წავიდა, რათა შებრძოლებოდა დანარჩენებს მისი მოდგმიდან, რომლებიც იცავენ ღვთის მცნებებს და რომელთაც აქვთ იესოს მოწმობა" (გამოცხ. 12:17).

თავი 37 ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გარანტია

"მიმართეთ რჯულსა და ანდერძს! თუ არ ამბობენ ამ სიტყვის მიხედვით, ნათქვამს არა აქვს აზრი" (ეს. 8:20). ღვთის შვილებმა უნდა იცოდნენ, რომ წმიდა წერილი მათ ცრუმოძღვრებისა და სატანური ცდუნების გავლენისაგან იცავს. სატანა ყოველგვარ ეშმაკობას იყენებს, რათა ადამიანებს ხელი შეუშალოს ბიბლიის გაცნობაში, რადგან ამ წიგნის ნათელი მტკიცებანი ნილაბს ხდის მის სიცრუეს. უფლის

მსახურების ყოველი აღორძინებისას წყვდიადის მეფე ამრავლებს თავის ხრიკებს. დღეს იგი მთელი ძალით ცდილობს ქრისტესა და მისი მიმდევრების დამარცხებას. სულ მალე დავინახავთ მის უკანასკნელ, უდიდეს ტყუილს. ანტიქრისტე ჩვენს თვალწინ მრავალ სასწაულს მოახდენს. მისი სიყალბე იმდენად დაემსგავსება სიმართლეს, რომ ჭეშმარიტების სიცრუისაგან გარჩევა მხოლოდ წმიდა წერილის საშუალებით იქნება შესაძლებელი. ყოველი სასწაული და ყოველი მტკიცება ბიბლიური ტექსტებით უნდა შემოწმდეს.

უფლის მცნებების მორჩილთ თავს დაატყდება სიძულვილი და დაცინვა. ისინი მხოლოდ უფალში ჰპოვებენ

ძალასა და მფარველობას. მომავალი ცდუნებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ღრმად უნდა ჩაწვდნენ უფლის ნებას, მის სიტყვაში ასახულს. მხოლოდ მაშინ შეძლებენ ღმერთის სათანადო პატივისცემას, როცა სწორი წარმოდგენა ექნებათ მის ხასიათზე, მმართველობაზე და ჩანაფიქრზე და შესაბამისად იმოქმედებენ. მხოლოდ ის, ვინც თავისი გონიერება ბიბლიური ჭეშმარიტებით გააძლიერა, შეძლებს, შეუპოვრად იდგეს უკანასკნელ დიად ბრძოლაში. მაშინ ყოველმა ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს: "უფალს უფრო უნდა დავემორჩილო, თუ ადამიანებს?". ეს გადამწყვეტი მომენტი ძალიან, ძალიან ახლოსაა. ვდგავართ თუ არა მტკიცედ ღვთის

სიტყვის ურყევ კლდეზე? მზადა ვართ თუ არა ღვთის მცნებებისა და იესოს რწმენის დასაცავად?

თავისი ჯვარცმის წინ, როცა უფალი უხსნიდა თავის მოწაფეებს, რომ მას მოკლავენ და იგი კვლავ აღდგება მკვდრეთით, უფლის ანგელოზები ცდილობდნენ, მისი სიტყვები მოციქულთა გულებში ჩაებეჭდათ. მაგრამ ქრისტეს მოწაფეებს რომაელთა უღლისაგან სწრაფი გათავისუფლება სწყუროდათ და თვით იმის გაფიქრებაც კი, რომ ის, ვისზეც ისინი ასეთ დიდ იმედებს ამყარებდნენ, სამარცხვინო სიკვდილით უნდა მოკვდეს, მათთვის აუტანელი იყო. და დაივიწყეს სიტყვები, რომლებიც მათ გულზე უნდა დაწერილიყო და გამოცდას

მოუმზადებელნი შეხვდნენ. ქრისტეს სიკვდილმა ისეთი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მათ იმედებს, თითქოს გაფრთხილებული არ ყოფილიყვნენ ამის თაობაზე. ასევეა წინასწარმეტყველებაშიც, რომელშიც ნათლად არის განსაზღვრული ჩვენი მომავალი, როგორც ეს ქრისტეს მოწაფეებისთვის იყო გახსნილი. ბოლო დროის მოვლენები და მწუხრის ჟამისათვის მომზადების აუცილებლობა წმიდა წერილში ნათლად და განსაზღვრულად არის გამოთქმული. მაგრამ ადამიანთა უმრავლესობას იმდენად სუსტი წარმოდგენა აქვს ამ მეტად მნიშვნელოვან ჭეშმარიტებებზე, თითქოს ბიბლიის ფურცლებზე ვერც კი ხედავდნენ მათ. სატანა ცდილობს,

არ დაუშვას რაიმე ცოდნის გავრცელება, რომელიც ადამიანს გადარჩენის გზას აჩვენებდა, რათა მწუხრის ჟამი მოულოდნელად დაატყდეს თავს.

როდესაც ღმერთი ადამიანებს მნიშვნელოვან გაფრთხილებას უგზავნის წმიდა ანგელოზთა მეშვეობით, რომლებიც ზეცის შუა დაფრინავენ, რასაკვირველია, მოითხოვს, რომ ყოველმა გონიერმა ადამიანმა ყურადღება მიაქციოს ამ გაფრთხილებას. იმ საშინელმა სამსჯავრომ, რომელიც ელის ყოველს, ვინც თაყვანს სცემს მხეცს და მის ხატებას (იხ. გამოცხ. 14:9-11), ადამიანებს უნდა გაულვიძოს წინასწარმეტყველებათა გულდასმით გამოკვლევის სურვილი, რათა სწორი

წარმოდგენა ჩამოუყალიბდეთ მხეცის ხატებაზე და იმაზე, თუ რა გზით შეიძლება მისი აცილება. მაგრამ ხალხი უარყოფს ჭეშმარიტებას და თავის ყურადღებას თქმულებებსა და ლეგენდებს დაუთმობს. პავლე მოციქულმა, წინასწარ განჭვრიტა რა ბოლო ჟამის დღეები, თქვა: "ვინაიდან დადგება დრო, როდესაც სალ მოძღვრებას არ მიიღებენ" (2ტიმ. 4:3). ეს დრო უკვე დადგა. ადამიანებს არ სურთ ბიბლიური ჭეშმარიტების მიღება იმიტომ, რომ იგი არ ეთანხმება მათი ცოდვილი გულის მიდრეკილებებს, სატანა კი ყალბი ილუზიებით ამშვიდებს მათ.

მაგრამ უფალს დედამიწაზე ჰყავს ხალხი, ვისთვისაც ბიბლია და მხოლოდ ბიბლია არის ყოველი

მოძღვრების საზომი და ყოველგვარი რეფორმის საფუძველი. სწავლულთა არც ერთი აზრი, სამეცნიერო დასკვნა, დოქტრინა თუ საეკლესიო დადგენილება, ისეთივე მრავალრიცხოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო, როგორც თავად ეკლესიებია, რომელთაც ისინი წარმოადგენენ, არც უმრავლესობის ხმა, - არც ერთი მათგანი არ შეიძლება ჩაითვალოს რელიგიური რწმენის რომელიმე პუნქტის მტკიცებად ან უარყოფად. სანამ რომელიმე მოძღვრებას ან მითითებას მივილებდეთ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ იგი განმტკიცებულია ღვთის სიტყვით: "ასე ამბობს უფალი!"

სატანა გამუდმებით ცდილობს, ჩვენი ყურადღება ღმერთიდან

ადამიანებზე გადაიტანოს. იმის ნაცვლად, რომ ადამიანი წმიდა წერილის შესწავლით თავადვე ჩაწვდეს უფლის წინაშე საკუთარი მოვალეობის არსს, იგი შთააგონებს, რომ მისი მოძღვარია ეპისკოპოსი, პასტორი, ღვთისმეტყველების მასწავლებელი და, იძენს რა ამ გზით ძალაუფლებას ხელმძღვანელთა გონებაზე, მათი მეშვეობით სატანა ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ნებაზე.

როდესაც ქრისტე დედამიწაზე მოვიდა, რათა სიცოცხლის სიტყვა ექადაგა, მას სიხარულით უსმენდნენ არა მარტო უბრალო ადამიანები, არამედ ბევრმა მღვდელმა და მთავარმაც ირწმუნა იგი. მაგრამ მღვდელმთავრებსა და ერის

წინამძღოლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, არ მიელოთ მისი მოძღვრება და მსჯავრი დაედოთ მისთვის. მათი მცდელობა - რაიმე დანაშაული მოენახათ მის მოქმედებაში, - მარცხით დამთავრდა. თუმცა შეუძლებელი იყო, მათ არ განეცადათ მისი სიტყვიდან გამომდინარე ღვთიური ძალისა და სიბრძნის ზეგავლენა, მაგრამ ცრურწმენით დატყვევებულებმა, თავადვე გამოუტანეს საკუთარ თავს განაჩენი: უარყვეს მისი, როგორც მესიის, ყველა დამამტკიცებელი მოწმობა, რადგან წინაალმდეგ შემთხვევაში, მისი მოწაფეები უნდა გამხდარიყვნენ. იესოს წინაალმდეგ განეწყვნენ ის ადამიანები, რომელთა პატივისცემას იუდეველებს

ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ და რომელთა ავტორიტეტს ისინი უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. "რატომ არ დაუჯერეს იესოს ჩვენმა მთავრებმა და მწიგნობრებმა? - კითხულობდნენ ისინი, - ნუთუ ეს ღვთისმოსავი ადამიანები არ მიიღებდნენ მას, იგი რომ ნამდვილად ქრისტე ყოფილიყო?" სწორედ ამ მოძღვართა ზეგავლენამ მიიყვანა იუდეველნი იქამდე, რომ მაცხოვარი უარყვეს.

სული, რომელიც ამ მღვდლებსა და მთავრებში მოქმედებდა, დღესაც მოქმედებს გარეგნულად ღვთისმოსავ ადამიანებში. მათ არ სურთ წმიდა წერილის მოწმობების შესწავლა დღეისთვის მეტად აქტუალურ, განსაკუთრებულ ჭეშმარიტებათა

შესახებ. ისინი ხაზს უსვამენ თავიანთ მრავალრიცხოვნებას, სიმდიდრესა და პოპულარობას და აბუჩად იგდებენ ჭეშმარიტების ერთ მუჭა, მოკრძალებულ და თავმდაბალ დამცველთ, რომელნიც ვერ პოულობენ ფართო მხარდაჭერას, რადგან აქვთ რწმენა, რომლითაც მთელი ქვეყნიერებისაგან გამოირჩევიან.

ქრისტემ განჭვრიტა, რომ მწიგნობრებისა და ფარისევლების მიერ ძალაუფლების უკანონოდ მითვისება მხოლოდ იუდეველთა გაფანტვით არ დამთავრდება. იგი წინასწარ ხედავდა ადამიანური ხელისუფლების აღზევებას, რომელიც სინდისზე გაბატონდება, რაც ყველა საუკუნეში საშინელი

წყევლა-კრულვა იყო ეკლესიისათვის. იესოს მიერ ფარისეველთა და მწიგნობართა შთამბეჭდავი მხილება, მის მიერ ადამიანთა გაფრთხილება, არ გაჰყოლოდნენ ამ ბრმა მასწავლებლებს - დაიწერა წმიდა წერილში, როგორც დარიგება მომავალი თაობისათვის.

რომის კათოლიკური ეკლესიის თვალსაზრისით, წმიდა წერილის ახსნა-განმარტების უფლება მხოლოდ სულიერ მამებს აქვთ. გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ სულიერ პირებს აქვთ საკმარისი განათლება იმისათვის, რომ განმარტონ ღვთის სიტყვა, ამიტომ მისი ჭეშმარიტება ხალხისაგან დაფარული ხდება. თუმცა რეფორმაციამ ყოველ ადამიანს მისცა ხელში ბიბლია,

მაგრამ ის პრინციპი, რომლითაც რომი ხელმძღვანელობდა, პროტესტანტულ ეკლესიებშიც ბევრს უშლის ხელს წერილის დამოუკიდებლად შესწავლაში. მათ ასწავლიან, იგი ისე მიიღონ, როგორც ეკლესია განმარტავს. ათასობით ადამიანს არ ჰყოფნის გაბედულება, მიიღოს ის, რაც ასე ნათლადაა გადმოცემული წმიდა წერილში, მაგრამ ეწინააღმდეგება მათი ეკლესიის ტრადიციულ სწავლებასა და წესებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიაში მრავლადაა გაფრთხილება ცრუ მოძღვრების შესახებ, ბევრი დიდი მზადყოფნით აბარებს თავის სულს სამღვდელოებას. ათასობით თანამედროვე ქრისტიანი ვერ დაასახელებს არგუმენტს თავისი

რელიგიური სწავლების პუნქტების დასაცავად იმის გამო, რომ მათ ასე ასწავლიან ეკლესიის ხელმძღვანელები. ისინი საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას მაცხოვრის გაფრთხილებას და ბრმად ენდობიან ეკლესიის მსახურთა სიტყვებს. მაგრამ ეს მსახურნი განა უცოდველნი არიან? როგორ შეიძლება მიენდო მათ, თუკი ღვთის სიტყვა გვეუბნება, რომ ისინი არ არიან სინათლის მომტანნი? ზნეობრივი სიმამაცეა საჭირო იმისათვის, რომ უარყო შენს მიერ არასწორად განვლილი გზა, ხოლო ისინი, ვისაც ის არ გააჩნია, იძულებული არიან, მისდიონ სწავლულთა სიბრძნეს, მათ არ სურთ დამოუკიდებლად წერილის შესწავლა და ამის გამო საიმედოდ

არიან შებორკილნი ცდუნების ჯაჭვით. მათ ესმით, რომ წერილის ფურცლებზე ნათლად არის გახსნილი ჭეშმარიტება ჩვენი დროისათვის, გრძნობენ სულიწმიდის ძალას, რომლითაც ჭეშმარიტება ცხადდება და მიუხედავად ამისა, უარყოფენ იმ ნათელს, რომელსაც სულიერი მამები უმალავენ მათ. თუმცა ამ ადამიანებს გონიერება და სინდისი კარნახობს, რომ ჭეშმარიტება ხელშეუხებელია, მაგრამ ეს ცდუნებით დაბრმავებული სულები ვერ ბედავენ, გამოთქვან საკუთარი აზრი და მარადიულობის ინტერესებს მსხვერპლად სწირავენ ურწმუნოებას, მსახურთა სიამაყესა და ცრურწმენას.

სატანას ადამიანის დამონების მრავალი ხერხი გააჩნია. იგი

ოსტატურად იყენებს ძლიერ კავშირებს ადამიანებსა და ქრისტეს ჯვრის მტრებს შორის, რითაც ადვილად იპყრობს ათასობით გულს. რანაირიც არ უნდა იყოს ეს კავშირები - მშობლიური, ცოლ-ქმრული, ნათესაური, მეგობრული თუ სოციალური, - შედეგი მაინც ერთია: ადამიანის სინდისი დაწოლას განიცდის ჭეშმარიტების მოწინააღმდეგეთა მხრიდან და მათი ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ პიროვნებებს არ გააჩნიათ საკმარისი გამბედაობა და დამოუკიდებლობა, რომ თავიანთ მოვალეობის გრძნობას დაემორჩილონ.

ჭეშმარიტება და უფლის დიდება განუყოფელია. ჩახედულნი ვართ რა ბიბლიაში, ჩვენთვის შეუძლებელია,

ვადიდოთ ღმერთი და ამავე დროს გვქონდეს არასწორი თვალსაზრისი. "არა აქვს მნიშვნელობა, რისი გვწამს, ოღონდ სწორად ვიცხოვროთ", ამტკიცებს ზოგიერთი. მაგრამ, განა ჩვენი რწმენა არ აყალიბებს ჩვენს ცხოვრებას? როდესაც სინათლე და ჭეშმარიტება ჩვენს ხელშია, ჩვენ კი უარვყოფთ მათში ჩაწვდომის პრივილეგიას, ამით, ფაქტიურად, უარვყოფთ ჭეშმარიტებას და ნათელს ბნელს ვამჯობინებთ.

"არის გზა, კაცს რომ სწორი ჰგონია, მაგრამ მისი ბოლო სიკვდილის გზაა" (იგავ. 16:25). შეცდომა და ცოდვა არ შეიძლება გამართლდეს უმეცრებით მაშინ, თუკი ხელთ გვაქვს უფლის ნების შეცნობის შესაძლებლობა. მოგზაური მიდის გზაჯვარედინამდე,

საიდანაც გზები სხვადასხვა მხარეს იყრება, მაჩვენებელზე კი ალნიშნულია, თუ საით მიდის თითოეული მათგანი. თუკი ის მაჩვენებელს ყურადღებას არ მიაქცევს და თავად ამოირჩევს გზას, რომელიც მას სწორად მოეჩვენა, შემდეგ აუცილებლად მიხვდება, რომ არასწორი გზა აირჩია და გულწრფელად აღიარებს ამას.

ღმერთმა მოგვცა თავისი სიტყვა, რათა გავეცნოთ მის მოძღვრებას და გავიგოთ, რას მოითხოვს ჩვენგან. როდესაც მწიგნობარი მივიდა იესოსთან და ჰკითხა: "რა უნდა გავაკეთო, მოძღვარო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?" მაცხოვარმა ყურადღება წმიდა წერილზე გაამახვილებინა და

უპასუხა: "რჯულში როგორ წერია? შენ როგორ კითხულობ?" არცოდნა არ ეპატიება არც ახალგაზრდას და არც მოხუცს, არც სასჯელისაგან ათავისუფლებს უფლის კანონის დარღვევის გამო მაშინ, როცა მათ ხელთ აქვთ ამ კანონის, მისი პრინციპებისა და მოთხოვნების ჭეშმარიტი მოწმობა. არაა საკმარისი, გქონდეს მხოლოდ კეთილი ზრახვები; საკმარისი არაა, ადამიანმა გააკეთოს ის, რასაც თავად თვლის სიკეთედ ანდა რასაც მოძღვარი თვლის სამართლიანად. ადამიანი თვითონ წყვეტს თავისი გადარჩენის საკითხს და ამიტომ მან დამოუკიდებლად უნდა შეისწავლოს წმიდა წერილი. რა ძლიერიც არ უნდა იყოს მისი თვითრწმენა, როგორც არ

უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ ღვთისმსახურმა იცის ჭეშმარიტება, ეს არ შეიძლება და არც უნდა იყო მისი რწმენის საფუძველი. მას აქვს რუქა, რომელზედაც მისი ზეცაში მოგზაურობისათვის ყოველი საჭირო ნიშანია ალნიშნული და იგი არ უნდა ეყრდნობოდეს რებუსებს.

ყოველი მოაზროვნე ადამიანის უპირველესი და უმაღლესი ვალდებულება წმიდა წერილის შესწავლაა. ჭეშმარიტების შემეცნება, შემდეგ კი მისი სინათლის გავრცელება და საკუთარი მაგალითით სხვების წახალისება - აი, რა არის ჩვენი ვალი. ჩვენ ყოველდღიურად გულდასმით უნდა შევისწავლოთ ბიბლია, ავწონ-დავწონოთ ყოველი აზრი და

შევადაროთ ტექსტები. უფლის დახმარებით უნდა გამოვიმუშავოთ საკუთარი აზრი, რადგან ყოველმა ადამიანმა პირადად უნდა აგოს პასუხი ღმერთის წინაშე.

ბიბლიის ნათელ ჭეშმარიტებაში ეჭვი შეაქვთ მეცნიერებს, რომელთაც ჰგონიათ, რომ აქვთ უმაღლესი სიბრძნე და ასწავლიან, რომ წმიდა წერილს აქვს მისტიკური, საიდუმლოებით მოცული სულიერი აზრი, რომელსაც ადამიანი ვერ ჩაწვდება. ისინი ცრუმასწავლებლები არიან. სწორედ მათკენ არის მიმართული იესოს სიტყვები: "იმიტომ ხომ არ ცდებით, რომ არ იცით არც წერილები და არც ღვთის ძალა?" (მარკ. 12:24). ბიბლია ისე უნდა გავიგოთ, როგორც არის დაწერილი,

რასაკვირველია, სიმბოლოთა და სხვათა გამოთქმების გამოკლებით. ქრისტემ აღგვითქვა: "ვისაც სურს აღასრულოს მისი ნება, იგი შეიტყობს ამ მოძღვრებას" (იოან. 7:17). ადამიანებმა ისევე რომ მიიღონ ბიბლია, როგორც არის დაწერილი, რომ არ არსებობდნენ ცრუ მოძღვრები, რომლებიც ამახინჯებენ და აბნელებენ მის ტექსტებს, მაშინ რა დიდი იქნებოდა ანგელოზთა სიხარული იმის გამო, რომ ქრისტეს ფარას შეემატა ათასობით და ათიათასობით სული, რომელნიც დღეს გზააბნეული არიან.

მთელი ჩვენი გონებრივი ძალა წმიდა წერილის შესწავლას უნდა მოვახმაროთ და მიზნად უნდა დავისახოთ ღვთის ჩანაფიქრსა და

მის ზრახვათა სიღრმეში წვდომა, რამდენადაც ეს შესაძლებელია ჩვენთვის, მოკვდავთათვის, მაგრამ ამავე დროს, არ დაგვავიწყდეს, რომ მოწაფეობის ჭეშმარიტი სული - ეს არის ბავშვური მინდობა და უბრალოება. წმიდა წერილის ძნელი ადგილების ახსნა შეუძლებელია იმ მეთოდების გამოყენებით, რომელთაც ფილოსოფიურ პრობლემათა გადაწყვეტისას მივმართავთ. ის, ვინც ბიბლიის შესწავლას იწყებს, უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი თვითრწმენისაგან, რომელიც ბევრ სწავლულს ახასიათებს და ჩაწვდება რა ლოცვების შედეგად, რომ მხოლოდ ღმერთზეა დამოკიდებული, გულწრფელი სურვილებით ალივსება. მისი ნების შესაცნობად

ჩვენ სწავლა უნდა დავიწყოთ მორჩილი გულით და უზენაესისაგან ცოდნის მიღების სურვილით, რომელმაც წარმოთქვა: "მე ვარ". წინაალმდეგ შემთხვევაში ბოროტი ანგელოზები ისე დაგვიბნელებენ გონებას და გაგვიქვავებენ გულს, რომ ჭეშმარიტება არ დაგვარწმუნებს.

წმიდა წერილში საკმარისად არის ადგილები, რომლებიც მეცნიერებს დიდ საიდუმლოებად ან უმნიშვნელოდ ეჩვენებათ, მაგრამ მათთვის, ვისაც ქრისტეს სკოლაში სურს სწავლა, ნათელი, გასაგები და იმედის მომცემია. ბევრი ღვთისმეტყველი ძალზე ზედაპირულად ღებულობს ღვთის სიტყვას. ამის მიზეზი კი ის არის, რომ თვალს ხუჭავენ იმ ჭეშმარიტებებზე,

რომლის აღსრულებაც თვითონ არ სურთ. ბიბლიური ჭეშმარიტების აღქმა დამოკიდებულია არა იმდენად ადამიანის ინტელექტზე, რამდენადაც ადამიანის გადაწყვეტილების სიმტკიცეზე და სიმართლისაკენ გულწრფელ სწრაფვაზე.

ბიბლიის შესწავლა არ შეიძლება ლოცვის გარეშე. მხოლოდ სულიწმიდის დახმარებით შეგვიძლია გავიგოთ, თუ რა შესაძლებლობები გაგვაჩნია მისი შემეცნებისათვის და იგივე სული დაგვეხმარება, თავი შევიკავოთ იმ ჭეშმარიტებათა აღქმის მცდელობისაგან, რომელიც ჩვენთვის არ არის გახსნილი. ზეციური ანგელოზები ადამიანის გულს ღვთის სიტყვის მისაღებად ამზადებენ და

ზრუნავენ იმაზე, რომ დაგვატყვევოს მისმა სილამაზემ, მივილოთ მისი გაფრთხილება და მისმა აღთქმებმა გაგვამხნევოს და გაგვაძლიეროს. მეფსალმუნის ლოცვა: "აღმიხილე თვალნი და ვჭვრეტდე საოცრებებს შენი რჯულისას" (ფს. 118:18) ჩვენი ლოცვა უნდა გახდეს. ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ცდუნებას ვერ დავძლევთ, რადგან ხშირად ლოცვისა და ბიბლიის შესწავლის უგულვებელყოფის გამო, ადამიანი უცბად ვერ იხსენებს უფლის დაპირებას, რათა წერილით შეიარაღებული დახვდეს სატანას. მაგრამ მათ, ვინც ყოველთვის მზადაა ღვთიური მოძღვრების შემეცნებისათვის, გარს ეხვევიან ღვთის ანგელოზები და დიდი

მწუხრის ჟამს ისინი გაახსენებენ მათ მათთვის მეტად საჭირო ჭეშმარიტებებს. ამიტომ, "როდესაც ნიალვარივით მოვა მტერი, უფლის ქარი გამორეკავს მათ" (ეს. 59:19).

იესომ თავის მოწაფეებს აღუთქვა: "ხოლო ნუგეშისმცემელი კი, სულიწმიდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს" (იოან. 14:26). მაგრამ ქრისტეს მოძღვრება ჯერ ჩვენს გონებაში უნდა ჩაიბეჭდოს, რათა ხიფათის დროს ღვთის სულმა გაგვახსენოს იგი. "გულში ჩავიმარხე შენი სიტყვები, რათა არ შევცოდი შენს წინაშე" (ფს. 118:11).

მათ, ვინც მარადიულობაზე ფიქრობენ, გულში ეჭვი არ უნდა შეუშვან. ყველაზე მთავარი ჭეშმარიტებანი თავდასხმის ობიექტი გახდება. შეუძლებელია თავი დაალწიო დაცინვას, სხვადასხვა ყალბ ფილოსოფიას, თანამედროვე ურწმუნოების მზაკვრულ და დამლუპველ მოძღვრებას. ყოველი ჩვენგანისთვის სატანას მზადა აქვს ცდუნება: გაუნათლებელთათვის - რაღაც უაზრო თქმულებები, ლეგენდები, დაცინვები; განათლებულებს კი მეცნიერული წინააღმდეგობებითა და ფილოსოფიური თეორიებით ხვდება, მაგრამ, ერთიც და მეორეც მას იმისთვის ესაჭიროება, რომ წმიდა წერილის მიმართ ურწმუნოება

დათესოს. თვით სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდობაც კი თავს უფლებას აძლევს, ეჭვი შეიტანოს ქრისტიანული პრინციპების საფუძველში. და რაც არ უნდა გულუბრყვილო გვეჩვენოს ახალგაზრდა თაობის ურწმუნოება, იგი განსაზღვრულ გავლენას მაინც ახდენს. ბევრი დასცინის თავისი მამების რწმენას და შეურაცხყოფს მადლის სულს (ებრ. 10:29).

მრავალ ადამიანს შეეძლო უფლის გზაზე დამდგარიყო და სარგებლობა მოეტანა კაცობრიობისათვის, უფლის სინათლის მატარებელი გამხდარიყო, მაგრამ ხალხი ურწმუნოების სულითაა მოწამლული. ყველა ის, ვინც ადამიანის ქედმაღლური გონების გადაწყვეტილებებს ენდობა

და თვლის, რომ ღვთის საიდუმლოებებსა და მის ჭეშმარიტებებს უფლის სიბრძნის დახმარების გარეშე ჩასწვდება, სატანის ქსელში გაებმება.

ჩვენ ვცხოვრობთ კაცობრიობის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან და გადამწყვეტ პერიოდში. დედამიწის მცხოვრებთა ბედი მალე გადაწყდება. ჩვენი მომავალი და ადამიანთა ხსნა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არჩევანს გავაკეთებთ. ჩვენ გვესაჭიროება ჭეშმარიტების სულის ხელმძღვანელობა. ქრისტეს ყოველმა მიმდევარმა გულწრფელად უნდა იკითხოს: "უფალო, რას დამავალებ?" ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მორჩილება უფლის წინაშე ლოცვებით,

მარხვებით და ბევრი უნდა ვიფიქროთ მის სიტყვაზე, განსაკუთრებით კი - სამსჯავროს სცენებზე. უნდა ვეძებოთ უფლის ჭეშმარიტებათა ღრმა და ცოცხალი გამოცდილებები. ერთი წამის დაკარგვაც კი არ შეიძლება. ჩვენს გარშემო უდიდესი მოვლენები ხდება. ჩვენ ვცხოვრობთ სატანის მიერ მოჯადოებულ დედამიწაზე! ღვთის გუშაგნო! გამოიღვიძეთ, რადგან მტერი ახლომახლო დაძრწის, ყოველ წუთს მზად არის თავდასხმისათვის და მისი ნადავლი გახდებით, თუ დაიღლებით და ჩათვლემთ.

მრავალ ადამიანს ჰგონია, რომ მართალია ღმერთის წინაშე და ამით თავს იტყუებს. ასეთი ადამიანები კმაყოფილდებიან იმით, რომ

არავითარ ბოროტებას არ სჩადიან, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ღმერთი მათგან კეთილშობილურ საქმეებს ითხოვს. არ არის საკმარისი, იყო მხოლოდ ხე უფლის ბაღში. ადამიანებმა უნდა გაამართლონ უფლის მოლოდინი და ნაყოფი გამოიღონ. იგი მათ პასუხისმგებლობას აკისრებს იმის გამო, რომ არ გააკეთეს ის, რისი გაკეთებაც უფლის მადლის ძალით შეეძლოთ. ზეციურ წიგნებში ისინი ალნიშნული არიან, როგორც უნაყოფო ხეები დედამიწაზე. მაგრამ არც მათი მდგომარეობა არის უიმედო. უფალი კვლავ მოუწოდებს მათ, ვინც უგულვებელყოფს მის წყალობას და უარყოფს მის მადლს. "გაიღვიძე, მძინარევ, და აღსდექ მკვდრეთით, და

გაგინათებს შენ ქრისტე. მაშ, ფრთხილად მოიქეცით... გამოისყიდეთ დრო, ვინაიდან დღეები ბოროტია" (ეფ. 5:14-16).

როდესაც გამოცდის დრო მოვა, გამოჩნდება ყოველი, ვინც ღვთის სიტყვა თავისი ცხოვრების წესად გაიხადა. ზაფხულში არ ჩანს განსხვავება მარადმწვანე ხეებსა და ჩვეულებრივ მცენარეებს შორის, მაგრამ ზამთრის დადგომისას მარადმწვანე ხეები არ იცვლება, დანარჩენებს კი ფოთლები სცვივა. ასეა დღესაც, როდესაც ჯერ შეუძლებელია ჭეშმარიტი ქრისტიანის ცრუსაგან გარჩევა. მაგრამ სულ მალე დადგება ჟამი, როცა ეს განსხვავება აშკარა გახდება. როგორც კი დაიწყება ბრძოლა,

როგორც კი ფანატიზმი და რელიგიური შეუწყნარებლობა კვლავ ალდგება მთელი თავისი ძალით, როგორც კი განახლდება დევნა, ნახევრადმოქცეული, არაგულწრფელი ქრისტიანები ყოყმანს დაიწყებენ და უარყოფენ თავიანთ რწმენას, მაგრამ ჭეშმარიტი ქრისტიანი კლდესავით მტკიცედ იდგება. მისი რწმენა უფრო განმტკიცდება და მის იმედს ნათელი შეემატება.

მეფსალმუნე ამბობს: "რადგან შენი მცნებანი სააზროვნოა ჩემი, ...შენი ბრძანებით საზრიანი გავხდი, ამიტომ მოვიძულე ყოველი გზა სიცრუისა" (ფს. 118:99,104).

"კურთხეულია კაცი, სიბრძნის მძებნელი", "რადგან იგი იქნება

წყლის პირას დარგულ ხესავით, რომელსაც მდინარესთან აქვს ფესვები გადგმული; არ უყურებს, რომ დადგება ხვატი, მწვანე ფოთლები ექნება მუდამ, არ უფრთხის გვალვიან წელიწადს და არასოდეს ელევა ნაყოფი" (იერ. 17:8).

თავი 38 უკანასკნელი გაფრთხილება

"ამის შემდეგ ვიხილე სხვა ანგელოზი, რომელიც ციდან ჩამოდიოდა და დიდი ხელმწიფება ჰქონდა; დედამიწა განათდა მისი დიდებით. დაიძახა ძლიერი ხმით და თქვა: "დაემხო, დაემხო დიდი ბაბილონი, გახდა ეშმაკთა სამკვიდროდ და ყოველი არაწმიდა სულის თავშესაფრად; და ყოველი არაწმიდა და ბილწი ფრინველის თავშესაფრად". "გავიგონე სხვა ხმა ციდან, რომელიც ამბობდა: "გამოერიდე მას, ჩემო ხალხო, რათა არ ეზიარო მის ცოდვებს და არ მიიღო მისი წყლულებისაგან" (გამოცხ. 18:1,2,4).

ეს ტექსტი მიუთითებს იმ დროზე, როდესაც გამოცხადების მე-14 თავში ალწერილი მეორე ანგელოზის მიერ წარმოთქმული გაფრთხილება ბაბილონის დაცემის შესახებ დამატებით უნდა განმეორდეს და კვლავ უნდა შეახსენოს ხალხს სხვადასხვა საეკლესიო ორგანიზაციებში შეჭრილი გარყვნილების შესახებ, რაც ბაბილონს წარმოადგენს. ეს გაფრთხილება პირველად 1844 წლის ზაფხულში გაისმა. აქ ალწერილია რელიგიური სამყაროს საშინელი მდგომარეობა. ჭეშმარიტებათა ყოველი ახალი უარყოფა კიდევ უფრო დაუბნელებს გონებას ადამიანებს, უფრო მეტად გაუქვავებს გულს, ვიდრე მათ სრული

ურწმუნოება არ დაეუფლებათ. უზენაესის გაფრთხილების მიუხედავად, ისინი კვლავ გააგრძელებენ უფლის ერთ-ერთი მცნების უგულვებელყოფას, შემდეგ კი დევნას დაუწყებენ მის წმიდად შემნახველთ. შეიძულებენ ღვთის მცნებებს, მის ხალხს და ქრისტესაც არაფრად ჩააგდებენ. როდესაც ეკლესიები მიიღებენ სპირიტიზმის მოძღვრებას, ხორციელი გულისათვის ალარ იარსებებს რაიმე ზღვარი და რელიგიის ფორმალური ალიარება უმდაბლესი მანკიერების დამფარველ ნიღბად გადაიქცევა. სპირიტულ მოვლენათა მიმართ რწმენა გზას გაუხსნის მაცდურ სულებს, "ეშმაკთა მოძღვრებებს" და ეკლესიებზე ბოროტ ანგელოზთა

ზეგავლენა მეტად საგრძნობი გახდება.

ბაბილონის შესახებ წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: "მისმა ცოდვებმა ცას უწია და გაიხსენა ღმერთმა მისი უსამართლობანი" (გამოცხ. 18:5). მან აავსო თავისი ურჯულოების თასი და დალუპვის პირას დგას. მაგრამ უფალს ჯერ კიდევ ჰყავს თავისი ერთგული შვილები ბაბილონში და საბოლოო განაჩენის გამოტანამდე ისინი უნდა გათავისუფლდნენ მისგან, რათა არ ეზიარონ მის ცოდვებს და "არ მიიღონ მისი წყლულებისაგან". დაიწყო მოძრაობა, რომელიც სიმბოლურად წარმოდგენილია ციდან ჩამომავალი ანგელოზის სახით, რომლის

დიდებითაც დედამიწა განათდა და რომელმაც ძლიერი ხმით ამხილა ბაბილონის ცოდვები. ამასთან არის დაკავშირებული მოწოდება: "გამოერიდე მას, ჩემო ხალხო". ეს მოწოდება მესამე ანგელოზის უწყებასთან ერთად იმ უკანასკნელ გაფრთხილებას წარმოადგენს, რომელიც დედამიწის ყოველი მკვიდრისადმია მიმართული.

წუთისოფელს საშინელი დასასრული ელის! დედამიწის ძალები გაერთიანდებიან უფლის მცნებათა წინააღმდეგ საბრძოლველად და კანონის ძალით აიძულებენ "ყველას - დიდებსა და პატარებს, მდიდრებსა და ღარიბებს, თავისუფლებსა და მონებს" (გამოცხ. 13:16) ეკლესიის დადგენილებათა

მიხედვით ცრუ შაბათის დაცვას. ისინი, ვინც მათ არ დაემორჩილება, დაისჯებიან სახელმწიფო ხელისუფლების მიერ და საბოლოოდ, მათ სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ. მეორეს მხრივ, უფლის კანონი, რომელიც ბრძანებს შემოქმედის მიერ დაწესებული დღის - შაბათის დაცვას, ითხოვს მის აღსრულებას და ღვთის რისხვას აღუთქვამს მის დამრღვევთ. ყოველი, ვინც გათვითცნობიერებული იქნება ამ საკითხში, მაგრამ მაინც დაარღვევს რჯულს და ადამიანურ დადგენილებებს დაემორჩილება, მიიღებს მხეცის ნიშანს, ნიშანს იმ ხელისუფლების მიმართ ერთგულებისა, რომელიც მისთვის ღმერთის ავტორიტეტზე მაღალი

იქნება. ზეცა გვაფრთხილებს: "ვინც თაყვანსა სცემს მხეცს და მის ხატებას და მიიღებს ნიშანს შუბლზე ან ხელზე, ის შესვამს ღვთის მძვინვარების ღვინისაგან, რომელიც მისი რისხვის თასში არის მომზადებული შეუზავებლად" (გამოცხ. 14:9,10).

ღვთის რისხვა თავს დაატყდება მხოლოდ მათ, ვისაც ჰქონდა ჭეშმარიტების შემეცნებისა და მიღების შესაძლებლობა, მაგრამ უარყო იგი. მრავალ ადამიანს ჯერ კიდევ არ სმენია დღეისათვის განკუთვნილი განსაკუთრებული ხმა ჭეშმარიტებისა. მეოთხე მცნების დაცვის აუცილებლობა არასოდეს ჰქონიათ მათ სწორად გაცხადებული. გულის ყოველი სურვილის

წამკითხველი და გამომცდელი ყოვლისმცოდნე ღმერთი არ დაუშვებს, რომ ჭეშმარიტების შემეცნების მაძიებელი ადამიანი მოტყუვდეს და არ მიეცეს სატანურ ქსელში გარკვევის შესაძლებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით. ადამიანებმა ბრმად არ უნდა მიიღონ ეს დადგენილება. თითოეულ მათგანს მიეცემა საკმარისი ნათელი, რათა შეგნებულად გააკეთოს არჩევანი.

შაბათი დღის დაცვასთან იქნება დაკავშირებული ერთგულების უდიდესი გამოცდა, რადგან სწორედ იგია ჭეშმარიტების მთავარი საკამათო საკითხი. გადამწყვეტი მომენტის დადგომისას უფლის ჭეშმარიტ და ცრუ მსახურთა შორის მკვეთრი ზღვარი დაიდება. ამ დროს

ცრუ შაბათის დაცვა - სახელმწიფო კანონების თანახმად და უფლის მეოთხე მცნების საწინააღმდეგოდ, ხელისუფლებისადმი ერთგულების გამომხატველი აშკარა მტკიცება იქნება, ჭეშმარიტი შაბათის დაცვა - ღვთის კანონებისადმი მორჩილებისა და შემოქმედის ერთგულების მოწმობა გახდება. ადამიანები, რომელნიც ამ საკითხში მიწიერი ხელისუფლების წინაშე მორჩილებას გამოიჩენენ, მხეცის ნიშანს მიიღებენ, ხოლო ვინც ღვთიური მმართველობის ნიშანს აირჩევს, უფლის ბეჭედს მიიღებს.

დღემდე სამი ანგელოზის სახარების ჭეშმარიტების მქადაგებელთ უბრალო შფოთისმთესველებს უწოდებენ.

გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებში კვლავ დაბრუნდება რელიგიური შეუწყნარებლობა, ეკლესია და სახელმწიფო კი ღვთის მცნებების დამცველთა წინააღმდეგ გაერთიანდებიან, უსაფუძვლო და უაზრო უწოდეს. ისინი დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ ეს ქვეყანა ყოველთვის იყო რელიგიის თავისუფლების დამცველი და ბოლომდე ასეთად დარჩება. მაგრამ იმდენად, რამდენადაც უკვე კვირა დღის აუცილებელი დაცვის საკითხი ფართო მსჯელობის საგანი ხდება, მოვლენები, რომელთაც ადრე ეჭვის თვალით უყურებდნენ და არ სჯეროდათ, უკვე რეალურ ელფერს იძენს და მესამე ანგელოზის

სახარების გავლენაც თანდათანობით ძლიერდება.

ღმერთი ყოველ თაობას უგზავნიდა თავის მსახურთ ცოდვათა სამხილებლად როგორც წუთისოფელში, ასევე ეკლესიაში. მაგრამ ადამიანებს უყვართ სასიამოვნო ამბების მოსმენა, ხოლო ჭეშმარიტ, შეულამაზებელ სინამდვილეს არ ღებულობენ. მრავალი რეფორმატორი თავისი მსახურების დასაწყისშივე დიდი სიფრთხილით ამხილებდა ეკლესიისა და ხალხის ცოდვებს. ისინი თავიანთი წმიდა ქრისტიანული ცხოვრების მაგალითით იმედოვნებდნენ ადამიანთა კვლავ დაბრუნებას ბიბლიური საწყისებისაკენ.

სულიწმიდით აღივსნენ ელია წინასწარმეტყველის მსგავსად, რომელმაც მიიღო სულიწმიდა და ამხილა უკეთური მეფისა და ღვთის მოღალატე ხალხის ცოდვები. რეფორმატორებს არ შეეძლოთ, არ ექადაგათ ბიბლიის ნათელი ჭეშმარიტებანი, თუმცა თავიდან ერიდებოდნენ ამას. მათ სულიწმიდა შთააგონებდა, მგზნებარედ და პირდაპირ ემცნოთ ხალხისათვის ჭეშმარიტება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ისინი უშიშრად გადასცემდნენ სიტყვებს, რომლებიც უფალმა ბაგეებში ჩაუდო, ხალხი კი იძულებული იყო მოესმინა ეს გაფრთხილებები.

ასევე ეუწყება ხალხს სამი ანგელოზის სახარება; როცა დადგება

დრო მისი დიდი ძალით ქადაგებისა, უფალი თავისი მორჩილი შვილების მეშვეობით იმოქმედებს და თავად წარმართავს მათ გონებას, ვინც მის სამსახურს მიუძღვნა თავი. ამ საქმისათვის ღვთის მორჩილნი მიიღებენ სულიწმიდით ცხებულებას და არა სპეციალურ განათლებას. რწმენისა და ლოცვის წმიდა ერთგულნი იქადაგებენ იმას, რასაც უფალი ჩაუდებს ბაგეებში. გამოაშკარავდება ბაბილონის ცოდვები; მხილებული იქნება სამოქალაქო ხელისუფლების მეშვეობით ეკლესიების დადგენილებათა ძალისმიერი თავსმოხვევის საშინელი შედეგები, სპირიტიზმის მოზღვავება, პაპის ძალაუფლების შეუმჩნეველი, მაგრამ

სწრაფი გავრცელება. ეს საზეიმო გაფრთხილება აღაგზნებს და აამოძრავებს ათასობით ადამიანს, რომელთაც ადრე მსგავსი არაფერი სმენოდათ. მათ განცვიფრებას საზღვარი არ ექნება, როდესაც გაიგებენ, რომ ბაბილონი - ეს არის თავისი შეცდომების, ცოდვებისა და ზეციურ ჭეშმარიტებათა უარყოფის შედეგად დაცემული ეკლესია. როდესაც ადამიანები შეეკითხებიან თავიანთ ძველ მოძღვრებს: "მართლაც ასეა ეს?", ისინი მოუთხრობენ სხვადასხვა ლეგენდებს, დაპირდებიან კეთილდღეობას მომავალში და ამით დაამშვიდებენ მათ შიშსა და გაღვიძებულ სინდისს. მაგრამ ბევრს არ დააკმაყოფილებს მხოლოდ ადამიანური ავტორიტეტი

და მოსთხოვენ მტკიცებას: "ასე ამბობს უფალი". მაშინ ეკლესიის ავტორიტეტიანი მსახურნი, ძველ ფარისეველთა მსგავსად, რისხვით ალივსებიან მათზე, ვინც მათ ავტორიტეტში ეჭვი შეიტანა და გამოაცხადებენ, რომ ეს სახარება სატანისეულია და აამბოხებენ ბრბოს, რომელიც ადვილად იხრება ურჯულოებისაკენ, რათა შეურაცხყონ და შეავიწროვონ ჭეშმარიტების მქადაგებელნი.

რაც უფრო ფართო გაქანებას ღებულობს ეს ბრძოლა, რაც უფრო მეტს ფიქრობს ხალხი აბუჩად აგდებულ უფლის კანონზე, მით უფრო აქტიურად მოქმედებს სატანაც და ამაოდ არ კარგავს დროს. ამ სახარების ძალას მძვინვარებაში

მოჰყავს ყველა, ვინც მას ეწინააღმდეგება. სამღვდელოება უდიდესი ძალისხმევით შეეცდება თავისი სამწყოსაგან დამალოს ჭეშმარიტი ნათელი: ისინი ნებისმიერი საშუალებით ეცდებიან ამ სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხთა განხილვის ჩახშობას. ეკლესია მიმართავს სახელმწიფო ხელისუფლებას დახმარებისათვის, პაპისტები და პროტესტანტები გაერთიანდებიან ჭეშმარიტების წინააღმდეგ ბრძოლაში. როდესაც განმტკიცდება მოძრაობა კვირა დღის აუცილებელი დაცვისათვის, მაშინ უფლის მცნებების დამცველთა წინააღმდეგ კანონის ძალას გამოიყენებენ. ზოგს ჯარიმის გადახდითა და ციხეში ჩასმით

დაემუქრებიან, ზოგს მალალი თანამდებობით, ქრთამითა და ძვირფასეულობით მოსყიდვას დაუპირებენ, რათა იძულებული გახადონ, უარყონ თავიანთი რწმენა, მაგრამ ისინი შეუვალი ალმოჩნდებიან: "დაგვიმტკიცეთ ჩვენი შეცდომები საღვთო წერილის მეშვეობით", - ასეთივე სიტყვები წარმოთქვა ოდესღაც მარტინ ლუთერმა მსგავს მდგომარეობაში. ისინი, ვინც სასამართლოს წინაშე წარდგება, ისე დამაჯერებლად დაიცავენ ჭეშმარიტებას, რომ მსმენელთა შორის მრავალი შეიგნებს და გადაწყვეტს უფლის მცნებათა დაცვას. ამგვარად, ნათელი გაბრწყინდება ათასობით ადამიანისათვის, რომლებიც

სხვანაირად ვერ მოისმენდნენ ამ ჭეშმარიტებას.

ღვთის სიტყვისადმი შეგნებულ მორჩილებას ამბოხებად ჩათვლიან. სატანის მიერ დაბრმავებული მშობლები დიდ სისასტიკესა და სიმკაცრეს გამოიჩენენ თავიანთი მორწმუნე შვილების მიმართ; ბატონები შეავიწროვებენ თავიანთ ღვთის მცნებათა დამცველ მსახურთ; სიყვარული გულგრილობით შეიცვლება, შვილები დაკარგავენ მემკვიდრეობას და მშობლიურ კერას. პავლე მოციქულის სიტყვები: "ყველა, ვისაც სურს ქრისტე იესოში იცხოვროს ღვთისმოსაობით, დევნილი იქნება" (2ტიმ. 3:12), ზუსტად ალსრულდება. იმის გამო, რომ ჭეშმარიტების დამცველნი უარს

იტყვიან შაბათის ნაცვლად კვირა დღის დაცვაზე, ზოგ მათგანს საპყრობილეში ჩასვამენ, ზოგს - გადაასახლებენ, ზოგს კი მონებად აქცევენ; ადამიანური თვალსაზრისით ეს თითქოს შეუძლებელია, მაგრამ როდესაც ბოროტების შემკავებელი ღვთიური ძალა დატოვებს ადამიანებს და ისინიც სრულად დაემორჩილებიან სატანას, რომელსაც ასე სძულს ღვთიური კანონები, ბევრი რამ შეიცვლება. როდესაც ადამიანის გულში ადგილი აღარ დარჩება ღვთის შიშისა და სიყვარულისათვის, იგი შეიძლება მეტად გასასტიკდეს.

ახლოვდება ქარიშხალი და მრავალი ადამიანი, რომელმაც უკვე მოისმინა სამი ანგელოზის სახარება, ირწმუნა, მაგრამ არ დამორჩილდა

ჭეშმარიტებას, უარყოფს თავის რწმენას, საკუთარ თვალსაზრისს და მტრის ბანაკში გადაინაცვლებს, ის დაუბრუნდება წუთისოფელს, ალივსება მისი სულით, მიწიერი სურვილები გაუჩნდება და როცა გამოცდის ჟამი დადგება, იოლ გზას აირჩევს. ნიჭიერი და მიმზიდველი ადამიანები, ოდესღაც ჭეშმარიტებით რომ ხარობდნენ, ახლა მთელი ძალით შეეცდებიან სხვების ცდუნებასა და შეცდომაში შეყვანას. ეს ადამიანები თავიანთი ადრინდელი ძმების ყველაზე სასტიკ მტრად იქცევიან. როდესაც შაბათის დამცველნი თავიანთი მრწამსის გამო მართლმსაჯულების წინაშე წარდგებიან, ეს მოღალატენი სატანის ყველაზე აქტიურ თანამშრომლებად

იქცევიან და მოყვასისადმი ცილისწამებისა და ლანძღვის მორევში ჩაეფლობიან. თავიანთი ცრუ დასმენებითა და შეთითხნილი ცილისწამებით ხელისუფლებას აამხედრებენ თავიანთი ყოფილი ძმების წინააღმდეგ.

სწორედ ამ დევნის პერიოდში გამოიცდება უფლის მსახურთა რწმენა. ისინი ყოველთვის ერთგულად ამცნობდნენ ხალხს გაფრთხილების უწყებას, ემორჩილებოდნენ მხოლოდ უფალსა და მის ჭეშმარიტ სიტყვას. უფლის სულის ხელმძღვანელობითა და მისი ნებით ქადაგებდნენ ისინი წმიდა სიტყვას. გულმოდგინებით ასრულებდნენ თავის მოვალეობას, უქადაგებდნენ ხალხს უფლისაგან

მიღებულ სიტყვას და არ წუხდნენ იმაზე, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ყოველივე ამას. ისინი არ ზრუნავდნენ თავიანთ მიწიერ და ამქვეყნიურ ინტერესებზე, არ უფრთხილდებოდნენ თავიანთ რეპუტაციას და თვით სიცოცხლესაც კი. და როდესაც ლანძღვა-გინების ქარიშხალი თავს დაატყდებათ, ზოგი მათგანი შიშით წამოიძახებს: "რომ გვცოდნოდა, თუ რით დამთავრდებოდა ჩვენი ქადაგება, ხმასაც არ ამოვიღებდით". სიძნელეებს ბოლო არ უჩანს. სატანა მეტად მძიმე განსაცდელს უგზავნის და საგონებელში აგდებს მათ. ისინი ფიქრობენ, რომ დაწყებული საქმისათვის ძალა არ ეყოფათ. მათ ემუქრება სიკვდილი. ადრინდელი

ცეცხლი ჩაქრა, მაგრამ უკანდასახევი გზა არ ჩანს. მაშინ, სრულიად დაუძლურებულნი, უზენაესს მიაპყრობენ თვალებს. გაიხსენებენ, რომ მათ მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა ეკუთვნოდა არა მათ, არამედ იმას, ვინც დაავალა, ეუწყებინათ ეს გაფრთხილება. უფალმა ჩაუდო ჭერშმარიტება გულში და მათ არ შეეძლოთ, ხალხისათვის არ ემცნოთ იგი.

ღვთის შვილთ გასულ საუკუნეებშიც უნდა გაევლოთ ეს გამოცდა. უიკლიფი, იან ჰუსი, ლუთერი, ტინდალი, ბაქსტერი, უესლი - მოითხოვდნენ, რომ ყოველი მათი მოძღვრება ბიბლიით შემოწმებულიყო და აცხადებდნენ, რომ მზად არიან, უარყონ ყველაფერი,

რაც წმიდა წერილს ეწინააღმდეგება. ამ ადამიანებს დიდი სისასტიკით დევნიდნენ, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ ჭეშმარიტების ქადაგებას. ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში იქადაგებოდა სწორედ ის განსაკუთრებული ჭეშმარიტება, რომელიც ღვთის ხალხის საჭიროებას სწორედ იმ მომენტისათვის პასუხობდა. ყოველი ახალი ჭეშმარიტება გზას იკვალავდა სიძულვილისა და წინააღმდეგობის ატმოსფეროში, ხოლო სინათლის გამავრცელებელთა ხვედრი - ტანჯვა და დევნა იყო. სასოწარკვეთილების ყველაზე კრიტიკულ მომენტში უფალი თავის ხალხს განსაკუთრებულ ჭეშმარიტებას უგზავნის და ვინ გაბედავს, რომ არ

ახაროს იგი? მოწყალე უფალი თავის მსახურთ მოუწოდებს, უკანასკნელი გაფრთხილება აუწყონ კაცობრიობას და განა მათ შეუძლიათ დუმილი, როცა ადამიანთა სულებს დალუპვა ელის? ქრისტეს მაცნეებმა არ უნდა იფიქრონ შედეგზე, არამედ უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, შედეგები კი ღმერთს მიანდონ.

    როდესაც წინაალმდეგობა კრიტიკულ წერტილს მიაღწევს, ღვთის მსახურნი შეცბუნდებიან და იფიქრებენ, რომ მართლაც მათ გამოიწვიეს კრიზისი. მაგრამ სინდისი და ღვთის სიტყვა დაარწმუნებს მათ, რომ სწორად მოიქცნენ და თუმცა განსაცდელი კვლავ მრავლად ექნებათ, გაუძლებენ მას. ბრძოლა თანდათან უფრო

გართულდება და გამწვავდება, მაგრამ კრიტიკულ მომენტში მათი რწმენა და მხნეობა გაიზრდება. ისინი განაცხადებენ: "ჩვენ არ შეგვიძლია ღვთის სიტყვის დამახინჯება და მისი წმიდა კანონის დაყოფა; ვერ ვუწოდებთ მის ერთ ნაწილს უმნიშვნელოს, მეორეს კი - მნიშვნელოვანს, რათა წუთისოფელს ვაამოთ. უფალი, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, ძლიერია და გადაგვარჩენს კიდეც. ქრისტემ უკვე დაამარცხა მიწიერი ძალები და ნუთუ ჩვენ ამ დამარცხებული წუთისოფლის უნდა გვეშინოდეს?"

დევნა, რა ფორმითაც არ უნდა გამოვლინდეს, იარსებებს მანამ, სანამ სატანა არსებობს და სანამ ქრისტიანებს ცოცხალი ძალა

გააჩნიათ. ვერც ერთი ადამიანი ვერ ემსახურება ღმერთს ბნელი ძალების წინააღმდეგობის გამოწვევის გარეშე. ბოროტი ანგელოზები მუდამ თან სდევენ ასეთ ადამიანს, რადგან ეშინიათ, რომ ლუკმას ხელიდან გამოსტაცებენ. მისი მაგალითით მხილებული ბოროტი ადამიანები დემონებს შეუერთდებიან და ყოველმხრივ შეეცდებიან მათ ცდუნებას, რათა დააშორონ ღმერთს. ხოლო, როდესაც ამას ვერ ახერხებენ, ცდილობენ, სინდისის ხმა ძალის გამოყენებით ჩაახშონ.

სანამ იესო ქრისტე, როგორც ადამიანის ქომაგი, ზეციურ საწმიდარში იმყოფება, ხელისუფლებისა და ხალხისათვის საგრძნობი იქნება სულიწმიდის

ძალის შემკავებელი ზეგავლენა, რაც რამდენადმე დედამიწის კანონებშიც ვლინდება. ამ კანონის არსებობის გარეშე კაცობრიობა დღეს უფრო სავალალო მდგომარეობაში იქნებოდა. თუმცა მსოფლიოს მრავალი ხელისუფალი და მმართველი დღეს სატანის ხელშემწყობია, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის უფლის ერთგული მსახურნიც არიან. მტერი თავის ხელქვეითებს ავალებს, ყოველნაირად ხელი შეუშალონ უფლის საქმეს, მაგრამ წმიდა ანგელოზთა გავლენის ქვეშ მყოფ, ღვთის ერთგულ სახელმწიფო მოხელეთ შესწევთ ძალა, სიმართლით ალუდგნენ წინ ამ ხრიკებს. ამგვარად, ჭეშმარიტების

მცირერიცხოვანი დამცველნი ჯერ კიდევ აკავებენ ბოროტების ძლიერ ნაკადს. სატანის მსახურთა აქტიური მოქმედება შენელდება, რათა სამი ანგელოზის სახარებამ შეძლოს თავისი საქმის დასრულება. უკანასკნელი გაფრთხილება ყველა მმართველ მოღვაწეთა ყურადღებას მიიპყრობს, რომელთა მეშვეობითაც უფალი გააკეთებს თავის საქმეს, ხოლო ზოგიერთი მათგანი ამ გაფრთხილებას კიდეც მიიღებს და მწუხრის ჟამს ღვთის ხალხის მხარეზე გადავა.

ანგელოზმა, რომელიც მესამე ანგელოზის მსახურებას უერთდება, თავისი დიდებით უნდა გაანათოს მთელი დედამიწა. ეს არის წინასწარმეტყველება იმ მსახურების

შესახებ, რომელიც საყოველთაო მასშტაბებს მიიღებს და განსხვავებული, გამაჯანსაღებელი ძალა ექნება. 1840-44 წლების ადვენტისტური მოძრაობა უფლის ძალის დიდებული გამოვლინება იყო; პირველი ანგელოზის სახარება მთელ მსოფლიოში იქადაგებოდა მისიონერთა მიერ. ბევრ ქვეყანაში გაჩნდა რელიგიის მიმართ უდიდესი ინტერესი, როგორიც არსად შეიმჩნეოდა მე-16 საუკუნის რეფორმაციის დღეების შემდგომ, მაგრამ მესამე ანგელოზის გაფრთხილებით გამოწვეული მოძრაობის უდიდესი აღმავლობა დიდად აღემატება რეფორმაციის პერიოდის მოძრაობას.

ეს მოძრაობა დაემსგავსება მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა სულიწმიდის გარდმოფენისას. როგორც "საადრეო წვიმა" (სულიწმიდის გარდმოფენა) იქნა გამოგზავნილი სახარების გავრცელების დასაწყისში ძვირფასი თესლის ალმოსაცენებლად, ასევე "საგვიანო წვიმა" მოგვეცემა ბოლო ჟამს სამკალის დასამწიფებლად. "შევიცნოთ, ვესწრაფოთ უფლის შეცნობას; განთიადივით საიმედოა მისი ამოსვლა, წვიმასავით მოგვივა, ისხარივით, მიწას რომ რწყავს" (ოს. 6:3). "სიონის ძენო, იხარეთ და იმხიარულეთ უფლის, თქვენი ღვთის გამო, რადგან მოგცემთ წვიმას ზომიერად, გამოგიგზავნით საადრეო და საგვიანო წვიმას, წინანდებურად"

(იოვ. 2:23). "იქნება უკანასკნელ დღეებში, ამბობს ღმერთი, რომ ჩემი სულისაგან მოვაფენ ყველა ხორციელზე". "და იქნება: ყოველი, ვინც მოუხმობს უფლის სახელს, გადარჩება" (საქ. 2:17,21).

სახარების, ამ უმნიშვნელოვანესი სიტყვის ქადაგების დასრულებისას ღვთის ძალა ისეთივე სიძლიერით უნდა გამოვლინდეს, როგორც დასაწყისში. წინასწარმეტყველება, რომელიც "საადრეო წვიმის" მიღებისას აღსრულდა, უნდა განმეორდეს "საგვიანო წვიმის" გარდმოფენისას, როდესაც დასრულდება სახარების ქადაგება. ესაა სიხარულის პერიოდი, რომლის შესახებაც პეტრე მოციქული ამბობს: "მაშ, მოინანიეთ და მოიქეცით, რათა

ალიხოცოს თქვენი ცოდვები", "რათა დადგეს სიხარულის დღეები უფლის პირისაგან და მოგივლინოთ მან იესო ქრისტე" (საქ. 3:19,20).

უფლის მსახურნი სიხარულით გაბრწყინებული სახეებით იჩქარებენ, ეს სასიხარულო ამბავი დედამიწის ყველა კუთხეს აუწყონ. ათასობით ხმა გაავრცელებს ამ გაფრთხილებას. მოხდება მრავალი სასწაული. ავადმყოფები განიკურნებიან, მორწმუნენი მრავალ ზებუნებრივ სასწაულს მოახდენენ და მრავლად ექნებათ ნიშნები. სატანაც მრავალ სასწაულს მოახდენს, "ცეცხლსაც კი ჩამოიტანს ციდან დედამიწაზე ადამიანთა წინაშე" (გამოცხ. 13:13). სწორედ ამ დროს უნდა მიიღოს

დედამიწის მოსახლეობამ საბოლოო გადაწყვეტილება.

ეს სახარება გავრცელდება არა იმდენად მტკიცებათა მეშვეობით, არამედ სულიწმიდის შთაგონებით და მისმიერი ღრმა რწმენით. მტკიცებანი უკვე მოგვეცა. თესლი დათესილია, ახლა კი იგი ამოვა და ნაყოფს გამოიღებს. მისიონერთა მიერ გავრცელებულმა ცოდნამ თავისი ზეგავლენა უკვე მოახდინა, თუმცა ბევრ ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტებამ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რალაცამ შეუშალა ხელი მის მიღებაში. ახლა კი სინათლის სხივები ყველგან ალწევს, ჭეშმარიტება ყველასათვის გახსნილია. ღვთის გულწრფელი შვილები დაამსხვრევენ თავიანთი

ტყვეობის ბორკილებს. ვერც ოჯახის და ვერც ეკლესიის წინაშე მოვალეობა ვერ შეაჩერებს მათ. ჭეშმარიტება ყველაზე ძვირფასი გახდება მათთვის. მიუხედავად სიმართლის მოწინააღმდეგეთა ძლიერი ძალებისა, მოქცეულთა უმრავლესობა უფლის მხარეზე გადავა.

სამი ანგელოზის სახარება

/გამოცხ. 14:6,7/

ეს ტექსტი პირველი ანგელოზის გაფრთხილებას გადმოგვცემს.

შემდეგ წინასწარმეტყველი განაგრძობს: "სხვა ანგელოზი მოჰყვა მას და თქვა: "დაეცა დიდი ბაბილონი, ...და მესამე ანგელოზი მოჰყვა მათ".

    აქ გამოყენებული სიტყვა "მოჰყვა" კონტექსტში ნიშნავს: "ერთად სვლას". ლიდელი სკოტი ასე ხსნის ამ სიტყვას: "ერთად წასვლა, უკან მიყოლა, პირველთან ერთად სიარული". იგივე სიტყვა აქვს გამოყენებული მოციქულ მარკოზს (მარკ. 5:24). იესო "წაჰყვა მას. დიდძალი ხალხი აედევნა და ზედ აწყდებოდა". იგივე სიტყვა გვხვდება გამოცხ. 14:4-ში: ამ ორ ტექსტში ერთი აზრია ჩაქსოვილი. "ერთად წასვლა, ანუ გაყოლა". იგივეს ვკითხულობთ 1კორ. 10:4; ინგლისურ ენაზე ეს ტექსტი შემდეგნაირად იკითხება: "ისინი ...სვამდნენ სულიერი

კლდიდან, რომელიც თან დაჰყვებოდა მათ", აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ გამოცხ. 14:8,9 მთავარი აზრი გამოიხატება არა მხოლოდ მის გაფრთხილებაში, არამედ მთავარია ისიც, რომ მეორე და მესამე ანგელოზი თან მოჰყვა პირველს, რომ ისინი ერთად მოფრინავდნენ. სამივე ანგელოზის გაფრთხილება ერთ სახარებას წარმოადგენს, რომელსაც სამი ანგელოზის სახარება ეწოდება. ისინი აღნიშნულია, როგორც პირველი, მეორე და მესამე მხოლოდ იმისათვის, რომ მათი გამოჩენის თანმიმდევრობა გვიჩვენოს. მაგრამ ისინი ყველანი ერთად აცხადებენ, ერთად მიდიან და ერთურთისაგან განუყოფელნი არიან.

ეს განმარტება დამატებითი ახსნაა სამი ანგელოზის სახარების განუყოფლობისა და ერთიანობისა. იგი ამოღებულია ამ საკითხთან დაკავშირებული ე.უაითის სხვა, დამატებითი კომენტარებიდან.

გამომცემლები

თავი 39 მწუხრის ჟამი

"იმ დროს აღდგება მიქაელი, შენი ხალხის შვილთა მფარველი. ისეთი მძიმე დრო მოვა, ხალხის გაჩენის დღიდან ამ დრომდე რომ არ ყოფილა. იმ დროს შენი ხალხიდან ყველა

გადარჩება, ვინც კი წიგნში ჩაწერილი ალმოჩნდება" (დან. 12:1).

მესამე ანგელოზის სახარების ქადაგება რომ დამთავრდება, უფლის წყალობა დატოვებს დედამიწის ცოდვილ მცხოვრებთ. ღვთის ხალხმა დაასრულა თავისი საქმე: მან მიილო "გვიანი წვიმა" და მოემზადა მომავალი გამოცდის ჟამისათვის. ზეციური ანგელოზები დიდ შრომაში არიან. დედამიწიდან დაბრუნებული ანგელოზი აცხადებს, რომ მისი მსახურება დამთავრებულია. კაცობრიობა უკანასკნელი გამოცდის წინაშე დგას და ყოველმა, ვინც უფლის მცნებების ერთგული ალმოჩნდა, უფლის ბეჭედი მიილო. მაშინ იესო წყვეტს თავის შუამდგომლურ მსახურებას ზეციურ

საწმიდარში. იგი ხელებს მაღლა სწევს და ძლიერი ხმით აცხადებს: "ალსრულდა!" მთელი ზეციური მხედრობა იხსნის თავის გვირგვინებს მისი საზეიმო განცხადებისას: "უსამართლო კვლავ უსამართლობდეს და უწმიდური კვლავ უწმიდურობდეს, მართალი კვლავ მართლობდეს და წმიდა კვლავ წმიდობდეს" (გამოცხ. 22:11). ყოველი ადამიანის ბედი გადაწყვეტილია - სიცოცხლისაკენ ან სიკვდილისაკენ. ქრისტემ აღასრულა თავისი ხალხის შემორიგების საქმე და წაშალა მათი ცოდვები. მის მორჩილთა რიცხვი გაიზარდა. "მეფობა და ხელმწიფება, და მთელი ცისქვეშეთის მეფური დიდება" გადარჩენილ მემკიდრეთ

მიეცემა და იესო იმეფებს, როგორც მეფეთ მეფე და უფალთ უფალი.

როდესაც ქრისტე საწმიდარს დატოვებს, დედამიწას სულიერი წყვდიადი მოიცავს. ამ საშინელ პერიოდში მართლებმა წმიდა უფლის წინაშე უნდა იცხოვრონ შუამდგომლის გარეშე. უკვე ალარაფერი დააკავებს უწმიდურთ და სატანაც სრულ ძალაუფლებას მიიღებს მათზე, ვინც თავისი ცოდვები არ მოინანია. უფლის უდიდესი მოთმინება დამთავრდა. კაცობრიობამ უარყო მისი მადლი, შეურაცხყო მისი სიყვარული და აბუჩად აიგდო მისი კანონი. მადლის დრო უწმიდურთათვის დამთავრდა. წმიდა სულმა, რომელსაც ჯიუტად ეწინააღმდეგებოდნენ, ბოლოს და

ბოლოდ დატოვა ისინი. ღვთიური წყალობის მფარველობის გარეშე დარჩენილნი უბოროტესი მტრის ნადავლად იქცნენ. და მაშინ სატანა დედამიწის მოსახლეობას უკანასკნელ საშინელ მწუხარებას მოუვლენს. როგორც კი უფლის ანგელოზები თავის ნებაზე მიუშვებენ ადამიანთა ვნებების ულმობელ ქარებს, ყველა მტრული სტიქია ამოძრავდება. მთელ მსოფლიოს თავს დაატყდება ისეთი საშინელი ნგრევა, როგორიც ძველად იერუსალიმსაც კი არ ჰქონია.

ერთადერთმა ანგელოზმა, სწორედ იმან, რომელმაც ეგვიპტელთა ყოველი პირმშო მოსპო, მთელი დედამიწა ვაებით აავსო. როცა მეფე დავითმა თავის სამეფოში აღწერა ჩაატარა და

ამით ღმერთის წინაშე შესცოდა, ამ ცოდვისათვის სასჯელად ერთმა ანგელოზმა საშინელი უბედურება დაატეხა თავს. წმიდა ანგელოზები უფლის ნებით სჯიდნენ უწმიდურთ, - ასევე მოიქცევიან დემონები, როდესაც ღმერთი ამას დაუშვებს. ბნელი ძალები უკვე მზად არიან და მხოლოდ უფლის თანხმობას ელიან მთელი დედამიწის გასანადგურებლად.

უფლის კანონთა დამცველთ უკვე წაუყენეს ბრალდება იმაში, რომ მათ მსოფლიოს ღვთის სამსჯავრო მოუვლინეს, ახლა კი მათ დაადანაშაულებენ საშინელ სტიქიურ უბედურებებში, შულლში, სისხლისღვრაში, რომელთა შედეგადაც კაცობრიობა საშინელ ტანჯვაში გაეხვევა. ძალა, რომლითაც

უკანასკნელი გაფრთხილება გაისმის, ურჯულოთა დიდ განრისხებას გამოიწვევს და მათი რისხვა თავს დაატყდება ყველას, ვინც მიიღებს ამ სახარებას, ხოლო სატანა მათ სიძულვილსა და დევნას უფრო გააძლიერებს.

მღვდლებმა და ხალხმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ უფალმა საბოლოოდ დატოვა იუდეველთა ტაძარი და ამით საბოლოოდ მიატოვა თავისი ერი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ისინი სატანის ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ და ძალზე საშიშ და დამღუპველ ვნებებს დაემორჩილნენ, თავი მაინც ღვთის რჩეულ ერად მიაჩნდათ. ღვთისმსახურება ტაძარში გრძელდებოდა, მის

გაუწმიდურებულ სამსხვერპლოებზე კვლავ სწირავდნენ მსხვერპლს და ყოველდღე ღმერთს სთხოვდნენ იმ ხალხის კურთხევას, რომელმაც საშინელი დანაშაული ჩაიდინა, უფლის ძის ძვირფასი სისხლი დალვარა და კვლავ განაგრძობდა მის მოციქულთა და მსახურთა დევნას. ასე იქნება მაშინაც, როდესაც ზეციურ საწმიდარში საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ და მსოფლიოს ბედი გაირკვევა. დედამიწის მცხოვრებთ კი არაფერი ეცოდინებათ ამის შესახებ. სულიწმიდის მიერ ახლა უკვე საბოლოოდ მიტოვებული ხალხი კვლავ შეასრულებს ფორმალურ რელიგიურ ცერემონიებს და სატანური გულმოდგინება, რომელსაც

მას უხვად მისცემს ბოროტების მეფე თავისი მზაკვრული ჩანაფიქრის ალსასრულებლად, ღმერთის საქმისათვის მოშურნის სახეს მიიღებს.

რადგანაც მთელ ქრისტიანულ სამყაროში ბრძოლა გაჩაღდება შაბათის გარშემო და რელიგიური და სახელმწიფო ხელისუფლება გაერთიანდება იმისათვის, რომ თავს მოგვახვიოს კვირა დღის დაცვა, მცირერიცხოვანი უმცირესობის მტკიცე უარი ამ საერთო მოთხოვნის ალსრულებაზე ყველასათვის საძულველს გახდის მას. მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ ამ ერთ მუჭა ხალხს, რომელიც ეკლესიისა და სახელმწიფოს კანონებს არ ემორჩილება, არ ექნება მიტევება.

სჯობია დაისაჯოს, ვიდრე აბუნტდეს ხალხი და უკანონობამ დაისადგუროს. მრავალი საუკუნის წინათ ამის მსგავსი ბრალდება იქნა წაყენებული ქრისტეს წინაალმდეგ "ხალხთა მთავრებისაგან". "ჩვენთვის უმჯობესია, - თქვა კაიაფამ, - მოკვდეს ერთი ადამიანი ხალხისთვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს" (იოან. 11:50). ეს საბაბი მეტად დამაჯერებლად მოეჩვენებათ და მალე გამოსცემენ დადგენილებას შაბათის დამცველთა წინაალმდეგ, რომელშიც ნათქვამი იქნება, რომ ისინი მეტად მკაცრი სასჯელის ღირსი არიან. და განსაზღვრული დროის შემდეგ ხალხს უფლებას მისცემენ, მათ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ და სისრულეში მოიყვანონ. ჩვენს

ცივილიზებულ სამყაროში განდგომილი პროტესტანტები ისევე მოექცევიან უფლის მცნებათა დამცველთ, როგორც თავის დროზე კათოლიკები ექცეოდნენ მათ.

მაშინ ღვთის ხალხს ეწვევა ტანჯვა და უბედურება, რასაც წინასწარმეტყველი იაკობი მწუხრის ჟამს უწოდებს: "სწორედ ასე თქვა უფალმა: შიშის ხმა გვესმის, თავზარისა, არა მშვიდობის... ყველას მწვანე ფერი დასდებია სახეზე. ვაი, რა დიდია ეს დღე! არ ყოფილა მისი მსგავსი. გასაჭირის ჟამია იგი იაკობისთვის და მისგანვეა მისი ხსნა" (იერ. 30:5-7).

იაკობის სულიერი ტანჯვის ღამე, როდესაც იგი ლოცვით სთხოვდა უფალს ესავის ხელისაგან ხსნას (დაბ.

32:24-33), ჰგავს იმ გასაჭირს, რომელიც უფლის შვილებს მწუხრის ჟამს ელით. იაკობმა მამისაგან ესავისათვის გათვალისწინებული კურთხევა უპატიოსნო გზით მიიღო და ძმის მუქარით შეშინებულმა გაქცევით უშველა თავს. უცხო მხარეში გატარებული მრავალი წლის შემდეგ მას უფლმა უბრძანა, დაბრუნებულიყო მშობლიურ მხარეში თავისი ცოლ-შვილითა და საქონლით. მიაღწია თუ არა საზღვარს, იაკობმა გაიგო, რომ მის შესახვედრად მოდის ესავი შეიარაღებულ ჯგუფთან ერთად და ძალზე შეშინდა. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ძმა შურის საძიებლად მოდიოდა. იაკობის შეუიარაღებელი, დაუცველი

თანამგზავრები თითქოსდა მკვლელობისა და ძალადობის უცილობელი მსხვერპლი უნდა გამხდარიყვნენ. მოუსვენრობისა და შიშის გარდა იგი სინდისის ქენჯნასაც განიცდიდა. იაკობს კარგად ესმოდა, რომ მისმა დანაშაულმა ყველა დააყენა საფრთხის წინაშე, ამიტომ მისი ერთადერთი იმედი უფლის წყალობა იყო. ლოცვა უნდა გამხდარიყო მისი ერთადერთი დამცველი. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ძმის წინაშე თავისი დანაშაული გამოესყიდა და მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აეცილებინა. ასევე, ქრისტეს მიმდევრებმა მოახლოებული მწუხრის ჟამის წინა პერიოდში ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა

ადამიანებს ჭეშმარიტ ნათელში ეჩვენონ, გაუქარწყლონ ცრუ შეხედულება თავიანთ თავზე და აიცილონ საფრთხე, რომელიც სინდისის თავისუფლებას ემუქრება.

გააგზავნა რა თავისი ოჯახი შორს, რათა მისი სასოწარკვეთილების მოწმე არ გამხდარიყო, იაკობი მარტო დარჩა ღვთის წინაშე და ლოცვა დაიწყო: ალიარა თავისი დანაშაული და მადლი შესწირა ღმერთს წყალობისათვის. ღრმა მოწიწებით გაახსენა მამებთან დადებული ალთქმა და ის დაპირებანიც, რომელნიც უცხო მიწაზე ყოფნის დროს, ბეთილში, ღამის ხილვაში მიეცა მას. მის ცხოვრებაში კრიტიკული მომენტი დადგა და მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა.

მარტომყოფი, სიბნელეში კვლავ მორჩილებით განაგრძობდა ლოცვას უფლის წინაშე და ამ დროს უცბად ვიღაცა ხელით შეეხო მის მხარს. მას ეგონა, რომ მტერი უპირებდა მოკვლას და სასოწარკვეთილებით შეება მოსულს. გათენებისას იაკობმა იგრძნო მოწინააღმდეგის ზებუნებრივი ძალა: თითქოსდა, მისმა ერთმა შეხებამ ძალა წაართვა ამ ძლიერ ადამიანს. და იგი უმწეო ქვითინით დაემხო მკერდზე თავის უცნობ მოწინააღმდეგეს. მხოლოდ ახლა მიხვდა იაკობი, რომ იგი ალთქმის ანგელოზს ებრძოდა. ძლიერი ტკივილებით ძალაგამოცლილი იაკობი მაინც არ ნებდებოდა. ამდენ ხანს გაუგებრობაში იყო, თავისი ცოდვების

გამო სინდისის ქენჯნა და უბედურება აწუხებდა, ახლა კი უნდა დარწმუნდეს, რომ მიტევებულია. იაკობი ხვდება, რომ მოსული მის დატოვებას და წასვლას აპირებს, მაგრამ არ სურს მისი გაშვება და კურთხევას სთხოვს. ანგელოზი ითხოვს: "გამიშვი, უკვე თენდება", მაგრამ პატრიარქი წამოიძახებს: "არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებ!" რა რწმენაა! რა სიმტკიცე და შეუპოვრობაა! იაკობის სიტყვებში ოდნავი თავდაჯერებულობა და სიამაყე რომ ყოფილიყო, იგი მოკვდებოდა. მაგრამ მან ცოდვილის შეუპოვრობა გამოავლინა, ცოდვილისა, რომელიც აღიარებს თავის უძლურებას, ულირს საქციელს

და ამასთანავე, იმედი აქვს აღთქმის შემნახველი უფლის წყალობისა.

"ის შეერკინა ანგელოზს - და სძლია" (ოს. 12:5). თავისი მორჩილებით, მონანიებით, თავდადებით, ამ გზააბნეულმა მოკვდავმა, ამ ცოდვილმა კაცმა დაამარცხა ზეცის დიდება. იგი თრთოლვით მიენდო და ჩაეჭიდა უფლის აღთქმას და უსაზღვროდ მოსიყვარულე გულმაც შეისმინა ცოდვილის ვედრება. ამ გამარჯვების ნიშნად და იმისათვის, რომ მისი მაგალითი სხვებისათვის შთამაგონებელი ყოფილიყო, მისი ძველი სახელი ცოდვასთან ერთად მოისპო და შეიცვალა სხვა სახელით, რომელიც გამარჯვებაზე მიუთითებდა. იაკობმა სძლია

ღმერთს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი ადამიანებზეც გაიმარჯვებს. იაკობს ახლა აღარ ეშინოდა თავისი ძმისა, რადგან უფალი იცავდა.

სატანა იაკობს უფლის ანგელოზთა წინაშე ბრალს სდებდა და აცხადებდა, რომ მას (სატანას) აქვს უფლება, დაღუპოს იგი ცოდვის გამო; მანვე უბიძგა ესავს, წასულიყო ძმის წინაალმდეგ. მთელი ღამის განმავლობაში შთააგონებდა იგი პატრიარქს, თუ რა მძიმე დანაშაული ჩაიდინა. სატანას სურდა, იმედები გაეცრუებინა იაკობისათვის, რათა მას უფლის სასოება აღარ ჰქონოდა. სასოწარკვეთილებამდე იყო მისული იაკობი, რადგან იცოდა, რომ ზეცის დახმარების გარეშე დაიღუპებოდა, გულწრფელად ინანიებდა თავის

დიდ დანაშაულს და უფალს წყალობას სთხოვდა. მან არ უარყო თავისი მიზანი, არამედ მტკიცედ ჩაეჭიდა ანგელოზს, დაჟინებითა და ცხარე ცრემლით სთხოვდა პატიებას და გაიმარჯვა კიდეც.

სატანამ უბიძგა ესავს წასულიყო ძმის წინაალმდეგ; ასევე მოუხმობს იგი ურჯულოთ ღვთის ხალხის მოსასპობად მწუხრის ჟამს. რა ბრალდებაც მან წაუყენა იაკობს, იგივეს წაუყენებს ღვთის შვილთ. დედამიწის ბინადართ სატანა თავის ქვეშევრდომებად თვლის, მაგრამ უფლის მცნებების დამცველთა მცირე ჯგუფი არ დაემორჩილება მას. მათი განადგურება რომ შეეძლოს, ბოროტების მეფის ზეიმი სრული იქნებოდა. იგი ხედავს, რომ წმიდა

ანგელოზები იცავენ ამ ადამიანებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მიეტევათ ცოდვები, მაგრამ სატანამ არაფერი იცის იმის შესახებ, რომ ამ ადამიანთა ბედი უკვე გადაწყვეტილია ზეციურ საწმიდარში. მისთვის მათი ყველა ცოდვა ცნობილია: იგი ხომ თავად აცდუნებდა მათ! იგი გაზვიადებულად წარადგენს მათ ცოდვებს ღმერთის წინაშე და მტკიცედ მოითხოვს, რომ მათ ღმერთის წყალობა წაერთვათ. სატანა აცხადებს, რომ თუკი ღმერთი სამართლიანია, მაშინ არც მათ უნდა აპატიოს ცოდვები და სატანაც და მისი დემონებიც უნდა გაანადგუროს. იგი განაცხადებს, რომ ეს ხალხი მას ეკუთვნის, უფლებამოსილია მათზე

და მოითხოვს, დაუბრუნონ ისინი, რათა დალუპოს.

რადგან სატანა ღვთის ხალხს ადანაშაულებს ცოდვების გამო, უფალი მას მათი გამოცდის ნებას აძლევს. მათი ნდობა, უფლისადმი რწმენა და სიმტკიცე მეტად მკაცრად გამოიცდება. საკუთარ წარსულში ჩახედვით ისინი იმედს კარგავენ, რადგან მათ ცხოვრებაში კარგი ძალზე ცოტაა. მათ შეგნებული აქვთ საკუთარი უძლურება და ულირსობა. სატანა ცდილობს, შეაშინოს ისინი თავიანთ უიმედო მდგომარეობაზე ფიქრით, შთააგონებს რა, რომ მანკიერებისა და უწმიდურებისაგან გათავისუფლება შეუძლებელია. იგი ცდილობს შეურყიოს მათ რწმენა,

რათა ცდუნდნენ და ულალატონ ღმერთს.

თუმცა ღვთის შვილნი მტრების გარემოცვაში იქნებიან, რომლებიც მათ დალუპვას შეეცდებიან, მაგრამ მათ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანს არა ჭეშმარიტების გამო დევნის შიში, არამედ ფიქრი იმაზე, უფლის წინაშე რაიმე ცოდვა ხომ არ დარჩათ მოუნანიებელი, რათა ამის გამო არ დაეუფლოთ უიმედობა მაცხოვრის ალთქმისადმი: "მე დაგიცავ განსაცდელის ჟამისაგან, რომელიც მოვა მთელ მსოფლიოზე" (გამოცხ. 3:10). ისინი რომ დარწმუნებული იყვნენ მიტევებაში, მაშინ ვერც სიკვდილი და ვერც ტანჯვა ვერ შეაშინებდათ, მაგრამ თუკი ულირსნი ალმოჩნდებიან, თუ დამლუპველ

ცოდვებს ვერ დატოვებენ, მაშინ უფლის წმიდა სახელი შეურაცხყოფილი იქნება.

ღვთის შვილებს ყველგან ესმით შეთქმულების შესახებ და ხედავენ ღმერთის წინაალმდეგ ამბოხების აშკარა ნიშნებს. და მათი ერთადერთი სურვილია, დასრულდეს ეს უდიდესი განდგომილება და დამნაშავეთა უწმიდურებას ბოლო მოელოს. ისინი სთხოვენ ღმერთს, აღკვეთოს ბუნტი, მაგრამ აწუხებთ დანაშაულის გრძნობა იმის გამო, რომ ძალა არ გააჩნიათ წინ აღუდგნენ და გზა გადაულობონ ბოროტების ამ ძლიერ ნაკადს. ისინი აღიარებენ: მათ რომ თავიანთი ნიჭი ყოველთვის ქრისტეს სამსახურისათვის მიეძღვნათ და ამ

საქმეში უდიდესი ძალისხმევა გამოეჩინათ, სატანა ვერ დაძლევდა.

ღვთის შვილებმა თავიანთი გული ღმერთს დაუმორჩილეს და ალნიშნავენ, რომ უფალმა აპატია წარსულის ცოდვები და რომ მაცხოვარი უეჭველად ალასრულებს თავის დანაპირებს: "მოეჭიდოს ჩემს სიმტკიცეს, ზავი დამიდოს, დამიდოს ზავი!" (ეს. 27:5). მათი რწმენა ისევ მტკიცეა, თუმცა თავიანთ ლოცვებზე მაშინვე არ ღებულობენ უფლის პასუხს. დიდია მწუხარება, შიში და სასოწარკვეთილება, მაგრამ ისინი განაგრძობენ ლოცვას, რადგან იაკობის მსგავსად მხსნელის ძალის იმედი აქვთ, უფალს არიან ჩაჭიდებულნი და ამბობენ: "არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებ!"

იაკობს რომ თავისი ცოდვა არ მოენანიებინა (მოტყუებით მიღებული პირმშოობა), უფალი არ შეისმენდა მის ლოცვას და არ გადაარჩენდა თავისი მადლით. ასევე იქნება მწუხრის ჟამსაც: თუკი ღვთის შვილებს მოუნანიებელი დარჩებათ თავიანთი ცოდვები, მწუხარება და შიში სძლევს მათ. სასოწარკვეთილება რწმენას შეურყევს და მათი ლოცვა-ვედრება ხსნის შესახებ არ იქნება მტკიცე. მაგრამ მათ შეგნებული აქვთ თავიანთი ულირსობა და არა აქვთ დამალული ცოდვები, რომლებიც უკვე წარდგენილია სამსჯავროზე და მიტევებულია კიდეც. ამიტომ ისინი ველარ გაიხსენებენ ამ ცოდვებს.

სატანა შთააგონებს ადამიანებს, რომ ღმერთი ყურადღებას არ აქცევს წვრილმან, უმნიშვნელო შეცდომებს. მაგრამ უფლის იაკობისადმი დამოკიდებულებიდან ჩანს, რომ იგი არც ერთ მოუნანიებელ ცოდვას არ ამართლებს და არ მიუტევებს. ვინც ცდილობს თავისი ცოდვების დამალვას ან გამართლებას, რის გამოც ეს ცოდვები ზეციურ წიგნებში ალნიშნული რჩება, როგორც მოუნანიებელი და მიუტევებელი, ადვილად ებმება სატანის ქსელში. რამდენადაც უფრო მალალ საფეხურზე დგანან ცოდვილნი, მით უფრო მძიმეა მათი დანაშაული უფლის თვალში და მით უფრო დარწმუნებულია გამარჯვებაში მტერი. ვინც სახვალიოდ გადადებს

უფლის დღისათვის მზადებას, არც მწუხრის ჟამს გააკეთებენ ამას და არც სხვა დროს, მომავალში. მათი მდგომარეობა უიმედოა.

ე.წ. ქრისტიანები, რომლებიც არ არიან მზად უკანასკნელი საშინელი ბრძოლისათვის, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის გამო მოინანიებენ თავიანთ ცოდვებს, უწმიდურნი კი დაცინვას დაუწყებენ. მათი აღსარება ესავის ან იუდას აღსარებას დაემსგავსება. ასეთი აღსარებით უწმიდურნი დაიტირებენ არა თავად დანაშაულს, არამედ თავიანთ ცოდვათა შედეგს. ისინი ვერ იგრძნობენ ვერც ჭეშმარიტ სინანულს და ვერც ცოდვისადმი სიძულვილს და მხოლოდ სასჯელის შიშით აღიარებენ თავიანთ ცოდვებს. მაგრამ

ეგვიპტის ფარაონის მსგავსად (ძველი ალთქმიდან), როგორც კი სასჯელის საფრთხე გადაივლის, კვლავ ზეცის წინააღმდეგ წავლენ.

იაკობის ისტორია გვასწავლის, რომ ღმერთი არ მიატოვებს ცდუნებაში და ცოდვის უწმიდურებაში ჩაფლულ სულს, თუკი იგი გულწრფელი მონანიებით მიმართავს მას. როდესაც სატანა კვლავ განაახლებს ამ დამიანთა დაღუპვის მცდელობას, უფალი თავის ანგელოზებს გაგზავნის მათ დასამშვიდებლად და დასაცავად. სატანის იერიში ძლიერი და საშინელია. მისი ცდუნება - მეტად საშიშია, მაგრამ უფლის თვალია თავის შვილებზე და "მას ესმის მათი ვედრება. მათი ტანჯვა აუტანელია, გავარვარებული ღუმელის ალი

მზადაა მათ ჩასაყლაპავად, მაგრამ უზენაესი გადაარჩენს მათ და იქნებიან ისინი, როგორც განწმედილი ოქრო, ცეცხლით ნაწრთობი". ღმერთის სიყვარული თავისი შვილების მიმართ ახლაც ისეთივე ძლიერი და ნაზია, როგორც მათი კეთილდღეობის დროს, მაგრამ მათ ცეცხლის ალში უნდა გაიარონ: ყოველგვარი მიწიური უნდა მოსპოს ღმერთმა, რათა უფლის რჩეულნი ქრისტეს მსგავსი გახდნენ.

მწუხრისა და სასოწარკვეთილების ჟამისათვის საჭიროა გვქონდეს რწმენა, რომელიც ძალას მოგვცემს ავიტანოთ დაღლილობა, შიმშილი და უფლის მოსვლის შეყოვნება, - რწმენა, რომელიც ყველაზე მკაცრი გამოცდის წინაშეც კი არ შეკრთება. ყველას

მიეცემა გამოცდის დრო, რათა მოემზადოს მწუხრის ჟამისათვის. იაკობმა გაიმარჯვა, რადგან შეუპოვრობა და სიმტკიცე გამოიჩინა. მისი გამარჯვება მოწმობს, თუ რა ძალა აქვს დაჟინებით ლოცვას. ყველა, ვისაც უფლის აღთქმის იმედი აქვს, წარმატებას მიაღწევს. ისინი კი, ვისაც არ სურს თავისი "მე"-ს უარყოფა, ღმერთთან ტანჯვით შერკინება, დიდხანს გულმოდგინედ ლოცვა მისი კურთხევის მისაღებად, ვერ მიიღებენ მას. ღმერთთან შერკინება - ადამიანთა რა მცირე ნაწილს ესმის მისი მნიშვნელობა! ძალზე ცოტას სურს ღმერთის პოვნისათვის დიდი ძალისხმევის გაცემა. რა ცოტანი იქნებიან აუღწერელ, ენით გამოუთქმელ სასოწარკვეთილებაში

მყოფ მლოცვეთა შორის ისეთები, რომლებიც შეურყეველი რწმენით დაელოდებიან უფლის ალთქმის ალსრულებას!

მცირედ მორწმუნეთ დიდი საშიშროება ელით: სატანის ცდუნებათა ძალის ზეგავლენა და სინდისის საწინაალმდეგო დადგენილებათა მორჩილებით ალსრულება. თუკი, მათი აზრით, ჯერ კიდევ დარჩებათ გამოცდის დრო, მწუხრის ჟამი უფრო მეტ სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს, რადგან ისინი არ არიან ჩვეულნი, ყველაფერში მიენდონ ღმერთს. ისინი იძულებული იქნებიან, თავიანთი გაცრუებული იმედების ხარჯზე შეისწავლონ რწმენის გაკვეთილები, რომლებიც ოდესღაც უარყვეს.

ახლა ჩვენ უნდა შევიცნოთ ღმერთი და გამოვცადოთ მისი ალთქმა. ანგელოზები იწერენ ყოველ გულწრფელ და სერიოზულ ლოცვას. უმჯობესია, უარი ვთქვათ ეგოისტურ სიამოვნებაზე და მას უფალთან ურთიერთობა ვარჩიოთ. უმჯობესია, უკიდურეს სილარიბეში ვიცხოვროთ, არაფერი გაგვაჩნდეს, მაგრამ უფლის კურთხევით ვსარგებლობდეთ, ვიდრე დავტკბეთ სიმდიდრით, პატივით, კარგი ცხოვრებითა და მეგობრებით - ღმერთის გარეშე. არ უნდა დაგვავიწყდეს ლოცვა. და თუკი გვძლევს ამქვეყნიური ინტერესები, მაშინ უფალი თავის თავს იმით გაგვახსენებს, რომ ხელიდან გამოგვაცლის ჩვენს ოქროს კერპებს, სახლებს და ნოყიერ მიწებს.

ახალგაზრდებს შეუძლიათ ცოდვისაგან თავის დაცვა, თუკი მხოლოდ იმ გზას აირჩევენ, სადაც უფლის კურთხევა შეუძლიათ ითხოვონ. უფლის მაცნეები, რომლებსაც მოაქვთ უკანასკნელი გაფრთხილება კაცობრიობისათვის, ღვთიურ მადლს, იაკობის მსგავსად, მხურვალე რწმენით რომ თხოულობდნენ და არა გულგრილობითა და ინერტულობით, მაშინ არაერთხელ იტყოდნენ: "პირისპირ ვიხილე ღმერთი და გადავრჩი" (დაბ. 32:30). მაშინ ზეცა ჩათვლიდა მათ გმირებად, რომლებმაც სძლიეს ღმერთს და ადამიანებს.

მალე დადგება ისეთი მწუხრის ჟამი, "როგორც არასოდეს ყოფილა";

მაშინ დაგვჭირდება გამოცდილება, რომელიც ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია და რომლის შეძენაშიც ბევრს სიზარმაცე უშლის ხელს. ხშირად მწუხრის ლოდინის საშინელება ყოველგვარ სინამდვილეს აღემატება, მაგრამ ეს არ ეხება მოსალოდნელ გამოცდას. ყველაზე ცოცხალ წარმოდგენასაც კი არ შეუძლია ამ დიდი მწუხარების სურათის დახატვა. ამ გამოცდის პერიოდში ყოველმა სულმა საკუთარ თავზე უნდა აგოს პასუხი ღმერთის წინაშე. "ვერც ნოე, ვერც დანიელი და ვერც იობი (ცოცხალიმც ვარ! ამბობს უფალი) ვერ გადაარჩენდნენ ვაჟსა და ასულს, მხოლოდ საკუთარ თავს გადაირჩენდნენ თავიანთი სიმართლით" (ეზეკ. 14:20).

ამჟამად, როდესაც უდიდესი მღვდელმთავარი შუამდგომლურ მსახურებას ეწევა ჩვენი შემორიგებისათვის, უნდა კი ვისწრაფოთ, ვიყოთ ქრისტეში სრულყოფილები. მაცხოვარს აზრადაც კი არ მოსვლია, მაცდურისათვის დაეთმო. სატანა ადამიანის გულში პოულობს სუსტ ადგილს, რომელსაც შეიძლება ჩაეჭიდოს. საკმარისია ერთი ცოდვიანი სურვილის გულში გავლებაც კი, რომ ცდუნებამ მაშინვე ძალა მოიკრიბოს. მაგრამ ქრისტემ თავის თავზე თქვა: "წუთისოფლის მთავარი მოდის და მას ჩემში არაფერი ეკუთვნის" (იოან. 14:30). სატანამ უფლის ძეში ისეთი ვერაფერი იპოვა, რაც მასზე

გამარჯვების შესაძლებლობას მისცემდა. იგი მამის მცნების ერთგულებას ინარჩუნებდა. მასში არ იყო ცოდვა, რომელიც სატანას უპირატესობას მიანიჭებდა. სწორედ ასეთ მდგომარეობაში უნდა იყვნენ ისინი, რომელთაც სურთ, გაუძლონ მწუხრის ჟამს.

ჯერ კიდევ ამ სიცოცხლეში ცოდვები უნდა მოვიშოროთ ქრისტეს გამომსყიდველი სისხლის რწმენით. მაცხოვარი გვიწვევს, რათა სრულქმნილები გავხდეთ მასში, შევავსოთ ჩვენი უძლურება მისი ძალით, ჩვენი უვიცობა - მისი სიბრძნით, ჩვენი ულირსობა - მისი ღირსებებით. ღვთის წინასწარმეტყველება ჩვენთვის არის სკოლა, რომელშიც ქრისტეს

მორჩილება და თვმდაბლობა უნდა ვისწავლოთ. უფალი ყოველთვის მიგვითითებს სიცოცხლის ჭეშმარიტ მიზანზე და არა იმ ადვილ და სასიამოვნო გზაზე, რომელსაც ჩვენ თვითონ ვირჩევთ. ჩვენ მხოლოდ უნდა მივიღოთ ის საშუალებანი, რომლითაც ზეცა ჩვენს ხასიათს ღვთიური ნიმუშის მიხედვით გარდაქმნის. ამის უგულვებელყოფა ან დაყოვნება ადამიანის სულისათვის საშინელ რისკთან არის დაკავშირებული. იოანე მოციქულმა თავის ხილვაში გაიგონა ძლიერი ხმა, რომელიც ამბობდა: "ვაი, მიწასა და ზღვას, ვინაიდან თქვენთან ჩამოვიდა ეშმაკი დიდი მძვინვარებით, რადგან იცის, რომ დრო მცირეღა დარჩა" (გამოცხ. 12:12). რა საშინელია

სინამდვილე, რომელმაც ეს წამოძახილი გამოიწვია! სატანის მძვინვარება მის აღსასრულთან მიახლოებით უფრო და უფრო ძლიერდება, ხოლო მისი ცდუნება და მისგან გამოწვეული ნგრევა კულმინაციას დიდი მწუხრის ჟამს მიაღწევს.

მალე ცაზე ვიხილავთ საშინელ ზებუნებრივ მოვლენებს - დემონთა ძალაუფლების ნიშანს, რომლებიც სასწაულს მოახდენენ. ეშმაკის სულები დედამიწის მთავრებსა და მთელ წუთისოფელს მოევლინებიან, რათა თავისი ცდუნების ქსელში გაახვიონ ისინი და დაარწმუნონ, რომ მხარში ამოუდგნენ სატანას მის უკანასკნელ ბრძოლაში ზეციური მმართველობის წინააღმდეგ. ისინი

მოახერხებენ მთავართა და მათ ქვეშევრდომთა ცდუნებას. აღდგებიან ადამიანები, რომელნიც თავს ქრისტედ გამოაცხადებენ, მიითვისებენ სახელსა და თაყვანისცემას, რომელიც მხოლოდ ქვეყნიერების მხსნელს ეკუთვნის. ეშმაკეულნი საოცარ სასწაულებს მოახდენენ, განკურნავენ ავადმყოფებს და ეცდებიან ხალხის დარწმუნებას, რომ გამოცხადება მიიღეს ზეციდან, მაგრამ ეს გამოცხადება წმიდა წერილის მოწმობის საწინააღმდეგო იქნება.

უდიდესი ცდუნების სცენის დასკვნითი აქტი იქნება სატანის მცდელობა, თავი წარმოგვიდგინოს ქრისტედ. ეკლესიამ დიდი ხანია განაცხადა, რომ იგი ელის მაცხოვრის

მოსვლას, რითაც აღსრულდება მისი იმედი. უდიდესი თვალთმაქცი მშვენივრად გაითამაშებს ქრისტეს მოსვლის სცენას. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სატანა ხალხის წინაშე წარდგება უფლის ძის მსგავსად, დიდებულ და ბრწყინვალე პიროვნებად, როგორც ეს აღწერილია იოანეს გამოცხადებაში (გამოცხ. 1:13-15). ეს სანახაობა ადამიანისათვის არნახული დიდებით იქნება შემკული. ჰაერი აივსება საზეიმო შეძახილებით: "ქრისტე მოვიდა! ქრისტე მოვიდა!" აღტაცებული ხალხი მის წინაშე დაემხობა. იგი მაღლა ასწევს ხელს და აკურთხებს მათ ისე, როგორც ამას ქრისტე აკეთებდა დედამიწაზე ყოფნის დროს. მას ჩუმი, რბილი და ამასთან

ერთად მელოდიური ხმა აქვს. თბილი, თანაგრძნობით ალსავსე სიტყვებით იმეორებს იგი ოდესლაც ქრისტეს ნათქვამ ზოგიერთ ღვთისმოსაურ ზეციურ ჭეშმარიტებას; კურნავს ავადმყოფებს და შემდეგ, ქრისტეს მსგავსად, აცხადებს, რომ შაბათი დღე კვირით შეიცვალა და ყველას უბრძანებს, დაიცვან მის მიერ კურთხეული დღე; აცხადებს, რომ ის, ვინც ჯიუტად განაგრძობს მეშვიდე დღის შენახვას, შეურაცხყოფს მის სახელს იმით, რომ უარს ამბობს ანგელოზთა მოსმენაზე, რომელთაც ჭეშმარიტების ნათელი მოაქვთ. რა ძლიერი და თითქმის გადაულახავი სიცრუეა! და გრძნეული სიმონის მიერ მოტყუებულ სამარიელთა მსგავსად

ძალიან ბევრი, დიდი და მცირე, დაუჯერებს ამ გრძნეულებას და იტყვის: "ეს ის ღვთიური ძალაა, დიდად რომ იწოდება" (საქ. 8:10).

მაგრამ უფლის ხალხი არ მოტყუვდება. ცრუქრისტეს მოძღვრება ეწინააღმდეგება წმიდა წერილს. ცრუქრისტე აკურთხებს მათ, ვინც თაყვანს სცემს მხეცს და მის ხატებას, სწორედ მათ, ვისზედაც, როგორც ბიბლია ამბობს, გადმოიღვრება ღვთის მრისხანება ყოველგვარი წყალობის გარეშე, შეუზავებლად.

გარდა ამისა, სატანას არა აქვს მიცემული უფლება, განასახიეროს ქრისტეს მოსვლა ისე, როგორც ეს წმიდა წერილშია აღწერილი. მაცხოვარმა თავისი ხალხი

გააფრთხილა ამგვარი ცდუნებისაგან და ნათლად მიუთითა იმაზე, თუ როგორ მოხდება მისი მოსვლა: "ვინაიდან აღდგებიან ცრუქრისტენი და ცრუ-წინასწარმეტყველნი და მოახდენენ დიდ სასწაულებს და ნიშნებს, რათა რჩეულნიც შეაცდინონ, თუკი შეძლებენ ...თუ გითხრან: აჰა, ის უდაბნოშიაო, ნუ გამოხვალთ; აჰა, ის შიდა ოთახებშიაო, - ნუ ერწმუნებით. ვინაიდან, როგორც ელვა გამოდის აღმოსავლეთიდან და თვით დასავლეთამდე ანათებს, ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც" (მათ. 24:24-27,31; გამოცხ. 1:7; 1თეს. 4:16,17). ასეთი მოსვლის ინსცენირება შეუძლებელია. მისი მოსვლა ყველგან ცნობილი გახდება, მას მთელი მსოფლიო დაინახავს.

მხოლოდ ისინი, ვისაც შესწავლილი აქვს წმიდა წერილი, ისინი, ვინც მიიღო ჭეშმარიტების სიყვარული, დაცული იქნებიან უდიდესი ცდუნებისაგან, რომელიც მთელ მსოფლიოს დაატყვევებს. ღვთის სიტყვის საშუალებით ისინი გამოააშკარავებენ მაცდურს. ყველასათვის დადგება გამოცდის ჟამი. ცდუნება გამოავლენს ჭეშმარიტ ქრისტიანებს. დამკვიდრებულია კი ღვთის სიტყვა უფლის შვილებში ისე მტკიცედ, რომ არ ცდუნდნენ? იხელმძღვანელებენ კი ისინი ამ კრიტიკულ მომენტში ბიბლიით და მხოლოდ ბიბლიით? სატანა ყველა ღონეს იხმარს, რათა ხელი შეუშალოს რჩეულთ ამ დღისათვის მზადებაში. იგი მრავალ წინააღმდეგობას

შეუქმნის მათ, რათა ადამიანებმა თავიანთი ყურადღება ამქვეყნიური სიმდიდრისაკენ წარმართონ; რათა მათ მხრებზე დააწვეს მძიმე ტვირთი, მათი გული კი ცხოვრებისეული საზრუნავით დამძიმდეს, გამოცდის დღე კი შეუმჩნევლად მოვიდეს, როგორც ქურდი.

როდესაც უფლის მცნებების დამცველთა წინააღმდეგ გამოვა სხვადასხვა ქრისტიანულ ხელისუფლებათა მიერ დამტკიცებული დადგენილება, სახელმწიფო სტრუქტურები ღვთის ხალხს ველარ დაიცავენ და მათსავე დამლუპველთ გადასცემენ, მაშინ ღვთის შვილნი დატოვებენ ქალაქებს, სოფლებს და თავშესაფარს იპოვიან დაუსახლებელ და უდაბურ

ადგილებში. მრავალი ქრისტიანი მიუვალ მთებს შეაფარებს თავს. პიემონტის ქრისტიანების მსგავსად, ისინი მაღალ მთებში აიგებენ საწმიდარს და ადიდებენ ღმერთს "კლდეთა სიმაგრეების" გამო (ეს. 33:16). მაგრამ მრავალნი, დიდებულნი და უბრალონი, მდიდარნი თუ ღარიბნი, შავი თუ თეთრი, უსამართლო და ბოროტ მონობაში მოექცევიან. უფლის საყვარელ ხალხს საშინელი დღეები დაუდგება, როდესაც ბორკილგაყრილნი, სიკვდილმისჯილნი საპყრობილეებში დაიტანჯებიან. ზოგიერთი შიმშილისაგან სიკვდილისთვის იქნება განწირული ამაზრზენ მიწისქვეშეთში. ვერავინ

გაიგებს მათ გმინვას, არავინ გაუწვდის დახმარების ხელს.

განა დაივიწყებს უფალი თავის შვილებს ამ გამოცდის დროს? განა დაივიწყა მან ერთგული ნოე, როდესაც ქვეყნიერება წარღვნამ წალეკა? განა დაივიწყა მან ლოტი, როდესაც ზეციდან ჩამოსულმა ცეცხლმა მთელი ქალაქი გაანადგურა? განა დაივიწყა მან ეგვიპტეში, კერპთაყვანისმცემელთა ბუნაგში ჩავარდნილი იოსები ან ელია, რომელსაც იეზაბელი ფიცით ემუქრებოდა, რომ ბაალის წინასწარმეტყველთა ბედს გაიზიარებდა იგი? განა დაივიწყა მან ბნელ, აშმორებულ ორმოში ჩაგდებული იერემია? ან გავარვარებულ ღუმელში

ჩაგდებული სამი ახალგაზრდა? ან ლომების ხარაში ჩაგდებული დანიელი?

"თქვა სიონმა: მიმატოვა უფალმა და მეუფემ დამივიწყა! განა დაივიწყებს ქალი თავის შვილს? არ შეიბრალებს თავის მუცლის ნაშიერს? მათ რომც დაივიწყონ, მე არ დაგივიწყებ შენ. აჰა, ხელისგულებზე მყავხარ გამოსახული" (ეს. 49:14-16). "რადგან თქვენი შემხებარი მისი თვალის გუგის შემხებარია" (ზაქ. 2:8).

თუმცა მტრებს შეუძლიათ, ღვთის მსახურნი საპყრობილეში ჩააგდონ, მაგრამ მისი კედლები მათ სულებს ქრისტეს ვერ დააშორებს. ვინაიდან ის, ვინც ყოველ მათ სისუსტეს კარგად ხედავს, მათ ყოველ გამოცდას დიდი ყურადღებითა და თანაგრძნობით

ადევნებს თვალს, ყველა მიწიურ მთავრობაზე მაღალია. ანგელოზები მიუდგომელ ჯურღმულებში მოინახულებენ მათ და ზეციურ ნათელსა და სიმშვიდეს მიუტანენ. და ჯურღმული სასახლედ იქცევა, რადგან იქ იქნებიან რწმენით მდიდარნი; და პირქუშ კედლებს ზეციური ნათელი მოეფინება, როგორც დიდი ხნის წინათ, როდესაც პავლე და სილა ქალაქ ფილიპოს საპყრობილეში შუაღამისას ლოცულობდნენ და გალობდნენ.

ღვთის სამსჯავრო მოეწევა ღვთის შვილების დამტანჯველთ და დამლუპველთ. უფლის მოთმინება ურჯულოთა მიმართ მხნეობას მატებთ მათ, მაგრამ სასჯელი, მიუხედავად დაყოვნებისა, საშინელი

და გარდაუვალი იქნება. "რადგან ალიმართება უფალი, როგორც ფერაციმის მთაზე, შეიძვრის, როგორც გიბყონის ველზე, თავისი საქმის, უცხო საქმის ალსასრულებლად და თავისი ქმედების, საოცარი ქმედების ჩასადენად" (ეს. 28:21). ჩვენი მოწყალე უფლისათვის სასჯელი - "უცხო, უჩვეულო საქმეა". "ცოცხალიმც ვარ, ამბობს უფალი ღმერთი! თუ მინდოდეს ბოროტეულის სიკვდილი!" (ეზ. 33:11). "უფალო! ღმერთო მწყალობელო და შემბრალებელო, სულგრძელო, დიდმადლიანო და ჭეშმარიტო!.. დანაშაულთა, ცოდვათა და ბრალთა მიმტევებელო!" (გამოს. 34:6,7). თუმცა "სულგრძელია უფალი და დიდძალოვანი, დაუსჯელს არავის

გაუშვებს" (ნაუმ. 1:3. სხვა თარგმანი: "იგი ულმობელი იქნება თავის სამართალში და ალადგენს თავისი გათელილი კანონის ავტორიტეტს"). შურისგების სიმკაცრეზე, რომელიც დამნაშავეთ ელით, შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რა უხალისოდ და იძულებით გამოაქვს უფალს განაჩენი. ხალხი, რომელსაც ასეთი დიდი მოთმინებით ეპყრობა იგი და რომელსაც არ გაანადგურებს მანამ, სანამ მათი ურჯულოების თასი არ აივსება უფლის თვალში, ბოლოს და ბოლოს, შესვამს უფლის რისხვის თასს შეუზავებლად.

როდესაც ქრისტე დაასრულებს თავის შუამდგომლურ მსახურებას ზეციურ საწმიდარში, მაშინ ღვთის უმოწყალო რისხვა გადმოიღვრება

მათზე, ვინც თაყვანს სცემს მხეცს და მის ხატებას და მიიღებს მის ნიშანს (გამოცხ. 14:9,10). სამსჯავრო, რომელიც განკუთვნილია ამ წუთისოფლისათვის ღვთის შვილთა გათავისუფლების წინ, უფრო საშინელი იქნება, ვიდრე ეგვიპტის თავზე მოვლენილი წყლულები ისრაელის გათავისუფლების წინ. იოანე ასე აღწერს ამ საშინელ სამსჯავროს: "...გაუჩნდათ სასტიკი და საზარელი ჭრილობები ადამიანებს, რომელთაც მხეცის ნიშანი ჰქონდათ და მის ხატებას სცემდნენ თაყვანს". ზღვა "იქცა სისხლად, როგორც მკვდრისაგან, და დაიხოცა ყოველი სულდგმული ზღვაში". "გადმოღვარა მესამემ თავისი თასი მდინარეებსა და წყალთა წყაროებზე, და იქცა

სისხლად". თუმცა ეს უბედურებები საშინელია, მაგრამ ღმერთი სრულიად სამართლიანია. უფლის ანგელოზი აცხადებს: "მართალი ხარ შენ, წმიდაო... რადგანაც ასე განიკითხე. ვინაიდან მათ დაღვარეს წმიდათა და წინასწარმეტყველთა სისხლი, და შენ მიეცი სასმელად მათ სისხლი, ვინაიდან დაიმსახურეს" (გამოცხ. 16:2-6). გამოუტანეს რა სასიკვდილო განაჩენი ღვთის ხალხს, უწმიდურთ ბრალი მიუძღვით მათი სისხლის დაღვრაში ისე, თითქოს ეს საკუთარი ხელებით ჩაედინოთ. იესო თავისი დროის იუდეველთ სწორედ ამგვარად სდებდა ბრალს ყველა წმიდანის სისხლის დაღვრაში, მოყოლებული აბელის დღეებიდან, რადგან ისინი იმავე სულით იყვნენ

შეპყრობილი და ისევე მოქმედებდნენ, როგორც ამას წინასწარმეტყველთა მკვლელნი აკეთებდნენ.

შემდეგ წყლულში მზეს "მიეცა, ...რომ ცეცხლით დაეწვა ადამიანები" (გამოცხ. 16:8,9). წინასწარმეტყველი ასე ალწერს ადამიანთა მდგომარეობას ამ საშინელ პერიოდში: "გაჩანაგდა ყანები, გოდებს მიწა, რადგან გაოხრდა ხორბალი,.. გაწბილდნენ მხვნელები, მოთქვამენ მიწის მუშაკები პურზე და ქერზე, რადგან დაილუპა სამკალი... ამიტომაც გაუშრა სიხარული ადამის ძეს... მთელი ხეხილი გახმა მინდორში... ჩალპა მარცვალი კოლბოხების ქვეშ... რად კვნესის პირუტყვი, რად ბლავის ნახირი? რადგან ალარ აქვთ საძოვარი,

რადგან დაიშრიტა წყლის სათავეები და ცეცხლმა გადაჭამა უდაბნოს საძოვრები". "მოთქმით იტყვიან სასახლის სიმღერებს იმ დღეს, ამბობს უფალი ღმერთი: უამრავი გვამი იქნება, ყველგან დაყრიან უხმოდ" (იოველ. 1:10-12,17-20; ამოს. 8:3).

მაგრამ ეს წყლულები ყველა ადამიანზე არ გადმოიღვრება. სხვაგვარად, დედამიწაზე სრულად მოისპობოდა სიცოცხლე. ეს იქნება ყველაზე დიდი სასჯელი, რომელიც ოდესმე ჰქონიათ მოკვდავთ. ყველა სამსჯავრო, ადამიანებზე გამოცდის პერიოდის დამთავრებამდე, შერეული იყო წყალობასთან; ქრისტეს სისხლი, რომელიც ღმერთს შეჰლალადებდა, ზოგავდა ცოდვილს თავისი ცოდვებისათვის სრული

მსჯავრისაგან, მაგრამ უკანასკნელი სამსჯავროს დროს ღვთის რისხვა მათზე წყალობასთან შეუზავებლად გადმოიღვრება.

იმ დღეს ბევრი მოინდომებს თავშესაფრის მონახვას უფლის წყალობაში, რომელსაც დიდხანს უარყოფდნენ. "აჰა, დგება დღეები, ამბობს უფალი ღმერთი, როცა მოვავლენ ქვეყანაზე შიმშილს, არა შიმშილს პურისას და წყურვილს წყლისას, არამედ უფლის სიტყვების მოსმენისას. იხეტიალებენ ზღვიდან ზღვამდე და ჩრდილოეთიდან ალმოსავლეთამდე; მი-და-მოივლიან უფლის სიტყვის საძებნელად, მაგრამ ვერ ჰპოვებენ" (ამოს. 8:11,12).

ტანჯვისაგან არც ღვთის ხალხი იქნება დაზღვეული. მაგრამ დევნისა

და შევიწროების, მწუხარებისა და შიმშილის მიუხედავად, იგი არ იქნება დასალუპავად განწირული. ღმერთი, რომელმაც იზრუნა ელიაზე, გვერდს არ აუვლის არც ერთ თავის შვილს, რომელიც მას თავს სწირავს. ის, ვის მიერაც დათვლილია მათი თმის ყოველი ღერი, იზრუნებს მათზე. შიმშილის დროს მათ ექნებათ პური. იმ დროს, როდესაც უწმიდურთ შიმშილითა და წყლულებით სიკვდილი ელით, მართლებს ანგელოზები დაიცავენ და იზრუნებენ მათ საჭიროებებზე. სიმართლეში მოარულთ მიცემული აქვთ ალთქმა: "მიეცემა პური და ექნება წყალი დაუწყვეტელი". "ჩაგრულნი და უპოვარნი წყალს ეძებენ, მაგრამ არ არის; ენა გამშრალი აქვთ

წყურვილისგან. მე, უფალი, შევეხმიანები, მე, ისრაელის ღმერთი, მათ არ მივატოვებ" (ეს. 33:16; 41:17).

"თუნდაც ალარ აყვავდეს ლელვი, ალარ გამოისხას ვაზმა მტევანი, გამტყუნდეს ზეთისხილის ნაყოფი, ყანებმა საზრდო არ მოიტანოს, მოწყდეს ფარეხიდან ცხვარი და ალარ დარჩეს ბოსლებში საქონელი, - მე მაინც უფალში გავიხარებდი, ჩემი ხსნის ღმერთში ვნახავდი შვებას" (აბაკ. 3:17,18).

"უფალია შენი მცველი; უფალი, შენი მფარველი - შენი მარჯვენის გვერდით. დღისით მზე არ გავნებს და ღამით მთვარე. უფალი დაგიცავს ყოველგვარი ბოროტისაგან. დაიცავს შენს სულს". "რადგან ის დაგიხსნის მონადირის ხაფანგიდან, მომსრავი

ჭირისაგან. თავის ფრთებს გადაგაფარებს და მის კალთებქვეშ შეაფარებ თავს; ფარი და ბურჯია მისი ჭეშმარიტება. ნუ შეგაშინებს საშინელება ღამისა, ისარი დღისით გაფრენილი. შავი ჭირი ბნელში მოარული, სენი - შუადღის მძარცველი. დაეცემა შენს გვერდით ათასი და ათი ათასი შენს მარჯვნივ, შენ კი არ მოგეკარება. ოღონდ შენი თვალებით შეხედე და დაინახავ მისაგებელს ბოროტეულთა. რადგან, ღმერთო, შენ ხარ ჩემი თავშესაფარი, შენს საცხოვრისად აირჩიე უზენაესი. არ შეგემთხვევა სიავე და წყლული ვერ მიეკარება შენს კარავს" (ფს. 120:5-7; 90:3-10).

ადამიანები იფიქრებენ, რომ მალე ღვთის ხალხი თავის ერთგულებას

ადრინდელ მოწამეთა მსგავსად, თავისი სისხლით დაადასტურებს. თვით ღვთის შვილებსაც შეეპარებათ შიში და ეგონებათ, რომ უფალმა ისინი ბედის ანაბარა მიატოვა. ეს იქნება საშინელი სასოწარკვეთილების ჟამი. დღე და ღამ აღავლენენ ლოცვა-ვედრებას ხსნის შესახებ. ურჯულოები ალტაცებული იქნებიან და დამცინავად იკითხავენ: "სადღა არის თქვენი რწმენა? რატომ არ გშველით ღმერთი და არ გათავისუფლებთ ჩვენი ხელიდან, თუკი მართლა მისი ხალხი ხართ?" მაგრამ უფლის მომლოდინე ხალხს გაახსენდებათ გოლგოთას ჯვარზე მომაკვდავი იესო და მღვდელთა და მთავართა დამცინავი შეძახილები: "სხვებს

იხსნიდა, საკუთარი თავის ხსნა კი არ შეუძლია! თუ ისრაელის მეფეა, გადმოვიდეს ჯვრიდან და ვიწამებთ მას" (მათ. 27:42). იაკობის მსგავსად შეეჭიდებიან ისინი ღმერთს. მათი თვალებიდან დაძაბული შინაგანი ბრძოლა გამოსჭვივის. ყველას გაფითრებული სახეები აქვს. ისინი კი მაინც განაგრძობენ ლოცვა-ვედრებას უფლის წინაშე.

ადამიანებს რომ სულიერი თვალები გააჩნდეთ, ქრისტეს სიტყვის მოთმინებით დამცველთა გარშემო დაინახავდნენ უძლიერეს ანგელოზებს. ეს ციური არსებები მათ ტანჯვას დიდი თანაგრძნობითა და სიყვარულით ადევნებენ თვალყურს და ესმით მათი ლოცვები. ისინი მხოლოდ თავისი მბრძანებლის

სიტყვას ელიან, რათა ეს ადამიანები საფრთხისაგან გაათავისუფლონ. მაგრამ მათ ცოტა ხნის ლოდინი კიდევ მოუწევთ, რადგან ბოლომდე უნდა შესვან თავიანთი ფიალა და ნათლიღებით უნდა მოინათლონ. და სწორედ ეს დაყოვნება, რა მტკივნეულიც არ უნდა იყოს იგი, საუკეთესო პასუხია მათ ლოცვებზე. ნდობით მომლოდინენი უფლის ქმედების დაწყებამდე სწავლობენ რწმენის, იმედისა და მოთმინების გამოვლენას, რაც ხშირად აკლდათ სულიერ ცხოვრებაში. მაგრამ მწუხრის დღეები რჩეულთათვის შემოკლდება. "განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, რომელნიც დღედაღამე მას შეჰღაღადებენ, და არ იქნება სულგრძელი მათდამი? თქვენ

გეუბნებით: "მალე დაიცავს მათ" (ლუკ. 18:7,8). ალსასრული უფრო მალე დადგება, ვიდრე ისინი ფიქრობენ. ხორბალი ძნებად შეიკვრება უფლის ბელლისათვის, სარეველა კი - დასაწვავად.

ზეციური გუშაგნი ერთგულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ფხიზლობენ. თუმცა ბრძანებით უკვე განსაზღვრულია უფლის მცნებების დამცველთა სიკვდილით დასჯის დრო, მაგრამ მტრები უფრო ადრე შეეცდებიან განაჩენის სისრულეში მოყვანას. თუმცა ვერავინ შეალწევს ყოველი ერთგული სულის დამცველთა ძლიერ რიგებში. სოფლებიდან და ქალაქებიდან გაქცევის დროს ზოგიერთ მათგანზე თავდასხმა მოხდება, მაგრამ მათ

წინაალმდეგ აღმართული მახვილი ჩალის ღეროსავით გადატყდება და ძირს დაეცემა. სხვებს კი ანგელოზები დაიცავენ მეომრების სახით.

ღმერთი ყველა საუკუნეში აგზავნიდა ანგელოზებს თავისი ხალხის დასაცავად და გასათავისუფლებლად. ზეციური არსებები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ადამიანთა ცხოვრებაში. ზოგჯერ ისინი ბრწყინვალედ შემოსილნი ჩნდებოდნენ; ზოგჯერ - ჩვეულებრივ მოგზაურებად. ადამიანთა სახით ეცხადებოდნენ უფლის წინასწარმეტყველთ, ისვენებდნენ შუადღისას ფოთლოვანი ხეების ჩრდილში, როგორც დაქანცული მგზავრები, სარგელობდნენ

ადამიანთა სტუმართმოყვარეობით, გზას უჩვენებდნენ ღამით გარეთ დარჩენილ მგზავრებს. თავიანთი ხელებით ანთებდნენ სამსხვერპლოს ცეცხლს; აღებდნენ დილეგის კარებს და ათავისუფლებდნენ ღვთის შვილთ; ისინი ზეციურ სამოსელში გამოწყობილნი ჩამოვიდნენ მაცხოვრის აკლდამის კარიდან ლოდის გადასაგორებლად.

ანგელოზები ადამიანთა სახით ხშირად ესწრებიან მართალთა კრებებს. მიდიან უწმიდურთა კრებებზედაც, როგორც ოდესღაც მივიდნენ სოდომში მის მცხოვრებთა საქმეების ჩასაწერად და იმის გადასაწყვეტად, გადააბიჯეს თუ არა მათ ღვთის მოთმინების ზღვარს. უფალს უყვარს მოწყალების გაცემა

და თავის მცირერიცხოვან გულწრფელ მორწმუნეთა გამო იგი დიდხანს იკავებს თავს მათი დასჯისაგან და ახანგრძლივებს მრავალი ადამიანის სიმშვიდეს. მათ, ვინც ღმერთის წინააღმდეგია, არ იციან, რომ თავიანთი სიცოცხლისათვის იმ მცირერიცხოვან ღვთის ერთგულ შვილებს უნდა ემადლიერებოდნენ, რომელთაც ხშირად დასცინიან და ავიწროებენ.

ძლიერნი ამა სოფლისა ვერ ხვდებიან იმას, რომ მათ შეკრებებზე ხშირად გამოდიან ანგელოზები. ადამიანები უყურებენ მათ, ისმენენ მათ საუბარს, აკრიტიკებენ და დასცინიან მათ წინადადებებს, აბუჩად იგდებენ და შურაცხყოფენ კიდეც. სათათბიროზე და

სასამართლო დარბაზებში ეს ზეციური მაცნეები კაცობრიობის ისტორიის ღრმა ცოდნას ავლენენ. ისინი ამტკიცებენ, რომ უკეთესად შეუძლიათ ჩაგრულთა დაცვა, ვიდრე ყველაზე ნიჭიერ და მჭევრმეტყველ ვექილებს. ისინი ანგრევენ მზაკვრულ გეგმებს და აკავებენ ბოროტებას, რომელიც ხელს შეუშლის უფლის საქმეებს და ტანჯვას მოუტანს მის ხალხს. საფრთხისა და უბედურების ჟამს "დაიბანაკებს ანგელოზი უფლისა მის მოშიშთა ირგვლივ და გადაარჩენს მათ" (ფს. 33:8).

ღვთის შვილები იმედით ელიან თავისი მეუფის მოსვლის ნიშნებს. როდესაც დარაჯებს ეკითხებიან: "ღამის რომელია?" ისინი უყოყმანოდ პასუხობენ: "დილა დგება და ღამეა

მაინც" (ეს. 21:11,12). მთის მწვერვალებთან თავმოყრილი ღრუბლები უკვე განთიადის ნათლითაა შემოსილი. მალე გამოჩნდება მისი დიდება და სიმართლის მზე ამობრწყინდება. დილა - მართალთათვის - უსასრულო დღის დასაწყისი, და ბინდი - საუკუნო ღამე - უწმიდურთათვის - მოახლოვდა.

როდესაც ღვთის შვილები თავიანთ ლოცვებში განაგრძობენ უფალთან შეჭიდებას, მათგან უხილავის დამფარველი რიდე იხსნება. ზეცა მარადიული დღის განთიადით ბრწყინავს და მათ ესმით სიტყვები, ვითარცა მრავალ ანგელოზთა გუნდის ხმა: "იყავით მტკიცენი თქვენს სასოებაში. თქვენი ხსნა

ახლოვდება". ქრისტემ, ყოვლისშემძლემ და გამარჯვებულმა, თავის ტანჯულ მეომრებს უკვდავი დიდების გვირგვინი მოუმზადა. ზეცის გახსნილი კარიდან მათ ესმით მისი ხმა: "მე თქვენთან ვარ. ნუ გეშინიათ. მე ვიცი თქვენი მწუხარება. მე ვიტვირთე თქვენი ტანჯვანი. თქვენ ებრძვით იმავე მტრებს, რომელთაც მე. მე თქვენთვის ვიბრძოდი და თქვენც ჩემი სახელისათვის გამარჯვებულზე მეტი ხართ".

მაცხოვარი ჩვენს დასახმარებლად ყველაზე საჭირო მომენტში მოვა. ზეცისკენ მიმავალი გზა მისი ნაკვალევითაა განათებული. ეკლებმა, რომელმაც დააწყლულეს ჩვენი სხეული, მასაც მიაყენეს ჭრილობა. ის მძიმე ჯვარი, რომლის

ტარებაც უფალმა დაგვავალა, პირველად მან ატარა. უფალმა დაუშვა ბრძოლა, რათა მოგვიმზადოს სულის სიმშვიდე. მწუხრის ჟამი - ეს ღვთის ხალხის სასტიკი გამოცდაა, მაგრამ ამ დროს ყოველმა ჭეშმარიტმა ქრისტიანმა უნდა აიხედოს მაღლა, რათა რწმენით დაინახოს ალთქმის ცისარტყელა, რომელიც მას გარს არტყია.

"უფლის გამოსყიდულნი მობრუნდებიან და გახარებულნი მოვლენ სიონზე; მარადიული სიხარული იქნება მათ თავზე, ლხენას და სიხარულს ეწევიან, ვაება და კვნესა კი უკუიქცევა. მე ვარ, მე, თქვენი ნუგეშისმცემელი! ვინ ხარ, რომ გეშინია მკვდარი კაცისა და ადამის ძისა, ბალახად რომ

შეირაცხება? დაგვიწყებია უფალი, შენი შემქმნელი და გეშინია მუდამდღე, გამუდმებით, მჩაგვრელის რისხვისა, დასაღუპავად რომ ემზადება, მაგრამ სად არის მჩაგვრელის რისხვა? მალე გათავისუფლდება დამონებული, არ მოკვდება დილეგში და არ მოაკლდება პური. მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომელიც აღელვებს ზღვას და ბობოქრობენ მისი ზვირთები. ცაბაოთ უფალია მისი სახელი. ჩავდევი ჩემი სიტყვები შენს ბაგეებში და ჩემი ხელის ჩრდილში შეგიფარე" (ეს. 51:11-16).

"ამიტომ გაიგონე ეს, ბედშავო, მთვრალო, მაგრამ ულვინოდ! ასე ამბობს შენი მეუფე და შენი ღმერთი, მოსარჩლე თავის ხალხისა: აჰა,

გართმევ შენი ხელიდან სიბრუვის თასს, ფიალას, თასს ჩემი რისხვისა, რომ მეტჯერ ალარ შესვა იგი. და ხელში მივცემ მას შენს მტანჯველებს, რომლებიც გეუბნებოდნენ: "დაწექი, რომ გადაგიაროთ" და შენც მიწასავით გახადე შენი ზურგი და ქუჩასავით - გამვლელთათვის" (ეს. 51:21-23).

უფლის თვალმა საუკუნეთა მილმა განჭვრიტა მისი ხალხისათვის მოახლოებული კრიზისი, როდესაც ძლიერნი ამა სოფლისა ალდგებიან მის წინაალმდეგ. გაძევებული ტყვეების მსგავსად, ისინი შიმშილისა და ძალადობის შიშის ქვეშ იქნებიან. მაგრამ უწმიდესი, რომელმაც მეწამული ზღვა ორად გაყო ისრაელიანთა წინაშე, თავისი

ძლიერებით გაათავისუფლებს მათ. "ჩემი იქნებიან ისინი, ამბობს უფალი, იმ დღისთვის, როცა უნჯად გავამზადებ მათ და შევიბრალებ, როგორც კაცი შეიბრალებს თავის შვილს, რომელიც მას მორჩილებს" (მალ. 3:17). ამ დროს ქრისტეს ერთგულთა სისხლი რომ დაღვრილიყო, არ იქნებოდა ის თესლი, რომელიც მოწამეთა სისხლის მსგავსად გამოიღებდა ნაყოფს უფლის მკისთვის. მათი ერთგულება არ იქნებოდა ჭეშმარიტების მოწმობა სხვებისათვის, რადგან მოწყალების ტალღები მათ გაქვავებულ გულს შეასკდებოდა და უკან აღარ დაბრუნდებოდა. ახლა მართლების მტრის ხელში ჩავარდნა დიდად გაახარებდა ბნელეთის მეუფეს.

მეფსალმუნე ამბობს: "რადგან შემიფარავს იგი თავის კარავში გაჭირვების ჟამს, დამმალავს თავისი კარავის სამალავში, კლდეზე ამამაღლებს" (ფს. 26:5). ქრისტე ამბობს: "წადი, ჩემო ხალხო, შედით თქვენ-თქვენ ოთახებში და გამოიკეტეთ კარი. მცირეხანს შეაფარე თავი, ვიდრე რისხვა გადაივლიდეს. რადგან, აჰა, უფალი გამოდის თავისი ადგილიდან ქვეყნის მკვიდრთა დასასჯელად მათი ცოდვისთვის" (ეს. 26:20,21). საოცარი იქნება მათი ხსნა, ვინც მოთმინებით ელოდა მის გამოჩენას და ვისი სახელებიც ჩაწერილია სიცოცხლის წიგნში.

თავი 40 ღვთის ხალხის გათავისუფლება

როდესაც უფლის მცნებათა დამცველთ სამოქალაქო ხელისუფლებისაგან არავითარი დაცვა აღარ ექნებათ, სხვადასხვა ქვეყანაში ერთდროულად დაიწყება მოძრაობა მათ გასანადგურებლად. და როცა დადგენილი დრო მოახლოვდება, დაიწყება შეთქმულება საძულველი სექტის მოსასპობად. გამოვა გადაწყვეტილება, ერთ ღამეში მიაყენონ გადამწყვეტი დარტყმა და ამით მათი მამხილებელი და მართალი ხმები ერთხელ და სამუდამოდ დაადუმონ.

ღვთის ხალხი - ზოგი საპყრობილეებში, ზოგი ტყეებისა და მთების მიუვალ თავშესაფრებში - ჯერ კიდევ უფალს შეჰღაღადებენ და

სთხოვენ დაცვას, ამ დროს კი შეიარაღებული ბრბო დემონთა წაქეზებით უკვე მზად არის მათ დასალუპავად. სწორედ ამ უკანასკნელი, უდიდესი საფრთხის დროს უფალი ჩაერევა თავისი ხალხის გათავისუფლების საქმეში. იგი ამბობს: "სიმღერა გექნებათ როგორც დღესასწაულის განათვლის ღამეს და გულის სიხარული როგორც სალამურით მიმავალს უფლის მთაზე, ისრაელის კლდეზე ასასვლელად. გამოსცემს უფალი თავის დიდებულ ხმას და თავის შემართულ მკლავს გამოაჩენს მძვინვარე რისხვაში და შემჭამელი ცეცხლის ალში, მეხისტეხაში და თავსხმაში, ქვის სეტყვაში" (ეს. 30:29,30).

საზეიმო შეძახილებით, დაცინვითა და წყევლა-კრულვით გაბოროტებული ბრბო მზადაა თავს დაესხას თავის ნადავლს, მაგრამ აი, უკუნეთი ღამე, ყველა ბნელ ღამეზე ბნელი, ჩამოწვება დედამიწაზე. შემდეგ, ცაზე უფლის ტახტიდან გამოსული დიდებით გაბრწყინებული ცისარტყელა გამოჩნდება: და ეს ნათელი მლოცველთა ჯგუფებს გარს შემოერტყმება. გამძვინვარებული ბრბო უეცრად გაირინდება. შეწყდება მათი დამცინავი ხმები. ადამიანებს ავიწყდებათ თავიანთი მძვინვარების საგანი. მოსალოდნელი საფრთხის საშინელი წინათგრძნობით შეჰყურებენ ისინი უფლის აღთქმის სიმბოლოს და ერთადერთი სურვილი

უჩნდებათ: სადმე დაემალონ ამ ყოვლისმომცველ ბრწყინვალებას.

ღვთის ხალხს ესმის ნათელი, მელოდიური ხმა: "წამოდექით!" და თვალებს მიაპყრობენ რა ზეცას, ალთქმის ცისარტყელას დაინახავენ. შავი, მრისხანე ღრუბლები, რომლითაც დაფარულია ზეცა, იფანტება და ისინი, სტეფანეს მსგავსად, ხედავენ უფლის დიდებას და კაცის ძეს, ტახტზე მჯდომარეს. მის ღვთიურ სხეულზე ამჩნევენ დამცირების ნაკვალევს და ესმით მისი მუდარით ალსავსე ხმა, რომლითაც იგი მიმართავს მამას და წმიდა ანგელოზებს: "მამაო, მსურს რომ სადაც მე ვარ, ისინიც ჩემთან იყვნენ, რომელნიც შენ მომეცი" (იოან. 17:24). და კვლავ ისმის ნათელი,

მელოდიური ხმა: "მოდიან, მოდიან წმიდანები! უმანკოები და უბრალონი! მათ შეინახეს ჩემი მოთმინების სიტყვა; ისინი ივლიან ანგელოზთა შორის". და რწმენის მტკიცედ შემნახველთა გაფითრებულ ბაგეებს გამარჯვების შეძახილები ალმოხდებათ.

შუალამისას უფალი გამოაჩენს ძალას თავისი ხალხის გასათავისუფლებლად. გამოჩნდება მზე თავისი დამაბრმავებელი ბრწყინვალებით. სასწაულები და ნიშნები ერთმანეთს შეცვლის. ურჯულოები შიშითა და განცვიფრებით უყურებენ ყოველივე ამას. მართლები კი საზეიმო სიხარულით ადევნებენ თვალყურს მათი გათავისუფლების ნიშნებს.

თითქოსდა ბუნებაში ყველაფერმა შეცვალა თავისი ჩვეული დინება. მდინარეები შეჩერდნენ. შავი, მძიმე ღრუბლები ერთმანეთს ეხლებიან. განრისხებული ზეცის შუაგულში ენით აუწერელი დიდების ზოლი მოჩანს, საიდანაც ისმის უფლის ხმა, მრავალი წყლის ჩხრიალის მსგავსი, "რომელიც ამბობდა: "აღსრულდა!" (გამოცხ. 16:17).

ამ ხმისაგან ტორტმანობს ცა და დედამიწა. "მოხდა დიდი მიწისძვრა, როგორიც არ მომხდარა მას შემდეგ, რაც ადამიანი გაჩნდა დედამიწაზე. ასეთი დიდი იყო ის მიწისძვრა!" (გამოცხ. 16:18). ზეცა თითქოს იხსნება და იკუმშება. უფლის ტახტიდან მისი დიდების ბრწყინვალება გამოკრთის. მთები ირწევიან, როგორც ქარისაგან -

ლერწამი და კლდეთა ნამსხვრევები აქეთ-იქით ცვივა. გაისმის მოახლოებული ქარიშხლის მსგავსი ხმაური. აფოფრილი ზღვა მღელვარებს. საშინელი გრიგალის ხმა, იმ დემონთა ხმების მსგავსი, რომელნიც თავიანთ დამღუპველ საქმიანობას ეწევიან, თანდათან ახლოვდება. დედამიწა ზღვის ტალღების მსგავსად შფოთავს. მისი ზედაპირი სკდება, ძირი მორყეულია, მთაგრეხილებს ზღვა ფარავს. დასახლებული კუნძულები უჩინარდებიან. გაცოფებულ ტალღებში იძირება ზღვისპირა, თავისი უწმიდურებით სოდომის მსგავსი ქალაქები, და "მოხსენებულ იქნა დიდი ბაბილონი ღვთის წინაშე, რომ მისცემოდა მას მისი რისხვის

მძვინვარების ღვინის თასი". "ტალანტის სიდიდის" ქვის სეტყვა იქმს თავის დამღუპველ საქმეს (იხ. გამოცხ. 16:19,21). ყველაზე პატივმოყვარე ქალაქების მხოლოდ ნანგრევები რჩება. დიდებული სასახლეები, რომელთა აშენებას ძლიერნი ამა სოფლისანი უამრავ სიმდიდრეს ახმარდნენ თავის სახელთა განსადიდებლად, მათ თვალწინ ნანგრევებად იქცევა. ციხის კედლები ინგრევა და საპყრობილეებში რწმენისათვის ჩაყრილი ღვთის ხალხი თავისუფლდება.

სამარხები იხსნება და "მრავალი მიწაში მიძინებული გამოიღვიძებს, ზოგი საუკუნო სოცოცხლისათვის, ზოგი საუკუნო გმობისთვის და

შერცხვენისთვის" (დან. 12:2). და ყველანი, მესამე ანგელოზის სახარების რწმენაში მკვდარნი, დიდებით შემოსილნი გამოდიან სამარხებიდან, რათა მოისმინონ უფლის მშვიდობის აღთქმა მათთან, ვინც იცავდა მის მცნებებს. აღდგებიან "ისინიც, რომელთაც განგმირეს იგი" (გამოცხ. 1:7), რომელნიც დასცინოდნენ მის სასიკვდილო ტანჯვას, აღდგებიან ღვთის ჭეშმარიტებისა და უფლის ხალხის სასტიკი მოწინააღმდეგენი, რათა საკუთარი თვალით დაინახონ ის დიდება და პატივი, რომელიც მის ერთგულთ და მორჩილთ მიეცემათ.

ცა ჯერ ისევ მძიმე ღრუბლებითაა დაფარული, მაგრამ ადგილ-ადგილ მოჩანს მზე, რომელიც ღმერთის

დამსჯელ თვალს წააგავს. ცას კვეთავს მრისხანე ელვა, რომელიც დედამიწას თითქოს ცეცხლოვან საბურველში ახვევს. გაისმის იდუმალი, საშინელი ხმები, რომელიც უწმიდურთა ბედის გადაწყვეტის მომასწავებელია და რომლებიც ფარავს საშინელ ჭექა-ქუხილის ხმას. ყველა ვერ ხვდება ამის მნიშვნელობას, მაგრამ ცრუ მოძღვრებმა კარგად იციან, თუ რას მოასწავებს ეს. ის, ვინც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ასე უზრუნველი, თავხედი და პატივმოყვარე იყო, ვინც ასეთ სისასტიკეს იჩენდა უფლის მცნებების დამცველთა მიმართ, ახლა შიშს ჰყავს ატანილი და საფრთხის საშინელების წინაშე კანკალებს. მათი ყვირილი გამძვინვარებული

სტიქიის ხმას ფარავს. დემონები ალიარებენ ქრისტეს ღვთიურობას და კანკალებენ მისი ძალის წინაშე, ადამიანები კი შეწყალებას ითხოვენ და შიშისაგან მიწაზე დახოხავენ.

ძველი ალთქმის წინასწარმეტყველნი თავიანთ წმიდა ხილვებში ხედავდნენ უფლის დღეს და ამბობდნენ: "მოსთქვამდეთ, რადგან ახლოვდება უფლის დღე, მოდის როგორც რბევა ყოვლადძლიერისაგან!" (ეს. 13:6). "კლდეში შეასწარ, მიწაში ჩაემალე უფლის ზარტეხილს და მისი სიდიადის ელვარებას! დამდაბლდებოდა ადამიანის ამაყი მზერა და კაცთა მედიდურება დამცირდება, მხოლოდ უფალი იქნება მაღალი იმ დღეს. რადგან

დაუდგება ცაბაოთ უფლის დღე ყველა ამაყსა და მედიდურს, ყველა ალზევებულს, - და დამდაბლდება" (ეს. 2:10-12). "იმ დღეს კაცი თხუნელებსა და ღამურებს გადაუყრის თავის ვერცხლის კერპებს და თავის ოქროს კერპებს, სათაყვანოდ რომ გაიკეთა. რათა კლდეთა მღვიმეებში და პიტალოთა ბზარებში დაემალოს უფლის ზარტეხილს და მისი სიდიადის ელვარებას, როცა ქვეყნის შესაზარად შეიმართება" (ეს. 2:20,21).

ღრუბელთა შორის ნათელში ელვარებს ვარსკვლავი და მისი ბრწყინვალება ჩამოწოლილ უკუნეთში განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება. ღვთის შვილები იმედითა და სიხარულით შესცქერიან მას, უფლის მცნებათა დამრღვევნი კი

მასში უფლის რისხვის მაცნეს ხედავენ. ისინი, ვინც ყველაფერი ქრისტეს გულისათვის მსხვერპლად გაილო, ახლა უშიშრად არიან, როგორც უფლის საიდუმლო თავშესაფარში. მათ გაუძლეს გამოცდას, მთელ მსოფლიოს და ჭეშმარიტების უარმყოფელთ აჩვენეს თავიანთი ერთგულება უფლისადმი, რომელიც მათთვის მოკვდა. საოცარი გარდაქმნა მოხდა მათში, ვინც თვით სიკვდილის საფრთხის წინაშეც კი ერთგული დარჩა თავისი რწმენისა. ისინი უცბად გათავისუფლდნენ იმ ადამიანთა ბნელი და საშინელი ტირანიისაგან, რომლებიც დემონებად იქცნენ. მათი ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გაფითრებული, შეწუხებული, გატანჯული სახეები ახლა

განცვიფრებით, რწმენითა და სიხარულით ბრწყინავენ. მათი ხმები უერთდება გამარჯვების სიმღერის ჰანგებს: "ღმერთია ჩვენი მფარველი ძალა, შემწე გაჭირვებაში, საძებარი ფრიად. ამიტომ არ შეგვეშინდება, თუნდაც პირი იცვალოს ქვეყნიერებამ და მთები დაიძრნენ ზღვათა გულისაკენ. იხმაურებენ, იბობოქრებენ წყალნი მათნი, მთები შეირყევიან მათი მედიდურობით" (ფს. 45:2-4).

    იმ დროს, როცა უფლის ერთგულნი ამ იმედის სიტყვებს ღმერთისადმი აღავლენენ, ღრუბლები იფანტება და მოჩანს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, რომლის სილამაზე მის კიდეებზე მყოფი შავი ღრუბლების ფონზე უფრო იკვეთება. ცის გახსნილი

კარიბჭიდან ბრწყინავს ზეციური ქალაქის დიდება, საიდანაც გამოჩნდება ხელი, რომელსაც ორი ერთმანეთზე დადებული ქვის ფიქალი უჭირავს. წინასწარმეტყველი ამბობს: "და წარმოსთქვამენ ცანი მის სიმართლეს; რადგან ღმერთია მსაჯული იგი" (ფს. 49:6). ის წმიდა კანონი - უფლის სიმართლე - რომელიც უფალმა ღმერთმა სინაის მთაზე, გრგვინვასა და ცეცხლის ალში წარმოთქვა და ცხოვრების წესად დაადგინა, ახლა ხალხის წინაშე წარდგება, როგორც სამსჯავროს საზომი. ხელი ხსნის ფიქალებს და ყველა ხედავს უფლის ათ მცნებას, თითქოს ცეცხლის კალმით ნაწერს. სიტყვები იმდენად ნათლად ჩანს, რომ ყველას შეუძლია მისი წაკითხვა.

მეხსიერება იღვიძებს, გონება ცრურწმენისა და შეცდომებისაგან იწმინდება და უფლის მოკლე, გასაგებ და ძლიერ ათ მცნებას დედამიწის ყოველი მკვიდრის თვალი ხედავს.

შეუძლებელია იმ ადამიანთა შიშისა და სასოწარკვეთილების ალწერა, ვინც აბუჩად იგდებდა ღვთის მოთხოვნებს. ღმერთმა ყოველ მათგანს მისცა თავისი კანონი; მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, ამ მცნებებით შეემოწმებინათ საკუთარი ხასიათი და მასში მანკიერება ალმოეჩინათ მანამ, სანამ შესაძლო იყო მათი მონანიება და ალმოფხვრა, მაგრამ მათ უგულვებელყვეს ღმეთის მოთხოვნა, ამქვეყნიური კეთილდღეობა არჩიეს და სხვებსაც

ასწავლეს კანონის დარღვევა. ისინი ხალხს შაბათის უარყოფას კარნახობდნენ და ახლა სწორედ ამ კანონით გასამართლდებიან, რომელიც თავადვე უარყვეს; ნათლად ხვდებიან, რომ მათი გამართლება არ იქნება. თავადვე აირჩიეს, ვის ემსახურონ და ვის სცენ თაყვანი. და მაშინ, "კვლავ განარჩევთ მართალსა და ბოროტეულს, ღვთის მორჩილსა და ურჩს" (მალ. 3:18).

უფლის კანონის მტრები - დაწყებული ეკლესიის მსახურთაგან და დამთავრებული უბრალო ადამიანებით - ახლა სრულიად ახალ წარმოდგენას მიიღებენ ჭეშმარიტებისა და საკუთარი მოვალეობის შესახებ. ისინი ძალზე გვიან ხვდებიან, რომ შაბათი, მეოთხე

მცნება უფლისა, არის ცოცხალი ღმერთის ბეჭედი. ძალზე გვიან მიხვდნენ ცრუ შაბათის არსს და იმ საფუძვლის უძლურებას, რომელზედაც იგია დაფუძნებული. მიხვდნენ იმასაც, რომ ღვთის წინაალმდეგ იბრძოდნენ. რელიგიურმა მოძღვრებმა დაღუპეს სულები, რომელთაც არწმუნებდნენ, რომ სამოთხისკენ მიემართებიან. მხოლოდ შურისგების ბოლო დღეს გამოცხადდება, თუ რა დიდია სულიერ მოძღვართა და მსახურთა პასუხისმგებლობა და რა მძიმეა მათი ცრუ სწავლების შედეგები. მხოლოდ იქ, მარადიულობაში გავიგებთ ყოველი დაკარგული სულის ჭეშმარიტ საფასურს. საშინელი იქნება მათი წილი, რომელთაც

ღმერთი ეტყვის: "წადი ჩემგან, უვარგისო მონავ!"

ზეციდან ისმის ღვთის ხმა, რომელიც საზეიმოდ აცხადებს ქრისტეს მოსვლის დღეს და საათს და მარადიულ აღთქმას უდებს თავის ხალხს. ძლიერი ჭექა-ქუხილის მსგავსად გაისმის მისი სიტყვები მთელ დედამიწაზე. ღვთის ისრაელი შესცქერის ზეცას და ყურადღებით ისმენს ყოველ სიტყვას. მათ სახეებს უფლის დიდებული ნათელი ეფინება და ბრწყინავენ, როგორც მოსეს სახე - სინაის მთიდან ჩამოსვლის შემდეგ. უწმიდურნი ვერ უმზერენ მათ. და როდესაც გაისმის მათი კურთხევა, ვინც უფლის გზით იარა და ვინც მისი შაბათი შეინახა, გამარჯვების შეძახილები გაისმის.

მალე აღმოსავლეთით პატარა, ადამიანის ნახევარი ხელისგულისოდენა შავი ღრუბელი გამოჩნდება, რომელიც შორიდან ისე მოჩანს, თითქოს სიბნელით არის მოცული. ღვთის ხალხმა იცის, რომ ეს კაცის ძის ნიშანია. საზეიმო მდუმარებით შესცქერიან, თუ როგორ უახლოვდება დედამიწას და თანდათან როგორ ნათდება იგი, სანამ უზარმაზარ, თეთრ ღრუბლად არ გადაიქცევა, რომლის ძირი - ყოვლის შთანმთქმელი ცეცხლის მსგავსი დიდებაა, ღრუბლის თავზე კი ალთქმის ცისარტყელა მოჩანს. იესო მოდის, როგორც ძლევამოსილი და გამარჯვებული. ახლა იგი აღარ არის "კაცთაგან გატანჯული", რომელმაც მწუხარებისა და დამცირების მწარე

თასი შესვა, არამედ მოდის, როგორც "გამარჯვებული ზეცაში და დედამიწაზე, რათა განსაჯოს ცოცხლები და მკვდრები." "რომელიც იწოდება ერთგულად და ჭეშმარიტად, და სიმართლით განიკითხავს და იბრძვის". და "ციური ლაშქარი მისდევდა მას" (გამოცხ. 19:11,14). უთვალავ წმიდა ანგელოზთა მხედრობა მშვენიერი ზეციური ჰიმნების გალობით მოჰყვება იესოს. მთელი ზეცა ამ ნათელი არსებებით ივსება. უთვალავია მათი რიცხვი. არც ერთ კალამს არ შეუძლია ამ სანახაობის აღწერა. ხრწნადი გონება ვერ ჩაწვდება მის დიდებულებასა და სილამაზეს. "დაფარა ზეცა მისმა ბრწყინვალებამ და მისმა დიდებამ აავსო დედამიწა. დღესავით

ბრწყინავს მისი ნათელი" (აბაკ. 3:3,4). ცოცხალი ღრუბელი თანდათანობით სულ უფრო დაბლა ეშვება და ყველა ხედავს სიცოცხლის მეფეს. ეკლის გვირგვინი ალარ ამახინჯებს მის წმიდა შუბლს, არამედ მასზე დიდების დიადემა მოჩანს. მისი სახე შუადღის მზის დამაბრმავებელი ელვარებით ბრწყინავს. "მის სამოსელზე და მის თეძოზე აწერია სახელი: მეფეთა მეფე და უფალთა უფალი" (გამოცხ. 19:16).

ყველა "გაფითრებულია", მარადიული სასოწარკვეთილების საშინელებაა აღბეჭდილი მათ სახეზე, ვინც ქრისტეს წყალობა უარყო. "დადნა გული და კანკალებს მუხლები... ყველას მწვანე ფერი დასდებია" (ნაუმ. 2:11; იერ. 30:6).

მართლები ძრწოლვით წამოიძახებენ "ვინ გაუძლებს?" ამ სიტყვების თქმაზე ანგელოზთა გალობა წყდება და საშინელი სიჩუმე ისადგურებს. შემდეგ ისმის იესოს ხმა: "საკმარისია ჩემი წყალობა თქვენთვის". მართალთა სახეები ნათდება და ყოველი გული სიხარულით ივსება. ანგელოზები კვლავ იწყებენ გალობას ერთი ტონით მაღლა და უფრო უახლოვდებიან დედამიწას.

მეფეთა მეფე ეშვება ღრუბელზე, რომელიც ცეცხლის ალით არის გარშემორტყმული. ცა იგრაგნება; დედამიწა ზანზარებს; ყოველი მთა და ყოველი კუნძული ადგილიდან იძვრის. "მოვა ჩვენი ღმერთი და ნუმც დადუმდება; მის წინაშე მწველი ცეცხლია და მის ირგვლივ - ძლიერი

ქარიშხალი. გამოიძახებს ცას ზევიდან და დედამიწას თავისი ხალხის სამსჯავროზე" (ფს. 49:3,4).

"დედამიწის მეფეები და მთავრები, ათასისთავები, მდიდრები და ძლიერები, ყოველი მონა და თავისუფალი მიიმალნენ მღვიმეებსა და მთის გამოქვაბულებში. უთხრეს მთებსა და კლდეებს: "ზედ დაგვეცით და დაგვმალეთ ტახტზე მჯდომარის პირისაგან და კრავის რისხვისაგან: ვინაიდან მოვიდა მათი დიდი რისხვის დღე და ვინ გაუძლებს?" (გამოცხ. 6:15-17).

დამცინავი ხმები ჩაჩუმდა. ცრუ ბაგენი დადუმდა. აღარ გაისმის იარაღის ჟღარუნი, მეომართა შეძახილები და ბრძოლის ხმა... ისმის მხოლოდ ლოცვები, ქვითინი და

ვაება. წარსულში დამცინავი ბაგენი ახლა წარმოთქვამენ: "მოვიდა დიდი რისხვის დღე და ვინ გაუძლებს?" უწმიდურნი ვედრებით ღაღადებენ, რომ ქვის ლოდებმა დაფარონ ისინი, რათა არ დაინახონ მისი სახე, ვინც მათ შეიძულეს და უარყვეს.

მათთვის ნაცნობია ეს ხმა, მკვდართა გამაცოცხლებელი. რამდენჯერ მოუწოდა მათ ამ მწუხარებითა და სინაზით აღსავსე ხმამ მონანიებისაკენ. რა ნაზად და ვედრებით ჟღერდა იგი - ხმა მეგობრისა, ძმისა და მაცხოვრისა, მხსნელისა! მისი წყალობის უარმყოფელთათვის არ არსებობს სხვა მსჯავრმდებელი, გარდა იმისა, რომელიც ამდენ ხანს ევედრებოდა მათ: "მოიქეცით, მოიქეცით თქვენი

გზიდან, ბოროტეულნო! რისთვის უნდა დაიხოცოთ, ისრაელის სახლო?" (ეზ. 33:11). ო, ნეტავ არ სცნობდნენ ამ ხმას! რა ძნელია მოსასმენად: "მე გეძახდით, თქვენ კი უარმყოფდით; ხელს აღვმართავდი, გამგონე კი არავინ იყო. უკუაგდებდით ჩემს რჩევებს და ჩემს დარიგებებს ყურს არ ათხოვებდით" (იგავ. 1:24,25). ეს ხმა გაახსენებს მათ მიერ უარყოფილ გაფრთხილებებს, შეუსმენელ მოწოდებებს, იმ უპირატესობას, რომელიც ვერ გამოიყენეს, ყველაფერს, რაც ასეთი მონდომებით ამოშალეს თავიანთი მეხსიერებიდან.

აქ იქნებიან ისინიც, ვინც მასხარად იგდებდა ქრისტეს მისი ტანჯვის დროს. მღელვარებით იხსენებენ ტანჯულის სიტყვებს - საზეიმო

პასუხს მღვდელთა კითხვაზე: "ამიერიდან იხილავთ კაცის ძეს ძალის მარჯვნივ მჯდომარეს და ცის ღრუბლებზე მომავალს" (მათ. 26:64). ახლა ხედავენ დიდებით მოსილს და კვლავ იხილავენ მას, ტახტზე მჯდომარეს.

სდუმან ისინიც, ვინც დასცინოდა მის სიტყვებს, რომ იგი უფლის ძეა. აქ არის პატივმოყვარე ჰეროდეც, რომელიც დასცინოდა მის სამეფო ტიტულს და რომელმაც მეომრებს უბრძანა, გამოეცხადებინათ იგი მეფედ, რათა შემდეგ აბუჩად აეგდოთ. აქ დგანან ისინიც, რომელთა უწმიდურმა ხელებმაც ჩააცვა მას ძოწეულის მოსასხამი, მისი წმიდა შუბლი კი ეკლის გვირგვინით შეამკო, მორჩილ ხელში კვერთხის

მსგავსი ლერწამი დააჭერინა და დაცინვითა და ღვთის შეურაცხმყოფელი სიტყვებით მუხლს იყრიდა მის წინაშე. ადამიანები, რომლებიც სცემდნენ და აფურთხებდნენ მას სახეში, ახლა მის გამჭოლ მზერას ემალებიან და მზად არიან სადმე გადაიკარგონ, ოღონდ დაემალონ მის ყოვლისშემძლე დიდებას. ის, ვინც მისი ხელები და ფეხები ჯვარს ლურსმნებით მიაჭედა, მეომარი, რომელმაც შუბით ფერდი გაუგმირა, ახლა შიშითა და სინდისის ქენჯნით უყურებენ ნაიარევს მის სხეულზე.

საშინელი სიცხადით იხსენებენ მღვდლები და მთავრები გოლგოთას მოვლენებს. შიშითა და ძრწოლვით აგონდებათ, თუ როგორ იქნევდნენ

თავს და სატანური სიხარულით ამბობდნენ: "სხვებს იხსნიდა, საკუთარი თავის ხსნა კი არ შეუძლია! თუ ისრაელის მეფეა, გადმოვიდეს ჯვრიდან და ვიწამებთ მას" (მათ. 27:42,43).

ნათლად ახსენდებათ მაცხოვრის იგავი მევენახეებზე, რომლებმაც არ მისცეს თავიანთ ბატონს ვენახის მოსავალი, შეურაცხყვეს მისი მსახურნი და მოუკლეს ძე. ახსენდებათ განაჩენიც, რომელიც თავადვე გამოუტანეს საკუთარ თავს: ვენახის პატრონი "ამ ბოროტეულთ ბოროტად დახოცავს". ამ მოღალატე ადამიანთა ბოროტმოქმედებაში და მათ სასჯელში მღვდლები და მთავრები საკუთარ თავს ხედავენ და იციან, რა ელით. გაისმის შიშითა და

სასოწარკვეთილებით ალსავსე სასიკვდილო ტანჯვის ყვირილი: "იგი - ღვთის ძეა, ჭეშმარიტი მესია!" მათი ეს ყვირილი უფრო ძლიერია, ვიდრე ის შეძახილები, რომელნიც ერთ დროს იერუსალიმის ქუჩებს აზანზარებდა: "ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი!" და ისინი გარბიან, რათა მეფეთა მეფის ნათელ სახეს დაემალონ. დედამიწის გამძვინვარებული სტიქიის შედეგად წარმოქმნილ ღრმა ნაპრალებში, მაგრამ ამაოდ.

ჭეშმარიტების უარმყოფელ ადამიანთა ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც მათი სინდისი იღვიძებს, როდესაც მეხსიერებაში ამოტივტივდება მტანჯველი მოგონებანი მათ ფარისევლურ

ქცევებზე და სულს უშედეგო სინანული სტანჯავს. მაგრამ განა შეიძლება ამ გრძნობის შედარება სულის იმ ტანჯვებთან, "როცა დაგეცემათ შიში ქარტეხილივით და გრიგალივით დაგატყდებათ უბედურება" (იგავ. 1:27). ისინი, ვისაც ერთ დროს ქრისტეს და მისი ერთგული ხალხის მოსპობა სურდათ, ახლა მათზე დავანებულ დიდებას ხედავენ. შიშით ისმენენ წმიდანთა შეძახილებს: "აჰა, ეს არის ღმერთი ჩვენი, მას ვესავდით და გვიხსნა!" (ეს. 25:9).

მიწის რყევაში, ელვასა და ჭექა-ქუხილში, უფლის ძის ხმა აღვიძებს მძინარე წმიდანთ. იგი შეჰყურებს მართალთა საფლავებს და შემდეგ ხელის მაღლა აწევით ხმამაღლა

წარმოთქვამს: "გაილვიძეთ. გაილვიძეთ, გაილვიძეთ, სამარხებში მძინარენო, ალდექით!" დედამიწის ყოველ კუთხეში გაიგონებენ მიცვალებულნი ამ ხმას და გაცოცხლდებიან. მთელი დედამიწა შეირყევა ყოველი ხალხისაგან, ერისაგან და ტომისაგან ალმდგართა უდიდესი არმიის ძალით. უკვდავების დიდებით მოსილნი გამოვლენ ისინი საფლავთა ტყვეობიდან და იტყვიან: "სად არის სიკვდილო, შენი ნესტარი? სად არის, ჯოჯოხეთო, შენი ძლევა?" (1კორ. 15:55). და მაშინ, ცოცხალ მართალთა და ალმდგარ წმიდანთა ხმები ერთმანეთს შეერწყმიან სიხარულისა და გამარჯვების შეძახილებში.

სამარხებიდან ამოსულთა გარეგნობა ისეთივეა, როგორიც ჰქონდათ მათ სიკვდილის წინ. ალმდგართა შორის ადამი გამოირჩევა დიდი სიმაღლით და დიდებული ტანადობით, მხოლოდ უფლის ძეზეა ოდნავ დაბალი. იგი მკვეთრად განსხვავდება ადამიანთა შემდგომი თაობებისაგან და აქედანაც კი ცხადად ჩანს, თუ რამდენად დაკნინდა ცოდვისაგან ადამიანთა თაობები. მაგრამ ყველა მკვდრეთით ალმდგარის გარეგნობას ახლა მარადიული ახალგაზრდობის, სიცოცხლისა და სილამაზის ბეჭედი აზის. თავიდან ადამიანი ღმერთმა შექმნა თავის მსგავსად არა მარტო ხასიათით, არამედ გარეგნული ნიშნებითაც. ცოდვამ დაამახინჯა და

თითქმის მოსპო ღვთიური ხატება ადამიანში. მაგრამ ქრისტე მოვიდა დაკარგულის აღსადგენად. იგი ჩვენს მანკიერ სხეულს გარდაქმნის თავისი დიდებული სხეულის მსგავსად. ადამიანის მოკვდავი, სილამაზეს მოკლებული, ცოდვით შებღალული ხრწნადი სხეული სრულქმნილი, მშვენიერი და უკვდავი გახდება. ყოველი მანკიერება და ნაკლი საფლავებში დარჩება. გამოსყიდულთ დაუბრუნდებათ უფლება დიდი ხნის წინათ დაკარგულ სიცოცხლის ხეზე ედემში და "ისინი გაიზრდებიან" (იხ. მალ. 4:2) და განვითარდებიან, სანამ სრულქმნილებასა და დიდებას არ მიაღწევენ, რომელიც ადამიანს დასაბამიდან ჰქონდა. წყევლისა და

ცოდვის უკანასკნელი ნაკვალევი წაიშლება და ქრისტეს ერთგულნი წარდგებიან "ჩვენი უფლის დიდებაში". და გონებით, სულით და სხეულით დაემსგავსებიან თავიანთ უფალს. ეს არის საოცარი გამოსყიდვა, რომლის შესახებაც ასე ბევრი გვისაუბრია, რასაც ასე დიდხანს ვესავდით, სიხარულის იმედით ველოდით, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შევიმეცნეთ.

ცოცხალი მართლები "უცბად ერთ წამში შეიცვლებიან". მათ მიიღეს უფლის დიდება მისი ხმის გაგონებისთანავე, ახლა კი, უკვდავებით მოსილნი, მკვდრეთით ალმდგარ წმიდანებთან ერთად ატაცებული იქნებიან ჰაერში უფალთან შესახვედრად.

ანგელოზები "შეკრებენ რჩეულთ ოთხივ ქარისაგან, ზეცით კიდით კიდემდე". წმიდა ანგელოზები ხელში აყვანილთ მიუყვანენ დედებს თავიანთ შვილებს. მეგობრები, რომელნიც სიკვდილმა დააშორა ერთმანეთს, შეხვდებიან, რათა ალარასოდეს დაშორდნენ, და სიხარულის შეძახილებით ამაღლდებიან უფლის ქალაქისაკენ.

ღრუბლის ეტლს ყოველი მხრიდან ფრთები აქვს, შიგნით კი ცოცხალი ბორბლებია და როდესაც ეტლი მაღლა ადის, ისმის ამ ბორბალთა სიხარულის წამოძახილი: "წმიდაა!" ფრთებიც მოძრაობის დროს იმეორებენ "წმიდაა!" და ანგელოზებიც ალტაცებით ამბობენ: "წმიდაა! წმიდაა! წმიდაა უფალი

ღმერთი ყოვლისმპყრობელი!" ისმის გამოსყიდულთა შეძახილები: "ალილუია!" და ეტლი ახალ იერუსალიმს უახლოვდება.

უფლის ქალაქის შესასვლელში მაცხოვარი თავის ერთგულთ ურიგებს გამარჯვების ემბლემებსა და სამეფო გვარის მიკუთვნების ნიშნებს. გადარჩენილთა ბრწყინვალე რიგები გარს ერტყმის თავიანთ მეფეს, რომელიც თავისი დიდებული გარეგნობითა და სიმალლით ბევრად უფრო მალალია წმიდანებზე და ანგელოზებზე, რომლის სახე სიყვარულისა და სიკეთის სისრულით არის განათებული. ურიცხვ გამოსყიდულთა მზერა მისკენაა მიპყრობილი, მისი დიდებისაკენ, რომელიც "ყველაზე

მახინჯი იყო კაცთა შორის და არავინ იყო მასზე შეურაცხი ადამის ძეთა შორის". იესო თავისი მარჯვენა ხელით გამარჯვებულთ თავს ადგამს დიდების გვირგვინებს. ყოველი გამოსყიდულისათვის მომზადებულია გვირგვინი, რომელზედაც ამოკვეთილია მისი ახალი სახელი (გამოცხ. 2:17) და სიტყვები: "უფლის სიწმიდე!" თითოეულ მათგანს მიეცემა გამარჯვებულის პალმის რტო და ბრწყინვალე ქნარი. ხოლო შემდეგ, როდესაც მგალობელთა ხელმძღვანელი ანგელოზები აძლევენ ტონს, ყოველი ხელი ოსტატურად ეხება სიმებს და გაისმის საოცარი მუსიკა. უსასრულო ალტაცებით ივსება ყოველი

გადარჩენილის გული და მათი ხმები უფლის ქება-დიდებაში ერწყმის ერთმანეთს: "მას, რომელმაც შეგვიყვარა და საკუთარი სისხლით გვიხსნა ჩვენი ცოდვებისაგან და გაგვხადა ჩვენ სამეფოდ, მღვდლებად ღვთისა და თავისი მამისათვის, მას დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე! ამინ! (გამოცხ. 1:5,6).

გამოსყიდულთა წინაშე - წმიდა ქალაქია. იესო ფართოდ აღებს მარგალიტის კარიბჭეს და მასში შედიან ჭეშმარიტების ერთგულნი. მათ თვალწინ იშლება ღვთის სამოთხე, ადამის სამშობლო მის დაცემამდე. შემდეგ კი ესმით ყოველგვარ მუსიკაზე მშვენიერი ხმა, რომელიც მოკვდავის ყურს როდისმე სმენია: "თქვენი ბრძოლა

დამთავრებულია". "მოდით, ჩემი მამისაგან კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ სამეფო, წუთისოფლის დასაბამიდან მომზადებული".

ახლა აღსრულდა მაცხოვრის ლოცვა მოწაფეებზე; "მსურს, რომ სადაც მე ვარ, ისინიც ჩემთან იყვნენ, რომელიც შენ მომეცი". "რათა უბიწონი დაგაყენოთ სიხარულში თავისი დიდების წინაშე" (იუდ. 24). ქრისტე საკუთარი სისხლით გამოსყიდულთ წარუდგენს მამას სიტყვებით: "აი, მე და ჩემი შვილები, რომლებიც შენ მომეცი". "მე დავიცავი ისინი, რომელნიც შენ მომეცი". ო, გამომსყიდველი სიყვარულის სასწაულო! რა საოცრად ბედნიერი იქნება ის წუთები, როდესაც

უსაზღვროდ მოყვარული მამა შეხედავს გამოსყიდულთ და მათში თავის ხატებას დაინახავს; როდესაც ცოდვისაგან გამოწვეული ყოველგვარი სიმახინჯე და უწმიდურება უკვალოდ გაქრება და ადამიანური კვლავ შეერწყმის ღვთიურს!

იესო უსასრულო სიყვარულით იწვევს თავის ერთგულთ უფლის სიხარულში! მაცხოვრის სიხარული ის არის, რომ დიდების სასუფეველში იგი ხედავს სულებს, რომელნიც თავისი ტანჯვისა და სიკვდილის ფასად იხსნა. გამოსყიდულნიც გაიზიარებენ მის სიხარულს, როდესაც გადარჩენილთა შორის დაინახავენ მათ, ვინც ქრისტესთან თავიანთი ლოცვებით, საქმეებით,

სიყვარულითა და თავგანწირვით მიიყვანეს. როდესაც ისინი თავს მოიყრიან დიდი თეთრი ტახტის გარშემო, მათი გული ენით გამოუთქმელი სიხარულით ალივსება მათ დანახვაზე, რომელნიც შესძინეს ქრისტეს, მათ კი, თავის მხრივ, მოიყვანეს სხვები, იმ სხვებმა კი - დანარჩენნი და ბოლოს მიალწიეს მშვიდ სავანეს, რათა თავიანთი გვირგვინები იესოს ფერხთით დააწყონ და ადიდონ იგი მთელ უსასრულო მარადისობაში.

უფლის ქალაქში, გამოსყიდულთა მიმართ მისალმების დროს მთელ ჰაერს სიხარულისა და აღტაცების შეძახილები ავსებს. დგება ორი ადამის შეხვედრის წუთი. უფლის ძე გაშლილი ხელებით ეგებება და

მზადაა, გულში ჩაიკრას კაცობრიობის მამა, რომელიც მან თავად შექმნა, რომელმაც შესცოდა თავისი შემოქმედის წინაშე და რომლის ცოდვების გამოც მაცხოვრის სხეულზე მოჩანს ჯვარცმის ნიშნები. ამ საშინელი ჭრილობების დანახვაზე ადამი არ მიდის უფლის გაშლილი ხელებისაკენ, არამედ მორჩილებით ეცემა მის ფერხთით და წამოიძახებს: "ღირსია, ღირსია კრავი, რომელიც დაკლულ იქნა!" მაცხოვარი ნაზი სიყვარულით ხვევს ხელს მას და იწვევს ედემისაკენ - სახლისაკენ, საიდანაც ის ერთ დროს გაძევებული იქნა.

ედემიდან გაძევების შემდეგ ადამის სიცოცხლე დედამიწაზე ღრმა მწუხარებით იყო მოცული. ყოველი

დამჭკნარი ფოთოლი, მსხვერპლად შეწირული ყოველი ცხოველი, მშვენიერი ბუნების დაავადების ყოველი ნიშანი, ადამიანის ოდესღაც შეურყვნელი ხასიათის ყოველი ლაქა მას გამუდმებით თავის დანაშაულს ახსენებდა. საშინელი იყო მისი სინდისის ქენჯნა, როდესაც ხედავდა, თუ როგორ მრავლდებოდა ურჯულოება და თუმცა ადამი აფრთხილებდა მათ, ისინი მას ბოროტების სათავეს უწოდებდნენ. თითქმის ათასი წლის განმავლობაში იგი მოთმინებით იხდიდა სასჯელს ცოდვისათვის, გულწრფელად მოინანია თავისი დანაშაული, ირწმუნა აღთქმული მესიის დამსახურებანი და აღდგომის იმედით მოკვდა. ღვთის ძემ

გამოისყიდა ადამიანის ცოდვა და დაცემა, ახლა კი, შემრიგებლური მსახურების შედეგად, ადამს კვლავ უბრუნდება თავისი პირვანდელი სამფლობელო.

უსაზღვროდ ბედნიერი ადამი ტკბება ხეების ცქერით, რომელთაც ერთ დროს ალტაცებაში მოჰყავდა იგი; იმ ხეების ცქერით, რომელთა ნაყოფსაც აგროვებდა იგი თავისი უმანკოების ნეტარ დღეებში. აი შესცქერის ვაზს და იმ ყვავილებს, რომელთაც, ერთ დროს დიდი მზრუნველობითა და სიხარულით თავად უვლიდა. იგი სწვდება რეალობას, რაც მის გარშემო ხდება. ხედავს, რომ ჭეშმარიტად აღდგენილი ედემია, იმაზე უფრო მშვენიერი, საიდანაც იგი გაძევებულ იქნა.

მაცხოვარს ადამი სიცოცხლის ხესთან მიჰყავს, თავისი ხელით წყვეტს ძვირფას ნაყოფს და სთავაზობს მას. ადამი ხედავს უფლის მიერ გამოსყიდულ უამრავ შთამომავლობას ზეციურ სამოთხეში და მაშინ თავის ელვარე გვირგვინს იესოს ფერხთით დებს, გულში ეკვრის და ეხვევა მხსნელს. იგი თითებით ეხება ოქროს ქნარის სიმებს და ცის კამარა ივსება გამარჯვების ჰიმნებით: "ღირსია, ღირსია, ღირსია კრავი, რომელიც დაკლულ იქნა და კვლავ გაცოცხლდა!" ადამის მთელი ოჯახი უერთდება საგალობელს, ისინიც თავიანთ გვირგვინებს მხსნელის ფერხთით ყრიან და მოწიწებით იყრიან მუხლს მის წინაშე.

ამ შეხვედრას თვალყურს ადევნებენ ის ანგელოზები, რომლებიც მწარედ ტიროდნენ ადამის დაცემის გამო, რომელთაც ძლიერ უხაროდათ, როდესაც იესო ალდგომის შემდგომ ამაღლდა ზეცად, გაათავისუფლა რა სიკვდილის ბორკილებისგან ყოველი მისი სახელის მორწმუნე. ახლა ისინი ხედავენ, რომ დამთავრდა გამოსყიდულთა ხსნა და მათი ხმებიც უერთდება ქება-დიდების საგალობელს.

მინის ზღვაზე ტახტის წინაშე (თითქოს ბროლის კრისტალის ზღვაა ცეცხლნარევი - ისე ელვარებს იგი უფლის დიდებისაგან) თავი მოიყარეს გამარჯვებულებმა "მხეცზე, მის ხატებაზე და მისი სახელის რიცხვზე"

(გამოცხ. 15:2). კრავთან ერთად სიონის მთაზე "უფლის ქნარებით" დგას ასორმოცდაოთხი ათასი, "ადამიანთაგან გამოსყიდულნი" და ისმის ხმა, "როგორც მრავალი წყლის ხმა და როგორც ძლიერი ქუხილის ხმა, რომელიც ჰგავს მექნარეთა ხმას, ქნარზე რომ უკრავენ." ისინი ტახტის წინაშე გალობენ "ახალ საგალობელს", რომლის შესწავლა არავის შეეძლო, გარდა ასორმოცდაოთხი ათასისა. ესაა მოსესა და კრავის საგალობელი - ხსნის საგალობელი. ასორმოცდაოთხი ათასის გარდა არავის შეეძლო გალობა ამ საგალობლისა, რადგან მასში ნათქვამია იმ გამოცდილებათა შესახებ, რომელიც მათ გარდა არავის ჰქონდა. ისინი "მიჰყვებიან კრავს,

სადაც არ უნდა მიდიოდეს". ეს ადამიანები, - "მიწისაგან გამოსყიდულნი ცოცხალთა შორის, - არიან პირველნაყოფი ღვთისა და კრავისათვის" (გამოცხ. 15:2,3; 14:1-5). "ისინი მოვიდნენ დიდი მწუხარებისაგან", მათ განვლეს ისეთი მძიმე პერიოდი, რაც არასოდეს ყოფილა დედამიწაზე ადამიანის გაჩენის დროიდან. იაკობის "დიდი გასაჭირის" ჟამს მათ იაკობის ღამის აგონია გადაიტანეს; ისინი შუამდგომლის გარეშე ცხოვრობდნენ უფლის ბოლო სამსჯავროს რისხვის გადმოღვრის დროს. მაგრამ "დახსნილ იქნენ, რადგან გაირეცხეს თავიანთი სამოსი და გაასპეტაკეს ისინი კრავის სისხლით". "სიცრუე არ იპოვებოდა მათ ბაგეში, ისინი უბიწონი არიან"

ღვთის წინაშე. "ამისათვის ისინი არიან ღვთის ტახტის წინაშე და ემსახურებიან მას დღე და ღამე მის ტაძარში და ტახტზე მჯდომარე გაშლის თავის კარავს მთაზე". ისინი ხედავდნენ დედამიწას, გაუდაბურებულს შიმშილისა და ეპიდემიებისაგან, დამწვარს მზის პაპანაქებით. თავად იგემეს ტანჯვა, შიმშილი და წყურვილი. მაგრამ ახლა "ალარ მოშივდებათ, ალარც მოსწყურდებათ, ალარც მზე დასწვავთ და არავითარი პაპანაქება. ვინაიდან კრავი, რომელიც ტახტის შუაშია, აძოვებს მათ და სიცოცხლის წყლის წყაროებზე მიიყვანს, და მოსწმენდს მათ ღმერთი თვალთაგან ყოველგვარ ცრემლს" (გამოცხ. 7:14-17).

ღვთის რჩეული შვილები ყოველ საუკუნეში გადიოდნენ გამოცდის მკაცრ სკოლას. ისინი დედამიწაზე ვიწრო ბილიკებით დადიოდნენ. ტანჯვის ღუმელში იწრთობოდნენ; იესოს გულისათვის ითმენდნენ ბოროტებას, სიძულვილსა და ცილისწამებას. მიჰყვებოდნენ მას, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, უარს ამბობდნენ ამქვეყნიურ სიკეთეზე და ხშირად მწარედ უცრუვდებოდათ იმედები. მწარე გამოცდილების წყალობით იცოდნენ ცოდვის სიმძიმე, მისი ძალა, დანაშაულის გრძნობა და სიმწარე, რომელიც ცოდვას მოაქვს და ძლიერ სძულდათ იგი. უსაზღვროდ დიდი მსხვერპლის აღიარება, რომელიც ცოდვისაგან გასათავისუფლებლად

იქნა გალებული, ეხმარებოდა მათ მორჩილებაში, მადლიერებითა და ქება-დიდებით ალავსებდა მათ გულს, რასაც ვერასოდეს შეიმეცნებენ ის წმიდანები, რომლებიც არ დაცემულან. მათი სიყვარული ძლიერია, რადგან ბევრი მიეტევათ. ქრისტეს ტანჯვათა მოზიარეებს შეუძლიათ, მისი დიდებაც გაიზიარონ.

უფლის მემკვიდრენი ჩამოვიდნენ სხვენებიდან, ეშაფოტებიდან, მთებიდან, გამოვიდნენ ქოხებიდან, ციხის საკნებიდან, უდაბნოებიდან, მიწისქვეშეთიდან და ზღვის სილრმეებიდან. წუთისოფელში ისინი ითმენდნენ "უკმარისობას, მწუხარებას და ბოროტებას". მილიონობით ადამიანი

შეურაცხყოფილი ჩავიდა სამარეში, რადგან არ დაემორჩილა სატანურ ცდუნებებს. ადამიანური სამართლის თვალსაზრისით ისინი ალიარებული არიან, როგორც საშიში დამნაშავენი. მაგრამ ახლა "ღმერთია მსაჯული იგი" (ფს. 49:6). ახლა დედამიწის კანონები გაუქმებულია. "უფალი ღმერთი... წარხოცავს თავისი ერის სირცხვილს" (ეს. 25:8); "დაარქმევენ მას: წმიდა ერი, უფლის გამოსყიდული". მან დააწესა, რომ "სიონზე მგლოვიარეთ მისცენ გვირგვინი ნაცრის ნაცვლად, სიხარულის ზეთი - გლოვის ნაცვლად, ქება-დიდების სამოსელი - მჭმუნვარების ნაცვლად" (ეს. 62:12; 61:3). ისინი უკვე ალარ არიან გაწამებული, გატანჯული, მთელ

დედამიწაზე გაფანტული და დევნილი ადამიანები. ახლა სამუდამოდ უფალთან იქნებიან. დგანან ტახტის წინაშე, ისეთი დიდებული სამოსით შემოსილები, როგორიც ამა სოფლის ძლიერთ არასოდეს სცმიათ. მათ ისეთი საოცარი გვირგვინები ამშვენებთ, როგორიც მიწიერ მეფეებს არასოდეს ჰქონიათ. გოდებისა და ვაების დრო სამუდამოდ გაქრა. დიდების მეფემ ყველას ცრემლი მოსწმინდა და აღარ არის მიზეზი მწუხარებისათვის. პალმის ტოტების რხევით მღერიან დიდების საგალობლებს: წმიდას, ტკბილს, მელოდიურს. ხმები ერთმანეთს ერწყმის და დიდებული ჰიმნი აზანზარებს ზეციურ თაღებს. "ხსნა ჩვენს ღმერთს, ტახტზე

მჯდომარეს, და კრავს!" და ყოველი ზეცის ბინადარი პასუხობს: "ამინ! კურთხევა, დიდება, სიბრძნე, მადლობა, პატივი, ძალა და სიმაგრე ჩვენს ღმერთს უკუნითი უკუნისამდე!" (გამოცხ. 7:10,12).

ამქვეყნიურ ცხოვრებაში ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ ადამიანის გადარჩენის დიდებული გეგმის შემეცნებას. თუმცა ჩვენი შეზღუდული გონებით ვცდილობთ ჩავწვდეთ სირცხვილსა და დიდებას, სიცოცხლესა და სიკვდილს, სამართლიანობასა და შეწყალებას, რომლებიც ერთურთს ჯვარზე შეხვდნენ, მაგრამ ჩვენი გონების შესაძლებლობების მაქსიმალურად დაძაბვითაც კი ვერ ჩავწვდებით მის სრულ მნიშვნელობას.

გამომსყიდველი სიყვარულის სიდიადე ბუნდოვნად წარმოგვიდგება. გამოსყიდვის გეგმას გამოსყიდულნი მაშინაც კი ვერ შეიმეცნებენ სრულად, როდესაც ბევრ რამეზე თვალი აეხილებათ, მაგრამ მთელი საუკუნო სიცოცხლის მანძილზე მათი გაოცებული და ალტაცებული თვალთახედვის წინაშე სულ ახალი და ახალი ჭეშმარიტებანი გადაიშლება. თუმცა მწუხარების, სნეულებათა და ცდუნებათა ჟამი დამთავრდა და მათი მიზეზი უკვე ალარ არსებობს, მაგრამ ღვთის ხალხს მაინც ყოველთვის ნათელი წარმოდგენა ექნება მათი გადარჩენის საფასურზე.

ქრისტეს ჯვარი გახდება გამოსყიდულთათვის შესწავლისა და

ქება-დიდების საგანი მთელ მარადისობაში. განდიდებულ ქრისტეში ისინი მუდამ დაინახავენ ჯვარცმულ ქრისტეს. დავიწყებას არასოდეს მიეცემა ის, რომ მან, რომლის შემოქმედების ძალამ შექმნა და სიცოცხლე მისცა ურიცხვ სამყაროს უსასრულო სივრცეში - უფლის საყვარელმა ძემ, ზეცის დიდებამ, რომელსაც სიყვარულით თაყვანს სცემდნენ ქერუბიმები და სერაფიმები - დაიმდაბლა თავი, რათა დაცემული ადამიანი აღემაღლებინა; თუ როგორ აიღო თავის თავზე ყველა ადამიანის ცოდვის დანაშაული და სირცხვილი, როგორ მოარიდა მამამ მას თავისი სახე, სანამ დალუპული კაცობრიობისათვის მწუხარებამ არ დაამსხვრია მისი გული და არ

გამოასალმა სიცოცხლეს გოლგოთას ჯვარზე. მთელი სამყაროს შემქმნელმა, ადამიანის სიცოცხლის შემოქმედმა დატოვა თავისი დიდება და კაცთა სიყვარულისათვის დაიმდაბლა თავი - ეს მუდამ გამოიწვევს მთელი სამყაროს გაოცებასა და აღტაცებას. და როდესაც ყოველი ერისაგან გამოსყიდულნი შეხედავენ თავიანთ მხსნელს, მამის მარადიულ დიდებას, რომელიც მისი სახიდან გამოდის, ტახტს, რომელიც სამუდამოდ იარსებებს, რადგან მისი სამეფო უსასრულოა, მაშინ თავიანთ გრძნობებს საზეიმო საგალობელით გამოხატავენ: "ღირსია, ღირსია კრავი, რომელიც დაკლულ იქნა და გამოგვისყიდა ღვთისათვის თავისი ძვირფასი სისხლით!".

ჯვრის საიდუმლო სხვა საიდუმლოებებსაც ხსნის ფარდას. გოლგოთადან გამოსულ ნათელში უფალი თავისი ხასიათითა და თვისებებით, რომელიც ადრე შიშს ალძრავდა ჩვენში, მთელი თავისი სილამაზითა და მიმზიდველობით წარმოგვიდგება. მოწყალება, თანაგრძნობა და მამობრივი სიყვარული სიწმიდესთან, სამართლიანობასთან და უდიდეს ძალასთან შეფარდებული და ბუნებრივად შერწყმული გვეცხადება. მისი სამეფო ტახტის, ამაღლებულისა და დიდებულის მილმა მოჩანს მისი მადლი და ხასიათი და, მხოლოდ მაშინ, საბოლოოდ გაიხსნება ამ ძვირფასი სიტყვების მნიშვნელობა: "მამაო ჩვენო".

მაშინ ყველა დაინახავს, რომ მას, უსასრულოდ ბრძენს, არ შეეძლო თავისი ძის მსხვერპლად შეწირვის გარეშე ჩვენი გადარჩენა. ამ გალებული მსხვერპლისათვის ჯილდო იქნება დიდი სიხარული იმის გამო, რომ დედამიწას დავინახავთ წმიდანებით, ბედნიერი და უკვდავი არსებებით დასახლებულს. ჩვენი მხსნელის ბნელეთის ძალებთან ბრძოლის შედეგი იქნება სიხარული, ძღვნად ბოძებული გამოსყიდულთათვის უფლის საუკუნოდ სადიდებლად. ყოველი სულის ფასი იმდენად დიდია, რომ მამა კმაყოფილია გადახდილი საფასურით. და თავად ქრისტეც "კმაყოფილებით" უმზერს

თავისი უდიდესი მსხვერპლის ნაყოფს.

თავი 41 დედამიწის გაპარტახება

"ვინაიდან მისმა ცოდვებმა ცას უწია და გაიხსენა ღმერთმა მისი უსამართლობანი... სასმისში, რომელშიც აზავებდა ღვინოს, ორმაგად შეუზავეთ მას. რამდენადაც

განდიდდებოდა და ნებივრობდა, იმდენად მიაგეთ ტანჯვა და გლოვა. ვინაიდან ამბობდა თავის გულში: დედოფლად ვზივარ, ქვრივი არა ვარ და გლოვას არ ვიხილავო. ამიტომ ერთ დღეს მოვა მისი წყლულები და სიკვდილი, გლოვა და შიმშილი, და დაიწვება ცეცხლში, რადგან ძლიერია უფალი ღმერთი, რომელიც განიკითხავს მას. იტირებენ და იგლოვებენ მას დედამიწის მეფეები, რომლებიც მეძაობდნენ და ნებივრობდნენ მასთან... და იტყვიან: ვაი, ვაი, ქალაქო ბაბილონო, ძლიერო ქალაქო, რადგან ერთ საათში მოვიდა შენი განკითხვა" (გამოცხ. 18:5-10).

"დედამიწის ვაჭრები", "რომლებიც გამდიდრნენ მისი ძვირფასეულობებით", "შორს

დადგებიან მისი ტანჯვის შიშით, იტირებენ და იგლოვებენ. იტყვიან: ვაი, ვაი, დიდო ქალაქო, ბისონით, პორფირით და ძოწეულით შემოსილო, ოქროთი, პატიოსანი თვლებითა და მარგალიტით შემკულო! რადგან ერთ საათში დაილუპა ესოდენ დიდი სიმდიდრე!" (გამოცხ. 18:11,3,15-17).

ასეთი სამსჯავრო ელის ბაბილონს უფლის რისხვის დღეს. მან აავსო ურჯულოების საზომი. მისი დრო მოვიდა, მან თავად მოიმზადა თავი განადგურებისათვის.

როდესაც უფლის ხმა თავის ხალხს ტყვეობიდან გამოიხსნის, საშინელი იქნება მათი გამოლვიძება, ვინც ყველაფერი დაკარგა დიად სასიცოცხლო ბრძოლაში. როცა

მადლის კარი ჯერ კიდევ ღია იყო, სატანის ცდუნებით დაბრმავებული ეს ადამიანები ამართლებდნენ თავის ცოდვილ ცხოვრებას. ურჯულოების გზით გამდიდრებულნი ამაყობდნენ ღარიბებზე თავისი უპირატესობით. მათ არ სურდათ შეეგნოთ საკუთარი მოვალეობა: მშიერთა დაპურება, შიშველთა შემოსვა, სამართლიანი მოქმედება და მოწყალე საქმეების კეთება. ისინი ცდილობდნენ მხოლოდ თავის მსგავს მოკვდავ ადამიანებზე აემაღლებინათ თავი და მათგან მიელოთ პატივისცემა. ახლა კი დაკარგეს ყველა დიდება, გალარიბდნენ და დასუსტდნენ. შიშის ზარით უყურებენ ისინი იმ კერპთა განადგურებას, რომელნიც მათ შემოქმედს არჩიეს. თავიანთი

სულები მიწიერ სიმდიდრეზე და სიამოვნებებზე გაყიდეს, არ უცდიათ უფალში გამდიდრება და შედეგად, სრული დამარცხება განიცადეს. ადრინდელი განცხრომა სიმწარით შეეცვალათ და სიმდიდრე ფერფლად ექცათ. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ნაგროვები ქონება ერთ წამში განადგურდა. მდიდრები მოთქვამენ თავიანთი დიდებული სასახლეების ნანგრევებთან, დასტირიან ქარისაგან მიმოფანტულ ოქროსა და ვერცხლს. ხვდებიან, რომ თავიანთ კერპებთან ერთად ისინიც დაილუპებიან.

მათ სინანული იპყრობთ არა იმიტომ, რომ უარყვეს ღმერთი და მოყვასი, არამედ ღმერთის გამარჯვების გამო. ისინი მოთქვამენ

თავიანთი ცოდვის შედეგებზე, მაგრამ არ ინანიებენ თავიანთ უწმიდურებას და შესაძლებლობის შემთხვევაში, ყოველგვარ საშუალებას გამოიყენებენ გამარჯვებისათვის.

ახლა ყველა ხედავს, რომ ისინი, ვისაც ასე დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ და ვისი მისპობაც უნდოდათ, უვნებელი არიან; ვერავითარმა წყლულმა, ქარიშხალმა და მიწისძვრამ ვერ ავნო მათ. ის, ვინც თავისი კანონის დამრღვევთათვის მჭამელი ცეცხლია, საკუთარი ხალხისათვის საიმედო თავშესაფარია.

სულიერი მოძღვარი, რომელმაც ადამიანთა პატივისცემის მოპოვებისათვის ჭეშმარიტება უარყო, ახლა ნათლად ხედავს, რომ

მცდარია მისი სწავლება. ყოვლისმხილველი თვალყურს ადევნებდა მას, როდესაც იგი იდგა კათედრასთან და მაშინაც, როცა ქუჩაში დადიოდა და ადამიანებს ესაუბრებოდა. ახლა ყოველივეს ფარდა ეხდება. ყოველი მისი გრძნობა, დაწერილი სტრიქონი, წარმოთქმული სიტყვა, ქცევა, რომელსაც ადამიანები შეცდომაში შეჰყავდა, მის მიერ დათესილი თესლი იყო, რომელმაც ახლა მის ირგვლივ მყოფ საცოდავ, დალუპულ სულებში დამლუპველი ნაყოფი გამოიღო.

უფალი ამბობს: "ზერელედ მკურნალობენ ჩემი ასულის, ჩემი ერის ჭრილობებს და გაჰყვირიან: "მშვიდობა, მშვიდობაო", მაგრამ არ

არის მშვიდობა" "სულს უმწარებდით ტყუილით მართალს, მე კი არ შემიწუხებია. ბოროტეულს ამხნევებდით, რომ არ მოქცეულიყო ბოროტი გზიდან და არ გადარჩენილიყო" (იერ. 8:11; ეზ. 13:22).

"ვაი მწყემსებს, რომლებიც ლუპავენ და ფანტავენ ჩემი სამწყსოს ცხვარს!.. მე ვუგდებ ყურს თქვენს ბოროტ საქციელს" "...ივალალეთ, მწყემსებო, ჰკიოდეთ, მტვერი დაიყარეთ, ჯოგის პატრონებო! რადგან დადგა თქვენი დაკვლის ჟამი! გაგფანტავთ და ძვირფასი ჭურჭელივით დაიმსხვრევით... გასაქცევი აღარ გექნებათ მწყემსებს და თავშესაფარი - ჯოგის პატრონებს" (იერ. 23:1,2; 25:34,35).

ღვთისმსახურთ და სხვა ადამიანებსაც კარგად ესმით, რომ მათი უფალთან ურთიერთობა არ იყო სწორი, ახლა ხედავენ, რომ აღდგნენ სამართლიან და მართალ კანონთა ავტორის წინააღმდეგ. უფლის მცნებათა უგულვებელყოფამ გზა გაუხსნა ყოველგვარ ბოროტებას, განხეთქილებას, სიძულვილსა და ურჯულოებას, სანამ დედამიწა ბრძოლის უდიდეს ველად და გარყვნილების უფსკრულად არ გადაიქცა. და ამას დაინახავს ყველა, ვინც უარყო ჭეშმარიტება და მცდარი გზა აირჩია. ენა ვერ აღწერს უწმიდურთა და ცრუთა მწუხარებას, როდესაც მიხვდებიან, რომ საუკუნო სიცოცხლე სამუდამოდ დაკარგეს. ადამიანები, რომელთა ნიჭისა და

მჭევრმეტყველების წინაშე ქედს იხრიდა მსოფლიო, ახლა ყველაფერს ჭეშმარიტ ნათელში ხედავენ; ესმით, თუ რა დაკარგეს თავიანთი დანაშაულის გამო და მათ ფერხთით, ვის ერთგულებასაც დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ, დაემხობიან და ალიარებენ, რომ ისინი უფლის საყვარელი ხალხია.

ადამიანები მიხვდებიან, რომ მოატყუეს. ისინი ერთმანეთს დაადანაშაულებენ თავის დალუპვაში, მაგრამ ყველაზე მწარე ბრალდება წილად ხვდება მათ სულიერ მოძღვრებს. ეს ცრუ მწყემსები ადამიანებს სიხარულს პირდებოდნენ, როცა ასწავლიდნენ, რომ უფლის კანონის დაცვა აუცელებელი არ არის და რომ იგი

გაუქმებულია, ვინაიდან ავიწროებდნენ რჯულის წმიდად დამცველთ. ახლა ეს სასოწარკვეთილი მასწავლებლები ყველას წინაშე ალიარებენ, რომ ატყუებდნენ ხალხს, რაც ბრბოს გააფთრებას იწვევს. "ჩვენ დავილუპეთ, - ყვირიან ისინი, - და თქვენა ხართ ჩვენი დალუპვის მიზეზი". და გამეტებით ეძგერებიან თავიანთ ცრუ მასწავლებლებს. ადრე თავისი მასწავლებლებით ალტაცებულნი, ახლა წყევლა-კრულვას უგზავნიან მათ. იმ ხელებს, რომლებითაც ადრე გვირგვინებით ამკობდნენ მათ, ახლა მათი ჩაქოლვა სურთ. მახვილი, რომელიც ღვთის ხალხის გასანადგურებლად იყო მომზადებული, ახლა მათი მტრების

თავზე ტრიალებს. ყველგან ბრძოლა და სისხლისღვრაა.

"ქვეყნის კიდემდე მიალწევს განგაში, რადგან დავა ექნება უფალს ხალხებთან; ყველა ხორციელის განსჯას აპირებს. ბოროტმოქმედნი მახვილს უნდა მისცეს" (იერ. 25:31). ექვსი ათასი წლის მანძილზე გრძელდებოდა დიადი ბრძოლა, რომელშიც უფლის ძე და ზეციური ანგელოზები სატანის ძალებს ებრძოდნენ, წუთისოფლის შვილებს აფრთხილებდნენ, ასწავლიდნენ და ხსნას აძლევდნენ. ახლა ყველამ გააკეთა თავისი არჩევანი. უწმიდურნი საბოლოოდ გადავიდნენ სატანის მხარეზე ღმერთის წინააღმდეგ საბრძოლველად. დადგა დრო, როცა ღმერთმა უნდა

ალადგინოს თავისი კანონების შელახული ავტორიტეტი. ახლა ბრძოლა მიდის არა მარტო სატანის, არამედ ადამიანთა წინააღმდეგაც. "დავა ექნება უფალს ხალხებთან", "ბოროტმოქმედნი მახვილს უნდა მისცეს".

"იმ ხალხთა შუბლზე, რომელიც კვნესის და მოთქვამს იქ ჩადენილ სისაძაგლეთა გამო", დადებულ იქნება ხსნის ნიშანი. შემდეგ გამოდის სიკვდილის ანგელოზი, რომელიც ეზეკიელის ხილვაში იმ ადამიანების სახითაა ნაჩვენები, რომელთაც შემმუსვრელი იარაღი უჭირავთ და რომელთაც მიეცემათ ბრძანება: "მოხუცი და ჭაბუკი, ქალწული, ბავშვები და ქალები სრულიად ამოხოცეთ. ვისაც ნიშანი

ადევს, ხელი არ ახლოთ. ჩემი საწმიდარიდან დაიწყეთ". წინასწარმეტყველი ამბობს: "დაიწყეს ტაძრის წინ მყოფი უხუცესებიდან" (ეზ. 9:1-6). განადგურება იწყება მათგან, ვინც თავს ხალხის სულიერ მოძღვრად თვლიდა. ცრუ გუშაგნი პირველნი დაეცემიან. მათი მიტევება არ იქნება. მამაკაცები, ქალები, ქალწულნი და პატარა ბავშვები ერთად დაიხოცებიან.

"რადგან, აჰა, უფალი გამოდის თავის ადგილიდან ქვეყნის მკვიდრთა დასასჯელად მათი ცოდვისთვის. მიწა გამოაჩენს თავის სისხლს და აღარ დაფარავს თავის დახოცილებს" (ეს. 26:21). "ეს იქნება სატანჯველი, რომლითაც დასტანჯავს უფალი ყველა ხალხს, ვინც კი

გაილაშქრებს იერუსალიმზე; ზეზეურად შემოალპებათ ხორცი, დაულპებათ თვალები ფოსოებში და ენა დაულპებათ პირში. იმ დღეს იქნება, რომ დიდი არეულობა ჩამოვარდება მათ შორის უფლისაგან: ხელს ჩასჭიდებენ ერთიმეორეს და ერთის ხელი მეორის ხელის წინაალმდეგ აღიმართება" (ზაქ. 14:12,13). ადამიანურ ვნებათა ტვირთისაგან დამძიმებულთ ღვთის რისხვა წყალობასთან შეუზავებლად ეწევა; დაილუპებიან დედამიწის უწმიდური ბინადარნი: - მღვდლები, მთავრები, უბრალო ადამიანები, მდიდრები, ღარიბები, მაღლები და დაბლები. "ქვეყნის კიდიდან კიდემდე ეყრებიან იმ დღეს უფლის დახოცილნი. არავინ დაიტირებს,

არავინ აკრეფს, არავინ დამარხავს" (იერ. 25:33).

ქრისტეს მეორედ მოსვლისას უწმიდურნი აღიგვებიან პირისაგან მიწისა. ისინი განადგურდებიან მისი სულის ბაგეებით და მოისპობიან მისი დიდების ელვარებით. ქრისტე თავის ხალხს უფლის ქალაქში წაიყვანს და დედამიწა სრულად გაუდაბურდება. "აჰა, გააპარტახებს უფალი მიწას და გააცამტვერებს, დაკრუნჩხავს მის ზედაპირს და გაფანტავს მის მცხოვრებთ. მთელი ქვეყანა გაპარტახდება და პირწმინდად გაიძარცვება, რადგან უფალმა წარმოთქვა ეს სიტყვა... რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატეხეს საუკუნო ალთქმა. ამიტომ წყევლა ჭამს მიწას

და ისჯებიან მისი მკვიდრნი; ამიტომ გადაიბუგნენ მიწიერნი" (ეს. 24:1,3,5,6).

მთელი დედამიწა უკაცურ უდაბნოს წააგავს. მხოლოდ მიწისძვრის შედეგად დანგრეული ქალაქებისა და სოფლების ნანგრევები ჩანს ყველგან; ძირფესვიანად ამოთხრილი ხეები; ზღვით გამორიყული ან კლდეთაგან მოგლეჯილი ქვის ლოდები. ზოგან კი მთების გაუჩინარების შედეგად წარმოქმნილი პირდაღებული უფსკრულებია.

ახლა ხდება ის, რასაც შემორიგების დღის უკანასკნელი საზეიმო მსახურება ალწერს. მას შემდეგ, რაც წმიდათაწმიდაში მთავრდებოდა მსახურება და ცოდვისათვის შეწირული მსხვერპლის სისხლით

ისრაელის ცოდვათა მიტევება ხდებოდა, უფლის წინაშე მოჰყავდათ ცოცხალი ვაცი და მღვდელმთავარი მთელი ხალხის წინაშე "აღიარებდა მასზე ისრაელიანთა ყველა უკეთურებას, ყველა შეცოდებას და ყველა ცოდვას და ატვირთებინებდა ვაცს" (ლევ. 16:21). სწორედ ასე იქნება ზეციურ საწმიდარში შემორიგების მსახურების დამთავრების შემდეგ. უფლის, მის ანგელოზთა და უამრავ გამოსყიდულთა წინაშე ღვთის ხალხის ცოდვები სატანას დაედება; მას ყოველგვარი ბოროტების წყაროდ და ადამიანთა დაღუპვაში დამნაშავედ გამოაცხადებენ და გააძევებენ უდაბურ მიწაზე იმ ვაცის მსგავსად, რომელსაც მასზე დადებული ცოდვის ტვირთით

უშვებდნენ უდაბნოში, საიდანაც ველარასოდეს დაბრუნდებოდა.

გამოცხადების ავტორი წინასწარმეტყველებს სატანის გაძევებისა და იმ ქაოსისა და გატიალების შესახებ, რომელიც დედამიწაზე იქნება ათასი წლის განმავლობაში. ქრისტეს მეორედ მოსვლისა და უწმიდურთა განადგურების სურათის აღწერის შემდეგ წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: "ვიხილე ზეციდან ჩამომავალი ანგელოზი, რომელსაც ხელში ჰქონდა უფსკრულის გასაღები და დიდი ჯაჭვი. შეიპყრო გველეშაპი, ძველი გველი, რომელიც არის ეშმაკი და სატანა, და შებორკა ათასი წლით. ჩააგდო იგი უფსკრულში, ჩაკეტა და დაადო

ბეჭედი, რათა ალარ აცდუნოს ერები, ვიდრე ათასი წელი არ შესრულდება. ამის შემდეგ კი უნდა გათავისუფლდეს მცირე ხნით" (გამოცხ. 20:1-3).

წმიდა წერილში ძალიან ბევრ ადგილას "უფსკრული" გაჩანაგებულ, ქაოსში მყოფ დედამიწას ნიშნავს. ბიბლია გვეუბნება, რომ "თავიდან დედამიწა იყო უსახო და უდაბური და ბნელი იდო უფსკრულზე" (დაბ. 1:2). წინასწარმეტყველებაში ნათქვამია, რომ დედამიწა ნაწილობრივ დაუბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას. იერემია წინასწარმეტყველმა იხილა უფლის ეს დიადი დღე და თქვა: "შევხედე ქვეყანას და, აჰა, უსახური და უდაბურია, ცას და - არა აქვს ნათელი.

შევხედე მთებს და, აჰა, იძვრიან, ბორცვები ირყევიან ერთიანად. შეხედე და, აჰა, ალარ არის ადამიანი, და ცის ფრინველებიც ყველანი გაფრენილან. შევხედე და, აჰა, წალკოტი უდაბნოდ ქცეულა, ერთიანად გაცამტვერებულა ქალაქები უფლის წინაშე, მისი რისხვის ალისაგან" (იერ. 4:23-26).

აქ ათასი წლის განმავლობაში დარჩებიან მიწას მიჯაჭვული სატანა და მისი დემონები. მათ არ ექნებათ შესაძლებლობა სამყაროს სხვა, უცდომელ ბინადართა ცდუნებისა. სწორედ ეს იგულისხმება სატანის მიჯაჭვაში; რადგან დედამიწაზე ალარ იქნება ვინმე, ვისკენაც იგი თავის ძალას მიმართავს. მაცდური სრულიად უძლური იქნება, ველარ

აცდუნებს და დალუპავს ადამიანებს მრავალი საუკუნის განმავლობაში, რაც მისი ერთადერთი სიხარული იყო.

როცა ესაია წინასწარმეტყველმა იხილა სატანის დაცემა, თქვა: "როგორ ჩამოემხე ციდან, მთიებო, ძეო განთიადისა! მიწას დაენარცხე, ხალხთა მტარვალო! გუშინ ამბობდი: ცად ავხდები, ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს დავიდგამ და დავჯდები საკრებულო მთაზე, ჩრდილო კალთებზე. მაღლა ღრუბლებში ავიჭრები, უზენაესს გავუტოლდებიო! მაგრამ შავეთში ჩადიხარ, ქვესკნელის უფსკრულებში. შენი დამნახველი მოგაშტერდება, ჩაფიქრდება: ეს ის კაცია, მიწას რომ არყევდა, სამეფოებს

რომ აზანზარებდა? ქვეყანას რომ უდაბნოდ აქცევდა, ქალაქებს ანგრევდა და თავის ტყვეებს შინ არ აბრუნებდა?" (ეს. 14:12-17).

ექვსი ათასი წლის განმავლობაში სატანის ამბოხება "აზანზარებდა" მთელ დედამიწას. იგი "ქვეყანას უდაბნოდ აქცევდა და ქალაქებს ანგრევდა", "ტყვეებს არ ათავისუფლებდა". ექვსი ათასი წლის მანძილზე მას საპყრობილეში ჰყავდა დატყვევებული ღვთის შვილნი და სამარადისოდ დაიტოვებდა, მაგრამ ქრისტემ დაამსხვრია ეს ბორკილები და ტყვეებს თავისუფლება დაუბრუნა.

ამ პერიოდში სატანას არც უწმიდურებზე ექნება ძალაუფლება; იგი დარჩება მარტო, დემონებთან

ერთად, რათა მათ საკუთარ თავზე გამოსცადონ ცოდვით გამოწვეული წყევლის შედეგი. "ხალხთა ყოველი მეფე, ყველანი დიდებაში განისვენებენ, თავთავის სახლებში. შენ კი უსაფლავოდ გდიხარ, როგორც საძულველი, უდროული ნაშობი, როგორც დახოცილთა, მახვილით განგმირულთა სამოსელი, ქვიან ორმოში ჩაგდებული, როგორც გათელილი გვამი". "ვერ შეუერთდები მათ საფლავში, რადგან დალუპე შენი ქვეყანა და ამოწყვიტე შენი ხალხი; ალარ მოიხსენება ბოროტეულთა თესლი სამარადისოდ"(ეს. 14:18-20).

ათასი წლის განმავლობაში იხეტიალებს სატანა გაუდაბურებულ დედამიწაზე და იგემებს უფლის კანონის წინააღმდეგ თავისი

ამბოხების შედეგს. ეს მეტად დიდი სატანჯველი იქნება მისთვის. დაცემის დღიდან მას არასოდეს ჰქონია დრო, დაფიქრებულიყო თავის საქმეებზე, მაგრამ ახლა, როცა ყოველი ძალაუფლება ჩამოერთვა, მიეცა შესაძლებლობა, იფიქროს იმაზე, რაც ზეციური მმართველობის წინააღმდეგ ამბოხების დღიდან ჩაიდინა და შიშითა და ძრწოლვით ელოდოს საშინელ განაჩენს, ვინაიდან იგი პასუხს აგებს ყოველი ბოროტებისათვის და დაისჯება ყოველი ცოდვისათვის, რომლისკენაც ადამიანებს უბიძგა.

სატანის დატყვევება სიხარული იქნება ღვთის მორჩილთათვის. წინასწარმეტყველი ამბობს: "იმ დღეს, როცა ამოგასუნთქებს უფალი ჭირ-

ვარამისგან და შფოთისაგან და მძიმე სატანჯველისგან, რომლითაც იტანჯები, წარმოთქვამ ამ იგავს ბაბილონის მეფეზე და იტყვი: როგორ მოელო ბოლო მტარვალს!.. როგორ შემუსრა უფალმა უკეთურთა არგანი, ხელმწიფეთა კვერთხი, რისხვით რომ სცემდა ხალხებს შეუსვენებლივ, ბრაზით რომ იმონებდა ტომებს, დაუოკებლად დევნიდა მათ" (ეს. 14:3-6).

ათასი წლის განმავლობაში, პირველ და მეორე აღდგომას შორის, მოეწყობა სამსჯავრო უწმიდურებზე. პავლე მოციქული ამბობს, რომ ეს სასამართლო ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ იქნება: "ამიტომ ნუ განსჯით უჟამოდ, ვიდრე მოვიდოდეს უფალი, რომელიც გაანათებს ბნელში

დამალულს და გამოაჩენს გულის ზრახვებს და მაშინ ექნება თითოეულს ქება ღვთისაგან" (1კორ. 4:5). დანიელი ამბობს, რომ როდესაც მოვიდა ძველი დღეთა, "სამსჯავრო უზენაესის წმიდანებს გადაეცა". ამ დროს ქრისტეში გამართლებულნი იმეფებენ, როგორც უფლის მღვდლები და მეფენი. იოანე მოციქული თავის გამოცხადებაში ამბობს: "ვიხილე ტახტები და მათზე მჯდომარენი, და მათ მიეცათ სამსჯავრო". "ისინი იქნებიან მღვდლები ღვთისა და ქრისტესი და იმეფებენ მასთან ერთად ათას წელს" (გამოცხ. 20:4-6). სწორედ ეს იქნება ის დრო, რომელზედაც იწინასწარმეტყველა პავლე მოციქულმა: "წმიდანები

განიკითხავენ წუთისოფელს" (1კორ. 6:2). ქრისტესთან ერთად ისინი განიკითხავენ უწმიდურთ, მათ საქმეებს შეადარებენ კანონთა წიგნს, ბიბლიას, განსჯიან ყოველს და გადაწყვეტენ თითოეული ადამიანის ბედს მათი მიწიერი საქმეების მიხედვით და გამოტანილ განაჩენს თითოეულის სახელის გასწვრივ ჩაწერენ სიკვდილის წიგნში.

ქრისტე და მისი გამოსყიდულნი განაჩენს გამოუტანენ სატანას და მის ბოროტ ანგელოზებს. პავლე მოციქული ამბობს: "ნუთუ არ იცით, რომ ანგელოზებს განვიკითხავთ?" (1კორ. 6:3). იუდა მოციქულიც აცხადებს: "ხოლო ანგელოზნი, რომელთაც არ დაიცვეს თავიანთი ღირსება, არამედ მიატოვეს თავიანთი

სავანე, საუკუნო ბორკილებისა და წყვდიადის ქვეშ შემოინახა, რათა დიად დღეს იქნან განკითხულნი" (იუდ. 6).

ათასი წლის გასრულების შემდეგ იქნება მეორე აღდგომა. მაშინ აღდგებიან მკვდრეთით უწმიდურნი და წარდგებიან სასამართლოს წინაშე "დაწერილ სამსჯავროთა" მიხედვით. გამოცხადების ავტორი იოანე მართალთა მკვდრეთით აღდგომის აღწერისას ამბობს: "სხვა მკვდრები კი არ გაცოცხლდებიან, ვიდრე არ შესრულდა ათასი წელი" (გამოცხ. 20:5). ესაია წინასწარმეტყველიც ამბობს უწმიდურთა შესახებ: "შეიყრებიან ერთად ტუსაღებივით დილეგში, კლიტულებში

გამოიმწყვდევიან და დიდი ხნის შემდეგ დაისჯებიან" (ეს. 24:22).

თავი 42 ბრძოლის დასასრული

ათასი წლის გასვლის შემდეგ ქრისტე კვლავ მოვა დედამიწაზე გამოსყიდულთა და უამრავ ანგელოზთა თანხლებით. როდესაც იგი გამოჩნდება დიადი ძალითა და დიდებით, გასცემს ბრძანებას, რათა ყოველი განსვენებული უწმიდური აღდგეს თავისი განაჩენის მისაღებად. სამარხებიდან ამოსულთა რიცხვი უამრავია, ვითარცა ზღვის ქვიშა. რა მკვეთრად განსხვავდებიან ისინი მათგან, ვინც პირველი აღდგომისას გაცოცხლდა! მართალნი გახვეული არიან უკვდავი სილამაზისა და

ახალგაზრდობის სამოსელში! უწმიდურთ კი ავადმყოფობისა და სიკვდილის კვალი აქვთ დამჩნეული.

მათი მზერა მიპყრობილია უფლის ძისაკენ. უამრავი უკეთური ერთხმად წამოიძახებს: "კურთხეულია უფლის სახელით მომავალი!" მაგრამ ეს არ არის იესოს სიყვარულით გამოწვეული სიტყვები. ჭეშმარიტების ძალა ათქმევინებთ მათ ამ უნებლიედ წამოსროლილ სიტყვებს. საფლავებიდან ამოსულ უწმიდურთ ისეთივე მტრობა, წინაალმდეგობისა და შეურიგებლობის ისეთივე სული აქვთ ქრისტეს მიმართ, რომლითაც ისინი სამარხებში ჩავიდნენ. მათ უკვე აღარა აქვთ მადლის დრო წარსული ცხოვრების მანკიერებების

გამოსასწორებლად. და რომ მიეცეს კიდეც, ეს არაფერს შეცვლიდა მათში. ურჯულოებაში გატარებულმა ცხოვრებამ ვერ მოალბო მათი გულები. რომ მისცემოდათ კიდეც უფლის მადლი, ისინი მაინც ისეთად დარჩებოდნენ, როგორიც ადრე იყვნენ: უფლის რჯულის დამრღვევნი და ღვთის წინააღმდეგ ამბოხებულნი.

ქრისტე ჩამოდის ზეთისხილის მთაზე, საიდანაც იგი ზეცად ამაღლდა თავისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ და სადაც ანგელოზებმა გაიმეორეს აღთქმა მისი დაბრუნების შესახებ. წინასწარმეტყველი ამბობს: "მოვა უფალი, ჩემი ღმერთი და ყველა წმიდა მასთან ერთად". "შედგება მისი ფეხი იმ დღეს ზეთისხილის მთაზე, იერუსალიმის პირდაპირ რომ არის,

ალმოსავლეთით. შუაზე გაიპობა ზეთისხილის მთა... და გაჩნდება ძალზე დიდი ხეობა". "იქნება უფალი მეფედ მთელს ქვეყანაზე. იმ დღეს ერთი იქნება უფალი და მისი სახელიც ერთი იქნება" (ზაქ. 14:4,5,9). და შემდეგ ზეციდან დამაბრმავებელი ბრწყინვალებით ჩამოვა ახალი იერუსალიმი, დადგება მისთვის მომზადებულ, განწმედილ ადგილზე და ქრისტე თავის ხალხთან და ანგელოზებთან ერთად შევა წმიდა ქალაქში.

ახლა სატანა სამყაროში ძალაუფლების მოსაპოვებლად უკანასკნელი დიადი ბრძოლისათვის ემზადება. მას უკვე ალარა აქვს ძალა და ადამიანთა ცდუნების შესაძლებლობა. ბოროტების მეფე

მეტად საცოდავ მდგომარეობაში და სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი. მაგრამ ახლა, მრავალ უწმიდურთა ალდგომის შემდეგ, მას კვლავ უჩნდება იმედი, რადგან ისინი მის მხარეზე არიან და იგი ღებულობს გადაწყვეტილებას, არ დამარცხდეს ამ დიად ბრძოლაში. თავისი დროშის ქვეშ დარაზმავს სატანა ყველა დალუპულს და მათი დახმარებით შეეცდება თავისი გეგმების ალსრულებას. უკეთურნი - მისი ტყვეები არიან. მათ უარყვეს ქრისტე, ხელმძღვანელად სცნეს სატანა და მზად არიან, დაემორჩილონ მის ყველა განკარგულებას. მაგრამ სატანა კვლავ მიმართავს ჩვეულ ეშმაკობას, თავის ნამდვილ ზრახვებს კი მალავს. იგი თავს აცხადებს დედამიწის სრულ

ბატონ-პატრონად, რომელსაც არაკანონიერად წაართვეს საკუთარი სამფლობელო. თავი მოაქვს თავის ქვეშევრდომთა განმათავისუფლებლად და არწმუნებს მათ, რომ სწორედ მან ამოიყვანა ისინი საფლავებიდან თავისი ძალით, ახლა კი ამ საშინელი ტირანიისაგან მათ გათავისუფლებას აპირებს. სატანა ახდენს სასწაულებს, რათა დაარწმუნოს ისინი თავის სიმართლეში. სუსტებს აძლიერებს და ყველას თავის ძალასა და ენერგიას აძლევს. მოუწოდებს, გაილაშქრონ წმიდანებზე, გადავიდნენ შეტევაზე და დაეუფლონ უფლის ქალაქს. ბოროტი სიხარულით მიუთითებს მილიონობით მკვდრეთით აღმდგარ უწმიდურზე და საზეიმოდ აცხადებს,

რომ თავად გაუძლვება წინ მათ, რადგან აქვს ძალა ქალაქის დასამხობად და თავისი ტახტისა და სამფლობელოს დასაბრუნებლად.

ამ უთვალავ ბრბოში წარლვნამდელი მსოფლიოს უამრავი წარმომადგენელიცაა, რომელთა სიცოცხლის დღეები მეტად ხანგრძლივი იყო. ესენი არიან გიგანტური ალნაგობისა და ძლიერი ინტელექტის ადამიანები, რომლებიც დაცემული ანგელოზების გავლენის ქვეშ მოექცნენ და თავიანთი ცოდნა და ნიჭი საკუთარი თავის განდიდებას მოახმარეს. ამ ადამიანებმა შექმნეს ხელოვნების ნიმუშები; მათი ტალანტის წინაშე მუხლს იყრიდა მთელი მსოფლიო, მაგრამ თავისი სისასტიკითა და საშინელი

გამოგონებებით გააუწმიდურეს დედამიწა, დაამახინჯეს უფლის სახე და თავიანთი საქმეებით აიძულეს უფალი, აღეგავა ისინი პირისაგან მიწისა. აქ არიან მეფეები და გენერლები - ხალხთა დამპყრობნი; მამაცი მეომარნი, რომელნიც არც ერთ ბრძოლაში არ დამარცხებულან; ამაყი და პატივმოყვარე სარდლები, რომელნიც შიშის ზარს სცემდნენ სამეფოებს. სიკვდილმა ვერ შეცვალა ისინი. სამარხებიდან ამოსვლის შემდეგ კვლავ განაგრძობენ იმაზე ფიქრს, რაც სიკვდილის წინ აღელვებდათ. ისინი კვლავ ისევე ისწრაფვიან დაპყრობისაკენ, როგორც წარსულში.

სატანა ეთათბირება თავის ანგელოზებს, მეფეებს, დამპყრობთ

და ამა სოფლის ძლიერთ. ისინი ალიარებენ თავიანთ ძალთა უპირატესობას, მრავალრიცხოვნებას და აცხადებენ, რომ ქალაქის კედლებს იქით მეომართა რიცხვი საგრძნობლად მცირეა მათ ძალებთან შედარებით, ამიტომ მათი დამარცხება შესაძლებელია. ისინი ადგენენ ახალი იერუსალიმის დიდებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდების გეგმას. ყველა ბრძოლისათვის ემზადება. იარაღის დამზადების საუკეთესო ოსტატები საბრძოლო იარაღს ამზადებენ. სახელგანთქმული, დაუმარცხებელი მხედართმთავრები მეომართა რიგებს აწყობენ.

ბოლოს ისმის იერიშის ბრძანება და უთვალავი ლაშქარი მიიწევს წინ. მას

შემდეგ, რაც ომები არსებობს დედამიწაზე, მიწიერ დამპყრობთ არასოდეს ჰყოლიათ ასეთი უზარმაზარი არმია, რომელშიც გაერთიანებულია ყველა დროის ძალები. მათი ყველაზე ძლიერი წინამძღოლი, სატანა, წინ მიუძღვის მათ და მისი ბოროტი ანგელოზებიც თავს უყრიან ძალებს ამ უკანასკნელი ბრძოლისათვის. მის რიგებშია მეფეები და მხედართმთავრები. ურიცხვ ადამიანთა ბრბო ჯგუფებადაა დაყოფილი და ყოველ ჯგუფს თავისი ხელმძღვანელი ჰყავს. ყოველი რიგი საბრძოლო მზადყოფნაშია და შემჭიდროვებულნი ოლროჩოლრო, დანგრეულ მიწაზე მიიწევენ წინ უფლის ქალაქისაკენ. იესოს

ბრძანებისთანავე ქალაქის შესასვლელი იხურება, სატანის არმია ალყას არტყამს ქალაქს და თავდასხმისათვის ემზადება.

ახლა მტრები კვლავ ხედავენ ქრისტეს. შორს, ქალაქის თავზე, ოქროს ბრწყინვალე საძირკველზე დგას მისი ტახტი, დიდი და ამაღლებული. მასზე ზის ღვთის ძე, მის გარშემო კი - მისი სამეფოს ქვეშევრდომნი. ვერც ერთი კალამი, ვერც ერთი ენა ვერ აღწერს ქრისტეს დიდებასა და ძლიერებას. მარად ცოცხალი მამის დიდება გარს აკრავს ძეს. მისგან გამოსული ნათელი ავსებს უფლის ქალაქს, მისი შუქი ქალაქის კარიბჭედან გარეთ გამოდის და მთელ დედამიწას ანათებს.

ტაძტის გარშემო დგანან ისინი, ვინც ერთ დროს ერთგულად ემსახურებოდნენ სატანას, მაგრამ შემდეგ "ცეცხლიდან ამოტაცებული მუგუზლებივით" ღრმა, გულწრფელი ერთგულებით გაჰყვნენ თავიანთ მხსნელს. მათ უკან დგანან ისინი, ვინც წუთისოფლის სიცრუესა და ურჯულოებაში მონახა ჭეშმარიტების გზა და სრულქმნილებას ქრისტეში მიაღწია, ვინც უფლის მცნებები მაშინ დაიცვა, როდესაც მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ უარყო ისინი, უფრო მოშორებით კი - ყველა საუკუნის მილიონობით მოწამენი რწმენისათვის. და მათ გარდა, "უამრავი ხალხი, რომლის დათვლა არავის შეეძლო, ყოველი ერიდან და ტომიდან, ხალხებიდან და ენებიდან;

იდგნენ ტახტის წინ და კრავის წინ სპეტაკი სამოსელით შემოსილნი და პალმებით ხელში" (გამოცხ. 7:9). მათი ბრძოლა დამთავრებულია, ისინი გამარჯვებული არიან. მათ ისე განვლეს თავიანთი ცხოვრების გზა, რომ ჯილდო დაიმსახურეს. პალმის ტოტები ხელში - მათი ტრიუმფის სიმბოლოა, თეთრი სამოსი კი - ქრისტეს შეურყვნელი სიმართლის ნიშანი, რომელიც ახლა მათი სიმართლეცაა.

გამოსყიდულთა ბაგეთაგან ისმის ქება-დიდების საგალობელი, რომელსაც ეხმაურება ზეცის გუმბათები: "ხსნა ჩვენს ღმერთს, ტახტზე მდომარეს, და კრავს" (გამოცხ. 7:10). მათ აღტაცებით უერთდება ანგელოზთა და სერაფიმთა ხმები.

გამოსყიდულნი ხედავენ სატანის ძალასა და ბოროტებას და საბოლოოდ ისე, როგორც არასდროს, რწმუნდებიან, რომ მათი გამარჯვება მხოლოდ ქრისტეს ძალამ გახადა შესაძლებელი. გამოსყიდულთა ამ ბრწყინვალე რაოდენობაში არ მოიძებნება არც ერთი ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ მისი საკუთარი ძალისხმევით მოხდა გადარჩენა ან გამარჯვებას თავისი კეთილი საქმეებითა და ძლიერებით მიალწია. სიტყვაც არ არის თქმული მათი საქმეებისა და ტანჯვის შესახებ. ყოველ საგალობელს და ჰიმნს ლეიტმოტივად გასდევს სიტყვები: "ხსნა ჩვენს ღმერთს და კრავს!"

ერთად თავმოყრილი დედამიწისა და ზეცის მცხოვრებნი თავიანთ

მეუფედ ერთხმად აღიარებენ ღვთის ძეს. და ახლა, უმაღლესი დიდებითა და ძლიერებით მოსილი მეფეთმეფე წარმოთქვამს განაჩენს მისი მმართველობის წინააღმდეგ ამბოხებულთა მიმართ და სამართლიან მსჯავრს გამოუტანს მათ, ვინც მის კანონს არღვევდა, მის ხალხს ჩაგრავდა და ავიწროებდა. უფლის წინასწარმეტყველი ამბობს: "ვიხილე დიდი თეთრი ტახტი და ზედ მჯდომარე, რომლისგანაც გარბოდა ცა და დედამიწა, და არ იპოვებოდა მათთვის ადგილი. ვიხილე მკვდრები, დიდები და პატარები, რომლებიც ტახტის წინ იდგნენ; და გადაშლილი იყო წიგნები; გადაშლილი იყო სხვა წიგნიც, რომელიც სიცოცხლის წიგნია; და განკითხულ იქნენ

მკვდრები წიგნებში ნაწერიდან, მათი საქმეებისამებრ" (გამოცხ. 20:11,12).

როგორც კი ზეციური წიგნები გადაიშლება, სადაც ჩანაწერებია გაკეთებული და იესო გადახედავს უწმიდურთ, ისინი მაშინვე გაიხსენებენ ყველა მათ მიერ ჩადენილ ცოდვას. გაახსენდებათ მომენტი, თუ როდის გადაუხვიეს სიმართლისა და სიწმიდის გზიდან და როგორ მიიყვანა საკუთარმა სიამაყემ და ურჩობამ უფლის კანონის დარღვევამდე. თითქოს ცეცხლის კალმით დაწერილი წარდგება მათ წინაშე ის ცდუნებანი, რომელთაც წინააღმდეგობა არ გაუწიეს და ამით თავიანთი დანაშაულებრივი სურვილები დაიკმაყოფილეს; არასწორად

გამოიყენეს უფლის წყალობა, აბუჩად იგდებდნენ ღვთის მაცნეებს, არ მიიღეს გაფრთხილება და უფლის არც ერთი კურთხევა არ მიაკარეს თავიანთ ურჩ, მოუნანიებელ გულს.

უფლის ტახტის თავზე ამაღლებულია ჯვარი, ერთმანეთს ცვლიან ადამის ცდუნების, დაცემის სცენები და გადარჩენის უდიდესი გეგმის შემდგომი მოვლენები. ქრისტეს ღარიბული, მოკრძალებული დაბადება; მისი უბრალო და მორჩილებაში გატარებული ბავშვობა; მისი ნათლობა იორდანეში; მარხვა და ცდუნება უდაბნოში; მისი მსახურება, რამაც ადამიანებს გაუხსნა ზეცის უძვირფასესი წყალობანი; სიყვარულისა და მოწყალების საქმეებით

დატვირთული დღეები, ლოცვებში გატარებული ღამეები, სიფხიზლისა და სიმარტოვის წუთები მთებში. შურით, სიძულვილითა და ბოროტებით გამოწვეული შეთქმულება მისი კეთილი საქმეების პასუხად; საიდუმლოებით მოცული, საშინელი ტანჯვა გეთსიმანიის ბაღში მთელი მსოფლიოს ცოდვათა სიმძიმისაგან გამოწვეული; აი ის, სისხლისმღვრელი ბრბოს გარემოცვაში; აი, ის საშინელი ღამე, როცა იგი შეიპყრეს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე და ყველაზე ახლო მეგობართაგან მიტოვებული, იერუსალიმის ქუჩებში მუჯლუგუნების კვრით მიჰყავთ; ბოროტი სიხარულის შეძახილებით მიჰყავთ ღვთის ძე ანასთან და

ასამართლებენ მღვდელმთავრის სასახლეში; პილატეს სამსჯავროზე, მხდალ და სასტიკ ჰეროდეს წინაშე, სადაც აბუჩად იგდებენ, შეურაცხყოფენ, აწამებენ და სიკვდილს მიუსჯიან - ყოველივე ამას ადამიანები საკუთარი თვალით ხედავენ.

და ახლა თავზარდაცემულ ბრბოს წინაშე ბოლო მოვლენები სცვლიან ერთმანეთს: წამებული ღვთის ძე მოთმინებით ადის გოლგოთაზე; ზეციური მეფე ჯვარზეა გაკრული; პატივმოყვარე მღვდლები და მდაბიონი დასცინიან მის სასიკვდილო ტანჯვას; ზებუნებრივი სიბნელე; დედამიწა ირყევა; ისმის კლდეთა ნგრევის ხმაური, იხსნება საფლავები - ასე აღინიშნება

ქვეყნიერების მხსნელის სიკვდილის მომენტი.

ეს საშინელი სანახაობა თვალწინ იშლება მთელი თავისი სისრულით. სატანა, მისი ანგელოზები და სხვა ერთგულნი თვალს ვერ აშორებენ საკუთარი საქმეების შედეგების ილუსტრაციებს. და თითოეული ხვდება, თუ რა წილი მიუძღვის ამ ბოროტებაში. ჰეროდე, რომლის ბრძანებითაც ამოხოცეს ბეთლემის უცოდელი ჩვილები, რათა ამ გზით მოეკლათ ისრაელის მეფე. ბოროტი ჰეროდიადა, რომელმაც იოანე ნათლისმცემლის სიცოცხლე შეიწირა. სუსტი ნებისყოფის მქონე პილატე, რომელიც ყველა დროს და მდგომარეობას კარგად ერგებოდა. დამცინავი ჯალათები, მღვდლები,

მთავრები და გონსგადასული ბრბო, რომელიც ყვიროდა: "ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი" - ყველა ხედავს საკუთარი დანაშაულის საშინელებას. ისინი ამაოდ ცდილობენ უფლის დიდებული სახისაგან დამალვას, რომლის დიდება მზის ნათელის დიდებას აღემატება, იმ დროს, როდესაც გამოსყიდულნი თავიანთ გვირგვინებს მაცხოვრის ფერხთით ყრიან სიტყვებით: "იგი ჩემთვის მოკვდა!"

მრავალ გამოსყიდულთა შორის არიან ქრისტეს მოციქულებიც. აქ არის მამაცი პავლე, ერთგული პეტრე, საყვარელი და მოყვარული იოანე, მათი ღვთისმოსავი ძმები და მათთან ერთად მრავალი მოწამე, ხოლო

კედლებს მიღმა არიან ისინი, ვინც დევნიდა, საპყრობილეში აგდებდა და კლავდა მათ - ყოველგვარი მანკიერებისა და სიბილწის მატარებელნი. აქ არის ნერონი - სასტიკი და გარყვნილი ურჩხული. იგი ხედავს მათ ბედნიერებასა და სიხარულს, ვისაც ერთ დროს აბუჩად იგდებდა და რომელთა საშინელი ტანჯვა-წამება სატანურ კმაყოფილებას ჰგვრიდა. აქაა ნერონის დედა, რომელიც ხედავს თავისი შრომის ნაყოფს, რადგან მისი გავლენით, მისი ხასიათის მემკვიდრეობითა და მაგალითების მიბაძვით მისმა შვილმა ჩაიდინა დანაშაული, რომელმაც მთელი მსოფლიო შეაძრწუნა.

აქ არიან პაპის მღვდლები და პრელატები, რომელნიც თავიანთ თავს მოციქულებს უწოდებდნენ და რომლებიც უფლის ხალხის სინდისის დასამონებლად არ იშურებდნენ წამებას, საპყრობილეებსა და კოცონს. აქ არიან პატივმოყვარე პაპებიც, ღმერთზე მაღლა რომ აყენებდნენ საკუთარ თავს, რომლებმაც თავს მისცეს ღმერთის კანონის შეცვლის უფლება. ამ ეგრეთწოდებულმა ეკლესიის მამებმა პასუხი უნდა აგონ უფლის წინაშე, თუმცა მისი თავიდან აცილება ძლიერ სურთ. ძალზე გვიან ხვდებიან ისინი, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი - შურისმგებელი და სამართლიანი ღმერთია და რომ იგი არასოდეს გაამართლებს დამნაშავეს. ახლა ისინი ხედავენ, რომ ქრისტე

მოწამეთა მხარეზეა და აღიარებენ მისი სიტყვების ძალას: "რაც კი გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ" (მათ. 25:40).

უწმიდურნი, რომელთაც ბრალად ედებათ ზეციური მმართველობის მიმართ ღალატი, ახლა ღვთის სამსჯავროს წინაშე წარდგნენ. მათ არა ჰყავთ დამცველი, არა აქვთ გამართლება და მათი განაჩენი ასეთია: საუკუნო სიკვდილი.

ახლა ყველასათვის გასაგები ხდება, რომ ცოდვის საზღაური - ეს არაა თავისუფლების უმაღლესი საფეხური და საუკუნო სიცოცხლე, არამედ ეს არის მონობა, ნგრევა და სიკვდილი. უწმიდურნი ხედავენ, თუ რა დაკარგეს თავიანთი ურჩობის გამო. მათ აბუჩად აიგდეს უფლის

მიერ შემოთავაზებული საუკუნო დიდება, მაგრამ რა სასურველია ახლა იგი მათთვის! "ყველაფერი ეს შეიძლებოდა ჩემი ყოფილიყო, - ალმოხდება დალუპულ ცოდვილს, - მაგრამ უარი ვთქვი მასზე". "ო, ეს საშინელი სიბრმავე! მშვიდობა, ბედნიერება და პატივი სასოწარკვეთილებას, უბედურებას და სირცხვილს ვანაცვალე!" ახლა ყველას ესმის, რომ უფლის განაჩენი სამართლიანია. თავიანთი ცხოვრებით ისინი ყოველთვის აცხადებდნენ: "ჩვენ არ გვსურს, რომ ეს ადამიანი, იესო ჩვენზე მეფობდეს".

მოჯადოებულებივით შეჰყურებენ უწმიდურნი უფლის ძის გამეფებას. მის ხელში ღვთიური მცნებების ფიქალებს ხედავენ. ეს ის მცნებებია,

რომლებსაც ისინი უარყოფდნენ და არღვევდნენ. ესმით გამოსყიდულთა გაკვირვებული, ალტაცებითა და უფლის სიყვარულით აღსავსე ხმები და როდესაც საგალობელთა მომაჯადოებელი ჰანგები მათ ყურს მისწვდება, ვინც ქალაქის კედლებს მიღმა დგას, ყველა ერთხმად წამოიძახებს: "დიდია და საკვირველი შენი საქმეები, უფალო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო! მართალია და ჭეშმარიტი შენი გზები, წმიდანთა მეფევ!" და პირქვე დამხობილნი, თაყვანს სცემენ სიცოცხლის მეფეს.

ქრისტეს დიდებისა და ძლევამოსილების დანახვაზე სატანას ელდა ეცემა. ერთ დროს ნათელი ქერუბიმი ახლა თავისი დაცემის წუთებს იხსენებს. როგორ შეიცვალა

ნათელი სერაფიმი, "ძე განთიადისა!" როგორ დაეცა! სამუდამოდ გაძევებულია საკრებულოდან, სადაც ერთ დროს ასეთ დიდ პატივს სცემდნენ. ხედავს, რომ დღეს, მის ნაცვლად სხვა დგას მამის წინაშე, მისი დიდებით შემოსილი. ხედავს, თუ როგორ ადგამს ქრისტეს თავზე გვირგვინს ძლიერი და დიდებული ალნაგობის ანგელოზი და იმასაც ხვდება, რომ ეს უდიდესი პატივი შეიძლებოდა მისი, ლუციფერის ხვედრი ყოფილიყო.

მას ახსენდება თავისი უმწიკვლოებისა და სიწმიდის სავანე, შინაგანი სიმშვიდე და მშვენიერი ცხოვრება, რომელიც ჰქონდა, მანამ მასში არ გაიღვიძა წინააღმდეგობის სულმა და ქრისტესადმი შურმა. რა

საოცარი სიცხადით ახსენდება მას თავისი ბრალდებანი, ამბოხება, სხვადასხვა მზაკვრული ხრიკები, რომელთაც ანგელოზთა სიმპათიისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად იყენებდა, - მაშინ ღმერთს ჯერ კიდევ შეეძლო მისი მიტევება, მაგრამ თავად ლუციფერმა სასტიკი უარი განაცხადა მონანიებაზე. ახსენდება ყველა მის მიერ ჩადენილი დანაშაული: მტრობა ადამიანთა შორის, საშინელი მკვლელობანი, სამეფოთა აღმოცენება და დაცემა, მეფეთა დამხობა და აჯანყებათა გრძელი ჯაჭვი, კონფლიქტები და რევოლუციები; იხსენებს, თუ როგორ ცდილობდა, მუდამ ხელი შეეშალა ქრისტეს მსახურებისათვის და სულ უფრო ღრმად ჩაეძირა ადამიანი ცოდვის

მორევში. ახლა კი ხედავს, რომ მისი საშინელი შეთქმულებები უძლური ალმოჩნდა ქრისტეს მიმდევართა გასანადგურებლად. და, თვალს გადაავლებს რა თავის სამფლობელოს, თავისი შრომის ნაყოფს, ყველგან დამარცხებასა და სიკვდილს ხედავს. მან ახლაც დაარწმუნა ეს უამრავი ხალხი, რომ უფლის ქალაქის ალება ადვილია, მაგრამ თავად იცის, რომ ეს სიცრუეა. ამ დიად ბრძოლაში იგი არაერთხელ დამარცხებულა, და ბევრჯერ დაუხევია უკან. და მისთვის კარგად არის ცნობილი მარად ცოცხალის ძალაცა და ძლიერებაც.

ეს უდიდესი მეამბოხე ცდილობდა თავის გამართლებას, ამბოხებისათვის პასუხისმგებლობას

კი უფლის მმართველობას აკისრებდა. ამ მიზნისათვის იგი მთელ თავის უმაღლეს ინტელექტს იყენებდა. მიზანდასახულად, სისტემატურად მუშაობდა და საოცრად დიდი შედეგიც ჰქონდა: მრავალი ადამიანი იზიარებდა მის თვალსაზრისს ამ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის შესახებ. მრავალ ათასწლეულთა მანძილზე ეს უდიდესი კონსპირატორი ჭეშმარიტებას სიცრუით ცვლიდა. მაგრამ დგება დრო, როდესაც მის ამბოხებას ბოლო მოელება და სატანის ზრახვები და მისი არსი ცხადი გახდება. ეს უდიდესი თვალთმაქცი სრულად მოიხსნის ნილაბს მაშინ, როდესაც საბოლოოდ ეცდება ქრისტეს ტახტის

ხელში ჩაგდებას, მისი ხალხის მოსპობასა და უფლის ქალაქის დაპყრობას. და ყველა მასთან მდგომი ხედავს, რომ მათ მიზნებს განხორციელება არ უწერია. სატანის ხრიკები ღვთის მმართველობის წინაალმდეგ სრულიად ცხადი ხდება ქრისტეს მიმდევრებისა და მისი ერთგული ანგელოზებისათვის. და ყველა სიძულვილს გრძნობს სატანის მიმართ.

სატანამ კარგად იცის, რომ მისი თავხედური ამბოხების გამო შეუძლებელი გახდა მისი ზეცაში ყოფნა. თავისი ძალა მან ღმერთის წინაალმდეგ ბრძოლაში გამოიყენა: სიწმიდე, სიმშვიდე და ზეციური ჰარმონია მისთვის უკვე ძალზე მძიმე სატანჯველია. ახლა იგი დუმს, ალარ

უყენებს ბრალდებას უფლის მოწყალებას და სამართლიანობას. საყვედური, რომელსაც იგი ყოვლისშემძლე ღმერთის მიმართ წარმოთქვამდა, მის სამარედ გადაიქცა. ახლა სატანა ხრის თავს და ალიარებს მისთვის გამოტანილი განაჩენის სამართლიანობას.

"ვის არ შეეშინდება, უფალო, და არ ადიდებს შენს სახეს? რადგან მხოლოდ შენ ხარ წმიდა. ყველა ერი მოვა და თაყვანს გცემს შენ, ვინაიდან გამოვლინდნენ შენი სიმართლენი" (გამოცხ. 15:4). ყოველგვარ ჭეშმარიტებას და შეცდომას, რომელიც ადრე საკამათო იყო, ახლა ნათელი მოეფინა. ყოველი გონიერი არსების თვალწინ იშლება აჯანყების - უფლის კანონთა დარღვევის

შედეგები. მთელი სამყაროსათვის გასაგები ხდება, თუ საით არის მიმართული სატანის მმართველობა და საით მივყავართ ღვთის მმართველობას. სატანას მსჯავრი თავისივე საქმეების მიხედვით ედება. უფლის სიბრძნე, მისი სამართლიანობა და სიკეთე სრულიად გამართლებულია. ყველა ხვდება, რომ მისი ყოველი მოქმედება ამ დიდ ბრძოლაში მიმართული იყო თავისი ხალხის კეთილდღეობისა და მის მიერ შექმნილი ქვეყნების ბედნიერებისაკენ. "გადიდებდეს შენ, უფალო, ყველა შენი ნამოქმედარი და შენი წმიდანები გადიდებენ შენ" (ფს. 144:10). ცოდვის ისტორია მარადიული მოწმობა იქნება იმისა, რომ უფლის მიერ შექმნილი ყოველი არსების

ბედნიერება დამოკიდებულია ღმერთის კანონების აღსრულებაზე. დიადი ბრძოლის დასასრულს მთელი სამყარო: - უფლის ერთგულნიც და ამბოხებულნიც, ერთხმად აღიარებენ: "მართალია და ჭეშმარიტი შენი გზები, წმიდანთა მეფევ!"

მთელმა სამყარომ ნათლად დაინახა მამისა და ძის მიერ ადამიანისათვის გაღებული უდიდესი მსხვერპლი. დადგა დრო, როდესაც ქრისტეს სამართლიანად გადაეცემა ძალაუფლება და მიეცემა ხელმწიფება ყველა მთავრობაზე, ხელისუფლებაზე და სახელზე. სწორედ ამ სიხარულისათვის - თავისი შვილების განდიდებისათვის - დაითმინა მან ჯვარი და სირცხვილი. და თუმცა ენით აუწერელი ტანჯვა და

შეურაცხყოფა გადაიტანა, მაინც მისი დიდება და სიხარული შეუდარებლად დიდია. იგი შეჰყურებს გამოსყიდულთ, მათში ალდგენილ თავის ხატებას, ყოველ გულს, რომელიც ღვთიურობის სრულყოფილ ბეჭედს ატარებს, ყოველ სახეს, თავიანთი მეფის სახის მსგავსს; კმაყოფილებით უმზერს თავისი თავდადების ნაყოფს, თავისი სულის ნამოქმედარს. შემდეგ, ყოველ მართალსა და უწმიდურს ესმის მისი სიტყვები: "აი, ჩემი სისხლით გამოსყიდულნი! მათთვის ვეწამე, მათთვის მოვკვდი, რათა ისინი ჩემთან ერთად იყვნენ უკუნითი უკუნისამდე". და ტახტთან მდგომი გამოსყიდულნი, თეთრ სამოსელში გახვეულნი, გალობენ ქება-დიდების

ჰიმნს: "ღირსია დაკლული კრავი მიიღოს ძალა და სიმდიდრე, სიბრძნე და სიმტკიცე, დიდება, პატივი და კურთხევა" (გამოცხ. 5:12).

თუმცა სატანა იძულებულია ალიაროს ღმერთის სამართლიანობა და ქრისტეს უმაღლესი ძალა, მაგრამ მისი არსი მაინც უცვლელი რჩება. დაუმორჩილებლობის სულის ძლიერი ნაკადი კვლავ იჭრება მასში. მძვინვარებით ანთებული გადაწყვეტს, არ დანებდეს ამ დიდ ბრძოლაში. დადგა ზეციურ მეფესთან მისი უკანასკნელი შეტაკების მომენტი. იგი შედის თავის ქვეშევრდომთა რიგებში, გაშმაგებული ცდილობს, გაამხნევოს ისინი და მოუწოდებს, დაუყოვნებლივ დაიწყონ ბრძოლა.

მაგრამ ამ ამბოხებაში ჩართული მილიონებიდან უკვე აღარავინ ემორჩილება მის ძალაუფლებას. მის ბატონობას ბოლო მოელო. უწმიდურნი ისეთივე სიძულვილით არიან გამსჭვალულნი უფლის მიმართ, როგორც თვით სატანა, მაგრამ ისინი ხედავენ, რომ მათი მცდელობა ამაოა და ვერ დაამარცხებენ ღმერთს. ისინი რისხვით ინთებიან სატანისა და მის თანამზრახველთა მიმართ და დემონური სიშმაგით ეცემიან მათ.

უფალი ამბობს: "რაკი შენს გულს ღმერთის გულს უტოლებ, ამიტომ, აჰა, მოგისევ უცხოელებს, უსასტიკესთ ხალხთა შორის, და იშიშვლებენ მახვილს შენი სიბრძნის მშვენების წინააღმდეგ და შელახავენ

შენს ბრწყინვალებას; საფლავად ჩაგიყვანენ". "მე მოგკვეთე ღვთიური მთიდან და გაგანადგურე, მფარველო ქერუბიმო, ცეცხლის ქვებს შორის... ამიტომ დაგამხე მიწაზე მეფეთა წინაშე და მათი საყურებელი გაგხადე... ნაცრად გაქცევ მიწაზე ყოველი მხილველის თვალწინ. ყოველი შენი მცნობელი ხალხებში შეძრწუნდება შენს გამო, არარაობად იქცევი და აღარ იქნები უკუნისამდე" (ეზ. 28:7,8,16-19).

"რადგან ყოველი ხამლი, ბრძოლაში ნატარები, და სამოსელი, სისხლში ნათრევი, დასაწვავი იქნება, როგორც ცეცხლის კერძი". "რადგან უფლის რისხვაა ყველა ერზე და გაცეცხლდება მთელს მათ მხედრობაზე; შერისხა ისინი,

დასახოცავად გასწირა", "ნაკვერჩხალს აწვიმებს ბოროტთა ზედა, ცეცხლსა და გოგირდს; და ქარბორბალა ხვედრია მათი" (ეს. 9:4; 34:2; ფს. 10:6). ზეციდან ჩამოსული ცეცხლით სკდება მიწა, და მის სილრმეებში ჩამალული სასიკვდილო იარაღი თავს იჩენს. უფსკრულებიდან ამოდის მჭამელი ცეცხლი. კლდეებიც კი იწვიან. მოვიდა დღე, თონესავით ავარვარებული. "გავარვარებული საწყისები დაიშლებიან, დედამიწა და მისი საქმენი, რაც მასზეა გადაიბუგება" (მალ. 4:1; 2პეტ. 3:10). მთელი დედამიწის ზედაპირი ჰგავს გავარვარებულ მასას, უზარმაზარ, მდულარე ცეცხლოვან ზღვას. "რადგან დადგა უფლის შურისგების დღე,

ნაცვალგების წელი სიონის სარჩელისთვის" (ეს. 34:8).

უწმიდურთ სანაცვლო მიეზღებათ ამქვეყნად (იგავ. 11:31). ისინი იქნებიან, "როგორც ჩალა და გადაბუგავს მათ მომავალი დღე, ამბობს ცაბაოთ უფალი" (მალ. 3:19). ერთნი მყისვე მოისპობიან, სხვანი კი დიდხანს დაიტანჯებიან. ყველას მიეზღვება თავიანთი საქმეების მიხედვით. მართალთა ცოდვები სატანას აკისრია, ამიტომ იგი უნდა ეწამოს არა მარტო თავისი ურჩობისათვის, არამედ ყველა ცოდვისათვის, რომლისკენაც უფლის ხალხს უბიძგებდა. იგი უფრო მკაცრად დაისჯება, ვიდრე მის მიერ ცდუნებულნი. მას შემდეგ, რაც ცოდვილნი განადგურდებიან, სატანა

კიდევ იცოცხლებს და დაიტანჯება. განმწმედელ ცეცხლში უწმიდურნი, - ფესვებიც და ტოტებიც საბოლოოდ მოისპობიან. სატანა - ფესვია, მისი მიმდევარნი კი - ტოტები. ალსრულდა სრული შურისგება უფლის კანონის დარღვევისათვის. სამართლიანობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და ზეცა და დედამიწაც აღიარებენ უფლის სიმართლეს.

სატანის დამანგრეველ საქმიანობას სამუდამოდ მიელო ბოლო. ექვსი ათასი წლის განმავლობაში იგი თავის ნებაზე მოქმედებდა, უბედურებით ავსებდა დედამიწას და ტკივილს აყენებდა მთელ ქვეყნიერებას. ყოველი ცოცხალი არსება გმინავდა და იტანჯებოდა ტკივილისაგან. ახლა კი უფლის

შექმნილნი სამუდამოდ გათავისუფლდნენ მისგან და მისი ცდუნებისაგან. "დაისვენა, დამყუდროვდა მთელი ქვეყანა, მხიარულად ყიჟინობს" (ეს. 14:7). უფლის ერთგული მთელი სამყარო ქება-დიდებას უძღვნის უფალს და ალტაცებულია. "გავიგონე ხმა, როგორც დიდძალი ხალხის ხმა, როგორც მრავალი წყლის ხმა, და როგორც ძლიერ ქუხილთა ხმა, რომელიც ამბობდა: ალილუია! რადგან გამეფდა ჩვენი უფალი, ღმერთი ყოვლისმპყრობელი!" (გამოცხ. 19:6).

როდესაც დედამიწას გამანადგურებელი ცეცხლი მოედება, მართლები სრულიად უშიშრად იქნებიან წმიდა ქალაქში. პირველი

ალდგომის მონაწილეებზე მეორე სიკვდილს არ ექნება ძალაუფლება. თუკი უწმიდურთათვის ღმერთი არის მჭამელი ცეცხლი, თავისი ხალხისათვის იგი არის "მზე და ფარი" (გამოცხ. 20:6; ფს. 83:12).

"ვიხილე ახალი ცა და ახალი დედამიწა, ვინაიდან პირველი ცა და პირველი დედამიწა გარდახდა და ზღვა ალარ იყო" (გამოცხ. 21:1). ცეცხლი, რომელიც ანადგურებს უწმიდურთ, დედამიწასაც წმედს. ალარ იქნება წყევლის არავითარი კვალი. ჯოჯოხეთის მარადიული ცეცხლი გამოსყიდულთ არასოდეს გაახსენებს ცოდვის საშინელ შედეგებს.

სამუდამოდ დარჩება მხოლოდ ერთი: ჯვარცმის ნაკვალევი ჩვენი

მხსნელის სხეულზე; ჭრილობები - მის გასისხლიანებულ შუბლზე, ფერდზე, ხელებზე და ფეხებზე, - ესაა ერთადერთი, რაც გაგვახსენებს ცოდვის სისასტიკეს. როდესაც ქრისტეს დიდება იხილა, წინასწარმეტყველმა თქვა: "შუქს ასხივებს მისი ხელი და აქ იმალება მისი ძლიერება" (აბაკ. 3:4). განგმირული ფერდი, საიდანაც ღმერთთან შემარიგებელი მისი ძვირფასი სისხლი გადმოიღვარა - ესაა მხსნელის დიდება, აქ არის მისი ძლიერების საიდუმლო. იგი "ძლიერია, რათა გადაგვარჩინოს" თავისი გამოსყიდვის მსხვერპლით და ამავე ძლიერების ძალით შეუძლია განიკითხოს ისინი, ვინც მისი წყალობა უარყო. მისი დამცირების ეს

ნიშნები მისი უდიდესი ღირსებაა. გოლგოთას ჭრილობები უსასრულო საუკუნეთა განმავლობაში განადიდებენ მას და მის ძლიერებაზე იღალადებენ.

"შენ კი, ფარეხის გოდოლო, გორაკო სიონის ასულისა! შენამდე მოვა, დაგიბრუნდება წინანდელი ხელმწიფება" (მიქა 4:8). დადგა ნანატრი მომენტი, რომელსაც ელოდა ყოველი წმიდანი მას შემდეგ, რაც ცეცხლოვანმა მახვილმა პირველ წყვილს ედემის გზა გადაუღობა, - მომენტი "თავისი საკუთრების გამოსასყიდად" (ეფ. 1:14). გამოსყიდვის უდიდესი გეგმა ადამიანს კვლავ უბრუნებს დედამიწას, რომელიც თავიდან მიეცა მას სამფლობელოდ, მაგრამ რომელიც

შემდგომში სატანას დაუთმო და ამდენი ხნის განმავლობაში ამ ძლიერი მტრის ხელში იმყოფებოდა. ყველაფერი, ცოდვისაგან დაკარგული, ბრუნდება. "რადგან ასე ამბობს უფალი, ცათა შემოქმედი (რადგან ის არის ღმერთი, რომელმაც მიწა გამოსახა და შექმნა. მან დაამყარა იგი. საუკაცრიელოდ არ შეუქმნია, დასასახლებლად გამოსახა)" (ეს. 45:18). სრულდება ღმერთის პირვანდელი ჩანაფიქრი, რომელიც მას დედამიწის შექმნისას ჰქონდა და დედამიწა გამოსყიდულთა სამუდამო საცხოვრებელი ხდება. "მართალნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას და იარსებებენ მასზე უკუნისამდე" (ფს. 36:29).

იმის შიშით, რომ წმიდანთა მომავალი მემკვიდრეობა მიწიერებას არ მიუახლოვდეს, ბევრი ცდილობდა, მხოლოდ სულიერი ახსნა მიეცა იმ ჭეშმარიტებისათვის, რომელიც უფლებას გვაძლევს, საკუთარ სახლად მივიჩნიოთ ჩვენი მომავალი სამშობლო. ქრისტემ თავის მოწაფეებს აღუთქვა, რომ იგი მიდის მამასთან მათთვის ადგილის მოსამზადებლად. ვინც ღვთის სიტყვის მოძღვრებას ღებულობს, იგი არ არის სრულად უმეცარი ზეციური სავანის შესახებ. და მაინც: "რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს" (1კორ. 2:9). ადამიანის ენა ვერ აღწერს, თუ რა ჯილდო ელით მართლებს. ეს

მხოლოდ მისთვის გახდება გასაგები, ვინც ნახავს მას. ადამიანის შეზღუდულ გონებას არ შეუძლია წარმოიდგინოს ღვთის სამოთხის დიდება.

ბიბლიაში გამოსყიდულთა მემკვიდრეობას "სამშობლოდ" იხსენიებენ (ებრ. 11:14-16). იქ ზეციურ მწყემსს დაჰყავს თავისი ცხვრები სიცოცხლის წყაროს სათავეებთან. იქ სიცოცხლის ხეს ყოველთვიურად გამოაქვს ნაყოფი და მისი ფოთლებიც ადამიანთა კეთილდღეობისთვისაა. იქ მოედინება სიცოცხლის წყლის მდინარენი, კრისტალივით სუფთა და მათ ნაპირებზე ხეთა ჩრდილები ფარავენ უფლის გამოსყიდულთათვის მომზადებულ ბილიკებს. იქ ვრცელი ველები

თანდათან მშვენიერ გორაკებში გადადიან და უფლის მთებს ამაყად ალუმართავთ თავისი მწვერვალები. და იქ, მშვიდ ველებში, სიცოცხლის მდინარეთა ნაპირებზე ღვთის ხალხი - ეს დაქანცული ხიზნები და მგზავრები - იპოვიან თავიანთ სამშობლოს.

"დამკვიდრდება ჩემი ერი მშვიდობის სამყოფელში, მყუდრო სავანეებში და უზრუნველ სადგომებში". "ალარ გაისმება ძალადობა შენს ქვეყანაში, ძარცვა და გლეჯა - შენს საზღვრებში. ხსნას უწოდებ შენს კედლებს და სადიდებელს - შენს კარიბჭეებს. ააშენებენ სახლებს და იცხოვრებენ, ჩაყრიან ვაზებს და მათ ნაყოფს შეჭამენ. არ ააშენებენ სხვის

საცხოვრებლად, არ დარგავენ სხვის შესაჭმელად... და თავადვე გაცვეთენ საკუთარი ხელის ქმნილებას ჩემი რჩეულები" (ეს. 32:18; 60:18; 65:21,22).

"მოილხენს უდაბნო და ხრიოკი, გაიხარებს ტრამალი და შროშანივით აყვავდება". "ეკლის ადგილზე ალვის ხე ამოვა და ქაცვის ადგილზე მურტი ამოვა". "დადგება მგელი ცხვართან ერთად და ვეფხვი დაბინავდება ციკანთან ერთად... და ჩვილი ბავშვი წაუძღვება მათ". "არავინ იბოროტებს და არავინ იბილწებს ჩემს წმიდა მთაზე", თქვა უფალმა (ეს. 35:1; 55:13; 11:6,9).

ზეცაში არ იქნება ტკივილი. იქ არ იქნება ცრემლი, არც სამგლოვიარო პროცესიები, არც ვაება და მოთქმა. "და ალარ იქნება სიკვდილი; გლოვა,

გოდება და ტკივილიც ალარ იქნება; რადგან წინანდელნი გარდახდნენ" (გამოცხ. 21:4). "არ იტყვის მცხოვრები: ავად ვარო. ხალხს, მასში დამკვიდრებულს, მიეტევება დანაშაული" (ეს. 33:24).

იქ არის ახალი იერუსალიმი, განწმედილი დედამიწის, "ახალი მიწის" დედაქალაქი, "მშვენების შარავანდად უფლის ხელში და სამეფო გვირგვინად - შენი ღვთის მარჯვენაში". "მისი შუქი მსგავსია პატიოსანი თვლისა, როგორც იასპის ქვა, ბროლივით გამჭვირვალე". "ერები ივლიან მის ნათელზე და მიწიერი მეფეები მიიტანენ იქ თავიანთ დიდებასა და პატივს". უფალი ამბობს: "მეც გავიხარებ იერუსალიმის გამო და ვიმხიარულებ

ჩემი ხალხის გამო". "აჰა, კარავი ღვთისა კაცთა შორის! და ის დამკვიდრდება მათ შორის, ისინი იქნებიან მისი ერი და თვით ღმერთი იქნება მათთან" (ეს. 62:3; გამოცხ. 21:11,24; ეს. 65:19; გამოცხ. 21:3).

უფლის ქალაქში "ღამე არ იქნება". იქ საჭირო არ იქნება დასვენება. უფლის ნების აღსრულება და მისი სახელის განდიდება არ გამოიწვევს დაღლას. ჩვენ ყოველთვის გვექნება უსასრულო დილის სიგრილის შეგრძნება. "აღარ დასჭირდებათ არც სასანთლის შუქი და არც მზის სინათლე, ვინაიდან უფალი ღმერთი გაუნათებს მათ" (გამოცხ. 22:5). მზის ნათებას შეცვლის რბილი, სასიამოვნო ნათელი, რომელიც ბევრად აღემატება შუადღის მზის

ბრწყინვალებას. მამისა და კრავის ჩაუქრობელი ნათელი მარადიულად გაანათებს ქალაქს. გამოსყიდულნი იქნებიან მარადიული დღის დიდებაში, თუმცა ეს არ იქნება მზის ნათელი. "ტაძარი კი ვერ ვიხილე მასში, რადგან მისი ტაძარი ყოვლისმპყრობელი უფალი ღმერთია და კრავი" (გამოცხ. 21:22). ღვთის ხალხს ექნება უფალთან გახსნილი, თავისუფალი ურთიერთობის უპირატესობა. "ახლა ჩვენ ვხედავთ სარკით, ბუნდოვნად, მაშინ კი პირისპირ" (1კორ. 13:12). ჩვენ ვხედავთ ღვთის ხატებას, სარკიდან არეკლილს, მის შემოქმედებაში და მის ადამიანებთან ურთიერთობაში, მაგრამ მაშინ პირისპირ დავინახავთ და ჩვენს შორის აღარ იქნება

ბუნდოვანი ფარდა, ვიქნებით მასთან და მისი სახის დიდებას ვიხილავთ.

გამოსყიდულნი იქ შეიცნობენ ისევე, როგორც თავად არიან შეცნობილნი. თანაგრძნობისა და სიყვარულის ნაზი გრძნობა, რომელიც თვით უფალმა მისცა მათ სულებს, ახლა ჭეშმარიტად და თავისუფლად გამოვლინდება. უანგარო ურთიერთობა წმიდანებთან, ჰარმონიული ცხოვრება ნეტარ ანგელოზებთან და ყველა საუკუნის ერთგულებთან ერთად, რომელთაც გაირეცხეს თავიანთი სამოსელი და კრავის სისხლით გაასპეტაკეს ისინი წმიდა დამოკიდებულება, რომელიც აკავშირებს "ყოველ მამობას ცაში და ქვეყანაზე" (ეფ. 3:15) - ყოველივე ეს ნეტარებას მისცემს გამოსყიდულთ.

იქ ადამიანთა უკვდავი გონება დაულალავი ალტაცებით შეიცნობს გამომსყიდველი სიყვარულის საიდუმლოს და შემოქმედების ძალის სასწაულებს. იქ აღარ იქნება ადამიანის სასტიკი მტერი - მაცდური, რომელიც ღმერთს ავიწყებდა მას. განვითარდება ყოველგვარი ნიჭი, გამრავლდება ყოველი ტალანტი. ცოდნის შეძენა არ გამოიწვევს ადამიანის გონების გადაღლას და სიცოცხლის ძალების ამოწურვას. იქ შესაძლებელი იქნება ყველაზე გრანდიოზული გეგმების განხორციელება. იქ შესაძლებელია ამაღლებულ მისწრაფებათა ცხოვრებაში განხორციელება, ყველაზე გაბედული გეგმების აღსრულება. მაგრამ ამის შემდეგაც

იქნება ახალი მწვერვალები, რომელთა დაპყრობაც გახდება საჭირო, ახალი სასწაულები, რომელნიც აღტაცებას გამოიწვევენ; ახალი ჭეშმარიტებანი, რომელნიც უნდა შევისწავლოთ. ახალი ობიექტები, რომელთაც სხეულის, სულის, გონებისა და ძალთა ძალისხმევა სჭირდება.

უფლის მიერ გამოსყიდულ ადამიანთა წინაშე, მათი შემეცნებისათვის, სამყაროს მთელი საუნჯე გადაიშლება. სიკვდილის ბორკილთაგან დახსნილნი, თავიანთ აზრთა ფრენას წარმართავენ იმ შორეული სამყაროებისკენ, რომელთა მკვიდრნიც ღრმად წუხდნენ, როდესაც ადამიანთა სატანჯველს ადევნებდნენ თვალყურს, და

რომელნიც სიხარულის ჰიმნებით ხვდებოდნენ ყოველი სულის გადარჩენას. ენით გამოუთქმელი ალტაცების გრძნობით შეუერთდებიან დედამიწის შვილნი წმიდა არსებათა სიხარულსა და სიბრძნეს; ისინი მათ გაუზიარებენ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში უფლის საქმეთაგან შემეცნებულ ცოდნასა და გამოცდილებას. ისინი ნათლად დაინახავენ მისი შემოქმედების დიდებას - მზეს, ვარსკვლავებსა და ზეციურ სისტემებს, რომლებიც დაწესებული განრიგით მოძრაობენ უფლის ტახტის გარშემო. შემოქმედების ყოველ ნაყოფს, მცირეს თუ დიდს, ბეჭდად ადევს შემოქმედის სახელი და ყოველ

მათგანში გამოსჭვივის უზენაესის ძალის სიმდიდრე და სიძლიერე.

მარადიულობაში გატარებული წლები სულ უფრო და უფრო გაგვიხსნის უდიდეს და დიდებულ ჭეშმარიტებებს ღმერთისა და მისი ძის შესახებ. და ცოდნის გამრავლებასთან ერთად, გამრავლდება სიყვარული, უფლის წინაშე მოწიწება და ბედნიერება. რაც უფრო მეტად შეიცნობენ ღმერთს, მით უფრო ღრმა იქნება მათი სიყვარული მის მიმართ და როდესაც იესო მათ გადაუშლის გამოსყიდვის სიდიადეს და სატანასთან დიად ბრძოლაში საოცარ მიღწევებს, გამოსყიდულთა გულში უფრო მეტად აინთება სიყვარული, უფრო დიდი სიხარულით აჟღერდება მათი ოქროს

ქნარები და ურიცხვი ხმები შეუერთდება მგალობელთა ძლიერ გუნდს.

"და ყოველი ქმნილება, რომელიც არის ცაში და დედამიწაზე, მიწის ქვეშ და ზღვაში, და ყველაფერი, რაც მათშია, - მესმოდა, რომ ამბობდნენ: "ტახტზე მჯდომსა და კრავს კურთხევა და პატივი და დიდება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე" (გამოცხ. 5:13).

დიადი ბრძოლა დამთავრებულია. ცოდვა და ცოდვილნი აღარ არსებობენ. მთელი სამყარო განწმედილია. უფლის უამრავ შექმნილთა შორის დამყარებულია სიხარული და თანხმობა. უსასრულო სივრცის ყოველ მხარეს მოედინება სიცოცხლის მდინარეები,

სიცოცხლისა და სინათლის ნაკადები მისგან, ვინც შექმნა ყოველივე ეს. უმცირესი ატომიდან დაწყებული სამყაროს უდიდესი სისტემებით დამთავრებული - ყოველი სულიერი თუ უსულო, თავისი შეურყვნელი სილამაზითა და სრული სიხარულით წარმოთქვამს: "ღმერთი სიყვარულია".